

65

Յ Ա Յ Ե Ո
Ն Ժ Ժ Ժ Ժ Ժ Ժ Ժ



КНИГА МЕДИЦИНСКАЯ



ЛАДО КОТЕТИШВИЛИ

Медицина в древней Грузии
XIII век.

Госиздат Грузии



LIBER UNIVERSALIS DE MEDICINA



LADO KOTETISCHVILI

La médecine dans la Géorgie-Ancienne
XIII siècle

Tiflis Sachelgami
1936

„წიგნი სააქიოღ“



მადო კოლექტივილი

მედიცინა ქველ საქართველოში

XIII საუკუნე

59/3
X



წინ არ გარეკავს

ს ა ნ ბ მ მ მ მ მ მ მ
გ ა ნ ბ მ მ მ მ მ მ მ

ტფილისი
1936

ს ა მ მ მ მ მ მ მ მ მ
ს მ მ მ მ მ მ მ მ მ



წინასიტყვაობა

დღემდე თითქმის არაფერი ვიცით არც ქართული წერილობითი მედიცინის და არც ხალხური მედიცინის შესახებ.

დღემდე არავის უზრუნვია ქართული სამკურნალო ძეგლების შესწავლაზე და მათ გამოცემაზე.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არც ერთი ძველი საექიმო წიგნი ან კარაბადინი ჯერ არ დაბეჭდილა საქართველოში.

გამოცემულია მხოლოდ ორი საექიმო—ფილოსოფიური ხელთნაწერი 1. შატბერდის სამეცნიერო ქრესტომათიიდან ამოღებული „სამკურნალო ტრაქტატი“ შედგენილი იოვანე ბერაის მიერ IX—X საუკუნეში; „კაცისა შესაქმც“ რომელიც გამოცემულია მოსე ჯანაშვილის მიერ 1891 წ.

2. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც თარგმნილია ბერძნულიდან XII საუკუნეში სახელგანთქმული ქართველი ნეოპლატონიკის იოანე პეტრიწის ანუ პეტრიწონელის მიერ. ეს ძეგლი გამოცემულია სერგო გორგაძის მიერ 1914 წელს.

მაგრამ ამ უკვე გამოცემულ საექიმო-ფილოსოფიური ძეგლების არსებობა თითქმის არავინ იცის, ფილოლოგ-სპეციალისტების გარდა. და ეს იმიტომ, რომ ორივე ეს საექიმო ძეგლი განხილული არა როგორც თავის დროისთვის სახელგანთქმული საექიმო ფილოსოფიური ტრაქტატები, არამედ როგორც ისტორიულ-ლინგვისტური ძეგლები. რასაკვირველია, ამ მხრივ განხილვა და შესწავლა აუცილებელიც არის და მნიშვნელოვანიც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ მეცნიერების თვალსაზრისით განხილვა, რომელსაც ეს ძეგლები ეკუთვნიან. სამწუხაროდ, სწორედ ამ მხრივ განხილვისათვის დღემდე არც ერთი მკვლევარი არ გამოსულა სწავლულ ექიმთა წრიდან.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ მედიცინას—არც ის არის შეგროვილი, სათანადოდ შესწავილილი და დადგენილი.

თუ რამე მაინც მოგვეპოება ამ დარგში, ყველაფერი ნაწყვეტების სახით გაბნეულია ძველ ქურნალ-გაზეთებში, ხელნაწერების სახით მუზეუმებში, უკომენტაროდ, სათანადოდ შესწავლის გარეშე—და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ აქაც სამკურნალო საშუალებათა და წესთა შემკრები ხალხი ზოგი ფოლკლორისტია, ზოგი ეთნოგრაფი, არქეოლოგი, ისტორიკოსი და სხვ. ექიმი კი ჯერ არა სჩანს.

ამ უცნაური გაუგებრობის შედეგი ის არის, რომ ამ საკმაოდ დიდი მასალის მნიშვნელობა და აზრი ჩვენ არ ვიცით, არ ვიცით მათი შინაარსი, სადაურობა, უამისოდ კი შეგროვილი მასალა მკედარია, გამოუსადეგარი. ამრუგად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით ქართული ხალხური მედიცინის შესახებ.

რასაკვირველია, ყველაფერ ამას თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. ცნობილია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის შემოსვლის პირველ დღიდანვე დაიწყო ქართული მედიცინის დევნა ისევე, როგორც ყველაფერი ქართულისა, რომ თვითმპყრობელობის უბეში ძალა

სცილობდა „ჩინოვნიკებად“ გადაექცია ქართველი ექიმები, დაეშორებინა ისინი ქართული მედიცინის სათავეებისთვის.

ამ პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ ქართული საექიმო წიგნები, ქართული კარაბანდები და საერთოდ ქართული სამკურნალო ხელოვნება დაცინვის და მასხარად ავღდნის საგნად გახდა.

ამ გარემოებამ ჩაკლა, ქართული მედიცინის საამაყო ტრადიციების ფეხზე დაყენების და გაგრძელების ყოველგვარი სურვილი. ველურობის საშიში ნიშანი დაასვეს ამ საქმეს და ქართველი ექიმებიც, პირადი პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით, ერიდებოდნენ მას, როგორც ავი სენით შეპყრობილ სნულს.

ამის შედეგი ის იყო, რომ თითქმის ასოცი წლის განმავლობაში არაფერი არ თქმულა ქართული მედიცინის შესახებ. ასე რომ 1800 წლიდან საბჭოთა ხელოვნულების დამყარებამდე ისეთი სიჩუმე არსებობდა ამ საკითხის ირგვლივ, რომ მართლაც არაჩვეულებრივი ისტორიული მოვლენა იყო საქირო, რომ ეს სიჩუმე სამუდამოდ დარღვეულიყო, რომ ძირფესვიანად ამოვღლიჯა თვითმპყრობლობა ჩვენში და რუსეთში, და ფართო გასაქანი მიეცა ხალხური შედეგების გამოჩუქურებისა და მეცნიერების ყველა დარგის აყვავებისათვის. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ ეს საკითხი დადებითად გადაჭრა. დღეს სულ სხვანაირად არის შეფასებული ხალხური შემოქმედება და ეროვნული კულტურული წარსული. დღეს მოცემულია რეალური შესაძლებლობა ამ კულტურის გამოჩვენებისა, შესწავლისა და აყვავებისა.

მაშასადამე, ქართული წერილობითი მედიცინის და ხალხური მედიცინის შესწავლა და გამოძიებებაც დღეს უნდა მოხდეს.

წინამდებარე წიგნის გამოცემა ერთგვარი ცდა არის ამ სასარგებლო და მეტად საქირო საქმის დაწყებისა. როგორც პირველი ცდა, წინამდებარე წიგნს არ შეიძლება ნაკლი არ ჰქონდეს, მაგრამ ეს გარემოება არ გვაშინებს—ნაკლის შევსება, შეცდომის გასწორება ყოველთვის შეიძლება. მთავარია საქმის დაწყება.

ჩვენ განზრახული გვაქვს საქართველოს სამედიცინო წერილობითი ძეგლების შესწავლა და გამოცემა ციკლად „მედიცინა ძველ საქართველოში“. წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ამ ციკლის მეორე ტომს.

პირველ ტომში (უკვე დამუშავებულია და გამზადებული დასაბეჭდად) შევა IX, X, XI, XII საუკუნეების „საექიმო ფილოსოფიური“ ძეგლები, როგორც შატერდის კრებულის XXX თავი „კაცის შესაქმნ“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“, ნემსიოს ემესიელის „ბუნებისათვის კაცისა“ და უნახელო „საექიმო წიგნი“, რომელიც დაწერილია უძველესი ნუსხურით და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ეკუთვნის XI—XII საუკუნეს.

შესამე ტომში შევა XIV—XV საუკუნე.

მეოთხე ტომში შევა XVI საუკუნის სახელგანთქმული საექმო წიგნი, შესრულებული ბატონიშვილის დავითის მიერ ქ. კონსტანტინეპოლში, რომელსაც ჰქვია „ედიგარ დაული“. ეს ხელთნაწერი თავისი მოცულობით ყველა არსებულ ძეგლზე დიდი (შეიცავს 1200 გვერდს) და, როგორც ჩანს, ყველაზე გავრცელებული ყოფილა, არსებობს მისი თოთხმეტი ვარიანტი.

მეხუთე ტომში შევა XVII—XVIII და XIX საუკუნის დასაწყისი, როდესაც სრულიად წყდება საქართველოში საექიმო წიგნების წერა.

ცალკე დგას და ამ ციკლში არ შედის „მაგიური მედიცინა და სატაძრო მედიცინა უძველეს საქართველოში“, აგრეთვე „ხალხური მედიცინა“. ამ ორი უდიდესი და საინტერესო დარგის დამუშავება მოითხოვს დიდ ორგანიზაციულ მუშაობას. ეს მუშაობა გულისხმობს:

1. უნდა მოხდეს სატაძრო და მაგიურზი მედიცინის ნაშთების შეგროვება, უკვე შეგროვილის სისტემაში მოყვანა, მათი შედარებითი კვლევა. ამ საკითხთან დაკავშირებით შეგროვილ უნდა იქნას სამკურნალო ხასიათის თქმულებები, ზღაპრები, შელოცვები, ავგაროვნები, სიზპრის ახსნანი, სიმღერები, რადგანაც, არსებული ცნობების მიხედვით, ყველაფერი ეს ფართოდ იყო გამოყენებული ძველად, ავადმყოფის მოვლის და მკურნალობის საქმეში.

2. შედეგი საქართველოს მასშტაბით უნდა იქნას შეგროვილი ხალხური მედიცინა, ანუ სად, რომელ კუთხეში, რა ავადმყოფობის დროს რა სამკურნალო საშუალებებს ხმარობს ხალხი, როგორ ესმის ხალხს ამა თუ იმ სამკურნალო ბალახის თუ საშუალების სიაყვარე, როგორ ესმის ესა თუ ის ავადმყოფობა ხალხს ანუ როგორია მისი საექიმო მსოფლმხედველობა ამა თუ იმ ავადმყოფობის ან და სიკვდილის მიზეზების ახსნაში.

3. უნდა შესწავლილ იქნეს ბალახეულის და სხვა სამკურნალო საშუალებების სახელწოდებანი, უნდა შეგროვდეს მათი ნიმუშები, ბალახების შეგროვების და აქედან წამლების დამზადების წესები. აგრეთვე ნორმები. უნდა ჩაწერილ და შესწავლილ იქნას გამაფრთხილებელი (პროფილაქტიკური) ხალხური ღონისძიებანი ამა თუ იმ ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ავადმყოფის მოვლის და კვების წესები, კიდევ სად რა სამკურნალო წყლუქს ან ტალახს ხმარობენ, როგორია ამ ხმარების წესები, ან რის წინააღმდეგ არის ხმარებული ისეთი სამკურნალო საშუალება როგორც მზე, წყალი, ტალახი...

უნდა ყველაფერი ეს სისტემაში იქნას მოყვანილი, შესწავლილი და შედარებული სხვა ძველი კულტურული ხალხების წესებთან და მათ სამკურნალო ხერხებთან, რათა ძველ საქართველოს მოეძებნოს თავისი ნამდვილი ადგილი მათ შორის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ვინაობისა და სადაურობის შესწავლისათვის.

მაგრამ ხალხური მკურნალობის ნიმუშების შეგროვება როდი გულისხმობს ექიმბაშების მკურნალობას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უფრო ყურმოკრულ საფთიქო საშუალებებს ხმარობენ უფიქად, ყოველგვარი აზრის გარეშე.

საექვთა აგრეთვე ბევრგან დარჩენილი „სავაჯარეულო“ სამკურნალო საშუალებანი, რომელნიც ხშირ შემთხვევაში ხალხის მოსატყუებელ რაკლამას შეიცავენ უფრო და სხვას არაფერი. ხალხურ მედიცინას ამგვარი ექიმბაშურ და მოქიქიშაშო მკურნალობასთან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს.

ასეთია შემდგომი მუშაობის მთავარი გეზი.

მამასადანე, ციკლი „მედიცინა ძველ საქართველოში“ თავს უყრის და მკვლევარისთვის მისაწოდებლად ზდის ძველ საქართველოს საექიმო წერილობითი ძეგლების გაცნობა-შესწავლას.

სატაძრო და მაგიური მედიცინის ნაშთების შეგროვება-შესწავლასთან და სახალხო მედიცინის შეგროვება-შესწავლასთან ერთად, ყველაფერი ეს მასალად დაედება ძველი საქართველოს მედიცინის ისტორიას; ეს იქნება შეჯამება მთელი იმ ფაქტიური მასალისა, რომელზედაც ვილაპარაკეთ.

ამგვარად უნდა შეიქმნას „საქართველოს მედიცინის ისტორია“. ეს მედიცინა მეტად მდიდარია მასალით, მეტად საინტერესო შინაარსით და მეტად სასარგებლო და აუცილებელი ჩვენი სამკურნალო აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე წიგნის დამუშავებასა და გამოცემას დაბრკოლებანი არ გადალობებოდეს, მაგრამ საქმის სიყვარულმა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობამ ეს დაბრკოლებანი ადვილად გადალახა.

მაგრამ ხელის შემწეობი და გამამხნეებელი პირობებიც საკმაო იყო, რომ წარმატებით დასრულებულიყო ამ წიგნის შესწავლისა და გამოცემის საქმე.

დასასრულ, მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გამოუცხადო საქ. სახ. მუზეუმის დირექტორს გ. შიროტაძეს, რომელიც თანაგრძობით შეხვდა ძველი საექიმო ძეგლების შესწავლისა და გამოცემის განზრახვას და მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილების გამგეს

პ. ინგოროყვას, საქართველოს საექიმო საზოგადოების თავმჯდომარეს ექ. პ. კიკა-
ლიშვილს, რომელმაც ხელი შეუწყო და სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის დირექ-
ტორს ექ. ვანო ლორთქიფანიძეს, რომელმაც იზრუნა ამ წიგნის გამოცემისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ პროფ. იუსტინე აბულაძეს, რომელიც
თანაგრძნობით შეხვდა ამ შრომას და რომელმაც არაბულ-ირანული წარწერები გაუკეთა
ამ წიგნის ლექსიკონში დართულ არაბულ-ირანულ სიტყვებს.

„ტექნიკა და შრომის“ სტამბის ხელმძღვანელებს და მუშებს, რომელთაც არაფერი არ
დაიშურეს იმისთვის, რომ ეს წიგნი კარგად ყოფილიყო გამოცემული, გულწრფელ მადლო-
ბას მოვახსენებ.

მადლობას მოვახსენებ აგრეთვე იმათ, ვისი ზნეობრივი დახმარებაც ყოველდღიურად
მამხნევებდა, რათა ბეჯითად შემესრულებინა ეს ფრიად ძნელი, მაგრამ საჭირო და სა-
სარგებლო საქმე.

ექ. ლალო კოტეტიშვილი.

ტფილისი.
მარტი 1936 წ.

PRÉFACE

Les ouvrages médicaux géorgiens datent des IX—X siècles, époque où Iované Béraï réunit le recueil connu sous le nom de „Recueil de Schatberdi“. Le chapitre XXX présente un traité médical de „la Création de l'Homme“.

L'ouvrage médical suivant, créé par Grégoire Nosséli et ayant comme sujet „la Naissance de l'Homme“, est traduit du grec en géorgien au XI siècle, dans le même célèbre monastère de Schatberdj.

Vient ensuite le traité de philosophie médicale bien connu de Némésio Eméséli sur „la Nature de l'Homme“, traduit du grec en géorgien au XII siècle, par le philosophe géorgien néoplatonicien Ioanné Petritzi.

Par conséquent, les tous premiers manuscrits médicaux étaient traduits directement du grec, dont la Géorgie subissait l'influence culturelle.

Cependant, au XI—XII siècles, quand la médecine des Arabes se propagea victorieusement dans le monde entier, quand Avicenne, Razé, Avenzoar, Averroës et autres médecins arabes illustres furent traduits partout, la Géorgie tomba aussi sous l'influence de la médecine arabe,—influence féconde et fort utile.

Le livre, dont nous nous occupons actuellement, présente un manuel médical arabe et fut traduit en géorgien au commencement du XIII siècle, notamment en 1207—1210 environ, par Khodja Kopili, auteur inconnu, mais ce n'est pas, à proprement parler, une traduction telle que nous l'entendons aujourd'hui.

Ce livre comprend beaucoup d'endroits géorgiens originaux, comme: traitement par l'urine des enfants par le lait de femmes, par le raisin et le vin par la boue et l'eau, traitements qui subsistent encore en Géorgie de nos jours.

Voici, en résumé, l'histoire de ce livre: au temps de l'illustre reine de Géorgie, Tamar, en 1206, les Géorgiens vainquirent le sultan Roukandan, dans un combat acharné, prirent la ville de Karnou et s'emparèrent, parmi d'autres butins, de l'original de ce livre qu'ils apportèrent à Tiflis, capitale de la Géorgie et procédèrent immédiatement à cette traduction par ordre du Tchkhondidéli, ministre de l'instruction et de la santé publiques.

Le dernier manuscrit de ce texte appartient aux XIV—XV siècles. Il est conservé aujourd'hui dans la section paléographique du Musée de Géorgie, sous le N° 1274 et mesure 30×20. Il présente une merveilleuse calligraphie „nouskhouri“ à l'encre noire, le commencement de chaque chapitre et les noms propres étant écrits à l'encre rouge.

La pagination est marquée par des majuscules nouskhouri par cahiers. Il y a en tout 50 cahiers, dont chacun comprend 16 pages,—le manuscrit est défectueux. Trois feuilles manquent au premier cahier, une feuille au sixième, deux au onzième et une au quinième. Il est difficile de dire combien de feuilles manquent à la fin, mais le cinquantième cahier n'en a plus que trois et encore fort abîmées.

Si l'on tient compte du texte, il ne doit pas manquer grand chose au livre. Actuellement le manuscrit comprend 776 pages. Il est fortement relié de cuir rouge foncé.

L'index qui accompagne le manuscrit—„Index Alphabétique“ est de la même écriture que le texte depuis le chapitre 1 jusqu'au chapitre 183. Depuis le chapitre 185 jusqu' à la fin du chapitre 219 l'écriture est autre que celle du manuscrit, se distinguant sensiblement de ces jolis caractères nets.

Dans le texte les titres des chapitres sont considérablement embrouillés. Par exemple depuis le chapitre 1 jusqu'au chapitre 16, les chapitres du texte et de l'index ne correspondent pas du tout, bien que le matériel compris soit le même,—ce qui s'explique par une erreur du copiste.

Souvent la lettre indiquant le chapitre est effacée dans le texte et se trouve remplacée par d'autres lettres, dont les chiffres ne conviennent pas au chapitre suivant ou précédent.

A certains endroits, où le chapitre du texte correspond à celui de l'index, le titre du chapitre est plus détaillé, avec plus de termes persans.

Actuellement l'index comprend 219 et le texte 244 chapitres. Pour qu'il soit plus facile de faire connaissance avec le contenu de ce livre, nous traduirons ici l'index tout entier.

Indications par lettres géorgiennes dans le but de trouver facilement les remèdes des différentes maladies et le moyen de les guérir:

- 1) Etudes médicales et leur utilité.
- 2) Chapitre concernant l'échelle du traitement médical, son étude et ses subdivisions.
- 3) Chapitre traitant de la nature de l'homme et de l'estomac.
- 4) Chapitre concernant l'étude des éléments composant l'organisme de la fusion des humeurs principales.
- 5) Chapitre de la naissance de l'homme et de la formation de son corps.
- 6) Chapitre de la découverte des cinq sens.
- 7) Chapitre de la conservation du corps en bonne santé.
- 8) Chapitre de la connaissance du pouls.
- 9) Chapitre traitant de l'eau et de la percéption de l'humidité.
- 10) Chapitre des crises et des cas urgents.
- 11) Chapitre des indices de la santé et de la peur.
- 12) Chapitre de la connaissance des maladies futures.
- 13) Chapitre des sites et des climats.
- 14) Chapitre du changement des quatre saisons de l'année.
- 15) Chapitre traitant les sources de la maladie.

Du mal de tête et de ce qui le provoque.

- 16) „Karthil“ appelé en arabe „Khazami“ et en persan...
- 17) Chapitre des plaies à la tête, appelées en arabe „sitha“.
- 18) Chapitre de la chute des cheveux, appelée en arabe „asla“.
- 19) Chapitre des „alhaïat“ et „dathalabi“, en arabe, maladies des serpents et des renards en arabe.
- 20) Chapitre des cheveux qui se fendent et qui blanchissent.

- 21) Mal de tête provenant de la chaleur ou du froid.
- 22) Mal de tête provenant de l'humidité ou de la sécheresse.
- 23) Mal de tête provenant du sang ou de la mucosité.
- 24) Mal de tête provenant de la bile jaune ou de la bile noire.
- 25) Mal de tête provenant d'un vent chaud ou froid.
- 26) Mal de tête provenant de l'enflure de la membrane du cerveau.
- 27) Mal de tête, appelé en arabe „baïti“.
- 28) Mal de tête provenant d'un coup, d'un „isthipraghi“ ou d'une odeur quelconque.
- 29) Mal de tête après l'ivresse ou à cause des mauvaises exhalaisons.
- 30) Mal de tête provenant de l'estomac et de sa faiblesse.
- 31) Migraine, provenant de la chaleur ou du froid.
- 32) Mal de tête, appelé „davari“ en arabe.
- 33) Mal de tête, appelé „messadar“ et provenant de la chaleur ou du froid.
- 34) „Sarsami“, provenant de la chaleur ou du froid.
- 35) Les maladies: „Soubathi“ et „Soubathi sahari“, sommeil lourd.
- 36) „Chékhoussi“ et „Djoumoudi“, provenant tous deux du froid.
- 37) „Malikhouri“, appelé en persan „dévanguï“.
- 38) „Koutzroubi“ et „manlaï“, provenant tous deux de la folie.
- 39) Insomnie et palpitations du coeur.
- 40) Amour et impatience.
- 41) Oubli et manque de mémoire.
- 42) „Kaboussi“ qui dérange pendant le sommeil et qu'on appelle en géorgien „Khibaliki“.
- 43) „Bédapkani“ appelé „Sarii“ en arabe et „attaque de l'ennemi“, en géorgien.
- 44) „Bédapkani“, provenant de la bile noire ou du vent froid.
- 45) „Sakthi“ qui rend inconscient et pareil à un mort.
- 46) „Pilendji“, provenant d'un coup ou d'empoisonnement.
- 47) „Istiskhoï“, affaiblissant les membres.
- 48) Engourdissement des membres, appelé en arabe „khidri“.
- 49) Contorsion du visage, appelée en arabe „lakvi“.
- 50) „Thachanoudji“ qui dessèche les membres.
- 51) „Kouzazi“ et „imthidadi“, les deux couleurs, provenant du „thachanoudji“.
- 52) Tremblement des membres, appelé en arabe „racha“.

Maladies des yeux et des paupières.

- 53) „Mguéri“ et „mkavanaï“ dans les yeux.
- 54) „Baradi“, „thaldjouri“ et „chirai“ à l'intérieur des yeux.
- 55) „Kathri“ et adhérence des paupières.
- 56) „Sapa“ et „vardan“, agrandissement des yeux et des cils et allongement des cils.
- 57) „Kmani“ et „thothaï“, détérioration et chute des cils.
- 58) „Salaï“, „chornaki“ et „zélaki“ se trouvant à l'intérieur des yeux.
- 59) „Gadaï“, „pourbi“ et „kamkami“ se trouvant à l'intérieur des cils.
- 60) Maux d'yeux, provenant du sang.

- 61) Maux d'yeux, provenant de la bile jaune ou de la bile noire.
- 62) „Ztorpaï“ et „nakhouni“. On appelle „tarpaï“ un coup, reçu dans l'oeil.
- 63) Plaie et enflure de l'œil, appelées „bathour“.
- 64) „Sabali“ et épiphora, appelés „dam“.
- 65) „Kouavili“, blanc et „dikaï“, se trouvant à l'intérieur de l'œil.
- 66) „Saratani“ et pus, se formant dans l'œil et „saratani“, appelé cancer, se formant derrière la deuxième membrane de l'œil.
- 67) Enflure extérieur de l'œil entier, ou à certains endroits.
- 68) Dilatation et rétrécissement de l'ouverture palpébrale.
- 69) Dilatation de l'oeil s'appelant „Inthichari“.
- 70) Grande faiblesse de vue, causée par la chaleur ou par le froid.
- 71) Commencement d'épiphora de l'œil.
- 72) Cécité du jour et ainsi que celle de la nuit.

Maladies de nez et des orielles; leur traitement.

- 73) Maux d'oreilles causés par la chaleur ou par le froid.
- 74) Enflure de l'oreille par la chaleur ou par le froid.
- 75) S'il entre dans l'oreille de l'eau ou un ver.
- 76) Plaie et écoulement de pus de l'oreille.
- 77) Perception de sons divers, bourdonnement et bruissement dans les oreilles.
- 78) Surdité et faible perception des sons, causées par la chaleur ou par le froid.
- 79) Ulcère et enflure dans le nez.
- 80) Manque d'odorat, causé par la chaleur ou par le froid.
- 81) „Bavassiri“ et mauvaise odeur du
- 82) Hémorragie, appelée en arabe „rouapi“.
- 83) Coryza et écoulement du nez, causés par la chaleur ou par le froid.

Maladies de la bouche, des dents et de la langue, gerçure des lèvres, ulcères et enflures.

- 84) Maux de dents causés par la chaleur ou par le froid.
- 85) Carie, chute et ébranlement des dents.
- 86) Détérioration des dents et des gencives, dents noircies et hémorragie des gencives.
- 87) Enflure des gencives causée par la chaleur ou par le froid.
- 88) Maladies et enflure de la bouche.
- 89) Mauvaise odeur de la bouche, appelée en arabe „abkhari“.
- 90) Eau coulant de la bouche pendant le sommeil.
- 91) Enflure de la langue, causée par la chaleur ou par le froid.
- 92) Enflure de la langue, appelée en arabe „kildad“.
- 93) Altération du goût.
- 94) Plaie, lourdeur et faiblesse de la langue.
- 95) „Kamoi“, non donné aux glandes de la bouche quand elles s'abaissent, par suite du froid ou de la chaleur.
- 96) Enflure du palais, abaissement de deux glandes.

Maladies de la gorge, de poitrine et des poumons.

- 97) Enflure de la gorge, appelée en arabe „Khounaki“.
- 98) Mal de gorge, causé par la chaleur ou par le froid.
- 99) „Devtscha“ ou os, enfoncé à l'intérieur de la gorge.
- 100) Hémorragie de la gorge (hemoptoe).
- 101) Toux causée par la chaleur ou par le froid.
- 102) Toux provoquée par l'humidité ou par la sécheresse.
- 103) „Raboï“ causé par la chaleur ou par le froid.
- 104) Enflure du poumon, appelée en arabe „dathara“.
- 105) Ulcère du poumon, appelée en arabe „sili“.

Mal du côté.

- 106) Enflure intérieure d'une partie du côté, appelée en arabe „dathldjanab“.
- 107) „Barsami“, appelé en arabe „chovis“.
- 108) Maladie du cœur, causée par la chaleur ou par le froid, par la sécheresse ou par l'humidité.
- 109) Palpitations du cœur appelées en arabe „Khapakani“.
- 110) Evanouissement, appelé en arabe „gacha“.

Des maladies de l'estomac et de ses troubles.

- 111) Troubles de la digestion, causées par la chaleur ou par le froid.
- 112) Mauvaise digestion, causée par la chaleur ou par le froid.
- 113) Dégoût de la nourriture, provenant de l'estomac.
- 114) Manque d'appétit pour cause de maladie.
- 115) Boulimie, désignée sous le nom de „kathldjalbla“.
- 116) Absorption de terre, de plâtre et de sel des rochers.
- 117) Pulsation du piloris, appelée en arabe „vidjalpad“.
- 118) Soif et grande absorption d'eau.
- 119) „Eldahati“ et „Bardjiaï“, appelés en arabe „Thoukhmaï“.
- 120) „Dargul“ nom donné à une moiteur continue.
- 121) „Zala kalmida“ et „Zala kalma“, appelés en géorgien „sigloussoune“, détérioration de l'estomac et des intestins.
- 122) Abondance de „manichi“, appelés „athiani“.
- 123) Hémorragie, provenant de l'estomac.
- 124) Vomissement causé par la dureté de l'estomac.
- 125) Refroidissement causé par le vent, pénétrant dans l'estomac.
- 126) „Siksari“, appelé en persan „vavaki“ et „sakbiaki“.
- 127) Maux d'estomac, causés par la chaleur ou par le froid.
- 128) Ulcère de l'estomac, et le sang qui s'y fige.
- 129) Salive et liquide coulant de la bouche.
- 130) Enflure de l'estomac, causée par la chaleur ou par le froid.

Maladies du foie et de la rate.

- 131) Maladies du foie, causées par la chaleur ou par le froid.
- 132) Enflure du foie, causée par la chaleur ou par le froid.
- 133) Maladies du foie, causées par l'obstruction des ses voies.
- 134)...?

- 135) „Isthisko“ nom persan de l'enflure de l'estomac.
- 136) „Isthiskoi Jahami“, donnat une grande température, après l'échauffement.
- 137) „Zariri“ jaune et noir, appelés en arabe „Iarakani“.
- 138) Maladies de la rate, causées par la chaleur ou par le froid.
- 139) Enflure du rate, causée par la chaleur ou par le froid.

Maladies de l' Anus et des Intestins.

- 140) Hemorragie, provenant des intestins et appelée „sahadjalama“.
- 141) „Zahiri“, maladie des intestins, causée par la chaleur ou par le froid.
- 142) „Maghari“, causé par la chaleur ou par le froid.
- 143) „Kolindji“, causé par la chaleur ou par le froid.
- 144) „Elaos“, espèce de „Kolindi“.
- 145) Vers longs et courts et „Koudedni“, ce qui signifie graines de potiron.
- 146) „Bavassiri“ et „thothaï“ se trouvant dans l'anus.
- 147) „Bavassiri“ meurtrissure de l'anus.
- 148) Plaie sur l'anus et hémorragie provenant d'une veine ouverte.
- 149) Prolapsus du rectum, enflure et faiblesse.

Reins et Vésicule Urinaire.

- 150) Maladies des reins, cause'es par la chaleur ou par le froid.
- 151) Enflure de l' „assamli“ causée par la chaleur ou par le froid.
- 152) Ulcères des reins et suintement de sang du penis.
- 153) Calculs ou sable, s'accumulant dans la vessie.
- 154) Suintement de l'urine, appelé en arabe „Salassali“.
- 155) Rétention d'urine, appelée en arabe „Barali“.
- 156) Incontinence d'urine chez l'homme.
- 157) Enflure de la vessie, causée par la chaleur ou par le froid.
- 158) Ulcère de la vessie avec dépôt de calculs.

Maladies et enflures du penis et des testicules.

- 159) Erection involontaire du penis.
- 160) Sa faiblesse et écoulement de sperme sans plaisir.
- 161) Son enflure, causée par la chaleur ou par le froid.
- 162) Brûlure, causée par la chaleur ou par le froid.
- 163) Enflure des testicules, causée par la chaleur et par le froid.
- 164) Impotence par excès de tempérament.
- 165) Hernie dans l'aïne ou dans les testicules.

Traitement du Sein et de la Matrice.

- 166) Arrêt des fonctions de la matrice, appelé en arabe „Ihtissilime“.
- 167) Metrorhagia, appelée en arabe „nazpi“.
- 168) Arrêt de la menstruation, appelé en arabe „Ihtibastamtha“.

- 169) Enflure de la matrice, causée par la chaleur ou par le froid.
 170) Ulcère dans la matrice, probablement un cancer, appelé en géorgien „Kirtch-khibi“.
 171) Fibrome dans la matrice.
 „Rdjaï“, maladie simulant la grossesse.
 Descente de la matrice et écoulement de fleurs blanches.
 172) Avortement et maladie de la matrice en résultant.
 173) Infécondité, provenant de l'homme ou de la femme.
 174) Couches laborieuses simultanément avec le placenta.
 175) Enflure du sein, provenant de la chaleur ou du froid.
 176) Mal du sein et lait s'y coagulant.

Mal de Dos.

- 177) Mal de dos, causé par la chaleur ou par le froid.
 178) Gibbosité, appelée en arabe „hadaba“.
 179) „Irakani“ causé par la chaleur ou par le froid.
 180) Maladie des articulations, appelée en arabe „Vidjalmapassil“
 181) „Nikrissi“, causé par la chaleur ou par le froid.

- 182) „Davali“ et „dalpil“, deux maladies des pieds.
 183) „Nakhounkhur“, qui mange les ongles. „Darichthai“, qui s'appelle „mkédi“ et qui se rencontre sur les deux pieds.
 184) Gerçures et engelures des mains et des pieds.
 185) „Kalapi“ qui s'appelle „tchorpli“, „koundjidaï“, „barichi“ et „namichi“.
 186) „Kobaï“ qui s'appelle „metchétchi“ et „thouthai“, „chiré“ en arabe.
 187) „Mguléri“ sec et humide et prurit du corps.
 188) Grande sudation et retention de la sudation.
 189) Lentes et poux à la racine des cheveux.
 190) Lèpre, appelée en persan „pessi“ et en arabe „barassi“ et „bahaki“ noir et blanc.
 191) „Gandaumai“ appelé en arabe „thaloulai“ et „metchetchi“ en géorgien.
 192) „Athachi parsi“ dont la traduction signifie „feu persan“ et enflures qui se montrent sur les membres et sur le corps.
 193) Petite verole, en arabe „djodri“, et rougeole.
 194) „Homraï“, nom donné aux enflures et „Khorai“ ou ulcère des infestins.
 195) „Djodmi“, appelé laideur.
 196) Altération du visage, teint bruni et brouillé par le soleil.
 197) Enflure cuisante causée par le sang ou la bile jaune.
 198) Enflure froide causée par la bile noire ou la mucosité.
 199) „Saratani“ appelé cancer et en persan „kharthangui“.
 200) „Gortheli“ et „Salaï“, qui naissent dans les membres.
 201) „Taouni“ et „doubalaï“ qui naissent dans les membres.
 202) „Dounbali“ qui s'appelle „mdjdomi“, „gavarsai“ et „badobilaï“ à leur apparition.

- 203) Température quotidienne, causée par l'emportement ou la peur.
 204) Température quotidienne, causée par la nourriture ou la faim.
 205) Température quotidienne, causée par les ennuis ou par les maladies.
 206) Température quotidienne, causée par la grande chaleur ou le froid excessif.
 207) Température quotidienne, causée par la mucosité ou le coryza.
 208) Température quotidienne, causée par l'insomnie ou par une enflure.
 209) Température nommée „guibi“, se manifestant de deux manières: „lasimaï et „nablaiā“.
 210) Température nommée „motbaqui“, causée par la chaleur ou par le froid.
 211) Température continue qui s'appelle „mohrikaï“ et „Batralguibi“.
 212) Température du 4-ème jour causée par la mucosité ou provenant des autres éléments de l'organisme.
 213) Température des cinquième, sixième, onzième et autres jours.
 214) Température, nommée „vachai“ et température consécutive aux maladies.
 215) Température nommée „diki“ de trois espèces, l'une „moptadiai“, l'autre „dabouli“ et la troisième „diki“ proprement dit.

- 216) Fracture de l'os et coups sur les membres.
 217) „Balkhouri-tzkluli“ et „atali“ et vieilles ulcères.
 218) Brûlures par le feu, le beurre et l'eau bouillants.
 219) Piqûres des serpents, des reptiles en général, et des abeilles, appelées en arabe „Retailai“ et scorpion..

L'étude du manuscrit et l'élucidation du nom de son auteur nous ont amenés à la conclusion que l'original arabe de ce livre doit appartenir à Averroës ou Ebn Achmed, Ebn Roschd, originaire de Cordoue (Espagne arabe) et doit être l'ouvrage remarquable de cet écrivain „Kitâb el Kollijjât“ (Liber Universalis de medicina).

On sait que cet ouvrage d'Averroës a été traduit en latin en 1531,—mais toutes les tentatives de retrouver l'original ou la traduction latine sont restées infructueuses jusqu'à nos jours. De la sorte on ne pourra attribuer ce livre à l'auteur en question que conditionnellement, avant d'avoir comparé le livre que nous possédons avec l'original arabe ou sa traduction latine.

En tout cas, l'original arabe ne doit pas avoir été écrit avant le XI siècle et pas plus tard que le XII.

Dr. Lado Kotétichvili.

Tiflis, 5 mai 1936.

XIII ს ა უ კ უ ნ

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს XIII საუკუნის ავტორის ნაშრომს, და როგორც ერთერთ უძველეს სააქიმო ხელნაწერს, განსიკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, ჯერ არ არის შესწავლილი ქართული სააქიმო ხასიათის ხელნაწერები, რაც ჩვენ მრავალ მრგებლებას, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დავათარიღებინა, თუ სახელდობრ როდის იწყება ჩვენში დამწერლობითი მედიცინა ან სააქიმო წიგნების თარგმნა, მაგრამ წინასწარ იმის თქმა კი დაჯერებით შეიძლება, რომ ეს თარიღი ძალიან ძველია.

ეგრეთწოდებული სატაძრო მედიცინისა და მაკიური მედიცინის კვალი იმდენად აშკარა და ნათელია დღესაც კი, რომ შეძლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ მედიცინა, ძველ საქართველოში უძველეს, წარმართულ დროიდან მომდინარეობს.

მაგალითისთვის საკმარისია ვთქვათ, რომ დღემდის მთელ საქართველოში დარჩენილი იყო ავადმყოფის ამა თუ იმ ხატზე გადაცემა, ხატის კარზე მიყვანა, ღამის თვეა, მამლის შეწირვა და სხვა წესები, ავადმყოფთან თუ ავადმყოფობისთან დაკავშირებულ.

ეს წესები უძველესია და უკავშირდება იმ ზნე-ჩვეულებას, რომელიც ძველ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. როგორც ცნობილია, ძველ ქვეპატელებს ჰყავდათ ჯანმრთელობის ღვთაება, რომელსაც ერქვა Imhotep-ი, ეს იყო ღვთაები Ptah-ს შვილი და მისი ტაძარი იმყოფებოდა მემფისში; ამ ტაძარში მთელი ეგვიპტიდან მოჰყავდათ ავადმყოფები სამკურნალოდ. ყველა ავადმყოფს ღვთაება Imhotep-ისთვის უნდა შეეწირა მამალი, როგორც ემბლემა სიცოცხლის დაწვეებისა და ჯანმრთელობის. ამ ტაძრის კარზე ავადმყოფს უნდა ეთია და მას ერქვა ძილით მკურნალობა Incubation და მდგომარეობდა იმაში, რომ იმღუმეს ავადმყოფი სიზმრის ნახვით და ქურუმების მეშვეობით იღებდა განცხადებას ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად (С. Кошнер „История Медицины“. ч. I Киев 1878 г. გვ. 14).

ამ მიზნისთვის სავანებოა წვენიც კი არსებობდა, რომელიც შეიცავდა სიზმრის ახსნის ხელოვნებას. ამ ჩვეულების წყალობით ეგვიპტეში დარჩენილია აუარებელი „სიზმრის ახსნა“-ნი, რომელთაც ზეპირსიტყვაობით თუ წერითს დოკუმენტებში, ჩვენამდის მოაღწიეს.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოშიაც ბევრია დარჩენილი ეს „სიზმრის ახსნა“ რაც სხვა ჩვევებთან ერთად მოწმობს ამ ორი უძველესი ხალხის რწმენათა იგივეობას.

აქ მეტიც შეიძლება ითქვას, სახელდობრ: საქართველოში სხვადასხვა ავადმყოფობას თავისი საკუთარი ხატი ჰყავდა და ავადმყოფის გადაცემა ამა თუ იმ ხატზე ავადმყოფობის ნიშნების მიხედვით ხდებოდა. მაგალითად: ქართლში გერისთავის ანუ თავეგრის ხატზე მხოლოდ სულით ავადმყოფებისა და ავზენ შეპყრობილების შეთქმა ხდებოდა. ბარბარეზე მხოლოდ ყვავილის და ბატონების და სხვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფრიად დიდი მნიშვნელობის საკითხი ჯერ სპეციალური კვლევების საგნად არ გამოხდარა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო რაიმე გადაჭრილი აზრის გა-

მოთქმა. მაგრამ ის მცირეოდენი ცნობებიც კი, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს უწყლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ უძველეს-საქართველოს ჰყავდა ჯანმრთელობის ღვთაება.

აი, რასა სწერს დ. ხიზანაშვილი თავის წერილში „ფშავეთი და ფშაველები“ („ივერია“ 1897. № 177). „თამარის სალოცავიც დიდია, ის თოვლებმა აქიმ დედოფლად და მას „წამლის სახსრად“ ერთ ცხვარს სწირავდნენ“.

ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით სწერს ს. მაკალათია (ს. მაკალათია: „ფშავე“ ტფილისი, 1934 წ. გვ. 206).

„თამარის ხატი ფშავეში ძლიერ სალოცავად ითვლება, მას განსაკუთრებით ქალები ლოცულობენ და აქიმ-დედოფალს უწოდებენ, რომელსაც „წამლის სახსრად“ ერთ ცხვარს ზედმეტს წირავენ“... „ხატის ქალები მხოლოდ თამარსა ჰყავდა, რომელმაც მის საქონელს უვლიდნენ და ყველ-ვარბოს ამზადებდნენ. ხატის ქალები არ თხოვდებოდნენ და ქალწულად რჩებოდნენ. ხატში მათ თავისი ცალკე საჯარე ჰქონიათ და თამარის ხატობას ერთად დგებოდნენ. ხატის ქალებს ეხურათ თეთრი ხილბანდები და წინ იკეთებდნენ თეთრ ფესტამოსს, გულ-მკერდს იმკობდნენ ღილ-შიბებით“-ო.

ამ ცნობებით „აქიმ დედოფალი“ ანუ თამარი ჯანმრთელობის ღვთაებად გამოიყურება. ჩვენ დაახლოებით ის სახეც შეგვიძლიან აღვადგინოთ, როგორაც ქართველ ხალხს ჯანმრთელობის ღვთაება თამარი წარმოედგინა: „წყვეული (გველი) რაზად ჰყავდა, პირში ღვთის-გან ნაკურთხ ლაგამამოდებული, და ზედ მჯდომი დაჰქროდა“ („ძველი საქარ“ ტ. II, გვ. 49). გველი ხომ აქიმური სიმბოლოს ემბლემა იყო ყველგან, თანაც უხბლავ ძალთა და ავ სულთა სიმბოლო.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ თამარს გველი დამორჩილებული ჰყოლია. რომ თამარი უძველეს დველი საქართველოს წარმართული პანთეონის წევრია, ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ ხევსურები და ფშავეები თამარს ლოცულობენ როგორც „პირიმზხარ“ (იხ. ვ. კორტეიშვილი: „ხალხური ჰოვზია“, ქუთაისი, 1934 წ., გვ. 349).

მესხების თქმულებით კი თამარი მწყემსი ყოფილა, რომელსაც ფრთამოტეხილი წეროსთვის უწამლია. წერო კი აღმოსავლეთში მიჩნეული იყო ბედნიერებისა და დღეგრძელობის მახარობლად.

რასაკვირველია, ჯერჯერობით ყოველგვარი მსჯელობა ამ საკითხის ირგვლვ პირობითია, ვიდრე ზედმიწევნით არ იქნება შესწავლილი ღვთაება თამარის, „აქიმ-დედოფალის“ კულტი. მაგრამ არსებული ნიშნები უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ უძველეს, წარმართულ საქართველოს ჰყავდა ჯანმრთელობის ღვთაება და შეიძლება ითქვას რამდენიმეც, რომ ჩვენი წარმართულ ღვთაებათა პანთეონი და სააქიმო ხასიათის ზნეჩვეულებანი ენათესავებოდათ ძველი ეგვიპტის, ხეთების და საერთოდ ძველი აღმოსავლეთის ხალხების ზნეჩვეულებას. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილი¹⁾, აი როგორ დასკვნას უკეთებს იგი ამ საკითხს: „ქართული წარმართობის ზემომოყვანილი-ძიმობილვა ცხადჰყოფს, როგორც ამ სარწმუნოების ძველის ძველ თვისებებსა და მახლობელი ძველი აღმოსავლეთის სხვა დიდ ერთა სარწმუნოებასთან აუცილებელ კავშირს, ისევე იმ უპირატესობასაც რომელიც ქართულ წარმართობაში მნათობთა თაყვანისცემას მიუკუთვნებული ჰქონია“-ო.

როგორც ვხედავთ, საკითხი მეტად საკულისნა და ქართველი ხალხის სადაურობის კვლევისთვის მეტად დიდმნიშვნელოვანია.

მაგრამ არსად სტაძრო მედიცინა არ დარჩენილა თავის პირველყოფილ იდგომარეობაში. ყველაფერი, რაც ამ მედიცინაში რეალური, სასარგებლო და ავადმყოფის განსაკურნებლად გამოსაყენებელი იყო, საერო მედიცინის კუთვნილებად გახდა. ტაძართან კი დარჩა

¹⁾ პროფ. ივ. ჯავახიშვილი: „ქართველი ერის ისტორია“, წ. 1, ტფილისი, 1928 წ. თავი მეორე, 36-დან 137 გვერდამდის.

მხოლოდ რელიგიური ხასიათის ჩვევნი, რაც, ცხადია, მკურნალობისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო.

თუ ასე მოხდა ყველგან, თავისთავად გასაგებია, რომ ასე მოხდებოდა საქართველოშიც: სატაძრო მედიცინის ნიადაგზე უსათოდ უნდა აღმოცენებულიყო საერო მედიცინა; გამბული დაშრობისა და დაუსრულებელი ბრძოლებისთვის მოწოდებულ ერს, ცხადია, უნდა შეემუშავებინა დაჭირილი, დაკოდილი და დაავადებული მებრძოლის მოვლა-მკურნალობა.

შემდეგ მოქალაქეობრივი ცხოვრების ძალიან ადრე განვითარება, კეთილნამშენ ქალაქთა და დაბათა სიმრავლე, გასაგებია, გარკვეულ საზოგადოებრივ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს წამოაყენებდა, მით უკეტეს, რომ სახლების და ქუჩების მოწყობა, მოედნების მოწყობა, სასმელი წყლის ავტარგვიანობა, ნაგვისა და სიბინძურის გატანა ყველგან ამ კეთილნამშენობის მთავარი და, შეიძლება ითქვას, ერთად ერთი პირობა იყო.

შემდეგ, ტანსაცმელის, კვების და იარაღის ტარების წესებზე გასაოცარი სიმარტივეთ და სისწორით იყო შემუშავებული, რაც სპეციალური შესწავლის და შტრუნველობის გარეშე, ესე იგი ადამიანის აღნაგობის, ჯანმრთელობის და ამ ჯანმრთელობის დაცვის ზედმიწევნითი ცოდნის გარეშე, ძნელად დასაჯერებელია, რომ შემუშავებულიყო.

შემდეგ, მაღალ და ხშირად მიუვალ მთებზე გასაოცარი ტაძრებისა და ციხე-კოშკების აგება მოწმობს იმას, რომ შრომის აზრთანადა განაწილების, გამოყენებისა და დაცვის პირობები განსაკუთრებული შტრუნველობისა და შესწავლის საგნად უნდა ყოფილიყო გამხდარი. აქედან გასაგებია, რომ საერო მედიცინა უძველეს საქართველოში სათანადო სიმძლევზე უნდა მდგარიყო. ამის საბუთი მრავლად მოიპოვება, და თუ ჩვენ არაფერი ვიცით ამის შესახებ, ეს ვიფიქრებ, იმის ბრალია, რომ ეს საკითხი სპეციალური კვლევის სპენად ჯერ არ გამხდარა.

წინამდებარე წიგნი საუკეთესო საბუთია ამ მოსაზრების დასამტკიცებლად. ირკვევა, რომ XIII საუკუნის დამდეგს საერო მედიცინა ჩვენში საკმაოდ განვითარებული ყოფილა და საექიმო სახელმძღვანელო წიგნის მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო თურმე, რომ ეს წიგნი ხელში ჩაუდებისთანავე შეუფასებიათ და უზენაესი ხელისუფების ბრძანებით დაუკონებლივ შესდგომიან მის ქართულად გადმოთარგმნას.

ეს წიგნი საშუალებას გვაძლევს ვავიგოთ თუ რა ხასიათისა და რა მოცულობის იყო მედიცინა საქართველოში XIII საუკუნის დამდეგს და შეეფერებოდა თუ არა მეცნიერების ეს დარგი იმ ეპოქის მაღალ მეცნიერულ-კულტურულ დონეს, რომელიც „ოქროს ხანად“ არის ცნობილ ჩვენი ერის ისტორიაში.

მაგრამ ვიდრე ამაზე ლაპარაკს ჩამოვადგებდეთ, საქირა გამოირკვეს სამი საკითხი:

1. როდის არის დაწერილი ამ წიგნის დედანი, სად და რა ენაზე;

2. როდის არის გადმოთარგმნილი ქართულად;

3. როდის არის გადაწერილი ის ხელთნაწერი, რომელმაც ჩვენამდის შიადწია და დაცულია საქარ. სახ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში № 1274-ით.

პირველი საკითხის შესახებ—როდის, სად და რა ენაზეა დაწერილი ეს წიგნი, აზრთა სხვაობა არსებობს. ამ წიგნის პირველ ამწერის, საქართველოს სიძველეთა მცოდნის ექვ. თიყაიშვილის აზრით, წიგნი გადმოთარგმნილია არაბულიდან XIII საუკუნის დასაწყისში [Е. Такайшвили. „Описание рукописей общ. распростран. грамотности среди грузинск. населения“, т. I, 1902 г. გვ. 643].

ამავე აზრს ემყრება ექიმი ა. იაშვილი. [А. Яшвили: „Народная медицина в Закавказье“ Тифл., 1904 г. გვ. 84]. ავტორს როგორც სიანს, ხელთნაწერი არ უნახავს და ემყარება მხოლოდ ექვ. თიყაიშვილის ზემოთმოყვანილ აწერილობას.

1895 წ. პრ. აღ. ხახანაშვილი თავის წიგნში [«Очерки по истории в Грузинск-словесности», вып. Москва, 1895 წ. გვ. 306, მეორე შენიშვნა] წინამდებარე ხელთნაწე-

რის შესახებ სწერს შემდეგს: „ერთ კარაბადინში (წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების ხელთნაწ. № 1274) მოხსენებულია კიდევ ბავრები (იპპოკრატე) მასარჯუა, იოანე, მაჰომედ ზაქარია ძე, ანდრომახოს, აბუჯარიმ, თიადოყ, ფოლოს, მასოიას ძე, არბიასიოს, მადანელი, თებით ყურაას ძე, არხჯანოს, დევჯანოს, უპან (უნდა აყოს ჭუნანი) მესია, იზინმას, რუფოს, სინაის ძე—დიდებულნი ბრძენნი, რომელნიც ცდილობდნენ ადამიანის უკვდავ ყოფას, რისთვისაც ეძებდნენ მკურნავ ბალახეულობას, რითაც განდევნიდნენ ავადმყოფობას. ყოველ ავადმყოფობისათვის მოყვანილია მათი აზრი, ამ ხელთნაწერის მინაწერიდან სიანს, რომ კარაბადინი ყოფილა გადმოთარგმნილი არაბული ენიდან თამარ მეფის დროს მე-XII საუკუნეში მიტროპოლიტ ანტონ ჭყონდიდელის ბრძანებით“.

1908 წ. პროფ. ნ. მარმა დასწერა „Отъзвъ о сочинении Е. Такайшвили „Опис. рукоп. общ. распр. грам. среди Груз. населения“ С. П. Б. 1908 г. ს. დადო იგი სწერს შემდეგს (იხ. გვ. 204, დამატება V). „თაყიწილი, ეგონებ, აჩქარდა, როდესაც XIII საუკუნის ქართული სა-აქიმო წიგნის დედანი მიიჩნია არაბულად; მხედველობაში არ არის მიღებული, რომ ავადმყოფობათა სახელწოდებანი სპარსულად გვხვდება იმაზე ხშირად, ვიდრე შეიძლება გვეფიქრა, როგორც. მაგ: ბედაფჯანი, ნახუნხუა, განდუმა... ტექსტის გამოკეპულ ნაწილში გვხვდება ისეთი სპარსული სიტყვები, როგორც ოსტად, ქაშქაბ, ქან, ხუნი პატ, ზააპრ,“ ემყარება რა ან ფაქტს, ავტორი განაგრძობს: „შეიძლება ისეც გამოვიდეს, რომ ქართული თარგმანი გაკეთებულია არა სპარსულიდან, არამედ სომხურიდან, რომელსაც სააქიმო ტერმინოლოგიაში ახასიათებს როგორც არაბული, ისე სპარსული ელემენტები“, და დაასკვნის, რომ „საკითხის ვადგასკრელად აუცილებელია ტექსტის უფრო დეტალური შესწავლა,“ (1).

სულ ბოლო დროს, 1935 წ. გამოსულ პროფ. ი. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე წიგნში პატივცემული ავტორი ემყარება ჩვენი წიგნის ხელთნაწერს, როგორც XIII ს. დამდეგის ძეგლს: „რა თქმა უნდა, მართლ იმ გარემოებაზე დამყარება, რომ XIII ს. დამდეგს ქართულად გადმოთარგმნილსა თუ გადმოკეთებულ „სააქიმო წიგნში“ ხოჯა ყოფილმა...“ (გვ. 192).

„მართლაც კარნუ ქალაქიდან XIII საუკუნის დამდეგს ჩამოტანილსა და ხოჯა ყოფილისგან გადმოქართულებულ კარაბადინში“... (გვ. 184).

„სააქიმო წიგნის ხოჯა ყოფილის XIII საუკუნის დამდეგის ქართულ თარგმანშია ნახ-მარი“... (გვ. 56) და სხვა.

ამგვარად პატივცემული ავტორი სულ 30-ჯერ იხსენიებს წინამდებარე წიგნის ხელთნაწერს.

სხვაგან არსად ხელთნაწერზე არაფერი არ არის დაწერილი; არსებობს მხოლოდ ერთი ფაქტი, რომ ეს ხელთნაწერი ამჟამად მოთავსებულია ფირდოვისისთვის მიძღვნილ გამოფენაზე და ზედ აწერია: „XIII საუკუნის სააქიმო წიგნი, თარგმანი სპარსულიდან“. ეს წარწერა ამქადავებს, რომ სახელმწ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში არ ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ეს წიგნი არაბულიდან არის ნათარგმნი; რაზე ემყარებენ ამ აზრს, არა ჩანს.

ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ დავეყარეთ მხოლოდ ტექსტის დეტალურ ანალიზს, რამაც სრულიად ნათელი გახადა, რომ წიგნი არაბულ ენაზეა დაწერილი არაბ ექიმის მიერ ამას ცხადად ადასტურებს:

1. ის არაბული ტერმინოლოგია, რომელიც ტექსტშია მოყვანილი;

¹⁾ სამწუხაროდ პროფ. ნ. მარის გაკეთებული შენიშვნა დღემდის პასუხაუცეველი დარჩა. დღეს კი როდესაც სომხეთის წერილობითი მემკვიდრის ძეგლები მთლიანად არის დამუშავებული და დაწერილია ძველი სომხეთის მემკვიდრის ისტორია—არაფერი ამის მსგავსი იქ არ არის აღმოჩენილი, რაც აქარწყლებს პროფ. ნ. მარის ზემოთ გამოთქმულ ექვს.

2. იმ ოცდაორი ექიმიდან, რომელნიც ტექსტში არიან მოხსენებულნი, 13 არაბი თუ არაბული ექიმი, შვიდი ბერძენი, ორი რომელი და არცერთი ირანელი, თუმცა ირანელებს იმ დროს სახელგანთქმული ექიმების საქმაო რიცხვი ჰყავდათ;

3. ტექსტში მოყვანილი ირანული ტერმინოლოგია გაამდგომი დაამწერლების მიერ არის შეტანილი XIII—XIV საუკუნის მანძილზე რასაც ამტკიცებს ის, რომ არაბულს ბევრადგილას ირანული განმარტება არ ახლავს, მაგალითად: ტექსტის წინ დართულ სარჩევში ვკითხულობთ, თავი „ივ“: „ქართლი რომელსა ჰქვიან არაბულად ხაზამი და სპარსულად...“ (არაფერი სწორია) ირანული ტერმინი არ არის მოძებნილი.

თავი „იზ“: „კარი თავისა წყლლისაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სითა“.

თავი „იპ“: „კარი თმთა დახდისა და ბელატობისა რომელს ჰქვიან არაბულად ასლა“.

თავი „იჰ“: „თავისა ტყვილი რომელი არაბულად ბაიტი ჰქვიან“.

და არასდ ირანული, რაც შეუძლებელია იმ შეუთხვევაში, წიგნი რომ ირანულად ყოფილიყო დაწერილი.

აქ შეიძლება დაუშვათ მეორე მოსაზრება, სახელდობრ: რომ არაბულ ენაზე დაწერილი წიგნი ჯერ ირანულად იყო ნათარგმნი და შემდეგ ირანულიდან ქართულად. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი ხდება, ქართველმა მთარგმნელმა რატომ მთლიანად არ შეიტანა ირანული ტერმინოლოგია. მას ზოგი ტერმინი შეუტანია ზოგი კი არა. იმის დაშვება, რომ ირანულად არაბული ტერმინის შესატყვისი არ ჰქონდათ, ძნელი დასაჯერებელია, რადგან იმ დროს ირანში საქმაოდ სწორედნ საექიმო წიგნებს და სააქიმო ტერმინოლოგიაც ჰქონდათ.

თავში „ავ“ ვკითხულობთ: „სარატანი და თხამლი რომელი თვალსა შეექნების და სარატანი კირჩხიბისა ჰქვიან“. ირანულად არ არის განმარტებული, თუმცა ირანულად „სარატანს“ „ხარჩანგი“ ჰქვიან.

ამგვარი მაგალითის მოყვანა ბლომად შეიძლება, მაგრამ აქედანაც ნათელია, რომ წიგნი არაბულად არის დაწერილი და ირანული ტერმინოლოგია შემდგომი დაწესებებისა და გადაწერის დროს არის შეტანილი.

როდის არის დაწერილი დედანი? ამის შესახებ ხელნაწერის პირველი აღმწერი ექვ. თაყაიშვილი არაფერს ამბობს. ექიმი ა. იაშვილი შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „კარაბადინი, დაწერილი ხელტური ასოებით, გადმითარგმნილია იმავე ენიდან (არაბულიდან) XII საუკუნეში; მისი შედგენა არაბულ ენაზე ეკუთვნის იმ ეპოქას, რომელიც ითვლება არაბთა კულტურული და პოლიტიკური განვითარების ეპოქად, ე. ი. VI—VII საუკუნეებს“ [A. Яшвили: „Нар. мед. в зак. крае, გვ. 113.] ექიმ ა. იაშვილის ეს აზრი საბუთს ვეძიებ ვიფიქროთ, რომ მას ამ წიგნის ხელნაწერი არ უნახავს. მას რომ ტექსტი ენახა და იქ მოყვანილი ავტორების ვინაობა შეესწავლა, ნახავდა, რომ, სინაისძე იგივე ავიცენა X საუკუნის დამლეგს და XI საუკუნის დამლეგს ცხოვრობდა, ისაქი X საუკუნის ნახევარში, მასთან ძე—XI საუკუნის დამლეგს და სხვა.

ტექსტში მოყვანილი ავტორების ვინაობის შესწავლამ ნათლად გამოარკვია, რომ ეს წიგნი არაბულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი არა უადრეს XI საუკუნის და არა უგვიანეს XII საუკუნისა. იმ 22 ექიმის ცხოვრება, რომელნიც მოყვანილნი არიან ტექსტში, არც ერთისა არ სცილდება XI საუკუნეს, და XII საუკუნის ისეთი გამოჩენილი ექიმი, როჯორიც იყო ავენზოარი (Avenzoar), რომელიც გარდაიცვალა 1162 წელს, და მისი მოწაფე და თანამედროვე ავეროაგესი (Averrues), რომელიც გარდაიცვალა 1206 წელს [K. Sprengel'-ის აზრით, 1217 წ.], ამ წიგნში არ იხსენიებიან.

მოგვეყვას ამ ექიმების სია:

1. ბაყრატი—Hippokrates—დაიბადა 459 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და გარდაიცვალა 377 წ. თესალიის ქალაქ ლარისში.

2. არისტოტელი—Aristoteles—ცხოვრობდა 384—322 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე
3. ჯალინოზ—Claudius Galenus—131—201 წ. ჩვენი წელთაღრიცხვა.
4. იოანა—Johannes Mesue—777—857 წ. ჩვენი წ-ალ.
5. მასარჯუა—Maserdschavaih—680 წ. ჩ. წ. ა. იყო ებრაელი ექიმი.
6. მაჰმად ზაქარიასძე, მუჰამედ—Muchamed Arrasi, Muchamed Ebn Sechariah—923 წ. ჩვენი წ-ალრ.
7. ანდრომახოს—Audromachus—54—60 ჩვ. წ. აღ.-მდე. წ. იყო რომის პირველი არხიატრი.
8. აბუჯაროზ—Abu Dschafar—ცხოვრობდა XI საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვა.
9. თიადიყ, თიადლუყ, თიადლუყ—Theodocus—690 წ. ჩვენი წ-ალრ. ბერძენი ექიმი ერაყწი.
10. ფოლოს, ფოლოს—Fales, მილეტელი 636—546 ჩვენი წ-ალრ. იყო იონიის სკოლის ექიმი.
11. მასასძე—Mesue der jüngere—ცხოვრობდა XI საუკ. დასაწყისში. ჩვ. წ. ა.
12. არბიასოს, არჯიასიოს—Oribasius—336—423 ჩვ. წ-ალ. სახელგანთქ. ექიმი პერგამიდან.
13. მადანელი, მადანინი, მადანური—Aëtius Amidenus—557 წ ჩვ. წ-ალრ.
14. თებით ყურა, თებით ყურასძე—Thabeth ebn Korah—831 წ. ჩ. წ-ალრ.
15. არხიჯანოს, არხიჯანის, არქელანის—Archigenes von Aramea—97 წ. ჩვ. წ-ალრ.
16. დეჯჯანის ამ ექიმის ვინაობა ჯერჯერობით არ არის გამოჩვენებული. როგორც ჩანს, უძველესი დროის საბერძნეთის ექიმი უნდა იყოს.
17. ჰუნან—Hhonain ebn Jshak 804—877 ჩ. წ-ალრ.
18. მესიაა, მისია—Mesu ältere—IX საუკუნის ცნობილი ნესტორიანელი.
19. იბნი მასა, იბნიმას—Aliben Abbas—ცხოვ. X საუკ. დაწერა El-meliki სამეფო წიგნი, შეიცავს მთელ მედიცინას.
20. რუფოს, რუფას, როფის—Rufus ეფესიდან—97 წ. ჩვ. წ-მდე ცხოვრობდა რომში გამოჩენილი ეკლექტიკოსი იყო.
21. სინასძე—Ebn Sina—980—1036 ჩვ. წ. ა. წ. წარმოიშობით ხორასნელი.
22. ისაკ, ისაყ—Jzak ben Soleiman el Jsraïli—940 წ. ჩვ. წ-ალრ.

შეიძლება დაუშვათ ის აზრი, რომ წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სინის ძის, იბნ სინას ანუ ავიცენას Ebn Sina-ს შესანიშნავ შრომას Kanun Fit Tib, რომელიც შეიცავს იმ დროინდელ საექიმო წესებს. მაგრამ ამ აზრის წინააღმდეგ ლაპარაკობს ის რომ ჩვენ წიგნში ბევრგან იხსენიება ავიცენა—„სინის ძე იტყვის“... მაგრამ შეიძლება დაუშვათ რომ მაშინდელ ავტორებს და მათ შორის ავიცენასაც ახასიათებდათ ნაშრომებში საკუთარი თავის მოხსენება, მაშინ რჩება ამ აზრის საწინააღმდეგო შემდეგი მოსაზრება: ავიცენას გამოჩენილი „კანონი“ დაწერილია ხუთ წიგნად, რომლის უკანასკნელი სრული გამოცემა ლათინურ ენაზე ეკუთნის 1531 წელს [Haeser: „История и Основы Медицины“, გერმანულიდან რუსულად ნათარგმნი 1885 წ., გვ. 79.]. ეს ხუთი წიგნი ერთი მეორის ვაგარძელებდა და წინამდებარე წიგნი რომ ერთერთი წიგნის თარგმანს წარმოადგენდეს, მაშინ ნაწყვეტის, დაუმთავრებელი წიგნის შთაბეჭდილებას დასტოვებდა, რაც სრულიად არ უდგება ჩვენს წიგნს, რომელიც წარმოადგენს მთლიან, დასრულებულ საქიმო სახელმძღვანელოს.

ერთი რამის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, სახელდობრ იმისა, რომ ჩვენი წიგნი დაწერილია ავიცენას „კანონის“ ზეგავლენით. მაშასადამე, ჩვენ წიგნის ავტორი უნდა ვეძიოთ ავიცენას შემდეგ, ესე იგი 1036 წლის შემდეგ.

ავიციანს, იბნ სინას შემდეგ არაბეთის ექიმთა სია მრავალრიცხოვანია, მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული მათში ორია: ავენზოპარი—Avenzoor, Abu Mervan Jbn Zohir და ავეროესი—Averrôes, Ebn Achmed Ebn Roschd. ორივე მოღვაწეობდა XII საუკუნის მეორე ნახევარში. ავენზოპარი გარდაიცვალა 1162 წელს, ხოლო ავეროესი—1206 წელს. აი ამ ორ ავტორში ერთ-ერთს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი წიგნი. ესენი ჩვენ წიგნში არ არიან მოხსენებული.

პირველ მათგანს ამ ხასიათის წიგნი არ დაუწერია. ყველაზე ცნობილი ნაშრომი, რომელიც დარჩა ავენზოპარს, არის Altheisir [Faciliatio s. Adjujumentum]. იგი წარმოადგენს საპოლიემიკო შრომას. აქვს კიდევ სადასტაქრო ხასიათის შრომები, ასე რომ ავენზოპარი ჩვენი წიგნის ავტორად ვერ ჩაითვლება.

მაშასადამე, რჩება ავეროესი, და მართლაც ამ სახელგანთქმულ აქიმს დარჩა შესანიშნავი შრომა „Kitâb el Kollijjât“ [Liber universais de medicina], რომელიც წარმოადგენს „სააქიმო წიგნს“ ანუ „წიგნი სააქიმოა“-ს, როგორც ჩვენ წიგნს ჰქვიათ. არსებობს ამ წიგნის უკანასკნელი ლათინური თარგმანი, რომელიც ეკუთნის 1531 წელს [Haeser „История и Основы Медицины“ გვ. 79].

ავეროესის შესახებ ვიცით შემდეგი: ის იყო ქალაქ კორდოვადან (არაბეთის ესპანია). ის ასწავლიდა სააქიმო ხელოვნებას და ძალიან წარმატებითაც. მედიცინის გარდა, ასწავლიდა აგრეთვე ფილოსოფიას და იურისპრუდენციას. ავეროესის შესახებ არის შემდეგი ცნობა [იხ. „Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneykunde“ von Kurt Sprengel Halle 1800 წ. erst. Theil გვ. 442]. ერთხელ დიდ ხალიფას შურაცყოფისთვის ძალით აიძულეს ეცხოვრა კორდოვას ემბრაელთა უბანში. ამის შემდეგ ავეროესი გაქცეულა ქ. ფეცში, ჩრდილოეთ აფრიკაში, და გარდაიცვალა მაროკოში 1217 წელს (Haeser-ს გარდაცვალების წლად დასახელებული აქვს 1206 წ.)

ავეროესმა დასწერა „Kitâb el Kollijjât“, რომელიც განიჩიგნა ღრმა სისტემატიზაციით. ეს წიგნი დაწერილია ავიციანს ზეგველენით და, როგორც ჩანს, თავის დროზე სახელგანთქმული საექიმო სახელმძღვანელო წიგნი ყოფილა.

რასაკვირველია, ვიდრე წინამდებარე წიგნის არაბული დედანი ან იმის 1531 წლის ლათინური თარგმანი არ გვექნება ხელში და შედარება არ მოხდება, გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ეს წიგნი უსათუოდ ავეროესის „Kitâb el Kollijjât“-ია, ძნელია—მაგრამ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით და თითონ ამ ორი წიგნის ხასიათისა და მოცულობის მიხედვით ჩვენ ჯერჯერობით იმ აზრზე ვჩერდებით, რომ წინამდებარე „წიგნი სააქიმოა“ ეკუთვნის ავეროესს და წარმოადგენს მისი შესანიშნავი შრომის „Kitâb el Kollijjât“ თავისუფალ თარგმანს, ანუ უკეთ, განკხადებას ქართულ ენაზე.

მეორე კითხვა: როდის არის ეს წიგნი გადმოთარგმნილი ქართულად? რამდენადაც ძნელია ამ წიგნის დედნისა და ავტორის დადგენა, იმდენად ადვილია მისი ქართულად გადმოთარგმნის თარიღის დადგენა.

წინამდებარე წიგნი ასე იწყება: „ესე წიგნი სააქიმოა ოდეს რუქან დან სულტანი კარუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს მუნით ალაფად მოილეს ქრისტეს მიერ პატრონი მყოფი ოდიელ მან მისმან მწიგნობართ უხუცესობამან პროტო უპერტიმოსმან და ვაჩირთა ყოველთა უპირველესმან კაცმან, გონება მობაჟმან, და საღმრთოთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ხელისა მპყრობელმან უღონოთა და ქერივთამან ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“.

როდის მოხდა ეს ამბავი? დამსახურებული ისტორიოგრაფი პროფ. ივანე ჯავახიშვილი [„ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914 წ., გვ. 611.] სწერს:

„1206 წ. ქალაქი კარიც საქართველოს შემოუერთდა „აქამდისინ კარი თურქთა ჰქონდა. თამარ მეფემ წარავლინა ლაშქარნი გარე [მო] დგომად; ცნეს თურქთა, დაავდეს კარი და იელტოდეს“. მეფემ მტრისგან დატოვებული კარი დაიპყრა და „დაოტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე“. ამის შემდეგ კიდევ სხვა „გარეშემონი ქუეყანანი“ წაურთმევიათ თურქებისთვის—ეს ამბავი ძალიან სწყენია საბერძნეთის სულტანს ნუქარდინს...

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ [იხ. „ქართლის ცხოვრება“, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1897 წ., გვ. 463.]

„ესე არა ელმოდა საბერძნეთის სულტანსა მაღალსა ჩარსლანის ძესა ნუქარდინს, რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხუთა ყოველთა სულტანთა, რომელი მსთავრობდა დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაპადოკიასა ვიდრე პონტოს ზღვამდე. ესე იჩემებდა ზაკვით სიყვარულსა და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის მრავალყამ და ძღვენთა მშვენითა, ეგრეთუ თამარ ჰყოფდა ნაცვალსა სახედ მოციქულთა წარავლენდა ძღვენთა, გარნა იგი ზაკვასა ჰვარავდა და ფიცთა მიერ გამსტრობად მოსწრაფე იყო ამის სამეფოჲსა. ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპათა მისთასა და შეკრიბა კაცი ოთხმოცი ბევრი რომელ არს რვა ათასი“.

შემდეგ მოთხრობილია, რომ მესრობამიას, კოლონეროსთ, გალატიასა, ღანგარს, ანკურიას, ისავრიას, კაბადოკიას, დიდსა სომხითს, ბითინიას და საზღვართა ვებლანონისათა შეუკრებია დიდძალი ლაშქარი, შემდეგ მისულა თურქთათანა, „რომელ არიან მხნე ბრძოლასა შინა და სიმრავლითა ვითარცა მკალნი, გინა ჭინჭველნი ამათ მისკა ოქრო მრავალნი და კვლად ნიჭნი დიდი ეს ოდენ ვიდრე ასი ათასი მხედარი შეკაზმული გამოიყუანა მათგან“.

აი ამ ლაშქრით შესულა კარნუ ქალაქში, გადმოუვდია საქართველოს მმართველი სალდუხის ძე და მართველად დაუსვა მისთვის ძმა. შემდეგ წამოსულა სალაშქროდ საქართველოზე „და მოიწია ქალაქად სევასტიდ და იწყო მუნ განმზადებად საომართა მანქანათა“. მაშინ წარმოუვლენია მოციქული თამარის წინაშე და ჰოუწერია წიგნი, „რომელსა წერილ იყო ესე ვითარი“.

„მე ნუქარდინ სულტანი ყოვლისა ცისა ქვეშისა, უმაღლესი, მიმსაკვსებული ანგელოსთასა, თანა მდგომი ღვთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს ყოველი დიაცი რეგვენია, შენ გიბრძანებია ქართველთა აღებად ხრძმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დახოცად მუსლმანთა და კვლად ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური“ და სხვა...

ამ წერილის მომტანი ნუქარდინის მოციქული შეუყვანიათ თამართან და მიუღიათ დიდის პატივით. წერილის წაკითხვის შემდეგ გათამამებულ მოციქულს ახლა სიტყვიერად განუცხადებია: „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტოვოს სჯული, იპყრას სულტანმა ცოლად და უკეთუ არა დაუტოვოს სჯული, იყოს ხარჯად სულტანისა“.

ამ წერილის წაკითხვას და მოციქულის სიტყვიერ განცხადებას თამარის წინ ისეთი დიდი შთიბეჭდილება მოუხდენია, რომ „წამოდგა ზაქარია ამირ სპასალარი და უხეტქნა ხელითა პირსა, დაეცა და ვითარცა მკვდარი დაეღვა“.

ამის შემდეგ შესდგომიან ლაშქრობის სამზადისს. „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა ნიკოფსითი ვიდრე დარუბანდამდის და ბრძანება და წიგნები ქროდა“.

ჯარი ჯავახეთისკენ დაძრულა „და მიიწივნეს მახლობლად კარისა (კარნუ ქალაქისა) და დადგეს დღისა ერთისა სავლსა“.

აი აქედან გაუგზავნიათ საპასუხო წერილი სულთანისთვის. სულთანი, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენდა ქართველი მხედრობის ასე მალე ასე ახლოს ყოფნას—და ყოფილა „ნებიერად მდგომარე“ „და არა უდგა დარაჯნი სულტანსა“.

მაშინ დაუწყებიათ რაზმი ქართველებს ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით და მოულოდნელად თავს დასხმინა ნუქრედინს „და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი და განგრძმელად მყოფარ ეამ“ და „ერთარ მგელნი ცხოვართა გერეთ შეუტევდეს ურიცხეთა მათ სპათა სულტანისათა“.

ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა ნუქრედინ ანუ რუქანდანი სულთანი და გაიქცა. ქართველებმა მეორედ აიღეს კარნუ ქალაქი და აუარებელ დავლასთან ერთად წინამდებარე წიგნის დედანიც მაშინ ჩაუგდიათ ხელში.

პროფ. ივანე ჯავახიშვილი [„ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914 წ., გვ. 615], ამოწმებს რა მემბატინის ამ ცნობას, ასე ასწორებს, რომ რუქანდინმა „მოუწოდა ყოველსა სიმრაველესა სპისა მისსა და შეკრიბა კაცი ოთხმეოცი ბერი, რომელ არს ოთხასი ათასი“. დანარჩენში მთლიანად ეთანხმებ. ამ აზვის სისწორეს და სწერს; „თამარ მეფის ცნობა ამ სახელოვან ომისა და რუქანდინის დამარცხების შესახებ მოლად მტკიცედება ირანულ ისტორიკოსთა ცნობებით. ჰამდალაჰ ყაზვინი, მაგ. ამბობს: რუქანდინი „გაემგზავრა აფხაზთა და საქართველოს (გურჯისტან) წინამდებდე, მაგრამ რაკი იგი ფრთხილად არ მოიქცა, დამარცხებულ იქმნა, რუმში (თავის სამფლობელოში) დაბრუნდა და უნდოდა (ქართველებისათვის) შერი ეგო, მაგრამ არ დასცალდა და 602 წ. პიჯარი (18 აგვისტო 1205 წ.—7 აგვ. 1206 წ.) გარდაიცვალა“ (ე. განტენის გამ. Tarihê gziidê წ. 1, გვ. 344—345). შემდეგ განავრცობს: „უფრო ვრცელი ცნობები ჰუცემას მიერ შერგროვლს წყაროებში არის (Th. HSuthma Recueil de textes relatif à l'histoire des Seldjucides) რუქანდინს მეშველად თურმე ჰყოლია შევხადინი აბულისტანელი, სულტანის სიძე ფახრადდინ ბაჰრამ შაჰ ერზინჯანის მფლობელი—აზრუმის მფლობელ ალა აღდინისათვისაც უთხოვნია დახმარება, მაგრამ ის არ მიჰმეყიებია. პირველ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მეორეში კი საბოლოოდ რუქანდინი დამარცხდა. დროშა მიწაზე დაეცა, ფახრადდინი ქართველებმა ტყვედ წაიყვანეს, რუქანდინი ახალ ლაშქრობისთვის ემზადებოდა, მაგრამ არ დასცალდა“.

მაშასადამე, კარი ანუ კარნუ ქართველებს ორჯერ აუღიათ, პირველად—1206 წ. ამას აღსატურებს აგრეთვე იზნ ალი ასისი, რომლის სიტყვიათაც ეს მომხდარა 603 წ. პიჯ. ანუ 1206—7 წ., და ვარდანიც, რომელიც კარის აღების თარიღად სდებს 1206 წ. (იხ. იქვე, გვ. 612) ამ პირველი აღების შემდეგ ამხედრებულა რუქანდანი სულთანი, რის შემდეგაც მოხდარა ზემოთ მოყვანილი ამბავი—რუქანდინის დამარცხება და კარნუს ხელმეორედ აღე ბა იძავ 1206 წ. 7. აგვისტოს.

აქედან ირკვევა, რომ წინამდებარე „წიგნი სააქიმოჲ“ 1206 წლის დამლეც არის მოტანილი ტფილისში და სასწრაფოდ შესდგომიან თარგმანს, ისე რომ ამ წიგნის ქართულად თარგმნის თარიღად დაახლოებით 1208—1210 წელი უნდა ჩაითვალოს, ესე იგი ამ წიგნის ხნოვანობა 724—26 წლით განისაზღვრება.

თითონ მთარგმნელის „ხოჯა ყოფილის“ შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით. „ხოჯა“ იმ დროინდელი გავებით მოძღვარსაც ნიშნავდა, მასწავლებელსაც, დიდუჭარსაც (საბა). ის კი ცხადია, რომ „ხოჯა“ საეკლემო პირი უნდა ყოფილიყო; შეიძლება მასწავლებელიც იყო ან ყოფილი მასწავლებელი, მაგრამ რომ ის უსათუოდ ქართველი იყო; ეს ეჭვს არ იწვევს, იმიტომ რომ ასე ზედმიწევნით ცოდნა ქართული ენისა, ზნეჩვეულებისა, ყოფისა და სხვა წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელია. სხვათაშორის, პროფ. ალ. ხახანაშვილი [იხ. „Очерки по истории Грузинск. словесности“ вып II Москва, 1895 г. გვ. 318.] სწერს: „თამარ მეფის დროს ეკლესიის კარბადინი, რომელიც დავლად იყო წამოღებულნი კარნუ ქალაქის მახლობლად დამარცხებულ რუქანდანი სულთანის გაქცევის შემდეგ და რომელიც გადმოთარგმნი ოქნა ქართულად მწიგნობარ დეკანოზ ანტონის მიერ“. რაზედ ამყარებდა პრ. ხახანაშვილი ამ მოსაზრებას, სამწუხაროდ, არა ხანას; მოსაზრება ჯერჯერობით საბუთოდ ვერ ჩაითვლება.

მარამ ვთქვათ, რომ ის პირველი ფურცელი, სადაც მოყვანილია კარნუ ქალაქის ად-ბისა და ამ წიგნის დავლად ჩავდების ამბავი, დაკარგულიყო შეგვეძლო თუ არა ტექსტის მიხედვით აღვედგინა ამ წიგნის ქართულად გადმითარგმნის თარიღი? შეგვეძლო, თუ შევადარებთ ამ წიგნის ენას მეთორმეტე საუკუნის სხვა ნაწარმოების ენას.

ენახოთ. XII საუკუნის ნაწარმოებად უდაოდ მიჩნეულია „ვეფხისტყაოსანი“. წინამდებარე წიგნისა და „ვეფხისტყაოსნის“ შედარებამ გამოაჩინა შემდეგი.

წიგნში: „ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მარსა ხოჯაყოფლსა“.

„ვეფხ-ტყაოსანში“: „მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენ წინა მშვილდოსანია“ (სტროფი 69. კ. ჭიჭინაძის გამოცემა).

„მიწამცა თქვენი ავთანდილ ისმინეთ გიწერ მე რასა“ (სტრ. 181.)

ამ წიგნში: „საარი, ბედაფქანი მტერთა და ცემაა ქართულად“ (Epilepsia) (თავი „მბ“).

„ვეფხ. ტყაოს“: „სრულნი მუყრნი და მულიბნი მე გარეშემო მცვილიან, მათ ხელთა ჰქონდა მუსაფნი ყოველი იკიფხვილიან.

ამ წიგნში: „თუ სინურო, სპეტო, მელანი და ამარტავ თვითოასიან სწორი აი-ლონ და წმიდად გვალონ“. (თავი „ა“).

„ვეფხ. ტყაოს“: „ზე წამოჯდა ფერ მიხილი, აყოლებდა თვალთა რეტად, ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად“ (სტრ. 542) საგულსხმოა, რომ სპეტი არსად შემდგომ საეკიმო ხელთნაწერებში აღარ გვხვდება აღბად სახელი შეიცვალა.

ამ წიგნში: „ზართხანა ედგას და თუ მტერი დემართოს, გახსნას იგი“ (შესავალში). „იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი, ჰპოვეს ერთი ზარად ხანა აბჯრისათვის სახლად ქმნილი“ (სტრ. 1432).

ამ წიგნში ბევრგან იხმარება „არღაღის ფერა“. მერმინდელ საქიმო ხელთნაწერებში ჯერ არ შეგვხვდრია.

„ვეფხ. ტყ“: „ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთვან ცრემლნი ალაშნეს, სამთავე ლაწვთა ალაშნი არღაღის ფერად ალაშნეს“ (სტროფი 1002).

კიდევ მრავალი მავალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც ნათელია, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ენა და ამ წიგნის ენა ერთი და იგივეა. რომ ერთიც და მეორეც ერთ ეპოქაშია დაწერილი.

შემდეგ, თუ ამ წიგნს შევადარებთ XII საუკუნის სხვა თარგმანს, სახელდობრ ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის-კაცისა“-ს რომელიც ყველგან საეკიმო ფილოსოფიურ ნაწარმოებად არის მიჩნეული და გადმითარგმნილია ქართულად გამოჩენილი ფილოსოფოს ნეოპლატონიკს ოვანე პეტრიწის ანუ პეტრიწონელის მიერ XII საუკუნის პირველ მეოთხედში [იხ. ს. გორგაძე: „ნემესიოს ემესელი ბუნებისათვის კაცისა“, ტფლი, 1914 წ.], დავინახავთ რომ ამ ორი ხელთნაწერის ენის ფონეტიკა და მორფოლოგია თითქმის ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინამდებარე წიგნის ენა უფრო, საეროა უფრო ხალხური, და ეს გასაგებიც არის თუ მხედველობაში მივიღებთ საეკიმო ხასიათის წიგნის დანიშნულებას.

მეტეც შეიძლება ითქვას: ს. გორგაძის მიერ ნაჩვენები ფონეტიკური თავისებურებანი, მორფოლოგიური უსწორმასწორობანი და არქაული გუჟფის „უი“-ს და „უც“-ის ხმარებაც კი წინამდებარე წიგნში ისევე გვხვდება, როგორც ნემესიოს ემესელის წიგნის თარგმანში მაგ: „ლუნიო“, „სხუთა“, „ძიური“... ან კიდევ ჯგუფი „შერაყუბაა“, „ყუპლათაა“, „ყუპელას-თანაა“ და მრავალი სხვა... ამგვარი ნიშნების შედარებას რომ მივყევთ, ნათლად დავინახავთ, რომ ეს ორი წიგნი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ეპოქაშია დაწერილი — ეს ეპოქა დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქაა, საქართველოს ისტორიაში პოლიტიკურ-კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ეპოქად, „ოქროს“ ხანად მიჩნეული.

აი ამ ეპოქის მეცნიერ-ფილოსოფოსთა სახელოვნ. ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ ისეთი სახელები, როგორც იოანე მტბევერი, სივნელი, არსენ ნინოპოინდელი, იოანე გჳელოძე, ანტონ ჭჳონდიდელი, იოანე ბოლნელი, კათალიკოს ნიკოლოზი, იოანე ხახუელი, ეფრემ მკიცრე, არსენ ივალთოელი, იოანე ტარიქის ძე, იოანე პეტრიწი და მრავალი სხვა, უნდა მიემართოს არა ნაკლებ ბრწყინვალე ქართველი მეცნიერ ექიმის „ხოჯა ყოფილის“ ფსევდონიმ ქვეშ ამოფარებული სახელიც, ხოლო იმ დროინდელ სახეთისმეტყველო, საზნებისმეტყველო და ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმნების საქმოდ დიდ რიცხვს კი უნდა მიემართოს წინამდებარე „წიგნი სააკიმოა“.ც., რომელიც წარმოადგენს იმ დროინდელ საქართველოს წერილობითი მედიცინის ერთ ერთ თვალსაჩინო ძეგლს.

შესამე კითხვა, — როდის არის დაწერილი ანუ რა ხნოვანებისაა ის ხელთნაწერი, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს და დატულია სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში № 1274 ქვეშ.

ექვთიმე თაყაიშვილი ამის შესახებ სწერს [„Описание рукописей Сбш. расп. Грам. Среди Труз. Насел.“, Тифлис, 1902 г. გვ. 640]: „ქალაქის და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ხელთნაწერი უნდა იყოს არა უგვიანეს XV—XVI საუკუნისა“.

ამ საკითხის გამოსარკვევად ქალაქის ფილივრანების ანუ წყლის ნიშნების შესწავლამ შემდეგი გამოაჩინა.

წინამდებარე წიგნის ხელთნაწერში სულ 9 სხვადასხვა ფილივრანია: 1. ხარის თავი. 2. ხარის თავი რქებშუა ჯოხით და ჯვრით. 3. სამკლავის ხელთათმანი ვარსკვლავით. 4. დიდი თიარა ჯვრით თავზე. 5. წრე და შიგ ვეშპი. 6. მელის მაგვარი ცხოველი გვირგვინით. 7. წრე შიგ ლუზით, 8. ახვის მსგავსი ფრინველი თავზე კონით. 9. ვახა ყვავილით. (იხ. XXVIII გვ.).

ამათში, თითქმის ნახევარი წიგნის სივრცეზე გვხვდება პირველი ფიგურა. შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანია მეორე და მესამე ფიგურა. დანარჩენები ხედება აქაიკ.

ეხლა ენახოთ, თუ დაახლოვებით რა ხნოვანობისაა ქალაქი ამ ნიშნებით. პირველი ფიგურა ხარის თავია. ამის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ [იხ. Н. П. Лихачев: „Палеографическое значения бумажных водяных знаков“ Петербург 1899 г. I, გვ. III].

„ავილოთ თუ გინდ ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ხარის თავს. ის გამოჩნდა პირველ ფილივრანების რიცხვში XIV საუკუნის დასაწყისში და სულ პირველად წარმოადგენდა ტლანქად შემოხაზულ ხარის თავს რქებით, შუაში ჰქონდა მოლუნული ხაზი, რომელიც გამოხატავდა ცხვირის და თვალებს; მალე ცხვირის მოხაზულობა ქრება, თვალები ცალკეედებიან და მოლუნული ხაზი გამოხატავს მხოლოდ ნესტოებს“.


მეორე ფიგურის შესახებ ვკითხულობთ (იქვე): „XV საუკუნის დასაწყისში ჩნდება ხარისთავი უკვე არა ხაზით რქებ შუა, არამედ ორი პარალელურად მინავალი ხაზით, ჯოხის სახით, რომელიც თავდება ან „როზეტით“ ან ყვავილით. ეს ტიპი გავრცელებულია XV საუკუნის მეორე ნახევარში, თანაც ჯოხი რქებშუა თავდება ხან ჯვრით...“

შემდეგ (იქვე): XV საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ჩნდება ახალი, მეტად სინტერესო ტიპი-ჯოხის რქებშუა ელარითება გველი (იხ. 10 ე ფიგურა). ასეთი ფიგურა ჩვენ წიგნში არ არის.

მესამე ფიგურის შესახებ ნაჩვენებია (№ 1302): „სამკლავის ხელთათმანი ვარსკვლავით.“ Briquet I c. № 308 დოკუმენტიდან 1440—1446 წ.

უმთავრესად ამ სამი ნიშნისგან შესდგება ჩვენი ხელთნაწერის ქალაქი — ეს ქალაქი ვენეციურია.

აქედან ირკვევა, რომ ამ წყლის ნიშნების მიხედვით ტექსტი გადაწერილია XIV—XV საუკუნის ფარგლებში. მაშასადამე, იმ ხელთნაწერის ხნოვანება, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელთ არის, დაახლოვებით უდრის 500—530 წელიწადს.



1. ხარის თავი რქებზეა ჯობით და ჯვრით, 2. სამკლავის ხელთაიანი კარსკლავით, 4. დიდი თიათა ჯვრით თავზე. 5. წრე და შიგ კუჩაბი, 6. მელთას მავგარი ცხთეული გვირგვინით, 7. წრე შიგ ღუბით, 8. იხის მსაკესი ფრინული თავზე კონით 9. ეზა ვევილით, 10. ხარის თავი რქებზეა ჯობზე გველით.

ამგვარად გამოირკვა შემდეგი: I. წინამდებარე „წიგნი სააქიზოა“-ს დედანი დაწერილი არაბული ენაზე არა უადრეს XI და არა უგვიანეს XII საუკუნისა; 2. პირველად ქართულად გადმოთარგმნილია სოჯა ყოფილის მიერ XIII საუკუნის დასაწყისს და 3. უკანასკნელად გადაწერილია XIV—XV საუკუნის ფარგლებში.

ხელა ენახით, როგორც ხასიათისაა თარგმანი და. რას ნიშნავს „გადმოთარგმნა“ ძველი ქართული სიტყვის გაგებით.

ჩვენი სახელგანთქმული ლექსიკოგრაფი საბა-სულხან ორბელიანი (იხ. ლექსიკონი, გამოც. რ. ერისთვის რედაქციით 1884 წ.) ასე განმარტავს ამ სიტყვას: „თარგმანი—იგავიანი სიტყვის განცხადება“, ესე იგი უცნობი ანდა გაუგებარი რამის განცხადება, ახსნა. ამ წიგნში ბევრგან არის ეს სიტყვა ნახმარი. მაგალითად, თავი „ა“ ასე იწყება: „იციოდ რომელ უფროისნი აქიშნი, ეგეთნი რომელ არა იციან ძლი აქიზობისა და ნივთი და თავისადა აქიში დაუტყუაშს სახელად, და თუ ჰქითხო თუ აქიშისა თარგმანი რაჲ არსო, არ იცის“. გასაგებია, რომ აქაც განცხადებაზე, ახსნაზეა ლაპარაკი.

ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, შოთასაც აქვს ნახმარი [კ. კიკნისძის რედ., სტრ. 9]: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანებე, ვით მარგალიტი ობოლი ხელხელ საგომანებე ცხოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ექენ საქოქმანებე“.

თავისთავად ცხადია, რომ „ქართულად ნათარგმანებე“ აქ ნიშნავს უცხო ამბის ქართულად განცხადებას და სხვას არაფერს.

იმის დასამტკიცებლად, რომ თარგმანება ძველად არ ესმოდათ ისე, როგორც დღეს გვემისი, შეიძლება კიდევ ითქვას ის, რომ თარგმანის დღევანდელი გაგებით ძველად სხვა სიტყვას ხმარობდნენ, სახელდობრ „გადმოწერას“. მაგალითად, ხელთნაწერი № 758 (სახ. მუზ. პალ. ვანკ. საისტრ. ფონდი) იწყება ასე: „სახელითა ლუთისათა ესე წიგნი სპარსითგან გარდმოწერილი არის თოლად მარგალიტისა და სახუათა მარავალთა საჯავაროთა, სინჯეს თულადობისა ფასისა და ხასიათისა განაჩენისა—მეცნიერთა და შეწყობთა კაცთაგან ნათქომი და დაწერილი ხელმწიფეთა სალართა შიგან სადებლად. ვინცა ამა განაჩენსა გაჰყვეს როუელთაგან რიგითა გამორჩეული და დაფასებული არის, იგი არა დაზიანდების. თორმეტიკარი არს და თორმეტსა სახელმწიფოთათვის თქმული არს“.

მთელი ხელთნაწერი აშკარად გვიჩვენებს, რომ იქ არაფერია „ქართული, თითონ სიტყვებით კი ირანული გამოთქმით არის დაწერილი, როგორც „სახუათა“, „მარავალთა“ და სხვა... წინამდებარე წიგნი კი შეიცავს სუფთა, დახვეწილ ქართულს როგორც გამოთქმებით, ისე წყობით.

რასაკვირველია, ვიდრე დედანი არ გვექნება ხელში და არ შევადარებთ, ძნელია იმის თქმა, თუ რა არის შიგ ქართველი ავტორისგან შეტანილი. მაგრამ ამ თავით იმის თქმა წინაც შეიძლება, რომ თარგმანი ძალთან თავისუფალი უნდა იყოს. მაგალითად, თავში „კზ“ ვკითხულობთ: „ან ძარღვებს გაყოფა სამი ძარღვისგან აქვს ყოფილისაგან, აქპალისაგან და ბასალიკისაგან, თვითონსა ამათგანსა 122 ძარღვი აქვს მოკიდებული, ესე დიდრონი ძარღვნი მტკვარსა ჰკვანან და იგი წვრილნი რუთა“. აქ საულისსხმოა მსხვილი სისხლის ძარღვების მტკვართან შედარება, რაც თარგმანის ზედმეტად გაქართულებას გულისხმობს, არაბულ დედანში ეს ადგილი, რასაკვირველია; სხვანაირად იქნებოდა.

დაკვირვებული მკითხველი ამის გარდა ბევრ ნაცნობ ადგილს ნახავს, ისეთს. რაც ჩვენ ხალხში დღესაც არის დარჩენილი, და შეუძლებელია ყველაფერი ეს არაბებსაც ჰქონოდათ ან და წიგნიდან იყოს ხალხში შესული.

ვიდრე ტექსტის ანალიზს შევედგებოდეთ, აუცილებლად საქიროა კიდევ ერთი საერთის გარკვევა, რასაც, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართულ სააქიზო ძეგლების შემდგომი კლესიასთვის. მით უმეტეს ამ საკითხზე ვადაქირილი და დასაბუთე-

ბული აზრი ჯერ არაის უთქვამს. სახელდობრ—რას ნიშნავს სიტყვა კარაბადინი და წინამდებარე წიგნი არის თუ არა კარაბადინი?

ამ ხელთნაწერის პირველი ამწერი ექვ. თაყაიშვილი მას კარაბადინს ეძახის და ამ სიტყვას ხსნის ასე: „საკიროა შევნიშნოთ, რომ სიტყვა კარაბადინი ჩვენ სამკურნალო წიგნში არა გვხვდება. წიგნს ჰქვიან „წიგნი სააქიმოა“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სიტყვა კარაბადინი შემოვიდა ხმარებაში შემდეგ დროს; ეს სიტყვა ენათესაება რუსულ სიტყვას „Чернокнижие“-ს, რადგანაც „კარა“ თათრულად ნიშნავს შავს. თაყაიშვილი იმორწმუნებ ბერძენიშვილს (Н. Бердзенов, „О Грузинской медицине“, Кавк. календарь, 1857 წ., გვ. 473). და დასძენს: „თუ ეს განმარტება მართალია, მაშინ ეს სიტყვა სრულიად არ უღებდა ჩვენ სააქიმო წიგნს, რადგანაც „чернокнижие“-ს ქვეშ იგულისხმება ისეთი წიგნი, სადაც მედიკური ცნებანი არეულია ხალხურ ცრუმორწმუნეობასთან, ჩვენი სამკურნალო წიგნი კი თავის შინაარსით, მასალის განაწილებით და მკაცრი სისტემით წარმოადგენს თავის დროსთან შედარებით სასესებო მეცნიერულ წიგნს“ (E. Такашвили: „Опис. рук. Общ. расп. Грам. среди Грузин“. 1902 წ., გვ. 643).

ამ აწონაწერიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ე. თაყაიშვილი არ ეთანხმება ნ. ბერძენიშვილის აზრს მხოლოდ ამ წიგნის მიმართ, საერთოდ კი დასაშვებად სთვლის დაეთანხმის. თითონ ნ. ბერძენიშვილი სწერს: [იხ. „Кавказск. Календарь“, 1857 წ., გვ. 479]: „ქართულმა ავტორებმა (იოანეშუა ლაპარაკი) დაინახა საჭიროდ შეერთებინა ისინი (საქიმო და საფთიაკო) ცნობანი ზოგად სახელწოდების—კარაბადინის ქვეშ; არ არის მხოლოდ ცნობილი, თუ რომელ ენიდან აიღო ეს სახელწოდება, ზოგნი მას სთვლიან ძველ არაბულად, სხვანი თათრულად და ზოგნიც ბერძნულად. მეორეთა აზრი შედარებით მართალია; „კარა“ თათრულად ნიშნავს შავს; სიტყვის მეორე ნაწილი კი, როგორც ჩანს, უნდა იყოს ჰაქოთარის სახელი პირიქითების ან ადგილმდებარეობის. ჩვენ ძალიან გაბედულ ჰიპოტეზაში არ ჩაეარდებოთ, თუ ვიტყვი, რომ ეს სიტყვა შეიძლება წარმოშობილიყო იმავე პირობების გავლენით, როგორც რუსული სიტყვა „чернокнижие“.

ნ. ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. ალ. ხახანაშვილიც (იხ. „Очерки по ист. Груз. слов.—вып. I“. მოსკოვი, 1895 წ., გვ. 304); „წიგნი კარაბადინი, როგორც ამას წიგნის პირველი ნახევარი გვიჩვენებს, არის რაღაც რუსული „ჩეროკნიჟიე“-ს მავარი, ანუ შეერთება საქიმო წესებისა ხალხურ ცრუმორწმუნეობასთან“.

არა ნაკლებ ორიგინალურ აზრს გამოთქვამს ექ. ა. იაშვილი. ამ საკითხის ირგვლივ იგი სწერს: „სიტყვა კარაბადინი არა ქართული წარმოშობისაა და მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ჯერ არ არის ცნობილი. „კარა“ თათრულად შავია, „დინ“ დაბოლოვება ბევრ მუსლიმანური გვარის და სახელისა; შეიძლება კარაბადინი გვარია ან სახელი ავტორისა, რომელმაც პირველად დაწერა პოპულიარული სამკურნალო წიგნი“.

ამასთანავე, მხოლოდ ორი შეხედულება არსებობს ამ საკითხზე, ერთი ნ. ბერძენიშვილისა, რომელსაც ემბრობა პროფ. ალ. ხახანაშვილი და ნაწილობრივად ექვ. თაყაიშვილიც. მეორე ექიმი ა. იაშვილისა, ამ ორი შეხედულების გარდა, ამ საკითხზე ჯერჯერობით მესამე აზრი არ არსებობს.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმებოდით ვერც ერთის და ვერც მეორის აზრს და შევფიქრეთ ამ მეტად საჭირო საკითხის სპეციალურ კვლევას, რამაც შემდეგ დასკვნამდის მიგვიყვანა: ვინც გულდასმით შეისწავლის ძველ საქიმო ხასიათის ხელთნაწერებს, ის აშკარად დანახავს, რომ ეს ხელთნაწერები გაიყოფება ორ ჯგუფად, პირველი ჯგუფი ეს არის სააქიმო წიგნები, მეორე—კარაბადინები.

სააქიმო წიგნები შეიცავენ, ვრცლად თუ მოკლედ, ზოგად საქიმო საკითხებს, როგორც არის ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, დიეტეტიკა; შემდეგ ავადმყოფობებს, მათ კლასიფიკაციას, მკურნალობას; შიგნით მოცემული წამლების დამზადება და სხვა.

კარაბადინები კი შეიცავენ მხოლოდ ავადმყოფობის სახელწოდებას და მის მკურნალობას და წამლეულობის დამზადების წესებს. ზოგჯერ კარაბადინში შედის ისეთი რამეც, რაც ექიმობას არ შეეხება, მაგალითად, კარაბადინი ხელთნაწერი № 2157 (საისტ. ფონდი) შეიცავს ასეთ რამეს:

თავი ვ. წერილის ასოსი.

თავი ზ. მელნის წინწყალი [როგორ ამოიყვანო ქალაქიდან].

თავი ც. უხილავი მელნის გაკეთება.

თვეი თ. წებოს გაკეთება.

თავი ი. ტყუილის მელნის გაკეთება.

თავი ია. ხის გაშავება.

თავი იბ. ძვლის დაღობა, და სხვა

რას წარმოადგენს „სააქიმო წიგნი“ თავის შინაარსით და მოცულობით, ამას ნათლად გვიჩვენებს წინამდებარე წიგნი. ამ ხასიათის წიგნი ბევრი გვაქვს, მათ შიგნით აწერია კარაბადინი.

კარაბადინი თავისი პირვანდელ სახით ჯერჯერობით არა ჩანს. ყველა არსებული კარაბადინი გადაშვრებისაგან თუ შინაური მკუზნალკბის მიერ საგრძნობლად არის შერყენილი; ბევრ მათგანში მრავლად არის შეტანილი საექიმო წიგნებიდან გამოკრებილი ცნობები, ან კიდევ ხალხური მკურნალობა, ამასთან ისე უსისტემოდ და არეულად, რომ საგრძნობლად უკარგავენ წიგნს თავის პირვანდელ სახეს.

ამგვარ კარაბადინის ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ, ჩვენის აზრით, კარაბადინებში ყველაზე უძველესი „მწერელ აბრამის“ კარაბადინი, ხელთნაწერი № 916 (საისტ. ფონდი), რომელიც დაწერილია ხუტური ასოებით. იგი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV საუკუნეზე მარმინდელი არ უნდა იყოს. ეს კარაბადინი შესდგება სამი ნაწილისაგან!

ნაწ. I შეიცავს ასტრონომიულ და გეოგოზიკურ ცნობებს, მაგ.: „უკეთუ იყოს ზედნადები „გ“ მას წელსა იყოს ზამთარი ტფილი და მოკლე, გაზაფხული ჟამიერად ხმელი და მერმე ნოტია, ზაფხული შეზავებული, ხილი და ყოველი ნაყოფი იაფად იყოს მთათა შინა, ყოველი ნაყოფი კეთდეს, ხოლო ბარნი ნაკლულად, თივა ზომად, სთუელი ხმელი და გროლი. იანვარსა „ი“ დაბნელდეს მთოვარე“.

„უკეთუ იყოს ზედნადები „ი“, მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი, ყინვა ფრიალი, ზამთრის ისციებმან ავნოს იფქილთა და ქრთილთა; ხოლო ბართა მთანი სჯობდნენ, გაზაფხული მოხმეღე შუა ზაფხულიდგან, სთველი ნოტია, ნაშრომი სწორისა ზედა იყოს. მაისსა დაბნელდეს მთოვარე“, და სხვა.

იქვე დართული აქვს „კალანდრაჲ თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა მართალი და ქეშმარიტი“ კვიმატი დღეების აღწერით.

ნაწილი II. „კარაბადინი მართალი და ქეშმარიტი“. მაგ.: „ძნელად შობისათვის—სვე მოხარშე და ასვი და თუ გაუძნელდეს ვერცხლის წყალი ასვი“.

„ვის მძოვარი სჭირდეს თავსა ანუ იმა წვერსა, შავის ცხვრის ქლიკი დაწვი და ზეთითა გაადგინე და დასცხე“.

„ვის თვალთა ცრემლი სდიოდეს დედაკაცისა სძე გაათბევ და უწთვე, მისთვისვე პიტნა დანაყე გამოწურე და უწთვე“.

„ვის თვალთა ნისლი ეფარებოდეს კაპოეტის თევზისა ნავლეი თვალში ჩაუდე“ და სხვა.

ამ სტილით ჩამოთვლილია თითქმის ყველა ავადმყოფობა და ყველა მათთვის მოძებნილია სათანადო მკურნალობა.

ნაწილი III. „იწყების წმინდაჲ ავგაროზი ნებითა ღვთისათა მკურნალი სენთა და საღბოთა ეშმაკთაი და სულთა ბოროტთა და არა წმინდათა“.

ამ ნაწილში პირველად მოყვანილია სახარება იოანესი: „პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა“.

სახარება მათისი: „მას ემსა შინა მივიღა იესო სახლსა პეტრესა და იხილს სიდედრი პეტრესი.

სახარება ლუკასი: „მას ემსა შინა შევიდა იესო კაპერნაუმს...“ და სხვა. შემდეგ მისდევს „ეპისტოლე, რომელი მიუწერა იოჰანსა ღვთის ქალაქსა ავგაროზ მთავრისა“. „ავგაროზ მთავრი ქალაქისა ედესიისა, იესო მაცხოვარი სახიერისა ქალაქისა იერუსალიმისა გახარებ...“ და სხვა.

შემდეგ მოყვანილია:

- ა. ლოცვა ქრისტესი და გიორგისი.
- ბ. ლოცვა ალისაა ეშმაქისა მშობიარესა ზედა.
- გ. ლოცვა უფსმელობისაა—ლოცვა უფსმელობისავე.
- დ. ლოცვა თვალისაა (თვალნაკრავისა).
- ე. სხვა ლოცვა მჯდომისაა.
- ვ. ლოცვა ბედნიერისაა.
- ც. სხვა ლოცვა მტერ დაცემულისა და ქაჯიანისაა.
- ზ. ლოცვა სნეულისა ზედა.

შემდეგ მოყვანილია ლოცვა „მრწამს ერთი ღმერთი“... (მთლიანად)

ეს ხელთნაწერი წარმოადგენს იმის საუცხოვო ნიმუშს, თუ როგორ არის აქიმობა და რელიგია, მაგიური, წარმართული მედიცინის ნაშთები და ასტრონომია, იმ დროინდელი გაგებით, ერთმანეთთან შეგუებული, ერთი მიზნის ირგვლივ; ეს მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ყოველგვარი ატმოსფერული ცვალებადობისაგან, ეშმაკთა, სულთა ბოროტთა და არა წმინდათაგან და აგრეთვე ყოველგვარი ავადმყოფობისაგან, რომელიც გატარებულა იმავე რელიგიურ—მაგიურ რწმენათა პრინციპით.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხელთნაწერის დედანი ბევრად უფრო ძველია წინამდებარე წიგნზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვა კარაბადინს, რომელიც უსათუოდ მერმინდელი შეტანილია, და ქრისტიანულ ლოცვებს, რომლებიც აგრეთვე შემდეგ არის შეტანილი, ეს ხელთნაწერი უძველეს წარმართულ ხანაში გადადის და სატაძრო მედიცინის კვლის საუცხოვო მაჩვენებელი და დამადასტურებელია.

ავიღოთ მაგალითად, ლოცვა თვალისა: „გამოვიდა კაცი შავი კლდითა შავითა, გამოიყვანა ცხენი შავი, აუღვა ლაგამი შავი, შეღვა უნაგირი შავი, აჭირა საჭირებელი შავი, შეჯდა კაცი შავი, გაემართა გზათა შვეთა, მოდიოდა წყალი შავი, მოჰქონდა გველი შავი შთაყო მათრახი შავი, ამოიღო გველი შავი, გარდაჰკიდა ლოდსა შავსა, შთაყო ხელი შავი, ამოიღო დაშნა შავი, ტარაშავი პირპოლოტიკი, გაკვეთა გველი შავი, გამოართო ცმელი შავი, აყარა მარილი შავი, დასდვა თილსა მთავალავსა გულსა მზაკვარსა და მავნე გულსა წამალმცა და მარგებელ არს შეწვენიტა ქრისტესათა“.

ან კიდევ: „აჲ უკვე ქვა იღვა ქვედანი, ქვასა ქვეშე გველი ჯდა ჯორკვალი (მაგნებელი) კოხენები ასპიტო, ერთი თვალი ეღვა წყლისა და ერთი ცეცხლისა, გასქდა წყლისა და გარდაესხა ცეცხლისასა და დაშრიტა, ეგრეთვე დაშრტეს თვალი მთვალავი, გველი მზაკვარი და მავნე“.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც აშკარად ჩანს, თუ როგორ სცილობდა მაგიური თქმით იმ დროინდელი უძლური ადამიანი ავადმყოფობის თავიდან არიდებას, რასაც იგი ბოროტ და მავნე სულთა განრისხების შედეგად სთვლიდა. ამიტომ არის მაგიური მედიცინა უძველესი, პირველყოფილ ყოფასთან და რწმენისთან დაკავშირებული.

როცა არსებული ძეგლების მიხედვით, საქართველოს მედიცინის ისტორია დაიწერება, მაშინ ეს საკითხები უფრო დეტალურად იქნება შესწავლილი და დამუშავებული.

ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ და დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რას ნიშნავს სიტყვა კარაბადინი და როდის და რა გზით შემოვიდა იგი საქართველოში.

ქართული კარაბადინების შესწავლამ ცხადჰყო, რომ კარაბადინი თავის პირველ მნიშვნელობით საექიმო წიგნი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სააფთიაქო წიგნი, რომელიც შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს, როგორც დღეს ფარმაცოვია.

შემდგომი ამ წამლების დამზადების წესებს მიუმატებს სახელწოდებანი იმ ავადმყოფობებისა, რომლების წინააღმდეგაც იხმარებოდა ესა თუ ის წამალი. ასე რომ თანდათან კარაბადინი იქცა მარტივ, პოპულიარულ საექიმო წიგნად.

თუმცა მათში ბევრია ისეთიც, რომელშიაც აშკარად გამოსჭვივის ამ წიგნის პირვანდელი სახე. ასეთია, მაგალითად, ხელთნაწერი № 343 (სახისტ. ფონდი):

- „კარი მეთხუთმეტე—გასახსნელ წვრილ წამლებს გაიმბობს“.
- „კარი მეთათქვსმეტე—იარაჯების გასახსნელსა და სხვა სენების წამალთ გაიმბობს“.
- „კარი მათბუხებისა რომელ სხვისა და სხვის სენების წამალთ გაიმბობს“.
- „აწ მულაბის ვითარებას გაიმბობს“.
- „კარი „იწ“—ლოყათა, რომელნი არიან სალოკავნი თითთა, რომელნი ერგებიან ყოველთა ტკივილთა და საღმობათა.
- „კარი „ით“—ამისა რომელ არს მარცვლები და ჰქვიან აბი და ერგების ყოველთა ტკივილთა“.

- კარი „კა“—ყურსების ნიშანი, არგებს ყოველთა დახსნილობასა გულთათა“
- „კარი „კბ“—ტლევების ვითარებასა გამცნობს“.
- „კარი „კვ“—მაჯუნებისა და თრიაქებისა ჯავაშირებისას გამცნობდ“.

ნათელია, რომ აქ წამლეულების დამზადებისთან გვაქვს საქმე. და თუ ამავე კარაბადინში მოთხოვნილია „პირის სიმყარისათვის“, „კაცი რომ სისხლს აღუეხდეს“, „თავის ტრვილის წამალი“, „ტილისა და ქვეფ ფსმის წამალი“ და სხვა, ვფიქრობთ რომ წამლეულის დამზადებისა და პოპულიარული მკურნალობის ეს შეერთება მერმინდელია.

სწორედ ამ გარემოებამ საშუალება მისცა ყმელას, ექიმსა და არა ექიმსაც, თავისი დაკვირება და ხალხისგან აღებული სამკურნალო საშუალებანი შეერთანა შიგ, რამაც ბევრი კარაბადინის შინაარსი გასაოცარ ფანტასტიურობამდის მიიყვანა.

აი ამ ვაგებით კარაბადინების მკურნალობა ბევრად უფრო ხალხურია, ვიდრე „სააქიმო წიგნების“, რომელიც უფრო მეცნიერულ ხასიათს ატარებენ და გულმოდგინედ იცავენ ძველი მედიცინის კორიფების—იპოკრატის, გალენის, ავიცენას და სხვა ძველ ექიმ ფილოსოფოსთა სამკურნალო იდეებს.

წინამდებარე წიგნი საუცხოო ნიმუშია ამგვარი „სააქიმო წიგნისა“, რომელიც თავისუფალია ყოველგვარ ფანტასტიკისაგან, ცრუმორწმუნოებისაგან და შეიცავს დამწერლობითი მედიცინის მკაცრ სისტემას, რომელიც მთელი წიგნის მანძილზე არსად არ ილუნება ამას შეამჩნევს ყველა, ვინც გულდასმით ვადაიკითხავს ამ წიგნს.

მაშასადამე, კარაბადინი თავისი პირვანდელი ვაგებით სააფთიაქო წიგნი იყო და შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს.

აი რას სწერს ამის შესახებ ძველი მედიცინის და არაბული მედიცინის გამოჩინებული მეცნიერი Kurt Sprengel-ი [nb. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneikunde v. K. Sprengel, გვ. 347., II ნ., Halle, 1800 წ.] როდგანაც ავტორის აზრს ვადაამტრელი მნიშვნელობა აქვს, მოვიყვანთ მას გერმანულად:

„Unter dem Namen Krabadin (قرابادين) lieferte ein Vorsteher der Schule zu Dschondisabur, Sabor ebn Sahel, in der letzten Hälfte des neunten Jahrhunderts das erste Dispensatorium, welches in der Folge öfter nachgeahmt wurde. Besonders beruht wurde in Zwölften Jahrhundert das Krabadin des Abul Hassan Hebatollah Ebn Talmid, eines christlichen Bischofs und Leibarztes der Khalifen zu Bagdad. Dieses Werk diente in der Folge den arabischen Apotheken zur Norm.“

აქედან ნათელია, რომ სახელწოდება კარაბადინი პირველად შემოსულა არაბეთში IX საუკუნის მეორე ნახევარში და ეკუთვნის საბორობნ საჰელ-ს, რომელიც ჯონდიზაბურის (ქალაქი იყო არაბეთში) საეკიმო სკოლის ზედამხედველი ყოფილა. მას ეს სახელწოდება მიუკია პირველ დისპენზა ჩორიუმისთვის, რომელიც წამლეულის განმანაწილებელი წიგნი იყო და წამლეულის დამზადების წესებს შეიცავდა.

შენდე, XII საუკუნეში, განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა აბულ ჰასან ჰებათოლას იბნ თალიმდის კარაბადინი, რომელიც შემდეგში სანიმუშო ყოფილა არაბეთის ყველა აფთიაქისათვის.

მაშასადამე, კარაბადინი არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაკოპეიას ანუ წამლეულის დამზადების წესების შემცველ წიგნს.

თუ გავხსენებთ, რომ საქართველოსა და არაბეთს შორის IX—X საუკუნეში მჭიდრო ურთიერთობა იყო როგორც სამხედრო ისე სავაჭრო-კულტურული, უნდა დავუშვათ, რომ კარაბადინი ჩვენში შემოტანილია X—XI საუკუნეში. თუ რა სისწრაფით შემოდიოდა ჩვენში არაბეთის მეცნიერული მიღწევანი, ამას, სხვათა შორის, წინამდებარე წიგნიც ამტკიცებს, რომლის არაბულად დაწერიდან ქართულად გადმოთარგმნამდე სულ რაღაც 40—50 წელიწადი უნდა იყოს გასული.

ამავე საკითხის შესახებ ექ. ოგანეზოვი თავის წიგნში [„История Медицины в Армении“, Эриван, 1928 წ., გვ. 55] სწერს: „უდავოა, რომ ყველაზე ღირსშესანიშნავ განყოფილებას არაბულ მედიცინაში წარმოადგენდა წამლთმცოდნეობა, რომელიც შეიცავდა ფარმაკოპეიას ფარმაკოლოგიით და რომელსაც ეწოდებოდა „ახრაბადინი“. ეს წიგნი შეიცავდა მოძღვრებას თითქმის ყველა წამლეულის შესახებ, მათი სხვადასხვა თვისების აღწერით, აგრეთვე მათი დამზადების წესებს, დოზირებას, აგრეთვე მათ სამკურნალო ზეგავლენას სხეულზე“.

თუ შევადარებთ ექ. ოგანეზოვის აზრს გერმანელი მეცნიერის Kurt Sprengel-ის ზემოთ მოყვანილ განმარტებას, დავინახავთ, რომ ექ. ოგანეზოვი სწორე აზრს გამოთქვამს ამგვარი წიგნის შინაარსის შესახებ, მაგრამ ერთ შეკდომას უშვებს—რომ არაბულად ამ ხასიათის წიგნს „კარაბადინი“ ერქვა და არა „ახრაბადინი“. ახრაბადინი ირანულია. მაშასადამე ძველ სომხეთში ეს წიგნი ირანიდან არის შესული ირანული სახელწოდებით.

აქედან ირკვევა, რომ ამ ხასიათის წიგნებს ირანულად და სომხურად „ახრაბადინი“ ჰქვიან, არაბულად და ქართულად კი—„კარაბადინი“, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ეს სიტყვა უშუალოდ არაბეთიდან არის შემოტანილი. ეს გარემოება ზედმეტად ამტკიცებს არაბეთისა და საქართველოს უშუალო მეცნიერულ-კულტურულ კავშირს.

ესლა გადავიდეთ წინამდებარე წიგნის ანალიზზე.

ამ წიგნის ხელთნაწერი № 1274 [საქ. მუზ. პალეოგრ. განყ.] ზომით 30×20 სანტ. დაწერილია საუცხოო ხუკური ხელით [იხ. აქვე დართული რეპროდუქციები]. ტექსტი შავი მკლნით არის დაწერილი, ხოლო ყოველი თავის დასაწყისი და საკუთარი სახელები—წითელი მკლნით. პაგინაცია ნაჩვენებია რვეულებით ასომთავრული ხუკურით. თითო რვეული 8 ფურცელს შეიცავს, სულ კი 50 რვეულია.

ხელთნაწერი დეფექტურია: პირველ რვეულს აკლია 3 ფურცელი; მე-6 რვეულს—1 ფურცელი, მე-11 რვეულს—2 ფურცელი, მე-15 რვეულს—ერთი ფურცელი; რამდენი აკლია

ბოლოში, ამის თქმა ძნელია, მხოლოდ უკანასკნელ მე-50 რვეულიდან სამი ფურცელია დაარჩენილი, ისიც ძალიან დაზიანებული.

შინაარსის მიხედვით წიგნს ბევრი არ უნდა აკლდეს.

ექ. თაყაიშვილის ჩვენებით ამჟამად წიგნში 786 გვერდია, მაგრამ ის პავინაცია, რომელიც გვერდებს აქვს შემდეგ გაკეთებული ციფრებით, ათი გვერდით შეშლილია, ალბათ, ხელთნაწერის აწერის ამისათვის ყურადღება არ მიუქცეია, ასე რომ ამჟამად წიგნში 786 კი არა, 776 გვერდია. ხელთნაწერი მაგარ ყდაშია ჩასმული, ყდას გადაკრული აქვს მუქი წითელი ტყავი.

სარჩევი, რომელიც ხელთნაწერს აქვს დართული „კრებაჲ ასოურად“ თავი „ა“-დან „რპბ“ თავამდის, ტექსტის ხელით არის შესრულებული; „რპე“ თავიდან ბოლომდე, თავ „სით“-ამდის—არა დედნის ხელით არის დაწერილი და საგრძნობლად განსხვავდება დედნის ლამაზ და მწყობრ ხელისაგან.

ტექსტში თავების რიცხვი საგრძნობლად არის შეშლილი, მაგალითად, თავ „ა“-დან დაწყებული „ივ“ თავამდის თექსტის და სარჩევის თავები სრულიად არ უდგება ერთი მეორეს, თუმცა შინაარსი იგივეა. ეს, ალბათ, გადაწყვერის მიერ არის შეშლილი—ხშირად თავის საჩვენებელი ასო ტექსტში წაშლილია და სხვა ასოები აქვს მიწერილი, რომლებიც რიცხობრივად არ უდგება წინა და შემდგომ თავებს; ზოგან ტექსტის თავი თუ უდგება, სარჩევის თავს მეტად არის დაწერილი; ზოგან გაირანებულია.

ამჟამად სარჩევში 219 თავია, ტექსტში—244 „ა“-დან „ივ“ თავამდის—46; „ივ“-დან „სით“ თავამდის—198.

ფილოსოფიურ-მედიკური კონცეპციი

წინამდებარე წიგნი იხსნება შემდეგი ალეგორიით: „ტანი კაცისა ქალაქსა ჰგავს, და ბუნებაჲ ტანისაჲ ხელმწიფე არს, კირი და მანკი ვითა მტერი არს, რომელი ქალაქსა შემოვიდეს საოხრებლად და წამალი ბუნებისაჲ აბჯარი ჰომისა დღესა და აქიმი კარგი ვითა მებაჯრე იქნების, მებაჯრე ჩაუქი და მეცნიერი მეომარი და გულოანი ხაჲს, რომელ ჰომისა საქმე იცოდეს შებმისა და კირისა დღესა მტერთაგან მშვიდობით დაიცავს ხელმწიფე, ასრე რომელ თუ მტერი შორს იყოს და მეფემან აბჯარი სთხოოს, თუ მტერი შორს იყოს ისარ მშვიდლად მისცეს და თუ ახლოსრე იყოს, შუბი მისცეს და თუ ხელის ხელ მოსრულ იყოს, ბრმალი მისცეს და თუ ესრე არა იყოს და ჰომისა ნივით არ იცოდეს, მტერი ხელმწიფესა დაიზაბუნებს“, და სხვა. შემდეგ ლაპარაკია ექიმის მოვალეობაზე, მცოდნეობაზე, პასუხისმგებლობაზე და სხვა.

თავი „ა“ ავტორი განსაზღვრავს წიგნის დანიშნულებას და საკუთარ მიზანს. „და აწ რააზზედაც სწავლავა უნა მოსწავლესა სრულიად ვახსენო ამას წიგნსა შინა და მოკლედ და ნივითიანად მწადიან და აღწერად აქიმობისა საზომისა“.

ამ თავში შემდეგი გეგმა წამოყენებული:

I. უსთუყუსი ანუ უსთუყუთასი.

II. უსთუყუთასის შეზავება და გარევა—ამ გარევის მიზეჯი ჰქვიან.

III. ტანისა გარევა და შეზავება—ამ გარევის იხლათი ჰქვიან.

IV. კაცთა ასოთა ვითარების შეტყობა.

V. ბუნებითი ძალი და შეტყობა ნაფსანისისა (სულიერი), ჰევანისისა (სიცოცხლე), ტაბათისა (ბუნება).

VI. ძალისა, ნაქმარისა და აქიმობისა ხელი და ნივითი—ეს ხელი ნიშნავს:

ა. შეტყობა წამალთა, როჲელ აქიმი იხმარებენ—გაყენება სნებათა კაცისა ტანი-საგან საცხებლითა და ზელითა.

ბ. დასტაქრობა: გაკეთა, გახსნა, გაპობა, დადალვა.

გ. თაღბირი საქამალთა, შარბათთა, გვარიშნთა.

დ. კურნება ყოვლისა ფერის, ვით არწყევდნენ ანუ გაპხსნიდნენ ანუ შეჰკრავდნენ, ანუ გაახურენ, ანუ გააგრილონ, ანუ სინმელისაჲ, ანუ სინედლისაჲ.

ე. ნიშნთა შეტყობაჲ, რომელ აქიმნი მანკთა და ჭირთა მით ნიშნითა შეატყობდნენ და მოეზავებოდეს კურნებაჲ.

როგორც ვხედავთ, გვება ფართოა და შეიცავს თითქმის მთლიანად იმ დროინდელ მედიცინას.

1. უსთუყუთასი. ამ ცნების განმარტებაში, როგორც ავტორი გვამცნობს, იმ დროინდელ ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა—ზოგს ვიწროდ ესმის ეს ცნება, ზოგს ფართოდ. მთავარში კი შეთანხმებულნი ყოფილან, რომ უსთუყუთასი უზენაესი ძალია, „არსებისა სათაფროჲ“, „ნივთიანი რაჲმე არს ბუნებათა შიგან“, „ნივთიანი რაჲმე ნაქმარი“, „პირველ რაჲ“ ანუ პირველყოფილი ძალი.

მაგრამ ბ ა ყ რ ა ტ და ჯ ა ლ ი ნ ო ზ ამ ცნებას აფართოებენ. მათი აზრით, უსთუყუთასი როგორც უზენაესი ძალა, ისე „თავი და ვითარებაჲ არს აქიმობისა“, „რომელ იცოდეს თუ აქიმობაჲ და მკურნალობაჲ რაჲ არს“. ამისთვის ავტორების აზრით საჭიროა ორ რამის ცოდნა:

პირველი: „რომელ ბუნებანი იცოდეს სიმრთელისანი“.

მეორე: „რაჲსა მიზეზისგან დასნეულდა“.

პირველ ანუ სიმრთელის ბუნებას განსაზღვრავენ შემდეგი მიზეზები: „და მიზეზნი თავად ოთხნი არიან“.

1. ფაალი—მომქმედი ძალი.

2. მალათი—დამაშზადებელი ძალი.

3. სურათი—სახის მიმცემი ძალი.

4. თამამი—გამასრულებელი ძალი.

ეს ოთხი ძალი არის შემქნელი ყოვლისა არსისა და წარმოადგენს „სიმრთელის“ აუცილებელ პირობას. ამას გარდა შეიდი სხვა ძალია:

1. არქანი—ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი.

2. ახლატ—სისხლი, ზაფრა, ბალაჲმი და სევედა.

3. მიზეჯი—ძალია, რომელიც ამ ოთხთაგან გამოვა.

4. აადა—ასოთა ჰქვიან (ძალი, რომელსაც ყოველი ასო შეიცავს).

5. ყუა—ძვალთა ჰქვიან (ძალი, რომელსაც ყოველი ძვალი შეიცავს).

6. კათალი—მომქმედი ძალი, წონასწორობაში მომყვანი.

7. ჰარევაჰა—რომელსა ყულიშ ჰქვიან—გამყენებელი ძალი.

ამ შეიდი ძალის წონასწორობის მოშლა იწვევს ამა თუ იმ დაავადებას. ამ მოშლილობის ცოდნა განსაზღვრავს იმას, თუ აღამიანი „რაჲსა მიზეზისაგან დასნეულდა“.

ამის შემდეგ ავტორი იძლევა უსთუყუთასის დეტალიზაციას. „უსთუყუთასი არსებისა სათაფროჲ არს, ვითამცე ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი და ყოველივე სხვა ამათისა გარევისაგან იქნების, ამათგან ორი სუბუქია ცეცხლი და ჰაერი, ორი მძიმეა მიწა და წყალი“.

ეს ოთხი ელემენტი ასე ლაგდება: ზუაში მიწა—და მიწა მრგვალია, „ვითა ქალაკინითა შემრგვალებული“.

წყალი მის გარეშემო;

ქარი მათ გარეშემო;

ცეცხლი ყოველთა გარეშემო.

აი ამათ „გარევეთა და დაზავებითა და ხასიათითა ყველა არსი არს იქმნა“.

მეშასადამე, ყველა სულდგმულის გაჩენა, ზრდა, დასრულება, ყველა მეცენარის ამოსვლა, ნაყოფის მოსხმა, დამწიფება, ანუ სამყაროს და ქვეყნის შექმნა და სიციცხლის შექმნა ამ ქვეყანაზე ამ ოთხსაგან—ოთხი ელემენტისაგან არს, ანუ „უსთუყუთასისაგან არს ღმრთისა შეწევნითა და ბრძანებითა“.

II. ვნახოთ ეხლა, რას წარმოადგენს მიზეჯი ანუ უსთუყუთასის შეზავება და გარევა. უსთუყუთასის გარევა და ამ გარევის ბუნება ოთხნაირია:

1. მხურვალი უდრის ცეცხლს.
2. გრილი უდრის ჰაერს.
3. ნედლი უდრის წყალს.
4. ხმელი უდრის მიწას.

ამით გარდა, კიდევ ოთხი სხვა გარევაა შესაძლებელი. ესენია:

1. მხურვალე და ნედლი.
2. მხურვალი და ხმელი.
3. გრილი და ნედლი.
4. გრილი და ხმელი.

მეცხრე გარევა „მოთადილი“ არის, რომელსა ჰქვია სწორი.

თითონ გარევის ბუნება ორნაირია: ერთი; სწორი, მეორე; ფერ-ფერი.

ა. სწორი გარევა ჰქვია ისეთ გარევას, როდესაც ერთი რომელიმე ნაწილი—ან მიწა, ან წყალი, ან ჰაერი, ან ცეცხლი—თანაბარია სამ სხვა ნაწილთან შედარებით, ესე-იგი გარევაში დატულია წონასწორობა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ჯანმრთელობასთან.

ბ. ფერ-ფერი გარევა ჰქვია ისეთ გარევას, როდესაც ერთი რომელიმე ნაწილი ამ ოთხ ელემენტისაგან თანაბარი კი არ არის, არამედ მეტია სამ სხვა ნაწილთან შედარებით. მაშინ ასეთი სურათი გამოდის:

1. თუ ცეცხლის ნაწილი მეტი იყოს—მისი ბუნება მხურვალი იქნება.
2. თუ მიწის ნაწილი მეტი იყოს—მისი ბუნება ხმელი იქნება.
3. თუ ცეცხლის და ჰაერისა მეტი იყოს—მისი ბუნება მხურვალი და ნედლი იქნება.
4. თუ ცეცხლისა და მიწისა მეტი იყოს—მისი ბუნება მხურვალი და ხმელი იქნება.
5. თუ ჰაერისა და წყლისა მეტი იყოს—მისი ბუნება გრილი და ნედლი იქნება.

მაგალითი: „თუ სინჯური, სპეტი, მელანი და ამარტაე თვითოსაგან სწორი აიღონ და წმინდად გაგალონ და ერთგან გაჰრიონ, მათი ფერი სხვათა ფერთაგან გასხვავებული იქნების და თუ ერთგან რამე დააკლოს და ეს დანაკლისი მეორეს მიუმართოს, ეს დაკლება და მიმატება იმ ნარეგს გამოაჩნდება“.

მაგრამ აქ ავტორი შენიშნავს უკეთესს და ამბობს, რომ „სწორი ბუნება“ ანუ იდეალური გარევა ამ ოთხი ელემენტისა „კაცისა ტანსა შიგან არა არს“, სხვანაირად, იდეალური ჯანმრთელობა ანუ სრულყოფილი სხეული ქვეყანაზე არ არის, არის მხოლოდ ის, რომ „ბუნება კაცისა სისწორისაკენ იყოს“ და რომ ყველა სულიერის ბუნებასთან შედარებით აღმინანის ბუნება უფრო მიდრეკილია სისწორისაკენ.

ავტორი გვამცნობს, რომ თვით აღმინანის სხეულშიაც კი არის განსხვავება, რომ ტყავი კაცისა უფრო სწორი იქნება და სხვა...

ბოლოს ავტორი დასძენს; ამ გარევის „საიღუმლოება და სინამდვილე ღმერთთან იცის“-ო.

III. ტანისა გარევა და შეზავება, რომელსა ჰქვია იხლადი. რაც შეეხება კერძოდ ტანის გარევას, რომელსაც იხლაში ანუ იხლადი ჰქვია, ისიც ოთხია. თანახმად ზემოთხსენებული ოთხი ელემენტისა—მიწის, ცეცხლის, წყლისა და ჰაერისა, ესენი არიან: სისლი, ბალამი, ზაფრა და სვედა.

1. სისხლის ბუნება მხურვალე და ნედლია, ვითა ცეცხლისა და ჰაერისა და მისი ადგილი კაცის ტანში ღვიძლია.

2. ბალამის ბუნება გრილი და ნედლია, ვითა წყლისა, და ადგილი მისი ტუჩებია.

3. ზაფრისა ბუნება მხურვალე და ხმელია, ვითა ცეცხლისა, და ადგილი მისი ნაღველია.

4. სვედისა ბუნება გრილი და ხმელია, ვითა მიწისა, და ადგილი მისი ელნეთი არის. ეს გარევა ამ ოთხი ელემენტისა ორგვარია;

1. ბუნებაური—ანუ ბუნებრივი—სწორი (სისქისა და სითხის მიხედვით).

2. არა ბუნებაური—არა ბუნებრივი—არა სწორი.

I. სისხლის სწორი გარევა ისეთია, რომ არც თხელი იყოს, არც სქელი, ფერად წითელი იყოს, გემოთი ტკბილი, სუნი მყარალი არა ჰქონდეს და რაჲ გამოიღონ, ადრე გასქელდეს.

სისხლის არა სწორი გარევა შეიძინაირია: 1. სქელი და ბნელი იყოს; 2. თხელი იყოს; 3. თეთრი ფერი იყოს; 4. ყვითელი ფერი იყოს; 5. მყარალი იყოს; 6. მლაშე იყოს; 7. პერულიანი (ქაფიანი) იყოს.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით დასკვნა შემდეგია:

1. თუ სისხლი სქელი და ბნელი იქნება, ღვიძლის სიმხურვალისა და სიმემლის ნიშანია.

2. თუ თხელი იქნება, ღვიძლის სიგრილისა და სინედლის ნიშანია.

3. თუ თეთრი იქნება, ღვიძლის სიგრილის ნიშანია.

4. თუ ყვითელი—ზაფრის მომატების ნიშანია.

5. თუ მყარალი—დამპლობის ნიშანია.

6. თუ მლაშე—ბალამის მომატების ნიშანია.

7. თუ პერულიანი—ბუნების სინედლის და ქარიანობის ნიშანი იქნება.

II. ბალამის სწორი გარევა ის არის, რომ არც თხელი იყოს, არც სქელი. ბალამი სტომამაქშია. თუ კაცმა უყვამოდ ჰამა საქმელი, მაშინ სტომამაქი ამ ბალამს მოინმარებს, მაგრამ ბალამი შეურგებელი და უღნობია.

ბალამის არა სწორი გარევა ოთხფერია:

1. მყავე—მაშინ უგრილესი და უხმელესი იქნება.

2. მლაშე—მაშინ უხმელესი და უმხურვალესი იქნება.

3. ტკბილი—მაშინ უმხურვალესი და უნედლესი იქნება.

4. ვითა გამდნარი ჰიქაჲ იქნების, ესე იგი შედედებული, ლორწოსავით, იგი უსქესი და უგრილესი იქნება.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით დასკვნა ასეთია:

1. თუ ბალამი მყავე იქნება—ნიშანი არს საჰამადისა არ მოღნობისა და სტომამაქისა ბუნებისა სიგრილისა.

2. თუ მლაშე იქნება—ნიშანი არს ხველისა, წყურვილისა და ტანისა ქავილისა.

3. თუ ტკბილი იქნება—ნიშანი მისი სისხლისა მორგევა და სიმხურვალე არს.

4. თუ გამდნარ ჰიქასავით იქნება—ნიშანი არს ტანისა სიგრილისა და ყოღინჯისა.

III. ზაფრის სწორი გარევა ის არის, რომ ნატიფი და ფერად წმინდა და ნათელი იყოს, ხოლო გემოთი მწარე იყოს.

ზაფრის არა სწორი გარევა ოთხფერი იქნება:

1. ფერად ყვითლად იყოს, სინდლე მეტი იქნება და სიმხურვალე ნაკლები.

2. რაჲ კვერცხისა სიყვითლესა ჰგვანდეს, ნიშანია სინედლისა და ბალამის გარევისა, მაშინ სიმხურვალეთა ნედლი იქნების.

3. ფერად ყოველნაირი იქნება, მაშინ უფრო ნელდი იქნების.
4. ჟანგარის ფერი იქნების, მაშინ ავი იქნება, მავნებელი.

ამ ნიშნების მიხედვით:

1. თუ ზაფრა ფერყვითელი იქნება, ეს ნიშნავს საქამადის გვიან მოდნობას და ასოთა სისუსტესა.
2. რაჲ კვერცხისა სიყვითლესა ჰგვანდეს, ეს ნიშნავს ბატრალღობის ცხროს და ასოთა და ლაშასა შეკრულობას.
3. თუ ყოველნაირი ფერისა იქნება, ეს ნიშნავს სტომაქისა და ლვიძლის სისუსტეს და სხვა ძნელ მანკებს.
4. თუ ჟანგარის ფერი იქნება, მაშინ საშიშია, ეს ნიშნავს, რომ სტომაქში გასარეველი დამწვარია და ეს სიკვდილის ნიშანია.

IV. სევდის სწორი გარევა ის არის, რომ პირის გემო მთავე ჰქონდეს და ყავამი ფერად შეგვერემანი და სქელი იყოს.

სევდის არა სწორი გარევა სამფერი იქნება:

1. მომეტებულად მთავე იყოს, იმდენად, რომ ზედ მწერი არ დაჯდება.
2. შავი და ელვარი იყოს კუპრივითა და სუნი მთავე ჰქონდეს და უმზურვალესი და უფიცხესი იქნების.
3. ბედანჯრის ფერი იყოს.

ამის მიხედვით თუ

1. მომეტებულად მთავე იყოს, ნიშანი არს მიზეჯის დაშაებისა, სიშმაგის, მჯდომისა და ძნელ წყულულებისა.
2. შავი და ელვარე იყოს, ნიშანი არს მომკვლელთა მანკთა ვითა სიგონჯე და ვითა კირჩხიბი და ვითა ტაუნი.
3. ბედანჯრის ფერი იყოს, ნიშანი არს ისეთი მანკების, რომელნიც ასოთა შიგან დიდხანს დარჩეს.

აი ამგვარია მთელი იდიეურ-ფილოსოფიური კონცეპტია წინამდებარე წიგნისა და თანაც მთელი იპოკრატის შემდგომი მედიცინისა, რომელიც მთლიანად მიიღეს ჯერ არაბებმა და შემდეგ ძველი აღმოსავლეთის კულტურულმა ხალხებმა. ეს იდიეურ ფილოსოფიური კონცეპტია მცირედენი ცვლილებებით ძალაში იყო თითქმის XIX საუკუნემდე.

მეგრულმზიურ-ბიულმზიური ცნობანი

ტანის ვითარება და შეტყობაჲ სიმრთელისაჲ.

„ფილოსოფოსნი და აქიმი ერთია და მათ შორის საცილობელი არა არს, რომ კაცი ამა ოთხთა ბუნებათ არსი არს—წყლისა, ცეცხლისა, ჰაერისა და მიწისა“ და ეს ოთხი ერთმანეთის ურჩი ელემენტი კაცის ტანში განგებამ ერთმანეთს დაუშორჩილა.

რაც ქვეყანაზე სულიერია, ყველა მკამელია—ღმერთმა ყველას საზრდო გაუჩინა. საქმელში, რაც სასარგებლოა და გამოსაყენებელი სასუქად და საძალოდ, სხეული მას იღებს, რაც მავნეა და უხმარი, იმას სხეული არ იღებს და ტანისაგან გარე ავდებს. მავნე ელემენტების ტანისაგან გამოყვანა ხდება ან განავალით, ან რწყევით და ან ზურგის წყლით—ესეც, როდესაც გამოავლდება, ტანს გარეთ გამოჰყავს ან დიაცთან კავშირის სახით ან სხვაებრ (პოლიუციები).

ზედმეტი ზურგის სითხის გარეთ გამოყვანას ორი სარგებელი აქვს: ერთი—ტანი გაიწმინდება ზედმეტი მანკისაგან; მეორე—სხვა ახალი სულიერი დაიბადება. და ამასთან, რაც სიამოვნება იქნება, ესეც ბუნების ნაწილი და საზრდელი არს, კაცი გასუქდების და ერგების.

ამ ზურგის წყლის ადგილი დედაკაცის საშოშა— და ამ ასოს საკვირველება იმაშია, რომ ყრმა საშოში ცხრა თვეს იქნების. საშო საწყლელ ბეშტივით არის და ამის ქვეშ ძვეს და ყული გრძელი აქვს, ვითა მამაკაცის ასო; საშოს პირი თევზითა აქვს და ორი ნაწილსაგან შესდგება, ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, თუ ორ შვილსა შობს, ვაჟი უსათოდ მარჯვნივ იქნების და ქალი მარცხნივ.

ჩასახვა ასე ხდება: სქესობრივი შეყრის დროს საშო პირს ააღებს და მამაკაცის წყალსა შთანთქავს, შემდეგ პირს შეკრავს—მამაკაცის წყალი შიგ დარჩება და დედაკაცის წყალს გაერევა. ეს ორივე ერთად შეკრთებული წყალი საშვილოსნოში გაბრტყელდება.

აქ ასეთი კანონია: თუ საშვილოსნოს მარჯვენა ნაწილში მეტი იყოს წყალი, ვაჟი ჩაისახება და თუ მარცხნივ მეტი იყოს, ქალი ჩაისახება.

თუ მამაკაცის წყალი ბევრი იქნება და ძლიერი და თანაბარი ნდომა იქნება ორივე მხრივ, ტყუპი ჩაისახება.

დედაკაცის წყალი მამაკაცის წყლის ანუ თესლის საზრდელია—აქ ასეა: მამაკაცის წყალი სქელი და მხურვალაა, დედაკაცის თხელი და გრილი.

თუ მამაკაცის წყალი მომეტებულად სქელი და მხურვალა იქნება, შვილის ჩასახვა წახდება.

თუ მამაკაცის წყალი სქელი და მხურვალა იქნება, ვაჟი დაიბადება, თუ თხელი და გრილი—ქალი დაიბადება.

თუ მამაკაცისა უსქესი და მეტი იყოს, შვილი მამასა დაემსგავსება. ხასიათი მამაკაცისა წყლისა იგი არს, რომ რასაც სისხლსა ნახავს, შეჭკრავს— აქ იგულისხმება ქალის წესის შეკერა და ორსულების შემდეგ.

ამ შეკრულ სისხლისა და წყლისაგან კაცი დაისახება. რაც თეთროფროვანია ძვალი, თეთრი ძარღვი (ნერვი) და ტვინი მამაკაცის წყლისაგან ჩაისახება. ლეიძლი, ელენით და თარქელი და მათი მგზავსი, შეკრული სისხლისაგან ჩაისახება.

სულ პირველად ჩნდება გული, თავის ტვინი და ლეიძლი. ორმოცი დღის შემდეგ პატარა ხორცი გაჩნდება, ლბილი, შემდეგ, ხანი რომ გავა, ძვალი გაჩნდება, შემდეგ ხორცი, თეთრი ძარღვები და ასოები გამოჩნდებიან, პირი, თვალები და ხელები, ფეხები და სხვა ასოები და, ბოლოს, ტყავი გამოჩნდება.

ოთხი თვე და ათი დღე რომ გავა, სული დაიბადება, ჩანასახი დღის მუცლიდან გამოსვლამდის ანუ დაბადებამდის წიდოვნობის სისხლით იკვებება, ამით იზრდება.

რასაც დედა სჭამს, ლეიძლი სისხლად აქცევს და საშობელს უგზავნის, და ჩანასახი მას სჭამს. დაბადების ეამი რომ მოვა, ბავშვი საშვილოსნოში გარდაიქცევა (შემობრუნდება) და გარეთ გამოვა.

ჩანასახის დასრულება და გამოსვლა მრავალნაირად ხდება.

I. შვილი შეიდ თვეზე თუ იშვას და ვაჟი იყოს, ჩასახვა მისი ხდება სამ დღეში, გაფორმება—სამოც დღეში და დასრულება—ასოთხმოც დღეში. თუ ქალი იყოს, ჩასახვა თხუთმეტ დღეში ხდება, გაფორმება—სამოცდა ათ დღეში და დასრულება—ორას ათ დღეში.

II. თუ შვილი ცხრა თვისა იშვას და ვაჟი იყოს, ჩასახვა ხდება 40 დღეში, გაფორმება—ოთხმოც დღეში, დასრულება—ორას ორმოც დღეში. თუ ცხრა თვისა იშვას და ქალი იყოს, ჩასახვა ხდება ორმოცდახუთ დღეში, გაფორმება—ორმოც დღეში და დასრულება—ორას სამოც დღეში.

III. თუ შვილი ათი თვისა იშვას და ვაჟი იყოს, ჩასახვა ხდება ორმოცდახუთ დღეში, გამოსვლა—ორმოცდაათ დღეში და დასრულება—ორას სამოცდაათ დღეში და თუ ათ თვეში იშვას და ქალი იყოს, ჩასახვა მისი ორმოცდაათ დღეში ხდება, გამოსვლა—ას დღეში და დასრულება—სამას დღეში.

თუ შეილი რვა თვეს იშვა, „უკუნისამდე დაარზომამ მისი არ ეგების“, ესე იგი არ გაიზრდება. ეს ასე ხდება: როცა შვილი შეიდი თვისა შეიქნება, შეინძრევა და გამოსვლა მოუნდება, თუ ძლიერი იქნება, იშვეება და გამოვა, თუ უსუსური, მაშინ გამოსვლას ვერ შესძლებს და მოკვდება. თუ არ მოკვდება, სუსტად დარჩება მთელ სიცოცხლეში, თუ საერთოდ იცოცხლავ.

ბავშვი რომ სულ პირველად დაიბადება, ატირდება, ამ ატირებას ასე ხსნიან: თავის ადგილს რომ შორდება ბავშვი, იმიტომ ტირისო, და აქ ავტორი ხედავს ლეთის განგებას, ასეთ ბნელ და ვიწრო ადგილს როგორ სძლებს, და როდესაც დაიბადება, მინც მისტირის თავის მდგომარეობასო.

ასეთია წინამდებარე წიგნის ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიური შეხედულებანი.

ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობები

ძვალთა წყობილება. ძვალს კაცის სხეულში სეიტის ადგილი უქირავს—კაცი ძლითა დვას. ძვლებში ვველაზე ადრე კიფა (cranium) შეიკრება, ამიტომ ტანის ძვლებში ყველაზე უმაგრესია, მიწოწიაც იგი ყველაზე გვიან ლბება—ეს იმიტომ, რომ კარგი ასოა და მცველია სხვათა ასოთათვის. ფორმით რვეალია, იმიტომ რომ მრგვალი უფრო დაცულია ფათერაკისგან, ვიდრე ორკედლიანი ან სამკედლიანი აღნაგობა.

მრგვალია კიდევ იმიტომ, რომ მეტი ტენი დაეტიოს. კიფა თუმცა მრგვალია, ექვსი ძვლისაგან არის შეკრული, ისე მაგრა, რომ „უკუნემდე“ არ დაიშალოს. ამას გარდა, შეკრულია კიდევ სამი რამისთვის: რომ სტომაქიდან მავნე ორთქლი ტენიში არ შეუშვას დაქვეშ გაიაროს; შემდეგ, ერთ ძვალს რომ რამე დაემატოს, სხვა ძვალი მშვიდობით იყოს; მესამე: წინა ძვალი უკანაზე მაგარია და მაგრა რომ არ იყოს შეკრული, არ შეიძლება.

იმ ხუთ გრძობიდან, რომელიც კაცსა აქვს, ოთხი თავისა შიგან არს: ხედავ, სმენა, ყნოსვა და გემოვნება, მეხუთე, შეხება, ხელის გულშია.

კბილების ზემო ნაწილი თავის ძვალს მაგრად აქვს მოკიდებული. კბილი თექვსმეტია, ამათგან 4 მომკვეთელი, 4 მცოხნელი და 4 მოჭყავი.

ზანახის ძვალი (ქვეითა ყბა) შესდგება ორი ძვლისაგან, რომლის ორ ნაპირი თავის კეფაზე მაგრად მოკიდებულია.

კაცის ტანის წისქვილი კბილებია. ყოველი წისქვილისა ზემო ქვა ბრუნავს, კაცისა წისქვილისა კი ქვემოთი ბრუნავს.

ყოველი წისქვილის ქვება შეწყობით არიან, კბილები კი არ შეწყობით არიან. ქვემოთა კბილები უფრო წვრილია ზემოთისაზე და რომ შეწყობით იყვნენ, ვერაფერს იზამდნენ. და ყველა ასოში ათასი საკვირველებაა. ზანახის ძვლის უკან ყელთა მძივთა ძვალი შეიკვრის; სულ ოთხია და სიგრძე 4 თითის დადება—ეს ძვლები თავის კოფასა აქვს მოკიდებული.

ყელის ძვლი მთლიანი რომ ყოფილიყო, კაცი ქვევით ვერ დაიხედებოდა, რადგან თვალეში თავში სხედან და ვერც ცას შეხედავდა, თუ პირადმა არ დაწვებოდა.

ეს მძიენი დახვრეტილნია, სუკებში ჩაივლის და ასოთ შეიქნება. კაცს რომ ყელი არა ჰქონდეს, ვერც დაიძახებდა და ვერც ხმას გაიგონებდა, იმიტომ რომ ისეთ სულიერს, რომელსაც ყელი არა აქვს, არც ხმა აქვს, როგორც თევზს და კირჩხიბს.

ზურგის მძივი თორმეტია—ყველაზე მსხვილია და მათი ხვრელი ყველაზე ვიწროა.

წელის მძივი ხუთია და უფროსია ზურგისაზე, ხვრელი უფრო ვიწროა.

მძივი სულ ოცდაოთხია. ყველა ერთმანეთზე მოკიდებულია მაგრად. თითოს შუა რუტობაში გაივლის, რომ საქციელი (სახსარი) ნედლად იყოს და არ გახნეს. თუ გახნება, კაცი შეშასებრ გახნება. თითო მძივს შუა ორი ხვრელია, ერთი მარცხნივ, ერთი მარჯვნივ, და თითო საქციელისგან ცოტა ტენია გამოსული და თეთრ ძარღვად შექნილია.

წიბოს ძვალი ოცდაოთხია, ზოგი მოკლე და ზოგი გრძელი, თოთხმეტი მარჯვნივ და მარცხნივ მოკიდებულია ზურგის გულისა მიმართ და სხვა მათი თავი მოკიდებულია მკერდისა ძვალსა. ათი ძვალი მარტო ზურგის ძვალზეა მოკიდებული, მეორე თავი ძვალსა აქვს დაკიდებული. ეს ძვლები მრუდვან მშვილდით. ეს იმიტომ, რომ ეს ძვალნი მცველნი არიან მუცელსა შინა მყოფთათვის, იმიტომ კიდევ, რომ მრგვალ ქურქელში უფრო მეტი რამ ჩაეტევის.

როგორც სულიერთა ენა მრავალფერია, ისე ძვლები მრავალფერია, მეტადრე კაცისა: ზოგი მრგვალია, ზოგი ნახევარმრგვალი, ზოგი გრძელი, ზოგი მოკლე, ზოგი მსხვილი, ზოგი წვრილი.

თამისა და ტანისა ვითარება და შეთქმობა

კაცის ტანში სამი ასოა უმთავრესი: გული, ტვინი და ღვიძლი. გული ხელმწიფეა ტანისა, ტვინი—ვაზირი, ღვიძლი—მზარეული და გამყოფელი.

ტვინის ადგილი თავშია და უმთავრესად თვალისათვის არის—თვალი კი გულშია არს ტანისა. თვალთა სინათლე ორია: ერთი დანახვა, მეორე შეგება დანახულისა.

ტვინი ბუნება გრილი და ნედლია. კეფას ქვეშ ძევს ორ ფარდაგშუა. ეს ფარდაგი ერთი შიგნით არის, ერთი გარეთ. გარეგანი ფარდაგი ცხვირის ხერვლამდის არის. ამ ხერვლის ქვეშ ორი გახვრეტილი ძვალია. ეს ხერელი ზოგი უსწორია, ზოგი მრუდვან და ეს იმიტომ, რომ სუნთქვას დროს გრილი ჰაერი არ ეცეს ტვინს და არ ავნოს.

პირის ხერელი ტვინის შუაგულთან არის მისული; ეს უფრო ვიწროა, ვიდრე ცხვირის ხერელი. სარგებელი ამ ხერელისა ის არის, რომ კაცი პირმოკუმული რომ იყოს, ამ ხერელით სული მაინც ამოვა და ჩაება.

ტვინის არტერიები (მუთქელი ძარღვები) ტვინის შუა არის. თავის ტვინი სამ კერძად არს, ამას ბუტენი ჰქვიან. ამ ბუტენთა შუა ძარღვებია, ზოგი მფეთქელი, ზოგი წყნარი (არტერია, ვენა). პირველი ბუტენი ყველაზე დიდია და თვალთა სინათლისა ადგილი არს. ამ ბუტენიდან ორი ღრუ ძარღვი თვალის გუგაზეა მოკიდებული და სინათლე ამ ორი ძარღვით შემოდის; კაცის ტანში სხვა ღრუ ძარღვი არ არის.

მეორე ბუტენი ცნობისა და შეგების ადგილი არს და თუ ამ ბუტენს რამე წაეკიდება, კაცი ცნობისაგან გადავა, და ბნელა და ტვინის სხვა ავადმყოფობა განდება.

მესამე ბუტენი სწავლისა და მოგონების ადგილი არს, რომელსა ჰქვია სვინდისი, ეს ბუტენი ყველა ნერვებ შუა არის და ყველაზე პატარაა.

გული. მხურვალი და ხმელია და მისი ადგილი მკერდსა ქვეშეთ იქნების, მარცხნივ კერძოთ და უპირველესი (უთავადესი) ასო არს.

გულის ტყავი მაგარი ხორციდან არის და მაგარ ბუდეში ზის, ფილტი გულის გარეშემოა, დამრგვალებულია; ერთი თავი წვრილი აქვს, ერთი მსხვილი. ორი ყური აქვს, ორი მუცელი—მარჯვნივ და მარცხნივ. მარჯვნივ მუცელს გზა აქვს, რომლითაც ღვიძლიდან სისხლს აზიდავს.

მარცხნივ ორი გზა აქვს, ერთი ჰაერისათვის, რომელიც ფილტვის ქნევისაგან ანიავებს და გულს გაავრილებს, მეორე გზა დიდი ძარღვი მფეთქელისათვის, რომელიც სათავე ყველა შარანი ძარღვისათვის. ამთ გარდა, გულიდან ღვიძლში ერთი ძარღვი მივა. ყოველი ასოს სიმხურვალე გულისაგან არის—გულში თუ სისხლი გაიყინება—კაცი მოკვდება. გულს ორი ყური და ორი მუცელი იმიტომ აქვს, რომ ღმერთს ყოველი საქმე და სახმარი ასო ორ-ორი დაუბადია, მაგალითად: ორი თვალი, ორი ხელი, ორი ფეხი. ეს იმიტომ, ერთი რომ წახდეს, მეორემ შეასრულოს მისი სამუშაო.

ღვიძლი. ბუნებად მხურვალე და ნედლია. ადგილი მისი ტანსა შიგან მკერდსა ქვეშე ცოტად ქვემოთ არს, მარჯვნივ კერძით, ერთის კვირის მთვარის ფორმისა და სტომაქშია მოკიდებული—სტომაქი ისე უჭირავს, როგორც კაცმა რამე დაიჭიროს მუჭაში.

ღვიძლის ზედაპირზე ნაღველია მოფენილი. ნაღველი ცეცხლსა ჰგავს, ღვიძლი—ნახ-შპრსა და სტომაქი—ქოთანსა. საჭამადი რომ სტომაქში ჩავა, ნაღველისა და ღვიძლის სიმხურვალე ეცემა და სტომაქი იმ საჭამადს მოხარშავს. სტომაქის ნაშს და სინეღლის ღვიძლი მიიზიდავს, როგორც ხის ძირი მიწისაგან ნაშს მიიზიდავს; ღვიძლი ამ მოზიდულ ნაშს სისხლად აქცევს, შემდეგ სისხლს გაჰყოფს საზომისაებრ და ყოველ ასოს გაუყოფს—ამისთვის ღვიძლსა ტანის როკიკის მიმცემელი ჰქვიან. ღვიძლი ყველა ასოსთან დაკავშირებულია თითო ძარღვით, რომლითაც საზრდოს უგზავნის მას და მით ანედლებს; ეს გზა რომ შეიკრას და ასოსთან ღვიძლიდან სისხლი არ მივიდეს, ის ასო გახმება, გაყვითლდება და დაქნება.

ელენთა. გრილი და ხმელია. სევდის სახლია. ადგილი მისი გვერდის ქვეშ არის, მარცხნივ; გრძელი და ბრტყელია, ვითა ძროხის ენა. სტომაქს არის მოკიდებული ორი დიდი ძარღვით: ერთი დიდი ძარღვი ორი პირით არის მოკიდებული, ერთით სევდა გამოაქვს სტომაქიდან, მეორეთი შიგ ასხავს სევდას. მეორე დიდი ძარღვით სისხლის ნარჩენი გამოაქვს სტომაქიდან. ელენთა ყოველგვარია, იმიტომ რომ სევდა მოწოოს სხვილ და დიდ მანკისაგან.

ფილტვი. გრილი და ნედლია. მკერდის შუა არის დაკიდებული, ჩასუნთქვით სუნთთა ჰაერი ჩააქვს და გრილდება და ამოსუნთქვით სიმხურვალე და ორთქლი ამოაქვს. ფილტვი ყოველგვარია, იმიტომ რომ ჰაერის ადგილი არს. ფილტვი მუდამ სახვეა ჰაერით—ამისაგან არის რომ სულ შეგუბებულ კაცს ცოტა ხანს შეუძლიან გაძლება. ფილტვში რომ ჰაერი არ იყოს, სიმხურვალე დასწვამს გულს, ფილტვი, ამის გარდა, ჰაერს ალბობს და ათხელებს და საზრდელად ხდის როგორც სტომაქი საჭამადსა.

ნაღველი [ნაღველის ბუშტი]. მხურვალე და ხმელია და ღვიძლის პირსა მწოლი არს. ნაღველსა ორი პირი აქვს, როგორც ელენთას: ერთი პირით ზაფრასა ღვიძლისაგან მოზიდავს, მეორეთი სტომაქში ჩაასხავს. ზაფრა სტომაქს სწმენდავს ფიტისაგან რომ ფიტის სიმძიმისაგან ვანათავისუფლოს კაცი. ნაღველის სარგებელა კიდევ ის არის, რომ სისხლსა ზაფრისაგან გასწმენდს; ეს რომ არ მოხდეს, ზაფრის სიმხურვალე სისხლს დასწვამს.

თირკმელი. მხურვალე და ნედლია. მისი ადგილი ზურგსა შუა არს და თირკმელი ღვიძლსა ახლავს, თირკმელს ძარღვი ახლავს. ერთი წვერით ღვიძლს არის მოკიდებული, მეორეთი—მათანას (საწყლე ბუშტი) ყელს—ზურგის წყლის გზაც ეს არის. თუ ზურგის წყალი იმ გზაზე წავა, რომელიც ღვიძლს არის მოკიდებული, სისხლად იქცევა, თუ იმ გზაზე, რომელიც მათანას არის მოკიდებული, გათეთრდება.

ფსლის გზაც თირკმელზეა მოკიდებული, თუ ფსელში რამეა დარჩენილი სისხლსა ძალისაგან—თირკმელი მას გასწმენდს, ამის გამო არის რომ თირკმელს მწელი მანკი შეეკნება.

სტომაქი. სტომაქის ადგილი მკერდის შუა არის, მაგრამ მიდრეკილება ზემოთა ნაწილს მარცხნივ აქვს, ქვემოთა ნაწილს კი მარჯვნივ. მარცხნივ ელენთა აქვს. ქვეშ მარჯვნივ ხორცი აქვს და ზემოდან თხელი. ეს იმიტომ, რომ გავსების დროს თავის ადგილიდან არ შეიცვალავს. ფორმით აყიროსა (გოგრას) ჰგავს, ორი ყელი რომ ჰქონდეს. სტომაქის ის ნაწილი, რომელიც ზურგისკენ არის ბრტყელია, ის ნაწილი, რომელიც გულისკენ არის—მრგვალია.

სტომაქის გრძობა შიმშილია. შიგნიდან სტომაქი მრულგვარია (უსწორმასწორო); ბოლო უფრთესი აქვს თავზე, ეს იმიტომ, რომ საჭამადი ბევრი დაიტოს და სხვათა ასოთა არ აწყინოს. სტომაქს ოთხი ძალი აქვს:

1. მიმზიდველი, რომელიც საქმელს მიიზიდავს;
2. შემპყრობელი, რომელიც საქამადს დაიდგენს;
3. მომხარშველი, რომელიც საქამადს მოხარშავს;
4. გამყენებელი, რომელსაც საქამადი ნაწლავში გადაჰყავს.

წელი. სულ ექვსია. სამი ამათში სტომაქის ქვემოთ უწვირის და უთხელესია, სამი, უფრო ქვემოთი, უფართოესი და უსქელესი.

წერილი წელები: 1. პირველ წელს ათნე აშრია ჰქვიან, მისი სიგრძე 12 თითის დადებია. ამ წელს სიმრულე და ნასკვი არა აქვს. ეს წელი სტომაქს არის მოკიდებული.

2. მეორე წელი ამაჲ საზრდელისაგან მულაჲ ცარიელია, იმიტომ რომ საზრდელი შიგ არ ჩერდება.

3. ამაჲ დაყაყ-დაგრეხილია და საქმელი შიგ დიდხანს რჩება.

სხელი წელები: 1. პირელი სხელი წელი? (აქ ტექსტში ფურცელი აკლია)

2. მეორე ყოლინია, იგი ფართო წელია.

3. ამაჲ მუსთაიმი—სწორე და ფართო წელია, ეს წელი ქვემო პირით—საჯდომს არის მოკიდებული.

მოგრეხილობაჲ ნაწლავს იმიტომ აქვს, რომ საქამადი შიგ დიდხანს გაჩერდეს და ქვემო წელნი უფარუენნი არიან, იმიტომ რომ ფიტი ბევრი დაიტიოს, თორემ კაცსა წამსა და წამს აეხანად გასვლა დასჭირდებოდა.

მათანა, რომელსა ჰქვიან საწყლე ბუშტი, საზრდელსა შიგან არს და თავი ვიწრო აქვს, ხოლო ძირი ფართო, რომ შიგ ბევრი წყალი დაეტოს; ტყაი მისი ძალიან მაგარია, რომ ზაფრის სიმხურაველმ, რომელიც ფსელშია გარეული, მას არ აენოს.

მათანას პირზე პატარა ხორკია (კუნთი). აქედან ერთი ძარღვი თირკმელსა აქვს მოკიდებული, ერთი სასქესო ასოს. ეს ძარღვი და ეს კუნთი ფსლის მცველებია და უჟამოდ არ გამოუშვებენ; თუ ეს ხორკი და ეს ძარღვი დაუუსუსურდა, ფსელს ვეღარ დაიჭირავს და კაცს უნებლიე გაედინება.

ამით თავდება შინაგან ასოთა აწერა. აქ ტექსტში სწერია „და ეს ცოტა მიხსენებია მსწავლებელისათვის კმა არს“.

გარეგანი ასონი: თვალი, თვალი ძვლის ღრუში იმიტომ ზის, რომ მეტად საჭირო ასოა. მას შუბლის ძვალი მცველად ჰყავს. წარბნი თვალის იჯინია, წამწამები მეკარეა, რომ მტერი და მიწა არ ჩაუშვან და ჩასაჭერლსა უკუმოაყენებდეს.

თვალი შვიდ ტაბაყასა და სამ რუტობათისაგან შესდგება.

I. მოლაჰამაჲ—ყოველგნით მოკიდებულია, ძალიან თხელია და ფერად თეთრი.

II. ტაბაყაჲ ყარინაჲ—მაგარი არს და ფერად და სიმაგრით თეთრსა რქსა ჰგავს.

III. ტაბაყაჲ ლაბიბაჲ—ყურძნისა მარცვალსა ჰგავს.

IV. ტაბაყაჲ ანქაბოთა—ვითა აბლაბუდე თხელია;

V. ტაბაყაჲ შაბაქია—საკვირველად თხელია.

VI. ტაბაყაჲ ჯალიდია—ვარდსა ჰგავს ფერად.

VII. ტაბაყაჲ სალბია—ამით ყოველთაგან უმაგრესი არს.

ამათი სარგებელი: პირველი—ხორკთა მიდამოდ შემაგრებული არს.

მეორე—ფაფრეაქისაგან შეინახავს თვალსა.

მესამე—სინათლესა შეინახავს, რომე ნათელი და ბრწყინვალე თვალთაგან არ დაიპანტოს.

მეოთხე—სიმაგრე და სიმქისე შეინახოს და მანკი უკუ აყენოს.

მეხუთე—საზრდელი მისცეს სხვა ტაბაყებს.

მეექვსე—შარიანთა ძარღვთა სიმხურავლისაგან შეინახოს (თვალი).

მეშვიდე—სიმაგრე მისცეს, თვალი თავის ადგილზე მაგრა დაიჭიროს.
რუტობათი სამია: I ბაიტა—სინედლე არს, ვითა კვერცხისა ცალი.

II. რუტობათი ჯალიდი—სინედლე არს, ვითა მყინვარი.

III. რუტობათი ზაჯაჯია—სინედლე არს, ვითა გამდნარი ქიქია.

რუტობათი ჯალიდი თვალის გუგაშია, ფერად ნათელი და ბრწყინვალეა; ამის საზრ-
დელი რუტობათი ზაჯაჯია, მით რომ მის უკან არის და ბაიტა ყველაზე წინ არის.

შვიდი ტაბაყაა ამ რუტობათების წინ არის. სამივე მესამესა ტაბაყასა შუა არს და
ორი ღრუ ძარღვი, რომელნიც ტვინიდან მოდიან, რუტობათი ჯალიდით თვალის გუგასა
შემოკვეება და იგი ღრუ სიბნელესა შინა გაფართოვდების და სინათლესა შინა დაეიწროვ-
დების, თუ ეს ღრუნი ძალიან გაფართოვდებიან, კაცი ვერასა ნახავს.

ყური. ხმას შორის შეიგნებს. ყურის ხვეული მოღრეკით იმიტომ არის; რომ ქარი
და მიწა ყურში არ შეუვიდეს და მწარე წყალი იმიტომ არის, რომ მძრომი არ შევი-
დეს შიგ.

ცხვირი. პირის დამამშვენებელია, მას ორი კერძი აქვს. ცხვირს სამი სარგებელი აქვს:

1. სულისა (სუნთქვის) გზა არის.

2. სიმყარე და სისურნელე მით შეიძების.

3. ავ მანკს სქელსა და მავარს, რასაც ტვინი უაკიდგენებს, ცხვირი ჩამოიღებს.

ბაგე და ენა. ბაგე პირისა მეკარეა და კბილთა ფარდავი და ენის შემწე საუბრი-
სა ეამსა. კაცს ბაგე რომ არ ჰქონდეს, ვერ იბრუნებდა. ღმერთს ბაგე ჩვილი და ლბილ
ხორცისაგან დაუზადებია და მუდამ სინედლეა შიგ, რომ საუბარი არ შეშალოს.

ენაც რბილი ხორცისაგან არის, რომ საუბრის დროს მორჩილი იყოს. ენა საკამადს
პირში აბრუნებს. ენას ძარღვი აქვს, ამ ძარღვის სარგებელი ორია:

1. რომ მიწყით (მუდამ) ენა ნედლად იყოს;

2. თუ კაცი ხმელ საკამადსა სკამს, დაასველოს.

ხელთა ვითარეა (აქ ხელი აწერილია როგორც შეხების ორგანო).

ყველა საქმე ხელთა იქნების. ხელნი კაცსა ფრთისა ნაცვლად აქვს. ხელთ შრო-
მობს კაცი. საზრდელს ხელთი შოულობს. ხელი ფათერაკის უკუმეცნებელია. ხელი ტანისა
აბჯარი და ფარი არს.

ძუძუთა ვითარეა. შესდგება სუსტისა ხორცისაგან და ლუდღეთაგან და მფეთ-
ქავი ძარღვები აქვს ორივე ძუძუს. ძუძუს სარგებელი ის არის, რომ ყრმის საზრდელი
მასში იქნების. რძის სათაენო სისხლია. გული სისხლს ასოებში გაფანტავს არტერიებით
და შემდეგ ძუძუს ხორციან მიიყვანს, რომ იქ გათხელდეს, ძუძუს ხორცი თეთრია და ამ
სისხლს გაათეთრებს. რომ რძე წიღონობისა სისხლისაგან არის, იქედან ჩანს რომ, თუ
დღდაკაცს წესი დასწყდება ძუძუს წოვების დროს მისი რძე ბავშს ავნებს.

ყვერთა ვითარეა. ყვერი საყოფელი ადგილია ზურგის წყლისა და სუსტი ხორცი-
საგან არის დაბადებული და თითოსაგან ძარღვი თირკმელთან არის მოკიდებული. ამ
ძარღვით ნატიფი სისხლი თირკმლისაგან ყვერთან მივა და იქ შეიგბოლება (მოიხარშება).

აქიმაგან სათესლეს (ყვერს) ავიამინი ჰქვია. ყვერი რომ ზურგის წყალს მოხარ-
შავს, ეს წყალი სასქესო ასოდან გარეთ გამოვა.

სასქესო ასო. ღრუა და მფეთქავი ძარღვებისა და თეთრი ძარღვისაგან (ნერვი)
შესდგება, იმიტომ რომ შეყრის დროს სრული გემო მიეცეს. ეს ძარღვები და ნერვები
ქარით ივსება და ასო ამისგან დიდდება და მაგრდება, რომ საქმის (coitus) დროს გაწმი-
ლებული და შესარგებლო არ იყოს. როცა გადიდდება, სათესლე გზა გაფართოვდება და
მანის (ზურგის) წყალი შიგ თავისუფლად გაივლის.

სასქესო ასო დღდაკაცისა და მამაკაცისა ერთნაირია, მხოლოდ მამაკაცისა გარედან
არის და დღდაკაცისა შიგნით. მამაკაცის ასოს მაგიერ დღდაკაცს საშვილოსნოს ყელი აქვს

და ყვერისა ნაცვლად—საშვილოსნოს შიგნით ორი სხვა ზეჰდანი აქეს, სარცხევენლთა შუა დედათა ორი ყვერი აქეს, მათი ყვერი მაგარი და მრგვალია, მამაკაცისა კი გრძელი და სუსტი. ავიომანი მამათა გრძელი და მაგარია, ხოლო დედათა მოკლე და ლბილი.

ამის შემდეგ ავტორი აცხადებს:

„ესე ცოტაა ვახსენე შინაგანთა და გარეგანთა ასოთა. მსწავლებელსა ეყოფის თუ გონებაჲ შეეწოდეს, შეეწევითა ლმრთისათა“.

ჰვალთა ვითარებაჲ: თარაძი, ნივთი და სათვაღაჲ

კაცთა ასოთა ძვალი 248 არს. 7 თავშია. 55 პირსა შიგან კბილითურთ. 9 ყელთა შიგან. 24 გვერდთა შიგან. 7 მეგრდსა შიგან. 4 მხართა შიგან. 2 მკლავთა შიგან. 4 ხელის საქციელში, 14 სეიდსა (ხელის მტევნის სახსარი), 8 ნებისა ზურგსა შიგან. 30 თითთა შიგან. 7 ზურგსა შიგან. 7 ზურგთა მძიეთა ქვეშე საჯდომამდის. ორი საჯდომთა შიგან. ორი ბარკალთა შიგან, 4 წვივთა შიგან. 4 კოჭთა შიგან. 2 ქუსლთა შიგან და ორი მას წინაით. 4 თათისა ზურგსა შიგან. 30 ფერხისა თითთა შიგან.

კაცისა ტანსა შიგან 77 თეთრი ძარღვია (ნერვი), 38 ჯუფთი და ერთი ფარდი. შვიდი ჯუფთის სათავე თავის ტვინშია.

I. თვალთა შიგან მოკიდებულთა.

II. თვალთა ფურცელთა შიგან.

III. ყვრიმალთა, ცხვირთა და ბაგეთა მოკიდებულთა.

IV. პირსა და ენასა შიგან.

V. ყურსა, ყელსა, და მეგრდსა თანა.

VI. მუცლის ალათთა თანა მოკიდებულთა არს.

VII. ენისა და ყელისა ხორცთა თანა.

31 წყვილი იგი არს, რომელ მათი სათავეთა ზურგისა ძვალთა ტვინისაგან არს თითო წყვილი ყელისა მძივისა ხერგლთაგან და ზურგისა მძივთაგან. 8 წყვილი ყელთა შიგან არს. 14 წყვილი ზურგსა შიგან. 5 წყვილი მუცელსა შიგან, და 3 წყვილი...? (აკლია). 3 წყვილი მათ მძივთა ქვეშეთ არს.

ატალინი (ატალი კუნთთა). კაცის ტანში სულ 527 კუნთთა. 23 თავსა შიგან არს. 24 თვალთა შიგან. 43 პირსა, ბაგესა და სახესა შიგან. 9 ენისა შიგან. 20 პირსა ქვეშე ფირტვისა ყიასა და გვერდის ძირსა და 6 კისერსა და ყელსა. 27 ხელთა შიგან, 8 მკლავთა შიგან. 107 მეგრდსა შიგან. 48 ზურგსა შიგან. 8 მუცელსა შიგან. 1 მათანას პირსა. 4 სასქესო ასოში. 4 საჯდომში. 26 თეძოთა და ბარკალთა შიგან. 18 მუხლთა შიგან. 2 კოჭთა შიგან. 52 ფერხთა შიგან.

საქციელნი (სახსრები), ღიდი და პატარა სულ 508 საქციელია. მათგან ღიდი და მცირე თავსა და პირსა შიგან არს. 18 ყელსა შიგან ჩანბარითურთ. 38 გვერდთა შიგან. 12 მეგრდსა შიგან და 8 მხართა შინა და 40 მკლავთა შინა და 8 სეიდსა შინა. 32 სეიდისა თავთა. 16 ნებისა ზურგსა ზედათ. 4 მუხლთა შიგან. 8 წვივთა შინა. 4 ქუსლთა შიგან, 4 ქუსლთა წინაით. 20 თითისა ზურგსა შიგან და 60 ფერხისა თითთა შიგან.

ძარღვი ყველაჲ 360 არს. 156 მუფთქელნი (არტერია), 204 წყნარი (ვენა), თუ ამ მუფთქელთაგან ერთი დაწყნარდეს, კაცი ავად გახდება და თუ წყნართაგან ერთმა ფეთქა დაიწყოს, კაცი დასნეულდება. ამ ძარღვებს გაყოფა სამი ძარღვისაგან აქეს—ყოფალისაგან, აქპალისაგან და ბასალაისაგან. თვითოსა ამათანასა 122 ძარღვი აქეს მოკიდებულთ; ესე ღიდრონი ძარღვნი მტკვარსა ჰგვანან და იგი წვრილნი რუთა. რაც მუფთქელი ძარღვია—გულზეა მოკიდებულთ და რაც წყნარი-ღვიძლზე.

ბუთ პისტა [გრძნობათა] ხასიათი:

1. მხედველობა, 2. სმენა, 3. ყნოსა, 4. გემო, 5. შეხება ანუ გავება ლბილისა და მკისისა, (ხეულისა) სიგრილისა და სითბოსი.

გრძნობებში ესეთი კანონზომიერება არის დაცული: რაც ერთი გრძნობით შეიძებნის, ის მეორეთი არ შეიგებნის, ვითა მყარალი თვალთა არ შეიტყუებენ და ხმა ცხვირითა არ მოისმინებენ.

ჰიპოთეზა და პრაქტიკა

თავი „კთ“—სიმრთელისა თადბირი და შენახვაჲ სიარული, გამოსვენება და სხვა.

„ლ“—საქმლისა კამისაჲ.

„ლა“—ხილთა და ჭამაი მისი.

„ლბ“—წყლისა სმაჲ.

„ლგ“—ღვინის სმაჲ.

„ლდ“—ძილისა და უძილობისა.

„ლე“—მუცლისა ლბილად დაჭირება.

„ლვ“—დედაკაცისა თანა დაწოლისა რომელსა ჰქვიან წრაბულად ჯიმიქარდენ.

„ლზ“—ტანისა ზელისა აბანოსა შიგან.

„ლც“—აბანოში ჯდომისა დიდხანს.

„ლთ“—კირისა ცხება აბანოსა.

„მ“—რიატათი, ნელი სიარული სეირნობა.

„მა“—რწყევისა რგებისაჲ.

„მბ“—წამლისა აღებისა ნივთიანობაჲ.

„მგ“—იგივე.

„მდ“—ხელის გახსნისა ნივთისაჲ.

„მე“—ჭიქისა მოკიდებისა ნივთი.

„მე“—წურბელისა მოკიდებაჲ. რომელსა ჰქვიან დეგია და ზალუ.

„მზ“—სიმრთელის შენახვაჲ: აქ ლაპარაკია კბილის გაწმენდაზე, ყურის გამოწმენდაზე.

„ნ“—მგზავრობისა, სიარულისა და ლაშქრობისა თადბირი.

„ნა“... (გამოტოვებულია).

„ნგ“—ყრმის კვების წესები, კბილის ამოსვლა და ლაპარაკის დაწყება.

ღიაზნოსტუჰი ცნობანი

მაჯასისა (ბულისა) შეტყობისა მეცნიერებაჲ და ნივთი.

„ჯალინოს იტყვის: ვითა მაჯასისა შეტყობაჲ მიზეჯისა შეტყობაჲ არს“.

„და აწ ჩვენ მაჯასისა შეტყუებისა ნივთი ვთქვათ რომელ გამოუცდელისათვის აღვილი იყოს და იცოდე რომელ მაჯასი გულის ფეთქაჲ არს“.

„მაჯისგან შეიგებენ გულისა სისუსტე და სიძლიერე—იგი მოწმე არს აქიმისათვის მანკთა რომელ გულისა, და გულისა მიდამოჲსაგან და მფეთქელთა ძარღვთა იქნების“.

უმჯობესია, რომ მაჯასი მარცხნივ ჰნახონ. ამიტომ რომ გული მარცხნივ არის, ვისაც უნდა მაჯის შეტყობაჲ შეისწავლოს, მრთელ (ჯანმრთელ) კაცთა მაჯა უნდა შეისწავლოს, ამიტომ ოთხი თითი უნდა მასზე დასდოს ნუცა მაგრად, ნუცა ლბილად. და კარგად დაიხსომოს თუ მრთელი კაცისა როგორ ფეთქს და მაშინ გამოარჩევს, თუ სნეულისა როგორი იქნება.

I. თუ მაჯასი სწორად ფეთქდეს, ტანისა სიმართელისა ნიშანი არს.

II. თუ ძლიერად იყოს და გვიანად ფეთქდეს, სისხლისა მორევნისა ნიშანი არს.

III. თუ მაჯასი თითთა ქვეშეთ სუსთად იძვროდეს და გვიანად ფეთქდეს, ბალდამის მორევნის ნიშანი იქნების.

IV. თუ აღუე ფეთქდეს და ფიცხლად იქცოდეს, ზაფრისა მორევნისა ნიშანი არს.

V. თუ გახსირობული (გაქიმული) იყოს, ვითა შეიღღისა საბელი, და მაგრად ფეთქდეს, სევეღისა მორეენისა ნიშანი არს.

ფსლისა და ფიტისა შეტყობისა ნიეთი და ძალი.

წყალი (შარდი) მოწმე არს აქიმისთვის ღვიძლისა და მის მიდამოსა მანკისაჲ. ფსლის ალებუ ძილის შემდეგ უნდა, კამის უწინ. შემდეგ აქიმმა უნდა ჰკითხოს ავადმყოფსა, თუ რა უკამია, რადგან საკამადი სცლის შარდის ფერს.

შარდი შეიტყობა: I ფერით, II. სუნით, III. ყავამით (სისქე), IV. რუსობით (ნალექი).

I ფსლის ფერი რეანაირია: თეთრი, ყითელი, თრუნჯული, ცეცხლის ფერი, ზაფრანის ფერი, არღანის (მოწითალო) ფერი, წითელი და შავფერი.

II. წყლისა სიმყარაჲ იმის ნიშანია, რომ ბუნებასა მანკი სრულიად შეუბგოლია და ესე ცხელთა ცხროთა და ღვიძლისა სიმსიენესა შიგან იქნების. კიდევ შეიძლება წყლის სიმყარაჲ ბუშტისა სიწყულისგან იყოს. თუ ძალიან სუნინი იქნება, სიმხურვლისა სნება უძნელესი იქნების.

III. ყავამი სამ გვარია: ერთი მსხვილი, მეორე თხელი, მესამე სწორი. ყველას თავთავიანთ მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ავადმყოფობათა გამოცნობის დროს.

IV. რუსუბაჲ ფიტია ანუ ნალექი: 1. ფერად შეიძლება თეთრი იყოს, მაშინ სიმრთელისა ნიშანია.

2. ფერად წითელი იყოს—ნიშანია სნების გაგრძელებისა.

3. ფერად ყვითელი იყოს—ნიშანია მანკთა სიძნელისა.

4. ფერად შავი იყოს ან მწვანე—ნიშანია სიკვდილისა.

ღაღტისა შეტყობაჲ—ფიტი (განავალი) კაცისაჲ, სიმცროჲ და სიმრავლე. სიმცროჲ სამფერად არს: 1. ან ბევრი იქნება, 2. ან ცოტა, 3. ან ჩვეულებრივი.

ყველა ამას თავისი მნიშვნელობა აქვს სტომაქის დაავადების დროს. შემდეგ მნიშვნელობა აქვს 1. ფერს, რომელიც შეიძლება ყვითელი იყოს, მწვანე, თეთრი, შავი, ყველა ფერს თავისი მნიშვნელობა აქვს 2. კონსისტენციას—ლბილი იყოს ანუ მაგარი 3. სუნს.

მნიშვნელობა აქვს აქრეთვე ფიტის დროზე და არა დროზე გამოსვლას და იმას, რაც განავალს თან გამოჰყვება, რომელიც ხუთნაირია: 1. ქარი, 2. სიცხიბე, 3. სინედლე (ლორწო) 4. სისლი, 5. თხამლი (ჩირქი). ყველაფერს ამას თავისი მნიშვნელობა აქვს დიაგნოზის დროს.

ბუჰრანისა შეტყობაჲ. „იცოდე რომელ ბუჰრანისათვის დია შეუბნებულან აქიმნი და დია წიგნები შეუქნია ბუჰრანისა მეცნიერებისათვის რომელი თუ ყველა ვახსენო მსწავლებელსა მოეწყინების და სარგებელსა ვერ ჰპოებს, მაგრამ მათი გამორჩეული სიტყვა შემოგვიღია ამას წიგნსა შიგან მოკლე და ნიეთიანი და მსწავლებელთათვის მოუწყინარი“...

ბუჰრანი ასორულთა ენითა (აისორული) ჰქვიან და მისი თარგმანი შემბა არს ბუნებათა და მანკთა. „ვითა რომელ ტანი ქალაქსა ჰგავს და ბუნებაჲ მისი ხელმეწიფე არს და მანკისა სათაენოჲ არაიკითია მტერი არს, რომელ ამას ქალაქსა მოსრულ იყოს, ბუნებაჲ მტერსა მისსა შეებმის გასაძებლად (გასაძეგებლად) თუ შეძლებულ იყოს ერთხელ, თუ არ ძალი ჰქონდეს ორჯულ-სამჯერ და თუ არ შეეძლოს და მტერი უძლესი იყოს ვითამცა მანკისა სარძირკველი და სათაენო ბუნებაჲ შესწორდების და უსუსურობაჲ გაიქცევის, მაშინ კაცი მოკვდების, ოდესცა რომელი ბუნებაჲ და მანკი შეიბნენ მას ეახსა სნეული დია გასუსტდების და გამძიმდების. ამა ყოფასა აქიმნი ბუჰრანად იტყვიან“.

ოფლისა გამოცემა. ოფლის გამოცემის ნიშანი მრავალია:

I. რომელ ასოდან გამოვა ოფლი.

II. გამოსვლაჲ მისი (ანუ ინტენსიობა),

საიდანაც ოფლი გამოვა. მანკი იმ ასოშია. საზომზე თუ მეტი გამოვა, ავი ნიშანია, ავადმყოფს ძალს დააკლებს.

ოფლის შეტყობა ზუთფრად არის: I. სიმზურვალით, II. სიგრძლით, III. სიმყარალით, IV. გემოთი, V. ყავაზით (სისქე-სითხით).

ყველა ამით თავთავისი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობის დიაგნოზისა და პროგნოზისათვის.

სიმართლისა და საშიშოასა ნიშანი.

I. კაი ნიშანი: ის არის, რომ ავადმყოფს ფერი არ შეეცვალოს, საკამადი არ აიკვეთოს, გემო კარგად ჰქონდეს და კარგად ეძინოს, გონება არ შეეცვალოს, მუცელი წესიერად ჰქონდეს.

II. ცუდი ნიშანი: სწულს რომ თავისა არა ესმოდეს რა, რომ არ დაეძინებოდეს, თუ ზელს ყველგან მოიარებდეს, რა უზმობდნენ, პასუხსა არ გასცემდეს, თუ სინათლესა ერიდებოდეს და პირი მუდამ კედლისაკენ ჰქონდეს, კბილსა ერთმანეთზე და მოუსვამდეს, თუ ღია აცხრობდეს და ღია ჰხედდეს, თუ ფეხებს ატოკებდეს დამოუსვენრობდეს და ნიადგ ფშვებოდეს, სიკვდილია ნიშანი არს—სიცხეში რომ მყარალი სუნი ამოუვა, ან კიდევ თუ ცხვირი დაუწყულდეს, თვალნი დაუფიწოდნენ, პირი გაუშრუდდეს ანუ აღრენილი დარჩეს სიკვდილისა ნიშანი არს.

სწულეზისა და წყებისა ნიშანი: ზოგს სნებას დასაწყისში ავი ნიშანი აქვს და სნებისა ვითარება ნიშნებითა შეიგების, აქიმი ისეთი უნდა, რომ ქირისა და სნების დასაწყისსა კარგად შეატყობდეს—რომ სწულსა ფარებსა (კრძალვასა) აქნევიებდეს ანუ საკმელს შეუწყობდეს და წამალს მისცემდეს, ვიდრე სხეულში მანკის დედა გაძლიერდებოდეს.

აქ ჩამოთვლილია, თუ რომელი ნიშანი რა ავადმყოფობას ახასიათებს. ეს ნიშანი ბევრია, ავადმყოფობაც ბევრია. მაგრამ უმათერესად რომლით უფრო სწულეზიან შემდეგია:

1. მღიერი. 2. სიგონჯე. 3. ყვაილი. 4. წითელი (ა). 5. პირისა სიმყარლე. 6. მანია. 7. სნება ვაბასი. და კიდევ 7 სხვა მანკი რომელიც მაშისგან დარჩების შეილს 1. სიგონჯე. 2. კეთრი. 3. დიყის ცხრო. 4. სილი. 5. მალიხოლია. 6. მანია. 7. ნიკრისი.

დასკვნა: „მაშა ხაშს რომელ ამით ქირთა პატრონთგან კრძალვით და შორს იყენდ“.

შეტყობ აქეთა და ჰაერთა ვითარებისა. აქ არის ლაპარაკი ქარებზე და საერთოდ ჰავის გავლენაზე ადამიანის ჯანმრთელობაზე.

შემდეგ აწერილია ქალკათა და ჰაერთა ბუნება და „შეგებად თუ წელიწადი ოთხ ბუნებად და ოთხ ფერად არიან რად“: ამ თავში ლაპარაკია, თუ როგორ მოიქცეს კაცი წელიწადის სხვადასხვა დროს—ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე.

ზოგადი პათოლოგია

ამ თავში ლაპარაკია იმაზე, რაც მიზეჯს ანუ ტანის ნორმალურ გარეგან შეშლის და იმ საერთო დაავადებაზე, რომელიც შედეგია ოთხში ერთ-ერთი ელემენტის გამრავლების სხეულში—ან შემცირების, სხვანაირად ოთხი გასარეგლის: 1. სისხლის, 2. ზაფრის, 3. ბალღამის, 4. სევდის წონასწორობის მოშლაზე.

I. მანკი, რომელიც სისხლისა მორეგისა და მის შეშლაობისაგან იყოს.

სისხლი რომ კაცს, მოერის და გამოსავალი სხეულიდან ვერ ჰპოოს, დაშავდება და მანკნი გამოჩნდებიან—ზოხის დეკირვა, სურდო, ღრძილის სიმცინე, მჯდომები, დოუბალაა, წითელა, ღვიძლის ტკივილი, ნიკრისი, მუტბაყი ცხროა საქციელთა ტკივილი, ცხვირისაგან და მუცლიდან სისხლის დენა.

სისხლის მორეგენის ნიშანი ასეთია—პირი გაუწითლდება, ბევრს იძინებს, პირში სიტკობა ექნას, გაზანტდეს, ჰაერი გრილი უნდოდეს.

შემდეგ აწერილია საერთო მქურნალობა.

II. მანკი, რომელ ზაფრისა მორეგისაგან და შეშლისგან იყოს. ზაფრა რომ კაცს მოერევა, სხეულში დაშავდება და ესე მანკნი გამოჩნდებიან:

თავის ტკივილი, შაყიყი, თავის სიწყულლე, ტანის მღიერი, მქავანი, სარსამი, ბარსანი, საქციელთა ტკივილი, ღვიძლისა სიწყულლე, თვალთა ტკივილი, ქარტლი

ბაგისა და პირისა დაპობილობაჲ, სტომაქისა ტკივილი და წყურვილი, კბილისა ტკივილი, პირისა და ხორხისა სისხმელე, ცხროჲ რომელ მეორესა დღესა მოვი-
დოდეს.

ზაფრის მორევის, შემლის და სხელში დაშავების ნიშნები ასეთია:

პირის გემო ტკბილი იყოს და სწყუროდეს, პირი ყვითლად ედგას, საჭამადი არ მოუნდებოდეს, ბუნებაჲ შეეშალოს, ნერწყვი ყვითელი და მწვანე იყოს, გარ-
გასლის დროს გვაში ეწვოდეს, ფეელი თხელი და ცეცხლის ფერი იყოს, ხმა შე-
ეცვალოს, მაჯასი ფიცხლად ფეთქდეს.

შემდეგ აწერილია საერთო მკურნალობა.

III. მანკი, რომელ ბალღმისა მორევისა და შემლისგან იყოს; თუ ბალღამი მოერია
კაცისა ტანსა, დიდი სნებაჲ გამოჩნდების: ფილენჯი, სარიი, საქთაჲ, ქაბუსი, მოვიწ-
ყებაჲ, ასოთა სისუსთე, თმათა დახდა, მუტელის ყურყური, ნელდი ხველაჲ,
თავისა სიბრუე საჭამადისა არ მოდნობაჲ დია ბოყინებაჲ, თეთრი ბაჰაყი, თირ-
კმელისა ტკივილი, ბუშტისა ტკივილი, სტომაქისა სისუსთე, თვალთა სიბნელე
და კბილთა ტკივილი, და ცივი ცხროჲ.

ბალღმის მორევის და შემლის ნიშანი: პირი მუდამ ნელლათ ჰქონდეს და საჭამადსა
არ მოადნობდეს და დაეძინებოდეს და პირი უსივდეს, თავი ამძიმებდეს, ფსლის
ფერი თეთრი იყოს, მაჯასი ლბილი და უსუსური იყოს, სნეულის ფერი თეთრი
იყოს და ცხელი ჰაერი უყვარდეს.

შემდეგ აწერილია საერთო მკურნალობა.

IV. მანკი რომ სევდისა შემლისა და მორევისაგან იყოს. როცა სევდა მოერევა, მა-
შინ შემდეგი ავადმყოფობანი გამოჩნდებიან: უძილობა, ვასვასაჲ დიადი, ცნობისა შეშლაჲ,
ელნეთისა ტკივილი, მიწისა კამაჲ, კროფლი და შავი ბაჰაყი, არ გაძლომაჲ საჭა-
მადითა, სიბლენე ფერისა და ტყავისა, გახეთქილობაჲ და სიმშაგე, სიგონჯე და
მეოთხე ცხროჲ და მუგავის მათნი.

სევდის მორევისა და შემლის ნიშანი იგი არს, რომელ ელნეთი გაუდიდდეს, არ
დაეძინებოდეს, ეშინოდეს, მიწყით საგონებელსა შიგან იყოს და სტომაქი ეწვოდეს
და დამკლდეს, კაცთა თანა არ დადგებოდეს და ფსელი შავი იყოს.

აწერილია მკურნალობა.

ამით თავდება ზოგადი საკითხები და იწყება კერძო პათოლოგია და თერაპია.

წიგნის ეს ნაწილი მთავრდება შემდეგი განცხადებით: „და ელიაჲ ზანდუკთა კარი და ვი-
თარებაჲ ეგეთთა საქმეთა, რომელ აქიმთა მოეხმაროს სნებათა და კურნებათა მისთა თა-
დბირი მოკლე დანივთიანი მეცნიერთა ოსტატთა ნათქმევი ვთქუათ რომელ გამოსცნობდნენ
მხურვალთა გრილისაგან და სასებაჲ ღმერთან რცის“.

კერძო პათოლოგია და თერაპია

ამ ნაწილში მოცემულია ავადმყოფობანი, მათი კლასიფიკაცია, წარმოშობის მიზეზე-
ბი და მკურნალობა. ავადმყოფობათა აწერაში შემდეგი პრინციპია დაკული:

„ადამიანი მთლიანად“. ეს ნაწილი იხსნება თავის ავადმყოფობათა აწერით.

თავი „იე“ საბოასა თავისაჲ რომელსა ჰქვიან ქარტლი.

„იზ“ თავისა წყლული რომელ არაბულად საფაჲ ჰქვიან.

„იპ“ თმისა დახდისა და ბელატობისაჲ რომელსა ჰქვიან ასლაბი.

„ით“ თმისა გაპობაჲ და გათეთრებაჲ

„იჲ“ დაათალბ და დალჰაია ორივე ერთი არს, დაათალბ მელის ქირი და დალჰაიაჲ
გუელის ქირსა ჰქვიან არაბულად.

- „კა“ თავისა ტკივილი რომელ სიმბურვალისგან იყოს.
- „კბ“ თავის ტკივილი რომელ სინედლისგან იყოს.
- „კგ“ თავისა ტკივილი რომელ სისხლისგან იყოს.
- „კდ“ თავის ტკივილი რომელ ზაფრისგან იყოს.
- „კე“ თავისა ტკივილი რომელ მურვალ კართავან იყოს.
- „კვ“ თავისა ტკივილი რომელ ტვინისა ფარდატა სიმსივისაგან იყოს.
- „კზ“ თავისა ტკივილი რომელ ბაიტაჲ ჰქვიან არაბულად.
- „კც“ თავისა ტკივილი რომელ ნაკრავისაგან იყოს.
- „კთ“ თავისა ტკივილი რომელ მანმურობისგან იყოს.
- „ლ“ თავისა ტკივილი რომელ სტომაქისა სიმბურვალითა იყოს.
- „ლა“ შაყიყისა ტკივილი ნახევარ თავისაჲ არს.
- „ლებ“ თავისა ქნევაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დავარი.
- „ლგ“ მასდარი რომელ სიმბურვალისა ანუ სიგრილისაგან იყოს.
- „ლდ“ სარსამი რომელსა ჰქვიან თავეკიდი.
- „ლე“ სუბათი. თარგმანი დაძინებაჲ მძიმედ.
- „ლვ“ შეხუსი და ჯუმოდი ორივე სიგრალისაგან იქნების.
- „ლზ“ მალხოლიაჲ, რომელსა ჰქვიან სპარსულად დევანაჲ.
- „ლც“ ყუტრუბი რომელ დევანობით იქნების.
- „ლთ“ უძილობაჲ და ვასევისა სიმრავლე.
- „მ“ მიჯნურობაჲ და დაუთმობლობა. (ეს თავი ტექსტში არ არის).
- „მა“ მოვიწყებაჲ“ და არა დასწავლაჲ
- „მბ“ ქაბუსი რომელი მძინარეჲა ზედა დააწვების, ხიბალიკი ჰქვიან.
- „მგ“ ბედაფგანისა კურნებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სარი და კართულად მტერ-
თა დაკემაჲ.
- „მდ“ მტერთა დაცემაჲ რომელ სევდისაგან იყოს ან გრილთა კართავან.
- „მე“ საქთაჲ რომელ უგრძელად შეიპყრობს კაცსა.
- „მვ“ ფელიჯი რომელ ბალდმისგან იყოს.
- „მზ“ ასოთა სისუსთე რომელსა ჰქვიან არაბულად ისთისხაჲ.
- „მც“ დაბუქებაჲ ასოთა რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი.
- „მთ“ პირისა გამრუდებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ლაყვაჲ.
- „ნ“ თაშანუჯი, იგი არს რომელ ასონი გამხმარივითა იყვენენ-
- „ნა“ ქუხაზი და იმთიდადი ორივე თაშანუჯისგან არს.
- „ნბ“ ასოთა თრთოლაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად რაზე.
- ეს ნაწილი 37 თავს შეიცავს.
- თ ვ ა ლ თ ა ტ კ ი ვ ი ლ ი ს ა და ქ უ თ უ თ თ ა
- თავი „ნგ“ მქავანი და მღიერი თოველ თვალისა ბურგთა შეექნების.
- „ნდ“ ბარდი და თაჰაჯური და შაირაჲ რომელ თვალისა ქუქუთოჲსა შიგან იქნების.
- „ნე“ შათარა და თვალთა ერთმანერისა ზედა გარდაკრავა
- „ნვ“ საფაჲ და ვარდანაჲ და წამწამთა სიმეტე.
- „ნზ“ ქუქნაჲ და თუთაჲ და წამწამთა დახლაჲ.
- „ნც“ სალი და შურნაყი და სულყი, რომელ თვალისა ქუთუთოსა შეიქნების.
- „ნთ“ ლუდაჲ და ღარბი რომელ წამწამთა შიგან იქნების.
- „ნა“ თვალისა ტკივილი რომელ სისხლისგან იყოს.
- „ნაბ“ თვალისა ტკივილი რომელ ზაფრასგან იყოს.
- „ნაბ“ ტარფაჲ ნაკრავი არს რომელ თვალთა ეცეს დანახუნაჲ.
- „ნაგ“ სიწყულულე თვალთა და გაბერილობაჲ მისი

- „აღ“ საბალი და ცრემლთა დენაჲ რომელსა ჰქვიან საჰჯი.
- „აჲ“ ყუბელი და დიყაჲ და თეთრი რომელ თვალთა შიგან იქნების
- „აჲ“ სარტანი და დუბელაჲ რომელ მეორესა ფარდაგსა უკანით იქნების.
- „აზ“ თვალისა ადგომაჲ ერთობით ანუ ცოტაჲ.
- „აჲ“ სიფართე და სიფიწრე თვალისა ხურელისა.
- „აჲ“ ნითბარი თჳალის გუგამსა გაფართობაჲ არის.
- „აჲ“ თვალთა არ კარვად ჩენაჲ რომელ სიმხურვალით იყოს.
- „აჲ“ პირველ წყლისა ჩამოსვლაჲ თვალთა შიგან.
- „აჲ“ ღამით სიბრმისა და დღისით სიბრმისაჲ.

ეს ნაწილი 20 თავს შეიცავს.

ყურის და ცხვირის სნეულენიანი.

- „აჲ“ ყურთა ტკივილი რომელ სიმხურვალისგან იყოს.
- „აჲ“ ყურის სიმსიენე სიმხურვალისგან თუ იყოს.
- „აჲ“ წყალი რომელ ყურსა ჩაუხდეს ან მძრომელი.
- „აჲ“ ყურისა წყლული და თხამლისა და სისხლისა მოსვლა მისგან.
- „აჲ“ ხმისა მოსმენაჲ და ყივილი და ქარი რომელ ყურთა იყოს.
- „აჲ“ ყურისა სიმძიმე რაჲ სიგრილისგან იყოს.
- „აჲ“ ცხვირთა წყლული და გაბერილობაჲ მისი.
- „აჲ“ არ ყნოსებაჲ ცხვირთაჲ სიმხურვალითა რაჲ იყოს.
- „აჲ“ ცხვირთა სიმყარე და ნასორი შიგან რომელ იყოს.
- „აჲ“ ცხვირთაგან სისხლისა დენაჲ, რომელ არაბულად რუაფი ჰქვიან.
- „აჲ“ სურდოი რომელსა ჰქვიან ზუქამი და ნახლაჲ.

ეს ნაწილი შეიცავს 11 თავს.

პირის ტკივილი, კბილთა, ენისა და ბაგეთა.

- „აჲ“ კბილთა ტკივილი სიმხურვალისგან თუ იყოს.
- „აჲ“ შეკუმულობაჲ კბილისა და ძვრაჲ და დაეარდნაჲ.
- „აჲ“ სიმყარე და სიშავე და სისხლისა დენაჲ ღრძილთაგან
- „აჲ“ ღრძილისა სიმსიენე რაჲ სიმხურვალით იყოს.
- „აჲ“ პირისა ტკივილი და გაბერილობაჲ შიგან რომელი გამოჩნდეს.
- „აჲ“ პირისა სიმყარე რომელ ჰქვიან არაბულად აბხარი.
- „აჲ“ წყლისა დენაჲ პირისგან მძინარესა.
- „აჲ“ გასივებაჲ პირისაჲ სიმხურვალისგან თუ იყოს.
- „აჲ“ ენისა გაბერილობაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ყლაჲ.
- „აჲ“ ენაჲ რომელ გემოჲ ექციოს, არაბულად ლალაორა დაყვი ჰქვიან.
- „აჲ“ ენისა სიწყლულე და სიმძიმე და სისუსთე შიგან.

ეს ნაწილი შეიცავს 11 თავს.

ყელის, შკერდის და ფირტვის სნეულენიანი.

- „აჲ“ ჯამისა ჩამოსულაჲ რომელსა ჰქვიან სასაჲ თუ სიმხურვალისგან იყოს.
- „აჲ“ სასისა სიმსიენე და ჩამოსულაჲ ორთა კვიკვრთა რომელსა ჰქვიან არაბულად დუბადჰაჲ.
- „აჲ“ ხორხისა სიმსიენე რომელსა ჰქვიან არაბულად ხომინაყი.
- „აჲ“ ხორხისა ტკივილი სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისგან.
- „აჲ“ დეჲჩაჲ და ძვალი, რომელ ხორხსა დაეჩაროს.
- „აჲ“ სისხლისა ამოსვლაჲ ხორხისგან და რწყევითა ამოყოლაჲ სისხლისაჲ.
- „აჲ“ ხეულაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს ან სიგრილისაგან
- „აჲ“ ხეულაჲ რომელ სიხმელისგან იყოს ანუ სინედლისგან

„რგ“ რაბოა რომელ სიმბურვალისგან იყოს ანუ სიგრილისგან,
„რდ“ ფირტვისა გასივება რომელსა ჰქვიან არაბულად დათარაბა ჯაბ სიმბურ-
ვალისგან იყოს.

„რე“ ფირტვისა სიწყულულე რომელსა ჰქვიან არაბულად სილი.

„რვ“ გვერდთა სიმსიენე რომელსა ჰქვიან დათალჯანბი არაბულად.

„რზ“ ბარსამი რომელსა ჰქვიან არაბულად შავსაჲ.

ეს ნაწილი შეიცავს 13 თავს.

გ უ ლ ი ს ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი

„რც“ გულისა ტკივილი რომელ სიგრილისა, ანუ სიმბურვალისა, ანუ სინედლითა,
ანუ სინმელისაგან იყოს.

„რტ“ გულისა ფეთქა რომელსა ჰქვიან არაბულად ხაფაყანი.

„რი“ დაბნედილობაჲ, რომელსა ჰქვიან არაბულად ლიწყი.

ეს ნაწილი შეიცავს სამ თავს.

სტომაქის სნეულებანი ¹⁾.

„რიე“ არგადლომაჲ ჰამისგან რომელსა ჰქვიან არაბულად შავათალ ქალბიაჲ და
ჯუალ ქალბი, თარგმანი მისი ძლომილისა სიმშილი.

„რივ“ მიწისა და გაჩისა და შლაშისა კედლისა ჰამაჲ.

„რიც“ წყურვილი და წყლისა დია სმაჲ.

„რიზ“ ²⁾ სტომაქისა პირისა ფეთქისა ვითარებაჲ, რაჲ სიგრილისგან იყოს.

„რით“ ჰაბტაჲ და გარჯაჲ რამელსა ჰქვიან არაბულად თუსმაჲ და ქართულად
ელდაჲ.

„რკ“ დარაბი სიღბოჲსა ჰქვიან რომელ გავრძელდეს.

„რკა“ ზალაყალიმდა და ზალაყალ—ამაჲ ორივე სიღბოჲ არს თარგმანი მისი სტო-
მაქისა და წილთა სიგლუსუნე.

„რკბ“ მანიშ გუთანი რომელსა ჰქვიან არაბულად ლაშაჲანი.

„რკვ“ სისხლისა ამოღებაჲ ხორხისგან რომელ სტომაქისგან იყოს.

„რკდ“ რწყევად ოდენი რომელ სიღბოჲ არ ერთოს თანა.

„რკე“ ბოყინებაჲ დიაჲ, რომელ სტომაქსა შიგან ჩაჭრილ იყოს.

„რკვ“ ხრცოლაჲ, რომელსა ჰქვიან არაბულად ფავაყი და სპარსულად საქბაიქი.

„რკზ“ სტომაქისა ტკივილი სიმბურვალისგან რაჲ იყოს.

„რკც“ სტომაქისა სიწყულულე რომელ შიგან სისხლი ანუ სქი გაყინულ იყოს.

„რკთ“ დია ნერწყვისა გაგდებაჲ და სინედლე, რომელ პირსა შიგან დია შეიყრე-
ბოდეს.

თავი „რლ“ ტექსტში არ არის.

ეს ნაწილი შეიცავს 15 თავს.

ღ ვ ი ძ ლ ი ს ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი

„რლა“ ღვიძლისა ტკივილი სიმბურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

„რლბ“ კურნებაჲ ღვიძლისა სიმსიენისაჲ რაჲ სიმბურვალისგან იყოს ³⁾.

„რლდ“ ღვიძლისა სიმსიენე რომელ გზათა შეკრულობისგან ქნილ იყოს,

„რლე“ ისთისყაჲ რომელსა ჰქვიან მუცლისა გასივებაჲ.

„რლვ“ ისთისყაჲ ლაჰამი და რაჲცა სიმბურვალესა უყანით იყოს.

„რლი“ ყვითელი და შავი ზარირი, რომელსა ჰქვიან არაბულად იარაყანი ⁴⁾.

¹⁾ ამ რვეულს აკლია დ ფურცელი და შემდეგი თავები „რია“, „რიბ“, „რიგ“, „რიდი“.

²⁾ ამ თავს ტექსტის სარჩევში თავთა სათვალავი უზის „რიზ“ და სწერია თავი „რიც“ წინ.

³⁾ ეს თავი შეიცავს „რლვ“ თავსაც. თავი „რლვ“ ტექსტის სარჩევში არ არის.

⁴⁾ ამ თავს ტექსტის სარჩევში უზის თავთა სათვალავი „რლზ“.

ეს ნაწილი შეიცავს 6 თავს.

ელნეთის სნეულებანი.

„როლ“ ელნეთისა ტკივილი რომელ სიმხურვალისგან იყოს.

„როლთ“ სიმსიენე ელნეთისაა სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან

„რმ“ სისხლისა დაჯდომამა თუ ღვიძლისგან იყოს.

ეს ნაწილი შეიცავს 3 თავს.

წელთა (ნაწლავთა) და მაცადისა სნეულებანი.

„რმა“ სისხლისა დენამ მუცლისგან რაჲ წელთა სიწყულლისგან იყოს.

„რმბ“ ზაპირი სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან ¹⁾.

„რმბ“ მალასი ეგეთი მანკი არს რომელ ეგრე ეგროს კაცსა თუ მისსა წელსა უკ-
ბენს რამე.

„რმგ“ ყოლინჯი ეგეთი მანკი არს რომელ ყოლინსა წელსა შიგან იქნების.

„რმდ“ ელაოს ერთ ფერი ყოლინჯი არს ღმერთმან ნუვის მისცეს.

„რმე“ ქიაა გრძელი და მოკლე და ქუდედნამ რომლისა არს თარგმანი აყირომასა
თესლი.

„რმე“, ბევასირი და თუთაა რომელ გუჰამსა შიგან იქნების.

„რმზ“, ნასორი და დანაყოლობა რომელ გუჰამსა შიგან იქნების.

„რმპ“ სიწყულულე გუჰამსა, ანუ ძარღვისა თაჲი რომელ შიგან გახსნილ იყოს.

„რმთ“ გუჰამისა სიმსიენე და სისუსტე და გამოსვლა მასი და ქავილი.

ეს ნაწილი შეიცავს 10 თავს.

თირკმელისა და მათანაჲსა (საწყლე ბუშტი) სნეულებანი.

„რნ“ თირკმელისა ტკივილი სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

„რნა“ თირკმელისა სიმსიენე სიმხურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

„რნბ“ თირკმელისა სიწყულულე და სისხლისა დენამ სარცხენელისგან.

„რნგ“ ქვაი ანუ ქვიშაა რომელ თირკმელსა შიგან იყოს.

„რნდ“ ფსლისა წითენამ ცვარცვარად რომელსა ჰქვიან არაბულად სალუსალბავლი.

„რნე“ ფსლისა შერკულობამა რომელსა ჰქვიან არაბულად ასირალბავლი.

„რნვ“ ფსლისა უნებლიე გამოსვლა.

„რნზ“ ბუშტისა სიმსიენე სიმხურვალისაგან რაჲ იყოს.

„რნპ“ მათანაჲსა სიწყულულე ვითამცა ბუშტისა და ქვაა რომელ შიგან იყოს.

ეს ნაწილი შეიცავს 9 თავს.

მამაკაცის სასქესო ორგანოს სნეულებანი.

„რთ“ სარცხენლომასა ადგომამა დიაცისა უნდობლად.

„რა“ სარცხენელისა სისუსტე და წყლისა დენამ მისგან უნდობლად და უსიჰა-
მოვნოთ.

„რაჲ“ სიმსიენე სარცხენელისა რაჲ სიმხურვალისგან იყოს.

„რაბ“ დიაცისა არ მონდომამ სიგრილისაგან იყოს და თუ სიმხურვალისაგან.

„რად“ ყვერისა სიმსიენე სიმხურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

„რაგ“ ფეტყისა ქარისა ვითარებამა რომელ საზარდულსა შიგან ანუ ყვერთა ში-
გან იყოს.

ეს ნაწილი შეიცავს 6 თავს.

დედაკაცთა სასქესო ორგანოს სნეულებანი.

„რავ“ ზეჰდანისა შეკრულობამა რაჲელსა ჰქვიან არაბულად იპთინაყალ რაჰიმ.

„რავზ“ წიღოვნობისა გახსნამა რომელსა ჰქვიან ნაზეთი.

¹⁾ თაჲი „რმბ“ ორჯელ არის განმეორებული ტექსტშიაც და სარჩევშიაც.

„რამ“ წიდიონობისა შერკულობაა რომელსა ჰქვიან ილთიბასალტამთ.
 „რამ“ გასივება საშობელისა რომელსა ჰქვიან ზეჰდანი.
 „რო“ საშობელისა სიწყულელ და კირჩხიბი რთმელ შიგან იქნას, რომელსა ჰქვიან არაბულად სარატანი.
 „როა“ კიდ გამოსვლა საშობელისა და სინედლისა დენა მისგან
 „რობ“ შვილისა მოვდება და ვნება და ქარები რომელ იყოს საშობელსა, ზეჰდანსა შიგან.
 „როგ“ არ დაორსულება და შვილისა არ მოცემა მამაკაცისაგან იყოს თუ დიაცისაგან.
 „როდ“ ძნელად შობა და მაშობა გამოსვლა.
 „როე“ ძეძუთა სიმსიენე სიმსურვალისგან რამ იყოს.
 „როვ“ ძეძუთა სიმსიენე და სძე რომელ შიგან შვიკრას.
 ეს ნაწილი შვიცავს 11 თავს.
 საქციელთა და ზურგისა სნეულებანი, აგრეთვე ხელთა და ფეხთა ტკივილი.
 „როზ“ ზურგის ტკივილი სიმსურვალისგან იყოს თუ სიგრილისაგან.
 „როძ“ სიკუზე რომელსა ჰქვიან არაბულად ჰადაბა.
 „როთ“ ირყანისა იგი არს რომელ ბარკლისა თავით კოჰაძინ სტკიოდეს.
 „რპ“ საქციელთა ტკივილი რომელსა ჰქვიან არაბულად ვაჯალ მფასილი და სპარსულად დარდი ბანდაჰა.
 „რპა“ ნიკრისი სიმსურვალისაგან თუ იყოს.
 „რპბ“ დავალი და დაღვილი ორივე ფერხთა შეეკნების
 „რპვ“ ნახუნურაბ რომლისა თარგმანი არს ფრჩხილისა მკამელი და რიშთა რომელსა ჰქვიან მედი, რომელ ფრჩხილისგან გამოვა.
 „რპვ“ ვაზობა ხელისა და ფერხისა და სიცივისა ცემა და ზრომა.
 ეს ნაწილი შვიცავს 8 თავს.
 კანის ავადმყოფობანი და სიმსიენეები.
 „რპვ“ ქალაფი რომელსა ჰქვიან კროფლი და ქუნჯიდა და ბარიში და ნამიში.
 „რპვ“ ყობა რომელსა ჰქვიან მეჰეჰი და თუთა რომელსა არაბულად შირე ჰქვიან.
 „რპზ“ ხმელი და ნელი მლიერი და ქავანი ტანისა.
 „რპძ“ ოვლისა დენა დია და ოვლისა არ გამოცემა.
 „რპთ“ წილი და ტილი რომელ დაესხას თმისა ძირსა.
 „რე“ კეთრიანობა რომელსა ჰქვიან სპარსულად ფესი და არაბულად ბარასი და შავი და თეთრი ბაჰაყი რომელსა ჰქვიან ქართულად.
 „რეა“ განდუმა რომელსა ჰქვიან არაბულად თალღლა და ქართულად მეჰეჰი.
 „რებ“ ათაში სპარსი რომლისა თარგმანი არს ცეცხლი სპარსული
 „რევ“ ყუბილი რომელსა ჰქვიან არაბულად ჯოდრი და სპარსულად და..... (წაშლილია).
 „რედ“ ჰომრია სიმსიენესა ჰქვიან და ხორაა წელისა სიწყულელსა.
 „რეე“ ჯოდრი რომელსა ჰქვიან სიგონჯე.
 „რევ“ პირისა ზღუტევა და პირისა სიბნელე და ფერისა სიმრღე რამ მზისგან იყოს.
 „რეზ“ მხურვალი სიმსიენე რომელ სისხლისგან იყოს ანუ ზაფრისაგან.
 „რეძ“ გრილი სიმსიენე რომელ ბალმისგან იყოს ანუ სვედისგან.
 „რეტ“, სარატანი რომელსა ჰქვიან კირჩხიბი და სპარსულად ხარჩანგი.
 „ს“ ლორთელი და სალა რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს
 „სა“ ტაუნი და დუბალა რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს
 „სბ“ დუნბალი რომელსა ჰქვიან მჯდომი და გავარსა და ბაღობილა რომელ გამოჩნდეს.

ეს ნაწილი შეიცავს 18 თავს.

სიციხიანი დაავადებანი.

„სგ“ ცხროა ყოველთა დღეთა რომელ წყრომისგან იყოს ანუ შიშისგან.

„სდ“ ყოველ დღეთა ცხროა რომელ საქამადისგან იყოს ანუ სიმშობისაგან.

„სე“ ცხროა ყოველთა დღეთა რომელ მივიდოდეს თუ შევირგებისგან იყოს და თუ კირთაგან.

„სვ“ ყოველთა დღეთა ცხროა რომელ დია სიციხისგან იყოს ანუ დია- სიცივისგან.

„სზ“ ცხროა ყოველთა დღეთა რომელ სიღბოასგან იყოს ანუ სურდოასგან.

„სც“ ცხროა რომელ უძილობისგან იყოს ანუ სიმსიენისა ტკივილისაგან.

„სთ“ ღიბისა ცხროა ორფერად იქნების ლაზიზმა და ნაბიამ.

„სი“ ცხროა მოტბაყისა რომელ სიმზურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

„სია“ ნიადაგ ცხროა რომელ მოპრიყაა ჰქვიანი და ბატრალ ღიბი.

„სიბ“ მეოთხე ცხროა რომელ სევისგან ანუ სხვაა ხილტისაგან იყოს.

„სივ“ მეხუთა ცხროა და მეექვსე და მეთერთმეტე და სხვაა ებრტია.

„სიდ“ ვაზაჲსა ცხროა და ეგეთი ცხროა რომელ სნებათა უჯანის იყოს.

„სიე“ დიყისა ცხროა.

ამ ნაწილში 13 თავია.

მოტეხილობაჲ ძეალთა, წყლულები, დამწვრობა და გველის ნაკებნი. ღრიანკალისა ანუ ფუტკრისა.

„სივ“ მოტეხ-ლობაჲ ძეალისა და ნაკრავი რომელ ასოთა ეცეს, და თავისა გატეხილობაჲ.

„სიზ“ ბალხური წყლული და ახალი და ძეველი წყლული.

„სიც“ ცეცხლითა დამწვრობაჲ და ერბოთა მდღღრითა და მდღღრითა წყლითა.

„სით“ თავი რომელიც სარჩევში არის ტექსტში აღარ ირკვევა (დაზიანებულია).

ამ ნაწილში 4 თავია.... შემდეგ ტექსტი წყდება.

რომ შევადაროთ ტექსტი და სარჩევი, დაეინახეთ, რომ თავების დალაგება დაახლოვედით სწორია, მაგრამ ამა თუ იმ ავადმყოფობის სახელწოდებაში თუ განმარტებაში საგრძნობი განსხვავებაა. ეს განსხვავება წიგნის შემდგომი დამუშავებისა და მრავალჯერ გადაწერის შედეგი უნდა იყოს, თუმცა წიგნის საერთო სტრუქტურა და პრინციპები საესენით დაცულია. შეიძლება კიდევ ვითქვითოთ, რომ ეს განსხვავება წიგნის გაქართულების შედეგი იყოს. ცხადია, ქართული ავტორები აუცილებლად საკუთარ განმარტებასა და დაკვირვებას შეიტანდნენ ტექსტში მისი შემდგომი დამუშავებისა და გადაწერის დროს. სხვანაირად ვერც მოხდებოდა, რადგან ორი საუკუნის მანძილზე აუცილებლად შეიცვლებოდა როგორც ავადმყოფობის გაგება, ისე მისი მეურნალობა.

ამგვარია წინამდებარე წიგნის ფილოსოფიურ-მედიკური კონცეპცია, ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიური შეხედულებანი, ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, დიეტეტიკა და დიაგნოსტიკური ცნობანი, ზოგადი და კერძო პათოლოგია და სამეურნალო საშუალებანი.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს ძალიან უდგება ძველ ბერძნულ-რომაულ ფილოსოფიურ-მედიკურ კონცეპციას, რომელიც ცნობილია „გალენიზმის“ სახელწოდებით და რომელიც მთლიანად იყო მიღებული და გამოყენებული არაბეთში.

ამ კონცეპციის შემქმნელი-სახელგანთქმული კლავდიუს გალენი (131—201 წ. ქ. შ.), რომელსაც უმაღლეს წერტილამდე განავითარა საბერძნეთის მედიცინა და რომელიც ითვლება უკიდურეს დოგმატიზმის წარმომადგენლად, ექსპერიმენტალური სკოლის შემქმნელად და მეთაურად.

აი რას ამბობს მასზე ძველი მედიცინის გამოჩენილი მკვლევარი Daremberg-ი (დარემბერგის წიგნის უქონლობის გამო ციტატა მოყვანილია კონვენტის წიგნიდან—იხ. С. Ко-

внер. „История древней медицины“, гав. III, Киев, 1888 წ., გვ. 823): „დაკვირვებათა ნიშანმდებლობით, თუ კი მართლა მას (გალენს) სურს დაკვირვება, იმის მაგივრად რომ ბრძად სწამდეს, მისი ანატომიური აღწერილობათა სისწორით, და შეხედულებათა სისწორით ავდილობრივ ცვლილებათა გაგებაში და სისწორით გაგებულ ავადმყოფობათა მკურნალობის შორისმჭერტლობით, ის შეიძლება ჩაითვალოს შეჭმნენილად ადამიანის ნამდილი ანატომიის, ექსპერიმენტალური ფიზიოლოგიისა და ადგილობრივი დიაგნოსტიკის. ის დაჯილდოვებული იყო უზენაესი ნიჭის ყველა თვისებით—მხოლოდ მას აკლდა გენიალობა. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი ნიჭის ხასიათი, მას უპყრია ხელთ მედიცინის მთელი წარსული და მომავალი. მან მოკრიბა გარდმოცემათა ქსელი და შეჭრა ისეთი მაგარი კვანძით, რომლის გაკვეთაც მთელი 15 საუკუნის მანძილზე ვერ შესძლო ვერც სოციალურმა რევოლუციებმა, ვერც დიდ იმპერიათა მსხვერვაემ, ვერც უმეტრებამ ახალი და ვერც დაუძღვრებამ ძველი ხალხების“.

ამ წიგნის და საერთოდ არაბული მედიცინის შედარება გალენთან და ძველ ბერძნულ-რომაულ მედიცინასთან იმდენად საინტერესოა რომ ცალკე კვლევას და შრომას მოითხოვს. ერთი რამ კი ცხადია და ეს წიგნიც ნათლად ამტკიცებს იმ აზრს, რომელსაც ადგია მედიცინის ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი—რომ არაბების მთელი გონებრივი საუნჯე წარმოსდგება ბერძნული წყაროებიდან, რომლებიც მათ მხოლოდ თავისებურად გადაამუშავეს.

იმ მრავალ მიზეზს შორის, რომლებიც ამ გასაოკარი ხალხის ორიგინალური აზროვნების განვითარებას ხელს უშლიდა, უმთავრესი მაინც ყურანი იყო. აი რას სწერს ამის შესახებ Haeser-ი („История и Основы медицины“, С. П. Б., 1888 წ. გვ. 74): „მაგრამ არაბთა გონებრივი ცხოვრების თავისუფალი განვითარების ყველაზე უდიდეს დამაკოლმად მაინც ყურანი უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს „ხელთუქმნელი“ წიგნი შეიცავდა მართლმორწმუნისათვის ყველასფერს, რაც საჭირო იყო ქვეყნიურ და ზეციურ მოვლენათა და საგანთა შეგნებისთვის. ის, რასაც ერქვა მეცნიერება და არ მოიძებნებოდა ყურანში და მით უმეტეს ეწინააღმდეგებოდა მას, ღირსი იყო გამოხისა და განკაცების“.

მაგრამ, ამ ზედმეტად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, არაბებმა მაინც შესძლეს შეეთვისებინათ იმ დროინდელი კაცობრიობის მთელი გონებრივი და კულტურული მონაპოვარი, დაეკვთა ის, საგრძნობლად გაემდიდრებინათ და გადაეცათ მერმინდელ კაცობრიობისათვის.

და ისტორიას ახსოვს ისეთი დროც, როდესაც რომაელები და თვით ბერძნებიც კი არაბულიდან სთარგმნიდნენ საექიმო წიგნებს. რაც შეეხება ქიმიას და წამალთმკოდნობას ამ დარგში არაბებმა იმდენი რამ შეჭმენეს ახალი და ორიგინალური, რომ ბევრი მათგანი დღესაც ძალაშია და ხმარებაში; საკმარისია დეავსახელოთ სინდიცი, აზოტის სიმყავე, ალკოჰოლი, ნავტალინი, ქაფური და მრავალი კიდევ სხვა, რომ ნათელი გახდეს აქ ძველი აღმოსავლეთის უგანათლებულეს ხალხის დამსახურება კაცობრიობისა და კულტურის წინაშე.

ესლა ვნახოთ, თუ რას ნიშნავდა „ნიშანთა შეტყობაჲ“ ანუ როგორი იყო ავადმყოფის გასინჯვის ტექნიკა, რის მიხედვითაც უწერდნენ წამალს და რა ხერხებია წინამდებარე წიგნში ნახმარი ამა თუ იმ სნეულების განსაკურნებლად.

როგორ სინჯავდნენ ავადმყოფს? ამის შესახებ ცალკე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ტექსტის მანძილზე შიგადაშიგ ნათლად ჩანს, რომ იმ დროს საკმაოდ დახვედროვნებულნი ყოფილან ამ საქმეში.

მაგალითად, თავში „რლე“ ვკითხულობთ: „და რაჲ მუცელსა ხელი დაჰკრან, ხმაჲ მისი ეგრე იყოს, რომელ წყლითა სავსე კუპრიელისაჲ ხმაჲ და შიგან წყალი იყოს“.

თავი „რღვ“: „და რა ხელი მანკისა ადგისა შემოჰკრან, ხმა მისი ტაბლისასა ჰგვანდეს, ვითამცა ღუნბჯლისა ხმისა“ (ღუნბჯლი პატარა ნალარაა).

შემდეგ, თავი „რგე“: ყვერი წითლად იყოს და ხმაჲ ეტრატისა იყოს (ეტრატი ტყავის ქალაღლია).

აქედან ნათელია, რომ იმდროს პერკუსია იყო ცნობილი (რასაკვირველია, თავისებურად). თუ პერკუსია იყო, პალპაცია ანუ „ხელით შეძება“-ც იქნებოდა და ჩვენც თავში „რგე“ ვკითხულობთ: „ამ ორთა ფერთა სხვათა ნიშანი ხელითა შეიძების, აზრითა, ანუ ხელითა და აზრით შეიძლება შეტყობაჲ“.

ან კიდევ თავი „რკბ“: „რა ხელი სტომაქსა შემოსდეს და მსურვალედ იყოს“. შემდეგ, თავი „რღვ“: და რაჲ მუცლისა სინსიენესა ზედა თითი დააკიროს ჩადგეს ღრუდ ლარაჲ ხელი აიღონ ზეგე შემოჯდეს და გასწორდეს“. ეს ხერხი როგორც ვიცით დღესაც ძალაშია.

საგულისხმოა ფეტყის ქარის დიაგნოსტიკა. თავი „რგე“: „სნეული პირადმა დააწვიონონ, ორგე ხელი მანკისა ადგისა შემოსდენ ქარი თავისა ადგისა მივიდეს“.

სკოდნიათ აგრეთვე საშვილოსნოს კარის გაღება. თავი „რო“: „რაჲ ზეჭდანისა (საშვილოსნოს) კარი გააღონ და დედათა შიგან შეხედნენ სიწყულლე კიდე ჩნდეს თვალითა ნახოს“.

თუ ამას დავუმატებთ მაჯის ან, უკეთ, მაჯასის გასინჯვას, შარდის გასინჯვას და თვალთ ნახვას ანუ ავადმყოფის „დახედვას“ რომ ეძახდნენ, სურათი ნათელი გამოვა.

მაგრამ მაინც მთავარი, როგორც ჩანს, ანამნეზი იყო „და ჰკითხოს ავადმყოფსა“. „და ავადმყოფმან თითონ უამბოს“, „ავადმყოფისა გამოკითხვითა შეიგების“ და სხვა... ამ შემთხვევაში ექიმის გამოყვლილებას ანუ „მონახულობას“ ვადაძეგვრელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ თავი „რო“ ვადმოგვეცემს: „ნიშანი ზეჭდანისა (საშვილოსნოს) გამოსვლისა იგი არს რომელ გამოსულ იყოს და თვით შეიგენს და ესე უმეცართა (უტოლდინართა) აქიმთა არ იციან და ყოლა ამას მანქა ვერ შეატყუებენ თუ დია მეცნიერი აქიმი და მონახული არ არის“. ან კიდევ თავი „როა“: „რეგვენთა და უმეცართა აქიმთა მრავალი ჩაუგდია ცხროასა და სნებათა შიგან უმეცრობითა“.

ენახით ახლა იმ დროინდელი სამეურნალო ხერხები.

როგორც ვიცით, მთავარი იყო ხელის გახსნა, ჭიქით სისხლის გამოწოვა, ჭიქის ცეცხლით მოკიდება, დაშავრა შაშარით, დადაღვა გახურებული რკინით, მუცლის გახსნა, რწყევა, ტლეს შემოდება, ჰუნის გაცეცება.

როგორც კეთდებოდა ეს მანიპულაციები, ამ წიგნში ცალკე არაფერი სწერია, მაგრამ ეს იმდენად საინტერესოა, რომ ამის შესახებ ცნობას მოვიყვანოთ სხვა ხელთნაწერებიდან.

ხელთნაწერი № 3045 (საისტ. ფონდი): „ნებიოთა ღვთისათა ბაგრატ ასე ბრძანებს: რომე ძარღვისა გახსნა უბრძანებია სენისა უფალისათვის ესე არის, აწ სწერია, თავით ფეხებამდის ეს ოცდა თერთმეტი ძარღვი არს:

1. თავუხი—ზედათ თვისა შუა არს.
2. შუბლის ძარღვი
3. სადალნი:
4. ზუნანი—რომე ორთავე ყურთა უკან არის
5. მაყინი—რომე ორთავე თვალთა კილოსა არის
6. რასულანავ-რომე ცხვირის თავსა არის
7. შვედანი-რომე ორთა ბაგეთა არიან
8. თათულისანი-რომე ენასა ქვეშე არის
9. კიდევ ორთა ყბათა შუა არის

10. ყიფალი-რომე მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის
11. აქალი-რომე ყიფალსა და ბარკალსა შუა არის
12. ბასალიყი-მკლავის სადრეკსა ქვეშე ნაპირსა არის
13. აბლეზირა-რომე ცერის უკან არის
14. სელიმი-რომე ნეკსა და თითის შუა შემართებით არის
15. თათრუქაბა-რომელი მუხლთა ქვეშე არის
16. რომე კუთა ზევით არის
17. ნასაია და არყნისაცა ჰქვიან, ესე ქუსლსა ზემოთ არის და ესე ყველა ცხადათ ჩანს.

(დანარჩენი, რომელიც ცხადად არა ჩანს, მოყვანილი არ არის).

შემდეგ: „რომელი ძარღვი უფრო მუდამ გასახსნელი არის ეს არის ყიფალი, აქალი, ბასალიყი, საფანი და აბლეზირა და სელიმი და მამაზი, არყანისა“... „მაგრამ ყიფალსა როგზედ უნდა გახსნა: შაშარი წმინდა უნდა, შიგ არა დამალოს, და ბასალიყი რომ გახსნა-ნა ასრე უნდა, ზურგი კედელზე უკუაქირო და აგრე უნდა გახსნა და ბასალიყისა ძარღვის ბევრი ზელა არ უნდა და თბილის წყლით უნდა თავზე დასხმა, დიდის მანდილთა უნდა შეკერა, გახსნისა დროსა დაჯდეს.

„მაბიზის გახსნასა სად უნდა შეკერა? ვითამცა წვივინი და ბარკალიცა შეუქარან და ბევირი ბივი უნდა წაიაროს და მრავალჯერ უნდა ადგეს, დაჯდეს, უფრო ძარღვი გამოჩნდების, თუ შაშარის წვერი ძარღვის დამოხასა მიხედეს ხელი იყოს ანუ ფეხი გაუსივდეს და გასივდეს სრულიად ტანზედა—ისი ზეთი უნდა შესცხო და ნედლის ქინძის წყალი და წითელი სანდალი, და თუ ამისთანა საზიანო ფეხშიგან მიხედეს მარჯვენა ხელი იმა მხარისაკენ უნდა გაუხსნა. თუ ბაყლი დადგომილი იყოს წყულუს უნდა გაფართოება და მგრები უნდა შემოსდეს, როვე ბაყლი გამოვიდეს და თუ კარგად გახსნილი ძარღვი გამწელდეს და ტუავს ქვეშეთ ძარღვის ადგილი გალურჯდეს სანამდისინ არ გამოაყელდების იმ ხელითა ან ფეხითა საქმე არა ქნას“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ძველი აქიუმები ხელის გახსნაში საკმაოდ დახელოვნებულნი ყოფილან.

ენახოთ ახლა კიქის მოკიდება, ამ ხელთნაწერში კიქის კოტოში ჰქვიან, აქ ლაპარაკია სისხლის გამომწოვ კიქაზე:

„თუ ხორეება ტანშიგან დაფანტული იყოს ამას გამოიღებს, თუ ქვეშეთ მოიკიდებს სულ ტანისა სისხლსა ჩამოიღებ, ამისთვის რააცა ზემო სენი არს ყველას ქვემოთ ჩამოზიდავს“—მერმე „რომელსა ასოსა კოტოში მოიკიდოს ისი ასო გამოწმინდოს—კოტოში ვაჟაა და ბერთა კაცთა ხელისა გახსნისა სანაცვლო არს და ყმაწვილსა სანამდის ძეშუ არ დაადგებინო ნურც ხელსა გაუხსნი და ნურცა კოტოშსა მოიკიდებ და თუ მწვევედ დაექირვოს ისეთი შაშარი ჰკარ რომე მწე მოკლე და წმინდა იყოს, თვარემ ვერა გასძლვს. ყმაწვილისა, ბერისა კაცისა საქმე სწორი არს, რაა სამოცისა წლისა შეიქნების კაცისა სისხლისა გამოღება აღარ ვარგა, ამისთვის რომე სისხლიცა მოიკიდებს და ზორცითა მკლობასა დაიწყებს“.

ამას გარდა, კიქის მშრალადაც ჰკიდებენ: „და კიქა ცეცხლითა ზოკვიდონ მკერდზე“ (თავი „რაზ“).

დამაზრვა შაშრით ხდება—შაშარი წვერილი ლახვარია ლანცეტით. დადავს—გაცეცხლებული რკინით. ტლეს შემოსდებდნენ როგორც კომპრესს.

რწყევს ასე ხდება: ხელთნაწერში № 1318 (საისტ. ფონდი) ვკითხულობთ: „რწყევის დროს ასრე უნდა, ორივე თვალი აიკრას, მუცელი შეიხვიოს. რწყევის უკან პირი და ხელი ცივის წყლით დიბანოს და გამოირეცხოს—კვირაში ზედხედ ორ დღეს არწყვიოს და ხუთ დღეს მოსვენებით იყოს ასრე რომ ორშაბათ დღეს არწყვიოს და სამშაბათ დღეს აგრევე, ხუთ დღეში მოსვენებით იყოს“.

აი ამგვარია ტექნიკური შესრულება და ჩვენებანი სხვადასხვა სააქიშო მანიპულიაციების დროს. მაგრამ საკითხი ამით არ იწურება, წინამდებარე წიგნში ნაჩვენებია კიდევ ისეთი მანიპულიაციები, რომელნიც თითქმის განცვიფრებას იწვევენ. ენახით.

თავი „უზ“ გადმოვეცემ: ღუნაყის დროს „თუ არ იჯობინოს და სიკვდილისაგან საშინოა იყოს უმჯობესი იგი არს რომელ, ხორხისა ყერყეკსა ტვეშ გახვრიტოს. ორთავე მრგვალთა და რაა სისმიენისგან მოჩქმით იყოს ხერელი შეკეროს და ესე სიკვდილისა საშინოაჲა ჟამი იქნების იცოდე“.

როგორც ვხედავთ, აქ მანიპულიაცია კი არა, მთელ ოპერაციაზეა ლაპარაკი Tracheothomia'-ზე.

ავილოთ შემდეგ თავი „რაა“: ფსლის შეკრულობის დროს „ყათატირი სარცხუნელსა ხერელსა შიგან შეუტყრას რომელ ფსელი გამოვიდეს და ესე სადასტაქროა არს მაგრამ რაი დაეკირებოდეს ლონისა ძებნა უნდა და ყათატირი ქურქელი არს კალამი (ლერწამი) უგულოა ვითა რომელ დასტაქარნი ამა საქმისთვის იქმან და ხმარებისა ჟამსა ვითა ღარსა დაუტებენ“.

შემდეგ თავი „რობ“ (ქალურ ავადმყოფობაზეა ლაპარაკი): „წინამდგომმან დიაცმან (ბებია) ხელითა დააცხიბიანოს ზალბითა და ერბოჲათა და შეუყოს ხელი მუნ (საშვილოსნოში) და იგი გამაგრებული სისხლი გამოიღოს“.

აი კიდევ ძნელად მშობიარობის დროს—თავი „როდ“: „და თუ ძნელად შობაჲ მაში-მაჲსა (ბუღისა) სისქისგან იყოს მოიჭირეოს რომე ფრეხილთა ანუ დანის წვერითა გააღოს“.

შემდეგ იმავე თავში ვკითხულობთ: „თუ ბუღე არ გამოდიოდეს და ზეჭანისა თავი ღიაჲ იყოს წინა მდგომმან დიაცმან შეხედნეს, თუ ნახოს რომელ მაშიმაჲ (ბუღე) მოგრეხილ იყოს ხელი დაიცხიბიანოს ერბოჲათა დაეკიდოს და გამოიღოს“.

თავი „რაჲ“: „წყალმანკის დროს“ „გახსნითა წყალი კიდე გამოიღოს ვითა მუცელსა გაჭხნინან ისთისყაჲათვის“.

მაგრამ ყველაზე მეტ განცვიფრებას იწვევს ის, რომ გლაუქომის დროს წყალს უღებდნენ თურმე თვლიდან, დღეს ოფტალმოლოგიაში ეს ოპერაცია ხდება სულ აღრე, ახლად დაწყებითი გლაუქომის დროს და მეტისმეტად რთულ ოპერაციად არის მიჩნეული. თავში „ოა“ ვკითხულობთ: „თუ წყალი ჩამოსრულ იყოს (თვალთა შიგან) ყადაჩისა კიდე არა იქნების და ყადაჩი წყლისა გახსნასა ჰქვიან მილისა წვერითა“ (მლი ინსტრუმენტია).

კიდევ ასეთი ხერხი გვხვდება თავში „ჟთ“: „თუ ძული (იგულისხმება ფხა) დაადგეს ხორხსა, ცოტაჲ ხორცი წითელი მკედსა (მაგარი ძაფი) მოაბას და ჩანთქას და მაშინ ამოზიდოს უღონოდ, ძვალი მას ხორცსა მოეკიდების და გამოჰყვების“.

როგორც ჩანს, მზით მკურნალობას და, ასე ვთქვათ, ცხელი ქვიშის აბაზნებსაც იყენებდნენ. თავი „რლე“: „და თუ ზაფხული იყოს ცხელსა ქვიშასა შიგან ჩაწებოდეს და მუცელსა ცხელსა ქვიშასა ზედა დასდებდეს“ ეს ისთისყოს დროს ანუ მუცლის გასიების დროს—როგორც ჩანს, ტუბერკულაზური პერიტონიტი უნდა იყოს.

თავი „რმე“: „თალარი (თაბახით არის) გახვრიტოს ზედა დაჯდეს და ქვეშეთ იკმოლოს“.

აი კიდევ მუაილის დროს: „და თუ თმითა და აბრეშუმითა წმინდათ შეკრას (ბუაილის კვანძი) კარგი არს, თვით დაეარდების“.

ყველა იმის გარდა, რაც აქ მოვიყვანეთ, ისეთ ხერხებსაც ხმარობდნენ, რაც დღეს აღარ იხმარება და დიდი მნიშვნელობა კი უნდა ჰქონოდა. მაგალითად, თავი „სგ“: „კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რაჲსმე შეექციოდეს რომელ გულსა გაამხიარულებდეს ვითა ჰამოთა მურტიბთა ხმაჲ და ჰამოთა მოამბვეთაგან ჰამბავისა მოსმენაჲ და კარგთა მეზღაპრეთაგან ზღაპრისა მოსმენაჲ. ეს ცხროჲს დროს რომელ შიშისგან იყოს“.

ან კიდევ თავი „სე“: ცხროვ ყოველთა დღეთა „კურნებაჲ მისი იგი არს რომელ თავი შეაქციოს სიხარულსა და ნიშატსა და ეგეთთა საქმეთა რომელ გულსა გაამხიარულბდეს და ძუალთა, ხმითა ჰამოთა მომღერალითა“.

აი ასეთი იყო ის ხერხები, რომლებსაც მიმართავდნენ ავადმყოფის საწოლთან სწეულის დასახმარებლად და მოსარჩენად. და თუ ყველაფერს ამას დაუშვებდნენ იმ წესებს, რომლებიც საყოველთაოდ იყო მიღებული, როგორც მაგალითად, (თავი „როდ“): „რამ შობისა ეამი მოვახლოს მიწყით აბანოსა მივიდოდეს“, ან კიდევ: „თუ პატარასა ყმასა სჭირდეს (ავადმყოფობა) წაშალი მისი დედამ ქამოს“ და მრავალ სხვას, მაშინ სურათი ნათელი გახდება და თამამად შეგვეძლება დავასკვნათ, რომ იმ დროინდელი ქართველი აქიმები მაინც და მაინც სასოწარკვეთილნი და ხელცარიელნი არ მდგარან ავადმყოფის საწოლის წინ, მეტადრე მაშინ, როდესაც „სიკვდილისა საშინოესა ეამი იყო“.

აქედან გასაგებია, თუ რას ეძახდნენ მაშინ უმეტრებსა და ასე მწვავედ რად გრძნობდნენ მას და რად უმეორებდნენ მოსწავლეებს ყოველ წამს: „ესე მეტყინებებაჲ კარგათ გაიგონებით, დაისწავლე ვინცა აქიმობ და კაცისა ტანისა და ბუნებისა და გასარეველისა შეტყუებაჲ და შეგებაჲ სახასოჲ არს მეტად მტყინებისა და გონიერისა აქიმისაგან“ (თავი „როგ“). თორემ „რეკვენთა და უმეცართა აქიმთა მრავალი ჩაუგდია ცხოვსა და სნებათა შიგან უმეცრობითა“.

ენახოთ ეხლა, თუ როგორი იყო წამლის მიცემის წესები. თავისთავად გასაგებია, რომ წამლის მიცემის დროს უნდა ეხელმძღვანელათ იმ ზოგადი ფილოსოფიურ-ეტიკურ პრინციპებით, რომელნიც მაშინ სწამდათ.

როგორც ზემოთ ენახეთ, ამ პრინციპების ურყევ საფუძველს შეადგენდა იპოკრატის ეგრეთწოდებული ჰუმორალური პათოლოგია, რომელიც ჯერ გალენმა და შემდეგ არაბებმა საფუძვლად დაუდევს მიუღ თავიანთ ფილოსოფიურ—ეტიკურ მსოფლმხედველობას. ეს ჰუმორალური პათოლოგია გულისხმობდა შემდეგს: ქვეყანაზე არსებობს 4 სტიქიონი—წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი; ამათ უთანასწორდება სხეულის 4 ელემენტი ანუ ბილტი—სისხლი, სვედა, ზაფრა და ბალდამი. ნორმალური გარევა ამ ოთხი ბილტისა ჰქმნიდა ორგანიზმში ერთგვარ ფიზიოლოგიურ წონასწორობას, რომელიც აუცილებელი პირობა იყო ჯანმრთელობისა—ამ გარევაში ელემენტთა შორის წონასწორობის დარღვევა ანუ ყოველი მათი გამრავლება ან შემცირება ან წახდენა იწვევს ავადმყოფობას. აი ამ მთავარი პრინციპების მიხედვით ექიმის დანიშნულებას შეადგენდა შეტყობა ამ გარევის წონასწორობისა და თუ წონასწორობა დარღვეული იყო, მაშინ გაგება იმისა, თუ ამ ოთხი ელემენტიდან რომელი იყო მომატებული ან შემცირებული და ჰქმნიდა ავადმყოფობას.

ექიმს დიეტეტიკური ზომებით და წამლეულობის მიცემით უნდა ეშველა ბუნებისათვის, რომელიც თითონვე ასწორებდა დარღვეულ წონასწორობას—აქედან მკურნალობის პრინციპი იყო *Gontraria contrarii*, ესე იგი წინააღმდეგობა-საწინააღმდეგოთი ანუ ავადმყოფობასთან ბრძოლა და წინააღმდეგობა-საწინააღმდეგო საშუალებით, მაგალითად:

ცხელს—ცივი,
გრილს—თბილი,
ცივს—ცხელი,
ხველს—ნედლი,
ნედლს—ხმელი და სხვა.

აქედან გასაგებია, რომ მთელი წამლეულობა, რომელიც უმთავრესად მცენარეული-საგან და ხილეულისაგან შესდგებოდა, შესწავლილი და დამუშავებული იყო მათი ამ ოთხი თვისების მიხედვით, როგორც:

1. ცივი და გრილი,
2. ცხელი ანუ მხურვალე,

3. ხმელი,

4. ნელლი.

ამ თვისებათა მიხედვით ნაგარაუდღეი იყო მათი ზეგავლენა სხეულზე მთლიანად ან სხეულის რომელიმე ორგანოზე.

ამგვარადვე ხდებოდა საქმელების დაყოფა, ესე იგი საქმელებშიაც იყო ცხელი ანუ მხურვალე საქმელი, ცივი ან გრილი, ხმელი ანუ ნელლი და სხვა.

რადგან წინამდებარე წიგნში ამ საკითხზე ცალკე არაფერი სწერია, ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ამაზე ცნობებს მეორე საექიმო წიგნიდან, რომელსაც ჰქვიან „იადიგარ დაუდი“ და რომელიც გადმოქართულებულია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქ. კონსტანტინე-პოლში მეფეთ მეფის ლუარსაბის ძის ბატონიშვილი დავითის ანუ დაუდხანის მიერ. ამ შესანიშნავ საექიმო ძეგლში, რომელიც მოცულობით აღემატება ყველა არსებულ საექიმო ძეგლს, ამ საკითხს მთელი თავები აქვს მიძღვნილი (ხელთნაწერში პავინაციის უქონლობის გამო გვერდები ვერ მოგვყავს):

„ესე ბაბი პურებისა სიკეთესა და ხსიათებსა გაიმბობს“

„ხორბალი ნელლი არის და ცოტა სიმხურვალეცა ეთქმის, ყველაზე უკეთესია წმიდაა გაცირილი გამტკიცული ხვარბლისა პური და სხვა...“

„ქერის პური გრილი და ნელლია მაგრამ კაცს არ არგებს, სტომაქსა გვიან გაუძღობს კაცს ქარსა აუგდებს და სხვა.“

„ბრინჯის პური გრილი და ხმელი არის კაცის ჯანს მოიძნობს, მუცელში შეჭკრავს...“

„ფეტვისა პური გრილი და ხმელი არის გვიან დადნების, კაცს შეჭკრავს და სხვა...“

„ესე ბაბი ხორცებისა სიკეთესა გამცნებს და გაიმბობს“

„ცხვრის ხორცი და ადამის ტომის სტომაქი ერთმანეთზედა შეზავებული არის, კაცსა კარგად მოუხდების და სტომაქსა ლამაზად დაშვენდების...“

„ბატნის და თიკნის ხორცი რაც ხორცი არის სრულიად ყველასა სჯობს და სხვა ხორცში უფრო ნაზუქი და შემრგო არის...“

„თხის ხორცი გრილი და მეტად ავი ხორცი არის...“

„ძროხის ხორცი ხმელი და შიმიე არის სტომაქში პილწად გასქეღდების და გვიან დადნების...“

„იომის ხორცი მხურვალე და ხმელი არის კოლინჯსა, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა სასსავე შწოდ არგებს.“

შემდეგ ამავე თვისებათა მიხედვით ჩამოთვლილია: ჯეირნის ხორცი, შვლის ხორცი, ღორის ხორცი, კატის ხორცი, კურდღლის ხორცი, ცხენის ხორცი, აქლემის ხორცი, კანჯრის ხორცი, ვირის ხორცი, შემდეგ ქათმის ხორცი და კვერცხი, ხოხბის, ღურაჯის, ტრედის, ჭაჭაჯის.

„იხვისა და ბატის ხორცი ორივე მხურვალე და სქელია... სტომაქში ორივე გვიან დადნების“ და სხვა.

შემდეგ აწერილია თევზების, ერბოების, ზეთების, რძეების თვისებანი.

„ძროხის რძე—გრილი და ნელლი“.

„ცხვრის რძე—გრილი და ნელლი“.

„თხის რძე—გრილი და ნელლი“.

„ღედაკაცის რძე—სრულიად ყველა სხვასა სჯობს“.

შემდეგ ჩამოთვლილია პარკოსანი მარცვლეული:

ბრინჯი—მხურვალე და ხმელია“

ბაულაყრკვი—მოჰთადილი და შეზავებული არის“

ლობიო—მხურვალე არის“

მუხუდო—მუხუდოს წვენი კარგი არის“

„მურდუმაქი ვითამცა ცულის პირას ცერცვიო—გრილი არის“
„ბოი ვითამცა ულბოს თესლი—მხურვალი და ხმელი არის“...

შემდეგ ჩამოთვლილია მტილელუნი:

„ბოლოკის თესლი—მხურვალი არის“

„თალგამის თესლი—მხურვალი და ნედლი არის“

„სტაფილოს თესლი—მხურვალი და ხმელი“

„წიწმატი და ტიბა—ორივე ერთნაირი არის მხურვალი და ხმელი“. და ასე ჩამო-
თვლილია ყველა მტილელული

შემდეგ სამკურნალო მცენარეულობა:

„კაპარი-მხურვალი და ხმელი არის“

„აბზინდა-მხურვალი და ხმელია“

„ყვავის ჭანვა-მხურვალი და ხმელია“ და სხვა მრავალა...

ხილებში: „ყურძენი მხურვალი და ნედლია“.

„ისრიმი—გრილი და ხმელია“,

„ტკბილი ბროწეული—მხურვალი და ნედლია“,

„მეავე ბროწეული—გრილი და ხელია“,

„მწარე ნუში—მხურვალი და ხმელია“,

„ატამი—გრილი და ნედლია“,

„ვაში ტკბილი—გრილი და ნედლი არის“,

„მსხალი—გრილი და ხმელი არის“,

„ბია ორი რიგი არის, ტკბილი ბია—გრილი და ნედლი არის“

„მეავე ბია—გრილი და ხმელი“ და სხვა მრავალი...

ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ სასმელი, საჭმელი, ხილი, სამკურნალო მცენარეულობა — ყველაფერი, რასაც ადამიანი იყენებდა საზრდოდ თუ სამკურნალოდ—არც ერთი მათგანი უნაწილო არ იყო იმ ოთხი ელემენტისაგან (ცეცხლი, მიწა, წყალი და ჰაერი), რომელიც იყო ფუძე ყოველი არსისა, მცენარისა და საერთოდ ყოველი სიცოცხლისა სულიერისა თუ უსულისი.

აქედან გასაგებია, რომ ყველაფერი, რაც არსებობდა ქვეყანაზე, იმ ოთხი თვისების მატარებელი და შემცველი უნდა ყოფილიყო, რომელნიც შეადგენენ ამ ოთხი ელემენტის მთავარ თვისებას, როგორც სითბო, სიცივე, სიხმელე და სინედლე.

ეს ჰარმონია ხილულისა და უხილაეისა, მცენარისა და არსისა, სულიერისა და უსუ-
ლოსი ადამიანის სხეულთან ერთად ჰქმნიდა იმ მთლიანობას, რომლის საოცრებასაც მიჰყა-
ვდა ძველი ადამიანი ღმერთთან ანუ ისეთ უზენაეს ძალასთან, რომელიც ჰქმნიდა სამყაროში
ამ განუყოფელ მთლიანობას.

აქვეა სათავე იმ დემონოლოგიური რწმენისა, რომელიც გულისხმობდა ავი და ბორო-
ტი სულების არსებობას და გაჩენა ქვეყანაზე, რომელნიც ხელს უშლიდნენ ამ მთლიანო-
ბის განხორციელებას და უზენაესი ძალის ნების წინააღმდეგ ყოველ წუთს ცდილობდნენ
არსებული წონასწორობის დარღვევას; ამის შედეგი კი იყო რწმენა იმისა, რომ ყველა ის
ატმოსფერული, მეტეოროლოგიური თუ სემისმეური კატასტროფები და ავადმყოფობანი,
რომელნიც ელვის სისწრაფით არღვევდნენ და ამსხვრევდნენ ათასი წლობით დაგროვილ
კულტურას და მატერიალურ კეთილწყობილებას და ანადგურებდნენ მოსახლეობას, ვითომც
შედგვი იყო ამ ავი და ბოროტი სულების გაწყრომისა.

გამოდიოდა რა ამ რწმენიდან, ადამიანი ყოველთვის სცდილობდა საკუთარი ძალებით
წინ აღდგაოზოდა იმ ბოროტ ძალას, რომელიც სცდილობდა ყოველ წუთს თავზე დაეტება
მისთვის მოულოდნელი უბედურება. და მთავარ უბედურებად ხომ ავადმყოფობა იყო მიჩ-
ნეული ყოველთვის. აქედან წამლის მიცემას და დანახლებას ბევრჯელ რაღაც საიდუმლო

მისტრიტი ხასიათი ჰქონდა—წამლების სახელწოდებაც ყოველთვის რაღაც მისტრიტი და გაუგებარი იყო ჩვეულებრივ მომაკვდავისათვის.

გაუგებარი და საიდუმლო იყო აგრეთვე ის რიტუალი, რომელიც ავადმყოფის მოვლასთან იყო დაკავშირებული—სიმღერა, ცეკვა, საკრავის დაკრა, უღლის ტარება, წითელი ფერი, თეთრი ტანსაცმელის ტარება და სხვა.

თუ არც ერთი ეს არ სჭრიდა, მაშინ ადამიანი იშველიებდა მაგურ სიტყვას, რომელიც ის სცდილობდა ავი სულის დაშინებას, ესე იგი ავადმყოფის განსაკურნებულად და ამა თუ იმ საურთხის თავიდან ასაცილებლად იმ დროინდელი ადამიანი იყენებდა ყველა იმ საშუალებას, რომელიც მის განკარგულებაში იყო.

შემდეგ, როცა მედიცინამ გარკვეული სახე მიიღო, წამლეულობის მოგონებასა და გამოყენებას მთავარი მნიშვნელობა მიეცა—აქედან არის ის სიბევერე და ის სხვადასხვაობა მკურნალობაში, რომელიც გვანცვიფერებს თავის მრავალსახეობით. ეს მრავალსახეობა და მრავალრიცხოვნობა არაბეჭმა პირდაპირ ფანტასტიკრობამდის მიიყვანეს. აქედან გასაგებია, რომ წინამდებარე წიგნში მარტო წამლების ფორმა გვხვდება 23, რაც პირდაპირ ფანტასტიკურია. მოგვყავს აქვე:

- | | | |
|-------------|-------------|-----------------|
| 1. მაჯუნი | 8. სუფუფუი | 16. ლუბი |
| 2. მატუხი | 9. რუბი | 17. შაფი |
| 3. მალამო | 10. ჯულაბი | 18. წყალი-წვენი |
| 4. გვარიშნი | 11. ყურსი | 19. ლუყი |
| 5. ნაყი | 12. აფშარაჲ | 20. ფარრაჯაჲ |
| 6. აბი | 13. დარური | 21. ფუხთა |
| 8. იარაჲ | 14. შარაბი | 22. მოპარობი |
| | 15. შარბათი | 23. ფოლოსი. |

ყველა ესენი გამოყენების მიხედვით შემდეგნაირად დაჯგუფდებიან: სისხლის დამკირავნი, გამაგრებელნი, მომზოცებელნი, შემოსადებელნი, მუცლის დასალბობნი, გამახურებელნი, მოსამწიფებელნი, საცოხნელნი, სალოკნი, სისხლის უკუმყენებელნი, გამომრწყავნი, კიდევანნი ანუ გამომყვანნი.

ეს წამლები უმთავრესად მკენარეულობისაგან და ხილთაგან მზადდებოდა. იყო ქიმიური წამლებიც.

წამლების დამზადების დროს გამოყენებული იყ.ა: გარჩევა, გაფხეკა, გაცრა, გაგაღვა, გაშრობა, გახმობა, დალბობა, მოხარშვა, გამოწურვა, დანაყვა, დახელვა, დასორსოლავება და სხვა... თითქმის ყველა ის წესები, რომლებიც დღეს იხმარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამოჩენილ ექიმს ჰქონდა თავისი საკუთარი წამლის ფორმულა და მისივე სახელით იყო ცნობილი. მაგალითად:

ჯალინოზის იარაჲ,
როფისის იარაჲ,
მესიასის გვარიშნი,
ყურსი ანდრომახისი და სხვა.

ამით გარდა, ხმარებაში იყო სტანდარტული ფორმებიც, როგორც, მაგალითად:

აბი ყუყია, აბი ყოლინჯანისა
აბი ლარიყონი, იარაჯი ფეყრა.

აბი საბრი, ბალაღურისა მაჯუნი და სხვა მრავალი.

მაგრამ ამისდა მიუხედავად ინდივიდუალურ მკოდნეობას მაინც დიდი ასპარეზი ჰქონდა.

რაც შეეხება წამლეულის მიცემის წესებს, როგორც ჩანს, აქ დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ: თავში „ლე“ ვკითხულობთ: „წამალს აძლევდე უამისა და კაცისა მისაფერად“, „სნეუ-

ლისა სტომაქისა მისაფერად“, „სნეულისა ძალისა მისაფერად“, „სიცივისა, სიციხისა, ჟამისა და ჰაერისა მისაფერად“ და სხვა.

როგორც სჩანს, ამ ზედმეტ სიფრთხილეს იწვევდა ის დიდი სიძნელე და სირთულე, რომელიც თან სდევდა ავადმყოფობის სწორ გაგებას ანუ სწორ დიაგნოზის დასმას.

რაც შეეხება წამლეულის ზომას და წონას—აქ გამოყენებულია არაბული:

- | | |
|--|---|
| 1. დანგი—3 კერატი. | 6. უკია—12 დრამი |
| 2. ყერატი—4 ქრთილის მარცვალი (ქერის) | 7. პეფვი—ერთი მუჭა |
| 3. დრაჰკანი—4 დრამი | 8. ლიტრა—წინაღ უღრიდა 400 გრამს დაახლოვებით |
| 4. დრამი—6 დანგი | 9. მანი—წინათ უღრიდა 300 გრამს დაახლოვებით |
| 5. მიტყალი—1 ¹ / ₂ , დრამი | 10. თასი—უღრიდა დაახლოვ. ერთ ჩაის კიჭას. |

აი, ამგვარია წინამდებარე წიგნის მთავარი საექიმო პრინციპები ავადმყოფობათა წარმოშობის, გაგების და მკურნალობის შესახებ. აქ საყურადღებოა ის რომ მთელი წიგნის მანძილზე არსად არც ერთი მსჯელობა, ხერხი თუ მკურნალობა ამ პრინციპს არ სცილდება; ამიტომ არის, რომ წიგნი გასაოცარი მთლიანობისა და მკაცრი სისტემატურობის ხასიათს ატარებს ბოლომდის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, რომელიც წინამდებარე წიგნს აქვს საქართველოს ძველი მედიცინის და, საერთოდ, ძველი მედიცინის კვლევის საქმეში,—ეს ერთი, და მეორე—ის დაუსრულებელი იდეები და სამკურნალო საშუალებანი, რომლებიც აქ არის მოყვანილი, თანამედროვე ლაბორატორიასა და კლინიკაში გამოცდის და გამოკვლევის შემდეგ საგრძნობლად გაამდიდრებენ თანამედროვე საექიმო აზროვნებას და შეიძლება ითქვას ბევრ ახალ სამკურნალო საშუალებასაც შეგვეძინენ, თუ კი დაცული იქნება მკაცრი მეცნიერული კვლევა და სათანადო სიღნაგე და არა ზერელე რეკლამა, რომლის საშიში ნიშნები უკვე ჩნდება ამ ზედმეტად საჭირო და სერიოზული საქმის ირგვლივ.

ექიმი ბასმაჯიანი¹⁾ თავის „ამირ დოვლათ ამასიელის“ გამოცემის ფრანგულ წინასიტყვაობაში ძველი სომხეთის მედიცინის პრესტიჟის დასაცავად სრულიად სამართლიანად სწერს: „ამ წიგნის მეცნიერული მნიშვნელობა იმაშია, რომ ბროუნ სეკარზე და ვორონოვზე 4—5 საუკუნით ადრე მან, ამიერ დოვლათმა, უკვე იცოდა ოპოთერაპია—მან იცოდა ცხოველების ჯირკვლების სხვადასხვა ნაწილზე ზეგავლენა“-ო.

ჩვენ, ძველი საქართველოს მედიცინის პრესტიჟის დასაცავად უნდა განვატყობოთ, რომ ქალის რძით მკურნალობა, რომელიც შეიცავს თანამედროვე ონკოტოთერაპიას და შარდით მკურნალობა, რომელიც შეიცავს უროთერაპიის პრინციპებს, 7—8 საუკუნით ადრე იყო ცნობილი და ფართოდ გამოყენებული სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობაში, ძველი ქართველი ექიმების მიერ.

ექ. ლადო კოტეტიშვილი.

¹⁾ ბასმაჯიანი: „ამირ დოვლათ ამასიელი—გამოუსადგვარი უტოდინართათვის“ გამოცემა სომხურად, ვენა 1926 წელი.




№ 1. „წიგნი საჯიგნო“.

171
 172
 173
 174
 175
 176
 177
 178
 179
 180
 181
 182
 183
 184
 185
 186
 187
 188
 189
 190
 191
 192
 193
 194
 195
 196
 197
 198
 199
 200
 201
 202
 203
 204
 205
 206
 207
 208
 209
 210
 211
 212
 213
 214
 215
 216
 217
 218
 219
 220
 221
 222
 223
 224
 225
 226
 227
 228
 229
 230
 231
 232
 233
 234
 235
 236
 237
 238
 239
 240
 241
 242
 243
 244
 245
 246
 247
 248
 249
 250
 251
 252
 253
 254
 255
 256
 257
 258
 259
 260
 261
 262
 263
 264
 265
 266
 267
 268
 269
 270
 271
 272
 273
 274
 275
 276
 277
 278
 279
 280
 281
 282
 283
 284
 285
 286
 287
 288
 289
 290
 291
 292
 293
 294
 295
 296
 297
 298
 299
 300
 301
 302
 303
 304
 305
 306
 307
 308
 309
 310
 311
 312
 313
 314
 315
 316
 317
 318
 319
 320
 321
 322
 323
 324
 325
 326
 327
 328
 329
 330
 331
 332
 333
 334
 335
 336
 337
 338
 339
 340
 341
 342
 343
 344
 345
 346
 347
 348
 349
 350
 351
 352
 353
 354
 355
 356
 357
 358
 359
 360
 361
 362
 363
 364
 365
 366
 367
 368
 369
 370
 371
 372
 373
 374
 375
 376
 377
 378
 379
 380
 381
 382
 383
 384
 385
 386
 387
 388
 389
 390
 391
 392
 393
 394
 395
 396
 397
 398
 399
 400
 401
 402
 403
 404
 405
 406
 407
 408
 409
 410
 411
 412
 413
 414
 415
 416
 417
 418
 419
 420
 421
 422
 423
 424
 425
 426
 427
 428
 429
 430
 431
 432
 433
 434
 435
 436
 437
 438
 439
 440
 441
 442
 443
 444
 445
 446
 447
 448
 449
 450
 451
 452
 453
 454
 455
 456
 457
 458
 459
 460
 461
 462
 463
 464
 465
 466
 467
 468
 469
 470
 471
 472
 473
 474
 475
 476
 477
 478
 479
 480
 481
 482
 483
 484
 485
 486
 487
 488
 489
 490
 491
 492
 493
 494
 495
 496
 497
 498
 499
 500
 501
 502
 503
 504
 505
 506
 507
 508
 509
 510
 511
 512
 513
 514
 515
 516
 517
 518
 519
 520
 521
 522
 523
 524
 525
 526
 527
 528
 529
 530
 531
 532
 533
 534
 535
 536
 537
 538
 539
 540
 541
 542
 543
 544
 545
 546
 547
 548
 549
 550
 551
 552
 553
 554
 555
 556
 557
 558
 559
 560
 561
 562
 563
 564
 565
 566
 567
 568
 569
 570
 571
 572
 573
 574
 575
 576
 577
 578
 579
 580
 581
 582
 583
 584
 585
 586
 587
 588
 589
 590
 591
 592
 593
 594
 595
 596
 597
 598
 599
 600
 601
 602
 603
 604
 605
 606
 607
 608
 609
 610
 611
 612
 613
 614
 615
 616
 617
 618
 619
 620
 621
 622
 623
 624
 625
 626
 627
 628
 629
 630
 631
 632
 633
 634
 635
 636
 637
 638
 639
 640
 641
 642
 643
 644
 645
 646
 647
 648
 649
 650
 651
 652
 653
 654
 655
 656
 657
 658
 659
 660
 661
 662
 663
 664
 665
 666
 667
 668
 669
 670
 671
 672
 673
 674
 675
 676
 677
 678
 679
 680
 681
 682
 683
 684
 685
 686
 687
 688
 689
 690
 691
 692
 693
 694
 695
 696
 697
 698
 699
 700
 701
 702
 703
 704
 705
 706
 707
 708
 709
 710
 711
 712
 713
 714
 715
 716
 717
 718
 719
 720
 721
 722
 723
 724
 725
 726
 727
 728
 729
 730
 731
 732
 733
 734
 735
 736
 737
 738
 739
 740
 741
 742
 743
 744
 745
 746
 747
 748
 749
 750
 751
 752
 753
 754
 755
 756
 757
 758
 759
 760
 761
 762
 763
 764
 765
 766
 767
 768
 769
 770
 771
 772
 773
 774
 775
 776
 777
 778
 779
 780
 781
 782
 783
 784
 785
 786
 787
 788
 789
 790
 791
 792
 793
 794
 795
 796
 797
 798
 799
 800
 801
 802
 803
 804
 805
 806
 807
 808
 809
 810
 811
 812
 813
 814
 815
 816
 817
 818
 819
 820
 821
 822
 823
 824
 825
 826
 827
 828
 829
 830
 831
 832
 833
 834
 835
 836
 837
 838
 839
 840
 841
 842
 843
 844
 845
 846
 847
 848
 849
 850
 851
 852
 853
 854
 855
 856
 857
 858
 859
 860
 861
 862
 863
 864
 865
 866
 867
 868
 869
 870
 871
 872
 873
 874
 875
 876
 877
 878
 879
 880
 881
 882
 883
 884
 885
 886
 887
 888
 889
 890
 891
 892
 893
 894
 895
 896
 897
 898
 899
 900
 901
 902
 903
 904
 905
 906
 907
 908
 909
 910
 911
 912
 913
 914
 915
 916
 917
 918
 919
 920
 921
 922
 923
 924
 925
 926
 927
 928
 929
 930
 931
 932
 933
 934
 935
 936
 937
 938
 939
 940
 941
 942
 943
 944
 945
 946
 947
 948
 949
 950
 951
 952
 953
 954
 955
 956
 957
 958
 959
 960
 961
 962
 963
 964
 965
 966
 967
 968
 969
 970
 971
 972
 973
 974
 975
 976
 977
 978
 979
 980
 981
 982
 983
 984
 985
 986
 987
 988
 989
 990
 991
 992
 993
 994
 995
 996
 997
 998
 999
 1000

№ 4. ხელთაწერის სანიმეშო გვერდი...

„წიგნი სავიძლე“



ქსე წიგნი სააკიმოჲ, ოდეს რუჟანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს, ქრისტეს მიერ პატრონი ჭყონ დიდელმან, მისმან მწიგნობართ უხუცესობამან, პროტოჲ უბერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან კაცმან, გონება მოზაემან და საღმრთოჲთა მსჯავრთა მართლ მსაჯულმან, და ხელისა მპყრობელმან უღონოთა და ქვრივთამან, ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მათსა ხოჯაყოფილსა.

კრეზაჲ ასოჲრად: ¹⁾ რომელი საძებნელად და სამკურნალოსა და რაცა უნდეს ადვილად პოოს წამალნი სნეულთანი.

- ა. პირველი კარი აქიმობისა სწავლისა და სარგებლიანობაჲ მისი.
- ბ. კარი აქიმობისა ნიეთისა საზომისა. სწავლაჲ და გაყოფაჲ მისი.
- გ. კარი ბუნებისა და სტომაქისაჲ
- დ. კარი გარეენაჲ ბუნებისაჲ და შეტყუებაჲ რგებისაჲ.
- ე. კარი კაცისა დაბადებისა და ტანისა შეტყუებაჲ.
- ვ. კარი გამოჩენა ხუთთა ჰავასთა.
- ზ. კარი შენახვაჲ ტანისა სიმრთელისა.
- ც. კარი მაჯასისა შეტყუებისაჲ.
- თ. კარი წყლისა და სიღბოჲსა შეგებაჲ.
- ი. კარი ბუჰრიანისა და სიმრთელე ფათერაკისა.
- ია. კარი ნიშანი სიმრთელისა და შიშისაჲ.
- იბ. კარი მომავლისა სნებისა შეტყუებაჲ.
- იგ. კარი ქალაქთა და ჰაერთა ბუნებაჲ.
- იდ. კარი წელიწადისა ოთხფერად ქცევისაჲ.
- იე. კარი ყოვლისა მანქისა ცოდნა თუ რაჲსაგან იქნების.

თავის ტივილის გამორჩენა რაჲსგან იმნების

- ივ. კარტილი რომელსა ჰრქვიან არაბულად ხაზამი და სპარსულად²⁾... [საბოსაჲ³⁾
- იზ. კარი თავისა წყლულთაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სითა.
- იძ. კარი თმთა დახდისა და ბელატობისა რომელსა ჰქვიან არაბულად ასლა.
- ით. კარი დაღჰაია და დათალაბი არაბულად გჳელთა და მელთა ჰირი.
- კ. კარი თმისა გაპობისა, გათერებისა.
- კა. თავის ტკივილი რომელი სიმხურვალისა ანუ სიგრილისაგან იყოს.
- კბ. თავის ტკივილი რომელი სინედლისაგან იყოს და თუ სინმელისაგან.
- კგ. თავის ტკივილი სისხლისაგან იყოს და თუ ბალმისაგან.
- კდ. თავის ტკივილი ზაფრისაგან იყოს და თუ სევდისაგან.

¹⁾ დედანში აქ ორი ასო უზის კვ.
²⁾ აქ დედანში არაფერი სწერია.
³⁾ აღდგენილია ტექტის მიხედვით.

კვ. თავის ტკივილი ტფილისა ქარისაგან იყოს და თუ გრილისა ქარისაგან.
 კვ. თავის ტკივილი რომელი ტფინისა ფარდაგისაგან იყოს.
 კზ. თავის ტკივილი რომელი არაბულად ბაიტი ჰქვიან.
 კს. თავის ტკივილი რომელი ნაკრავისა ანუ ისთიფრალისა ანუ სულისაგან იყოს.
 კთ. თავის ტკივილი რომელი მახმურობასაგან იყოს ანუ ბუჭრიანისაგან.
 ლ. თავის ტკივილი რომელი სტომაქისაგან იყოს და მისისა სისუსტისაგან.
 ლა. შაყყადასა ტკივილი რომელ სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
 ლბ. თავის ტკივილი რომელსა არაბულად დავარი ჰქვიან.
 ლგ. თავის ტკივილი რომელსა მესადარ ჰქვიან რომელი სიგრილისაგან იყოს
 ანუ სიმხურვალისაგან.

18

ლდ. სარსამი თუ სიგრილისაგან იყოს ანუ სიმხურვალისაგან¹⁾
 ლე. მანკი სუმბათისა და სუმბათი საჰარი დაძინება მძიმედ.
 ლვ. შეხუსი და ჯუმუდი თრივე სიგრილისაგან იქნების.
 ლზ. მალიხური რომელსა ჰქვიან სპარსულად დევანგი.
 ლს. ყუტრუბი და მანიაჲ ორივე სიმშაგისაგან იქნების.
 ლთ. უძილობა და გულისა სიშფოთე.
 მ. მიჯნურობა და დაუთმობლობა.
 მა. დავიწყება და არ დასწავლა.
 მბ. ქაბუსი რომელი მძინარესა ზედა დააწევის რომელსა ჰქვიან ქართულად ხი-
 ბალიკი.

20

მგ. ბადაფქანი რომელსა ჰქვიან არაბულად სარჩი და ქართულად მტრისა
 დიცემა.
 მდ. ბადაფქანი რომელი სეველისაგან იყოს ანუ გრილისა ქარისაგან.
 მე. საქთი რომელსა უგრძნულად შეექნების და მკედარსა მიამსგზავსებს.
 მე. ფილენჯი რომელი ნაკრავისაგან შეექნას ანუ ბალღამისაგან.
 მზ. ისთახოა რომელი ასოთა დაასუსტებს.
 მს. დაძინება ასოთაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი.
 მთ. გამრუდებაჲ პირისა რომელსა ჰქვიან არაბულად ლაყვი.
 ნ. თაშანუჯი რომელი ასოთა გაახმობს.
 ნა. ქუზაზი და იმთიდადი ორივე ფერი თაშანუჯისაგან შეექნების.
 ნბ. თრთოლაჲ ასოთაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად რაშა.

30

თვალთა აძვირისა და ძუძუთოთა

ნგ. მღერი და მქავანი რომელი თვალთა შეექნების.
 ნდ. ბარადი და თალჯური და შირაჲ რომელი თვალთაშინა იქნების.
 ნე. ყათრი და თვალთა დაკრავა ერთმანერთსა ზედა.
 ნვ. საფა და ვარდან და თვალთა წამწამთა მომატება და გაგრძელება წამ-
 წამისაჲ.
 40 ნზ. ქმანი და თოთაჲ და წამწამისა დახდა და ჩამოცვივნა.
 ნს. სალაჲ და შორნაყი და ზელაყი რომელი თვალთა შიგან იქნების.
 ნთ. ლაღაჲ და ჰურბი და ყამყამი რომელი წამწამისა შიგან იქნების.
 ე. თვალთა ტკივილი სისხლისაგან.
 ეა. თვალთა ტკივილი თუ ზაფრისაგან იყოს თუ სეველისაგან.
 ებ. ზტარფაჲ და ნახუნაჲ. ტარფაჲ ნაკრავსა ჰქვიან რომელი ეცეს თვალთა.

¹⁾ ამ თავს მიწერილი აქვს „თავქედი“ არა დედნის ხელით.

- აგ. წყლული და დაბერულობა თვალთა რომელსა ჰქვიან ბათურ.
 ად. საბალი და ცრემლია დენა რომელსა ჰქვიან დამ.
 აე. ყუთავილი და თეთრი და დიყაა რომელი თვალთა შიგან იქნების.
 ავ. სარტანი და თხამლი რომელი თვალთა შეეჭების და სარტანი კირჩ-
 ხიბსა ჰქვიან, მეორესა ფარდასა უკანით შეიქნების.
 აზ. გარეთ სიმსინე თვალთა ერთობით ანუ ცოტასა ადგილსა.
 აა. გაფართოება და დაფიწროება თვალთა ზერელისა.
 აბ. ინთიშარი თვალისა გაფართოებასა ჰქვიან.
 აბ. ძლივ ნახვება რომელი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმზურვალისაგან.
 აბ. პირველ წყლისა ჩამოდენა თვალთაგან.
 აბ. ღამე სიბნელე და დღისითცა ეგრევე.
 აბ. ყურისა ტკივილი სიგრილისაგან იყოს ანუ სიმზურვალისაგან.

10

ცხუიტა და შუკთა წამალი და კურნება

- აბ. ყურისა გასივება სიგრილისაგან იყოს ანუ სიმზურვალისაგან.
 აბ. წყალი ანუ მძრომელი თუ ყურსა ჩავიდეს.
 აბ. წყლული და თხამლისა დენა ყურისაგან.
 აბ. ხმისა მოსმენა ყვირილი და შვივილი.
 აბ. სიყრუე და მძიმედ სმენა ხმისა. სიგრილისაგან იყოს ანუ სიმზურვალისაგან.
 აბ. ცხვირთა წყლული და გაბერილობა რომელი შიგან იყოს.
 აბ. თუ სული არ ეცემოდეს. სიგრილისაგან იყოს ანუ სიმზურვალისაგან.
 აბ. ცხვირისა ბავასირი და სიმყრალე.
 აბ. სისხლისა დენა რომელსა ჰქვიან არაბულად რუაფი.
 აბ. სურდისა და ცხვირთა დენისა სიგრილისაგან იყოს ანუ სიმზურვალისაგან.

20

პირის ტკივილი, კბილთა და ენისა, ზაგამთა დაკრება და ბავასირი და სიმსინე

- აბ. კბილთა ტკივილი სიმზურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
 აბ. კბილთა შექმულობა და დაცვიენა და ძერა.
 აბ. სიმყრალე კბილისა და ღრძილისა და სიშავე და სისხლის დენა მისგან.
 აბ. სიმსინე ღრძილისა სიმზურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
 აბ. პირის ტკივილი და გაბერულობა მისი.
 აბ. პირისა სიმყრალე რომელსა ჰქვიან არაბულად აბხარი.
 აბ. წყლისა დენა პირისაგან დაძინება ეფსა.
 აბ. ენისა სიმსინე სიმზურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
 აბ. ენისა გაბერილობა რომელსა ჰქვიან არაბულად ყილაღ.
 აბ. გემოა ენისა რომელი იქცეს.
 აბ. სიწყლულე ენისა, სიმძიმე და სისუსტე.
 აბ. კვიკვირისა ჩამოსულა პირსა შიგან რომელსა ჰქვიან, ქამოა, სიგრილისაგან იყოს და თუ სიმზურვალისაგან.
 აბ. გასივება ქამისა და ჩამოსულა ორთა ბადმათა. ხორხისა და მკერდისა და ფირტვისა ტკივილი.
 აბ. ხორხისა სიმსინე რომელსა ჰქვიან არაბულად ხუნაყი.
 აბ. ხორხისა ტკივილი სიმზურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
 აბ. დევა ანუ ძული, რომელი ხორხსა შიგან დაეჩაროს.¹⁾

30

40

1). ამ გვერდის კვეთაშიაზუ არა დედნის ხელით სწერია: „ატვის ძირი დანაყე და ღვინით ასე ქინა-ქინის მაგოერაო, ზუთი დრამი დღემი გაყოფვით ასე ციფებისათვის“.

რ. სისხლის ამოღება ხორხასგან.

რა. ხუელ აჲ სიგრილისაგან იყოს ანუ სიმბურვალისაგან.

რბ. ხუელ აჲ სინედლისაგან იყოს ანუ სინმელისაგან.

რგ. რაბოი სიმბურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან.

რდ. ფირტვისა გასივებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დაოარა.

რე. ფირტვისა სიწყულულე რომელსა ჰქვიან არაბულად სილი.

გვადტა ტკივილისაჲ

რვ. გვერდსა შიგნითისა კერძისა გასივებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად დათლჯანბ

რზ. ბარსამი რომელსა ჰქვიან არაბულად შოვის.

10 რს. გულის ტკივილი სიმბურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისა, სინმელისაგან იყოს და თუ სინედლისა.

რთ. გულისა ფეთქაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ხაფაყანი.

რი. დაბნედილობაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ლაშე.

სტომაქისა ტკივილისა და ზირისა ხსენებაჲ

რია. საჭამადისა არ მოდნობაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაჲ.

რიბ. ჰავად შერგებაჲ საჭამადთა სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაჲ.

რიგ. საჭამადი არ მოუნდებოდეს, სტომაქისაგან იქნებოდეს.

რიდ. საჭამადი არ მოუნდებოდეს მანკისაგან იქნებოდეს.

20 რიე. არ გაძლომა ჰამადთა რომელსა ჰქვიან ყათიჯლბია.

რივ. მიწისა ჰამა და გაჩისა და კლდისაგან მლაშისა ჰამა.

რიზ. სტომაქის ზირისა ფეთქა რომელსა ჰქვიან არაბულად ვიჯალფად.

რიბ. წყურვილი და წყლისა დიად მსუფულად.

რით. ელდაჰატი და ბარჯიაჲ რომელსა ჰქვია არაბულად თუხმაჲ.

რე. დარგი სილბოსა ჰქვან. რომელი გაგრძელდეს.

რკა. ზალა ყალმიდა და ზალა ყალმაჲ რომელსა ჰქვიან ქართულად სტომაქისა და წელთა სიგლუსუნე.

რკბ. მანიშისა სიმრავლე რომელსა ჰქვიან ათიანი¹⁾.

რკგ. სისხლისა ამოღებაჲ სტომაქისაგან.

რკდ. რწყევაჲ, რაჲ მუცელი არ ლბილ დიად იყოს.

30 რკე. მოყინებაჲ სტომაქისაგან, რომ ქარი ჩაჭრილ იყოს.

რკვ. სიყსარი რომელსა ჰქვიან სპარსულად ვაეყი და საქბიაკი.

რკზ. სტომაქისა ტკივილი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

რკტ. სტომაქისა სიწყულულე და სისხლი რომელი შიგან გაყინულ იყოს.

რკთ. ნერწყვაჲ და სინედლე რომელი ზირისაგან იყოს.

რკლ. სტომაქისა გასივებაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

ღვიძლისა და ტყირბისა და ზირისა ხსენებაჲ

რლა. ღვიძლის ტკივილი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

რლბ. ღვიძლისა გასივებაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.

რლდ. ღვიძლისა ტკივილი რომელი გზისა შეკრულობისაგან იყოს.

40 რლე. ისთისყო რომელი სპარსულად მუცლისა გასივებაჲ ჰქვიან.

¹⁾ შეცდომა, უნდა იყოს „ლაშაანი“.

რღე. ისთისყაჲ ლაჰამი რომელი გახურეებისა შემდგომად აცხრობდეს.
რღზ. ზარირი ყვითელი და შავი რომელსა ჰქვიან არაბულად იარაყანი.
რღც. ელნეთისა ტკივილი სიმბურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.
რღთ. ტყირბისაჲე გასიყებაჲ სიგრილისაგან იყოს და თუ სიმბურვალისა [გან].

მაჰადისა და წელთა ტკივილისაჲ

რმ. სისხლისა დენა წელთა სიწყულლისაგან იყოს. რომელსა ჰქვიან საჰჯალამა.
რმა. წელთა ტკივილი ზაჰირი სიმბურვალისგან იყოს ანუ სიგრილისაგან¹⁾.
რმბ. მალარი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რმგ. კოლინჯი სიმბურვალისაგან იყო ანუ სიგრილისაგან.
10 რმდ. ელასი ერთფერია კოლინჯთაგან.
რმე. ჭიაჲ გრძელი და მოკლე და ქუდედნი თარგმანი აყიროსა თესლი.
რმვ. ბავსირი და თოთაჲ მუყადასა შიგან იქნების, მუყადაჲ გუამი არს.
რმზ. ბავსირი დანაყილობასა თან გუამისასა.
რმც. რა აზნდეს გუამსა სიწყულულე და ძარღვისა თავი რომელი შიგან გაეხსნას გუამსა.
რმთ. გამოსვლა და სიმსივნე და სისუსტე.

თირკუთმელისა და მათნისაჲ.

რნ. თირკუთმელისა ტკივილი ²⁾ სიმბურვალისაგან იყოს თუ სიგრილისაგან.
რნა. ასამღღსა გასიყებაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რნბ. სიწყულულე თირკუთმელისა და სისხლისა წთომამა სამამაკაცოსაგან.
20 რნგ. ქვაჲ ანუ ქვიშაჲ მათანასა შიგან რომელი მოკრფეს.
რნდ. ფსლისა წრედაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სალასალი.
რნე. ფსლისა შეკრვაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სარალი.
რნვ. ფსლისა დენა კაცისა უნებლიად.
რნზ. მათნისა გასიყებაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რნც. სიწყულულე მათნისაჲ და ქვისა დებაჲ შიგან.

სამამატოსა ჰუბრისა ტკივილი და სიმსივნისაჲ

რნთ. დგომამა სარცხენლისაჲ უნდომლად.
რნი. სისუსტე მისი და თეთრისა წყლისა მოსულა უგემურად და არჰამოდ.
რნა. გასიყებაჲ მისი სიმბურვალისგან იყოს და თუ სიგრილისაგან.
30 რნბ. წუხეჲ მისი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან. ყუერისა გასიყებაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რნგ. არ მონდომამა დიაცისაჲ სიმბურვალისაგან.
რნდ. ფეტყის ქარი რომელი საზარდულსა შიგან იყოს ანუ ყუერსა შიგან.

ძოჰჰეთა და ზიჰდანიისა ჰურნებისაჲ

რნვ. შეკრულობამა ზეჰდანიისა რომელსა ჰქვიან არაბულად ილთნსილიმ.
რნზ. დიაცისა სისხლისა ნახეჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ნაზფი.
რნც. დიაცისა ჩამოგდებულისა სისხლისა შეკრვაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად
იჰთიბასტამთა.
40 რნთ. ზეჰდანიისა გასიყებაჲ სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რნა. ზეჰდანიისა სიწყულულე და შიგან რომელი სარატანი იყოს რომელსა ჰქვიან არაბულად³⁾ კირჩხიბი.

¹⁾ დედანში აქ ვარსკვლავი უზის და აშიაზე სწერია „ზაჰირი“ რმბ.

²⁾ ეს სიტყვა მხედრულით არის ჩამატებული.

³⁾ შიცილიმამა, უნდა იყოს „ქართულად“.

— გაბერულობა ბავასირისა რომელი ზეჰდანსა შიგან იყოს
— რჯა ეგეთი ჭირი არს რომელი დედათა ეგრე ჰკონია თუ ორსულია.
როა. გამოსულა ზეჰდანისა და სინდლისა მოსულა მისგან.
რობ. ყრმისა მოგდებამ და დაქარებამ [და ქარებამ] რომელი ჩაეჭრეს ზეჰდანსა
შიგან.
როგ. უშილობისა შეტყობამ თუ მამაცისაგან თუ დედაკაცისაგან.
როდ. ძნელად შობამ და მაშემისა რომელსა ჰქვიან ბუდით გამოსულამ.
როე. ძუძუსა სიმსივნე სიგრილისაგან იყოს ანუ სიმბურვალისაგან.
როი. ძუძუსა ტკივილი და სძე რომელი შიგან შეიკრას.

10

ზურგისა ტკივილი

რობ. ზურგისა ტკივილი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
როც. სიკუზე რომელსა ქვიან არაბულად ჰადაბა.
როთ. ირაცანი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რბ. საქციელთა ტკივილი რომელსა ჰქვიან არაბულად ვიჯალმადასილ.
რპა. ნიკრისი სიმბურვალისაგან იყოს ანუ სიგრილისაგან.
რპბ. დავალი და დაღვილ ესე ორივე ჭირი ფერხთა შეექნების.
რპგ. ნახუნხარ რომელი არს ფრჩხილის მუამელი. დარიშთა რომელსა ჰქვიან
მკედი და ორივე ფერხთაგან გამოვალს.

20

რპდ. გაპობა ხელისა და ფერხისა და სიცივისა ცემა და ზრომამ.
რპე. ქალაფი რომელსა ჰქვიან კროფლი და ქუნჯიდა და ბარიში და
ნამიში.
რპვ. ყობამ რომელსა ჰქვიან მექეჭი და თუთამ რომელსა არაბულად შირე
ჰქვიან.

რპზ. ხმელი და ნელლი მდიერი და ქავანი ტანისა.
რპტ. ოფლისა დენამ დიამ და ოფლისა არ გამოცემა.
რპთ. წილი და ტილი რომელ დაესხას თმისა ძირსა.
რპი. კეთრიანობამ რომელსა ჰქვიან სპარსულად ფესი და არაბულად ბარასი
და შავი და თეთრი ბაჰაყი.

30

რპი. განდუმამ რომელსა ჰქვიან არაბულად თალულამ და ქართულად მექეჭი.
რპბ. ათაში ფარსი რომლისა თარგმანი არს ცეცხლი სპარსული და გა-
ბერილობამ რომელი გამოჩნდეს კაცისა ასოთა და ტანსა ზედა.

რპგ. ყუთავილი რომელსა ჰქვიან არაბულად ჯოდრი და წითელი.
რპდ. ჰომრამ სიხივინეა ჰქვიან და ხორამ წელისა სიწყულესა.
რპე. ჯოდმი რომელსა ჰქვიან სიგონჯე.
რპვ. პირისა რღუევა და პირისა სიბნელე და ფერისა სიმრღე რამ
მზისაგან იყოს.

40

რპზ. მხურვალე სიმსივნე სისხლისაგან იყოს ანუ ზაფრისაგან.
რპტ. გრილი სიმსივნე რომელ ბალღმისაგან იყოს ანუ სევდისაგან.
რპთ. საერთანი რომელსა ჰქვიან კირჩხიბი და სპარსულად ბარჩანგი.
ს. ღორთელი და სალამ რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს.
სა. ტაუნი და დუბალამ რომელ ასოთა შიგან გამოჩნდეს.
სბ. დუნბალი რომელსა ჰქვიან მჯდომი და გავარსამ და ბადონლამ
რომელ გამოჩნდეს.

სგ. ცხრომ ყოველთა დღეთა რომელ წყრომისგან იყოს ანუ შიშისგან.
სდ. ყოველთა დღეთა ცხრომ რომელ ქამისგან იყოს ანუ შიშისაგან.
სე. ცხრომ ყოველთა დღეთა რომელ მრვიდოდეს თუ შევირვებისაგან იყოს და
თუ ქირთაგან.

სვ. ყოველთა დღეთა ცხროა რომელ ღია სიციხისაგან იყოს ანუ ღია სი-
ციხისაგან.

სზ. ცხროა ყოველთა დღეთა რომელ სიღბოასაგან იყოს ანუ სურდოასგან.

სც. ცხროა რომელ უძილობისაგან იყოს ანუ სიმსიენისა ტყვილისაგან.

სთ. ღიბისა ცხროა ორფერად იქნების ლაზიმაა და ნაბიაა.

სთი. ცხროა მოტბაყისა რომელ სიმზურვალისაგან იყოს ანუ სიგრლისაგან.

სია. ნიადაგ ცხროა რომელ მოპრიაა ჰქვიან და ბატრალღიბი.

სიბ. მეოთხე ცხროა რომელი სევდისაგან იყოს ანუ სხუათა ხილტავან.

სიგ. მეხუთე ცხროა და მეექვსე და მეთხუთმეტე და სხვა ებრიცა.

10 სიდ. ვაშაქსა ცხროა და ეგეთი ცხროა რომელ სნებათა უქან იყოს.

სიე. დიყისა ცხროა სამფერი იქნების ერთი მოფთადიდა და მეორე დაბული
და მესამე თვით დიყი.

სივ. მოტეხილობაა ძუალისა და ნაკრავი რომელი ასოთა ეცეს და თავისა გატეხი-
ლობაა¹⁾).

სიზ. ბალხური წყალი და ახალი და ძელი წყლული.

სიპ. ცეცხლითა დამწერობა და ერბოსა მდულარითა და მდულარისა წყლითა.

სით. გველცემულისა და ღრიანკალისა და ფუტურისა ცემული რომელსა ჰქვიან
არაბულად რეტაჲლაა და (მო)რალო²⁾.

20

ზარათხანი ედგას და თუ მტერი დაემართოს გახსნას აბრტიხანი და
აბჯარი თავის ყმათა ზედა გაყოს. და თუ მტერი არა დაემართების, ზარათხანი ცული და
ბედითი არს. და ვითა ზარათხანი მიწყით შესანახავია, ეგრევე აქიშისაა დაჭირება ხაშს
მათან სიმრთელისა ქამსა მის დღისათვის, რომელი მოემარბოს.

და აქიმი ეგეთი ხაშს, რომელ აქიშობაა კარგად და სრულად იცოდეს, და მრავალი
30 სააქიშობა წიგნი წაეკითხოს მეცნიერთა ოსტატთა აქიშათანა, და მრავალჯერ კურნებასა
დამხუდარიყოს, და პირმართალი, და მისანდობელი, და უხარბო იყოს; და დიდის გემოა,
და ზანტი არ იყოს, და გლახაკთა უნუკვარი იყოს. და უამისო თუ იქნების, სჯობს რომელ
სნეულსა ზედა არა მიიყვანონ, და არაიწინ მიენდოჲვოდეს.

მით რომელ ტანი კაცისა ქალაქსა ჰგავს და ბუნებაა ტანისაა ხელმწიფე არს, კირი
და მანკი ვითა მტერი არს, რომელი ქალაქსა შემოვიდეს საოხრებლად, და წამალი ბუნ-
ბისაა აბჯარი ჰომისა დღესა, და აქიმი კარგი, ვითა მეაბჯრე იქნების, მეაბჯრე ჩაუქი და
მეცნიერი; მეჰომარი და გულთან ხაშს, რომელ ჰომისა საქმე იცოდეს, შებმისა და ჰირისა
დღესა მტერთანაგ მშვიდობით დაიცვას ხელმწიფე.

ასრე რომელი თუ მტერი შორს იყოს და მეფემან აბჯარი სთხოვოს, თუ მტერი
0 შორს იყოს ისარ მშვილდი მისცეს, და თუ ახლოს რე იყოს შუბი მისცეს და თუ ხელის ხელ-
მოსრულ იყოს, ხალი მისცეს; და თუ ესრე არა იყოს და ჰომისა ნიეთი არ იცოდეს, მტე-
რი ხელმწიფესა დაიზაბუნებს.

და აქიშისა არაკი და საქმე ესრე არს: რომელი, თუ ფრთხილი და მეცნიერი იყოს,
წამალსა ქამვირად მისცემს: რაჲ ადვილი წამალი უნდეს, ძნელი არა მისცეს და რაჲ რწყე-

1) ამ გვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათავლავი სწერია „ბ“.

2) აქ ხელთაწერს საში ფურცელი აქლა და ტექსტი გრძელდება ასე...

ვისა წამალი უნდეს, გასახსნელი არა მისცეს, და რაჲ შარაბისა მიცემა ხმდეს, ქაშკაბი არ მისცეს; და რაჲ ქაშკაბისა მიცემა ხმდეს, ურწყოა არ მისცეს. და რაჲსაცა სნეული ითხოვდეს, ეამერად მისცემდეს, და მისისა ძალისა მისაფერსა. და თუ ესრე არა ქნას, ბუნებასა გაუსუსტებს, და ჰირი და მანკი სიმრთელესა და ბუნებასა მოერევის, და გააქცევს სიმრთელესა სნებაჲ, მერმე ფათერაკი თუ რაჲ წაეკიდოს, იგი აქმისგან იქნებოს.

და რაჲ აქიმი მეცნიერი და გონიერი იყოს, ხაშს, რომელ ზოუსმენდეს, და რაჲ მეფე პურსა ჰამდეს, აქიმი მის წინაშე იყოს რომელ საქამადთა დახედიდეს. და თუ ეგეთი რაჲმე საქამადი მოიღონ წინაშე, რომელ არ მაშუნი იყოს ჰამად, არ მიუშუას, რომელ მეფეთა მჭერი დიად უკის. და საქამადი, რომელიცა მოწამლული იქნების, ნიშანი აქეს: თუ ბრინჯი მოწამლული იყოს, ყვითელი წყალივითა ზედა დაანდების, და თუ ვარდი მოწამლული იყოს, გაპობით დამუქნარი იქნების ფურცელი მისი. და თუ ტანის სამოსი მოწამლული იყოს, ტანის სამოსსა დაბაჟიანებებს, და დაბნელებს და თუ ფერად შავი იყოს, ტანისამოსი მაშინ უფროა ძნელად შეიგებოს. და ყოვლისა ნავლისა და წამლისა წამალი კიდეს კიდე ჩანს, ვითა თვით ყველასა ნივთი კურნებაჲ და რგებაჲ პირველსა წიგნსა შინა გამოვაცხადოთ თუ ღმერთსა უნდეს.

ეგრე ხაშს, რომელ ხელმწიფესა აქიმი შინაურად და მისანდობლად და საყურად ჰყავდეს, რომელ სამთა საქმეთა შინა აქიმი მისანდობელი არს, ეგრე სხვანი კაცნი მისანდობელნი არ იქნებიან: ერთი სიცოცხლესა შიგან, და მეორე საქონელსა შიგან, და მესამე დედაწულთა და შვილთა შუა. მაგრა სიცოცხლესა შინა იგი არს, თუ საქამადსა ჰკაზმოდენ მის წინაშე და არა მიენდობოდეს მისსა ჰამასა, თუ აქიმი მიაართავს გამოუღებს და მიენდობვის და ჰამს. და საქონელსა შინა იგი არს, რომელ მეფე ძვირი იყოს და არას გასცემდეს, რაჲსაცა აქიმი უთხრობს და მოახსენებს გასცემს თავისა სიმრთელისათვის. თუცა ძვირი იყოს სიმრთელისა სიხარულითა დიად რასმე გასცემდეს; და შინ მისანდობელი მით არს, რომელ ოდესცა მივიდეს მათ წინაშე, ყოველივე მიესტუმბოს და ფარდაგიანნი ხელსა მიუპყრობდენ, და მაჯასსა უჩვენებენ და ვითა მოძღვარსა ეგრე მიენდობვიან, და რაზომცა საძალავი ჰირი და ასვა იყოს, მას არ უმაღვენ და უჩვენებენ, და ხუაშიადსა არ დაუმაღვენ. და აქიმი ხუაშიადისა შენახავი, მოყვარული და ერთგული ხაშს, და თუ ესეთი არა იყოს, თავისა მტერი იქნების და სახლად არ შეიშუებოს. აქიმი წყნარი და მეცნიერი, მორწმუნე და ხელსიანი ხაშს; და იქნების, რომელ მეცნიერიცა იყოს, მაგრამ ხელმძიმე და საქმელი, და არავის უყუარდეს. თუ მეცნიერებაჲ სრულიად იცოდეს და ხელსუბუქი და საყვარელი აქიმი, ღმრთისა ბრძანებაჲ, რასაცა მისცემს ავადმყოფსა, სნეულსა შეერგების მისისა ხელისაგან. და თუ ხელმძიმე იყოს რაზომცა მეცნიერი იყოს ეგრეცა გვანად ერგების მისისა ხელისაგან ღმრთისა ბრძანებითა.

ა. აქიმობისა საზომისა ცოდნაჲ და ბაჟოჲჲ მისი

რცოდე, რომელ უფროასნი აქიმი ეგეთნი, რომელ არა იციან ძალი აქიმობისა და ნივთი, და თავისადა აქიმი დაურქუთამს სახელად და თუ ჰკითხო, თუ აქიმისა თარგმანი რაჲ არს, არ იცის, მით რომელ რისაცა კარგად მეცნიერია, აქიმთა სიახლე არ გამოუცდია, წიგნისა სააქიმობასა ოდენ წაკითხვა ცუდი არს. თუ ასრე არ იცოდეს, ვითა უნდა ნივთი და ძალი აქიმობისაჲ, და თუ ვინმე ეუბნებოდეს, პასუხისა გაცემა არ შეეძლოს და ხისმი თავისა ვერ გატეხოს, და ბუნებანიისა და მეცნიერისა კაცისაგან ეგრე ხაშს, რომელ რასაცა ხელსა იქმოდეს ანუ წიგნათა ისწავლიდეს, ძალი და ნივთი ყველასა უკლებლად ისწავლოს. აწ რაჲზედაც ისწავლბა უნა მოსწავლესა, სრულიად ვახსენო ამის წიგნსა შინა, და მოკლედ და ნივთიანად მწადიან და აღწერად, აქიმობისა საზომისა და თარგმანსა ზედა მეცნიერნი მოძღვარნი აქიმი შეუბნებულან:

დევეჯანის და იოჰანა იტყვიან: ვითა აქიმობაჲ მეცნიერებაჲ არს, სიმრთელისა ეამსა, კაცისა მრთლად შენახებაჲ, და მას ეამსა რომელ კაცი სნეულად იყოს, და მას ეამსა

რომელ არცა მართლად იყოს და არცა სწეულად. დე ესრე მყოფი იგი იქნების, რომელ სწეულებისაგან ადგომილიყოს, არცა მართლად იყოს და არცა სწეულად.

ფოლია და დადეყ იტყვიან: ვითა აქიმობაა ხელი არს ესეთი, რომელ კაცისა წაღმართი და სიმართლე მით იქნების.

- ბაყრატ და ჯალინოზ იტყვიან: აქიმობაა ორი არს, ერთი მეცნიერება და მეორე მეცნიერებისა ხმარება. პირველ ბუნებისა შეტყუება და თადიბრთა შენახვა სიმართლისა, მეორე სწეულისა გამართლებება და მისსა ტანსა შიგან შეყენება სიმართლისა და გაყენება მანკისა, მესამე დასტაქრობისა მეცნიერება, და იგი კაცისა ხორცთა, ტყავთა და ძალთა შინა არს, ვითა გაქტეთა და შეკრავა და დადაღვა, გატეხილისა ძქალისა და უკუკრავა, და ამოგდებულისა ჩადგება, და მისი საქმე სამ ფერად არს. მეოთხე ბუნებისა მეცნიერება, და იგი ორფერად არს. და ვახსენოთ, და ბუნებისა მეცნიერება ექუს კერად არს: პირველ შეტყუება არსებისა რომელსა იტყვიან აქიმნი უსთუყუსთად, და მერმე შეზავება და გარევა უსთუყუსითისა მათთან, რომელ აქიმნი მავას მიზუჯობით იტყვიან. მესამე ტანისა გარევა და შეზავება არს, რომელ აქიმნი ეხლატობით იტყვიან. მეოთხე კაცთ ასოთა ვითარების შეტყუება და გაგონებით ცოდნა მისი და ძალი და ნივთი მისი. მეხუთე ბუნებითი ძალი და შეტყუება არს ნაფსანისისა¹⁾ და ჰავანისა²⁾ და ტაბათისა³⁾, მეექვსე ძალისა და ნაქმრისა და აქიმობისა ხელი და ნივთი. მეცნიერნი აქიმნი ამას იტყვიან, ვითა ესე ხელი ერთი კერძი⁴⁾ არს; პირველ შეტყუება წამალთა, რომელსა ჰქვიან აყაყირო, და ეგეთთა წაპალთა, რომელ აქიმნი იხმარებენ, და გაყენება სნებათა კაცისა
- 20 ტანისაგან საცხებლითა და ზელითა, და მეორე დასტაქრობაა გაკვეთა, გახსნა, გაპობა და დადაღვა. ვახსენოთ მესამე თადიბრი, საქამაღთა, შარბათთა და გუარინთა, რომელი ამით იქნების სიმართლე კაცისა ხანერად, კაცთა სიმართლესა ზედა შენახვა. მეოთხე კურნება ყოვლისა ფერისა, ვით არწყევენ, ანუ გაჰხნიდნენ, ანუ შეჰკვირდნენ, ანუ გაახურონ, ანუ გაგარდონ, ანუ სიხმელისა, ანუ სინედლისა, რომელსა ჰქვიან რუტუბათი. მეხუთე ნიშნათა შეტყუება, რომელ აქიმნი მანკთა და ჰიროთა ნიშნითა შეატყუებდნენ და მოზავებოდეს კურნება, და ყველა თავის თავის ადგილსა გაგონებით დამიწროთ.

- ბ. უსთუყუსთასისა საწოში. იცოდე რომელ უსთუყუსთასსა შიგან აქიმნი დიდად შეცილებულან: რუფაჰს და ანდრუმახოს ამას იტყვიან: ვითა უსთუყუსთასი ნივთიანი რამე არს ბუნებათა შიგან, ძალიანი და ნივთიანი რამე ნაქმარი არს. ბაყრატს და ჯალინოს და მათთან სხუათა ეგე უთქუამს, ვითა უსთუყუსთასი იგი არს, რომელი პირველ რაჲ, აქიმობისა თავი ესე არს, რომელ იცოდეს, თუ აქიმობაა და მკურნალობა რაჲ არს, ერთად ესე რომელ ბუნებანი იცოდეს სიმართლისანი, და მეორედ ესე რაჲსა მიზეზისაგან დასწეულდა. და მიზეზნი თავად ოთხნი არიან: ესე რომლითა ვიტყვი, ფაალი მქმნდა ჰქვიან და მადათი, რომელსა ჰქვიან დამზადება, და სურათი, რომელსა ჰქვიან სახე, და თამამი, რომელსა გასრულება ჰქვიან. და მერმე ესე შვიდნი უნდან რომელი იცოდნის.

- ა. არქანი ცეცხლი და ჰაერი და მიწა და წყალი. ბ. ახლატ რომელსა ჰქვიან სისხლსა, ზაფრასა, ბალაშასა და სევდასა ჰქვიან
- გ. მიზაჯი რომელი ამა ოთხთაგანვე გამოვიდეს მას ჰქვიან
- დ. აადა რომელი ასოთა ჰქვიან
- 40 ე. ყუა ძალთა ჰქვიან
- ვ. კაფალი რომელსა მოქმედნი ჰქვიან
- ზ. ჰარვაჰა რომელსა ყულიშ ჰქვიან.

¹⁾ ამ სიტყვას თავზე აწერია „სულიერი“

²⁾ ამ სიტყვას თავზე აწერია „სიცოცხლე“

³⁾ ამ სიტყვას თავზე აწერია „ბუნება“

⁴⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

მუჰამად ზაქარიას-ძე და იოჰანას-ძე იტყვიან; ვითა უსთუყუთისი არსებისა სათავენოა არს ვითამცა ცეცხლი და ჰაერი, მიწა და წყალი, რომელი ყუელაა რაამე ამათისა გარევისაგან არს იქნების ძალითა და ხასიათითა არქნითა, და მათგან ორი სუბუქნია, ცეცხლი და ქარი¹⁾, ორნი მძიმენია, მიწა და წყალი. მიწა შავი არს, ვითა ქალაქინითა შემრგვალებული შუაგული, და წყალი მისა გარშემო, ყველგან მდგომარე, და ქარი მათ გარეშემო, და ცეცხლი ყველათა გარშემო მათისა ერთგან გარევეითა და დაზავებითა და ხასიათითა ყველაი არა არსი არს იქნა ძალითა და განცებითა და ბრძანებითა ღმრთისათა, და ამისათვის იტყვიან და სიმტკიცესა მოიღებენ, რომელ რააცა სოფელსა შიგან არს, სამთაგან არს, და ამ სამთაგან კიდე არა არს, ანუ არს სულღერნი, ანუ არს მზრდელნი, რომელსა 10 ჰქვიან არაბულად ნბათი, ანუ არს მადანი, მთანი, რომლისაგან გამოვა სპილენძი, რკინა, თუალნი და ყუელასთანაჲ სხვაჲ, და ცხადთა ვხედავთ, რომელი ამათი არსებამ და ზრდამ და ყოფამ უსთუყუსათისა გარე ვისგან არს, მით რომელ ყანისა ზრდამ და ხეთა და არსებამ მათი, ხილთა და კეთილთაგან სხვაჲ უმიწოდ და უწყვლად არ იქნების და არცა ეგების რომელ მიწამან და წყალმან²⁾. ნაყოფსა არ გამოიხსნას, და რამ მზე დახედნეს და ნიავი ეცეს, სრულიად იზრდების და ნაყოფსაცა გამოიხსნას.

მაშა აქა დასტური ნიშანი არს ესე, რომელი ყოვლისა ხმელისაჲ არსებამ უსთუყუსათისაგან არს ღმრთისა შეწეებითა და ბრძანებითა, და ყოველთა ფერთა არსებამ და სიცოცხლე ნაყოფითა იქნების, და ნაყოფისა არსებამ უსთუყუსათისგან იქნების. აქა გამოჩნდა, რომელ სულიერითაცა სიცოცხლე უსთუყუსათისგან იქნების, და ეგრეთვე მათთა, რომელთა ჰქვიან³⁾ მადანი, ნივთი და არსებამ უსთუყუსათისგან აქუს, რომელ რამა დიდხან 20 მზე ზედა ჰნათობდეს და სინედლე და რუტობათი მისგნით ამოზიდოს, და გაამაგროს და შეაგბოლოს რომელ ჯაგჰარი მისი გახასდეს, და ეგეთსაცა ადგილსა, რომელ მზე არ დახედვიდეს, სულიერნი და სახრდელნი მუნ არ იქნებიან.

მაშა გამოცხადდა, რომელ ჰაენისა და ნბათისა და მადანისა არსებამ უსთუყუსათისა, მიზეჯისა და ძუალისა გარევისიგან იქნების შეწეებითა და ძალითა ღმრთისათა. და მათი გარევეჲ ფერფერადი იქნების, და თვითო ფერი, რომელ ღმერთსა დაუბადებია, ხასიათი თვითოსა შიგან მათი მისაფერი დაუბადებია არსი, და სოფლისა და რააცა შიგან არსი არს, მისითა ბრძანებითა ხასიათი მისი მათგან გაუგია, და მით მოვიღე უსთუყუსათისა საქმე და ნივთი ამაჲ წიგნსა შინა, რომელ არავინ თქუას თუ ძეგლთა აქიმთა იჯლი და 30 მეცნიერობამ არ ცოდნია.

ბ. მიზეჯისა და ბუნებებისა შეტყუებაჲ. იცოდე, რომელ მიზეჯი და ბუნებამ არს მისგან: ოთხნი მარტივენია, რომელსა ჰქვიან არაბულად მაფიადი, ერთი მხურვალთა და მეორე გრილი, მესამე ნედლი, მეოთხე ხმელი. ოთხი სხვაჲ გარეული არს; ერთი მხურვალთა და ნედლი მეორე მხურვალთა და ხმელი, მესამე გრილი და ნედლი, მეოთხე გრილი და ხმელი, მეცხრე მოთადილი, რომელსა ჰქვიან ქართულად სწორი და იგი ტანისა სიმრთელისა ნივთი და საძირკველია, რომელ ყოველთა სულიერთა და მიზეჯისა ნივთი და ძალი უსთუყუსათისა ნივთიანობისა და ძალისაგან არს, რომელ ერთნაერთსა გაერევიან საქმისა ძალითა არა საქმითა.

და იცოდე, რომელ მათი გარევეჲ ორფერად არს; ერთი სწორი და მეორე⁴⁾ ფერფერი. სწორისა მოთადილობისაგან არს, რომელ არსებამ რაი რისა ამა ოთხისა უსთუყუსათისა ძალისაგან ერთი ნაწილი გაერიოს, რომელ ჰაზრითა ერთი ნაწილი მათ სამთა ნაწილთაგან უფროჲ სწორი იყოს. და ფერფერი გარევე იგი არს, რომელი ერთისა ნა-

¹⁾ ქარის მაგივრად უნდა იყოს „ჰაერი“.

²⁾ აქ ტექსტში ცარიელი ადგილია დატოვებული დაახლოებით ორნახევარი სიტყვისთვის.

³⁾ აქ ტექსტში ვარსკვლავი უხის და აშიაზე სწერია „ქანი არს“.

⁴⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

წილისა არსებება წითხთა უსთუყუსითისა ძალისაგან ნაწილი ცეცხლისა მათ სამთა ნაწილ-
თაგან უფროა იყოს, მის ნაწილისა ბუნება გრილი¹⁾ იყოს, და თუ მიწისა ნაწილი უფროა
იყოს, მისი ბუნება ხმელი იყოს და თუ ცეცხლისა და ჰაერისა ნაწილი უფროა იყოს, ბუნე-
ბაა მისი მზურვალი და ნედლი იყოს, და თუ ცეცხლისა და მიწისა ნაწილი უფროა იყოს,
ამათი ბუნებაა მზურვალი და ხმელი იყოს, და თუ ჰაერისა და წყლისა ნაწილი უფროა იყოს,
მათი ბუნებაა გრილი და ხმელი იყოს; და კაცისა ბუნებისა (ფერად²⁾) უფროა უსთუყუ-
თასისა გარევისა მსგაჲსად და შესაფერად იქნების, და მე გამოგიცხადო იგავი მისი: თუ
სინგური და სპეტი და მელანი და ამარტაა, რომელსა ჰქვიან ზარნიზი, თვითოასგან სწორი
აიღონ და წმინდად გაგაღონ და ერთგან გაპრიონ, მათი ფერი სხვათა ფერთაგან კიდე
10 ესდენი დაკლებად და მიმატება გამოაჩნდების მას გარეულსა;

იკოდე, რომელ სწორი ბუნებაა კაცისა ტანსა შიგან არა არს, მაგრამ ბუნებაა იქნების
სისწორისაგან იყოს, და ცნობისა ჰაზრთა ყოველისა სულიერისა ბუნებათაგან, კაცისა
ბუნება უფროა ახლავს სისწორებას, და ყოველთა ასოთაგან კაცისა ტყავი უფროა სწორს
არს, და ტყავთა ნებისა ტყავი უფრო სწორია, და ნებისა ტყავისაგან თითისა თაფისა
ტყავი უფრო სწორი იქნების. და დასტურობით გარეგაა უსთუყუთასისა ნივთისა და
ვითარებაა ღმერთთან იცის.

აქიმობისაა მეცნიერთა და გონიერთა ოსტატთა ესრე უთქვამს, რომელ სამისაგან
კიდე არა არს: ანუ არსთა გუარი არს და არსებება მით იპოვნების, ანუ ძალი არს
20 მოთადბირე ყოველთა სულიერთა, ანუ ეგეთი არს, რომელ მისისა გარევისაგან არსებება
გამოაჩნდების.

მ. ტანისა პარამისა და ბუნებისა შმატებაა. იკოდე, რომელ ტანთა გარეგასა აქიმ-
ნი იხლამად იტყვიან, და იგინი ოთხნი: ერთი სისხლი, მეორე ბალღამი, მესამე ზაფრად,
მეოთხე სეფდაა. და ბუნებაა სისხლისა მზურვალი და ნედლი არს ვითა რომელ ჰაერისა ბუნებაა
და მისი ადგილი კაცისა ტანსა შიგან ზვიძლი არს. ბალღმისა ბუნებაა გრილი და ნელი
არს ვითა წყლისა ბუნებაა და ადგილი მისი კაცისა შიგან ტყირბი არს. ზაფრისა ბუნებაა
მზურვალი და ხმელი არს, ვითა ცეცხლისა ბუნებაა, და ადგილი მისი კაცისა ტანსა შიგან
ნოდლი³⁾ არს. და ზაფრისა და სეფდისა ბუნებაა გრილი და ხმელი არს, ვითა მიწისა
ბუნებაა, და ადგილი მისი კაცისა ტანსა შიგან ელნეთი არს.

და ესრე იკოდე რომელ თვით ამათ გარეგათაგან ორფერად არიან: ერთი ბუნებუ-
90 რი, და იგი კაცისა ტანსა შიგან სწორ გარეგა იქნების: მეორე არ ბუნებური, და იგი კაცისა
ტანსა შიგან არ სწორი გამრეველი იქნების, და სისხლი, რომელი ბუნებაური იყოს, ნიშა-
ნი მისი იგი არს, რომელ სწორად იყოს, არცა თხელი და არცა სქელი, და ფერად ღია
წითელი იყოს, და გემოა ტკბილი იყოს მისი, და რაა უსუნონ მყარალი არ იყოს, და რაა
გამოიღონ ადრე გასქელდეს. და რაა სისხლი ესეთი იყოს, სიმათელისა ნიშანი არს და
ტანისა სიძლიერე, და ფერისა და პირისა სიწითლე და სიტურფე. და რაა არ ბუნებური
იყოს შვიდ ფერად იქნების: ერთი იგი, რომელი სქელი და ბნელი იყოს, იგი ნიშანი არს
ლვიძლისა სიმზურვალისა და სინმელისა. მეორე რაა ღია თხელი იყოს, ნიშანი არს ლვიძ-
ლისა სიგრილისა და სინედლისა, მესამე რაა თეთრ ფერი იყოს, ნიშანი არს ლვიძლისა და
სიგრილისაა. მეოთხე რაა ყვითელ ფერი იყოს, და გემოდ მწარე იყოს ნიშანი არს ზაფრი-
10 საა, მეხუთე რაა მყარალი იყოს, ნიშანი არს. სისხლისა დამკლმობისა. მეექვსე რომელ მლაშე
გვარი იყოს გემოდ, ნიშანი არს მლაშისა ბალღამისა გარეგისა მისისა. მეშვიდე⁴⁾ რაა პერუ-
ლიანი იყოს, ნიშანი არს ბუნებისა სინედლესა და ქარიანობისა ფერფერისა.

1) ეს სიტყვა სტრიქონს ზევიდან არის ჩამატებული დედნის ზელით.

2) ეს სიტყვა ორჯერ სწორია.

3) ნალელი.

4) ამ სიტყვის მაგივრად ტექსტში შეცდომით სწორია „მეოთხე“.

და რაა ბალღამიანი იყოს¹⁾, მისი იგი არს, რომელ წესისაებრ იყოს, არცა თხელი, არცა სქელი და ამას არაბულად ჯაჰავეამი ჰქვიან, და იგი საჰამადისაგან იქნების, რომელ სტომაქსა შიგან შემგბარ იყოს; და სისხლი რაა ყვანიად იყოს, მისგან არს, რომელ ბალღამი რაა ესრე იყოს, ნადავასონი და საქციელი მისგან ლბლად იქნებიან, და სიარულსა კაცისასა არას აწყენს ევეთობაჲ. და ოდეს კაცისა საჰამადი წესისა და ჟამისაგან გარდაივდეს, ანუ ევეთი ჟამი მიხუდეს, რომელ პოოს, სტომაქი ამ ბალღამსა საჰამადისა ნაცვლად მიიხმარებს, და მისგან წმიდაჲ სისხლი მიემატების, მით რომელ ბალღამი საჰამადი არს შეურებელი და გაუდნობელი.

10 და ბალღამი რომელი არ ბუნებაური იყოს, ოთხფერი იქნების: ერთი მჟავე, და იგი სხუათა ბალღამთაგან უგრილესი და უხმელესი იქნების, ევეთი ბალღამი ნიშანი არს საჰამადისა არ მოდნობისაჲ და სტომაქისა და ბუნებისა სიგრილისა. მეორე რაა მლაშე იყოს, სხუათა ბალღამთაგან უხმელესი და უმხურვალესი იქნების, ნიშანი არს ხეულისა და წყურველისა და ტანისა ჰვიდისა. მესამე რაა ტუბილი იყოს სიმხურვალითა და სინედლობითა სხუათა ბალღამთაგან უმეტესი იქნების, ნიშანი მისი სისხლისა მორგენაჲ და ტანთა სიმხურვალე არს. მეოთხე რუტობათი ზუჯაჯი ჰქვიან, ვითა გამდნარი ჭიქაჲ იქნების და იგი უსქესი და უგრილესი არს ყოველთა ბალღამთაგან, ნიშანი არს სტომაქისა და ტანისა სიგრილისა და ყოლინჯისა.

20 და ზაფრა რაა ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ ნაჭიფი იყოს და ფერად წმიდაჲ, და ნათელი იყოს, და გემოდ მჟარე იყოს და ზაფრა რაა ასეთი იყოს, სტომაქსა ახურვებს და საჰამადთა მოდნობასა უშუელის, და წელთა გასწმედს ნანარჩომისა სიგრილისაგან, რომელ შიგან დარჩომილი იყოს. და ნანარჩომსა ფუტული ჰქვიან, და ხორცისა ტყვიელსა არგებს, და სიფხიზელსა მოუმტებს, და ტანსა გაასუბუქებს, და სისხლსა ვაათხელებს, და მოინატივებს, რომელი ძარლთა შიგან ადვილად გაიარებდეს.

30 და ზაფრაჲ, რომელი არ ბუნებაური იყოს, ოთხფერი იქნების: ერთი იგი რომელ ფერყვიოლად იყოს, და იგი მისგან იქნების, რომელ სინედლე მასთან გარეულ იყოს, და სიმხურვალე მისი უმცრო იქნების ბუნებაურისა ზაფრისაგან. ნიშანი მისი იგი არს, რომელ საჰამადსა გუიან მოიდნობდეს, და ასოთა სისუსთისა. მეორე რაა კვერცხისა სიყვიოლესა ჰქვიანდეს, მისგან არს რომელ სინედლე სქელი ბალღამური ზაფრისა ბუნებაურსა თან გარეულ იყოს, და იგეთი სიმხურვალითა უმცროსი იქნების ყოველთა ფერთა ზაფრაჲ; ნიშანი არს იგი ბატრალიბისა ცხრომსა და ასოთა შვერულეებისა და ღამასა შვერულეებისა. მესამე ფერად რაა გინდა, მისებრი იყოს, და ზაფრაჲ ესე ფერი უფროსი სტომაქისა შიგან იქნების, და მისი შვერაჲ უფროჲ სინედლისა საჰამადისა ჰამისაგან იქნების. ნიშანი მისი იგი არს, რომელ სტომაქი და ღვიძლი უსუსურად ედგეს და ძნელნი მანქნი სხუანი. მეოთხე ეანგარის ფერი იქნების, და ზაფრა რაა ესე ფერი იყოს, დია ჰავი იქნების, და ნიშანი იგი არს მისი, რომელ სხეულისა გასარეველი სტომაქსა შიგან დამწუარი იყოს, და ესე სიკუდილისა ნიშანი არს.

40 და სევედა, რომელი ბუნებაური იყოს, ნიშანი მისი იგი არს, რომელ გემო პირსა შიგან სიჟევისაგან ჰქონდეს, და ყვამი სქელად იყოს და ფერად შვევკრემან გუარი იყოს, ბნელისა სისხლისა მრღვივისა ფერად. და სევედა რაა ესე ფერი იყოს, სტომაქსა საჰამადსა მოანებებს და გონებასა გაუნათლებს, და კაცთა ძნელთა საქმეთა ზედა გააგულოვანებს, და ტანისა ძუალთა საზრდელი მისგან იქნების, და სისხლსა ტანსა შიგან დაიჭირავს, რომელ ყოველმან ასომან თავისი ნაწილი საზრდელი სიხალისგან აიღონ.

და სევედა, რომელი არ ბუნებაური იყოს, სამფერი იქნების: ერთი იგი არს, რომელი ბუნებაური სევედა დაიწვას და სიმხურვალისა კერძი იქნების, და გემოდ მჟავე იქნების.

1) ნიშანი.

და გაყოფა ამას სევდასა და ბუნებაურსა სევდასა შუა იგი არს, რომელ ამა სევდასა ზედა მწერი არ დაჯდების. ნიშანი მისი დაშვებად მიზეჯისა არს და სიშმაგე და შჯდომნი და წყლულნი ძნელნი. მეორე იგი არს, რომელ სევდად დამწურა იყოს, და გემოდ¹⁾ შავი და ელზარი იყოს კუბრავითა, და სული მუავე ჰქონდეს, და სხვათა ყოველთა სევდათაგან უმბუნებალესი და უფიცხესი იქნების; ნიშანი არს ძნელთა მანათა მომკლველთა, ვითა სი-გონჯი, რომელსა ჰქვიან არაბულად ჯღომი, და ვითა კირჩხიბი, რომელსაც ჰქვიან სარატანი და ვითა ტაუნი, და ეგეთი სნებად, რომელ კურნებად მისი არ ეგებოდეს. მესამე რომელ ბადანჯანის ფერი იყოს, სიფიცხე და სიმბურვალე მისი მავა ორთა მანკებად ეგეთი, რომელ ასოთა შიგან დიდ ხან დარჩეს.

10 ესე არს ოთხი ფერი მეცნიერებად ბუნებისა და იგი ორი ნაწილი სხვადა გაყოფისა ძულისა და ნაქმარი ძალთა და საქმეთა, და ასოთა და ტანისა დაბადებად, ნივთი ამისი, და შემდგომი, რაცა ღმერთსა უნდეს.

დ. ტანისა შიშარმაბადა შემთქმებად სიმართმელისა. იცოდე რომელ აქიშნი და ფილოსოფოსნი ერთნია, და მათ შუა საცილობელი არა არს, რომელ იტყვიან ვითა კაცი ამა ოთხთა ბუნებათა არსნი არიან: წყლისა, ცეცხლისა, ჰაერისა და მიწისაგან. და ჩუენც შეწყენითა ღმრთისათა ვიციტ დასტურობით და სარწმუნობებად გუაქვს, რომელ ღმერთი ჰეშმარიტი არს დამბადებელი კაცისა და ყოვლისა არს მქმნელი, და წამითა დაჰბადა სოფელი და საუკუნოა, და მისითა ექიმობითა ამა ოთხთა ბუნებათაგან დაჰბადა კაცი, და

20 ოთხივე ერთმანეთისა ურჩნი, რომელსა ჰქვიან ტიდი. და ამა ოთხთაგან კაცისა ტანსა შიგან ერთიცა არა არს, და დაჰბადებელმან, ვითა შექმნებელ არს, ესე ოთხნი ურჩნი ერთმანეთისანი დაამორჩინა კაცისა ტანსა შიგან, და არსებობისათვის აჰვიჯი ქნა კაცთათვის.

და ღმერთმან რააცა სულიერი დაჰბადა, ყველა მკამელი, დაჰბადა და ყოვლისათვის საზრდელი, ვითა მოწყალე და შემბრალბელ იყო, დაჰბადა და გამოაჩინა. და რაა საქამალი ჰამონ, რააცა მათთვის შემრგე და სასარგებლო იყო, მათდა სასუქად და საძალოდ გაჰხადა, და რააცა შიგან სააენო და უხმარი იყო და ფტლად, კაცისა ტანი და სულიერთა ტანი მას თავისა ტანისაგან გაუყენებს და გარე დაადგებს. ზოგი ფიტი არს და ზოგი ნერწყვად და რწყევად და ზოგი ზურგისა წყალი, მით რომელ იგიცა ფატილია

30 ძალი არს ვითამცა²⁾ ბუნებამან ოდესცა გამრავლდეს, მასცა გააყენებს, ესრე რომელ რაა მოემატოს, კაცისა ბუნებად მოანებებს ანუ დიაცი, ანუ სხვაებრ რათამე გაყენებას ეცდების, და მას შიგან ორი საარგებელი არს, ერთი იგი, რომელ მანცა მომატებულსა გაუყენებს ტანისგან, და მეორე რომელ სხვადა სულიერსა დაჰბადებს ღირთი მისგან. და იგი სიჰამოვნი, რომელ იქნების, ბუნებისა ნაწილი და საზრდელი არს შუა, და გასუბუქდების და ერგების, რაა საზომისა ებრ იყოს³⁾, და ღმერთსა იგი ზურგისა წყალი თეთრი, რომელსა ჰქვიან ნეტფა, კაცისა სათესლედ დაუბადებია და სულიერთათვის, და ადგილი მისი დედათა ზეჰდანსა შიგან არს, და საკვირველებად ეგეთი არს, რომელ ასოთა შიგან დაუბადებია ღმერთსა, რომელ დედათა ზეჰდანსა შიგან, და იგი საშვილე ადგილი არს, წიგნურად საშოა მგონიან. და ყრმადა ცხრასა თუესა შიგან იქნების;

40 და იცოდეთ, რომელ ზეჰდანი ვითა მათანაა არს, და მათანაა საწყლელ ბუშტი არს, და ტყავი მისიცა მავარი იქნების, ვითა მათნისა, და ადგილი მისი მათნასა ქვეშეთ იქნების, და ყელი გრძელი ათქს, ვითა მამაკაცისა სარცხუნელი, ვითამცა რვაას ოცდა თხუთმეტი, ეგრე რომელი თავი მისი დედაკაცისა მას ადგილსა თანა მოკიდებული არს,

1) ეს სიტყვა შეცდომით არის უნდა იყოს ფერად.

2) აქ ცარიელი ადგილია დატოვებული დაახლოებით ორი სიტყვისთვის.

3) ან გვერდის ბოლოში რვეულთა სათვალავი სწერია „8“ და შემდგომ გვერდის ქვემო აწიხა „8“

და პირი აქუს ვითა თევზისა, და ორი ტაბაყაჲ არს შიგნით; ტაბაყაჲ ორი კერძოჲ არს ეგეთი, რომელ თუ შიგანსა გარეგანი გააკიდებნონ, ერთსა ზეჲდანსა შიგან ორი ზეჲდანი სხვაჲ ნახონ, ერთი მარჯვნით კერძოჲ, და ერთი მარცხნით კერძოჲ, და თუ ვინ გამო-საცდელად ფურცელი დაჰხალოს დაკლულისა პირუტყვისა ზეჲდანისა ესე, რომელ მითქუამს, დაუდასტურდების, და ღმრთისა განგებითა იგი არს, რომელ თუ ორი შვილი შობოს, ვირე შიგან იყოს, საზრდელი ღიდგე კიდე განად იქნების, და ყმა შვილი უფროსი მარჯვნითკე იქნების, და ქალი მარცხნითკე; და ოდესსა მამაკაცი შეეკრების დედაკაცსა, ზეჲდანი პირსა აალებს და მამაკაცისა წყალსა შთანთქავს, და პირსა ერთმანეთსა ზედა დასდებს, რომელ შიგან მილისა თავი ანუ მახთისა არ შვეიდოდეს, და იგი ზურგისა წყალი ნეტფაჲ შიგან დარჩების, და დედაკაცისა წყალი მას გაერევის, და ორივე წყალი დედაკაცისა ზეჲდანსა შიგა გაბრტყელდების. ამა ხელისა ოსტატთა ესრე უთქუამს, რომელ დედაკაცისა შეყრისა ყამსა თუ მარჯვნით კერძო უფრო იყოს წყალი, ვთუ უფროასი ჩაიჭრების, და თუ მარ-ცხნით იყოს, ქალი ჩაიჭრების, და თუ მამაკაცისა წყალი დია იყოს და ძლიერი და ორ-გნითვე ნდომაჲ სწორად იყოს, შვილი ორი ჩაიჭრების. და დედაკაცისა წყალი მამაკაცისა წყალისა საზრდელი იქნების; და მამაკაცისა წყალი სქელი და მზურვალი იქნების, და დე-დაკაცისა თხელი და გრილი, და სისქითა მამაკაცისა წყალი ¹⁾... გასქელდების და მით რომელ დია მზურვალი არს, უფროასჯერ შვილისა სქანსა გააცულებს, და ამისთვის უნდა დიაიცისა წყალი, რომელ გასწორდეს. და თუ მამაკაცისა წყალი სქელი და მზურვალი იყოს, ყმაჲ დაიბადების, და თუ თხელი და გრილი იყოს, ქალი დაიბადების, და თუ მამაკაცისა უსქე იყოს და უფროასი, შვილი მამასა დაემსგავსების. და ხასიათი მამაკაცისა წყლისა იგი არს, რომელ რასაცა სისხლსა ჰნახავს დიაიცისა წიღოვნობისასა, ყველასა შეჰკრავს, და თუკა ცოტა იყოს, ეგრეცა დტრითისაებრ შეჰკრავს, და მას შეკრულსა სისხლსა არაბუ-ლად ალაყაჲ ჰქეიან.

და ღმერთი დამბადებელი მუნით დაჰბადებს, და არს იქმს რომელ მის სისხლისა და მის წყლისაგან დასახავს კაცისა სახესა, ეგრე რომელ რაჲცა კაცსა შინა რაჲცა თეთრი არის, ვითა ძუალი და თეთრი ძარღვი, რომელსა ჰქეიან სპარსულად ფაჲ და არაბულად ასა-ბი, და ტვინი, რომელსა ჰქეიან მაღზი, ამას მამაკაცისა წყლისაგან დასახავს, და სხვაჲ ასოჲ, რომელი თერად თეთრი არ იყოს, ვითა ხორცი და ლუიძლი და ელნეთი და თირ-ქემელი და მათი მსგავსი, ყუელასა ძირ ჩამოგდებულობისა სისხლისაგან დასახავს განგე-ბაჲ მისი, ანუ თუ გული, რომელ მისი სათაენოა შარიანისა სისხლისაგან არს, და ამას დაბადებასა, რომელ მითქუამს, აქიმნი მოსაგარაჲსა ყუევათად იტყვიან. თარგმანა ²⁾.

და პირველი რამე რომელ დაიბადების, კაცისა გული და თავის ტვინი, ღვიძლი იქნების და რაჲ ორმოც დღე გარდვიდეს, იგი ალაყაჲ მუტლად შეიქნების, ვირემცა პატარა ხორცი ღილი; და რაჲ ხანი გარდვიდეს, ძუალი დაიბადების და ხორცი, და ძარღვი და ფაჲ, და ასონი გამოჩნდებიან, ვითა პირი და თუალნი და ხელი და ფეხნი და სხვანი ასონი, და ტყავი გამოჩნდების გარემო. რა ოთხი თუე და ათი დღე გარდახდეს, ღმერთი სულსა დაჰბადებს მისსა და გამოსკლამდის დედის მუცლით მისი საზღელი წიღოვნობისა სისხლი არს, რომელსა ხუნი პატი ჰქეიან, და მით იზრდების დედისა მუცელსა შიგა, და რაჲსა დედა მისი ჰვამს, ღვიძლი მას ყველასა გაასისხლებს და საშობელსა გაუზუნენის, და ყმა თუნდა ქალი მას ჰვამს, და რაჲ გამოსკლისა ყამი მოვიდეს, ყმაჲ შიგან გარდაიქცევის და კიდე გამოვალს და სამთა სიბნელეთგან დაიხსნების; ერთი შამშამა, რომელსა ჰქეიან ბუდე, მეორე ზეჲდანი, მესამე მუცელი, ღმრთისა ბრძანებითა დიდ არს ძალი და წყალობაჲ მისი.

¹⁾ აქ ცარიელი ადგილია დატოვებული ერთი სიტყვისთვის.
²⁾ აქ ცარიელი ადგილია დატოვებული ერთი სიტყვისთვის.

და ტანისა და სახის გასრულებამ და გამოსლვამ მრავალ ფერად იქნების, მით რომ რამა შვილი შვიდ თუდ იშუას და ყმა იყოს, სახე მისი სამღვდელ დაბადებული იქნების და გამოსლვამ სამოც დღედ, და გასრულებამ მისი ას ოთხმოც დღედ, და თუ ქალი იყოს, დასახეა მისი ოცდა ოთხთმეც დღედ ქნილიყოს და გამოსლვა სამოცდა ათ დღედ, გასრულებამ მისი ორას და ათ დღედ.

და თუ ცხრასა თუესა შობილ იყოს და ყმა იყოს, სახე მისი ორმოც დღედ ქმნილ იყოს, და გამოსლვა მისი ოთხმოც დღედ, გასრულებამ მისი ორას ორმოც დღედ, და თუ ქალი ყოფილიყოს დასახეამ მისი ორმოცდა ხუთ დღედ ქნილი იყოს, და გამოსლვამ ორმოც დღედ, და გასრულებამ მისი ორას სამოც დღედ, და ათ ქალი შობილ იყოს, ესრე იქნების.

და თუ შვილი ათ თუედ შობილ იყოს, ყმა იყოს დასახეამ მისი ორმოცდა ხუთ დღედ ქმნილ იყოს, გამოსლვა ოთხმოც და ათ დღედ, და გასრულებამ მისი ორას სამოცდა ათ დღედ, და თუ ქალი შობილ იყოს, დასახეამ მისი ორმოცდა ათ დღედ ქმნილ იყოს, და გამოსლვამ ას დღედ, და გასრულებამ სამას დღედ.

და თუ რვა თუედ იშვას, უკუნისამდე დარჩომამ მისი არ ეგების, და მით იქნების, რომელ რამა შვილი დედის მუცელსა შიგან შვიდსა თვისა იქნას, შვიძრას და გამოსლვა მოუწდეს და გარდაიქცეს. თუ ყრმა ძლიერი იყოს, იშვას და გამოვიდეს და არ დარჩეს მით შვიდთა მასკვლავთა დაგრინანი, რომელთა მოთაჰაირა ჰქვიან, მას ზედა გარდასრულ იყოს. და თუ უსუსური იყოს იძრას და გამოსლვა არ შეეძლოს, მოკლდეს უსუსურობისა და ჭირისა ნახვისაგან, და მით რომელ მერვისა დაგრინანისა პატრონი ზეჰალი იქნების, და ჰავე ვასკლავი არს¹⁾ არ დასახული მერვე მონაჯიმთა ანგარიშითა სიკვდილისა სახელი²⁾ იქნების.


და თუ შვილი ცხრა თუედ შობილ იყოს, დარჩეს, მით რომელ ამა ორას თუესა შიგან გაძლიერდების, და მეცხრესა დაგრინანისა. შვილი მშთავარი იქნების, და თუ შობისა ეამსა ამის ყმისა ეტლი სიკუდილისა სახლსა იყოს, ანუ მიწისა ბურჯსა, ორთა ჰავთა მასკვლავთა შუა, შვილი მკუდარი გამოვიდეს, და რამა შვილი კიდე გამოვიდეს და დედას გაეყაროს, ატარდების. და ამა ხელისა აქიშნი ატირებასა ორფერად იტყვიან, ზოგნი იტყვიან მითა ატირდების, რომელ თავისა ადგილსა გაშორდების. ესე ღმრთისა განგებისა და მოვლენილობისაგან იქნების, დიდ არს ძალი მისი, რომელ ყრმასა ეგეთსა ბნელსა და ვიწროსა ადგილსა შიგა მშვიდობით დაიცავს ცხრასა თუესა, და რა მუნით გამოვიდეს, მისივე ადგილისათვის ატირდების, რომელ თუ ერთსა დღესა ეგეთსა ვიწროსა ბნელსა ადგილსა შინა ვინცა ჩააგდონ, ცოცხალი არ დარჩების, მაშა ამის უცხადესი ნიშანი არ ეგების ღმერთისა მოვლენილობისა და ერთობისათვის. და სხეამ ნიშანი იგი არს, რომელ ვინცა დედისა საშობაგან გამოვიდეს, თუ ერთი თითი აკლდეს, ყოველნი არსნი შეიყარნენ, ერთსა თითსა ვერ გამოადგენ და თუ მრუდი ზღვას, ვერ გაუმართლებენ.

აჲ ასოთა ვითარებამ და შეყრა და ქნა მისი გამოვაცხადო. რომელსა ღმრთისა ღმერთობამ ქეშმარიტად გრწამდეს, და რასაცა აქიმობდეთ, მის ყველასა ნივთი და ძალი სცანიოთ. და ძალითა დაევიწყეთ ვარებისა ნივთი და ძალითა შიგან, და მისთა თარქობითა შიგან, დია რომე საკვირველი არს.

მ. ჭშალთა წყობილობამ: იცოდე, რომელ ძალი კაცისა ტანსა შიგან სუეტისა ადგილსა არს საძირკუელისათვის, და კაცს ძულითა დვას და პირველ დაბადებასა შინა კიფამ პირველ შეიკრის და ტანისა ძულითა ყოველთაგან იგი უმაგრესი არს და მიწასა შინა უგვიანე დალპების, და ღმერთსა მით მაგრად დაუბადებია რომელ კარგი ასო არს, სხუთთა ასოთა მცველი ფათერაკისაგან, და ესე მით არს რომელ მრგულად დაბადებული არს რამა

¹⁾ გამოტყვებულია ერთი სიტყვა.

²⁾ შეცდომამ უნდა იყოს „სახლი“.



მელ მრგვალი უფრო დაცული იქნების ფათერაკისაგან ოთხკედელთა და სამკედელთაგან და მითცა რომელ ტვინი დია დაეტოოს, და მითცა რომელ თუცა ჰგავს სიმრგვალითა ექუს პატარად არს დამყნელი და შეწყობილი, ეგრე რომელ უქუნემდე არა დიშლემის შეწყობილობაა მისი.

და შეწყობილი სამთა ფერთათვის არს, ერთი მით რომელ, რაჲ ნატიფნი ბუხარნი ვითამცა ორთქლნი სტომაქისგან თავისა გაუხდეს ამა შეწყობილთა ქუემე გაიაროს და თუ ორთქლი და ბუხარი სქელი და გულესუნი, ფუტელი პირთა და ცხუი¹ თაგან ჩამოვიდეს და კაცი მორკმით იყოს მანკთა და ძნელთა თავის ტკივილისაგან.

მეორე იგი რომელ თუ ერთსა პატარსა მისგნით რაჲმე წაეკიდოს სხვაჲ პატარა 10 მშვიდობით იყოს, მესამე იგი რომე თავისა წინაჲთისა კერძისა ძუალი უკანისისა უმაგრესი არს, და ერთობლისიგან არ ეგების რომელ ნახევარი უღბოსი იყოს და ნახევარი უმაგრესი.

და ამა ხუთთა ჰისთაგან რომელ კაცსა შიგან არს, ოთხი ჰისი თავსა შიგან არს, ერთი თუალისა ჰისი ვითამცა ნახვა და მეორე ყურისა ვითამცა მოსმენა, მესამე ცხუირთა ვითარცა ყნოსა, მეოთხე ენისა ჰისი ვითამცა გემოსა შეგებ², ეგრე ერთი ჰისი რომელ დაიბადემის ნებსა შიგან იქნების, ვითარმცა დაჭირვად.

და ზემოთ კერძი კბილი თავისა ძულსა თან დია მაგრად შეწყობით მოკიდებული არს, და ათესქუმეტი კბილი შიგან მოკიდებული არს, ამათგან ოთხნი მომკუთეთლნი, და ოთხნი მცობნენლნი, და ოთხნი მოფუჟენი.

და სხვაჲ ძუალი ზანახისაჲ არს, და ორ პატარად არს, და ორი ნაპირი მისი თავისა კეფასა თანა მაგრად მოკიდებული არს, და კაცისა ტანისა წისქვილი მისი კბილნია, და ყოვლისა წისქვილისა ზემო ქვაჲ ბრუნავს, კაცისა წისქვილისაჲ ქვემოთი ბრუნავს, და ყოვლისა წისქვილისა ქვაჲ შეწყობით არიან და კბილნი არ შეწყობით არიან, მით რომელ ქვემოთნი კბილნი უსწონისა ზემოთისაგან, და თუმცა შეწყობით სწორად ყოფილ იყვნეს ვერას ვერ იქმოდეს.

და თვითოსა ასოსა შიგან ასეთიფე საკვირველებანი არიან ამად რომელ იცოდენ, რომელ დაზბადებელი ღმერთი აქიმთაგან უაქიმესი არს.

და ზანახისა ძუალისა უკანა ყელთა მძივთა ძუალი შეიკრვის და იგი ოთხნი მძივნი რომელ სიგრძე მისი ოთხი თითი არს, და ღმერთმან ერთობილად მით არ დაჰბადა, რომელ იგი მძივნი თავისა კეფასა თან მოკიდებული არს, და თუალნი თავსა შინა არიან და თუ ყელისა ძუალი ერთობილად ყოფილიყო კაცი ქუემე ქუემ ვერ ხედიდა და ვერცა ცათა შეხედიდა, ნუ თუ ჰირ აღმა დაწუებოდა. ესე მძივნი გახერეტილნია ამად რომე სუკუსა შიგან ჩაიაროს და ასოდ შეიქნას, და თუ კაცსა ყელი არა ჰქონებოდა ვერ იზახდა, და ვერცა ხმა გაიგონებდა მით რომელსაცა სულიერსა ყელი არა ათქს ხმაცა არა აქეს, ვითა თეგზსა და ვითა კირჩხიბსა რომელსა ჰქვიან სპარსულად ხ ა რ ჩ ა ნ გ ო .

ზურგისა მძივნი ათორმეტნია, და ყელისაგან უფროასნი და უძლიერესნია, და მისი ხურელი უფიწრესია ყელისა მძივისა ხურელთაგან, და თაჰიგაჰისა მძივი ხუთნია და უფროსნია ზურგისა მძივთაგან. და ხურელი მისი უფიწრესია ზურგისა მძივისა ხურელისაგან. და ესე ყულაჲ ოცდა ოთხი მძივი არს ერთმანერთსა თან მოკიდებული მაგრად და მიწყით³ თვითოსა შუა რუტობათი გაჰვლის, რომელ საქციელი ნედლად იყოს და არ გახმეს, და თუ გახმეს კაცი შემისაგებრ გახმების და ვერღარა იძრვის. და თვითო მძივსა შიგან ორი ხურელი არს ერთი მარცხნით კერპო და მეორე მარჯვნით კერპო. და თვითო საქციელისაგან ცოტა ტვინი გამოსრული არს და ძარღვად შექმნილა და მას მძივთა დამართებით მისრული და ტვინი შიგან გამაგრებული.

და წიბონი ძუალნი ოცდა ოთხნი, ზოგი მათგან მოკლე და ზოგი გრძელი. თოთხმეტი მათ თანა იგი არს რომელ თავი მათი მარჯვენით და მარცხნით მოკიდებული არს ზურგის

ძელისა მიძიეთა და სხვაჲ თავი მათი მკერდისა ძულსა მოკიდებული, და ათი ძუალი იგი არს რომელ მათი თავი ზურგისა ძულისად მოკიდებული არს, და სხვაჲ თავი მათი არს რომელ შუა ძულსა ჰკიდავს. და ღმერთსა ესე ძულა მრუდათ დაუბადებია, არს ვითა მშინლ-
დი, მით რომელ ესე ძულა მუცლისა შიგან მყოფთათვის მცველია, და არცა ოდეს მიწასა
ზედა დასცუდეს და ძილისა ეამსა. და ჭურჭელი რომელ მრგვალი იყოს ანუ ნახევარ მრგვა-
ლი, შიგან უფრო რაჲმე დაეტევის. რაჲ გუამი მიწასა ზედა დასდვას ძილისა ეამსა, მიწისა-
გან ორი ნაწილი უკანად დაჩაჩების და ერთსა ნაწილსა ევენების.

10 და სულიერთა ენაჲ მრავალ ფერი არს და ძულა იგარევე მრავალ ფერი არს, მეტად
კაცთა. ზოგი მრგვალია და ზოგი ნახევარ მრგვალი, და ზოგი გრძელი არს და ზოგი მოკლე,
ზოგი სხელი არს ზოგი წვრილი, და ღმერთსა დამბადებელსა ვითა ხმს იგარე დაუბადებია,
და ყუელასა ვითარებაჲ დაეწერო წიგნი გაგრძელდების.

3. **თავისა და ტანისა ვითარებაჲ და შეფუთვილობაჲ.** იცოდე რომელ სამი ასო არს
კაცისა ტანსა შიგან დას მას რაასა ჰქვიან ვითამცა უმთავრესი მით, რომე მათი ნაქმარი
დიდი არს, და საქმესა დიდსა იქმან და მავა სამთავან ერთი გული არს და იგი ხელმწიფე
არს ტანისაჲ, და მეორე ტვინი არს და იგი ეაზარი არს ტანისაჲ, მესამე დღეი ძლი და
იგი მზარეული და გამყოფელი არს ტანისაჲ. და იცოდე რომელ ტვინისა ადგილი თავსა
შინა არს და უფროასი თუალისათვის არს, ეგრე მით რომელ თული გუშავი არს ტანისაჲ,
და თუალთა სინათლე ორი არს, და ესე ორივე ღმერთსა მით დაუბადებია ასოთა ზედმათ
რომელ რაჲცა ნახოს კაცმან და იცოდეს რომელ მისგან ელზინების რაჲმე მოეხლოს, და თუ
20 ევენებოდეს მისგან ერიდოს. და იცოდე რომელ ტვინი ზუნებაჲ გრალი და ნედლი არს, და
იგი ორთა ფარდავთა შუა კივასა ქუეშეთ ძეს, ეგრე რომელ ამათ ორთა ფარდავთან ერთი
გარეთ იყოს და ერთი შიგნით, და გარეგანი ფარდავი რომელ კივასა ქუეშე მოკიდებული
არ იყოს და კიდე განი იყოს, ამისთვის რომელ საუნოჲ უკუაყენოს ტვინისაგან, და ამას
ფარდავსა შიგან მუნამდინ რომელ ცხურითა ხურელი არს, და ამა ხურელთა ქვეშე ორი
ძულა სხვაჲ არს რომელ გახურეტლი არს, და ზოგი ამა ხურელთა მართალი არს ზოგი
მრუდი, და ესე ხურელნი ამორევენ ტვინსა თავისასა მით რომელ სულაქმამდინ გრილა ჰაე-
რი ცხურითათჲ არ ეცეს ტვინსა და არა ავნოს. და პირისა ხურელი ეგრეთ არს რომელ
პირსა უკანით მრუდი ხურელი არს, ტვინისა შტავულსა ქუეშეთ მონრული და მას ძულთა
დამოკიდებული, და მის ხურელისათა რომელ პირსა უკანით არს, უვიწრესი არს ამის ხურე-
ლისა რომელ ცხურითაჲ არს და სარგებელი მისი იგი არს რომელ კაცი რაჲ პირშეკრული
30 იყოს მისგან სული ამოვა და ჩავა, მიძინარე იყოს და თუ მღვიძარე და არსებაჲ მფეთთქელთა
ძარლუთა რომელ შუა ტვინსა შიგან არიან მისგან არს რომელ გარეგანი ფარდავი არს.

და იცოდე რომელ თავისა ტვინი სამკერძად არს, მავრა ერთგანით მავრა მოკიდე-
ბულია და მას ბუტენადი მალი ჰქუიან. და ამას ბუტენათა შუა წითლუბი ძარლუები
არს ზოგი მფეთქელი, და ზოგი წყნარი.

მავრა პირველი ბუტენი რომელ შებლისაკე არს მით ორთა ბუტენთავან უფ-
რო არს, და იგი თუალთა სინათლისა ადგილი არს და სიბნელე და სინათლე მის ბუტენისა-
გან იქნების, არაბულად ბუტენი დიძალსა მცველსა ჰქვიან. და ორი ძარლუი ღრუჲ ამას ბუ-
ტენისაგან თუალისა გუგამდინ მოკიდულნი, და სინათლე თვალთა ამა ორთა ძარლუთა შუა
40 შემოვა თულად. და იცოდე რომელ კაცისა ტანსა შიგან სხვაჲ ღრუჲ ძარლუი არა არს ამა
ორთავან კიდე, და თუ ამას ბუტენსა რაჲ ჰაეი წაეკიდოს თვალნი დაბნულდების.

და მეორე ბუტენი რომელ მისი მოკიდებული არს, ცნობისა და შეგებისა ად-
გილი არს, და ოდეს ამა ბუტენსა რაჲ ჰაეი წაეკიდოს კაცი ცნობისაგან იავარ იქნების, და
მტერთა და ცემა რომელსა ჰქვიან სარჩი და საქთაჲ და ლაყუვაჲ გამოჩნდების.

მესამე ბუტენი და სწავლისა მოგონებისა ადგილი არს, რომელსა ჰქვიან სვინ-
დი ისი და მით იქნების დასწავლაჲ და ხსენებაჲ, და მოგონებაჲ ყველაჲსი და ესე ბუტენი

ყოველთა ფართად წუა არს, და თუ უმცროსი არს მათ ორთა ზუტენთაგან, და რაჲ ამას ზუტენსა რაჲ ჰაგი წაეკიდოს კაცი მოვიწყუე იქნების.

და თავისა ნაკეთი და ვითარებამ, და ტვინთა გაყოვილობამ და ფარდაგები მისი, და ორი ღრუჲ თეთრი ძარღვი რომელსა ჰქვიან ფაჲ, ყუელამ თუალთა ხსენებასა გაგონებით ვახსენო, რომელ მოსწავლემან გაგონებით ისწავლოს თუ ღმერთსა უნდეს.

10 გულისა ვითარებამ და თარაქიზი მისი: იცოდე რომელ გულისა ვითარებამ მხურვალე და ხელი არის, და ადგილი მისი მკერდსა ქვეშეთ იქნების მარცხნით კერძოჲ. და ყოველთა ასოთაგან უთავადესი და უქეთესი არს, მით რომელ სულისა ჰავანურისა ადგილი არს, და სათავენთა სიცოცხლისაჲ, და სიმხურვალე ბუნებაური რომელსა ჰქვიან ჰაზარათი ძარბი რომელ ტანი მისგან არსი არს. და ტყავი მისი მაგრისა ხორცისაგან არს და ბუდესა მაგარსა შინა არს, რომელ საგნოსაგან მშვიდობით იყოს, და ბუდე მისი ეგეთი არს რომელ გულისა ტყავი მას არ მიხუდეს და ფირტივი მის გარეშემო არს, ეგრე რომელ კაცმან რაიმე ნებას შინა დაიჭიროს, და გულისა არსებამ ვითა ნაძვისა გული არს, რომელ სპარსულად მას ჯალლორაჲ ჰქვიან, ანუ შეშისა კალიბად, რომელ ხარატსა დაემარგავლოს, მაგრა ერთი თავი მისგან უმსხოჲ იყოს და ერთი უწლოასი.

და იცოდე რომელ გულსა ორი ყური ათქს, ორი მუცელი, ერთი მარცხნით და ერთი მარჯვენით, და იგი მუცელი რომელ მარჯვენით არს გასავალი გზამ არს შიგან, ერთი რომელ ძარღვი სისხლსა აზიდავს ღვიძლისაგან გულისა კერძი, მეორე იგი ძარღვი რომელ გულისგან სპარდელსა მისცემს გული. და იგი მუცელი რომელ მარცხნით იყოს შიგანცა ორი გზამ არს, ერთი ჰაერისათვის რომელ ფირტვთა ქნევისაგან ანიებებს და გულსა გააგრილებს, მეორე დიდისა ძარღვისა მფეთქელისათვის რომელ ყოველთა შარიანთა ძარღულთა სათავენთა, ანუ თავი ყოვლისა ასოსა სიმხურვალე ამა ძარღვთაგან არს რომელ გვიხსენებია და რომელსა ასოთა შიგან რომელ ღვიძლისაგან მან და ძარღვი მისაგან ერთი ძარღვი გულისაგანცა მივა მუნ, და რომელსაცა ასოთა შიგან რომელ შარიანსა რაჲ ჰაგი წაეკიდოს, სიმხურვალე მოსწყედეს მის ასოთაგან, და იგი ასო უხმრად ვახდების.

და იცოდე რომელ სიმხურვალე და ნივთი ყოველთა ასოთა მის ცოტასა სისხლისაგან არს რაჲ გულსა შიგან იქნების, და ოდესცა იგი სისხლი სიგრილისა და სიმელისაგან გაეყინოს, კაცი მოკვდება. და ღმერთისა განგებამ რომელ გულისათვის ორი ყური და ორი მუცელი დაუბადებია იგი არს რომელსა, რომელიცა ასოჲ კაცისათვის უფრო სახმარი არს და მათ ასოთა თანა ორი დაუბადებია ვითა ორი თუალი, და ორი ყური, და ორი ხელი და ორი ფერხი, რომელ თუ ერთსა რაჲ ჰაგი წაეკიდების მეორე ედგას.

30 % ღვიძლისა ვითარებამ და თარაქიზი. იცოდე რომელ ღვიძლი ბუნებად მხურვალე და ნეღლი არს, და ადგილი მისი ტანსა შიგან მკერდსა ქვეშეთ ცოტათ უქუემორე მარჯვენით კერძოჲ, და სახე მისი ერთისა კვირისა მთვარესა ჰგავს, და სტომაქისად მოკიდებული არს, და სტომაქე მასთან არს ეგრე ვითა კაცმან ნებას შიგან დაიჭიროს. და ამის ხელისა ოსტატთა უთქვამს რომელ ნავლევი ღვიძლსა ზედა მოფენილია, და ნავლევი ცეცხლსა ჰგავს და ღვიძლი ნახშირსა და სტომაქე ქოთანსა. და რაჲ საჰამად სასუამადი სტომაქსა შიგან ზავიდეს, ნაღლისა და ღვიძლისა სიმხურვალე ეცემის, და სტომაქე მას საჰამადსა შეგზოლოვს და იბრუნებს შიგან, და რაჲ შეგზოლოს რაჲცა სტომაქსა შიგან ნამი და 40 სინედლე იყოს ღვიძლი მას მოიზიდავს, ვითა ხეთა ძირი მიწისგან ნამსა მოიზიდავს, და რაჲ სტომაქისაგან წელთა შიგან მიედეს რომელსა ჰქვიან რუდგანი და აყაყი შიგანისა ძარღვი ღვიძლისანი რაჲცა ნამი სხვაჲ იყოს მუნთა იზიდენ, და ღვიძლი მას ნამსა გაასიხლებს ვითა მისი ხელი არს, და მერმე მას სისხლსა გაჰყოფს საზომისა ებრ და ყოველთა ასოთა გაუყოფს, და ამისგან არს, რომელ ღვიძლსა ტანისა როჯიკისა მიმცემელი ჰქვიან. რა ყოველთა ასოთა შიგან თეთრო ძარღვი ღვიძლისაგან არს რომელ მით სისხლთა გაუყოფს და უგზავნის მას და ანელდებს მის, და იგი ასო მით სახმარ და უმანკოჲ იქნების და

ოდესცა გზად შეიკრას ასოჯთა და ღვიძლისაგან მუნ სისხლი არ მივიდეს. იგი ასო გაყვით-
ლდების და დასკენების..

ელნეთისა ვითარებაა და თარაჰიზი მისი. იცოდე რომელ ელნეთისა ვითარებაა გრილი
და ხმელი არს, მით რომელ სევდისა სახლი არს, და მისი ადგილი მარცხენით კერძო გუერ-
დთა ქუეშეთ იქნების, და გრილი და ბრტყელი არს, ვითა ზროხისა ენაჲ, და მუნით კერძო
რომელ სტომაქის დამოკიდებული არს ცოტად ღრუჲ არს, და ორი ძარღვი დიდი ელნეთით
სტომაქისადა მოკიდებული არს ვითა თევზთა წერილთა პირი. ერთითა პირითა სევდასა ჩამოზი-
დავს სტომაქით, და მეორეთა პირითა სევდასა სტომაქისა პირისა შიგან ჩახსხავს, ოდეს სტომაქი

10. და სარგებელი იგი არს ელნეთისა რომელ სისხლისა ფიტსა სტომაქისაგან ჩამოზიდავს
და მისი საზრდელი მისგან არს, და იცოდე რომელ არსებაჲ ელნეთისაჲ და ყიყილი ვითა
რამეჲ არს, და მით მსხვილთა და დიდთა მანკთა სევდისასა მოსწოვს.

თ. ფირტვისა ვითარებაა. იცოდეთ რომელ ფირტვისა ბუნებაჲ გრილი და ნელი
არს, და მკერდსა შუა ჰკიდელს, და ორნი ზრვანი აქუნან, ერთსა ინციბატისა ძრვაჲ ჰქევიან და
ერთსა ინზისატისა ძრვაჲ. ინზისატისა ძრვა იგი არს, რომელ მიწყით ფირტვი გრილსა
ჰაერსა ხორხისაგან ჩამოზიდავს სიმბურვალთა რომელ შიგან არს, რომელ დაიწყნაროს
თავისა სიმბურვალე, და ინციბატისა ძრვაჲ აგი არს რომელ ფირტვი კვამლისაგან ორთქლ-
სა და მხურვალსა ბუხარსა გულისაგან შეიღებს და ხორხთა მისცემს, და პირსა და ცხვრითაგან

20. გაუყენებს. და იცოდე რომელ ღმერთმან მოწყალემან ფირტვი ნატოფისა ხორცისაგან ყიყილ-
გვარი მით დაჰბადა რომელი ჰაერისა ადგილი არსა და გულისა ეგეთი ქურჭელი არს, რა-
მელი ჰაერსა გულისა სარგებლისათვის იზიდავს ვითა მისხნებთა, და რაჲ ჰაერი შეიყენოს
ცოცოტად მუნით გულსა მიახუდრებს და გულისა ბუხარსა თვით იზიდავს. და ამისაგან
არს რომელ კაცისა სული წიგნითა კითხვისა და საუბარსა ეამსა დაუგუბდების, და რაჲ თავი
წყალსა ჩაყოს ძოტას ხანს შეუძლია გაძღებჲ, და სადაცა კვამლი და მტურერი იყოს დი-
გუბებს სულს ცოტას ხანსა. და რა ეამსაცა ფირტვი და ყიყილ გვარი არ იყოს, ამას შინა
რომელ ვიტყვი, სულისა დაქორეჲ არ ეგებოდა, მით რომელ ვიდრე ფირტუსა შინა ჰაერი
იყოს კაცი ცოცხალ იქნების და რაჲ შიგან ჰაერი არ იყოს კაცი მოკვდების, მით რომელ
მხურვალთა ბუხარი გულსა დასწოვამს.

30. და სხვაჲ ფირტვისა სარგებელი იგი არს, რომელ რაჲ ჰაერი შეიყენოს მას განანტი-
ფებს და მერმელა მისცემს გულსა, მით რომელ ჰაენურისა სულისა საზრდელი ღიდეჲ ჰაე-
რისაგან არს, და მისგან გაძღიერდების და მისგან ცოცხალ არს. და ვითა ღვიძლი ქურჭე-
ლი არს, რომელი საჭამადს გამდნარსა სინედლეჲსა გაასისხლებს¹, და ასოთა საზრდელად გახ-
დის, და ასოთაჲვის გაუყოფს, ფირტვიცა ქურჭელი არს რომელ ჰაერსა ვაზრდის და განან-
ტიფებს და საზრდელად გახდის, ცოცხალთა სულისათვის რომელსა ჰქევიან რუჰი ჰაენი ი,
ჰაენი პირუტყეთა ჰქევიან და რუჰი სულსა. და რაჲ ჰაერი განანტიფებული, ვითა მითქვამს, გულ-
სა მიხვდეს გული მას მიიზიდავს და მისგნით შარიანთა ძარღუთა ტენისა გაუგზავნის, და
რაჲ ტენისა მიხვდეს და მისად საზრდელად ქნას აქიმინი მას ნაფსანი რუჰი იტყვიან, და თუ
მისგან შარიანთა ძარღუთა ღვიძლსა გაუგზავნოს ტაბიზნი, მას ტაბიზნი რუჰი ჰქევიან,
რუჰი ნაფსანი სახორციელი ნდომჲ, და რუჰი ჰაენი პირუტყეთა სული, და ამისი მალული

40. ღმერთმან იცის.
მაგრა მე მით გამომიცხადებთა, რომელ ჩენი წიგნი ძელთა აქიმთა და ფილოსოფოსთა
თქმისაგან უნაწილო არ იყოს. და იცოდე რომელ რაჲ ფირტვი მანკიანად გახდეს უძნელე-
სია სამთათვის, ერთი მით რომელ წამალი გუიანად მიხვდების, მეორე იგი რომელ ძვრისგან
ვეროდეს დასწყნარდების, მესამე ამად რომელ შიგან სისხლი ცოტად შეხვდების.

¹) ეს წინადადება „კურჭელი არს რომელი საჭამადს გამდნარსა სინედლსა გაასისხლებს“ განმეორე-
ბულია. ამავე გვერდის ბოლო ამიხვე რვეელთა სათვალავი სწერია „გ“ ამის შემდგომი გვერდი მთლიანად
დაუწერელია.

ნავაღლისა ვითარებაჲ და ნიჰთი. იცოდე რომელ ნაველი მხურვალი და ხმელი არს, და ლვილისა პირსა მწოლი არს, და ნაველსა ორი პირი ათქს ვითა ელნეთსა, ერთი პირი ვითა ზაფრასა ლვილისაგან მოიზიდაეს და მეორეთა პირითა სტომაქსა წიგან ჩასახავს, რომელ სიგრილისა და სიმწარისა მისისა გუერდისა ფიტი სტომაქსისაგან გამოვიდეს, და კაცი მის ფიტისა სიმძიმესა დაესხნას, და ტანი გასუბუქდეს. და ნაველისა სარგებელი იგი არს, რომელ ზაფრასა სისხლისაგან გააყენებს და მიიზიდაეს, ამაღ რომელ ზაფრისა სიფიცემბან სისხლსა ჯვავპარი არს და სუფუჯს და არ დააშვას.

10 ია. თიარკველისა ვითარებაჲ. იცოდე რომელ თირკმელი მხურვალი და ნელი არს, და მისი ადგილი ზურგსა შუა არიან. და თირკმელი ლვილსა ახლავს მით რომელ მარცხნითკე ზემოთ იქნების და სიღრუე მათი პირის პირ იქნების. და მისთა ღრუთა შიგან სხვადაცა ძარღვი არს ღრუჲ, და ესე ძარღვი ორკერძად იქნებიან ეგრე რომელ ერთი შარიანის წუერი ლვილისა მოკიდებული იქნების, და მეორე წუერი მათანისა ყელთა თანა და ზურგისა წყლისა გზაზედა, და ამა ხელისა ოსტატთა ეგრე უთქუამს, რომელ წყალი ზურგისაგა რაჲ მას გზასა მივიდეს, რომელ ლვილსა მოკიდებული არს სისხლი იქნების, და რაჲ ამას გზასა მოვიდეს, რომელ მათანასა მოკიდებული არს გათეთრდების. და ეგრეთვე ფსლისა გზაჲ თირკმელთა ზედა იქნების. და იცოდე რომელ ფსელსა შიგან თუ რაჲ სისხლისა ძალისაგან დარჩომილ იყოს თირკმელი მას სისხლსა ფსლისგან გააყენებს, მას ყუმაჲ რომელ ფსელსა გაუგზავნიდეს, და თირკმელსა ძნელნი მანკნი მით შეეკნებიან.

20 იბ. სტომაქსისა ვითარებაჲ. სტომაქსისა ვითარებაჲ, იცოდე რომელ სტომაქსისა ადგილი მკერდსა შუა არს, მაგრა სიგრძესა მისსა მოდრეკილობაჲ მარცხენით კერძო აქეს და ქვემოთ კერძთა მარჯვენისაკე, და გული და ლვილი და ელნეთი მისსა მიდამოსა იქნების, და ელნეთი მარცხენით კერძოთ, და მის ქუეშეთ მავარი ხორცი და ზედათ თხელი. და ესე ყოველნი მისსა მიდამოს ორისა ააქმისათვისა არიან, ერთი მით რომელ აყორგებაჲ, რომელი შეგბოლაჲ შექძლოს საჭამადთა, და მეორე მით რომელ რაცა უნდეს საჭმისა ადგილისაგან არა შეიცვალოს.

და სახე მისი აყიროსა ჰვავს რომელ ორი ყელი ედგას, ეგრე რომელ ნახევარი ზემოთ კერძისა გაკუეთილი, იყოს მით რომელ იგი ნახევარი კერძო სტომაქსისა რომელ ზურგისკე არს, ბრტყელი არს, და იგი რომელ მუცლისაკე არს ორძლისა გულისაებრ მრგული არს. და სტომაქსა დაბადებაჲ ჯავ კარიისა მოხალხალისგან არს, მით რომელ საჭამადისათვის შეწუხებულ იქნების ნდომისათვის, და ნდომისა მისისა ძალი უფრომელ სტომაქსისა პირსა შიგან იქნების, და ჰაისი მისი სიმშლი იქნების. და შიგანი მისი მრუდ გუარი არს და ბოლოჲ მისი უფარეთისა თავისასა და ესე მით არს, რომელ კაცისა სახე და ნაკუთი მართალ არს, და რაჲ კაცმან საჭამადი ჭამოს და ოდეს იგი საჭამადი სტომაქსისა ბოლოსა ჩაუვალს, და ეგრეთ რომელ სტომაქსისა ბოლოჲ უფარეთის იყოს თავისა მისისაგან, რომელ საჭამადი დაიტოს, და სხუთთა ასოთა არა აწყინოს.

და ღმერთისა სამი ძარღვი დაუბადებია შიგან, აქინნი მეოთხესა ჯადი ბა იტყვიან ვითამცა მიზიდა შემპყრობელი, და მაშინ იქნების რომელ საჭამადსა სტომაქსა წიგან მოიზიდაეს, და ოდესცა რაჲ ამას ჯადბას წაეკიდოს საჭამადისა ნდომისა წაუვალს. მეორესა მასიქაჲ ჰქვიან ვითამცა შემპყრობელი, და მაშინ იქნების რომელ საჭამადი სტომაქსა შიგან დაიდნეს, რომელ სტომაქსმან თავისა ხასითი უყოს საჭამადსა, და გაულნობელი არ გამოვიდეს სტომაქსიდან. მესამესა ჰქვიან ვითამცა შემგობელი, და მაშინ იქნების რომელი საჭამადი შეაბგოლოს სტომაქსა შიგან, და ოდესცა ამას რაჲ ჰავი წაეკიდოს საჭამადი უმგბარი დარჩების, და გამჟავდების სტომაქსა შიგან. და მეოთხესა დაფია ჰქვიან ვითამცა გამყენებელი, და ესე მაშინ იქნების რომელ საჭამადისა ფიტი კიდე გააყენოს, და ოდესცა ამას ჰავი წაეკიდოს, საჭამადისა ფიტი სტომაქსისაგან გუიან გამოვა და დაშედების სტომაქსი. და კაცი უფრომსჯერ ამათისა უსუსურობისაგან გახდების ჰავად და

სტომაქის დაღობობისა და სიმქისისა წასულისაგანმცა, და მისგანცა, რომელ ლეიძლისგან სიმხურვალე არ მიხუდებოდის, ანუ ლეიძლა რაჲ მანკი გამოაჩნდეს. ზოგთა აქიმთა უთქუაჲს, ვითა ესე ძუალი სხუთა ასოთა შიგან მისცემენ რომელ ჰატიმასა ძალი სტომაქსა შიგან ძუალია დაღმა არს, და ჯადობასი ფირტუსა შიგან, და დაფიასი ნაველსა შიგან, და მისიქსა ბავაზსა შიგან, და ბუვაბი იგი ადგილი არს გუზას მისცემს რომელ სტომაქისაგან გამოდიოდეს.

10 იმ. **წამლთა ვითარებაჲ.** იცოდე რომელ წელთა ვითორებაჲ სტომაქისა ებ...¹⁾ ჰარისაგან არს და ყველაჲ ექუსნი წელნი არიან, სამნი მათ თანა რომელ ქვემოთრე არიან უწლოსნი და უთხელენსია, და სამი რომე ქუეშეთრე არს უფაროესნი და უსქელენსი, მაგრამ მაგა სამთა ზემოთა თანა პირველსა კარგთა აქიმთაგან ითნი ეზრია ჰქვიან მით რომელ მათი სიგრძე ყოველსა კაცსა თავისა თითითა თორმეტი თითი იქნების, და ითნაადი თორმეტსა ჰქვიან არაბულად. და მართალი იქნების, და ვითა სხუთა წელთა შიგან სიმრუდე და ნასკვი არ იქნების, და ავი არს იგი რომელ სტომაქისა აბუვაზსა მოკიდებული არს. მეორესა ამაჲ საიმი ჰქვიან, მით რომელ მიწყლი საზღდელისაგან ცარიელი იქნების, მით რომელ მისგნით აღრე ჩაჲარებს და შიგან არ დადგების საჭამადი. მესამესა ამაჲ დაყაყ ჰქვიან და იგი დაგრეხილი არს, და შიგან საზრდელი დიდხან დაზომს და მათ²⁾. მეორესა ამაჲ ყოლინი ჰქვიან და იგი ფართოა წელი არს, ამა ყოველთა ქვემორე. მესამესა ამაჲ მუსსთუმი ჰქვიან და მართალი და ფართოა წელი არს, და ერთი თავი მისი მოკიდებული არს მაყადსა თანა. და რომელ წელთა აღავსა შიგან მოგრეხილობაჲ არს, ნიეთი იგი არს, რომელ საზრდელი შიგან დაიყოფნებდეს და აღრე არ გამოვიდოდეს, და წამსა კაცსა საჭამადი არ მოუნდებოდეს. და ნიეთი მაგისი რომელ ქუეშე წელნი უფართოესნია იგი არს, რომელ წამსა და წამსა კაცსა ავხანად წასვლა არ მოუნდებოდეს, და თუ ვიწრო იყოს წამსა აივსების ფიტისაგან, და კაცსა დღიე მრავალჯერ მოუნდებოდა ავხანასა მისულა. და საზომი ამა წელთაჲ შავსა ძუალსა ქუეშეთ არს მაყადმდინ, და ღმერთსა მით დაუბადებია, რომელ დია საკვირველებანი და ნიეთნი არიან შიგან, და თუ ყუელია ვახსენო წიგნი ვაგრძელდების.

30 **მათანისა ვითარებაჲ.** იცოდე რომელ მათანაჲ, რომელსა ჰქვიან ბუშტი საწყლე, საზარდულსა შიგან არს, და ნაკვეთითა ყარულასა ჰვავს, რომელ აქიმნი წყალსა ჰნახიან შიგან, თავი ვიწროა და ძირი ფართოა მით, რომელ წყალი შიგან დია დაეტიოს, და ტყავი მისი არ დააშაფოს და არა ავროს, და პირსა ზედა პატარა ხორცი არს მისსა, და ერთი ძარღვი მისგნით მოკიდებულია თირკმელსა თანა, და ერთი ძარღვი სირცხვილსა თანა, და იცი³⁾ პატარა ხორცი რომელ მათანისა პირსა არს ესე ორნივე მცველნი არიან ფსლისაჲ და უჟამოდ არ გაუშვებენ. და ოდესცა ეგე ხორცი, ანუ იგი ძარღვი დაუსუსტრდენენ, ფსელსა ვერ დაიპირავენ და უნებლიე კაცისასა გაედინების, და ესე ცოტა მისხენებია მსწავლებელისათვის კმა არს, რომელ ყოველთა ასოთაგან შიგნითყე არს. აწ გარეგანთა ცხადთა ასოთა ვთქუათ რომელ დამბადებელსა ყუელაჲ ვითა ხამს ეგრე უქნია.

40 **თუალთაჲ:** იცოდე რომელ ღმერთსა თუალი ღრუჲსა შიგან მით დაუბადებია, რომელ საყვარელი და კარგი ასოა არს. და შუბლისა ძუალი პირისა ძუალთაგან გარეთრე მით დაუბადებია, რომელ თუალთა მცველი იყოს, და ზედაჲთ დაღმა თუ რაჲ მოვიდოდეს თუალთა დიკადის, და წარბნი თუალთათვის ეჯიბად დაჰბადა რომელ რაჲ ოდესცა სწადდეს თუალთა ფარდაგათა ჩამოხურვიდეს, და წამწამნი მეკრედ და ფარდაგად დაუბადა, რომელ მტყერ-

¹⁾ აქ სიტყვა აკლია.
²⁾ აქ ორი სტრიქონის ოდენი ადგილი ცარიელია. გამოტოვებულია პირველი სხელი წელის სახელი.
³⁾ იცოდე

თა და მიწათა და ჩასაჭრელსა უკმოაყენებდეს. და ღმერთსა თუალი შეიღსა ტაბაყაჲსა და სამისა რუტობათისაგან დაუზადებია, და თვითო ტაბაყაჲ და თვითო რუტობათი სხუად ფერად დაუზადებია.

თუალთაჲ: თუალი რომელ ცხადი არს, აქიმნი ამას მოლთაჲმამაჲ ჰქვიან მით რომ ყოველგნით მოკიდული არს და იგი დია თხელი არს და ფერად თეთრი. თუალთაჲ, ტაბაყაჲსა ყარინაჲ ჰქვიან მით რომელ მაგარი არს, და ფერად და სიმაგრედ თეთრსა რქასა ჰგავს. მესამე ტაბაყაჲ. ტაბაყაჲსა დაბიბაჲ ჰქვიან მით რომელ ყურძნისა მარცუალსა ჰგავს გარეთ დაღმა იქნების და შიგნით არა და ფერად თეთრი იქნების. მეოთხე ტაბაყაჲ ანჭაბოთა ჰქვიან, მით რომელ ვითა აბლაბუდე თხელი იქნების

10 და ფერად დია თეთრი იქნების. მეხუთე ტაბაყაჲ შაბაქია ჰქვიან მით რომელ საკვირველად თხელი იქნების. მეექვსე ტაბაყაჲ ჯალიდია ჰქვიან, მით რომელ ვარდსა ჰგავს ფერად. მეშვიდე ტაბაყაჲ სალბია ჰქვიან, მით რომელ ამას ყოველთაგან უმაგრესი არს და თვითო ტაბაყათა შიგან თვითო სარგებელი არს. პირველ ტაბაყაჲსა სარგებელი იგი არს, რომელი ხორცთა მიდამოდ შემაგრებული არს.

სარგებელი: სარგებელი იგი არს, რომელ რუტობადი ჯელიდისა ფათერაკისაგან შეინახავს.

სარგებელი: იგი არს, რომელ მესამესა ტაბაყასა საზრდელსა მისცემს და სინათლესა შეინახავს, რომე რაჲ კაცმან ბრწყინვალე და ნათელი რაიმე ნახოს, სინათლე თვალთაგან არ დაიპანტოს.

20 სარგებელი: სარგებელი იგი არს რომელ, მესამესა ტაბაყასა შეინახავს და საზრდელსა მისცემს, და რუტობათი ჯალიდისა სიმაგრისა და სიმქისისა ამა სახეთა ტაბაყათად შეინახოს და მანკი რუტობათი ჯალიდისაგან უკუაყენოს.

სარგებელი: იგი არს, რომელ რუტობათისა ნიადაგ რუტობათი ჯალიდისათვის შეინახოს და საზრდელისაგანვე მისცეს რუტობათი ზაჯაჯისა.

სარგებელი იგი არს, რომელ რუტობათი ჯალიდის შირინათა ძარღუთა სიმხურვალისაგან შეინახოს, შაბაქიასა ტაბაყასა შიგან არიან.

სარგებელი იგი არს, რომელ ძუალისა სიმაგრე და მანკი თუალთა სახლისა ყოველთა თუალ ტაბაყათაგან შეინახოს, და თუალი მისსა ადგილსა მაგრად დაიჭიროს.

და იგი სამი რუტობათი რომელ ვახსენე, პირველსა ბაიტი ჰქვიან, მით რომელ

30 სინედლე არს ვითა კვერცხისა ცილი თეთრი. მეორესა რუტობათი ჯალიდი ჰქვიან, მით რომელ სინედლე არს ვითა მყინვარი. მესამესა რუტობათი ზაჯაჯია ჰქვიან, მით რომელ სინედლე არს ვითა გამდნარი ჭიქაჲ, და რუტობათი ჯალიდი თუალის გუგასა შიგან არს ვითა კარკინითა შემრგვალებულსა შუა წინტელი, და ფერად ნათელი და ბრწყინვალე არს, რომელ ადრე მახეიდენ, და მისი საზრდელი რუტობათი ზაჯაჯისაგან არის, მით რომელ რუტობათი ჯალიდისა უკანით არის, და რუტობათი ბაიტი ჯალიდასა წინაჲთ არს. რომელ ანდლებდეს და ჰაერისა სიმხელესა უკუაყენებდეს.

და იცოდე რომელ იგი შეიდი ტაბაყაჲ რომელ ვახსენეთ, სამი ტაბაყა რუტობათი ჯალიდის წინა და რუტობათი ბაიტსა წინა არს, და სიშავე თუალთა მესამესა ტაბაყასა შუა არს. და ორი ძარღვი ღრუჲ რომელ წინასა ბუტანისა ტენისაგან თვალთა მოსრული

40 არს, რომელ რუტობათი ჯალიდით დაღმა თუალისა გუგასა შემოპყვებოდეს, და იგი ფიაჲ ღრუჲ ორი სიმხელესა შინა ვაფართოვებდებიან და სინათლესა შინა დავიწროვებდებიან, და ოდესკა ესე ღრუჲ ფიანა ვაფართოვებდებიან კაცი ვერას მახახავს.

ივ. შუკთა ვითაგებაჲ. იცოდე რომელ ყური ვითა არიან ესრე ღმერთმან ეგრეთ დაჰბადა, რომელ კაცისა ხმაჲ და სხვათა შორით შეიგნეს და ხურელი მისი მოდოეკით ერთმანერთსა ზედა მით დაჰბადა, რომელ, ქარი და მიწა შიგან არ შევიდოდეს, და მწარე წყალი მით დაჰბადა შიგან რომელ, მძრომი არ შეჰლამოდის შიგან შესულასა, მით რომელ მათვის იგი სიმწარე ნაღელი იქნების და მასვე წამსა მოჰკლავს.

ი. ცხვირთა ვითარება. იცოდე რომელ ცხვირი პირისა დამამშუენებელი არს, უმისოდ პირსა სიტურფე არა აქეს, და შიგნით ორი კერძი არს, რომელ მას ძუალსა რომელ შიგან არს, შიგან სამი სარგებელი არს, პირველი იგი რომელ სულისა გზაჲ არს, მეორე რომელ სიმყარად და სისურნელე მით შეიგნების, მესამე რომელ რააცა ჰაეი მანკი სქელი და მგარი არს, და ტუინი მას გააკიდენებს მუნით ჩამოვალს.

ი. ბაგითა და ენისა ვითარება. იცოდე რომელ ბაგე პირისა მეკრე არს და კბილთა ფარდაგი, და ენისა შემწე საუბრისა ქამსა. მით რომელ თუ კაცსა ბაგე არ უდგას ვერ უზნობს კარგად და მისსა საუბარსა ვერაინ გაიგონებს. და ლმერთსა, დიდ არს ძალი და წყალობა მისი, ჩვილისა და ლბილისა ხორცისაგან დაუბადებია, მით დაჰბადა აგრე რომელ კაცი საუბარსა ზედა მოვლენილი იყო, და შიგან სინედლე გაურია რომელ მიწით ნედლი იყოს, და ეგრეთვე ენა ლბილისა ხორცისაგან დაჰბადა, რომელ საუბრისა ქამსა მორჩილი იყოს, და საქამდისაგან თუ მანკი რაიმე დარჩეს პირსა შიგან ენა მას მიაბრუნვებს სითუა სწლადეს, და უნოდ საქამადი პირსა შიგან საცობნელად არ დაიბრუნვების, და ენასა შიგან ძარღუები გამოაჩინა შარიანისა მსგზავსი, რომელ ამა ძარღუთა თავისაგან სინედლე ბალღმისა პირსა შეიყუბის, და აქიმნი ამა ძარღუთა თავსა საქი ბალღუაში იტყვიან. და სარგებელი ორი არს მათ ძარღუთა შიგან, ერთი რომელ მიწით ენა ნელდად იყოს, რომელ თუ ხმელი იყოს კაცი ძნელად უზნობს, მეორე რომელ რაჲ კაცი ხმელსა საქამდისა კამდე, ვითა ხველი ჰური და ვითა ხალი ცოხნასა შიგან იგი განედლდების, რომელ ავილად ჩაინთქმოდის რომელ ხმელი ძნელად ჩაინთქმის.

ი. ხელთა ვითარება. იცოდე რომელ მოწყალესა ლმერთსა ხელნი სასარგებლოდ დაუბადებია. რააცა რაჲმე საქმე კარგი საქმე არს და საყვარელი, ყველაჲ ხელითა იქნების და ხელნი კაცთა ფრთისა ნაცკლად აქუნ რომელ მჭირნიველთა აქეს. და ხელთა იშრომს კაცი და საზრდელსა თავისასა ხელის უფლებით იშოვებს, და ფათურაკისა უკომოყენებელი არს ტანისა და თავისაგან, რომელ თუ რაჲ ეკემოდის კაცსა ხელი მას იფარებს. ტანისა აბჯარი და ფარი არს და საქებური დიადის კირისაგან, ესდენი რომელ მითქუამს ცყოფის მსწავლებელსა.

ა. მუშათა ვითარებისა ნიშთი. იცოდე რომელ ძუძუნი ვარევეთ არიან სუსტისა ხორცისა და ლუდედთაგან და შარიანთაგან რაჲმე ორთავე ძუძუთა შიგან მოკიდებული არს, და სარგებელი მისი არს, რომელ ყრპისა საზრდელი მას შიგან იქნების, და დედისა მუცელსა შიგან შეილისა საზრდელი წიდოფნობისა სისხლი არს, და სათავენომ სძისა მისეე სისხლისაგან არს. მაშა გულისა სიმურვალე მას სისხლისა ძარღუთაგან დაჰჰანტაგეს, რომელ გზაჲ არს წიდოფნობისა სისხლისაჲ და მერმე ძუძუთაჲ ხორცსა შიგან მიიყვანს, რომელ მუნ ვანატიფდეს. და ფერად თეთრი იქნების მით, რომელ ძუძუთა ხორცი თეთრი არს მით გაათეთრებს სისხლსა ეგრე, რომელ ყრმასა ჩვილსა საზრდელად ერგებოდეს. და ნიშანი რომელ სძე წიდოფნობისა სისხლისაგან არს იგი არს, რომელ ძუძუთა ზეჰდანას თანა რომელსა ჰქვიან საზომელი ზიარობაჲ აქეს, და იგი არს რომელ რაჲ სისხლი დასწყედეს დედაკაცისა ორსულობასა შიგან, სძე მისი ძუძუს მწოვარსა ავენებს და არ შეერგების. და თუ მარცხენა ძუძუჲ დედაკაცისა დაჰქენს ნიშანი არს რომელ ქალსა ავენებს, და თუ მარჯვენა ძუძუჲ ორსულისა დედაკაცისა დაჰქენს ნიშანი არს, რომელ ვაჟსა ავენებს.

ა. მამათა ვითარება. იცოდე რომელ ყვერნი ალათი არს ზურგისა წყლისა, რომელსა ჰქვიან ა ბ ი. ორივე სუსტისა ხორცისაგან. დაბადებულნი და თეთოსა ძარღვი თირკუმელთან მოკიდებული არს, რომელ ნატიფი სისხლი თირკუმელისაგან რომელ ძარღვითა ყვერსა მიხუდების და ზოგი შარიანთა გამოკიდებული არის. და იგი სისხლი რომელ თირკუმელისაგან მოვა ნახევარი მგბარად შეიქნების ძარღუთა შიგან, და რაჲ ყურთა მივიდეს მუნ შეიგბოლებს სრულიად, და აქიმთაგან ამით ავი იამ მანი ჰქვიან, და რაჲ ყურთა შიგან წყალი შეგბოლოს და ხმარებრსა ქამსა ჩამოედინების რვას ოცდა თუთუმეტისაგან.

10 **კვ. ჩავახსნა მცლად თხუთმეობისაა** 1). იცოდენ რომელ სარცხვენელი ღრუა არს, და შიგნით რუტობათი არა იქნების, და მისი დაბადებამა ძარლუთა და ფიათაჲგან იქნების, მით რომელ შეყრისა ჟამსა სრული გემო მიეცეს სიჰამოენისა, და რუტობათისაგან ცარიელი მით არს, რომელ საქმისა ჟამსა ძარლენი და ფიაჲ მისი ქართთა აღიგოს და გადიდდეს და გამაგრდეს, და საქმისა ჟამსა ვაწმბილემული და უსარგებლო არ იყოს. და რამა გადიდდების წყლისა გზამა გაფართოდების და მანისა წყალი შიგან შებნით და ადგილად გაიარებს, და აღრე ჩამოვა. და იცოდენ რომელ ესე ქურჭელი დედაკაცისა და მამაკაცისა სწორ არს, მით რომელ ესე ქურჭელი ვითარა კაცთა გარეთ აქვს, დედათა შიგნით აქვს, და დედათა ამისი ნაცვალის ზეჰქდანისა ყელი აქვს. და ყურისა ნაცვალის ზეჰქდანისა შიგნით ორი ზეჰქდანი სხვაჲ აქვს და ვითარებამა მისი ამას წინათ გვეთქუამს. და სარცხვენელთა შუა დედათა ორნი ყურნი აქუნან, მაგრამ მათი ყური მაგარი და მრგვალი არს, და მამაკაცთა ყური გრძელი და სუსთი არს, და ავიომანი მამათა გრძელი და მაგარი არს, და დედათა მოკლე და ლბილი არს.

ესე ცოტა ვახსენე შინაგანთა და გარეგანთა ასოთაჲ, მსწავლებელსა ყყოფის თუ გონებამა შეეწოდეს, შეწყენითა ღმერთისათა.

20 **კვ. ძუალთა ვითარებაჲ და თარაჲ და ნივთი და სათვალავი.** იცოდენ რომელ კაცთა ასოთა ძუალა ყველაჲ ორას ორმოცდა რვა არს. მათგან შვიდი თავსა შიგან არს, და ორმოცდა თხუთმეტი პირსა შიგან კბილითურთ, და ცხრა ყელთა შიგან, და ოცდაოთხი გუერდსა შიგან, და შვიდი მეკრდსა შიგან და ოთხი მხართა შიგან და ორი მკლავთა შიგან და ოთხი ხელისა საქციელსა შიგან, და თოთხმეტი სეიდსა შიგან, და რვა ნებისა ზურგსა შიგან, და ოცდა ათი თითთა შიგან, და შვიდი ზურგსა შიგან და შვიდი ზურგისა მძივალთა ქვეშე საჯღომამდინ, რომელსა ჰქვიან მაყადი, ორნი საჯღომთა შიგან, და ორნი ბარკალთა შიგან, და ორნი მკლავთა შიგან და ოთხი წვივთა შიგან, და ოთხი კოჭთა შიგან, და ორი ქუსლთა შიგან, და ორი მას წინათ და ოთხი თათისა ზურგსა შიგან, და ოცდაათი ფერხისა თითთა შიგან, და სხვაჲ საცხებაჲ ღმერთმან იცის.

30 **კვ. ბანისა ნივთი და ვითარებაჲ.** იცოდენ რომელ კაცისა ტანსა შიგან სამოცდა შვიდ მეტი ფაჲ არს, ოცდათერამეტი ჯუფთი და ერთი ფარდი. ამათგან შვიდი ჯუფთი იგი არს, რომელ მათი სათაგნოჲ თავისა ტვინისაგან არს. პირველი ჯუფთი თუალთა შიგან მოკიდებულნი. მეორე ჯუფთი თუალთა ფურცელსა შიგან მოკიდებულნი, რომელსა ჰქვიან ბურგი. მესამე ჯუფთი ყურნიმალსა და ცხვირთა და ბაგეთა მოკიდებულნი არს. მეოთხე ჯუფთი პირსა და ენასა შიგან მოკიდებულნი არს. მეხუთე ჯუფთი ყურსა ყელსა და მეკრდსა თანა მოკიდებულნი არს. მეექვსე ჯუფთი მუცლისა ალათთა თანა მოკიდებულნი არს. მეშვიდე ჯუფთი ენისა და ყელისა ხორცთათანა მოკიდებულნი არს. ოცდათერამეტი წყვილი იგი არს, რომელ მათი სათაგნოჲ ზურგისა ძუალთა ტვინისაგან არს, ვითა თეთრო წყვილი ყელისა მძივისა ზურგითაგან და ზურგისა მძივთაგან გამოსრული არს, და მათ ასოთა შიგან რომელ მძივთა პირისპირ არიან დაიპანტვიან. მათ ყოველთაგან რვაჲ წყვილი ყელსა შიგან არიან, და თოთხმეტი წყვილი ზურგსა შიგან, და ხუთი წყვილი მუცელსა შიგან, და სამი წყვილი ..?) შიგან არიან და სამი წყვილი მათ მძივთა შიგან არიან რომელ იგიცა ამა მძივთა ქუეშეთ არიან, და იგი რომელ მარტივი არს მავალსა ზემოთ იქნების და ჰაზომ არს ფაჲთა სათვალავი და კაცსა ტანსა შიგან გარეულნი ვითა ძარლენი, და საცხებაჲ ღმერთმან იცის.

40 **კვ. აბალთა.** იცოდენ რომე ატალი ხორცისა ნაკუეთსა ჰქვიან, რომელ კაცისა ტანისა არიან ხუთას ოცდა შვიდნი პატარანი არიან, ამათ ყოველთაგან ოცდა სამი ატალაჲ თავსა შიგან არს, და ოცდა ოთხი თუალთა შიგან და ორმოცდა სამი პირსა, ბაგესა და სახესა და

1) სასქესო ასოს სახელი გამოდის ამ რიცხვით. 800 = 8 . 32 - ... და ასე შემდეგ...

2) აქ სიტყვა აკლია.

ცხრა ენასა შიგან, და ოცი პირსა ქუეშე და ფირტვისა ყიასა და გუერდისა ძირსა, და ექვსი კისერსა და ყელსა, და ოცდა შვიდი ხელთა შიგან და რვა მკლავთა შიგან, და ოცდა თოთხმეტი ხელისა სვიდსა შიგან, და ოცდა თექვსმეტი ნებთა შიგან, და ას და შვიდი მკერდსა შიგან, და ორმოცდა რვა ზურგსა შიგან და რვა მუცელსა შიგან, და ერთი მათანის პირსა, და ოთხი სამამაცოსა შიგან, და ოთხი მაყადსა შიგან, და ოცდა ექვსი თქოთა და ბარკალთა შიგან, და თურამეტი მუხლთა შიგან, და ოცდა რვა წვივთა შიგან და ორი კოქთა შიგან, და ორმოცდა თორმეტი ფერხთა შიგან, და ღმერთმან იცის საცხებაჲ ქემარიტმან.

10 **პ. შუაზოგილოგისა ნივთი და ძალი.** იცოდე რომელ საქციელნი, რომელ კაცისა ტანსა შიგან არიან დიდნი და მცირენი ხუთას და რვა საქციელი არს შეწყობილობაჲ. მათგან ას ორმოცი დიდი და მცირე თავსა და პირსა შიგან არს, და თურამეტი ყელსა შიგან ჩანბარი-თურთ, და ორმოცდა რვა გვერდთა შინა და თოთხმეტი მკერდსა შინა, და რვა მხართა შინა და ოთხმოცი მკლავთა შინა, და რვა სვიდსა შიგან და ოცდა თორმეტი სვიდსა თათთა, თექვსმეტი ნებისა ზურგსა, და სამოცი ხელისა თითთა შიგან და ოცდათოთხმეტი ზურგსა შიგან, და ოთხი ზურგსა ზედაჲ, და ოთხი მუხლთა შიგან და რვა წვივთა შინა, და ოთხი ქუსლთა შიგან და ოთხი ქუსლთა წინაჲთ, და ოცი თათისა ზურგსა შიგან, და სამოცი ფერხისა თითთა შიგან.

20 **პ. ძარღვთა ვითარებაჲ.** იცოდე რომელ ძარღვი ყველაჲ სამას სამოცი არს, მათგან ას ორმოცდა თექვსმეტი მფეთქელნი არიან, ორას და ოთხი წყნარნი. და თუ ამა მფეთქელთაგან ერთი დასწყნარდეს კაცი ჰავად გახდების, და თუ მათ წყნართაგანმან ერთმან ფეთქა დაიწყოს კაცი დასნეულდების, და ამა ძარღვთა გაცოფილობაჲ სამთა ძარღვთაგან აქეს: ყიფალისგან, აქჰალს და ბასალიკისგან. და თეთოსა ამათთანას ასოცდა ორი ძარღვი მოკიდებულთა აქეს. და ესე დიდრუანი ძარღვი მტკუარსა ჰგვანან, და იგი წვრილნი რუთა. და რაჲცა მფეთქელი არს გულისა მოკიდებულთა, და წყნარი ღვიძლსა მოკიდებულთ.

30 **პ. ხუთთა ჰისთა ხსინათი და ვითარებაჲ.** იცოდე რომელ დამბადებულმან ხუთი ჰისი დაჰბადა ხუთსა ასოსა შინა, რომელ კაცთა სისრულე მავით იქნების, მით რომელ ძალი ცეცხლისა აქეს და ამა ჰისთა შეძლებულობაჲ დღისით და სინათლესა შიგან იქნების და ნატიფობისა მისისა ნიშანი იგი არს, რომელ რახომობასა შორით შეიტყუებს, და თუალისა ჰისი არს ესე. მეორე სმენა და შეგებაჲ არს ხმათაჲ და იგი ყურისა ჰისი არს და თუალისაგან უმცრო არს, ბუნებაჲ ქარისა აქეს მას, და მისგან არს რომელი შორით ხმითა მოასმენს ქარი. მესამე ყნოსა სურნელისა და მყარლისა, ესე ცხვირისა ჰისი არს, და უქუესთა ყურისასა და ბუხარისა ბუნებაჲ აქეს, და მისგან არს რომელ გაუხდების და ტევისა მიახვედრებს სულსა, და მისი ბუხარი ბუნებაჲ გარეველი არს მიწისა და წყლისა ბუნებისაგან. მეოთხე ჰისი გემოხსა შეგებისა არს ტკბილისა და მჟავისა, მწარისა, მლაშისა და ესე ცნობისა ჰისი არს, და ყნოსებისგან უქუერესთა მით რომელ ბუნებაჲ კარგი წყალი არს, და ბუხარი უფროა ნატიფთა წყლისგან. მეხუთე ჰისი შეგებაჲ არს ღბილისა და მქისისაჲ, და იგი ხელისა ჰისი არს და ყოველთა ჰეასთაგან უმქისესი და უსქესთა, მით რომელი ბუნებაჲ მიწისაჲ აქეს და შეგებაჲ მისი ხელისა ფაათაგან იქნების, და ამისგან არს რომელ სილბოსა და სიმქისესა და სიმხურვალესა და სიგრილესა მოუხმელად ვერ შეიგებს.

40 და იცოდე რომელ ესე ხუთი ჰისი, რომელ ღმერთსა დაუბადებია ერთმან ერთთა მიმდგომად დაჰბადა და ვერე გაუგებია, რომელ რაჲცა ერთითა ჰისითა არ შეიგებოდეს, მეორითაც არ შეიგების, ვითა მყარალი თუალითა არ შეიტყუების და ხმა ცხვირითა არ მოისმინების და აგრევე სხვათა ჰისნია. და ვინ ესე რაჲცა მითყუემს გულის ხმა ყოს და შეიგნეს ეგების, რომელ შეიგნეს, რომელ ყოველი არსებაჲ და საკვირველებაჲ, და მოვლენილობაჲ დამბადებლისა ღმერთისაგან არს და ირწმუნებს ღმერთსა, და მორწმუნეთა იციან, რომელ

ოთხთა ბუნებათა დამბადებელი და ეტლთა მბრუნებელი ღმერთი არს, და იცოდე რომელიც ამას იტყვის, თუ საქმე ბუნებითაგან არს იქნების, ტყუელის და ბედათობის და ღმერთისაგან კიდე არავე არს მქნელი და მაქნელი ესე, არს მორწმუნეთა სიტყვაჲ.

10 **ქო. სიმართლისა თადარიგი და შენახვაჲ.** იცოდე რომელ სიმართლისა ნიშანი იგი არს, რომელ ტანი ძლიერად იყოს თავისა საქმესაზედა, და ყოველი ასო დაუკლებლად თავისა საქმესა იქმოდეს, ეგრე რომელ კაცსა რაჲ მიჰჭირდებოდეს. და ოდეს ტანი გაუსუსტოდეს და ასანი თავისა საქმესა ვერ იქმოდეს, და ჭირი გამოაჩნდეს ტანსა, სნებისა ნიშანი არს, თადარიგისა შენახვაჲ უნდა სიმართლისა ჟამსა მრავალ ფერად. ჰირველ უნდა რომელ საკამად სასუამადი ზომიერად ჰამოს და სევას და მასუნი იყოს, და მეორედ რაჲცა მანკი და ფტლაჲ ტანსა შიგან შეყრილ იყოს, ყველაჲ წამლითა გამოზიდოს ტანისაგან ვიდრე ჭირისა სათაენოდ გახდებოდეს და ტანსა დასცემდეს.

20 **ჯალინოს იტყვის:** ვითა სიმართლისა შენახვისა სათაენოჲ იგი არს, რომელ ოთხი ბუნებაჲ სწორად შეინახოს, ვითარჲცა სისხლი და ზაფრიაჲ. ბალღამი და სეღამი ვითა ერთმანერთსა არ მოერიონ და ერთმან მეორე არ დაიზაბუნოს, და სხვაჲ გონებაჲ შეინახოს საკამად სასუამადთა რომელ სწორსა ჰამდეს, და რასაცა ზედა დაჩუეული იყოს მას საზომსა ზედა დაიდგენს და მეტი არ წიროს, ნუ თუ ჰავსა რასმე წესსა დაჩუეული იყოს რომელ გენად დაგენდებოდის ¹⁾ და სიარული ეგრე ხამს რომელ ჰამასა წინაჲთ იყოს და თვი ძალისა მისაფერად იქცეოდეს საქმისა ქნითა სიარულითა და ყოვლითა ფერიითა, და ეგრე ხამს რომელ არ დაშურებოდეს, და სიარული ჰამასა წინაჲთ ბუნებაურსა სიმსურვალესა გაახალისებს, რომელსა ჰქვიან ჰარარათი ჰარიზი და საკამადთა მთადნობს და ასოთა გააძლიერებს, და სიარული ჰამასა უკანით კაცსა დაამკლოებს და დაუსუსტერებს და ძნელთა სნებათა გამოაჩენს. თუცა აგრე არ იყოს და ჰამასა უკანით არ იაროს საკამადი დააშენდების. და იგი გამოსეენებაჲ და სიზანტე ჰარარათი ჰარიზი და დაუსუსტერებს და ეგების რომელ მოაკუდინოსცა, მეტად საკამადსა წინაჲთ მით რომელ სიარული საკამადსა წინაჲთ სტომაქსა და ღვიძლსა ძალსა მისცემს, და თუ სტომაქსა ზედა ნანარჩომი რაჲ იყოს მასცა მოადნობს. და ვისცა სწადიან რომელ რაცა ჰამოს შეერგოს საკამადთა უკანით დია ნუ იარების და ნუცა რას მოაჭირვებს თავსა, რომელ სნებისაგან მორკპით იყოს,

30 **სტემა და ჰამა ეგრე ხამს,** რომელ მიწყით სტომაქი სუბუქად იყოს, და თუ რა უნს ოდესმე მეტი რაჲ ეჰამოს უჯრება რომელ ცოტა იაროს, რომელ ნახევრად შეავდოს და მერმე დია დაიძინოს, და მეორესა დღესა შუადღემდინ ნურასა ჰამს ვიდრე არ მოემშოის. **ჯალინოს იტყვის** ვითა სიმართლისა შენახვაჲ მით იქნაბის, რომელ სიარული და გამოსეენებაჲ მისი ზომიერად იყოს, და საკამად სასუამადი მაშუნესა მოიხმარებდეს, და თავი შეინახოს სიციხისა და სიკრილისაგან, და განწყობისა და შიშისაგან, და შეჭირვებისა და უძილობისაგან, და მოშურნეობისა და მტრობისაგან და რაჲცა ამას ჰკვენდეს ერიდებოდეს, რომელ ესე ყოველი ბუნებასა აქცევს და სისწორისაგან შეშლის, და მხურვალ ბუნებითა, მხურვალთა ცხროათა, და გრძელთა სნებთა ჰეად გახდის.

40 **ლ. და საჰამადისა ზამისაჲ:** ეგრე ხამს შენახვაჲ სიმართლისა, საკამადი მაშინ ჰამოს რომელ ტანი სუბუქად იყოს მისი, და კარგად მოედნოს საქმელი, და სიარული წესისაგებ ყოფილიყოს და ნდომსა ჰქონდეს საკამადისაჲ, და ასონი მართლად ედგენ და რაჲ საკამადი ინემოს არ გარდადოს ნუთუ მარხული იყოს, ანუ მას წინაჲთ დია რაჲმე დაეპატიყოს, და რომელ ეჰამოს უდნობი და ჰავი ყოფილ იყოს, და რაჲ მოუდეს ჰამოს, და ამა მიზეზითა ეგების რომე დააყაენოს. მაგრა ხამს, რომელ საკამადსა წინა სჯობია ანუ სიქნეებინი იხმაროს რომელ სტომაქი გახურდეს და საკამადი მოინებოს, და ეგრე ჰამოს რომელ რაჲ მოიცალოს სხვაჲცა უნდეს ბუნებად. რომელ სიმართლისა მშვიდობა ცოტასაჲ ჰამასა შინა

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აშიაზე სწერია ბევრელთა სათვალავი დ. და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე 2.

არს, ვითა სულისა მშვიდობაა უცოდობითა, და ყოველსა კაცსა ამის წესსა ზედა უნდა დაწყინარება, რომელ დაჩუქული იყოს და გაზრდილი და ეგზომისა ჰამა რომელ ჩვეულ იყოს, ნუ თუ ღია მკამელი იყოს, ანუ ჰაივისა ჰამისა დაჩუქული იყოს და ეგრე ხაზს რომელ ნებასა ზედა ჰაისა ზნისა დაადგდეს და კარგსა მოჰყვებოდის. და უკეთესი ზნე და წესი იგი არს მართლისა კაცისა, რომელ ერთსა დღესა და ერთსა ღამესა შიგან ერთხელ ჰამოს საჰამადი ანუ ორჯერ, და თუ ორსა დღე ღამესა სამჯერ ჰამოს უმჯობესი არს, და მიწყით მართელი იქნების, და ერთსა დღესა და ღამესა სამჯერ ჰამა, ავენებს მსუქანსა კაცსა და ასო სხვილსა. და ვინცა მისი საქმარი მიძიმე და ძალიანი იყოს, მას საჰამადი უფროასი უნდა, და ვინცა გამოსვენებული და უსაქმო იყოს, მისი საჰამადი უმცროსი უნდა, რომელი მიწყით მართლად

10 იყოს ტანისა ბუნებას სისწორისაგან არა შეეცვალოს, და თუცა იგი საჰამადი ჰავი არ იყოს, და თუ ღია ჰავი იყოს ნებნებასა დაზრდა უნდა მისგან, რომელ არ დასნეულდეს, და ღია ჰავი არს რომელ კაცსა კარგისაგან უკეთე შეერგების, მით რომელ დაჩუქული იყოს მაგით.

ლ. ხილთა და ჰამა მისი. იოჰან იტყვის: ნიადაგ ხაზს, რომელ საჰამადსა წინაით ჰამდეს ხილსა ახალსა და ნედლსა. ნუ თუ მკავე და მკარველი იყოს ვითა ზემე რომელსა ჰქვიან აბი, და ვაშლი დაბროწყული და რაცა ამითა ჰგვანდეს. და ღია ნუ სჰამს, და თუ წამლად ჰამდეს ეგების, თუ საჰამადსა წინათ ჰამოს, და სიმართლისა შენახვისათვის სჰამოს, რომელ ნედლი ხილი ღია არა ჰამოს, ნუ თუ მაშინ რომელ სტომაჰი გავრილებულ იყოს არა, და ღია მხურვალე იყოს კაცი ჰირისაგან ანუ სიარულისაგან, მაშინ ლეღე ანუ ყურძენი ანუ გაცივებული ტყემლი ეგების, რომელ ჰამონ, და მაშინ რა ხანი გარდელიდეს საჰამადი ჰამოს კარგად ერგების, და თუ ოდესმე ხილი საჰამადსა თანა ღია ჰამოს, და ელდაც სცემოდეს თადიბრი იგი არს, რომელ მეორესა დღესა ცოტა ჰამოს, რომელ სტომაჰი გასუბუქდეს. და თუ ზედათ ზედა ესრე მიხუდეს ღონე იგი არს, რომელ მუცელი დააღობს წამლითა ეგეთითა, რომელ სტომაჰსა და წელთა გასწმედდეს და ფიტსა ჩამოიღებდეს, ვითა ცოტა ტარეფული და ჰაბი საბრისა და გუარში მოსპოლისა და გუარში შაჰრიანი და რააცა ამის ჰგვანდეს.

20

ლ. ფულისა სჰამა. ჯალი იოზ იტყვის: რომელ საჰამადსა ზედა წყლისა სჰამ ეგდენი ხაზს, რომელ წყურვილი დააწყაროს ანუ საჰამადი ჩაიყვანოს, რომელ სტომაჰი სუბუქად იყოს, და მერმე თუ მაძირად სუას არა ჰგავა. და საჰამადსა ზედა წყალი გრილი სუას, რომელ წყურვილი დააწყინაროს და საჰამადი მოადნოს, ნუ თუ ეგეთსა კაცსა რომელ სტომაჰი და ლიძილი მისი გავრილებული იყოს, მას არა უხზს რომელ გრილი სუას, და რა აბანოთ გამოსრულ იყოს, ანუ დედაკაცსა თანა მისრულ იყოს, ანუ ძნელი რაამე საქმე ექნას ანუ ღია მისრულ იყოს აბანოთა გრილისა წყლისა სჰამ ავენებს ამით, და საშიშოცა იქნების ნუ თუ ცოცოტად უნდეს სუმა, რომელ ჰავი არა იყოს, და ღამით წყლისა სუმა რომელ მოსწყურდეს ერგების, და რაა დღე სუმიდეს და წყურვილი არ დასწყინარდეს, ცოტას ხანსა დათმოს რომელ ხანი გარდახდეს.

30

ლ. ღვინისა სჰამა. მოჰამედ ზაჰარი ანს ძე იტყვის: რომელ თუესა შიგან ერთხელ ანუ ორჯელ სუას ღვინო, და ძნელთა და მლაშეთა და ფიტხელთა საჰამადთა ზედა სუას, და ღია ნუ სუამს. და რაა საზომისაებრ სუას მისი ხასიათი იგი არს, რომელ პირველ ტანსა გაახურებს და საჰამადსა მოადნობს, და სიმხურვალესა ბუნებაურსა გააძლიერებს, და საჰამადისა ძალსა ყოველგან მიახვედრებს, და სისხლსა გასწმედს, და სიყვითლესა ჰირისაგან წაუღებს. და რაა მაშუენთა საჰამადთა ზედა სუას ტანსა ზრდის და გაასუქებს, და რაა წყალრეული შესგან წყლისა სინდელისა ყოველგან მიახვედრებს, და ჰამოდ დააძინებს კაცსა და სიხარულსა და ნიშატსა მოუმატებს. და ესე ყოველი მაშინდა არს რაა საზომსა ზედა სუას, და არა მოიჰარბოს, და თუ ესე არა იყოს სიმთვრალისა ეამსა სხვაებრ არს, და სარგებელი მისი საენებელი იქნების მით, რომელ ასოთა გაასუსტებს, და ცნობასა შეშლის და სნებათა ჰავთა მოიყვანს რომელ არა ერგებოდის, ვითა ჯალი იოზ იტყვის მიხეჯისა წიგნსა

40

შიგან: ღვინისა სუმისა ჰავნი მანკნი ძნელნი წაეკიდებთან კაცსა ვითა საქთაჲ და ფე-
ლინჯი, და ფაათა სისუსთე და სუბათი, და სარი და თაშანუჯი და სარ-
გაშთანი და ლაქვაჲ და რა შე, და თავის ტკივილი და შაყიყი და ღვიძლისა სიმ-
სიენე და დუნბულეზაჲ, და დიდროვანი წყლულნი და ასოთა შერკოლობაჲ, და ეგეთნი
სნებანი, რომელ გაყენებაჲ ხანგრძლიად არ ეგებოდეს მისი, და საშიშიცა იყოს. და სუმაჲ
მისი ყოველსა კაცსა არ მოუხდების მით, რომელ მრავალთა კაცთა სტომამქსა შინა დაუ-
მეჯადების და მიზეჯსა შეუშლის, და მრავალთა ზაფრათა მოუმატებს, და ღვიძლსა გაუმუ-
რავლებს და არწყვეს, და დაამქლობს, და მრავალთა თვისა ატიკენებს და დაამაზურებს. და
მით იქნების, რომელ კაცთა ბუნებაჲ მრავალ ფერი არს, და რაჲ ცნობითა გაიგონონ სავ-
10 ნოჲ მისი მისქარბდების სარგებელსა მისსა.

და ღვინოჲ ვითა სპარსთაგან არ ქებული არს, ეგრევე არისტოტელისაგან არ
ქებული არს. დია ჰგმრბს არისტოტელი, და იტყვიან რომელ მას არ უსჯამს ღვინოჲ, ჰკით-
ხეს რად არა სათმ: ეგრე თქვა მე მას არა ვსუამ, რომელ ცნობაჲ დამიშლოს, მით რომელ
მე ცნობისაგან გამოჩინილ იქნა. და ეიცა აბანოთ გამოსრულიყოს, ან ძნელი საქმე ექნას,
ანუ დია რაჲმე ეკამოს, ღვინისა სუმაჲ მას ევენების.

ლ. ძილისა და შაქლოგისა. ბაყრატი იტყვის: ვითა დაძინებაჲ ეგდენი ხამს, რო-
მელ ასოთა გამოისუენონ და სიმამურალე წაიედეს, და საქამდი მოიღნოს, და ძილი რაჲ
ესეთი იყოს ტანსა გაამრთელებს, ძალსა მოუმატებს, სტომამქსა დააწყანარებს, და ტანსა გაა-
სუქებს. და რაჲ საზომისაგან მეტი იყოს ტანსა გაასუსთებს და გააზანტებს, და ბალღამსა
20 მოუმატებს და სტომამქსა გააგრძობებს, მეტად მსუქანთა და სხვილ ასოთა დია ევენების, და
უძილობაჲცა რომელ საზომისაგან გარდვიდეს, გაახურებს და ბუნებასა შეშლის, და ტანსა
გაახმობს და დაამქობს. და არა ხამს რომელ კაცი უნებლიე მოსწყდეს ძილსა, რომელ
კაცსა დააზანტებს. და რაჲ შუალდე ფაფევიძის კაცსა, ეგრე ხამს რომელ კულა დაიძინოს
რომელ უძილობისაგან დია რაჲმე ფათერაკი წაეკიდების კაცსა.

ლ. მუსლისა ღვიძლად დაჯიჯავა. მაღაინელი აქიმი იტყვის: ვითარ სიმრთელისა
შენახვაჲ უკეთესი თადიბირი არს, და ეგრე სჯობს რომელ მუცელსა საქამდითა დაალბო-
ბდენ, არა წამლითა, რომელ წესსა ზედა დაიდგენს, და ფსელსა ზედა გაუფრთხილდეს, რო-
მელ წყლისა სუმისა საზომსა დიოდეს. და მისი გაფრთხილება იგი არს, რომელ ზანტად
არ იყოს სიარულითა, რომელ ჰავი სინელდე გამოჰყვეს ფსელსა, და სიმრთლე დაარჩეს და თუ
მოღბეს მუცელი, ხილთა წყლითა და დელამოტისა წყლითა მუცელი დაიღობს, და თუ
ფსელი ჰავად მოვიდოდეს სიჯანგუბინი და ნესვისა თესლი და კიტრისა თესლი და ნიახუ-
რისა თესლი და ბადიანი იხმაროს, და სიარულისა ნაცვლად ცხელს აბანოსა შიგან ოფლი
იღინოს. და დედაკაცისა მიახლოებაჲ ნდომითა რაჲ იყოს ამას ერგებს. და ოდესცა ეფსმო-
დენ ნუ ჰყოენის, რომელ მისგან ჰავნი სნებანი შეიქნებიან თირკმელსა და ბუშტსა შიგან.
და ეგრევე თუ ეჯმოდინ კაცსა, დაყოენებაჲ არა ხამს, რომელ მისგნით ყოლინჯი და ზა-
პირი გამოჩნდების, და საქამდისა ნდომაჲ წაუფა. და თოლი რაჲ დაჯდებოდეს ავხანასა სა-
შიშოა, რომელ ბევსირი და ნასორი შეექნას და მაყადისა ტკივილი, მაშა ეგრე ხამს, რო-
მელ ყველაჲ წესისაგან შეინახოს, რომელ სიმრთელო ხანი ერთი შერჩეს.

ლ. დედაკაცსა თანა დაწოლისა რომელსა ჰქვიან არაბულად ჯიჯიჯადან. მასარ-
40 ჯოა იტყვის: მაშინ სჯობს რომელ დია მოუხდებოდეს და ზურგისა წყალი დია იყოს, და
არ გასუსთდეს კაცი, და რაჲ მოიკალოს მისგან უსუბუქესი იყოს რომელ ყოფილიყოს, და
მაშინ სჯობს რომელ ყოველი ასოჲ თავისა საზომსა და სისწორესა იყოს, რომელ არცა
შოოდეს არცა მაძლარი იყოს. თუ მაძლარი იყოს, სჯობს ვიდრე მშიერი, და ვათენებისა ჟამსა
სჯობს ვიდრე პირველსა ღამისასა. და მისი სარგებელი იგი არს რომელ ტანსა გაასუბუქებს,
და ნიშტსა მოუმატებს, და წყრომასა დააწყანარებს, და შეპირებებისა გააქარებს, და საგონე-
ბელსა შესაქირებელსა მოპოცს გულისაგან, და მახულისა და მიჯნურობასა ერგების და

თავისა ჭ თულთა სიმსივნესა ერგების, ჭ საზარდულსა და მათანასა და თირკუმელთა გასწმედს. და გაზაფხულისა ეჟამა სჯობს და ზამთრის, მაგრა თუ დია იჟმოდის ავნებს, და ზიანს უხამს და ძალთა წაუღლებს ასოთა, და თულთა სინათლესა დააკლებს, და კაცსა იდრე დააბერებს და თმასა გაუთეთრებს, და ტანსა დაამჟლოებს, და ტვენსა თავისასა და ფირტესა და მკერდსა ავნებს, და ფაჟთა დაუსუსთებს, და თუ მკლე კაცი დია იჟმოდის, და დიყისაგან საშიშოა არს. და უარესი ეჟამი მისი შემოდგომად არს, რაჟ ხისგან ფურცელი ცვიოდეს, და მას ეჟამსა, რომელ სნებაჲ ენებაჟსაგან იყოს მაშინ სიკუდილისაგან საშიშოა არს.

10 **ლჳ. ტანისა ზმლისაჲ აბანოსა ჟოჟხასა შინა.** ისა კ იტყვის: ვითა ზელისაგან ტანი გაძლიერდების და ასონი გამაგრდებიან. და ლბილად ზელისაგან ასონი გაიხსნებიან, მაგრად ზელისაგან გაუსუსურდებიან, და საზომისაებრ და ეჟამისაებრ ზელისაგან ხორცნი გაიზრდებიან, და ფერად დაშვენდების კაცი, მით რომელ სიმბურვალე მას ეჟამა მოემატების ბუნებაური, რომელსა ჰქვიან ლარიზი. და სრულთა ასოთა არგებს და შეკრულობასა ვაჰხსნის, და ქარსა და რუტობათსთა გამოიყვანს ტანისაგან, და ძარლუთა და ფაჟთა გააძლიერებს და ერგების, რაჟ კვირასა შიგან ერთხელ ზელონ.

20 **ლმ. აბანოსა ჯღომიხსა ღიდხან.** ჯალინოს იტყვის: რომელ აბანოსა ჯღომა სინედლესა მოუმატებს რაჟ დიდხან არ დაიყოფნოს შიგან, და ტფილითა წყლითა ბანაჲ ტანსა გაიხურვებს, და სინედლესა მიუმატებს და ბუნებისათვის კარგი იქნების, და ფსელსა ადენს, და ჰამოდ დააძინებს კაცსა, და სიმაშვრალესა წაუღებს, და ტკივილთა დაუწყნარებს, და ქართა გააქარვებს, მაგრა ტანსა დაასუსთებს და ტანსა გაანატიფებს, და გულსა და ღვიძლსა 30 გაამბურვავლებს, და ბილალაჟთა გლუსუნთა და სქელთა ქართა გამოიღებს კაციისაგან. და ნელითა წყლითა ბანაჲ დალ ანედლებს ტანსა, და ხმელ ბუნებათა ერგების, სიღომასათვის კარგი არს. და ცივითა წყლითა ბანაჲ მკლეუთა და უსუსურასა ავნებს, და ტანსა გაავრილებს, და მსუქანსა უფროჲ არ ავნებს. და რაჟ ცივისა წყალსა ჩაჯდეს სიმბურვალე გარედამა შიგნით შეველოს, და რაჟ გამოვიდეს სიმბურვალე ტანსა შიგან მისგან უფროჲ იქნების, რომელ ყოფილ იყოს.

30 **ფოლინოს იტყვის: რომელი, წყალი ასოთა არ გაანედლებს არცა შიგნით სმითა, და არცა გარე ბანითა, მაგრა ისთიფრალი რომელ სიარულითა და ბანითა იყოს, იგი ნატივი რაჟჲ არს, რომელ ტყავისგან გამოვიდეს, მაგრა გარევასა და იხლატსა კარგად ავნებს აბანოჲ, მისი ისთიფრალი ზელისა გახსნითა და ქიქათა მოკიდებითა, რომლსა ჰქვიან 30 შაჟმათი, და რწყევითა და წამლისა აღებითა იქნების.**

ლთ. კირისა ცხებაჲ აბანოსა. მასაოჲ ახსე იტყვის: სისხლსა დასწუაეს, და თადბირი მისი იგი არს, რომელ პირველი იგი ადგილი გარცხას და ცივი წყალი დაასხას, და ვარდისა ზეთი სცხოს მას ადგილსა, და თუ ამით არ დასწყნარდეს და ეწუოდეს, თუ ნარსაკისა ტყავი ვარდისა წყლითა და ძმრითა დაალობს და შესცხოს ერგების, და თუ გაბეროილი იყოს, და წყლულად ედგას და თხამლი სდიოდეს, ინაჲ და ატმისა ფურცელი და სულდი და ხმელი ვარდი ყველა დანაყილი, და გაკრილი ზედა მოაყაროს, და თუ ამათ წამალთა თანა ერთი ახუ ორი იყოს კმა არს, და კირისა შეტეებაჲ მიწყით ძმრითა და ვარდის ზეთითა ზელდეს, რომელ კირისა სიმბურვალე გამოზიდოს და არა ავნოს.

40 **გ. რიატათი სიარული.** მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: რიატათი, ვითამცა სიარული ასოთა დააჩენს, ფერფერი სარგებელი იქნების, პირველ შეკრულებასა გაუსხსნის ასოთაგან, და მერმე ტანსა გააძლიერებს და გამაგრებს. და რაჟ საჰამადსა წინაჲთ იყოს რიატათი, სტომაჰსა გააძლიერებს და საჰამადსა მოადნობს, და ბუნებასა გაუმბურვალეს და ფაჟთა გამაგრებს, და ირყანისასა და საქციელთა ტკივილსა დააწყნარებს, და ზურგისა და წელთა ტკივილისა და ელენისა და თირკმელთა ტკივილისა ერგების, და ტანთა გაასუბუქებს. მაგრა საზომისაებრ ხამს, და საჰამადსა წინაჲთ კაცსა უფრო შეერგების რიატათი, კარგთა ნატიფთა საჰამადთაგან, მით რომელ წამალი ასოთა გაასუბუქებს და ხორცთა დაა-

კლებს. და რიატათი შერკულობასა გახსნის და ტანს არა დააკლდების, და უსუსურთა ასო-
თა გააძლიერებს, მანკიანსა სინედლესა ტანისაგან გააქრებს.

ბაყრატი იტყვის: რიატათი თავის მტკიანთაგან, ეგრე ხამს რომელ მიწყით
წვივთა და კოჳთა აზღიებდეს, და ნებას იარებოდეს.

ჯალიონოს იტყვის: რიატათი მზურვალ ბუნებათა და ხმელ ბუნებათა აენებს, და
გამოსვენება ტვინსა სინედლესა მოუმატებს. და ცოტა სიარული საკამადსა უკანით ერგე-
ბის, მოადნობს და გარეგას, და საკამადისა ცოტასა ჰმანა, წამლისა აღებისა ადგილსა ერგე-
ბის კაცსა, და ღია ჰმანა დიდისა სნებისა მომღებელი არს.

10 **მა. რუჲვიზის რამიზისა:** მას რჯომა იტყვის: ეგრე ხამს რომელ თჳესა შიგან ორ-
ჯელ არწყევდეს, რომელ სტომაჲი გაწმდეს, და საკამადი შეერგებოდეს, და ტანსა ამსუქნებ-
დეს. და ბალღმიანთა დია ერგების, მეტად ნიკორისა და საქუთათა, და ზურგის ტკივილსა
დაიანათებს. და თავსა და ტვინსა მანკიანისა სინედლისაგან გასწმედს, და თუალთა
განათობებს. და რაე თუესა შიგან ორსა ჯერსა გარდაროს, ანუ რწყევვისა ეჲმსა დია
დაიპატროს, ტანსა დაამკობს, და ასოთა გაახშობს და გაასუსთებს; და თავსა და თუალთა
და მკერდსა აენებს. და ყელგრძელსა და მკერდგამოჯდომილსა, და თავამოკაპებულსა და
მკლესა და უსუსურსა აენებს. და ვინცა ესეთი არ იყოს მას ერგების, და რწყევვისა ეჲმსა
ეგრე ხამს, რომელ თუალთა ზედა ლიფედა, ვითამცა ლილი რაჲმე მალფაკა, დასდენ და
უქუარან, და ვირე სრულიად არ არწყეოს ნუ გაჰხსნის, და მერმე ცივი წყალი თავსა და
პირსა უქუასხას, და პირი თავლისა წყლითა და სიქანგუბინითა გარცხას; და დია ერგების.

20 **მგ. წამლისა აღებისა ნიჲთინაჲბაჲ:** ჯალიონოს იტყვის: ეგრე ხამს, რომელ წელი-
წადსა შიგან ორჯელ ხამს, რომელ ნატიფი წამალი სუბუქი, გასახსნელი მოსპილი აიღოს,
ვითამცა აღვილი გასახსნელი, რომელ წესიერად შეკაზმულ იყოს, დია შემრგე იქნების სიმ-
ოთელისა შენახვისათვის. მაგრამ ეგრე ხამს, რომელ მეცნიერულად აიღოს წამალი, რომელ
თუ ზაფრისა გამოღება ხნდეს და მან ბალღამი გამოიღოს, სავენებელი უფრო იქნების სარ-
გებელისა. მამსა საზომისაებრ ხამს, და რომლესა გამოღება ხნდეს თუ იგი გამოიღოს, ერცახე
სარგებლიანი იქნების, მით რომელ ესრე მეცნიერად წამლისა აღება სიმართელისა საძირკველი
იქნების, და წამლისა აღება სხვილთა და სხვილ ასოთა კაცთა უფრო უნდა, მეტად ეგეთთა
რომელ ხორცსა და ღვინოსასა და თავლიანთა და ხილთა და ფერად ფერადთა საკამადთა
სკამდეს, და მკლესა და უსუსურსა და მმარხავსა და ცოტას მკამელსა, წამლისა აღება არა დია
30 უნდა. და წამლისა აღებისა უწინათ სამსა დღესა შორაბასა ცხებიანსა ჰამდეს, და ზაფხუ-
ლის წამლის აღება ცისკრისა ეჲმსა უნდა, და ზამთრის მამინ რომელ მზე კარგად ამო-
სრულ იყოს. და ბალღმიანისა და სევდიანისა აბისა აღება უჯობს, და ზაფრისაისათვის მატ-
ბუხი და სუფუფისა შარაბი, და რაე ბალღმისა მანკი მკერდსა და სტომაჲსა შიგან იყოს,
მარკულაო წერილსა და ნატიფსა რაე აღება რომელ ქეჲული იყოს. და ცხელსა ზაფხულსა
და ციელსა ზამთარსა წამლისა აღება არა ხამს ნუ თუ დია დაევიწოდეს. და წამლისა უკა-
ნითცა ფარეზი და კრძალვაჲ უკეთ უნ სამსა დღესა აბანოს მივიდეს. და მუჲვე და მლაჲვე
და ნედლი ახალი ხილი, და უღნობი რაეცა იყოს და სტომაჲსა აენებდეს, ერთიცა არ ექჲე-
ბის, ესე გვარსა ერიდებოდეს, და რაე წამლისაგან გამოვიდეს დაიძინოს და გამოისუნენოს.
და ვიდრე წამლისაგან არ გამოვიდეს ყველაჲ ნუ დაიძინებს. აბანოს მივიდეს და წვივთა
40 იზღიებდეს, და ნელი წყალი სუას, და თუ წამალი ცოტასა გაიყვანდეს ცხებიანი შარაბი
ხვრიტოს, და მას დღესა დია საკამადსა ნუ სკამს, და დღინოსა ნუ სუამს, და თუ დია გაი-
ყვანდეს ვაშლისა შარაბი და ბჲჲესა შარაბი სუას, და არაბული გომიზი და ასფიოზი შემ-
გბარი იხზაროს. ასფიოზი ბაზრაყატუნი არს.

მოკამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: ვითა წამლისა აღება სუბუქი უფრო ქე-
ბული არს მძიმეთა, და ჰალიღმათა და იითა, და თურხილითა და საბრითა, და აფთიმო-
ნითა და ბასბასათა, და შაჲმპანტილითა და ლარიკონითა და სანამაქურნითა, და ხიარჩან;

ბრითა და თარანგუბინითა, და შირახიშლითა და ჰინდოურითა ხურმითა, რომელსა ჰქვიან თამარი ჰინდი, და საყამუნიათა, რაჲცა ამისგან მეტი ურთოის წამალსა, ყველა საშიშო არს, და რა სარწყველსა წამალსა აიღებდეს იყოფინოს ბოლოკისა წყალი, და სიქანგუბინი და ცერეცოსა წყალი, რომელსა ჰქვიან შიბითი, და სალამამსა თესლი, რომელსა ჰქვიან ძემიელი, და ქინგარზაი. რაჲცა ამისგან კიდე ერთის ზაპრი, მკლველი და გესლი იქნების, ვითა შავი და თეთრი ხარბია და ჯაბალპანგი და რაჲცა ამათა ჰვავს.

და ვისთვისცა წამალი აღებულ საზომისაგან გარდვიდეს, ვაშლისა ქერქი ვაშლისა ხალი და ფშატისა ხალი უნდა, რომელ აჰამონ, და ალარდენისა სუფუფი და რაჲცა ამას ჰგვანდეს. და თუ ესე რომელ გეითქვამს არა არგოს, ცოტა ბანგი ანუ აფიონი ალარდენისა, რომელ აენებს და ბუნებასა გაუსუსტებს. და თუ წამალი აელოს და არ გაეხსნას, ოცდაათისა დრამისა წონი წითელი შაქარი ასსა დრამისა წონასა ტვილსა წყალსა შიგან გაურჩიოს და შესვას. და ოდესცა გასახსნელსა წამალსა აიღებდეს, ცხვირისა ხერელი მგვრად ბანბითა გატენოს, რომელ წამლისა სუნი ტვინისა შიგან არ გაუხდეს. და ვინცა ვერ აიღებდეს წამალსა, და არ შეეძლოს აღებაჲ ანუ ძნელად აიღებდეს, ეგრე ხამს აქიმისაგან რომელ ადვილ ასაღებელსა აიღებებდეს, ანუ ეგეთსა რასმე შიგან ჩადვას რომელ ბუნებაჲ არ შეიშლოს წამლისა სულისაგან, და საჭამადად ეადიღებოდეს, რომელ თუ წამალსა სიმბურვალისა და ზაფრისათვის მისცემდეს, შარაბი ვარდისა უნდა მისცენ, მყინვარითა ვაგრილებული, ანუ დანაყილი საყამონიაჲ ცოტა ჯულაბსა შიგან გაურჩიოს და იხმაროს.

და თუ წამალსა სეღდისათვის მისცემს, ორი კერძი აფთიომინი და ნიმიქი ჰინდი წერილად გავალონ და გატრან, და საზომისაებრ წამალსა გაურჩიოს და აიღებოს. და სისხლისა დაწყნარებისათვის ლეონოჲ სუას ერგების. და თუ წამალსა ბალღმისა და სიგრილისათვის მისცემდეს, თურბიდი და ღარიყონი დანაყილი თეთითაჲსაგან საზომიერი ერთი, ჯულაბსა თანა იხმაროს ერგების.

მგ. ხელის მახსნისა ნიჰთისა. ბაყრაჲ იტყვის: რომელ ხელის გახსნა ეამიერად და წესიერად, სიმრთელისა შენახვისა უკეთესი კურნებაჲ და თათბირი არს, მეტად ეგეთთა კაცთათვის რომელ მჯდომი ეხსან და წყლულიანი იყოს, მათ კარგათ ერგების. მგვრა ეგრე ხამს რომელ, ანუ სამი საათი ანუ ორი საათი, რომელ ეამისაგან გარდასრულ იყოს, და საათი პაჰსა ჰქვიან არაბულად, და დღე თორმეტი პაჰს არს, ეგრევე ღამე თორმეტი საათი არს, მესამესა და მეორესა საათსა გაიხსნას ხელი, და თუ რაჲ უნდოდეს და არ გახსნას, და ეამისაგან გარდაროს, ძნელი სნებანი გამოჩნდებიან, ვითა სარსამი რომელსა ჰქვიან თავქედი, და ვითა ბარსამი და ცხროჲ მუტბაყისა, და სისხლისა დენა ქვეშეთ, და უგრძნული სიკდილი რომელსა ჰქვიან მარგი მათფაჯა, და საქთა სისხლური და ხუნაყი, და რაჲცა ამთა ჰგვანდეს. და დია გახსნაჲ, და საზომისაგან უფროასი გავუშუბაჲ სისხლისა არავე ხამს, აენებს კაცსა მით რომელ ბუნებასა შეშლის და ისთის უასა გამოაჩენს, და კაცსა ვაყუითლებს, და საჭამადსა არ მოაჩენებს, და სტომაცსა და ღვიძლსა და გულსა დაუსუსტრებს, და ფელიჯსა ლაყყასა და ყოლინჯსა და რაშესა გამოაჩენს, და ტანისა ძალსა წაუღებს, და ყოველთა ასოთა დააუსუსტრებს.

და ცხელსა ეამსა და ციესა ეამსა ხელის გახსნა არა ხამს, ნუთუ ღონე არ იყოს, და მას დღესა რომელ ხელი გახსნას, დედაკაცსა ნუ დაეკარების, და დია ნუ იარების, და წამალსა და საჭამადსა ნუ ჰამს, და ნუცა იმარების, და ტანსა ნურას იწყენს. და წუადი და ზირაბაჯი ჰამოს და მწნილი და მჟავე იხმაროს, რომელ ზაფრა უკუაქარგოს და გარდაუღლოს. და თუ ვის გულისა ფეთქაჲ, ანუ საქთაჲ, ანუ ხორხ შეკრულთაჲ სკირდეს, ისწრაფოს ხელის გახსნაჲ და ნუ მოლაფლდების, თუ ღამით გამოჩნდეს თუ დღისით მასვე წამსა ხელი გაიხსნას.

და თუ ოდესმე ძარღვისა თავი გახსნილი იყოს მძინარესა, ანუ მღვიძარესა, და სისხლი დია დაწრედლი იყოს, კურნება იგი არს რომელ ხორცისა წვეწმასა ხერტედეს, და სურნელსა ლეინოსა სუმიდეს, და ამოზავებულსა კურცხსა ქამდეს, და სურნელსა უსუნებდეს და ვარდსა სცხებდეს, და ლალია ცხვირთა შიგან ჩაუდვას, და ცოცოტად ხორცისა წვეწმასა ქამდეს, და ლეინოსა სუმიდეს სურნელსა, რომელ ძალი მოუვიდეს, და რაჲ ადგეს ხორცისა წვეწმასა ქამდეს და ლეინოსა სუმიდეს ერგებინ.

10 მ8. მამისა მოკიდების ნიშნით. თებათ ყურას ძე იტყვის: რომელ ქიქისა მოკიდება ხელის გახსნისაგან უმჯომესი არს, ვისაცა კბილი ანუ თავი სტკიოდეს, თავისა და თუალთა სიმძიმესა გარდაიღებს. რაჲ ორგნითვე მოიკიდოს ქიქა და ორთავე მხართა შუა მოიკიდოს, გულისა ფეთქასა და ყელისა ტკივილსა ერგებინ; და თუ წვიგისა ზედა მოიკიდოს წიღოვანობაჲ რაჲ შეიკრას გაიხსნების, და მუცლისა ტკივილსა რომელ სიმხურვალისაგან იყოს ერგებინ, და მჯღომიანთა კაცთა ერგებინ, და თუ ყელსა მოკიდოს ერგებინ.

10 ისაყ იტყვის ქიქისათვის: ქიქის მოკიდება ორგნითვე ყელსა, თავსა და პირსა და თუალთა დია ერგებინ, და კბილის ტკივილსა გარდაიღებს და ხელის გახსნისა ადგილსა მოეკეთების. და თუ ნიკაფსა ქუეშეთ მოჰკიდოს პირისა ტკივილსა და ღრძილთა დაზვევასა ერგებინ. და წიღოვინსა სისხლსა ჩამოიღებს, და გასიგებულსა დააწყნარებს მავრა მკლესა და უსუსურსა ჰავად გახდის.

20 მ8. წურბელისა მოკიდება: რომელსა ჰჰმინან დეჰჰა ღა ზაღუ. მასარჯოაჲ იტყვის: რომელსა წურბელი ერგებინ იგი არს, რომელ ყობასა და საფაჲსა და ძნელთა წყულთა უკან აუშუას წურბელი, მას უკანის რომელ წამლითა კარგითა ტანი გაეწმიდოს ერგებინ, და სითცა მოეწოვონოს წურბელსა და მუნით სისხლი არ უქუდეგბოდეს, ახალი კეცი დანაყონ და გაცრან და ზედა მოაყარონ, და თუ წურბელი არ დასწყუდების ნაცარი ზედ მოაყარონ და ქუე დაჰვარდებინ¹⁾.

30 იოჰანა იტყვის: რომელ სიმრთელისა შენახება იგი არს, რომელ სიარული და სიწყნარე, ბუნებაჲ, სასუმად საჰამადი, და ისთიფრალი ყველაჲ წესისაებრ იყოს სწორად, და მას დღესა რომელ ახალი თევზი ეჰამოს სძესა, ნარსაჰსა და კვერცხსა და ზროხისა ხორცსა და კალნაბასა არ უნდა ქამა, რომელ ფელიჯისაგან საშიშოა იქნების, და მისგან სეღიანობისა სნებაჲ გამოჩნდების, და ზაფხულის გრილსა სჰამდეს და ცხელსა ადგილსა ნუ დაზაშს, და აბანოსა შიგან მძღარი და მშიერი ნუ შევალს, და აბანოსა შიგან ცივსა წყალსა ყოვლადე ნუ სუამს, და საზამთროსა, რომელსა ჰჰვიან ხარბუზაჲ პინდოაჲ ნუ სჰამს, და ახალ თხილთა ნუ სჰამს, რომელ ისთისყოჲსაგან საშიში იქნების, და აბანოსა შიგან დიაცსა ნუ მიეკარების, რომელ უგრძელსა სიკუდილისგან საშიშოა იქნების, რომელსა ჰჰვიან მარგი მათაჲ, და გულისა ფეთქება და ნიკრისი და ირყანისი შეიქნების, და თუალსა ატკივნებს, და აბანოსა შიგან ნუ დაიძინებს რომელ ფილეჯი და ლაყვასაგან საშიშოა იქნების. და თუ დიაცსა თანა მისრულ იყოს, ვიდრე ორი პაჰა არ გარდიდეს აბანოს ნუ შევალს, რომელ აზნოვითა წამალი ასადებელი არს, და მისი ისთიფრალი თუცა არ სრული ისთიფრალი იქნების, გინა ორი ისთიფრალი კაცისა, ოცდა ოთხსა პაჰას უმცროსი არა ხაშს რომელ იყოს. და ისთიფრალი დაცლასა ჰჰვიან და მოსუბუქებასა, რომელ არ დაუსუსურდეს კაცი. და დიაცსა თანა მისელისაჲ ისთიფრალი, და ხელის გახსნაჲ, და ცხვირთაგან სისხლისა მოდენაჲ, და ქიქათა მოკიდებაჲ, და რწყევაჲ, და სიღბოაჲ, და ფსლისა დენაჲ, და ოფლისა გამოცემაჲ, და სიბრძილი ამას ყველასა ისთიფრალი ჰჰვიან.

40 მ9. მისაჲ იტყვის: რომელ უარესი სიმრთელისა შენახვისა იგი არს, რომელ საჰამადი საჰამადსა ზედა ქამოს, მით რომელ პირველი გაუღრბოვლი იყოს ზედა სხვაჲ მოიმა:

1) ამ გვერდის ქვემო აწიხე რველთა სათვალავი სწორია ე. და შემდგომ გვერდის ქვემო აწიხე ე.

ტოს, ორივე სტომქსა შიგან შეიყარნენ და სტომაქი გააუსუქურონ, და ესრე ქამისაგან რიდება ხამს, რომელ ტანი მიწყით გამოსვენებით იყოს. რომელ სტომაქისა საქმე ვითა ქოთანნი არს, რომელ შიგან ხორცი და ჰავეჯი ჩადვენ და წყალი ასხან, და ადუღონ და ადუღებულსა ზედა სხვა ხორცი და ჰავეჯი და წყალი ჩაურთონ, და ადუღონ, და კელა ხორცი და წყალი და ჰავეჯი ჩაურთო და ადუღო, მაშინ ცივი წყალი ზედა ჩაასხა და ცეცხლსა უგზებდენ, რაა ჰანხო ზოგი შემებარი, ზოგი დამწუარი, ზოგი უმებარი იქნების, და ერთი-ცა გემრიელი არ იქნების, და კაცი რაა პურ კმული იყოს, ეგრე ხამს რომელ წყარად იყოს, რომელ ნახევრამდის მოიდნოს მაშინდა დაიძინოს, და რაა გაიღვიძოს თუ რაა მა-
10 შინ ქამოს ეგების, მაგრა ისრამი და აღარდენი, ბრინჯი და თევზი ერთგან არ იქმების, ერიდებოდეს ამას, რომელ ყოლინჯისაგან საშიშო იქნების და მყავესა, დია მყავესა, და მლაშესა, დია მლაშესა, ნუ ჰკავს.

მთ. ის აკ იტყვის: ყოველი ტუბილი ღვიძლსა და წელთა აენებს, და ცხიბიანი სტომაქსა დაასუსთებს, და მლაშე წელთა მოხუეწს, და მყავე მკერდსა ვააქისებს და სტომაქსა აენებს, მაშა საზომისა შენახება ხამს, რომელ ერთი მეორესა არგებდეს და ერთმანეთსა არ მოერიონ, და რააცა ერბოა ანუ ტუნი ანუ ქონი დაძველდეს მას ნუ ჰამენ, რომელ ერთობით ზაპრი იქნების, და თავლისა პურსა რომელ თონისაგან ამოღებულ იყოს ნუ ჰამენ, და თევზი ძელი, აუსტი არ მაშუნი იქნების, და მშუარი ბირიანი რომელ დახურვილი იყოს, და ძმელისა ყველისა ქამა აენებს კაცსა და საფათურაკოა არს, დი რააცა გემოდ ჰავე
20 იყოს და ბუნება მას არ ითხოვდეს მაგისი ქამა არა ხამს, რომელ აენებს კაცსა. და მიწყით ყურისა მოხოცა ხამს ბაყლისა თხამლისაგან, და კბილსა იწმენდეს სანუნითა, რომელ წმიდად იყოს და ყურსა ეამ-ეამ იისა ზეთითა დაალობდეს, და რაა მარხული იყოს და შიოდეს და ქამად დაჯდეს, ცოტასა ქამდეს რომელ სტომაქი შეიწირვიდეს, და რაა დასწყნარდეს ეგების რომელ სრულად ქამოს.

ნ. მგაზაპროგისა სიარულისა და ლაზაპროგისა თადგირი. მუჰამედ ზაქარი აბ-სძე იტყვის: ვისცა გრძლად მგზავრობაა უნდეს, პირველ ხამს რომელ ტანი გაწმინდოს ხელის გახსნითა და წინის აღებითა, და თავისი წესისაგან ნებნებასა დაზიდულობასა ვითა ძილისაგან და დია ქამისაგან, და გამოსვენებისაგან და ამისი მგზავნი, რომელ სადაცა იყოს მართლად და უწებლად იყოს. და რაა მგზავრობაა ზაფხულის იყოს საქამადსა დია
30 ნუ ჰამს, და ცხიბისაგან და ტუბილსა ერიდებოდეს, და გრილსა და მყავეს ქამდეს, და ნიადგ თავსა ჰუნჯიდის ზეთითა ილობდეს, და ასფოზის ლობითა და აყროს ზეთითა, და კუერცხის გულისა თეთრითა მკერდსა იხელდეს დია, კარგი იქნების. და ეგეთსა ნურასა ქამს რომელ აწყურებდეს, და რაა გარდახდეს პირი ცივითა წყლითა დაიბანოს, და ვიდრე არა გამოისვენოს ნურას ქამს, და მაშინ ეგეთი რაა მყავე ქამოს, რომელ ზაფრად გარდაუ-
40 ულოს, და ცოტას ხანსა გროლსა ადვილსა დაიძინოს, მაშინ გაიღვიძოს და საქამადი ქამოს, და ხალთაგან ვაშლი და კიტრი, ბროწყელი და ტყემალი, და ხალი ქამოს, რომელ წყურვილსა ერგების, და სიქანუბინი ცივითა კარგი არს.

და ეგრე ხამს რომელ ამის სადგომისა წყალსა, მეორისა სადგომისა წყალსა გაპრედდეს, რომელ სტომაქი მისი დაეჭვიოს უცხოთა წყლითა, და თუ მძიმედ და ხურვალედ და უსუსურად იყოს, ადრე ველსა გასელსა ეცადოს, და ხელი გაიხსნას რომელ უცხოა ჰაერი საქამადსა რომელ ექამოს ადრე ახორშაებს, და ხორშას არაბულად აფინი ჰქვიან, და სისხლსა გააჰავეებს. მაშა ხამს რომელ ტანი წმიდად დაიჭიროს, რომელი სნებითაგან მორკმით იყოს, და თუ ზამთარი დაემართოს მგზავრობაა ეგრე ხამს, რომელ მხურვალსა და ღვილსა საქამადსა იფარებდეს, უხდურსა შიგან ნიორიანთა, ხახუსა და მხურვალთა სანელებელთა ჩურთვიდეს, რომელ მიწყით მხურვალი იყოს, და ტანსა ტუფილთა ტანისამოსითა შეინახვიდეს, და მეტად მკერდსა წინახვიდეს რომელ სიცივიმან გულსა არ აენოს, და რაა გარდახდეს თუ

შექმდოს აბანოს მივიდეს, და თუ არა, თავი თბილითა რაათმედახურვითა შეინახოს, და
შზრისა ადგილსა დაიძინოს (კოტას ხანსა, და რაა გაიღვიძოს საკამადი ჰამოს და
ნიწ...¹⁾)

... წყალი და თეთრისა ხანახანისა წყალი ჯულბსა გაურიონ და ასუან, და თუ ტკი-
ლი და გემოდ ჰავი იყოს საკამადსა ტკიბისა და ცხიბიანსა ჰამდეს და კოტა ტარეფული
გაზრდილი ჰამოს ერგენის, დაეგრე ხამს რომელ ძიძისა სძე ტკილი და გემოდ კარგი იყოს,
და თეთრი და წმინდა, და სწორი იყოს, რომელ არცა ხურვალი იყოს არცა გრილი, არცა
სქელი და არცა თხელი, და თუ სძე კოტაჲ ედგას ცერეკოჲსა თესლი და ნესვისა თესლი-
სა წყალი ჯულბსა გარიონ და იხმარებოდეს, და მიწყით თხისა და ფურისა სძესა თეთრი-
10 თა შაქრით ჰამდეს, და შორაბანსა მუხუდითა და ხაჯითა და ცერეკოჲსა თესლითა და ბა-
ღიანითა შექნილსა ჰამდეს, და თუ ოდესმე აბანოს მივიდეს ყრმასა დიდხან ნუ დაიჭირავს
აბანოს, და მზესა ნუ დააწვეს. და თუ ყრმაჲ დია ტვირდეს ჰანახოს, არ ყოველივე შიშინ-
ლისაგან ატირდების, ნუ თუ მუცელი სტიკოდეს, მაშინ დედამან მისმან კოტა თეთრი საკ-
მეველი ცოხნოს, და წუენი მისი პირსა ჩაუწითოს, რომელ ქარი არა აწყენდეს. და ეგების
რომელ ჯურიცა სტიკოდეს, მაშინ კოტაჲ სძე იისა ზეთსა გაურიოს და ყურსა ჩაუწითონ.
და თუ საზარდული სტიკოდეს კოტა იასამინის ზეთი ანუ ხირის ზეთი საზარდულსა ზედა
სცხონ. და ეგების რომელ აყვანაჲ მოუწინდეს, ანუ მაგრად შეკრული იყოს, ანუ ეკიბნოს რასმე,
ამას ყველასა გაუფრთხილდეს. და ძიძაჲ ზოგჯერ გულბა შაქარსა და ტარეფილსა, და ალ-
ვისა გუარინსა და ძირაჲსა გუარინსა ჰამდეს, რომელ მისი სძე შემრგე და წმიდაჲ იყოს.
20 და ვითცა ყმაჲ იზრდებოდეს კო-კოტასა სძესა მოუმატებდეს. ვითაცა გადიდების უფროჲ
უნდა. და თუესა შიგან ორჯელ დალიასა ჩაუდებდეს (ჯებრთა, რომელ დაცემისაგან შორ-
ქმით იყოს რომელსა ჰქვიან სან რიი, და საზარდულსაცა ზედა უცხებდეს, რომელ კვბა არ
შეიქნას და არა სტიკოდეს.

58. იოჰანა იტყვის: რომელიცა გრძეჲ საუბრისა ეამსა დონი ანუ ლასი ახსენოს,
უფროჲ არ იქნების, და რაჲ საუბრისა ეამი მოეახლოს კოტა ანდრანული მარილი დანაყი-
ლი ერბოსა გაპრიოს და ენისა ძირსა მით უზელდენ, რომელ ადრე დაიწყოს საუბარი, და
რაჲ კბილთა ამოსულსა ეამი, იყოს შინაურისა ქათმისა ცმელი და იის ზეთი ერთგან გაპრიონ
და ღრძილსა სცხონ, რომელ ადრე ამოვიდეს კბილი. და რაჲ კბილისა ამოსულსა ეამი იყოს,
მისთა ღრძილთაგან მლაშე წყალი გამოევა და მუცელსა ჩაუვა, მაშინ მუცელი დაუღებების,
30 მაშინ ბეჭე, შარაჲ და ტაბაშირი გავლილი აჰამონ. და ხმელი ვარდი და ბროწეულსა ყვა-
ვილი, და ხმელი პური ერთგან დანაყილი წყლითა შეზილონ, მუცელსა და საზარდულსა ზე-
და დაუდვან ერგების, და ძიძაჲ კაკისიჲ და თიჰაჲსა ზორცსა ჰამდეს შემწვარსა, და ხაშ-
ხაშისა თესლსა შემგარასა ჰამდეს. და თუ ოდესმე ყრმაჲ შეკრვით იყოს, შაფი ქანა, თავგი-
სა მძღრენისა დამწურისა, სკინტლისა და ფანიდისაგან და შეუპყრან ყმასა, რომელ
მუცელი დაუღებეს. და თუ გუამისა პირი გამოვიდოდეს ასფარამის წყალი უყოს ესრე, მოი-
ლოს ბროწეულისა ყუავილი და ვარდის ფურცელი, და სისანბარისა ფურცელი და ტირიფი-
სა ფურცელი ყველაჲ წყლითა შეაბოლოს და თალარსა შიგან ჩაასხას, და ყრმაჲ შიგან
ჩასვას, ერგების. და ვითარცა ყრმაჲ იზრდებოდეს სძესა დაუკლებდეს. და რაჲ კბილი ამოს-
რულ იყოს კოკოტასა ღბილსა პურსა ხელთა მისცემდეს, და დააჩვიონ საკვადისა ჰამასა
40 და მას უკანით ნეკულსა დამბალსა, შიგან ხარშოსა მისცემდეს, და სძესა დაუკლებდეს. და
ეგრე ხამს, რომელ ღამით სძესა არა აწოებდეს და ნებნებასა მოსწოდეს, და ძმუჰსაგან
ზამთარსა და ზაფხულსა შუა ნუ მოსწყვეტენ ყრმასა, რომელ საშიშოჲ იქნების. და უკეთე-
სი ეამი ყრმისა მოწყვეტისაჲ გაზაფხულ და შემოდგომისა ეამია, რაჲ ხაზანი იყოს და ფურ-
ცელი ხეთაგან ცვიოდეს.

1) აქ ერთი ფურცელი უნდა აკლდეს, თავები ნა. 58.

ჰუნან აქიმი იტყვის: რომელ პატარასა ყრმასა ზამთრის ნედლისა ცილისა ჰამისა-
გან შეინახეთ, რომელ საზარდულსა შიგან ქვასა გამოაჩენს. და კვერცხსა და თევზსა ერთ-
გან რა აქმევენ, რომელ მაშინ მტერთა და ცეცხლსა გამოაჩინდების რომელსა ჰქვიან სარი,
და თუ ადრე მოსწყვიდონ ტუტუსაგან, მკლედ და უსუსურად იქნების და თუ გვიანად მოს-
წყვიტონ, ჰვეცნობაა შეიქნების. და უმცროსი ხანი წოგნებისაა წელიწადი და ნახევარი
იქნების, და უფროსი ხანი ორი წელიწადი. და რაა ყრმაა უსუსური იყოს ადრე ნუ მოს-
წყუდენ ტუტუსაგან, მაგრა თუ მსუქანი და ძლიერი იყოს არა ჰგავა. და ორსულისა დია-
ცისა სძე ზაჭრი არს პატარასა ყმისა თვის, მაშა ხაშს რომელ მისგნით არა ოდეს აწოონ.
და ძიძაა ყმა და მთელი და სწორ ბუნებაა ხაშს, და არცა დია მკლე და არცა დია მსუ-
ქანი იყოს, და ყოვლადვე ხახუსა და ნიორსა, და განდანასა და ქაშოსა, და მლაშესა და
მჟავესა ხილსა ნუ ჰამს, ყოველსა საქამადას ტკბილსა და ცხიბიანსა ჰამდეს, და ყოვლისა
კაცისაგან მისისა დედისა სძე უკეთ შეერგების ყრმასა, და სავსებაა ღმერთმან იცის.

წ. მაჯასისა შობაშუბისა მაცნობაა და ნიჭითი. ჯალინოზ იტყვის: ვითა მაჯასისა
შეტყუება მიზევისა შეუტყუებაა არს, და მაჯასითა შეიტყუების ყარუბა და ლდე, რომელსა
ჰქვიან ჰეტი იკაცისა, და აწ ჩუენ მაჯასისა შეტყუებისა ნიჭითი ვითა რომელ
გამოუცდელისათვის ადვილი იყოს. და იკოდენ რომელ მაჯასი გულის ფეთქაა არს.
სულსა ამოღებისა და ჩაღებისა ეამსა შენახება ბუნებურისა სიმბურვალისა თვის, და მის-
გან შეიგების გულისა სისუსტე და სიძლიერე. და იგი მოწამე არს აქიმისათვის მანკთა,
რომელ გულისა და გულისა მიდამოსაგან, და მფეთქელთა ძარლუთა იქნების. და სჯობს
იგი რომელ მაჯასი მარცხენით კერძოა ჰნახონ, ამით რომელ გული მარცხენით არს. და სწე-
ულთა ჰქითხონ ყოფა და ვითარებაა მათი, და ვისცა სწაღდეს რომელ მაჯასისა შეტყუე-
ბისა მეცნიერებაა კარგათ ისწავლოს, ოთხთავე თითთა მიწყით მრთელთა კაცთა მაჯასსა
ზედა დასდებდეს, და ნუცა მაგრად ნუცა ლბილად, და კარგათ შეიგებდეს მათისა მაჯისა
ძალსა და ფეთქასა, რომელ შეიგნეს თუ მრთელისა ვითა ფეთქს, და სწეულისა ვითა, და
მაშინ გამოარჩევს და შეიგებს, თუ მრთელი ვინ არის და სწეული ვინ.

მისსა ზედა თითთა დადებამა სამფერად არს ზოგსა მაგრად, და ზოგსა ლბილად, და
ზოგსა სწორად, და მაჯასა რომელ თითთა მაგრად უნდა დადებამ ორფერად არს, ერთი
მაჯასსა ძლიერად მფეთქელი არს, რომელ თუ მაგრად ზედა ხელი დასდვა მაჯასი თითთა
უკუაყენებს, და მისსა ვითარებასა კაცი ვერ შეიგებს, ვიდრე თითისა თავსა ზედა მაგრად
არ დასდებდეს. მეორე იგი, რომელ მაჯასისა პატრონისა ხელი ხორციანი და მსუქანი იყოს,
მაშა თითისა თავსა მაგრადცა უნდა დადებამა და ლბილადცა, და ორფერად იქნების, ერ-
თად იგი, რომელ უსუსურობისა და სიძლიერისა ეამსა სწორად ფეთქს. მეორეთ იგი რო-
მელ მაჯასისა პატრონისა ხელი არცა მსუქანი იყოს არცა მკლე. და მაჯასა რომელ თითთა
ზედა ლბილად უნდა დადებამ ორფერად არს, ერთი იგი. რომელ მაჯასა ლბილად და უსუს-
ურად ფეთქდეს, მეორე იგი რომელ მაჯასისა პატრონისა ხელი დია მკლე იყოს, მით რომ-
მელ თუ ამის ხელსა ზედა ხელი მაგრად დასდვას ფეთქამ ყოლ არა ეგების მისი. მაშა რაა
მაჯასსა უნახვიდეს ვისმე ამას ყოველსა გაფრთხილება უნდა, რომელ მაჯასა შეტყუე-
ბელი იყოს.

ჯალინოზ იტყვის: რაა ხელი მაჯასა ზედა დასდვას თითთა ქვეშე სწორად ფეთქ-
დეს, ტანისა სიმრთელისა ნიშანი არს, და აქიმი ცესთა მაჯასსა ნაბტალმოს თავი
ჰქვიან. მაჯასსა არაბულად ნაბტი ჰქვიან. და თუ მაჯასი თითისა ქვეშე ძრიოდენ იყოს
და გვიანად ფეთქდეს, სისხლისა მორევისა ნიშანი არს, და აქიმი ამას ნაბტალმოს-
თალი ჰქვიან. მაშინ უბრძანოს რომელ ხელი გაიხსნას და სისხლი გამოიღოს, ვითარცა უნ-
დეს. თუ მაჯასი თითთა ქვეშეთ სუსთად იძვროდეს და გვიანად ფეთქდეს, ბალდამისა მო-
რევისა ნიშანი იქნების, და აქიმი ამას ნაბტალბატი ჰქვიან. ებრძანოს რომელ ხმელ-
სა და მხურვალსა საქამადას ჰამდეს. და თუ ადრე ფეთქდეს და ფიცხლად იქცეოდეს, ზა-

ფრისა და მორეენისაჲ მისისა ნიშანი არს, და აქიმნი ამას ნაბტასარი ჰქვიან. უბრძანოს რომელ გრილსა საქამადსა აქმევდეს, და მკავესა იხმარებდეს. და თუ გასხიპული იყოს ვითა მშვილდისა საბელი, და მაგრად ფეთქდეს სევდისა მორეენისა ნიშანი იქნების, და აქიმნი მას ნაბტალ მუთა ფაკითა ჰქვიან. უბრძანოს რომელ მხურვალსა და ნედლსა აქმევდეს და აბანოს მივიდოდეს.

მესიაჲ იტყვის: მაჯასი რომელ სამთა თითთა ზედა ფეთქდეს, სისხლისა მორეენისა ნიშანი არს, და თუ ორსა თითსა ზედა ფეთქდეს, ბალდამისა მორეენისა ნიშანი არს, და თუ გასხიპული იყოს მშვილდისა საბელისაგან, და სწორად იყოს თითთა ქვეშე, და ფიცხლად ფეთქდეს, სევდისა მორეენისა ნიშანი არს.

- 10 მუჰამედ ზაქრიაჲს ძე იტყვის: ყმა წვრილთა მაჯასაჲ ფიცხელი და წურილი იქნების, და მიწყით ფეთქს. ყმათა კაცთა მაჯასი უძრიელესი და უფროსი იქნების, მაგრა ეგრე მიწყით და სწრაფით მფეთქელი არს. და მსცე შერეულთა მაჯასი ყმათა კაცთა მაჯასისაგან უფრო უსუსური იქნების. და ბერთა კაცთა მაჯასი გვიანად ფეთქს და იქცევის. და დღდათა მაჯასი ყმათა და ბერთა, ყმისა კაცისა მამაკისაგან უფროჲ სუსთი და უსუსური არის, და მიწყით ფეთქს. და მხურვალ და ხმელ ბუნებათა მაჯასი, უმაგრესი და ფიცხლად მფეთქელი არს, და სიბრტყესა ზედა ფეთქს. და გრილ და ხმელ ბუნებათა მაჯასი სხვაებრ იქნების, და ზამთრის მაჯასი წყნარი და მქცევი იქნების, და ზაფხულის მიწყით ფიცხლად მქცევი. და რომელიცა მაჯასი ოთხივე თითა ქვეშეთ სწორედ ფეთქდეს, და სიბრტყითა და სიგრძითა კარგად ფეთქდეს, აქიმნი მას ძლიერად იტყვიან და სიმართლისა ნიშანი არს. და თუ არ
- 20 ესეთი იყოს მას მაჯასა ტაიფი ჰქვიან, და სნებისა ნიშანი არს, და ღმერთი არს ყოვლისა მკოდნელი.

თუ ბით ყურაჲს ძე იტყვის: რომელ საქამიდი და სასუამიდი, სიარული და სიციხე, და წყრომაჲ, ესე ყოველი მაჯასსა გაადიდებს, და მხურვალი წამალი მაჯასა გააფიცებს და გაამხურვალებს, და შიში მრავალ ფერად აფეთქს მაჯასსა, და სნებაჲ და ცხრომაჲ მაჯასსა დაამცრობს. და რაჲ სნეულმან მოიჯობინოს მაჯასი გადიდების ნუ თუ დიყისა ცხრომსაჲ შიგან, რომელ მაჯასი მიწყით ცოტად და მაგარი იქნების, და არ იქცევის. და მაჯასი რომელი ჭიისაგან იძრეოდეს, სიკუდილისა ნიშანი არს. და მაჯასი რომელი თრთოლით ფეთქდეს, მისი ნიშანი არს, რომელ ბუნებაჲ და სნებაჲ ორივე ძლიერად იყვნენ.

- იოჰანა იტყვის: რომელ მაჯასი ადგომილი იყოს სისხლისა ძლიერისა და მორეენისა
- 30 ნიშანი არს, და თუ ფიცხელი იყოს და მიწყით ფეთქდეს, ზაფრისა და მანკისა ნიშანი არს, და თუ საცე იყოს და მძიმედ ფეთქდეს, ბალდამისა სიმრავლისა ნიშანი არს, და თუ წვრილი და მძიმე იყოს, სევდისა მორეენისა ნიშანი არს, და თუ მრავალ ფერად ფეთქდეს, სნებისა და სიმხურვალისა ნიშანი არს, და სნებისა სიმხურვალე მაჯასსა მოუმატებს ვითამცა გაწყრომაჲ და სიარული, და აბანოჲ და საქმობაჲ, და რაჲცა ამას ჰგვანდეს; და ამისგან დასწყნარდეს კაცი, მაჯასი მისივე წესსა მივა. და მრავალ ფერად მაჯასი ბუნებისა სისუსთისაგან იქნების, და მაგარი მაჯასი ბუნებისა სიძლიერებისაგან იქნების.

- და ცოტად და მძიმე მაჯასი, სიგრძისა და სინედლისა სიმრავლისაგან იქნების. და ცოტა მაჯასი დაშავებულისა მანკისაგან იქნების, რომელ სტომაქისა პირისა შეყრილ იყოს, და სტომაქსა უკბენდეს, და მორთალი მაჯასი მეტისა სიმხურვალისაგან იქნების, და მაჯასა
- 40 ნაშაქი სიკუდილისა ნიშანი იქნების, და ნაშაქ არაბულად ჯინჯველსა ჰქვიან, და სიწოლასა და სიუსურით ვახსენებ აქა.

მასო იაჲს ძე იტყვის: რომელ სნებაჲ სიმხურვალისა, მაჯასისა სიდიდითა შეიგების, და გრილსა სნებასა სიმცრომათა, და ხმელთა სიმავრითა და გასხიპულობითა, და სნებისა სინედლისათა, სილბოთა და უსუსურობითა. და ვისცა სწადიან რომელ კარგად იცოდეს, პირველ შირიანსა მეცნიერობასა უნა სწავლავ, და დასწავლავ რომელ ესე მეცნიერებაჲ ესაძლებოდეს, მით რომელ ამს მეცნიერობისა სრულიად სწავლავ დია ძნელი არს, და

დიდი ხანი უნა ამისა უკანა დგომასა, მაგრამ მსწავლებელსა ესე ეყოფის რაჲ კარგად დაისწავლოს.

60. **ფსალმისა და ზიტისა შობაჲთაჲსა ნივითი და ძალი.** იცოდე რომელ წყალი აქიმისა მოწამე არს, ლეძლისა და მისისა მიდამოასა მანკისაჲ, და ვიდრე ესე ორივე მას იმოწმებენ სნეულისა ჳირისათვის, აქიმსა არა მართებს, რომელ ჳურნებაჲ არა შემართოს. და ყარულაისა დაჳირებაჲ მაშინ ხამს, რომელ სნეულმან გაიღვიძოს ჳამასა უწინაჲთ. რაჲ წყალი დიჳიროო ცოტა ხანსა დადგას ყარურაჲ, რომელ თუ სიბნელე ანუ სხვაჲ რაჲმე იყოს წყალშიჲ, ჳეჲ ჩაეიდეს, რომელ აქიმმან მანკისა თავნი შეიგნეს, და არ მოსცეთეს და ხამს რომელ წყალი თფილი იყოს, რომელ ნელი და გრილი წყალი არ შეიგებოს, და ხამს რომელ აქიმმან ჳეიხოს სნეულსა თუ რაჲ უკამია, რომელ ეგეთი არა ეჳამოს, რომელ წყლისა ფერი ექციოს. და წყლისა შეტყობისათვის ოთხთა შენახვაჲ ხამს, პირველ ფერი და მეორე სული, მესამე ყავამი, მეოთხე რუსობი, და მე თვითთა მისი გამოგოცხადო აგრე რომელ მოსწავლეჲმან აღვილად ისწავლოს.

ფსალმისა ფერისაჲ რვაჲ ფერად იქნების: პირველ თეთრი და მეორე ყვითელი ფერი, მესამე თრუნჯული, მეოთხე ცეცხლის ფერი, მეხუთე ზაფრანის ფერი, მეექვსე არღანის ფერი, მეშვიდე წითელი, მერვე შავფერი, და იგი რომელ ფერად თეთრი და წმიდაჲ იყოს ვითა წყალი, პირველ ფსმისა წინათა რომელ წყალი დაწრდების სატყუენელისაგან ეგრე მისგან არს, და მას არაბულად სალასალ ბაველი ჳქეიან, ანუ დია ჳამისაგან და ბაღლმისა სიმრავლისაგან, და სიხამისა მისისაგან არს, და ლეძლისა უსუსურობისაგან. და თუ ფერად თეთრი იყოს, და ზურგი და წელნი სტკივოდეს, ნიშანი იგი არს, რომელ თირკმელსა შიგან ჳეჲ იყოს, და რაჲცა ფერად ცოტად ყვითელი ფერი იყოს, ვითამცა ბზისა წყლისა ფერი ჳქონდეს, ნიშანი იგი არს, რომელ ჳერეთ მჳუახე არს მანკი, და არ შეგებარა. და იგი რომელ თრუნჯის ფერითა იყოს, ნიშანი არს ჳირისა და მანკისა სრულიად შებოძილობისა და მოღუნა სნეულისა, და რაჲცა ცეცხლისა ფერი იყოს, ნიშანი არს სნეულისა სიმბურვალის და დამწუარობაჲ, და რაჲცა ზაფრანის ფერითა იყოს, ნიშანი არს სიმბურვალისა, მაგრამ არ ეგრე რომელ ცეცხლის ფერისაჲ, მაგრა ფიცხელი სისხლი ზაფრასა გარეული იყოს, და თუ სიყვითლე სქელი იყოს და სიციბოე ჳედა წყალსა დგეს, დიყისა ცხროასა ნიშანი იქნების, და თუ არღანისა ფერად იყოს, ნიშანი არს სისხლისაჲ და და ზაფრისაჲ სიმერალისაჲ. და თუ წყალსა ჳედა ყვითელი ჳერული იყოს, ნიშანი არს ჳირისა რომელსა ჳქეიან არაბულად იარაყანი. და რაჲცა წითელი იყოს, ნიშანი სარს სისხლმეტრისაჲ და მორეენაჲ მისი, და რაჲცა ფერად შავი იყოს, და სიშავე მისი სიწითლესა და სიყვითლესა უკანით გამოჩენილ იყოს, ნიშანი არს ტანისა გასარეველთა დამწუარობისაჲ, და სიჳდილი სნეულისა, მაგრა მეოთხესა ცხროასა და წიღოენობისა შეკრულობასა შიგან, და სევედისა მანკიანობასა შინა ნიშანი სიმრთელისა არს, სნეულისა ნებათა შიგან. უმეცარნი ტაბიზნი დია შეშინდებიან თავისა წყლისაგან, ამას მანკიანობასა შიგან არა ხამს შეშინებაჲ, მით რომელ ბუნებაჲ სევედა წყლითა გააყენებს. და ეგებოს რომელ შავი წყალი ჳამისაგანცა ქნილ იყოს, ეგეთი რაჲმე ეჳამოს რომელ ფერად მას გაეჳავოს, რომელ თუ ზაფრანა ეჳამოს წყალი ყვითელი იქნების, და თუ მწუანველთა თანა რაჲმე ეჳამოს წყალი მწუანე იქნების, მაშა ხამს რომელ აქიმმან კარგად გაიგონოს და სამ დღემდინ გონებასა შიგან იყოს, და სნეულსა ჳეიხოს თუ გუშინ რაჲ სჳამე, ვიდრე დასტურო არ შეიგნეს ნუ ჳურნებს, რომელ ცთომით არა ქნას¹⁾.

და წყალი რაჲ ერბოსა ჳვეანდეს, ნიშანი არს ცმელისა და თირკმელისა გამდნარობისა და სნეულისა საშიშობაჲ. და თუ წყალი სძესა ჳვეანდეს, ნიშანი არს ფელი ჳისა და საქთასი. და თუ წყალი ფუქასა და დელამოტისა წყალსა ჳვეანდეს ნიშანი არს ბუშ-

1) ან გვერდის ჳეჳმა აშაზე სწერია რვეულთა სათავლაჲი „6“ და შემდეგ გვერდის ჳემო „50“

ტისა სიწყლეობისა, და თუ წყალსა თანა ღია სისხლი რეულ იყოს, ნიშანი არს რომელ თირკმელსა შინა ძარღვისა, თავი გახსნით იყოს, და თუ წყალი ახალ ხორცისა წყალსა ჰკვანდეს, ნიშანი არს ლეიძლისა სისუსთისა, და უკეთესი წყალი იგი არს, რომელ თრუხჯული იყოს, დარსუბი თეთრი ჰქონდეს, და უვარესი იგი არს, რომელ ფერად შავი და თხელი იყოს.

10 იო ჰანა იტყვის: თეთრი წყალი რომელ წყურვილსა და წყლისა დია სუმითა იყოს, ლეიძლისა სიგრილისა ნიშანი არს, და საჭამადისა ვერ მოდნობისა. და თუ ღია ყვითელი იყოს, ზაფრისა ფიციელისა ნიშანი არს, რომელ ტანსა შიგან ჩაჭრილი იყოს, და თუ ღია წითელი იყოს, და ზედა ყვითელი პერული იყოს, ზარირსა ნიშანი იქნების, და თუ შავი იყოს, მეოთხისა ცხროასა და ელენთისა ტკივილისა, და წიღოვნობისა შეკრულობისა ნიშანი იქნების, და მხურვალთა ცხროთა შიგან, სიკუდილსა ნიშანი არს.

მუ ჰამე დ ზაქარიას ძე: წყალი თეთრი და წმინდა მიზეჯისა უსუსურობისაგან იქნების, და ესე გვარი ბერთა წაეკიდების, ანუ ეგეთთა კაცთა რომელ წყალსა ღია სმიდენ, და ღია ფსმიდენ. და თუ ყვითელი და ნათელი იყოს უფროსი მარხვისაგან იქნების, ანუ ღია შეჭირვებისაგან ანუ შიშისაგან, ანუ ზაფრიანობისა ცხროსაგან, რომელ ერთსა დღესა მოვიოდეს და ერთსა არა. და თუ წითელი და ნათელი იყოს ზაფრისა სიფიციხისაგან იქნების, და თუ წითელი და ბნელი იყოს, სისხლისა მორეცნისაგან არს, მეტად სიმხურვალისა ჰამისაგან იქნების, ვითა ხორცი და ხურმაჲ, და ლენოჲ და ლელი. და თუ შავი იყოს და ფიცხელსა და სიმხურვალისა სნებასა შიგან იყოს, და სიყვითლესა და სიწითლესა ცხროასა უკანით გაშავებულ იყოს, ხილტთა დამწვრობისაგან იქნების, სიკუდილსა ნიშანი არს, და თუ 20 სედიანობისა მანკთა სნებათაგან იყოს, სიმრთელისა და მოჯობინებისა ნიშანი იქნების.

მისარჯოაჲ იტყვის: რაჲ თეთრი წყალი ძლიერსა და მხურვალსა ცხროსა შიგან იყოს, და სნეულსა წყურვილი და გულისა ბნელა სჭირდეს, სიკვდილსა ნიშანი არს, და მით რომელ სიმხურვალე ტვისსა გახლდომილ იყოს, და თუ მწუნე ფერი იყოს, და ღია სდიოდეს ბასარიასა და ელენთისა მანკიანობისა ნიშანი არს. და თუ ლუინის ფერი და მუხულოს წყლის ფერი იყოს, ისთისყაასა და ძველის სიმხურვალისა ნიშანი იქნების, რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს. და თუ წყალსა ზედა ერბოჲსაგან ღია იყოს, თირკმელისა და ცმელისა გადნობისა ნიშანი არს.

მესიაჲ იტყვის: თეთრი და სქელი წყალი ბალღამისა ნიშანი არს, და თუ თეთრი და თხელი იყოს, ბალღამისა და სინელიისა მანკთაგან იქნების. და თუ ყვითელი და თხელი 30 იყოს, ზაფრისა მორეცნისა ნიშანი არს. და თუ წითელი და სქელი იყოს, სისხლი სიმეტისა იქნების, და თუ ზეთის ხილის ზეთსა ჰკვანდეს, ტანისა გადნობისა და დიყისა ცხრასა ნიშანი იქნების.

მასუასძე ძე იტყვის: თუ წყალი თეთრი და წმინდა იყოს, და სნეულსა ბუშტი ეწუოდეს ნიშანი არს, რომელ მათანსა შიგან ქვაჲ იყოს. და თუ ღია წითელი და სქელი იყოს, და სნეულსა ძნელად გააცხროვდეს, ლეიძლისა სიმსივნისა ნიშანი იქნების, და თუ ცეცხლის ფერად იყოს, სისხლისა და ზაფრისა ნიშანი არს, და თუ ფერად ზაფრანის შტოასა ჰკვანდეს, იგიცა სიმხურვალისა ნიშანი არს.

წყლისა სიმყრალისა ვითარებაჲ. თუ მყრალი იყოს ნიშანი არს, რომელ 40 ბუნებასა მანკი სრულიად შეუბგოლია, და ესე ცხელთა ცხროთა და ლეიძლისა სიმსივნისა შიგან იქნების. და ეგების რომელ წყლისა სიმყრალე ბუშტისა სიწყულულისაგან იყოს, და ნიშანი მაგისი იგი არს რომელ, გამოსვლისა ეამსა ეწუოდეს და თხამლიცა გამოვლოდეს, და წყალი რომელ სული ღრა უდიოდეს, მანკისა შეუბგოლობისაგან არს, და თუ ცოტა ჰქონდეს სული ნიშანი იგი არს, რომელ ცოტად მანკი შებგობილ არს, და რაჲშომცა უფროჲ მყრალი იყოს წყალი, და ფიცხელი სული ჰქონდეს, სიმხურვალისა სნებაჲ უძნეულესი

2) იტყვის.

იქნების, და ზოგთა აქიმათა ოსტატთა უთქუამს, რომელ წყალა მით მყარალი იქნების, რომელ სიმბურვალისა გასარეველი თირკმელსა შიგან გახორშებულ იყოს.

წყალი სისწორე და აკვამისაჲ. სამი ფერი იქნების, ერთი მსხვილი, მეორე თხელი, მესამე სწორი. და წყალი სქელი იყოს, რომელიცა ფერი იყოს ნიშანი არს ორისაჲ: ნიშანი ერთი, რომელ სათაენო მანკისაჲ სრულიად შებგობილი იყოს, და სიხაშმე არა იყოს შიგან და სნეულსა ტანსა შიგან სინედლე არ დარჩომილ იყოს. მაშა აქიმიისაგან ხაჰს, რომელ საზომისაგებრ სინედლე მისცეს ჰავადმყოფსა. მეორე ნიშანი იგი არს, რომელ სქელი გასარეველი წყალსა გარეულ იყოს. და წყალი რომელ თხელი და წმიდა იყოს სამათაგან იქნების, პირველ თუ ხმადასაგან რომელსა ჰქვიან ელ დაჲ, ნიშანი არს, რომელ რაჲცა ეკამოს არ მოედნოს და

10 რაჲსაჰამადი სრულიად არ მოედინოს, განაღპცა წყალი თხელად იყოს. მეორე შეკრულობისაგან, რომელ თირკმელსა და საფსლესა ალათსა შიგან იყოს, რომელ სქელი მანკი შიგან ვერ გაიარებდეს. მესამე მით იქნების, რომელ მანკისა სათაენოჲ ხამი იყოს და სრულიად არ შემგებარ იყოს, და წყალი რომელ სწორი იყოს, ვითამცა არცა თხელი არცა სქელი, ნიშანი არს მანკისა შემგებარობისა, და კარგათ მყოფობისა, და ლეიძლისა კარგათ ყოფისა, და თარქობთა სისწორისა, ვითამცა შეწყობილობისაჲ. და რაჲ წყალი პირველ წმიდაჲ იყოს და რაჲ დასდვად და ხანსა ერთსა წმიდავე იყოს, ჩავისი ნიშანი არს, რომელ სნებასა შევიდოდეს, და თუ პირველ წმიდა იყოს და უკანის დაბნელდეს, ნიშანი არს სნებისა და წყუბისა, თუ პირველ ბნელი იყოს და რაჲ ხანი გარდვიდეს განათლდეს, სიმლთელისა და წალმართისა ნიშანი არს.

20 ბაყრატი იტყვის: რაჲ წყალი პირველ ჰავადმყოფისაჲ სქელი იყოს, და რაჲ ხანი გირდვიდეს ვაჰმდეს, და განათლდეს, ნიშანი არს სიკვდილისა, მით რომელ სისქე მიისი სიმბურვალისა გარევისა ტანისაჲ მორევისაგან იქნების და უსუსურობაჲ ბუნებისა ძალისა. და თუ წყალი პირველ სნეულისა შავი და თხელი იყოს, ნიშანი არს სნეულისა სიკუდილისა, მით რომელ იხლავი დამწუშარი იქნების, და მავისი ნიშანი არს. და იცოდე რომელ თუ სნებაჲ ნივითანი იყოს, წყალი სქელი იქნების, და თუ არ ნივითანი იყოს, უფროჲსი იგი არს რომელ თხელი და ნათელი იქნების.

რუსუბაჲსა ვითარებისაჲ. იცოდე რომელ რუსუბაჲ ფიტტი იქნების ყარურასა ქვეშეთ შეყრილი, ანუ ყარულასა შუა კიდებული, ანუ წყალსა ზედა ვითა ყვითელი ბანაჲ იარების, მაგრამ რაჲცა ყარურასა ქვეშეთ იქნების უმჯობესი არს ყოველთა რუსუბათაჲ, მე-

30 ტად მაშინლა, რომელ ფერად თეთრი იყოს, სიმართლისა ნიშანი იქნების. და რაჲცა ფერად წითელი იყოს, ნიშანი არს სნებისა გავრძელებისა. და რომელი ფერად ყვითელი იყოს, ნიშანი არს, სნებისა და მანკთა სიძნელისა. და რომელი ფერად შავი იყოს, ანუ მწუანე იყოს ნიშანი, არს სიკუდილისაჲ მით რომელ სიმბურვალე გარევისა მორევისა, დამწუშარობისაგან იქნების, და რაჲცა ყარურასა შუა მოკიდებით იყოს ნიშანი არს, რომელ ბუნებაჲ მანკისა სათაენოსა შეაბგობს. მაგრა დიდხანს და იგი ყარურასა თავისა იყოს ნიშანი არს სნეულისა მანკისა სიძლიერისაგან, და შეწყუბება ბუნებისაჲ. და თუ ფიტტი ყარურასა ქვეშეთ გარეული იყოს, ნიშანი არს, რომელ თირკმელსა და ლაშათა შიგან ქარი სქელი არს, რომელ ბუნებაჲ მას ვერ მოღრევის, დაეგების რომელ თეთრი რუსუბი ყარურასა ქვე სქელისა გლუსუნისა ბალღმისაგან იყოს მეტად მაშინ, რომელ წყალი

40 ფერად თეთრი იყოს, და გაყოფად ამას ფიტსა და ამლამსა ფიტსა შუა იგი არს რომელ, ამლასი ფიტტი რომელ შიგან მოლხენაჲ არს ჰავადმყოფისა იგონარს რომელ აჯზაჲ ამას ფიტსა კიდე დაჰპანტავს, ვითა ქვიშაჲ იქნების ყარურასა ქვეშეთ, და ამლასი არ ესრე იქნების. და თუ რუსუბი ანაკუეთსა ჰკვანდეს და წყალი თხელი იყოს, და სნეული დამჰქნარ იყოს, ჰავი ნიშანი არს. და რაჲ სნეული სხვილი და მსუქანი იყოს, ბუშტისა სიწყულლისა ნიშანი არს. და თუ ყარურასა ქვეშეთ ქვიშა შეყრილი იყოს, ნიშანი არს რომელ, ანუ შაფანასა ანუ თირკმელსა შიგან ქვაჲ შეექნების. მაგრა

ყარურად ხამს რომელ გრძელი იყოს, და ბოლო მრგვალი, მით რომელ მათანაა რაა წყალი შიგან იყოს ესეთი იქნების, მისი ალათი ბუშტისაებრვე ხამს, რომელ აქიშმან წყალი კარგად შეიტყუას.

გამოცნობა მრავალ ფერთა წყალთა შუა. სინამაძს ძე იტყვის: რომელ გამოცნობა პატარასა ყრმისაა წყლისა, ღიდისა მამაცისა, ბერისა იგი არს რომელ ყმაწუ-რილისა უსქესი იქნების, და ცოტად სძესა ჰგავს, და ბერისა კაცისა წყალი თხელი და თეთ-რი იქნების. და ყმისა კაცისა თურინჯის ფერი იქნების, მაგრასისქითა ვითა ყმაწვრილთა, არ იქნების. და დედაკაცისა წყალი უსქესი არს მამაცისა წყლისა, და გამორჩევა მათ შუა იგი არს, რომელ ყარურად შესძრან, კაცისა მამაცისა წყალი დაბნელდების, და ღიაცისა 10 ეგრევე შეუცვლელი დარჩების. და პირუტყუთა წყალი მრავალ ფერად იქნების, მაგრა ზო-გი ვახსენოთ მისგან, ეგების რომელ მაგით გამოსცადონ აქიშნი, რომელ ესეცა იცოდეს აქიშმან და არ გააწვილონ.

აბუჯარიპაქიმი იტყვის: რომელ ვირისა წყალი ყარულასა შიგან ზროხისა ერ-ბოხსა გამდნარსა ჰგავს, მაგრა მისგნით უსქესი იქნების. და ცხენისა ფსელი მისგან უწმი-დესი იქნების, და ქვეშეთ კერძო მისი უბნელესი იქნების. და ცხურისა წყალი ახლავს კაცისასა, მაგრა ფიტი და რუსუბი მისი ერბოსა ჰგავს, და ველურისა თხისა ფსელი ჰგავს ცხურისასა, და სისქედ და ფიტია არა აქვს.

ღამატისა შეტყუებზე, ფიტია კაცისა: ფიტისა შეტყუება ნიშანი არს წელ-თა და სტომაქთა მანკისაგან, ვითა ფსელი ნიშანი არს ღვიძლისა მანკთაგან და თირკმელის 20 მანკთაგან და ბუშტისა. ღამატისა ნიშანი სამფერად არს. პირველი სიმცროა და სიმრავლე-მისი, მეორე ვითარებდა მისი, მესამე ჟამისაებრ გამოსლავა მისი, მეოთხე მით რომელ გა-მო რამე იტანოს. და სიმრავრე და სიმცროა მისი, სამფერად არს: ანუ ღია იყოს, ანუ ცოტად ანუ სწორი, და ესე ეგრე არს რომელ ვინცა ღია ჰქაშოს ფიტი, ღია გამოვადის-გან, რაა ესრე იყოს ტანისა სიმრთელისა და სტომიქისა სიძლიერისა, და შიგნიერთა ყო-ველთა სიმრთელისა ნიშანი არს¹⁾, რომელ დაფიად რომელსა ჰქვივა გამამყენებელი დაუსუსუ-რებულ იყოს: და თუ ცოტასა ჰქმედს და ფიტი ღია მოვიდოდეს, ნიშანი არას დაფიამასა სიძ-ლიერისა და მასიქაასა უსუსურობისა, და ბუნებისა დანარჩომისა სტომიქისა და ჰაშისგან გამოეყინოს¹⁾, ეგრე გუარი თუ ფიტისა თანა გამოეტანოს. და სწორი ფიტი ეგეთი არს, რომელ რაზომიცა ექაშოს ღვიძლი გაწოვიდეს, და ვითარებდა მისი სამფერადვე იქნების, პირველ სის- 30 წორე, მეორე ფერი, მესამე სუსუყვიში ანუ ლბილი იყოს ანუ მაგარი. თუ ლბილი და ნეღლი იყოს ნიშანი არს, რომელ ღვიძლი და მისნი ძარღენი უსუსურად იყვენენ რომელ საქამადსა ვერ მოადნობდნენ რომელ ეგეთი ჩამოვიდეს, ანუ სინედლე წელთაგან მისთა გარეულ იყოს. და თუ ფიტი მაგარი იყოს და გამხმარი იყოს, ნიშანი არს ღვიძლისა და სტომიქისი და აჰშა-თა სიმურვალისა, და თუ ფერად ყვითელი იყოს და გაუმადა დასწვივიდეს ნიშანი არის რომელ წელთა შიგან ზაფრად შეყრილ, და თუ თეთრი ფერი და ლბილი იყოს, ნიშანი არს სიგრილისა და ბალღმისა, და მაგისიცა ნიშანი არს, რომელ ნალღელსა ზაფრა წელთა ში-გან არ გაეყენოს. და თუ ფერად ყვითელი იყოს და არცა მაგარი, არცა ლბილი, ნიშანი არს ტანისა სიმრთელისა და ბუნებათა სისწორისა, და თუ მწუწანე ფერი იყოს, ნიშანი მისი იგი არს რომელ, სტომიქსა და წელთა შიგან ჟანგარული ზაფრა შეყრილ იყოს, და 40 ესე ჰაენი ნიშანი არს. და თუ მწუწანე იყოს, ვითა განდანა, სჯობს რომელ ჟანგრისა ფერითა იყოს. და თუ შავი იყოს, ნიშანი არს ზაფრისა მორენისა და სეველისა შავისა, და დამწუ-რობა გარეენისა, და ესე ღია ჰაენი არს, მით რომელ სიჭრდილი არს. და თუ მჟავე სული დიოდეს ნიშანი არს; რომელ, მეადე ბალღამი გარეულ იყოს მასთანა. და თუ ღია

¹⁾ ამის შემდეგ ეს წინადადება უნდა იყოს გამოტოვებული „თუ ბერსა სქამდეს და ფიტი ცატა იყოს ნიშანი არს...“ და სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახრი გაუგებარია.

მყარლი იყოს ნიშანი არს რომელ, სტომაქსა შიგან ნაწვეი და გასარეველი დამპალიყოს და შეყრილი. და თუ სული ცოტა იყოს ნიშანი არს სტომაქსა სიძლიერისა და აჰშათა და წელთა და ტანისა სიმართლისა. და თუ არ ეამიერად გამოვიდოდეს წესი და ნიშანი მისი იგი არს, თუ უადრე გამოვიდოდეს მით იქნების, რომელ მასიქა დაუუსუსრებულ იყოს, ანუ მისგან რომელ სტომაქსა და ზაფრისა ეკბინოს და დაფიამა ძალი შეეკრას, ანუ სტომაქსა დაფრწოლობისა და სიწყულისაგან იყოს, რომელ დაფიამან სტომაქსისაგან ევრე უუსუსურად გაუყენოს, და რაა ეამიერად გამოვიდეს სიმართლისა ნიშანი არს.

და რააცა მას გამოჰყვებოდეს ხუთ ფერი არს: ანუ ქარი იქნების, ანუ სიციხბე, ანუ სინედლე, რომელ პერულსა ჰგვანდეს, ანუ სისხლი ანუ თხამლი. რააცა ქარითა იყოს ნიშანი არს, რომელ ქარი და სინედლე გარეულ იყოს მასთანა და თუ სიციხბე გამოსრულ იყოს ნიშანი არს რომელ ცმელი ტანისა და სიციხბე გამდნარ იყოს. და თუ სიციხბე რომელ გამოსრულ იყოს გლუსენი იყოს, ნიშანი არს რომელ ასონი, რომელნი საძირკულენა ტანისაა გადნარ იყენენ. და თუ სინედლე ვითა პერული გამოსრულ იყოს, ნიშანი არს მეტისა სიმებურვალისა, ანუ მას თანა სქელი ქარი გარეულ იყოს. და თუ მას თანა სისხლი გარეულ იყოს, ნიშანი არს ლეძლისა, და ანუ წელთა ანუ გვამისა სიწყულისა. და თუ მას თანა თხამლი რეულ იყოს, ნიშანი არს წელთა სიწყულისა და თუ სისხლი ანუ თხამლი უფროა გამოვიდოდეს ფიტისაგან, ნიშანი არს წელთა სიწყულისა. და თუ სისხლი ანუ თხამლი ფიტსა უკანით გამოვიდოდეს ნიშანი არს, რომელ სიწყულულე ქვეშეთა წელთა შიგან არს.

ბაყრატი იტყვის: რომელ უკეთესი ღაძტი იგი არს, რომელ ეამიერ მოვიდოდეს და ლბილი იყოს, და ცოტაა სიყვითლე ჰქონდეს. მაგრა თუ ღია ყვითელი იყოს, და გუამსა დასწვიდეს ზაფრისა მორევენისა ნიშანი არს, და თუ ხმელი იყოს, მუცლისა სინედლისა სიმცროაათა და სიმებურვალითა მისითა იქნების. და თუ ღია მყარლი იყოს დამპალთა ხილტთაგან იქნების, რომელ ტანსა შიგან შეყრილი იყოს, და თუ ფიტი იღა იყოს სტომაქსა სისუსთისაგან არს. და თუ მწუანე ანუ შავი იყოს, ნიშანი იგი არს რომელ სიკუდილი მოახლოებულ იყოს. და თუ ცხიბიანი იყოს დიყისა ცხრასა ნიშანი არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილი იყოს.

რო ფის იტყვის: რაა ადვილად მოვიდოდეს მუცლისა წელთა სიძლიერისა ნიშანი არს, და თუ ძნელად ჩამოვიდოდეს მუცლისა და წელთა სისუსთისაგან იქნების, და თუ ღია ქარი მოვიდოდეს, უმისოდ რომელ ქარიანი რაამე ექამოს, ჰვად მონდობისაგან იქნების. რაა ქარი არ მოვიდოდეს და მუცელი შეკრეთ იყოს და სიმებურვალისა მეტისა და სინედლისა სიმცროასგან იქნების.

ნუ. სნაშლისა ბუჰარანისა შებუშუბაა და იფზლისა. იცოდე რომელ ბუჰარანისათვის დია შეუბნებულან აქიშნი და დია წიგნები შეუქნია ბუჰარანისა მეცნიერებისათვის, რომელ თუ ყველა ვახსენოთ მსწავლებელსა მოეწყინების და სარგებელსა ვერ ჰპოებს. მაგრამ მათი გამორჩეული სიტყვაა შემოვიღია ამას წიგნსა შიგან მოკლე და ნივითანი, და მსწავლებელთათვის მოუწყინარი.

ჯალინიო იტყვის: ვითა ბუჰარანი იგი არს რომელ სნეულსა გამოაჩნდების და მისად შემდგომად ანუ მოკუდების, ანუ გამართლდების, და ესე მაშინ იქნების რომელ ბუნებაა ჰავსა ხილტსა კარგისგან გავყაროს და გააკიდვენოს, და მერმე თუ შეეძლოს ჰავსა მანკსა ტანისაგან კიდე გაუყენებს, და მაშინ მას ეამა რომელ ბუნებაა მანკსა ებრძოდეს სნეულსა აშფოთებს, და შეცვლის, და გაუძნელდების სნეობა, და თუ ესე შეკირვება და სისწრაფე გარე გამოჰყარდეს ბუჰარნი ღამით იქნების, და თუ მანკისა საძირკული და სათავნო სტომაქსა შიგან იყოს ბუჰარანი რწყევითა იქნების, მერმე ბუნებაა მას რწყევით გამოაძებს. და თუ მანკისა სათავნოა წელთა შიგან იყოს ბუჰარანი მას სილობათა გაძებს და გააყენებს. და თუ მანკისა სათავნოა ლეძლისა ანუ თირკმლისა შიგან იყოს, ბუჰარანი მას ფსლითა გააყენებს. და თუ საძირკული მანკთა ძარღუთა შუა იყოს, ბუჰარანი მას ცხვირ-

თავან სისხლთა მოდენითა, ანუ ქვეშეთ სისხლსა დაჯდომითა გაუყენებს. და დედათა, უფროასსა წილოვნობითა სისხლთა გაუყენებს. და თუ მანკისა სათავნოა სქელისა მანკისა და ხილტისგან იყოს, და ძლიერად იყოს, ბუნებაჲ მას უსუსურსა ასოსა თანა გაჰჭვანის და მუნით ანუ სიწყულუე, ანუ სიმსინე გემოინდების და ყოვლისა ბუჰრანისა ნიშანი კაცისა ტანსა გამოინდების, და კარგი აქიმი ამას ყოველსა შეატყუებს. და უეტყეთა ბუჰრანთა იგი არს, რომელ მეშვიდესა დღესა და მეოთხმეტესა დღესა იყოს, მერამე ოცდა მერთე.

10 იოჰანა მე შაქარი იაჲს ძე იტყვის: ბუჰრანი მით არს რომელ გამოჩენა მისი ჰავსა ეამსა იყოს ჰავთა ეამთავან, და ნუტჯი არაოდეს ჰავი არ იქნების, არაბულად ნუტჯი კირი და მანკი რაჲ შეგბოლოს მას ჰქვიან, რომელ დამწიფდეს და უნდილად არ იყოს, და ყოველივე წყნარი იქნების სნეული ნუტჯითა, და ბუჰრანისა სიავე არ ნუტჯისა სიჰაქისაგან იქნების, რომელ თვით რაჲ ჰავი ეამი იყოს ბუჰრანის დაწყებდაჲ იქნების, და რაჲცა ბუჰრანი, რომელ სიმზურვალისა და სინმელის სნებათა შიგან იყოს ვითა-სარსამი და ბარსამი, და ძნელები ცხროებაჲ მეოთხესა დღესა იქნების ძნელი, და მეექვსესა დღესა საშიშოჲ და საფათერაკოჲ იქნების, და მეოთხმეტე უსაშიშოჲ იქნების, და ოც დღემდინ მეტად არ დაზამს და რაჲ ოცსა გარდაჲ მშვიდობით იქნების ნუ [თუ] ფათერაკი რაჲ იქნების.

ბაყრატ აქიმი იტყვის: ნიშანი ოფლის გამოცემისაჲ პირველ მესამესა და მეხუთესა დღესა, და მეშვიდესა და მეცხრესა და მეოთხმეტესა, და მეოთხმეტესა მეჩვიდმეტესა და მეოცესა კარგი ნიშანი არს. და ბუჰრანისა შეტყუებაჲ მაჯასით გამოათრე არს რომელ თუ მაჯასი ანუ შეკრული ანუ წყნარი იყოს, ანუ ქვე ჩასრული იყოს, ბუჰრანი ანუ რწყევითა ანუ სიღობო-
20 თა ანუ სვით მართ ორითავე იქნების, და თუ მაჯასი ანუ გახსნილი ანუ გარე გამოსრული იყოს, და ბუჰრანი ანუ ოფლგამოცემლობით ანუ ცხვირაჲგან სისხლისა დენით იქნების.

იოჰანა იტყვის: ბუჰრანი რომელი სნებისა დაწყებითა იყოს საშიშოჲ არს, და თუ მანკისა მომატებისა ეამსა იქნების უსრული იქნების. და კარგი ბუჰრანი იგი არს რომელ მანკი ბოლოდ მისრულ იყოს, ანუ სნეული შემოქცეული იყოს და სრული. ბუჰრანი იგი არს რომელ ყოველი სნებაჲ და მანკი და შეკრულობაჲ გახსნილ იყოს, და სათავნოჲ მანკითა სრულიად გამოვიდეს და მისგნით ნაწილი შიგნით არ დარჩეს, და დიადი სნებაჲ გარდაჲ რომელ ბუჰრანსა ვერა იქმს, და ნუტჯი არ იქნას ვითა.

ჯალინოს აქიმი იტყვის: ოფლისაჲ: რომელ ოფლისა გამოსულა სნეულისა, სამფერად იქნების, ანუ გახსნა იქნებოდის სნეულისა რომელ ერთმანერთსა უქანა ყველა გაიხსნან,
30 ანუ ისთფრალი იქნების ანუ სნეულისა ყოფისა ქცევისაგან.

რუფის იტყვის: რომელ ოფლისა გამოცემაჲ ოთხისაგან იქნების, პირველ უსუსურებისაგან არს რომელ ასონი მიჭირვებულ იყენენ რასმე შიგან, სხვაჲ მერორე საქციელთა და მსამთა გახსნილობისაგან, მესამე ფუტულთა სიმრავლისაგან, რომელ აღრითგან ტანსა შეყრილი იყოს, მეოთხე მისგან არს რომელ სტომაქსა შიგან ძალისა მეტად ჩასრულ იყოს საკამადი.

ჰუნან იტყვის: რომელ რაჲ ოფლი და ცრემლი ორნივე დამლაშდენ მეტისა სიმზურვალისაგან იქნების, რომელ მოჰრევს მათ და თუ საზომისაგან მეტი მოვიდეს ოფლი და-სიმლაშე დამწარებულსა ჰვეანდეს, მეტისა სიმზურვალისაგან არს, რომელ მორეულ იყოს ტანისა და ზღვისა წყლისა მსგავსი იქნების რომელ სიციხითა გამწარდეს, და რაჲ სიმზურ-
40 რვალე და სიწყნარე ტანისაგან სისწორისაგან გამოვა მაშინ დამჟავდების.

სინაჲს ძე იტყვის: ბუჰრანი ასორულითა ენითა ჰქვან და მისი თარგმანი შებმა არს ბუნებათი და მანკთა საძირკუელთა ერთაგან.

მესია იტყვის: ვითა რომელ ტანი ქალაქსა ჰავეს და ბუნებაჲ მისი ხელმწიფე არს, და მანკისა სათავნოჲ არაკივითა მტერი არს რომელ ამას ქალაქსა მოსრულ იყოს, ბუნებაჲ მტერსა მისსა შეებმის გასამებლად თუ შეძლებულ იყოს ერთხელ, თუ არ ძალი ჰქონდეს ორჯერ სამჯერ, და თუ არ შეძლოს და მტერი უმძღესი იყოს, ვითამცა მანკისა საძირკუე-

ლი და სათაფრობა ბუნებაა შესწორდების და უსუსურობაა გაიქცევის, მაშინ კაცი მოკუღდების. და ოდესცა რომელი ბუნებაა და მანკი შეიბნენ მას ჟამსა სნეული დია გასუსტდების-და გამძიმდების, ამა ყოფასა აქიმინ ბუჰრანად იტყვიან.

წმ. იოხანისა ბაგოცამისა ნიშანი. იცოდე რომელ ნიშანი ოფლისა გამოცემისა მრავალ ფერი არს, პირველი იგი რომელ გამოსულა ოფლისა რომლისა ასოსაგან იქნების, მეორე გამოსულაა მისი, მესამე სიმცროა და სიდიადე მისი. მაგრა ნიშანი მის ასოსა რომელ ოფლი მისგან არს, ეგრე არს რომელ ნახოს თუ პირველისა ასოაგან გამოვა ოფლი, რომელიცა ასოა რომელი მისგან გამოვიდეს, მანკი მას ასოსა შიგან არს. და გამოსტლა მისი ასოა თგან არ სწოვად იყოს ეგრე, რომელ ზოგისა ასოაგან გამოსცემს და ზოგისგან არა, ანუ ერთისგან დია გამოვიდეს და მეორესაგან უმცროა, და რომელ ზოგჯერ გამოვიდეს და ზოგჯერ არა. ესე ყოველი ჰავი ნიშანი არის, ბუნებისა უსუსურობისაგან არს, მით რომელ მანკისა გამოძიებისაგან შეწყუბებულ იყოს. და ნიშანი სიმცროსა და სიმრავლისა მისისა იგი არს რომელ, თუ დია გამოვიდეს საზომისაგან უკარბე ჰავი არს მით რომელ ძალსა დააკლებს, და მანკისა სათაფრობა გაძლიერდების ნუ თუ ბუნებაა ძლიერად იყოს, რომელ ტანისაგან ერთობით მანკი გააყნოს, და თუ ცოტაა გამოვიდეს ბუნებისა უსუსურობისა ნიშანი არს, და თუ სწორად გამოვიდეს ეგრე რომელ არცა დიდი იყოს არცა ცოტაა, სიმრთელისა და მოღბინებისა ნიშანი არს.

და ვითარებაა მისი ზუთფერად არს: ერთი სიმზურვალისგან, მეორე სიგრილისგან, მესამე სიმყარალისგან, მეოთხე გემოაგან, მეხუთე ყუემისაგან¹⁾ და სიმზურვალისა, და სიგრილისა ნიშანი იგი არს, რომელ თუ ოფლი სიცივითა და სიტფოათა სწორ იყოს კარგი არს, და თუ ტფილი იყოს სჯობს ცივისა მით რომელ ცივი ოფლი ჰავი ნიშანი არს. და თუ ფერად თეთრი იყოს ნიშანი სიმრთელისა არს, და თუ ყვითელი იყოს ზაფრისა მორევისა ნიშანი არს, და თუ წითელი იყოს ნიშანი არს სისხლისა სიმეტისა, და თუ ბნელი და შავი ფერი იყოს ნიშანი არს სეკდისა მორევისა. მაშა ოდესცა ოფლი სნეულისა მისისა გარევისა ფერისა მსგავსი იყოს კარგი არს, მით რომელ ნიშანი არს რომელ ბუნებაა მანკისა სათაფრობა ოფლითა გასცემს, და თუ არ ესრეთ იყოს ჰავი ნიშანი არს.

და სულისა ნიშანი ეგრე არს: რომელ თუ მთავე სული დიოდეს, ნიშანი იგი არს რომელ მანკისა დედაა ჰავისა ბალდმისაგან არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილი ყოფილ არს, და თუ სიმყარად ფიცხელი იყოს ნიშანი ზაფრისა მორევისაგან არს, და თუ დია მყარი იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ტანსა შიგან შეყრილა გარეულობა დამპალი.

და გემოასა ნიშანი იგი არს: რომელ თუ გემოთ ტკბილი იყოს სისხლისა მორევისა ნიშანი არს, და მწარე იყოს ნიშანი არს ზაფრისა მორევისა, და თუ მთავე იყოს ნიშანი არს ბალდმისა მთავისა მორევისა, და თუ მლაშე იყოს ნიშანი არს მლაშისა ბალდმისა სიმრავლისა, რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს.

მაგრამ ყავამისა სანიშნავი იგი არს, რომელ თუ ოფლი თხელი იყოს ნიშანი არს რომელ მანკისა დედაა ნატიფისა გარევისაგან ყოფილ არს, და თუ სქელი იყოს ნიშანი არს რომელ მანკისა დედაა გარევისა სქელისაგან ყოფილ არს, და თუ სწორი იყოს სისქესა და სითხესა შუა, ნიშანი არს რომელ მანკისა ყავამი სწორისაგან არს. აწუ ამას სანიშნავათა კარგათ უნდა დასწავლა და შეგება, რომელ ამისგან შეიგებოდეს მანკისა გუნებაა.

წმ. სიმართელისა და საშიშროება ნიშანი. იცოდე რომელ კარგი ნიშანი სნეულისა იგი არს რომელ, ფერი მისი არ შეცვლილებულ იყოს და სუბუქად შეეძლოს ძრავა, და მთავასი ძლიერად ჰქონდეს, და ცნობა და გონება არ შეცვლილებულიყოს მისი, და საქამალი მოუნდებოდეს, და ძილისა ჟამსა დამძინებოდეს და საქამალი პირსა შიგან ეგებრი-

1) ყავამისაგან.

ლებოდეს, და მუცელი მისი წესიერად იყოს, და ესე ყოველი სჭირდეს მშვილობისა ნიშანი არს, და აღრე ელხინების.

და ჰაეი ნიშანი სხვაებრ არს ვითა ჯალინოს იტყვის: რაა სნეული ეგრე იყოს რომელ თავისაა არა ახსოვდეს, და არ დაეძინებოდეს, და რაა უხზობდნენ პასუხსა არ გამოსცემდეს, თავქედისა ნიშანი არს ვითამცა სარსამისი, და თუ ხელსა ყოველგან ზოიარებდეს და არ დასწყნარებოდეს სიკვდილისა ნიშანი არს. და თუ სინათლესა ვერ ხედიდეს და მიწყით პირი კვდისავე ჰქონდეს საშიშოა არს¹⁾. და თუ დია აცხროებდეს და დია პბნედდეს, და მაშინ ცხროა დააგდებდეს და ბნედა არ დაუგდებს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ მიწყით კბილსა ერთმანეთზედა მოუსმიდეს, და ფერხთა დია ჩაუშუებდეს და ამოზიდვდეს, და ნიადავ ფშვენიდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ მხურვალსა ცხროსა შიგან მყარალი სული ამოიღოს სიკვდრისა ნიშანი არს. და თუ პირი და ცხვირი მისი დაწყულდეს და თვალნი დაუეწრდნენ და პირი გაუმრუდდეს ანუ აღრენილი დარჩეს, სიკუდილისა ნიშანი არს.

ჯალინოს იტყვის: რაა სნეულისა თვალი შეიძრას და თრთოდეს დაუწყნარებლად, სიკუდილისა ნიშანი არს, და თუ მიწყით პირადმა დაწვებოდეს და გვერდსა ზედა არა შეეძლოს წოლაა ჰაეი ნიშანი არს. და თუ სნეულსა მხურვალე მჯდომი მუცლსა ზედა გამოაჩნდეს და გაუდიდეს, და ამას თანა ძლიერი და მხურვალი ცხროა გამოჩნდეს ჰაეი ნიშანი არს. და თუ სიმხურვალისა სნებასა შიგან ხელი და ფერხი გაუცივდეს, ჰაეი ნიშანი არს, და თუ სიმხურვალე მისი საზომისაგან გარღვიდეს და სულსა ვერ ჰკუთედეს, და მაჯასი წვრილი იყოს და სნეული უსუსურად იყოს, სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ ფრჩხილი და თითთა თავი დაუბნელდეს, და მაჯასი ნელი იყოს სიკუდილისა ნიშანი არს, და თუ ხელი და ფეხი გაუშავდეს მაგრა ძალი ჰქონდეს კარგი ნიშანი არს, მით რომელ ნიშანი არს რომელ ბუნებასა მანკი და სათავნოა მისი ხელით და ფერხითვე გაეძოს. და თუ ეხროვდეს და სული დაუმოკლდეს და სიმხურვალე ემატებოდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ სიმხურვალისა სნებასა შიგან თვალი აღრენილი დარჩეს სნეულისა, საშიშოა არს. და სიმხურვალისა სნებასა შიგან ციესა სულსა ამოიღებდეს უსუსურობასა თანა დია საშიშოა ნიშანი არს. და თუ ენასა ზედა მუხლდისაებრ შავი რავე გამოვიდეს, მეორესა დღესა მოკუდების. და თუ ბარსამისა სნებისა შიგან პირი გაუსივდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ მხურვალსა ცხროასა თანა თაშანუჯი გამოჩნდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ სნეული უსუსურად იყოს და ჟანგარის ფერად არწყევდეს, აღრე მოკუდების.

იოჰანა იტყვის: რომელ სნეულსა სნებაა რაა დღისით უარესი იყოს სიმხურვალისა და სიმბელისა ნიშანი არს, და თუ ღამით უარე იყოს სიგრილისა და სინედლისა ნიშანი არს. და თუ სნეული ღრმისა ადგილსა თავსა ჩააგდებდეს და უფერსა უხზობდეს და ყველასა რასნე მოეკიდებოდეს, და მუცელი გაუცივდეს და გაუსივდეს, სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ შუბლისაგან ოფლი დია გამოვიდეს და მაჯასი არ იძროდეს, სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ ოფლი ცივი გამოვიდოდეს და თავისა და ყელისა ძარღვი გამოჩნდეს და ციესა სულსა ამოიღებდეს, მასვე დღესა მოკუდების. და თუ სნეულსა მხურვალი ცხროა უგრძნულად გაუცივდეს და დასწყნარდეს გაუნსნელად, უნისთიფრალთ, ანუ გრილი რავე ეკამოს და მაჯასისა სიფიცე დასწყნარდეს და სისუბუქე და ლბინი გამოჩნდეს, მაგისი ნიშანი არს რომელ აღრე მოკუდეს. და თუ სარსამისა სნებასა შიგან პირი გაუმრუდდეს, ცნობასა, არ მოვიდეს და ბაჰიში არ მოვიდოდეს სიკუდილისა ნიშანი არს. და თუ ხარისა სნებასა შიგან ვითამცა იარაყანსა სნეული უფარე გახდეს აღრე მოკუდების. და თუ ცხელსა ცხროსა შიგან იყოს და ცივი ოფლი გამოსცეს აღრე მოკუდების. მაგრა შაფჯა მარგი ვითამცა უგრძნული სიკუდილი, ეგრეთთა კაცთა უფრო შეექნების რომელ დღე მათი სამოკ-

1) ამ გვერდის ქვეშა აშიაზე სწორია რვეულთა სათვალვი ზ. და შემდგომ გვერდის ქვეშა აშიაზე ც.

და ათისა წელიწადისა იქით იყოს, და მათი ბუნება გრილი და ხმელი იყოს ანუ გრილი და ნედლი, მეტად ზამთრის და ქალაქთა გრილ ბუნებიანთა და ყმათა, კაცთა, მარგი მადეჯა უფროასი ზაფხული და მზურვალ ბუნებიანთა ქალაქთა შიგან წაეციდებრს. და თუ ამა ნიშანთა თანა რომელ გვიხსენებია მჯავასი ძლიერად იყოს და სნეული სუბჟუად იყოს, და საქამად სასუამადსა ანებებდეს, სხვათა ნიშანთაგან არა ზამს შემინებად აღერ გამრთელდებრს.

ა. სნაულმარისა დაწუგვისა ნიშანი. იკოლე რომელ ზოგსა სნებასა დასაწყისსა ჰავი ნიშანი აქვს, და სნებისა ვითარებად ნიშნითა შეიგების, და აქიმი ეგეთი ხამს რომელ ქირსა და დასაწყისსა სნებათსა კარგათ შეატყუებდის, რომელ რაა ნიშანი რაჲმ გამოაჩნდეს სნეულსა ფაჰრესა აქნევედს¹⁾ და ფაჰრეზი კრძალვასა ჰქვიან, და ეგეთთა საქამადთაგან რომელ არ მაშინი იყოს შეინახვიდეს, და ეგეთთა წამალთა მისცემდეს რომელ მანქა მისსა ერგებოდეს ვიდრე მანკისა დედა გაძლიერდებოდეს ტანსა შიგან, და აწმე ყოველსა ნიშანსა გამოიკცხადებ რომელ ისწავლოთ.

ოფლისა დენა ასოთაგან სისავისა ნიშანი არს საქამადისაგან. მაშა თუ ოფლი ფიცხელი იყოს სისავსე მისი ზაფრისაგან იქნების. შოტი რომელსა ჰქვიან ყატიბი ვითაცა რეას ოცდა თუ და ხუთ თუ ეწუოდეს ფსმისა ეამსა, ნიშანი არს ბუშტისა ყელისა სიწყულლისა ანუ თირკმელისა სიწყულლისაგან. ასოთა მოტეხა რომელ სტეხდეს და საქამადისა არ მონდომებად ცხროასა ნიშანი არს. და რწყევად და საქამადისა არ ზნდომად ყოლი ნიშანი არს. სიმძიმე მარჯვნივთ კერძოა გვერდსა ქვეშეთ ლეიძლისა სისიფინისა ნიშანი არს. სიმყრალე ფსლსა და სიფიცხე მისი მხურვალისა ცხროასა ნიშანი

ა) არს, ბავისა გაეთთრებად და ჰირისა სიყვიითლე და სიბნელე ბეგვისი რისა ნიშანი არს. ხელთა და ფერხთა ფრჩხილთა გამარულებად ფირტვისა სიწყულლისა ნიშანი არს. ფირტი რომელ უნებლიე გამოვიდეს მხურვალთა სნებათა შიგან, სიყუდილისა ნიშანი არს. სილოზა მუცლისა რაა საქათასა შინა იყოს სიყუდილისა ნიშანი არს. ფეთქად ასოთა რომელ საზომისაგან გარდვიდეს საშოზო ნიშანი არს. ხელთა და ფერხთა დია დაშუპებად და ასოთა გაუსტებად ფილენჯისა ნიშანი არს. მღერად ტანისაჲ ასოთად თაშან უჯისა ნიშანი არს. სიმსიფენე ჰირისა და ზორგი ფეხისა ისთიყაასა ნიშანი არს. მალასა დე უპისა მიწყით ტკივილი ტაბლურისა ისთიყაასა ნიშანი არს. ფსლსა რუსუბი რომელ აგურსა დანაყილსა და მურდასანგსა დანაყილსა ჰვანდეს, ნიშანი არს რომელ მათანასა შიგან ქვაჲ აქვს. ორსული დიაცი რომელ მიწყით სილოზა სკირდეს ნიშანი არს რომელ მუდარსა

ბ) შვილსა აენგეს დიაცსა. ძუძუქსა დაჯკნობ ნიშანი არს შვილისა მოგდებისა ჰორფლი რომელ სნებათა ფიცხელთა უკანის გამოჩნდეს დიდისა დუნბულისა ნიშანი არს მას ასოსა შიგან. ფიცხელი ცხროა და შეკრულობად ბუნებისაჲ და უძილობად და ფერთა სიბნელე რომელ ყმასა გამოჩნდეს, ნიშანი არს თაშან უჯისა. თავისა ტვინისაჲ ნაეცმსა უკანით ანუ დაცემაჲ მადლისა ადგოლისაგან ნიშანი არს საქათასა. თავისა და გულისა ტკივილი რომელ სნებისა დასაწყისსა იყო ნიშანი არს სუბათისი. სისხლისა შეკრულობად დიაცსა ძუძუქსა ზედა ნიშანი არს დაშმაგებისაჲ. ძნელად შობად დიაცისა ნიშანი არს თვალის ტკივილისაჲ ანუ თქოთათა ტკივილისაჲ. წიღონობისა სისხლისა დენად ორსულისა დიაცისაგან, ნიშანი არს რომელ შვილი წახდომლიყოს ზუჰდანსა შიგან, სძისა დენა ორსულისა დიაცისაგან ძუძუქსა ნიშანი არს რომელ შვილი მუცელსა შიგან დაუსუსტებულ

გ) იყოს. ახალნაშობი დიაცი რომელ სისხლისაგან არ გაწმედვოდეს, ნიშანი არს ლიდლისა გასიფებისა ანუ ზუჰდანისა გასიფებისა. გასიფებულებაჲ რომელ რაჰიმისა სიხმელისაგან იყოს და უგარძულად გამოჩნდეს თუ სიხმელე ზურგით კერძოა იყოს, ნიშანი არს თაშან უჯისაჲ და თუ სიხმელე მუცლისაკე იყოს, ნიშანი არს სიშმაგისა ანუ სისხლისა მოსულა მუცლისაგან ანუ დათანლჯანბისა მანკისა.

1) აქნევიდებდეს.

ფოლოს იტყვის: თავისა დია ტკივილი და შაყიყაქსა ტკივილი რომელ ძნელად იყოს, ნიშანი არს შავისა წყლისა ჩამოსვლისა თვალთა. პირისა მღერა და გამრუდებამისი ლაყყება ნიშანი არს, ხელისა და ფერხის გამრუდებამა ნიშანი არს ფელინჯისა. გაწითლებამა თითოთა და ამოჯდომბა ძარლუთა, და სინათლისგან გარდახუეწა, და თავის ტკივილი და ცხროთა, ესე ყოველი ერთგან ნიშანი არს სარსა მისი. შეჭირვებამა უნდომი და ხალვათად ჯდომამა ნიშანი არს მალიხოლიასი. ნიადაგ თვალთა წინა იოტისა ფრენამა ნიშანი არს შავისა წყლისა ჩამოსვლისა. ზუქმი და სურლოთ დიადი ნიშანი არს სილისა. გულისა მიწყით ფეთქამა ნიშანი არს მარგი მაფჯაქსი. გუამისა მიწყით ქაივილი ბევასირისა ნიშანი არს, სიღობა რომელ გუამსა სწუვიდეს ნიშანი არს გუამისა სიწყულულისა.

10 მუჭამედ ზაქარიას ძე იტყვის: ასოთა სისუსთე ფილენჯისა ნიშანი არს. ქაბუსი და ბრუქსა დასხმამა რომელ სანიადაგოთა იყოს, ნიშანი არს მტერთა დაკემისა. გულისა დია ფეთქამა უგრძელისა სიკუდილისა ნიშანი არს. სისხლისა მორგება რომელ საზომსა გარდიდეს საშიშროს არს საქთაქსაგან და მფეჯაქსაგან. ასოთა სისუსთე რომელ სისხლისგან იყოს ნიშანი არს საქთაქსი. თვალთა კარისა ზურგი თვითთულ ზურგისა და ხელთა და ფერხთა სიმსივნე ნიშანი არს ისთისყაქსი. ფიტისა სიმყარულ ნიშანი არს ელდაქსი. სიმყარულ ფსლისა ნიშანი არს ჰავისა მანქისა რომელ ტანსა შიგან შეყრილ იყოს. სიმაშურალე¹⁾ ნიშანი არს ცხროთა. ზურგისა ტკივილი და დამძიმებამა თქოისა და ფსლისა ქცევამა თავისა ფერისაგან, ნიშანი არს თირკმელისა სნეულებისა. დიადი მჯდომი

20 ნიშანი არს დიდთა წყულუთა. თეთრი ბაჭაყი კეთრიანობისა ნიშანი არს. სიბნელე პირისა და სიმოკლე სულტემისა ნიშანი არს სიგონჯისა. და რაქცა გამოანდეს კაცსა რომელ მას წინაშთ არა სჭირვებოდეს და კაცი თავსა არ ეგრე ჰნახოდეს რომელ ენახოს, ხამს რომელ აქა შიგან მონახოს და კურნოს რომელ სიპრთელე ხანიერი იყოს. აბ. თებით ყურაქს ძე იტყვის: რომელ შვიდი მანქი არს რომელ კაცი მისგან ადრე დასნეულდების. პირველი მდიერი, მერვე სიგონჯე. მესამე ყუ ავილი, მეოთხე წითელი, მეხუთე პირისა სიმყარულე, მეექვსე მანიამ, მეშვიდე სნებამა ვაბაქსი და შვიდი მანქი სხვადა არს რომელ მამისგან დარჩების შვილსა—პირველ სიგონჯე, მეორე კეთრი, მესამე დიქისა ცხროთა, მეოთხე სილი, მეხუთე მალიხოლია, მეექვსე მანიამ, მეშვიდე ნიქირისი. მაშა ხამს რომელ ამათ ჭირთა პატრონთაგან კრძალვით

30 და შორს იყვნენ.
შეტაშებამა ძარტამა და ჰამარტა ვითარემისხა: იცოდე რომელ ქარი ბუხარი არს ხმელი რომელ მიწისგან აღდგების და ბუნებამა მისი ესრე არს რომლისაგან გამოჩნდების და ჯიპათი ოთხი არს: ჯონაბი და შამალი, მადრიქი და მალრიბი. ჯიპათი ჯონუბისა იგი არს რომელ რა პირი ამოსავლეთისავე ქქნამ შენი მარცხენით კერძოა ჯონაბი იქნების, და ამისი ბუნებამა მზურვალი და ნელლი არს, მით რომელ დიდი ზღვამ მის მხარსა არს და მიწყით ნელლი ჰაერი ზღვისა შიგან გაერგვის, და ესე ჯიპათი სხებამა ჯიპათთა უქუესი არს და ამა მხარსა რა ქარი მოვიდის მას ჯონაში ჰქვან. ბუნებამა მისი მზურვალი და ნელლი არს ტანსა გაამრთელებს და მრთლად შეინახავს და ასოთა არა შენი, და თავისა ტკივილი და თვალისა ტკივილი. და მტერთა და ცემა

40 და ჰავები ცხროთა მისგან იქნების, მავრა ხორხსა და მყერდისა ერგების. და შამალი ჯონებსა პირისპირ იქნების და მის ჯიპათისა ბუნებამა გრილი და ხმელი არს, მით რომელ მზე ამა მხარსა მიწსა უფროა ამორავს და თავისა ფალაქისა ავეჯსა უფროა ახლავს. ბუნებამა მისი გრილი იქნების, ასოთა გაამაგრებს და საჭამადსა მოადნობს და მიწყით ტანსა მთლად დაიჭირავს და დამპლობასა წაუღებს, და ფსელსა აღდეს და ბუნებურსა სიმზურვალესა ტანსა შიგან შეინახავს, მავრა ფარტვისა ტკივილითვის და ხორხისათვის და სურდოქსათვის ჰავი არს. მაშარიყის ვითამცა ამოსავლეთისა მარუღი არს და მარუღი სა-

¹⁾ ან სიტყვის შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული.

ჩინოვან და ცხადსა და საცნაურსა ჰქვიან არაბულად, მით რომ მზე მას ჯიპოსა გამოვა და ბუნება მისი სწორი არს. მაშა ქარი რომელ ამა მხარსა მოვიდეს მას საბი ჰქვიან. ბუნება მისი სიმხურვალთა და სიღბმოთა სწორი არს და დსაეღუთი მის პირის პირ იქნების, და მიზეჯი მისი სწორი არს და ქარი რომელ ამის მხარსა მოვიდოდეს მას დაბური ჰქვიან. ესე ორივე ქარი ტანსა აწუნია და ამა ოთხთა ქართაგან თეთოსსაგან ორი სხვა გამოჩნდების, ვითა ორი ქარი ჯონაბისაგან ერთსა ნამი ჰქვიან და მეორესა რაჰინ, და ორი ქარი შამალისაგან გამოჩნდების მის თანასა ერთსა ნისი ჰქვიან და მეორესა ჰობიამ, და ორი ქარი სხვა საზაასგან გამოჩნდების ერთსა აარები ჰქვიან და მეორესა ნაქაბა, და ორი ქარი სხვა დაბურისაგან გამოჩნდების ერთსა მაჯრა

10 ჰქვიან და მეორესა ჯარჯიფი, ესე ყოველი ერთგან თორმეტი ქარი იქნების.

მაგრა იგი პირველი ოთხი ქარი რომელ არიან მათი ძალი და ნიეთი რგებასა და ენებასა შიგან ამა სხვათა ქართაგან უძლიერესია. და უკეთესი ქართა იგი არს რომელ შიგან ბუხარი არ იყოს და ღლილი იყოს და ხეთა არა ჰქროდეს, რომელ მათი სული ტენისა ავენებს და ვითა ფშატისა ხე და ლეღვისა და ამათი მზგავსი და ყოველსა ერგების, და რომელიცა ქარი იყოს და მას სქელი ბუხარი ერთოს სათავნოა იქნების სნებათა მიძმეთა და ვაშასა ძნელთა მანქათა და ყოველსა ავენებს, და სთავნება ღმერთმან იყოს.

აბ. ძალაძთა და ჰამიტა ბუნება. რომელიცა ქალაქი შამალისა მხარსა იყოს იგი ქალაქი უფროა გრილ ჰაერი იქნების, და რაცა ჯონუბისაკენ იყოს უფროა მხურვალ და ხველ ჰაერი იქნების. და გრილ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უმრთელესნი და უფრო ძლიერი იქნებიან, და მხურვალ ბუნებისა ქალაქისა კაცნი უფროა უძლიო და ასოა სუსთნი იქნებიან, და უფროასი ხმელ ბუნებისაგან შეწუხებულნი იქნებიან. და რომელიცა ქალაქი ზღვასა ახლვიდეს და მისსა მიდამოსა წყალი იყოს მისი სინედლე უფროასი იქნების, და რომელსა ქალაქსა წყალი უმცროა ჰქონდეს მისი ბუნება უხმელესია. და იგი ქალაქი რომელ მისი მიწაა მლაშე იყოს ჰაერი მისი მხურვალნი არს, და ბუნებათა გაასუსტებს, და რომელიცა ქალაქი ცელი იყოს, კაცნი ყვითელ ფერნი იქნებიან და მქლე ასინი ვითა აბაშნი. და იგი ქალაქი რომელ გრილ ბუნებაა იყოს სხვაებრი იქნების და აქინი იტყვიან ვითა გარდახეწაა უნა მას ქალაქსა რომელ შიგან მარგი მათაჯაა იყოს და სნებაა ვაშაასი თუტა სიცოცხლე და სიკუდილი ღმრთისა ბრძანებითა არს, მაგრა. საქმეცა ჩანს და ნიეთი.

30 აბ. შიგებად თუ ფაღიფადი ოთხ ბუნებად და ოთხ ფარად არიან რად იცოდე რომელ წელიწადი ოთხი ფასლი არს. გაზაფხულისა ბუნებაა სწორი არს და ზოგნი იტყვიან რომელ მხურვალნი და ნედლი არს, სისხლისა ბუნებაა სქირს, მას ჟამსა ერგების კაცსა ხელის გახსნა და წამლის აღება და ჰიქის მოკიდება, და ბატენისა და კაბისა და თიქნისა და შინაურისა ქათმისა ხორცისა ჰამა ხამს ამას ჟამსა, და დიაცსა თანა დაწოლა და აბანოსა წასვლა არა ჰგავა.

ფასლი: ზაფხულისა ბუნებაა მხურვალნი და ხმელი არს ზაფრისა ბუნებაა აქვს ფარეზი ხამს ხმელისა და მხურვალისა საჰამადისაგან და მას ჰამდეს რომელ გრილი და ნედლი იყოს ვითა ტყემლისა უხდური და ისრიმისა, აყიროთა შექნილი და რიატათი და დიაცსა თანა მისულა უმცროა ხამს ამას ჟამსა, და სისხლისა გამოშვება და წამლისა აღე-

40 ბაა არა ხამს ნუ თუ დაქვირობოდეს.

ფასლი: იცოდე რომელ შემოდგომისა ბუნებაა რომელსა ჰქვიან ხაზანი გრილი და ხმელი არს სევდისა ბუნებაა არს, ამას ჟამსა ფარეზი ხამს გრილისა და ხმელისა საჰამადისაგან და შჟაფისაგან და ეგეთისა საჰამადისაგან რომელ სევდასა მოუმატებდეს, და ღვიინისა სუმა არა ხამს, და სისხლის გამოღება ცოტაა უნა. მაგრა წამლის აღება ერგების და აბანოს წასვლა და დიაცისა თანა მისულა ენების კაცსა, და საჰამადისა ვარიასა ჰამდეს სუედაბაგითა და თაფლიანისა შაქრითა შექნილსა.

ფასლი: იცოდე რომელ ზამთრისა ბუნებაა გრილი და ნედლი არს ბალღმისა ბუნებაა არს. ამის ჟამსა კაცი უფროა მრთელი იქნების სხვისა ჟამისსა, მით რომელ სტომაკი საჭამადის მოღწობისათვის უფროა მოვლენილი იქნების, მაგრა წამლის აღება და ხელის გახსნა ამის ჟამსა საფუთერაკოა არს, და ღვინის სუშმა და რიატათი არ აწეებს კაცსა და საჭამადთა მზურვალის კერძოა უნა ჭამაა ცხერის ხორცი და ტრედის ხუნდისა და ჩიტისა და წუადადცა უნდა ჭამა და თაფლიანი თაფლისა და ხურმა და ნისკოდი და რაჯა ამის ჰვეანდეს.

ფასლი: გაზაფხულისა ჟამსა რაჯა მანკი გამოაჩნდეს კაცსა, ვითა ჰაერი მისი მრავალ ფერი იქნების ეგრე არს, თუ ამას ჟამსა ჯონაბისა ქარი წვიმაა და თოვლი დია იყოს სინედლე კაცისა ტანსა შიგან შეიყრების, სნება გამოჩნდების ვითა ცხროა ხორ- შიანი და საქთა და მტერისა და ცემამა და რაჯა ამის ჰვეანდეს. მაშა თუ ამის ფასლსა ვითამცა ჟამსა შამალი ქარი, ქროდეს წვიმაა და თოვლი ცოტა იყოს რაა ზაფხული მოვიდეს კაცსა ცხროა ფიცელი და თვალთა ტკივილი, და მუცლისაგან სისხლისა დენაა და ზაპირი გამოაჩნდების. და თუ ზაფხული არ დია ცხელი იყოს, და შემოდგომასა ჯონუბისა ქარი დია ქროდეს, და წვიმაა დია წვიმდეს ზამთრის სურდოა და ხტელაა და სილისა მანკი დია იყოს. და თუ შემოდგომასა შამალისა ქარი დია ქროდეს და წვიმაა ცოტა იყოს, და ყმაწვილთა სნებაა არა სჭირდეს. მაგრამ ვინცა მზურვალი ბუნებაა და ზაფხირანი იყოს მათ თვალთა ტკივილი და სევდისა სნებაა გამოაჩნდეს. და თუ ზამთრის ჯონაბისა ქარი დია ქროდეს და წვიმაა დია წვიმდეს, გაზაფხულ ყველა შამალისა ქარი ქროდეს, და უწვიმრობაა იქნების და ამას ფასლსა ორსულნი დედანი შვილსა დია მოივნებდენ, და სურდოა და თვალთა ტკივილი კაცთა დია სჭირდეს და საქთა და სუბათი და ფილენჯი დია იყოს. და თუ ზამთრის ჯონუბისა ქარი დია ქროდეს კაცი სინედლე დია შეიყაროს რაა გაზაფხული მოვიდეს, თუ შამალისა ქარი დია იყოს ამისი რგებაა მისსა ვენებასა მოვიროს ვითამცა სინემლე შამალისა ქარისა ჯონუბისა ქარისა სინედლესა გამოზიდავს ტანისაგან, და აგრეთვე თუ ზამთრის შამალი ქარი დია იყოს და წვიმაა და თოვლი არა, რაა გაზაფხული მოვიდეს და ჯონუბი დია ქროდეს და თუ წვიმა დია იყოს სინედლე მისი სიმზურვალესა გამოიღებს კაცისა ტანისაგან და სტომაკსა ასწორებს. და თუ სამივე ფასლი ანუ ორი ფასლი სინედლითა და სინემლითა სწორად იყვნენ ჰაერი იქნების, მით რომელ კაცისა ტანისა გარეგან მიზეჯსა დააშავებენ და სისწორისგან შეშლიან და დიადი სნებაა და სიყუდილი გამოჩნდების, და ამით ფასლთა შიგან კაცსა ყველასაგან იგი სჯობს რომელ წვიმაა და ჯონუბისა ქარი უფროა იყოს, და თუ ამა ჟამთა შიგა წვიმაა არ წვიმდეს ზაფრამასა გასარეველი კაცისა ტანსა შიგან მოჭრებს და მზურვალი ცხროა და ზაფრისა მანკი გამოჩნდების. და ესეთი მანკი რომელ გვითქუაშა ზოგთა ქალაქთა შიგან უფროასი იქნების და ზოგთა შიგან უმცროა, მით რომელ ქალაქთა ჰაერი და ბუნებაა ვითა სხვაებრ არს ეგრევე კაცთა ბუნებაა სხვაებრ არს. ეგრე ხამს რომელ კაცმან თავისა ბუნებისა მისაფერად ეგრეთთა საჭამადთა ჰამდეს, რომელ დააშუნდებოდეს და ხელისა გახსნა და რიატათი და წამლისა აღებაა ეამიერად შეინახოს, და თუმცა კაცთა ბუნებაა მრავალ ფერი არ იყოს ყოველი კაცი ერთთა სნებათა გახდებოდის ჰავად და სიმრთელე მათი და სნებაა ერთფერად იქნებოდა.

40 ფ. სიმტკიცე რაა ტანისა მიზეჯსა აწეებდეს. კურნებაა მისი. იცოდე რომელ უფროასი მით გახდების ავად რომელ გასარეველისა მიზეჯი შეიშლებს და მათ იხლავთ ჰქვიან, ვითამცე, სისხლი და ზაფრამა, ბალღამი და სევდაა. რაჯა მიზეჯისგან გახდების ჰავად ჩვენ ყველასა კურნებაა მოკლე და ძალიანად გაგიცხადო.

ფ. მანანჩი რომელ სისხლისა გორავნისაგან და მისსა შუშლისაგან იწოს. ოდესცა სისხლი მოვიროს ტანსა შიგან და ბუნებისა თავისასა შეიშალოს, და გზაა ვერ პოოს ტანისაგან გამოსავალი, და უღონოდ დაშავდების, და მანკი გამოჩნდებიან ვითა ხორხისა და-

ქირეა და სურდოა, და ღრძილთა სიმსიენე, და მჯღომები, და ღუბალა და წითელი, და ღვიძლისა ტკივილი, და ნიკრისი მხურვალი, და მუტბაყი ცხროა, და საქციელთა ტკივილი და ცხვირთაგან სისხლისა ღენა, და მუტლისაგან სისხლისა ღენა.

სისხლისა მორეენისა და დაშავეებისა ნიშანი. იგი არს რომელ პირს გაუწითლდეს, დია დაეძინებოდეს და იგონებდეს და პირი მიწყით ტკბილად ეღვას, კაცი გაზანტდეს და ჰაერი გრილი უნდაუდეს, და ეყე ნიშანი რომელ ვთქვი უფროსი ყმისა კაცისა ტანსა გამოაჩნდების, და ეხელთა ქალაქთა და ეგეთთა კაცთა შიგან, რომელ ცხიბიანი და ტკბილი ეჭამოს და ღვინოა ესუას.

10 კურნება სისხლის მორეენისა და დაშავეებისა. ეგრე ხაშს რომელ სნეულმან ღვინისა და ხორცისა და ტკბილისაგან ფაჭრეზსა იქმოდეს, და ხელი გაიხსნას და სისხლი დია გამოიღოს. და სადაგსა სიქანგუბინსა და უნაპისა შაობასა და ტკბილსა და მგავესა ბროწყელისა წყალსა, და ქრალიასა წყალსა როველსა ჰქვიან ქაშაბი სუმიდეს. და მუყელი დაიღბოს ტყელასა შარბითა და ჰინდურისა თამრისა შარბითა და იისა შარბითა და ბაზრაცატუნითა და ასვიოშითა. და საქამადსა ურწყოსა კამდეს რომელსა ჰქვიან მუზაფარი ნელდითა ქინჩითა, და ქანსითა რომელსა ჰქვიან არაბულად ჰინდებ და ქართულად არდი, და ფარუჰანია რომელსა ჰქვიან ქართულად კატკატოა და ისრინი აყიროჯთა და ვარიითა, და მუზაფარი ახლითა თევზითა და ხალითა და შაქრითა, და თრუნჯისა მგავეითა და კოწახური ურწყოთა ესე, ყოველი ერგების.

მანნი რომელ ზაფრისა მოკაპნისაგან და შუშლისაგან იპოს. რაა ზაფრამან მოკ-
20 როს, კაცისა ტანსა შიგან და დაშავედეს და სნება გამოჩნდეს ვითა თავისა ტკივილი, და შაყიყასა ტკივილი, და თავისა სიწყლულე, და ტანისა მლიერი, და მქავანი, და სარსანი, და ბარსანი, და დათლჯანბი როველსა ჰქვიან საქციელთა ტკივილი, და რააცა ამით ჰკვანდეს, და ღვიძლისა სიწყლულე და თვალთა ტკივილი და იარაყანი, და საბოჯსა თავისა ვითამცა ქარტილი და ბაგისა და პირისა დაპობილობა, და სტომაქისა ტკივილი, და წყურვილი და კბილისა ტკივილი, და პირისა და ხორხისა სიმხელე, და ცხროა რომელ მეორესა დღესა მოვიდოდეს.

ზაფრისა მორეენისა და დაშავეებისა და შეშლისა. ნიშანი იგი არს რომელ სნეულისა პირისა გემოა ტკბილი იყოს და სწყუროდეს, და პირი ყვითლად ეღვას და საქამადი არ მოუნდებოდეს, და ბუნება შეეშალოს, და ნარწყვი მისი ყვითელი და მწუ-
30 ანი იყოს და ჯუმისა ეჟმა გჭამი ეწუოდეს, და ფსელი თხელი და ცეცხლის ფერი იყოს, და ხმა ექცეს, და მაჯასი ფიცხელი იყოს და ფიცხლად ფთქედეს, და ესეთი მანკი მით შექნების რომელ წუადი და კალაა და თაფლიანი, და ნიორი და პილილი, და სარფი ღვინო და ტკბილი დია ეჭამოს, და იპარხვიდეს და ცოტასა დაიძინებდეს, და შორს გზასა იარებოდეს და მხესა შინა დია ევლოს და ეჯღომოს.

კურნება ზაფრისა მორეენისა და შეშლისა. ეგრე ხაშს რომელ მებრვალთა საქამადთა ერიდებოდეს, და ხორცსა და ღვინოასა და ტკბილსა ნუ ჰკმის, და ტყემლისა წყალსა და თაქროსა წყალსა სიქანგუბინითა, იისა შარაბსა და უნაბისა შარაბსა და ტკბილისა და მგავესა ბროწყელისა წყალსა სუმიდეს, და კატკატოას თესლისა წყალსა კოწახურისა შარბითა სუმიდეს, და თუ ძალი ჰქონდეს და შეიძლოს ყვითელი ჰაილია
40 შეაბგლოს და მისი წყალი ჯულაბასა გაურიოს, და ნახევარ დანგი საქმუნია გაურიოს და იხმაროს. და იისა ხეთი ცხვირთა ჩაუშუას. და ქრთილისა წყალი ბროწყელის მგავესა და ტკბილისა წუენსა თანა სუმიდეს. და რევასისა შარაბსა და ისრინისა წყალსა სუმიდეს. და ურწყოისა კამდეს ქინჩითა ¹⁾ და კატკატოათა შექნილსა და ციესა წყალსა სუმიდეს, და სიმპურვალესა და ტკბილსა ერიდებოდეს.

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათვალავი სწავრა მ. და შემდგომ გვერდის ქვემო აწიხე თ.

მანანი რომელ ბაღღმის მორავენისა და შემოსისაგან შემნილ იყო. რაჲ ბაღღმან მოპროოს, კაცისა ტანსა შიგან დიდი სნებაჲ გამოჩნდების მისგან ვითა ფელინჯი, და სარი და საქათაჲ, და ქაბუსი რომელ ქართულად მგონია დედაჯუჯი ჰქვიან, ლამით მიჩნარესა ზედა დააწეების და მოარჩობს, გჳარად ხიმალიკრა ჰქვიან, ქაბუსი, იგი არს და მოვიწყებაჲ და ასოთაჲ სისუსეთი, და თმთა დახდაჲ და ზუელისა ყურყური და ნეღლი ხულაჲ, და თავისა სიბრუე და საჭამადისა არ მოღნობაჲ, და დია ბოყინობაჲ რომელსა ჰქვიან არაჲ, და თირკმელისა ტკივილი და თეთრი ბაჰაყი, და ბუშტის ტკივილი და სტომაქისა სისუსეთი, და თვალთა სიბნელე და კბილთა ტკივილი, და კვიე ცხროსი.

10 ბაღღმისა მორავენისა და შემოსისაჲ ნიშანი მისი იგი არს რომელ ჰირი მიწყით ნეღლი ჰქონდეს და საჭამადსა არ მოიღნობდეს, და დაეძინებოდეს და ჰირი უსივდეს, და თავი ამძიმობდეს და ფსლისა ფერი თეთრი იყოს, და მაჯასი ლბილი და უსუსური იყოს, და სნეულისა ფერი თეთრი იყოს, და ცხელი ჰაერს უყვარდეს, და ესეთი სნებაჲ უფროჲსი ეგეთთა კაცთა წაეყვიდების და შეეკენების რომელ სძესა და მაწონსა და ყველსა, და ახალსა თევზსა დია ჰამდენ, და წყალსაცა დია სმიდენ, აბანოსა შიგან დია მივიღოდენ, და მასუქანთა კაცთა და უთმოთა უფროჲსი ეკენების.

კურნებაჲ ბაღღმისა მორავენისა და შემოსისაჲ. ეგრე ხანს რომელ ფყირაჲსა იარასდა როჲვისი იარასა ჰამდეს, და მუშსა და ანბარასა უსუნებდეს. და უზმად აბანოსა მივიღოდეს და ხირისა და სოსანისა ზეთსა ინზარებდეს, და საჭამადსა თავისასა ზანჯაბილსა და ყარანაფულსა გაურეცდეს და ქონდარსა და დარუპილბილსა, და ხუსრაჲი და არჲ გარეული იყოს, და მწვანელითა თანა ტეგანი და პიტნაჲ და ბადარანბოჲ აშუნია ამას ჰამდეს. და ურწყოსა ნიგვისსა ზეთითა აქნევედეს და ყალიასა და შორაბასა ინზარებდეს. და თუ მანი ზაზხულის იყოს ცერეკოჲსა წყლითა და თაფლითა არწყიოს, და დიდი ტარეფული და ძირაჲსა გუარისინი დია აშუნია, და გულანგუბინსა და მასთაქესა ჰამდეს.

მანანი რომელ სავღისა შემოსისა და მორავენისაგან იწმენ. რაჲ სეღდაჲ მოერიოს, და სნებანი გამოჩნდენ ვითა უძილობაჲ და ვასვასვაჲ დიადი, და ცნობისა შემღაჲ და ეღნეთისა ტკივილი, და მიწისა ჰამაჲ, და ჰროული და შვი ბაჰაყი, და არ გაძლომაჲ საჭამადითა, და ძნელნი წყლულნი და სიბნელე ფერისაჲ, და ტყავისა გახეთქილობაჲ და სიშმაგე და სიგონჯე, და მეოთხე ცხროსა და მგზავსნი ამითა.

30 სევედისა მორავენისა და შემოსისაჲ. ნიშანი იგი არს რომელ ეღნეთი გაუდიდდეს და არ დაეძინებოდეს, და ეშინოდეს და მიწყით საგონებელსა შიგან იყოს, და სტომაქი ეწუოდეს და დამძლდეს, და კაცთა თანა არ დადგებოდეს, და ფსელი შვი იყოს. ესეთი მანი უფროჲსი ეგეთთა კაცთა შეეკენების რომელ ზეგითა და დიდა გათხელებულსა აუხეტსა, და ნადირის ხორცსა, და ბაკლასა და ოსპსა-დია ჰამდენ.

კურნებაჲ სევედისაჲ მორავენისა და შემოსისაჲ. ეგრე ხანს რომელ სნეული ამით საჭამადთა ერიდებოდეს, და მარტოჲსა ნუ დაავდებენ, და მხურვალსა და ლბილსა საჭამადსა აქმედენ, და ლეინოჲსა წყალ რეულსა მაზუჲსა ასმიდენ, და აბანოს მიიყვანდენ, და ხარშოსა შორაბასა ბატკნისა ხორცითა შექნილსა, და კარგი ნატიფი საწნელებელი გაურიონ მისსა უხდურსა, და ვაშლი ტკბილი და ბროწყული ტკბილი და აფთი-40 მონისა ფუხთაჲ აუამონ, და ღარიყონი და ლოღადიასა იარაჲ და მოჴარახისა მჯუჲნი და დაზებანავისა წყალი, ზროხისა ენაჲ ჰქვიან არსდა ჰვაეს, მისი წყალი ბადარანბოჲსა შარაბსა თანა და ჰურმისისა იარაჲ, ესე ყოველი ამას ერგების. და ელიაჲ ზანდუქთა კარი და ვითარებაჲ ეგეთთა საქმეთა, რომელ აქიმთა მოეხმარების, აქითგან სნებათა და კურნებათა მისთა თადბირი, მოკლე და ნივთიანი მეცნიერთა ოსტატთა ნათქვამი, ვოქვით რომელ გამოსცნობდენ მხურვალთა გრილისაგან, და საესეგებაჲ ღმერთმან იცის.

ივ. საბოხსა თაჳისა რომელსა ჰჳიან ქართლნი

თუ სიმხურვალისაგან იყოს. იოჳანა იტყვის: ესე მანკი უფ სისხლისა მორეგნისა და სიფიცხისაგან ანუ ზაფრისა მორეგნისაგან ანუ ორთაგანვე რომელ ერთგან გარეუ-
ლიყვნენ იქნებინ. თუ ქართლი დაძველდეს მისგან საუფა შეიქნებინ.

ნიშანი რაჳე სიმხურვალისაგან იყოს იგი არს: თუ სისხლისა მორეგნისა-
გან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ქართლი და თავის ტყავი მოწითლეს ყურად იყვნენ, და რაჳეა
ზაფრისა მორეგნისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ საბოხსა და ტყავი ორივე მოყვითლეს იყოს.

რაჳეა სიმხურვალისაგან იყოს მისი კურნება ესე არს. იოჳანა
იტყვის ეგრე არს რომელ ყვილი ვახსნას, ანუ ყელსა ჳიქაჳ მოჳკიდოს და ხილთა წყლითა
10 მუცელი დაიღბოს, ანუ ტკბილისა და მჳევისა ბროწეულისა წყლითა და შავისა ტყემლისა
წყლითა უზმამან იხმაროს, რომელ სიმხურვალე ჩამოზიდოს თავისაგან. და რაჳეა ზაფრისა
მორეგნისაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყვილისა ჰალილითა შემგბრითა
ანუ დელამოტისა წყლითა, და ყვილითა ჰალილითა. და თავი მუხუდისა და ბაკლასა და
ბალბასა წყლითა დაიბანოს, ბალბასა ხატვი ჳქვიან. და ქინძისა წყალსა თავსა იცხებდეს,
და რაჳეა სიმხურვალესა ჩამოიღებდეს ყველაჳ მისთვის კარგი არს.

მუჳამედ ზაქარიას ძე იტყვის: ეკრე ხმსი რომე როვისისა იარაჳთა მუცე-
ლი დაიღბოს, და თუ მანკი ძელი იყოს ქუნჯითისა ზეთი მელის ყურძნისა წყლითა შესუს-
და თუ ძელი არ იყოს თავი მოიპაროს, და ლამით თავსა ნელი ერბოჳ იცხოს და დღისით
ნელითა წყლითა დაიბანოს, ბუხარიანთა საჳამადსა ერიდებოდეს ვითა ნიორი და ხახვი და
20 მიწყით ვარდისა ზეთი დაძმარი თავსა სცხოს და მაშინ ნელითა წყლითა ჰბანდეს ერგებინ.

მასალა რაჳეა იტყვის: სიმხურვალისაგან ერიდებოდეს და თუთბითა და ისრი-
მითა და მჳეავითა შექნისსა ჳამდეს, და თავი შემგბრითა ჳაკეტლისა წყლითა იბანოს, ანუ
ტრიფის ფურცლისა წყლითა და კითალითა ხელი ვახსნას და მუცელი დაიღბოს და ანუ
ჳიქაჳ მოჳკიდოს, და სიქანუბინითა ლარღარა ქნას და თავი ნედლისა ქინძისა და ბალბასა
წყლითა დაიბანოს, და თუ ნედლი ბაკლა დანაყოს და თავსა შემოსდეს დია კარგად ერგე-
ბის, და მაშინ აბანოს წყიდეს და ნელითა წყლითა და ბალბითა ჰბანდეს, და ესრე ვითა
გვითჳეჳს იქმოდეს, და იერგების შეწვენითა მღრითისათა.

პართლი თუ სიმღრილით იყოს. ნიშანი მისი იგი არს და ამისგან შეიქნებინ. ისაჳ
იტყვის: ესე უფროჳსი მლანისა ბალღმისა სიმეტითა იქნებინ, ანუ ზაფრისა მორეგნისაგან
30 ანუ ჰავთა ბუხართა და ორთქლთაგან, ანუ დამწუარისა გარევისაგან რომელ თავსა გაუ-
ხდეს და ესე გამოაჩინოს. ნიშანი რაჳეა ბალღმისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს რომელ
ქართლი და თავისა ტყავი თეთრად მოაჩვენებდეს, და რაჳეა სეველისაგან იყოს ნიშანი იგი
არს რომელ საბოხსა და ტყავი შვად მოაჩვენებდეს.

კურნება სიგრილისაგან თუ იყოს. ისაჳ იტყვის: კურნება იგი არს
რომელ გაზრდილი ზანჯაბილი. ნანუჳასა გაურისო და უზმამან ჳამოს, რომელ სინდლეს
სტოჳაჳიღაღმა გამოწმოდეს. და თუ ძელი გულანჯუბინი და მასტაჳი და ცოტაჳ პილპილი
დანაყილი იხმაროს კარგი არს. და სისანისა და ნარგისისა ჳეთსა თავსა იცხებდეს, და თუ
სელისა და უღბის წყლითა თავი დაიბანოს უმჯობესი არს. და მჳევესა ერიდებოდეს და
მუხუდისა წყენსა და ყალისა ჳამდეს.

თებით ყურაჳს ძე იტყვის: რაჳე მანკისა დედაჳ სეველისაგან იყოს კურნება იგი
40 არს რომელ აფთომონისა ფუბთაჳ ჳამოს რომელ თავისაგან სეველჳ ჩამოიღოს, და საჳამადთა
მხურვალთა და ნედლთა ჳამდეს, და მჳეავითა ერიდებოდეს. და ნილოფარისა ძირი ხორფარა-
სთისა წყლითა შეაბოლოს და მიწყით თავსა მით იბანდეს ერგებინ. და თუ მანკისა დედაჳ
ჰავთა ბუხართაგან იყოს ამას ტიმაღსა იქმოდეს, ვითამცა საცხებელისა მისადებელსა მუხუ-
დისა ფევილითა სანისა დრამისა წონი, უღბოჳ და ბაგრუკი და თეთრი ჳიქაჳ თეთოსაგან
დრამისა წონი ყველაჳ დანაყოს და შეზილოს წყლითა, და თავსა დასდებდეს კარგი არს,

მისია იტყვის: ყოყაასა ჰაბი დიდსა იარასა ჰაბსა თანა ჭამოს და მერმე სიქან-გუბინითა ლარლარა ქნას, ანუ სპანძელისა წყლითა და აყირყარჰათა, და თავსა მუხუდოსა წყლითა და თურმისის წყლითა და უღბაჲსა ლუბითა კარგად დაიბანოს, და ნედლისა ქუნჯიდისა წყალი ცხარსა ძმარსა გაურიოს და თავი მით დაიბანოს კარგი იქნების. და თუ ზროხისა ნადელი და ბავრუკი თვითოჲსაგან ამისისა წონი მიწასა გაურიოს და თავსა სცოს და მერმე ბალბათა დაიბანოს ერგების.

10 იუ. თაშინსა წყლული რომელ არაბულად საშაჲ ჰქვინან. თუ სიმხურვალისაგან იყოს მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თუ გწადდეს შეტყობად ესე მანკი ორფერად იქნების ხელი და ნედლი, და გამოჩენად მისი ზაფრისაჲ სიმეტისაგან არს, რომელ თავისა ტყავსა

ნიშანი მისი თუ სიმხურვალისაგან იყოს. რომელ წყლული თავსა შეყრილ იყოს, რაჲცა ხნელი იყოს და მოფხანონ მქისე ტყავი ეხდებოდეს და მერმე ყვითლად მოაჩენებდეს, და რაჲცა ნედლი იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხაბლი ყვითელი იყოს.

კურნებაჲ რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნებაჲ ხნელისა და ნედლისა საფაჲსა იგი არს, რომელ ნუყრაგაჲსა ჭიქაჲ მოჰკიდონ და ყვრიშალისა, და თავისა რომელიცა უუროჲსი ძარღვი იყოს გაიხსნას. და ტუბილისა და მლაშისა და ფიცხელისა საჭამადისაგან ფაჰრეზსა იქმოდეს, და ლბილსა საჭამადსა ჭამდეს. და თუ შექძლოს ჰილიაჲსა ფუხთაჲთა საბრი და საყამონიაჲ ჭამოს, და საჭამადსა გრილთა და ნედლთა იხმარებოდეს, და ნუშისაჲ ზეთსა და აყიროჲსა ზეთსა და იისა ზეთსა ცხვი-

20 რსა შიგან ჩასდებდეს და ერგების.

მასოჲაჲს ძე იტყვის: ნედლისა საფაჲსა კურნებაჲ იგი არს, რომელ ნედლისა ქუნჯიდისა წყალი და ოშანი მწუჲანე და მარილი ერთგან გარიოს კარგად თავი მით დაიბანოს. და თუ წურბელი შეუბან რომელი მოწოვის კარგი არს. და ამისგან უკეთ არა ერგების ამას მანკსა, და მუცელი დაიღობოს შავისა ტყემლისა წყლითა და შაქრითა ანუ საბრისა და აფსანთინისა ჰაბითა, ანუ ფუხთაჲ ჰალილაჲთა შაჰთარაჲ გაურიონ დია ერგების. და წურბელსა უჲანი თყლსა ჭიქაჲ მოჰკიდონ რომელ გამრთელდეს. და თუ ლბილად იყოს ისრისისა წყალი და ბროწეულისა შარაბი სუას ერგების.

30 ჰუნაჲნ იტყვის: მისი კურნებაჲ იგი არს რომელ ყიფალი გაიხსნას და მხურვალთა ერიდებოდეს, და ამით ჰაბითა მუცელი დაიღობოს თურბიდი საში დრამის წონი და ნახეჲარი, და მასთაჲქ დანგისა წონი ერთგინ დანაყილი და გაცრილი წყლითა შეზილოს და იხმარებდეს. და თუ არ იჯობინოს ყურისა ძარღვი გახსნას და სისხლი მისი მანკისა ადგელსა კარგად შესცხოს ერგების, და ადრე გამრთელდების შეწეენითა ღმრთისათა.

საშაჲ რომელი სიბრძნისგან იჰოს. ნიშანი იგი არს მისი აბუჯარიჰ იტყვის: რომელ ესე მანკი უფროჲსჯერ მლაშისაგან იქნების, რომელ მსხელი ხილტი დაიწვას ანუ მლაშე ბალბადი მფარსა გაერიოს, და სინედელ მლაშესა გაერიოს.

ნიშანი და ვითარებაჲ რაჲ სიგრილისა და ბალღმისაგან იყოს: იგი არს რაჲ სიწყლულე თავისაჲ თერთად მოაჩუენებდეს ანუ ბავრუკისა ფერად, ბალღმისაგან არს, და თუ ხნელი და შავი იყოს სიედისაგან იქნების, და ეგების დამწუჲარი ხილტი ყოვილ იყოს და სიედად. ქნილიყოს.

40 კურნებაჲ რაჲ სიგრილისა და ბალღმისაგან ქნილ იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ წითელი შალჰამაჲ დაუდვას, და ძმარი და ვარდისა ზეთი ბროწეულისა ქერქსა და მურდანანგსა გაურიოს და სცხებდეს, და თუ მანკი ძმელი იყოს კიფალისა ძარღვი გაიხსნას, და ფიცხელსა წიშალსა დასდებდეს და გაანზობს, და ანუ მქისითა მწუჲრითა გაწმიდოს და მოსმითა გაასისხლიანოს, რომელ სისხლი აღინოს, მერმე ზარდაჩობაჲ და ინაჲ და მურდანანგი და ძმარი და ბროწეულისა ქერქი და ვარდისა ზეთი აეანსა შიგან ერთგან გავალოს და მას დასდებდეს:

იოჰანა იტყვის: რა ეს მანკი დაძველდეს ქუჩიდისა ზეთისა ცხებითა ანელ-
ლებდნენ, და სოსნისა ფურცელი დანაყილი ზედა მოაყარონ ერგების. და ნედლისა საფუძსა
კურნება იგი არს, რომელ ზეთისა დრამისა წონაჲ გუნდაჲ დანაყილი სამსა უკიასა ზეთის
ხილისა ზეთსა შიგან აღულონ და სცხებდენ. და ზარდახოზა და მურდასანგი და ვაშა და
თუთიაჲ ერთმან ერთისა ოდენი დანაყილი ერთგან ვაჭრიოს და მოაყრიდეს. და თუ მიშ-
მიშისა გურკისა გული და ვარდი წითელი და ინაჲ ყველაჲ ვარდისა ზეთითა და ძმრითა
შეზილონ და სცხებდენ, ერგების.

10 თებით ყურაჲს ძე იტყვის: ცოტაჲსა საფუძსა კურნება იგი არს რომელ დაწოლისა
ეჲმსა მანკისა ადგილი ვაშარონ და იგი სისხლი თავსა შესცხონ. და ჰალილაჲსა მარცუ-
ლოს და ზედა სცხებდეს. და თუ დამწუარი ქალადი ძმრითა შეზილოს და ცოტაჲ მურდა-
სანგი გაურიოს და მანკსა ზედა იცხოს ერგების. და თუ ქუჩიდისა ზეთი იცხოს და მა-
შინ ვარძარამისა ფურცელი დანაყილი ზედა მოაყაროს, ერგების.

15 იმ. თმისა დახლისა და გელატინისა რომელსა ჰჰმინან ასლანი. თუ სნებისგან ყოფი-
ლოყოს. ბაყრაჲ იტყვის: რომელ ესე მანკი ოთხისაგან იქნების, ერთი ჰავად ქცევისაგან
რომელ არა ყოფად ჰქონდეს, მეორე ჰავთა საქამადთაგან რომელ მისგან კარგი სისხლი არ
იქნებოდეს, და ჰავადყოფობისაგანცა რომელ ტანსა შიგან ესე მანკი გამოჩნდეს.

20 თუ სნებისაგან ქნილ იყოს: ნიშანი იგი არს რაჲცა არა ყოფად და ქცევად
ჰქონებოდეს რომელ კაცი მკლე იყოს, და ეჲმ ეჲმ ცოცოტაჲ თმაჲ ხდებოდეს. და ნიშანი
20 მისი რომელ ფიცხელისა სნებისგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ თმაჲ ერთობით დახდეს
თავისაგან.

კურნებაჲ მისი რაჲცა უსაქამადობით და არ ქცევისაგან იყოს.
ბაყრაჲ იტყვის: რომელ რაჲცა უსაქამადობით ქნილ იყოს მისი კურნებაჲ იგი არს,
რომელ კარგი საჭამიდი მიუმატონ და აბანოს წსავლად და ძილთა გამოუსყენონ, და წი-
თელსა ღვინოჲსა სმიდეს, და მორდისა ზეთი და ლადანისი თავსა შესცხოს. და რაჲცა სნე-
ბაჲ და ჰავად ყოფობისაგან წაეკიდებოდეს მისი კურნებაჲ იგი არს რომელ ნატიფსა საქა-
მადსა აჰმეოდენ, ვითა ერთისა წლისა ცხერისა ხორცი და ნედლი ხილი და გვეთი საქამა-
დი რომელ ტანსა გააძლიერებდეს. და გამოსტენებით ყოფითა რომელ არას აჭიროვებდენ, და
აბანოს დია მივიდოდეს და თავსა მქისესა ჩვარსა მოისმიდეს, და ფარისიოშანი და ბაბუ-
30 ნაჯი ერბოთაჲ შეგბოლოს და თავსა იცხებდეს.

რუფას იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სამსა დღესა აძლავი წყალსა
შიგან დააღბოს და მისოდენი ერბოჲ გაურიოს და ესდენი შეაბგოს რომელ წყალი წაიღეს
და ერბოჲ დარჩეს და მერმე თავსა იცხებდეს. და თუ ხისა ფურცელი მას თანა შეაბგოს
და ცოტაჲ სპანძელი გაურიოს და თმასა მით იბანდეს, თმასა გაავრძელებს, და თმასა
შავისა ჰალილითა იბანდეს და ჰაკუნტელის ფურცელისა წყლითა და მუხულის წყლითა და
ზროხის ნავლითა კარგი არს, და ძირსა გაამაგრებს თმისასა.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ მურდისა ახლისა ფურცლისა
წყალსა სცხებდეს, და უჯანის აბანოს მივიდეს და თავი მითვე დაიბანოს. და თუ ბანგისა
ქერქისა დამბლისა ზეთის ხილისა ზეთითა გაგალოს და თმასა¹⁾ იცხებდეს თმასა გაუშავებს
40 და თუ ლადანაჲ და სპანძელისა თესლი ერბოსა გაურიოს და თავსა იცხებდეს თავსა შეინახავს
და თუ იგი კაცი გრილბუნებაჲ იყოს ქნარდენისა ზეთი გაურიოს და თავსა იცხებდეს ერ-
გების შეწევნითა ღმრისათა.

თმისა დახლაჲ და გელატინაჲ სიმრილისაგან იყოს. რაჲცა ტყავისა სისუსთისაგან იყოს.
მესამე თავისა ტყავისა სისუსთისაგან იქნების, მეოთხე თავისა და ტანისა ტყავისა სისუს-
თისაგან იქნების, ანუ მათ სამთა თავისა და ტანთა სიფართოსა, და სამი მათ ხერვლდა
ჰქეიან რომელ თმაჲ მუწით გამოსრული არს, სუსტი და ფართოჲ იყოს.

1) ეს წინადადება „ხილისა ზეთითა გაგალოს და თმასა“ გვერდის ამაზე სწორია დედნის ხელით.

ნიშანი რაა ტყავისა სისუსთისაგან იყოს. რააცა ტყავისა სიმქისი-
გან იყოს იგი არს, რომელ თმაა დია შავი იყოს და თმისა ძირი სქლად იყოს, და რაა ზიდ-
ვიდეს ადრე არა ჰხდებოდეს. და ნიშანი მისი რომელ ტყავისა სისუსთისაგან იყოს ეგრე
არს რომელ თმაა დია წვრილი იყოს და წმიდაა.

კურნებმა რააცა სიმქისით ტყავეთა ანუ სისუსთით ქნილ იყოს.
ბაყრატი იტყვის: რააცა ტყავთა სიმქისით იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ნიდაგ თვე-
სა ბაბუნასა ზეთსა იტებდეს, და აბანოს მივიდოდეს და წაშლითა და ალთაღბისასა თავსა
და თმათა იტებდეს, და ესე შემოსადებელი ტლე ქნას ვითარებამ მისი: ახად ღრახთისა
10 ფურცელი ერთი კერძი, საკმელი თეთრი ერთი კერძი, ორივე ერთგან ვარდისა ზეთითა
კარგად ავანსა სანაყელსა შიგან დაგალოს და აბანოს თავსა იტებდეს, დია კარგი არს. და
თუ მწარე ნუში და სომხური შიპი და ზღვისა პერული დამწუხარი, ვარდისა ზეთითა შეზი-
ლოს და თავსა იტებდეს კარგი არს. და მისი კურნებმა რომელ სისუსთისგან იყოს იგი
არს რომელ მორდისა ზეთსა იტებდეს თავსა, და თუ სამისა დრამისა წონი ყაყია ნახე-
ვარსა უკიასა ღვინოსა შინა გაგალოს და ნახევარი უკიასა მორდისა ზეთი შიგან გაჭრიოს
და თავსა შემოსდეს, კარგი არს.

აბუჯარი იტყვის: თუ ას არის მარცვალნი და ლადანა და აფსანთინი ერთმა-
ნეთისა ოდენი ერთგან დანაყილი ტილოსა მზუარსა შემოაკრას, და ქურჯიდისა ზეთსა
ახალსა შიგან შეაბეგლოს, და მიწყით თავსა იტებდეს თმაა აღარ დახდებოს. და თუ ესე
20 ქნას რომელ გამოკდილი არს კარგი არს, ვითარებამ მისი მურდისა ზეთი ოთხი უკიასა,
ლადანი გაგლილი უკიასა ერთი, ორივე ერთგან გაჭრიოს და თავსა სცხებდეს კარგი არს.

დევეჯანი იტყვის: სარგისა ნიგოზი ერთი უკიასა, ორისა დრამისა წონი აფსან-
თინი წმიდად გაგალოს და ტილოსა მზუარსა შიგან გამოჭკრას, და ხუთსა დღესა ვარდისა
ზეთსა შიგან მიუშუას, და მეგრე თავსა იტებდეს ერგებოს და თმასა შეუნახავს, და
ქარტლსა გარდაულებს, და თმაა აღარ დახდებოს, და ბავრუკი სომხური შილიოს და მი-
სითა წყლითა თავსა ბანდეს ერგებოს.

ით. თმისა ბავრუკმა და ბაბუნებმა. გაბობა თმისა თუ რაასგან იქნების გამო-
ციცხლად.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თმისა გაბობამ მით იქნების რომელ სიხმელე
30 მოჭრიოს ტანისა გასარეველისა მიზეჯსა, ანუ ხმელ ბუნებამ საჭამადი ეჭამოს ვითა აბუხტი
და თევზი ხმელი, მლაშე, და რააცა ამას ჰგვანდეს.

ნიშანი თმისა გაბობისა: იგი არს რომელ თმისა წუწერი ბოძლად იყოს, და
სიმქისისა კურნებამ იგი არს რომელ ბავრუკისა წყლითა მრავალჯერ დაიბანოს თავი, მა-
შინ დაეღობოს და ელავს.

კურნებამ თმისა გაბობისა: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: იგი არს
რომელ ხმელთა საჭამადთა ერთდებოდეს, და მიწყით იისა ზეთსა თმასა იტებდეს, და უკა-
ნის ნელითა წყლითა იბანდეს. და თუ წყალი და ერბოვ ერთგან გარიოს და თმასა მით
ზელდეს, და აბანოს მივიდოდეს და ნელითა წყლითა თავსა იბანდეს, ერგებოს. და ბაზრა-
ყატუნითა და ლუბითა იბანდეს და თუ ქურჯიდისა ფურცლისა წყლითა დაიბანდეს თავსა,
40 ერგებოს.

მასარჯოა იტყვის: კურნებამ მისი იგი არს რომელ თავის თავსა კარგად ექცე-
ოდეს, და საჭამადსა და ღვინოსა და აბანოს მოუმატოს, და მიწყით თავსა ცხიბიანთ დი-
ქირვიდეს იისა ზეთითა და ნილოფრისა ზეთითა და აბანოს დია მივიდოდეს, და ლუბითა
და ბაზრაყატუნითა და ბალბათთა თავსა იბანდეს კარგი არს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: თმისა გავრძელებისა კურნებამ, რაა წუწერი
და თმაა და წარბი თხლად იყვნენ ყისუმისა ნაცარი ზეთისხილისა ძქელისა ზეთსა შიგან
შეზილოს და შესცხოს, ერგებოს. და ეგეთსა საჭამადსა კამდეს რომელ ტანსა გაახურებდეს

და დაჰამიშითისა გელსა ძმრითა გლიდეს და ტანსა იცხებდეს, თმასა გამოზრდის. და ყოველთაგან დაგლილი სონიჯი უმჯობესია, რომელ მომრადანსა გაურჩოს და თავსა მიწყით შესცხებდეს, დია ერგების და ადრე ზრდის თმათა. და თუ ლადანისა ზეთი შესცხოს კარგი არს, და თმათა გამოიყვანს. და საკამადთა ჰავთა და უდრობთა ერიდებოდეს ვითა ზროხისა ხორცსა და აქლემისა ხორცსა, და სძესა და მაწუნსა და მუხულის წყუნსა და ზირაბაჯსა კამდეს.

თმისა გათეთრებისა ნივთი: ჯალინოზ იტყვის: რომელ თმისა ზრდაჲ და სიშავე მზურვალასა და ლბილის ბუხარისა და ორთქლისაგან იქნების რომელ ბუნებაჲ მას ტყავისაჲ გააყენებს რაჲ ეგე ორთქლი შეწუხდეს თმაჲ გათეთრდების და და
10 წვლილდების.

თმისა გათეთრებისა ნიშანი: შავი თმაჲ და გრუზი თმაჲ ანუ წითელი ანუ ლეიძლის ფერი, ამას ითხსა საქმესა შუა არიან რომელ გვითქვამს და ნიშანი მისი ჩანს თუ ვით იქნების, და რად ადრე გათეთრდების.

კურნებაჲ თმისა გათეთრებისაჲ. ჯალინოს იტყვის: ვითა გრუზი თმაჲ და ლელი თმაჲ სიხმელისა და სინედლისა ბუხარისა საზომსა ზედა იქნების რომელ ტყავსა შიგან ვახსენეთ, მაგრა თმისა გათეთრებისა კურნებაჲ დასაწყისსა მისსა იგი არს რომელ ყოველსა საკამადსა გრილსა და ნედლსა ერიდებოდეს ვითა მაწონი და სძე და თევზი და ზროხის ხორცი და რაჲცა ამათ ჰკვანდეს. და ყლიასა და მოტანჯანსა და ზირაბაჯსა და მწუარსა ბირიანსა და მუხუდოს წვენსა კამდეს. და მაქლარი რაჲ იყოს არწ
20 ყიოს, და ლეინოსა ნუ სტჰამს რომელ სიმთერალე თმასა ადრე გაათეთრებს, და ცივსა წყალსა დია იბანებოდეს.

მუჭამედ ზაქარიას ძე იტყვის: ამას მანქა არა ერგების მისგან უფრო რომელ, რაჲ დღე ხუთისა დრამისა წონსა ტარეფელსა კამდეს უზმაჲ, და ბირიანსა მწუარსა და კალიასა კამდეს, და სიმთერალესა და ავთა სულთა ვითა ზარნიხისასა, წუნწუბისასა, გოკრიდისასა ერიდებოდეს, და მლაშესა საკამადსა ერიდებოდეს. და აბანოს ნუ წავალს და დიაცა თანა ნუ დაწუბებს, და მწყით ბალადურისა გუარიშნსა იხმარებდეს. მეტად ზამთრის და ზაფხულის უმცროასა კამდეს და ვარდის წყალსა და ქაფურსა ნუ იხმარებს, რომელ თმასა ადრე გაათეთრებს. და რაჲცა გრილი იყოს სურნელთაგან ეგრევე, და თმისა წაღებასა ესრე იტყვის ვითა პირველ თმაჲ დაღლიჯოს და ადგილი მისი ძმრითა და ას-
30 თიოშითა მრავალჯერ ზელოს, ანუ ბანბითა და იფრონითა და ძმრითა, და თუ თაფლი და მიანხორდი ერთგან გარიოს და შეაცხოს თმასა ძირისაგან წაუღებს. და ქრთილისა ფქვილი და ბაკილასა ფქვილი და ქარსნი და სომხური ბავრუჯი რაჲ შესცხოს თმაჲ არ გამოვალს. და ანჯირაჲსა თესლა ძელსა ერბოსა თანა შესცხოს და ძირისაგან თმისა წაღებაჲ საშეშო არს და არა ხაშს, რომელ გზაჲ თმათა შეიკრვის. რომელ თმასა მი ჰქვიან და საესებაჲ ღმერთან იცის.

ძ. დაბთალაჲ და დალჰაია. ორივე ერთი არს¹⁾ დაა თალაბ მელის კირი და დალჰაია გუელის კირსა ჰქვიან არაბულად. ვითარებაჲ მისი რაჲ სიხმელისგან იყოს.

ჯალინოს იტყვის: რომელ ესე მანკი მით შეიქნებოიან, რომელ ზაფრაჲ სისხლსა გაერიოს და სისხლი დასწუეს ზაფრაჲმან და უვარესი მანკი იგი არს, რომელ ზაფრაჲ მო-
40 რევილ იყოს, და ბნელი იყოს და მაშინ გამოჩნდეს ესე მანკი. რაჲ სიმბურვალით იყოს ნიშანი იგი არს რომელ კაცი ფერად ყვითელი იყოს და ტანისა მისისა ფერი მწუანედ მოაჩვენებდეს, და ხმელი და მზურვალი საკამადი უყვარდეს, და მანკისა ადგილი ეწუოდეს და ჰქაოდეს და ყვითელი ფერი იყოს.

¹⁾ აქ ერთი სტრიქონი ცარიელია. ამავე გვერდს კვეთო ამაზე რვეულთა სათვალავი სწერია თ, შემდგომი გვერდის ზემო ამაზე ი.

რამ სიმზურვალისგან იყოს ჯალინოს იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ დანგისა წონი და ნახევარი საყმონიაჲ ცოტასა მაწონსა შიგან გაგალოს და შესუსს რომელ მუცელი დაუღბეს, ზაფრამ ჩამოვიდეს, და დელამოტისა წყალსა სჭმიდეს რომელ გაწმდეს, და ნედლსა და გრილსა საჭამადსა იხმარებდეს ვითა აყრობ და ასუნახი და ქაშქი და ბატკინისა და თიქნის ხორცი და ამათი მსგავსი. და აბანოს მივიდეს და ნელი წყალი თავსა ისხას და ადრე გამოვიდეს, და მიწყით თავსა ცხმიანი და იჭირვიდეს.

მისამ იტყვის: რომელ კივლი გაიხსნას და ყელსა კიქამ მოიკიდოს, და მუცელი დაიღბოს ჰალილასა ფუხითა და საბრი და საყმონიაჲ და წითელი ვარდი ტყემლისა შარაბითა ჭამოს. და მანკისა ადგილი მქისითა მჭურითა შეზილოს, და თეთრი საქელი ძმ-
10 რითა ვითა მალჭამა უყოს და შესცხოს. და თუ ყონდუხისა ქერქი და მწუანე ნუში დაწყოს და ქურჯითისა ზეთითა შეზილოს და შესცხოს ერგებინს. და მლაშესა ერიდებოდეს და ზირა-
ბაჯსა ჭამდეს. და მანკისა ადგილი დეშაშროს და თავისი ხახვითა დია შეზილოს, რომელ სისხლი მისგან ჩამოვიდეს. და მაშინ ამოხალული სონიჯი ნუშის ზეთითა შეზილოს, და ზედა შემოსდეს და შესცხოს დია ერგებინს.

ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს საბრისა და საყმონიაჲსა აბითა და აფსანთინითა, და მერმე გოგირდი დანაყოს და ზეთის ხლისა ზეთითა და ძმრითა შეზილოს და ზედა შემოსდეს და ამით ზელდეს, კარგი არს. და თუ საკმელისა თეთრისა ქერქი კარგად დაწყოს და მერმე ღვინოსა გარიოს და მანკისა ადგილსა ზედა შემოსდეს, კარგი არს. და დათვისა და მგლისა ცმელი ძმრითა დაგალოს და ზედ შემოსდეს. და ღვინოსა და ხორცსა და ეგეთთა საჭამადთა რომელ გააძღებდეს კაცსა, და სინელელ ჰქონდეს ერიდებოდეს.

რამ სიგრილისაგან იყოს ვითარებაჲ მისი. მუჭამედ ზაქარია მს-
ძე იტყვის: ესე მანკი სამთავან იქნების: ერთი ბალღმისა დამწურისაგან და მეორე დაწურისა სისხლისაგან და მეტისა სევდისაგან რომელ თავსა მორეულ იყოს, რამ სიგრილისაგან იყოს ნიშანი მისი რომელ ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ მას ადგილსა თმამ არ იყოს და თეთრი იყოს და რაიცა დამწურისა სისხლისაგან იყოს შავად მოაწუნებდეს, და რამცა სევდისაგან იყოს შავი იქნების ფერად.

კურნებაჲ რა სიგრილი საგან იყოს. მუჭამედ ზაქარია მსძე იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იროფისის¹⁾ იარაგათა ესრე, შაჰში
30 ჰანტალი ორი დანგი, საბრი და თურბითი თევითასაგან დანგი, ყველასაგან დანაყილი უხმამან ჭამოს და მაძლარამან არწყიოს სიქანგუბინითა ნელითა და ცერცოვასა წყლითა. და თუ არ ერწყვიდეს ერთი ღრამის წონი ქანგარზადი ორსა დანგსა ბავრუკსა გაუროოს, და ნახევარსა ლიტრასა ცერცოვასა წყალსა შიგან გაჰროოს და ღრამისა წონი მარილი ნაფთი შიგან გაუროოს დანაყილი და სუას, თანავე არწყვეს და სტომოქსა ჰავისა გარევისაგან გასწმედს.

მასო მსძე იტყვის: ამის კირისა კურნებაჲ რამ სევდისაგან იყოს იგი არს, რომელ სამჯერ ოდენ აფთიმონისა ფუხთამა შეჭამოს ანუ აფთიმონისა აბი, ანუ ბასბასა უკიამ ერთი, იარიყინი ზუთისა ღრამისა წონი, შაჰშიჰანტალი ნახევარ ღრამისა წონი, მარილი ნაფთი და ყარაფული თევითასაგან ღრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი წყლითა შე-
40 ზილოს და აბად შექნას და რამცა უხმომან ორი ღრამისა წონი და ნახევარი შეჭამოს, და მაშინ ანჯირასა თესლი ძმელისა ზეთის ხლისა ზეთითა და ველურისა ტევანითა ავანსა შიგან კარგად გაგალოს და შესცხოს, რომელ თმამ ადრე გამოვიდეს. და მეყვეთა ერიდებოდეს და მზურვალთა და ტუბალთა საჭამადთა ჭამდეს და ნიშანი სევდოვანობისა იგი არს, რომელ რამ ადგილი მანკისა ხელითა მოიფხანო და დაზილო გაწითლდეს, და თუ არ გაწითლდეს არა-

1) როფისის.

ოდეს ერგების და არ გამართლდების, მით რომელ მანკისა დედა ტყავთა ქვეშეთ იქნების და გამაგრებულ იქნების ეგრეცა კურნება იგი არს რომელ მუცელი დაიღობონ როფისის იარათა, და მანკისა ადგილისა კირითა ანუ ლედვისა ფურცლითა მოფხანონ რომელ სისხლი გამოვიდეს და მერმე მალჰამითა ჰკურნონ რომელ გამართლდეს. ერგების მოწყალეობითა ღმრთისათა.

აჲ. თაჰვისა ტაჰვილი რომელ სიხსუშვალისგან იყოს. ვითარება მისი იოჰანა იტყვის: რაჲ სიმბურვალით იყოს მზესა დია ჯდომისაგან იქნების, ანუ ცეცხლისა წინა დია ჯდომისაგან და რაჲ შიგნით იყოს საჰამადთაგან იქნების რომელ დია ეჰამოს ხანგი, ნიორი და განდანა.

10 ნიშანი რაჲ სიმბურვალისგან იყოს. იგი არს რომელ პირი წითლად ედგას და თავისა და ყელისა ძარღუნი სისხლითა საესე იყენენ, და თვალნი წითლად ედგენენ, და ხმა დახდილი იყოს, და გრილი ჰაერი უნდოდეს.

იოჰანა იტყვის: კურნება იგი არს რომელ ქრთლისა წყალსა და კატკატოჲსა თესლისა წყალსა იხმარებდეს, და მკავეთა ხილთა ვითა ბროწყული, და ვაშლი და სიმბურვალესა ერიდებოდეს და რაჲ ბუნებაჲ გაუკეთდეს ვარდისა ზეთი ვარდის წყალსა გაუროოს და თავსა მოასმიდეს, ერგების, და ნილოფარსა და იასა უსუნებდეს და ამით ტლითასა გლიდეს და თავსა შემოსდებდეს. ვითარება მისი: თეთრი და წითელი სანდალი თვითო-საგან ზუთისა დრამისა წონი, ქაჰოჲსა თესლი ორისა დრამისა წონი, მამითა დრამისა წონი და ნახევარი, ნილოფარი ზუთისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი ქაჰოჲსა წყლითა, ქაჰოჲ

20 ხავარტი არს, ანუ ტირიფის ფურცლისა წყლითა შეზილოს და შუბლსა შემოსდებდეს და საჰამადსა ისრიშსა და თუთუბასა შეაქნევდეს.

ისაჲ იტყვის: ესე ტიმალი თავის ტკივილისა რომელ სიმბურვალით იყოს ერგების ვარდი და ბალბაჲ თვითოსაგან ოცოცი დრამისა წონი, ქუნარი, ხაშხაში არს და ვარჰარამის ძირი თვითოსაგან ოცდათი დრამისა წონი ყველა დანაყილი და გაცრილი ქაჰოჲსა¹⁾ წყლითა და იის ზეთითა შეზილოს და თავსა შემოსდეს და თუ მზისგან სტკიოდეს ნილოფარისა ზეთი და ვარდისა წყალი ერთგან გაუროოს და თავსა ასხმიდეს, და ისრიშისა რუბი მყინვარითა გაავარილოს და ვარდისა²⁾ დაასხას და იხმარებდეს და თავსა წნორისა ფურცლითა და კატკატოჲთა და მეშაბაჰარითა და ვარდისა წყლითა და სანდლითა და ბალბისა შემოდებითა არგებდეს.

30 ფოლის იტყვის: რომელ უკეთესი რგება იგი არს რომელ თავი მოიპაროს, და იისა ზეთი თოვლითა გაავარილოს და თხემსა ზედა დასდებდეს მით რომელ თხემისა ძული თხელი იქნების და ადრე აღხენს, და მხურვალთა ორთქლთა მოზიდავს და დია არგებს.

თავისა ტკივილი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარება მისი.

აბუჯარაჰ იტყვის: რომელ ესე მანკი მით იქნების, რომელ ფარდაგი თავისა გაციე-ბულ იყოს, და გრილსა ჰაერსა თავი შიშველი ყოფილიყოს, ანუ გრილი წყალი ესუას ანუ ცივსა წყალსა ბანილ იყოს.

ნიშანი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს რომელ პირის ფერი თეთრი იყოს, და რაჲ მხურვალი შემოსდგან დასწყნარდეს და სიცხისა ეჰამა უფროჲ არა სტკიოდეს.

აბუჯარაჰ იტყვის: კურნება იგი არს რომელ ტანისა ზეთი გაატფოს და თა-

40 ვსა ასხას ერგების. და თუ ცოტაჲ ფარფიონი გაუროოს უკეთესი იქნების და ყოველი მხურვალი ზეთი ვითა იარისა ზეთი და ყუსტისა ზეთი, მისთვის კარგი იქნების და ადარგონისა ზეთი და სოსანისა ზეთი რაჲცა პოვონ იცხებდენ თავსა და თავისა ტკივილი რაჲცა სიგრილისაგან იყოს და იხლატისაგან კურნება მისი იგი არს რომელ ტიმალი უყონ ბუნა-ჯითა და აქლილღმალნიქითა და ცერეკოჲთა და სისანბრითა და მარზანგოშითა. და მიწყით თავსა ნარგისი და სოსნისა ზეთსა იცხებდეს.

1) „ქაჰოჲსა“.

2) „შეცდომაჲ, უნდა იყოს „ვარდისა“.

მესია იტყვის: კურნება შისი იგი არს, რომელ შვიკი და პიტნა და ნასრინი და მარხანგოში, და სოსანი და იასამანი და შაჰასფარამი ქუნჯიდისა ზეთითა აღჯლონ და თავსა შემოსდვას, და პირი ამისსა ორთქლსა ზედა¹⁾. რომელ ყველასაგან უმჯობესი არს. და თუ ცერეცუასა ზეთი ანუ ბაბუნაჯისა თავსა, და ყურსა და ცხვირსა იცხოს კარგი არს.

30 ჰუნან იტყვის. ბაბუნაჯი თავისა ტკივილსა რომელ სივრცელისაგან იყოს ერგების გახსნილობისათვის, და თუ თავისა ტკივილი ძელი იყოს, ხაზდისა გული და ფარფონი და პილპილი და სხანძელი თვითო ერთმანეთისა ოდენი და ცოტად იფიონი თანა გაურროს და ძელითა ღვინითა შეზილოს და თავსა შემოსდვას. და ესე ტილე ერგების, მაგრა ამას წაპალსა უკანა აბანოას მივიდეს და აღრე გამოვიდეს. და თუ ბაბუნაჯი და აქლილალმალიკი თვითოასაგან ხუთი დრამისა წონი დანაყოს და სისანბარისა წყლითა შეზილოს და თავსა შემოსდვას ერგების.

30 კბ. თაჰისი ტაჰივილი ჩოფელ სინედლისაგან იყოს: ვითარებად მისი: ჯალინოს იტყვის: ესე მანკი ორფერად იქნების ერთი საკამადთაგან რომელ სინედლესა მოუმატებდეს, და ლილჰაგახ²⁾ რომელ ბუნებად ნედლი იყენენ, მეორე აბანოას დია ჯდომისაგან ნელსა წყალსა შიგან და ღიდხან ჯდომისაგან.

ნიშანი რაჲ ვითა ნაქირევისაგან იყოს: იგი არს რომელ დია დაქინებოდეს და მძიმელ იყოს ტანად ვითა ნაქირევისაგან, და მოვიწყებად მორეულ იყოს მისდა. კურნებად მისი რომელ სინედლისაგან იყოს:

ლმ. სუბათი თარგმანი დაძინებაჲ მიძიმდ. ვითარებაჲ სუბათისა. ბაყრატ იტყვის: 20 ეცე მანქი მით შეიქნების რომელ ბალდაჰი მოერიოს ტვინისა, და წინათა კერძოთა ნახევარსა ტვინსა ტვინისასა შეიყაროს, და დალბეს, და სუბათი სპარსულად საზომისაგან უფროა მძიმეთ დაძინებასა ჰქვიან.

ნიშანი სუბათისა მანკისაჲ. მძიმე ძილი იქნების რომელ სნეულმან ეგრე დაიძინოს, რომელ ყველა მისგნით არ გაიღვიძებდეს ნუ თუ დილითა ჰირითა, და რაჲ გაიღვიძოს თანვე თვალსა ერთმანერთსა ზედა დასდვას, და იქნების რომელ ბედითად უბნობდეს.

კურნებაჲ სუბათისა მანკისაჲ. ბაყრატ იტყვის: კურნებაჲ მისი იარაჲ ფეყირაჲთა იქნების ანუ იარაჲსა ჰაბითა, რომელ ტვინი და სტომაჰი ჰავისა გასარეველისაგან გაწმდეს და მხურვალითა ზეთთა თავსა იცხებდეს ვითა ნარსაქისა ზეთსა და ბაზუნაჲსა ზეთსა და სოსანისა ზეთსა და რაჲცა ამათ ჰვეანდეს, და თბილსა წყალსა თავსა იცხებდეს და აფსანთინისა ნაყისა იხმარებდეს, და ძეგლსა გულანგუბინსა ნელითა წყლითა იხმარებდეს, და თუ შეკრვით იყოს ფიცხელი ჰუენაჲ უყონ რომელ მუცელი დაულობონ, და ქერეშტითა და ხაზდის გულითა ცხვირთა და აცემიებდეს და თავი მოიპაროს.

მასარჯოა იტყვის: თუ მხურვალითა ორთქლთაგან ქნილი იყოს რომელ თავსა გახდომოდეს და ტვინსა წინა შეყრილ იყოს, ნიშანი იგი არს რომელ სნეული მძიმედ იყოს და აღრე არ გაიღვიძებდეს და მძინარე უბნობდეს დიაჲ, და მაჯასი სისხლითა საესე იყოს ხამს რომელ ზელი გაიხსნას და იისა შარაბსა აყიროასა წყლითა სმიდეს, და ძმარი ვარდისა ზეთსა გაჰრიოს და თავსა იცხებდეს რომელ ტვინი გაუძლიერდეს, და ვარდისა წყალსა თავსა იხმარებდეს, და საჰამდსა ურწყოასა ჰამდეს ზირაბაჯსა ანუ მუხუდის წვეწმ 40 ერგების.

ისაყ იტყვის: სუბათი მას შეიქნების რომელ ცხროიანი იყოს სხვათა სნებათა თანა და რაჲ სნებაჲ წავიდეს სუბათიცა წაუვა, მით რომელ სუბათი მით მანეთაგან იქნე-

¹⁾ ქერეშტი.

ბის. და თუ ბალღამიღან ქნილ იყოს რომელ თავსა შეყრილ იყოს ჰუყნაჲ უყოს, და ყოყი-
აჲსა ჰაბი იხმაროს და ცერეცოა და სისანბარი, და ბაბუნაჲ და მარზანგოში და აქლი-
ლაღმალქი ყველა შეგაბოლოს და ნელი თავსა ისხას ერგების, შეწვევითა ღმრთისათა.

სუბათი საპარისა ვითარებაჲ. ვითარებაჲ სუბათი საპარისა მანკისაჲ.
იოჰანა იტყვის: რომელ ბალღმისა და ზაფრისა მორენისაგან იქნების რომელ ერთ-
გან გაუთიონ, და რაჲ ზაფრაჲ შეიძრას სნეულსა ვაეღვიძების, და თუ ბალღამი შეიძრას და-
იძინოს დაბნედილივითა. ნიშანი მისი იგი არს, რომელ სნეული მას ჰგვანდეს რომელ არცა
მძინარე იყოს არცა მღვიძარე, და თვალი ღიაჲ ედგას ვითა მკვდარისა და ზოგჯერ ვითა
შმაგი ბედითსა უბნობდეს.

10 იოჰანაჲ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ წამალი მორაქაბი უყონ, არაბულად
მორაქაბი ვარეულსა ჰქვიან, და ორთავე მანკათვის საზომიერად და ჭამისა და კაცისა მი-
საფერად, და უკეთესი კურნებაჲ მისი დასაწყისსა ჰუყნაჲ არს ფრცხელითა აჲვეჯითა. თუ
ბალღამსა მოერიოს და თუ ზაფრასა უფროჲ მოერიოს ჰუყნაჲ ღმბილი უყოს, და თუ შეეძ-
ლოს ხელი გაიხსნას მეტად რაჲ მანკი ფიცხელი იყოს, და თუ არა ჰუყნაჲ უყოს მხურვა-
ლითა რომელ ბუხარი თავისაგან ჩამოიღოს, და ეგვიპტური ჰაბი რომელსა ჰქვიან ჰაბი
მისრი მას ერგების, და მას შაბიარისა ჰაბი ჰქვიან. და ბნელსა სახლსა დააწუნენდენ და
ეგეთთა მაჯუნთა იხმარებდენ რომელ ტვინსა გასწმედს.

თემით ყურაჲს ძე იტყვის: რომელ დასაწყისსა მანკისასა უკეთესი კურნებაჲ
იგი არს რომელ ვარღისა ზეთი და ძმარი ერთგან გაჰრიოს და ხაზღისა გული, და ფარ-
20 ფიონი და გავლილი სპანქელი ვარიოს, ბალღამსა ღია ერგების და თავსა გაამხურავდეს.
და ასოთა მხურვალი ზეთითა და აყირყირათა და ანჯიზასა თესლითა ზელდეს, და მარი-
ლი და ფეტვი ამას წამალსა მოუმატოს და თავსა შემოაკრას. და რაჲ მანკი დააქლდეს და
ტანსა ძალი მოემატოს აბანოჲს მივიდოდეს ცოცრულად, და რატათსა იქმოდეს, იარებოდეს
ნებასა.

როფის იტყვის: რომელ ფიცხელი ჰუყნაჲ უყონ და თუ ბალღამი მორეულ იყოს
ქერუსტი და თეთრი ხარბაყი და სონიჭი და ხაზღისა გული დანაყალი ცოტაჲ ცხვირთა
მოუსვას, და თავღლისა წყალი რომელ მხურვალითა სანელმბლითა შექნილი იყოს სტმიდეს,
და მუჟღისა წვეწას იხმარებდეს, და თუ ზაფრასა მოერიენეს ჰუყნაჲ ღმბილი უყოს, და ვარ-
ღისა ზეთი და ძმარი თავსა იცხოს და მესაჲსა დღესა თავღლის წყალსა სმიდეს ერგების
30 შეწვევითა ღმრთისათა.

ლვ. შხუხი და ჯუმოღი ორივე სიგრილისაგან იძნების. ვითარებაჲ მისი. ჰუყნა-
40 ჲ იტყვის: ვითა ორივე ერთი მანკი არს, ვითარებაჲ მათი ვრილისა და ხმელისა და
სქელისა სვედისაგან იქნების, რომელ ტვინსა ფარდაგთა შიგან მორეულ იყენენ და ესე
მუნით გამოაჩნდეს.

ნიშანი შეხუსისა და ჯუმუღისა მანკისაჲ. რგი არს რომელ სნეული
მკვდარსა ჰგვანდეს და თავისასა ვერგს შეიგებდეს, და ვერცა იძვიოდეს, და სულთქმაჲ მისი
არა ჩნდეს, და ამისითა გზითა ამას არაბულად შეხუსი ჰქვიან.

ჰუყნაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ფიცხელი ჰუყნაჲ უყონ და
ჯალინოსის იარაჲ იხმარონ, და იარაჲ ფეყირაჲ და შაჰმი ჰანტალი და საყმონია თეთროსაგან
40 საზომსა ოღენი სნეულისა ძალისა მისაფერი, და ჭამისა სიმხურვალისა და სივრილისა მისა-
ფერი, ჭამოს, რომელ თავი და ტვინი გასარეველსა ჰვისაგან გაწმიდოს, და რაჲ საჰამადი
მოუნდეს შურვაჲ ჭამოს შინაურითა ვარიათა შექნილი და მერმე აბანოჲს მივიდეს და
ტანი ხირისა ზეთითა ანუ იასამინისა ზეთითა, ანუ იისა ზეთითა ზელდეს, და ღია ნუ დაჯ-
დების აბანოჲსა რომელ ევენების.

დევეჯანის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ჰუყნად უყოს და თბილსა წყალსა სემიდეს, და თავი მოიპაროს და ხაზდისა გული და ფარფონი იასამინისა ზეთითა გაგაღონ და თავსა იცხოს, და თუ მანკი ძნელად იყოს და ამით, რომელ ვთქვით, არ იჯობინოს და წამლისა აღება არ შეეძლოს იარაბ ფეყირაბ იხპაროს ესრე, მასთაქე და ზაფრანა და სუნბული, და ბალანისა გული და შეშა მისი, და ასარონი და სალიხა და კილაომინი თეთოხასა ოდენი, საპრი ყველასა ოდენი ორი, ერთან დანაყილი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და ქვეყრსა შიგან ჩადვას და შეინახოს, და ხმარებისა ჟამსა ორისა დრამისა წონი იხმაროს ერგების.

10 ისაქ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ იასამინისა და ნასრანისა წყალი ცხვირთა უწითოს, და მუშესა და ღალიასა და სანდალსა უსუნოს, და ბაბუნასა ზეთი და სისამბრისა ზეთი თავსა იცხოს, და გვილან გვიბინი ძველი ქამოს, და საქამადსა დურაჯისა და თიპოასა ხორცსა ქამდეს რომელ შორაბად შექნილ იყოს.

ჯუმული რაბ სიგრილისაგან იყოს. ვითარება ჯუმულისა სიგრილისაგან იყოს. იოჰანა იტყვის, და ძველთა აქიმათა უთქვამს, რომელ ჯუმული ერთი ფერი არის შეხუსისაგან და ვითარება მისი სიგრილისა და სიხმელისაგან იქნების, რომელ ტენისა ნახევარსა უჯანის კერძსა შეეყაროს და მოერიოს და განძლიერდეს მას აღვილსა.

ნიშანი ჯუმადისა მანკისა. იგი არს, რომელ სნეული პირალმა იწვეს ანუ მკედრისაებრ ანუ მძინარისაებრ და ფერხთა და ხელთა არა სძრევედეს, და რაბზომასა უყვილებდენ პასუხსა არა გამოსცემდეს.

20 კურნება ჯუმადისა. იოჰანა იტყვის: იგი არს, რომელ ასტიმეონისა ჭაბი აფთიმონისა მატბუსსა თანა იხმაროს, რომელ გასარეველი სვედისა ტენისაგან ჩამოილოს ესრე: ჰალილა ყვითელი ჟურჯოა აოისა დრამისა წონი, ჰალილა ქაბულური და შავი თეთოხასაგან შეიღისა დრამისა წონი, ბალილა და ამულა თეთოხასაგან ხუთისა დრამისა წონი, შავი ტყემალი ოცდა ათი, ლაფითი და ზოხოსისა ენა რომელ ვავზაბანი ჰქვიან და ბადარანბო და უსტუხოლოსი თეთოხასაგან ოთხისა დრამისა წონი, ბასბასა დანაყილი სამისა დრამისა წონი, ყველა ხუთსა ლიტრასა წყალსა შიგან, შევაბოლოს რომელ ერთი ლიტრა მისგნით დარჩეს და ერთი დრამისა წონი დარიყონი შიგან ვაპიროს და ნელი ცისკრისა ჟამსა იხმაროს.

30 მასარჯოთა იტყვის: რომელ თუ სნეული სუსთად იყოს და მატრუსისა ჰამა არ შეეძლოს ჰუყნად უყოს, რომელ მუცელი დაუღბოს და იგი ხილტი რომელ ამის მანკისა დედა არს ჩამოიღოს, და მაშინ გულანგუბინი თბილთა წყლითა და თაფლის წყლითა იხმაროს, და მუშესა და ღალიასა უსუნებდეს და რაბ მოიჯობინოს და ტანსა ძალი მოემეტოს და ხელის გახსნა უნდოდეს ყიფალი გაიხსნას, და თუ არ შეეძლოს წვივთა ქიქა მოჰკიდონ, და თუ არ დაეძინებოდის იისა ზეთი და ნილოფრისა ზეთი თავსა იცხოს, რაბ მანკი გაქარდეს საქამადსა მუხუდის წევსა ურწყალსა იხმარებდეს და უჯანის დურაჯისა და ვარისა ხორცსა ქამდეს რომელ კალიად შექმნილ იყოს.

ლჟ. მალიხილია რომელსა ჰმინან სპარსულად დეჰანა. ვითარება მისი რომელ სიმხურვალისგან იყოს. მესია იტყვის: ესე მანკი ზაფრისა მორევისაგან იქნების ანუ სისხლისა სიფიცისაგან, რომელ თავსა შეიყარნენ და დაიწუას და მათი დაწუა მზისა სი-
40 ცისაგან იქნების, ანუ მხურვალისა და ხმელთაგან რომელ ექამოს ვითა ნიორი და ხახვი.

ნიშანი რაბ სიმხურვალისაგან იყოს. რაჟცა სისხლისაგან იყოს იგი არს რომელ, რაბ უყვილებდენ იცინოდეს და პირი წითლად ედგას, და ძარღუნი ადგომილ იყვნენ და რაჟცა ზაფრისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ბედითსა უბნობდეს დია და პირი ყვითლად ედგას და ტანი მკლედ, და არ დაეძინებოდეს.

კურნება მისი რაჟცა სისხლისგან იყოს: მესია იტყვის: რაჟცა სისხლისაგან იყოს კურნება იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას, და თუ არ შეეძლოს შუბ-

ლისა ძარღვი-გახისნას და ქრთილისა წყალსა სმიდეს, და ბროწყულსა მჟავესა და ტკბილსა მოსწოვდეს, და ლბილითა გასახსნელითა მუცელი დაუღბონ და იასა და ღალიასა და აფთიმონსა ჰამდეს, და მიწყით ქალისა დედისა სძესა და აყიროასა თესლისა ზეთსა და იისა ზეთსა, და ცოტასა ძმარსა და ვარდის წყალსა ერთგან გაადგენდნენ და თავსა იცხებდეს, და ფერხთა ნელითა ყვავილისა წყლითა ბანდეს, და ნიადაგ ნილოფარსა და იასა, და შამბალიდასა და შლასფარამსა, რომელ ვარდის წყალი მოპკურებულ იყოს უსუნებდეს, და ეგეთსა კაცსა თანა დაჯდებოდეს რომელ-ტურფაჲ კარგი და კარგ გული, და პაწოდ მოუბარი იყოს. და მწვანეილთა თანა ხავარტსა ჰამდეს, და ხილთაგან ვაშლსა და სხალსა და ბროწყულსა მჟავესა და ტკბილსა ჰამდეს, და დილაჲს ქრთილისა წყალსა და ჯუღაბსა და იასა

10 შარაბსა, და ლისანალბაყრისა წყალსა და მოფარიჰსა და ვაშლისა შარაბსა იხმარებდეს. ფოლის იტყვის: რაჲცა ზაფრისაგან იყოს გრილთა ზეთთა ცხვირსა ჩაუწოვბდეს, და იასა და კიტრის ქერქსა და აყიროას ქერქსა ნაყდეს და თავსა შემოსდებდეს, და მზესა და სიცხესა ერიდებოდეს და კიტრის გულისა ზეთსა თავსა იცხებდეს და ცხვირთა ჩაიწოვბდეს რომელ ტენისა გაუგროვებდეს და დაძინებდეს და ღვინოსა წყალსა სმიდეს ცოცოტასა.

იოჰანა იტყვის: ყივალი გახისნას და იისა ზეთსა და ნუშისა ზეთსა, და ნილოფარისა ზეთსა, და აყიროასა გულისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და ბანბაჲ ქალის დედისა სძითა დაალბოს და თავსა შემოსდეს, და თუ ქრთილი ქერქ გახდილი და ხაშხაშისა ქერქი, და იაჲ და ნილოფარი და ვარდი, და ხავარტისა თესლი ესე ყველაჲ წყლითა შეაბ-20 გოლოს და მიწყით ნელითა წყლითა თავსა ისმიდეს ტენისა სინედელსა მოუმატებს და ელხინების შეწყვეითა ღმრთისათა.

ვითარებთაჲ მალხიოლიასი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: რომელ ვითარებთაჲ მისი სვედისა მორევისაგან იქნების, ანუ მისისა ბუხარისაგან რომელ ტენისა შეყრილ იყოს, ანუ ხილტისაგან რომელ სტომაქსა შიგან დაიწყოს და მისი ორთქლი ტენისა გაუზდეს, ანუ ელწეთისაგან იქნების და ესე ყველასა უვარესია.

ნიშანი რომელ სიგრილისაგან იყოს: სვედისა ნიშანი იგი არს, რომელ ყოველივე ეშინოდეს, და უფროასჯერ კეთხესა დაჯდებოდეს და ცოტასა უზნობდეს, და ნიშანი მისი რომელ ელწეთისაგან იყოს იგი არს, რომელ დია ჰამდეს და არ გაძდებოდეს და 30 ვერ მოადნობდეს და ლბილად იყოს.

კურნებთაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს: მუჰამედ ზაქარის ძე იტყვის: იგი არს რომელ აფთიმონისა მათბუხი ჰამოს, და მერმელა ჰამი აფთიმონისაჲ რომელ ასონი მისნი გაწმდეს სვედითა; და მერმე აფთიმონისა მაჯუნე იხმაროს ესრე: აფთიმონი დანაყოს და ჩამიხი გაუროოს და ანუ ხუთი დრამის წონი ანუ ათი დრამის წონი იხმაროს მანკისა მისაფერად, და მისისა ძალისა მისაფერად, და კვირასა შიგან ერთხელ დანაყილსა აფთიმონსა სიქანგუბინითა!) იხმარებდეს, და ეგეთთა საქამადთა ერიდებოდეს რომელ სვედასა მოუმატებდეს.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: კურნებთაჲ მისი იგი არს, რომელ ყივალი გახისნას ფართოდ რომელ დამწქარი სისხლი გამოვდეს, და თუ სისხლი შავი იყოს გაუშვას 40 დია მუნამდე რომელ სისუსტე სნეულსა გამოაჩნდეს, და წმიდაჲ აყოს სისხლი შეუკრას და ნუ გამოიღებს. ანუ მუცელი დაუღბოს სიქანგუბინითა და ჯალინოსის იარაჲ ჰამოს და როფისის იარაჲ, და აფთიმონისა ფუხთაჲ დია ერგების, და საქამადსა შურევისა ჰამდეს ბატკნის ხორცითა, და ბატკნის ტენი და კვერცხის ყვითელი შაქრითა ერგების. და ჰამითა

1) ეს სიტყვა სტრიკონ ზემოდან არის ჩანატვებული დედნის ნელით.

სურნელთა უსუნებდეს და ტანისამოსსა ღობლსა და ფერქცეულსა ჩაიცვამდეს. და ცხიბიანსა და ტკბილსა საკამადსა ჰამდეს.

ისაკ იტყვის: თუ ელენთისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გახსნას და ბასბასასა მატუხი იხმაროს, დანაყილსა ღარიყონსა შაქრითა იხმარებდეს, მერმე თფილი მოფაროჲი ჰამოს, და საკამადსა ტკბილსა ზირაბაჯსა ჰამდეს, და კვირასა შიგან ერთხელ ექესისა დრამისა წონსა აფთიმონსა, უკით ერთითა სიქანგუბინითა იხმარებდეს ერგებოს, და ელენთისა წმალსა იხმარებდეს ვითა მანკისათვის გვითქვამს, და ბეჭესა გვარიშანსა და ვაშლისა გვარიშანსა ჰამდეს.

10 **ლმ. შუტრუბი კომელ დევიანოგიტ იძნეზიხ.** ვითარება ყუტრუბისაჲ რომელ სიშმაგისაგან იქნებოს. მასოჲას ძე იტყვის: ესე მანკი ორფერი არს სიშმაგისა და მხოლიასაგან, და უფროჲას ასბატისა თვესა იქნების და ასბატი მას თვესა ჰქეჲიან რომელ კატანი იძუენებოიან და იზახიან და სისხლისა დამწვარისაგან იქნების რომელ სეგდად შეიქნებოს ანუ მავნებლისა სეგდისაგან იქნების.

ნიშანი ყუტრუბისა მანკისა. იგი არს რომელ თვალნი ღრუჲად იყენენ და ტანი მჭელ იყენენ, და პირი ყვითლად ედგას, და ღამით სამაროჲანთა და ნახართა იარებოდეს და ჟამ ჟამ დაიზახებდეს.

კურნება ყუტრუბისაჲ. მასოჲას ძე იტყვის: კურნება დია ძლი არს ამისა მით, რომელ მანკი მისი დამწვარისა სისხლისაგან იქნების. კურნება მისი იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და ეგზომი სისხლი გამოიღოს, რომელ დაბნედასა მიეწუროს. და საკამადსა ვარიასა ჰამდეს შურვაჲთა, და ახლითა წჭრილითა თვეზითა აყიროჲთა და ხავარტითა შექნილსა, და ნუშის გულისა ზეთითა შექნილსა. და აბანოჲს მივიდოდეს და ნელი წყალი თავსა იხსას, და რაჲ გაძლიერდეს მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატუხითა და დელამოტისა წყალსა სიქანგუბინითა ჰამდეს.

30 **როფის იტყვის:** რომელ მანკისა სიფიცხისა ჟამსა ხელი გაიხსნას და საკამადსა ზედა გაუფრთხილდეს, და ცხურის ფერხსა ჰამდეს ასუნახითა და აყიროჲთა შექნილსა, და ამოზავებულსა კვირცხსა ჰამდეს, და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს და შვიი ჰალიოჲა და ამოლასა სძე და მასბაჲ და დანაყილი აფთიმონი ჟამჟამ ორისა დრამისა წონსა ჰამდეს დელამოტისა წყლითა ¹⁾ და ყველასაგან უმჯობესი ამის კირისათვის თირიყი ფარუყი არს, მაშა თუ უძილობაჲ გამოჩნდეს იისა ზეთითა და ქალის დედითა სძითა ბანბაჲ დაასოვლონ და თავსა შემოსდვან, რომელ ტენისა სინედლეჲა მისცემდეს და სიგრილესა.

მასარჯოჲა იტყვის: ხელი გაიხსნას, და იაჲ და ნილოფარი და ხაშხაშის ქერქი და ხავარტის თესლი წყლითა შევბგოლოს და ნელსა თავსა იხსავდეს, რომელ სინედლე მოემატოს და ძილი მოეკიდოს. და იისა ზეთი და აყიროჲს ზეთი ცხვირთა ჩაუწოოს და თავსა იცხოს. და აყიროჲსა და ხავარტისაგან საბოჲსაჲ ქნან ნუშისა ზეთითა და მას ჰამდეს, და საკამადსა გრილსა და ნედლსა ჰამდეს, მიწყით ნელითა წყლითა თავსა იბანდეს და აბანოჲსაგან აღრე გამოვიდეს, რომელ გამრთელდეს შეწყენითა ღმრთისათა.²⁾

30 **მანიჲა კომელ სიშმაგისაგან იძნეზიხ.** ვითარებაჲ მანიჲას მანკისაჲ. ჯალიონს იტყვის: ესე მანკი ზაფრისა სიფიცხისა და სიმხურვალისაგან იქნების, რომელ თავსა მოჭრიოს, ანუ სასვედოსა ხილტისა ფიცხელისაგან იქნების, და მანიჲა სპარსულად ფიცხელსა

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწიხე რეველთა სათვალავი სწერია „გ“ და შემდგ გვერდის ქვემო აწიხე „იღ“.

²⁾ ეს ორი სიტყვა გვერდის აწიხე სწერია დედნის ხელით.

ნიშანი მანიაქსი. იგი ირს, რომელ არ დაეძინებოდეს და დია შეშინდებოდეს რააცა პნახოს მისგან, და სწადდეს ზედითი საუბარი, და მიწყით ფერხთავე დახედადეს და ტანად მკლე იყოს, და თუ დაიძინოს შფოთი სიზმარი დიაა ეზმანოს.

კურნება მანიაქსა მანკისაჲ. ჯალინოს იტყვის: კურნება იგი არს, რომელ ქრთლისა წყალსა სმიდეს ნუშის გულისა ზეთითა, და ახლის აყირომსა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს, და მუცელი დაიღობს თამრი პინდისა წყლითა და ტყეშისა წყალსა და ნილოფარისა შარაბსა იხმარებდეს. და საქამადსა კრწყომასა მამათა შექნილსა კამდეს რომელ აყირომთა შექნილ იყოს. და მწვანელთაგან ხავარტი და არდი ჰამოს. და თუ იტოდეს რომელ მანკი არს დარჩომილი და სნეული შეძლებული იყოს, ლარიყონისა მატბუ-
10 ხი ჰამოს, და თუ არ შეეძლოს ჰამად ლბილითა ჰუყნაითა მუცელი დაუღობნ, და მაშინ ვარისა და ბატკნისა და თიქნისა ხორცსა აკმევედნ. და თაჲ მოჰპარსონ და იაჲ და ტირიფისა ფურცელი, და ნილოფარისა ფურცელი და ვარდი და ქრთილი დანაყილი და ქერქ შეხდილი და ხაშაშისა ქერქი ყველაჲ წყლითა შეაგბოლოს, და ნელი წყალი მისი თავსა ისხას, და ქალის დედისა სძე ცხვირთა უწოთს და თავსა ისხას.

იოჰანა იტყვის: ამის კირისა კურნება იგი არს, რომელ ხაშაშისა შარაბი ბროწყელისა წყლითა სმიდეს, და თუ არ დაეძინებოდეს ცოტად გაგლიო აფიონი აწოთს ცხვირთა. და ფერხთა აზელიებდეს, და აბანას მივიდოდეს და აღრე გამოვიდოდეს და უკანის ყიფალი გაიხსნას მეტად მაშინ რაჲ მანკი დამწურისა სისხლისაგან იყოს და საქამადთა ნედლთა და გრილთა ჰამდეს.

20 მიჰამედ ჰაქარიას ძე იტყვის: თუ მანკი სისხლისაგან ქნილ იყოს ყიფალი გაიხსნას, და თუ დამწურისა ზაფრისაგან იყოს მუცელი დაიღობს აფთიმონისა მატბუხითა ანუ ჰალილასა მატბუხითა, და თუ სევდისა და მისისა სიფიციხისაგან იყოს, აფთიმონისაჲ იარაჲ და უსტუხოოდოს თვითოასაგან ზუთისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი და გაცრილი დიდროანად ჰაზად შექმნას და რაჲ ტანი გაეწმიდოს ყოველთა ღამეთა გამოღებით ორსა დრამის წონსა იხმარებდეს, ერგების შეწვევითა ღმრთისათა.

ლთ. უძილობაჲ და ვანვანისა სიძრაჲჲ. ვასვასა და უძილობაჲ და ვითარებაჲ მისი. მასაჯროაჲ იტყვის: ზაფრისა სიბნელისა და მორვევისაგან იქნების, რომელ ასოთა შიგან სისხლი დასწყუას ზაფრამან, და სიხმელე ტანსა გამოჩნდეს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ მაჯასი ფიცხლად
30 უფეთქდეს და სწყუროდეს, და ცხვირი ხმელად ედგას და პირი ყვითლად, და უძილობაჲ და სიმღვიძარე დია იყოს.

კურნება რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მასაჯროაჲ იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაიღობს ტყეშისა შარაბითა და ვარდისა შარაბითა, და ციქსა წყალსა თავსა ისხმიდეს და ვარდისა ზეთი და ვარდისა წყალი და ძმარი ერთგან გაპრიოს და თავსა იცხოს, და იისა ზეთი და აყირომსა ზეთიცა თავსა იცხოს ერგების. და ისრამსა აყირომთა შექნილსა ჰამდეს და მწვანელთა თანა ხავარტი ჰამოს და ნუშისა ზეთი და კიტრის გულისა ზეთი, რომელ იითა გაზრდილი იყოს, თავსა იცხოს და ცხვირთა იწოთს რომელ დაიძინოს და სინედლე მოუმატოს. და თუ ამათ ზეთთა აყირომსა და ხავარტისა თესლი გაპრიოს უძლიერესი იქნების და უფროჲ ერგების, და ყოლაჲ ქაფურსა ნუ იხმარებს
40 მით რომელ სიხმელესა მოუმატებს და ძილსა გაუკრთობს.

ჰუნადან იტყვის: კურნება იგი არს რომელ ყვავილთა შემებართა წყალი რომელსა ჰქვიან ასფრამამბი, და ხაშაშისა ქერქი და ქრთილისა ფქვილი თავსა შემოსდვას. და თუ ქალის დედისა სძე თავსა მოიწველოს კარგი არს, და ნილოფარისა ზეთი და იისა ზეთი ცხვირთა უწოთს, და თუ ღვინოსა სმიდეს, წყალრეული სუას, რომელ სინედლე მოუმატოს და ხაშაშისა შარაბსა სმიდეს.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: რომელ არა ყველა უძილობაჲ საქმისათვის ანუ შექვიერებისათვის იქნების, ისთფერალი იქნების რომელ ზიანი არა იქნების მისგნით, და სიმღვიმარე რომელ უსაქმოდ იყოს საჭამადისა მონდომისა წაუღლებს კაცსა და თუ რას სჭამდეს ვერ მოიღწიოს მით, რომელ ბუნებაურსა ძილსა გახსნის. და კურნებაჲ მისი ეგრე იქნების რომელ მისგნით ნიშანი გამოჩნდეს, და უძილობაჲ რომელ საზომისაგან გარდევდეს.

კურნებაჲ მისი ი. იგი არს რომელ აღრე ჰკურნონ, და თუ მოლაფლდინდნ და არ ჰკურნონ მისგან თაშანუჯე გამოჩნდების, და მისი კურნებაჲ გაძნელდების. და ნუ მოლაფლდეს რომელ გამრთელდეს და არ გაუძნელდეს და ერგოს შეწვევნითა ღმრთისათა.

ვასვასაჲსა ვითარებაჲ რომელ სიგრილისაგან იყოს: იოჰანაჲ 10 იტყვის: რომელ დია სიმღვიმარე და ვასვასაჲ დამწუარისა სევდისაგან იქნების, რომელ ზაფრად და მწვარ იყოს, ანუ სევდისაგან იქნების რომელ სიფიცით დამწვარ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ძილი ვაკრთეს და თუ დაიძინოს შფოთი დია ეზმანოს, და მაშინვე ვაკრთეს, და ბედით ბუღითსა უზნობდეს და იგონებდესკა.

კურნებაჲ იგი არს. იოჰანა იტყვის: რომელ ასფარამთა წყლითა თავი დაიბანოს, და თუ ტირიფის ფურცელი და ხაშხაში და ბაბუნაჲ და აქილაღმალქი წყლითა შეებოლოს და მაშინ მას დილად და საღამოდ თავსა შემოსდებდეს ერგების, დი ტვინსა გაუძლიერებს, და იისა ზეთი და ნილოფარისა ზეთი ქალის დედისა სძესა გაუროოს და ცხვირთა უწითობდეს დაეძინების, და რაჲ დაეძინოს წამალთა ძალი ტვინსა გაუხლებდეს და 20 ერგების და ამით ზეთსა ეგების და ჰამოთადა ნატიფთა საჭამადთა აქმედვი და დედაკაცსა თანა მისგლა ამას კირსა დია ერგების და არ მისგლაჲ დია ავენებს საზომისგან უფროჲ.

მე. გოვიწყებაჲ არ ღაწავლაჲ. ვითარებაჲ მოვიწყებისაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე მანჯ რაჲცა დედის შობითგან იყოს კურნებაჲ მისი არა ეგების, და რაჲცა სხუასა მანჯისაგან ქნლი იყოს მისგნით ეგების მოჯობინებაჲ, და მისი ვითარებაჲ ბალღმისა სინდელისა და მორვევისაგან იქნების.

ნიშანი მოვიწყებისა. იგი არს, რომელ დია დაეძინებოდეს და გაღვიძებაჲ ეწყინებოდეს, და თავი მძიმედ ჰქონდეს და ყურთაგან ჟუვილი ესმოდეს, და გასიეფულ იყოს და ბედითსა უზნობდეს, და ეგების რომელ აცხოვებდეს.

კურნებაჲ მოვიწყებისაჲ: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რაჲცა 30 ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ ძველსა გულანგუბინსა და თავლისა შარაბსა რომელ მხურვალთა საწყლებლითა შექმნილი იყოს იხმარებდეს, და ზანჯაბილისა გუარიშინსა კამდეს და ეგეთთა რომელ თავისგან სინდელე მოაკლოს, თავსა შემოჰკვირიდეს და მყავეთაგან ერიდებოდეს, და მუხულის წვეგნსა და კალიასა კამდეს. და უკეთესი წამალი მისი იგი არს, რომელ ბალადურისა მაჯუნე იხმარონ ესრე: ქაბულური ჰალილაჲ და ბალილაჲ და ამოლაჲ უგურკოჲ თვითოასაგან ორისა დრამისა წონი, ბალადურისა თაფლი ესრე: გამოიღონ თავი მოჰკეთონ ცოტაჲ ანუ მარმარილოსა ქვასა ანუ სხვასა რაჲსმე ქვასა ეგეთსა რომელ არ იწოვდეს, ზედა დადვან ნაკვერცხალსა ზედა ქვაჲ დადვან, რაჲცა მისგნით ზეთი გაჰვიოდეს ზეთი იგი არს, სხუაჲ ფიტი უზმარიაჲ. ბალადურისა თაფლი და ჰაბალთარი 1) და სული თვითოასგან სამისა დრამისა წონი შაქარი ტაბარზადი უკიაჲ ერთი ყველა 40 დანაჲლი და ვაკრილი თაფლითა შეზილოს და ექვსსა თვისა შეინახოს და მაშინ თვითოჲ დრამისა წონსა იხმარებდეს ერგების, და თუ ბაბუნაჲ და აქილაღმალქი და მარ-ზანჯოში წყლითა შევაბოლოს, და ნელსა წყალსა მისსა თავსა იხსნიდეს ერგების. და თუ პიტნაჲ და ქონდარი-დანაჲოს და შუბლსა შემოსდვას კარგი არს. და იარაჲ ფეყირაჲსა და

1) ჰაბალარი.

ყოყიასა ჰაბსა ჰამდეს ღია ერგების მეტად მაშინ რაჲ მას უკანაჲ მასტაქესა გვარიშნი ჰამოს და ზანჯაბილი.

მასარყოჲ იტყვის: ვითა ესე მანკი სველისა ხილტისა მორგენისაგან იქნების. ნიშანი მისი იგი არს, რომელ სწული თელსა არ იკამკამებდეს. კურნებაჲ იგი არს, რომელ აფთიომონისა მათუბთჲ ჰამოს და თუ შეეძლოს შაჰში ჰანტალი და ბასბასა და აფთიომონი და პიტნაჲ¹⁾ წყლითა შებგოლოს და ჰუენაჲ ქნას. და დელამოტისა წყალსა სმიდეს და ქრთილის წყალსა იხმარებდეს იისა შარაბითა, და ნილოფრისა შარაბასა სმიდეს ღია ერგების და აღხენს, შეწეწითა ღმრთისათა.

არ დასწავლისა ვითარებაჲ. იოჰანა იტყვის: არ დასწავლისა ნიშანი 10 იგი არს, რომელ ბალამა პირსა შიგან შეიყაროს და დასწავლაჲ შიგან ვერ შემზღებოდეს, და მისგნაცა იქნების რომელ დაბადებით სიხმელე იყოს მიზეჯთა შიგან, და ესე ორივე ბუნებასა და გონებასა დასწავლად არა მიუშვებს.

ნიშანი არ დასწავლევობისა. რაცა ბალმისგან იყოს იგი არს, რომელ მისგან სუბათი გამოიწდეს. ძნელად და მაგრად დაძინებასა ჰქვიან სუბათი. და თავი და ტანი მძიმედ ჰქონდეს, და ტენი ნელად იყოს და ჩამოვიდოდეს, და რაცა სიხმელისაგან იყოს იგი არს, რომელ არ დაძინებოდეს და პირი ხმელად ედგას.

კურნებაჲ მოვიწყებისაჲ. იოჰანა იტყვის: არაკი ამის მანკისა ვითა გამდნარი ცვილი არს რომელ სიქასა არ აიღებდეს, და რაჲ ღია მგვარი იყოს მაშინ სიქასა სიმგვრითა ვერ აიღებდეს. მაჴა ხამს რომელ შუა იყოს. კურნებაჲ მისი რომელ ბალ- 20 ღმისგან იყოს, რომელ იარაგ ვეყირაჲსი და ანუ ხაზლისა გული და აყირაყირაჲ, და შაჰში ჰანტალი და როფისის იარაგ, და ჯალინოსის იარაგ და ლოლადისა იარაგ, და ანუ ბალადურისა გვარიშნი და რაცა ამათ ჰკვანდეს იხმარებდეს, მით რომელ ესე ყოველი დასწავლასა ერგების; და ტილესა იქმოდეს სპანძელისა და ხაზდის გულისა და ფარფონისაგან, და გომიზი და ველურისა ტევანასაგან, ესე ყებულაჲ დანაყოს წმიდად და წყლითა შეზილოს და თავსა შემოსდვას. და რომელიცა ასოჲ რომელ ბალმისა მორგენისაგან დასუსთებულ იყოს ესე ტიმაღი მას ერგების. მუშქი და ყარამუული და ჯაფზი ბოიჲ, და მარზანგუში და აყირაყირაჲ მიწყითმცა პირსა შიგან ჰქონდა, და თუ საჰამადსა გაჰკრიოს და ჰამდეს ერგების. და სპანძელი და ცერეცო და მარილი და განდანაჲ, და მუხუდის წვენი და ღვინოჲ ესე ყველაჲ რაჲ იხმაროს კარგი არს.

მესიაჲ იტყვის: მუცილი დაიღბოს იარაგთა და მაშინ თაფლსა ჰამდეს, და თუ ბაზუნაჲ და სისანბარი, და ცერეცო და პიტნაჲ და მარზანგოში წყლითა შევებოლოს, და მისი წყალი ნელი თავსა ისხას. და საჰამადად ჩიტისა ხორცსა ჰამდეს მუხუდით შექნისა, და ხმელი და მხურვალი ყველაჲ აშენია.

კურნებაჲ მისი რაცა სიხმელი სავან იყოს. იგი არს, რომელ ხირისა ზეთი და სოსნისა ზეთი თავსა იცხოს და ბაზუნაჲ და აქლილოლმოლიქი და იაჲ შევებოლოს და წყალი მისი თავსა ისხას. და საჰამადსა მხურვალსა და ნელსა იხმარებდეს ვითა ბატკნისა ხორცი და კვერცხის ყვითელი, და ღვინოჲსა სმიდეს ერგების შეწეწითა ღმრთისათა.

88. **ქაბუსი რომელი მინარასა ჯადა დააწვების, ხიბალიჲი ჰვიან.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიხმურვალისაგან იყოს. ისაჲ იტყვის: რაჲ ესე მანკი დაძებულდეს დასცემს კაცსა, 40 და მას დაცემასა არაბულად სარიჲ ჰქვიან და სპარსულად ბადაფჯანი, ქართულად მტერსა და ცემაჲ, და ამის ხიბალიკისა დაწოლაჲ სისხლისა სიმეტისაგან იქნების რომელ ტანსა შეიყაროს, ანუ მხურვალთა საჰამათაგან რომელ ბუნარი ქნას ვითა ნიორი ხახვი. და განდანაჲ და მსგავსის ამათი;

¹⁾ ეს წინადადება „და ბასბასა და აფთიომონი და პიტნაჲ გვერდსა აქივე სურათი დედნის გეოლოგ“

ნიშანი რა ა სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ პირი წითლად იყოს და ღია დაქინებოდეს; და მძინარესა ვერე ეგონოს რომელ დასწოლია რაჲმე, ანუ მძიმე რაჲმე დაუხურავს მას ზედა.

კურნება მისი. ისაყ იტყვის: იგი არს, რომელ ყოფალი გახსნას და მუცელი დააღბოს და ტყემლისა წყლითა, და ტუტაჲსა შარაბითა ანუ ბროწეულისა შარაბითა, და მიწმისისა წყლითა და ვარდისა ზეთი და ძმარი და ვარდის წყალი ერთგან გაჰროს და თავსა იცხოს, და სიქმასა უცხობოჲსა იხმარებდეს, და ისა მატუხუთა და ყვეთელსა ჰალი-ლაჲსა ჰამდეს. და ქალის ღედისა სძე და აყროჲსა თესლი, და ვარდის წყალი და ცოტაჲ ძმარი თავსა იცხოს. და გრილთა და ნედლთა სურნელთა უსუნებდეს ვითა იაჲ და ნილო-ფარი და შამბალიდი და ლისანალბაყარისა წყალი, და გრილი მუფარაჰი იხმაროს რომელ ელხინოს.

არზიასიოს იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ წვივთა ქიჲა მოჰკიდოს, და ღია ჰამისა და ღვინისა სმისა და მხურვალთა და ხმელთა ჰამისაგან ერიდებოდეს, რომელ ბუხარი მათი აენებს, და ტკბილსა და მტავესა ბროწეულსა მოსწოვდეს, და ისრიმისა შარაბასა სუმიდეს, და მუცელი დაიღბოს ჰინდურისა თამრისა წყლითა და ტყემლისა წყლითა, და უჯანის ჯულაბი სუას, და სანდალსა და ვარდის წყალსა შუბლსა იცხებდეს, და ქაფურსა და იასა და ნილოფარსა უსუნებდეს, და სტომაჰი განაძლიეროს და ვაშლისა შარაბითა და ბროწეულისა შარაბითა რომელ ჰავი მანკი და ბუხარი სტომაჰისაგან თავსა არ გაუხდეს. და საჰამადსა თუთუბისა ურწყოჲსა ჰამდეს და ისრიმისასა.

თე მით ყურაჲს ძე იტყვის: სხვაგებრ ჰაბუსი არს ჰავთა მანკთა ბუხართაგან რომელ თავსა გახლმოდეს, და რაჲ მას ჰკურნებენ ადრე ელხინების, და სხვაჲ ნამეტნავისგან იქნების რომელ ტვინსა შეყრილიყოს და ამას ადრე უნა კურნებაჲ მით რომელ ფუროსი იგი იქნების, რომელ კაცსა დასცემს საირად რომელსა ჰქვიან ქართულად მტერ დაცემული, და რაჲ შეიგნეს. თუ რომელსა მანკისაგან სკირს, ეგეთი წამალი იხმაროს რომელ თავისგან იგი ხილტი ჩამოიღოს, და თუ სისხლისაგან იყოს ხელი გაიხსნას.

ვითარებაჲ რა ა სიგრილისაგან იყოს. მასოჲს ძე იტყვის: ესე მანკი ღიადისა ბალღამისაგან იქნების რომელ ტვინსა თავისასა და მისთა ფარდავთა მიერთოს. და იგი ღია ჰამისაგან იქნების და ელდისგანცა, და ანუ სქელთა ორთქლთა და ბუხართაგან რომელ ტვინსა შიგან იყოს.

ნიშანი რა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ თავი ემძიმებოდეს და ღამით ეაშუჲმ შეშინდეს. შეკრთეს ძილისაგან, და ასონი სუსთად იყენენ მისნი, და პირისა და ცხვირისაგან წყალი სდიოდეს, და პირი წითლად არ ედგას.

კურნებაჲ მისი რა ა სიგრილისაგან იყოს. მასოჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშინსა ჰამდეს, და ძირაჲსა გვარიშინსა და გულანგუბინსა მტერ რაჲ უშოჲა იყოს მაშინ, და აბანოჲსა იხმარებდეს და საჰამადთა ჰავთა და უღნობთა ერიდებოდეს, და მუხუღის წვესსა და მუტანჯანსა ჰამდეს. და თუ ამით არ გავკრლდეს აფთიმონისა მატუხუხი ჰამოს და სტომაჰი გაიწმიდოს ჰავთა საჰამადთაგან, და საჰამადად სფედაბადაჲსა და შორკასა ჰამდეს ბატქინისა ხორკითა და ვარისა და კვერცხისა სიყვითელესა ფანიდითა, და ჰამოთა სულნელთა უსუნებდეს ვითა მუშკი და ღალაჲ და ჩინდანი რომელსა ჰქვიან სანდალი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს და ტკბილი თაფლანი რაჲცა ნუშის გულის ზეთითა იყოს ჰამდეს.

მუჰამედ ზაჰარიჲს ძე იტყვის: რომელ კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ მრავალჯერ ყოყიასა ჰამი ჰამოს რომელ სტომაჰი მანკის დედისაგან გაწმდეს, და ეგეთსა გუაროშინსა ჰამდეს რომელ ბალღამსა მოადნობდეს ვითა მი-საჲსა გუაროშინი და ზანჯაბილისა გუაროშინი. და ქვეშეთნი ასონი ვარდისა ზეთითა დაა-ზელიოს და ალვაჲ და ვარდი წყლითა შეაგბოს და მისგნით ჰამდეს და თავი ცერეცოჲსა

ზეთითა და იასამინისა ზეთითა აზღლიოს. და საქამადსა ზირაბაჯსა ჭამდეს და კალიასა ჩი-
ტის ხორცითა შექნილსა.

ჭუნაძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყოყიასა ჰაბითა მუცელნი
დაიღობოს, და მაშინ სიქანგუბინისა თესლითა შექნილსა ჭამდეს, და სისანბარსა და მარზან-
გოშსა და ასფარამსა უსუნებდეს და თუ თეთრისა იასამინისა ზეთი და ხირისა ზეთი თავსა
იხბოს ერგებოს, და ყველასაგან უმჯობესი იგი არს, რომელ ძველი გულანგუბინი ბერძულსა
ბადიონისა თესლსა, რომელ მას ანისონი ჰქვიან, გაუროს და უზმაჲ მას ჭამდეს და ღურა-
ჯისა ბარტყსა მოტანჯანათა შექნილსა ჭამდეს, ადრე გამრთელდების.

მზ. ბადლაზბანისა კურნებაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად სარინი და ძართულად
10 მძმრტა დაცემა. ვითარებაჲ მისი რომელ სიმზურვალისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის:
ესე მანკი და ჰირი სისხლისა ანუ ბალამისა, ანუ სვედისაგან ანუ გრილთა ქართაგან იქ-
ნების, და რაჲცა სისხლისაგან იყოს მისგნით არს, რომელ ღია სისხლი შეიყაროს თავსა და
მოეროს, და ბუხარი და ორთქლი მისი ტვინსა გაუხდეს.

ნიშანი მისი რაჲ სიმზურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ თავისა და
პირისა და ხელისა ძარღვი სისხლითა სავსე იყოს, და დაცემასა უწინა პირი გაუწითლდეს
და მაშინდა დაეცეს, და ეგებოსცა რომელ ცხვირთა სისხლი წაექციოს.

კურნებაჲ მისი. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ ტვინთა ძარღვი გა-
ხსნას ანუ წვივთა ქიქაჲ მოჰქიდოს, და საქამადსა ცოტასა ჭამდეს მეტად ეგეთთა, რომელ
სისხლსა მოუმატებდეს ვითა ცხვირის ხორცი და კვერცხისა ყვითელი, და ღვინოჲ და

20 ტკილი და ცხიბიანი ყველასა ერიდებოდეს, და ამით ჰაბითა მუცელი დაიღობოს ვითარე-
ბაჲ ჰაბისა: ბალარკი და შაჰთარაჲ და საბრი თეთითაგან დრამისა წონი თურბიდი
ნახევარ დრამისა წონი, შაჰი ჰანტალი დანგი და ნახევარი საყმონიაჲ ყერატი ყველაჲ და-
ნაყილი და ვაცრილი ჰაბად შექნას და იხმარებდეს.

აბუჯარაჰ იტყვის: ხელი გაიხსნას და ცხვირთა სისხლი იდინოს, და სიმძღვრესა
ზედა პურსა ნუ ჭამს, და ხორცსა და თაფლიანსა ერიდებოდეს და მკავეთა ხილთა წყალსა
იხმარებდეს, რომელ სტომაჰი გაწმედეს და ტვინი გაუჯგრიდეს, და სისხლისა სიფიცხე დას-
წყნარდეს, და ეგეთთა საქამადსა რომელ სისხლსა გაახურებდეს ერიდებოდეს, და ტანსა
ტყემლისა შარბითა და შაქრითა, გასწმედდეს და ვარდის წყალსა და ქაფურსა თავსა იც-
ხებდეს, რომელ ტვინი გაუძლიეროს და თეთრთა და მზურვალთა საქამადთა ერიდებოდეს,
30 აბანოსა ყოვლადვე ნუ მივალს.

ჭუნანი იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და თუ შეეძლოს
ქიქაჲცა მოჰქიდოს და საბრისა ნაყითა მუცელი დაიღობოს ესრე: ქაბულური ჰალილაჲ ხუ-
თისა დრამისა წონი, ბალილაჲ და ამოლაჲ და ხამი აღვაჲ თეთითაგან დრამისა წონი და
ნახევარი, აფსანთინი ორისა დრამისა წონი, ბადვარდი დრამისა წონი, და ნახევარი, სუნ-
ბული რომელსა ჰქვიან ფაჰარი და ყარანფული და ბალანისა მარცვალი თეთითაგან
დრამისა წონი, პიტნაჲ ხუთისა დრამისა წონი, ყაყულაჲ და ვარდი თეთითაგან ორისა
დრამისა წონი, ყველაჲ ოთხითა ლიტრითა წყლითა შეაგბოლოს ეგრე რომელ ლიტრაჲ
მოიყაროს, და მარადღე მისგან ოთხსა უკიასა იხმარებდეს რომელ გამრთელდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე
40 იტყვის: რომელ ესე მანკი რაჲ ბალღმისაგან იყოს მით არს, რომელ ბალღამი თავსა და
ტვინსა შიგან შეყრილ იყოს და მოეროფეს და უკანის ტვინით შიგნით გამაგრებულ იყოს,
რომელ მას გზასა დაუყოფს, რომელ სულისა გზაჲ შემოსავალი და გასავალი იყოს.

ნიშანი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ასონი სუსთად ეღ-
გნენ და ფერად თეთრგუბარი იყოს, და ცხვირთა წვინტლი შეყრილ იყოს, და რაჲ დასცემ-
დეს პერულსა ღია ამოიღებდეს პირსა შიგან, და გრილისა გასარეველისაგან იქნების რომელ
დიდი ეჭამოს სიგრილე.

კურნება მისი იგი არს. მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: რომელ როფისა იარაბთა და ყოყაას ჰაბითა ტნი გაიწმიდოს, და მაშინ ზანჯაბილისა გვარიშნსა იხმარებდეს, და ძუელი გვილანგვიბინი თაფლითა წყლითა გავალოს და იხმაროს, და ეგეთითა წამლითა რომელ ბალამსა თვისაგან ჩამოიღებდეს ღარღარაჲსა იქმოდეს და ლათისა და მუშქსა უსუნებდეს და დია ჰამასა და სიმთვრალესა ერიღებოდეს და მუხუდისა წვენსა და კალიასა იხმარებდეს, და ჰერმისისა იარაჲ და საბრისა იარაჲ მას ერგების, და აყირაყირაჲ გავლილი თაფლითა შეზლოს და რაჲ დღე სამისა დრამისა წონი იხმაროს.

10 ის აკ იტყვის: რომელ უკეთესი კურნება რაჲ ბალმისგან იყოს იგი არს, რომელ არწყიოს ეგეთითა რომელ ბალამსა ჩამოიღებდეს, და სოსანისა ზეთი ნაკრტესა იცხოს და ცოტაჲ იარაჲ შემოაყაროს და ხორბთა ჩაყოს არწყევს, და ზამთრი ხმელი ზოფაჲ შემგბარი ერგების, მით რომელ სინედლესა წაულებს და მყერდსა და სტომაქსა გასწმედს, და მრავალი კაცი ამის ჰირისაგან ამით წამლითა დახსნილან, და ზაფხულის აფსანთინისა მატბუხი და სიქანგუბინი ანსული ერგების.

როფის იტყვის: ვითა ყოყაასა ჰაბი და ასტუხიყონისა აბი იხმაროს, და ესე აბი უმჯობესი არს ყოვლისა წამლისა, ვითარებაჲ მისი: ასტუხოდოსი და შაჰინჰანტალი და ხაზდისა გული თვითოსაგან დრამისა წონი ერთი, იარაჲ ფეყირაჲ ოთხისა დრამისა წონი, ღარიყონი ორისა დრამისა წონი ყველა დანაყოს და ჰაბად შექნას და ხმარების ეამსა ორისა დრამისა წონი იხმაროს ანუ სამისა დრამისა წონი სნეულისა სტომაქისა მისაფერად და სიცივისა და სიციხისა ეამისა და ჰაერისა მისაფერად, და ხმელისა ზოფაჲსა მატბუხითა 20 ღარღარაჲჲ ქნას, და სიმადღრითა არწყიოს რომელ მანკისაჲ დღედა ადვილად წამოვიდეს და სტომაქი გაწმედს შეწვენითა ღმრთისათა.

მდ. ბაბართა დავაჲჲა რომელ სავდისაგან იყოს ანუ გრილთა ძარტაგან. ვითარებაჲ მისი რაჲ სევდისგან იყოს. მასარჯოჲაჲ იტყვის: რომელ ესე მანკი რაჲ სევდისგან იყოს უძნელესი არს, უფროჲ ძნელად იკურნების და იგი ზაფრისა მორევისაგან იქნების რომელ ტვინსა გაუხდეს, და ანუ მას ძარღუთა შიგან რომელ სულთაჲ გზაჲ არს მუნ დამკვიდრდეს.

ნიშანი რაჲ სევდისაგან იყოს. იგი არს რომელ კაცი წვრილი და ხმელი იყოს და საჰამადსა დია ჰამდეს, და პერული დაცემისა ეამსა რომელ ამოილოს, მგავე იყოს, და რაჲ ზომიცა პერული უფროჲ იყოს ჰირი უძნელესი არს ¹⁾.

30 კურნებაჲ მისი. მასარჯოჲაჲ იტყვის: იგი არს, რომელ დიდხან აფთიმონისა მათბუხსა ჰამდეს და ჯალინოსისა იარაჲსა იხმარებდეს და ნატიფთა საჰამადთა ვითა ბატკნისა ზორცა და კვერცხისა ყვითელსა, და ღვინოსა წყალსა რეულსა სმიდეს და მუშქსა და ლალიასა უსუნებდეს, რომელ ტვინი გაუძღაერდეს და მიწყით აბანოასა მივიღოდეს მაგრამ დია ნუ დაჯდების რომელ ევნების.

როფის იტყვის: კურნებაჲ ამის მანკისა იგი არს, რომელ აქაჰლისა ძარღვი გახსნას, და რაჲ კვირაჲ ერთი გარდახდეს აფთიმონისა მატბუხი ჰამოს, და შინაურისა ქათმისა კალიასა ჰამდეს. და მწვენილთა თანა ხავარტი და არღი ჰამოს, რომელსა ჰქუთიან არაბულად ჰინდუჲ და სპარსულად ქასნი, და ნარსაქსა და კალნაბსა და ბდინჯანსა და ეგეთთა საჰამადთა რომელ სევდასა მოამატებდეს ერიღებოდეს. და ვაშლისა შარაბსა და 40 სიქანგუბინისა შაქრისასა ჰამდეს, და დელამოტისა წყალსა. ახალსა სმიდეს.

მესია იტყვის: რაჲ ესე მანკი ყმაწურითა გამოაჩნდეს ოდასლიბი ყელსა ჩამოჰკიღონ ერგების და თარგმანი არაბულად ჯუარისა შეშაჲ, და ძუძუს მწოარისა კურნებაჲ არა ხამს, რომელ რაჲ გადიდდეს და ასონი გაუხურდენ და განძღიერდეს სინედლე მისგნით

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აშიაზე ოვეფლთა სათვალავი სწერია „იდ“ და შემდეგი გვერდის ქვემო აშიაზე „იფ“.

კიდევ წავალს და გამრთელდების. და საქამადას თიქინსა ხორცსა აქმევედენ და კაკაბსა და ხობობსა.

ფოლის იტყვის: იქნების რომელ ორსულსა დიაცსა ესე ჳირი გამოაჩნდეს სა-შობელისა გზით, და რაა შობს ალარა სჳირდეს, და ნიშანი მისი რომელ სტომაქისგან იყოს იგი არს... [აკლია].

30 ჰუნაან იტყვის: კურნებაა იგი არს რომელს არწყვიოს მეტად რაა მამღარი იყოს, მაშინ ცერეკოვას წყლითა და მარილითა და პიტნაჲთა ერთგან შემგებართა, და ჯაჯაჲლყაჲ რომლისა თარგმანი არს არაბულად რწყევისაჲ ნიგოზი, სიქანუბინითა და ნელითა წყლითა იხმარებდეს, რომელ სტომაქი გაწმდეს და მჳაეეთა და მძიმეთა საქამადათა ერიღებოდეს თუ სიმრთელე უნდეს.

მე. საბთბა რომელ უგრძელად შეიპყრობს კაცსა. ვითარებაა მისი რაჲ სიმბურ-გალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: რაა სისხლი გასქელდეს და თავსა შიგან დია შეიყა-როს და მოვიროს, და ტეინისა ძარღეთა შიგნით, ანუ ფარდაგთა შიგნით გამავრდეს და შეიკრას საქთაჲ გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან იყოს: რაა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ პირი წითლად ედგას და ძარღვნი სისხლითა საესე იყვნენ, და სნეული ვითა მკვდარი იღვას რომელ ყველაჲ ვერ იძროდეს.

კურნებაა მისი. იოჰანა იტყვის: იგი არს, რომელ ორთავე ხელთაგან ხელნი გაუხსნან ყიფალი, და სნეულისა ძალისა მისაფერად სისხლი გაჳიოღონ, და წვეთა ჳიქაჲ მოჰკიდონ. და რაა მოივობინოს საქამადას დია ნუ ჳამს, და აბანოს მიეიდოდეს და მჳაეეთა საქამადათა) ჳამდეს, და თაფლიანსა და ტქბილთა ერიღებოდეს. და ძმარსა და ვარდის ზეთსა თავსა იცხებდეს. და თუ ამით კურნებითა ცნობად არ მოვიდეს ჳუნაჲ უყონ, რომელ მანკისა სათაფროჲ ჩამოზღოს თვისგან, ჳუნაჲსა ვითარებაა: უნაბი ოცი მარცუალი, სეფისთინი ოცდაათი მარცუალი, იაჲ ხუთისა და დრამისა წონისაჲ ჳრითილ) ჳერქჳებდილი ვთისა დრამისა წონი, ბალბაჲ და ანაკუეთი და შჳოჰაჲ და აქლილამლიქი თვითოსა-გან ჳევეთი ერთი, ლტღვი ხუთი მარცუალი, ყველაჲ სამით ლიტრითა წყლითა შეაგბოლონ რომელ ნახევრად მოიყაროს, მაშინ გაწმინდონ და ნახევარ ლიტრაჲ წყალი მისცნით აილონ და ხუთისა დრამისა წონი, წითელი შაჳარი გაჰრიონ და ჳუნჯიდისა ზეთი და იისა ზეთი და აბე-მაქი თვითოასაგან უჳიაჲ ერთი ყველაჲ ერთგან გაჰრიონ და ნელად ჳუნაჲ უყონ.

30 ისაჲ იტყვის: ორთავე ხელთა ყიფალი გაიხსნან და სისხლი დია გაიოილოს მაშინ ჯულაბი შესჳას ცოტათა ჳრითლისა წყლითა და ვარდისა წყლითა დარღარაჲ აქნევიონ, და ჳუნაჲ უყონ და შაჳი აალეგიონ რომელ მანკისა დედაჲ თავისაგან ჩამოვიდეს, და რაა ზომიკა სნეული უფროჲ ფიცხლად იზახდეს, უფროჲ საშიშოჲ იქნების.

ჳუნაან იტყვის: რაა საქთაჲსა მანკი ტეინსა შიგან მავარი იყოს, სნეული შიგან მოკვდების, და თუ ცოტაჲ იყოს დაეხსნების, მაგრამ დიდითა კურნებითა და ფელიჯისაგან კაცი დაეხსნების მაგრამ საქთაჲსაგან არ დაეხსნების და თუ დაეხსნას ბოლოჲსა ეჳისა ფე-ლიჯისაგან არ დაეხსნების.

ვითარებაა საქთაჲსი რაა სიგრილისაგან იყოს. მასარჯოჲა იტ-ვის: ვითა ამისა მანკისა ვითარებაჲ ბალღმისა სქელისა მორევისსაგან იქნების რომელ 40 ტეინსა და მისთა ძარღეთა შიგან შევიდეს და მავრად დამკურდენ შიგან, ანუ უნდლისა ბალღმისა გარევისაგან იქნების რომელ ტეინსა ყოველთა ასოთა შიგან შეიყარნენ.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზევიდან არს ჩამატებული დედნის ხელით.

2) ეს სიტყვა დედანში ასე სწერთა „ჳამათილი“ და უზის გამოსაროვებელი ნიშანი.

ამვე გვერდის ქვემო აშიაზე არა დედნის ხელით ნუსხურით სწერთა „უჳალო ღვართო მოიხსენე ფრიად ცოლვლი სიმონ კეტონ ლინაგონ აფტუ-ამენ“.

გვერდის აშიაზე კი ნუსხური ანანია დაწერილი მთლიანად ორჯელ, პატარა და მთავრულ ასოებით.

ნიშანი რაა სიგრილისა გან იყოს. იგი არს, რომელ ტანი სუსთად იყოს და პირი თეთრად ედგას, და წყალი პირსა და ცხვირთა შიგან დია შემოდგებოდეს. და ნიშანი საქთაჲსა სიძნელისა იგი არს რომელ რაა უჭკუეოა იყოს კბილსა იცონნიდეს.

კურნებაჲ მისი იგი არს: მასარჯოჲა იტყვი: რომელ ჰუყნაჲ ფიცხელი უყონ და მხურვალი ასფარამი და მუშკი და ლალია და ხაზდისა გული და ტავანაჲ წმიდად დანაყოს და ცხვირთა შეუბეროს და ქერუშტითა და პილპილითა და ხაზდისა გულითა ცხვირთა დააკვირონ. და რაა საქთაჲ წავიდეს ყოყიასა ჰაბი ჰამოს და როფისსა იარაჲ და სიქანგუზინი და სპანძელი იხმაროს და თუ იარაჲ ფეყრათა ლარ-ლარაჲ უყონ ერგების. და უკეთესი კურნებაჲ ამის მანკისა იგი არს ესე ჰაბი აჰამონ: საბ-
10 რი დრამისა წონი ერთი, შაჰი ჰანტალი ორი დანგი, ფარფიონი ორი დანგი, ხაზდისა გული და გომიზი და ჯავაზირი და უპანი რომელსა ჰქვიან სპარსულად ანგუყად და არაბულად პალთითი, და მუყლი თეთოჲსგან დანგი ერთი, და საყმიონიაჲ რომელსა ჰქვიან მაჰმუდაჲ ყერატი ერთი, ყველაჲ დანაყილი და გაცილი გაჰროს და ჰაბად შექნას და ერთხელ შე-
ქამოს.

როფის იტყვი: მუშკი და ლალია ცხვირთა შემოსდგან და გახურებულსა და გამთფარსა ასფარამთა თავსა შემოსდებდენ, და სონიჯითა და პილპილითა და ძირათა ცხვირთა დააკვივებდენ და სიქანგუზინსა თბილითა წყლითა სმიდეს და მკავეთა ყოველთა ერიდებოდეს. და კალიაჲსა და მოტანჯანსა ჰამდეს, და ყოყიასა ჰაბსა და ზანჯაბილისა გუარიშნსა ჰამდეს. და რკინისაჲ თავაჲ გაახურვოს და ტვინსა პირისპირ მიუჰყრან, რომელ
20 ტვინი გაუხურდეს და ცნობასა მოვიდეს. და იარაჲსა და აბეკმაჰსა ზიზისა ძმრითა ხორ-ჩა ჯახსხმიდენ. და ქერუშტი დანაყილი და მუშკი ცხვირთა შეუბერონ რომელ ცხვირი დააკვირონ. და მუზინი მაგრად შეუყრან რომელ ადრე ჰქუასა მოვიდეს, და საქამანსა ჩიტისა ხორცსა და ტრედისსა შორაბად შექნილსა აჰმევედენ, და ველურსა პიტანსა უსუ-
ნებდეს ერგების.

მბმტაღ დაცმამა რაა გრილთა ძარტაბან იყოს. ვითარებაჲ მისი რაა გრილისა ქარისაგან იყოს. არ ხიჯანის იტყვი: კურნებაჲ იგი არს, რომელ რაა მანკი შეიძრას ზემოთრე ასოჲ მისი შეიკრას და ბალადურისა თაფლი შესცხოს, რომელ დაბუშტდეს, და გაუწყულდეს და ჰიქაჲ მოჰკიდოს და მოწოოს, და შაშროს, და სპანძელი და ტრედისა სკინტლი შემოსდვას და შესცხოსცა, და მუცელი დაიღბოს ლაიაჲსა ზეთითა ანუ ლელ-
30 ვისა ხისა სითა: და თუ მანკი ძნელი იყოს ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ორ-ჯერ სამჯერ ჰამოს, რომელ სტომაქი გაწმდეს და დაიკლოს მანკისაგან.

ფოლის იტყვი: მაჯუნე ნაჯალი ჰამოს ერგების, და ყოვლისაგან უმჯობესი იგი არს რომელ თირიაცი ოთხ წაზალი აჰამონ, და ვარდი და სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური უსუნოს. და ლელჰსა ნუშითა დანიგუზითა ჰამდეს. და თუ მგზავრობდეს მოსუბუქ-
დების ესე ქირი. და ეგრე ხაშს რომელ საქამანსა ცოტასა ჰამდეს, და რაა შეიგნეს რომელ მანკი ძნელი არს მათრედიტოსისა თირიაცი იხმაროს დია ერგების.

იოჰანა იტყვი: რაა ამას მანკსა ოცდა ხუთი წელიწადი გარდვიდეს არა იკუ-
რნების, განა ეგრე იქნების რომელ უმცროსი იყოს და უმცროჲ ავნებდეს ოდასალიბი მიწ-
ყითცა მკლავსა ება¹⁾ მეტად ყმაწვილთა ხასიათად შეერგების. და არა ხაშს რომელ მას
40 სახლსა შიგან რომელ ამის ქირისა პატრონი იყოს, რომელსა ჰქვიან მასრუჲ, ნიახური შემო-
იონ. მსვე წამსა რაა ნახავს დაეცემის, და მიშქადარვი ამას ერგების რაა მრავალჯერ აჰამონ და საქამადად ნატიფთა გამოარჩევდენ.

მ3. ფელიჯი რომელ ბალდმისაგან იყოს. ვითარებაჲ ფელიჯისა რაა ბალდმისაგან იყოს. იოჰანა იტყვი: ფელიჯისა ვითარებაჲ სქელისა ბალდმისა მორენისაგან იქნების, რომელ თავის ნახევარსა კერძა შეეყაროს და ფერხი დაასუსთოს და რაა ტვინსა შიგან იქნეს მისგნით საგათა და სუბათი და სარიი და თაშნუეჲ გამოჩნდების.

1) ებას.

ნიშანი რაა ბალღმისაგან იყოს. იგი არს, რომელ ტანისა ნახევარი სუსთად და გრილად იყოს, ეგრე რომელ ვერ იძვროდეს, და თუ იძვროდეს და თუ მზურვალი ანუ გრილი რააცა შემოსდნად ვერ უგრძნობდეს, და ეგებიცა რომლ ემძიმებოდეს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ რაა გამოზრდეს საძლღემდის წამალი არა ჰამოს, მაშა თუ თრთოლად მოაკლდეს შვიდ დღემდინ ნურასა უკურნებთ, რომელ მე დიდად მინახავს რომელ რაა წამალი მიუცემია მანკი მოჰმატებია. და მერმე რაა დღე ათისა დრამისა წონა გულანგუბინსა წყლითა გაადღენდეს და აჰმევედეს, და იარაჟე ფეყირაჟასა თავლითა ჰამდეს და რაა ტანი გავწმინდოს ამით წამლითა ლარლარაჟა აქნევიონ, და მიწყით მასთაქესა და რათიანსა, რომელსა ჰქვიან მდინარე, და კეცსა რომელსა ჰქვიან ალაქი, და 10 უგულოსა ჩამიჩსა ცოხნიდეს ერგების.

მასოჟას ძე იტყვის: ამის ჰირისა კურნება იგი არს, რომელ ზანჯაბილი კილა მონი დანაყილი თაფლსა გაჰროს და აჰამოს, და ყველასგან უმჯობესი ყუსტისა ზეთი იქნების რომელ მიწყით მანკისა ადვილსა ზედა მოიცხებდეს, და ესე სხვაჟა საცხებელი: ლაბანაჟალი და ბედანჯირისა თესლი და უღობასა ფევილი, და ბატის ცველი და მუმროლანი ერთგან გაჰროს და ზედა შემოიდვას, და გრილთა და მძიმეთა შაჰამადთა ერიდოს.

მ. ასრია სისუსთო რომელსა ჰჰვიან არაბულად ისთისხა. ვითარება ისთისხასა რაა ბალღმისაგან იყოს. არხიჯანის იტყვის: ამის მანკისა ვითარება ბალღამთა სიმზურვალისაგან იქნების, სინედლისაგან რომელ გასქელდეს და ასოთა მოერივნენ, და თერთნი ძარღუნი რომელთა სპარსულად ფაჟ ჰქვიან დაიჰანტენენ, და თავსა და ტვისსა და 20 პირსა არ იყვნენ.

ნიშანი რაა ბალღამნი იყოს? იგი არს რომელ ასონი დასუსტებულ იყვნენ და აღარ იძვროდიან ნუ თუ თავსა და პირსა, მით რომელ ამის მანკისა დღედა თავსა და პირსა არ იქნების ანუ მუნ უმცროჟ იქნების.

კურნება მისი რაა ბალღმისაგან იყოს. არხიჯანის იტყვის: ამის მანკისა კურნებაჟ ფელიკისა კურნებაჟაჟა ჰავს, მაგრამ ფელიჯი ამისგან უძლიერესი არს, და ფელიჯი უფროსი თავისა და ტვისისაგან იქნების, და ამის მანკისა ვითარებაჟ ასოთგან იქნების. ამისი კურნებაჟ იგი არს, რომელ თირიაყი შემგბრითა ცერცოლასა წყლითა იხმაროს და მუცელი ფიცხლითა ჰუყნითა დაიღობოს, და მერმე როფისისა იარაჟე შეჰამოს და ზეთის ხილისა ზეთი და სომზური ბაერუჟი და მღოგვი ერთგან შეზილოს და მიწყით 30 ტანსა მით იხელდეს, და თუ ქონდარი და ტევანაჟ მთისაჟ და მარზანგოში წყლითა შეგბოს და ნელტფილსა ტანსა ზედა ისხამდეს კარგად ერგების, და ტანსა გაუხურევეს. და ტევანისა ზეთი და ყუსტისა ზეთი ტანსა იცხოს, მაშინ რომელ ტანი მქისითა მზურითა იზილოს, და ესე წამალი რომელ გეითქვამს ტანსა იცხოს ერგების.

მასოჟას ძე იტყვის: კურნებაჟ იგი არს, რომელ ჯალინოსის იარაჟათა მუცელი დაიღობოს და თუ წამლისა აღებაჟ არ შეეძლოს, ფიცხელი ჰუყნაჟ უყონ და დია ტვილისა წყალსა ტანსა ისხმიდეს, და ძველითა ზეთის ხილის ზეთითა და ხაზდის გულითა ტანი იზელოს კარგად, და ფარფიონისა ზეთიცა ერგების. და მუჟკეთა და გრილთა საჰამადთა დია ერიდოს და საჰამადსა დია ნუ ჰჰამს. და ცხელსა ადგილსა იმყოფოს და მუხუდისა წუენსა ჰამდეს მზურვალითა სანელბლითა შექნისა. და თუ სნეული უსუსურად იყოს ეგების რა- 40 მელ ჩიტისა ხორცი ნიორითა შექნელი ჰამოს, და ძველსა ლეჩინოსა სმიდეს, და თაფლისა შარაბსა რომელ შიგან ფაზარი და კალამონი და ყარანფული და ხუსრაჟდარე რთული იყოს ერგების.

ვითარებაჟ რაა და ცემისგან ყოფილ იყოს. მასარჯოჟა იტყვის: ესე და ცემისაგან იქნების, ანუ ნაცემისგან რომელ მას ასოთა ეცეს რაჟმე, ანუ ზურგისა მძიეთგან ერთი დასხლტეს, ანუ მალისა ადგილიდან და ცემული იყოს ამის გნით იქნების,

1) ბალღმისაგან.

ნი შანი რა და ცემისგან იყოს: რომელ ამისი ნიშანი ეგრე არს, ვითა ფელიჯისა რომელ ნაკრავისგან გამოჩნდეს, ანუ სისუსთისგან იქნების, და რაა ამის მანკისა დედა თავსა და მკერდსა ასოთა მიეროს სავთაა იქნების მისგან და რაა ნახევარი იყოს ფელიჯათ შექნების.

10 ქურნება რა და ცემისგან იყოს: რომელ ისთისხაა ტანისა სისუსტე არს დაცემასა შიგან არ იჭურნების, არცა გამრთელდების. და ორსა ანუ სამსა დღესა უკანით სისუსტე გამოჩნდეს ესე ტილე შემოსდვას: ყუსტი და საბრი და აყუყია და ვარდი თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, რამიქ და მასთაქე და ბროწეულისა ყუბავილი და ფაჩარი თვითოსაგან დრამისა წონი ყველა და ნაყილი გამდნარსა ცვილსა თანა გაჭირის და ცოტაა

20 ისაკ აქიმი იტყვის: ფილზაზა და მასთაქე და საბრი და ყაყია და ნაყილი ბაბუნისა ზეთითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას, და ფარფიონი და ტევანასა ზეთი შესცოს. და თუ ყოლინჯსა უკანით ისთისხაა გამოჩნდეს იისა ზეთი ორი ნაწილი, და ცერკოასა ზეთი ერთი ნაწილი ერთგან გაჭირის, და მანკისა ადგილსა იცხებდეს და საკამადსა ვარიაასა ჰამდეს ზირაბაჯითა, ერგების შეწვენითა ღმრთისათა.

30 მ. დაბუშუბა ასოთა რომელსა ჰქვიან არაბულად ხიდრი. ვითარება რაა სიმბურვალისგან იყოს დაბუშუბა. მუაჰამედ ზაქფერიას ძე იტყვის: რომელ ხიდრი ასოთა დაძინებასა ჰქვიან, ვითა იტყვიან ფერხი დამბუშუბია, სპარსულად იტყვიან ფამან ბუზუფთ და ანუ ხელსა დაქინა, ვითარება მისი სისხლსა სინედლისაგან არს, რომელ ტანსა მოერიოს და ყოველთა ასოთა შიგან დაიპანტოს სინედლე მისი.

30 ნი. შანი რაა სიმბურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ პირი წითლად ედვას ეგრე რომელ სიშავესა ყერძოა იყოს და ოფლი დაი სდიოდეს, და რაა ესე გამოჩნდეს თუ არ ჰყურნონ ფელიჯათ შექმნების.

ქურნება მისი. იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და საკამადსა ცოტასა ჰამდეს. და თუ დაბუშუბა მარცხენასა ხელსა შიგან იყოს მარჯვნივ ბასალიკი გახსნას და მას ასოსა ქაფურისა ზეთითა იხლდეს, და რააცა სისხლსა ახურებდეს მას ერიდებოდეს, და რააცა სისხლსა სიფიცხესა დააწნარებდეს მას იხმარებდეს. და რაა ხელი გაუხსნას მაშინ ორსა დღესა ესე მატბუქი შეჭმოს ვითარება მისი: ყვეთელი ჰალილა და ქაბულური ჰალილა უგურკოა თვითოსაგან ხუთმეტისა დრამისა წონი შავი ტყემალი და უნაბი სათვალავსა ოცი, ჩამიჩი უგურკოა ორი უკია, ვარდი წითელი და ნილოფარი თვითოსაგან

40 გან ხუთისა დრამისა წონი იაა სამისა დრამისა წონი ყველა სამსა ლიტრასა წყალსა შიგან ნელითა ცეცხლითა შეაგბოლოს რომელ ლიტრად ვითად მოვიდეს მაშინ დაწმინდოს და ოცისა დრამისა წონი ხიარშამბრისა გული შიგან გაგლოს და ცისკარსა ნელი შესჭას. დევეჯანი იტყვის: ხელი გაიხსნას და სნეულისა ძალისა მისაფერად სისხლი გამოიღოს და ტანსა ეგეთსა რასმეს იცხებდეს რომელ ტანსა ვაავრილებდეს და სისხლისა სიფიცხესა დააწნარებდეს, ვითა ქაფურისა და ვარდისა ზეთითა და თეთრი სანდალი და ნილოფრისა ზეთი და იისა ზეთი და ვარდის წყალი. და მოზავარასა რომელსა ჰქვიან ურ-

წყობა ისრინისასა და თუთუბისასა ჭამდეს, და თუ სნეული შეუძლებელი იყოს ვარია თუთუბითა და ისრინითა აჭამონ და მხურვალთა და ცხიბიანთა და ტკბილთა თაფლიანთა გრიდებოდეს. და აბანოს დია ნუ მივაღს მეტად სიმაძღვრესა ზედა. და მიწყით უნაბსა ჭამდეს რომელ სისხლისა სიღაცხე დააწყენაროს. და თუ აყროასა ზეთი და ბედრანჯისა ზეთი ტირიფისა ზეთი, მანკისა ადგილსა იცხოს¹⁾.

ჰუნაჲან იტყვიოს: ვითარებაჲ ამის მანკისა იგი არს, რომელ უნდილი გასარეველი ტანსა შეიყარნენ და მათგან სინედლე მრავალი თეთრთა ძარღვითა შიგან გაერივნენ, ანუ გრილისა ადგილსა შიგან დამკვიდრებულ იყვნენ ანუ სიცივე სცემოდეს.

10 ნი შანი რაჲ სი ი გ რ ი ლ ის ა გ ა ნ ი ყ ო ს. რაჲ ტანი მძიმედ იყოს და სუსტად და ფერად თეთრი იყოს, და რაჲ ხელი შემოსილადან გრილად იყოს და თუ დაუყოვნონ კურნებაჲ ფელჯად შეიქნებოს.

კურნებაჲ მისი იგი არს. რომელ ქუნდურის ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ქუნდურისა ჰაბისა შემდგომად ბალადურისა გუარიშინსა ჭამდეს. და თუ გულანგუბინი და კილაშინი და დარაფილფილი გაზრდილი იხმაროს უზმასა, დია ერგების. და საჭამადსა ცოტასა ჭამდეს, და მუხუდისა წვეწასა და შურევასა ჭამდეს, და თეთრთა და მყავეთა ერიდებოდეს ვითა მაწონი და სძე. და თუ ყუსტი ზეთის ხილის ზეთითა გაგალოს და მანკისა ადგილსა იცხებდეს ერგების, და თბილი ერბოჲ რაჲ შესცხონ ერგების. და შეტარაჲსა ჰაბსა ჭამდეს და მიწყით ტანსა ფარფიონისა ზეთითა იხელდეს. და ყუსტისა ზეთი რომელ ხაზდისა გული და აყროყროჲ რეული იყოს შეიცხებდეს, და თუ პიტნაჲ და სისანბარი და 20 ბაბუნაჲ და აქლილაშალიქი და მარხანგომჲ ყველაჲ წყლითა შეეგბოლოს და ნელსა მანკისა ადგილსა იცხებდეს, დია ერგების.

მესია იტყვიოს: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მიწყით ასოთა მხურვალთა ზეთითა აზღვიდეს და ცხელსა ადგილსა დაჯდებოდეს რომელ ოფლი გამოსცეს, და რაჲზომიცა შეეძლოს ცოტასა ჭამდეს საჭამადსა, და ცხელსა ჭვიშასა ზედა დაწვებოდეს. და ყუსტი და ფაჩარი ზეთის ხილისა ზეთისა შეეგბოს და ასოთა მანკიანთა მით ზელდეს ძველთა ბანბითა, ესე წამალი ზედა შემოსდეს და ერგების, და ასოთა მღერასა ესევე კურნებაჲ იხმაროს: ჯ ა ლ ი ნ ო ს ი ტ ყ ვ ი ს: ასოთა მღერაჲ და ცხვირთა და ცემაჲ მანკისა დანარჩომთაგან იქნების, რომელ ბუნებაჲ მას კიდევ გააყენებს და ესე თვით დია მსაზღვი არს, და იგი წამალი რომელ ამას წინათ ვახსენეთ ასოთა მღერისათვის კარგი არს.

30 მთ. პირისა გამრუდებაჲ რომელსა ჰჰვიან არაბულად ლაჰვაჲ. ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. ფოლის იტყვიოს: ვითარებაჲ მისი გრილისა და სქელისა ხილტისაგან იქნების, და ხილტი გარევენასა ჰქვიან მანკათასა, რომელ ერთგან გაერივნენ, ანუ მეტისა სინედლისაგან რომელსა ჰქვიან არაბულად რუტობათი, რომელ პირისა ცალსა კერძსა მოეროის და თეთრთა ძარღვთა თანა მივიდეს, და იგი ძალი რომელ კაცისა ძრვით მით იქნების, მას იგი ხასიათი მოულოს.

ნი შანი რაჲ სინედლით იყოს იგი არს რომელ პირისა სიღრუე გასუსთდეს და ცოტასა დაიძინებდეს, და პირისა წყალი სდიოდეს, და თვალთა ფარდაგი ჩამოზიდული იყოს, და სიტყვაჲ მუნთა გამოვიდოდეს რომელ გასუსთებულ იყოს.

კურნებაჲ სინედლისა. იგი არს რომელ დარღარაჲ ქნას ეგეთითა წამლითა 40 რომელ თავისაგან ბალამი ჩამოიღოს, და მიწყით თეთრსა საკმელსა ცოხნიდეს. და ჯავზე ბოიჲ პირსა შიგან დაიჭიროს. და ამას მანკისა ცოტასა ჰუმისაებრ არა ერგების, და ფაჩრებისა ქნა დია ერგების. და თუ არწყიოს და ბილპილი და ქერუშტი და ხაზდისა გული, და სონიჯი და ჯავშირი თვითთასაგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყოს და ჰაბად ქნას თეთროჲ ნარსაქისა ოდენი, და რაჲ ესე მანკი გამოჩნდეს²⁾ ერთი მარცვლილი მისგნით ტევნისა

¹⁾ ერგების.

²⁾ აჲ გვერდის ქვემო აწიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „იე“ და შემდეგ გვერდის ქვემო აწიაზე „იე“

წყლითა)...) რომელ ვახსენეთ ბალღმისა გარევისაგან იქნების, და სასეღოშსა გარევისაგან-
მაგრა პირისა სიმრულედ ლაყვა რაჲ გამოჩნდეს უბილწესი არს, მით რომელ ცოხნისა და
ძილისა გემოშსა წაუღებს კაცსა. და მისი გამოჩენა სქელისა და გრილისა გარევისაგან
იქნების, რომელ სულისა გზასა დაუყოფს რომელ ველარ იძეროდეს, და მისგნით თაშან-
უჯი გამოჩნდეს. და რაჲ გარევეა უკეთესი იყოს მისგან ხილრი იქნების და თუ ამა ორთა
მანეთა სათავეთა ერთსა ასოსა მოერიენენ მისგნით ლაყვა გამოჩნდების. და აქითთა
ამას შიგან დია საუბარი აქეს შესაუბნებელი და მეცნიერობისა თავის თავისა გა-
მოსაცხადებელი.

10 6. თაშანუჯი იგი არს რომელ ასონი გამხმარებითა იხვენეს. ვითარებამა რაჲ სიმბურ-
ვალით იყოს. ფოლის იტყვის: ვითარებამა რაჲ სიმბურვალით იყოს მით არს, რომელ
სისხლი მოერიოს ასოთა და მისთა ფაჲთა, ვითამცა თეთრთა ძარლუთა გავრიოს, და რაჲ-
ცა სისხელისგან იყოს იგი არს, რომელ მეტისა სიღობისაგან იქნების და დიდთა
ჭირთაგან და სინედლისაგან, რომელ დია მბურვალი და ფიცხელი იყოს.

ნიშანი რაჲ სიმბურვალით იყოს. იგი არს, რომელ იგი ადგილი გასივებულ
იყოს და რაჲ ხელი დასდევან მბურვალი იყოს და სიგრილე ელხინებოდეს. და რაჲცა სიხ-
ნელისაგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ მუცელი მაგრად ელდას და პირი მშრალად.

კურნება რაჲ სიმბურვალით იყოს. ფოლის იტყვის: თაშანუჯი იგი
არს, რომელ ძარლუნი და ფაჲ გახსირბია [იყენენ] იბრტყიდ და სიგრილთა ტანისა. და თუ
მანკისა სათავეთა ხელსა იყოს თითთა ვერ შეჭკვრიდეს და ვერ გახსნიდეს, და ეგების რომელ
20 შეკრვა შეეძლოს და გახსნა არა, და ეგების რომელ გახსნა შეეძლოს და შეკვრა არა, და
ესე მანკისა მისაფერად იქნების თუ დიდი იყოს და თუ ცოტაჲ, და სრულთა ასოთა შიგან
საზომისაებრ იქნების.

კურნება იგი არს, რომელ ბასალიკი გახსნას, და თუ მანკი მარცხნით იყოს
მარჯვნით გახსნას, და თუ მარჯვნით იყოს მარცხნით გახსნას, და მჭუარსა გააცივებდეს ვარ-
დის წყლითა და ქაფურითა და ზედა შემოსდებდეს, და ღვინოშსა და თაფლსა ერიდებო-
დეს და მკავესა ჭამდეს, ერგების.

ბაყრატი იტყვის: თაშანუჯი რომელ სისხლისაგან იყოს, ხამს რომელ ხელი გაი-
ხსნას და სისხლსა დია ნუ გამოიღებს, და მაშინ ტკიბილისა და მკავეისა ბროწეულისა წყალ-
სა და სიქანგუბინსა სმიდეს, და საჭამადსა თუთუბისასა და ისარიშისასა ჭამდეს.

30 დევეჯანის იტყვის: რაჲცა სისხელისაგან იყოს კურნებაჲ უძნელესი არს მისი,
მაგრა ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს და ასოთა საქველთა ნელითა ზეთითა იზღოდეს,
და თუ შეძლოს ნელსა ზეთსა შიგან ჩაჯდეს, და ღვინოსა წყალრეულსა სვიმიდეს და ტვი-
ნსა გაანედლებდეს ბაბუნაჲსა ნუტელითა, და იითა და ქუნჯილისა ფურცლითა, და აყი-
როსა ფურცლითა და ბაღბაჲთა, და ნილოფრითა და ქროლისა გულითა, და იისა ზეთი
ქალის დედისა სძესა გაპრიოს და მჭუარი მით დაასოვლოს და თავსა შემოსდვას, და იაჲ
და ბაღბაჲ ქრთილსა წყლითა დაასოვლოს და იისა ზეთითა თავსა შემოსდვას. და თუ არ
დაწყნარდეს მაღამა ეგებრ, რომელ გასივებულსა მაგარსა მოაღბობდეს რომელ სანიკრი-
სოდ ვახსენოთ იხმარებდეს, და ჯულაბსა ნუშის ზეთითა სმიდეს ერგების. და მსუქანისა ქა-
თმისა ხორცსა ჭამდეს ანუ ბატკნის ხორცი, რომელ შურვაჲთა შექნილ იყოს, კარგითა სა-
40 ნელდელთა ნარტითა შექნილსა.

ვითარებამა რომელ სიგრილისაგან ქნილ იყოს. ისაკ იტყვის: ვი-
თარებამა მისი ბალღმისა სქელისაგან იქნების რომელ გლუსუნთა იყოს, რომელ ფაჲთა ში-
გან დაიპანტოს და ასოთა მოერიოს. და ეგების რომელ ესე ბალღამი უნდელი იყოს. და
დიადი სინედლე ძარლუთა თეთრთა შიგან გაგზავნოს და ამას სისაცხისა თაშანუჯი ჰქვიან.

1) აქ ერთი ფურცელი უნდა აკლდეს.

ნიშანი სიგრილისა. იგი არს რომელ ზელი რაჲ მანკისა ადგილსა შემოსდეს გრილი იყოს, და რაჲ მხურვალი რაჲ შემოსდენ ელხინოს, და ასონიცა საესედ იყვნენ და ბალღისა ნიშანი შიგან ჩანდეს.

[ქ] ურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. ისაჲ იტყვის: იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გუარიშნისა იხმარებდეს, და გულანგუბინისა ანუ თაფლსა ჰამდეს მეტად უზმამან, და აბანოს ოფლი გამოსცეს უზმადე და ასთა იასამინისა ზეთითა და ხირისა ზეთითა იზელდეს, და მუხუდისა წუენსა და კალიასა ჰამდეს, და სიგრილთა და სინედლესა ერიდებოდეს, და იარაჲსა ჰაბსა და ქანდაჲსა აბსა იხმარებდეს ერგების. და ესე ჰაბი ჩვენ გამოვეცილდა უმჯობესისა ყველასა წამალსა, ვითარებაჲ მისი: შეტარაჲ და 10 დარაჲმბილი, და თანილი და შაჰმიჰანტალი თვითოჲსგან დრამისა წონი, მარილი ნახევარ დრამისა წონი, ყველა ჰაბად შექნას და ხმარებისა ეჲსა დრამისა წონი იხმაროს, და თუ ბაბუნასაჲ შემგებარისა წყალი და აქლილაღმალიქი, და სისანბარისი და ულბოჲსი, და მარაიამის საკმელისა და ყუსტისაჲ, ესე ყველაჲ წყლითა შეგაბოლოს და მანკისა ადგილსა ნელსა შემოასხმიდეს ერგების.

არბიასიოს იტყვის: ლიტრა ერთი ძქელი ზეთი და ორი უკიაჲ წითელი ცვილი ერთგან ვაიანოს, და უკიაჲ ერთი ფარფიონი გაგლილი თანა გაროს და მიწყით მანკსა მით ზელდეს ერგების, და თუ ბადიანისა წყალი და თაფლი ჰამოს კარგი არის დია. და საჰამადთა თანა ცხურისა ხორცთა ჰამდეს, რომელ მხურვალითა და ნატიფითა სანელგბლითა შექნილ იყოს.

20 ჯალიონს იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ იგი არს, რომელ შეტარასა ჰაბითა და სიქანგუბინისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და მაშინ გვილანგუბინისა და გარდისა შარაბსა ანუ ლელუთა იხმარებდეს ერგების. და ტანსა იასამინისა ზეთითა იზელდეს. და საჰამადსა მუხუდის წვენსა და კალიასა ჰამდეს რომელ ჰათმისა ხორცთა შექნილი, იყოს და ღვინოჲსა ნუ სტჲმს და საჰამადსა კოტასა სჰამდეს ერგების და მიწყით სიტცესა და ცხელსა ადგილსა დაიძინებდეს, და ასთარაჲთა წყალთა შიგან ჩაჯდებოდეს ერგების.

ნა. შუზაჲი და იმთილაღი ორივე თაუნუჯინსაგან არს. ვითარებაჲ ქუზაზისა და იმთიდადისა და თაშანუჯისა. არხიჯანის იტყვის: რომელ ესე მანკი უნდილისა გლუსუნისა ხილტისაგან იქნების, რომელ ტანისა ძარღუთა და ფაჲთა შუა დაჰანტულ იყოს, და რაჲ მოეროის აბს გამოაჩენს, და ეგების რომელ სინმელისგანცა იყოს.

30 ნიშანი იგი არს. რომელ ასონი დია სტიკოდენ და საუბრისა ეჲსა ენაჲ მძიმედ ედვას, და ეგების რომელ სულიცა დაუგუბდეს. და ნიშანი მისი რაჲ სინმელისაგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი დია იყოს და ენისა სიმძიმე უმცროჲ იყოს.

კურნებაჲ ქუზაზისაჲ მანკისა. არხიჯანის იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და ასონი გაწმიდნეს ამით ჰაბითა ვითარებაჲ ჰაბისა: სიქაბენა და ეშვაჲ, და ჯავაშირი და მუყლი, და მარაიამის საკმელი და შაჰმიჰანტალი, და საბრი და თურბათი თეთრი ღრუჲ, და ანძაროთი და ყვითელი ჰალილაჲ თვითოჲსა ორისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცხილი გომიზისა წყლითა დააღბოს, ანუ გომიზი ცირეცოჲსა წყლითა დააღბოს და წამალი მავით შეზილოს, და ჰაბად შექნას და ჩრდილითა გაახმოს, და ხმარებისა ეჲსა ორისა დრამისა წონი ანუ სამისა დრამისა წონი, და ეჲმისა 40 სიგრილისა და სიმხურვალისა მისაფერად, ნელითა წყლითა იხმაროს. და მაშინ ასონი ყუსტისა ზეთითა ანუ ზეთის ხილისა ძქელისა ზეთითა კარგად იზილოს ერგების.

როფის იტყვის: კურნებაჲ რაჲცა სინმელისგან იყოს უძნელესი არს, და უგვიანე იკურნების. მაგრამ კურნებაჲ იგი არს, რომელ ქითილის წყალსა ნუშის ზეთითა სმიდეს, და გრილი ლუაბი ბაზრაყატუნისა წუტენსა იტყვის, ქალის დედისა სძესა¹⁾ გაპროის და ტანსა

1) ეს სიტყვა სტრაციონ ზემოდან არის ჩამატებული არა დედნის ზელით.

იცხოს, და ახალი სძე ნუშის ზეთითა და შაქრითა ქამოს. და საჭამადდ შურვასა ქამდეს ბატენის ხორცითა, და წვრილთა ახალთა თევზთა ქამდეს. და თუ შაქრით იყოს თარან-გუბინითა და ხიარშაბრითა დაიღობოს მუცელი, და თუ ნუშისა ზეთი მისა შარაბითა იხ-მაროს კარგი არს, მაგრა თუ სნეული უსუსურად იყოს ჰუყნაჲ უყონ ლბილი, და შურვასა ქამდეს ბატენის ხორცითა შაქრისა.

ი მთი და დისა მანკისაჲ: რომელ გაყოფაჲ ქუზაზსა და იმთიდადსა შუა იგი არს, რომელ ქუზაზისა მანკი უფროდსი თეთრთა ძარღლთა შიგან იქნების და იმთიდადი ხორცთა შიგან, და უნდილისა ბალღამურისა ხილტისაგან იქნების, და ანუ სიხმელისაჲან რომელ მოერიოს მას რომელ ვთქვიით.

10 ნიშანი იმთიდადისა მანკისა. იგი არს, რომელ ასონი მაგრად იზიდვიდნენ და ხელსა და ფერხსა ერთგან ვერ მიიღებდეს, და არცა რაჲ ძვრად ტანსა შიგან იყოს, მეტად მაშინ რომელ მანკი სიხმელისგან იყოს.

კურნებაჲ იმთიდადისა. მასარჯოჲა იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ რაჲ ბალღმისაგან იყოს იგი არს რომელ ჰუყნაჲ უყონ და მაშინ კულა მუცელი დაულბონ იარაჲ ფეყირაჲთა ანუ საბრისა ჰაბითა, რომელ ერთობით რაჲცა ჰავი ხილტი იყოს გამოიღოს ტა-ნისაგან და ასონი გაწმდენ. და გულანგუბინსა იხმარებდეს ცოტათა თირიყითა ნელითა წყლით დააღობოს და შესუას. და ბაბუნაჲ და აქლილაშალიჭი, და მარზანგოში, და ღარისა ფურცე-ლი და თრუნჯისა ფურცელი ყველაჲ წყლითა შაგბოს და ნელსა სტომაქსა და თავსა იხმინ-დეს. და ბერძელისა ფაჩარისა ზეთითა ასონი იზელოს, და ცოტად საბრი მარზანგოშისა წყლითა გაგალოს და ცხვირთა უწთოს კარგი არს. და საჭამადსა ზირაბაჯსა ქამდეს ანუ ჩიტსა კალიაჲთა, და შავევთა ერიდებოდეს. და თუ მანკისა სათაფროჲ ტანსა ზედა მივიდეს მანკი ფელიჯათ შვიქების.

თეგით კურნებაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სიხმელისგან იყოს უძმე-ლესი იქნების მით, რომელ უფროდ ძნელად იკურნების, მაგრა კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ქრთილის წყალსა სმიდეს, რომელ შიგან სეფისთონი და უნაბი და ნუშისა ზეთი შემებარ იყოს. და აყიროჲსა წყალი ნუშის ზეთითა და შაქრითა ქამოს, და ბაზრაცუნისა წებენი და ბეჭეს გულისა წებენსა ქამდეს აყიროჲსა თესლისა ზეთი გაჭიროს, და ტკბილისა ბროწეულისა წყალსა ნუშის ზეთითა ქამდეს და იისა ზეთსა და ნილოფარისა ზეთსა ცხვი-რთა უწთობდეს და ხმელი იაჲ და ქერის ფეკელი დანაყილი ბაზრაცუნისა წებენითა შე-30 ზილოს და თავსა შემოსვდას, და ამას წამალსა მანკისა ადგილსა იცხებდეს: იისა ზეთი და და ზროხის წვივისა ტვინი და ცვილი და ქთმის ცხიბი ერთგან გაადნოს და ქვევრსა ში-გან დასვდას და იხმარებდეს, ერგების.

ნა. ასოთა თრთოლჲა რომელსა ჰმვიან არაბულად რაჲმ. ვითარებაჲ ამისი მრავალ-ფერად არს, რაჲცა სიმბურვალით იყოს სისხლისა მორევენისაგან იქნების, რომელ ასოთა მოერიოს, და ანუ ზაფრისა სიფიციხისაგან იქნების რომელ ეჭამოს და მეტი ექნას.

ნიშანი რაჲ სიმბურვალით იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ტანი დია თრთოდეს და ფერი პირისა და თვალთა წითლად ედგენენ. და ძარღვნი ადგომით იყვნენ. და ნიშანი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ყვთლად იყოს და თრთოდეს.

40 კურნებაჲ რაჲ სიმბურვალისაგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ზელი გაიხნას და სნეულისა ძალისა მისაფერად სისხლი გამოიღოს, და ეგეთ-თა რასმე იხმარებდეს რომელ სისხლსა დააწყნარებდეს ვითა ბროწეულისა და რვეისისა შარაბსა იხმარებდეს, და ურწყოჲსა ისრიმისა და თუთუბისასა და ამთისა მსგზავთა, და თუ ზაფრისაგან სჭირდეს კურნებაჲ იგი არს, რომელ ფეყირაჲსა იარაჲთა ანუ მატბუხი ჰალიაჲთა და სიქანგუბინითა მუცელი დაულბოს, და ბროწეულისა ტკბილისა და მგავისა

წყალსა სმიდეს და საჭამადსა ზირაბაჯსა ჟამდეს ანუ ვარიამ ისრიმითა შექნილი, და გრი-
ლსა საჭამადსა ღია ნუ მიელტვის, და მაშინ აბანოას მივიდეს.

ისაჲ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ალილაასა მატბუხსა და კოწახუ-
რსა და მაშასა, ნუშის გულსა და ქათვის მუხაფარსა და ბატკნის ხორცსა და ახლსა თევზ-
სა რომელ მძრითა შექნილ იყოს, და ბროწეულსა და ვაშლსა, და ბეჭესა და შავსა ტყემა-
ლსა [იხზარებდეს] და კურნება მისი რააცა ღვინისა სმისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ
ღვინოა არა სტას და მიწყით აბანოს მივიდოდეს და ადრე გამოვიდოდეს, და ტირივისა
ზეთსა ანუ მორდისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და საჭამადთა თანა რააცა სისხლსა აცხელე-
დეს მას ჟამდეს, ვითა ნარსაქი და კალნაბი და სხვა ამით მსგავსი.

10 როფის იტყვის: რააცა სნებისაგან ადგომილ იყოს იგი არს, რომელ ძილსა და
ჟამასა მოიმატოს და კარგთა სურნელთა უსუნებდეს, და ზურგსა ნელითა ერბოათა იხელდეს,
და რააცა ცივისა წყლისა სმისაგან იყოს იგი არს, რომელ მხესა შიგან ოფლი გამოეცეს
ანუ აბანოს შიგან. და თუ შეკირვებისაგან ქნილ იყოს და ეშინოდესცა კურნება მისი
იგი არს, რომელ მანკისა დედაა გულისაგან მოიხოცოს მოფარაყითა და ზროხის ენითა, და
ბადარანბოასა იხზარებდეს და ევეთთა ჰაბსა ჟამდეს რომელ გულსა გააძლიერებდეს.

ვითა რებაა რაა სიგრილისაგან იყოს: დევჯანის იტყვის: ვითარებაა
მისი რაა გარევისაგან სქელისაგან და უნდილისა¹⁾ იქნების, რომელ თერთთა ძარღუთა ში-
გან გაერივნენ და მოერიოს, და გზა სულისა დაუყოს და ძალი წაუღოს კაცსა და ანუ გა-
რევისა რომელსა ჰქვიან მიზეჯო, მისისა სინედლისაგან იქნების რომელ სიგრიელ მოერიოს.

20 ნიშანი მისი. იგი არს რომელ ტანი მძიმელ იყოს და სუსთად, და საჭამადი გრილი
მოუნდებოდეს, და ელდაა ღია შეექნებოდეს, და ამის გნით არს რომელ ესე ჭირი და მანკი
ბერთა კაცთა უფროა შეექნების.

კურნება რაა სიგრილით იყოს: დევჯანის იტყვის: კურნება მისი
იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გუარიშნსა ჟამდეს და მისტაქისასა და უკანას გაზრდილსა
ზანჯაბილსა ჰაზდეს, და ლელქსა და ფუსტუქსა, და თხილსა და საბზდანსა და ჯავზი ჰინ-
ლის რომელსა ჰქვიან ჰინდური ნივოზი, და ნუში და ნივოზი და ჯალილოზაა, ამისთანასა
რასასა ჰამს ერგების, და წითელი ხორცი ზეთის ხილისა ზეთითა შემწუხარი და კალია-
დცა შექნილი, და თავლისა შარაბი რომელ მხურვალითა სანელმებლითა შექნილი იყოს
ესე ყველა მას ერგების. ჯალილოზაა²⁾ წმიდაა რაზომაცა სწადდეს დანაყოს და თავლითა
30 შეზილოს და უხმაა სამისა დრამისა წონი იხზაროს მარადღე, და ფელიჯასაცა ერგების
რააცა გვითქვამს წამალი.

როფის იტყვის: განდასა ჰაბი და შეტარასა ჰაბი ჟამოს და ხმელ, მხურვალთა
ზეთთა ტანსა იცხებდეს, და დიდროვანთა იარაჲთა იხზარებდეს. და თუ ხაზდის გული და
მწარე ყუსტი, და ფარფორი და პილილი ერბოთაა აღუღლოს და მანკისა ადგილსა მავით
ხელდეს, და დაიძანოს და რაა ადგეს ტანი წუნწუბისა წყლითა დაიბანოს. და ღია საჭამა-
დსა ნუ სტამს, და დაიცსა ნუ დაეკარების და ღვინოასა ნუ სტამს, და ყოველთა გრილთა
ერიდებოდეს.

ასოთა მღვრიხსა და ასოთა მღვრათა. ჯალიონოს იტყვის: ესე მით შეიქნების
რომელ ანუ სქელი ქარი ანუ ძლიერი ორთქლი მას ასოსა შეაზრწუნებს, ამღერს და ადრე
40 დასწყნარდების და უფროასი ბალღმიანთა და გრილ ბუნებთა წაეკიდების ესე. და ზამთ-
რის მოემატების და მაშინ რაა კაცმან ცოვი წყალი სტას, ანუ ცივსა წყალსა ჩაჯდეს. და
კურნება მისი ვითა რაშესა კურნება არს რომელ გაუფრთხილდეს და კარგად ჰკურნოს.

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

²⁾ ამ სიტყვას ხიშანი უხის და აშიაზე მხედრული ხელით სწერია „ფიკვის კაკალი“.

ვითარებაა მისი და ნივით.

მუჰამედ ზაქარია ეს ძე იტყვის: რომელ სიმქისე თვალისა ბურგას შიგან გამოჩნდების ტკივილისა თვალისასა უკანით, ვითარებაა მისი სინეღლისა და სიმლაშისაგან იქნების, რომელ მანდა შეყრილ იყოს და მოერეინეს მისდა.

ნაშანი რაა ქუქუთო მსგავან იყოს. რაა მლიერი თხლად იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ თვალისა ფურცელი შიგნითე წითელი იქნების და სიმქისე ცოტაა იქნების, და რაა მანკი დაძველებული იყოს სიმქისე დია იქნების და დანაყილსა ეგვანების.

10 ქურნებაა რაა ქუქუთო მსგავან იყოს: რაა მანკი ახალი იყოს და არ მო-რეულ იყოს, კურნებაა მისი იგი არს, რომელ წითელი შაფი და ყვითელი შაფი ლბილი შემოვლოს და ხელი გაიხსნას, და ჰიკა მოიკიდოს და მუცელი დაიღბოს, და აბანოსა იხმარებდეს. და რაა მანკი დაძველებული იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და თვალს შაქრითა ტაბარზადითა ანუ ზღვის პერულითა მოიფხანოს, და ცოტა ძმარი წყალსა გაჰრიოს და თვალთა მით იბანდეს. და თუ ძირაა მჭერასა გამოჰკრას და მაშინ მოიფხანოს და წყალი მისი ჩაუწთოს კარგი არს. და მეორესა დღესა ხამს რომელ ყვითელი დარური თვალსა ჩაიყაროს, და თუ მანკისაგან ნარჩომი იყოს ლბილითა შაფითა ჰკურნოს, და თუ არა სწადდეს ფხანა წითლითა და თეთრითა შაფითა ჰკურნოს.

20 როფის იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ორი შაფი ქნას და რაფილფილისიგან რომელ უფრო ძალიანი იყოს, და მწვანე შაფიცა კარგად ერეგების. და საქამადსა ხმელსა და მხურვალსა ერიდებოდეს, და ზეთსა და ძმარსა იხმარებდეს რომელ მანკი გაჰარდეს და აღრე იკურნოს.

აბუჯარიჰ იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ წითელი და მწვანე შაფი ორივე შემოვლოს და ესე წამალი იხმაროს გამოცდილი არს, ვითარებაა მისი: სპარსული ოშნანი ათისა დრამისა წორი, ბავრუკი ხუთისა დრამისა წონი ორივე ჩვილისა ყრმისა ფსლითა შეზილოს და ტაშტასა ზედა ცხოს სამსა დღესა, და მაშინ თვალისა ფურცელი მაგით მოჰგოზოს, და თუ მანკი ძნელი იყოს შუბლი გაიხსნას და ძირაასა წყალი ჩაიწთოს. და ვარდისა ზეთი კვერცხის ყვითელსა გაჰრიოს და თვალთა შემოსდვას, და დარური ყვითელი და აღბარი იხმაროს.

30 ვითარებაა მქავანისა: მქავანი თვალთა შიგან არ იქნების განა ფურცელსა შიგან იქნების და იგი ჰაგეთისა ხილტისგან იქნების, რომელ ბავრუკსა ჰგვანდეს და მუნ შეყრილ იყოს და მორეინილ იყოს.

ნიშანი მისი. იგი არს რომელ ცრემლი მლაშე იყოს, და რააზომცა უფროა ჰკურნებდენ ცრემლი უმლაშესი იყოს. და რაა მანკი დაძველდეს ცრემლი ბავრუკისა წყალსა ჰგვანდეს.

ქურნებაა მქავანისა. იგი არს რომელ შუბლი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და აბანოას დია მივიდოდეს. და საქამადსა მაშუნესა და ნატიფსა ჰმადეს. და არდი დანაყოს და ვარდისა ზეთი გაურიოს და დაძინებისა ეამსა თვალსა შემოსდვას. და თუ მანკი ძნელი იყოს და ამით არ იჯობინოს, ნარსაჰი ტყავ გახდილი და თუთუბაა, და ვარდი და ცმელი

1) ტექსტში აქ თვითა სათვალავი არ უწერია, აღდგენილია სარჩევის მიხედვით.

2) შეცდომაა, უნდა იყოს „ხურგათა“

და ბროწეულს ყველა ღვინითა შემგებრითა შეაგოლოს და დაძინებისა ესამა თვალთა შემოსდეს, და უკანის წითელი შაფი და ბასალიყი ¹⁾ და როზნა თაგისა და თვალისა ძალისა ხისაფერად, და მანკისა დედისა მისაფერად, ესე წამალი რომელ გვეთქვამს შემოვლოს.

ჰუნჯან იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ გაზრდილი ისრიმისა წყალი თვალთა შემოვლოს და გრილსა ტილესა თვალთა შემოსდებდეს, და ტენი ქინძისა წყლითა და არდისა წყლითა გაიგრილოს, და ურწყოსა მამათა შექნილსა და ნუშის გულისა ზეთითა შეზაფებულსა ქამდეს, და ხაშაშისა შარბსა იხმარებდეს. და ყვითელი ჰალილა ვარდისა წყლითა გავალოს და თვალთა ჩაუშუას. და მიწყით მუცელი ლბილად დაიჭიროს ხილთა წყლითა, და საჭამადსა ასფანახსა ქამდეს ოსპითა შექნილსა.

10 არბიასიოს თქვა: თუ მანკი ძნელი იყოს იისა ყურსი, და ყურსი კეტვრსა ჰქვიან შაქრითა ქამოს, რომელ იგი მლაშე ხილტი რომელი თავსა და თვალთა შერეულ იყოს ყველა ჩამოიღოს, და წითელი შაფი შემოვლოს. და თუ მქვიანი და ჰაიელი არ დააკლდეს ყვითელი დარური თვალთა შემოვლოს და მაშინ ბასალიყონი და გრილთა და ხველთა და უდნობთა საჭამადთა ერიდებოდეს, და ვარიასა და ხოზობსა და თიპოსა ზირაბაჯითა შექნილსა ქამდეს. და ღამით ნურას ქამს, და დაიცისა სიახლესა ერიდებოდეს, რომელ ელხინოს შეწეწენითა ღმრთისათა.

ნდ. ბარდი და თაჰაჯური და შაირაბ რომელ თვალისა ქაშუთოხას შიგან იძმბის ვითარება ამთ მანკთა. ფოლის იტყვის: ვითარება მისი სქელისა ბალმისა გარევისაგან იქნების რომელ თვალისა ბურგსა [ზურგსა] შიგან შეიყაროს ანუ თვალისა კილოხსა, და მაშინ ბუნებისა ძალმან გამოღმა გამოსცეს მუნით, და არაბულად ქაზგაი ქვიან.

20 ნიშანი ბარდისა და თაჰაჯურისა: იგი არს რომელ მჯდომი მრგვალი და პატარა გამოჩნდეს თვალისა ქუქუთოხას ანუ თვალისა კილოხსა ნარსაქისა ოდენი, და ანუ მუხუდისა ოდენი, და რაჲცა მისგნით მგარი იყოს მას არაბულად თაჰაჯური ჰქვიან.

კურნება ბარდისა და თაჰაჯურისა. ფოლის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ჯავშირი და ქალბანა და ვაშა ყველა ძმრითა გავალოს და მრავალჯერ ზედა შემოსცხოს, თუ არ გამრთელდეს კურნება მისი იგი არს, რომელ შაშრითა ადგილი მისი გააპოს და მანკისა დედა გამოიღოს, და უკანის ყვითელი დარური მრავალჯერ ზედა მოაყაროს.

მასარჯომა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და იარაჲ ფეყრათა ანუ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, რომელ თვალი და თავი ჰავისა გარევისაგან გაწმენდეს, და მანკი ტანისაგან გამოიღოს, და ვიშა და ძმარი და ცვილი და იისა ზეთი თვალსა შემოსდეს, და თუ შემგბარი ლეღვი შემოსდეს კარგი არს. და შაფი წითელი ლბილი შემოვლოს და თუ არ გაუჩინარდეს ფრჩხილითა მღერი ამოგდოს და მაშინ ყვითელი დარური შემოაყაროს. ერგების.

ჯალინოს იტყვის: თაჰაჯურისა კურნება იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ნელი წყალი ზედა დასახს რომელ დაიღბოს, და თუ ვერ იჯობინოს დახილორინსა მაჰლამად დასდეს. და თუ ხანი გარდახდეს და ამა წამალთაგან არ იჯობინოს, მანკისა ადგილი გააპოს და რაჲცა მანკისა დედა იყოს გამოიღოს, და ნურას დაადგებს შიგან ზანკისა თანასა რომელ კულა არ გამოვიდეს და ფარეხსა იქმოდეს რომელ თვალისა ქუქუთოხა 40 ერთობილად არ გააპოს, რომელ ჰირსა არ ჩაიჭრეს და ესე დასტაქურობისგან არს, სააქიმოსგან კიდე განი არს.

ვითარება შაირაბისი. მესია იტყვის: ვითარება მისი დამწურისა სქელისა ნიხისაგან იქნების რომელ თვალისა ქუქუთოხას შიგან შეიყაროს წამწამთა სიახლესა, ანუ გასიფებისაგან იყოს ანუ გასარეველისა სქელისაგან იქნების, და იგი ეგეთი სიმსივნე იქნების რომელ თავსა არ ისხამს.

¹⁾ უნდა იყოს ბასალიყონი.

ნიშანი შიარაქსი. იგი არს, რომელ ეგეთი სიმსიენე თვალთა ქუქუთოასა ზურგსა გამოჩნდეს და ანუ წამწამთა სიახლესა, და რაჲ დღე უფროჲ გადიდდების და უწითლე იქნებოდეს, და რაჲცა ვასარეველისაგან იყოს თეთრი იქნების.

კურნებაჲ იგი არს, რომელ თუ თვალთა ქუქუთოა მხურვალედ იყოს მამითაჲსა შაფი და სომხური შაფი და არღის წყალი ერთგან გავალოს და ზედა შემოიცხოს, და ნელითა წყლითა ბანდეს¹⁾, და თუ არ იჯობინოს და ხილიონისა მალჰამაჲ დასდვას რომელ მანკისა დედაჲ დაადნოს. და თუ არცა მალჰამამან რაჲ არგოს კურნებაჲ იგი არს, რომელ მღიერი ფრჩხილითა ამოავდოს და გაუშუქას რომელ სისხლი გამოვიდეს, და მაშინ ყვითელი დარური მოაყაროს, და მიდამო მისი გააგრილოს გრილითა შემოსადებლითა, და ხილთა წყლითა მუცელსა დაიღობოდეს, და სიქანგუბინსა და ჯულაბსა იხმარებდეს ერგების, და საჭამადსა ვარიასა ჰამდეს ანუ ურწყოსა ნუშისა ზეთითა, ერგების.

მასოჲს ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ გამდნარი ცვილი ლბილი ზედა შემოსდევან და ხილიონისა მალჰამაჲ ერგების, და ახანოჲს მივიდოდეს და პირსა თბილისა წყლისა ოფლსა მიუპყრობდეს. და წითელი მალჰამაჲ ამას მანკსა ერგების. და თუ მანკისა ადგილი თბილითა პურითა იხელოს კარგი არს, და თუ თეთრსა ცვილსა ცოტაჲ არჯასი გაჭრიონ და ცვილი გააღნონ და მანკისა, ადგილსა შემოსცხონ კარგი არს. და ლღვი შეაგბონ და საბრი თანა გაჭრიონ და ტკივილისა ადგილსა შეზილოს კარგი არს. და იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაუღობონ, რომელ მანკისა დედაჲ თავით ჩამოზიდოს და ტანი სქელითა ხილტითა გაწმიდონ, და საჭამადსა ურწყოსაჲ მაშაჲსასა ჰამდეს, და რაჲ იჯობინოს ვარიაჲ ალარდნითა შექნილი ჰამოს, და ლამით ნურას ჰამს და დიაცსა ნუ დაეკარების თუ სმრთელე და სინათლე თვალთა უუყარს.

59. შათარაჲ და თვალთა ერთმანკითა ზედა მარღატჰაჲ: ვითარებაჲ შათარაქსი.

სინაჲს ძე იტყვის: შათარაჲ არაბულად მას ქეიან რომელ წამწამნი ერთმანერთსა ზედა არ მიეახლებოდეს, და თვალი ნახევარ ალრეზილი დარჩეს, ეგრე რომელ სწადდეს რომელ თვალნი დაიჭუნეს თეთრი კიდე უჩნდეს, და ესე მანკი სამფურად იქნების.

ნიშანი შათარაქსა მანკისა. ერთი ნიშანი იგი არს, რომელ თვალისა ბურგთა ანუ ქტეშესა ანუ ზემოჲსა ეცეს რაჲმე ნაკრავი და გაიხიოს, და მაშინ შეეკრონ არ კარგად, და დამოკლდეს. ხორცე რომელ თვით დაბადებით მოკლე იყოს, მესამე ქუქუთოჲ ვარდაქეული იყოს ანუ ბორცი მეტი რაჲმე გამოვიდეს.

კურნებაჲ შათარაქსა მანკისა. სინაჲს ძე იტყვის: თუ ესე მანკი შეკერვისაგან ყოფილიყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ შეკერული გააპონ და ცოტაჲსა ბანბისა ძუელსა ზედა სპეტისა მალჰამაჲ მომროღანსა თანა გაჭრიოს და გააბობილსა შუა დასდვას, და თუ თვალთა ასფარამთა წყლითა ბანდეს ვითა ბაზუნაჲ და აქლილოლმლიქი და სისანბარი და რაჲცა ამათ ჰგვანდეს ერგების. და ხმელსა წამალსა გრიდებოდეს ვითა დარურსა წითელსა და ყვითელსა და მათსა მსგზავსთა. და თუ თვით დაბადებით მოკლე იყოს არ იკურნების. და თუ ხორცე მეტისაგან იყოს, რომელ ქუქუთოთა ზედა მოზრდილ იყოს, ფიცხელი წამალი შემოსდევან ვითა ჟანგარასა მალჰამაჲ და მსგზავსი, მისი რომელ ხორცე მეტი გაუქარვოს. და თუ ამან წამალმან არ არგოს უმჯობესი იგი არს, რომელ ხორცემეტი ზე აუღონ და ფრჩხილითა მსწყვიტონ და არა დაადგონ, და მაშინ ყვითლითა დარურითა ჰკურნონ რომელ ზედა მოაყარონ, და ძირაჲსა წყალი თვალთა უწითონ და მალუკაჲ დასდევან და მგრად შემოჭრან. და თუ თვალი ვასივებული იყოს ჰკურნოს რამადის წამლითა, ვითა რამადისა კურნებასა შიგან ვახსენეთ. და თუ სიმსიენე არ იყოს წითელი შაფი შემოვლოს და წითელი დარური მოაყაროს. რაჲ დღე და ტანი მიწყით წმიდად დიჭიროს და კურნებისგან ნუ მოღაფლდების, რომელ კელსხორცი არ მოიზარდოს და უდნობთა საჭამადთა ერიდებოდეს.

1) ამ გვერდის ქვემო აწიხზე რვეულთა სათვალავი სწერია „ივ“ და შემდგომ გვერდის ქვემო აწიხზე „იზ“.

ვითარება თუალთა გარდაკრვისა ერთმანერთსა ზედა. ისაკ იტყვის: რომელ თვალთა სიწყულლისაგან იქნების რომელ ქუქუთონი ერთმანერთსა ზედა დაიკრნენ. სხვა მით რომელ საბალი ანუ ნახუნად თვალთაგან აელოს მამინ ქუქუთოსა მაგრად შეიპყრობს.

ნიშანი ქუქუთოთა დაკრვისა. იგი არს რომელ ქუქუთონი სიშავესა ანუ სითერესა თვალისასა ზედა მაგრად დაწებულივითა იყოს, რომელ ვახსნად არ ეგებოდეს, ანუ ორნივე წამწამნი მაგრად დაკრულნი იყვნენ.

10 ქურნება. იგი არს, რომელ ვითა ქუქუთო მილისა თავითა ახსნად და ყმა დანით ტყავნი ერთმანერთისაგან ვახსნად, და მას ფარდაგასა რომელ ყარნი ჰქვიან ერიდოს. და მამინ ძირაასა წყალსა ჩაუწობდეს. და ცოტად ბანბად ვარდისა ზეთითა და კვერცხის ყვითლითა დაასოვლოს და ქუქუთოსა ზედა შემოსდეს. და სამდღემდის ამასვე ჰკურნებდეს, და მას შავსა იხმარებდეს რომელ თვალისა სიწითლესა ერგების, ვითა თეთრი შავი და აბარისა შავი და მსგავსი ამითი. და ვითარება მისი რაჟცა წამწამთა დაკვირვისგან იქნების ერთმანერთ-ზედა, ქურნება იგი არს, რომელ მილისა თავი შუა ჩაყოს და დახსნას ერთმანერთისგან, მაგრად თუ ვერა ქნას მილის წყურითა ზედათი ქუქუთოთა ვახსნად და ყმა დანითა გააპოს ერთმანერთისაგან და მამინ გაკვეთილისა ადგალი ძირაასა წყლითა დაბანოს და ცოტად ბანბად მაღაპმითა თეთრითა და ვარდის ზეთითა დაასოვლოს და შემოსდეს, და რომ-ნაასა შავი თვალთა შემოვლოს და საჭამადსა ცოტასა ჰამდეს ერგების.

20 და თქალთა დაკერისა რაჟ გაიღვიძოს. მადაინი იტყვის: თუ თქალთა უმიზეზით ვერ გააღებდეს მეტად ძილისაგან აღდგომილი, სიხმელისგან იქნების.

ქურნება იგი არს, რომელ აბანოს მივიდოდეს და იისა და აყიროასა თესლი ერთ-გან გაპრიოს და თვალსა იცხოს ერგების, და კურცხისა თეთრი ვარდისა ზეთსა გაუტროს და დაძინებისა ეპმს თვალსა შემოსდეს, და პიზი თბილისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას. და ტყვილი წყალი თავსა ისხას დიღ დილით და ნედლთა და გრილთა ზეთთა თავსა იცხებდეს და ცხვირთა უწებდეს ერგების.

30 63. საშაღაღა პარდნაღაღა წამწამთა სიმეძე. ვითარება საფაასი და ვარდინაასი. იოჰანა იტყვის: საფაა აყროლებულისა სევდისგან იქნების, რომელ შეყრილი იყოს თვალისა ქუქუ-თოასა და ვარდინად სისხლისა ანუ ზაფრისაგან შეიქნების, რომელ თვალთა ქუქუთოსა ში-გნითვე შეყრილი იყოს.

ნიშანი საფაასისა და ვარდინაასის. საფაასა ნიშანი იგი არს, რომელ წამწამთა ძირსა ანაკვეთი ვითა იყოს, და ვარდინაასა ნიშანი რაჟ სისხლისაგან იყოს, იგი არს რომელ წითელი სიმსივნე თვალთა ქუქუთოასა შიგნით იყოს, და რაჟცა ზაფრისაგან იყოს ყვითელი იქნების და ქავისცა.

ქურნება საფაასის და ვარდინაასის. იოჰანა იტყვის: კურნება საფაასი იგი არს, რომელ ყვითალი გაიხსნას და ხილთა წყლითა შემგებრითა მუცელი დაიღობოს, და წითელი შავი თვალთა შემოვლოს, და მურდასანგითა და მაჭურითა ინაათა ტილესა უხმი-დეს თვალთა, და საჭამადთა გრილთა და ხმელთა ერიღვიძოდეს, და ტანი გარევისა ბალღა-მურისა და სევდურისა გაწმოდეს, და მიწყით ყვითელსა შაჟსა თვალთა შემოვლოდეს, და მა-შინ წითელი და ლბილი შავი იხმაროს. და საჭამადსა დია ნუ ჰჰამს და ღვინოსა დია ნუ 40 სჰამს, და დიაცა ნუ დეკარების, და საჭამადად ვარიაასა ჰამდეს ზირაბაჯითა შექნისა. და აბანოსა დია ნუ მივას და დაძინებისა ეპმსა ნურას ჰამს.

მასარჯოა იტყვის: ვარდინაასა კურნება იგი არს, რომ ყვითალი გაიხსნას ანუ ქიქაჟ მოიკიდოს, და სამსა დღესა კურცხისა ყვითელსა თვალთა ზედა დასდებდეს, და უკანის ცოტად ზაფრანად და აფიონი კურცხისა ყვითელსა გაპრიოს და თვალთა შემოსდეს, და ქალის დედისა სძე ჩაუწობს, და მაღაპმით თქალთა შემოვლოს, და უკანის ყვითელი და-რური შიგან ჩამოყაროს. და თუ დანაყილი ქრთილი და ნახსკი და ბროწეულისა ქერქი

დანაყილი ვარდის ზეთითა შეაბავს და თვალთა შემოსდვას ერგების. და რაჲ მანკი გამრთელდეს ყვითელი დარუჩი შემოავლოს, და რაჲცა ზაფრისგან იყოს კურნება იგი არს, რომელ მუცელი დაიღობოს და უკანის ყვითელსა დარუჩსა იხმარებდეს და ესე ტილე შემოსდვას, და თუ ჰორტუტი და მამითაჲსა შავი ვარდის წყლითა გავალონ და თვალთა გარე შემოავლონ კარგი არს, და თუ ტივილი ძნელად იყოს ანხარუთი და მამითაჲ წმიდად გავალონ და თვალთა შემოავაროს. და ქრთილი ქერქვახილი და ზაფრანაჲ ერთგან დანაყონ და არდის წყლითა შეზილოს და თქალთა შემოსდვას.

წამწამთა მატებისა ვითარებაჲ. ფოლის იტყვი: წამწამთა მატებაჲ ლვიძლისა და სტომაქისა ბუხარისა და ორთქლისაგან იქნების, რომელ ქუქუთოჲსა შიგან 10 შეაყაროს და მოერიოს მაგრა ჰავები ბუხარები, რომელ მყარლისა სინედლისაგან ქნილ იყოს.

ნიშანი წამწამთა მომატებისაჲ. იგი არს, რომელ ცრემლი დიასლიოდეს და იგი თმაჲ არ სხვისა თმისაგებ იქნების, მით რომელ იგი თვალთა შიგნით დაღმა გაზრდილი იქნების და ესე ყველათა იცინა.

კურნებაჲ იგი არს. ფოლის იტყვი: რომელ აფთიმონისა მატუხისა ანუ ყუყიასა ჰაბითა მუცელი დაიღობოს. და თუ გრილ ბუნებაჲ იყოს ანუ ბერი და ყმაჲ, და მხურვალბუნებაჲ იყოს და თვალნი წითლად ედგას და თვალთა ძარღვნი გასიგვებული იყვნენ შირახიშითი და ჰინდოური თამრი, და იაჲ და ვარდი წითელი, და არდისა თესლი და ყვითელი ჰალილაჲ ყველაჲ შეაბავს, და ლიტრითა ერთითა წყლითა იხმაროს. და მაშინ 20 მავა თმათა რომელ აწყენდეს ავლიჯოს, და თუ ვირისა ტერფი დამწუხარი ცოტა მისგნით დანაყილსა ნიშადურსა გაპრიონ და მას ადგილსა, რომელ თმაჲ დაგლეჯილი იყოს მოაყარონ. მაშინ თუ თმაჲ დია იყოს თაბაშირი უყოს, და თაბაშირი მას ჰქვიან რომელ ქუქუთოჲსა ზურგი გაჰაონ და ცოტაჲ ხორცი მუნით გამოიღონ, მეტად მუნით რომელ თმაჲ მოზრდილ იყოს, და მაშინ შეკეროს რომელ უკუიქცეს და გამრთელდეს. და თუ თმისა ძირი დასდაღონ ერგების. მაგრა დადაღვას უკანით კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი შემოსდვას.

დევეჯანის იტყვი: თუ ამის მანკისა პატრონი გრილ ბუნებაჲ იყოს, ყოყიასა და შაბიარისა ჰაბი ჰამოს და ეგრე ხამს რომელ მიწყით ლილად იყოს და თმაჲ რაჲცა შეტი იყოს დაგლიჯოს და ტრედისა ხუნდისა სისხლი მხურვალნი თვალთა ჩაიწოოს, ანუ 30 ჭრელისა ბოკრისა სისხლი. და თუ არა იჯობინოს იგი სისხლი მასტაქითა სხვათა თმათა თანა გამოაბას რომელ თვალთა არ იფხანდეს, და არ გააწყულეზდეს და მიწყით ხამს რომელ ბასლიკონსა თვალთა ჩაუწოზდეს დიდად ერგების, და დიაცსა ერიდოს.

68. **ტუმნაჲ და თუთაჲ და წამწამთა დახდაჲ.** ვითარებაჲ ქვიშაჲსი და თუთაჲსი. არხიჯანის იტყვი: რომელ ქუმნაჲ სქელსა ქარისაგან იქნების რომელ თვალისა ქუქუთოჲსა შიგან შეიყაროს, და თუთაჲ სისხლისა დამწვრისა და დაშვებულისაგან იქნების, რომელ თვალისა ქუქუთოსა მოერიოს.

ნიშანი ქუმნაჲსი და თუთაჲსი: ქუმნაჲსა ნიშანი იგი არს, რომელ რაჲ გაიღვიძოს ეგრე ეგონოს რომელ თვალთა შიგან ანუ ქვიშაჲ აქვს, ანუ მიწაჲ. და ნიშანი თუთაჲსი იგი არს, რომელ ხორცი მოზრდილ იყოს ქუქუთოსა ქვეშეთ და შავი ფერი იყოს.

კურნებაჲ ქუმნაჲსი და თუთაჲსი. არხიჯანის იტყვი: კურნებაჲ მისი 40 იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღობოს ესერ: საბრი სამისა დრამისა წონი, მასთაქე და ვარდი წითელი თვითოჲსაგან ორისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი წყლითა შეზილოს და ჰაბად შექნას და ჩრდილსა გაახმოს, დრამისა წონი მის გნით იხმაროს რომელ ტანი მანკისა დედისაგან გაწმდეს. და მაშინ აბანოსა წავიდეს. და მაშინ შავითა შავითა ტილე უყოს თვალისა ქუქუთოსა და შავი აბარი თვალთა შემოვლოს. და უღნობთა საჭამადთა ერიდებოდეს ვითა ზროხისა ხორცი და აქლემისასა და მათსა მსგავსთა.

მასაჲს ძე იტყვის: კურნება თუთაჲსი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს საბრისა ჰაბითა, ერგების. და მაშინ ფიცხელსა წამალსა შემოსდებდეს ვითა მწვანე შაფი და როშანაჲ, და ორი პაჰა დათმოს რომელ ადგილი მისი გაშავდეს მაშინ წამალი მისგან მოიხოცოს, ქალის დედისა სძე ჩაიწვითოს, და თუ თუთაჲ ფრჩხილითა მახვილითა მოსწყვიტოს მისგან უადვილესი არს, რომელ წამალი შემოსდეს ფიცხელი.

მასაჲს ქალს იტყვის: კურნება იგი არს, რომელ ფიცხელი წამალი შემოსდეს და მიწვით ქალის დედისა სძესა ჩაუწობდნენ, რომელ სიფიცხესა წამლისას დაწყნარებდეს, და თუ კურნება მისი ფიცხელითა წამლითა არა სწადდეს უმჯობესი იგი არს, რომელ სანართი ამოზიდოს და ყიმა დანითა ხორცი მოჰკვეთოს, ანუ მახვილითა მაკრატლითა, და
10 მაშინ ძირაჲსა წყალსა ჩაუწობდეს მას ადგილსა რომელ ხორცი ამოკვეთილი იყოს, და ქუერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი ერთგან გაჰრიოს და ზედა შემოსდებდეს, მრავალჯერ ესერ ქნას.

წამწამთა დახდისა ვითარებაჲ. მადანელი იტყვის: დახდა იმის ორფერად იქნების მხურვალისა და ფიცხელისა გარევისაგან, ვითა სისხლსა ფიცხელი ზაფრაჲ გაერიოს ანუ ფიცხელისა სინედლისაგან რომელ მუნ მიხვდეს, ანუ დაათალბისაგან იქნების, და მეღთა ქვირ ჰქვიან დაათალბასა.

ნიშანი წამწამთა დახდისაჲ: იგი არს, რომელ სიმხურვალისაგან იყოს რომელ წითლად იყოს და ჰქავოდეს, და რაჲცა სიგრილისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ არა ჰქავოდეს და თეთრი იყოს, და თვალისა ტყავი მსხვილი იყოს.

20 კურნებაჲ წამწამთა დახდისაჲ მადანი იტყვის: რაჲ წითელი იყოს და ჰქავოდეს ყიფალი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს რომელ ტანი მანკისაგან გაწმდეს, და მჟავთა და ფიცხელთა და მლაშეთა ერიდებოდეს, და ნარსაჲ ქერქ დახდილი ბროწყულისა ცმელითა დანაყოს და შემგზარსა ღვინოსა და ცოტათა ვარდის ზეთითა გავალოს, და თვალთა შემოსდეს, და აბანოსა იხმარებდეს და კურნებაჲ მისი რაჲცა არ ჰქავოდეს და წითლად არ იყოს იგი არს, რომელ ზუთისა დრამისა წონი ხურმის გურკისა ნაყარი, და ფაჩარი და ლაჟვარდი თეთოთაგან სამისა დრამისა წონი ყველა დანაყილი წამწამთა შემოაყაროს ერგების.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისგან იყოს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშინი ჰამოს და ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და პირველსა კურნებასა ვასახელსა წამალსა იხმარებდეს. და სორმაჲ რომელსა ჰქვიან თვალთა საულავი და სომხური ჰება წმიდად დანაყოს და მიწვით თვალსა ჩაიყრიდეს, რომელ რაჲცა სინედლისაგან იყოს ყოველსა ერგების. და ნაყარი რომელი თაგმან თაფლითა შეზილოს წამწამთა ტილედ შემოსდეს ერგების. და გავლილი ლაჟვარდი თვალთა ჩაიყაროს კარგი არს.

ისაჲ იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ დაალობისაგან იქნების ვითამცა მეღთა პირისაგან ნიშანი იგი არს, რომელ მანკისა ადგილი მოკეთილ იყოს.

30 კურნებაჲ მისი. იგი არს რომელ მილი ზახვისა წყალსა შიგან ჩაყოს და წამწამთა მოუსტეს, და რაჲცა დაალობასა კურნებაჲ უნდა იგიცა იხმაროს, და ალაქის ნაწურული და ჰამო ფაჩარი და ბალანისა გურკაჲ ყველა ერთად გავალოს და მანკისა ადგილსა შემოსცხოს. და უზმაჲ გულანგუბინსა ჰამდეს. და საჰამადსა რაჲცა შიგან სიხმელე იყოს ნუ
40 ჰჰამს. და მუსულის წვენსა ჰამდეს ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

წ. სალი და შურნაყისა. ჰუნაჲ იტყვის: სალისა გამოჩენაჲ სქელისა ბალღმისგან იქნების რომელ მორიოს ქუქუთოსა, და შურნაყი სინედლისაგან იქნების რომელ ცმელი ვითა შექნელი იყოს, და თვალისა ტყავისა ფაჲთა შიგან შექსილი იყოს.

ნიშანი სალისა და შურნაყისაჲ. სალისა ნიშანი იგი არს, რომელ ქუქუთოჲ მაგარი იყოს და არა სტიკოდეს, და შურნაყისა ნიშანი სისუსთე და სიმძიმე არს ქუქუთოჲსი, და ცრემლიცა დია ედინების, და სიხმელეცა რთავს.

ჰუნაქა იტყვის: საღისა და შურნაყისა კურნება იგი არს, რომელ ავთიმონისა მათუხითა მუცელი დაიღბოს და მანკისა ადგილსა დახილონისა მალჰამა შემოსდეს. მაშა თუ ამით არ უჩინარ იქნას მანკისა ადგილი დაშაროს და შემოაჭიროს, რომელ მანკისა დღდაა გამოვიდეს, და მერმე ყვითელი დარური შიგან ჩაადლოს, და ეგეთთა საჰამადთა რომელ ბალდამსა და სევდასა მოუმატებდეს ერიდოს, ვითა ზროხისა ხორცი და ნარსაქი.

ბაყრაძე იტყვის: შურნაყისა კურნება იგი არს, რომელ ყვითელი გაიხსნას და ანუ ჰიქა მოიკიდოს და ესე ტილე თვალთა შემოსდეს. ვითარება მისი: აყაყა და მ-ქური ჰეტუტი, და სიქი და შაფი მამითა, და საბრი და ნიშასტაგი, და ალვა და ზაფრანაჲ ყველა დანაყოს და შორდისა წყლითა შეზილოს და იხმარებდეს ერგების. და თუ საბრი 10 შორდისა წყლითა გავალოს და თვალთა შესცხოს კარგი არს. და თუთა¹⁾ და შაქარი ზედა მოაყაროს, და თუ დარური ყვითელი მოაყაროს კარგი არს. და თუ მანკი ძლიერი იყოს და ამით არ გამრთელდეს კურნება მისი იგი არს, რომელ იბრტყე ქუქუთოა გააპოს და შურნა-ყი შაშრისა პირითა აიღოს, და მაგრად მოეკიდოს რომელ ზელთაგან არ დასხლტდეს, და ყოველნით დაიძრას რომელ ქუქუთოსგან გააკიდენოს და მის გნით ნურას გააკიდენებს, და მერმე მჩქარი ძმრითა დაასოვლოს და ქუქუთოსა შემოსდეს და მაგრად შეკრას და მას დღესა ეგრევე მიუშუას მეორესა დღესა ყვითელი დარური შეაყაროს, მაშა თუ თვალთა ში-გან სიმსიფე გამოჩნდეს შაფი მამითა და ჰეტუტი არღისა წყლითა გავალოს და ქუქუთოსა შემოსდეს, დიდად ერგების ღმრთისა შეწევნითა.

სულაყისა მანკისა ვითარება: ქავანი თვალთა სიღრუჟსა არაბულად სულა- 20 ყი ჰქვიან და სინედლისაგან იქნების, ბაერუკსა ჰგავს და ნატიფთა იქნების და ფიცხელი და არაბულად ამ სინედლეთა ბაერუკული რუტობათი ჰქვიან.

ნიშანი სულაყისა მანკისა იგი არს, რომელ წამწამნი გამსხარ იყოს და გაწი-თლებული და ზოგი მის გზით დახდილი იყოს, და თვალთა ტყავი გასიკვებულ იყოს. და ქა-ვოდეს.

კურნება სულაყისაჲ. მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: რაცა სუბუქი და ახალი იყოს იგი არს, რომელ კერცხისა თეთრი ერბოთა გაადგინოს ანუ დანაყილი ნუში სძესა გაპრიოს და ძქელი მამბაჲ მაგით შეზილოს და დაძინებისა ეამსა თვალთა შე-მოსდეს, და დილასა აბანოს წავიდეს და პირი ტფლისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას. და ნუშისა ზეთი ცხვირთა უწოთ. და არღი დანაყოს და ვარდისა ზეთითა გააცხიბიანოს და 30 თვალთა შემოსდეს. და ესე მანკი რაჲ ძქელი იყოს ყვითელი გაიხსნას და წვივთა ჰიქაჲ მოიკიდოს, და პალილასა მატუხითა მუცელი დაიღბოს, და ნარსაქი ჰერქ შეხდილი ბრო-წეულისა ცმელსა თანა დანაყოს და შემგბარსა ღვინოსა შიგან კარგად გავალოს ერთო-ბით და ვარდისა ზეთითა დააცხიბიანოს და თვალთა შემოსდეს. და აბანოს წავიდეს და ადრე გამოვიდეს.

იოჰანა იტყვის: ყვითელი გაიხსნას ანუ შუბლისა ძარღვი და იარაჲსა ჰაბითა ანუ ღარიყონისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს. და თუთუბოჲსა წყალი ვარდის წყალსა გაპრიოს და თვალსა შესცხოს. და ნარსაქი წმიდად დანაყოს და ცოტაჲ იისა ზეთი გაურიოს და თვალთა შემოსდეს კარგი არს. და მაშინ წითელი შაფი ანუ გაზრდილი ისრები და თუთიაჲ თვალთა შემოვლოს. და თუ მანკი არ გამრთელდეს ესე წამალი იხმაროს ჩუენ გამოვიც- 40 და: თუთიაჲ და ზარდაიზობა თვითსაგან დრაჰმისა წონი, პალილაჲ ყვითელი და ზანჯა-ბილი თვითთასაგან ნახევარ დრაჰმისა წონი, დარაფილვილი და მამირანი თვითთასაგან დან-გი და ნახევარი, ჰინდური მარილი ყვრატო, ყველა დანაყოს ისრიმისა წყალსა გაზრდილსა თანა გაპრიოს და მაშინ წმიდად გავალოს და მუნით მრავალჯერ თვალთა შემოვლოს ერ-გების. და ღამით ნურასა ჰამს და დიაცსა ერიდოს ევენების უცილოდ.

1) უნდა იყოს თუთია.

ნო. ლუდა და ღარბი რომელ წაფაფათა შიგან იმხანის. ვითარება ლუდასი და ღარბისა. ისაჲ იტყვის: რომელ სქელისა სისხლისაგან იქნების, რომელ თვალისა კილოსა შეიყარნენ და ღარბი ფიცხელის გარეენისაგან არს, და ფიცხელისა სინედლისაგან, და ეგების რომელ კილოსა თვალისასა გამოჩნდეს და დაიჭრას.

ნიშანი ლუდასი და ღარბისა: ნიშანი ლუდასი იგი არს, რომელ თვალი სა კილოსა ცოტა ხორცი მეტი შეიქნას და წითელი იყოს. და ნიშანი ღარბისა იგი არს, რომელ კილო ვასიგებულეიყოს ანუ გახურებულეი, და მყარალი თხამლი გამოვიდოდეს მისგან.

კურნება ლუდასი და ღარბისი. ისაჲ იტყვის: იგი არს რომელ ყოყიასა ჰაბითა ანუ იარაჲ ფეყირათა მუცელი დაიღბოს, და რაჲცა მანკისა სათაფრო არს სქელი ხალტი ჩამოიღოს თავისაგან და ტანი გაწმიდოს, და მაშინ ფიცხელი წამალი დასდეს ვითა ბასალიყონი და როშნაჲ ჟანგარითა და წუნწებითა. და ზოგთა აქიმთა უთქვამს რაჲ სნეულსა შეეძლოს ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაუღობოს, და მაშინ ჟანგარისა მალჰამაჲ ცოტაჲ ძველსა ბანბასა დასდეს და შემოსდეს, რომელ ხორც მეტი წაუღოს. და თუ მაკრატლითა ძირითა მოჰკჭეთოს, და მაშინ ყვითელი დარუი შეჲყაროს და ვარდისა ზეთი და კურცხისა ყვითელი დასდეს ერგების.

ფოლის იტყვის: ღარბი ნასორი არს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ესე შაფი დასდეს: საბრი და თეთრი საკმელი და ანზარუთი და ხონისიაოშანი თეთოსაგან ორისა დრამისა წონი, გუნდაჲ და თვალთა საოლაჲ და თეთრი არჯასბი თეთოსაგან დრამისა წონი, ჟანგარაჲ ნახეჲარ დრამისა წონი, ყველაჲ დანაყოს და შაფად ქნას და თაფლითა გაგალოს მრავალჯერ მანკსა შემოსდეს რომელ გაშრეს. და რაჲ ნასორი მავარი არ იყოს რომელ ძქალი დააშოს არაჲ ჰგაჲჲ, და რაჲცა ძქალი დაეშოს უკუნისამდე არ გამოთელდების. და უყეთის კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ დაღაღოს და ხაშაში ფსლითა დაასოგლოს და ფიცხელსა წამალსა გაჰრიოს და ნასორსა შემოსდეს, და თუ წითელი და ყვითელი ზარნიხი, რომელსა ჰქვიან ამარტოჲ, და არჯასბი და დარარიჲ, და ქლისი და ნაფშადური თეთოსგან ორი დრამისა წონი, ეაშაჲ და მუყვი თეთოსაგან მუტყალი, ყველაჲ პატარაჲსა ყმისა ფსლითა დაასოგლოს და ოთხისა დრამისა წონი ჟანგარაჲ გაჰრიოს და შეზიღონ, და პატარუკსა ზედა დასცხონ და ნასორსა ზედა შემოსდეს, ერგების შეწეენითა ღმრთისათა.

ტილი და ჰაფაში რომელ წაფაფათა შიგან იმხანის 1) ვითარება ტილისა და ყამყამისა. აბუჯარიჲ იტყვის: დასხმაჲ მათი ჰვისა საჰამდისაგან იქნების, რომელ მისგნით ფიცხელი სინედლე თავსა გამოჩნდეს, მაშინ ბუნებისა ძალმან იგი სინედლე თვალთა ქუქუთოსაჲე გაგზავნოს, და მისგანცა იქნების რომელ აბანოს ღია არ მისულ იყოს.

ნიშანი ტილისა და ყამყამისა: იგი არს, რომელ ქუქუთოსა შიგნით ღიადი ტილი გამოჩნდეს, და ნიშანი ყამყამისი იგი არს, რომელ ყამყამი ტილისაგან უფროჲსი არს და ფერად წითელი.

კურნებაჲ ტილისა და ყამყამისა. აბუჯარიჲ იტყვის: კურნებაჲ მათი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყოყიასა ჰაბითა და სიქანგუზინითა, და სჰანძელითა ღარღარაჲ ქნას, და წამწამითა მარილ წყლითა ბანდეს ანუ თეთრისა არჯასპისა წყლითა, და ჩამიჩი და ბაერუკი დანაყოს და წამწამითა შესცხოს რომელ ტილი დაჰვარცეს, და თუ ქუქუთოჲ კაკუნტლისა წყლითა დაიბანოს კარგი არს, და მიწყით აბანოს მივიდოდეს. და თუ ბაერუკი კალნაბისა წყალსა გაჰრიოს და წამწამითა მავით ბანდეს კარგი არს.

მასარჯოჲ იტყვის: გამოჩენაჲ მათი დამლისა სინედლისაგან არს. კურნებაჲ მათი იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ყოყიასა ჰაბითა ღარღარაჲ ქნას და წამწამითა ჩამიჩისა წყლითა ბანდეს, და მიწყით აბანოს მივიდოდეს და ყოლა ლე-

1) ამ გვერდის ქვემო აწივზე სწერია რვეულთა სათვალავი „ნო“ და შემდეგი გვერდის ქვემო აწივზე „ნობ“.

ღქსა და ზროხის ხორცსა და აუხუტსა და ხახვსა ნუ სკამს. და საკამადად ქათმის ხორცსა და კაკაბსა და ღურაჯსა ჭამდეს. და როშნაჲ თვალთა შემოვლოს. და თუ ჩამიჩი და შაბი და არჯასი, და თხის კორკლი და მარილი ანდრანული, ერთმანერთისა ოდენი ყველაჲ და-
ნაილი დრამინაჲსა წყლითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შესცხოვ, ერგების დია.

ქურნეზაჲ მათი. იგი არს, რომელ იარაჲსა და საბრისა ჰაბითა მუცელი დაულ-
ბონ რომელ ტანი გაწმიდონ ჰავთა გამრეველთაგან, და უკანის მაგიზაჲ და საბრი და ბავ-
რუკი ერთმანერთისა ოდენი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ცხარითა ძმრითა შეზილოს და
წამწამთა შესცხოვ, და უდნობთა და მძიმეთა საკამადთა ერიდებოდეს. და დიაცსა ნუ დაე-
კარების. და აბანოსა დია მივიდოდეს, ერგების დია შეწვენითა ღმრთისათა.

10 ა. თვალისა ტაივილი რომელ სისხლისაგან იჲოს: ვითარებაჲ თვალის ტკივილისა
რამ სისხლისაგან იყოს. ჯალინოზ იტყვის: ესე მანკი სისხლისაგან იქნების რომელ
სინედლეჲსა მისდა მოერიენეს და პირველსა ფარდაგსა თვალისასა შეყრილ იყოს, და მანკი
რამ ამას ფარდაგსა შიგან იყოს მას რამადი ჰქვიან არაბულად.

ნიშანი მისი რამ სისხლისაგან იყოს. იგი არს, რომელ თვალნი წითლად
იყვნენ და გასივებულ იყოს და მიწყით სტკივოდეს, და თავისა და ყელისა ძარღვი ადგო-
მილ იყვნენ და ცრემლი დია სდიოდეს.

ქურნეზაჲ მისი რამ სისხლისაგან იყოს: ჯალინოს იტყვის: ყიფალი
გაიხსნას მისვე ხელისგან რომელ სტკივოდეს, და თეთრი შაფი ქალის დედისა სძითა გავა-
ლოს და ჩაიწოთს. და თუ თვალი იჲოპლსა იჲმოდეს თეთრი დარური შიგან შეუშუას და
20 ყელსა ქიქაჲ მოჰკიდოს, და ჰუტუტი ნაწილი ერთი, და აყიყიაჲ ორნახევარი მის ოდენი და
მეოთხედი მათი ზაფრანაჲ, და საბრი ყოველთა ოდენი, ყველაჲ შაფად ქნას და ეჲამამ
არდის წყლითა და ნედლითა ქინძითა გავალოს და ქუქუთოსა და საფეთქელსა იცხებდეს.
და თუ ესევე წამალი ნედლისა ქინძისა წყლითა გავალოს და თვალთა შემოსდვან კარგი არს.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: ყიფალი გაიხსნას და ბაზრაცატუნისა წყალი ჩაუ-
წოთს. და თუ ტკივილი გაძნელდეს ესე შაფი შემოვლოს გამოცდილი არს: სიწიტი ხუთისა
დრამისა წონი, ნიშანტაგი და ქათირაჲ თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, აფიონი დრა-
მისა წონი, ყველაჲ დანაყილი კვერცხისა თეთრითა შეზილოს და შაფად ქნას, და მაშინ ქა-
ლის დედისა სძითა გავალოს და თვალთა შემოვლოს ერგებინ, და თუ თუთუბისა შაფი
თვალთა შემოვლოს კარგი არს. და რამ ტკივილი მოაკიდეს და სიწითლე შიგან დარჩეს

30 ესე დარური მისთვის კარგი არის: ანზაროთი თეთრი ათისა დრამისა წონი, ზაფრანაჲ და
ჰამო სუნბული და საბრი და მური თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გავ-
ცრილი თვალთა ჩაიყაროს, რომელ ტკივილი ჩამოზიდოს და არგოს. და საკამადსა ისრი-
მსა ჭამდეს თიჲასა ხორცილი შექნილსა და ვარიითა, და დიაცსა ნუ დაეკარების.

თვალთა ტკივილი რამ ბალღმისაგან იყოს: ვითარებაჲ მისი რამ ბალ-
ღამისაგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: უფროასი გრილისა და ნედლისა საკამადისა ჭამისაგან
იქმების, რომელ ბალღამსა ვააძლიერებდეს და მოარევიოს მეტად თავისა ტენისა, მით რო-
მელ ბუნებისა ძალი მას თვალისა ფარდაგსა პირველისავე გაჰვზავნის.

ვითარებაჲ მისი რამ ბალღმისაგან იყოს. ნიშანი მისი იგი არს, რომელ
თვალისა სიმსიენე დიდი იყოს და სიწითლე უმცროჲ იყოს, და ცრემლი და ჰოპლი უფრო
40 იყოს და არ დია სტკიოდეს, და რამასცა მხურვალსა შემოსდებდენ ელხინებოდეს.

ქურნეზაჲ მისი რამ ბალღმისაგან იყოს: მასარჯოჲ იტყვის: კურ-
ნეზაჲ მისი იგი არს, რომელ იარაჲ ფეყირაჲთა მუცელი დაიღობოს რომელ ტენი და თავი
გაწმდეს, და მაშინ გარცხილისა უღბისა წუქენი თვალთა ჩაუწოთს, და მესამესა დღესა ყვი-
თელი დარური შემოაყაროს. და მური და საბრი და აყაყიაჲ და ზაფრანაჲ ერთმანერთისა
ოდენი წყლითა დასაოვლოს და ქუქუთოსა [შე] მოსდვას. და ყოველსა თვალის ტკივილისა ბო-
ლოსა აბანოჲ ერგების და თუ ბაყლი და ჰოპლი დიდი იყოს ესე დარური ჩაიყარონ: ანზა-

როთი თეთრი ათვის დრამისა წონი ქალის დედის სძითა გავალონ და რასამე შიგან ჩაასხას და თავი დაამაგროს მისი, და ცეცხლსა დაღვას რომელ ვახშეს, მაშინ იგი ხმელი მისი გავალონ და თვალთა შეაყაროს, რომელ კოპლისა ბაყლისაგან ვაწმდეს, და წაშაწანი ერთ-მანერთზედა არ გარდაიკვროდნენ.

ბაყრატი იტყვის: რაჲ ეს მანკი ბალღამისგან იყოს ყმაწვილითა და დღეათა შექნების. კურნებაჲ მათი იგი არს რომელ ბაზრაცუტუნთა და სხვათა წვეთთა შუათა ესრე იხმარებდეს, ვითარებაჲ მისი: უღბოჲ და კანაფის თესლი კიდევანთ გარცხოს და მაშინ ერთსა დღესა და ნახევარსა წყალსა შიგან მიუშვას, და მაშინ ორივე ხელითა დაჰკულიტოს და მათი წუენი დაიჭიროს და თვითოჲსა თვითოჲ კიჰასა შიგან ჩაღვას თუნდა ჩაასხას

10 და თავი ვაამაგროს პატარაჲსა შიშავისაჲ და მზესა დაღვას რომელ ვახშეს, და მათისა წვეთისაგან ერთმანერთისა ოდენი აიღოს, და ნახევარი მათ ოდენი ზაფრანაჲ და ნახევარი მათ ოდენი აუიონი ვაჭიროს, და მაშინ შუად ქნას თვითო ნარსაქისა ოდენი, და ხმარებინა ეჲმსა ერთი გავალოს და თვალთა შემოვლოს. და საბრი და აყუიჲა და ცოტა ზაფრანაჲ დაგალოს და ცოტაჲთა წყლითა გავალოს და ქუქუთოსა იცხოს. და საქამაღსა ბატქნისა და დურაჯისასა ქამდეს კალიად შექნისსა.

აბ. თვალისა ტიმიჯლი რუმელ ზაჰრისაგან იყოს: ვითარებაჲ მისი რაჲ ზაფრისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ზაფრაჲ პირველსა ფარდაგსა რაჲ შეიყაროს და მოერიოს მისგან არს, რომელ ბუნებისა ძალმან ტენით მუნ გამოვზაენოს და ზაფრანთა სჲკამაღსა ქამისაგან იქნების იგი, და ეგრეცა იქნების რომელ აღრითვან

20 მუნ შეერიო იყოს.

ნიშანი მისი რაჲ ზაფრისგან იყოს. იგი არს რომელ დია სტკიოდეს და ვითა ისარი ფეთქდეს, და ფერად მოყვითელე გუარად იყოს, და ცრემლიცა სდიოდეს და რაჲ ხელი თვალთა შემოსდვას მხურვლად იყოს, და სიგრილე ელხინებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ ზაფრისგან იყოს: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს ანუ ჰალითაჲსა მატბუხითა, და მიწყით ქალის დედისა სძესა თვალთა ჩაიწოთბდეს. და თუ ტკივილი დია იყოს ლუაბი ბაზრაცუტუნისა, და ბეჭეს გულისა ლუაბი, და ქაფურისა თეთრი შაფი და აფიონისა შაფი თვალთა შემოვლოს. და მჲაეისა ბროწელისა წყალსა სძიდეს რომელ ბუხარი თავისა ჩამოიღოს. და ხმელსა ქინძსა შაქრითა ქამდეს და გაცივებულსა ვარდის

30 წყალსა თავსა ისხმიდეს და სიმხურვალესა ერიდებოდეს. და ასაარაჲსა ფურცელი და მელთა ყურძენი და არღი მანკისა დასაწყისსა თვალთა შემოსდვას. და მამღარი ნუ დაიძინებეს და დაიცსა ეგრძალოს.

ისაყ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყვითლითა ჰალი-ლაჲთა და იითა, რე წითლითა ვარდითა. ყველაჲ ერთვან დანაყოს და შირიხიტისა და ტკბილისა და მჲაეისა ბროწელისა წყალსა ვაპიროს და იხმარებდეს. და საქამაღსა ტყემლისა ურწყისა ქამდეს. და მამასა და ასუანასსა და ქაქუნტელისა ფურცელსა, და ხმელსა ქინძსა და ნუშის გულსა ქამდეს. და კატაკრთასა თესლისა წყალსა და ახლისა აუიროსა წყალსა, და თამრი ჰინდისა წყალსა და ისრიმისა წყალსა [სჲამდეს], ესე ყველაჲ მას აშენია და ერგების. და თუთუბისა წყალი ზაფრაჲსა დააწინარებეს. და თუ ბაზრაცუტუნისა ლუაბი და კვერცხისა თეთრი და ქა-

40 ლის დედისა სძე თვალთა ჩაიწოთბოს კარგი არის.

ჰუნან იტყვის: ხილთა მატბუხითა მუცელი დაიღბოს და უქანის ამის შაფსა იხმარებდეს. ვითარებაჲ მისი: არაბული გომიზი და ქითირაჲ და ნიშასტავი თვითოჲსაგან ორისა დრამისა წონი, სპეტი ტყუისა ხუთისა დრამისა წონი იფიონი და იყლიმიჲა თვითოჲსაგან ორი დანგი, ყველაჲ დანაყილი და გაცირილი კვერცხისა თეთრითა შეზილოს და მიწყით თვალთა შემოვლიდეს და თვალთა ასფარამთა წყლითა ბანდეს და სიმხურვალისგან ერიდებოდეს რომელ ერგოს, შეწვევითა ღმრთისათა.

თუალთა ტივილი არიელ სევილიან იყოს. ვითარება მისი რა სევილიან იყოს. აბუჯარაბ იტყვის: ესე მანკი სევილიან სიფიცისა და შორევისაგან იქნების, რომელ პირველთა თვალისა ფარდაგთა შეიყაროს და მას ფარდაგსა მოლთა ჰამაჰ ჰქვიან, და მანკი სევილიან იწვითა ოდესმე იქნების.

ნიშანი მისი რა სევილიან იყოს. იგი არს, რომელ სიმსიენე და სიმხურვალე უმცრო იყოს თვალთა, და ქუქუთოა ხმელად იყოს, და რა მხურვალე შემოსდენ ელხინოს და ტივილი დასწყნარდეს.

კურნება მისი რა სევილიან იყოს. აბუჯარაბ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ აფთიომინისა მათუხსა ჰამდეს, რომელ ასონი გაწმიდოს სასევილითა 10 გარევისგან, და აბანოს მივიდეს და უღბაჲსა ლუბი და სელი და კვერცხისა ყვითელი თვალთა შემოსდეს, და წითელი შაფი თვალთა შემოსდეს, და თუ ქავოდეს ფიცხელსა წამალსა ყოლაჲ ნუ შეუშებეს თვალთა, მაგრა აბანოს მივიდოდეს და ასფარამთა წყალსა თავსა ისხმოდეს, და ღვინოსა ცოტასა სმოდეს და საჰამადსა ვარიასა კალით შექნილსა ჰამდეს, ზროხის ხორცსა და ბადანჯანსა და კალნაბასა ერიდებოდეს.

მესია იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ტანი გაწმიდოს ღარიყონისა მატუბითა და მაშინ გულან გუბინი ჰამოს. და უზმაჲ აბანოს მივიდოდეს და პირსა თფილისა წყალსა ორთქლსა მიუპყრობდეს და გარცხილსა უღბისა ლუბი და წითელი შაფი თვალთა შემოვლოს. და მკავთა ერიდებოდეს და მუხუდის წვეწასა და კალიასა დურაჯის ხორცითა ჰამდეს.

იოჰანა იტყვის: თუ თვალთა ტივილი სტომაქისა სიგრილისგან იყოს ღვინოსა წყალგარეულსა სმოდეს. და ესე თვალთა ტივილი დედათაცა შექნების რომელ საშობელისა სიგრილისგან იქნების.

კურნება მისი. მხურვალთა ჰყენათა უნა, ვითა ცერეკოჲსა და უღბაჲსა წყალი და ბაბუნაჲ და ბერძელისა ფაჩარისა ზეთი. და ყოველსა თვალის ტივილსა უქმელობაჲ და ცოტაჲსა ჰამაჲ სარგებლიანი არს, და დიაცისგან კრძალუჲცა ერგების. და რა თვალთა ტივილი გარდვიდეს ხიარ შამბრისა მატუბი ჰამოს და საჰამადსა მას ჰამდეს რომელ სინელელსა მისცემდეს, ვითა ვარიას და მსგავსი მისი. და მძიმეთა და უღნობთა საჰამადთა ერიდებოდეს რომელ გამრთელდეს და უმანკოდ იყოს.

ბ. ბარსაჲ ნაპარსი არს არიელ თვალთა მცხე და ნახუნაჲ. ვითარება ტარფაჲსი. 30 დევჯანის იტყვის: რომელ ესე მანკი მით იქნების, რომელ თვალთა რა ეცეს ანუ სხვაჲებრ ეფათერაკოს რამე, და მას უკანის სისხლი პირველთა ფარდაგთა შიგნით შეიყაროს.

ნიშანი ტარფაჲსი. იგი არს, რომელ წითელი წანტელი თვალთა შიგნით ჩნდეს, და იქნების რომელ სითეთრესა ზედა წითელი ნიშანი გამოჩნდეს და მას სპარსულად ხუნდარ მორდაჲ ჰქვიან და ქართულად სისხლშემეჭდარი.

კურნება თვალთა ტარფაჲსი. დევჯანის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ყვითელი გვიხსნას და მუცელი დაიღბოს. და მიწყით სძესა და ტრედისა სისხლსა თვალთა ჩაიწობდეს. და თუ არა იყოს ყვითელი ამარტაჲ ქინძისა წყლითა გაგალოს და თვალთა ჩაიწოთ, და მიწყით ქალის დედისა სძესა ჩაიწულდეს და თუ ამით არ ვა- 40 ქარდეს, ესე წამალი იხმაროს ჩვენ გამოგვიცლია: მური და ზაფრანაჲ და თეთრი საქმელი თვითოსაგან ღრპისა წონი, ყველა დაწაყილი და გაცირილი შაფად ქნას და ნედლისა ქინძისა წყლითა გაგალოს და თვალთა შემოვლოს.

თებით ყურაჲს ძე იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ხილთა წყალსა ცოტაჲ საყამონიაჲ გაუროთს და სვას რომელ მუცელი დაუღბოს. და მაშინ უღბოსა ლუბი და სელისა ლუბი, და ზაფრანისა შემგბრისა წყალი, და აქლილალმოლიქი და ქინძისა წყალი შოგან ჩაუწოთ, და იგი სისხლი რომელ შემეჭდარ იყოს გვიხსნების და თუ ყვითელი

დარური იხმაროს ერგების. ვითარებამ მისი: შაფი მამითა ორისა ერამისა წონი, ანზაროთი ხუთისა დრამისა წონი, საბრი და ვარდისა თესლი და ზაფრანა თვითოსაგან ნახევარ დრამისა წონი, იფიონი და მური თვითოსაგან ორი დანგი, ყველა დანაყილი ვითა თუთია წმიდად გაგალოს და თვალთა ჩაიყაროს.

მესია იტყვის: რამ ტარფამ ახალი იყოს და ჯერეთ არ დამკვდრებულ იყოს, კტერცხისა თეთრი ვარდისა ზეთსა თანა გაადგინოს და ბანბითა თვალთა შემოსდნენ, და თუ ნიხურისა წყალი და კტერცხისა თეთრი და ქალთა დედისა სძე თვალთა ჩაიწითოს კარგი არს, და დანარგონი შაფი ხასიათიანი არს ამის მანკისათვის და შაფი აბარიც კარგი არს.

10 ნახუნაჲსა ვითარებამ: როფის იტყვის: ამის მანკის ვითარებამ სათავნოსა ხმელსა და სქელისგან არს, და სიმეტისგანცა რომელ თეთრთა ძარღვთა შიგან მოზრდილი იყოს, და თვალისა კილოსა გაშადეს პირველსა ფარდაგსა.

ნიშანი ნახუნაჲსა: იგი არს, რომელ თვალისა მსგზავსი რამე თვალისა სიშავესა ანუ სითეთრესა ზედა მოზრდილ იყოს, და უარესი იგი არს მათგან რომელ თვალისა გუგასა მიხალბულ იყოს და გასქელებულ იყოს.

კურნებამ თვალისა ნახუნაჲსი. როფის იტყვის: იგი არს, რომელ მწვანე შაფი და ბასალიყონი თვალთა შემოვლოს, და მათგან რაჲცა სქელი იყოს და ნახვასა აქილობდეს კურნებამ მისი იგი არს, რომელ სანარაჲთა აილოს და მაკრატლითა მოჰყვეთოს. და თუ თხელი იყოს ესე შაფი შემოვლოს ვითარებამ მისი: როსოხთავი ხუთისა დრამისა

20 წონი ვითამცა დამწუხარი სპილენძი, ეანგარამ ორისა დრამისა წონი ყველა წმიდად გაგალოს, ნიშადური და ბავრუკი და ყვითელი ამარტა და არჯასპი, მწვანე უმწუხარი თვითოსაგან დრამისა წონი, ვაშამ ორისა დრამისა წონი ყველა წმიდად გაგალოს და მაშინ აბანოს მივიდეს და პირი ტფლისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას, და რამ გამოვიდეს ესე წამალი თვალთა ჩაიყაროს მეტად მანკსა ზედა ერგების, და შაფი მწვანის არჯასპისა რომელ ყაყინდი ჰქვიან ამას ჭირსა დია ერგების.

არბასიოს იტყვის: ერთი ფერი ნახუნათგან იგი არს, რომელ სტკივოდეს და იგი ნაკრავისგან იქნების რომელ თვალთა სცემოდეს რამე, ანუ მალისა ადგილსაგან და ცემულ იყოს, ვითარებამ ბასალიყონისა რომელ მას ერგების: ყვითელი ჰალილამ და ზანჯაბილი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, თეთრი პილბილი ორისა დრამისა წონი, ნიშადური დრამისა წონი, ყველა გაგალოს და იხმაროს და ყველასაგან უმჯობესი ნახუნაჲსათვის ყაისარი არს, და ბასალიყონი და როშნამ რომელ იხმარებდეს.

30 ჰუნამ იტყვის: ნახუნაჲსი კურნებამ რამ თეთრი და თხელი იყოს იგი არს, რომელ ყვითელი გაიხსნას მისვე ხელისაგან რომელ ნახუნამ იყოს, და ფეყირამა იარაჲთა ტანი გაწმიდოს და მაშინ წითელი შაფი და როშნამ თვალთა შემოვლოს, მაშინ რამ აბანოთ გამოსრულ და ნახუნამ დამბალიყოს, ერგების ღმრთისა შეწვენითა.

გ. სიწყულუმე თვალთა და გაბერილობამ მისი: ვითარებამ თვალთა სიწყულლისა. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ თვალთა სიწყულუმე უფროასი ფიცხელისა ტვიცილისა და ბნელისაგან იქნების რომელ თვალთა გამოანდების, და ანუ ფიცხელისა გასარეველისაგან, ანუ სინედლისა¹⁾ ფიცხელისა და მლაშისაგან იქნების.

40 ნიშანი თვალთა სიწყულლისაგან რამ იყოს: იგი არს რომელ დია სტკიოდეს და ფეთქდეს, და თვალისა თეთრსა თეთრი წინტელი გამოანდების, და სიწყულუმე შვიდი ფერი იქნების, ოთხი მის გნით ადვილი არს, სამი ძნელი.

კურნებამ თვალთა წყულლისა: მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნებამ მისი იგი არს, რომელ ყვითელი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დიილბოს, და სამსა დღესა თეთრი შაფი სძითა გაგალოს და თვალთა შემოვლოს, და რამ სატკივარი

¹⁾ ეს სიტყვა სტრატონ ზემოდან არის ჩამატებული ლენდის ხელით.

მოაკლდეს და თხმალი მალფაკითა გამოვიდეს, ვითამცა ბამბისა გამოჰყვეს თხმალი, მაშინ შაფი აბარი ჩაუწითოს, და რაჲ ქანირაჲნითა კურნოს, და რაჲ ნახოს რომელ წყლული გამ- შრალა და გამქისებულა, ეგეთითა წამლითა კურნოს რომელ თეთრსა წაიღებდეს, რომელ მის გნით ნიშანი არაჲ დარჩეს, და თუ ვაპრთელდეს და სიწყლულისა ნიშანი შიგან ჩნდეს თუ სიღრუე ჰქონდეს არ იკურნების, და თუ თვალისა გუვასა აშორვიდეს არა ჰგავაჲ ნახვასა არას აცილებს.

10 ის აჲ იტყვის: რომელ იქსირანი შემოვლოს ვითარებაჲ მისი: შადნაჲ გარცხილი და მარგალიტი, და ძოწი და თუბალი მისისაჲ ვითამცა სპილენძისა ჟანგი, და ჩიფგილაჲ რომელსა ჰქვიან სირინჯი, და ოსოსტაგი გარცხილი და ოქროსაჲ იყლემიაჲ თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, თვალთა საოლაევი სურმაჲ და ზღვის პერული და როშნაჲსაჲ ქვაჲ თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცირილი მანკისა ბოლოსა იხმაროს. და ესე სხვაჲ წამალი: ანზაროთი სამისა დრამისა წონი, ტაბარზადი და ნიშასტაგი თვითოსაგან დრაჰმისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცირილი შემოვლოს თვალსა.

იოჰანაჲ იტყვის: რომელ სიწყლულე თვალთაჲ შვიდ ფერი არს, და ყველაჲსა კურნებაჲ მოზოკებელისა წამლითა უნაჲ ქნას. რომელ იგი სინედლე მომატებული მოზო- ცოს თვალისაგან, მით რომელ ტანის უკეთესი ასოა არს. და მანკი მისი ნედლისაგან იქნე- ბის და თვალთა ტკივილი უფროასი სინედლისაგან იქნების, მით რომელ ეგეთი ხასიათი აქვს რომელ სინედლესა არღე შეიწყნარებს.

20 კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღობს, და ქალის დედისა სძე ჩაიწითოს ერგების კარგად.

თვალთა გაბერელობისა ვითარებაჲ: მაღანი იტყვის: ვითა სისიციენე იქნების, რომელ თვალთა გამოჩნდების ვითა წითელი წინტილი, და სინედლისაგან იქნების რომელ თვალისა ფარდავისა შეიყაროს, და მას ფარდაგას არაბულად ყარნი ჰქვია.

ნიშანი თვალთა გაბერილობისა: იგი არს, რომელ ცოტაჲ სისიციენე თვალსა შიგან გამოჩნდეს, თუ პირველსა ტყავსა შიგნით იყოს არა სტიცივადეს ეგრე, და თუ შერ- რესა ტყავსა შიგნით იყოს დია სტიცივის და თეთრი იქნების.

30 კურნებაჲ თვალთა გაბერილობისაჲ. მაღანი იტყვის: გაბერილო- ბაჲ რაჲ წყრილი იყოს ადრე გამოთელდების. ქალთა დედისა სძე და ლუაბი ცივად თვალ- თა ჩაუწითონ, და თუ სამ დღემდინ ამით ტკივილი არ დასწყნარდების, გაბერილობაჲ დია იქნების და სიღრუე აქვს.

კურნებაჲ. იგი არს, რომელ თესლისა ლუაბი მორდისა თესლისა ქალთა დედისა სძითა ჩაიწითოს, და ესე შაფი გაბერილობასა ერგების, ვითარებაჲ მისი: თეთრი საკმელი ერთი ნაწილი და ანზაროთი ერთისა ნახევარი ნაწილი, ვაშაჲ და ზაფრანაჲ და აფიონი თვითოსაგან ნაწილი ერთი, ყველაჲ შაფად ქნას უღბოჲსა წყლითა ანუ სელის წყლითა და იხმარებდეს.

ფოლოს იტყვის: რომელ პირველ ხელი გაიხსნას და დია სისხლი გამოიღოს, და მუცელი დაიღობოს. და ხორცსა და თაფლიანთა და დიაცსა ეკრძალოს. და ასფანახისა ურწყ- ყოსა იხმარებდეს. და შაფი აბარი თვალთა შემოვლოს და თუ გაბერილობაჲ დიდი იყოს და ანუ გუვასა სიახლესა იყოს, იქსირაჲნითა ჰკურნოს და მალფაკაჲ შემოსდვას და მაგრად 40 შეუტკას, და პირ აღმა დაწვებოდეს.

მასაჲს ძე იტყვის: პირველ ყოფალი გაიხსნას და სამჯერ სისხლი გაუშვას ანუ ჰიქაჲ მოჰკიდოს, და თუ ტკივილი არ დასწყნარდეს ყელსა კელა ჰიქაჲ მოჰკიდოს რომელ მანკისა დედასა უკანითაღმა მიზიდოს. და საბრისა ნაყითა მუცელი დაიღობოს. და არდისა წყალი და ჰალილასა მატბუხი და სხვაჲ გრილი და ნედლი იხმაროს. და მანკისა ბოლოსა აბარისა შაფი თვალთა შემოვლოს და მძიმეთა საჰამალთა ერიდებოდეს, და სუბუქსა და ნა- ტიფსა კამდეს, ერგების შეწყვიტითა ღმრთისათა.

ად. საბაღლი და ცარემლთა ღენაბა რომელსა ჰქვინან საჯიჯი¹⁾. ვითარებდა საბაღლისა. იოჰანაი იტყვის: საბაღსა არაბულად თამი ჰქვიან და სქელისა სისხლისგან იქნების, რომელ თვალისა ძარლუთა შვიგან შეიყაროს და თვალი მისგან ვასიდეს და ვაწითლდეს, და ვასქელდეს.

ნიშანი საბაღისი. იგი არს, რომელ რა თვალი იხილოს კაცმან გუგასა ზედა რამე ნახონ, ვითა აბლაბუდისა ძაბი წმიდაა ეკიდოს ეგეთი, წითელსა წმიდისა ძარლესა თანა და არ დია აკლემდეს ხილვასა.

კურბენაა საბაღისი რომელ თვალთა შეექნას. იოჰანა იტყვის: კურნებაა მისი წითელი შაფი და მწვანე შაფი არს და ერგების, და ბასალიკონისა და რომაათა ჰკურნებდეს, და ყოველი ასფარამი მისთვის კარგი არს. და თუ მანკი ძნელი იყოს ხელი ვაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და უზმაა აბანოს მივიღოდეს და ყოლაა ღვინოხასა ნუ სვამს, და დიაცა ერიდებოდეს. და რააცა უძნელესი არს ამით მანკთაგან ნიშანი მისი იგი არს, რომელ იგი ძარღვნი, რომელ დედაზარღლისა ბეწვსაებრ არს დიდად იყვნენ და ხილვასა ეცილებოდნენ.

კურნებაა მისი. იგი არს რომელ სანარაათა აიღონ და მაკრატელითა მოჰკეცონ, და მაშინ ძირადას წყალი და ყვითელი დარური მოაყარონ. და გაკეცთა არა სწადდეს აბანოას მივიდეს და პირი თბილისა წყლისა ორთქლსა მიუჰყარას, და მაშინ წითელი და ყვითელი შაფი მოაყარონ.

ფოლის იტყვის: ხელი ვაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და წითელი და ფიცხელი შაფი, და მწვანე შაფი ცხელი და შაფი მანარაონი, დრაჰმისა ფერსა ჰქვიან, შემოვლოს, და საბაღსა თხელსა მუცელი დაიღბოს და ტყემლისა შარაბითა და ჯულაბითა. და სქელისა საბაღსა ყუყაიასა ჰაბითა დაიღბოს და მკავეითა და სინედლეთა ერიდებოდეს, და მლაშესა ეკრძალოს და ძმარსა და ზეთსა ჰამდეს; და ღამით ყოლაა ნუ ჰვამს.

ჰუნჯან იტყვის: ყოფილი ვაიხსნას და აფთიმონისა მატბუბითა მუცელი დაიღბოს, ვითა მეორესა წიგნსა შინა ვახსენოთ. და რაა მანკი დაძველდეს და დიდხან დარჩეს, შუბლთა და თვალთა სიღრუჰსა ძარღვი ვახსნას. და თუ თქესა შვიგან ორჯერ მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა ერგების. და ხმელთა და მხურვალთა საქამდათა ერიდებოდეს, და დიაცა ნუ დაეკარების.

ვითარებდა წყლის დენისა თვალთაგან. ბაყრატ იტყვის: რომელ გრილისა გარევისაგან იქნების იგი, რომელ მოერიოს. ანუ თვალთა სინედლისაგან და გარევისა, ანუ ხორცთა სისუსტისაგან, რომელ თვალთა მიდამოთა არიან.

ნიშანი წყლისა დენისა: იგი არს, რომელ მიწყით თვალი სველი იყოს და ცრემლი დია სდიოდეს. და ნიშანი მისი რააცა ხორცთა სისუსტისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით წყალი სდიოდეს და თვალი დია დარჩეს.

კურნებაა წყლისა დენისა თვალთაგან. ბაყრატ იტყვის: კურნებაა იგი არს, რომელ მიწყით აბანოს მივიდოდეს და ყვითელი ჰალილა ნარსაქისა წყლითა ვაგალოს და თვალსა შემოვლოს. და ესე თვალთა საოღავი თვალისა სიმრთელისათვის კარგი არს და წყლისა დენასა მოსწყუენდეს. ვითარებდა მისი: ჰინდური თუთიაა და ჰალილა თვითოხასა ოდენი, ისირმისა ანუ თუფუბისა წყლითა ვაგალონ და ვახშონ, და ცოტაა ქაფური მოაყარონ და თვალთა ჩაყარონ. და რაა თვალისა კილოხასაგან წყალი სდიოდეს ნიშანი არს რომელ ვახერტილ იყოს, კურნებაა მისი დაღავისაგან ვიდე არაა არს.

ისაყ იტყვის: ესე მანკი ორისაგან იქნების ერთი ნახუნაჰასა ამოკეცთასა უკანით იქნების, და კურნებაა იგი არს, რომელ ყვითელი დარური თვალთა შვიგან მოაყაროს, და სხვაა მისგან იქნების რომელ გვითქვამს, ესე თვალთა საოღავი იხმაროს: თუთიაა და ჰალილა

1) ამ გვერდის ქვემო აწიანზე რეველთა სათვალავი სწერაა „იშ“ და შემდეგი გვერდის ზემო აწიანზე „ით“.

თვითოსაგან ხუთისა ღრამისა წონი, თეთრი პილპილი ნახევარ ღრამისა წონი, ყველა სურ-
მავეთა გაგალოს წმიდად და თვალთა შემოვლოს, და აბანოს მივიდოდეს დია ერგებინ.

მესია იტყვის: მუცელი დაიღბოს იარაგსა ჰაბითა, რომელ თვალი და თავი მან-
კისა დედისაგან ვაწყდეს. და მაშინ მორდისა ბურედი ანუ ისრიმისა ბურედი თვალთა შემო-
ვლოს, და ესე წამალი შემოვლოს, ვითარებამ მისი: თუთიაჲ რვაჲ ღრამისა წონი, იყლინიაჲ
ოთხი დანგი, სადანაჲსა ქვაჲ ღრამისა წონი და ნახევარი, ყველა დანაყილი და გაცრილი.
ჰალილასა წყლითა და ისრიმისა წყლითა, და თუთუბის წყლითა გაპროოს და გაზარდოს, და
შეინახოს, და ხმარების ჟამსა თვალთა ჩაიყაროს ერგების. და შუბლსა ზედა ბაქილასა ქერქ
შებილისა ფქვილსა შემოსდებდეს და საჭამადთა ნატიფთა ჰამდეს.

10 ამ. ჰუაჰილი და ღიჰაჲ და თმთი, რომელ თვალთა შიგან იხმნვის. ყუავილისა და
დიყისა ვითარებამ. ფოლოს იტყვის: ყუავილი თვალისა სისხლისა და ფიცხელისა ზაფ-
რისა მორევისაგან იქნების, რომელ პირველი ფარდავი დააწყულლოს. და დიყაჲ სიმსიენე
იქნების რომელ ამასავე ფარდაგსა შიგან არს, და ვითარებამ მისი სქელისა გარევისაგან
არს სისხლთა მორევისა, ანუ ბალღმისა მორევისაგან არს.

ნიშანი ყუავილისა და დიყასი. ყუავილისა ნიშანი იგი არს, რომელ თვა-
ლი ყვითლად იყოს და ყუავილი და სიწყულუე შიგან ჩნდეს. და ნიშანი დიყასი იგი არს,
რომელ სიმსიენე თვალთა შიგან იყოს, თუ წითელი იყოს სისხლისაგან არს და თუ თეთრი
იყოს ბალღისაგან არს.

კურნებამ ყუავილისა და დიყასი რომელ თვალთა შიგან იყოს.

20 ფოლის იტყვის: კურნებამ ყუავილისა იგი არს, რომელ ყიფალი ვახსნას და ხილთა
წყლითა მატბუხითა მუცელი დაიღბოს. მაშინ თეთრი შაფი ქალთა დედისა სძითა გაგალოს
და თვალთა ჩაიწოს, ანუ ვარდისა შაფი. და საჭამადსა მაშასა ურწყოსა ჰამდეს, და
ასფანახსა და აყროასა ჰამდეს. და ჯულაბასა და-შევის და ტკბილის ბროწყელისა წყალსა,
და ისრიმისა შარაბასა და კატკატოასა თესლისა წყალიცა კარგი არს. მეტად მაშინ რაჲ
მანკი ძლიერად იყენენ. და თუ თეთრი შაფი ახლითა სძითა გაგალოს და ბანახასა შესცხოს
და თვალსა შემოსდეს კარგი იქნების. და ბაზრაცატუნისა ლუაბი, და ვარდისა წყალი და
ქინძისა წყალი ერთგან გაპროოს და თვალთა ჩაიწოს, მაშა თუ ტკივილი ძნელად იყოს
ჰუტუტი და ცოტად აფიონი ხეარტისა წყლითა გაგალოს და თვალთა შესცხოს. მიწყით
თვალსა დაჰუხვით. დაიჰიროს და თუ ბაზრაცატუნისა ლუაბი და მეჰეს გულისა ლუაბი ში-
30 გან ჩაუშვას რომელ დამწიფდეს, და თხამლი მოვიდეს კარგად ერგების.

თეხით ყურაჲს ძე იტყვის: კურნებამ დიყასი იგი არს, რომელ ხელი ვახსნას
და საჭამადსა ნატიფსა ჰამდეს, და მილქაიაჲ თვალთა ჩაიყაროს. და თუ სიწყითლე არ და-
კლდეს თეთრი შაფი შემოვლოს მაშინ მალქაიაჲ იხმაროს. და თუ მანკი გაგრძელდეს წი-
თელი შაფი თვალთა შეუშვას რომელ სათაენო მანკთაჲ გამოზოდოს.

ჰუნან იტყვის: კურნებამ იგი არს, რომელ სისხლი გამოიღოს და ესე შაფი შე-
სვას, ვითარებამ მისი: არაბული გომიზი და ქათირაჲ და ნიშასტავი თვითოსაგან ორისა
ღრამისა წონი, სპეტი ხუთისა ღრამისა წონი, აფიონი ღრამისა წონი ყველა დანაყილი და
გაცრილი კვერცხისა თეთრითა შეზილოს და ჰაბად ქნას, და თვითთა ნარსაქისა ოდენი, და
ჩრდილსა ვახხმოს, და ხმარებისა ჟამსა ერთი ჰაბი ქვაზედა გაგალოს და თვალთა შემოვლოს.

40 ვითარებამ თეთრისა, თვალსა შიგან რაჲ იყოს. იოჰანა იტყვის:
ესე მანკი უფროასი ყუავილისა წყულისაგან იქნების და თვალთა სიმსიენისა და გაბერი-
ლობისაგანცა იქნების, რომელ რაჲ გამრავლდეს ნიშანი დარჩების მისი.

ნიშანი თეთრისა თვალსა შიგან. იგი არს, რომელ თვალსა შიგან თეთრი
გამოჩნდეს. და უადვილესი იგი იქნების რომელ გუგასა აშორვიდეს, და თხელსა და ცოტად
იყოს, და თეთრსა ზედა იყოს თვალთასა.

თეთრისა კურნებაჲ რომელ თვალთა შიგან იყოს. იოჰანა იტყვის: თუ თხელი იყოს კურნებაჲ ლოკითა კმა არს, და შაქარი ტაბარზადი და ანზარეთი და ზღვისა პერული ყველაჲ დანაყილი შიგან მოაყაროს ეყოფის, და რაჲცა სქელი იყოს და კაცი მაგრა იყოს. მიწყით აბანოსა მივიდოდეს და თავსა და პირსა თბილისა წყალისა ორთქლსა მიუპყრობდეს, და მაშინ ენითა ლოკედს ერგების. და ესე წამალი მოაყაროს ვითარებაჲ მისი: ზღვისა პერული და კიქაჲ და ანზარეთი და შაქარი ტაბარზადი თეთროსაგან სამისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თვალთა შეაყაროს.

10 ისაკ იტყვის: რომელ ცოტაჲ არდი შაქრითა ჯემოს რომელ ენაჲ გამქინდეს და იგი ადგილი კარგად მოლოკოს, და დღე მრავალჯერ ესრე იქმოდეს უზმაჲ. და თუ სითეთრე სქელი და ძალიანი იყოს შაფი აბარი და ბასალიკონი იხმაროს. და მიწყით თვალსა თბილისა წყლისა ორთქლსა მიუპყრობდეს და ესე წამალი შეაყაროს ვითარებაჲ მისი: პურისა ბავრუკი და ცოტა ანდარანული მარილი, და კიქაჲ და ჰინდოური თუთიაჲ ერთმანერთისა ოდენი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თვალთა შემოაყაროს¹⁾ და დრაჰქენის ფერი შაფი და მურისა შაფი შემოავლოს.

აბუჯარიჰ იტყვის: რომელ მერცხლისა წკინტი თაფლსა შიგან გაპრიოს და თვალთა შემოვლოს, მაგარსა თეთრსა გარდაიღებს. და თუ ბავრუკი ბანგისა ზეთითა გაგალოს და თვალსა შემოვლოს კარგი არს. და თუ თეთრი ძმელი იყოს ესე წამალი შეაყაროს ვითარებაჲ მისი: ზღვისა პერული და კიქაჲ, და მხულიკისა სიბილწე ქვეშეთ გამოსავალი, და ბავრუკი და შაქარი თეთროსაგან დრაჰქენისა წონი, მამირანი და ვაჯისა ძირი თეთროსაგან სამი მუტყალი, ყველაჲ ერთსა ლიტრასა წყალსა შიგან შეაბგოს რომელ მეოთხედი დარჩეს, შაფად ქნას და თვალთა ჩაიყრიდეს ერგების.

20 აჰ. სარატანი და დუბალაჲ რომელ მიორხანს შარღამას უჰანი იძნახის. ვითარებაჲ სარატანისა რომელ ჰქვიან ქართულად კირჩხიბი და სპარსულად ხარჩანგი.

აბუჯარიჰ იტყვის: კირჩხიბი ფიცხელისა სევდისა გარევესაგან იქნების რომელ მორიოს მორიქსა ფარდაგსა, და დუბალაჲ ფიცხელისა გარევესაგან იქნების მასვე ფარდაგსა შიგან.

ნიშანი სარატანისა და დუბელაჲსი: იგი არს, რომელ მორიქსა ფარდაგსა შიგან სიმსიენე გამოჩნდეს და დია სტკიოდეს, და თვლიცა სტკიოდეს, და საჭამადი არ მოუნდებოდეს. და ნიშანი დუბელაჲსი იგი არს, რომელ მორიქ ფარდაგი არა ჩნდეს მანკისა სიძნელე¹⁾აგან.

1) კურნებაჲ კირჩხიბისა და დუბელაჲსა: აბუჯარიჰ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და დელამოტის წყლითა მუცელი დაიღბოს, და ხაზხაზისა შარაბი და იისა შარაბი და ჯულაბი სუას, და თეთრი შაფი თვალთა შემოვლოს მეტად რაჲ ცოტაჲ გამთბარ იყოს, და ესე შემოსადებელი შემოსდვას, ვითარებაჲ მისი: ქერისა ფქვილი და იაჲ და ნილოფარი, და ბაკილასა ფქვილი და ბალზაჲ, და ხორფარასთი თეთროსა ოდენი, ყველაჲ დანაყილი იისა ზეთითა შეხილოს და თვალსა შემოსდვას და ძილისა ეამსა ესე დარჰური შემოაყაროს ვითარებაჲ მისი: თუთიაჲ და შადნაჲ და ნიშანთაგი, და შაფი მამითა და დაბეჭდული მიწაჲ რომელსა ჰქვიან გილი ბამუიჰრ, და მარგალიტი უხჭრელოჲ თეთროსა ოდენი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი თვალთა შემოავლოს.

40 როფის იტყვის: რომელ კირჩხიბი ფიცხელსა წამალსა ვერ გასძლებს, და ეგეთი რაჲმე შემოსდვან რომელ რკივილი დააწყნაროს. თუ სისლსა მოგრევენ ხელი გაიხსნან, და თუ სასევდოსა ხილტსა მოგრევენ აფთომონისა მატბუბი იხმაროს რომელ მანკისა დედისაგან ტანი გაიწმიდოს. და მაშინ დანაყილი ქათირაჲ კვერცხის ყვითელსა და ქალის დედისა სძესა ვაპრიოს და თვალსა შემოსდვას.

1) ამ სიტყვას ნიშანი უზის და აზიაზე სწერია „ჩაიყაროს“

ოთქანთ იტყვის: დუბალაჟსა კურნებაჲ არს ვითა გვიხსენებია, პირველ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღობოს ხილთა წყლითა, მატუბუხითა და ხორცსა და თაფლიანთა ერთდებოდეს. და იქსირაინი თვალთა ჩაიყაროს ესერ: შადნაჲ და ძოწი და წვერილი მარგალიტი, და სპილენძისა თუბალი და ჩიფვილაჲ, და დამწვარი სპილენძი როსოხტაგი, და ოქროსა იყლებიაჲ თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, სურმაჲ და ზღვისა ჰერული თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაჲ წმიდად გაგალოს და ხმარებისა ეამსა თვალთა ჩაიყაროს.

თხამლისა მოსტელა თვალთაგან. ჰუნაჲ იტყვის: თხამლი თვალთაგან რაჲ მოვიდოდეს სიწყულუსისაგან არს მეორესა ფარდაგით, რომელ თხამლი მანდა შეიყაროს, და ანუ ძნელისა თავის ტკივილისაგან. რომელ ბუნებაჲ ჰავთა ხილტთა მუნ შეყრას.

10 ნიშანი თხამლის მოსვლისაჲ, რაჲ მეორესა ფარდაგსა უკანით იყოს იგი არს, რომელ ანუ მისგან უფროსი იყოს მგრა მართ ნახუნასაჲჲ ჰვავს რაჲ გამოჩნდეს.

კურნებაჲ თხამლის მოსვლისაჲ, რაჲ მეორესა ფარდაგსა უკანით იყოს. ჰუნაჲ იტყვის: დასაწყისსა მანკისასა მუცელი დაიღობოს იისა ყურსითა, და ყურსი არაბუღლად კურსაჲ ჰქეიან, რომელ თავი და ტვინი ჰავისა გასარეველისაგან გავშდეს. და მაშინ მესამე მარფთაჲ წმიდად გაგალოს და თვალთა ჩაუყაროს, და წითელი შაფი და მალქიაჲ თვალთა შემოვლოს. და თუ არ უკუქარდეს ესე წამალი იხმაროს, ვითარებაჲ მისი: მური და ზაფრანაჲ და საბრი თვითოსაგან დრამისა წონი, თაფლი ექვსისა დრამისა წონი, გაგლილი წამალი თაფლითა და შემებრითა ლეინითა შეზილოს და თვალთა შემოვლოს კარგი არის.

20 მასარჯოა იტყვის: წითელი შაფი და მალქიაჲ თვალთა შემოვლოს რომელ მანკისა დედაჲ დაეილოს. ვითარებაჲ მისი: შადნაჲ სამისა დრამისა წონი, ეანგარაჲ ექვსისა დრამისა წონი, ყვითელი არჯასპი დამწვარი ოთხისა დრამისა წონი, შაბი იამანური ნახევარ დრამისა წონი, როსოხტაგი ორისა დრამისა წონი¹⁾ ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ლეინითა შეზილოს და წურილი შაფი ქნას, და მაშინ ნარსაქისა წყლითა გაგალოს და თვალთა შემოვლოს. და ხელთა და მხურვალთა საჭამდთა ერთდებოდეს, და აბანოს მივიდოდეს და დიაჲ ნუ დაჯდების.

არხიჯანის იტყვის: ესე მანკი ძნელად იყოს წამოითა არ გაქარდების, მგრა ხამს რომელ თვალისა კილოჲ ცხვირთა ჯერძოჲ ცოტად გააპოს, და მილისა თავითა თხამლი გამოიღოს.

30 ჯალინოს იტყვის: შაშრისა წურითა თვალთა კილოჲ გააპოს, და ეკრძალოს რომელ შაშრისა პირი თვალთა შიგნით არ მიახებდროს და ყარნის ფარდაგსა შიგნით არ მივიდეს, და თხამლი გამოიღოს, და მაშინ ქალის დედისა სძე ჩაუწოთს ერგების. და ეგეთთა წამალთა იხმარებდეს რომელ თვალისა წყლულსა ერგებოდეს, და ესე კურნებაჲ სადასტაქროჲ არს. სააქიმოსაგან კიდევანი არს რომელ იცოდეთ.

ჟ. 2) თვალისა აღდგომაჲ ერთობით ანუ ცოტაჲ. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მადანი იტყვის. ესე მანკი მამაკათა რწყევისაგან წაეკიდების, და ანუ დიაჲ ზახილისაგან, და ანუ შეეშინოს რადმე, და დედათა შობისა ჰირისაგან წაეკიდების სისხლისა მორევენისაგან.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს: რაჲცა სისხლისა მორევენისაგან იყოს 40 იგი არს, რომელ თვალთა და პირი წითლად იყოს და თავისა და ყელისა ძარღუნი აღდგომილი იყენენ, და ეგების რომელ რაჲ გრილი რაჲმე დასდვან ელხინოს.

კურნებაჲ რაჲ სიმხურვალით იყოს: მადანი იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ მხურვალი ჰუყნაჲ უყოს და ჰირის ნახვისაგან და ლეინისა სმისაგან, და დია-

¹⁾ ეს წინადადება „შაბი იამანური ნახევარ დრამისა წონი, როსოხტაგი ორისა დრამისა წონი“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

²⁾ აქ ტექსტში შეცდომით უნის „ჟე“

ციისაგან კრძალვით იყოს, და საქამადსა ცოტასა ჰამდეს და ღამით პირ აღმა დაწვებრდეს. და თუთუბისა შაფი თვალთა ჩაიწოთს და მალფაკაჲ შემოსდვას და მაგრად შეკრას, და ხანსა დიდსა ნუ გახსნის. და რაჲცა სიმბურვალისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას და ჭიჭაჲ მოჰკიდოს ყელსა, რომელ მანკი უქანით დაღმა გამოჰიძოდს, და ხილთა წყლითა შემზრბითა მუცელი დაიღობოს, და ბროწუელისა შარაბი და ტუტისა შარაბი იხმაროს. და ვარდის წყალი და ოუთუბისა წყალი და ისრიმისა წყალი ერთად გაჰპროს და თვალთა ჩაიწოთს. და ვარდის წყალი გაციებული თავსა ისხას და ნუ დაიხახებს. და საქამადსა თუთუბისა ურწყოსა და ბროწუელსა ჰამდეს ელხინების, ღმერთსა უნდეს.

10 ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას, და საბრი და ჰუტუტი, და აყუყუაჲ და აფშარაჲ, ლიჯიაჲ თათაჲსი მალფაკასა მოაყაროს და თვალთა შემოსდვას, და პირაღმა დაწვებრდეს და შეინახოს, რომელ ცხვირთა და ცემისა ჟამსა არ დაჰვარდეს. და სიარულსა და საქიროსა საქმესა ცრიდებოდეს. და ესე შაფი მიწყით თვალთა შემოვლოს, რომელ გამოცდილი არს და კარგი ვითარებაჲ მისი: თუთუბაჲ ხელითა ეცხლითა, წყლითა შეავგოს და მაშინ გაწმინდოს, და ორისა დრამისა წონი სპეტეტი და ორი დანგი ქაფურის, და ქითირაჲ და იფიონი თვითოსაგან დანგი, ყველაჲ მას წყალსა შეჰბარას გაჰპროს და მაშინ შაფად ქნას, და ჩრდილსა გაახმოს და ხმარებისა ჟამსა ქვასა ზედა გავალოს და თვალთა შემოვლოს ერგების. და თუ ისრიმისა და თუთუბისა წყალი და ვარდისა წყალი ერთმანერთისა ოდენი ერთგან გაჰპროს და თვალთა ჩაიწოთს ერგების. და დიაცსა ერიდოს და ნუ დაიხახებს და შეავეთა მიელტვოდეს.

20 ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარაჲ იტყვის: რაჲ მალღამი და თვალთა სინედლე მოერიენენ და მანკი გამოინდეს, და გარეთ სიწყულლისა ნიშანი ცოტაჲ იგი არს, რომელ რაჲ მეორე ფარდავი დაიხიოს, მესამე გამოვიდეს და ადგეს.

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ მხურვალი შემოსდვან ელხინოს და თვალი წითელი არ იყოს. და ნიშანი მაგისი იგი არს, რომელ თვალისგან რაჲამე ადგომილ იყოს რომელ ნარსაქისა ოდენი, ანუ უფროჲსი თვალთაგან ადგომილ იყოს.

კურნებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გვარიანი იხმაროს, რომელ ტვინი ჰავისა ვასარეველისაგან გიწმინდოს. და გულანგუბინი ძველი ჭამოს, რომელ სტომაქი გაამხურვალოს და თაფლისა წყალი რომელ შიგან მხურვალი სანელეგემელი რთულ იყოს ერგების. და სიქანგუბინითა და სპანძელითა ღარღარაჲ ქნას. და დანაყილი სონიჯი და მხურვალი სურინჯი უსუნოს, ვითა მუშკი და ღალიაჲ. და დიაცსა ერიდოს და შეჰვეთა ნუ ჰამს, და კალიაჲსა და მოტანჯანსა ჰამდეს. და მუცელი მხურვალითა ჰუყნაჲთა დაიღობოს ერგების. და საბრითა და აყუყუაჲთა თვალსა ტრულ უყოს, და შაფი აბარი და იქსირაანი თვალთა შემოვლოს, და მიწყით აბანოს მივიდოდეს მეტად უზმამან.

ფოლის იტყვის: რაჲ თვალისაგან ცოტაჲ ადგომილ იყოს არაბულად მას ბათვი ჰქვიან. თუ თავისა და შუბლისა ძარღვი ადგომილ იყოს და თვალი წითლად იყოს, ხელი გაიხსნას. და მაშინ შადნაჲ, იყლემიაჲ დანაყილისა ვეცხლისაჲ ვითა თვალთა საოლაჲ სურმაჲ გავალოს, და თვალთა შემოვლოს და შემოაყაროს, და მალფაკაჲ შემოსდვას და შეკრას. და ესე დარუბი იხმაროს ერგების კარგად, ვითარებაჲ მისი: სპეტეტი და ვეცხლისა იყლემიაჲ და გომიხი თვითოსაგან ერთი ნაწილი, ყველაჲ დანაყოს და გავალოს და მიწყით თვალთა შემოაყარიდეს, და მალფაკაჲ შემოსდვას და შეკრას. და თუ მანკი დაძველებული იყოს არა იკურნების მისგან კიდე რომე ერთი ნემსი შიგან გამოაროს აბრეშუმისა მკედითა, და ხელი ზე აიპყრას და მაშინ მახელითა მაკრატლითა მოჰკუეთოს, და გავილი შადნაჲ მოგან შეყაროს და ზირაჲსა წყალი ჩაუწოთს, და კურეცხისა ყვითელი შემოსდვას მაგრად.

აღ. სიფარტე და სიძვირძე თვალისა ზურაფლისა. თვალისა გაფართოებისა ვითარება. ისაჲ იტყვის: გაფართოებაჲ მისი მესამისა ფარდაგისა სიხმელისაგან იქნების, და ანუ სიმსივნისგან რომელ ტვინისა ფარდაგსა შიგან გამოჩნდეს, ანუ სიმბურვალისგან, ანუ მაგარისა ნაკრავისგან რომელ თავსა ეცეს.

ნიშანი თვალისა გაფართოებისაჲ. რაჲცა სიმბურვალისა და სინდლისგან იყოს იგი არს, რომელ თვალთა ჰავედ უჩნდეს, და რაჲცა ფარდაგისა თავისაგან იყოს იგი არს, რომელ თავი სტკიოდეს და ცხრომცა ერთოს, და რაჲცა ნაკრავისგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ თავი სკიოდეს.

კურნებაჲ თვალისა გაფართოებისაჲ. ისაჲ იტყვის: რაჲცა სინდლი-
10 სგან იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს, და უფროასი ესე მანკი ზედა ზედა მარხვისაგან იქნების და ღამისა უძილობისაგან, და ღია ისთიფრალისგან, მაშა რაჲ გამოჩნდეს ესე მანკი ქრთილსა წყალსა სმიდეს, და შინაურისა ქათმისა ხორცსა ქამდეს და ღვინოსა წყალრეულსა სმიდეს. და იისა ზეთი და ნილოფრისა ზეთი, და აყიროასა და ნუშისა ზეთი ერთგან გაჭრიოს და ცხვირთა უწითოს. და ქალის დედისა სძე თვალთა შიგან მოწუქლოს. და რაჲცა სინდლისაგან იყოს ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და ყელსა ქიქაჲ მოჰკიდოს, და ძმარი და მარილი წყალსა ჩაურთოს და ადუღოს და პირსა მაგით ჰბანდეს, და საქამაღსა კალიასა ქამდეს. და რაჲცა სიმსივნისაგან იყოს იგი არს, რომელ ქალისა დედისა სძე თვალსა მოწველოს და ვარდისა წყალი თვალთა იცხოს, და შანდაჲ შემოვლოს და ასფარამთა წყლითა ჰბანდეს და რაჲცა ნაკრავისგან იყოს ადვილი არს რაჲ ყითელსა გაჭნის
20 გაჭარდების შანკი. და თუ სანდალი და მამითაჲ, საფი და ჰუტუტი და სომბური მიწაჲ ერთგან გაგალოს და თვალთა შემოსდგას ერგების და თუ თვალი წითლად ედგას ქალის. დედისა სძე მოწველოს თვალსა შიგან.

დეიჯანის იტყვის: თუ სიმსივნისგან იყოს ხელი გაიხსნას და ტლე შემოსდგას ნილოფარისა და ტირიფისა ფურცელი, და თუ სქელისა ხილტისგან იყოს მუცელი დაიღბოს იარაჲსა ჰაბითა და ყოყიასა ჰაბითა, და ნაველთა შაფი თვალთა შემოვლოს. და თუ სიხმელისაგან იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს, მაგრამ ქალის დედისა სძე მოწველოს შიგან, მეტად მაშინ რაჲ წითლად იყოს, და სანდალი და ვარდის წყალი საფეთქელთა იცხოს და პირსა ცივითა წყლითა ანუ ვაკივებულთა ვარდისა წყლითა იბანდეს და საქამადთა გრილთა და ნედლთა ქამდეს.

30 თვალთა დავიწროებისა ვითარებაჲ. მესია იტყვის. დავიწროებაჲ თვალთაჲ სიმსივნისაგან იქნების რომელ შიგან გამოჩნდეს და ანუ გრილისა და ხმელისა ქემოასისაგან, ანუ სიმბურვალისაგან რომელ მორეულ იყოს.

ნიშანი თვალთა შევიწროებისაჲ, რაჲცა სიმსივნისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ თავი და თვალი სტკიოდეს, და რაჲცა გრილისა ქემოსისაგან იყოს იგი არს, რომელ თვალთაჲ ცოტაჲ უჩნდეს, და რაჲცა სიმბურვალისგან იყოს იგი არს რომელ თვალი ხურვიდეს, და რაჲცა სიხმელისგან იყოს თვალი შემოზიდული იქნების.

კურნებაჲ თვალთა შევიწროებისაჲ. მესია იტყვის: თუ თვალისა სი-
ვიწრე დაბადებისგან იყოს კარგი არს, და თუ სიმსივნისაგან იყოს ყითელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს, და ასფარამთა წყალი თავსა ისხას, და ხმელთა და მხურვალთა საქამად-
40 თა ერიდებოდეს. და თუ გრილისა ქემოასისაგან ქნლი იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იარაჲსა ჰაბითა და მიწყით თავსა იხელდეს, და ცოტასა ქამდეს და ვარაჲსა ქამდეს. და თუ ხმელისა ხილტისგან ქნლი იყოს ნედლთა საქამადთა იხმარებდეს: და მიწყით აბანოს მივიდოდეს და ასფარამთა წყალსა და ბაზრაცატუნისა წყალსა და ხაგარტისასა თავსა ისხმიდეს, და ნუშისა და ნილოფრისა და იისა ზეთსა თავსა იცხებდეს. და თუ აყიროას გულისა ზეთი ახალსა სძესა თანა ქამოს ერგების და ქალის დედისა სძე და

კვერცხისა თეთრი თვალთა ჩაიწოთ*) მეტად მაშინ რაჲ ცოტაჲ ზაფრანაჲ კვერცხისა თეთრისა გარეულ იყოს ერგების.

10 როფის იტყვის: თუ სიმხინისგან ქნილი იყოს ხელი გაისნას და ცოტაჲ რაჲ-ტათი ქნის, და პირსა იხელდეს. და თუ სინედლისგან ქნილ იყოს მუცელი დაიღბოს ყოყიასა ჰაბითა. და თუ სიმხელისგან იყოს კურნებაჲ მისი ძნელი არს მაგრა ქალის დედისა სძესა თვალსა შიგან მოსწველდეს მრავალ ჯერ კარგი არს. და მიწყით აბანოს მივიღოდეს და დია ნუ დავჯდებას, რომელ დია ჯდომაჲ სიმხელესა მოუმატებს და ზაფრასა. და საჰამადსა ვარიასა ჰამდეს რომელ კალიაჲთა შექნილ იყოს და თუ თიკანი იყოს მაშენი იქნების. და თუ სუდაჲსგან იყოს არა იკურნების. და თუ სიმხურვალით იყოს გრილი-
10 თა უკურნონ და გრილთა ზეთთა სცხებდენ, ერგების შეწეწითა ღმრთისათჲ.

მთ. იმსინზარი თუალის გუზაგასა გაფართომებაჲ არს. ვითარებაჲ მისი რაჲ ნაკრავისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ესე მანკი ნაკრავისგან იქნების რომელ თვალთა რაჲ ეცეს, და მაშინ გუგაჲ გაფართდეს ეგრე რომელ ვერას ხედვიდეს, და ანუ დიაჲ თავის ტკივილისა უკანით შეიქნების.

რაჲ ნაკრავისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ თვალისა გუგაჲ გაფართდეს და ცოტაჲ უჩნდეს. და რაჲ ზომცა უეწრესი იყოს სინათლე უფრო იქნების, და რაჲ ზომცა უფართე იყოს უმცრო ინახვის.

10 კურნებაჲ მისი რაჲ ნაკრავისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: თუ ნაკრავისგან იყოს ანუ ჩაჭრისგან რომელ მალისა ადვილისგან ჩაიჭრეს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბაკილაჲსა ფეკილი და ტირიფის ფურცლისა ფეკილი ერთგან გარკიოს და ვარდის წყლითა შეზილოს, და თვალისა ქუქუთოსა შემოსდეს დაძინებისა ეამსა. და თუ ბაკილაჲ დანაყოს და ქერქი ახადოს და გაცრას და ტირიფის ფურცლითა, არდის წყლითა, შეზილოს და თვალთა შემოსდეს ერგების. და თუ მარტოჲ ტირიფის ფურცელი დანაყოს და თვალთა შემოსდეს კარგი არს. და თუ ქრთილისა ფეკილი ტირიფის ფურცლითა დანაყოს და მალჰამაჲ ვითა თვალსა შემოსდეს ერგების.

30 ა რ ბ ა ს ი ო ს ი ტყვის: მანკისა დასაწყისსა კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბაკილაჲ დანაყოს, ტირიფის ფურცლითა შეზილოს და თვალსა შემოსდეს. და ნიადაგ ნაველთა შაფსა თავსა და თვალთა შემოივლებდეს ვითარებაჲ შაფსაჲ: ძალის მწვერისა და ლომისა და მგლისა ნაველელი, და ველურისა კატისა და ქათვისა რომელსა
30 ჰქვიან ყაბუზუნაჲ, და ყურდველისა და ველურისა თხისა ნაველელი, და მელისა და კანჯარისა და ქორისა და ვეფხვისა ნაველელი, და ყარყადისა და ცხურისა ნეზვისა, და ხორხისა და ტრედის ხუნდის თვითოჲსაგან დრამისა წონი ყველაჲ ერთგან გავალოს, და თვალთა შემოვლიდეს კარგად ერგების. და უკეთესი წამალი ამის ქირისა ესე არს და ჩვენ გამოგვიცაღდა.

30 ჰუნაჲ იტყვის: რაჲ დაძველებულ იყოს არა იკურნების და გაძნელებების. განა დასაწყისსა წამალი მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და შარიანისა ძარღვი რომელ საფეთქელსა არის გაკუეეთოს და ნაველთა შაფი თვალთა შემოვლოს, და საჰამადსა ნატიფთა ჰამდეს და მძიმეთა და უდნობთა ერიდებოდეს, და დიაცსა ნუ დაეკარების და ქირიანსა საჰქისა ქნასა, და თავისა ქირისა ჩუენებასა ერიდებოდეს

40 ვითარებაჲ მისი რაჲ თავისა ტკივილისგან ქნილი იყოს. ა რ ხ ი ჯ ა ნ ი ს ი ტყვის: თავის ტკივილისა უკანით ესე მანკი ძნელი არს, სინედლისგან იქნების რომელ მუნ შეყრილი იყოს, და იქნების რომელ სიმხელისგან ქნილი იყოს რომელ თვალისადა მოკრივენს.

*) ამ გვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათვალავი სწერია „ით“ და შემდეგ გვერდის ქვემო აწიხე „კ“.

ნიშანი მისი რაჲ თავის ტკივილისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ თვალთა არა უჩნდეს, ერცაჲჲ ცოტაჲ უჩნდეს, და თვალის გუგაჲ ერცაჲჲ ფართო იყოს ეგრე რომელ საზომისგან გარდასრულ იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა თავისა ტკივილისგან ქნილ იყოს. არხიჯანი იტყვის: კურნებაჲ იგი არს რომელ შარიანი ძარღვი გაჰკვეთოს რომელ მანკი არ გამაგრდეს და თუ გამაგრდების აღარ იკურნების.

10 დევეჯანის იტყვის: მანკისა დასაწყისსა იისა ზეთი და აყიროსა თესლისა ზეთი თავსა იცხოს და ცხვირთა ჩაიწითოს, და ქრთილისა წყალსა სემიდეს და გრილთა საკამდთა ჰამდეს. და მაგისი კურნებაჲ რომელ ცოტაჲ უჩნდეს იგი არს, რომელ თვსა შიგან ორჯელ მუცელი დაიღბოს ამით გვარიწნითა, ვითარებაჲ მისი: ზანჯაბილი ოთხისა დრამისა წონი, არაბული გომიზი და ხირი ბოიაჲ თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, ყარამფული და კალამონი თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, და ნახევარი, ჯავზი ბოიაჲ ერთი მარცული, და ზაფრანაჲ ნახევრისა დრამისა წონი, ნიშასტაგი ოცისა დრამისა წონი, შაქარი ტაბარზაღი ნახევარ ლიტრაჲ, ყველაჲ დანაყილი შაქარსა გაჰრიოს და ხმარებისა ეჲსა იხმარებდეს. და მაშინ შავი ნაველთაჲ თვალთა ჩაუწოთ ვითარებაჲ მისი მეორესა წიგნსა შინა მოვახსენო, ლეინოსა წუ სტამს, დიაცსა წუ დაეკარების და უდნობსა საკამადსა წუ ჰამს. საკამადსა მუხუდის წვესა ჰამდეს, რომელ სქელი გასარეველი გაანატოფოს.

20 მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და ზანჯაბილისა გვარიწნას იხმარებდეს, და უზმაჲ გულან გუბნისა ჰამდეს. და რაჲცა სიხმელისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა საკამადთა ჰამდეს რომელ სინედლესა მიუმატებდეს, ვითა შინაურისა ქათმისა ხორცი, კაკბისა და თიჰაჲსა ხორცი, ბატქნისა და თიქნისა ხორცი, და რაჲცა ამით ჰვედეს. და იისა ზეთი და ნილოფარისა, და აყიროსა და წუშისა ზეთი ერთგან გაჰრიოს და თავსა იცხებდეს, და ცხვირთა ჩაიწითობდეს ერგების დია.

რ. თჳლთაჲ არ კარგად ჩინაჲ რომელ სიხმელისგან იყოს. ვითარებაჲ მისი. ფოლოს იტყვის: ვითა ზაფრისა სინედლისაგან) მორევისაგან იქნების, რომელ თვალისა თეთრთა ძარღვთა მოერიოს, ანუ სიხმელისგან იქნების რომელ დია ემარხოს, ანუ მისგან იქნების რომელ ღამით არ დაიძინოს და საქმისაგან დია ჰირი ენახოს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა ზაფრისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ რაჲ მჲავე ეჲამოს უკეთ უჩნდეს, და რაჲცა სიხმელისგან იყოს ნიშანი იგი არს, 30 რომელ სიმშლიისა ეჲსა და შუა დღისა ეჲსა უფარე იყოს, და თვალი სიღრმესა იყოს.

კურნებაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს, იგი არს, რომელ უზმაჲ სიქანგუბნისა სმიდეს და მჲავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალსა, და ქრთილისა ხალი მყინვარითა გაციებული შაქრითა ჰამოს, და გრილთა ზეთთა ცხვირთა და თავთა იცხებდეს, ვითა იისა და ნილოფარისა ზეთი, და ქალის დედისა სძე თვალთა ჩაიწითოს, და სიმხურვალისა და სიფიცხისა და დიაცისა სიახლესა ერიდოს. და სიჯრილესა და სინედლესა მიელტვოდეს და ლეინოსა ცოტასა სმიდეს და წყალრეულსა. და თუ აყიროსა და იისა და ნილოფარისა და წუშისა გული ერთგან გარიოს და მიწყით თავსა, იცხებდეს კარგი არს.

40 მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ უზმაჲ ქრთილისა წყალსა სემიდეს და ქრთილისა ხალსა შაქრითა ჰამდეს, და გრილთა და ნედლთა ზეთთა ცხვირსა ჩაიწითობდეს, და მლაშესა და მჲავესა და ფიცხელსა ერიდებოდეს, და მაშასა ჰამდეს და ზირაბაჲსა. და მჲვენგილთა თანა ხავარტი და არდი და კიტკატო ჰამოს. და ხილთაგან კიტრი და სხალი და ვაშლი, და ქალის დედისა სძე და ფურთა სძე ერთგან გაჰრიოს და თვალთა ჩაიწითოს, ამას მანკსა გარდაიღბეს და სინათლესა მისცემს. და ბროწეული ტკბილი და მჲავე შჲაგბოს თავლითა რომელ ნახევარმდინ მოიყაროს და თაფლი გაუროს, და სამსა კვირასა მშესა დადვას, მაშინ თვალთა ჩაიწითოს რა-

1) ეს სიტყვა ამაზე სწორია დედნის ხელით.

მელ სინათლე მიემატოს. და თუ მანკი დაძველებული იყოს ყვითისა ჰალიდასა ნათლი წმიდად ვაგალოს და თვალსა შემოვლოს ერგების. და თვლი კრძალვით შეინახოს. და იუ ქაოდეს თუთუბა დაალობს წყლისა და მაშინ დაწუროს და ჩაწითოს და თუ კიტრის ფურცელი ძმრითა შევაგბოს და შემოსდვას კარგია.

თვალთ აარ ჩენაა რაა სიგრილისგან იყოს. ისაკ იტყვის: ესე მანკ ბაღლმისა მორენისაგან, იქნების ანუ სინედლისა სიმზურვალითა რომელ თვალსა ფარდაგასა შიგან შეიყარნენ, და ეგების რომელ სტომაქისა სინედლისაგან ქნილ იყოს, და დია კამისგან რომელ საზომისაგან უფროა ექამოს.

ნიშანი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ რაა მზურვლი კამოს 10 უკეთ უჩნდეს, და რააცა სტომაქისა სინედლისაგან იყოს ერთფერად არა დაიდვამს, რაა მადღარი იყოს მოვებტების, და რაა შიოდეს უმცრო იქნების.

კურნება მისი რაა სიგრილისგან იყოს. ისაკ იტყვის: იგი არს რომელ თურბიდის გვარიშსა იხმარებდეს და უზმაა გულანგუბინსა კამდეს. და აბანოს მივიდოდეს დია. და მჟავეთა და უღნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და მაწონსა და სძესა ერიდოს და კალიაასა და მუტრაჯანსა კამდეს. და ესე შემოსავლებელი თვალთა შემოვივლოს, ზაფრანაა და საბრი, და მამითაასა აფშარაა თვითოსაგან დრამისა წონი ერთი, წმიდად ვაგალოს და თვალსა შემოვლოს და ესე სხვაა სურმაა: ვითარებამ მისი ბაღიანისა თესლი სამისა დრამისა წონი, ძოწი და აქლილალმალიქი და ზაფრანაა თვითოსაგან დრამისა წონი ბაღიანისა წყლითა აღუღლოს და ჩრდილთა გაახმოს, და კულა ვაგალოს და თვალსა ჩაწითოს 20 და შემოვლოს.

ჯალინოს იტყვის: იარაჟსა ჰაბი კამოს რომელ მანკისა სათაენოა ჩამოვიდეს, და ბაღიანისა წყალი თხისა ნაღუელსა გაპროს და თვალთა ჩაწითოს. და როშნაასა შაფი და ნაველთა, შაფი და ბასალიკონისა შაფი რააცა პოოს ჩაწითოს ერგების. და ვაჯისა ძირისა წყალი და მამირონი ყველა წმიდად ვაგალოს, და თვალთა შემოვლოს კარგი არს.

მასოაჟას ძე იტყვის: კურნებაა მისი რააცა სტომაქისა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი ვაწმედოს მანკისა დედისგან ყოყიაასა ჰაბითა, ვაწმედების ჰაბითა და თქვისა შიგან ორჯელ სამჯელ არწყიოს, და საქამადთა ნატრითა კამდეს და დია კამასა და დიაცსა ერიდოს ერგების, თუ ღმერთსა მოწყალესა უნდეს.

ოა. პირველ წყლისა ჩამოსვლა თვალთა შიგან. ვითარებამ მისი რაა ტვინისგან 30 იყოს. მუჰამედ ზაქარიაას ძე იტყვის: რომელ ამის მანკისა გამოჩენაა ორისაგან იქნების. ერთი სტომაქისა სინედლისაგან, მეორე ტვინისა შერეულობისაგან და მისი შერეულობაა სქელისა სინედლისაგან იქნების, რომელ თვალსა შესავალთა გუვისათა შეიყარნენ.

ნიშანი რაა ტვინისგან იყოს. მანკისა დასაწყისისა ნიშანი იგი არს, რომელ თვალთა წინაა რამე წვრილი ეჩვენებოდეს ვითა ოტი მშესა შიგან, და ოსტაასა დარაა ჰქვიან, და თვალისა ფურცელსა შიგან ვითა ღრუბელი რამე გამოჩნდეს.

კურნება მისი რომელ ტვინისა შერეულობისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიაას ძე იტყვის: კურნებაა მისი რომელ ტვინისა შერეულობისგან იყოს იგი არს, რომელ ყოყიაასა ჰაბი კამოს რომელ თვი და ტვინი ვაწმედეს მანკისა სათაენოსაგან,

და მძიმეთა და უღნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და მაწონსა და სძესა, და ახალსა თევზსა 40 ნუ კამს და კეიასა ნუ მოიკიდებს. და ნაველთა შაფი თვალთა შემოვლოს ერგების. და რააცა მისგნით გამავრებულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ შაფი ანუ ლურჯი იყოს, და იმედოვანი მანკი იგი არს, რომელ თეთრი იყოს და წმიდაა, და რაა თითი შემოსდვან გაეფინოს, და რაა აიღონ ერთგანე მოკრბეს.

ისაკ იტყვის: წყლისა ჩამოსულაასა უწინაათ თუ იგრძნას საფეთქელთა ძარღვნი, ყურიმალის ძირსა რომელ არიან, დასდალოს, რომელ წყალსა გზაა შეუყარან და წყალი

ტენისგან ქვე თვალთა არ ჩამოვიდეს. და ტენი გაწმიდოს ზანჯაბილისა გუარიშნითა, და მძიმეთა საკამადთა ერიდებოდეს, და მიწყით კევსა ცოხნიდეს და წყალსა კიდე გაავლებდეს, და მუხუდის წმენსა იხმარებდეს. და თუ წყალი შემოსრულ იყოს ყადაპისგან კიდე არა იქნების, და ყადაპი წყლისა გახსნასა ჰქვიან მილისა წვერითა. და ეგრე ხამს რომელ მას ჟამსა მასღარი არ იყოს, და არცა შეიძრას, და ცხვირთა ნუ დასცემს, და რაჲ შეიგნეს რომელ წყალი სრულად გამოვიდა პირადმა დაწუეს, და კუერცხისა ყვითელი ვარდისა ზეთითა გაადგინოს და თვალთა შემოსდვას, და მალფაკაჲ შემოსდვას და შეკრას და ყველაჲ ნუ იარეზის და სამსა დღესა ესრე ქნას და ორივე თვალი დააჭუხვიოს და ბნელსა სახლსა იყოს და ნესამესა დღესა ნელითა წყლითა დაიბანოს თვალი და შავი მწუარი ჩამოიხუროს ერგების.

10 ვითარება მისი რაჲ სტომაქისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ამის მანკისა გამოჩენა სქელთა ბუხართა ჰეთავან იქნების, რომელ სტომაქისგან თავსა გაუხდეს და მაშინ ბუნებისა ძალმან იგი ბუხარი თვალისა გზასა ჩასავალსა ჩამოაყენოს და მუნ შეიყარნენ.

ნიშანი რაჲ სტომაქისგან იყოს: იგი არს რომელ ერთფერად არ დაიდგენს ზოგჯერ უსუბუქესი იყოს და ზოგჯერ უმძიმესი. და სისუბუქისა და სიმძიმისა სტომაქისა მისაჯერად და ორთავე თვალთა შიგან იქნების და სხვაჲ რომელ ბუნებათა შეშლის.

20 იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს რომელ სტომაქი გაიწმიდოს მის ხელტისგან რომელ ამის სათავეო იყოს. და უზმაჲ გულანგუბინსა ქამდეს და ნავლელთა შავი თვალთა შემოვლოს და ზანჯაბილისა გუარიშნი ამას მანკსა დია ერგების, და ასტაფიყონისა. '1) შავი სიბნელესა და ამას მანკსა დია ერგების, მეტად მაშინ რაჲ სტომაქი გაწმიდოილ იყოს, და ესე შავი იხმაროს: ვითარებაჲ მისი ყვითელი. იყლებიჲ ოქროასა, და ზაფრანაჲ და პილპილი, და აფიონი და ყვითელი ჰალილად თვითოსაგან სამისა დრამისა წონი, გომიზი არაბული და შავი მამითაჲსა თვითოსაგან დრამისა წონი, მარილი ანდრანული ორი დანგი, მური დანგი, საბრი და ბაერუკი თვითოსაგან ოთხი დანგი, ყვითელი ზარნიხაჲ ორი დანგი, ყველაჲ ბადიანისა წყლითა წმიდად გაგალოს, და ჩრდილთა გაახმოს და ხმარებისა ჟამსა თვალთა შემოვლოს.

ჯალინოს იტყვის: უკეთესი კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნავლელთა შავი იხმაროს მეტად ოთხებუდა და მფრინველთა ნავლელისა, და ბადიანისა წყალი დასაწყისსა მანკისასა თვალთა ჩაიწოთოს, და მძიმეთა საკამადთა და დიაცსა ერიდოს.

30 კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა და ყოყიასა სტომაქი გაწმიდოს, და იარაჲ ფეყირაჲ და როფისის იარაჲ ერგების, და თუ ფეყირაჲსა იარაჲთა დარღარაჲ ქნას ერგების. და ასთაფიყონისა შავი მას ერგების, და აზიზი თვალთა შემოვლოს. და რაჲცა ნავლელი მუშესა გაჰრიოს და მაშინ ბადიანისა წყლითა წმიდად გაგალოს და და თვალთა შემოვლოს ერგების. მაგრა ველურთა მფრინველთა ნავლელი უმჯობესია და მძიმეთა და უდნობთა საკამადთა ერიდებოდეს, ერგების თუ ლმერთსა უნდეს.

მზ. ლამით სიბრძნისა და დღისით სიბრძნისა: ლამით სიბრძნისა ვითარებაჲ. თე ბით ყურაჲს ძე იტყვის: ესე მანკი სქელთა ბუხართაგან იქნების. ლამით რომელ ბრმაჲ იყოს მით არს, რომელ ბუხარი დღისით სინათლესა და დღისა სიტყესა განატიფდების და ლამით სიბნელესა ბუხარი გასქელებების.

40 ნიშანი ლამით სიბრძნისაჲ, რომელსა ჰქვიან შაბქორი: იგი არს, რომელ ლამით ვერას ხედავდეს ეგრე რომელ დღისით არა აკლდეს სინათლე.

კურნებაჲ ლამით სიბრძნისაჲ: თე ბით ყურაჲს ძე იტყვის: ფეყირაჲსა იარაჲთა მუცელი გაწმიდოს და მითვე ლარღარაჲ ქნას, და ხაზდის გულითა და ქერუსტითა ცხვირთა დააცემოს, და ნავლელთა შავი თვალთა შემოვლოს, და ესე წამალი ჩვენ გამოგვიცლიდა კარგი ხასიათი აქვს. ვითარებაჲ შიხი: პილპილი და დარაფიფილი, და ყანბილი

1) შეცდომა, უნდა იყოს „ასტინიფიონის“.

თეთოსაგან სამისა დრამისა წონი ყველა წმიდად გაგალოს, და თვალთა შემოვლოს. და მუცელი დაიღობოს ყოყიასა ჰაბითა, და (დარაფილფილი¹) წმიდად გაგალოს და ეგრეთვე ბადიანი ლეიძლსა შემოაყაროს და ლეიძლი ცეცხლსა შემოსდვას, რომელ მისგან პერული გამოვიდეს, და მაშინ ძილი მით პერულითა დაისეაროს და თვალსა შემოვლოს, და ნედლსა ნურას ჰამს ვითა მაწონი და სძე, და კვერცხი და ახალი ხილი, მუხუდისა წუენისაგან კიდედ დამწუბარი წუედი ჰამს და მეორესა ღამესა შაბიარისა ჰამსა ჰამდეს.

ბ ა ყ რ ა ტ ი ტ ყ ვ ი ს: ესე შეუი² შაბქორსა და ინთიბარსა და წყლისა ჩამოსულსა ერგების დასაწყისსა ვითარებაჲ მისი: ქორისა³ ნავლეი უკიაჲ ერთი შაჰმი ჰანტალი მითყალი ერთი, ფარფიონი და ნიშადური თეთოსაგან ნახევარ დრამისა წონი, სიჭებენა ორი დაწვი, ყველა დაწყალი ამა ნავლელსა თანა ჰავანსა ჩაყაროს და გაგალოს და მზითა გაა-, ხმოს ანუ ტეგანასა წყლითა ანუ ბადიანისა წყლითა შეაფუჲ ქნას, და ჰვასა ზედა გაგალოს და თვალთა შემოვლოს ერგების, დანახვასა გააფიცხებს.

ი ს ა კ ი ტ ყ ვ ი ს: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თხისა ლეიძლი ცეცხლსა ზედა დასდვას რომელ წყალი გამოვიდეს, მერმე იგი წყალი მისი თეთრსა შიშავსა შიგან ჩაახსას და მიწყით თვალსა შევიოვლებდეს, და ამის შემწეარისა ლეიძლისა წყალიცა ჰამოს, და თუ ლეიძლისა წყლისა ორთქლისა ზედა პირი მიუპყრას, რომელ ორთქლი თვალსა შეუხდეს კარგი არს.

დ ლ ის ი თ ს ი ბ რ მ ის ა ვ ი თ ა რ ე ბ ა ჲ . ა ბ უ ჯ ა რ ი ჰ ი ტ ყ ვ ი ს: ესე მანკი სიხმელისა სიმრავლითა იქნების, რომელ სულსა ნაფსანისასა მოერიოს, და ანუ სულისა ნაფსანისა დადნობისაგან იქნების, და იქნების რომელ სტომაქისგანცა გამოჩნდეს ჰავისა გასარველისგან, რომელ შიგან იყოს.

ნ ი შ ა ნ ი დ ლ ის ი თ ს ი ბ რ მ ის ა ჲ . იგი არს რომელ ნათელსა დღესა და მზიანსა ევრას ზედვიდეს, და ბნელსა ღამესა კარგად ხედვიდეს. და ნიშანი მისი რომელ სტომაქიდან იყოს იგი არს, რომელ ჟამსა და სიმაძღრესა უვარე და უყუთე ზედვიდეს.

კ უ რ ნ ე ბ ა ჲ დ ლ ის ი თ ი ს ი ბ რ მ ის ა ჲ . ა ბ უ ჯ ა რ ი ჰ ი ტ ყ ვ ი ს: ესე უფრო თვალმარლსა წაეკიდების, ანუ შაჰლასა თვალსა სულისა სინატიფისგან, და გუგაჰსა სინატიფისგან. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტკბილისა და მეავისა ბროწეულისა წყალსა იხმარებდეს და ბაზრიატუნისა ჯულაბი ლუაბითა, და კატკატრასა თესლისა წყალი სიჭანგუბინითა და სანდალი, და ვარდის წყალი შუბლსა შემოსცხოს, ქალის დედისა სძე და იისა ზეთი

ცხვირთა ჩიწითოს. და თუ გაცივებული ვარდის წყალი⁴ თვალთა ჩიხსას კარგი არს. და მიწყით ჰამოთა წყლითა იხანებოდეს, და საჭამადსა ვარიაასა მუხუდართა ჰამდეს რომელ ქინძი რთულ იყოს, და მწვანითა თანა ხავარტი და ძვიმელი ჰამოს, და ქირსა ნურას ჰნახავს და დიაცსა, და ლეინოასა და თაფლიანთა, და მლაშეთა ერიდებოდეს, და გრილსა და ნედლსა საჭამადსა ჰამდეს.

ჰ უ ნ ა ნ ი ტ ყ ვ ი ს: რაჲ სტომაქისგან იყოს ადვილ არს. ნიშანი მისი იგი არს, რომელ თვალნი სწორად იყენენ და რაჲ შიოდეს უჯობდეს ეგრე ხამ რომელ ძალიანი გასახსნელი აილოს და არწყობისცა და სტომაქი ხილტვისგან, რომელ ამის მანკისა გამაძწელებელი იყოს, გაწმინდოს. და თუ ესე მანკი ერთსა თვალსა შიგან იყოს და მიწყით ერთფერად იყოს ნიშანი არს რომელ ტენისგან სჭირსა და მანკი ძნელი არს.

კ უ რ ნ ე ბ ა ჲ , იგი არს, რომელ შაბიარისა ჰაბი ჰამოს და მიწყით ამითვე ჰაბითა ღარღარაასა იქმოდეს ერგების, და მაშინ გარცხილი შედნავ თვალთა შემოვლოს, და ნილოფრისა ზეთი და იაჲ ცხვირთა ჩიწითოს და თუ ნელითა წყლითა ჰბანდეს ერგების და მიწყით ქალის დედისა სძესა და იისა ზეთსა ცხვირთა ჩიწითობდეს ერგების, და მჟავეთა და მლაშეთა და ფიცხელთა ერიდებოდეს, რომელ გამრთელდეს შეწეენითა ღმრთისათა.

1) სწერია „დარაჰილილი“.

2) სწერია „შაბი“.

3) სწერია „ქორისა“.

4) ეს წინადადება „შუბლსა შემოსცხოს...“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვითარება მისი რაე სიმხურავლისგან იყო. იოჰანა იტყვის: ყურთა ტკივილი სხვათა ასოთა ტკივილთაგან არს, მით რომელ გრძნობა მისი უფრო არს და ვითარება მისი რაე სიმხურავლისგან იყო სისხლისა სიფიცხისა და მორევისაგან არს რომელ ყურთა და ყურისა ძარღვთა შიგან, შეიყარნენ.

ნიშანი მისი რაე სიმხურავალი ისგან იყო. იგი არს, რომელ ყური წითლად იყო და ფიცხლად ფეთქდეს და თავი ემძიმებოდეს და რაე ხელი დასდგან ხურვიდეს, და ყვრიმალთა ძარღვი ადგომილ იყვნენ და მოდრეკისა ეამსა შუბლი სტკივიდეს.

კურნება რაე სიმხურავალით იყო. იოჰანა იტყვის: ყიფალი გაიხნას და ერთი უკია ვარდის ზეთი ნახევარსა უკიასა ძმარსა თანა ადულოს, რომელ ძმარი წავიდეს, და მის ზეთისგან ნელად ყურსა ჩაიწობდეს, და საქამადა ცოტასა ქამდეს და ღვინოსა ერიდოს, და თუ ხილთა წყლითა მუცელი დაიღობს კარგი არს, და თუ ნილოფარისა ზეთითა ანუ ვარდისა ზეთითა, ანუ იისა ზეთითა ანუ აყიროსა თესლისა ჩაწობითა ჰკურნებდეს დია მარგი არს. და თუ აფიონისა შაფი ჩაიწობს კარგი არს, და თუ გამწელდეს, ბანგი დანაყოს და ერბოთა ადულოს და ჩაიწობს, და ქალის დედისა სძე შემოწელოს კარგი არს, და ტირიფის ზეთი ჩაიწობს კარგი არს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: მუცელი დაიღობს ჰალილათა ყვითლითა, ანუ ჰალილათა მათუხითა, და თუ სნეული შეძლებული იყოს ყიფალი გაიხნას და ძალისა მისაფერად სისხლი გაუშვას და უზმა ტყემლისა შარაბი შაქრითა სქას. და თუ ქალის დედისა სძე და ვარდისა ზეთი წყლითა და ძმრითა¹⁾ ადულონ და ჩაიწობს კარგი არს. და სიმხურავლესა ერიდებოდეს და გრილთა საქამადათა მიელტვოდეს. და თუ ქუნჯიითა ზეთი ქათმის ცველითა და ბატის ცველითა გაგალოს და ჩაიწობს ერგების.

როფისი იტყვის: თუ ტკბილისა ნუშისა ზეთი ძმრითა ადულოს ერგე რომელ ძმარი წავიდეს და ღვინო²⁾ დარჩეს და ტკივილისა დასაწყისსა ჩაიწობს კარგი არს. და თუ ახლისა აყიროსა წყალი, და მისისა ფურცლისა წყალი, ვარდისა ზეთსა გაჰპროის და სამივე ერთგან გაადგინოს, და ყურსა ჩაიწობს კარგი არს, და თანავე დაწყნარებს, და თუ კჭირცხისა თებრი ცოტასა ბანგისა თესლსა გაჰპროის და ყურსა ჩადვას კარგი არს.

ყურისა. ტკივილი რაე სიგრილისგან იყო. ვითარება მისი. მასარჯოა იტყვის: ესე მანკი ბალმისა გასარეველისაგან იქნების რომელ ყურსა მოერიოს, და ანუ ეგეთთა ადგილთა ყოფისაგან რომელ გრილი იყოს და ცივი ქარი ქროდეს, და ანუ ცივსა წყალსა დია ბანებულ იყოს.

ნიშანი რაე სიგრილისგან იყო: ნიშანი იგი არს, რომელ ყურითა სიმძიმილი იყოს და რაე ხელი შემოსდგან გრილად იყოს, და რაე სიმხურავლე ეცემოდეს ელხინებოდეს, და ეგების რომელ ხმაჲ ჩაიჭრეს შიგან.

კურნება მისი. იგი არს რომელ აბანოს იხმარებდეს, და ფეტვი გამხმარი ხორხსა შემოსდვას. და თუ ორი ცუარი ქადისა ზეთი ანუ ორი ცუარი ყატრანაა რომელსა ჰქვიან წერი, ჩაიწობს კარგი არს. და თუ ტევანაა ხახვისა წყალსა და ქუნჯიდისა ზეთსა თანა ადულოს და ყურსა ჩაიწობს კარგი არს. და ყუსტისა ზეთი ანუ სისანბრისა ზეთი ჩაიწობს ერგების. და თუ დრამისა წონი ხაზდისა გული და ნახევარ დრამისა წონი ფარფიონი, ანუ ნახევარ უკია ზეთის ხილისა ზეთი, ერთგან გაადნონ და ყურსა ჩაიწობონ კარგი არს ტკივილსა და დაწყნარებს³⁾. ყოყასა ჰაბითა მუცელი დაიღობს და ძველსა ღვინოსა წყალაურეველსა სმიდეს, და სოსანისა ზეთი და ბოლოკისა ზეთი ჩაიწობონ და უზმა აბანოს

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

2) ტყესუში აქ ეს სიტყვა შეცდომითა სწერია, უნდა იყოს „ზეთი“.

3) ამ სტრიქონის გასწვრივ აშიაზე სწერია „ისაჲ“.

მივიდეს და ოფლი გამოიცივს, და ძველსა გულან გუბინსა კამდეს. და მარითი და ფეტვი გამოთვარი თაჲსა შემოიკრას და იასანისა ზეთი და ბაბუნაჲსა ზეთი ჩაიწითოს ნელი. და მხურვალთა გვარიშნთა კამდეს, და უდნობთა საკამადთა ერიდებოდეს, და შურგასა კამდეს რომელ მხურვალი სანელეხელი რთულ იყოს, და გრილთა ზეთთა ნურას ჩაუწითო 1).

თე გით ყურაჲს ძე იტყვის: რომელ სარატინი შეიპყრას ვითამცა ქიაყელი და ძმრითა შეაბგოლოს და ცოტაჲ ბატის ცმელი გაპროოს და ყურსა ჩაიწითოს, თანავე დააწყყარებს ტკივილსა, და თუ კანაფისა პატრუკი შექნას და თაფლითა შეისუაროს, და ყურსა შემოსდვას ხსნითთა ტკივილსა წაუღებს. და თუ ჭანგარაჲ თაფლითა შეზილოს და ძმარი გაუროოს და ჩაიწითოს ერგების. და ყველაისგან უმჯობესი ღრიანკალისა ზეთი არს რომელ ჩაუწითოს, და ანუ პატრუკი მაგით დასვაროს და ჩაიდვას, ერგების შეწვევითა ღმრთისათა.

10 **მღ. შურისა სიმსივნე სიმგუჯავალიგან თუ იჲოს.** ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იჲოს. მასაჲს ძე იტყვის: ესე მანკი მით იქნების რომელ ბუნებისა ძალმან სქელი სისხლი მუერიანვე გასდენვოს და ანუ ფიცხელისა ზაფრისგან იქნების, რომელ შიგან შეყრილი იყოს და გასივებულ იყოს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ შიგნით გასივებულ იყოს და დია სტიკოდეს და ისარივითა ფეტქდეს, და წითელი იყოს და თავი ემძიმებოდეს, და თუ მანკისაჲ დედა იყოს სიმსივნე დიდი იქნების.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასაჲს ძე იტყვის: რაჲ ყური ფეტქდეს და ფერად წითლად იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და სისხლი დია გამოიღოს, და ქალის დედისა სძე შიგან მოიწუქლოს. სჲმ დღემდინ ესე იქმოდეს და თუ სნეული კჲყუასა არ იყოს, ერთი ყერატი აფიონი ქალის დედისა სძესა შიგან გააღწოს და ნელი ყურსა ჩაუწითოს, და თუ ბაზრაყატუნისა ლუბი ახლისა ქინძისა წყალსა გაპროოს და ყურთა გარშემო იცხოს კარგი არს, და თუ ესე ტილე შემოსდვას კარგი არს ბაკილასა ფქვილი და ქრთილისა ფქვილი, და ნილოფარისა ფურცელი და ბაბუნაჲ, ვარპარამისა ძირი, ბალბაჲსა ძირი და იაჲ თვითოსა ოდენი ყველა დანაყილი ქინძისა წყლითა შეზილოს, და იისა ზეთი გაუროოს და ყურთა გარეშე იცხოს ერგების. და საკამადსა ისრინისა ურწოსა კამდეს და ნიშოსა, და დილისა ჟამსა ქრთილისა წყალსა და ჯულაჲსა სმიდეს.

30 **ჭუხანაჲ იტყვის:** ხელი გაიხსნას ანუ კიქაჲ მოჰკიდოს, და მუცელი დაიღობს ყვითლისა ჰალილასა წყლითა და იარაჲ ფეყირაჲთა, რომელ მანკისა დედაჲ უჩინარ იქნეს. და ჟამეჲმ ახლისა აყიროსა წყალსა ყურსა ჩაიწითოდეს. და თუ ბასალიკონისა მაღჰამაჲ გამობარი ჩაიწითოს კარგი არს, და ესე წამალი გამოგვიცდია: ვითარებაჲ მისი: ბაკილასა ფქვილი და ქრთილისა ფქვილი თვითოსაგან სამისა დრაჰმისა წონი ბაბუნაჲ და აქლილალ-მალკი თითოსაგან დრაჰმისა წონი ყველაჲ დანაყილი იისა ზეთითა ანუ ქუნჯიდისა ზეთითა ვითა მაღჰამაჲ შეიქნას და პატრუკი ქნას, და მაგით დასყრიდეს, და ყურსა ჩაუწუქდეს, და თუ მანკი ძნელი იყოს ახლისა აყიროსა ქერქისა წყალი ვარდისა ზეთსა გაპროოს და ყურსა ჩაიწითოს, და მხურვალთა საკამადთა ერიდებოდეს. გამრთელდების თუ ღმრთისა უნდეს.

40 **შურთა სიმსივნე რომელ სიგრილისაგან იჲოს.** მესია იტყვის: ესე მანკი ბალბაჲურისა გასარეველისა სქელისაგან იქნების რომელ ყურსა შიგნით შეყრილ იყოს, და გასივებულ იყოს, და იქნების რომელ სასევდოსა ხილტისგან ქნილ იყოს მაგრა იშვითა ოდენსე იქნების იგი.

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს. რომელ თავი ემძიმებოდეს და ტკივილი ძნელად არ იყოს, და არ ფეტქდეს, და წითელი არ იყოს, და რაჲ მხურვალი ყურსა შემოსდვან ტკივილი დასწყყარდეს.

1) ამ გვერდის ქვემო აწიანზე რვეულთა სათვალავი სწერია „კ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აწიანზე „ა“

კურნება მისი რაე სიგრილისგან იყოს: მესია იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღობოს იარაგსა ჰაბითა რომელ თავი და ტვინი მანკისა სათავნოსაგან გაწმდეს, და ცერეცოვსა ზეთი ანუ ნარგისისა ზეთი ყურსა ჩაიწოთ, და ესე შემოსადებელი შემოსდეს გარეთ, ბაბუნა და ცერეცო, და აქლილამალიქი და სისნისა ძირი, და მარხანგოში და სისანბარი ერთმანერთისა ოდენი, უღზოა და სელი თვითოსაგან ნახევარი მათ ოდენი, ყველა დაწავალი მარხანგოშისა წყლითა და სოსანისა ზეთითა შეზილი და ყურსა შემოსდეს, და თუ ბაბუნა და აქლილამალიქი და ცერეცო და ჰანდაყოყია, რომელ საბარგი ჰქვიან ვითამცა სამფურცელი, და ქონდარი და მარხანგოში ყველა შეაბგოლოს, და აბრეგსა შეყაროს და თავი გაამაგროს, და კალმისა ერთი თავი აბრეგსა შიგან ჩაყოს და მეორე თავი ყურსა შიგან და ცოტასა ხანსა დათმოს რომელ წამალთა ორთქლი ყურსა შეხედეს, რომელ სიმსიენე დაამწიფოს და ტკივილი დაუწყნაროს.

რო ფისი იტყვის: ნიშანი დამწიფებისა მანკისა იგი არს, რომელ თხამლი ყურისგან ჩამოვიდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ პატრუჯი თაფლითა დასვაროს და ცოტა ანხაროთი მოაყარონ და ყურსა ჩასდვან და თუ საბრი და ანხაროთი და ხონი სიაოშანი და თეთრი საკმელი წმიდად გაგალონ და პატრუჯი თაფლითა დასჭარონ და ამა წამალთაგან ზედა მოაყარონ და ყურსა ჩასდვან. კარგი არს. და თუ თაფლი ზროხისა ნავლეღსა და ძმარსა თანა გაადგინოს და ყურსა ჩაიწოთ კარგი არს.

ისაკ იტყვის: ესე წამალი ყურისა სიმსიენესა რაე სიგრილისგან იყოს დაამწიფებს: ათი უკია სპრასა, ხუთსა ლეღვსა თანა ხუთითა ლიტრითა წყლითა შეაბგოლოს, რომელ ლიტრად და ნახევარი დარჩეს, მაშინ ორი უკია ნუშისა ზეთი გაურთოს და რაჰომცა ზეთი დარჩეს დაიცისა სძესა გაპროოს და პატრუჯი დასვაროს და ყურსა ჩაიდვას.

თუ ფაალი რომელ ყურსა ჩაუხდეს ანუ მკრომელი. წყლისა ვითარება ყურსა შიგან იოჰანა იტყვის: წყლისა ჩხლომაყ ყურთა მისგან იქნების რომელ კაცმან თავი წყალსა ჩაყოს და იღრქუმოს და შიგან ხანი დაყოს ზვირთანოსა წყალსა ფიცხელსა მდინარესა.

ნიშანი რაე წყალი ყურსა ჩაუხდეს იგი არს რომელ ყური მძიმედ იყოს და ცოცრად სტკიოდეს და რაე ქალადი პატრუჯად ქნან და ყურსა შეუჭყარან და ხანი დათმონ მაშინ გამოიღოს დასოვლებული იყოს.

კურნება რაე წყალი ყურსა შევიდეს. იოჰანა იტყვის: თუ თბილი წყალი შედგომოდ იყოს ყურსა, ახალი სძე ჩაუხდეს, ყურის ტკივილი დასწყნარდების და თუ ცივი წყალი ჩასრულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაე აბანოთ გამოვიდეს სტკიოდეს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ ყურსა წყალი ჩაიხდეს და მაშინვე დაღვაროს რომელ იგიცა გამოვიდეს, და მაშინ ორი ცხარი ერბოთა შიგან ჩაუწოთ რომელ ტკივილი დასწყნარდეს, და თუ წყალი არ გამოვიდეს მუნით, ერთითა ფერხითა ახლტეს რომელ გამოვიდეს და ანუ ცოტა ბანბაე ცერეცოვსა შეშისა შტოვასა ზედა დაახვიოს და ერბოთა დასვაროს და ბანბაე მაკრა ახვიოს, რომელ ყურსა ქარი არ შეუხდეს და ცეცხლი მიუღვას მას ბანბაეა ჩხირსა რომელ ეხვიოს რომელ წყალი ყურით გამოიღოს და თუ ძქელისა ქალადლისგან პატრუჯი ქნას და ყურსა ჩაიჭყარს წყალსა გამოზიდეს.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ ცოტა ცერეცოვსა ზეთი, ანუ სოსანისა ზეთი, ანუ ნუშისა ზეთი ჩაიწოთ, და თუ ყურსა რამე ჩაჭრილ იყოს ბანბაე მილისა წჭერსა ახვიოს და წებოთა დასჭაროს და ყურსა ჩაიყოს რომელ გამოზიდოს. და თუ წმიდითა მარწუხითა მოეკიდოს და გამოიღოს კადგი არს და თუ არა ქერუშითა ცხვირი დააქვინოს და პირი დაიყოს და თავი მუნითვე იქციოს და ხელი პირსა დასდვას რომელ გამოვიდეს თუ არა თბილი ერბოა ჩაიწოთ და მუნითვე დაწვეს გამოვა და თუ

აბანოს მივიდეს და კარგათ ცხვირთა დააცემიოს ერგების. და რააცა ამისთანასა იქმოდეს ჰამოდ და მუდართი იქმოდეს რომელ ყური არ იტყინოს.

ეთთარება მძრომელისა ყურთაგან. მადაინი იტყვის: მისგან იქნების რომელ კაცი მძინარე იყოს ანუ ლაფილად და მძრომელი შეუხდეს, და ეგების რომელ ჭია იყოს და თვით ყურისგან დაბადებული და გამოჩენილ იყოს, დაძლისა სინედლისაგან ქნილ იყოს.

ნიშანი მძრომელისა იგი არს, რომელ ეამ-ეამ იძვროდეს და ეამეამ დასწყნარდეს, და რააცა თვით ყურისაგან ჭიად ქნილ იყოს მიწყით ატყეინებს და ჭავის.

კურნება მძრომელისა რაა ყურსა შიგან იყოს. მადაინი იტყვის: რა მძრომელი ყურსა შიგან შევიდეს და ვერ გამოვიდეს კურნება მისი იგი არს, რომელ საბრი წყლითა გაგალოს და ყურსა ჩაიწოთს, ანუ კაპარისა ფურცლისა წყალი, ანუ აფსანთინისა წყალი, ანუ საბრისა წყალი ატმის გურკისა ზეთითა. და თუ ატმისა ფურცელი პიტნასა წყლითა ანუ შაჰი პანტლისა შეგბრისა წყლითა, ერთგან ადულოს და ყურსა ჩაიწოთს მასვე წამსა მძრომელსა მოჰკლავს, და თუ კაპარისა წყალი ძმარსა გაჭრიოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს.

დეჯანის იტყვის: თუ ყურსა შიგან ჭია იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ქავოდეს და ბუნებასა შემლიდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ პიტნისა წყალი ჩაიწოთს ანუ ატმის გურკისა ზეთი, ანუ პატარა ტევანა მჭელითა ლვინითა გაგალოს და ყურსა ჩაიწოთს და თუ ვამთბარი ძმარი ყურსა ჩაიწოთს ჭიასა მოჰკლავს და ტყვილსა დააწყნარებს. და თუ სიმძიმე ყურსა შიგან დარჩეს ქერუშტითა ცხვირთა დააცემიოს, და ნელი ერბოა ჩაუსხას, და ცვარი ერთი წერი ჩაისხას ყური გაისნების, და თუ სოსანისა და ნუშისა მწარისა ზეთი ტევანასა წყალსა და ძმარსა გაჭრიოს და ჩაიწოთს კარგი არს, და ბოლოკისა და დრამინასა წყალი სადაცა ჭია იყოს ჩაისხას ჭიასა გამოიყვანს, და ტყვილსა დააწყნარებს და ერგების შეწყვენითა ღმერთისათა.

მკ. ჟურისა წაშლად და თხაშლისა და სისხლისა მოსვლა მისგან. ყურისა წყლულისა ნიშანი და ვითარება. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ყურისა სიწყლულე ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების, ანუ სიმსივნისგან რომელ გასქდეს და სიწყლულე დარჩეს, და ანუ ფიცხელისა რაასმე, რომელ ყურსა შეუყონ და არყიონ მისგნით გაწყლულდეს.

ნიშანი ყურისა სიწყლულისა. მისი ნიშანი რომელ ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ტყვილი ისარივითა ფეთქდეს, და რაა სიმსივნისგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხამლი სდიოდეს და რააცა თვით გაწყლულოს სისხლი გამოვიდოდეს.

კურნება ყურისა სიწყლულისა. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რაა წყლული ძველი იყოს კურნება იგი არს, რომელ სპეტისა მაშლამა ვარდისა ზეთითა გაადგინონ და შიგან შემოსდვან, და რააცა აღრითგან დაწყლულებულ იყოს საბრი და ანზარეთი, და თეთარი საკმელი და ხონისიამანი და მური თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, ყველა წმიდად გაგალოს და მაშინ პატრუკი თაფლითა დასვარონ და ამით წამალთაგან ზედა მოაყარონ და ყურსა შემოსდვან. და თუ წყალი შიგნით იყოს ესე წამალი თაფლსა თანა გაადგინონ და ყურსა ჩაიწონ, და თუ თვეა ერთსა, თუნდა უფროსა რკინა ძმარსა შიგან ჩაავდოს და მუნით ცოტა ყურსა ჩაიწოთს რომელ სინედლე გაწმინდოს და წყლული გაამთელოს.

ჯალინოს იტყვის: თუ სიწყლულისგან სისხლი და თხამლი გამოვიდოდეს, თაფლისა წყალი ნელტფილი ყურსა ჩაიწოთს და მაშინ ანზარეთი და ხონისიამანი, და თეთრი საკმელი, და საბრი ყველა წმიდად გაგალოს და პატრუკსა შესცხოს, და თაფლითა დასვაროს და ამით წამალთაგან ზედა მოაყაროს და ყურსა ჩაიდვას, კარგი არის ტყვილსა დააწყნარებს. და თუ ყურდემნად და ბაერუკი წმიდად გაგალოს, და ლეღი უგულოა დანაყოს წმიდად, და ესე წამლები მოაყარონ და პატრუკითა ყურსა შემოსდვან კარგი არს.

მესია იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ანზარეთი და ხონი სიაოშანი და თეთრი საკმელი, და მური და შაფი მამითაა ერთმანერთისა ოდენი, ყველა და ნადაცილი და გაცრილი თავლითა შეზილოს და ტილოასა მჭურისაგან პატრუკი ქნას. და ამისთანა წამალი სცხოს და ყურსა შემოსდეს კარგი არს, და ეგეთთა საჭამალთა რომელ სისხლსა გაათიცხებდეს ერიდებოდეს.

სისხლისა და თხამლისა მოხვლისა ვითარებაა შაჩინაბან. აბუჯარაპ იტყვის: მით ედინების სისხლი ყურისგან რომელ სცემოდეს რამე, ანუ მაგრად დაცემისაგან, ანუ რაიმე გავწყულლოს, და თხამლი ძველისა წყლულისგან იქნების რომელ გამოჩნდეს.

ნიშანი სისხლისა და თხამლისა ყურისგან: ნიშანი იგი არს, რომელ 10 თუ სისხლი დია სდიოდეს წყლული დიდი არს, და თუ ცოტა გამოვიდოდეს წყლული ცოტა იყოს. და რაიმომიცა თხამლი უფროა მყარალი იყოს წყლული უძველესი და უკარესი არს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ სისხლსა უკუაყენებს, მაგრა ბროწყული წყლითა შეავგოს და მაშინ შემოაჭიროს და წყალი მისი ყურსა ჩაიწოთს ხასითითა სისხლსა უკუაყენებს, და მამითა ქალის დედისა სძითა ქვასა ზედა გაგალოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს, და ტკივილსა დააწყნარებს.

იოჰანა იტყვის: თუ სისხლისა დენაა სნეულისგან ბუჰრანისგან იყოს ნუ უკუაყენებთ ნუ თუ საზომისგან ვარდვიდეს მაშინ შემგბარი გუნდა და წყალი ასაარაფი და წყალი ლისანალჰამალისა რომელიცა იყოს ჩაუწოთს და თხამლი რა და გამოვიდოდეს 20 და ძველი იყოს ქანგარისა მამლამისა პატრუკი შეუბყრას და თუ პატრუკი თავლითა დაისევაროს და ქანგარა მოაყაროს და ყველა თავლითა დასეაროს და ანზაროთი მოაყაროს და ყურსა შემოსდეს და თუ რკინისა ბაყლი ძმრითა გაგალოს და პატრუკი მაგით დაისოვლოს კარგი არს ყურსა შემოსდეს.

ფოლოს იტყვის: თხამლის მოსჭლისა კურნება იგი არს რომელ ხონი სიაოშანი, საბრი და თეთრი საკმელი და რკინისა ბაყლი და ქანგარა ძმრითა გაგალოს და პატრუკი მაგით დასეაროს და ყურსა შემოსდეს და თუ თავლისა წყალი და ისრინი შემოაჭიროს და წვენი მისი თავლისა გაჭიროს და ყურთა ჩაიწოთს კარგი არს. და თუ ანზარეთი დანა- 30 ცილი ქალის დედისა სძესა თანა გაჭიროს და ადულოს კარგი არს, პატრუკსა იცხოს და ყურთა შემოსდეს და ერგების შეწყვენითა ღმრთისათა.

ოჰ. ხმისა მოხმენაა და შივილი და ძარი რომელ უძრათ იყოს. ვითარება ხმისა მოსმენისა ყურისგან. იოჰანა იტყვის: სქელისა გარევისაგან იქნების რომელ ყურსა 30 შიგან შეყრილ იყოს და მოერიდნეს, ანუ სქელთა ქართაგან იქნების რომელ ყურისაგან შეწყვედულ იყოს და გზა გამოსავალი ვერ მოვოს.

ნიშანი ხმისა მოსმენისა ყურისაგან: იგი არს, რომელ ყოლა არ დასწყნარდეს ხმისა ცემისაგან და მიწყით ყური დაყოფილი იყოს და მძიმე, და ნიშანი მისი რომელ ქართაგან იყოს იგი არს, რომელ ზოგჯერ უფროა იყოს ზოგჯერ უმცრო.

კურნება ხმისა მოსმენისა ყურისგან: იოჰანა იტყვის: კურნება მისი რომელ ბალდისგან იყოს იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაღობოს რომელ მანკისა დედა თვისგან ჩამოილოს და მაშინ ყუსტისა ზეთი ცოტაა ძმრითა ერთგან 40 გაადგინოს და ყურსა ჩაიწოთს, და თუ ზოფი და ჰაბალდარი და ფიჭვის ფურცელი ერთგან შეაბგოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს. და თუ ამით რომელ ვთქვით არ იკურნოს სქელისა ხილტისგან ქნელი არს, რომელ თავისა ფარდაგსა შიგან მოსრული და მორევილი იყოს,

კურნება მისი იგი არს, რომელ ორისა დანგისა წონი ბოლოკისა თესლი, და ორი დანგი და ნახევარი შაჰი ჰანტალი, და ქათირა და ანზაროთი თვითოსაგან დანგე, 30 ჰალილა ქაბულური ორი დანგი, ყველა და ნადაცილი ჰაბად ქნას და იხმაროს.

თებით ყურადსმენით იტყვის: ხმა ყურსა უგრძნულად შევარდების სიმხურვალისგან იქნების, კურნება მისი ვარდისა ზეთითა და ძმრითა არს. და ქალის დედის სძე და აყიროასა წყალი და კიტრისა წყალი ყურსა ჩაიწითოს. და თუ მისგნით ქნილ იყოს რომელ სნებისგან ადგოვილ იყოს იგი არს, რომელ გუარიზნი აფსანთინისა წყლითა გარცხოს და ვარდისა ზეთი და ძმარი ჩაიწითოს და თუ სქელთა ქართავან ქნილ იყოს კურნება იგი არს, რომელ ფარფიონი ინისა ზეთითა ანუ ხაზლისა გული ტევანისა ზეთითა გაგალოს და ნელი ჩაიწითოს.

მესია იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ხმელი ზოფა და ჰაბალარი წყლითა შეაბგოს და ყურსა ჩაიწითოს. და ესე ჰაბი სიყრუესა და ხმისა მოსმენასა და სიმძიმესა ყურისასა ერგების, ვითარება მისი: თურბიდი ათისა დრამისა წონი, ჰალილია ქაბულური ორისა დრამისა წონი და ნახევარი, ყველა და ნაყილი ჰაბად ქნას და ხარებისა ჟამსა მუთყალი ერთი ქამოს.

ვითარება ყურისა ქარისა. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ქარები და ბუხარები ყურსა უფროსნი მისგან იქნების, რომელ რა საქამადი დია ქამოს მაშინ დაიძინოს, ანუ ჰაენი ბუხარნი თავსა გაუხდეს და ყურთა გაუხდეს.

ნიშანი ყურთა ქარისა. იგი არს, რომელ ერთფერად არ დაიდგენს ზოგჯერ უფრო იყოს ზოგჯერ უმცრო, ზოგჯერ ასტკიედეს და მისგან ხმა მოისმოდეს, მეტად მანქისა ჟამსა.

კურნება ყურისა ქარისა. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნება გრილთა ქართა რომელ ყურსა შიგან იყოს იგი არს რომელ ტევანასა წყალი ერბოდათა შეაბგოს და ჩაიწითოს, და ორისა დრამისა წონი აფიონი ვარდისა ზეთითა გააძნოს და ნელი ჩაიწითოს, და საქამადსა ცოტასა ქამდეს, და ზროხისა ხორცსა და კალნაბასა და ოსპსა, რომელსა ჰქვიან არაბულად აღსი და სპარსულად ნარსაქი, ერიდოს, და ესე შაფი სქელთა ქართა ერგების და სიყრუესა, ვითარება მისი: შამში პანტალი დრამისა წონი, ბარუჯი პურისა ორისა დანგისა წონი, ხაზლისა გული და ზარავანი და აფსანთინისა აფზარა და ზღვისა ყუსტი თეთოასგან დრამისა წონი, ფარფიონი დანგი, ყველა და ნაყილი ზროხისა ნაედლითა შეეზილოს, და ოსპისა ოდენი ორსა სამსა ცვარსა ზეთსა მწარისა ნუშისასა გაგალოს და ჩაიწითოს.

ჰუნაძნ იტყვის: რომელ პიტნა და დრამინა და მარზანგოში წყლითა შეაბგოს და მაშინ ყური მისსა ბუხარსა მიუჰყარს. და ხაზლისა გული და ფარფიონი იასამინისა ზეთითა გაგალოს და ჩაიწითოს, კარგი არს.

ისაკ იტყვის: ყურისა ტკივილი რა სქელისა ქარისაგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ერთფერად არ დაიდგენს ამის წამლისა ბუხარი და ორთქლი და ერგების. ვითარება მისი, აქლილამლიქი და ბაბუნა, და ღარისა ფურცელი და პიტნა, და მარზანგოში და ქონდარი ყველა ერთგან აღუღონ, და ყური მათსა ორთქლსა მიუჰყარს რომელ შეუხდეს, და ყურსა შიგნით დაიდგენს, მაშინ ბოლოკისა ნელი ზეთი შიგან ჩაიწითოს, და თუ შრინჯასპი და მარზანგოში და სოსნის ზეთი შეაბგოს ცოტადას ხაზლისა გულითა და ჩაიწითოს. და თუ ხახვი ზეთის ხილისა ზეთითა აღუღოს და ჩაიწითოს, ერგების.

მ. ჟარინსა სიმძიმე რომელ სიმხურვალისგან იყოს. ვითარება მისი რა სიმხურვალისგან იყოს. ბაყარატი იტყვის: მით არს, რომელ ზაფრა და თავსა გახდომილიყოს და ყურიმალთა შეყრილი და მორვენილი, და იქნების რომელ ფიცხელისა სისხლისგანცა იყოს.

ნიშანი მისი რა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმშლიისა ჟამსა შეიძრას და სიმძიდრეს დასწყნარდეს, და ყურიმალთა დია ხურვიდეს. და თუ სისხლისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ყურიმალთა წითლად იყოს და ძარულნი ადგომილ იყვნენ.

კურნებამ მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. ბაყრატი იტყვი რააცა დედის შობილდან იყოს მას არა ეკურნების, და რააცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაუღობოს ტყემლისა შარაბითა, და თუ მუცელი ლბილად იყოს ვაშლისა და ბროწეულისა შარაბი სუას. და ტუტეაშა შარაბი და ვარდის წყალი, და ქათუნი და სანდალი ტვინისა გასაძლიერებლად თავსა შემოსდვას. და სიმხურვალეთა და თაფლიანთა ერიდებოდეს და მკავეთა ჭამდეს და უზმაჲმან სიქანგუბინითა ღარღარაჲ ქნას.

როფის იტყვის. თუ ზაფრისგან იყოს ყვითლისა ჰალიდასა მათუბითა მუცელი დაიღობოს, ანუ ჰინდოურისა თამრისა წყლითა და თავსა გრილითა ასფარამითა ნუტელი უყოს. და აბანოასა იხმარებდეს, და ბროწეული მრთელი ქერქითა და გულითა დანაყოს და წყალი მისი ყურთა ჩაიწოთს. და გრილთა და ნედლთა იხმარებდეს, და რააცა ზაფრიანი იყოს მისგან ერიდებოდეს.

ისაკ იტყვის: რააცა ზაფრისგან იყოს კურნებამ მისი იგი არს, რომელ იარაასა აბი ჭამოს ანუ ყოყიასა ჰაბი, და წამალი რომელ ზაფრაჲსა თავისგან ჩამოიღებდეს იხმაროს. და გრილთა და ნედლთა საჭამადთა ჭამდეს, და ზაფრიანსა ერიდოს. და კურნებამ მისი რააცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ყიფალი ვახინსანს ანუ ჭიქაჲ მოჰკიდლოს, და მკავეთა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი სუას და ცოტაჲ ვარდისა ზეთი ძმარსა გაჰკრიოს და ყურსა ჩაიწოთს. და თუ ესე მანკი თავქედისგან ქნილ იყოს, ისა ზეთი და ასფარამთა წყალი იხმაროს, და ბატქისა ტვინი შაქრითა ჭამოს. და თუ თავის ტკივილსა უკანითა გამოჩენილ იყოს, ბოლოჲ ვარდის ზეთსა გაჰკრიოს და ყურსა ჩაიწოთს, და დიაცსა ერიდოს და ძნელსა და საჰიროასა საჭმესა ნუ იქს, რომელ გამრთელდეს.

მ. შურისა სიმძიმე რაა სიზრღისგან იყოს. იოჰანა იტყვის: გრილისა გასარევისგან იქნების, რომელ უნდლი იყოს და ყვრილთა შეყრილ იყოს, ანუ თხამლისგან იქნების რომელ ყურისა ძირსა გამაგრებულ იყოს, ანუ სქელთა ბუხართაგან.

ნიშანი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ყვრილთა ცივად იყოს და მძიმედ და სიმძირისა ექმასა და სიმშობისა დასწყნარდებოდეს. და ნიშანი მისი რომელ ბუხარისგან იყოს იგი არს, რომელ ერთფერად არ იყოს ზოგჯერ სჯობდეს ზოგჯერ უვარე იყოს.

კურნებამ მისი რომელ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანკი რაა სიგრილისგან იყოს და ძველი იყოს კურნებამ მისი იგი არს, რომელ ბეგრუკი წმილად გაგალოს და ძმრითა და თაფლითა აღუღოს და მრავალჯერ ჩაიწოთს. და თუ ლელი და სანძელი ერთგან დანაყოს და შაფად ქნას და ყურსა შესდვას კარგა არს. მაშა თუ ამით რომელ გვითქვამს არ ვახინსანს ყოყიასა ანუ იარაასა ჰაბი ჭამოს, რომელ მანკისა დედაჲ თავისგან ჩამოიღოს. და თუ იარაჲ ფეყირაჲთა ღარღარაჲ ქნას კარგი არს. და თუ ხაზლისა გული ცერეკოასა ზეთითა გაადნოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს. და თუ ტეგანაჲსა წყალი და თაფლი და თხისა ნაველი და ქალბანაჲ ერთგან გაჰკრიოს და ყურსა ჩაიწოთს, კარგი არს.

ჰუნაჲნ იტყვის: რაა გასარეველი ბალნამური იყოს, რომელ ყურთა შეხდომილ იყოს კურნებამ მისი ძნელი არს, მაგრა ხამს რომელ როფისისაჲ იარაჲთა მუცელი დაიღობოს და მიწყით სიქანგუბინითა ღარღარაჲსა იქოდეს, და იასამინისა ზეთი და ხაზლისა გული ტეგანაჲსა წყალსა გაჰკრიოს და ყურსა ჩაიწოთს კარგი არს და უზმაჲ აბანოს მივიღოდეს და საჭამადსა ცოტასა ჭამდეს და გრილთა საჭამადთა ერიდებოდეს.

ჯალინოს იტყვის: რაა მანკი ძნელად იყოს შავი ხარბაყი თხილისა ოდენი თაფლითა გაგალოს და ყურსა შემოსდვას, და მიჰშვას რომელ იგი ხილტი შეჰკამოს რომელ სმენასა აცილობს, და ყური გაუწვიდოს. და თუ სქელთა ბუხართაგან იყოს კურნებამ იგი არს რომელ ბეგრუკი ძმრითა გაგალოს და ყურსა ჩაიწოთს, და ხანსა ერთსა მიუშვას და მაშინ გამოყაროს რომელ შეკრულთაჲ ვახინსანს და სმენასა გზაჲ უყოს.

ოთ. ცხვირთა წყლული და გაბერილობა მისი¹⁾

ვითარება ცხვირთა წყლულისა, არხიჯანის იტყვის: ვითა ხმელი სიწყლულე ცხვირთა მით იქნების, რომელ გასარეველი სქელი დაიწვის. და ნედლი წყლული დამპლისა სინედლისაგან იქნების, ანუ სიმსივნისა და გაბერილობისაგან.

ნიშანი ცხვირთა წყლულისა. ხმელად წყლულისა ნიშანი იგი არს, რომელ ქავისა ჟამსა წჭრილი მღიერი ჩამოვიდოდეს და ნედლისა წყლულისა ნიშანი იგი არს, რომელ მანკისა ადგილი მიწყით ნედლი იყოს, და რაჲ იფხანოს ეწყოდეს.

კურნება ცხვირთა წყლულისა. არხიჯანის იტყვის: კურნება ხმელისა წყლულისა იგი არს, რომელ უბესა მიწყით იისა ზეთითა ცხებითა არ [ბილბედეს] ²⁾. 10 თუ არ იჯობინოს თებრი მალჰამა შემოსდვას, და თუ დაძინებისა ჟამსა მამრულანითა, ბატის ცმელითა ზელდეს და იცხებდეს უბესა, დილას ადრე თბილითა წყლითა იბანდეს. და თუ ძველი წყლული ცხვირისა ძნელი იყოს ყოყაიასა ჰაბი ქამოს, რომელ თავი და ტენი მანკისა დედისგან გაწმდეს, და მაშინ ფიცხელი წამალი ანუ ქანგარისა მალჰამა დასდვას.

დეჯჯანის იტყვის: კურნება ხმელისა წყლულისა იგი არს, რომელ თეთრი ცვილი ორისა დრამისა წონი, და ზროხისა წვევისა ტენი დრამისა წონი, იისა ზეთსა გაჰრიოს და ცოტად ქითირად და ცოტად ბაზრაცატუნად გაჰრიოს, და მალჰამად შექნას და პატრუქსა ცხის და ცხვირსა შემოსდვას, ერგების დია.

ისაკ იტყვის: კურნება ხმელისა წყლულისა იგი არს, რომელ ყიფლი გაიხსნას ანუ კისერსა ქიქად მოჰკიდოს და მანკისა ადგილსა ვარდისა ზეთითა ანუ ტირიფისა 20 ზეთითა ალბობდნენ, და ესე მალჰამად დია ერგების ვითარება მისი: თეთრი ცვილი ვარდისა ზეთითა გააღონს და სვეტი ტყუისა და მურდასანგი დანაყილი და გაცილი შურთოს, და ცეცხლსა შემოსდვას, და მუნამდე გაგალოს რომელ გასქედდეს, და მიწყით ცხვირსა შემოსდვას, და კისერსა ქიქად მოჰკიდეს და თუ მანკი ძნელი იყოს იარაგსა ჰაბი ქამოს, რომელ მანკი დააკლდეს, და ესე წამალი იხმაროს რომელ ვთქვით, და თუ სვეტი და მურდასანგი ვარდის ზეთითა შეზილოს, და პატრუქსა შესცხოს და ცხვირსა შემოსდვას, და მაშინ ცხვირი ძრითა დაიბანოს.

ცხვირთა გაბერილობისა ვითარება. მადაინი იტყვის: გაბერილობა ცხვირსა რაჲ გამოჩნდეს უფროდის სისხლისა მორევენისაგან იქნების, და სისქითა და სიმზურვალითა მისითა იქნების, და ეგების რომელ გრლისა გასარეველისაგან იქნების, და ესე იშვითა 30 ოღესმე იქნების.

ნიშანი ცხვირისა გაბერილობისა. იგი არს, რომელ წითელი სიმსიენე იყოს ცხვირთა შიგან და რაჲ ხელი შემოსდვან მზურვალი იყოს, და დია სტიკიოდეს. და ნიშანი მისი რომელ სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ არ დია სტიკიოდეს.

კურნება ცხვირთა გაბერილობისა. მადაინი იტყვის: ცხვირთა გაბერილობასა არაბულად ბათორი ჰქვიან. კურნება მისი იგი არს, რომელ სუდი სურნელითა ღვინითა შეაგბოს და პატრუკი მავით დაასოვლოს და ცხვირსა შემოსდვას. და თუ მარილი ძმარსა შიგან გაგალოს, და პატრუკი მავით დაასოვლოს და ცხვირთა შესდვას კარგი არს.

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათავლავი სწერია „ა“ და შემდეგ გვერდის ქვემო აწიხე „ბ“.

²⁾ აქ სიტყვა არ ბოლავდება, ცარიელი ადგილია დატოვებული.

ჯალინოს იტყვის: რა გებერილობაა სისხლისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას ანუ ჰქია მოჰვიდოს. და ცოტა ვარდის ზეთი მეშაბარისა წყალსა გაპრიოს და ცხვირთა იწითოს, ანუ ნილოფარისა ზეთი ვარდის წყალსა გაპრიოს და ჩაიწითოს, ერგებინს. და თუ სანდლი ვარდის წყლითა გავალოს და ცხვირთა იწითოს კარგი არს. და ტყემლისა წყალსა იისა შარაბითა იხმარებდეს. ანუ ბროწეულისა წყალი ნილოფარისა შარაბითა, და საქამადან ზირაბაჯსა ჰამდეს ანუ ურწყოსა ბროწეულისა წყენსა.

მესია იტყვის: კურნება გებერილობისაა რაა სიმხურვალით იყოს იგი არს, რომელ სანდლი და მამითასა შადი, და მაქური ჰუტუტი ვარდის წყლითა და კატკატოასა წყლითა გავალონ და შებლსა და ცხვირსა შესცხონ. და საქამადსა ქრთილისა ხალსა შექრითა ჰამდეს, და ვაშლსა და ბროწეულსა და ტყემალსა. და თუ სიგრილისგან იყოს. ჯალინოსისა იარაფთა მუცელი დაიღბოს, და ყუსტისა ზეთი და მწარისა ნუშისა ზეთი ჩაიწითოს, და მხურვალთა ტიმადთა შემოსდებდეს რომელ გებერილობაა გაადნოს. და მყავეთა ერიდოს, და კალიასა ჰამდეს მხურვალთა სანელებლითა შექნილსა. და აბანოსა ღია მივიდოდეს და თბილსა წყალსა შებლსა იხმარდეს. და იასამინისა ზეთი ცხვირსა ჩაიწითოს, და მძიმეთა და უღნობთა საქამადთა ერიდებოდეს ღია ერგებინს.

3. ან უნოსება ცხვირთა სიმხურვალითა რაა იყოს. ვითარება მისი რაა სიმხურვალით იყოს, ბაყრატი იტყვის: ესე მანკი მაშაშისა ძჭალისა შეკრულობისაგან იქნების და იგი შებლსა ქვეშეთ არს, და ვითარება მისი სქელისა სისხლისაგან რომელ მანდა შეყრილ იყოს და ანუ ხორცისაგან რომელ ცხვირსა შიგან გაზრდილ იყოს.

20. ნიშანი მისი რაა სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ არს იყონსებდეს და მიწყით შებლი უხურვიდეს, და რაა გრილი შემოსდვან ელხინოს, და შებლი წითლად ედვას.

კურნება რაა სიმხურვალით იყოს. ბაყრატი იტყვის: იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს პიტნასა და იისა შარაბითა, და ხავარტისა თესლი და ხაშხაშისა ქერქი ყველა წყლითა შეაგზოლოს და თავსა შემოჰკრას. და თუ ქვა ცეცხლითა ახურვოს და ძმარსა შიგან ჩაადოს და პირი მისსა ორთქლსა მიუპურას შეკრულობასა გახსნის და მხურვალთა ერიდოს და გრილთა და ნედლთა მიელტვოდეს. და ავიროასა წყალი ცხვირთა ჩაიწითოს და ძმრითა დარღარაა ქნას. და ქერუშითა და ხაზდის¹⁾ გულითა ცხვირთა დააცემიოს, და ძმარი აღდლოს და შუშუტი ძმარსა შიგან ერთი პირი ჩაყოს და მეორე თავი ცხვირთა, რომელ ორთქლი შეუხდეს და შეკრულობა გახსნას.

აბუჯარი იტყვის: თუ ხორცმეტისგან იყოს რომელ ცხვირთა შიგან გაზრდილ იყოს თუ მაგარი იყოს, კურნება მისი ვითა კირჩხიბისა კურნება არს, მით რომელ ცეცხა კირჩხიბითაგან არს ერთი ფერი. და თუ ხორცი მხურვალთა იყოს ყოფალი გაიხსნას ანუ ჰქია მოჰვიდეს, და იარაასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და პატრუჯი და ფანგარისა მალჰამა შემოსდვას რომელ იგი ხორცი მეთი შექამოს. და თუ სპილენძისა თობალი და თეთრი არჯასპი და გორახი თეთროასაგან სამისა დრამისა წონი, წითელი ამარტა ვითამეკა ზარინიბი დრაჰნიასა წონი, შავი ხარბაყი დრამისა წონი, ყველა დანაყილი ღვინითა შეზილოს და ტილოსა მწუარისაგან პატრუჯი შეგრიბოს და ამა წამლისა თანა შესცხოს, და ცხვირთა შემოსდვას და იცხოს. და თუ შვი და თეთრი არჯასპი თეთროასაგან დრამისა წონი, იამანური შაბი და გუნდაა, და სპილენძისა თობალი და მრგვალი ზარაგანი თეთროასაგან დრამისა წონი და ნახევარი, თეთრი საქმელი ნახევარისა დრამისა წონი, ძმარი ხუთი უკიაა, ყველა ერთგან გაპრიოს და რაა თაფლივითა შეიქნას მაშინ პატრუჯსა ზედა სცხოს და ცხვირსა შემოსდვას, ერგებინს ღმრთისა შეწყევითა.

1) ან სიტყვას ნიშანი უზის და სტრიქონ ზემოდან დგდნის ხელით აწერია „თახვის ყურბია“.

არ ყნოსებდა რა სიგრილისგან იყოს. ვითარება მისი. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე ნაწი რაჲცა დედის შობითან იყოს არ იკურნების. და ვითარება მისი რა სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ სქელი ბუხარი გულსუნნი რომელ შუბლისა ძარღვსა შიგან არს მას შეჰყარავს.

ნიშანი რა სიგრილისგან იყოს, იგი არს რომელ ცხვირი ხმელად იყოს და ცხვირთა უბნობდეს, და რა სნეული იყოს მანკი გაუძნელდებოდეს. და თუ ცოტასა უბნობდეს მანკი უმცროსი იყოს, და ეგების რომელ ტვინისაგან ქნილ იყოს.

კურნება მისი რა სიგრილისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის. იგი არს, რომელ ზანჯაბილისა გვარიშნსა და გვილანგვიბინსა თეთრითა საკმელითა ჰამდეს, რომელ გრილი ვასარეველი თავისა და ტვინისაგან გაწმიდოს. და სინედლე გაიხსნას, და პირი ღვინისა ორთქლსა მიუპყრას და სიქანგუბინითა და სპანძელისა თესლითა ღარღარად ქნას. და პიტნა და მარზანგოში და ქონდარი უსუნოს ერგებოს. და თუ ესე ასეარამი ყველა წყლითა შევადგოს და თავსა შემოჰყრას კარგი არს. და თუ მანკი ძნელად იყოს ყოყიასა ჰაბი ჰამოს, რომელ თავი გაწმიდოს მანკისა დედისგან. და საჰამადსა მუხუდის წვენსა ჰამდეს.

მასარჯომა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ სონიჯი და მუშკი, და ფარფონი და ქერუშტი, და აყირყირჰა რომელ არს ტარხუნისა ძირი, დანაყილი ყველა ერთგან ცხვირთა შემოჰპეროს, და ფეყირასა იარაჲთა და თაფლისა წყლითა ღარღარასა იჰმოდეს, დია ერგების, და თუ მანკი ძლიერად იყოს ორი მუთყალი იარაჲ ფეყირა ჰამოს და უკანის სიქანგუბინსა იხმარებდეს ერგების და მარზანგოშისა წყალი ცხვირთა ჩიწითოს და დანაყილი სონიჯი აქლემისა ფსელსა გაჰრიოს და ცხვირთა ჩაუწოთს, შეკურლობასა გახსნის. და თუ სქელთა ბუხართაგან ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი: არს, რომელ რა ცხვირი მოიხოცოს სული მისგან ძლიერი გამოვიდოდეს, და მიწყით ერთი ხერელი ცხვირისა დაყოფილ იყოს.

კურნება მისი. იგი არს რომელ ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაიღობს და პირი შემგბრისა ბაბუნჯისა წყალსა მიუპყრას, და ღრამინა აქლილაშალიქი და მარზანგოში და რაჲცა ამით ჰგვანდეს მიუპყრას რომელ ჰავი და მავნი ბუხარი გააქაროს და ქერუშტითა ცხვირი დააცემოს რომელ ერგოს.

33. ცხვირთა სიმყრალე და ნასორი შიგან რომელ იყოს. ვითარება ცხვირთა სიმყრალისა. ფოლოს იტყვის: ამის მანკისა ვითარება იგი არს, რომელ ძქალები რომელთა ჰქვიან მაშაში აყროლებულ იყოს, ანუ მყარლისა გასარეველისაგან იქნების, და ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, და ესე ხილტნი ტვინსა შიგან არიან და მუნით გამოიხსნებიან.

ნიშანი ცხვირთა სიმყრალისა რაჲცა მაშაშისა ძქალისგან იქნების. იგი არს, რომელ მიწყით ცხვირი ჰყრდეს და უფრო და უმცროს არ იქნებოდეს და ნიშანი მისი რაჲცა გასარეველისაგან და სინედლისა ფიცხელისაგან იყო იგი არს, რომელ უფრო და უმცროსა იყოს.

კურნება ცხვირთა სიმყრალისა. ფოლოს იტყვის: იგი არს, რომელ ფაჩარი და ძმარი და ყარანფული თვითოსაგან უკია ერთი ყველა სურნელსა ღვინისა შიგან შეაბგოლოს და ცხვირთა შემოვლოს, და თუ პატრუქი ამით დაასოვლოს და ცხვირთა შემოსდეს ერგების. და თუ პატრუქი თაფლითა დასუაროს და ცოტასა ხანსა ცხვირთა შიგან მიუშვას და მაშინ ცხვირთა დააცემოს, და ცხვირი მოიხოცოს და გაჰპეროს, იგი ხმელი წყლული ცხვირთაგან ჩამოვარდების და მაშინ თეთრითა მალჰამითა ჰკურნოს, რომელ გამრთელდეს.

იოჰანა იტყვის: ცხვირისა სიმყრალე დამჰლისა სინედლისგან იქნების რომელ ცხვირთა ჩამოვიდეს და ცხვირი ამყაროს კურნება მისი იგი არს, რომელ სიქანგუბინითა

ლარდარაჲ ქნას მეტად რაჲ სიქანუზბინი სურნელითა სანელგბლითა შექნილ იყოს, ვითა ფანარი და ნყარაფუელი, და სუდი და სიქი და მსგავსი ამათი, და თუ პიტნაჲ ძმრითა შეაგზოს და მაგით ლარდარაჲ ქნას ერგების.

მასაჲს ძე იტყვის: რომელ საბრი და იარაჲსა ჰაბი ქამოს და მაშინ სიქანუზბინი თესლითა შექნილი, და იარაჲ ფეყირათა ლარდარაჲ ქნას. და მური პიტნისა წყალსა შიგან გააღნოს და ცხირთა ჩაიწოთ. და თუ ჰამამაჲ და ხმელი ვარდი თვითთა ოდენი დანაყილი და გაცრილი ბანისა ზეთითა შეზილოს, და დაძინებისა ეამსა ცხვირსა შესცხოს და მაშინ აქლემისა ფსელი ცხვირთა ჩაიწოთ რომელ სიმყარულ გარდაიღოს. და თუ ფაჩარი და ყარანფული და პიტნაჲ დანაყილი, შემგზარსა ლენოსა გაპრიოს და ცხვირთა შეუშვას კარგი არს. და თუ დანგი ერთი გავლილი პიტნაჲ ცხვირთა შეპბეროს ერგების. და თუ პიტნაჲსა წყალი ჩაიწოთ ერგების. და თუ სუდი და მური დანაყილი ცხვირთა შეპბეროს ერგების ღია.

შითარებაჲ ბჰჰსირიხსა ღბ ნასორიხსა ცხვირთა შიგან იძნებიხს. აბუჯარაჲ იტყვის: ნასორი ცხვირისა ვაცვეთილისა ხორციესკან იქნების, რომელ გაიზარდოს, და სულთა კუთთად არ მიუშვებდეს კაცსა, და ბევსირი სქელისა მანკისა გასარეველისაგან იქნების, რომელ მუნ მორევილ იყოს.

ნიშანი ნასორისა და ბავასირისა რომელ ცხვირთა შიგან იყოს. ნასორისა ნიშანი იგი არს, რომელ სული ძლივ გამოეტეოდეს, და იქნების რომელ ცხვირი მსხვილი იყოს. და ბევასირისა ნიშანი იგი არს, რომელ სუსთი ხორცი შიგან მოზრდილი. 20 ყოს, და ცხვირი წითელი და მსხვილი იყოს.

კურნებაჲ ნასორისა და ბევასირისა: აბუჯარაჲ იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ პატრუჯი ეანგარისა მალამითა დასვაროს და ცხვირთა შემოსდვას, რომელ იგი დამალვი ხორცი შეჭამოს, და მაშინ თეთრითა მალამითა ჰკურნოს. და თუ მწვანე ოშნანი დანაყოს და მისითა წყლითა პატრუჯი დასვაროს და ცხვირთა შემოსდვას კარგი არს. და თუ ორისა ღრამისა წონი არჯასპი და ნახევარ ღრამისა წონი ეანგარაჲ ორივე მწვარისა ოშნანისა წყლითა კარგად გაგალოს და პატრუქსა შესცხოს და ცხვირისა შემოსდვას კარგი არს.

მესია იტყვის: ბევასირისა კურნებაჲ რომელ ცხვირსა შიგან იყოს იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას, ანუ ყელსა ჰიქაჲ მოკიდოს და მუცელი დაიღბოს იარაჲ ფეყირათა, რომელ მანკისა დედაჲ დააკლდეს. და ეანგარისა მალამაჲ პატრუქსა სცხოს და ცხვირთა შემოსდვას რომელ ხორც მეტი შეჭამოს. მაშა თუ ამით რომელ გვითქვავს არ გამრთელდეს, იგუ ხორც მეტი ასაჲთა მოჰკვეთოს, და ასაჲ სადასტაქროჲსა ჰურჰელსა ჰქვიან, და მაშინ ლენოჲ ჩაასხას და თეთრითა მალამითა ჰკურნოს.

მასაჲს ძე იტყვის: კურნებაჲ ცხვირისა ბავასირისა იგი არს, რომელ სპილენძისა თობალი შემგზართა ლენითა ვაგალონ და ცხვირსა შესცხონ, რომელ მანკი დაამცროს და გაწმადოს და თუ იგი ხორცი, რომელ ცხვირთა შიგან იყოს მაგარი იყოს, მას სარატანი ჰქვიან ვითამცა კირჩხიბი.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ პირამდინ და ნიკაფამდინ ჩამოვიდოდეს და ცხვირი მაგარი და ხმელი იყოს. ამას მანკსა მოღარით უნდა კურნებაჲ, რომელ ჰავი და ღალატი არა იქნას, მით რომელ იგი ღია საფათერაკოჲ არს. და რაჲ მანკი ძნელი იყოს კურნებაჲ არ იგების.

ჰ. ცხვირთაგან სისხლისა ღენაჲ რომელ არაბულად რუჰუჲ ჰჰჰინაჲ. ვითარებაჲ მისი რაჲ სისხლისა სიფიცხისაგან იყოს.

მუჰამედ ზაქარიჲს ძე იტყვის: სისხლისა ღენაჲ ცხვირთაგან სამფერად არს ერთი ბურანისაგან, მეორე სისხლისა სიფიცხისაგან, მესამე სისხლისა სიმრავლისაგან და სიფიცხისაგანცა და ზაფრისა მორევისაგანცა არს რომელ გაახურავს.

ნიშანი რაა სისხლისა სიფიცხისგან იყოს. რააცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლისა დენამ ფიცხელთა ცხროთა უკანით იყოს, და სხვათა სნებათაგან რომელ სისხლისგან იყოს. ნიშანი მისი რააცა სისხლისა სიფიცხისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლი ცოტაა ჩამოვიდოდეს, და ესე კარგი ნიშანი არს.

კურნება მისი რაა სისხლისა სიფიცხისგან იყოს. მუჭამედ ზაქარიასძე იტყვის: რააცა სისხლისა სიფიცხისგან იყოს იგი არს, რომელ დია ცევსა წყალსა სმიდეს და მაწონსა თოვლითა ჰამდეს, და ქაფური ბადარაქვისა წყლითა გაგალოს და ცხვირთა ჩაიწოთს, ანუ გუნდა და შტვერი წისქვილისა, და თეთრი საკმეველი და საბერი, და ხონისიაოშანი და თეთრი არჯასპი, ამთა ყოველთაგან რააცა იყოს გაგალოს და ცხვირთა შეჰპეროს. და თუ პატრუკი კვერცხისა თეთრითა დაასოვლოს და ამით წამალთაგან შემოაყაროს და ცხვირთა შესდვას კარგი არს. და ქრთილისა წყალი სქვას და ბაზრაცატუნისა ლუბი, და ათისა დრამისა წონი ნეჯლისა ქინძისა წყალი სუას ერგების. და ცივსა წყალსა ჩაჯდებოდეს. და ესე მანკი უფროსი წითლისაგან წაეკიდების და ესე თადბირი ერგების.

იოქანამ იტყვის: თოვლისა წყალი და ქაფური, და მწარისა კიტრის წყალი და ბადარაქვისა წყალი, და დამეკლული მიწა, რომელსაც ჰქვიან სპარსულად გილიმიშორ და არაბულად ტინიშუმ, და ასაარაასა წყალი თარგმანი მისი მეცხოვრისა ჭეგრთხი, და სომხური მიწა ცხვირთა ჩაიწოთს ¹⁾. და ესე კურნება მაშინ უნდა რომელ სნეული დაბნედილი იყოს და ჰქუევას არ იყოს, და რაა სნეულსა ჰქუევანი ჰქონდენ ესე კურნება არ უნდა. და თუ ესე მანკი ძარღვთა ვახსნისგან იყოს კურნება ცუდია მისთვის ²⁾. და თუ ტილოსა მწერი მელნითა და დანაყილითა არჯასპითა, და გუნდითა და ძმრითა, და თეთრი არჯასპი და ცოტაა ქაფური მოაყაროს. ამით ყველადა დასაშარისა და პატრუკად ქნას და ცხვირსა შემოსდვას, სისხლსა უტუაყენებს. და თუ ცოტაა წისქვილის ქვა ცეცხლითა გაახურვოს და ზედა ძმარი დაასხას და პირი მისსა ორთქლსა მიუპყრას, კარგი არს. და თუ მზორე ვირისა და მიწა დაბეკლული, და თეთრი არჯასპი გაგლილი ცოტაა ცხვირთა შეჰპეროს კარგი არს. და თუ ძმარი წყალსა ვაპრიოს და ცხვირთა ამოიზიდოს კარგი არს. და საკამადთა გრილთა ჰამდეს. და სისხლი რაა ბურანისაგან იყოს უტუყენება მისი არა ხამს, ნუ თუ საზომისგან გარდვიდეს, მაშინ მუცელსა ჰქვა მოჰკიდოს მას კერძა რომელ სისხლი სდიოდეს.

ვითარება მისი რაა სისხლისა სიმრავლისგან იყოს. მაგრა რააცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს უფროსი ლეინისა სქისგან იქნების, მაშინ ხელსა ვახნა უნდა და ჰქვაასა მოკიდება არა ხამსა რაა ესე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაა სისხლისა სიმრავლისგან იყოს. იგი არს რომელ თავის ტკვილისა უკანით გამოჩნდეს, და თავი და პირი და თვლინი წითლად იყვნენ, და სისხლი ძლიერად გამოვიდეს და თავისა და პირისა ძარღვი ადგომილ იყვნენ.

კურნება მისი რაა სისხლისა სიმრავლისგან იყოს. მუჭამედ ზაქარიასძე იტყვის: ესეთი მანკი უფროსჯერ მისგან იქნების, რომელ შარანთა ძარღვთაგან ერთი ვახსნილ იყოს ტრინსა ჰქუეშუ, და სისხლი მისგან სდიოდეს. და კურნება მისი ძნელი არს, და უფროსი იგი არს რომელ არ გამართულდების, მით რომელ ფარდატა უკანით გამოჩნდების და კურნებასა არ შეიწყნარებმ, მეტად მაშინ რაა მანკისა სათენო ძლიერად იყოს. მაგრამ კურნება იგი არს, რომელ თოვლისა წყალი და მყინვარისა წყალი ცხვირთა ჩაიწოთს ³⁾ და ესე კურნება მაშინ უნდა რომელ....

¹⁾ აქ ტექსტში ნიშანი უზის და ამაზე სწვრია „ქვემოსა ნიშანსა ქვეშე ბრძანე“.

²⁾ აქ „ქვეშე“ ნიშანი ხის.

³⁾ აქ ტექსტში ნიშანი უზის და სწვრია „უკანის ფურცელზედა სწვრია იგი ბრძანე“.

ფოლის იტყვის: რომელ თოვლისა წყალი ცხვითა ჩაუსხას და ყურნი ბანბითა გაუტნოს და მკლავნი და მუხლნი მაგრად შეუკრას, და ცივი წყალი თავსა ისხას, და გაჩი მძრითა გაადგინოს და შუბლსა უტყოს, და რაჲ სისხლი ძლიერად მოვიდოდეს წამალი ცხვითა შიგან არ, დარჩების ყიფადი გაიხსნას, და ორი სამი ჭიქა ყელსა მოჰკიდოს კისრითჲ, მას კერძსა რომელ სისხლი სდიოდეს და კარგად მოწყოვოს. და ჭიქის მოკიდებანს იგი სჯობს რომელ ბანბასა ცეცხლი მოჰკიდოს ჭიქასა შიგან და ყელსა შემოსდეს, როჲელ ცეცხლისა ბუხარმან კისერი გაუმავროს, და შემოაჰიროს და სისხლი უუჯუნოს. და მჟავე მავონი თაფლითა ჭამოს ერგების, და ცივისა წყალსა ჩაჯდეს კარგი არს, და საქამადად ოსპი და ისრინი და თუთუბა და რაჲცა სისხლსა გააგრილებდეს ერგების. და მწარისა 70 კიტრისა წყალი ძმარსა გაჰრიოს და ცხვირსა ჩაიწთოს, და სიმბურვალესა ურიდოს.

38. სურდოჲ არიმელსა ჰმზინა ზუჰამი და ნაზლაჲ. სიმბურვალით თუ იყოს. ვითარებამ მისი რაჲ სიმბურვალით იყოს.

მადანი იტყვის: სურდუჲ სიმბურვალისა მანკისაგან იქნების, რომელ თავი მბურვალედ იყოს და პირი წითლად, და ოფლი შუბლსა სდიოდეს და ნიშანი მისი რაჲცა მზისა სიცხისგან იყოს იგი არს, რომელ ცხვირი ჭაოდეს და ეწუოდეს.

კურნებამ სურდოჲსა რაჲ სიმბურვალისგან იყოს. მადანი იტყვის: რაჲცა წყალი ტენით ცხვითათ ჩამოვიდოდეს მას ზუჰმი ჰქვიან, და რაჲცა პირისაჲ ჩამოვიდოდეს და მკერდსა ჩავიდოდეს მას ნაზლაჲ ჰქვიან. მაგრა კურნებამ ზუჰემისაჲ რაჲ სიმბურვალისა მანკისგან იყოს იგი არს, რომელ მეოთხესა დღესა უკანით რაჲ 20 შემგბარი იყოს უზმაჲ აბანოს მივიდოდეს, და საქამადას ცოტასა ჰამდეს ანუ თვით იმარხოს, და დასაწყისსა ყიფადი გაიხსნას, და საქამადას მავსასა ურწყოსა ჰამდეს ასფანახითა და ჰასოჲსა, თხელი ფუშრუჲი არს. ჰასოჲ ნუშის გულითა, და ხაშხაშისა შარაბი და ჯულაბი სჰას, და ხაშხაშის ჭერქი და იაჲ, და ხავარტი და ნელი ქინძი, და ნილოფარისა ფურცელი და აყროჲ, და მელთა ყურძენი და შანბალიდი წყლითა ადუღოს და პირი მისსა ორთქლსა მიუჰყრას და ქრთილისა წყლითა და იისა. შარაბი სუასა და ბაკილასა წყენი უტხიბოჲ ჰამოს. და გვერდსა ზედა ნუ დაწვების რომელ მანკი ნაზლად არ შეექნას

იოჰანა იტყვის: დასაწყისსა ყიფადი გაიხსნას, და საქამადას ცოტაჲსა ჰამდეს და სამსა დღესა ვარდის წყლითა დარღარაჲ ქნას, და თავსა შიშველსა ნუ მიუშვებს, და ცხობიანსა და თაფლიანსა ერიდებოდეს, და თუ რაჲცა ცხვითაგან ჩამოვიდოდეს ვითა წყალი იყოს, ჰეჲაჲ გაახურეოს ცეცხლითა და ზედა ძმარი დაახხას და პირი მისსა ორთქლსა მიუჰყრას. და მავსინ აბანოს მივიდეს. და რაჲცა მზისა სიცხისგან იყოს იგი არს, რომელ იის ზეთი ცხვითა ჩაიწთოს და ვარდის წყალსა და ქაფურსა უსუნებდეს. და ანაკეთი მძრითა დაასოვლოს და დაწვას და ცხვითა ქვეშე. [იკმლოს].

ბაყრატ იტყვის: რაჲცა სიმბურვალისგან იყოს ხმელად ხველაჲ იქნების. კრთილისა წყალი სეას იისა შარაბითა და ბაკილასა წყლითა და ნუშისა ზეთითა. და რაჲცა ცხროათა იყოს ხელი გაიხსნას და კრთილისა წყალსა იისა შარაბითა, ნუშისა ზეთითა სვას, და რაჲცა უტხოოდ იყოს ზოფაჲსა მატბუხი იხმაროს, რომელ ადრე ელხინოს.

ვათარებამ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. თებით ყურაჲსჲ იტყვის: ესე მანკი ჰავისა სიგრილისა და სინედლისგან იქნების, რომელ ტენისა შიგან შეყ- 40 რილ იყოს. ბუნებამ მას სინედლესა თავით ჰქვე ჩამოჰზავენის და ცივისა ჰარისგანცა იქნების რომელ ტენი გააგრილოს.

ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ შუბლი მშვილდის საბლისეებრ გასხირპული იყოს, და რაჲცა ცხვითაგან ჩამოვიდოდეს თეთრი და სქელი იყოს. და რაჲ შუბლსა ხელი შემოსდნან დია ცხელი იყოს, და უფროჲსა ესე მანკი ზამთრის შეიქნების.

კურნებაა რაა სიგრილისგან იყოს. თემბით ყურაასქე იტყვის: გრილისა ზოქმისა კურნებაა იგი არს; რომელ ბაბუნა და აქლილალაოქი და ცერცოა და მარზანგოში წყლითა შებავოს და პირი მისა ორთქლსა მიუპყრას, და მოხალულსა სინიჯსა უსუნებდეს, და ბაბუნაასა ზეთი და მარზანგოშისა ზეთი ცხვირთა შემოვლოს, და ალვისა და ყუსტისა და თეთრისა საკმელისგან მიწყით ქამდეს, და მხურვალთა ასფარამთა და ჰამოთა უსუნებდეს, და მძიმეთა და უღნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და მუხუდის წვესა და ნატიფთა საქამადთა ქამდეს. და ზუქში სქელი უფროასი ტვინისა სიგრილისაგან იქნების. ეგრე ხაშს, რომელ დანაყილსა სონიჯსა უსუნებდეს და ყუსტი და ანისონი და თაფლის წყალი იხმაროს, და ზაფხუას მატუხი მას დია ერგების. და თუ სელი ამოხალული თაფლსა გაპრიოს და პილპილი ჩაუთოს და ქამოს კარგი არს, და თუ სამი ნაწილი კალნაბისა წყალი ერთსა ნაწილსა თაფლსა თანა შებავოს და ქამოს კარგი არს. და სინედლსა რომელ მკერდას იყოს ყველასა გაახმობს, და ბოლოსა აბანოს იხმარებდეს. და რააცა სიცივისგან ქნილი არს, იგი არს, რომელ გამთვარი ფეტვი თავსა შემოსდევან და აბანოს მივიდეს. და ლენონსა ნუ სუამს და ცხვირთა ქვეშე ქალაღი იკმოლოს, რომელ წყალისა დენაა მოსწყვიდოს.

როფის იტყვის: ნიშანი ნაზილასი რაა სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ ხეილა სინედლითა იყოს და რააცა ხორხისგან გამოვიდოდეს ნედლი¹⁾ იყოს. ხაშს რომელ ხაშხაშისა შარაბი შემგრითა ლეინითა და გაზრდილითა იხმაროს. და რაა დღე უზმამან ორი სამი კოვზი თაფლი ქამოს და ჟამემ კოცოტასა ტფილსა წყალსა სმიდეს, და ამას ჰაბსა²⁾ პირსა შიგან დაიჭირვიდეს: ნუში და ბადიანისა თესლი, და ქათირა და ფანიდი, ყველა დანაყოს და ჰაბად ქნას და პირსა შიგან დაიჭირვოს³⁾ იხმარებდეს.

გაბერილობა და გაპობაა ბაბეთა და სიმსივნე რომან შიგან იხოს⁴⁾.

ბაბეთა გაბერილობისა და გაპობისა ვითაობაა. დევეჯანი იტყვის: გაბერილობა ბაბეთა სისხლისა და ფიტელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ ერთგან გარჩინენ და მოერიჩენენ და ბაბეთა რომელ გაბერილობაა გამოჩნდეს, და გაპობა ბაბეთა გარევისა სიმხელისაგან იქნების.

ნიშანი ბაბეთა გაგერილობისა. იგი არს რომელ ცოტა სიმსივნე წითელი ბაბეთა გამოაჩნდეს, და გაპობილობისა ნიშანი იგი არს, რომელ ბაბენი მქისედ იყენენ და ხმელსა წყულუსა ჰვეანდეს.

კურნება გაბერილობისა და გაპობილობისა ბაბეთა. იგი არს, რომელ ყოფალი გაიხსნას და სპეტისა მალჰამაა ზედა დასდვას. და თუ მურდასანგი და გუნდა. და ცვილი და ვარდისა ზეთი ყველა ვითა მალჰამაა შექნას და ზედა იცხებდეს კარგი არს. და თუ სტომაქსა შიგან გასარეველი დია იყოს უმჯობესი იგი არს, რომელ პალილასა მატუხი ქამოს რომელ ტანი გაწმდეს, და მაშინ სიქანგუბინი და კატაკოტასა თესლისა წყალი იხმაროს. და საქამადსა ისრიმისა ურწყოსა და ბროწყულსა ქამდეს ქათმითა შექნილსა. და თაფლიანითა და ეგეთითა საქამადთა, რომელ სისხლსა მოუმატებდეს ერილოს და მჟავეთა მიელტვოდეს.

ჯალინოს იტყვის: ბაბეთა გაპობაა მით იქნების, რომელ ტანსა შიგან გასარეველი სასეფლოა იყოს, იარაჟსა ჰაბითა მუცელი დაიღობოს. და მაშინ შინაურისა ქათმისა ცმელი და ბატისა ცმელი და თეთრი ცვილი ყველა მემროდანთა ქნას და ბაბეთა უცხებდეს. და საქამადსა ბატენისა და ქათმისასა ქამდეს. და იისა შარაბსა და ხაშხაშისა შარაბსა უზოჲ იხმარებდეს. და თუ იგი თხელი ფურცელი რომელი კუერცქსა შიგნით იქნების ბა-

¹⁾ ეს ორი სიტყვა „გამოვიდოდეს ნედლი“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული.

²⁾ ამ გვერდის ბოლო აწიაზე რეველთა სათვალავი სწერია „კბ“ და შემდეგ გვერდის ქვემო აბიაზე „კგ“.

³⁾ ამ თავის გასწვრივ აწიაზე ნიშანი ზინ რაც ნიშნავს რ რ ასოს „ფქ“-ს.

გეთა შემოსდვას კარგი არს, და ესე მალჰამად დია ერგების: ქათმისა ცმელი ორი უკია, გუნდა დანაყილი და ქათირაჲ, და ნიშასთავი და სპეტი თეთომასგან ორისა დრამისა წონი, ყველა დანაყილი და მალჰამად ქნილი ბაგეთა იცხებდეს, და უჟესა და გვაშის პირსა მაგით იცხებდეს. და თუ ცვილი და ვარდის ზეთი და ცმელი ბატისაჲ, და კვერცხისა თეთრი ყველა მალჰამად შექნას და ბაგეთა იცხებდეს კარგი არს. და თუ სპეტი და ქათირაჲ, და ნიშასთავი და გუნდაჲ ყველა წმიდად გავალოს, და სპეტსა მალჰამად თანა ვაპროოს, და მათოდენი ბატის ცმელი, ყველა მალჰამად შექნას და იხმარებდეს.

10 ვითარებამა ბაგეთა ბევასირისა და სიმსივნისაჲ აბუჯარიჰ იტყვის: ბაგეთა გასივებამ იგი არს, რომელ პატარა სიმსივნე წითელი ბაგესა ზედა გამოვიდეს, ანუ ფიცხელისა ბალღმისა სიმრავლისაგან იქნების, და ბევასირისა ვითარებამ სქელის სისხლისა სიმეტისაგან იქნების, რომელ შიგან შეიყაროს და მაშინ ბევასირად შეიქნას.

ნიშანი ბიგეთა გასივებისა და ბევასირისა. ბაგისა გასივებისა ნიშანი იგი არს, რომელ მჯდომისაებრ გამო რამე აჩნდეს, თუ წითელი იყოს სისხლისგან არს, და თუ თეთრი იყოს ბალღმისგან იქნების. და ბევასირისა ნიშანი იგი არს რომელ ყურძნისა მარცვლისა ოდენი რამე გამოჩნდეს და ბაგესა ამრუდებდეს.

20 კურნებამ ბაგეთა გასივებისა და ბევასირისაჲ. აბუჯარიჰ იტყვის: გასივებისა ნიშანი) რამ სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ყოფალი გაიხნას ანუ ჭიქამ მოკიდოს. და თუ ბუნებამ შეკვრით იყოს ხილთა წყლისა შემგბრისა წყალი სვას, და მკაევისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი შაქრითა და ტყემლისა შარაბითა და ტუტახასა შარაბითა სმიდეს, რომელ სისხლისა სიმზურვალე დასწყყნარდეს. და მაშინ ჰუტუტი და ვარდის წყალი შესცხოს. და რამ სიმსივნე მოიჯობინოს მუმროღანი იცხოს და ნელითა წყლითა ბანდეს. და საქამადსა ცოტახასა ჭამდეს და ხორცსა და თაფლითა ვრიდებოდეს, მუნამდინ რომელ შეიგნეს რომელ მანკისა დედა დალულთა, და მკაევეთა მიელტვოდეს და ეგეთთა საქამადთა რომელ სისხლსა გააფიცებდეს, ვრიდოს.

30 თიად ოყ იტყვის: კურნებამ ბაგეთა ბევასირისაჲ იგი არს, რომელ ყივული გაიხნას ანუ ჩარჩავი გაიხნას, თარგმანი ოთხი ძარღვი გაიხნას, და ჭიქამ მოკიდოს. და თუ მურდასანგი ვრბოთა კარგად გავალოს და შესცხოს კარგი არს. და თუ არ გამრთელდეს და უჩინარ არ იქნას, უმჯობესი იგი არს, რომელ სიმრტუთი გააპოს და ხორცმეტი მოკეტეთ. 30 თოს და მაშინ შეკეროს, რომელ ბაგე გაიშართოს. და მაშინ ზაფრანაჲ და ვარდი და ანზარეთი წმიდად გავალოს და ზედა შემოაყაროს, და მალჰამად დასდვას და შეჭკრას, და მეორესა დღესა გახსნას და მალჰამასა დასდებდეს. და საქამადსა ისრითი ურწყყისა ჭამდეს ანუ ასფანახისა ურწყყისა ნუშისა ზეთითა, და მძიმეთა და უდნობთა საქამადთა ვრიდებოდეს, და სევდისა მომბატებელთა საქამადთა ვრიდებოდეს.

30 ჭუნ აან იტყვის: პირველ ყივული გაიხნას და მაშინ ოსპი და ბრანგლისა წყალი და აქილაღმალქი, და ბაბლბაჲ ერთგან წყლითა შეაბგოს და კვერცხისა ყვითელი და შინაურისა ქათმისა ცმელი ვაპროოს, და შემოსდვას მანკისა ადვილსა მრავალჯერ.

30 ვად კამილთა ტამივილი სიმჯარვალისაგან თუ იყოს. ვითარებამ მისი რამ სიმზურვალისგან იყოს. არ ბიასიოს იტყვის: ამის მანკისა ვითარებამ სიმსივნისგან იქნების, მზურვალისა გასრევისაგან ქნილი იყოს და იგო ღრძილთა შიგან გამოჩნდების. ანუ მზურვალისა და ფიცხელისა ხილტისგან იქნების, რომელ ღრძილისა ძირსა თეთრი ძარღვი რომელსა ჰქვიან ფაჲ მუნ შეიყარნენ.

ნიშანი მისი რამ სიმზურვალისგან იყოს. იგიჲ არს რომელ რამ ცივი წყალი პირსა შიგან დაიჭიროს ანუ გრილი რამე შემოსდვან ტკივილი დაუწყყნარდეს, და თუ ხელი გარეთ მანკისა ადვილსა დასდვან ხურვიდეს დია.

1) : ჭ ეს სიტყვა შედგომით არის, უნდა იყოს შემოწმებამ.

კურნება მისი რაე სიმხურვალისგან იყოს. არბიასიოს იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ყიფთა გაიხსნას ანუ ჩარაგე გაიხსნას, და ჭიქა მოჰკიდოს და ცივი წყალი პირსა შიგან დაიჭიროს, და ქაფური და ვარდის წყალი და ძმარი ერთგან გაჰრიოს და პირსა დაიჭირვიდეს. და რაე მოიჯობინოს მასტაქე უციასა ერთსა ვარდისა ზეთსა შიგან გაადნოს და პირსა შიგან დაიჭიროს. და ცოტაე ქაფური აყირაყირაჲსა თანა გავალოს და ღრძილთა შესცხოს კარგი არს. და თუ ყურატი ერთივარდისა ზეთი აფიონსა თანა გაადნოს და ბანბაე მაგით დაასველოს და კბილთა შემოსდვას კარგი არს. მაშა თუ არ ელხინოს უმჯობესი იგი არს, რომელ ღრძილი დაშაშროს და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, და მხურვალეთა ერიდოს და მყავეთა მიელტვოდეს. და ცოტაე აფიონი

10 ვარდისა ზე მშვიგან გაადნოს და ყურთა ჩაიწეთოს, და ბანბისა თესლი იკმოლოს ანუ ბანბითა და ძმრითა ღრძილინ გამოირცხას და ეგეთი რამე იხმაროს რომელ თავსა გასწმედდეს, რომელ მანკისა დედაე ღრძილთაგან დაილიოს და ტკივილი დასწყნარდეს¹⁾. თუ სტკივოდეს ჭიქაე მოჰკიდოს ანუ ყიფთა გაიხსნას ტკივილისაე, და ძმრითა და ვარდის წყლითა ღრძილი გამოირცხოს, ანუ თუთუბაე ვარდის წყლითა დააღბოს და გამოწეროს და ცოტაე ქაფური გაურთოს და პირსა შიგან დაიჭირვიდეს, და თუ კიტრისა ფურცელი და გაზმაზეი და ძმარი ადუღოს და მაგით ღრძილთა იბანდეს კარგი არს. და თუ მანკისა ნიეთი ზაფურისგან ქნილ იყოს ყვითელი ჰალილა და საბრი ერთგან წმიდად გავალოს და თამრი ჰინდისა წყალსა გაჰრიოს, და ცოტაე შაქარი გაურთოს, და მაგით მიწყით ღრძილთა გამოირცხიდეს, კარგი არს.

20 თებით ყურაჲს ძე იტყვის: კბილი რომელ სტკივოდეს ნიშანი არს რომელ ღრძილი გასივებულ იყოს მისი. ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაე ამოიღონ არა სტკივის ღრძილი მისი.

კბილისა ტკივილი რაე სიგრილისგან იყოს. დევეჯანის იტყვის: რაე სიგრილისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ სიგრილე გასარეველი კბილისა ძირისა თეთრსა ძარღვსა თანა შეყრილ იყოს და მოეროს, და ეგების რომელ გრილი ქარცა იყოს. ნიშანი რაე სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაეცა გრილისა გასარევისაგან იყოს რომელ ნელად სტკივოდეს და გასივებულ არ იყოს, და მხურვალისა შემოსადებლისგან ელხინებოდეს. და ქარისა ნიშანი იგი არს, რომელ ტკივილი ერთსა ადგილსა არ დაზმიდეს, იარებოდეს.

30 კურნება მისი რომელ სიგრილისაგან იყოს. დევეჯანის იტყვის: იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ყოყიასა ჰაბითა და მაშინ დანაყილი პოლპილი ყატრანსა თანა გაჰრიოს და ღრძილთა შესცხოს. ანუ შაჰმი ჰანტალი ძმრითა ადუღოს და მანკისა ადგილსა ბანბითა შემოსდვას. და თუ აყირაყირაჲსა და შეტარაჲსა და ფარფინი და პოლპილი ყველაე დანაყილი ღრძილთა შესცხოს კარგი არს, და ესე წამალი რაე ზიზისა ძმრითა ადუღონ და მრავალჯერ ღრძილი მაგით გამოირცხან, ტკივილსა დააწყნარებეს და თუ არ გაჰარდეს ტკივილი, თირიყი შემოსდვას. და საჰამანთა გრილთა და მყავეთა ერიდებოდეს და ტკბილთა და თაფლიანთა მიელტვოდეს.

როფის იტყვის: ჰაბი ჰამოს ანუ ყოყიასა ჰაბი, და პიტნაე და ჭონდარი და აყირაჲსა ძმრითა ადუღოს და პირსა შიგან დაიჭიროს. და აბანოჲსა იხმარებდეს და ზანჯაბილისა გვარიშნი, და გულან გუბინი, და მასტაქე და ალვაე დანაყილი უზმამან ჰამოს, და თაფლისა წყალი რომელ მხურვალითა სანელეზბლითა შექნილ იყოს პირსა შიგან დაიჭირვიდეს. და მძიმეთა და უდნობთა საჰამანთა ერიდებოდეს, და მუხუდის წვენსა ჰამდეს და იასამინისა ზეთსა ყურსა ჩაეწეთდეს.

40 იოჰანა იტყვის: მუცელი დაიღბოს და გვაში გაიწმინდოს, და ნაძვისა ნიგუზისაგან და აბჰალისა, და ფურცელი სარვისაგან რომელ ყველაე ერთგან შეჰყაროს და ძმრითა

1) ამის გასწორე ამაზე სწერია „ჰუჰან იტყვის“.

შეაბგროს და მით ღარღარაჲსა იქმოდეს. და მთისა მავიზი ძმრითა შეაბგოს და მიწყით ჰირისა მავით გამოირცხიდეს. და თუ პილპილი და აღზარისა შექუფაჲ წყლითა შეაბგოს და მით ღარღარაჲსა იქმოდეს კარგია. და თუ ღეჰმითისა ფურცელი და ნიორისა შემადმრინთა აღუღლოს და ჰირსა შიგან დაიჭირედეს და მით იბანდეს კარგი არს.

35. **შეაბგროება კბილისა და ძვრისა და დავარდნისა.** ვითარებაჲ კბილისა შექმულობისაჲ.

იოჰანაჲ იტყვის: კბილისა შექმულობაჲ ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების რომელ შეიქმნას, ანუ სინედლისა ფიცხელისა მჰამელასგან იქნების რომელ შეიყარნეს, და რაჲ ესე იქნას ესე გამოჩნდებინ.

10 ნიშანი კბილისა შექმულობისაჲ. იგი არს, რომელ ზოგი კბილისგან შექმული იყოს და შიგან ღრუჲცა იყოს, და ფერად შავი იყოს, და სიშავის კერძადცა იყოს და იქნების რომელ ჰყროდესცა.

კურნებაჲ კბილისა შექმულობისაჲ. იოჰანაჲ იტყვის: ამისი კურნებაჲ ხმელითა წამლითა იქნების, რომელ იგი სინედლე ღრძილთაგან გამოზიდოს და გაახმოს, და სიშავე წაუღოს, უბანი და პილპილი და ზარაფანი და გომიზი წმიდად დანაყოს და შექმულობისა ადგილსა ზედა მოყაროს. და თუ ხსდისა გული და მეიაჲ და უბანი და პილპილი და აფიონი და ზანჯაბილი ყველაჲ თაფლითა შეზილოს და ზედ შემოსდვას ტყვიელსა დააწყენარებს, და მანკისა დედასა გააჭარებებს. და უკეთესი კურნებაჲ შექმულისა კბილისა იგი არს, რომელ დაღლინ ანუ ამოიღონ. და თუ დანაყლი მასთაჲჲ ძმრითა შეზილოს და შექმულსა კბილსა ზედა შემოსდვას, პატარ-პატარად შეუქმს.

20 მესიაჲ იტყვის: საბზდანაჲ დანაყოს და თაფლითა შეზილოს, და შექმულსა ზედა შემოსდვას. და თუ ზანჯაბილი და ძმარი და თაფლი ერთგან შეაბგოს, რომელ გასქელდეს და მაშინ შექმულსა კბილსა ზედა შემოსდვას და გარეთცა შესცხოს ერგებინ. და თუ სინიჯი ამოხალული ძმრითა გაგალოს და შექმულსა შესდვას კარგი არს. და თუ ყატრანი და თაფლი ერთგან გაჭიროს და მჭვარი მავით დაასოვლოს და შექმულსა შემოსდვას კარგი არს. და თუ ჩამიჩი და პილპილი ერთგან დანაყოს და შიგან შემოსდვას კარგი არს.

ფოლოს იტყვის: თუ შექმულსა შიგან ჰიაჲ იყოს, პრასისა თესლი და ლემისა თესლი რომელსა ბანგი ჰქვიან, დანაყოს, და ცვლითა შეზილოს და კბილთა ქვეშეთ: იკოლოს ჰიაჲ ჩამოსცივის ყველაჲ, და თუ ნიორი დანაყოს და შექმულსა შემოსდვას კარგი არს. და ყველასაგან უმჯობესი იგი არს, რომელ უბანი დანაყოს და ლეღვისა სძითა შეზილოს და შემოსდვას.

კბილისა ძვრისა და დავარდნისა ვითარებაჲ. მასარჯოა იტყვის: კბილისა ძვრისა უმიზეზოდ მისგან იქნების რომელ ღრძილთა სინედლე აყროდდეს, ანუ იგი თებრი ძარღვი რომელსა სპარსულად ფაჲ ჰქვიან, და კბილისა ძირსა მოკიდებული არს, იგი ფაჲ ვასუსთდეს.

ნიშანი ძვრისა და დავარდნისაჲ. რაჲცა სინედლისგან აყროლებულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ძირი უყროდეს და რაჲცა ძარღვისა სისუსთისაგან იყოს იგი არს რომელ ადვილად ჩამოიჭრეს.

კურნებაჲ კბილისა ძვრისა და დავარდნისაჲ. მასარჯოა იტყვის: 40 დაძრულსა კბილსა ესე წამლი დაამაგრებს და ღრძილთა გაუმაგრებს, ვითარებაჲ მისი: ბროწყელისა ყვავილი და სიქი და სული ერთმანერთისა ოდენი, თებრი არჯასპი თეთოსა ნახევარსა ოდენი, ყველა დანაყოს და ღრძილთა შესცხოს, და ესე მისგან უმჯობესია და ჩვენ გამოგვიცდია ღრძილსა გაამაგრებს, ვითარებაჲ მისი: ვარდი და თებრი არჯასპი და გაზმაზვი და თუთუბოჲ და ტაბაშირი თეთოსა ოდენი, ყველაჲ წმიდად გაგალოს და ღრძილთა შესცხოს. და ყოველთა დღეთა კბილითა თაფლთა ზედდეს რომელ ძირი გაუმაგრდეს და განდიერდეს.

მადანი იტყვის: კბილსა ძრუა მისასა ძარსა სსუსთაჲან იქნების, ეგრე ხაშს როჲელ ევეთი სუწონი, რომელ სინედლისა ღობილესაგან გააჲოზღეს იხმაროს ვითა ბროწელისა ყვეილი და თეთრი არჯასპი, და სიქი და აყაყაა, და გუნდაა და ვარდი, და ტაბაშირი და გაზმაზგი, და დანაყილი თუთუბაა მიწყით და ნიადაგ კბილსა ცხებდეს. და თუ თეთრი არჯასპი ძმრითა და თაფლითა შეაგებოლოს და პირსა მავით ჰბანდეს ღობილთა გამაგრებს.

თე ბით ყურაა იტყვის: რომელ თაფლი და შაქარი ტაბარზადი ერთგან გაპრიოს და ღობილთა შესცხოს, კბილთა გაუთეთრებს და ძირსა ვაჲმაგრებს. და ესე წამალი სხვაა გამოგვიცდია, ვითარებაა მისი: აბჰალი და კაპარისა ძირისა ქერქი ერთმანერთისა 10 ოდენი, ყველაა დანაყილი ღობილთა შესცხოს. მეტად მაშინ რომელ იარაა ფეყირაათა ღარღარაა ენას. და უმჯობესი ყოველთაგან იგი არს, რომელ თეთრი არჯასპი და ნიშადური და ნიშასთავი თეთოსა ოდენი, აილოს და დანაყოს და ვაცრას და ღობილთა შესცხოს.

33. სიმჰრალე და სიმჰავე და სისხლია და სისხლია და სისხლისა დენაა კბილისა ძირთაგან. ფოლის იტყვის: დაა მჰაყისა ჰამისაგან იქნების, და მჰაყისა ბალღმისგანცა იქნების, რომელ სტომაქისა თავისა შეიყაროს. და სისხლისა დენისა ვითარებაა სისხლისა მორგენისაგან იქნების ხორცთადა.

ნიშანი სიმყრალისა და სისხლისა დენისა კბილისაა. რაჲცა მჰაყისა ჰამისაგან არს ნიშანი მისი იგი არს, რომელ მიწყით ღია კბილი მყრალად და ქანგიანათ იყოს, და სისხლისა ნიშანი ცხადი არს.

20. კურნებაა კბილისა სიმყრალისა და ქანგიანობისა და სისხლისა დენისა ღობილთაგან.

ფოლის იტყვის: კურნებაა კბილთა სიმყრალისა და ქანგიანობისა იგი არს, რომელ კატკატოასა ცოხნიდეს და ნიგვზისა გულსა, ანუ თხილისა რაჲცა იყოს, ანუ ნუშისა ზეთი შესცხოს კარგი არს, და ნუში ქერქ ახილი და ცვილი ცოხნოს. და შემწურასა ყვეელსა და კერცხისა ყვითელი შემგებარი ამით თანასა როჲელსაცა ცოხნიდეს კარგი არს. და თუ ნელი ერბოა პირსა შიგან დაიჭიროს და ცვილსა ცოხნიდეს კარგი არის. და თუ ანდრანული მარილი გავალოს შესცხოს კარგი არს. და თუ მიშმისისა გული დანაყილი მარილითა და ძმრითა გავალოს და კბილთა შემოსდვას, ქანგსა და სიმყრალესა წაუღებს, და შექმულობასა ერგების.

30. ისაკ იტყვის: რაჲცა მჰაყისა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მის მანკისგან გაწმიდოს მით წამლითა, რომელ სტომაქისათვის ვახსენეთ. და მაშინ კატკატოასა და მისსა თესლსა ცოხნიდეს. ანუ კევი და ჩამჩი. და კბილი რომელ წყალი წასვლოდეს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ცივისა წყლისა და გრილთაგან სტკივოდეს.

კურნებაა მისი იგი არს. რომელ თბილი პური შემოსდვას ეგრე, რომელ თვალთაგან ცრემლი ჩამოვიდეს. და თუ არა გამოთბარი ერბოა პირსა შიგან დაიჭიროს, ანუ ბალანისა ზეთი.

როფის იტყვის: სისხლსა დენისა კურნებაა იგი არს, რომელ ვარდი წითელი ხელი და ჰალილაა, და ბროწელისა ყვეილი დანაყილი და გაკრილი, და ცოტაა წითელი და ყვითელი ზარნიხი დანაყილივე, და გაკრილი, ერთგან ყულა გაპრიოს, დანაყოს და ვაცრას და ღობილთა შესცხოს, და მაშინ მორღისა წყლითა და ვარდისა წყლითა ღობილთა 40 და პირსა გამოიბანოდეს. და მხურვალთა საქამაღთა და თაფლიანთა ერიდოს.

ვითარებაა კბილთა სიშავისა. იოჰანა იტყვის: ვითარებაა მისი ცოტაჲსა ჰამისაგან იქნების და უფროსი ბერთა წაეკიდების.

ჯალინოს იტყვის: კბილთა სიშავე ¹⁾, ტკივლი მისგანვე იქნების, რომელ კბილსა მოსკამს.

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზევიდან არის ჩაატებული.

ნიშანი კბილისა სიშავისაჲ ნიშანი იგი არს რომელტრობით კბილნი შავად იყვნენ ანუ ზოგი მისგნით, და რაჲზომცა უშავე იყოს მანკისა დედაჲ უძლიერესი და უფროჲ მორყენილი იქნებინს, და ეგებინს რომელ ჰყროდესცა.

კურნებაჲ კბილთა სიშავისაჲ. იოჰანა იტყვის: თუ გაშვეებული კბილი დასდალოს ჩამოჰვარდებინს. და თუ ლემისა თესლი რომელსა ჰქვიან ბანგი თავლითა შეზილოს და მსხვილსა ლერწმის გულსა ჩაყაროს და დაწვას. და მაშინ კბილთა შესცხოს სიშავესა წაუღლებს. და ესე სანონი კბილთა გასწმედს ვითარებაჲ მისი: ზღვისა პერული და გაზმზხვი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, და ლერწმისა ნაცარაორისა დრამისა წონი, მარილი ოთხი უკიჲჲ, ანისონი ხუთისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი 10 თავლითა შეზილოს და კბილთა შესცხოს ერგებინს. და თუ ირი ნაწილი მარილი ერთსა ნაწილსა ბავრუქსა თანა გაჰრიოს, დანაყოს და გაცრას, და თავლითა შეზილოს და ქალაღლსა შიგან წაახვიოს და დასწვას, და შესცხოს, კარგი არს.

მადანნი იტყვის: კბილისა გაშვეებაჲ დამაშალთა სინედლისაგან იქნებინს. კურნებაჲ იგი არს რომელ იარაჲსა და ყოყიაჲსა ჰაბი ჭამოს, და მაშინ ჰილპილი და სუდი და ანდრანული მარილი, და ფაჩარი და სარგისა ნიგოზი, ყველა დანაყილი კბილთა შესცხოს. და ესე წამალი მხურვალე ბუნებათათვის კარგი არს, და კბილთა გაათეთრებს ვითარებაჲ მისი: ტაბაშირი და ზღვისა პერული და მარმარილოჲსა ჭეჲჲ, რომელსა ჰქვიან სპარსულად სანგი როხამი, თვითოსაგან სამისა დრამისა წონი, მარგალიტი წვრილი შვიდისა დრამისა წონი, დრამინაჲ დამწუარი რვისა დრამისა წონი, ვარდი წითელი უკიჲჲ ერთი, ქაფური

20 დრამისა წონი, ყველა დანაყილი კბილთა მავით გასწმედდეს. და თუ ზღვისა პერული და ყასიშვი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, ძირაჲ დაალჲჲ თვითოსაგან დრამისა წონი, მარილი ანდრანული დრაჰენისა წონი, ქაფური ნახევარ დრამისა წონი, ლერწმი დამწუარი ორისა დრამისა წონი, ყველა დანაყილი და გაცრილი კბილთა ¹⁾ შესცხოს ერგებინს.

შ. ლაძილისჲ სიმსივნეჲ კაჲ სიმხურვალით იწმოს. ვითარებაჲ მისი კაჲ სიმხურვალით იყოს. არხიჯანის იტყვის: რომელ სიმსივნე ღრძილთა სისხლისა მორყენისაგან იქნებინს რომელ მუნ შეიყაროს, ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან რომელ სისხლსა გაერიოს და გაახუროს, და ღრძილი გაასიგოს.

ნიშანი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისა მორყენისაგან იყო იგი არს, რომელ სიმსივნე დია წითელი იყოს და ძარღვის ტკივილსაჲ ადგომილ იყვნენ. 30 და ნიშანი მისი რომელ ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლსა რეულ იყოს და სტკივოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. არხიჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ჩარრაგი გაიხსნას, და მუცელი დაილბოს ხილთა წყლითა და შაქრითა, და პირსა ოსპისა წყლითა შემგებრითა ირეცხიდეს, და თუთუბაჲ ვარდისა წყლითა შეაბგოს და მიწყით პირსა მავით ჰბანდეს. და მორდი და ბროწეულისა ქერქი რომელ ძმართა შემგებარ იყოს, პირსა მიწყით მავით ბიანდეს. და თაფლიანსა ნუ ჭამს, და გრილთა საჭამადთა ჭამდეს ვითა ისრიმი და ბროწეულისა მთვეჲ. და თუ ვარდი და ქაფური და სანდალი თეთრი და ოპი, უქერქოჲ და თუთუბაჲ ყოველი ერთგან გავალოს და ღრძილთა შემოსცხოს. და პირსა ძმართა და ვარდის წყლითა ჰბანდეს.

მესია იტყვის: რომელ ყიფალი გაიხსნას და ჩარრაგი და ნაკაფთა ქვეშეთ ძარღვი გახსნას და ყოლსა ჭიქაჲ მოჰკიდოს. და ახალი მორდი ძმართა დაალბოს და პირსა შიგან დაიჭიროს, რომელ სისხლი სიმსივნისგან გამოიზიდოს. და თუ ძალისა ყურძენი ძმართა და მორდის მარცვლითა შეაბგოს და პირსა დაიჭიროს, კარგი არს.

რო ფისი იტყვის: ყიფალი გაიხსნას ანუ ჭიქაჲ მოიკიდოს, და ბროწეულისა ქერქი ანუ მემპარისა წყალი, ანუ ბუტსანაფროზისა წყალი ძმართა შეაბგოს და პირსა დაიჭიროს

1) ამ სიტყვის მაგივრათ დედანში შეცდომით სწერია „ცნვირთა“.

გაბერილობასა რომელ სიმბურვალისგან იყოს ერგების. და ესე წამალი სხვა კბილის ტკივილსა წაუღებს და სისხლის დენასა ღრძობილადან უკუაყენებს, ვითარება მისი: თეთრი არჯასპი დაწუხს და ძმრითა დააღობს, და მორდისა მარცხული და დამწვარი მარილი თვითოსაგან ორი ნაწილი, თუთუბოა სამი ნაწილი, ყველა დანაყილი იხმაროს.

ლრძილის სიმსივე რომელ სიგრილისგან იყოს. ვითარება მისი რაა სიგრილისგან იყოს. აბუჯარაბი იტყვის: ღრძობილთა სიმსივნე სიგრილისგან მით იქნების, რომელ გლუსუნე ბალაში მუნ შეიყაროს და აყროლდეს, და ღრძილი გაასივოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ ღრძილი დამპალ იყოს, და რაა დაძველდეს ბევასირად შექენას ¹⁾, და სიმბურვალე და სიწითლე არა აქვს და ნელად სტკივოდეს, და სიმსივნე მისი ღბილად იყოს.

კურნება რაა სიგრილისგან იყოს. აბუჯარი იტყვის: იგი არს, რომელ ყოყიასა ჰაბი ჭამოს რომელ თავი და ტვინი ჰავისა მანკისგან გაწმოდოს. ანუ ხმელი ღეღვი თაფლითა დააღობს და ჭამოს, და მაშინ სუდი და ფაჩარი და დანაყილი ოშნაა ღრძობილთა შესცხოს რომელ დამპლობა გარდაილოს და გაახშოს, და მუხუტის წვენი და კალია იხმაროს, და სიგრილთა ცრიდოს. და მური და ცერეცოა და აბპალი და სარვისა ნიგოზი თვითოსა ოდენი, ზაფრანაა ნახევარი თვითოსა ოდენი, ყველა წყლითა შეაბგოს და პირსა მით იბანდეს, და თუ სამისა დრამისა წონი მასთაქე, უკამათა ერთითა ერბოჟათა შეაბგოს, და პირსა დაიჭიროს, და საბაზდანისა ზეთი და ფურცელი მისი აღუღლოს და პირსა შიგან დაიჭიროს, კარგი არს.

20 მასაჰსძე იტყვის: სისუსთე ანუ სიმსივნე ღრძობითა რაა სინედლით იყოს, ბროწეულისა ყუავილი ღვინითა შეაბგოს და პირსა. მით ბანდეს. და თეთრი არჯასპი წყალ შიგან დააღობს და გუნდაა შიგან ჩაადოს რომელ შეაბგოს და მაშინ ღრძობილთა იცხებდეს, და მორდისა ზეთი დია კარგი არს ამისთვის. და ესე წამალი ამას დია ერგების: აყიყიაა ექმნისა დრამისა წონი, ზარნიხი წითელი და ყვითელი თვითოსაგან სამისა დრამისა წონი, ყველა დანაყილი ძმრითა შეხილოს და კვერად შექენას და ხმარებისა ეამსა მისგნით ცოტაა მანკისა ადგილსა მოაყაროს, ერგების.

ჭუნაჲ იტყვის: რაა მანკი ბევასირად შეიქენას კურნება მისი იგი არს რომელ გაზმაზვი და საბრი და მური და აყირყირაჲ თვითოსა ოდენი ყველა ყურძნისა ძმრითა შეაბგოდოს, და მაშინ პირსა მაგით. იბანდეს, კარგია.

30 კპრისა ტკივილი და მამრილობა შიგან რომელ ბამოჩნდეს. ვითარება მისი რაა სიმბურვალთა იყოს. თებით ყურაჰსძე იტყვის პირისა ტკივილი და გაბერილობა რომელ სიმბურვალისგან იყოს სინედლისგან იქნების, რომელ იგი სინედლე ზაფრასა გააფიცებს, და ბუნება მას პირისავე გაჭზავნის და უფროასი ემაწერილთა შეექენების.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ გაბერილობისა ადვილი სტკივოდეს დია და წყურვილიცა იყოს, და რაა გრილი შემოსდენ ელხინოს.

კურნება მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. თებით ყურაჰსძე იტყვის: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ანუ ნიკაპისა ქვეშეთ ქიქა მოჰკიდოს, და მაშინ ცოტაა ქაფური და ძმარი და ვარდის წყალი ერთგან გაპრიოს და პირსა შიგან დაიჭიროს და მრავალჯერ ესერ ქნას. და ვარდი და ბროწეულისა ყვავილი დანაყოს და ცოტაა ქაფური გაპრიოს და პირსა შიგან ჩაიყაროს ²⁾ დაიჭიროს, და მყავეთა ხილთა მკრველთა ჭამდეს. და ესე წამალი ჩვენ გამოვიცილდია კარგი არს ³⁾ ვითარება მისი: ტაბაშირი

¹⁾ ამ გვერდის ბოლო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კჰ“ და შემდეგი გვერდის ქვემო აშიაზე „კლ“.

²⁾ ეს სიტყვა აშიაზე სწერია დედნის ხელით.

³⁾ ამ გვერდის ქვემო აშიაზე მხედრული ხელით სწერია „ტაბაშირი დამწვარი ირმის რქა არს“.

და ნიშნისტავი, და ვარდი და ქინძი, და თუთუბის გურკადა ოსპი ქერქვახდილი, და კატ-კატოხასა თესლი და მაქური ინაჲ თვითოხასა ოდენი, შექარი ტაბარზადი თვითოხასა ოდენისა ნახევარი ყოვლი დანაყილი და გაცირილი პირსა შესცხოს. და თუ თუთუბაჲ ვარდისა წყლითა დაალბოს და პირსა შიგან დაიჭიროს კარგი არს.

მესია იტყვის: ყოფილი გაიხსნას ანუ ყელსა კიქაჲ მოჰქიდოს, და მუცელი დაიღბოს ტუტაჲსა შარაბითა, და გაცივებულთა ძმრითა და ვარდის წყლითა ილარალოს. და გრილთა საკამადთა კაჲდეს. და გაშმაზევი წყლითა შეაბგოს, და წყალსა მისსა, პირსა შიგან დაიჭირვიდეს, და თუ ქინძი თუთუბისა ¹⁾ წყლითა შეაბგოს და მით ილარალოს კარგი არს, ანუ ბროწეულისა ყუ.ვილი და ზროხისა ენა, არ ხორცი იგი არს რომელ არდსა ჰგავს, ვარ-
10 დის წყლითა შეაბგოს და წყალი მისი გაწმიდოს და პირსა შიგან დაიჭიროს ერგების. და თუ ამით წამლითა რომელ გვითქვამს არ გამრთულდეს ქვეშეთ ძარღვი გაიხსნას და პირი ძმრითა და მარილთა დაიბანოს. და თუ არ იჯობინოს ხიარ შამბრისა მატებუთა მუცელი დაიღბოს. და ძუძუმს მწოარსა დედისა მისისა სძე თვით ჰქურნებს, ამით რომელ გვითქვამს.

ვითარებთაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: გაბერილო ბისა და პირისა ტკივილისა ვითარებთაჲ, რომელ სიგრილისგან იყოს ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, რომელ ბუნებთაჲ მას ასოთაგან პირისკე გადადენის ანუ მლაშისა გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აგი არს, რომელ გაბერული და
20 ტკივილისა ადგილი თეთრი იყოს და წყურვილი და სიმხურვალე არ იყოს. და იქნების რომელ გაბერილი შავი იყოს და მაშინ ფიცხელისა სევდისაგან იქნების, რომელ სინედლესა თანა გარეულ იყოს.

კურნებთაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: იგი არს, რომელ ძმრითა ილარალოს, და მამირონი და ჰლილაჲ და აყირყირაჲ პირსა შიგან დაიჭიროს. და თუ შექარი ტაბარზადი თავლსა თანა და მწვანე არჯასჰსა და თეთრსა არჯასჰსა დანაყილსა თანა გარიოს, და მანკისა ადგილსა შესცხოს კარგი არს. და თუ მარილი თავლითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს. და თუ სიქანგუბინი აბეკაქსა თანა გაპრიოს და პირსა შიგან დაიჭიროს კარგი არს. და ძეულსა გულან გუბინსა ²⁾ კამდეს უზმაჲ თბილთა წყლითა, რომელ გრილი გასარეველი გაწმიდოს. და აყირყირაჲ და ქაბაბაჲ პირსა
30 შიგან დაიჭიროს. და მუხუდის წუწენსა კამდეს და ნატიფთა საკამადთა.

იოჰანი იტყვის: ყოყიასა ჰაბითა მუცელი დაიღბოს, და პიტნაჲ და ტეგანაჲ ძმრითა შეაბგოს და მით ილარალოს. და პირსა ნელითა ძმრითა იბანდეს და გამოირეცხიდეს. და თუ მლაშისა გლუსუნისა ბალღმისაგან ქნილ იყოს ჰუტუტი ძმრითა გავალოს და თუ ყვითუოი ჰალილაჲ და მამითა, და ტაბაშირი და ბროწეულისა ყუ.ვილი, და ყაყულაჲ თვითოსაგან ნაწილი ერთი დანაყილი, შიგან მოაყაროს. და ყმაწვრილთა ხელი ვარდი გავლილი შემოაყაროს პირსა და თვისა ასოთა მისაფერად მისად ჰქურნებდეს.

ჰუნან იტყვის: გაბერილობისა და სიშავისა და დამპლისა კურნებთაჲ იგი არს, რომელ ზარნიხი და კირი და გუნდაჲ და არჯასჰი და ქანგარაჲ თვითოხასაგან ნაწილი ერთი, ყველაჲ კვირასა ერთსა ცხარსა ძმარსა შიგან დაალბოს და მაშინ ჰაბად შექნას და
40 ჩრილთაჲ გააშმოს, და ხმარებისა ქაშსა დანგი ერთი გავლილი პირსა შესცხოს, და ცოტას ხანსა მიოშვას და მაშინ ვარდისა ზეთითა იზელოს ერგების. ანუ ზარნიხი და აყირყირაჲ თვითოსა ოდენი დანაყოს და შესცხოს, ერგების შეწვევითა ღმრთისათა.

30. პირისა სიმჟრალე რომელ ჰჰვიან არაბულად აბჯარი: ვითარებთაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაქარი ახსძე იტყვის: სიმჟრალე პირისა უფროსი

¹⁾ ეს სიტყვა სტრაქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

²⁾ ამ სიტყვის გასწვრივ აწივან სწერია არა დედნის ხელით „გულანგუბინი ქვიან ვარდის შარაბით“.

სტომოქისა სიმბურვალისაგან იქნების, რომელ დაბადებითგან მხურვალ ბუნება იყოს, და მეორედ მით იქნების, რომელ დია მხურვალისა კამისაგან ბუნება მხურვალედ გახდეს კაცი.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. რააცა დაბადებითგან სტომოქი მხურვალ ბუნება იყოს იგი არს, რომელ მიწყით ჰყოლდეს პირი და კბილი შეიფუფრნი იყვნენ. და ნიშანი მისი რააცა სისხლისა-სიმბურვალისგან იყოს იგი არს, რომელ რაა მადლარი იყოს სიმბურვალე უმცრო იყოს.

კურნება მისი რაა სიმბურვალით იყოს. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიეი გაიხსნას და მუცელი დაიღობს ხილთა წყლითა, და 10 მაშინ შეავესა ბროწყულსა კამდეს ტაბაშირითა რომელ სტომოქი გაახშოს და გააძლიეროს. და ქრთილისა წყალსა სიქანგუბინითა სმიფეს და სიმბურვალეთა ვრიდოს. და მიწყით შეავეთა და შემკრეველთა კამდეს ვითა ისრიმი და თუთუბა. და ხილთაგან ტყემალი შავი და მიშმიში და ატამი, და კიტრი და შანგიარი იგი გრძელი კიტრი, და საზამთრო ნესეი რომელსა ჰქვიან ხარბუხაა ჩინოლა, უზმასა კამდეს. და საკამადსა აღრე კამდეს და ხალსა და შაქარსა კამდეს და გულნაგუბინი შაქრისა ჰამოს.

თებით ყურაასძე იტყვის: მუცელი დაიღობს საბრისა ჰაბითა რომელ სტომოქი გაწმდეს მანკისა დედისაგან, და აბეკაქსა სმიდეს, და მადლარა არწყუოს. და ამას ჰაბსა მიწყით პირსა შიგან დაიჭირვიდეს, ჯავზიზოია და ყაყულა, და ყარანფლი და ქაფური, და შობილი და კილაზონი თვითისაგან დრამისა წონი, ყოველი დანაყოლი ვარდი- 20 თა შეზილოს ვარდის წყლითა, და ჰაბად შექნას და პირსა შიგან დაიჭირვიდეს, სიმყალესა გარდაიდებს.

ისაკ იტყვის: რაა სტომოქი დაბადებითგან მხურვალი იყოს და მანკი მიწყით იყოს რომელ არცა დააკლდებოდეს არცა მოჰმეტებოდეს. მას წამლისა ჰამა ყოლა არ უნდა, მით რომელ არა კურნების და არა ერგების. და თუ სხვაგებ იყოს კურნება იგი არს რომელ ხილთა შეავითა წყლითა მუცელი დაიღობს, ვითა შავი ტყემალი და მიშმიში და ჰინდოლური თამრი და აღარდენი და მსგზავსი ამითი რომელ სტომოქი გაახშოს და მანკისა სათაგნო დაილიოს, და საკამადთა ისრიმი და ნიშო ჰამოს.

ვითარება მისი რაა სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: რაა დამპლისა სინედლისაგან იყოს რომელ სტომოქსა შეყრილ იყოს ანუ გასარეველისა დამპლი- 30 საგან იქნების რომელ ხორცსა ჩასრულ იყოს, ანუ მისგნით იქნების რომელ ღრძილი დამპალიყოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს: რააცა დამპლისა ბალმისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ჰყოლდეს და რაა გრილი საკამადი ჰამოს უფარე იყოს. და ნიშანი მისი რააცა ღრძილთაგან იყოს იგი არს. რომელ კბილი შექმული იყოს.

კურნება მისი რაა სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: რააცა დამპლისა სინედლისაგან ქნილ იყოს კურნება მისი იგი, არს რომელ მრავალჯერ იარაგ ფეირიასა ჰამოს და არწყუოს. და რომელ მანკისა დედა დაეღობს და მაშინ ვაზრდისა ხანჯაბილსა კამდეს და ტარეფულსა. და იქნების რომელ მანკისა დედა თავისგან ჩამოსულიყოს, და ხორხთან შეყრილი და დამპალი იყოს. ესე ჰაბი იხმაროს რომელ მანკისა დე- 40 დაა იავარ უყოს ვითარება მისი: სუდი და თრუნჯისა ქერქი, და ფაჩარი და ყარანფელი და სიქი და ალვათ თვითისაგან დრამისა წონი, მუშეი ყურატი ერთი, ყველა დანაყოლი და ცერეცოვასა წყლითა და ღვინოა რაჰანთა შეზილოს და ჰაბად შექნას, და პირსა დაიჭირვიდეს. და ესე გუარიზნი პირისა სიმყალესა, რაა დამპლისა ბალმისგან იყოს ერგების, ვითარება მისი: ახლისა მორდისა ფურცელი ექვსი დრამისა წონი, ამოლა და სუდი და ფაჩარი, და თრუნჯისა ქერქი და ადხარი, და მასთაქე და სიქი, და მუშეი და ყარანფელი თვითთაგან ორისა დრამისა წონი, ყველა უგულსა ჩამიხსათნა დანაყოლი და ნიგუზისა ოდენი პირსა შიგან დაიჭირვიდეს.

ფოლოს იტყვის: ზანჯაბილისა გუბარიში და გულანგუბინი ქამოს და მიძღარმან არწყვიოს, და გრილთა საქამადთა ერიდოს. და კალისა მხურვალითა სანელბლითა შექნილსა ¹⁾ ქამდეს. და საბრისა ჰაბსა და ყოყიამასა ჰაბსა და ტარეფულსა ქამდეს. და უზ-მაჰმან აბეკმაქი სტას და ნიახურსა ქამდეს რომელ ხასიათი აქეს, და ჩამიჩისა მაჯღინი და მორდისა ფურცელი იხმაროს. და რააცა ღრძილი აყროლებული იყოს ზარნიხი და კირი, და გუნდა და ზაბი, და ქანგარაჲ თვითოჲსგან ნაწილი ერთი დანაყილი, ძმრათა დაალბოს და კვერად შექნას და გაახმოს, და მანკისა ადგილსა მოაყაროს და ცოტასა ხანსა მიუშვას, და გარტხოს და მაშინ ვარდისა ზეთითა დააცხიბიანოს.

შ. ფულისა დენაჲ პირისაგან მიძინადისა. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს, 10 მასოჲსძე იტყვის: ვითარებაჲ მისი სტომაქისა სიმხურვალისგან იქნების და სინედლისგან რომელ შეიყარნენ, ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს რომელ სტომაქი გაახურვოს და სინედლე გაეკროს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ გემო პირისაჲ მწარე იყოს და საქამადი არ მოუნდებოდეს, და წყალი დია სღიოდეს პირისგან, მეტად სიმშლიისა ეამსა უფროჲ იყოს.

ქურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასოჲძე იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და მჟავითა და შემკრველთა რუბთა იხმარებდეს, ვითა ბეჰესა რუბსა და ვაშლის რუბსა, და ისრიმის რუბსა და რააცა ამათ ჰგევანდეს, რომელ სტომაქისა სიმხურვალე დააწყნაროს და სინედლე მოაქლოს. და საქამადსა ვარიასა ქამდეს 20 ისრიმითა შექნილსა ანუ ალარდნითა შექნილსა, და თუ ზირაბაჯი ქამოს კარგი არს.

არხიჯანის იტყვის: რააცა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით უზმაჲ არდსა ქამდეს მარილითა, და ქრთილისა და იქვილისა ხალი მარილითა ქამოს, და ახალთა წჭირითა თევზთა ქამდეს, და ხორცთა მაშენეთა და ნატიფთა ქამდეს ვითა ხობზისა და და ვარიისა შინაურისა, რომელ მჟავითა შექნილ იყოს. და მიწყით შემგბარისა ოსისა წყლითა და თუთუბისა წყლითა და მჟავისა ბროწეულისა წყლითა პირსა გამოირეცხდეს. და მჟავითა მიელტვოდეს და თაფლიანთა და ტკბილთა ერიდებოდეს.

მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: ქურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნელისა ჯულაბითა არწყვიოს და მაშინ სიქანგუბინითა იღარლაროს, და ყმაწულთა პირთაგან წყლისა დენისა ქურნებაჲ იგი არს, რომელ აყაყიჲ ვარდის წყალსა ანუ შემგბარისა დენისა ში- 30 გან დაალბოს, რომელ გადნეს შიგან და მაშინ ეამ ეამ პირსა შეუცხებდენ, და ხამს რომელ ძიძაჲ საქამადსა ცოტასა ქამდეს, და სქელთა და უდნობთა საქამადთა ერიდებოდეს, და ნატიფთა მიელტვოდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. არბიასიოს იტყვის: ვითარებაჲ მისი სტომაქისგან იქნების მით, რომელ დიადი სინედლე მორეენილ იყოს მის- და, ანუ საქამადთა ქამისგან იქების რომელ სტომაქსა ზედა მძიმე და უდნობი იყოს, ვი- თა ზროხისა ხორცი და მსგავსი მისი.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ გემოჲ პირისაჲ მჟა- ვე იყოს და წყალი პირისაჲ სქელი იყოს. და ნიშანი მისი რააცა მხურვალისა საქამადისა ქამისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მძიმედ იყოს და დია ნერწყვიდეს.

ქურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბრიასიოს იტყვის: იგი არს, რომელ უზმაჰმიწყით გულანგუბინისა ქამდეს და მასთაქესა (კოხნიდეს) და ჰნერწყვიდეს, და ცხელსა ჯულაბსა სმიდეს და ცოცოტად ტარეფულსა ქამდეს ვითარებაჲ მისი: ჰალილაჲ ქაბულური და ბალილაჲ- და მლაჰსა უგურკო თვითოსაგან ნაწილი ერთი, ყველაჲ დანაყი- ლი ნუშის ზეთითა შეზილოს და წამალთა ყოველთა ოდენი თაფლი წმიდაჲ გაპროს, და

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის-აგლით.

ქვევრსა შიგან ჩადეს და ხმარებისა ეამსა ორისა დრაჰმისა წონი იხმაროს. მაშა თუ წყლისა დენაჲ დია იყოს და ამით არ გამოთვლდეს, ცოტაჲ თესლი თეთრისა სპანძელისა შაქარსა გაჰრიოს და იხმაროს. და საქამდსა ტრედის ხუნდისა შემწურასა ჰამდეს, ანუ მუტანჯანაჲ აბეკმაქითა და ძმრითა ილარღაროს უზმამან. და თუ ამით წამლითა არ იჯობი-
ნოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ არწყვიოს და სტომაქი გაწმინდოს, და მაშინ გაზრდი-
ლი ჰალილაჲ იხმაროს ერგების.

მესია იტყვიეს: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბოლოკისა წყლითა არწყვიოს, ანუ ნელითა თავლის წყლითა, რომელ შანკისა დედაჲ დამკრდეს. და მაშინ ცოტაჲ მდოგვი დანაყილი იფქლისა ხალსა გაჰრიოს და უზმამან იხმაროს და მაშინ აბეკმაქითა ილარღ-
10 როს, და გაზრდილსა ჰალილაჲს, ჰამდეს და მიწყით მისთაქესა ანუ თეთრსა საქმელსა ცოხ-
ნიდეს და ნერწყვიდეს. და ღურაჯისა ხორცსა და თიპოისასა ჰამდეს რომელ შემწურა იყოს ანუ კალიასა და ხოხობისა ხორცსა ჰამდეს ერგების. და მჟავეთა და უღნობთა საქამდთა ერიდებოდეს, და თეთრთა საქამდთა ერიდოს და უზმაჲ იარებოდეს ერგების.

შ. ვასიშვაჲა პირის სიმშურავლისგან თუ იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმშურავ-
ლისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვიეს: ენისა გასივებაჲ სისხლისა სიმრავ-
ლისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალი მანდა შეაყენებს მას, და დიდხან შეყრილ იყოს
მუნ.

ნიშანი რაჲ სიმშურავლისგან იყოს. იგი არს, რომელ წითელი იყოს და
გასივებული იყოს და ტკივილი ვითა ისარი ფეთქდეს და ენისა ძარღნი ადვილი იყვნენ
20 და სიგრილე ელხინებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სამშურავლისგან იყოს. იგი არს, რომელ ყიფალი გაი-
ხსნას ანუ ენასა ქვეშეთ ძარღვი გაიხსნას, და ხეარტისა და ნედლისა ქინძისა წყლითა პი-
რსა გამოირცხიდეს, ანუ ცაკივებულთა ვარდის წყლითა და თუთუბისა წყლითა, დია ერ-
გების. და საქამდსა ისრიმისა ურწყვისა ჰამდეს და თუთუბისასა. და რაჲ მანკისა დედაჲ
დამცირდეს სელისა ლუაბითა პირი გამოირცხოს. და თუ სიმსიფენ თხამლად შექნილ იყოს
ლელვი წყლითა შეავბოს და ცოტაჲ მური მას წყალსა გაჰრიოს, და ცოტაჲ შემგბარი ღვი-
ნოჲ გაჰრიოს, და ცოტაჲ იისა ზეთი და ყველაჲ ნელად ვაატვოს, და პირსა მაგით გამოი-
რცხიდეს, რომელ სიმსიფენ დააცხრვოს, და ახლითა სძითა პირსა გამოირცხიდეს, და თეთრი
მალჰამაჲ და აფიონი და ვარდისა ზეთი შემოსდვას.

ჯალინოს იტყვიეს: ყიფალი გაიხსნას და ნიკაჰსა ქვეშეთ კიქაჲ მოჰკიდოს და
ძმრითა და წყლითა ილარღაროს. და ხილთა წყალი და ქრთილისა წყალი სუას. და ენასა
ატმისა წყლითა, ანუ ხეარტისჲ წყლითა, ანუ მჟავისა ბროწყელისა წყლითა კარგად იზელ-
დეს. და ენასა ქვეშეთ ძარღვი გაიხსნას და თუ ოსპისა წყალი და ქინძისა წყალი კატკატოჲ-
სა წყალსა გაჰრიოს, და ცოტაჲ სომბური მიწაჲ დანაყილი შიგან გაჰრიოს, და პირსა შიგან
დაიჰვიროს, და ენასა ნით იზანდეს, რომელ მანკისა დედაჲ გაანკროს და ერგოს.

როფის იტყვიეს: ყიფალი გაიხსნას და ხილთა შემგბრითა წყლითა მუკელი დილ-
ბოს. და ბროწყელისა წყლითა და ტუტითა ილარღაროს, და სიმშურავლთა ერიდებოდეს
და მჟავეთა მიელტვოდეს. და თუ ხეარტისა წყლითა, ლინსალჰამლისა წყლითა ილარღ-
როს კარგი არს. და თუ თარფი რომელ ყუეტსა ჰგავს, სომბურად ჩორათანი ქვიან, და თრუნ-
40 ჯისა სიმჟავე ზედა იცხოს ერგების.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. და ვითარებაჲ ენისა სიმსიფენისა რაჲ
სიგრილისგან იყოს. მასოას ძე იტყვიეს: სისხლისა გლუქუნისა ბალღმისა სისქისგან იქნე-
ბის, ანუ სევდისა სიმრავლისაგან და მისისა ძალისაგან, რომელ შიგან შეყრილ იყოს და მოე-
რეფნეს, და ამისთვის შესივებულ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაჲ ბალღმისგან იყოს
რომელ სიმსიფენ ლბლი იყოს და ფერად თეთრი იყოს და არ დია სტკივოდეს, და ნიშანი

მისი რააცა სევდისგან იყოს, იგი არს რომელ სიმსიენე მაგარი იყოს და ფერად შავგრე-
მანი იყოს.

კურნება მისი რაა სიგრილისაგან იყოს. მასომა სე იტყვის:
რაა სიმსიენე ბალმისგან იყოს კურნება იგი არს, რომელ იარაა ფევირაათა მუცელი
დაიღობს და თავლითა და აბეკაქითა პირსა გამოირცხიდეს. და საქამდსა ზირაბაჯსა ქამ-
დეს ურწყამსა ანუ მუხუდის წვენსა. და თუ მანკი ძველი იყოს ძველი გულანგუბინი ძირა-
სა წყლითა გაპიროს და უხმა იხმარებდეს, და ზანჯაბილსა და დარაფილსა დანაყილსა
ენასა ქვეშ შეიცხებდეს რომელ ბალამი გაადნოს და მანკისა სათავნოა გაუჩინაროს. და
ილარაროს მასთაქისა წყლითა, და თავლისა წყლითა რომელ მხურვლითა სანელებლითა
10 შექნილიყოს. და მიწყით თეთრსა საკმელსა ცოხნიდეს და ნერწყვსა გაადგებდეს. და უდნობ-
თა საქამდთა ერიდებოდეს. და თუ ვირისა სძითა და თავლისა წყლითა და შემგბრითა
ულბისა წყლითა, და ვარპარამის ძირითა და ლელითა დარარაასა იქმოდეს.

ბაყრატი იტყვის: თუ სევდისგან იყოს, აფთიმონისა მათბუხითა მუცელი დაილ-
ბოს და მაშინ სოსნისა ზეთითა, ანუ შინაურისა ქათმისა ცემლითა, ანუ ბატისა ცემლითა
და იისა ზეთითა ენასა იხვლდეს. და თუ ცოტაა ვირისა სძე, ანუ თხისა სძე ნელი მოიღოს
და პირსა მით იბანდეს კარგი არს. და თუ ცოტაა იისა ზეთი შემგბარსა ლელვისა წყალსა
და ულბასა ლუბასა გაპიროს და უხმა პირსა მაგით გამოირცხიდეს, კარგი არს.

ჰუნაენ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ აფთიმონის მატბუხითა ტანი
გაწმოდოს და მაშინ სელისა ლუბაი, და ლეღვისა წყალი, და ნილოფრისა ზეთი ყველა ერთ-
20 გან გაპიროს და უხმა მრავალჯერ პირი მაგით გამოირცხას და სევდიანთა საქამდთა და
რომელ უდნობი იყოს ერიდებოდეს, ერგების.

შგ. ენისა ბაბარლიობა რომელსა ჰჰვიან არაბულად ყლბა¹) ვითარება მისი რაა
სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის; ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ
ენისა ტყეუსა შიგან შეყრილ იყოს და მორვენილ იყოს, ანუ სისხლისა სიმეტისაგან, რომელ
გახურვეულ იყოს და მისგანთ ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. რააცა ზაფრისგან ქნილიყოს
იგი არს, რომელ გაბერილობისა ფერი მოყვითლე იყოს და დია ხურვიდეს და ტკივილი
ფეოქდეს. დანაშანი მისი რააცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მანკი წითლად იყოს.

კურნება მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის:
30 რააცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ანუ ნიკაპსა ქვეშე ქიქაა მო-
ჰვიელისა ყუვილი ყველა დანაყის და ვარდისა ზეთითა, და თეთრითა ცვილითა, და ცო-
ტათა ქაფურითა ერთგან ვითა მოპროლანი შექნას, და ენასა ქვეშე იცხებდეს. და თუთუ-
ბაა და ოსპი და წითელი ვარდი ყველა წყლითა შეაგბოს და წყალი მისი დაწუროს და
მიწყით პირსა მით გამოირლუნიდეს, და თუ ენაა ნუშისა ზეთითა იხვლოს და მაშინ ტა-
ბაშირი და ქინძი და თუთუბაა და ვარდი და კატკატოხსა თესლი ყველა გაგლილი ზე-
და მოაყაროს. და თუ ესე მანკი ყმაწვილითა სქირდეს დიდამან მისმან ყიფალი გაიხსნას
და ანუ ქაქაა მოიკიდოს, და საქამდსა თუთუბისა ურწყამსა ქამდეს ანუ აღარდნისსა. და
ხორცსა და თავლიანთა ერიდოს, და ცისკარსა ქრთილისა წყალსა და ბროწეულისა ყვაე-
40 ლსა, და კატკატოხსა თესლი სიქანგუბინითა იხმაროს.

მესია იტყვის: თუ ზაფრისგან იყოს ხილთა წყლითა მუცელი დაიღობს ანუ
ჰინდოურისა თამრისა წყლითა, და თუ იისა შარაბი და ხმელი ქინძი წყლითა შეაგბოს და
თუთუბა მისსა წყალსა შიგან დააღობს და მით პირსა გამოირცხიდეს კარგი არს. და თუ ხმელი
ქინძი და თუთუბაა და ვარდი და ოსპი და შობილი, და ტაბაშირი და ნიშასტაგი და კატკატო-
ხსა თესლი, და შაქარი ტაბარზაჰი და სანდალი ნაწილი ერთი, ქაფური ნაწილისა მეოთხედი

¹ სარჩევში სწერთა „ჰილადა“.

ყველა წმიდად გაგალოს და ტკივილსა ზედა მოაყაროს. და სიმბუღვალესა ერიდოს და მთავრთა მიელტვოდეს. და თუ ქინძისა წყალსა რომელ შიგან ყურძნისა რქაჲ და კვიტვიმი შემებარ იყოს პირსა შიგან გამოირტვიდეს კარგი არს უზმისა, ერგების.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოა იტყვის: ვითარებაჲ ამის მანქისა ბალღმისა მლაშისგან იქნების რომელ ბუნებისა ძალი მას ენისა ძირსა გაჭვანვის; ანუ დამწერისა სევდისა მოარევნისაგან იქნების რომელ ესე გამოწნდეს. ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ გაბერილი წუწრილი ენასა ზედა გამოჩენილ იყოს, ანუ პირისა შიგან, რაჲცა ფერად თეთრი იყოს ბალღმისგან არს და რაიცა შავი და მაგარი იყოს სევდისგან იყოს.

- 10 კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოა იტყვის: რაჲცა გლაშისა ბალღმისაგან იყოს საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღობს რომელ მანქსა სათავნო დააკლდეს ვითარებაჲ მისი: კილომონი და ყსაბადირაჲ და ბალანისა მარცუაღს და ადბარისა შქუფუჲ და სალიხაჲ და ყურუჲ თეთროსაგან ორისა დრამისა წონი ყველაჲ დანაყილი ორითა ლიტრითა წვიმისა წყლითა შეაბგოს და ადულოს რომელ ნახევრად მოვიდეს, მაშინ სამისა დრამისა წონი საბრი გაჭრიოს და მზესა დადვას რომელ დაწრდეს, და ზაფრანაჲ და მისთაჲ და ზური თეთროსაგან დრამისა წონი: გაჭრიოს და მაშინ ყველა ერთგან გაგალოს და ჰაბად შექნას, სამისა დრამისა წონი ხმარებისა ეშმსა იხმაროს, და მაშინ არჯასპი და ცერეკოჲ წმიდად დანაყოს და თაფლსა გაჭრიოს და ენასა ქვეშეთ იხელდეს, და აბეკმაქითა იღარღაროს. და ზეთის ხილისა ფურცელი და მარზანგოში წყლითა შეაბგოს და მისითა წყლითა პირსა გამოირტვიდეს, და ბროწეულისა ყუთვილი, და მამირონი და ყაყულაჲ თეთროსაგან ერთი ნაწილი, დანაყილი, მანქისა ადგოლსა მოაყაროს, და უზმად გულანგუბინსა ჰამდეს, და თუ პატარასა ყმასა სჭირდეს წამალი მისი დედამან ჰამოს¹⁾.

ჰუნაჲ იტყვის: თუ სევდისგან იყოს აფთიმონისა მატბუხითა მუცელი დაიღობს და ზეთისხილისა ფურცელი და ავსაჲსა ფურცელი, და აყაიჲ და ზაფრანაჲ, და არჯასპი ყველაჲ დანაყილი და გატრილი ზედა მოაყაროს ერგების, და გრილთა საქამადათა ერიდოს და ნატიფთა მიელტვოდეს.

შპ. ენაჲ რომელ გემოჲ მძქიოს, არაბულად ლაღაროჲ დავჲჲ ჰჰვიინ. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმბუღვალისაგან იყოს.

- 30 თებით ყურაჲს ძე იტყვის: ვითა ესე მანკი სისხლისა მორევისაგან იქნების რომელ ენისა ტყავსა შიგან შეყრილ იყოს და ბუნებამი სისწორისაგან აქციოს იგი, ანუ ზაფრისა მორევისაგან იქნების.

ნიშანი რაჲ სიმბუღვალისგან იყოს: რაჲ სისხლისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ მიწყით გემო პირისა ტუბილი იყოს მეტად უზმისაჲ, და ნიშანი მისი რაჲცა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ გემოჲ მწარე და არ ჰამოჲ იყოს.

კურნებაჲ რაჲ სიმბუღვალისგან იყოს. თებით ყურაჲს ძე იტყვის: ვითა ესე სისხლისა მორევნისაგან იქნების. კურნებაჲ იგი არს რომელ ყიფალი გაიხნას ანუ ყელსა ჰქვაჲ მოჰკიდოს და ისრიმისა შარაბსა და ტყემლისა შარაბსა იხმარებდეს, და სიქანგუბინი სჭას და ბროწეული ტუბილი და მჟაფე ჰამოს. და ხორცსა და თაფლიანთა

- 40 ერიდებოდეს და მჟაფეთა მიელტვოდეს, ვითა ისრიმსა და ალარდენსა და თუთუბასა და უნაბსა და ტყემალსა და ნიშოსა იხმარებდეს და ტრეტისა შარაბსა და მჟაფესა ვაშლისა შარაბსა იხმარებდეს, მას დია აშუნია და სიქანგუბინითა ანუ ბროწეულისა წყლითა უზმაჲ პირსა გამოირტვიდეს. და თუ კაცი გაცივებულითა ვარდის წყლითა და თუთუბის წყლითა რომელ ცოტაჲ ქაფურთა შიგან რთულ იყოს იღარღარებდეს, კარგი არს.

1) ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კდ“ და შემდგომ გვერდის ქვემო აშიაზე „კე“

მასოაჲს ძე იტყვის: რაჲცა ზაფროსგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ შაჰნარი მისითა ცმელითა დანაყოს და უზომიან წყალი მისი იხმაროს, ანუ თამარიჰინდისა შარაბსა სმიდეს!) და თუ თამარიჰინდისა წყალი სიქანგუბინითა და შაჰნარისა ბროწეული-სა წყლითა გაჰკრიოს და მიწყით იხმარებდეს კარგი არს, მანქსა დაჰკლეს. და თუ კატკატოჲსა თესლი და კირკისა წყალი სიქანგუბინისა გაჰკრიოს დია კარგი არს. და თუ მანკი ძლიერად იყოს და მუცელსი შეკრული იყოს ყვითლისა ჰალილსა მატბუხი იხმაროს და ბროწეულისა წყალი და ტყე¹⁾ლისა წყალი იისა შარაბსა გაჰკრიოს და უზმაჲ იხმარებ-დეს. და ნუშისა შარაბი, და ტყე¹⁾ლისა შარაბი, და თრუნჯისა სიმეყვისა შარაბი ესე ყველაჲ მას დია ერგების. და სიმბურვალესა და თაფლიანთა ერიდებოდეს და მჟავეთა მიელტკო-
10 დეს ვითა ისრიმი და თუთუბაჲ, და რაჲცა ამით ჰგვანდეს. და საჭიროსა და ძნელსა სა-ქმარსა საქმეთა ერიდებოდეს, და ერგების შეწყნითა ღმრთისთა.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. არხიჯანოს იტყვის: ესე მანკი ბალღმისა სიმრავლითა და მორყენისა მისისაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალმან იგი ენისა ქვეშე შეჰყაროს და ბუნებაჲ მისი სისწორისგან შესცვალოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით გემოჲ პი-რისა მჟავე იყოს ანუ მლაჲ. მაგრა უზმაჲ რაჲ იყოს სიმეყვე და სიმლაჲ უფრო შეეკნე-ბოდეს და უფროჲ ძალიანი იყოს პურქმულისა.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. არხიჯანოს იტყვის: იგი არს, რომელ სიქანგუბინითა არწყიოს და თბილის წყლითა და მარილითა, რომელ სტომაჰი გაწ-
20 მდეს და მანკისა დედაჲ დამცოდეს, და მაშინ უზმაჲ ძველსა გულანგუბინისა იხმარებდეს. და თუ ამით რომელ დეოქჲმას არ გამართლდეს იარაგსა იხმარებდეს ესრე ვითა გეოქჲმას: იარაჲ ფეყირაჲ და თეთრი თურბითი, და ჰალილაჲ ქაბულური და ყვითელი ჰალილაჲ თეთოსაგან ნახეყარისა დრაჰმისა წონი, მარილი ნავთი დანგი ნახეყარი, საბრი ასტორი და ანისონი თეთოჲსაგან ორისა დანგისა წონი, ყოველი დანაყილი და ვაცრილი წყლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და ხმარებისა ეჲმსა იხმაროს. და ვეგეთა საქამადთა რომელ ბალღმისა მატბუხისა ერიდოს, ვითა სძე და მაწონი და მსგავსი მათი. და საქამადსა თიჰ-ოჲსა შემწვარსა და ზირაბაჯსა ჰამდეს. და მიწყით პირსა თბილითა წყლითა იბანდეს და მოირღუნიდეს ერგების.

მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: ნელითა ჯულაბითა არწყიოს ანუ ცერეცო-
30 ხსა წყლითა რომელ სტომაჰი გაწმდეს მისი, და სიქანგუბინი თბილითა წყლითა რომელ შიგან ცოტაჲ ალვაჲ და ანისონი რთულ იყოს უზმაჲ იხმაროს. და თბილი წყალი რომელ შიგან დანაყილი მასთაჲ რეულ იყოს მისთვის კარგი არს. და ნიადაჲ სიქანგუბინითა ილა-რღარებდეს და თიჰოსა ხორცსა ჰამდეს კალითა ანუ მოტანჯანითა, და ასფანახისა ურ-წყოჲსა მუხედისა და ნუშის ზეთითა ჰამდეს და გრილითა საქამადთა ბალღმისა მიმმატბე-ლთა ერიდებოდეს, და სიმბურვალეთა მიელტკოდეს. და თუ მანკი ძნელი იყოს ჯალინოსის იარაგსა ჰამდეს ერგების. და სტომაჰი ჰავთა მანკთაგან გაიწმოდოს და მაშინ მასთაჲსა და ანისონსა გულანგუბინითა ძველითა მრავალჯერ ჰამოს, ერგების თუ ღმერთსა უნდეს.

40 **შდ. ენისა სიწყლულთა და სიმომი და სისუსთა შიგან.** ვითარებაჲ ენისა სიწყლულისა, ისაჲ იტყვის: ესე მანკი უფროჲსი გაბერულობი¹⁾ა და ენისა სიწყლულისაგან იქ-ნების, და ეგების რომელ ფიცხელისა ზაფრისგანცა ქნილ იყოს, რომელ ენისა ტყავსა შიგან გამაგრებული და მორყენილი იყოს.

ნიშანი ენისა სიწყლულისა, რაჲცა გაბერულობისგან ქნილ იყოს და სიმსიგ-ნისგან, იგი არს, რომელ ცხადად არს, და თქმაჲ არ უნდა, და ნიშანი მისი რაჲცა ფიცხე-

1) ამ გვერდის აშახტ სწორია მხედრული ხელით. «თამარინდი ინდურურ ტყეშილი».

ლისა ზაფრისგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ენაჲ ზურვიდეს და წითლად იყოს და ყვი-
თლად მოაჩვენებდეს, და ტკივილი ვითა ისარი ფეთქდეს.

კუ რ ნ ე ბ ა ე ნ ის ა ს ი წ ყ ლ უ ლ ის ა ე . ის ა კ ი ტ ყ ე ის : ვითარებამა მისი სიმშინისა
და გაბერილობისაგან იქნების. კურნებამა მასი იგი არს, რომელ თეთრითა მალჰამითა და
ეგრე გუარათა რომელ გაბერილობისა და გასივებისათვის ესთქვით ეგეთითა ჰყურნოს. და
რამაცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ბროწყულსა მჭაეისა და ტკბილისა წყალ-
სა ჯულაბითა შესმიდეს, და რევასისა შარაბსა და თამარჩინდისა შარაბსა, და რამაცა ამთ
30 ჰგვიანდეს სუმიდეს ერგების, და ხილთა წყლითა შემგბრითა მუცელი დაალბოს ანუ თამარ-
ჩინდისა წყლითა, და ტყემლისა და მიშმისისა წყლითა და რამაცა ზაფრასა გარდაიღებდეს.
და ესე წამალი შემოაყაროს ვითარებამა მასი: ვარდი ორისა დრამისა წონი და ნახევარი,
ნიშასტაგი დრაჰმისა წონი, კატაკრატა თესლი და ოსპი ქერქ გამოხდილი და შაქარი თეი-
თასაგან ორისა დრამისა წონი, ყაყულაჲ და ზაფრანაჲ თვითოსაგან დრამისა, წონი . ქა-
ფური დანგი ერთი, ყველაჲ დანაყილი და გაცრილი იხმაროს.

ი ო ჰ ა ნ ა ე ო ტ ყ ე ვ ის : ეგეთსა რასმე ჰამდეს რომელ ზაფრასა გარდაიღებდეს ვითა შაჰნა-
რისა ბროწყულსა წყალი და თამარჩინდისა წყალი და ტყემლისა წყალი. და ურწყოსა
ჰამდეს ისარიმისა და ალარდნისა და სიმზურვალესა ერიდოს და მთავეთა მიელტვოდეს.

და ენისა დანაითილოზისა ვითამაცა ბახათილოზისა. მუ ჰ ა მ ე დ ზ ა ქ ა რ ა მ ს ძ ე
ი ტ ყ ე ვ ის : კურნებამა იგი არს, რომელ ბაზრაცატუნსა შაქრითა იხმარებდეს და ქრთილისა
წყალსა და ბაზრაცატუნისა ლუბსა მიწყით პირსა შიგან დაიჭირვიდეს ერგების. და საჭა-
20 მადსა ვარისა და ამოზაფებულსა კვერცხსა ჰამდეს. და კიტრსა იხმარებდეს, დანითა მოჰკვე-
თოს და ერთმანეთსა ზედა გაუსვას და რაჲ ზისგან პერული გამოვიდეს და მას პერულსა
ენსა იცხებდეს ერგების. და მიწყით სეფუსთანსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს და ეგეთთა
რამსმე ჰამდეს რომელ სტომაქსა გააცივებდეს.

ისოსხთე და სიმძიმე ენისა. მუ ჰ ა მ ე დ ზ ა ქ ა რ ა მ ს ძ ე ი ტ ყ ე ვ ის : ვითარებამა მისი
ერთი ბარსამისგან იყოს, და მეორე ენისა საქციელთა სიმოკლთა, მესამე ლუდდისაგან
რომელ ქვეშეთ გამოჩნდეს, და ლუდდი კორძგუარი რამე არს, და ჰისიანი ბორცთაგან
გამოვადებენ, სადცა ხორცთა შიგან იყოს და არაბულად მას კორძა ლუდდესა ტრფდაჲ
30 ჰქვიან და თარგმანი მისი მყჭარი, და მეოთხე ფიცხელთა ცხრომსგან იქნების.

ნი შ ა ნ ი მ ის ი რ ა ე ე ნ ის ა ს ის ს უ ს თ ის ა და ს ი მ ძ ი მ ის გ ა ნ ი ყ ო ს . ნი შ ა ნ ი
20 მისი რაჲ ბარსამისგან იყოს იგი არს, რომელ ძლიერისა მანკისგან იყოს და რამაცა ენისა
საქციელთაგან იყოს იგი არს, რომელ იგი ძარღენი რომელ ენასა ქვეშეთ არიან ცალსა
კერძსა მოკიდებულ იყვენენ, და რამაცა ლუდდისგან იყოს იგი არს, რომელ ენა მაგრად იყოს.

ნი შ ა ნ ი 1) ე ნ ის ა ს ის ს უ ს თ ის ა და ს ი მ ძ ი მ ის ა : კურნებამა იგი არს, რომელ
რამაცა ბარსამისგან იყოს კურნებამა იგი არს, რომელ ენასა ქვეშეთი კერძი ანდრანულითა
მარილითა და ნიშადურითა იხლოს, და თუ ენისა სიმძიმე ახლად გამოჩენილ იყოს ასონი
ბნელად იქნებინ, და მას ფელიჯისა კურნებამა უნა ვითა ეფლოჯისათვის გვითქვაჲს, და
რამაცა ენისა საქციელისგან იყოს იგი არს, რომელ რამაცა მოკიდებულ იყოს ენისად მოჰ-
კვეთოს. და ნიშანი მისი იგი არს, რომელ მოკიდებულ იყოს თავამდინ მოსწორებულ იყოს-
და რამაცა ლუდდისგან იყოს იგი არს, რომელ თუ ლუდდი დიდი იყოს გააპოს და კიდე გა-
40 მოილოს მისგან, და თუ ცოტად იყოს ფიცხელი წამალი მოაყაროს ზედა, ვითა არჯასპი და
თანგარაჲ რომელ გააღნოს. და თუ არჯასპი დამწყური და სორინჯანი კურეცხისა თეთრისა
თანა გაპრიოს და ენასა შემოსდვას ადრე გააღნობს მას. და რამაცა ფიცხელთა ცხრომთგან
ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ენაჲ დამცრუდეს და დამწყულდეს და დამო-
კლდეს და მას თანაწუჯი ჰქვიან.

1) ტექსტში ეს სიტყვა შედგომით სწერია უნდა იყოს „კურნებამა“.

კურნება მისი იგი არს, რომელ თბილი წყალი ყვრიმალთა და კისერსა ზედა ისხას და მაშინ ერბოთა შეზილოს, და ნელი ერბოა პირსა შიგან დაიჭიროს და ცერეცოასა ზეთი და ბაბუნა შესცხოს.

მადანი იტყვის: ენისა სიმძიმე რომელ ბალღმისგან ნიშანი იყოს, და დაძველებულ იყოს გულანგუბინი ზანჯაბილითა იხმაროს, რომელ სინედლე გაიხსნას და სიქანგუბინითა ილარღაროს, და გრილთა საქამადთა ერიდოს და შორგვასა მხურვალითა სანელღმლითა შექნილსა ჭამდეს. და რაე მოკიდებულ იქნისა მოჭკვეთის სიქანგუბინითა ილარღაროს. და გრილთა საქამადთა ერიდოს. და თუ სიმსივნისგან იყოს, ნუშისა ზეთი და იისა ზეთი და გრილი ლუბი შემოსდეს. და თუ ბალღმისგან იყოს ყოყიასა ჰაბი ჭამოს, და უღნობთა საქამადთა ერიდოს, ერგების.

10

შუ. ძამისა ჩამოსულაა რომელსა ჰჰვიან სხსა თუ სიმხურვალისგან იყოს.

ვითარებდა მისი რაე სიმხურვალისგან იყოს.

მასარჯოა იტყვის: ესე მით იქნების რომელ სინედლე სისხლსა გაერიოს, მერმე ბუნებისა ძალმან იგი სისხლი მუნ გამოგზავნოს, რომელ მუნ შეიყარნენ და მათ სინედლეთგან გასუსთდეს.

ნიშანი რაე სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ რაე პირი აღრინოს და ენაე გამოყოს სისაე ნახოს ჩამოსული, და დია წითელი იყოს, და ხურვიდესცა და სტკიოლდეს.

კურნება მისი რაე სიმხურვალისგან იყოს. მასარჯოა იტყვის: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ძმრითა და ვარდის წყლითა ილარღაროს, და მორდი და დანაყლი სანდალი და ცოტაე ქაფური მას გაპრიოს და შესცხოს. და თუ დელამოტისა წყლითა და მარლითა და გუნდაათა და ძმრითა ილარღაროს დია კარგი არს. და ვიდრემდე შეიძლოს ლბილსა წამალსა იხმარებდეს ვითა ნიშნისთავი და ქათირაე, და ბაზრიაყუნისა ლუბი, და ბეჭეს გულისა ლუბი და ბალღასა თესლი და მსგზავსი ამითი. და მაშინ ანაჭეთისა წყლითა და ქრთილისა წყლითა, შემგბრითა ლვინითა, ვარჰარამის წყლითა ილარღარებდეს.

20

მადანი იტყვის: სასადა ჩამოსვლაე ხორბთა სიმსივნისაგან არს, ეგრე ხამს რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღობს თუთისა შარაბითა, და ვარდითა და ძმრითა და ხავარტის წყლითა, და ნედლითა ქინძითა ილარღაროს. და ვარდისა წყალი და ქაფური და სანდალი შემოსცხოს, და სიმხურვალეთა ერიდოს და ისრიმსა და მსგზავსა მისსა იხმარებდეს. და თუ კისერსა ქიქაე მოიკიდოს ერგების, და მხურვალთა საქამადთა და სიტკბოთა და თაფლიანთა ერიდოს.

30

ჰუნაან იტყვის: ხელი გაიხსნას და ყვითლისა ჰალილასა წყლითა მუცელი დაიღობოს. და მაშინ ყურძნისა წყლითა, რომელსა ჰქვიან ძალისა ყურჯენი, და თუთუბასა შემგბრისა წყლითა და შემგბრისა ვახისა წყლითა, და გუნდადასა შემგბრისა წყლითა ილარღაროს, და მათ მანკათგან რაეცა უფროასი იყოს უფარესია.

კურნება მისი. იგი არს, რომელ თუთუბისა წყლითა და ნარსაქისა წყლითა და ხაშხაბითა, და ძალისა ყურძნითა და ნედლისა ქინძისა წყლითა ილარღაროს. და ხორხი მაგრად შეიპყრას, თუთაქსა რუბითა ილარღაროს. და ვარდი და სანდალი და ბროწყულისა ყუაგილი, და ქაფური და თუთაქსა რუბი, ერთგან გაპრიოს და თითსა შემოსცხოს და სისაე მით აიღოს და სიმხურვალეთა და თაფლიანთა ერიდოს.

40

სასადა ჩამოსულაა რომელ სიმრღილისგან იყოს. აბუჯარაიჰ იტყვის: ვითარებდა მისი ბალღმურისა გასარეველისგან იქნების რომელ სინედლე მოერიოს მას, და მაშინ სასადა შიგან შეჰყაროს, და სინედლისა სიმრავლითა გასუსთდეს და ჩამოვიდეს.

ნიშანი მისი რაე სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ სასაე მისგან უფროასი იყოს რომელ ყოფილ იყოს, და ფერად თეთრი იყოს, და რაე მხურვალთა პირსა შიგან დაიჭირვიდეს ელხინებოდეს, და დია არა სტკიოლდეს და საქამადსა ძლივს შთანქმიდეს.

კურნება მისი რაა სიგრილსგან იყოს. აბჯჯრიპ იტყვის: კურნება იგი არს, რომელ აბემაქითა და სპანძელისა წყლითა იღარღაროს. და რაა ძირი დაუწყულულდეს და წითელი არ იყოს ხამს მოკუტეთა მისი. და ძმრითა და ვარდის წყლითა იღარღაროს, და დანაყილი ნიშადური შესცხოს, და თუ გუნდაა და ნიშადური და თეთრი არჯასპი დანაყილი და მარალი შესცხოს კარგი არს. და თეთრი არჯასპი ძმრითა და თაფლითა შეაგბოს და შესცხოს ერგების. და მიწყით მარულ წყლითა იღარღარებდეს რომელ ძირი არ დაუწყულდეს, რომელ საშიშოა იქნების, რომელ სისხლი არ დაწარდეს და მგავე ბროწყული მისითა ცმელითა დანაყოს და მისითა წყლითა იღარღაროს. და რაა დაძქულდეს ღონე და კურნება მოკუტეთისგან კიდე არ იქნების.

10 ისაკ იტყვის: რომელ ლღვი შემგბარი ჭამოს რომელ თავი და ტუნი მანკისა სათაენოხსგან გაწმდეს. და უზმა ჩამიხი და გულანგუბინი ჭამოს, და თესლითა შექნილითა სიქანგუბინითა და სპანძელთა იღარღაროს. და სასა ფაჩარითა და გაგელითა სუღითა აიღოს. და სიგრილეთა ერიდებოდეს და ნატიფთა მიელტვოდეს და მუჟუდის წვენსა ჭამდეს.

იოჰანა იტყვის: ყუსტი თაფლისა შიგან დააღობს და მით იღარღაროს, და ცერეცოა დანაყოს და ქვეშეთ უქმოლოს, და ესე იწამლოს ვითარება მისი: მამითაა და ვარდი და თესლი მისი, და თუთუბაა და ზაფრანაა, და თავდარი და რუბასისი, და სპარსული ქონდარი და აყირყირაა, და ჰილბილი და დარაფილფილი, და ვაზმაზყი და ბროწყულისა ქერქი, და ზარდანჩოზაა და ყვითელი ჰალილაა, თეთოსსგან ნაწილი ერთი, შაბი და ჰუტუტი და ინაა, და ყაყულაა და წითელი ზარნიხი, და ყუსტი თეთოსსგან ნახევარი ნაწილი ყველაა დანაყილი და გაკრილი მანკისა ადვილსა შესცხოს, და ნატიფთა სპამადთა იხმარებდეს რომელ ერგოს კარგად.

შვ. სასინაა სიმსინე და ჩამოსულაა ორთა კვიკვირთა რომელსა კვიან არაბულად ღუბაღუბა. ვითარებაა სასისა სიმსინისაა. როფის იტყვის: სისხლისა სიმსინისა და მორევისსგან იქნების, ანუ ზაფრისა სიფიცისა და მორევისსგან, ანუ ჰავთა ბალღამთა სიჰავითა და სიმრავლითა, და ანუ სევდისა მორევისსა და სიფიცისსგან, თუ ამა ოთხთაგან ერთი ანუ ორი რომელსა შიგან შეყრილიყოს.

ნიშანი სასაჰსა სიმსინისა რაა ცა სისხლისგან იყოს. ნიშანი იგი არს, რომელ დია სტკიოდეს და ფერად წითელი იყოს. და მაგისი ნიშანი რომელ ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ სწყუროდეს და სტკიოდეს. და რაა ცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ ლბილად სტკიოდეს. და რაა ცა სევდისგან იყოს გაგრძელდები.

კურნება სასისა სიმსინისაა. როფის იტყვის: სიმსინე ქამისაა რაა გამოჩნდეს მრავალ ფერი იქნების და მით დია სახელი ჰქვიან, მით რომელ იქნების, რომელ სასაა ერთობით გასიღდეს მაშინ ასტაენი ჰქვიან, და მისი გაყუთა არ ეგების, მით რომელ სისხლი არ უკუდგების. და ეგების რომელ სასისა თავი გასიღდეს და მას ანაბი ჰქვიან, ეგების მოკვეთა მისი, და ეგების რომელ სასააა ძირი გასიღდეს და აშას ასლი ჰქვიან და ამისი გაკვეთა არ ეგების რომელ საშიშო არს, და გასიღების ვითარებაა რომელ სისხლისგან იყოს ყიფილი გაიხსნას, და ტუტისა შარაბითა და რვეისისა შარაბითა იღარღაროს. მაშა თუ არ უჩინარ იქნას, ტყემლისა წყლითა და ჰინდოფრისა თამრითა მუცელი დაიღობს, და მაშინ ვარდი და ბროწყულისა ქერქი და გუნდაა და ოსპი და თუთუბაა და მორდის მარკული წყლითა შეაგბოს და მით იღარღაროს. და ქრთილისა წყლსა ნუშის გულისა ზეთითა იხმარებდეს. და რაა სიმსინეა იხმარებდეს. და სპამადსა თუთუბისა ურწყომას და ალარდანისა ჭამდეს. და რაა სიმსინეა ზაფრისგან იყოს მუცელი დაიღობს ხიარშამბრისა ფოლოსითა, ვითამცა გულითა, და თარანგუბინითა და ძაღლის ყურძნისა წყლითა იღარღაროს. და ქრთილისა წყალი, და კატაკრამსა თესლისა წყალი ბაზრაცატუნისა ლობითა იხმაროს, და ბეჰეს გულისა¹⁾ ლუბითა, და ხაშხაშისა შარაბას სმიდეს, და სპამადად ალარდანისა ჭამდეს.

და თუ ბალღმისგან იყოს იარაა ფეყრითა მუცელი დაიღობოს, და ლქედისა შემგბარისა

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

წყლითა ილარღარობდეს, და უზმანან გულანგუბინი ჭამოს და მუხუდის წვენი ჭამოს, და გრილთა ერიდებოდეს, და თუ სევდისგან იყოს აფთიმონისა მატბუბი ჭამოს და ნელითა ჯუღაბითა ილარღაროს, და ცოტაა ზაფრანაა გარეული, რომელ ელხინოს და გამართლდეს.

ვითარებდა კვიკვირთა ჩამოსვლისაა რომელსა ჰქვიან დუბადმაა.

თებით ყურაა იტყვი: რაა კვიკვირი ჩამოვადეს რომელსა ჰქვიან არაბულად ლავათანი, ვითარებდა მისი გასარველისა სქელისა გლუსუნისაგან იქნების, ანუ დამწვრისა სისხლისგან, მაგრამ დაბჰაა სიმსიენე არს სასასა უკანით და ვითარებდა მისი სისხლისა მორვენისაგან იქნების, ანუ ზაფრისაგან ანუ გლუსუნისა ბალღმისაგან.

ნიშანი დაბადმაათა ჩამოსვლისაა, იგი არს, რომელ სასასა უკანით რა 10 ჰნახოს რომელ კვიკვირი ჩამოსულა და ჰკიდავს და ნიშანი მისი იგი არს, რომელ ნერწყუტსა ძლიე ჩანთქმოდეს და სული ძლივათ ამოვიდოდეს.

კურნება კვიკვირთა ჩამოსვლისა. თებით ყურა იტყვი: იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა და ყვითლითა ჰალიაათა, და ცოტაათა საყამონიაათა, რაა შეიგნოს რომელ სიმხურვალედგან არს ილარღაროს ტუტისა წყლითა და ხავარტისა წყლითა, და იჭიროს და შეაგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს და მით ილარღაროს, და ყელსა ჰქიჯა მოჰკიდოს, რომელ იგი სისხლი გაჰიოდოს, და მაშინ თუთუბისა წყლითა და ქინძითა და ვარდის წყლითა ილარღაროს, და რაა მანკი სიგრილისგან იყოს ნახევარ უკიამ სპანძელი დანაყილი, ნახევარსა ლიტრასა შეგგობილსა ლღელსა თანა გაჭროს და ილარღაროს, და პიტნასა შემგბრითა პირსა დაჭირეთა იხარკოს.

ბაყრატ იტყვი: კურნება იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ხილთა წყლითა 20 მუცელი დაიღბოს, ანუ ლბილითა ჰუყნაათა დაიღბოს, და ქრთილისა წყალსა ნუშის ზეთითა სმიდეს და მაშინ ქინძისა წყლითა ილარღაროს და თუ იცოდეს რაა გასიეგბულსა შიგან თხამლი იყოს ახლითა სძითა და ნუშის ზეთითა ილარღაროს. და თუ დაბჰაასა სიმსიენე სიგრილისაგან იყოს გაზრდილითა ნივჯითა ილარღაროს, და რაა სიმსიენე მოაკლდეს მუხუდისა წვენი ჭამოს. და თუ სულსა ძლიე იყვეთდეს და სიმსიენე გათთერებულ იყოს მანკი დაძველებული იქნების¹⁾. კურნება იგი არს, რომელ მოჰკვეთოს და თუთუბისა წყლითა და დაბეჭდულითა მიწითა, რომელ არაბულად ტინი მახთუმი ჰქვიან, ბევრჯელ ილარღაროს, და თუ ცხროა გამოჩნდეს კვერცხისა თეთრითა და ვარდისა ზეთითა ილარღაროს. და საჭამასა ზირაბაჯსა ჰამდეს, ერგების შეწვენითა ღმრთისათა.

შ. ხორხისა სიმსიენე რომელსა ჰქვიან არაბულად ხომინაჰი²⁾. ვითარებდა მისი რაა 30 სიმხურვალთ იყოს. იოჰანა იტყვი: სისხლისა სიმხურვალითა და მორვენისაგან იქნების, ანუ ზაფრისა სიმეტითა რომელ ხორხსა ხორცთა შიგან შეყრილიყენენ და მოერიენენ, და სიმსიენედ შექნილ იყოს.

ნიშანი რაა სიმხურვალთ იყოს. რაა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერი და პირი წითლად იყენენ მისი, და ნერწყუთა ძლიესა ნთქმიდეს. და ნიშანი მისი რააცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ფერი და ყვითლად იყოს და აცხრობდეს.

კურნება მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვი: რააცა სისხლისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას ორთავე ხელთაგან და ორჯელ სამჯერ სისხლი გაუშვას, და მაშინ ლისანალჰამლისა წყალი და ვარდის წყალი 40 და რუბი თუთაასი ერთგან შეყაროს და მით ილარღაროს, თუნდა კიდეს კიდეთა ილარღარონ. და ქრთილისა წყალსა სმიდეს რომელ შიგან ისპი და ნუშისა ზეთი ერიოს, და ანუ

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწიანზე რვეულთა სათვალავი სწერია „კე“ და შემდეგ გვერდის ქვემო აწიანზე „კე“.

²⁾ სარჩენი სწერია „ხუნაყი“.

უფ. ხორხისა ტკივილი სიგრილისგან იყოს და თუ სიმუხუკვალისგან ვითარებად მი-
სი რაჲ სიმუხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაჰარიას ძე იტყვის: რომელ ხორხისა
ტკივილი და ყერუჟი და დანაყოლობაჲ, უფროასი სისხლისა სიმრავლისგან იქნების და მო-
რეენისა მისისაგან, და ზაფრისა სიფიციხისაგან და სიმრავლისგანცა, რომელ ესე სენი გა-
მოჩნდეს, მაგრა იშვითა ოდესმე იქნების ესე.

ნიშანი მისი რაჲ რომელ სიმუხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან
იყოს იგი არს, რომელ პირი და თვალნი წითლად ედგას და ნიშანი მისი რაჲცა ზაფრის-
გან იყოს იგი არს, რომელ სწუროდეს და სტკიოდეს ძნელად, და ესე ძნელი და საში-
შოა არს.

- 10 კურნებაჲ მისი რაჲ, სიმუხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზაჰარიას ძე
იტყვის: რაჲცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყი-
ფლითა გაიხსნას და ძმრითა და სიქანგუბინისა შაქრითა შექნელითა და ნედლისა ქინძისა
წყლითა იღარღაროს, და სამ დღემდის ამასავე იქმოდეს, და მაშინ ხიარ შამბრისა ფოლო-
სი ახალსა სძესა შიგან დაალბოს და მით იღარღაროს. და თუ არ ეყოს ლღვი წყლითა
შეაგბოს, და ნახევარი უკიჲა ბაერუჟი და ორისა დრამისა წონი თაფლი გაჰროის, და მით
იღარღაროს. და ესრევე შეგებრისა უღბოასა წყლითა და სურმაათა იღარღაროს. და თუ
საქმე გაძნელდეს და ხორხი შეეწორდეს ესე წამალი ხორხსა ჩაჰბეროს, ვითარებაჲ მისი: სა-
ბნაასა და ბოლოკისა თესლი, და მარვი და უჰანი, და სიმუხური ბაერუჟი და ნაეშადური
თვითოასა ოდენი დანაყილი და გაცრილი ხორხსა ჩაუბერონ. და თუ ჩანთქმაჲ არასა შეეძ-
ლოს ქიჲაჲ რაჲცა უფროსი არს კისერსა მოჰკიდოს, და მოწორონ კარგად. და თუ იგი ორი
ძარღვი რომელ ენასა ქვეშეთ არს სისხლითა საცხე იყენენ გაიხსნას, მას უკანით რომელი
ყიფლითა გახსნილ იყოს, და თუ ხელის გახსნისა უკანით პირი გაუსივდეს, დაშაშრონ, რომელ
ჰავი სისხლი გამოვიდეს.

მესია იტყვის: თუ ზაფრისგან იყოს ყიფლითა გაიხსნას და მუცელი დაიღბოს,
და თუთუბაჲ ვარდის წყალსა შიგან დაალბოს და მით იღარღაროს, და ქრთილისა წყალი და
ბარაყატუნისა ლუაბი და ხიარ შამბრისა ფოლოსისა წყალი იხმაროს. და თუ შაჰნარი
ბროწყელი მისითა ცმელითა დანაყოს და უჰმაჲ მით იღარღაროს კარგი არს. და ხილთა
წყლითა მუცელი დაიღბოს ანუ ლბილისა ჰუყნაჲთა, და სიმუხურვალესა ერიოდს. და თუ ბა-
ზარაყატუნისა წყლითა და იისა ზეთითა და ბალბითა იღარღაროს, კარგი არს.

- 30 ხორხისა ტკივილი რომელ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტ-
ყვის: ესე მანკი რაჲ სიგრილისგან იყოს ბალბისა სიმუხურვალითა და მორეენისაგან იქ-
ნების, ანუ სქელისა სინედლისაგან რომელ ხორხსა და ხარხაჩსა შეყრილ იყოს, გრილისა და
ნედლისა საკამადისა ჰამისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ წყალი პირისგან
ღია სდიოდეს და ხორხი ღია სტკიოდეს, და საკამადსა ჰირით ჩანთქმიდეს, და ფერად თე-
თრი იყოს, და სიმუხურვალე ილხენდეს რაჲ მიხედეს.

- კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: კურ-
ნებაჲ იგი არს, რომელ ხუთისა დრამისა წონი სპანძელისა წყალი ლიტრაჲსა ერთსა თაფლ-
სა გაჰროის და მით იღარღაროს, ანუ სიქანგუბინითა და ბოლოკისა წყლითა, ანუ შეგებრი-
სა ლღვესა წყლითა და ბაერუჟითა იღარღაროს, რომლითაცა იღარღაროს ერგებოს. და
40 ბაერუჟი და ნიშადური და უჰანი დანაყილი ხორხთა ჩაუბერონ ერგების. და თუ მანკი
ძლიერად იყოს იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაუღბონ, ფიციხელითა ჰუყნაჲთა იხმარებდეს და
მერმე სიქანგუბინითა და აბეკმაჰითა იღარღაროს, და ბალადურისა თაფლსა ყელისა და კი-
სრისა მძივითა იცხებდეს, რომელ დაწყულულოს და სინედლე შიგნით დღმა გამოზიდოს. და
თუ სპანძელი და ნიშადური და აყირყირჰაჲ, და უჰანი და პილბილი დანაყილი თაფლითა

შეზილოს და უზმამან მით ილარაროს კარგი არს. და მკავეთა და გრილთა საჭამადთა ერიდოს და მუხუდის წვესა კამდეს.

მასობა აჲს ძე იტყვის: ყოყაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და ანუ ჰყუნაჲ უყოს, და შემგბრითა ლეღვითა და ჩამიჩითა და ბავრუქითა უზმამან ილარაროს. და ბაზუნაჲ და აქლოლამლაოქი და მარზანგოში და სისანბარი წყლითა შეაბგოს, და ბუხარსა მისსა პირი მიუბყრას, და პირი აღრინოს რომელ ხორხთა ჩაუბდეს, და სქელი სინედლე გააღნოს, და მუხუდის წუნესა კამდეს. და მანკისა დასაწყისსა ნიგვზისა რუბითა და თეთრითა არჯასპითა ილარაროს. და თუ ძალისა მძღრენი რომელსა ძქალი ეკამოს თაფლსა გაპროის და ხორხთა გავრშემო შესცხოს, კარგი არს.

10 იოჰანა იტყვის: ხორხისა ტკივილი რაჲცა ნაზასკე იყოს აღვილი. არს, ვითამცა წინაჲთუ და რაჲცა ნუყარაგაჰასაკე იყოს ძნელი არს, ვითამცა კისრისაკე. და მანკისა სინედლისა ნიშანი იგი არს, რომელ ხორხთა შემოაჭირებდეს და ცხროჲცა ერთოს და ესე იგი არს, რომელ მისგან დახსნაჲ არა ეგების.

20 შთ. დეჰაჲა ანუ ძჰალი რომელ ხორხსა დაეჩაროს. დეჰაჲა წურბელსა ჰქვიან და ზალვიცა ჰქვიან, და არაბულად ალჰაყი ჰქვიან.

ვითარებჲაჲ წურბელისაჲ: არბიასიოს იტყვის: რომელ ხორხსა შიგან დარჩეს მრღვისა წყლისა სმისგან იქნების, და ტჰაჲ იყოს არ მდინარე, მით რომელ წურბელი წარმავალსა წყალსა შიგან არ იქნების.

ნიშანი წურბელისაჲ. იგი არს, რომელ ხორხსა შიგნით ეგრე ეგონოს რომელ მას მოსწოვს რაჲმე, და ტკივილი და ჰირი ძნელი იყოს, და მიწყით ხორხისაგან თხელი სისხლი ამოდიოდეს და ეწყოდეს ძნელად.

კურნებჲაჲ წურბელისაჲ. რომელ ხორხსა შიგან დარჩეს. არბიასიოს იტყვის: რაჲ წურბელი ხორხსა ჩამოეკიდოს პიტნისა წყლითა ილარაროს, ანუ მის ხისა ფურცელითა რომელ მუმლინ ეხევეოდნენ, მისითა წყლითა, და მუმლსა ფაშაჲ ჰქვიან სპარსულად, და მისსა ხესა დრახმი ფაშაჲ ჰქვიან, და არაბულად შაჯარა თალბაყი ჰქვიან, და ანუ ძმრითა და უჰანითა ილარაროს, და თუ ძქელი ცხარი ძმარი და ნიორი და ნიშადური და გაგლილი არჯასპი ხორხთა ჩაჰბეროს წურბელი ზე გამოვა. ანუ ცხელსა აბანოჲსა მივიდეს და დიდხან დაყოს და იჯლომოს, მაშინ ანუ მყინვარი ანუ ცივი წყალი პირსა შიგან დაიჭიროს, კიდე გამოვა, სივრილსა მოჰმართებეს. და თუ წურბელი კიდე ჩნდეს გულანგუბნითა მოეკიდოს და ამოზიდოს. და თუ გამოვიდეს და სისხლი არ უქუდვდეს ბროწეულისა ქერქი და ბროწეულისა ყუბაილი და თეთრი საკმელი, და ხონისიაოშანი და გუნდაჲ, და გაგლილი ნიშასთავი ხორხთა ჩაჰბეროს.

30 ჯალნიოს იტყვის: ნიორსა კამდეს რომელ წურბელი გამოვიდეს, და თუ სტომაჰსა ჩასრულ იყოს ესე წამალი იხმაროს ვითარებჲაჲ მისი: ყაისუმი და აფსანთინი და სონიჯი, და თირმისი და მწარე ყუსტი, და თრუნჯისა გულისა გული და ჰაილდარვი თეთროსაგან დრამისა წონი, ყვალაჲ დანაყილი ძმარსა გაპროის და ჰამოს.

40 მასარჯოჲა იტყვის: კურნებჲაჲ მისი იგი არს, რომელ ნიორსა და სპანძელსა ჰამდეს ანუ ორი უკიაჲ ცხარი ძმარი, და ორი მუთყალი ბავრუკი, და ორი კბილი ნიორი ყველაჲ ერთგან გაპროის და მით ილარაროს გრგების, და თუ სტომაჰსა შიგან ჩასრულ იყოს სონიჯი და ყაისუმი და აფსანთინი ყველაჲ დანაყილი და გაცრილი ცხარსა ძმარსა გაპროის და ჰამოს, გრგების.

ვითარებჲაჲ ძქალისა რომელ ხორხსა შიგან დაეჩაროს. ისაკ იტყვის: ამისა ნივით წვრილისა თევზისა ჰამისაგან იქნების ანუ ფრინველთა ხორცისა კამისგან რომელ შიგან ძქალი იყოს, და ჰამისა ეჰამს ხორხსა შიგან დაეჩაროს.

ნიშანი ძქალისა რაჲ ხორხსა შიგან დარჩეს. იგი არს რომელ სნეულსა ჰკითხოს თუ რაჲ ჰამა, და ეგე მანკი და სენი რაჲსგან წაჰკიდებიაჲ, რომელ რაჲ უამბოს, დასტური შეიგნეს და ჰკურნოს.

კურნება ძეგლისა რაჲ ხორხსა დაეჩაროს. ისაკ იტყვის: თუ ჩნდეს მარწყუხითა ანუ შშვილდის საბლითა ამოიღოს, და თუ არა, არწყიოს რომელ გამოვლდეს და ცოცოტაჲსა წყალსა სმიდეს. ანუ დიდრვანთა ლუკმათა ჩანთქმიდეს რომელ ქვე ჩაჰყვეს, და რაჲ საჰმადი ხორხსა შიგან დაეჩაროს მკერდსა ზედა ანუ ზურგსა ზედა მჯილი ჰკრას რომელ ჩავიდეს. და რაჲსაცა სიმახვილე ჰქონდეს არა ხამს მკერდსა კვრამ, მით რომელ უფროჲ დამავარდების. და თუ ლეღვი და ცომი წყლითა შევაგბოს და მით იღარღაროს კარგი არს. და თუ ცოტაჲ ხორცი წითელი, მკედსა მოაბას და ჩანთქას და მაშინ ამოზიდოს უღონოდ, ძეგლი მას ხორცსა მოეციოდების და გამოჰყვებოს. მაშა თუ მავარი რაჲმე იყოს გამოვლებისაგან მოლაფლებჲა არა ხამს.

10 **და ხმისა დაჰამგინხბთვის.** ჰუნაჲნ იტყვის: ზახილისგან რაჲ ხმაჲ დახდილი იყოს ანუ მისგან იქნების ანუ ხორხისა სიხმელისაგან ფირტვისა ყიაჲ რომელ ხმელად ელდას.

კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ თეთრი ჩამიჩი უგულთა ნუშის გულისა ზეთსა შიგან დაალბოს და დილა საღამოთა ოცოტა მარცვალთა ჰამდეს. ანუ დანგი ერთი ~~საბრი~~ ამოზავებულსა კურცხსა გაურთოს და ხვრიტოს. ანუ ხველისა ჰაბი რომელ მეორესა წიგნსა შიგან ვახსენოთ იხმაროს. და რაჲცა ბლღმისა რეულობისგან იყოს და მიწყით იხარხარებდეს ¹⁾.

კურნებაჲ მისი იგი არს. რომელ ჯულაბითა და სპანძელისა წყლითა იღარღაროს 20 ერგების, და სპანძელი და პილპილი დანაყილი თაფლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და პირსა შიგან დაიჭირვიდეს, და ხაშხაშისა შარაბსა სემიდეს. და თუ იისა ზეთითა და კურცხისა ყვითლითა და ნიშასთავითა და ქათირაჲთა იღარღაროს კარგი არს, და ერგების შეწყვნითა ღმრთისთა.

რ. სისხლისა ამოხვლაჲ ხორხისგან და ჩუჰვიითა ამოჰოლაჲ სისხლისაჲ.

ვითარებაი რაჲ სისხლი ამოვიდოდეს ხორხისგან. ჯალინოს იტყვის: მით იქნების რომელ მდლისა ადვილსგან ჩამოიჭრეს, ანუ ვარე ნაკრავი მკერდსა სცემოდეს, ანუ ტყირბისგან იქნების, რომელ მკერდისგან ამოვიდოდეს.

ნიშანი რომელ სისხლი ხორხისგან ამოვიდოდეს. ნიშანი მისი რაჲ 30 ცა თავისგან ჩამოვიდოდეს იგი არს, რომელ თვალსა შუა სტკივოდეს. და ნიშანი მისი რომელ ტყირბისა და ფირტვისგან იყოს იგი არს, რომელ ხველასა ამოჰყვეს და თხელი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა მკერდისგან ამოვიდეს იგი არს, რომელ სისხლი შავი იყოს და სქელი.

კურნებაჲ სისხლისა რომელ ხორხისგან ამოვიდოდეს. ჯალინოს იტყვის: რაჲ სისხლი ცოცოტაჲ ამოვიდოდეს კურნებაჲ მისი ²⁾ იგი არს, ვარდის წყლითა თულუბჲა დაალბოს და დაწუროს და მით იღარღაროს, ანუ ისრიმისა წყლითა და მსგზავსითა მისითა იღარღაროს. და თუ ხველისა ჟამა ამოვიდოდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და ამით რომელ გვითქვამს იღარღაროს, და ესე წამალი იხმაროს რომელ ჩვენ გამოვაციდია ვითარებაჲ მისი: თეთრი საკმელი და ზონისიაოშანი ³⁾ თვითოჲ 40 საგან ორისა დრამისა წონი, ამარტაჲ რომელსა ჰქვიან ქაჰრაბაჲ დრამისა წონი, შადინაჲ და მიწაჲ დაბეჭდულჲ თვითოჲსაგან დრაჰკნისა წონი, ყველაჲ დანაყილი და გაცირილი სამისა დრამისა წონი, კერატსა ერთსა აფიონსა და ორსა დანგსა სუნბულსა ანუ კილაჲმონსა თანა იხმაროს, და დილა საღამოსა მმრითა წყალ რეულითა იღარღაროს. და თუ სისხლისა ამოვ-

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწიაზე რეულთა სათვალავი სწერია „კვ“ და შემდგმ გვერდზე „კბ“.

²⁾ ეს სიტყვა აწიაზე სწერია დედნის ზელით.

³⁾ ასო „ა“ ჩამატებულია ამ სიტყვაში.

ბასა თანა მკერდი სტკივოდეს ესევე წამალი ღვინითა და აღზოს და მანკისა ადგილსა იცხოს ერგების.

იოჰანა იტყვის: თუ რწყევითა და ამოღებისა ცდითა გამოვიდოდის საშიშოა არა არს. სომხური მიწა და არაბული გომიზი, და ბროწეულისა ყუბეილი და დრამინა და კოტაჲ ხონისიაოშანი და შობილი და ყველა დანაყილი და გაცრილი მორდსა და ბეჭესა თანა იხმარებდეს. და საქმადსა თუთუბისა ურწყომასა და კოწახურისასა და ოსპისასა და ისრიმი სასა ჰამდეს. და სისხლი რაჲ ხველაჲსა ამოჰყევოდეს საშიშოა იქნების, და უფროასი იგი იქნების გაუგრძელდების და არ დაეხსნების, ვერე ხაშს რომელ ბასალიკი გაიხსნას და ქაჰრაბასა ყურსი ჰამოს, და სანდალი და ვარდის წყალი და წითელი ვარდი მკერდსა შემოსდვას. და 10 თუ სისხლსა თანა ხველაჲ და ცხროა იყოს და მკერდი სტკივოდეს, ხაშხაში და მორდდანა და ნიშასთავი ჰამოს, და ქართლისა წყალი რომელ თიქნისა ფერხითა შექნილ იყოს იხმარებდეს და პურსა ჯულაბითა და ნუშისა ზეთითა და შაქრითა ჰამდეს ერგების.

სისხლი რომელ რწყევასა ამოჰყევოდეს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: სისხლი რაჲ რწყევითა ამოვიდოდეს მაგარისა ნაკრავისგან იქნების, რომელ მკერდსა სცემოდეს, და ანუ მაღლისა ადგილისგან ჩამოჰკრილი იყოს და ძარღვი სტომაქსა შიგან მით ვახსნილ იყოს და ანუ სისხლისა სიმრავლისაგან.

ნიშანი სისხლისა რაჲ რწყევით ამოვიდოდეს. ნიშანი მისი რაჲცა ნაკრავისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლისა ამოღებისა ჟამსა სტომაქი სტკივოდეს და ნიშანი მისი რაჲცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს იგი არს, რომელ ყური წითლად ეღვას და 20 სისხლსა ღია ამოვიდოდეს ერთგან და სტომაქი არა სტკივოდეს.

კურნებაჲ სისხლისა რომელ რწყევით ამოიღებდეს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: სისხლი რომელ მიწყით და ღია ამოვიდოდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას მეტად მაშინ რომელ ორთა მხართა შუა სტკივოდეს, მაშინ კოტაჲ თეთრი საქმელი მჟეიას ბეჭესა გულისა ლუბმსა და ბეჭესა წყალსა შიგან დააღობოს და იხმაროს, და გრკოჲ და ჰანჯაქი ჩამიხითა ჰამოს. და ამას წამალსა მიწყით ჰამდეს ვითარებაჲ მისი: სომხური მიწაჲ და არაბული გომიზი და ბროწეულისა ყუბეილი და ხონისიაოშანი და თეთრი საქმელი ¹⁾ თეთისაგან ნაწილი ერთი, ყველა დანაყილი ბეჭესა შარაბსა თანა ანუ ვაშლისა შარაბსა თანა გაჰრიოს და იხმაროს, და საქმადსა ისრიმისა ურწყომასა ჰამდეს და ალარდნისა და ნუშისა ზეთითა და სიმჟურველეთა და სი 30 ფიცხეთა ერიდოს.

ფოლოს იტყვის: რაჲ ნაკრავისგან იყოს ანუ დაცემისგან ხელი გაიხსნას, და ბეჭესა შარაბი და ვაშლისა შარაბი იხმაროს და თუ მუცლისა დაღობაჲ უნდეს ხილთა წყლითა და თონიჯისა წყლითა და ფანიდითა მუცელი დაიღობოს. და ლასანლაჰამალისა წყალი ანუ დაბეჭედილი მიწაჲ იხმაროს. და ბარსიანისა მოწამლულსა და სისხლისა ამოღებასა ერგების რაჲ გვარადცა იყოს, რაჲ წამალი თანა გაჰკრიონ ანუ მარტოჲ იხმარონ და სვან. და თუ უკიაჲ ერთი ლერწმისა ძირისა წყალი კოტაჲთა ქაჰრაბათაჲ იხმაროს კარგი არს. და ყურსი ანდრომახისი სისხლისა ამოღებასა და სტომაქისა სიწყულულეთა ერგების.

ისაკ იტყვის: თუ სისხლისგან იყოს რომელ სტომაქსა შიგან მკერილ იყოს არაჲ საშიშოა არს, რომელ მშვიდობისაჲ ნიშანი ²⁾ არს. მაგრა კურნებაჲ იგი არს, რომელ დამჰირავსა ჰამდეს ვითა ბროწეულისა შარაბსა და ტუტაჲსა შარაბსა, და ალარდნისა და ისრიმისა შარაბსა, და თუთუბისა წყალსა რომელ ერგების. და თუ თუთუბაჲ და აყაყიაჲ და მური და აფიონი მმარსა გაჰრიოს და იხმაროს ამას მანკსა ერგების, თუ ღმერთსა უნდეს. რა. ხველაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს ანუ სიმბრლინგან. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. ბაყრატი იტყვის: იგი არს, რომელ გარეგან ფირტვისა ანუ მკერ-

¹⁾ აქ განმეორებულია, და თეთრი საქმელი⁴

²⁾ ეს სიტყვა ჩამატებულია.

დისა და ვახუტეშვილ იყოს. ანუ ზაფრისა სიფიცისა და მორევისაგან, ანუ სიმხურვალითა და მორევისა სისხლისაგან, ანუ მეტად მხურვალისა საკამადისა ჭამისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ მკერდი ღია მხურვალედ იყოს და ფერად წითელი იყოს, და ძარღვი ადგომით იყენენ, და რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ღია სწყუროდეს და მაჯასი ფიქლად მფეთქელი იყოს, და რაჲცა ამოილოს ყვითელი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიმხურვალისგან იყოს. ბაყრატი იტყვის: რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და უზმად ქრთილისა წყალსა სმიდეს, და ხაშხაშისა შარაბსა და ვაზრდილისა იისა შარაბსა, და ბაზრაყატუნისა ლუბსა 10 და კატკატოხსა თესლისა წყალსა ხაშხაშისა შარაბითა სმიდეს, და მიწყით ტკბილსა ბროწყელსა მოსწოდეს. და საკამადსა ბაკლასა ჭამდეს ნუშისა ზეთითა, და თუ კატკატოხსა წყალი ბაზრაყატუნისა ლუბსა ვაჭროს და ხავარტისა წყალსა და იხმარებდეს კარგი არს. და გრილთა შემოსდებითა მკერდსა შემოსდებდეს, და თუ ხველასა ცხროვ ერთოს და ღია აწყენდეს ესე წამალი მას ღია ერგების, ვითარებაჲ მისი: ნიშასთავი და ქათირა და რომასისი თვითოხსაგან ხუთისა დრამისა წონი, აფიონი ხუთისა დანგისა წონი, ყველა და-ნაყილი ბაზრაყატუნისა წყლითა შეზილოს და ბტყელი ჰაბი ქნას, თვითოჲ მისი ნახეარისა დრამისა წონი, და რაჲ ღამე ანუ ორსა ანუ ოთხსა ჰაბსა ჭამდეს მისგნით, და ენასა ქვეშეთ დაიჭირიდეს.

მასარჯოჲ იტყვის: თუ ხველასა ცხროვ ერთოს ესე წამალი იხმაროს, ნიშას- 20 თავი და ქათირა და რუბასისი თვითოხსაგან ნაწილი ერთი, და წყალი ხავარტისა ძირისაჲ, ყველა ჰაბად ქნას და დაძინებისა ჟამსა ენასა ქვეშეთ დაიჭირიდეს, და ზოფასა მატბუხი და ხაარშამბრისა ფოლოსი და რუბასისი და ეგეთი რაჲმე რომელ მკერდსა ადრე მოა-ღობდეს იხმარებდეს. და რაჲ ხველას სიღბოჲთა იყოს და ხერენდეს ხაშხაშისა ყურსი და მორღდანასა ყურსი ჭამოს, ერგების.

ჯალნოს იტყვის: ხველაჲ რაჲ სიმხურვალე სიგრილთა იყოს, ქრთილისა წყა-ლი და ვაზრდილი იაჲ ჭამოს. და თუ ვაზრდილი იაჲ ზუფად მატბუხითა ჭამოს კარგი არს, და მაშინ რაჲ ორი ჰაჰად გარდვიდეს, ვითამცა ორი ჟამი, მაშინ ქრთილისა წყალი სუას იისა ზეთითა და შაქრითა, და ბაკლასა წყალსა სმიდეს და თუ შექელოს ბასალიკისა ძარ- 30 ლვი გაიხსნას, ერგების და.

ვითარებაჲ ხველისაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. ფოლის იტყვის: ბალღმისა სიმრავლითა და მორევისაგან იქნების, რომელ ფირტვისაჲ გარეჲ და მკერდისა გარეჲჲ გაეგრძილოს, ვითამცა ბუნებაჲ მათი გაეგრძილოს. ანუ ფიქელისა სინედ-ლისაგან იქნების, რომელ ტვინისგან ჩამოსრულ იყოს, და მკერდსა ანუ ფირტვისა შეყრილ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მკერდი გრილად იყოს და ბალოში რაჲცა მკერდისგან გამოვიდეს თეთრი იყოს, და ნიშანი მისი რომელ ტვინისა სინედლისგან იყოს, რომელ ჩამოსრულ იყოს იგი არს, რომელ სურდოჲსგან ქნილ იყოს, და ფიქტვისა ხარბაჲსა რომელ სპარსულად ნაზად ჰქვიან უკბენდეს, და ნაზად მით ჰქვიან რომელ ნასა ჰგავს.

კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისგან იყოს. ფოლოს იტყვის: იგი არს, რომელ უზამან გულანგუბინი ჭამოს და ლედესა შემგბარსა და ჩამიჩსა ნუშისა ზეთითა ჭამდეს, და მუხუდოს წვენსა და ტრედის ხუნდსა შორაბათა შექნილსა ჭამდეს და შემგბარსა ლეინოსა იხმარებდეს კარგი არს. და თუ მანკი ძნელად იყოს მუცელი დაიღბოს რუფისისა იარაჲთა, და მაშინ ზოფასა მატბუხითა ჭამდეს და ესე წამალი ერგების ვითარებაჲ მისი: ბადიანისა თესლი და ნიახურისა თესლი, და ვარჰარამისა ძირი და ხმელი ზოფად და ბოლოკისა თესლი, და ფარი სავოშანი, თვითოხსაგან პევშევი ერთი, ყველა ორითა ლიტრი-

თა წყლითა შეაბგოს რომელ ნახევრად დაეიდეს, მაშინ დაწუროს, და რაჲ დღე მისგან ნახევარსა ლიტრასა იხმარებდეს. და ესე წამალი სხვაჲ ვითარებაჲ მისი: რომასუსი უკიაჲ ერთი, ზოფაჲ ხმელი და ანჯირაჲსა თესლი, და ფარისიაფოშანი და ცაჲს ფერისა სოსნისა ძირი, და ყურღემნაჲ და ფილფილი, და მრგვალი ზარაჲვანი და მწარე ნუში, და სპანძელი თეთროჲსაგან ხუთისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყლი და გაცრილი ხმარებისა ეჲმსა ნიგვზისა ოდენი ჴამოს.

ისი აკ იტყვის: გულანგუბინი და თაფლი ლეღსა შემგებარსა გაჰრიოს და ჴამოს. და სელსა თაფლითა ჴაძდეს, და თუ შემგებარისა ბადიანისა წყალი შეჰერთა ტაბარზადითა ჴამოს ერგების. და ნელსა ხველსა ლეღვი და ნუში ნიგოზსა თანა ჴამოს. და კურნებაჲ 10 მისი რომელ ტენისა სინედლისგან იყოს ხამს რომელ ხაშხაშისა შარაბსა სვიმდეს და ხმელისა ვარდისა ფურცელი და ბროწეულისა ყვავილი და ხანჯაქი წყლითა შეაგბოს და ძილისა ეჲმსა მისათა წყლითა იღარღაროს. და მას ჴაბსა პირსა შიგა დაიჰირვიდეს ვითარებაჲ მისი: ნიშნითაჲ და ჴითორაჲ და ნუში და ბაქლაჲ ქქაქ შეხილი და ხაშხაშისა ყული და ქერქი, და გომიზი არაბული და სომხური მიწაჲ თეთროჲსაგან ნაწილი ერთი, ყველაჲ ჴაბად შექნას ბაზრაყატუნისა წყლითა.

რბ. ხველაჲ რომელ სიჰამლისგან იყოს ანუ სინედლისგან. ვითარებაჲ მისი რაჲ სინედლისგან იყოს. მუჴამედ ზაქარიას ძე იტყვის: უფროჲსი ესე მანკი ეგეთთა კაცთა შეეჩნების რომელ ნებიერად გაზრდილი იყვნენ და არა მიჰპირდებოდეს, და გრილი და ნელი საჴამელი დია ეჴმოს მეტად სიბერისა ეჲმსა.

20 ნიშანი მისი რაჲ სინედლისგან იყოს: იგი არს რომელ 1) ბალღამსა დიდი ამოადებდეს ხორხისგან, მეტად ძილისა უჴანით, და მიწყით ბალღამი ხორხსა შიგან მხად ჴქონდეს და იხარხარებდეს და ფირტესა იკებნდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სინედლისგან იყოს. მუჴამედ ზაქარიას ძე იტყვის: იგი არს, რომელ მიწყით ცხელსა აბანოჲსა შიგან მივიდოდეს და დიდხან დაზღიდეს შიგან, რომელ დიდი ოფლი გამოეცეს, და მაშინ ძქელსა ლენოჲსა სმიდეს და კალიათა იხმარებდეს, და წვადსა ჴაძდეს, და რაჲცა წყლითა შექნილი იყოს მის უხდურსა თანასა ნუ ჴამს, და კალიაჲ იხმაროს. და უხამან შივი ჩამირი უგულოჲ ჴამოს და დია იარებოდეს, რომელ ერგების, და ვიდრემდე შეეძლოს საჴიროჲსა საჴემებსა ეჴმოდეს რომელ გამოსვენებაჲ დიდად ავენებს, და საჴამადისა ჴამასა უწინათ ხმა მალღად რაჲსმე იეთხვიდეს, რომელ ზახილითა ძალითა სინედლე რომელ მკერდსა ანუ ფირტესა შიგან იყოს დეულიოს. და ეგეთთა საჴამადთა რომელ შიგან სინედლე იყოს ერიდოს, ვითა სძე და მაწონი, და ახალი ნელი ხილი არ აშენიან, ნუ ჴამს. და ეგეთთა რაჲსმე მიელტვოდეს რომელ შიგან სინემეღ დიდი იყოს.

მასოჲსაჲ ძე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ საჴიროჲთა სჴქმეთა იჴმოდეს და დია იარებოდეს, და მოიჰირვოს რომელ ოფლი ტანისგან გამოეცემიოს. და მიწყით მას ჴაბსა პირსა შიგან დაჰირვიდეს ვითარებაჲ მისი: რებასოსი ხუთისა დრამისა წონი, პილპილი და მური და ყურღემნაჲ, და მწარე ნუში თეთროჲსაგან ორისა დრამისა წონი, უჴანი დრამისა წონი, ყველაჲ დანაყლი თაფლითა შეხილოს და ჴაბად შექნას და პირსა შიგან დაიჰირვიდეს. მაშა თუ მანკი ხველისაჲ გაუხნელდეს და ძილად არ მიუშვებდეს 40 ლამით, ესე ჴაბი იხმაროს ჴეენ გამოგვიცლია, მარგი და კარგი არს, ვითარებაჲ მისი: მური და მიაჲ, და თეთრი საჴმელი თეთროჲსაგან ნაწილი ერთი, იფირონი მეოთხედი ერთისა ნაწილისა, ყველაჲ დანაყოს და გაცრის და ჴაბად შექნას, თეთროჲ მისი დანგი, და ხმარებისა ეჲმსა ორსა, ანუ სამსა ჴაბსა ენასა ჴეეშე დაჰირვიდეს ერგების. და ჴამოდ დააძინებს და ხველასა დააკლებს და მანქსა გააჴარებს.

1) ეს სპინი სიტყვა ტექსტში განმარტებულია.

ხეელაა რაა სიხმელისგან იყოს, ვითარებამ მისი. მადაინელი იტყვის: რააცა სიხმელისგან იყოს ფირტვისა სიხმელისგან იქნების, და უფროასჯერ მისგან იქნების, რომელ ეგეთი საქამადი ეკამოს რომელ ბუნებად ხმელი იყოს, და მისგნით დია, ეკამოს ვითა აპუხტი და მსგავსი მისი.

ნიშანი მისი რაა სიხმელისგან იყოს. იგი არს, რომელ ხეელისა ეამსა ხორხისაგან არა ამოვიდოდეს და ზამთრის უსუბუქესი იყოს და აბანოასა შიგან სიმძლრისა ეამსა უკეთესი იყოს, და სული დამოკლებით იყოს ფირტვისა სიხმელისა მისაფერად, და ტანი მქლედ იყოს, და მაჯასი ფიცხელი იყოს.

კურნებამ მისი რაა სიხმელისგან იყოს. მადაინი იტყვის: კურნებამ იგი არს, ქრთილისა წყალსა სმიდეს ნუშისა ზეთითა და ბაზრაცატუნისა ლუაბი და ჯულთნი იხმაროს. და უზმამან ხაშხაშისა წყალი სუას, და მიწყით აბანოს მივიდოდეს და დია ნუ დაზამს, და შურავასა ჰამდეს რომელ ბატქნისა ხორციითა შექნილი იყოს. და თუ ხეელაა სეველისგან იყოს კურნებამ იგი არს, რომელ ანაქუეთისაგან ჰასოა და ნუშისა ზეთი ურთოს და ჰამდეს, და ჰარისსა ჰამდეს ბატქნისა ხორციითა შექნილსა, და თანიდი დანაყოს და ჰარისსა მოიყაროს და ეგრე ჰამოს. და მუავეთა ერიდებოდეს და მხურვალეთა და ნედლთა საქამადთა ჰამდეს.

ნიშანი იტყვის: თუ ფირტვისა სიხმელისაგან იყოს კურნებამ იგი არს, რომელ ქრთილისა წყალსა სმიდეს რომელ შიგან ხაშხაში და სეფისთონი რთულ იყოს, მეტად მაშინ რაა ხეელასა ცხროა ერთოს, და ცისკრისა ეამსა სმიდეს ქრთილისა წყალსა, და სადილობისა ეამსა თვითო ჯერსა მანისა ნახევარი, და მანი ლიტრისა უმცროა არს სამოცთა დრამისა წონითა, და შუადლისა ეამსა მორწყულსა აღვილსა დაჯდებოდეს, და შემგებარსა აყიროსა ნუშისა ზეთითა ჰამდეს, და მიწყით ამას ჰამსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს რომელ ჩვენ გამოგვიცდია დია კარგი არს ვითარებამ მისი: რობასუსი უქიაა ერთი, აყიროასა თესლი და კიტრისა თესლი და კატკატოასა თესლი თვითოასაგან შევიდოს დრამისა წონი, ყველა დანაყილი ბაზრაცატუნისა წყლითა და კვერცხისა თეთრითა შეზილოს და ჰამად ქნას, და პირსა შიგან დაიჭირვიდეს. და თუ არ იყოს წყლისა ნაცვლად სძესა სმიდეს ანუ დიაცისა სძესა სმიდეს, და თხისა სძე უმჯობესია ყოვლისა, მეტად მაშინ, რომელ მწვანე ეძოვროს და აბანოსა პურკმული მივიდოდეს. მაგრა დია ჯდომამ აენებს, ადრე გამოვიდოდეს ერგების.

რბ. რაბომა რომელ სიმხურვალისგან იყოს ანუ სიმგრილისაგან. ვითარებამ მისი რომელ სიმხურვალისგან ქნილ იყოს. თებით ყურამ იტყვის: რაბოსა სპარსულად დამა ჰქვიან და სიმხურვალისგან იქნების, ანუ გასარეველისა ზაფრისგან რომელ ფირტვისა ყელყეჟსა შიგან შეიყაროს, ანუ მკერდსა შიგან შეყრილ იყოს და მუნ დამკვიდრებულ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ ხორხი უხურვდეს და სული დამოკლებულ იყოს, და წყურვილი დია იყოს, და საქმისა ქნითა და შერვიითა უფარ გახდეს და ახველდეს, და ქვე ჯდომით გამოსვენებთა მოიჯობინოს. კურნებამ მისი რაა სიმხურვალისგან ქნილ იყოს. თებით ყურამ იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და ორთავე მხართა შუა ქიქამ მოიკიდოს და მუცელი დილობოს სუბუქითა რაათმე, ვითა შემგებარი ხილი და თამრიჰინდისა შარაბითა და მსგავსი ამათი. და მიშინ ქაფურისა ყურსი და ვარდისა ყურსი იხმაროს, გაზრდილი იან და ქრთილისა წყალი ვარპარამისა ძირითა შეეგბოს ¹⁾ და სვას. და სიმხურვალეთა ერიდოს, და პურსა ჯულაბსა შიგან დაალბობდეს და ეგრე ჰამდეს, და ჯულაბი და ნუშისა ზეთი და ძმარი ერთგან გაჰიროს და იხმაროს. და გრილთა მალჰამათა რომელ გრილთა ზეზითა შექნილ იყოს მიწყით მკერდსა შემოსდებდეს.

¹⁾ ამ სამ სიტყვას თაზეზ ხედრთული ხელთ აწერია „რამისა ძირითა შეეგბოს და სვას“.

სინაფსე იტყვის: რამ ესე მანკი და სულისა სიმოკლე ერთგან იყენენ, რომელ არაბულად მას ტიყა ნაფსი ჰქვიან, სიმბურვალსგან იქნებოს, კურნება იგი არს, რომელ ბასალყე გაიხსნას და ოთრავე მხართა შუა ჰქვიან მოჰკიდოს. და მაშინ ესე ყურსი იხმაროს ვითარება მისი: ვარდი სამისა დრამისა წონი, ვირპარამისა ძირი შედისა დრამისა წონი, კოწახური დრამისა წონი, მასთაჲე და რეევანდი და აფშარაჲ დაფითისა, და აფშარაჲ აფსინთინისა, და ფაზარი და ანისონი, და ბადიანისა თესლი თეთოთასაგან დრამისა წონი და ნახევარი, ორთავე კეტრთა თესლი და აყიროხსა თესლი, და ნესვისა თესლი თეთოთასგან ნახევარი დრამისა წონი, გომიზი და ქათირაჲ და რუბასუსი, და ხორფარასისა თესლი რომელ არაბულად ხაბზი ჰქვიან თეთოთასგან ოთხისა დანგისა წონი ყველა დანაყილი და 10 გაცილი წყლითა შეზილოს და ყურსად შექნას, და ხმარებისა ჟამსა მისგნით ორისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ მანკი სიხმელისგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ სწყუროდეს და ხმაჲ დაწლოდეს იყოს, ხამს რომელ მიწყუთ შირახიშთსა ჰამდეს რომელ სიხმელე კიდევ გამოიღოს და ეკროს.

რამოჲ რომელ სიგრილისგან ქნილ იყოს ვითარებამ მისი. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ამის მანკისა გამოჩენად უფროჲსი ბალღისა სქელისაგან იქნების, რომელ ფირტვისა ყელუყუსა ჩასრულ იყოს და მუნ შეყრილი. ანუ გულსუნისა სინედლისგან, რომელ თავისგან ჩამოვალს და მუნვე დადგების ფირტვისა ნახაჲსა, და ანუ მყერდსა ჩამოვალს და მუნ დამკვიდრდების.

ნიშანი მისი რამ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მყერდსა და ხორხსა ხარხარი იყოს, და სული დამოკლებულ იყოს და იხეღვდეს. და სიცივისა ჟამსა და საქმისა ძეგლისა ჟამსა სქელი ბალღამი ხორხისგან დია გამოვიდოდეს.

კურნება მისი რამ სიგრილისგან იყოს: მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: იგი არს, რომელ ორი პეგზეი უღბაჲ, და მანისა ნახევარი ხურმაჲ, სამსა მანსა წყალსა შიგან შეაბგოს და კარგდ აღუღლოს, და ხურმაჲ დაფუშნას მაშინ დაწუროს და ჰამოს და ეგეთთა რამსეჲ რომელ ბალღამსა დაამკრობდეს ჰამდეს, ვითა მუხუღოს წვენსა და სხანძელისა თესლსა მოაყრიდეს ზედა, და ბოლოკი და ფურცელი მისი შეაბგოს და იხმაროს, და თუ რაბუსა მყერდისა სიძესე ერთოს ანაკვეთი წყლითა დაასოვლოს და დანაყოს, და წყალი მისი სძითა შეაბგოს და დანაყალი ფანიდი ზედა მოაყაროს, და ბადიანისა თესლი და ძირაჲ და ანისონი შიგან გაუროთოს, და უზამამან შესვას და ტკბილსა ნესვსა ჰამდეს ერთგების. 30

მასარაჯოჲ იტყვის: მყერდი გაწმიდოს და მუცელი ამით ჰაბითა დაიღობს ვითარებამ მისი: ღარიყონი ოთხისა დანგისა წონი, შაჰმი ჰანტალი დანგი და ნახევარი, კიტრისა აფშარაჲ დანგი ერთი, რეზასოსი ნახევარისა დრამისა წონი, ყველა დანაყილი და გაცილი, ბადიანისა თესლი და ფანიდი გაჰიროს და იხმაროს. და ესე მაჯუნი ჩვენ გამოგვიცლია ამას მანკსა ეკრების ვითარებამ მისი: ჯალღორაჲ და ფანიდი და ბადიანისა თესლი ყველაჲ წუილად გავალოს და თათულითა შეზილოს, და იხმარებდეს.

ჰუნან იტყვის: კურნება იგი არს, რომელ არწოყის ნელითასიქანგუბინითა და ბაჲრუკითა და სპანძელითა რომელ სტომაჲი გაწმდეს. და მაშინ მიიასა ჰაბი და უღობოსა ლუოყი საჰამდსა უწინაბთერ ჰამოს, და ვიდრე შეეძლოს მღვიძარე იყოს მით რომელ ძილი 40 სულსა დაამოკლებს და მანქა დიდსა თავისგან ჩამოიღებს, და მანკსა მოუმატებს და საჰამადსა ხოხბისა და კაკაბისა კალიად შექნილსა ჰამდეს. და მწვანელითა თანა ქონდარი და პიტნაჲ, დი სპანძელი ჰამოს და გრძობისა ხორცსა ამის მანკისაჲგის დიდი ხასიათი აქვს საკვირვლად მარგებელი არს.

რდ. შირატვისა განივებაჲ რომელსა ჰძვიან არაბულად დამთარაჲ, რამ სიმხურვალისგან იყოს. ჯალინოს იტყვის: ვითარებამ მისი სასხლისა მორეგნისაგან იქნების, რომ

შელ ფირტესა შიგან შეყრილ იყოს, ანუ ზაფრისა სიმეტითა, ანუ ორთავანევი რომელ ერთგან გარეულოყოს და ფირტესა შიგან შეიყარნენ, და მუნ სიმსივნედ ქნილ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისგან ვასივებულ იყოს. ნიშანი იგი არს, მისი რომელ იხველდეს და აცხრობდეს. და სული დაუმოკლდეს და ფერად წითელი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ცხრომ დია ფიტხელი იყოს და სწყუროდეს. კურნებამ მისი რომელ მის სიმბურვალისგან ქნალ იყოს. ჯალნიონს იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიკი ვაიხსნას. ქრთილისა წყალი და შაქარი და ბაზრაცატუნისა წყალი სვას, და რებასოსი თეთრითა შაქრითა ჭამოს. და თუ მანკი ძნელად იყოს ლბილითა ჭყნითა მუცელი დაიღბოს, და ქრთილისა წყალი და ნუშისა ზეთი და ფანდი¹⁾ 10 ჭამოს. და თუ მანკი სხეზათა უკანის გამოჩნილ იყოს ვითა დათალ ჯანბი ანუ რაბვი ანუ მძიმენი სნებანი ხელსა ნუ ვაიხსნის, რომელ არ დაუსუსურდეს და საშიშოა არს რომელ სხვადაცა რაჲ მე სენი გამოჩნდეს.

ფოლოს იტყვის: თუ სნეულსა შეეძლოს ბასალიკი ვაიხსნას და ძალისა მისათე- რად სისხლი გაუშვან. და მაშინ ქრთილისა წყალი სვას, რომელ სეფისთანითა და უნებითა შექნილ იყოს. და მიწყით ტკბილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს და ბაზრაცატუნისა ლუბი და ბეჰისა გულისა ლუბი იისა შარაბსა გაჭრიოს და მას სმიდეს, მეტად უზმამან. და თუ შეკრვით იყოს ხიარშამბრისა ფოლოსითა და იისა შარაბითა მუცელი დაიღბოს, და ხაშხაშისა შარაბითა ილარაროს ერგებოს. და მეშბაპარისა წყალი და კატკატოასა თესლი და ძალისა ყურძნისა წყალი მკერდსა იცხოს, და მეხუთესა დღესა ამის წყლისა ნაცვლად 20 იისა ზეთი და ნილოფარისა ზეთი, და თეთრი ცვილი და ქაფური, მალჰამად შექნას და მკერდსა შესცოს და ზოფაჰასა, მატბუხი ჭამოს. და რაჲ ცხრომ და ხველად დააკლდეს და სნეული უსუსურად იყოს, ყიროასა ურწყოა ჭამოს ნუშისა ზეთითა, ანუ მაშასა ურწყოა. და რაჲ შეიგნეს რომელ მანკი აღარა არს, ვარია წვადად ჭამოს, და სიმბურვალეთა ერიდებოდეს, და საჭამადსა დია ნუ ჭამს ნუ თუ შეძლებული იყოს, რომელ კარგად ერგოს.

ფირტესისა სიმსივნედ რაჲ სიგრილისგან იყოს: ვითარებამ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს.

თებით ყურაყა იტყვის: ვითარებამ ბაღღმისა სიმბურვალისაგან იქნების, რომელ ფირტესა შიგან შეყრილ იყოს, ანუ სინედლისაგან, რომელ თავისა ტვისისაგან ჩამოსრულ იყოს და მოერივნეს და უსუსურობისაგან ფირტესა მათი გაყენებამ არ შეეძლოს, შიგან 30 დამკვიდრდეს და სიმსივნედ და მანკად შეიქმნეს შიგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ სული დაუმოკლდეს დია და იხველდეს და პირსა წყალი სდიოდეს და ცხრომ ფიტხელი არ იყოს, წყნარი იყოს. კურნებამ მისი რაჲ სიგრილისაგან ქნალ იყოს. თებით ყურაყა იტყვის: ლეღვისა შემგბარისა ჭამოს და გულანგუბინი თბიერითა წყლითა იხმაროს, და სიმეავეთა ერიდებოდეს და თუ დანაყილ სელი თაფლითა ჭამოს კარგი არს. ანუ ბადიანისა³⁾ შემგბარისა წყალი შაქრითა იხმაროს. და თუ მანკი ძლიერად იყოს ხმელისა ზოფაჰასა მატბუხი იხმაროს და ფარისიაოშანი იისა ზეთითა, და ჯალოორასა ზეთი და ფუსთუყისა⁴⁾ ზეთი მკერდსა იცხოს კარგი არს. და საჭამადსა მას ჭამდეს რომელ იფქლისა და ქარსნაჰასა და თაფლისა და ნუშის ზეთისგან შექნილ იყოს. და თუ შურგავა თიკნისა ხორციითა შექნილ 40 იყოს და მხურვალითა სანელებლითა შეზავებული იხმაროს დია ერგებოს. და ჩამიჩისა წყალი და თაფლისა წყალი და შემგბარი ლეინომ მას დია ერგებოს. და თუ მკერდი ნარგისისა ზეთითა და სოსანისა ზეთითა, და ცვლითა და ქათირაათა, რომელ მალჰამა ვითა შექნილ იყოს შესცებდეს⁵⁾.

არბიასი იტყვის: ესე მატბუხი ჭამოს ვითარებამ მისი: ლეღვი და უნაბი და ჩაიჩი ტაიფური, და სიფისთანნი და იაჲ და ბაღღმისა თესლი, და ბროწეულისა გული და

1) ამ სიტყვას ნიშანი უხის და აშაიხ სწერია მხედრულთი „შაქარი“.

2) ამ სიტყვის ვასწერივ აშაიხ სწერია მხედრულთი „კურკანტელა“.

3) ამ სიტყვის ვასწერივ აშაიხ სწერია მხედრულთი „ბადიანი რაზიანის ჭყნით ამ წიგნით“.

4) ამ სიტყვის ნიშანი უხის და აშაიხ სწერია „თბილი“.

5) ამ სიტყვის ვასწერივ აშაიხ სწერია მხედრულთი „ფარისიაოშანი წყლის პირს არის ცხენის ჭუსაც ვაბიანა“.

ფარსიანთა თვითოვანად ჰევეთი ერთი, ყველა წყლითა ადუღოს რომელ გულაბი ვითა შეიქნეს, და მაშინ ორი უკია მისგნით იხმაროს ერგების. და თუ ბადიანისა წყალი თაფლს გაჰრიოს და ცოტა ფანიდი გაჰრიოს, და მისგნით მიწყით ცოცოტასა ჰამდეს ერგების. და საჰამადად მუხუდისა წვეწას ჰამდეს, რომელ ბადიანისა თესლი რთულ იყოს. და ზოფაჰასა შარაბი მას ერგების. და ესრე იქმოდეს გამრთელების წყალობითა ღმრთისათა.

ამი. ფირტვისა სიწყლულე რომელსა ჰამდეს არაბულად სლილ. ვითარებაჲ მისი მეცნიერთა აქიმთა თქმულისაგან. იოჰანა იტყვის: რომელ სინედლითა სიფიქსიგან იქნების რომელ ფირტვისა შიგან შეიყაროს, ანუ მკერდსა შიგან, ანუ ფირტვისა ზედა გამოვიდეს და გაწყლულდეს, და თხამლი სდიოდეს.

10 ნიშანი მისი იოჰანაჲ აქიმისგან ნათქვამი და შეტყვებაჲ: იგი არს, რომელ ტანი დაშლდეს და მიწყით ღბილად აცხრობდეს, და თხამლი რომელ ხორხისგან ამოვიდეს ყვითელი იყოს, და მკერდისა სიწყლულე იგი არს რომელ ცხობ მხურვალე იყოს და მკერდი სტკიოვდეს¹⁾.

კურნება მისი. იოჰანაჲ აქიმიცა იტყვის: არ გამრთელებაჲ ამის მანკისა მისგან არს, რომელ ფირტი სილითა კვეთისა სისხლი არს, და წამსა ძვირისგან არ დასწყნარდების, და სიწყლულესა ვერ ჰკურნებდეს, სიწყნარე ეხმარების, და არ შეძრვაჲ რომელ წამალი შეუხდეს და არგოს რაჲმე, დაამწიფოს და გაამრთლოს. და ფირტი ძვირისაგან არ დასწყნარდების ამისთვის ძნელად იკურნების. და სხვაჲ ნივთი მისი იგი არს, რომელ ფირტი ბალდისა სახლი არს და მიწყით შიგან სინედლე შეყრილი არს, და წყლულსა ვიდრე არ დაამრობდეს არ გამრთელდების, და ფირტვისა გახმობაჲ არაჲთ არ ეგების. და წამალიცა მას ვერ მიხედების ზგისა სიშორითა. ამისთვის ესე მანკი ძელი არს. და რაჲ სილსა ცხობად ერთოს უძნელესი არს, მით რომელ ესე ორივეჲ სწულდება ეთმანეჰისაგან კიდე ზანია, მით რომელ ცხრომასა ყოლაჲ ნელი და გრილი უნდა, და ფირტვისა წყლულსა ხმელი და მხურვალე უნდა, ამისთვის კურნებაჲ მისი ძელი არს, მით რომელ რაჲცა ცხროსა ერგების ფირტვისა ენების, და რაჲცა ფირტვისა წყლულსა ერგების ცხროსა ენების. ეგრე ხამს რომელ პარველ ცხროსა ჰკურნონ. და თუ მანკი ძელი იყოს არა იყურნების. მაგრა დასაწყისსა ეგრე ხამს, რომელ მასალიყი ძარღვი გახსნან ტკივილისაჲ, და თუ ყოფალიცა გაიხსნას არა ჰგავა, და თუ ძალი ჰქონდეს ხიარშამბრისა მატრუხითა²⁾ მუცელი დაიღბოს, და იაჲ და უნაბი და ჩამიჩი, და სიუისთანე და თარანგუბინი და ფანიდი ცოცოტაჲჰამოს, და თუ მკერდსა შიგან სისხელე იყოს ლისანალჰამალისა წყალი იისა ზეთისა და აყროსა ზეთისა გაჰრიოს და იხმაროს. და ძილისა ჟამსა ბაზრაკატუნაჲ და გომიზი არაბული და და სომხური მიწაჲ ჰამოს, და ბეჰესა გულისა ლუაბსა ჰამდეს, რომელ ადრე ელხინოს.

ვითარება ფირტვისა სიწყლულისა. ფოლის იტყვის: რომელ ესე მანკი სარსამისგან იქნების, ანუ სურდოსა უკანით რომელ დიდხან სჭირებოდეს და თავისგან ჩამოვიდეს, ანუ ზველასა უკანით შექენების, ანუ სისხლისა სიმრავლისგან იქნების, რომელ ხორხისგან ამოვიდეს. და იქნების რომელ მკერდიცა და ფირტიცა ორივე აწყლულდეს კაცისა.

ნიშანი მისი და შეტყობაჲ ფოლისისა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ ცხროჲ ღბილად იყოს და ტანი მქლე იყოს, და ფრჩხილნი გამრუდდენ სინედლისა მონდობისაგან და ხველისა ჟამსა ჰავი თხამლი მყალი ამოვიდეს, და ფერხნი გასივდენ და საჰამადსა არ ირებდეს ჰავად მყოფი კაცი ამით მანკითა.

კურნებაჲ მისი ფოლისისა ნათქვამისაგან. ესე მანკი მით ძელი არს, რომელ ფირტი აწყლულდეს უკვე არ გამრთელდების, რომელ ნიადაგ შეყვრასა და გაღებასა შიგან არს, რომელსა ჰქვიან არაბულად ინყიბატი და ინბისატი, ვითა მქედელთა საბერველი რომელსა ჰქვიან სპარსულად დმი აჰანგარან. ცივსა ქარსა შეიპყრობს და გულსა მისცემს

1) ამ გვერდის ქვემოთ ამაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კხ“ და შემდეგ გვერდის ამაზე „კძ“.

2) ეს სიტყვა განმეორებულია შედგომით

და თუ პაპა ერთი დასწყნარდეს მასვე პაპისა გული დაიწვიოს, და მეტისა სიმბურვალისგან ყაყი ცოცხალი არ იქნების, მაშა ვიდრე ესე მანკი გაძნელდებოდეს ვირისა სძესა ჰამდეს და კირჩხიბსა ფერხი დაუქრას და ერთსა დღესა და დამესა წყალსა და ნაცარსა შიგან დაალობოს და მაშინ გარცხოს და ქრთილისა წყალსა შიგან შეაბგოს, და ნელ თბილსა ჰამდეს. და მუცელსა ნუ დაილობოს, რომელ თუ სიბზოა მოემატოს ნუნელი დაუსუსურდების. და თუ ცხროა ძლიერი იყოს კვეთისა ყვითელსა ჰამდეს, და ფურისა და თხისა სძესა ქრთილისა წყლითა შემგბარსა, და ახალსა თევზსა ჰამდეს, და თიქნისა ხორცსა და ბაკილასა წყალსა, და ნუშისა გულსა. და ვარიაა და ახალი თევზი ქრთილისა წყლითა შექნილსა ჰამდეს. და დღიე ორჯერ აბანოსა შიგან დაჯდებოდეს და რაა გამოვიდეს ტანი აყიროსაა ზეთითა და იისა

10 ზეთითა იზელოს, და თუ ბუნებდა დაულობეს ესე წამალი ჰამოს ვითარებაა მისი: გომიზი არაბული და ტაბაშირი, და მიწაა სომხური და მორდი, და ჰებესა გული თვითოსაგან დრამისა წონი, ფარისიაოშანი და ქითირაა და ნიშასთავი და კატკატისა თესლი თვითოსაგან ნახევარი დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ბაზრავატუნისა ლაბითა ყურსა, ვითამეცა კვერად, შექნას, თვითომისი ორისა დრამისა წონი და დღიე თვითოსა ჰამდეს. და ხაშაშვიცა ჰამოს, და თუ ცხროა ძალიანად იყოს ქრთილისა წყალი სძესა. და რაა ცხროა დასწყნარდეს მაშინ სძე ჰამოს, ზოგჯერ ქრთილისა წყალი, ზოგჯერ სძე. და ბუნებდა შეინახოს და ყოვლისაგან მას სძე უჯობს და დიაცისა სძე უმჯობესი იქნების, და მაშინ ვირისა სძე და შაშინ აქელმისა სძე, და პურსა სძითა ჰამდეს, რომელ ადრე ელხინოს წყალობითა დმრთისათა.

33. **გვმრდთა სიხივიანი რომელსა ჰამიან დათაღჯანბი არაბულად.** ვითარებაა მისი

20 რომელ სიმბურვალისგან იყოს. მაჰამად ზაქარიას ძე იტყვის: სისხლისა სიმბურვალისა ანუ სიფიცილისა და მორეენისა სისხლისაგან იქნების, ანუ ზაფრისა მორეენისაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალსა გვერდისა ფარდაგსა შიგან შეეყენოს, და რაა დია შეიყაროს მას ადგილსა სიმხიფენდ შეიქნების.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან ქნილ იყოს. ნიშანი მისი რაა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ პირი წითლად ედგას და მაჯასი ადგომილი იყოს, და სული დამოკიდებულ იყოს. და ნიშანი მისი რაა ცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი გვერდსა შიგან ვითა ისარი სცემდეს და ცხროა ფიციელი იყოს.

კურნებაა რაა სიმბურვალისგან იყოს. მოჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ბასალიყი გაიხსნას მუნითვე რომელ არა სტკიოდეს, და შესამესა დღესა ყიფალი

30 გაიხსნას მუნითვე რომელ სტკიოდეს. და ქრთილისა წყალსა და გაზრდილსა იასა ჰამდეს. და თუ შეკვრით იყოს ხილთა წყლითა მუცელი დაილობოს ვითა ტყემალი და ხმელი ია და ხიარ შამბარი და თარანგუბინი. და თუ ტკივილი დია იყოს ბაბუნაა და ბალბაა თვითოსგან ჰეშვი ერთი წყლითა შეაგბოს, და ქუნჯეთისა ზეთი გაჰაიროს, და მალჰამაა ვითა შექნას, და ნელსა, ტკივილისა ზედა შემოსდებდეს. და თუ ხელოა ხმელი იყოს და სულსა ძლიე იყვითდეს უშამან ესე მატბუხი იხმაროს, მას წინაათ რომელ ქრთილისა წყალი ესვას, ვითარებაა მატბუხისა: ლღვი ოცი მარცვალი, ჩამიჩი უჯულოა ათისა დრამისა წონი, ვარპარამისა ძირი გათლილი და დანაყილი ხუთისა დრამისა წონი, უნაბი და სიფისთანნი თვითოსაგან სათვალავისა ოცი, ყველა საშსა ლიტრასა წყალსა შიგან შეაგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს, და რაა დღე ნახევარ ლიტრა მისგინთ ხუთითა დრამის წონით

40 გაზრდილითა იაათა ჰამდეს, და სამისა დრამისა წონი ნუშისა ზეთი ჰამოს ერგების დია.

ისაკ იტყვის: თუ მანკი ზაფრისგან იყოს ბასალიყი გაიხსნას ტკივილისაკე. და თუ ბუცელი შეკვრით იყოს ხილთა წყლითა და ხიარ შამბრითა და იითა დაილობოს. და თუ არა, ჰლიბლითა ჰუყითა დაილობოს. და ბალბაა და იაა და ვარდი წითელი და ქრთილისა ფქვილი და ბაბუნაა ერთთა შეაგბოს და სიფისა დრამისა წონი და ტკივილისა ადგილსა შემოსდვას. და ცვილი იისა ზეთსა შიგან დაალობოს და გვერდსა იცებდეს, და ეგეთთა რასმე რომელ სიმბურვალესა დასწყნარებდეს იხმარებდეს ვითა ბაზრავატუნისა ლუაბი და კიტრისა წყალი, და აყიროსა წყალი და ქრთილისა წყალი, რომელ კირჩხიბი შემგბარ იყოს შიგან, ამით იხმარებდეს რომელ ადრე ელხინოს შეეყენითა ღვთისათა.

დათაღჯანისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ამის მანკისა გამოჩენა¹⁾ ვითარებაჲ სიგრილისა იწვითა ოდესმე იქნების, მით რაჲ მელ მანკი გულისა სიხლესა იქნების, მაგრა რაჲ ბალღამი გულსა ზედა გამოავლდეს ანუ სისხლი ზაფურისა სიფიცხითა დააწვეს, და გვერდისა ფარდაგსა შიგან შეიყარნენ სიგრილისგან იქნების ესე.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან ქნილ იყოს, და ბალღმისგან: იგი არს რომელ ტკივილი ღებლად იყოს და არ დია სწყუროდეს, და რაჲცა ხორხისგან ამოიღოს თეთრი იყოს და ნიშანი მისი რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და ენაჲ მქისედ იყოს, და რაჲცა ამოიღოს შავი იყოს.

10 კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: რაჲ ესე მანკი ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ ფიცხელითა ჰუენათა მუცელი დაიღბოს და ხელი გაიხსნას უცილოდ, და ნელი ქრთლისა წყალი და სიქანგუბინი შესვას, და მუხუდისა ურწყოსა ჰამდეს ნუშისა ზეთითა, და მიწყით მეკრდა მორმოდანითა იხელდეს კარგი არს. და აბანოსა მივიღოდეს და წყალსა ჩაჯდებოდეს ნელსა, რომელ მანკისა დედაჲ შეაბგოს. და თავსა ყოლა ნუ ისხავს წყალსა ეგნების, და სკამადსა ცოტასა ჰამდეს და თუ მანკი ძლიერად იყოს ხიარშამბრისა ფოლოსი ძირაჲსა წყალსა შიგან დააღბოს და იხმაროს უზამან, რომელ სიმსიენე ბალღამური გახსნას და შეაბგოს. და მიწყით შაქრისა გულანგუბინსა. ჰამდეს თბილითა წყლითა. და ზოფაჲსა მატებუსა დიდი ხსიათი აქეს ამის მანკისათვის. და გაზრდილსა იასა ჰამდეს. და უგულოჲ ჩამიჩი ერთსა დღესა და ღამესა წყალსა შიგან დააღბოს და უზ-
20 მაჲ ნუშით ჰამდეს. და თუ ცელი ხორისა ზეთსა შიგან გაადნოს და მეკრდაჲ შესცხოს კარგი არს. და მუხუდის წვესა ჰამდეს ნუშისა ზეთითა.

ბაყრატი იტყვის: რაჲ მანკი სეღისგან იყო ეგრე ხამს, რომელ დასაწყისსა ხელი გაიხსნას. და წყალსა იფქილისა ფქვილი მოჰკიდოს ჰასსა და მას ჰამდეს. და შაქარი ნუშისა ზეთითა და ზოფაჲსა მატებუსი იხმაროს. და თუ უღბაჲ და გუშდანი რომელსა ჰქეიან სელი, წყლითა შეაბგოს და მიწყით მანკისა ადგილსა შემოსდებდის კარგი არს. და შაქარსა და კარქსა გაჰრევედეს და ჰამდეს ერგების. და მაშინ აბანოსა მივიღოდეს და ნელსა აეტსა შიგან ჩაჯდებოდეს, და მაშინ მანკისა ადგილი მემროდანითა იხლოს და მუხუდის წვესა ჰამდეს.

რუ. ბარსამი რომელსა ჰქვიან არაბულად შავსაჲ. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. არბიასიოს იტყვის: ესე მანკი სისხლისა მორევისაგან იქნების, ანუ ფიცხელისა ზაფურისაგან რომელ სისხლისადა გარეულ იყოს, და გვერდისა ხორცთა შუა შეყრილ იყოს, და განძლიერდეს.

მოსოაის ძე იტყვის: სიმსიენე არს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ თვალნი წითლად იყვნენ და რაჲ ხელი მანკისა ადგილსა შემოსდევან სიმსიენე ხელსა ქვეშეთ ჩნდეს, და აცხრობდეს და სნეული ბედითსაცა უბნობდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნილ იყოს. არბიასიოს იტყვის: რომელ ესე მანკი სისხლისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუნთოკე რომელ ტკივილი არ იყოს ბასალიყე გაიხსნას, და მაშინ ქრთლისა წყალი სვას იისა შარბასა თანა, და ბაზრაყატუნისა ლუბი იისა შარაბითა და ხაშხაშის შარაბითა სვას. და ნილოფარისა ფერცელი და სომხური მიწაჲ თეთროსაგან ნაწილი ერთი ყველაჲ წყლითა და იის ზეთითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შემოსდევან. და შურფასა ჰამდეს ნუშისა ზეთითა და მანკისა გამორთელეზამედ ნუშისა ურწყომსაგან კიდე ნურას ჰამს.

ჯალინოს იტყვის: რაჲ მანკისა სათაენოჲ სისხლისა და ზაფურისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხელისა გახსნისა ჟამსა ხორცის ჰამისა და სიმხურვალისგან

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზვიდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

ეროდოს, და ქრთილისა წყალი და ჯულაბი და იისა შარაბი იხმაროს. და თუ მეოთხესა დღესა მუცელი დალბეს მისი, და რააცა გაროვიდოდეს ადვილად იყოს უჭიროდ, და ფერად თეთრი იყოს მეშვიდე დღესა გამართლდების. და თუ მუცელი მეშვიდესა დღესა დალბეს მანკი ძნელი და საფათურაკოა იქნების. და თუ რააცა მოვიდოდეს გაშვებულ იყოს, და ცოტაა ხიარშამბარი და სიფისთან და უნაბი სამივე აღუღლოს და შესვას, რომელ მუცელი დაიღბოს, და მაშინ ასფანახი და ნონიჯი ჭამოს ნუშისა ზეთითა შექნილ ერგების. და ყოლა საჭამადსა ნუ ჭამს ქრთილისა წყლისგან კიდე. და თუ მეშვიდესა დღესა ცხროა და სიმბურავლე არ დასწყნარდეს და გულისა ბნედაა იყოს, და ღია შრვიფიდეს, და მკერდი სტიოდეს და იხარხარებდეს, და პირსა კედლისაკენ იქმოდეს, და პირი წითლად ეღვას სიკვ-
10 დილისა ნიშანი არს.

ვითარებამა ბარსამისა რომელსა ჰქვინან არაბულად შვასა. რა სიგრილისგან ქნილ იყოს. აბუჯარიბ აქიმი იტყვის: ესე მანკი სქელისა გლუსუნისა ბალღმისგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა გვერდისა ხორცთა შიგან შეეყაროს, და რა ღია შეიყაროს მოე-
როოს, და იგი ხორცი გაასივოს და იშვითა იქნების.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ მბურავ-
ლედ აცხროოს და ხორხისგან რააცა ამოვიდეს თეთრი იყოს და გვერდი არა სტიკიოდეს, და მაჯასა უსუსურად იყოს, და რაა ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვან ღია ხურვიდეს.

კურნებამა მისი რომელ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიბ იტყვის: თუ ესე მანკი ბალღმისგან ქნილ იყოს კურნებამა იგი არს, რომელ უზნამა გაზრდილსა იასა
20 ჰამდეს. და გულანგრბინი თაფლისა წყალსა შიგან დაგალოს და იხმაროს, და ზოფამასა მატბუხსა ჰამდეს. და ბაბუნამა და აქლიამალიქი და სისანბარი და ჰამიშთისა ფურცელი ქუჩვიდისა ზეთითა აღუღლოს და ტყვილისა ადგილსა შემოსდვას. და თუ მუცელი შეკრულ იყოს ლბილითა ჰუენითა მუცელი დაიღბოს. და მანკისა ბოლოსა აბანოსა მივიდეს ერგების. და საჭამადსა შურგისა ჰამდეს ერგების, მსუქნითა ვარიითა შექნილსა. და ფლიანის რომელ შაქრითა შექნილ იყოს და ნუშისა ზეთითა. და საჭამადსა ღია ნუ ჭამს და უღნობთა და მცა-
ვეთა საჭამადთა ერიდოს.

მასარჯოამა იტყვის: კურნებამა იგი არს, რომელ თუ ბუნებამა კვრით იყოს
ლბილითა ჰუენითა მუცელი დაიღბოს, და თაფლისა შარაბი რომელ მბურავლითა სანელებ-
ლითა შექნილ იყოს ვითა ფაჩარი და ყარანფული მას ჰამდეს. და თუ ამით რომელ გვითქ-
ვამს არ გამართლდეს, ესე წაბალი უყოს ერგების ვითარებამა მია: ჩამიჩი და ნიახურისა
30 ძირი, და ბადიანისა ძირი და იარა თეთითოსგან ზუთისა დრამისა წონი, ჰამაფიტოქოსი სა-
მისა დრამისა წონი, ყველაა ორითა ლიტრითა და ნახევრითა წყლითა შეავბოს რომელ
ლიტრად და უქვეცა მოვიდეს, მაშინ ნახევარისა დრამისა წონი ბედანჯრისა ზეთი გაუროოს
და უზნამა იხმარებდეს ერგების. და მიწყით მანკისა ადგილსა მუმროლანითა რომელ იისა
ზეთისა შიგან შექნილ იყოს იზღოდეს. და მაშინ აბანოსა მივიდეს და ნელსა ვაბასა შიგან
ჩაჯდებოდეს. და რაა მანკი გაქარდეს ვარიასა ჰამდეს ზირაბაჯათ შექნილსა და საჭამადსა
ღია ნუ ჭამს.

არ. ბულისა ტიკვილი რომელ სიგრილისა ანუ სიმბურავლისა, ანუ სინფლითა ანუ სინხმედი-
საგან ძნელ იყოს.

ვითარებამა მისი რომელ სიმბურავლისა ანუ სიმხმელისაგან იყოს.
40 ჯალინოს იტყვის: ვითარებამა გულისა სიმბურავლისა მეტად მბურავლისა საჭა-
მადისა ჰამისაგან იქნების, ანუ ტანისა ჰირისა ჩვენებისგან, რომელ საჭიროა საქმე ექნას.
და სინხმელისა მისისა ვითარებამა დიდისა ჰირისა და სიშფოთისგან იქნების, ანუ ხმელისა
საჭამადისა ჰამისაგან, რომელ ღია ეჭამოს.

ნიშანი მისი რაა სიმბურავლისა ანუ სიმხმელისგან იყოს.

ნიშანი ბუნებისა სიმბურვალისა. იგი არს რომელ მკერდი უხურვიდეს და მაჯასი დიდი და ფიცხელი იყოს, და ცხროა არ დაავდებდეს. და ნიშანი სიხმელისა იგი არს, რომელ კაცი დამკლდეს და დაწულდეს, და მაჯასი ფიცხელი და მაგარი და მიწყით მფუთქელი იყოს ისარიგითა.

კურნებაჲ მისი რომელ სიმბურვალისა ანუ სიხმელისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის: სიმბურვალისა ბუნებისა კურნებაჲ იგი არს, რომელ მარცხნით ბასალიცი გაიხსნას ანუ ორთავე მხარსა შუა ქიქაჲ მოჰკიდოს, და ჰაშინ ქაფურისა ყურსი წყლითა იხმაროს, და მიწყით ქრთილისა წყალსა სმიდეს მკაევისა ბროწეულისა წყლითა. და თუ მიწაჲ სომბური და ქინძი თვითოასაგან დრამისა წონი, ტაბაშირი და ქაპრაბაჲ თვითოასაგან ნახევარისა დრამისა წონი, ქაფური დანგი ერთი, ყველა დანაყილი დოსა გაპრიოს და ჰამოს ერგების. და თუ ამას მანკსა თანა ცხროაჯა იყოს ბროწეულითა შექნილთა შაქამადთა ჰამდეს რომელ ნუშისა ზეთითა შეზავებული იყოს. და თუ ცხროა არ ერთოს ვარიჲა ლარდნითა ანუ ისირიმითა ჰამოს. და თუ ესე მანკი ზაფხულს იყოს გრილსა ადგლსა დაყოს და ქვეშეთ ტურიფისა და წნორისა ფურცელი დაეგონ, და მიდამოსა სურნელი ჰამოჲ დასდენ ვითა შაჰასფარამი და ნილოფარი, და ვარდი და სანდალი და ვარდის წყალი და მსგზაესი ამითი. და მიწყით მეშაჰარისა წყლითა მჭარსა დაასოვლებდეს და გულსა შემოსდებდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სიხმელისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ვირისა სძესა ანუ ქალთა დედისა სძესა ჰამდეს, და თუ სიხმელესა თანა სიმბურვალისა ნიშანი იყოს ქრთილისა წყალი ბაზრაყატუნისა ლუბითა იხმაროს, და იისა შარაბი და ნილოფარისა შარაბი იხმაროს. და ვარდის წყლითა მჭარი დაასოვლოს და იისა ზეთითა და აყიროსა ზეთითა მკერდსა შემოსდებდეს. და ახალსა თევზსა ჰამდეს, რომელ ნუშისა ზეთითა კალიად შექნილი იყოს.

იოჰანაჲ იტყვის: მკაეჲ მაწონი და თრუნჯისა მკაეჲ ჰამოს, და ვაშლისა რუბი და კიტრისა წყალი და ქაფურისა ყურსი ჰამოს. და ვარდისა წყალი მყინვარითა გაავრილოს და მჭარი მაგით დაასოვლოს და მკერდსა შემოსდვას. და ციესა წყალსა სმიდეს. და გრილსა აბანოსა დაჯდებოდეს. და რაჲცა სიხმელისგან იყოს იგი არს, რომელ რაჲ ცხროა არ ერთოს. ქრთილისა წყალი იხმაროს და სძესა ჰამდეს და მუმროლანსა იისა ზეთისასა მკერდსა იცხებდეს.

ვითარებაჲ გულის ტკივილისა, რაჲ სიგრილისა და სინედლიისაგან ქნილ იყოს.

ფოლის იტყვის. ვითარებაჲ გულისა ტკივილისა გრილისა საქამიდისა ჰამისაგან იქნების რომელ საზომისგან მეტი ეჰამოს, და სინედლისა ვითარებაჲ ნედლისა საქამიდისა ჰამისაგან იქნების და გამოსვენებისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისა ანუ სინედლისაგან იყოს. ნიშანი გულისა სიგრილისა იგი არს, რომელ კაცი ზანტად იყოს და პირისაგან სიელარე წასრულ იყოს, და მკერიღ მხურვლად არ იყოს. და სინედლისა ნიშანი იგი არს, რომელ მაჯასი ზანტად ფუთქდეს და ლბილი იყოს, ვგერ რომელ თითი შიგან ჩაჯდებოდეს სიღბითა მისითა.

კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისა ანუ სინედლისაგან იყოს. იგი არს რომელ ვაშლისა შარაბი რომელ შიგან მუშკი და სიქი შექნილ იყოს იხმაროს. ანუ მიშქადარვი ლევიითა შემგბარი ანუ ვარდის წყალი და ალვაჲ და მასტაქი ჰამოს. და თუ სისამბარი და მარზანგოში და დრამინაჲ, და თეთრისა იასამინისა ზეთი, და წმინდაჲ ყვითელი ცილი ყველაჲ მალჰამაყითა შექნას და მკერდსა მაგით იხელდეს დია ერგების. და ვიდრე შექმლოს ცივისა წყლისა სმისგან ერიდებოდეს. მაშა თუ ამით არ გამართელდეს ანბრისა გვარიშნი ჰამოს. და საქამიდსა დურაჯსა ანუ თიჰოასა კალიად შექნილსა ჰამდეს, და სინედლისა კურნებაჲ იგი არს, რომელ იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს ანუ ფიცხელითა ჰყუნიითა, და მაშინ ანბრისა გვარიშნი და ვარდის წყალი, და მასთაქე და ალვაჲ საშაჲ დრამისა

წონსა სოსნისა ზეთსა გაპრიოს, და ცოტა მღოვრი გაპრიოს და ქამოს, ერგების. და საკამადსა თიჰოასა და ღურაჯისასა კალიად შექნილსა ქამდეს აბეკმაქითა.

მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ სურნელი ღვინრად სუას, რომელ შიგან ცოტად მხურვალი სანელეგელი რთულ იყოს. და მკერდსა ბერძულისა ფაჩარისა ზეთითა იზელდეს. და ყუსტი და სუდი და აბჰალი, და კილამონი და ყარანფული და მორდისა ფურცელი, ყველა ერთგან დანაყოს და ქამოსა ღვინოსა და ბუჭისა შარაბსა, ვაშლისა შარაბსა გაპრიოს, და გულსა შემოსდეს. და საკამადსა ტრედისა ხუნდსა და კვერცხისა ყვითელსა ქამდეს. და კალიად ჩიტის ხორციითა და მხურვალითა სანელეგლითა შექნილსა. და დია უძნელესი კურნებაჲ ესე არს ყოველთა კურნებათაგან, ეგრე ხამს რომელ ადრე ეწიოს და არ მოლაფლდეს და მოიჭირვოს სიფრთხილესა და კურნებასა მისსა კრძალვითა.

რთ. გულსა ვითამად რომელსა ჰჰვიან არაბულად ხაფაჰანი. ვითარებაჲ მისი რომელ სიმხურვალისგან იყოს. ფოლის იტყვის: ესე მანკი სისხლისა მორვენისაგან იქნების ანუ ზაფერისა სიდოცხისაგან რომელ ერთგან გაერივნენ და გულსა ფარდაგსა შიგან შეიყარნენ, ანუ სხვაგებრ იქნების რომელ გულსა ფარდაგსა შიგან გამოჩნდეს, ანუ გულსა სისუსტისაგან რომელ თვით უსუსურ ქნელ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მკერდი მხურვალედ იყოს. და ნიშანი მისი რაჲ სიმხივისგან ქნელ იყოს იგი არს, რომელ სული დამოკლებით იყოს და სნეული დია დაბნედილი იყოს, და ბრუჲ ესხმოდეს და ერთგან ვერ დაზმიდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნელ იყოს: მასარჯოა იტყვის: ამისი კურნებაჲ რაჲ სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და სამჯერ სისხლი გაუშვას. და ქინძი და ტაბაშირი და ვარდი თვითოასაგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ცერეცოასა წყლითა და თრუნჯისა მკაევისა წყლითა ქამოს ერგების, და თუ ათისა დრამისა წონი ხავერტისა თესლი, ათსა დრამისა წონასა ფურისა მაწონსა შიგან დაალბოს და ქამოს ერგების. და ესე წამალი კარგი არს ვითარებაჲ მისი: ტაბაშირი ათისა დრამისა წონი, ქაბაბაჲ და ყაყულაჲ და ჰილი ბოიჲ თვითოასაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი ლიტრასა და ნახევარსა მკაევესა მაწონსა შიგან დაალბოს, და რაჲ დღე მისგნით ნახევარი მანი ქამოს, და თუ ჰევში ერთი ხავერტისა თესლი და ჰევში ერთი ქინძი დანაყილი, და ჰევში ერთი ქაქი შექამოს ერგების. და მიწყით თრუნჯისა მკაევისა შარაბი იხმაროს. და ვაშლისა შარაბი ამას მანქსა ერგების.

ისაკ იტყვის: რაჲ სიმხურვალისა ნიშანი იყოს ამას მანქსა თანა კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და მაშინ ბროწყულისა მკაევისა და ტუბილისა წყალი და თამირი ჰინდისა წყალი უზმამან იხმაროს. და ესე სუფუფი მას ერგების ვითარებაჲ მისი ორთავე კიტრთა წყალი და თესლი, და აყიროასა თესლი და კატკატოასა თესლი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, თოსწაბური და ტაბაშირი და სომხური მიწა თვითოასგან სამისა დრამისა წონი, ქაჰრაბაჲ და წვრილი მარგალიტი თვითოასგან ორისა დრამისა წონი, ალვაჲ ჩინური და მასთაქე თვითოასგან დრამისა წონი, ყველა წმიდად დანაყოს და ვაშლისა შარაბსა გაურთოს და ცოტად ყოყიასა ჰაბი გაპრიოს, და მუნით უამ და ესე იხმარებდეს. და ქაფურისა ყურსი და სიქანგუბინი შაქრითა შექნილი ქამოს, და ზირაბაჯი ვარიითა შექნილი ქამოს ერგების და.

გულსა ეფთქისაჲ რომელსა ჰქვიან ხაფაყანი. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნელ იყოს.

ჯალინოს იტყვის. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან ქნელ იყოს სისხლისა მორვენისაგან იქნების, ანუ სინედლთაგან რომელ გულსა ფარდაგთა ქვეშე შეყრილ იყოს, ანუ სასეფლოთა ბუზართაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალსა გულსა ფარდაგსა შიგან შეეყენოს ანუ სიმხურვალისგან იქნების, რომელ მუნ გამოჩნდილ იყოს.

ნიშანი მისი რაე სიგრილისგან იყოს. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ მაჯასი ლბილად იყოს და ფერი არ წითელი იყოს, და მკერდსა სიმბურვადე არა ჰქონდეს და ნიშანი მისი რაეცა სიმსივნისგან იყოს იგი არს, რომელ სული დამოკლებულ იყოს და ამა სიმსივნესა არაბულად დაშალ ყალბი ჰქვიან.

10 კურნებაე მისი რაეცა სიგრილისგან ქნილ იყოს. ჯალინოს იტყვის: იგი არს, რომელ მიწყით ანბრისა გვარიშნსა და დიდსა თირიასსა იხმარებდეს. და ესე სუფუფი მას ერგების ვითარებაე მისი: ჰინდოური ჰალვაე და ყარანფული თვითოსავან დრამისა წონი, ქაპრაბაე და თრუნჯისა ქერქი და ყუბროსული მიწაე, და ბარანბოსა თესლი და სული, და ჰინძი და აშულაე თვითოსავან სამისა დრამისა წონი, ბუსადი რომელსა ჰქვიან ძოწი, და მარგალიტი და ხამი აბრეშუმი შემწვარი დამწვარი, და ლაყვარდისა ქვაე და მასთაქე თვითოსავან ორისა დრამისა წონი, ყველაე დანაყილი დრამისა წონი ეწოლისა შარაბსა თანა და ბადრანბოსა შარაბსა თანა იხმაროს. და თუ მიშქადარიაე მწარე დეინომა თანა გაპრიოს, დრამისა წონი ერთად ქამოს ერგების. ანუ ანყარდიასა მაჯუნთი თაფლისა წყლითა შესვას, ანუ ბადარჯრისა მაჯუნთი მიშქადარჯსა თანა მიწყით ჰამოს.

20 მეცია იტყვის: მიშქადარჯი ჰამოს, და ესე წამალი კარგი არს ვითარებაე მისი: მასთაქე და კილამონი¹⁾, და დარაფილფილი სისანბარი²⁾ და ბადარუქი და ფლანგამიშქი და ბადარანბოე, და სოდი ჰინდოური და ჰინძი და ფაჩარი თვითოსავან დრამისა წონი ერთი, ქაპრაბაე და წვრილი მარგალიტი და ტიბაშირი თვითოსავან ნახევარისა დრამისა წონი, მუშკი დანგი ერთი, ყველაე დანაყილი თაფლითა, და ქაბულური ჰალილაე გაპრიოს, შეზოლოს და იხმაროს. და თუ ერთი ამოლაე და პეეში ერთი შაეი ჰალილაე წყლითა შეზილოს და წყლითა ადულთა, და მაშინ მეოთხედი მისი თაფლი მას თანა გაპრიოს, ეგრე ამბგოს რიმელ წყალი წაეიდეს და თაფლი დარჩეს, და ესე წამალი რომელ ეახსენეთ შეით თაფლითა შეზილოს და ეამ ეამ მისენით იხმარებდეს, მიწყით მკერდსა ჰალილათა იზელდეს და სურნელი დეინოე და კვერცხისა ყვითელი ამოზაეებული იხმაროს, რომელ ადრე ელხინოს და გამრთელდეს.

30 **რი. ღაბნედილობაე რიგებლსა ჰქვიან არაბულად ღოწუე.** ვითარებაე მისი რაე სიმბურვალისგან იყოს. ზაქარიაე ძე იტყვის: მხურვალისა გასარველისგან იქნების რომელ გულისა სიახლესა შეყრილ იყოს, ანუ ძარღვთა სისაესისგან იქნების, ანუ სტომაქისა სისაესისგან, ანუ დია ჰამისგან, არაბულად იმთილე ჰქვიან.

30 ნიშანი მისი რაე სიმბურვალისგან იყოს. ზაქარიაე ძე იტყვის: იგი არს, რომელ მხურვლად აცხროებდეს და მკერდი დია უხურვდეს და მაჯასი ფიცხლად ფეთქდეს, და ნიშანი მისი რაეცა ძარღვთა სისაესისგან იყოს იგი არს, რომელ ძარღვნი ადგომილ იყვნენ, და სტომაქისა სისაესე ელდისგან იქნებოს და არ მოდნობისგან.

40 კურნებაე მისი რაე სიმბურვალისგან იყოს. მუჰამედე ზაქარიაე ძე იტყვის: თუ ამის მანქის ვითარებაე სიმბურვალისაგან იყოს კურნებაე იგი არს, რომელ გაცივებულსა ვარდის წყალსა მკერდსა და პირსა ზედა იხმიდეს. რომელ ჰკუევისა მოვიდეს. და მაშინ სიქანგუბინი და ისრიმისა შარაბი იხმაროს. საქამადსა ტრედის ხუნდსა ქამდეს რომელ ალარდნითა ანუ ისრიმითა შექნილ იყოს. და თუ ზაფრისა გასარველისგან ქნილ იყოს კურნებაე იგი არს, რომელ არწყისს ანუ მუცელი დაიღობს შავითა³⁾ ანუ აესანთინისა შარაბი სეას რომელ მანქისა სათაენოე დაჰაქოს, და მაშინ სანდალი და ქაფუ-
40 რი და ვარდის წყალი და მემუჰპარისა წყალი ერთგან გაპრიოს და მკერდსა იცხოს⁴⁾ ერგების. და არა ხამს რომელ მუცლისა დაღობასა უქანა შემყრობელთა რაემე ქამდეს ვითა თუთუბაე და ისრირი რომელ წელწულთა და შიგანთა აენებს. და თუ ოფლსა გამოსცემდეს

1) ან წინადადებაში ეს სიტყვა შეცდომით გინმორებულა.

2) ამ გვერდის ქვემო აშოაზე რვეულთა სათელაეი სწერია „ჰქ“. და შემდგომეზე „ქაფ“.

3) ეს სიტყვა სტოიქონ ზემოდან არის ჩამატებული

4) ამ სიტყვას მაგიერ ტექსტში შეცდომით სწერია „გაპრიოს“.

კურნება მისი იგი არს, რომელ გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს რ ვარდის წყალსა პირსა ისხმიდეს და მორდის წყალსა ტანსა იცხებდეს. და რაჲ ქუეყასა მოვიდეს ცივითა წყლითა იბანებოდეს და პირსა ნუ ჰნახავს, და საქამადას ვარიასა ჰამდეს თუთუბითა შექნილსა. და რაჲ ელდისგან ქნილ იყოს ნელითა წყლითა და სიქანგუბინითა არწყვიოს, რომელ სტომაქი გაუსუქდეს და მანკი გაჟარდეს. და თუ ესე მანკი და ცხრომ ერთგან გამოჩნდენ თუ მანკისა დედაჲ სტომაქსა შიგან იყოს არწყვიოს. და თუ სიხმელისგან იყოს ეგრე ხამს, რომელ ცხრომბასა უწინაჲთ პური შემებარსა ლინოზასა და ვარდის წყალსა შიგან დაალბოს ეგრე ჰამოს. და მაშინ ვაშლისა შარბი წყლითა შესვას და ფერხი და ხელი შეკრას და იხელდეს. და თუ იგი მანკი ცხრომასა პირ-ველსა დასაწყისსა თანა გამოჩნდეს პური ბროწეულისა წყლითა დაალბოს და ეგრე ჰამოს.

10 დაბნედილობისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: ამის საქმისა ვითარებაჲ რაჲ სევედისგან იყოს იგი არს, რომელ გასარეველი სქელი ბალღამური სტომაქსა შიგან შეიყაროს, ანუ ისთიფრადისგან იყოს ვითა სიღბოჲ და სისხლისა დენაჲ ცხვროთაჲ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: რაჲცა ბალღამურისა გასარეველისგან ქნილ იყოს, იგი არს რომელ ყოლა საქამადი არ მოუნდებოდეს და ნიშანი მისი რაჲცა ტანსა ისთიფრადისგან იყოს ვითამცა დაცლისაგან იგი არს, რომელ ტანი დაიცალოს.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიგრილისაგან ქნილ იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: დაბნედილობისა კურნებაჲ იგი არს, მანკი რომელ მისგან ქნილ იყოს წამლითა 20 გარდაილოს, მაშა თუ ბალღამურისა გასარეველისაგან ქნილ იყოს ცერეცოლსა წყლითა ნელითა არწყვიოს და ბოლოკისა წყლითა, რომელ სტომაქი გაწმდეს: და უზმამან გულანგუბინი და მასთაქე ჰამოს. და აბანოსა მივიდეს და დიდხანი დაყოს რომელ ბალღამი სტომაქსა შიგან გადნოს. და საქამადას ვარიასა ჰამდეს ზირაბაჯითა. და თუ ისთიფრადისგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელჲ ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს და მასუნთა და სუბუქთა საქამადთა ჰამდეს ვითა ვარიასა და ბატქნის ხორცი კალითა შექნილი. და თუ ისთიფრადი სიღბოასაგან იყოს ამას ჰამდეს რომელ გვითქვამს. და ნილოფარსა და შაჰსუფარსა უსუნებდეს, რომელ ტვინი განძლიერდეს, და აბანოასა მივიდოდეს და ნელითა წყლითა იბანებოდეს. და თუ ისთიფრადი სიმხურვალისაგან იყოს მკლავი და ფერხი შეიკრას და იხელდეს. დელი ჰალილი და ზანჯაბილი და შაყაყული გაზრდილი რაჲცა 30-იყოს ჰამოს. რომელ სტომაქი მანკისა დედისგან გაწმდეს: და ყოვლისაგან უმჯობესი ამის მანკისათვის აფსანთინისა შარბი არს, რომელ მიწყით იხმარებდეს და გრილსა და ხმელსა საქამადას ერიდოს, და ტკბილთა და მხურვალეთა ჰამდეს.

რინ არაბაქლომაჲ ზამინსაგან რომელსა ჰჳვიან არაბულად შაჰვათელ ძალბიაჲ და ჯუალ ძალბი, თარაბანი მისი ძლომილისა სიხშილი.

— ვითარებაჲ რაჲ სიმხურვალისაგან იყოს.

— მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: რომელ ამის მანკისა ვითარებაჲ სტომაქისა სიმხურვალისგან იქნების. და ეგების რომელ სევედისა ძალმან ამას შიგან სტომაქსა შეეწიოს. და პირისა და სიძნელისგანცა იქნების, რომელ კაცსა ღარიბობასა და მგზავრობასა ენახოს, და მისგან იქნების მანკი იგი.

40 — ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ კაცი დიაჲ ჰამდეს და გაძლიმაჲ არ ეგებოდეს, და სწყუროდეს და წყლისა სმისგან ელხინებოდეს. და ნიშანი მისი რომელ მგზავრობისგან წაჰკიდებოდეს იგი არს, რომელ რაჲ გვიანად ჰამოს დაჰბნებოდეს.

კურნება მისი რომელ სიმბურვალისგან იყოს. იგი არს. მუჭა-მედ ზაქარიასდ იტყვის: ბასალიცი გაიხსნას მარცხნივ და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, და თუ მუცელი ღბილად იყოს ტბილსა და მკავისა ბროწეულისა წყლითა მატბუხისა (შარაბი!) იხმაროს, და საქამდსა თუთუბისა ურწყოსაჲს კამდეს რომელ მუცელი შეუქრას. და წითელი და თეთრი სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური ერთგან გავალოს და სტომაქსა შესცხოს, და სიმბურვალეთა ერიდებოდეს და რაჲ მანკჲნ მთიჯობინოს სიქვასა კამდეს ზროხის ხორციითა და ძმრითა შექნილსა.

ისაჲ იტყვის: თუ ესე მანკი მეტისა სიმბურვალისგან იყოს კურნება იგი არს, რომელ ბეჰესა რუბი ქამოს ანუ ისრიმისა რუბი, ანუ ვაშლისა რუბი. და ლეინოსა ნუ 10 სევაჲ და მხურვალთა საქამდთა ერიდოს. და ხმელი ვარდი და ბროწეულისა ყვავილხ და თეთრი სანდალი ერთგან გავალოს და შესცხოს სტომაქსა. და მუჭაფარსა კამდეს ზროხი. სასა და ახალი თევზი ძმრითა შექნილი ქამოს ერგებს. და ხილთაგან ორივე კიტრი ქამოს.

თებით ყურაჲ იტყვის: სიმშოილი რაჲ საზომისაგან გარდვიდეს, კურნება იგი არს რომელ ცივი წყალი და გაცივებული ვარდის წყალი პირსა იცხოს მრავალჯერ. და 10 კამოთა ასფარამთა უსუნებდეს და ალვითა და ანბრითა, და ზაფრანითა და ფაჩართა, და ყარანფულითა და მასტაქითა, რაჲჲანურითა ლეინითა სტომაქსა იცანდალდეს. და ასოთა ვარდის წყლითა და ქაფურითა და მუჭითა და მურდისა წყლითა და ვარდიითა მიწყით იზღლდეს. და მკლავი და ბარკალი შექრას. და რაჲცა მგზავრობისგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ხორცისა წყალსა სმიდეს მხურვალითა სანელებლითა შექნილსა, ერგების 20 ღმრთისაჲ შეწვენითა.

ჯუთელ ქალბისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: მით იქნების რომელ ფიქხელი სევდაჲ სტომაქისა პირსა შეყრილ იყოს, ანუ ისითფრალისგან იქნების რომელ ტანსა ყველაჲსა წაეკოდოს. ისითფრალი დაცლაჲ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ დია კამდეს და 10 ფიტე ცოტაჲ იყოს მისი, და თუ არაჲ ქამოს სტომაქი ასტკიედეს. და მკავიჲა გასარეველისა ნიშანი იგი არს, რომელ ბალდამსა დია ამოიღებდეს, და ისითფრალისა ნიშანი თვით ცხადი არს.

კურნება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: რაჲ სევდისგან იყოს კურნება იგი არს, რომელი ბასალიცი გაიხსნას² და ფთიმონისა მატ- 30 ბუხითა მუცელი დაიღბოს. და ტყირბსა ზედა დალი დასვას და ქიქაჲ მოჰკიდოს. ცხიბიანსა კამდეს და ძლიერსა ლეინოსა იხმარებდეს. და თუ ესე მანკი სტომაქისა სიგრილისგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ დია კამდეს და ფიტე დია იყოს, და ტკივილი და კბენაჲ სტომაქისა არ იყოს.

კურნება მისი იგი არს რომელ სტომაქისა სიგრილისათვის ვახსენეთ. მგარა 10 ამისი კურნებაჲ უფროჲ ძალიანი უნდა რომელ სტომაქი ვააძლიეროს. და თუ საქამდსა დია კამდეს სტომაქსა ზედა დამძივდეს, და საქამდსა ცხიბიანსა კამდეს და მკავეთა და შემგვრელთა ერიდებოდეს.

მასარჯოჲ იტყვის: რაჲ მანკისა დედაჲ სევდისგან იყოს ბასალიცი გაიხსნას და 40 ფთიმონისა მატბუხი ქამოს, და შვიი ჰალილაჲ და ბასბაჲსა იხმაროს და ცხიბიანსა ბრინჯსა კამდეს რომელ ბატქნისა ხორციითა და ვარიითა შექნილ იყოს, და ძალიანსა ლეინოსა სმიდეს და ფალუდასა და ლაეზინასა კამდეს, რომელ ნუშისა ზეთითა შექნილ იყოს.

თუ მანკისა დედაჲ მკავისა ბალღმისგან იყოს. კურნება მისი იგი არს. რომელ იარაჲსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს და მანკი ძირაჲსა გვარიშინი 10 კამოს და ძკელსა ლეინოჲსა სმიდეს, რომელ მანკი არ გაძლიერდეს. და თუ ცოტაჲ თირი.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

აყი ქამოს კარგი არს, და მიწყით ცხიბიანთა საქამადთა მიელტვოდეს. ანუ შურავაცა მწყერისა ხორციითა ანუ შინაურისა მსუქნისა ქათმისა ხორციითა შექნილი, ანუ ერთისა წლისა მსუქანისა ცხვრისა ხორციითა, რომელ მხურვალითა საწილებლითა შექნილ იყოს იხ-მარებდეს. და თაფლიანსა ფალღუდაგსა ნუშისა ზეთითა და ზაფრანითა შექნილსა, რომელ ადრე გამრთელდეს და მანკსა დაეხსნას.

რივ. მიწისა და ბაჩისა და მლაშისა კმდლისა ჰამამა. ვითარებამ მისი ჯალინოსისა ნათქვამისგან. ამას იტყვის ჯალინოს აქიმი რომელ: ესე მანკი ორსულთა დედათა წაყვილების და ეგეთთა კაცთა, რომელ მათთა სტომაქთა შიგან ჰავი გასარეველი შეყრილ იყოს და მოერივნეს მათდა.

10 ნიშანი მისი ჯალინოსისა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ მიწყით მიწისა ქამოსა მიელტვოდეს, და კედლისა გაჩსა და მლაშესა და ნახშირსა, და მქვეთა და მლაშეთა და რაჲცა ამთ ჰგანდეს ჰავთა, თხრიდეს და ქამდეს.

კურნებაჲ მისი ჯალინოსისა ნათქვამისაგან: იტყვის ვითა არწყიოს სიქანგუბინითა რომელ ბოლოკისა წყალი რეულ იყოს, ანუ ცერეცლსა წყლითა ნელითა. რომელ სტომაქი გაწმდეს, და მაშინ ალვისა გვარიშინი ქამოს, ანუ ნიახურისა თესლი და ანისონი, და ხმელი პიტნა თვითოასაგან ნახევარისა დრამისა წონი ყველა და ნაყილი უზ-მამან ქამოს. და ესეცა წამალი კარგი არს: აილოს იგი თხელი ტყავი რომელ გრკოსა შიგ-ნით იყოს ორისა დრამისა წონი, ჩამიჩისა გული ექვსისა დრამისა წონი, ანისონი და შავი ალილა და ბალილა და ამულა თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყველა ერთსა

20 ლიტრასა შემგზარსა ღვინოსა და ნახევარსა. ლიტრასა წყალსა შიგან ეგდნი შეეგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს, და რაჲ დღე მისგნით ათისა დრამისა წონსა ქამდეს. მაშა თუ მანკისა დედაჲ ძლიერად იყოს ნუ არწყევს. მაგრა ამა სუფუფუსა თანა რაჲ დღე დრაჰკინისა წონი თფილთა წყლითა იხმაროს. ვითარებამ მისი: ყაყულა და ბასბასა თვითოასაგან ნაწილი ერთი, შაქარი ტამარზადი და ქირმანული ძირაჲ და ნახვავი თვითოასაგან ორი ნაწილი, ყველა და ნაყილი დრაჰკინისა წონი. ორი ეამ ეამ იხმაროს. და მიწასა ნუ ქამს რომელ გასარეველსა გაურყვნის. და ფერსა და შეენებასა პირისასა წაუღებს, და სტომაქსა დაუსუსურებს და ისთისყასა გამოაჩენს. და ეგრე ხამს რომელ მანკისა ჰალი დია¹⁾ ადვილი არ ეგონოს, და მრავალჯერ არწყიოს ცერეცლსა წყლითა, რომელ სტომაქი გაწმდეს. და მაშინ რიმაჰანი იხმაროს და ქირმანული ძირაჲ და ნახვავი და მასთაქე თვითოასაგან ნაწილი

30 ერთი, ყოვლადვე ცოხნიდეს და წყალსა მისსა ჩანთქმიდეს. და ესე წამალი სტომაქისა შეშლილობისა რომელ მიწისა ქამისაგან იყოს ერგების, ვითარებამ მისი: მის გრკოასა ფურცელი შიგნითისა ტყავისაჲ, ეგრე გრკოასა ტყავი შიგნითისი რვაჲ დრამაჲ, და საბრი ორი დრამაჲ, დაფითი ექვსი დრამა, აღხარი ოთხი დრამაჲ, მური ორი დრამა, ყველა და ნაყილი ორთა ლიტრითა წყლითა შეაგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს და სამსა დღესა ქამოს ერგების.

ვითარებამ მიწისა ქამისაჲ რომელ სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანკი გრილისა გასარეველისაგან იქნების, რომელ სტომაქისა ტყავსა შიგან შეყრილ იყოს, და ორსულთა ესევე იქნების, და მესამესა თვესა ესე მანკი დასწყნარების და იქნების ოდესმე რომელ მამათაჲცა შეექნას, ესე მანკი საძულელია.

40 ნიშანი მისი იოჰანასა ნათქვამისაგან: თუ სიმლამუსა მიელტვოდეს მანკი სტომაქისაჲ მლაშე იქნების, და თუ სიმლამუსა არ მიელტვოდეს ბალამურისა ჰავისა მანკისაგან არს.

კურნებაჲ მისი იოჰანასა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ სტომაქი რწყევითა გაწმიდოს მარლიისა და ცერეცლსა წყლითა, რომელ წითელი ლობიოჲ ერიოს

¹⁾ ტექსტში ამ სიტყვის მაგიერ სწვრია შეცდომით „და“.

და თუ მანკი ძლიერი იყოს და ამით წამლითა არ არწყვიოს კურნება იგი არს, რომელ საბრისა ჰაბითა მუცელი დაიღობოს ანუ იარაათა და მაშინ ესე მაჯუნე იხმაროს: იარაა ექესისა დრამისა წონი, შვიი ჰალილა და ბალილა თეთოთასკან დრამისა წონი, იფქლისა ლავზე ვითამცა ნუში ხუთისა დრამისა წონი, ყველაა დანაყლითაფლითა შეზილოს, და მასთაქე და ანისონი და პიტნა წყლითა შეაბგოს და სამისა დრამისა წონი მისი წამლისა თანა, ცოტასა ამას წამალსა გაჰჭიროს და უზმამან ნელი იხმაროს. მაგარა ორსულთა დედთა კურნება იგი არს, რომელ აღვისა გვარიზნსა ჰამდეს და შემცვრელსა ბეჭესა გვარიზნსა, და მსუქნისა ქათმისა ხორცსა, და თიქნისა და ბატქნისა მწვარისა ტენი ჰამოს შაქრითა და მადღარმან არწყვიოს, ეგრე რომელ სტომაქსა არაა მიჰქირდეს. და ცოტაა ნიორი და ხახვიცა ჰამოს ანუ თუთუბა რომელ მანკი დააწყნაროს. და კურნებაა მლაშისა გასარველისა იგი არს, რომელ შეყრილ იყოს, საბრისა ნაყთა მუცელი დაიღობოს და მაშინ ტარფეული და რიმაჰანი ჰამოს. და შემწვრისა ძეაღსა მოსწოვდეს რომელ ნდომაა დასწყნარდეს. და ნანხვაასა მატბუხი და ტაბაშირი და იფქლისა ლავზე, და ჰალილა და ყაყულაა ჰამოს და ნუ დაიყოფნის ჰამასა უღონოდ, ნდომისა მიქისასა გარდაიდებს და მანკი დასწყნარდების. და ბალიშისა მომამტებელთა ერიდოს და სიმბურვალესა მიელტვოდეს ერგების და გამართედების.

10 რიბ. წაშრილი ღა წაღისა ღია სმა. რომელ სიმბურვალისგან იყოს. მასოაას ძე იტყვის: მისგან იქნების რომელ სიმბურვალე და სინმელე სტომაქსადმოიყენილ იყოს, ანუ ზაფრიაა შიგან შეყრილ იყოს და გამაგრებულ იყოს, და გულისა ანუ ლვიძლისა სიმბურვალისგან ესე გამოიჩენილ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით პირი მშრალად იყოს. და ზაფრისა ნიშანი იგი არს, რომელ წყურვილისგან ეგრე ეგონოს რომელ სტომაქსა რამე უკენს, და პირი მწარე იყოს. და გულისა სიმბურვალისა ნიშანი იგი არს რომელ რაა ქარი ხორხსა ჩაუვიდდეს არა სწყუროდეს.

კურნება მისი რაა სიმბურვალისგან იყოს. რააცა სტომაქსისა სიმბურვალისა და სინმელისგან იყოს იგი არს, რომელ შაქრისა სიქანგუბინისა ჰამდეს და შაჰანარისა ბროწყელისა წყალსა და მჟავისა ვაშლისა წყალსა, და ტყემლისა წყალსა და თამრიჰინდისა წყალსა, და კატკატოხასა თესლისა წყალსა, და გრძელისა ბადარანგისა კიტრისა წყალსა ისარიმისა შარაბითა და კოწახურისა წყლითა, და ანუ ბეჭესა სიქანგუბინითა რააცა პოვოს ამათ თანა მით იხმაროს ერგების. და ხილთაგან ვაშლი და სხალი ჰამოს ერგების. და ხელთა და ფერხთა ცივსა წყალსა შიგან ჩასდებდეს. და სტომაქი თუთუბისა წყლითა და ვარდისა წყლითა გაიგრილოს. და საჰამადსა თიქნის ხორცსა ჰამდეს ძმრითა შექნისა ანუ ისარიმითა.

ჯალინოსი იტყვის: თუ წყურვილი მეტისა სინმელისგან იყოს ქრთილისა წყალი სტასა ნუშისა ზეთითა, და ჰაბი ბეჭეს გულისა შაქრისა სიქანგუბინითა იხმაროს, და იფქლისა ხალი შაქრითა და და ხავარტისა თესლითა ჰამოს, და საჰამადსა ვარიასა ჰამდეს ალარდნითა ანუ თუთუბითა შექნისა, და თუ წყურვილი ზაფრისგან იყოს. რომელ სტომაქსა შეყრილ იყოს კურნება იგი არს, რომელ არწყვიოს, და მუცელი დაიღობოს და გრილთა საჰამადთა ჰამდეს.

40 მადაინი იტყვის: რააცა სიმბურვალისგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ დია მჟავე ბროწყელი და მსგზავის მისი ჰამოს. და რააცა სინმელისაგან ოდენ იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი და აყიროხასა წყალი, და ბაზრიაყატუნისა ლუაბი ჰამოს. და თუ ლვიძლისა სიმბურვალისგან იყოს, ანუ გულისა სიმბურვალისგან, ანუ ფირტვისა სიმბურვალისაგან, ანუ თირკმელისა სიმბურვალისგან, ბასალიყი ვაიხსნას და სიქანგუბინსა და ტყემლისა წყალსა პირსა შიგან დაიჭირვიდეს. და თუ გულისა სიმბურვალისგან იყოს

ეგრე ხამს რომელ მკერდი სანდლითა და ქაფურითა და ვარდის წყლისა შემოდებთა გააგროლოს, და ციესა ადვილსა დაჯდებოდეს.

წყლისა დია სმისა ვითარებამა რამა სიგრილისგან იყოს, არხიჯანის იტყვის: ესე მანკი მლაშისა ბალღმისაგან იქნების, რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს და აყროლებულ იყოს, და რამ სტომაქსა მოერიოს წყურვილი გამოჩნდის დია.

ნიშანი მისი რამა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწყით გემოჲ პირისა მჟევე იყოს, და რამა მლაშისა ბალღმისაგან იყოს და რამცა ბალღამი ამოილოს იგიცა მლაშე იყოს და არცა სტომაქი მხურვალედ იყოს.

10 კურნებამა მისი რამა სიგრილისგან იყოს: რამცა მლაშისა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი მანკისა დედისაგან გაწმოდოს რწყევითა ცერეცოჲსა წყლითა ნელითა. და მაშინ სიქანგუბინი და გველბა შაქარი კამოს, და ეგეთთა საქამადთა რომელ ბალღამსა მოუმატებდეს ერიდოს. და ზირაბაჯი კამოს ანუ ბატკნისა ხორცი კალიითა ანუ შემწვარი ქათამი.

10 იოჰანი იტყვის: წყურვილი და წყლისა დია სმამა მლაშისა ანუ ფიცხელისა ბალღმისაგან იქნების, რომელ სტომაქსა შეყრილ იყვნენ და რამა მოერიოს, სიფიცხლითა ადულდების და აწყურებებს.

კურნებამა მისი იგი არს, რომელ დია იძინოს, რომელ სინედლესა იქმნს ძილი ტანსა შიგან. და წყურვილი რამ დაძინებისა ქამსა იყოს სიმხურვალისგან იქნების და მხურვალისა საქამადისგანცა რომელ ექამოს. ცივი წყალი სტას რომელ წყურვილი დააწყნაროს.

20 როფის იტყვის: წყურვილი რომელ მჟავისა ბალღმისგან იყოს კურნებამა იგი არს, რომელ არწყიოს რომელ სტომაქი მანკისა სათავნოასგანგ აწმოდეს, და მაშინ ტარფეული კამოს ანუ ზანჯაბილი, და მლაშესა და მჟავესა ნუ კამს. და რამ მანკი სვედისა ნიშნითა იყოს მჟავესა ერიდოს და ცხიბიანსა მიელტვოდეს და ძილსა მოჰმატოს, და ვარდისა ზეთი და ნუშისა ზეთი თავსა იცხოს. და თუ მუცელი ღბილად იყოს ბროწყულისა ანუ ისარიმისა

წყალი სვას, და სიარულსა და ქირისა ნახვასა და დიაცსა ერიდოს. და იქნების რომელ ესე მანკი სიგრილისა და სიხმელისა ვანცა ქნილ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ყოლა წყურვილსა ვერ გასძლებდეს. კურნებამა მისი იგი არს, რომელ მიწყით უზმამან ჩამიჩი და ჯუღამი იხმაროს, და ერბოჲ ფურთაჲ და თაფლი ერთგან გაპრიოს და ქამდეს. და ესე მანკი მხურვალისა საქამადისა და ცხიბიანისაგან არს უჩინარ იქნების, და დაილევის და

30 გამართლდების, თუ ღმერთსა უნდეს.
რიჲ. სტომაქისა პირისა შემოდამა რომელსა ჰქვიან პარაბულად შავალ ფუჰადი. ვითარებამა მისი რამა სიმხურვალისგან იყო. მასარჯოა იტყვის: იგი არს, რომელ გასარეველი ზაფრათული სტომაქისა პირსა შეყრილ იყოს და მორეგნილ იყოს, და მას ადვილსა უქმენდეს ძნელად.

ნიშანი მისი რამა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მანკი ძლიერად იყოს სნეული დაბნდეს და ფერხნი გაუწვდენ, და ტკივილისა სიძნელისაგან ვერ დასწყნარდებოდეს, და რამ მანკი გაუგრძელდეს და არამა უკურნონ უღონოდ, მოკვდების კაცი უცილოდ.

კურნებამა მისი რამა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მასარჯოა იტყვის: ამას მანკსა ვაჯალ ფუვადი-მით ჰქვიან, რომელ მანკი გულისა სიხმ-

40 ლესა იქნების, და იქნების რომელ მანკისა დედაჲ გულისა ზიარობითა იყოს. კურნებამა მისი იგი არს, რომელ არწყიოს სიქანგუბინითა და ნელითა წყლითა. მაშა თუ სნეული რწყევსა არ ჩვეულ იყოს მუცელი დაიღბოს ტყემლისა შარაბითა, და თამრიჰინდითა და ნელოფრითა. და მაშინ სტომაქი ვაშლისა შარაბითა განაძლიეროს ანუ სადაგითა ბეჭესა რუბითა, და შაჰნარისა ბროწყულისა წყლითა და თრუნჯისა მჟავითა, და ქრთილისა წყლითა. მაშა თუ მუცელი შეკრვით იყოს ღბილითა ჰუყნითა მუცელი დაიღბოს, და მიწყით მეშპაპარისა წყალი და ლისანალჰამადისა წყალი ტკივილისა ადვილსა იცხოს და ასხნიდეს,

რომელ სტომაქისა პირი გაგრილდეს. და საქამდსა თუთუბისა ურწყოასა ჰამდეს ნუშისა ზეთითა შექნისა, ანუ ალარდნისა ურწყოასა. და რა მანკი დაელოის და სნეული გაღლიერდეს ვარიაა ჰამოს ამითუ შეავითა, რომელ მანკი არ შემოიქცეს.

ჯალიონოს იტყვის: მრავალჯერ ნელითა სიქანგუბინითა არწყოის რომელ სტომაქი მანკისა დედისაგან გაწმდეს, და მუცელი დაიღბოს თამრიპინდისა წყლითა და თეთრისა შაერთა ერგების. ანუ ჰუნანა უყოს ქრთისა წყლითა, და კატაკოასა თესლისა წყლითა და ვარდისა ზეთითა, და მაშინ ვარდისა შარაბი ბროწყულისა შარაბითა იხმაროს ერგების. და თუ ქერისა ხალი ტკბილითა და შეავითა ბროწყულითა ჰამოს ერგების. და თუ რქისა თავი რომელ არაბულად ლაფალქარმი ჰქვიან, ყურძნისა რქისა თავი, დანაყოს და 10 თეთრსა პურისა გულსა გაპროოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას ერგების, და სიმბურგალეთა ერიღბოდეს ყოველსა.

სტომაქისა პირისა ფეთქისაა ვითარება, რა სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ესე მანკი სიგრილისაგან იშვითა ოდესმე იქნების, და ეგების რომელ სასველოა ხილტი, ძნელი და ფიცხელი სტომაქისა პირსა შეიყაროს და რაა გაძნელდეს უტბენდეს.

ნიშანი მისი რა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ რწყევისა ეამსა სასველოასა ამოიღებდეს და სტომაქი დია მბურგალედ არ იყოს, და ტკივილი ეგრე ძნელად არ იყოს რომელ ზაფრისაგან, და რაა მბურგალი ჰამოს ელხინოს, და საქამადი მბურგალი ეპამებოდეს.

კურნება მისი რა სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: იგი არს, რომელ აფთიმონისა მატბუხი იხმაროს, რომელ სტომაქი მანკისა სათავნოასაგან გაწმდეს, და მაშინ ძველი გულანგუბინი ვარდისა ყურსითა იხმაროს, და მასთაქე და ალვა და ყარანფული წყლითა ადუღოს და იხმაროს, და თუ არ იჯობინოს მიქშადარეი და საჯახანაა ბანდადიყონისა მაჯუნითა, ანუ მათრედიტოსითა, ანუ დილისა თირიყისაგან თეთითაგან ნლომისა მისაფერად იხმარებდეს. და თუ ძირაა ქირანფული, და ანისონი და მასტაქე და ფარარი წყლითა ადუღოს და ამათ მაჯუნითა თანა ცოტაა გაუროოს და უხმამან ჰამოს ერგების. და ეგეთითა საქამადთა რომელ სვედასა მოუმატებდეს ერიდოს, და მბურგალეთა და ლბილთა საქამადთა ჰამდეს.

არხიჯანის იტყვის: რომელ ეგრე ხამს, პირველ სტომაქი მანკისა სათავნოასგან გაწმიდოს აფთიმონისა მაჯუნითა, და მაშინ ძველი გულანგუბინი ანუ მასთაქე უხმამან ჰამდეს, და მასთაქე და ვაიდი, და ალვა და სიქი, და საბრი და აფსანთინი, და ზაფრანაა თეთითაგან ნაწილი ერთი, ყველა დანაყილი ბეჰესა წყლითა და შარაბი რაჰანითა შეზილოს, ლეონოასა იტყვის შარაბი რაჰანი, და მანკისა ადგილსა შეიშოსდვას. და თუ ესე წამალი რომელ ვახსენეთ, დანაყილი და გაკრილი მასთაქისა ზეთითა ანუ ყუსტისა ზეთსა გაპროოს, და თეთრი და წითელი ცვილი გააღნოს და მისგენთ მალჰამა ქნას, და მიწყით მანკისა ადგილსა მით იხელდეს ერგების. და საქამადთა რომელ სვედიანი იყოს ერიღბოდეს, და ტკბილთა მიელტვოდეს ვითა ფალურდავსა და ლეზინასა რომელ ნუშისა ზეთითა, და ზაფრანითა, და კარავითა თუფლითა შექნილ იყოს, და ქარიანსა საქამადსა ერიდოს.

რით. ჰატა ლა ბარჯაა რომელსა ჰქვიან არაბულად თუხბა ლა ქართულად მლდა. ვითარებაა ჰაიტაასა. მასარჯოა იტყვის: ესე მანკი დია საქამდისა ჰამისაგან იქნების 40 ანუ გასარეველისა საზაფროასა ფიცხელისაგან, რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, ანუ ტკბილისა და ცხიბიანისაგან ქნილ იყოს რომელ დია ექამოს და ვერ მოედნოს!).

ნიშანი ჰაიტაასი. იგი არს, რომელ ბუნებაა ეშლეოდეს და სწყუროდეს, და ხელი და ფერხნი გაუცივდენ და იკვი ოფლი გამოეცეს, და უკანის დია არწყევდეს, და სილბოა დაეწყოს და ხელი და ფერხი გახმეს.

კურნება ჰაიტაასი. მასარჯოა იტყვის: არა ხამს რომელ აქიმი შეწყუ-

1) ამ გვერდის ქვეშე ამახებ რეველთა სათვალავი სწერია „კთ“ და შემდეგი გვერდის ზემო ახიზე „ლ“.

ხდეს ნიშნებითა რომელ ამას მანკსა შიგან გამოჩნდეს, მაგრა სტომაჲი გაწმინდოს ჰავთა სა-
ქამადთა ნარჩომითგან რომელ შიგან იყოს, მით რომელ მრავალჯერ არწყვიოს თაველისა
წყლითა, მუცელიცა დილიბოს. და თუ იცოდეს რომელ სტომაჲი გაწმინდოილ არს ბროწყუ-
ლისა რუბი ქამოს რომელ სტომაჲი გაწმინდეს, და თუ მოსწყურდეს ბეჰესა ანუ ვაშლისა
წყალი სტას. და რაჲ რწყევად დააკლდეს და სნეულსა არ გააცხრობდეს აბანოას წყეი-
დეს, მეტად მაშინ რომელ იცოდეს თუ მანკისა სათაფნოა გაწმინდოილ არს, და ნელითა წყლი-
თა ტანს იბანდეს. და საქამადს ვარიასა შურვისა ქამდეს და ბეჰესა ქამდეს, და
ბეჰე ქრთილისა წყლითა შეაბგოს და იხმაროს. და თუ დია სწყუროდეს კატაკოქსასა თეს-
ლისა წყალი კოწახურისა თესლითა იხმაროს და სტას, და ცოტად ტაბაშირი და სომხური
10 მიწად გაპრიოს და იხმაროს. და მორდისა ანუ თუთუბისა წყალი სტომაჲსა ისხას და ჰამო-
თა სურნელთა უსუნებდეს. და თუ არ გარდვიდეს და არწყევდეს ხორასნული მიწად და და-
ბეჰედული მიწად თვითთავსაგან ერთი ნაწილი. ტაბაშირი ნახევარი მათ ოდენი, ქაფური
ცოტად, ყოველი ბეჰესა რუბსა გაპრიოს და იხმარებდეს. და რაჲ მანკი გაქარდეს ვარიასა
თუთუბითა შექნილსა ქამდეს. და თუ რწყევასა თანა ანუ განავალსა თანა გლუსუნნი ბალდა-
მი ერიოს მიაჲ ქამოს, და პურსა ღვინითა დამბალსა ქამდეს ერგების. და რაჲ მანკი და-
აკლდეს ტრედისა ხუნდსა ქამდეს მუზაფრად შექნილსა. და რიღებით საქამადსა ქამდეს
რომელ გამრთელდეს, და სნებაჲ და მანკი კულა გარე არ შემოეკცეს და ელხინოს.

თუხმებაჲ ვითარებდა. მესია იტყვის: დია ქამისგან იქნების ანუ ჰაეისა საქა-
მდისაგან, რომელ სტომაჲსა შიგან აღერ დაშავდეს. ანუ უღრთისა სქელისა საქამადისა-
20 გან იქნების, რომელ ჰირველი იგი ექამოს, უქანის ნატიფი.

ნიშანი თუხმადსი. იგი არს, რომელ სნეულსა ჰკითხოს თუ რაჲ უქამია, და
რასდენი უქამია, და სხვაჲ ნიშანი მისი იგი არს, რომელ მიწყით ჰავსა და მყარლსა აბო-
ყინებდეს და ხორხთა ამოვიდოდეს.

კურნებაჲ თუხმადსი. მესია იტყვის: ვითა თუხმადმეტისა ქამისაგან იქნების.
იგი არს, რომელ ცერეცოასა წყლითა და თავლითა და თბილითა წყლითა არწყვიოს, და
რაჲ სტომაჲი გაწმინდეს გულანგუბინი ქამოს და საქამადსა ვარიასა ქამდეს ძმრითა შე-
ქნილსა, და ძველსა ღვინოასა იხმარებდეს, და დია ნუ სუანს. და თუ საქამადისგან ქნილ იყო
რომელ სტომაჲსა შიგან დაშავებულ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ არწყვიოს რო-
მელ სტომაჲი გაწმინდეს. და თუ ვერ არწყევდეს აღვად და ვარდი და მასთაჲე წყლითა შე-
30 ავბოს და იხმაროს. მაშა თუ არ გარდვიდეს აღვისა გვარიიზნი ქამოს უხმამან ერგების. და
საქამადსა ზირაბაჯსა ქამდეს თიჰოასა ხორცითა.

სინადსი იტყვის: თუ უღრთისა საქამადისგან სკირდეს კურნებაჲ მისი იგი არს,
რომელ ბეჰესა წყალი ანუ ვაშლისა წყალი ცოტასა ღვინოასა თანა სტმიდეს, რომელ
სტომაჲი განაძლიეროს. და თუ საქამადთა არ რკინობით ქნილ იყოს ვერე რომელ შემეკ-
რელი რაჲმე ქამოს საქამადისა ქამისა უწყინად, არა ხამს რომელ მუცელი დაილიბოს.

კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თფლითა წყლითა ჯულაბად შექნას და მრ-
ვალჯერ უხმამან იხმაროს, ანუ გულანგუბინი ქამოს ერგების, და რაჲ შეიგნეს რომელ
სტომაჲი გაწმინდოილ არს მოიჭირვოს რომელ დია იძინოს, და რაჲ გაიღვიძოს იარებოდეს,
რატათსა იქმოდეს. და მაშინ აბანოას მივიდოდეს და ნელითა წყლითა იბანებოდეს. და რაჲ
40 აბანოთ გამოსრულ იყოს ვარიასა ქამდეს ისრაშითა შექნილსა ერგების. და მაშინ ცოტად
ღვინოა რაჲჰანი იხმაროს, და ვიდერ შეეძლოს დაიძინებდეს, და ცოტასა ქამდეს და უღნო-
ბსა ერიდოს.

რ. ღარბი სილგოასჲ ჰქვიან რომელ ბაბრჰმდეს. ვითარებაჲ რაჲ სიმხურვალისა-
გან ქნილ იყოს. აბუჯარ იტყვის: ეს მანკი შეიქნების რომელ ზაფრიანი თფიცილი
საქამადი დია ექამოს, და სტომაჲსა. და წელთა შიგან შეიყაროს, და რაჲ მოერიოს და დამ-
კვირდეს ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მიწით გემოა პირისა მწარე იყოს და სტომაქი დიი სტკიოდეს. და რააცა მუცლისგან ჩამოვიდეს ფერად ანუ ყვითელი იყოს ანუ წითელი. და წყურვილი დია იყოს. და უზე და სახარდული ეგრძებოდეს.

კურნებაა მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: გაყოფაა ჰაბტასა და დარაბსა შუა იგი არს, რომელ ჰაბტასა თანა რწყევაცა იყოს და რააცა მუცლისგან ჩამოვიდეს ზაფარაა იყოს, და დარაბსა თანა რწყევაცა არა იქნების და რააცა მუცლისგან ჩამოვიდეს ფერსა იქევედეს. კურნებაა იგი არს მისი, რომელ ტაბაშირისა ყურსი ბეჭესა რუბსა თანა ჰამდეს, და ქრთილისა წყალსა რომელ შიგან აღარდენი შექნილ იყოს და მაშინ ვაშლისა რუბსა ცივი წყალი ვაპროოს და იხმაროს და საღამოსა ეამსა დრამი. 10 სა წონი აღარდენისა სუფუფი კაწოხურისა წყალსა ანუ რევასისა რუბსა, ანუ მორდისა რუბსა თანა ჰამოს. და თუ სწყუროდეს კატაკროსა თესლისა წყალი ბეჭესა სიქანგუბინსა თანა სტას. და მიწყით ფშატისა ხალსა და აღარდენსა ჰამდეს, და საჰამდსა თუთუბისა ურწყუსა ანუ აღარდენისასა ჰამდეს. და თუ სნეული შეუძღებელი იყოს ვარია თუთუბითა შექნილი ჰამოს. და თუ აყაყიაა და სომხური მიწაა, და თუთუბაა და სანდალი, და გუნ. დაა დანაყოს და წყლითა შეზილოს და სტომაქსა შემოსდეს [ერგების].

ჯალინოს იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ ტაბაშირისა ყურსი და წითელი ვარდი და გომიზი არაბული, და კოწოხური და არდისა თესლი, ისრინისა შარაბსა და აღარდენსა და რევასსა თანა ჰამოს, და ბეჭე ავშარასა თანა ჰამოს, და საჰამდსა თიჰოასა ხორცსა ჰამდეს.

ისაკ იტყვის: თუ ბურანსა შინა გამოაჩნდეს ესე შეკრვა არა ხამს, მით რომელ დიდათ ანებებს, და სნეულსა დააუსუსურებს. მაშინ ერგების რომელ უზამან ვაშლისა შარაბი იხმაროს, და საჰამდსა თუთუბისა ურწყუსა ჰამდეს. და თუ ზაფარისგან ქნილ იყოს რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, კურნებაა მისი იგი არს, რომელ ტაბაშირისა ყურსი და რევასისა რუბი და ტუტაა ჰამოს ნიადაგ.

ესთარებაა მისი რაა სიგრილისგან იყოს: მასოაჰას ძე იტყვის: ესე მანკი მლაშისა ბალმისაგან იქნების, რომელ სტომაქსა ანუ წყლითა შიგან შეყრილ იყოს და მოერივნეს ანუ ბალმისა თანა საჰამდითაგან რომელ ეჰამოს, ანუ მისარჩიეთა გზათაგან იქნების ესენი. 20 ნიშანი მისი რომელ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ გემოა პირისა მლაშე იყოს და სტომაქი სტკივოდეს, და რააცა ვანაველი იყოს ფერად თეთრი იყოს და სწყუროდის. და რააცა მისარჩიეთა გზათა შეკრულობისგან იყოს იგი არს, რომელ ჰირი და მანკი გაუგრძელდეს.

მასოაჰას ძე იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ პირველ რაა ბალმისაგან იყოს მატლითათაა სუფუფი მაიბეჰსა და მორდისა შარაბსა თანა იხმაროს ანუ ბეისა შარაბი ვაშლისა რუბითა იხმაროს, და მაშინ სუდი და მასტაქეი, და ლადანაა და წითელი ვარდი დანაყილი, მორდისა წყლითა შეზილოს და სტომაქსა შემოსდეს ერგების. და საჰამდსა დურაჯისა და თიჰოასა ხორცსა [რომელ] ძმრითა და ნიახურითა და ქინძითა და კილაპონითა შექნილ იყოს, ანუ ჩამოიხითა და აღარდინითა, მას ჰამდეს, და თუ მანკი მისარჩიეთა გზათა შეკრულობისგან იყოს ძირაასა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და თუ შიგან სიმხურვალე არ იყოს, კურნებაა მისი ძირებისა წყლითა იქნების რომელ უზამა სმიდეს, და საჰამდითა 30 ცოტასა სჰამდეს და ზირაბაჰსა ჰამდეს.

მუჰმედ ზაქარიაჰას ძე იტყვის: რააცა ბალმისაგან იყოს იგი არს, რომელ მუყლიათასა სუფუფი ვაშლისა შარაბსა თანა ჰამოს, და ესე სუფუფი კარგი არს: მორდისა მარცყალი და ჩამოიხის თესლი თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, აღარდენი უკია ერთი, ძირაა ქირმანული რომელ ძმარსა¹⁾ შიგან დებულყოფს და მაშინ ამოეხალოს, შვიდისა დრამისა წონი, ანისონი და ნიახურისა თესლი და ჩახაქი თვითოასაგან სამისა დრამისა წონი, ხმელი ფაჩარი და მასტაქეი და ყაყულაა თვითოასაგან დრამისა წონი²⁾ სიქი და ალუგა ჰინდური თვითოასაგან მითყალი ერთი, ყველა დანაყილი დრამისა ოთხისა

1) ამ სიტყვის მავგერად ტექსტში შეცდომით სწერია «ძირასა»

დრამისა წონი მორდისა შარაბითა ანუ სურნელითა ვაშლისა შარაბითა იხმაროს, და ეგრევე საღამოს. და თუ ნახვამი და თეთრი საკმელი და ბროწეულისა ყუბილი თვითთავადან ნაწილი ერთი, ჩამეჩისა თესლი ორი ნაწილი, ყოველი დანაყლი და გაცრილი უზმამან მისგნით ორისა დრამისა წონი მიათა ქამოს ერგების დია, რაჲ ესრე ვითა გვირქვამს იხმაროს.,
რძა. ზალაუაღმიდა და ზალაუაღლ ამაჲ, ორივე სიღვრიე არს, თარგმანი მისი-სტომა-
თისა და წელთა სიგულტუნი. ფოლის იტყვის: რომელ ზალაუაღმიდა იგი არს რომელ
რაჲცა ექამოს ეგრევე შეუსული გენავლად გავიდეს. ვითარებამ მისი მისიქამა უსუსუ-
რობისაგან იქნების, რომელ გასარველსა ჰავსა და ნედლსა და გრილსა დაქუთსთოს, ანუ
სტომაქის, სიწყულლისაგან იქნების ესე მანკი.

10 ნიშანი ზალაუაღმიდასი - სტომაქისა სიგულტუნისა. იგი არს, რაჲცა მისიქამა სისუსტისგან იყოს, რომელ საკამადი ეგრევე გამოვიდეს. და ნიშანი მისი რაჲცა სტომაქისა სიწყულლისაგან იყოს იგი არს რომელ გრევე ეგონოს ნუ თუ რაჲ უკმენს სტომაქსა, და თუ ზაფრისგან იყოს, გემოჲ პირისაჲ შწარე იქნების.

კურნებაჲ ზალაუაღმიდასი, რაჲ სიგრილისაგან იყოს

ფოლის იტყვის: რაჲცა მისიქამა უსუსურობისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რო-

მელ ტუტისა გვარიშნი და ავსახსა ნედლისა წყალი ერთგან იხმაროს, ანუ აღარდენისა სუ-
ფფუვი, ანუ ბეჭესა რუბი ანუ ბროწეულისა ყუბილისა ყურსი, ანუ მორდისა რუბი და ზა-
ფრანაჲ და ვარდი წითელი, და ბროწეულისა ყუბილი და ალუაჲ, და ყსაბადირაჲ და სუ-
დი. და რამიკი, ყოველი წმიდად დანაყოს და მორიდისა წყლითა ანუ პიტნისა წყლითა შე-
20 ზილოს და სტომაქსა შემოსდეს. და საკამადსა ღურჯისა ხორცსა ქამდეს ზირაბაჯითა და
ჩამიჩითა და აღარდენითა შექმნილსა. და თუ მანქისა ვითარებამ სტომაქისა სიწყულლისა-
გან ჩნო იყოს მიზეჯისა სიმხუვალისგან, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბეჭე დანითა და-
ქრას და ქრთილისა წყლითა შენაბგოს და დაწუროს, და არაბულისა გომიზისა ყურსი და
სომხური მიწაჲ დანაყილი მასთანა გაპრიოს და იხაროს. ერგების.

მუჭამედ ზაქრიას ძე იტყვის: რაჲცა წელთა სიწყულისგან იყოს კურნებაჲ
მისი იგი არს, რომელ კატკატოჲსა თესლისა წყალი ანუ ბეჭესა რუბი, და კოწხურისა
წყალი, ანუ ვაშლისა რუბი ანუ ტაბაშირისა ყურსი უზაფრანოდ, რომელიცა იყოს იხმაროს
და ჯალზაბაჲ და ახლისა აყიროჲსა ნათალი, და თუთუბაჲ და ვარდი ყველა დანაყილი
მეკრდსა შემოსდეს. და საკამადსა ვარიასა ქამდეს რომელ აღარდენითა ანუ თუთუბითა

30 შექნილ იყოს. და სტომაქისა სიწყულლე ზაფრისა სიფიცხისაგან თუ ქნილ იყოს [კურნებაჲ]
იგი არს, რომელ ნელთაჲ წყლითა და ანუ სიქანგუბინითა არწყიოს და ქრთილისა წყალი
აღარდენისა წყალსა გაპრიოს და ბუნებაჲ გაავრიოს მით, რომელ მიწყით კატკატოჲსა
თესლისა წყალსა ანუ მეჯისა ბეჭესა წყალსა და ტაბაშირსა ვაშლისა რუბითა იხმარებდეს.
და თუ ცხროს არ იყოს ვარიასა ქამოს ძმრითა.

ვითარებამ ზალაუაღლ ამასი¹⁾. აბუჯარიჲ იტყვის: ესე მანკი მიზე-
ჯისა დაშვებისათვის მქმნის, რომელ გრილი ზილტი მორეულ იყოს მისდა, და მისიქამ
დაუსუსთოს, ანუ წელთა სიწყულლისაგან იქნების, რომელ ფიცხელი საკამადი ექამოს.

ნიშანი ზალაუაღლამაჲ რომელ მიზეჯისა და შევებისაგან იყოს. ამის
ხანკისა ვითარებამ [კურნებაჲ] მისი. იგი არს, რომელ ესე სუფუვი იხმაროს ვითარებამ მისი:

40 ბროწეულისა ყუბილი და მორადანაჲ და თუთუბაჲ და ყურტი თვითთავადან ორისა დრამისა
წონი, ძირაჲ ქირმანული რომელ ძმარსა შიგან დებულ იყოს და მამინ ამოხალული, ორისა
დრამისა წონი, ტარათითი ხუთისა დრამისა წონი, გუნდა ამოხალული და ძმარსა შიგან
დებულ, და მეჯისა ბროწეულისა თავი და ველურისა ჯაქუნტელისა თესლი, და ჩანჩაქი
ნაბატი, და ჩამიჩისა გული და გრკოჲსა ჰანთი მისი სარქველი, თვითთავადან ორისა დრამისა
წონი; ყოველი დანაყილი მორდისა შარაბსა თანა გაპრიოს და იხმაროს. და ბროწეული¹⁾

¹⁾ ამ სტრიქონის გასწვრივ აშოაზე დედნის ხელით ძალიან წვრილად სწერიან „რომელ არა წყურთს“
დეს და რაჲ წელთა წყლელისაგან იყოს იგი, რომელ სწყუროდეს. და გაბერი [ლი] წერილი მისსა შიგან მის-
სა გამოიხანდეს, კურნებაჲ წე [ლთა] სიგულტუნისა ზალაუაღლამასი¹⁾.

ბალღმისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ გემო პირისა მლაშე იყოს. და ნიშანი მისი რა-
ცა მეტისა ჰამისაგან ქნილ იყოს იგი ცხადი არს, და სიმსივნისა ვითამცა არს მანკა შიგან
ვახსენოთ მისსა ადგილსა.

კურნება ამა მისი რაა სიგრილისგან იყოს. მესია იტყვის: თუ თა-
ჭავუა და მანიშ გშოთანი დია ვლუსუნისა ბალღმისაგან იყოს კურნება იგი არს, რომელ
სიქანგუბინითა და ბოლოკისა წყლითა არწყვიოს და იარასა ჰაბითა მუცელი დაიღობოს და
სტომაქი ვაწმდეს, და მარხვად ამას მანკა ერგების. და დია რუბინთა რომელ შიგან პიტნაა
რეულ იყოს იხმაროს. და საჭამადსა ზირაბაჯსა ანუ მუხუდის წვენსა, ჰამდეს რომელ შიგან
პიტნაა რთულ იყოს, ანუ ღვინოსა სმიდეს, ანუ ჩიტი ანუ ტრედის ხუნდი შემწუარი ჰამოს,
10 და აბანოსა მივიდეს და მიწყით სტომაქსა ბერძელისა ფაჩრისა ზეთითა იხელდეს ერგების,
და თუ რწყევად მლაშისა ბალღმისაგან იყოს გულანგუბინი და თაფლისა წყალი იხმაროს და
საჭამადსა თიპოასა ხორცსა ჰამდეს კალიად შექნილსა და ძტელსა ღვინოსა სმიდეს და მიწყ-
ით მასთაქსა ცოხნიდეს. და თუ მანკი სევედიანისა ხილტისგან ქნილ იყოს რწყევასა ნუ
გარდაიდებს, ნუ თუ დია არწყევდეს, და მაშინ ჰუყნად უყოს და ყოველთა დილათა ბროწყე-
ულსა შარაბსა რომელ პიტნითა შექნილ, იყოს ანუ რუბსა იხმარებდეს.

მუჰამედ ზაქარი აას ძე იტყვის: თუ ესე მანკი დია ჰამისაგან ქნილ იყოს კურ-
რებად მისი იგი არს, რომელ საჭამადსა ცოტასა ჰამდეს და რააცა სტომაქსა განაძლიერებ-
დეს მას ჰამდეს და ესე ყურსი ერგების ვისაცა საჭამდი არ დაწუნდებოდეს და დია არწყევ-
დეს: ნიახურისა თესლი და ანისონი თვითოასაგან თხუთმეტისა დრამისა წონი, აფსანთინი
20 ბერძელი უქია ერთი, რამაქი და სალიხ თვითოასაგან ორი უქია, შური და პილპილი, და
ხაზუნისა გული თვითოასაგან ორისა დრამისა წონი, ყველა და ნაყილი კვერად შექნას და
დრაჰმისა წონი ჰამოს, და ალვისა ყურსი მას კარგად ერგების და სტაფილონისა გვაროშნი
და ბროწყელისა შარაბი ერგების თაფლითა.

კაჲ. სისხლისა აჟოღებად ზოჯისაგან რომელ სტომაქისაგან იყოს. ვითარებად მისი
ფოლის იტყვის: ესე მანკი მისგან იქნების რომელ ფიცხელი გასარეველი სტომაქსა
შიგან შეყრილ იყოს, ანუ სისავსე ძარღვთა რომელ შიგან გაჰობილ იყოს, ანუ ტანსა რამე
ნაკრავი სცემდეს ანუ მალღისა ადგილისაგან ჩაჰრილ იყოს.

ნიშანი მისი ფოლის იტყვის: რააცა ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი
არს, რომელ ეგრე გვონოს თუ სტომაქი უკბენს, და რააცა ძარღვთა სისავსისაგან იყოს იგი
30 არს რომელ იგი ხილტი მრავალ იყოს ტანსა შიგან, და რააცა ნაკრავისგან იყოს!) იგი
არს, რომელ სისხლი ერთობით ამოვიდეს?)

კურნება ამა მისი. ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ ბასალიყო გაიხსნას და გვეთ-
თა რუბთა იხმარებდეს რომელ სისხლისა უკუმეყნებელი იყოს, ვითა თუთუბისა რუბი და ბეჰესა
რუბი. და მაშინ სჯობს რაა ესე რუბები კატკაჯოასა თელისა წყლითა იხმაროს. და ლისანალ-
ჰამდისა წყალი ტაბაშირითა და სომხურითა მიწითა ბეჰესა რუბითა იხმაროს ერთგან
რეული. და თუ ამის რომელ გეითეჰამს არ იჯობინოს კურნებად მისი იგი არს, რომელ ჰაჰ-
რაბაასა ყურსი ვაშლისა რუბითა ანუ ტაბაშირისა ყურსითა წყლითა იხმაროს. და თუ მანკი
ძლიერად იყოს კურნებად იგი არს მისი, რომელ სტომაქსა შემოსდვას ლიპითა თანისა აფ-
შარაბა და გუნდა, და აყაყია და სომხური მიწა, და იფიონი და მორდისა წყალი, ყველა
40 დანაყილ წყლითა შეგვილოს და სტომაქსა შემოსდვას, და საჭამადსა თუთუბისა ურწყოასა
ანუ ალარდინისა ჰამოს ნუშისა ზეთითა, და მშენილთა თანა ხავარტი და კატკატოა იხმა-
როს. და თუ ძალი არ ჰქონდეს სნეულსა ვარია ალარდინითა ანუ თუთუბითა შექნილი ჰა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

2) ამ გვერდის ქვემო აწიაზე რეულთა სათვალავი სწერია „ლ“ და შემდეგი გვერდის ზემო აწიაზე „ლა“.

მოს, და საჭიროსა საქმესა ნურასა იქმს და დია ნუ¹⁾ იარების, და საქამადას და ნუ ქამს, და სიმბურვალეთა ერიდოს. და თუ სისხლი რწყევითა ამოვიდოდეს და ეამ ეამ იქნებოდეს. არა ხანს უკუყენებამ, ნუ თუ დია ამოვიდოდეს და სნეული დაუსუსტუროს. და მაშინ ეგებინ რომელ ესე წამლები რომელ გვითქვამს იხმაროს, მით რომელ სისხლისა უკუყენებამ რომელ უმანკოდ და უჭიროდ იყოს ტანსა შიგან სისხლისა სიმბურვალისაგან არს, რომელ სტომაქისგან გამოვა უწყენრად და მავისი უკურნებამ არა ხამს. მაშინ შეგკერული წამალი კამოს სნეულისა კურნებამ და რგებამ მავით იქნების.

10 ვითარებამა სისხლისა ამოღებისა. იოჰანა იტყვის: ამის მანკისა ვითარებამ სტომაქისა სიწყულლისაგან იქნების, ანუ სისხლისაგან რომელ შიგან იყოს და გასქედეს, ანუ ლვიძლისა სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ ელნეთსა შიგან იყოს.

ნიშანი მისი რააცა სტომაქისა სიმსივნისა წყლულისაგან იყოს, იოჰანა იტყვის: ²⁾ იგი არს, რომელ დია სტეივოდეს. და ნიშანი მისი რააცა სისხლისა სიმეტრისა და ლვიძლისგან იყოს და არა სტეივოდეს და სისხლი წითელი იყოს იგი არს. და რააცა ელნეთი სისხლისა სიმეტრისაგან არს იგი არს, რომელ სქელი იყოს.

კურნებამა მისი იოჰანა იტყვის ³⁾ ესე მანკი თუ სტომაქისა სიწყულლისაგან იყოს ანუ სიმსივნისაგან რომელ შიგან იყოს, კურნებამ თვითსაა ვთქვით ადგილსა ზედა. და რააცა ელვიძლისა სისხლისა სიმრავლისაგან იყოს. ანუ ელნეთისა რომელ სტომაქისაგან ამოვიდეს სიმრთელისა ნიშანი არს. და ამასაცა იტყვიან რომელ დია გვინახავს რომელი ორი ლიტრა და უფროასიცა სისხლი ამოუღია, და მაშინ ლხენია და არა დია ქიერებია. და იტყვიან ენახეთ ერთი ვინემ რომელ სტომაქისა თანა ერთი პატარა ხორცი ამოიღო, და ვითარებამ მისი იტყვიან, რომელ მისგნით იქნების რომელ ხორცი მეტი ახახი ანუ ბოსორელი სტომაქისა შიგან მოხრდილი იყოს და ბუნებასა მოეწყვიდოს და ზემოთვე მიეძლოს. და იგივე იტყვის ვითა სისხლისა ამოღებამ სტომაქისაგან რომელთანა ცხროა ერთოს ჰაეი არს, და რომელ ცხროა არ ერთოს უმჯობეია, და ამის მანკისა ვითარებამ სისავსისა და სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ ასოთა შიგან იყოს.

კურნებამა მისი. იგი არს, რომელ ზელი გაიხსნას და თუ არ დაელიოს მკლავნი და ბარკალნი მავრად შეუქრას, და სიქანგუბინი გაციეებული სუას. და აყაყია და ვარდისა თესლი; და მიწა დაბეჭდული და ბროწყულისა ყუავილი, და იფიონი და ბანგისა თესლი, და გომიზი არაბული თვითოსგან ნაწილი ერთი, ლისანალჰამალისა აფშარაასა თანა 30 ანუ ასააროასა აფშარაასა თანა გაჰროს და ნახევარისა დრამისა წონი ანუ უფროასი მისგან იხმაროს ერგების. და ნიგვზისა რუბი და ყოველი შეგკერული რუბი მას ერგების. და თუ გუნდა და ბროწყულისა ყუავილი თვითოსგან ნაწილი ერთი აიღოს, და ორივე წმიდად დანაყოს და ყერა ჭი ერთი აფიონი შიგან გაჰროს და სამივე ლისანალჰამალისა ყუაროს გაჰროს, და მარად დღე მისგან იხმაროს.

რად. რაჟამამა იღვინი რომელ სიღრმე არ ვართოს თანა. ვითარებამ მისი რამ სიმბურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ვითარებამ მისი ძლიერისა ზაფრისაგან იქნების

1) ამ გვერდის დასასრულს აწიხებ არა დედნის ხელით სწერია:
ჯალინოზ, ბაყრატ და იოანა, მასარჯჰ, მაჰმად ზაქარიას ძე მ
ანდრომახოს და აბუჯაროჰ, თოადიყ ზ ფოლოს, მასოას ძე მ
არჯანაოს, მადანელი, თემით ყურ ისა ძე, თებითყერას ძე მ
და არბიჯან, დეჯვან, ჰუნან, მესია, იბინიას, რეფოს, სინას ძე მ
ესენი დიდნი ფილასოფოსნი ცდილობდენ კაცთა უკვდავ ყოფა სა
ეციებდიან ზასიედებას ხეთა, მალათა ყოველთა მოყოფთა სა
მოუღმინებდენ, ნუგუშისცემდენ, ჰირს განსდევნიდენ ავთამყოფ (აქ აწიხა შეკრილია და აღარ იკითხება).

2) ამ სიტყვის მაგიერ ტექსტში დრი ასო სწერია „იტ“.
3) ტექსტში სწერია „იტ“.

რომელ სტომეჭსა შიგან შეიყაროს და მაშინ დაშავდეს, და რამ მოიმატოს და მოერიოს ესე მანკი გამოჩნდეს. ანუ ღია ჰემისგან იქნების რომელ საწოლისგან უფროა ექამოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲცა ამოიღოს ყვითელი და მწარე იყოს, და ღია სწყურვოდეს. თუ ზაფრისგან იყოს და სტომეჭი მხურვალედ იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა ღია ჰემისგან იყოს იგი არს. რომელ სნეულსა ჰქითხოს.

კურნება მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. ჰიოჭანა იტყვის: რაჲცა ზაფრისგან იყოს და მუცელი შეკრებით იყოს იგი არს, რომელ ჰუყანაჲ უყოს გვეთითა წამლითა რომელ საფრანგისა ჩამოიყვანდეს, და ტყემლისა წყალი და ჰინდოურისა თამრისა წყალი იხმაროს რომელ სიმხურვალე დაუწყნაროს და მუცელი დაუღბოს. და თუ მუცელი ღბილად იყოს ბეჭესა შარაბი და ტუტაჲსი ჰემოს. და ოცისა დრამისა წონი მჟავე ალარდენი დრამისა წონსა ერთსა მასტაქესა თანა ერთთა ლიტრითა წყლითა შევაზოს რომელ ნახევრად მოვიდეს, და აღვაჲ და სიქი თეთიოხსაგან ორისა დრამისა წონი, გაჰრიოს და ჰემოს. და თუ მწვანისა ფუსტუყისა ქერქი წყლითა) შევაზოს და ცოტაჲ სიქი გაჰრიოს და ჰემოს ერგების. და თუ სნეულსა ძალი ჰქონდეს ბასალიყო გაუხსნას და საჰამადსა თუთუბისა ურწყოხსა ჰამდეს, ხობხისცა ხორცთა და თიჰოხსა ხორცთა ექმების. და გრლთა და დამკერულთა შემოსადებლთა შემოსდებდეს სტომეჭსაზედა.

ფოლის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სადაგისა ბროწყულისა წყალი სჷას, და გაცივებული მჟავისა და ტკბილისა ბროწყულისა წყალი სჷას, რომელ სტომეჭი განძლიერდეს და სიმხურვალე დააწყნაროს. და თუ მუცელი შეკრით იყოს ვაშლისა შარაბი და ტყემლისა წყალი სჷას რომელ მუცელი დაიღბოს. და სანდალი და ვარდი და ქათური ვარდის წყლითა დააღბოს და გაცივებული სტომეჭსა შემოსდვას, და სიმხურვალეთა და ზაფრისა მომბატებელთა ერიდებოდეს, და საჰამადსა თუთუბისასა ანუ ალარდენისასა ჰამდეს, და ხილთაგან ვაშლსა და სხალსა და ატამსა ჰამდეს, და ბროწყულისა მჟავისა და ტკბილისა. და კურნებაჲ მისი რაჲცა ღია ჰემისგან იყოს იგი არს, რომელ ღია არა ჰამდეს და მძიმეთა და უღნობთა საჰამადთა ერიდებოდეს, და ნატიფთა და ჰამოთა მიელტვოდეს.

ვითარება რწყევისაჲ რომელ სიღბოჲ არ ერთოს, რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ვითარებაჲ მისი რაჲ ბალღიმისგან იყოს რომელ სტომეჭსა შიგან შეყრილ იყოს იგი მის შიგან არს, ანუ გესარეველისა სასვლოხსაგან რომელ ელნეთით სტომეჭსა მიხედეს, და მაშინ სტომეჭი მისისა სიმჟავისაგან დაშავდეს და შეიშათოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ არა სწყუროდეს და სტომეჭი მხურვალედ არ იყოს, და რაჲცა ამოიღოს თეთრი იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა სვედისგან იყოს იგი არს, რომელ რაჲცა ამოიღოს მჟავე იყოს, და ჰემასა უწინაჲთ გულისა თავი სტკივოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: რწყევისა კურნებაჲ რაჲ ბალღიმისგან იყოს იგი არს, რომელ შემგბრისა ვაშლისა წყალი და ცოტაჲ მარილი და პიტნაჲ სიქანჯუბინითა ჰემოს, რომელ სრულიად მანკისა სათავნოჲ ჩამოიღოს. და თუ ვერ გაწმდეს იარაჲ ფეყირაჲთა და საბრისა ჰაბითა არწყიოს, და მაშინ ბროწყულისა შარაბი იხმაროს, რომელ სტომეჭი განძლიერდეს. და სისანბარი და ლაბანი) და ძირაჲ თეთიოხსაგან ნაწილი ერთი უმეტეს, და აფსანთინისა შარაბი და მიშედარი) და ბეჭესა გვარინი მას ერგების. და საჰამადსა ალარდენისასა ჰამდეს რომელ შიგან პატნაჲ და ტეგანაჲ რთულ იყოს. და სურნელთა და მხურვალთა შემოსადებელთა მკერდსა შემოს-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემიდან არის ჩამატებული და სწორია სიტყვა „ცოტაჲს“ მაგივრად, რომელიც წაშლილია.

2) მიშქადარი.

დებდეს ვითა ფაჩარი და სიქი, და სოდი და ზაფრანაჲ, და ყარამფული და ჯაფი ბოჲაჲ, და აფსანთინი და მსტაქე, და ალუჲ და მუშეი, და მსზგავსი მისი.

ჯალიონოს იტყვის: კურნებაჲ მის რაჲ სეღდისგან იყოს იგი არს, რომელ ვიდრე საზომისაგან არ გარდვიდეს არ უქუჰყენოს რწყევვისაგან, მით რომელ შიგან დიადი სარგებელი არს, მით რომელ სტომაქსა მრავლისა მანკისაგან გასწმდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აქლილალმალიქი და მორდი, და ლადანაჲ და ოზნაჲ შემკრეველითა შარაბითა მალჰამად შექანს და სტომაქსა შემოსდვას. და ბროწნულისა შარაბი და შემკრეველთა ხილთა შარაბი ჰამოს. და რწყევასა უკანით აფთომონისა მატბუბა ღარიყონისა მატბუბსა თანა ჰამოსთუ ამას მანქსა თანა ელნეთიცა სტიოდეს ბასალიყი გაისხნას მარცხენისა ხელისა, და ელნეთისა ტყვიელისი წამალი იხმაროს, და უზმამან ერთი კოფი თაფლი ჰამოს. და თუ ხეთისადრამისა წონი აფთომონი ჯულაბსა ვაჰრიოს და იხმაროს ერგების, და ადრე ილხენს და იჯობინებს.

ჲმ. გოჰინებაჲ დიაჲ რომელ სტომაქსა შიგან ჩაჰრილ იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲ. სიმხურვალისგან იყოს. იოჰანა იტყვის: ესე მანქი ზაფრანისა ხილტისა ჰავისაგან იქნების რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს, ანუ ვასარეველისა და შაფეებისგან რომელ გამხურვებულს, იყოს ანუ სტომაქსისა უსუსურობისაგან იქნების, რომელ შიგან ჰარი იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲ ვასარეველისგან იყოს, რომელ დაშაფებულ იყოს და გამხურვებულ იყოს, იგი არს, რომელ მიწყვეით ბოყინებაჲ ამოვიდოდეს ხორხისგან. და სტომაქსისა უსუსურობისა და თირქემელისა თვით ვახსენით კურნებასა შიგანეთა უნდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იოჰანა იტყვის: იგი არს რაჲცა ჰავისა ზაფრისაგან იყოს, იგი არს, რომელ შემგართა ხილთა წყალი იხმაროს, რომელ სტომაქი გაწმობს და ვარდისა შარაბი მიყინავითა. ვაგრილებული იხმაროს, და ბუნებაჲ ტანისა ვააგრილოს კატაკატოხსა თესლისა წყლითა რომელ შიგან ისარიშისა შარაბი რთული იყოს. და თუ მუცელი შეკრვით იყოს თაძიჰინდისა წყალი ჯულაბითა იხმაროს რომელ მუცელი დაიღობს. და საჰამადსა თუთუბისა ურწყუასა ჰამდეს. და თუ ბუნებაჲ შაგარი იყოს და თუ ლბილი ტყემლისა ურწყუასა იხმარებდეს. და ესე მანქი თუ მიზეჯისა შეშლისგან იყოს, რომელ გამხურვებულ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტყემლისა წყალი სიქანგუბინსა თანა იხმაროს, ანუ შაჰნარისა ბროწნულისა წყალი ჯულაბსა ვაჰრიოს და იხმაროს, და საჰამადსა ვარიასა ჰამდეს ისარიშითა შექნრლას.

მუჰამედ ზაჰარიასძე [იტყვის]: რაჲ დია ამოყინებდეს საჰამადსა მოიდნობს და რაჲ შოაკლდეს ამოყინებს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ძირაჲ და თეთრი საკმელი იცხნოს რომელ ამოყინებდეს, და ბალღამურისა დია ამოყინებისა კურნებაჲ იგი არს, რომელ საჰამადსა უწინათა არწყუის, და ფილფილისა და ზანჯაბილისა ვაგარიშნი იხმაროს, ვითა პიტნაჰსა და ძირაჰსა ვაგარიშნი და თეთრისა საკმელისა ყურსი, კარგი არს.

თვით თუ ყურაჲ იტყვის: ბუნებაჲ რაჲ საზომისაგან გარდვიდეს საჰამადსა სტომაქსისაგან ამოიღებს, და რაჲ არ ამოყინებდეს სტომაქსა შეშლის, და ამასავე ორთავე ყოფასა შიგან საჰამადსა ვერ მოიდნობს და სტომაქსა შიგან ჰარსა ჩაადგებს მეტად მაშინ, რომელ საჰამადი თუ ეჰამოს, გრილი და უდნობი იყოს. კურნებაჲ იგი არს, რომელ თაფლი და

ანისონი ჰამოს რომელ სტომაქი განძლიერდეს.

ვითარებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: ვითა ბალღამურისა ხილტისგან იქნების რომელ სტომაქსისად მორვენილ იყოს რომელ ტანისა მიზეჯი ¹⁾ ავად ვააგრილოს, ანუ დია ჰამისგან იქნების, რომელ ვერ შეყრგოს.

¹⁾ ტექსტში ამ სიტყვის მავიჯად შეცდომით სწერია „მიზეჯი“.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲცა ტანისა მიზეჯისა და გავრილმისაგან, და ბალღამურისა ხილტისაგან იყოს იგი არს, რომელ ბოყინებაჲ რომელ ხორხისაგან ამოვიდეს მჟავე იყოს და ნიშანი მისი რაჲცა ღია ჰამისგან იყოს იგი არს, რომელ აროდსა რომელსა ჰქვიან ბოყინებაჲ. და მუცლის ტკივილსა ქარიცა იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მასარაჯოჲ იტყვის: ესე მანკი რაჲ ბალღამურისა ხილტისგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს საბრისა ჰამითა, და მაშინ გულანგუბინი და ალუჲა და მასთაქი ყოველი ერთგან წყლითა ადუღოს და მისსა ტფილსა წყალსა უზმა სმიდეს, და საქამადსა მუხუდის წვეწსა ჰამდეს. და რაჲ სტომაქი, მანკისა დედისგან გაწვიდოს დღურაჯისა ხორცი, რომელ ზირაბაჯად შექნილ იყოს იხმაროს. და თუ მისგან ქნილ იყოს რომელ ტანისა მიზეჯი ჰავად გავრილმულ იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ბერძულისა ბადიანისა წყალი იხმაროს, და ანუ ძირაჲ და ქონდარი წყლითა შეავბოს და იხმაროს. და საქამადსა ვარიასა ჰამდეს რომელ ალარდნითა და ჩამიჩითა შექნილ იყოს. და რაჲ ბუნებაჲ მიზეჯისა მოიჯონინოს ცხერის ხორცი კალითა ჰამოს.

ისაკ იტყვის: თუ ესე მანკი ღია ჰამისგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ საქამადი ცოტა ჰამოს. და თუ სტომაქსა შინა ქარი ღია იყოს ქარიანთა საქამადითა ერიდოს, და უზმამან დია იარებოდეს, და მაშინ აბანოს მივიდეს, და რაჲ აბანოთ გაზოვიდეს ღვინოჲ სურნელი სჟას. და ძირაჲსა გვარიშნი ანუ ქონდარისა გვარიშნი და სამის წონი ნელსა წყალსა ვაჰრიოს და უზმამან იხმაროს. და მაშინ ზირაბაჯსა ჰამდეს ანუ ვარიასა კალიად შექნილსა. და რაჲცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ ვევთთა საქამადითა ჰამდეს, რომელ ბალღამსა გარდაიღებდეს და სტომაქსა ვაახურებდეს ვითა ქონდარი და ანისონი, და ტევანასა ფურცელი და კულიავი, და მთისა პიტნაჲ და ძირაჲ, და ნანხეაჰი და ყარაფული, და მსტაქე და რაჲცა ამათ ჰვეანდეს იხმაროს, რომელ სტომაქსა განაძლიერებს.

რკპ. ხრცოლაჲ რომელსა ჰქვიან არაბულად ფვაჰჰი და სპარსულად სამჯიჰჰი. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: ვითარებაჲ მისი სტომაქისა უსუსურობისაგან იქნების რომელ ზაფრაჲ შიგან შეყრილ იყოს, და ბუნებაჲ მისი გაყნებაჲ არ შეეგროს, და ანუ სიმხელისგან იქნების, და ვითარებაჲ მისი გრძელთა სნებათაგან იქნების და ისთიფრალითაცა.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ აწყურებდეს და რწყევისა ეამსა ზაფრაჲსა ამოიღებდეს, ნიშანი მისი რაჲცა სტომაქისა სიმხელისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით პირი უშრებოდეს. და ნიშანი მისი რაჲცა ღვიძლისა სიმხელისგან იყოს იგი არს, რომელ მოტბაყი ცხროჲცა იყოს და მარჯვნით გვერდს სტიკიოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის. რაჲცა სტომაქისა უსუსურობისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ არწყისი სიქან. გუმბინითა და კალნაბისა წყლითა, და მაშინ ქრთილისა წყალი, და ტკბილისა ბროწყულისა წყალი, და ახლისა აყიროჲსა წყალი იხმაროს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სტომაქისა სიმხელისგან იყოს იგი არს, რომელ ბაზრაყატუნაჲ იხმაროს და ლისანლაჰამალისა თელი ცვიითა წყლითა. და გრილთა ზეთთა იხმარებდეს. და სტომაქსა გრილთა ზეთითა და ძალდის ყურძნისა წყლითა და ვარდის ზეთითა იზელდეს. და საქამადსა ასფანახსა ჰამდეს აყიროჲთა შექნილსა. და კურნებაჲ მისი რაჲცა სიღბოჲსა უკანით შექნილ იყოს იგი არს, რომელ ხორცთა წყალი, ქათმისა, და კვერცხისა ყვითელი ჰამოს, და სურნელთა უსუნებდეს. და ისა ზეთი ცხვირთა ჩაიწიოს. და საქამადად თბილთა ხარშოთა ხერტედეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა მხურვალთა საქამადთაგან ქნილ იყოს ვითა ხახვი და ნიორი და მსგავსი მათი გვითქვამს.

დევჯანოს იტყვის: ნიშანი ღვიძლისა სიმსივნისაა იგი არს, რომელ ცხროა ერთს და ბუნებისა ქვეყა და ღია იყოს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და ქრთილისა წყალსა და ბროწულისა წყალსა სმიდეს. და სანდალი და ქაფური ვარდის წყალსა გაპრიოს და ღვიძლსა ზედა შემოსდეს. და არღისა წყალი სიქანგუბინითა სჭას. და თუ ესე მანკი ცხროასა უკანით ანუ მარხვათა უკანით იქნას, და მზურვალთა საკამადთაგან რომელ ექამოს, კურნებაა იგი არს, რომელ ბაზრაცატუნისა ლუბი ნუშისა ზეთითა იხმაროს, და ლბილთა საკამადთა იხმარებდეს, რომელ შაქრისა მყინვარისა და ქრთილისა ფქვილისა და ნუშისა ზეთისაგან შექნილ იყოს.

მესია იტყვის: რაჲცა ღვიძლისა სიმსივნისაგან ქნილ იყოს, ვითარებამა მისი მისგან არს რომელ დია ეხრცოდეს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ ბასალიკი გაიხსნას და თუცა სნეული შეუძლევოდ იყოს არღის წყალსა და ძაღლის ყურძნისა წყალსა სმიდეს, და ქრთილისა წყალსა და სიქანგუბინისა იხმარებდეს ნიადაგ.

ვითარებამა ხრცოდისა რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჲ იტყვის: მით იქნების რომელ სტომაქისა შიგან ხილტი შეყრილ იყოს, ანუ ქარისგან იქნების რომელ სტომაქი კარგად ჩაეზიდოს, და მიმეთა საკამადთა და ღვინისაგან იქნების. ანუ ელდისა და სქელთა ქართაგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ სწყუროდეს. და ნიშანი მისი რაჲცა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ ელდისგან შეიქნას. და ნიშანი მისი რაჲცა მიმეთა საკამადთა უკანის და ღვინოასა უკანის ქნილ იყოს იგი არს, რომელ ვიდრე ეხრცოდეს სტომაქიცა სტკივოდეს.

კურნებაა მისი რაჲ სიგრილისგან იყოს: აბუჯარიჲ იტყვის: რაჲცა ნელდისა და გრილისა ხილტისგან იყოს იგი არს, რომელ მთისა ნიაბურისა თესლი და სული და ძირა და თეთრი საქმელი თეთოასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი, ერთი ნაწილი მისგან სისანბარისა წყალსა ანუ შემებარისა ძირაასა წყალსა თანა გაპრიოს და იხმაროს. და კურნებაა მისი რომელ ქართაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ნანხვაჲი და ზანჯაბილი და პიტნა და მასტაქე ჯამოს. და ხმელისა სისანბარისა ფურცელი, ანუ ტევანაასა ფურცელი, ანუ პიტნაასა ფურცელი ამათ ყოველთაგან რაჲცა იყოს მისგნით ორისა დრამისა წონი გავლილი წყალგაურველსა ღვინოასა თანა, ანუ შემებრითა ძირაასა წყლითა, იხმაროს. და ცოტაა თეთრი საქმელი შიგან გაპრიოს და ჯამოს, და ტფილსა წყალსა სმიდეს და აბანოს მივიღოდეს ერგების.

მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის 1) კურნებაა მისი რაჲცა მიმეთა საკამადთა უკანის იქნების იგი არს, რომელ ცოტაა ძირაა და პიტნა და კულიაივი ერთგან გაპრიოს და შეაბგოს და ჯამოს. და მიწყით თეთრსა საქმელსა ცოხნიდეს, და გამთბართა ჩვართა მუცელსა ზედა შემოსდებდეს, და მას დღესა ნურასა ჯამოს. და მეორესა დღესა აბანოს მივიდეს. და საკამადსა ეგეთსა ჯამდეს რომელ სტომაქისგან სინელდესა ამოჰოცდეს ვითა კალია და მურტანჯანაა რომელ ნატიფითა სანელდებითა შექნილ იყოს, და მაშინ ღვინოსა წყალგაურელსა სმიდეს და კურნებაა მისი რომელ ელდისა და სქელთა ქართაგან შექნილ იყოს იგი არს, რომელ ესე წამალი იხმაროს: თეთრი საქმელი სამისა დრამისა წონი, ხმელი რასინი ექვსისა დრამისა წონი, ხმელი პიტნა და ტევანაასა ფურცელი თეთოასგან ორისა დრამისა წონი, სისანბარისა თესლი რომელ პიტნისა წყლითა შემებარ იყოს დრამისა 40 წონი, გაპრიოს და ნოთაყლი „ა“ იხმაროს.

აკჳ. სტომაქისა ტკივილი სიმზურკვალისგან რაჲ იმოს. ვითარებამა მისი. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ერთი სტომაქისა ტკივილი იგი არს, რომელ სიმშილისგან იქნების, დამეორე საკამადისა ჯამისა ეამსა, მესამე ჯამისა უკანით. და ვითარებამა მისი რაჲ სიმზურ-

1) ტექსტში ამ სიტყვის მაგივრად სწორია ერთი ასო „ი“

ვალისგან იყოს ზაფრისა მორგენისაგან იქნების, რომელ სტომაქი დაეზაბუნოს, ანუ ლვიძი-ლისაგან.

ნიშანი მისი რაა სიმბუხრვალისგან იყოს. რააცა სიმშლისაგან იქნების იგი სიმსიენისაგან იქნების რომელ სტომაქსა შიგან იყოს, ანუ სიწყულლისაგან იქნების. და რააცა ჭამისა ეამსა იყოს და სიმბუხრვალისგან ზაფრისგან არს და ნიშანი მისი იგი არს, რომელ აწყურვებდეს და პირი მწარედ ედგას და რააცა ლვიძლისგან იქნების იგი არს, რომელ ცხროცა ერთოს.

კურნებაა მისი რაა სიმბუხრვალისგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას: ძე იტყვის: რააცა სიმშლისაგან იყოს სიმსიენისა ანუ სიწყულლისა სტომაქისა იქნების, 10 და ყოვლისა კურნებაა კიდე ვახსენოთ. და რააცა ჭამისა ეამსა სტკიოდეს კურნებაა მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ეგეთითა წამლითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს, და მაძღარმან არწყვიოს მეტად მაშინ რომელ ახალი თევზი ეჭამოს, და მაშინ სიქანგუბინი და ქრთლისა წყალი სტეს, და მუცელი დაიღბოს აფსანთინისა მატბუხითა რომელ თანა თამ-რი ჰინდი და ტყემალი ერთოს, ანუ შაჰთარაა და უგურკოა ჩამიჩი შეტბოს და დრამისა წონი ერთი იარაა ფეყირაა და ორისა დრამისა წონი ყვითელი ჰალილაა შიგან ჩაავდოს და მრავალჯერ იხმაროს, რომელ სტომაქი გაწმიდეს, და ჩამიჩიცა ცოტად მთავე იყოს.

ისაკ იტყვის: თუ სტომაქი ლვიძლისგან სტკივოდეს ხელი გაიხსნას, და დელამო-ტისა წყალი სტეს, ანუ სიქანგუბინითა და ყვითლითა ჰალილათა, და საყამონიათა და 20 ჰინდოერთითა მარილითა, და შაჰნარისა ბროწყულისა წყლითა, და საჭამადსა ხობხისა ხორ-ცსა და კაკბისა და ვარიისასა ბროწყულისა წყლითა ანუ ისრიმითა შექნისა ჭამდეს. და სიქანგუბინი შექრისა, და შაჰნარისა ბროწყულისა წყალი, და სანდალი და აყრომასა თესლი და ორთავე კიტრთა თესლი, და კატკატოსა თესლი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი, ვარდი წითელი შვიდისა დრამისა წონი, კოჰახტური ექვსისა დრამისა წონი, სიმბური ახლამა? ექვსისა დრამისა წონი, ჭაფური დანგი ერთი, ყოველი დანაყილი და გაკროლსა ახლისა აყრომასა თესლისა წყლითა ანუ აყრომასა ნედლისა წყლითა, ანუ კატკატოსა წყლითა შეზილოს და კვერად შექნას, და ფურისა დოთა თანა ანუ ისრიმისა წყალთა თანა იხმაროს. და ხილი ატამი ანუ კიტრი ჭამოს.

სტომაქისა ტკივილისა ვითარებაა რაა სიგრილისგან იყოს? იგი არს, რომელ ყოლად საჭამადსა არ მოიდნობდეს, და ვიდრე არ არწყვიოს არ გამოისყვინოს. 30 და რაცა მეტისა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ არა სწყუროდეს და პირსა წყალი დია სდიოდეს, და მაჯასი ლბილად იყოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისაგან იყოს. კურნებაა მისი რაა სიგრილისა-გან იყოს იგი არს, რომელ საჭამადი ცოტად ჭამოს და დაპანტვით ნუ ჭამს, რომელ უვა-რისი იგი იქნების, რომელ საჭამადს უკანით იქნების, და ვიდრე არ არწყვიოს არ დასწყზარ-დეს. კურნებაა მისი იგი არს, რომელ საბრისა ნაყი ჭამოს და მაშინ ქაეკაბისა ყურსი და ელაოსისა ყურსი იხმაროს, და საჭამადსა წინა ორი კოვზი თაფლი ჭამოს, და სამი კვერც-ხისა ყვითელი კვრივი, და ორისა დრამისა წონი ქინძი ხმელი დანაყილი, თაფლითა შეზი-ლოს და საჭამადსა წინათ მისგან იხმაროს.

იოჰანანა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ არწყვიოს მლაშითა თევზითა და 40 ბოლოკისა წყლითა, და ასტმზიყონისა ჰაბითა და საბრისა და მასტაქისა ჰაბითა. და დიდთა იარაათთა იხმარებდეს და ბედანჯირისა ზეთი და ნუშისა ტბილისა და მწარისა ზეთი ძირ-

1) ამ სიტყვის მაგივრად ტექსტში სწერია „იტ“.

2) ამ სიტყვის შემდეგ სტრიქონ ზემოდან სწერია დედნის ხელით ასომთავრული ნუსხური ასო „დ“.

3) ტექსტში ამ ადგილას ვარსკვლავი უხის და აშიაზე სწერია: „მუჰამედ იტყვის რააცა საჭამადსა უკანით იქნას იგი არს, რომელ რწყვიით იყოს და ვითრებაა მისი დია ჭამისგან იქნების, რომელ სტომაქსა შიგან დაშავდეს, ანუ მეტისა ბალღმისაგან იქნების, რომელ სტომაქისად მოეროს და შიგან დაშავებულ იყოს“.

თა წყლისათა სქესა. და ესე წამალი მას ღია ერგების ვითარებამ მისი მასთაქი და ვარდისა ყურსი თვითოასაგან სამისა დრამისა წონი, ქაპრაბა და ხმელი პიტნა და მურმპაპორი და ალჯა თვითოასაგან ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყოლი ძველსა ღვინოსა თანა ანუ ანისონისა წყალსა თანა და მასტაქითა იხმაროს და აფსანთინისა შარაბი და გეაოზნი ძირაძის, და გაზრდილი ზანჯაბილი და გაზრდილი ჰალოლა მას ღია ერგების. და სიმბურვალესა ჰამდეს კარგი არს ვითა ჩიტისა ხორცსა წყალი და მსზავსი მისი. მაგრა ტრედისა ხუნდი თუცა მხურვალეა მას არ აშენია, მით რომელ სტომაქსა ზედა ძვიმე არს. და ძველი ღვინოა და თაფლისა წყალი რომელ მხურვალეთა სანელბლითა შექნილი იყოს, და ჩაპინისა ღვინოა რომელ თაფლითა იქმნას ესე ყოველი მას ერგების. და ალჯა და ანბარი სოს-10 ნისა შარაბითა დააღბოს და სტომაქსა შემოსდვას.

სტომაქსისა სიმსივნე რაა სიმხურვალისგან იყოს. ვითარებამ მისი. აბუჯარიჰ იტყვის: სისხლისა სიმეტისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა სტომაქსისაჲ მიეძალოს და რაა მოერიოს სიმსივნედ შეექნების. ანუ ზაფრისაგან იქნების რომელ სიმეტითა მოერიოს და სიმსივნედ შეიქნას სტომაქსა შინა¹⁾.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ დასაწყისსა აცხროოს და სტომაქსა ზედა სიმსივნე ჩნდეს, და ყოლა საჭამადი არ მოუნდების და არწყევდეს, და წყურვილი ღია იყოს, და რაა ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვას ღია უხურვიდეს.

კურნებამ მისი რაა სიმხურვალისაგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: იგი არს, რომელ ხელი გაიხნას და კულა არწყუიოს, და მაშინ ტაბაზირისა ყურსი ჰამოს ისრიმისა წყლითა, და ბეჭესა აფშარა და სანდალი და ვარდი და ქაფური ერთგან გაგალოს და სტომაქსა შემოსდვას. და საჭამადსა აღარდნისა ურწყუოსა ჰამდეს მაშინ რომელ ახურვოს, და სიმხურვალე ცხროებისა დასწყინარდეს. და მაშინ ხიარ შანბრისა ფოლოსსა ანუ ვარდისა ყურსი არდის წყლითა გაადნოს: და იხმაროს. და რაა მანკი დაძველდეს მოყლისა ყურსი ჰამოს. და რაა ცხროა წასრულ იყოს ორი მუთყალი საბრი და სუდი და ადნარი, ორი მუთყალი მოყლი, სამი მუთყალი ღვინოსა შიგან გაადგინოს და ყველად მომროლანსა და პერქულსა ფაჩარსა შინა გაპაროს, და მკერდსა შესცხოს ერგების.

ჯალინოს იტყვის: სიმსივნე რაა სიმხურვალისგან იყოს და გამაგრდეს და დუბელად შეიქნას ნიშანი მისი იგი არს, რომელ აცხროებდეს და სტკივოდეს და მაჯასი დიდი იყოს და ფიცხელი, და სტომაქი ქარიანად შექნას, მაგისი ნიშანი არს, რომელ თხამლი შიგან შეყრილ იყოს. უკურნოს გამხსნელითა წამლითა ვითა ახალი სძე რომელ ზალასა ზალა სმიდეს, და თბილსა წყალსა სმიდეს, და სტომაქსა შემოპაქებდეს. და თუ განავალსა თანა თხამლი იყოს ამასე მანქსა თანა ლეწაბა იყოს ასოთაჲ, იცოდეს რომელ სიმსივნე გახსნილ არს, და თუ ესე არ იყოს სანძელი და თაფლისა წყალი სქესა. რომელ სიმსივნე გაიხსნას და გაწმდეს.

იოჰანა იტყვის: თუ სიმსივნე მხურვალეთა ცხროთაგან იყოს არდისა წყალი და ძალის ყურძნისა წყალი ჯულაბითა და სიქანგუბინითა იხმაროს. და საჭამადად ვარიასა და ღურაჯსა და კაკაბსა და პატკისა ყელსა ჰამდეს. და თუ სიმსივნე დიდი და ძალიანი იყოს ბასალაყი გაიხსნას, და იაჲ და ხიარ შამბარი და შირახითი და არდის წყალი და ძალის ყურძნისა წყალი სტომაქსა იცხოს.

სტომაქისა სიმსივნისა ვითარებამ რაა სიგრილისგან იყოს. მასარჯოა იტყვის: ბალდამისგან იქნების რომელ სტომაქსა შიგან შეიყაროს და რაა დაშავდეს სიმსივნედ შეიქნების. ანუ სევედისა სიმეტისგან იქნების და მორევისაგან, რომელ სტომაქსა შიგან შეიყაროს და სიმსივნედ შეიქნას რაა მოერიოს შიგან.

¹⁾ ამ გვერდის ქვემო ამაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ლ“ და შემდეგ გვერდის ზემო ამაზე „ლბ“.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. რომელ ნელითა ცხროთა იყოს და პირსა წყალი დია სდიოდეს, და საქამადი არ მოუნდებოდეს და სტომაქი ქარიანდ იყოს, და მახასი ლბილად იყოს, და რაჲცა სვედისაგან იყოს იგი არს, რომელ სიმსიენე შავარი იყოს და პირსა წყალი სდიოდეს.

კურნება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯომა იტყვის: რაჲ სიმსიენე ბალღისაგან იყოს იგი არს რომელ საბრისა ნაყი იხმაროს რომელ მანკისა სათავნოჲ დაელოოს. და საქამადთა ნატიფთა ქამდეს და ყოლაჲ ნუ არწყევს და ვახისა¹⁾ ნაცარი სუდსა და ფაჩარსა და აღხარსა გაპროოს და მაშინ ძპრითა შევილოს და შემოსდვას სტომაქსა. და ხიარშამბრისა ფოლოსი თესლთა წყალსა შიგან გაადენოს და ნუშისა ზეთითა იხმაროს, რომელ სიმსიენე გახსნას და მანკისა დედაჲ დაჰლიოს. და ბაბუნახსა და აქლილალმალიქისა და ბალღისაგან შემოსადებელი შემოსდვას სტომაქსა ნელად. და მხურვალითა ზეთითა სტომაქსა და მკერდსა იხელდეს, ვითა თეთრითა იასამანისა ზეთითა და ზირისა ზეთითა და მსგზავსი მათი, და მძიმეთა საქამადთა ერიდოს და ცოტასა ქამდეს, და მუხუდისა წუნენსა მიელტვოდეს. და მუცელი დაიღბოს ასტიმხიყონისა ჰაბითა და გულანგუბინსა და მასთაქსა იხმარებდეს.

დევჯანის იტყვის: თუ სტომაქსა შინა სიწყულუესა თანა მკედარი ხორცი იყოს იარაჲ ფეყირაჲ იხმაროს რომელ იგი მკედარი ხორცი მისგნით გააკიდენოს, და სტომაქი გაწმიდოს. და რაჲ იცოდეს რომელ სტომაქი გაწმიდოდ არს ფურჩხაჲ ღოჲ და ბეჟესა შარაბი იხმაროს, და ქრთილისა წყალსა სმიდეს და თიენის ხორცსა ქამდეს ძპრითა შექნილსა.

20) და თუ მანკი სტომაქისა პირსა შიგან იყოს გომიზი და ქათირაჲ ქამოს და ქაჰრაბახსა ყურსი სტომაქისა წყულუსაერგების, მეტად მაშინ რაჲ სნეული სისხლსა არწყევდეს და ყოველი შემკვერელი რუბი მას ერგების და თუ სტომაქისა სიწყულუისაგან მუცელი შეკვრით იყოს ხიარშამბრითა მუცელი დაუღბოს. და თუ მუცელი ლბილად იყოს ტაბაშირისა ყურსი და ბეჟესა რუბი ვაშლისა წყლითა შეაბგოს და იხმაროს რომელ შეკას, და ბუნებაჲ სწორად შეინახოს და ეგეთთა საქამადთა იხმარებდეს და ქამდეს რომელ მაშუნი იყოს, და სტომაქსა არ აწყინოს.

რკპ. სტომამძის სიწყულუე რომელ შიგან სისხლი ანუ სქმ ბაჰინულ იყოს. ვითარებაჲ მისი რაჲსგანცა იყოს.

მასოაჲს ძე იტყვის: სიმსიენისგან იქნების რომელ გასქელდეს და მაშინ ადგილი წყულულად დარჩეს, ანუ ფიცხელისა გარევისაგან რომელ თავისგან ჩამოვიდეს და სტომაქსა შიგან შეიყაროს და დააწყულუოს.

ნიშანი მისი. იგი არს რომელ რაჲ მლაშე რაჲმე ქამოს ანუ მჟავე სტომაქი ასტიკედეს, და პირსა შიგან გაბერილობაჲცა გამოჩნდეს, და სისხლი და თხაშლი ერთგან რეულ იყოს, და ანუ უპეთა ქვეშეთ ძნელად სტკიოდეს მიწყით¹⁾.

კურნებაჲ სტომაქისა სიწყულუისაჲ. იგი არს, რომელ თაფლსა და ჯულაბას თანა წყალსა სმიდეს რაჲ მანკი ცოტად სიმხურვალისაჲ იყოს, და მაშინ ორსა ეამსა უკანთ ესე წამლები იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი საკმელი და ხონისიაოშანი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, ვარდი და ბროწყელისა ყუველი და ქალრაბაჲ თვითოასგან ორისა დრამისა წონი, სომხური მიწაჲ სამისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი ბეჟესა წყალსა თანა ანუ ვაშლისა წყლითა სუბს, კარგი არს.

დევჯანის იტყვის: თუ სტომაქი სიწყულუითა მისითა შიგან მკედარი ხორცი იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ იარაჲ ფეყირაჲს სუბს, რომელ იგი მკედარი ხორცი მისგან გააკიდენოს და სტომაქი გაწმიდოს მაშინ, ფურთა ღოჲ და ბეჟესა შარაბი და

1) ტექსტში სწორია „ვახოსა“

2) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბროწეულისა შარაბი იხმაროს და ქრთილისა წყალსა უხზა იხმარებდეს, და საჭამადსა თიკნისასა ჰამდეს ძმრითა შექნილსა. და თუ მანკი სტომაქისა პირსა შიგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ გომიზი და ქათირაჲ ჰამოს და ქაპრაბაჲსა ყურსი სიწყულელსა სტო-
მაქისასა ერგების, მეტად მაშინ რაჲ სნეული სისხლსა არწყევდეს. და ყოველი შემეკრველი რუბი ერგების მას, ვითა ბეჰესა რუბი და ვაშლისა რუბი, და დაფითისა რუბი და აესან-
თინისა რუბი, ხასიათითა კარგითა ერგების მას ჰირსა. და თუ სიწყულელსა სტომაქისასა თანა მუცელი შეეკრით იყოს და სნეულსა აწყენდეს ეგების რომელ ხიარ შამბრითა მუცე-
ლი დაულბონ. და თუ მუცელი ლბილად იყოს და სნეულსა აწყენდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტაბაშირისა ყურსი და ბეჰესა შარაბი სუჲს ანუ ვაშლისა წყალი შეაბავოს და
10 იხმარებდეს, რომელ მუცელი შეეკრას და ბუნებაჲ სისწორესა ზედა შეინახოს, და ეგეთთა რაჲსმე ჰამდეს რომელ არა აწყინოს.

ვითარებაჲ სისხლისა ანუ სძისა რომელ სტომაქსა შიგან შეეყ-
ნულ იყოს. მესია იტყვის: ვითა დია მაწონისა და სძისა ფურისა ჰამისაგან იქნე-
ბის ანუ ცხვრისაჲთა, მეტად მაშინ რაჲ სძე სქელი იყოს, და სისხლიაჲ მისგან ექნების
რომელ სტომაქსა შიგან გაიყინოს.

ნიშანი სისხლისა ანუ სძისა გაყინვისაჲ. იგი არს, რომელ დია დაბნდ-
ბოდეს მეტად მაშინ რომელ სძესა მაწონითა ჰამდეს, და ოფლიც ცივი იყოს და ესე მანკი
ცხროთაჲთა იქნების. და სისხლისა გაყინულისა ნიშანი იგი არს, რომელ სტომაქი მზურვა-
ლედ იყოს და ცხროთაჲთა იყოს.

20 კურნებაჲ სძისა ანუ სისხლისა რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ
იყოს. მესია იტყვის: სძისა კურნებაჲ რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ იყოს იგი
არს, რომელ არწყიოს ცერცოჲსა წყლითა და თაფლითა და ნელითა წყლითა, და მაშინ
დანაყოლი ჰილჰილი თაფლითა იხმაროს რომელ მანკისა დედაჲ განაქარვოს. და თუ
ნახევარისა დრამისა წონი ყურადგლისა დტრიტაჲ ნელსა წყალსა შიგან გაგალოს და
შესტესა ერგების, და თუ ამით რომელ გვითქემს არა გარდვიდეს კურნებაჲ იგი არს, რომ-
მელ ყისიუბისა წყალი დრამინაჲსა წყალსა ანუ პიტნასი წყალსა, რომელიცა იყოს თანა
ცოტაჲ მარილი გაპრიოს და შესუჲს, რომელ მანკისა სათაფნოჲ გახსნას და სტომაქი გაწმი-
ლოს და საჭამადსა ცხვრის ხორცსა კალიითა შექნილსა ჰამდეს, და ძტელსა ღვიწხოსა და
საჭამადსა ცოტაჲსა ჰამდეს და უდნობსა ნურასა ჰამს.

30 მასოაჲს ძე იტყვის: რომელ სისხლისა კურნებაჲ, რომელ სტომაქსა შიგან გა-
ყინულ იყოს იგი არს, რომელ ორისა დრამისა წონი დანაყოლი სპანძელისა თესლი ჰამოს,
რომელ მანკისა დედაჲ გახსნას. და თუ განაჲლი წყლითა აღუღლოს და ნელი წყალი მისი
ბრძანოს, მანკისა დედასა ტანისაგან გასწმედს და გაჰხსნის, და ნატიფსა საჭამადსა ჰამდეს
ვითა ზირაბაჯი ვარიითა.

ჰუნაჲნ იტყვის: სისხლისა კურნებაჲ რომელ სტომაქსა შიგან გაყინულ იყოს იგი
არს, რომელ ორისა დრამისა წონი ბაბილური მდოგვი წყლითა შეაბავოს და იხმაროს კარ-
გი არს. და თუ სძე სტომაქსა შინა შეყინულ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ყურ-
ადგლისა დტრიტაჲ ოცსა დრამსა პიტნისა წყალსა და ცოტასა მარილსა გაპრიოს და იხმა-
როს, და საჭამადსა გრილსა და ნედლსა ერიდოს.

40 ჩკთ. ღია ნარაჲჲსინ ბაბღეზაჲ და სინედლე ჩოჩელ ჰირსა შიგან ღია შიჲჲჲმოდეს.
ვითარებაჲ მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ესე მანკი სტომაქისა
სიმზურვალისა და სინედლისაგან იქნების და საჭამადისა მზურვალისა და ნედლისაგან რომ-
მელ ექამოს, ანუ თვით დაბადებიდან სიმზურვალესა და სინედლესა მოერივნეს მისისა
სტომაქისადა.

ნიშანი მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბუნებაჲ იქ-
ცოდეს და გახურდეს, და ანუ რაჲ თაფლიანი დია ექამოს ნერწყვიდეს, და სინედლე პირსა

შიგან უფროა იყოს. და ნიშანი მისი რააცა ბუნებისა სიმბურვალისგან იყოს იგი არს. რომელ რაე ცოტა ქამოს გამოჩნდეს.

კურნება მისი რაე სიმბურვალისგან იყოს: იგი არს, რომელ ბასალი-
კი გაიხსნას ანუ მხართა შუა ქიქა მოჰქიდოს. და ეგეტსა რასმე ქამდეს რომელ სტომაქსა
განაძლიერებდეს ვითა ვაშლისა წყალი და ბროწეულისა წყალი, ანუ ისრიმისა წყალი ანუ
ბროწეულისა სიქანგუბინი რომელ ცივითა წყლითა შექნილ იყოს, და ხილთაგან შანარი
ბროწეული და ვაშლი შეავე და ტკბილი და სხალი იხმაროს. და საქამადსა ვარიისასა ქამ-
დეს რომელ ისრიმითა შექნილ იყოს ანუ თუთუბითა, ანუ ახალი თევზი წვრილი ძმრითა
შეაგბოს და ქაოს. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გარდვიდეს კურნება მისი იგი
10 არს, რომელ მიწვით უზმა პირსა გამოიბანდეს თუთუბისა წყლითა და სიმბურვალთა
ერიდებოდეს.

აბუჯარიჰ იტყვის: ბასალიეი გაიხსნას და ანუ ორთა მხართა შუა ქიქა მოჰ-
ქიდოს. და სიქანგუბინი და შეავისა ბროწეულისა წყალი იხმაროს. და ყოველისაგან უმჯო-
ბეთ ამის მანკისათვის ისრიმისა რუბი არს ესრე: კარად წვნიანი ისრიმი აიღოს და და-
მარცდლოს და მუნამდე აღულოს რომელ ოთხისგან ერთი დარჩეს მაშინ ცეცხლისაგან გარ-
დაილოს და გააციოს, და თუ სწადდეს რომელ შაქარი გაჭრიოს მუნამდე აღულოს როშელ
ნახევრამდე მოიყაროს და ეგდეს რომელი იყოს თეთრი შაქარი გაჭრიოს და კულა ნელად
აღულოს, რომელ შაქარი შიგან გადხეს და თაფლისებრ შექნას და ქვევრსა წამლიანსა
შიგან ჩადვას და ოდესცა უნდეს იხმარებდეს. და ვარიასა თუთუბითა ქამდეს.

20 ვითარება დია ნერწყვისა რაე სიგრილისგან იყოს. მუჭამედ
შაქარიასძე ეტყვის: ესე მანკი რაე სიგრილისგან იყოს ბალღმისა სიმრავლისაგან
იქნების რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს და მოერივნეს, და გრილისა საქამადისა
ქამისაგან.

ნიშანი მისი რაე სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ზამორის და
ოდესცა ბალღამიანი ეჭამოს უფროა გამოჩნდეს, და ნერწყვა უსქესი იყოს რომელ სიციხ-
სა ქამსა უფრო იყოს პირსა შიგან.

კურნება მისი რაე სიგრილისგან იყოს. მადაინი იტყვის: ბალღა-
მი რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ცერცოასა
წყლითა არწყვიოს რომელ მარილი ერთოს, და თუ არ გარდვიდეს კურნება მისი იგი არს,
30 რომელ იარაჟ ფეყირაასი იხმაროს, რომელ მანკისა დედისაგან სტომაქი გაწმდეს, ვითარე-
ბა მისი: ზაფრანა და მასტაქი და ფაჩარი, და ბალსნისა მარცუალი და შეშა მისი, და
ასარონი და სალიხა და კილამონი თვითოხსაგან ნაწილი ერთი, საბრიორის ოდენი ყოვე-
ლთა წამალთა, ყოველი დანაყოს და გაცრას და შეინახოს და ორისა დრამისა წონი ხაზსა
თაფლსა თანა გაჭრიოს და იხმაროს, რომელ ბალღმისგან გაწმდეს სტომაქისაგან და მაშინ
გულანგუბინი და თრიაყი ანუ მაჯუნი მათერდიტრისაჟ ქამოს. და საქამადსა ტრედისა
ხუნდსა შემწვარსა ქამდეს ანუ ჩიტისა ხორცსა კალიითა, და მიწვით მასტაქესა ცოხნიდეს
და პნერწყვიდეს, და თუ ძველსა ლენიოასა სმიდეს კარგი არს.

მადაინი იტყვის: არწყვიოს რომელ სტომაქი მანკისა დედისგან გაწმდეს და
ძირაასა გავარიში იხმაროს ესრე: ძირაჟ ქირმანული რომელ ერთსა ღღესა და ღამესა
40 ძმარსა შიგან დამბალი იყოს და ჩრდილითა გაახმოს, და ერთი ლიტრა შავი პილპილი¹⁾,
პალილაჟ უქია ერთი, ყველა დანაყილი და გაცრილი სამითა ცხენითა რომელ ყველაჟ წამა-
ლი იყოს თაფლითა შეზილოს და ხმარებისა ქამსა იხმაროს, და ზოგთა აქიმთა სალიხა და
კილამონი და პილპილი და ბალსნისა მარცუალი და მასტაქი და ფაჩარი თვითოხსაგან
ოთხისა დრამისა წონი მეტი გაურევია ამას გავარიშსა შინა, რომელ უფრო ძლიერად იყოს
და საქმე ქნას.

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდაჲ არს ჩანატებული დედნის ხელით.

რლა. ლვიძლისა ტივილი სიხურვალისგან იყოს თუ სიზარლისგან

ვითარება მისი რაა სიხურვალისგან იყოს. ფოლის იტყვის: ეს მანკი მიზეჯისა დაშავებისაგან იქნების სიხურვალისა ანუ სიგრილისა ეამსა, ანუ მხურვალთა წამალთაგან და დია საქამადი რომელ ემამოს, ანუ სისხლისა სიზრავლისგან, რომელ მორეულ იყოს მისდა და ეტკინოს ლვილი ვითარებათა მათთა რომელ ვთქვიც.

ნიშანი მისი რაა სიხურვალისგან იყოს. იგი არს, რააცა მიზეჯისა დაშავებისაგან იყოს რომელ სწყუროდეს და მეცელი შეკვრით და მგარად¹⁾ ლბილად იყოს და საქამადი არ მოუნდებოდეს, და რააცა მხურვალთა საქამადთა და წამალთაგან იყოს, იგი არს. რომელ რაა სიხურვალე ჭამოს გაუძნელდეს და რააცა სისხლისგან იყოს მავალსი სავესე იყოს.

კურნება მისი რაა სიხურვალისგან იყოს. ფოლის იტყვის: რააცა გასარეგლისა დაშავებისგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილსა წყალსა სმიდეს, და კიტრისა წყალი, და აყროასა წყალი, და არდისა წყალი და სადავი სიქანგუბინი, და ძაღლის ყურძნისა წყალი რააცა ჰპოოს სიქანგუბინითა იხმაროს, და მიწყით ვარდი და სანდალი და ქაფური მას ლვიძლსა შემოსდებდეს. და მჟავესა ნურასა ეამს, და ძმრითა შექნილი თევზი და ცივი წყალი იხმაროს და ლეინოასა ნუ სუამს. და კურნება მისი რააცა მხურვალთა საქამადთაგან იყოს იგი არს, რომელ მჟავე ბროწყული ჭამოს რომელ ხსიათითა დია ერგების. და არდისა წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი ადულოს და სამი უკია სიქანგუბინითა იხმაროს, და კოწუხურისა ყურსი დია ერგების, და საქამადთა თანა მუზადარი და ზეთი შაჰნარითა ბროწყულთა და ნუშისა ზეთი იხმაროს, და მჟავე ბროწყულთა და ბეჰე და ტუტა და ტყემალი მას დია ერგების. და არდისა წყალი ყოველთა ლვიძლის ტკივილთა ერგების.

ჰუნაან იტყვის: უვარესი ლვიძლის ტკივილი იგი არს, რომელ სისხლისგან იყოს მით რომელ სნეულსა დიდთა მანკთა შიგან ჩაავდებს და ყოველი ფათერაკი მისგან იქნების, ნიშანი მისი იგი არს, რომელ ცხროცა იყოს და გვერდი სტივიოდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ ბასალკი გაიხსნას მარჯვნივთკე, და მაშინ ვეგეთა რასმე ჭამდეს რომელ ლვიძლსა განაძლიერებდეს, და ტყემლისა შარაბითა მუცელი დაილობოს. და თუ მუცელი ლბილად იყოს ბროწყული მჟავე და ტკბილი ჭამოს და სიქანგუბინი. და თუ სნეული უსუსურად იყოს ვარია ჭამოს თუთუბითა შექნილი. და თუ სანდალი და ვარდისა წყალი და ქაფური ერთგან გავალოს და ლვიძლსა შემოსდევს ერგების. და სიხურვალეთა ერთდრსა და ძმარსა და ზეთსა ეამდეს. და თავი ფრთხილად შეინახოს ერგების, თუ ლმერთსა უნდეს.

ლვიძლისა ტკივილი რომელ სიგრილისაგან იყოს. ვითარება მისი. იოჰანა იტყვის: ლვიძლისა უსუსურობისაგან იქნების ანუ სინედლისაგან, რომელ მიზეჯი შეშალოს ანუ სქელთა ქართაგან რომელ ქვეშეთ მიხვდეს, ანუ გრილთა საქამადთა და გრილთა წამალთაგან, რომელ დია ეხმაროს.

ნიშანი მისი რააცა სიგრილისაგან იყოს. რააცა ლვიძლისა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ კაცი მულედ იყოს და საქამადი არ მოუნდებოდეს. და რააცა მიზეჯისა შეშლისგან იყოს იგი არს რომელ ლბილად იყოს და რასაც ჭამდეს არ შეერგებოდეს. და რააცა გრილთა წამალთა და საქამადთაგან იყოს იგი არს, რომელ გრილსა საქამადისგან ასტიკედების.

კურნება მისი რაა სიგრილისგან იყოს. იოჰანა იტყვის: რააცა ლვიძლისა უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ ლვიძლსა ზედა დამკვრელი შემოსადებელი შემოსდენ ვითა სულდ²⁾ და მასთაქი და თეთრი საქმელი და ნაძვისა ნიგოზი და სიქი და მუშეკი და

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

²⁾ აქ სიტყვაა გამოტოვებული და აშიაზე მხედრული ხელით სწორია „სული თოფალაბი“.

ძველი ღვინოა და მავასიანი. და რააცა მხურვალე და შემკრველი და დაკრველი იყოს იხმაროს ამით წამლთა მსგავსი ვითარებაჲ მისი: მასთაჲ და სუდი და აღხარისა უყავილი და ნიხუ-რისა თესლი და ნახვავი თვითოვსგან დრაჰნირა წონი, თეთრი საკმელი ორი მითყალი, ფანა-რი მითყალისა ნახევარი, ყოველი დანაყონ და სამისა დრამისა წონი ძველსა ღვინოსა თანა შესტას, ანუ ძირთა წყლითა შესტას, და საკამადსა აღარდნისა ურწყოქსა ჰამდეს რომელ მხურვალითა სანელეობლითა შექმნილ იყოს და უზმამან ჩამიჩი ჰამოს და ცოხნადეს. და კურ-ნებაჲ მისი რააცა მიზეჯისა შეშლისგან იყოს იგი არს, რომელ რააცა ღვიძლსა ერგებო-დეს მას ჰამდეს ვითა პიტნისა გვარიშნსა და გაზრდილსა ზანჯაბლისა, და ძველისა ღვი-ნოსა და კალიასა ნატიფითა სანელეობლითა. და თუ სოდი და სუნბული და აღხარი და ყუსტი 10 სურნელისა და მკერელსა ღვინოვსა გაპრიოს და ღვიძლსა ზედა შემოსდეს კარგი არს და რააცა სქელთა ჰართავან იყოს იგი არს, რომელ გვერდითკე სიმსიენე გუბარი გამომრდეს და პურკმულსა ღვიძლი ასტიყიდეს, და რაჲ შეზილოს ტყვილი დაუშუას. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ცოტაჲ ღვინო წყალ გაურვეელი სტას და წყალსა ცოტასა სმიდეს და თუ სმიდეს ღვინითა სმიდეს. და სინედლისა ჰამასა ერიდოს, და გამთბართა ჩვართა ღვიძ-სა შემოსდებდეს, და უზმაჲ აბანოის მივიდეს. და კურნებაჲ მისი რააცა გრილთა საჰა-მათავან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ვარდის ყურსი ძირთა წყლითა იხმაროს და თავი ფრთხილად შეინახოს დია ერგების.

რღბ. კურნებაჲ ღვიძლისა სიმსიენისა რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მუჰამედ ზა-ქარიასძე იტყვის: თუ ღვიძლისა სიმსიენე სისხლისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი 20 არს, რომელ მარჯვნითკე ბასლიკი გაიხნას და ქრთილისა წყალი გაცივებული სტას, და სიქანგუბინი შექრის წყლითა გაცივებულითა სტას, და აყროვასა წყალი და კატაკრთასა თესლისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს. და თუ სიმსიენე ზურგსა ზედა არ იყოს და შვინით იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ საჰამადი არ მოუნდებოდეს და ერც-ხოოდეს, და ზაფრასა არწყევდეს, და მუცელი შეკრეთ იყოს. კურნებაჲ მისი იგი არს, რო-მელ მუცელი დაიღბოს არ ძლიერათა წამლითა, არდის წყლითა ხიარშამბოისა ფოლოსი იხმაროს, და ბაზრაცუნისა ლუბაბი ნილოფრისა შარაბითა შესტას ანუ ლბილი ჰუყანაჲ უყოს. და თუ სიმსიენე ღვიძლისა ზურგსა ზედა იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ეხველ-დეს და სულსა არ დია ჰყევდეს.

კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლი და აყროვასა თესლი და 30 ქერქ შეზღილი ნესვის თესლი ამითი წყალი დაიჭიროს და სტას და მაშინ ყველისა წყალი ვითა მცა დელამოტისა სიქანგუბინითა შესტას. და თუ მუცელი დაღბეს ბეჰესა რუბი ანუ ვაშლისა რუბი ჰამოს და თუ სიმხურვალე დია იყოს ჰაფურისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს. და სანდალი, ქაფური და ძაღლის ყურძენი და მეშაპართა წყალი და ვარდის წყალი ერთგან გა-გალოს და მანქისა ადგილსა იცხებდეს, რომელ გავრილდეს. და რაჲ მანკი მოაყლდეს ისრიმისა ურწყოსა ჰამოს და ხავარტსა და არდსა იხმარებდეს და მაშინ ვარია ჰამოს ისრიმითა. და რააცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი და მეავისა ბროწყელისა წყალი და კატაკრთასა თესლისა წყალი სიქანგუბინითა სტას, და თუ მუცელი შეკრით იყოს თამრი ჰინდრისა წყალი ჯულაბითა სტას, ანუ არდისა წყალი სიქანგუბინითა რომელ მუცელი დაღბეს, და კოწოხურისა ყურსი უზმამან ჰამოს და სანდალსა და ვარდის წყალსა ღვიძ-40 სა ზედა სცხებოდეს).

კურნებაჲ ღვიძლისა სიმსიენისა რაჲ სიგრილისგან იყოს. არხი-ჯანის იტყვის: რააცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ უზმამან ძველი გულანგუბინი ჰამოს, და აღვაჲ და მასტაჲ წყლითა შეაბგოს და წყალსა მისსა სმიდეს დია ერგების. და უზმამან ცოტაჲ ღვინოჲ წყალგაურვეელი სტას, და საჰამადსა მუხუდის წვენსა ჰამდეს.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

და რაა მანქარა დაელოცის დურაჯის ხორცი კილაშინითა და ძირათა შემგბარი იხმროს. და თუ სიმსივნე სასვედლოსა გასარველისაგან ქმნილ იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ დაპმართა და დელამორტის წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და საკამადსა შორაბა-სა ქამდეს რომელ თიშოას ხორცითა შექმნილ იყოს. და ესე წამალი იხმაროს ვითარებაჲ მისი: აფთიმონი და ბასმასაჲ ჰინდლოური თვითოასგან მითყალი ერთი, ლარიყონი დანმისა ონი, ჰინდლური მარილი და ასტობოლისი და ლაჯავარდი თვითოასგან ოთხისა დარგისა წონი, ყველაჲ დანაყილი წყლითა შეზილოს და ხუთისა დარამისა წონი იხმაროს, და თუ სუფუფსა ქამდეს სამისა დარამისა წონი მისგან კმა არს.

მასარჯოაჲ იტყვის: რაჲცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ თანასუა იხ-
მაროს და მუყლისა ყურსი ესრე ქამოს: ვარდი წითელი დარამისა წონი, ფაჩარი ორისა დრა-
გისა წონი, ზაფრანაჲ და მური თვითოასგან დარამისა წონი, უუსტი და მწარე ნუში თვითოას-
გან დარამისა წონი და ნახევარი, მასტაქი ორი დანგი, მუყლი სამისა დარამისა წონი, ლვინითა
დააღობს და სხვაჲ წამალი მით შეზილოს და ყურსად შექნას თვითოჲ კვერი სამისა დრა-
მისა წონი, და თვითოასა კევრსა იხმარებდეს ვარდის წყლითა. და თუ მანკი გლუსუნისა
ბალღმისაგან იყოს აფსანთინი და ლაქი და რევანდი, და რევანდისა ყურსი და მწარისა
ნუშისა ყურსი იხმაროს. და თურმისისა ფეკილი და ვაჯი და ჯუდაჲ და ნიახურისა თესლი
და ფაჩარი და ნუში თვითოასგან ნაწილი ერთი წყლითა შეზილოს, და ლვიძლსა შე-
მოსდვას.

კლდ. ღვიძლისა სინიჰნჰო რომელ შექრულღობისგან ძმნილ იყოს.) ვითარებაჲ მისი
20 რაა სქელისა ბალღმისგან ქმნილ იყოს. მასო მას ძე იტყვის: ესე მანკი გასარველისა-
გან იქნების, რომელ ლვიძლისა შიგან შეყრილ იყოს და მოერჩინეს, და ლვიძლისა გზაჲ შე-
კრულ იყოს. ესე შეკრულობაჲ თვით ლვიძლისგან იქნების.

ნიშანი მისი რაა სქელისა ბალღმისგან ქმნილ იყოს. იგი არს, რომ-
მელ მარჯვნივ გვერდი შიგნით სტიკოდეს არა, და მძიმედ იყოს, და ანუ ცხროჲ იყოს და
საკამადსა არ მოინდომებდეს, და მუცელი ლბილად იყოს და ფსელი დია თეთრი იყოს.

კურნობაჲ მისი რაა სქელისა ბალღმისგან იყოს. მასო მას ძე იტ-
ყვის: ხაშჲ აქიმისგან რომელ შეიგნეს თუ მანკისა ვითარებაჲ რომლისა ხილტვისგან არს,
და შეკრულობაჲ ლვიძლისა ზურგისაკე არს და შიგნით კერძოჲ მისით, მით რომელ თუ შე-
კრულობაჲ ლვიძლისა ზურგსა კერძოჲ იყოს ფსელი თხელი იქნების, და თუ შეკრულობაჲ
30 და მანკი ლვიძლისა შიგნით იყოს განავალი ცოტაჲ იქნების, და თუ შეკრულობაჲ და მან-
კი მისთა ძარღვთა შიგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ლვიძლი სუსტად სტიკირდეს.
და თუ მანკისა დედაჲ ბალღმისა გლუსუნისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ უზმამან
გულანგუბინი ქამოს, და უზმაჲ აბანოას მივიდეს. და თუ შეკრულობაჲ და მანკი ლვიძლისა
ზურგსა შიგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ნიახურისა და ანისონისა თესლი
ქამოს. და თუ მანკი არ გარდვლდეს აფსანთინისა ყურსი სიქანგუბინითა ქამოს.

შუქამეჲ ზაქარიაჲ ძე [იტყვის]: ვითა სიქანგუბინი არდისა წყლითა იხმაროს
რაა მანკი სიმბურჯალისა ნიშნითა იყოს. და სიმბურჯალისა ნიშანი თუ არა ჰქონდეს და სქე-
ლისა გლუსუნისა ბალღმისაგან იყოს ქურქუმდარგი დიდი ქამოს, და ძირთა წყალი. და მძიმე
და გლუსუნთა საკამათა ერთდოს ვითა ფალუდავი, ასიდაჲ და ხნიადი პური და ყველი, და
40 გაჩხნელთა და გამუჩინარებელთა ქამდეს ვითა ქრთლისა წყალი, და ბაკილაჲსა წყალი,
და მუხუდისა წყალი. და თუ კაპრისა ძირისა ქერქი და ბადიანისა ძირი და ნიახურისა
ძირი და მასთაქი და ანისონი და უღბოჲ და სალიხაჲ და ჩამიჩი უფურკოჲ ყველაჲ შეა-
ბგოს და დაწუროს, და ანსოლითა სიქანგუბინითა ქამოს, და ლღვი რომელ ნუშის გულითა

1) ამ გვერდის ბოლო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „ლბ“ და შემდეგი გვერდის ზემო
აშიაზე „ლბ“.

შემგებარ იყოს მრავალჯერ ჰამოს, და ბაღმინანთა ერიდოს და მხურვალთა საქმელთა მი-
ელტუოდეს.

ვითარებამა ღვიძლთა სიმსივნისა რომელ გზათა შეკრულობისა-
გან იყოს, რამა სევდისგან იყოს. მასარჯომა იტყვის: შეკრულობამა გზა-
თა მისთა რომელ სასევდოვამა—გასარეველისაგან იყოს მისგან იქებების, რომელ დაფწვარი
სევდამა შიგან შეყრილიყოს და მოერიგნეს და გზამა შეუყრას.

ნიშანი მისი რამა სევდისგან იყოს. იგი არს, რომელ მარჯვენამა გვერდი
სტკიოდეს წიბოვთა ძქალთა ქვეშეთ, და იქნების რომელ ცოტად სწყუროდეს და მავასი
მაგარად იყოს და ფსელი შავ ფერი იყოს, და ცხრომ არ ერთოს ყოლა.

10 კუბრნებამა მისი რამა სევდისგან იყოს. მასარჯომა იტყვის: თუ
დამწვარისა სევდისაგან იყოს აფთიმონისა მატბუხი იხმაროს, და ეგეთი რამე იხმაროს
რომელ შეკრულობამა გახსნიდეს ვითა სიქანგუბინი, რომელ შიგან არდისა თესლი და თა-
მრი ჰინდლოერი იყოს, და კოწოხურისა ყურსი სიქანგუბინითა და დელამოტისა წყლითა
იხმაროს. და რამა მანკი დეილოს ზირაბაჯისა ურწყომა ჰამოს და მაშინ ვარიამა ჰამოს მუ-
ხუდითა შექნილი. და თუ შეკრულობამა და მანკისა დედამა ღვიძლისა შიგნით იყოს აფთი-
მონისა მატბუხი იხმაროს, და საქამადისა ზირაბაჯისა ურწყომაჲ კამდეს, ანუ თოქოვასა
ხორცი ანუ დურაჯისა ხორცი, რომელ კალიად შექმნილი იყოს.

ღეგჯანის იტყვის: თუ შეკრულობამა და მანკი ღვიძლისა ზურგსა შიგან იყოს
აფსანთინისა ყურსითა და კოწოხურისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს, და მყავეთა ერი-

20 დოს, და პურკამული ნუ იარების. და თუ მანკისა სათავნო ღვიძლისა შიგნით იყოს კურ-
ნებამა იგი არს, რომელ ლბილეთა ჰუენითა მუცელი დაიღობოს და გვარიწნებთა ეგეთთა რო-
მელ შეკრულობამა გახსნიდეს იხმარებდეს, ვითა ბანდადიყონისა გვარიწნი და ძირამა გე-
არიწნი, და ბაბუნამა და აქლილაპალიქი და ბრინჯასბი თვითოვასაგან ხუთისა დრამისა წო-
ნი, ნინაურისა თესლი და ნანხუაჰი თვითოვასაგან სამისა დრამისა წონი, მწარე ნუში ოთხისა
დრამისა წონი, ყოველი დანაყოლი ბადიანისა წყლითა შეზილოს და რამა სტომაქი საქამადისა-
გან ცარიელი იყოს ესე წამალი ტკივილისა ადგილისა შემოსდვას. და მუხუდის წვენსა ჰამ-
დეს რომელ ძირაბამა და კილამონითა შექმნილი იყოს. და თუ მანკი ღვიძლისა შიგნით
იყოს აფთიმონისა მატბუხი იხმაროს, რომელ მანკისა დედამა გაწმოდოს და გახსნას
შეკრეამა.

30 რღე. ისთისყამა რომელსა ჰჰვიან მუცლისა მასივებამა. ვითარებამა ზიყურისა ისთი-
სყამსი. ჯალინოს იტყვის: გასიგებამა მუცლისა სამჟერად იქნების და ხუთთა საქმეთა-
გან იქნების, ერთი მისგან რომელ წყალი მუცელსა შიგან დია იყოს და მას ზიყი ჰქვიან, და
ვითარებამა მისი მხურვალისა სიმსივნისაგან იქნების, რომელ ღვიძლსა შიგან იყო.

ნიშანი ისთისყამისი რომელ ზიყი იყოს. იგი არს, რომელ მხურვალი
ცხრომ ერთოს და ფსელი წითელი იყოს, და სწყუროდეს და რამა მუცელისა ხელი დაჰკრან
ხმამ მისი ეგრე იყოს რომელ წყლითა საესე კუპრიელისამა ხმამ, და შიგან წყალი იყოს.

კურნებამა ისთისყამა ზიყისაჲ. ჯალინოსი [იტყვის]: კუბრნებამა მისი
ორდერად არს, პირველ ღვიძლისა სიმსივნისა და მეორე ისთისყამისი, ეგრე რომელ ერ-
თხელ სიქანგუბინი და არდი ჰამოს რომელ ღვიძლისა სიმსივნესა ერგების, და კქლა ეგე-

40 თი რამე ჰამოს რომელ ღვიძლისა სიმსივნესა ერგებოდეს, და მამინე ეგეთთა რასმე ჰამ-
დეს რომელ ყვითელსა წყალსა ამოიღებდეს და ღვიძლისა სიმხურვალესა დააწყნარებდეს
ვითა ბაკილამა წყალი, და ჰალილამა ნაყი და კოწოხურისა ყურსი და მსგზავსი მისი, და
ისტისყამა ზიყი რომელ სიმხურვალით არ იყოს ქურქუმდარევი დიდი და მზირიონისა მაჯუ-
ხოს კარგი არს. და თუ ზაფხული იყოს ცხელსა ქვიშამასა შიგან ჩაწებოდეს, და მუცელსა
ცხელსა ქვიშამასა ზედამ დასდებდეს.

დევჯანის იტყვის: თუ ესე მანკი მის გნით იყოს რომელ მიზეჯი ჰვად ვაგრი-
ლებულ იყოს, სიქანგუბნი თესლითა და ძმელი გვილანგუბნი იხმაროს, და თუ მუცელსა ში-
დად წყალი დიად იყოს სიქანგუბნასა ჰაბი და იარაგ ფევირაჲ ქამოს, რომელ ყვითელი წყალი გა-
აღნოს. და ქანჯანას წყალი 1) ქაქსირაასა წყალი ნახევარი ლიტრაჲ და ორთაგანცე შაქრითა
იხმაროს²⁾, მეტად შემგებრითა ლენითა, ანუ ბროწელისა წყლითა რომელ შიგან ანისონი და
ნიახურისა თესლი და მასტაქე შემგებარ³⁾ იყოს. და რაჲ წყალი მუცლისგან გამოვიდეს
კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ქართლისა ფევილი და სუდი, და თხის კორკლი და ზრო-
ხის სკორე, და ბავრუცი ყველა დანაყოს და წყლითა შეზილოს და მუცელსა შემოსდეს.
და საჭამდსა ქვისა მჭამლისა⁴⁾ ხორცსა ქამდეს ანუ თიჰოასასა ანუ ჩიტისასა აბეკმაქითა,
10 და ბადიანისა თესლითა და ნიახურისა თესლითა, და ძირაათა და ქინძითა და ჩამაჩითა
რომელ შექმნილ იყოს ქამოს. და თუ ყვითლისა წყლისგან მუცელსა შიგან რამე დარჩო-
მილ იყოს მრავალქერითა გაუსვას.

ტაბლისა ისთისყაასა ვითარებაჲ. არბიასიოს იტყვის: ესე მანკი
მაგრისა სიმსივნისაგან იქნების რომელ ლეიძლსა შიგან იყოს, ლეიძლსა სიგრილისგან
იქნების და ესეთი უმჯობესი არს ისთისყაასა ლაჰმისასა მრავალითა საქმითა.

ნიშანი ისთისყაასა ტაბლისა. იგი არს, რომელ თანა ცხროჲ და სიმხურ-
ვალე არ იყოს და ფსელი წითელი არ იყოს, და რაჲ ხელი მანკისა ადგილსა შემოჰქრან
ხმა მისი ტაბლისასა ჰვენიდეს ვითამცა დუანბულისა ხმასა, არაბულად ტაბლი ჰქვიან დუ-
ნბულსა, და შიგან ქარი იყოს, და ამისთვის ჰას ისთისყაა დუნბულური ჰქვიან.

20 კურნებაჲ ისთისყაასი ტაბლისაჲ. არბიასიოს იტყვის: ამის მანკის-
სა კურნებაჲ იგი არს, რომელ ქურქუმდარეი და ლუქისა მაჯუნი და ყუსტისა მაჯუნი იხმაროს
მას უჯანის⁵⁾ რომელ მუცელი დაეღობოს მახირონისა ფურცლითა და როისოხითა. და ფა-
რფიონი და კიტრისა აფშარაჲ, და ყვითელი ჰალილაჲ, და ცისფერისა სოსანისა ძირი და
გომიზი, სნეულისა ძალისა მისაფერად და მანკისა საზოზსა მისაფერითა. და მაშინ ეგეთთა
წამალთა ქამდეს რომელ ფსელსა გაადენდეს. და თუ კვირასა შიგან ერთი შარბათი ქალქა-
ლანაჲ სუას კარგი არს. ქურქუმდარესა დიდსა უჯანის ბადიანისა მატბუნი და ნიახურისა
თესლი წყლითა ქამოს. და თუ საქმე გაძნელდეს მიუშვას კულა ეამადლე და მაშინ
იხმაროს.

30 ისაკ იტყვის: თუ ამას მანკისა თანა ფსელი წითლად იყოს აროდეს იჯობინებს.
და თუ ბუნებაჲ შეკრვით იყოს რევანდისა ჰაბი იხმაროს, და ყაყულაასა წყალი და ბადი-
ანისა წყალი სიქანგუბნითა, და ძირისა წყალსა და რევანდისა ყურსსა თანა იხმაროს ერ-
გების. და უზმაჲ იარებოდეს კარგი არს. და ცოტაასა ქამდეს და ბეჰესა შარაბი და კოწ-
ნუბური უზმაჲ იხმაროს. და თუ ძალი არა ჰქონდეს ქათამი მუზაფარითა ქამოს და პუ-
რი ქაქსი.

მესია იტყვის: რაჲცა ლეიძლისა სიმხურვალისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რო-
მელ მუცელი დაიღობოს ჰალვის ყვითლის მატბუხითა, და ქაქსირისა წყლითა, რომელ მის-
გნით ათი უკია იხმაროს, და შაჰთარაასა წყალი და ტარჰაყუყუსა წყალი ესდენსავე ოშ-
ნანისა წყალსა გაპრიოს და მრავალჯერ შესუსას, ერთმანეთისა უქან. და მზირონისა მა-
40 ჯუნი რომელ ხასიათითა ამას მანკსა ერგების. და ქარიანსა და უდნობასა სიქამადსა ერი-
დოს, და ხილსა ყოლა ნუ ქამს. და ტევანასა მაჯუნი ამას მანკსა ხასიათითა დია ერგების
და საძესა და მაწონსა ერიდოს თუ რგებაჲ უნდეს.

1) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია ასომებდრულით „ილი“.

2) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია ასომებდრულით „ლეინის ბაქმაზი“.

3) ტექსტში: ამ სიტყვაში ორი ასო „გბ“ განმეორებულია.

4) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე სწერია ასომებდრულით „დურეჯი“.

5) ამ გვერდის ჰემა აშიაზე ასომებდრულით სწერია „ზაფრიანისა მაჯუნი დიდი“

კლვ. ისთისყაა ლაჰამი და რაჰცა სიმხურვალესა უკანით იყოს. ვითარებამ ის-
თისყაას ხორცისასა. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ესე მანკი ლეიძლისა სიგრილი-
საგან იქნების ანუ ბალამურთა სინედლეოვან, სინედლისა და სიგრილია სიმრავლითა
რომელ ლეიძლისა შიგან იყოს, და საზომისაგან გარდასრულ იყოს, და სისხლი ყოველთა
ადგილთა ტუნსა შიგან გაცივებულ იყოს.

ნიშანი ისთისყაასი ლაჰამისა იგი არს, რომელ ტანი დაბუჟებით იყოს და
ფსელი თეთრი იყოს. და რაჰ მუცლისა სიმსიენესა ზედა თითი დაჰქრო ჩადგეს ღრულ,
და რაჰ ხელი აიღონ ზევე შემოჯდეს და გასწორდეს.

კურნებამ ისთისყაასი რაჰ ლაჰამი იყოს. ზაქარიასძე იტყვის:
10 იგი არს, რომელ ქურქუმდარე ძირითა წყლითა იხმაროს, და რაჰცა ფსელსა გამოადენდეს
ვითა წამალი ლაქისი და მგზავსი მას ერგების. და შაჰთარასა თაფლის წყლითა ქამდეს. და
თუ არ გარდვიდეს და სნეულსა შეეძლოს ბასალიყი გაუხსნას. და იგი გაცივებული სისხლი
გამოიღოს, და საზომისა სნეულისა ძალისა ებრ ქნას რომელ ბუნებაური სიმხურვალე, რა-
მელსა ჰქვიან ჰარაბაჯი ღარიზი არ შეუშალოს, ეგრე რომელ ნედლი შემამ რაჰ ცეცხლ-
სა დაურთო ცეცხლი დაავსოს.

ბაყრატ იტყვის: ლაჰამურისა ისთისყაასა შიგან ხელისა გახსნა მიწით დიდი
კურნებამ არს, ოდესცა ეაშა იყოს წელიწადისგან. და რწყევამ ამისა მანკისათვის საქემელი
კურნებამ არს პირველსა და ბოლოსაცა. და თუ ფსელი წითელი არ იყოს ლეიძლისა სიმ-
სიენესა ჰკურნოს ვითა ჰმართებდეს, და მაჯუნი ქალქალანაჰსი და მზირიონისა ფურცელი

20 ამას მანკსა დია არეგბს.

მასარჯოამ იტყვის: ისთისყაა ლაჰამისა უფარესი და უძნელესი არს ზიყისა და
ტაბლისა, და არ დია იკურნების, და უფროჰსი მაგით მოკვდებიან. და ეგრეცა კურნებამ
მისი იგი არს, რომელ გუნდამ და ფარფიონი, და სიქებნამ და დიდისა ლაქისა მაჯუნი თა-
ნასიაჰსა, და ქალქალანამ ამითგან რაჰცა იყოს ქამოს ერგების. და აქლემისა სძე იმისითა
ფსლითა შესტუს ერგების. და საქამადსა ცოტაჰსა ქამდეს. და თუ ორისა დრამისა წონი
სიქებნამ აქლემისა რძითა სტუს ერგების. და თუ ნატრონი და ზროხისა ცმელი და დრა-
მინამ და ალაქი წმიდად დანაყოს და მუცელსა შემოსდეს კარგი არს. და თუ თხისა კარ-
კლი და ზროხისა სკორე ერთგან გაჰრიოს და შემოსდეს კარგი არს, და მხურვალსა ქვი-
ნისა ჯდეს.

30 ვითარებამ ისთისყაასი რომელ ცხროჰ მართოს. ბაყრატ იტყვის: ფიცხელისა სნე-
ბისაგან იქნების და ფიცხელთა მხურვალეთა ცხროჰთაგან, და მორენამ რომელ ლეიძლი
დააუსუსტროს მეტისა სიგრილისაგან რომელ შიგან მიეყენოს, ამისითა გზითა საქამადსა
სისხლად ვერ შეიქმს.

ნიშანი ისთისყაასი რომელ ცხროჰ ერთოს. იგი არს რომელ წყურვი-
ლი დია იყოს, და ფსელი წითელი იყოს, და ფიცხლად აცხროებდეს, და იქნების ესე მანკი
უსტროოდ დია, და ვითარებამ მისი სიმხურვალისგან არს რომელ გაძლიერებულ იყოს.

კურნებამ ისთისყაასი, რომელ სიმხურვალესა უკანით ცხროჰ იყოს. ისთისყაა
რომელ ცხროჰთა იყოს სიმხურვალესა ნურაჰს აჰმევენ. მაგრა ძალისა ყურძნითა და ქაქ-
ნამ და ნიახური, და ქაქსირი და გარცხილი ლაქი, და რეჟანიდი და ზაფრანამ და ყვითე-
40 ლი ჰალილამ იყოფინოს. და მხურვალეთა წამალთა და მხურვალთა მაჯუნთა ერიდოს
რომელ ცხროჰსა მომღებელნი და წყურვილისა უმატებენ, და ტანსა შიგნით გაახურებენ.
და ისთისყაა რომელ ფიცხელ სნებთაგან იყოს ულეიძლისა სიმსიენოდ კურნებამ მისი
არცა მხურვალე ეგების არცა გრილი მით რომელ სიგრილედ, ისთისყაასა გაამაგრებს და
სიმხურვალე ცხროჰსა გაძნელდეს. დონე მისი იგი არს, რომელ წამალნი გაჰრიენენ რომელ-
სა ჰქვიან მოლქაბი არაბულად და კურნებასა იცვლილებდეს, ერთხელ გრილი, ერთხელ
მხურვალე, და ნახოს რომელსა მანკსა მორენია მას უკან ჰკურნონ, და მასაცა მისდა შტინად
ჰკურნებდეს, და ამას ნუ მოისმენს რომელ იტყვიან ვითა ისთისყაასა ყოველი მხურვალე
საქამადი უნდა.

ჯალინოს იტყვის: და მრავალთა სკირთ ისთისყაჲ სიმბურვალისგან და გრილთა კურნებითა იღბენს, და მრავალთა სკირეგებთა სიგრილისაგან და მბურვალთა ჰლხენია. და ესეც ცხადი საქმე არს რაჲ სიმბურვალე რევედეს, სიგრილითა უნდა კურნებამა უცილოდ გასწორდების, და იგი მანკი რომელ ისთისყაჲ მისგან გამოჩნდეს ეჲმი ერთი იგი არს, რომელ აბანოჲთ გამოვიდეს ანუ ცხელსა აბანოჲსა შიგახ ექნას რაჲმე და მაშინ ცივი წყალი სტას. მეორე გრძლად სილბოჲსაგან იქნების ანუ დია სისხლისაგან რომელ ტანის-გან გამოვიდეს, ანუ ელნეთისა სიმსივნისაგან იქნების, ანუ მასგან იქნების რომელ ცოტაჲ წყალი მტუცელსა შიგან გაიბეროს და ყოლად ვერ გაიხსნას, და ამისი კურნებამა მნე-ლი არს.

10 რლი. ყვითელი და შავი ზარირი რომელსა ჰჰვიან აბაბუშად იარაჲანი. ვითარებამა ყვითლისა ზარისაჲ. მას არჯოჲ იტყვის: ვითარებამა მისი ზაფრისა სიმეტრისა და მორევენისაგან იქნების რომელ სრულიად ტანსა შიგან გაიჰანტოს, ანუ ლეიძლისა სიმბურ-ვალისგან ანუ ლეიძოისა სიმსივნისაგან, ანუ ლეიძლისა გზათა შეკრულობისგან იყოს, ანუ მტყენართა ზაჰრთაგან იქნების მბურვალთაგან.

ნიშანი ყვითლისა ზარირისაჲ ვითამცა იარაყანისა, იგი არს რომელ თვალი და ყოველივე ტანი ყვილოდ იყოს, და ფსელი წითელი იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა ლეიძლისა სიმბურვალისგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ფერად ყვითელი იყოს. და სიმსივნისა ნიშანი იგი არს რომელ გვერდი სტკივოდეს.

კურნებამა იარაყანისაჲ რომელ ყვითლად იყოს. მას არჯოჲ იტ-
20 ყვის. რაჲცა ზაფრისა მორევენისაგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილისა წყალი სტას და სიჰნგუბინი რომელ ვარდის წყლითა და არდის თესლითა შექნილ იყოს იხმაროს, და მჲვეისა და ტკიბილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს, და ბროწეულისა და ტრტამსა შარაბი სტას და ტყეშისა შარაბი მისათვის კარგი არს. და გარეცხილსა ქრთილისა ხალი შაქრითა ჰჰ-მოს მეტად ზაფხულის, და ყოველსა სიმბურვალესა ერიდოს და დიაცსა ერიდოს და სიმღვი-ძარისა და რაჲცა ზაფრისა მოჲმტებდეს ერიდოს. და ძმარი და ზეთი და გრილი საჰამა-დი ჰჰმოს, და მჲვეანელითა თანა ზავარტი და არდი და სატაკური ჰჰმოს. და ხილთაგან კიტრი და ატამი და მჲვეე ვაშლი ერგებას. და კურნებამა მისი რაჲცა ლეიძლისა სიმბურვა-ლისაგან იყოს იგი არს, რომელ რაჲცა ლეიძლსა გააგრილებდეს იხმაროს ვითა ქრთილისა წყალი მჲვეისა ბროწეულისა წყლითა ცისკრისა ეჲმსა იხმაროს. და რაჲცა ლეიძლისა სიმ-
30 ბურვალისგან იყოს ზაფხულის ქრთილისა ხალი შაქრითა ჰჰმოს და სიმბურვალეთა ერი-დოს. და კურნებამა მისი რომელ სიმსივნისა და გზათა შეკრულობისა ლეიძლისა იყოს იგი არს, რომელ ვახსენეთ.

ის აკ იტყვის: თუ ამას მანკისა თანა ცხროჲ იყოს არდის წყალი და ძმელის ყურძ-ნისა წყალი და სიჰნგუბინი და ქრთილისა წყალი სტას და საჰამადსა კოწახურისა ურწყოჲსა-ჰამდეს, რომელ აყიროჲთა და ასფანახითა შექნილ იყოს. და კიტრი და ზავარტი და ქინძი ნედლი ჰჰმოს და ვარდის წყალსა და ქაფურსა ლეიძლსა შემოსცხებდეს, და თუ რევენდი და ქაფურისა ჯურსი ბროწეულისა შარაბსა და რევენისა შარაბსა თანა იხმაროს კარგი არს. და თუ ფსელი წითელი იყოს და ბნელი და ძარღვი სისხლითა სავსე, ხელი გაი-ხსნას. თუ თვალთა სიყვილოჲ დარჩომილ იყოს ძმარსა ძმელსა უსუნებდეს და ვარდის
40 წყალი ბროწეულისა წყლითა ანუ თუთუბისა წყლითა ჩაიწითოს ყვითელსა გარდაიღებს და ერგების.

ვითარებამა შავისა იარაყანისა და ზარირისაჲ. არხიჯანის იტყვის: ესე მანკი სვედისა მორევენისაგან იქნების და სიმეტრითა მისითა, რომელ ყოველთა ასოთა შიგან დაიჰანტოს ანუ ელნეთისა ტკივილისაგან იქნების, რომელ გასივდეს და მოემატოს და სიმეტრითა სვედაჲ არ დაეტოს.

ნიშანი შევისაძვარისა. იგი არს, რომელ ასონი მისნი სიყვითლითა შევთა ჰგვანდნენ და თვალთა თეთრი მღრრე იყოს, და საქამაღი არ მოუნდებოდეს, და ნიშანი მისი რომელ ელენთისგან იყოს იგი არს, რომელ ელენთი მაგრად იყოს და გასივდეს და სტივოდეს და.

კურნებაჲ ზარისა რაჲ შევად იყოს: იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას მარცხენისა ხელისა და კიჲა ცეცხლითა ელენთსა მოჰკიდოს, და აფთიმონი ჯულაბსა შიგან დაალბოს და ჰამოს, რომელ სევდაჲ ტანისგან გაწმდეს. და ბასბასა დანაყოს და შეჰრით შევამოს და იხმაროს. გაზრდილი კაპარი ძმრითაჲ მას ერგებას. და სევდიანსა ყოველსა ერიდებოდეს ვითა ოსპი და კალნაბი და ბადანჯანი. და თავსა ნუ აწყენს ნურასა საქმინთა. და შურვაჲ ბატენისა ხორცითა და ზირაბაჯი შეჰრითა ჰამოს, ერგების.

დევეჯანის იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიყი ანუ ისლები გაიხსნას და სისხლი დია გაუშვას და მუცელი დაიღობოს. და აფთიმონისა მატბუხითა ანუ ხუთისა დრამისა აფთიმონი დანაყილი ორითა უკითა სიქანგუბინითა თბილითა წყლითა შესჰას. და თუ ცოტა ღარიყონი დანაყილი შიგან გაუთროს უძლიერესი არს. თუ ფარისია-ოშანი წყლითა შევამოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. და ჰაკუნტლისა წყალი და ქალის დედისა სძე თვალთა ჩაიწოოს რომელ სიყვითლე გარდაიღოს.

თებით ყურაჲ იტყვის: ბასალიყი გაიხსნას მარცხენის ხელის და ჰალილაჲსა მატბუხითა მუცელი დაიღობოს: და თუ მანკი ძლიერად იყოს უკია ერთი ნიახურისა ძირი და ბადიანი, და შვიი ხარბაყი, ასკოლოცნდრიონი და კაპარი და აფთიმონი თვიროსგან ხუთითისა და დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ჰალილაჲსა მატბუხითა იხმაროს, და აქლემისა სძე დელამოტისა წყლითა და სიქანგუბინითა და თესლებითა იხმაროს, ერგების, და საქამადსა თიქნის ხორცსა რომელ ძმრითა შექნილ იყოს ჰამდეს. და კურნებაჲ მისი რომელ ელენთისა გასევებისგან იყოს იგი არს, რომელ ისლემისა ძარღვი გაიხსნას და დელამოტისა წყალსა და სიქანგუბინსა იხმარებდეს. და თუ მანკი ძლიერად იყოს აფთიმონისა მატბუხი იხმაროს.

კლბ. ელენთისა ტაქვილი რომელ სიმხურვალისგან იყოს.

ჰუნაჲ იტყვის: ესე მანკი ჰავითა სიმხურვალეთაგან იქნების, რომელ ელენთისა დია მორეულ იყოს. ჰავითა მხურვალთა საქამადთაგან, რომელ ეჰამოს. ანუ მისისა უსუსურობისგან იქნების რომელ უსუსურობით სევდაჲსა ვერ შეიწყნარებდეს, და სევდისა სახელი იგი არს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ საქამაღი არ მოუნდებოდეს და დია სწყუროდეს, და თვალთა თეთრი დაბნელებულ იყოს. და რაჲცა მისისა უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ კაცი ფერად გაჰავდეს და პირისა ფერიცა.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: ამის მანკისა კურნებაჲ რაჲ ჰავითა სიმხურვალეთაგან იყოს იგი არს, რომელ ისლემისა ძარღვი მარცხენისაჲ გაიხსნას და თუ შექმლოს მუცელი დაიღობოს ჰალილაჲსა მატბუხითა, და სიქანგუბინსა სმიდეს და მუცელიჲ მჟავისა და ტკბილისაჲ ბროწყელისა წყალსა იხმარებდეს. და არდისა წყალსა ერთგან სმიდეს. და თუ სიმხურვალე დია იყოს ტამაშირისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს და კატკატასა თესლი დანაყილი შეჰრითა ჰამოს. და თუ

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

2) ტექსტში ამ სიტყვის მაგივრად სწერია ერთი ასო „ი“.

3) ეს სიტყვა შეედომით არის ჩართული გადაწყვიტის მიერ.

4) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

შეკერი იყოს ტყემლის წყალი და თამრიპინდისა წყალი ჯულაბად შესტას რომელ მუცელი დაღებეს, და საკამდსა ზირამაჯსა ჰამასა არა უჯობს.

ჯალიონოს იტყვის: თუ ფსელი წითლად იყოს მარცხნით ისლემი გაიხსნას, და ისლემი იგი ძარღვი არს რომელ ორთა თითსა შუა არს. და მაშინ არღისა წყალი სტას და რევენდისა ყურსი და კოწოხური იხმაროს. და არღისა თესლი და კატატოხსა თესლი და ფანჯანგუშთისა თესლი და ხმელი აყიროა თეთოთსაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი მეყითა სიქანგუბინითა ორი მითყალი ჰამოს. და ტევანი ძმრითა აღულოს და ცოტაჲ ნაბადი მავით დაასოვლოს და ელნეთსა შემოსდვას. და მიწყით სიქანგუბინსა სმიდეს და კარგსა პურსა ძმრითა ზრდიდეს ეგრე ჰამდეს, და თუ უკიაჲ ერთი შარბანისა წყალი სტას

10 დია კარგი არს.

ისაკ იტყვის: რაჲცა ელნეთისა უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ ჰიქაჲ მოჰკიდოს ელნეთსა და მოსწოროს და დაშაწროს, და ეგეთი შემოსადებელი შემოსდვას რომელ ელნეთსა გააძლიებდეს, და მიწყით ხელიაჲ იხელდეს, და სიარულითა აწყენდეს, და ესე შემოსადებელი შემოსდვას, ტვანასა ფურცელი თორმეტისა დრამისა წონი, მწარე ნუში საშისა დრამისა წონი, ორივე ძმრითა გაგალოს და ელნეთსა შემოსდვას.

ვითარებმაჲ ელნეთისა ტკივილისა რაჲ სიგრილისგან იყოს. მაჲსაჯოჲა იტყვის: გრილთა საკამადთაგან იქნების რომელ დია ეჰამოს და მაშინ¹⁾ ბუნებაჲ მისი ჰავად გაეგრილოს, ანუ ჰარისგან იქნების რომელ ელნეთსა ქვეშეთ შერქნების და იგი ატკივნებს ელნეთსა.

20 ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ სწყუროდეს და ნერწყუვასა ცივსა ამოიღებდეს, და ნიშანი მისი რაჲცა ჰარისგან იყოს იგი არს, რომელ სიშისინე ლბილი იყოს, და რაჲ თითითა შემოაჰირონ აბოყინებდეს, და მუცელი შიგან ჰუხილისაგებრ უყურყურებდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელს ესე მანკი გრილისა ჰავისა გასაგრელოსაგან იქნების, კურნებაჲ იგი არს, რომელ ძეული გულანგუბინი სიქანგუბინითა იხმაროს, და ლეღვი რომელ ძმარსა შიგან დებულ იყოს უზმამან ჰამოს, და საკამადსა ბატანისა ხორცსა ჰამდეს რომელ მხურვალითა სანელმბლითა შექნილი იყოს.

ბაყრატ იტყვის: თუ ელნეთისა ტკივილსა თანა ფსელი წითელი იყოს, კაპრისა ყურსი რომელ ფანჯარგუშთისა თესლისა, ორთავე კიტრთა თესლისაგან, და შობილისა, და გაზმაზვისაგან ქნალ იყოს, სიქანგუბინითა და ბადიანსა წყლითა იხმარებდეს. და ცოტაჲ თეთრი ნაბადი მარილწყლითა და ძმრითა და ლეინითა დაასოვლოს და გაატვოს და ელნეთსა შემოსდვას ერგების. და აღუღებულსა წყალსა სმიდეს, და რაჲ პური ეჰამოს ყოლაჲ ნუ იარების რომელ ევენების.

ისაკ იტყვის: ელნეთი რაჲ გამაგრდეს რაჲ კაცი წყნარათ იყოს ასტკიედეს, და რაჲ იაროს ტკივილი დაუშვებდეს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ფანჯანგუშთი ძმრითა და თაფლითა გაზარდოს და მას ჰამდეს რომელ ელნეთი დაამწყობს და მიწყით ოხელდეს, და ჰიქაჲ ცეცხლითა მოჰკიდოს, და ჰიტნაჲ და ტევანაჲ ძმრითა აღულოს და ნაბადი მითდასოვლოს და ელნეთსა შამოსდებდეს ერგების, და კურნებაჲ მისი რაჲცა ჰარისგან იყოს იგი არს, რომელ ჰიქაჲ ცეცხლითა მოჰკიდოს და კარგად მოწოროს ერგების. და ძმარსა და

40 თაფლსა ელნეთსა ზედ იცხებდეს და სიქანგუბინსა, და ჰამდესკა ძმარსა და სიქანგუბინსა უზმაჲ დია ერგების. და ნიახურისა ძირისა ქერქი და ფანჯანგუშთი და ვაჯი სიქანგუბინითა ანსოლითა ანუ ძმრითა ჰამოს ერგების.

რღთ. სიმსივნე ელნეთისა სიმხურვალისგან იყოს ანუ სიგრილისგან. ვითარებმაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასოჲას ძე იტყვის: ელნეთისა სიმსივნე უფროჲსი მხურვალითა ცხროთაგან იქნების და ელნეთი გამაგრდების, და ეგების რომელ ცხროთა ორფერად

1) ამ გვერდის დასასრულს ამაზე სწერია დედნის ზელით ულბა.

იყოს ანუ სისხლისა სიმეტისაგან ანუ ზაფრისა სიფიცისაგან იყოს რომელ გამოჩნდეს და ელნეთი გაასივოს ვერგ.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ ხელი ზედა შემოსდვან სიმსიენე ჩნდეს და ხურვიდეს და სიმძიმე და ტკივილიცა იყოს, დია, და დია სწყუროდეს და იქნების რომელ აცხრობდეს, და მაკასი სნეულისა სისხლთა სავეც იყოს.¹⁾

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალითა ქნილ იყოს. მანკისა დასაწყისსა კურნებაჲ იგი არს, რომელ ბასალციე გაიხსნას და თუ სნეულსა შეეძლოს ისლემვი ძარღვიცა გაიხსნას და სიქანგუბინი შეაქრისა არდის წყლითა იხმაროს. და თუ სამისა დრამისა წონი მქედელთა წყალი ძმარსა გაპროის კარგი არს. და სივანგუბინისა სმიდეს რომელ გაზმაზ-

30 ვითა და არდისა თესლითა და ფანჯანგუშითა შექნილ იყოს უზმოჲ იხმარებოდეს. და ცხარითა ძმრითა ნაბადი დაასოვლოს და ელნეთსა შემოსდვას.

კურნებაჲ²⁾ მისი. იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღლოს შაპთარაჲსა მატბუხითა და იარაჲ ფევირაჲ და ლარიყონითა, და თუ ნონიჯისა წყალი სტას ერითთა მუთუხითა ლარიყონითა დია კარგი ხასიათი აქეს, და თუ მუთუხალი ერთი ლარიყონი ოცისა დრამისა წონითა უპანისა სიქანგუბინსა თანა იხმაროს კარგი არს, გასწმენდს ელნეთსა, და მაშინ ძალღის ყურძნისა წყალი იხმაროს. და თუ შაპვაზისა წყალი ბარშანისა წყალსა გაპროის ანუ ტრიფისა წყალსა თანა, რომელიცა იყოს ერთი და ნელითა ცეცხლითა ადუღოს და პერული აიღოს და გაწმინდოს და მისგნით ორი უკიაჲ იხმაროს სიქანგუბინითა კარგი არს, და თუ ათისა დრამისა წონი კატკატრასა თესლი წმიდად გავალოს და სიქანგუბინითა იხმაროს კარგი არს, და ანაკეფით ძმრითა ადუღოს და ნელი ელნეთსა შემოსდვას ერგების, მით რომელ ეგეთი ხასიათი აქეს, რომელ ელნეთსა გაადნობს. და თუ

30 გაზისა ფურცელი დანაყოს და ძმრითა შეზილოს და ელნეთსა შემოსდვას ერგების და ამის მანკისა კურნებაჲ ისწრაფოს და ნუ მოლაუღლებს რომელ იქნების, რომელ ლეიძლისა ტკივილი შეიქნას და მუნით ისთისყაჲ შეიქნას და მაშინ კურნებაჲ მისი გაძნელებდის და არ იკურნების.

მღნეთისა სიმსიენე რომელ სიბრიღისგან იქოს. ვითარებაჲ მისი იგი არს აბუჯარიჲ იტყვის: ესე მანკი ცხროთა გრძელთა უკანის იქნების რომელ სიგრილისგან იყოს, და სიმსიენე მაგარი იქნების სასველოჲსა გასარეველისა ფიცხელისგან იქნების, და თუ სიმსიენე ხურვიდეს ბალღაურისა ხილტისგან იქნების.

30 ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაჲცა სვედისაგან იყოს რომელ სიმსიენე მაგარი იყოს და სტკივოდეს, მანკი რომელ სასველოჲთა ცხროთა უკანის გამოჩენილ იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ბალღისგან იყოს იგი არს, რომელ სიმსიენე ღმირი იყოს და არა სტკივოდეს და არცა სწყუროდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. აბჯარიჲ იტყვის: იგი არს, რომელ სიმსიენე ღვიძლისა ელნეთისა მისგან იქნების რომელს სნებათა გრძელთა უკანის ქნილ იყოს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ფანჯანგუშითისა ყურსი სიქანგუბინითა იხმაროს და თუ მანკი ძლიერად იყოს ავთომონისა მატბუხი იხმაროს და ტეგანაჲ და პიტნაჲ ძმრითა ადუღოს და ზედა შემოსდვას ერგების. და ძეგლისა სიმსიენისა კურნებაჲ იგი არს, რომელ მჯღომად შექნილ იყოს, რომელ კაპრისა ყურსი და ძირთა წყალი სიქანგუბინითა იხ-

40 მაროს, და კარსა ღვინოჲსა სარფსა სმიდეს, და ყოლაჲ წყალსა ნუ სტემს ნუ თუ ცოტაჲ ერცახე. და ელნეთი ვაშაჲთა ანუ კირთა შემოდებითა იკურნოს და თაფლიანსა ნუ ჰვას, და ეგეთთა საჭამადთა ერთიღოს რომელ მოაწყურებდეს და კაპრისა ჰემასა ნუ ჰვას ჰავი არსა. და თუ მანკი ძნელად აყოს ბასალციე გაიხსნას, და ისლემისა გახსნაჲ ყოველსა ტკივილსა ელნეთისასა ერგების, ნუ თუ მას რომელ ქარისგან იყოს.

¹⁾ ამ გვერდის კვეთა აშინაჲ რვეულთა სათვალავი სწერია „ლგ“ და შემდეგ გვერდის ზემო აშინაჲ „ლდ“.

²⁾ ამ სტრიქონის გასწვრივ აშინაჲ დედნის ზელით სწერია „ისაკ იტყვის“.

იოჰანა იტყვის: რააც ბალღამურისა ხილტისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ კაპარისა ყურსი და თეთრისა საკმლისა ყურსი ჰამოს. და თუ სამი უკიაა სპანძელი დანაყილი ძმრითა შეზილოს და შეწეას ეგრე რომელ დაიწვას, და ათისა დრამისა წონი ფანჯანგუშთისა თესლი, და გაზმაზვი და ასყოლოფანდრიონი თეთროსგან ხუთისა დრამისა წონი, და მასთანა გაპრიოს და სმისისა დრამისა წონი მისგან სუფუფუდ ქნას და მაზინ სიქანგუბინი ჰამოს, ერგებოს.

ჯალინოს იტყვის: გულანგუბინი და ძირთა წყალი იხმაროს ნუშისა ზეთითა და თუ მანკი გავრძელდეს კაპარისა ყურსი თესლთა სიქანგუბინითა ჰამოს. და მუცელი დაილობოს აფთიმონისა მატბუბითა და საჭამადსა მუხუდის წუწუნსა ჰამდეს და თუ სნეული უსუსურად იყოს თიბოასა და დურაჯისა ხორცი ჰამოს კალიითა, ერგებოს. დია.

რ. სისხლისა დაჯღომავა თუ ღვიძლისგან იყოს.

ვითარება მისი. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი სისხლისა სიმეტისგან იქნების რომელ ღვიძლისა ძარღვთა შიგან იყოს, ანუ სისხლისა მოღარაასა უსუსურობისგან იქნების ანუ შეკრულობისგან მისისგან.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ სისხლისა დენისა ეამსა მუცელი არა სტიკოდდეს და სისხლი ერთობით მოვიდეს, და ნიშანი მისი რააცა მოღარაასა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ სისხლი წითელი იყოს. და ნიშანი მისი რააცა მხურვალსა ხილტისგან იყოს იგი არს, რომელ სწყუროდდეს.

კურნება მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. ჯალინოს იტყვის: ხამს აქიმისგან რომელ ამის მანკისა ნიშანი დასტურობით შეიგნეს და გაიგონოს, და ცნას თუ რომელ სისხლი ღვიძლისა სიწყულელისგან მოვალს და თუ წელთა სიწყულელისგან, რომელ კურნებისა ეამსა არ მოცდეს, და გამოცნობავა ამით ორთავე! მანკთა შუა იგი არს, რომელ რააცა წელთა სიწყულელისგან მოვიდოდდეს მას ბალღამი და განავალი ჰქვია და სისხლი ცოტავ იყოს, ნუ თუ წელთა შიგან ძარღვი გახსნილ იყოს და მით სისხლი დია იყოს. და რააცა ღვიძლისგან მოვიდოდდეს ხასი სისხლი და მრავალი იქნების, და ერთობით ჩამოვალს და იქნების რომელ მარჯვენავ გვერდი სტიკოდდეს, და იგი დასტური ნიშანი არს ღვიძლისა. და რაა მანკი დიად იყოს და სისხლი დია სდიოდდეს და არაას აწყენდეს უკურნება მისი არა ხამს, ნუ თუ დია სდიოდდეს და სნეული უსუსურად გაჰხადოს. და ღვიძლისა მანკი რაა სიმხურვალისგან იყოს დია ჰავი არს. და ეგრე ხამს რომელ ქრთილისა წყალი და სომხური მიწავა და ტაბაშირი იხმაროს. და ტაბაშირისა ყურსი და ქაპარაბასა ყურსი ბეჭესა რუბითა უზმა მიწყით იხმარებდეს. და სანდალი და ვარდი, და სომხური მიწავა და თუთუბავ, და ლისინალჰამალისა აფშარავა და ვარდის წყალი ერთგან გაპრიოს და ღვიძლსა შემოსდვას, და კოწაუჭრისა ყურსი ბეჭესა სიქანგუბინისა თანა იხმაროს. და თუ ბროწყულისა წყალი და კატკატოასა თესლი ვაშლისა რუბითა ჰამოს კარგი არს, და მანკისა ბროწყულსა პურსა ტკბილისა და მეგიისა ბროწყულის წყალსა თანა ჰამდეს. და ხილთავან ბროწყული და ხსალი და ბეჭე და აღეჯი, რომელ არაბულად ზარური ჰქვია ჰამოს. და რააცა ღვიძლისა სიმხურვალისა და მისისა შეკრულობისგან იყოს სრულიად თეთრო მანკებისათვის გვიხსენებია. და რააცა მოღარაასა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა

რასმე ჰამდეს რომელ ღვიძლსა განაძლიერებდეს.

ვითარება მისი. როფის იტყვის: სისხლისა სიმეტისგან იქნების რომელ ღვიძლსა შიგან შეყრილ იყოს და არ იძვროდეს, ანუ ღვიძლისა უსუსურობისაგან იქნების რომელ საჭამადისა სისხლად შექნა არ შეეძლოს უსუსურობისა და სისაწყლისაგან.

ნიშანი მისი როფისისა ნათქვამისგან: რააცა სისხლისა სიმრავლისგან იყოს ღვიძლისა იგი არს, რომელ სისხლი ერთობით ჩამოვალს და საჭამადისა ნდომავ არ

1) ამ სიტყვის დაბოლოება „ვე“ სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

მოაკლდეს, და რააცა ლეიძლისა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ საჭამადი არ მოუნდებოდეს და სისხლი ვითა ხორცისა წყალი იყოს.

კურნება მისი როფისისა ნათქვამისაგან: რაა ესე მანიკ სისხლისა სიმრავლისგან იყოს რომელ ლეიძლსა შიგან შეყრილ იყოს კურნება მისი არა ხამსო, რომელ ლეიძლსა ეგნების ნუ თუ ღია მოვიდოდეს და სნეული დაუსუსუროს, და რააცა ლეიძლისა უსუსურობისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა რაამე ქამდეს რომელ ლეიძლსა გააძლიერებდეს ვითა რევასისა რუბი და კოწოხურისა შარაბი ტაბაშირისა ყურისთა იხმაროს, და დაბეძული მიწა და კოწოხური ამას მანქსა ერგების. და ამას სუფუფსა ღიდი ხასიათი აქვს მისთვის, ვითარება მისი: კოწოხური სამისა დრამისა წონი, ვარდი წითელი ექვსი-

10 სა დრამისა წონი, სანდალი და ტაბაშირი და გომიზი არაბული და ნიშასთავი თვითოასგან ორისა დრამისა წონი ყოველი დანაყილი და გაცრილი ორისა დრამისა წონი ვაშლისა რუბსა თანა ანუ რევასისა რუბსა თანა იხმაროს, და თუ სანდალი თეთრი და წითელი და ვარდი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, თუთუბა და ბროწეულისა ყუვილი თვითოასგან სამისა დრამისა წონი, ყუბროსული მიწა და აფშარა ვაკის წვერისა თვითოასგან ორისა დრამისა წონი. ყოველი დანაყილი ლისანალჰამალისა წყლითა შეზილოს და ვარდისა წყალი გაურთოს და ლეიძლსა შემოსდვას. და კაქბისა ხორცი ანუ თიჰოასა, ანუ ახალი თევზი კოწოხურითა ანუ თუთუბითა ქამოს.

ნიშანი სისხლისა დენისაა გუჰამისაგან. იგი არს, რომელ ეშუოდეს და სტკიოდეს და სისხლი სდიოდეს.

20 კურნება მისი. იგი არს, რომელ ტყვიან ქვასა ზედა მოუსვას და ცოტაა ერბოა დაუწოთს რომელ ღია შეიყაროს, და დამწუხარი ტილოა და ქთმისა ცეკელი და თეთრი ცვილი, და სპეტი და იფიონი ერთგან გაპრიოს და მალჰამად შექნას და მრავალჯერ ზედა იცხოს ერგების. და რააცა ამისგან კიდე იყოს ბევასირი არს.

ამა. სისხლსა დენა მუცლისგან რაა ფალთა სიწულუსიგან იყოს. ვითარება მისი რაა სიმხურვალით იყოს. ისაკ იტყვის: ვითარება მისი ფიტხლისა ზაფრინისა გასარეველისაგან იქნების რომელ ლეიძლსა ანუ სტომაქსა შეყრილ იყოს და მოერიგნეს, და ბუნებისა ძალსა მაშინ წელთავე შეეძლოს, და გამოსელისა ჯამსა სიმხურვალითა და სიფიტხითა მისითა წელი გააწყულლოს.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ტყვილი და 30 გრება და იყოს და სისხლი ცოცოტად წრდებოდეს და ბალღამური და ზაფრალი ფიტი ერთოს მას, და სისხლი რომელ ჩამოვიდეს მუცლით ვითა ხორცისა წყალი იყოს.

კურნება მისი რაა სიმხურვალით იყოს. ისაკ იტყვის: თუ სიწყულ-
ლე ზემოთა წელთა შიგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ უბეთა ქვეშეთ სტკივოდეს და რაა მუცელი ეგრეხოდეს მაშინ არ ჩამოვიდეს, და რაა ხანი გარდიდეს მაშინ ჩამოვიდეს. და თუ სიწყულე ქვემოთა წელთა შიგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ უბეთა ქვეშეთ ღია სტკიოდეს და რაა მუცელსა იგრეხოდეს ჩამოვიდეს, და სიწყულისა კურნება რომელ ზემოთა წელთა შიგან იყოს იგი არს, რომელ მაცლიათაჰსა) სუფუფი იხმაროს და ეგეთი რაამე რომელ ზაფრისგან სიღმოსა ერგებოდეს ვითა ბაზრაცულნა და ხაშხაშისა თესლი, და ლისანალჰამალისა თესლი და გომიზი არაბული, და ნიშასთავი და მურისა თეს-
40 ლი და სანძელი, და შაფი მამითა და იფიონი, და ვარდისა ზეთი, ამას აიპყრობდეს. და საჭამადთა ბრინჯსა და ჩორათანსა შემგბარსა, და კერკცისა ყვითელსა შემგბარსა და თხისა სძესა იხმარებდეს.

იოჰანა იტყვის: სუფუფატინი ბეჭესა რუბსა თანა იხმარებდეს მანქისა დასაწყისსა, და ქრთილისა წყალი სიმხურვალითა მიწითა და გომიზითა არაბულითა იხმაროს, და

1) ტექსტში შეცდომით სწერია „აყოს“.

2) უნდა იყოს „მუცლითაჰსა“.

კატაკტოზსა აესლისა წყალი, და სომხური მიწა და ტაბაშირი ბეჭესა რუბითა იხმაროს გარეული. და თუ სისხლი უფროა მოვიდოდეს ქაპრაბაჟსა ყურსი კატაკტოზსა თესლისა წყლითა და ლისანალჰამალისა წყლითა და ვაშლისა რუბითა გარეული იხმაროს. და რა მანკი დააკლდეს ქვაბა გაახუროს და თხისა სძესა ანუ ფურისა სძესა შიგან ჩაავდოს და მას ქამდეს, და თუთუბია ურწყოჟსა ქამდეს. და მანკისა ბოლოსა კვერცხისა ყვითელი რაბელ ძმრითა შექნილ იყოს ქამდეს, და ხორცი ღუჩაჯისა თუთუბითა ანუ ალარდნითა შექნილი ქამოს. და თუ სიწყულულე ქვეითა წელთა შიგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ჰუენა ანუ შაფი იხმაროს და თუ შანგაირისა კიტრისა თესლისა წყლითა და კატაკტოზსა თესლითა და ვარდისა ზეთითა და კვერცხისა ყვითლითა, რომელ თუთუბინა 10 წყლითა შემებარ იყოს. და ლისანალჰამალისა აფშარაჟთა და ხონისიოშნითა და სომხურითა მიწითა და აფიონითა ჰუენაჟ უყოს, დია ერგების და გამოთელდების.

ვითარება მისი რა სიგრილისგან იყოს. თუ სისხლთა დნაჟ წელთა სიწყულულისგან იყოს. მასარჯოჟა იტყვის: ვითარება მისი გასარეველისა ბალღამურისა და მუხებულისგან იქნების, ანუ ბალღამისა მყაროსა კირულისა იქნების, ანუ სასე-ვლოჟსა და მჭურისა ჰაეისა ხილტისგან იქნების. და ყოვლისაგან უნელესი მანკი იქნების მანკთა შიგან.

ნიშანი მისი რა სიგრილისგან იყოს იგი არს: რაჟცა ბალღამურისა გასარეველისგან იქნების რომელ ქარი და გრებაჟ მუცლისა შიგან დია იყოს, და განავალსა თანა სისხლი და ფიცხელი ბალღამი იყოს. და ნიშანი მისი რაჟცა სეველისგან იყოს იგი 20 არს, რომელ რაჟცა მუცლისგან გამოვიდეს შვე ფერი იყოს.

კურნება მისი რაჟცა სიგრილისგან იყოს. მასარჯოჟა იტყვის: იგი არს რაჟცა ბალღამურისა გასარეველისაგან იყოს რომელ შაჰასფარდისა¹⁾ თესლი და მურდისა თესლი ორივე ამონალული, და გრჯოჟა რომელ ძმარსა შიგან დეველ იყოს და მაშინ ამოხალული, და მორდისა, ყოლჟა დანაყოს და მუნით ორისა დრაჰმისა წონივაშლისა წყლითა ცისკრისა ეჟსა ქამოს. და საქამდისა ვარიაჟსა ქამდეს კალიად შექნილსა ანუ მუხურავლითა სანელბლითა მუტარჯანათ შექნილსა ვითა ძირაჟთა და კულიავითა და ქინძითა.

მასოი დასძვი იტყვის: ნიშანი მისი რომელ ბალღამურისა გასარეველისგან იყოს იგი არს, რომელ სურღოჟსა უჟანით გამოჩნდეს. კურნებაჟ მისი იგი არს, რომელ ქაპრაბაჟსა ყურსი ბროწეულისა ყუაჟილისა კურსითა და მორდის შარაბითა იხმაროს. ანუ ბეჭესა რუბი 30 ლისანალჰამალისა წყლითა და კატაკტოზსა წყლითა უზმაჟ ქამდეს. და თუ მანკი ცხროჟთა არ იყოს ცოტაჟ რკინაჟ ცეცხლითა გაშანთოს და აღლუბელი მისი სძესა შიგან ჩაავდოს და მის სძისგან უზმაჟან სძიდეს. და თუ ცხროჟ იყოს ტაბაშირიაჟ ყურსი ბეჭესა რუბსა თანა იხმაროს და საჟისა დრაჰმისა წონი სუჟუფი იხმაროს. რომელ ჩუენ გამოგვიცდია დია კარგი არს, ვითარებაჟ მისი: ბაჰარჯატუნაჟ და მურისა თესლი, და შაჰასფარდისა თესლი, და კუბრული მიწაჟ და სომხური მიწაჟ და ნიშნათაჟ და ტაბაშირი და ვარდი და ქაპრაბაჟ თვითოჟსგან ნაწილი ერთი აილოს და საჟისა დრაჰმისა წონი ბეჭესა რუბსა თანა იხმაროს. ანუ ჟაროჟ იტყვის: თუ ესე მანკა გასარეველისა სასეველოჟსგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ განავალ რაჟცა მისგან გამოვიდეს მიწაჟ აღლულოს მისისა სიფიცხისაგან. იგრე ხამს რომელ ბაჰარჯატუნი ამონალული და მურისა თესლი და თუთუბასა თესლი და 40 ნიშნათაჟ და გომიზი არაბული და სომხური მიწაჟ, და ლასანალჰამალისა აფშარაჟ და წაბლი თვითოჟსგან ნაწილი ერთი მისგან ოთხისა დრაჰმისა წონი ბეჭესა წყლითა შესჟეს.

რბ. ზაჰირი სიმფურაჟისგან იყოს. ბაჰარჯატ იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა ზაფრალისა გასარეველისგან იქნების რომელ ქვეითა წელთა შიგან ჩამოვიდეს და მაშინ ქვეშეთა, უკბენდეს, ანუ სიმ-

1) უნდა იყოს „შაჰასფარდისა“.

სიენისგან იქნების რომელ წელთა შიგან იქნების და სნეულსა ვგრე ეგონოს ვითა გარე გა-
მოვალს მისგან იგი.

ნიშანი მისი რაჲ სიმბუტრვალისგან იყოს. იგი არს, რომელ განავალი
ცოცოტად ჩამოვიდოდეს და ნერწყვისებრ იყოს, და ტკივილი ძნელად იყოს, და სისხლი
განავლისგან კიდე იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ მძიმედ
იყოს და ტკივილი ფიცხლად იცემდეს მიწყით ისრისებრ მალე.

კურნებაჲ მისი რაჲცა სიმბუტრვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მანკი-
სა სათაუნოა რაჲ ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ სუფუფატინი ესრე იხმა-
როს ვითარებაჲ მისი: ბაზრიატუნაჲ და თუთუბასა თესლი, და ლისანალჰამალისა თესლი

10 თვითოასგან ნაწილი ერთი, ყოველი ¹) აღულოს და ამათ წამალთა ნახევარი სომხური მი-
წაჲ და გომიზი არაბული და ტაბაშირი ყველაჲ დანაყილი ერთგან გაპრიოს და იხზაროს.
და თუ მანკი დიადი იყოს საკამადსა ნუ ჰამს, ნუ თუ ქრთილისა წყალი რომელ აღარდნითა
შემგებარ იყოს ერგების, მეტად რომელ შიგან სომხური მიწაჲ და არაბული გომიზი რთულ
იყოს. და მეჰესა წყალი აღულოს და ტაბაშირი შიგან გაპრიოს და ესე წამალი ორჯერ იხ-
მაროს. და მაშინ თუთუბისა ურწყუთ იხმაროს და ასფარამთა წყლითა იბანებოდეს ერგების.

იოჰანა იტყვის: რაჲცა სიმსიენისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ კვერ-
ცხისა ყვითელი და ვარდისა შემოსდევს, და ძაღლის ყურძნისა წყალი ლისანალჰამალისა
წყალი და ვარდისა ზეთი, და კვერცხისა ყვითელი მით ყველაჲთა ჰუენაჲ უყოს, და ეგეთთა
რაჲსმე იხმარებდეს რომელ სტომაქი გაუგრილოს. და თუ გრკოასა ქერქი მორდის წყლი-

20 თა დაასოვლოს და ვარდი და ბროწეულისა ყუბავილი წყლითა შეაბგოს და მით იბანდეს
გუჰამსა, და უღბაჲ და სელი, და ბალზამსა ძირი შეაბგოს და მალჰამად შექნას და იხმა-
რებდეს კარგი არს, და ესე შემოსადებელი ამას მანკსა ერგების რომელ ფიცხელისა ზაფ-
რისგან იყოს და თუ სიმბუტრვალისა სიმსიენისგან ერგების, ვითარებაჲ მისი: კალნაბაჲ და თეს-
ლი მისი შემგებარი ვარდისა ზეთითა, და კვერცხისა ყვითელი, და ოსპი ქერქშენდილი, და
ძაღლის ყურძნი ამას ერთგან გაპრიოს და შემოსდევს კარგი არს. და საკამადსა ნატიფსა
ჰამდეს რომელ აღრე ელხინოს და ერგოს, შეწვენითა ღვთისათა.

ვითარებაჲ ზაპირისა რაჲ სიგრილისგან იყოს. აბუჯარიჰ იტ-
ყვის: ბალღმისა სიმეტისგან იქნების რომელ ქუეშეთსა წელსა შიგან ჩამოსრულ იყოს, ანუ
ბალღამურისა სიმსიენისგან იქნების ქუეშეთსა წელსა შიგან, ანუ განავლისაგან იქნების რო-
30 მელ დაყაყსა წელსა შიგან გამმზარ იყოს.

ნიშანი ზაპირისი რაჲ სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ არა დია
სტკივოდეს და მუცელსა შიგან ყურყური დია იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ბალღამურისა
სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ სიმძიმე ერთოს და წყურვილი და სიმბუტრვალე არა
დია იყოს.

კურნებაჲ ზაპირისა რაჲ სიგრილისგან იყოს. რაჲცა ბალღამურისა
ხილტვისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მურისა თესლი და შაჰსფარადისა თეს-
ლი ამოხალული ჰეავესა აღარდენსა და მიახსა თანა იხმაროს, და ნელსა წყალსა სმიდეს,
და უზმად აბანოს. მივიდეს და საკამადსა ტრედისა ზუნდსა ჰამდეს ანუ ჩიტსა კალითა, ანუ
მუხულოს წყენსა იხმარებდეს. და საკამადსა დია ნუ ჰამს ²) და კურნებაჲ მისი რაჲცა ³)

40 სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ ასფარამთა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს. და თუ მანკი
ძნელი იყოს მიყლიათათა სუფუფი იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი სპანძელი და შაბრა-

¹) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

²) ამ გვერდის ქვეითა აწიზე რვეულთა სათავდავი სწერია „ლდ“ და შემდგომი გვერდის აწიზე
„ლუ“. აგრეთვე სწერია მხედრულით რვეული „იზ“.

³) ეს სიტყვა ასე სწერია „რაჲ რაჲცა“.

მი და სელის თესლი და განდანახსა თესლი, და ბალბაჲ და შავი ჰალილაჲ ყველაჲ დანაყილი და ვაცრილი მისგნით დრაჰქნისა წონი იხმაროს.

ისაკ იტყვის¹⁾: ესე მანკი განავალისა იქნების რომელ წელსა შიგან გამაგრებულ იყოს და დაჯდომისა ეჰმა ცოტაჲ ჩამოვიდოდეს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რაჲსმე იხმარებდეს რომელ მუცელსა დაალბობდეს და იგი გამაგრებული განავალი დაალბოს, ვითა იისა ყურისა შავრითა იხმაროს, ანუ ბავრუკი და ბალბაჲ და შავი პანტალი და წითელი შაქარი წმიდად დანაყოს და მისგნით შავი ქნას და მას აიპურობდეს რომელ მუცელი დაალბოს. და მაშინ ჰაკურტელი ბასბასათა შექნილი კარგი არს მისთვის. და თუ ბალბისა გლუსუნისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ სანძქელისა თესლი და ნია-

ბურისა თესლი თვითოხსაგან ორისა დრამისა წონი ორივე დანაყილი თბილითა წყლითა იხმაროს²⁾ შეზილოს. და თუ ნაწილი ერთი თეთრი საქმელი და მური და ნახევარი მათ ოდენი ზაფრანაჲ და იფიონი წმიდად დანაყოს და მისგან შავი ქნას და იხმარებდეს. და საჰამანსა ტრედის ხუნდსა ჰამდეს მუხუდით შექნილსა, და უდნობსა საჰამანსა კრიდებოდეს და ნატიფთა საჰამანსა ჰამდეს, რომელ ადრე ელხინოს და გამრთულდეს.

რამ. მალასი მამთი მანკი არს რომელ ვერა ვერონს კაცსა თუ მისსა წალაჲ შავნანს რაჲმე. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. ისაკ იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების რომელ წელთა ჩასრულ იყოს, და სიფიცხითა რომელ იყოს, წელთა უტებდეს, და იქნებისცა რომელ წელთა სიწყულულისაგან იქნების ესე.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ წელთა შიგან სიმხურვალე იყოს დია, და ტკივილი ისარივითა იცემდეს და წყურვილი იყოს, და ნიშანი მისი ვითა კოლინჯისა ნიშანი იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა წყლისა სიწყულულისაგან იყოს იგი არს, რომელ მას კარსა თვით გვიხსენებია ვითამცა ხმდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბაზრაცატუნაჲ და კატკატოსა თესლი, და შაჰასფარამისა თესლი და ხაშაშისა თესლი, და კიტრისა თესლი და თეთროსა თესლი თვითოხსაგან ნაწილი ერთი, ტაბაშირი და ლისანალამლისა თესლი თვითოხსაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი დანაყილი ბაზრაცატუნისგან კიდე, და ყოველი ვარდის ზეთითა შეზილოს და ორისა დრამისა წონი მისგნით კოწოხურისა წყლითა და რევასისა შარაბითა იხმაროს. და ეგეთთა რაჲსმე ჰამდეს რომელ ბუნებნასა გაუგრილებდეს ვითა ქრთილისა წყალი რომელ შიგან ბროწეულისა წყალი შემებარ იყოს³⁾, ბეჰესა რუბი სადავი და გრილისა წყლითა იხმაროს, და კატკატოსა თესლისა წყალი კოწოხურისა წყლითა უზმამანს იხმაროს კარგი არს. და თუ სიქანგუბინი წყლისა ტაბაშირითა და სომხურითა მიწითა იხმაროს კარგი არს. და თუ ბეჰე ადულონ და რაჲ ვაგრილდეს ცოტაჲ ტაბაშირი შიგან ვაპრიოს და იხმაროს კარგი არს, და საჰამანსა თუთუბისა ურწყოსაჲ ჰამდეს ანუ შიანური ვარია ალარდნითა შექნილი იყოს.

ბაყრატი იტყვის: კურნებაჲ მისი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ თუ ნენულსა შეეძლოს და მანქისა სათაენოჲ დიადი იყოს მუცელი ლილბოს ჰალილაჲსა მატბუხითა, ანუ მყავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყლითა რომელ ცოტაჲ საყმონიაჲ შიგან რთულ იყოს, რომელ მანქისა სათაენოჲ წელთა შიგან ჩამოიღოს, და მაშინ თვილსა წყალსა სმიდეს. და თუ თამრიჰინდისა მატბუხი და ხიარ შამბარი და შირაბიშთი ჰამოს ერგების. და მალისა ყურძნისა წყალი და რქისა ყუავილი ერთგან ვაპრიოს და მუცელსა შემოსიდვას კარგი არს, და თუ აფსანთინი ვაპრიოს უმჯობესი იქნების. და საჰამანსა თუთუბისა ურწყოსაჲ ჰამდეს ასფანახითა ანუ კოწოხურითა, და ეგრე ხამს რომელ მისი ნიშანი კარგად შეინახოს და კურნებასა ნუ მოიდაფლებდეს.

1) ამ სიტყვას თავზე ზუთი რგოლი უხის და მხედრულით სწერია „ისაკ იტყვის“.

2) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

3) ეს ორი სიტყვა გვერდის გათავებისას აწიხე არის გატანილი არა დედნის ხელით.

მალასისა ვითარებამა არა სიგრილისგან იყოს. მასოდასძე იტყვის: ვითარებამა მისი ბაღმისა მლაშისა გასარეველისაგან იქნების რომელ წელთა შიგან შეყრილ იყოს, ანუ სქელისა გლუსუნისა ბაღმისაგან იქნების რომელ შიგან გამატარებულ იყოს, ანუ ქარისგან იქნების რომელ შიგან დარჩომით იყოს და გზამ არა ჰქონდეს.

ნიშანი მისი რამა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რამცა მლაშისა ბაღმისგან იყოს რომელ ეგრე ეგონოს ნუ თუ წელსა რამე უქებეს. და ნიშანი მისი რამცა გლუსუნისა ბაღმისგან იყოს იგი არს, რომელ განავალსა თანა ბაღლაში დია ჩამოვიდოდეს. და რამცა ქარისგან იყოს მანკი იქცევის თამ თამად.

კურნებამა მისი რამცა მლაშისა ბაღლამისგან იყოს. იგი არს, რომელ 10 მელ ჰუნამა უყოს თურბილითა და ბასბასითა და სიფისთონითა და იითა, და მერმე იარამ ფეყირამა ჰამოს რომელ მანკისა დედაა წელთაგან ჩამოილოს. და საქამადსა ანუ ბატკინისა ჰამდეს ანუ ქათმისათა მუხუდითა შექნილსა, და უკანის ცოტამ ლეინომა შესტას და თუ სპანძელისა და ანისონისა თესლი და ვაჯი და ჰაბალოარი და ფურტევი მისი, და ზარანდი და ყანტროარინი და ბალანსისა შემამ ყველა და მანკისა თაფლითა შეზილოს და ჰამოს ერგების, და თუ ამა წამალთაგან სამიცა იყოს კარგი არს.

ჰუნამა იტყვის: თუ მანკისა სათაენოა გლუსუნისა ბაღლამისგან იყოს კურნებამა მისი იგი არს, რომელ უზამამ გულანგუბინი და მასტაქე და ალვამ წყლითა ადულოს და ჰამოს, და თუ თრიაყი ჰამოს საჯაზახანათა, და ანისონი და ქონდარი და ძირამ წყლითა შებავოს და მიწყით მისსა წყალსა სმიდეს. და ფიცხელი ჰუნამა ამას მანკსა ერგების. 20 და მანკისა ბოლოვსა ზირაბაჯი ურწყომ ჰამოს, და მაშინ ხორცი კალიად შექნილი მხურვალითა სანელბლითა. და თუ ესე მანკი ქარისგან ქნილ იყოს კურნებამა მისი იგი არს, რომელ ანისონი და ქონდარი და ბადიანი ადულოს და შაქარი გაპრიოს და ნელი უზამამ იხმაროს კარგი არს, და თუ ნიახურისა თესლი და ანისონი და ბადიანი, და ნანხვაჰი და სპარსური ქონდარი დანაყლი ორისა დრამისა წონი მისგან შემგზარს ლეინომასა გაპრიოს და იხმაროს. და საქამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს და ქარიანთა საქამადთა ერიდებოდეს და ნატიფსა მიელტვოდეს. და დასაწყისსავე კურნებამა დაუწყოს ამას მანკსა რომელ არ გაუძნელდეს მანკისა სათაენო, თუ არა მაშინ მისი კურნებამა უფროა საჭიროა არს.

რამა შოლინჯი ეგეთი მანკი არს რომელ შოლინჯსა ფილსა შიგან იქნებოს. ვითარებამა მისი რამ სიმხურვალისგან იყოს. მა და ინი იტყვის: უფროსი უბეთა ქვეშე შეიყაროს 30 ყოლინისა წელთა შიგან, და ვითარებამა მისი მხურვალისა და ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების, რომელ მუნ შეიყაროს და მუცელი ატკივნოს, ანუ მხურვალისა სიმსივნისაგან იქნების რომელ მუნე მიხედეს და ესე მანკი გამოაჩნდეს.

ნიშანი ყოლინჯისა რამ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ცხროთა იყოს და აწყურებდეს, და ნარწყვი ზაფრამ იყოს, და ფსელი ფიცხელი იყოს და ნიშანი მისი რამცა სიმსივნისგან იყოს იგი არს, რომელ ტკიველი ისრისაებრ ფეთქდეს და ტკივილისა ადელი დია უწოდეს ფიცხლად.

კურნებამა მისი რამ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს რომელ 1) თუ სიმხურვალითა ძარღენი სისხლითა საესე იყენენ ბასალიყი გაიხსნას და მაშინ მუცელი დაიღოს ჰალილასა მატუბითა, და ტემლითა და ხიარშამბრითა, და ჰინდოურიითა თამ- 40 რითა. და ჩეარი ვარდის წყლითა დასაოვლოს და მუცელსა შემოსდებდეს და ლბილი ჰუნამა იხმაროს. და თუ სიმხურვალე დია ძლიერად იყოს სიქანდებინი იისა შარაბითა იხმაროს, და მაშინ ბაზრაცატუნისა ლუბი ჯულაბსა თანა გაპრიოს და მიწყით ტკივილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს. და მაშინ სიქანდებინი იხმაროს და თამარი ჰინდისა წყალსა ნილოფრისა შარბათითა სმიდეს. და რამ მანკი დაელიოს ურწყომასა ასფანახისასა ჰამდეს და

1) ამ სიტყვის შემდეგ პუნქტირში ჩანს მული შემდეგი წინადადება: „ცხროთა იყოს და აწყურებდეს“.

სამსა დღესა ჰასოა რომელ თეთრითა პურისა გულითა და ნუშისა ზეთითა და ქათმითა შექნილ იყოს. და მაშინ აბანოს მივიდეს რომელ წყალი მისი ნელი იყოს, და მხურვალთა საჭამადთა ერიდებოდეს.

იოჰანა იტყვის: თუ მანკი მხურვალისა სიმსივნისაგან ქნილ იყოს ეგრე რომელ ფსელი შეუტრავს ეგრე ხამს, რომელ ისლემი ძარღვი გაუსხნას ანუ საფინი და ეგეთი რაჲმე რომელ წელთა სიმსივნე გახსნას და მუცელი დაუღობოს იხმაროს, და ხიარშამბრისა ფოლოსი თბილითა წყლითა დააღობოს და იისა შარაბითა შესუას. და საჭამადთა წინაათ გრილი და ნელდი ხილი ჭამოს. და თუ მუცელი არ დაღბეს ეგეთი შაფი რომელ შიგან კირი და საყამონია და შაჰმიჰანტალი იყოს აიპყრას, რომელ იგი გამხმარი განავალი ჩამოილოს, და გრილი შემოსადებელი მუცელსა შემოსდვას, და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს და აღრე გამოვიდეს რომელ ასონი არ გაუსუსთდენ. და მხურვალთა საჭამადთა ერიდებოდეს და შურვასა ჰამდეს რომელ ბატქინისა ხორციითა ანუ თიქნისა ხორციითა შექნილ იყოს დია ტრგების, და გამრთელღების და გაიხსნების, და დაეხსნების ჭირსა.

ვითარებაჲ ყოლინჯისა. რაჲ სიგრილისგან იყოს. თეებით ყურაჲ იტყვის: რომელ ბალღმისა გლუსუნისა ზაჯაჯისაგან იქნების, რომელ წელსა ყოლინისასა შეიყრების და გაიყინების მით რომელ იგი წელი ბუნებად დია გრილი იქნების. ანუ ბუნებისა სიხმელისაგან იქნების, ანუ გრილთა ქართაგან იქნების, ანუ გრილთა ამეზიშთა და გასარეველთაგან იქნების ყოლინჯი.

ნიშანი ყოლინჯისა რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ ბალღმისა გლუსუნისაგან იყოს რომელ ზოგჯერ სტკივოდეს და ზოგჯერ დაუყუჩებდეს და მიეფესა აბუყინებდეს. და ნიშანი მისი რაჲცა გრილთა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ სიმძიმე არა ჰქონდეს და მუცელი უყურყურებდეს, და მანკი და ტკივილი იაგრებოდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. თეებით ყურაჲ იტყვის: რაჲცა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ მხურვალთა ჰუყნაჲ უყოს და თუ არ ეყოს ფიცხელიცა უყოს. და თუ არ იჯობინოს მხურვალთა ჰუყნითა მუცელი დაუღობონ, და სნეულისა ძალისა მისაფერად უყონ ჰუყნაჲ.

ისაკ იტყვის: თუ მბუნაჲ და აქლილამალიქი და ბრინჯასფი და შქუჰა წელითა შეაგბოს, და მაშინ მისსა ცხელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. და მესამესა დღესა უყონ ჰუყნაჲ ესრე: ლღვი თეთრი და უნაბი, და სეფისტონი და ჩამიჩი, და ბაბუნაჲ და აქლილამალიქი, და ცერეცოჲ და თუთუბაჲ, და იაჲ და ნილოფარი და ბაბუნაჲ ¹⁾ და ანაკვეთი ტილოსა მწერასა შიგან გამოკრული ყველაჲ წყლითა ადულოს და მისისსა წელითაგან ნახეფარი ლიტრაჲ ჰუყნად უყოს დია კარგი არს. და თუ ოცისა დრამისა წონი ხიარშამბრისა ფოლოსი და თხუთმეტისა დრამისა წონი გულანგუზინი ორივე წყლითა ადულოს, და ორისა დრამისა წონი ბადიანისა თესლი, და მუთყალი ერთი თურბითი, და მუთყალი ერთი იარაჲ ფეყირაჲ მასთანა ვაპრიოს და იხმაროს, კარგი არს.

ფოლისი იტყვის: თუ მანკი გრილთა ქართაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეტროჲ ძირაათა და ნახურისა თესლითა და კელაიფითა და ტეგანაჲსა თესლითა შეაგბოს და ჰუყნაჲ უყოს რომელ ქარები გარდაიღოს. და თუ უძლიერესი უნდეს ხაზღისა გული და ფარფინი ორი დანჯისა წონი გაურისი. და თუ შაჰმიჰანტალი და მარილი და თაფლი და ბაგრუქი და ტეგანაჲსა თესლი დანაყილი შაფად ქნას და ტეგნისა ზეთითა და აცხიბიანოს და აილოს კარგი არს. და თუ ფეტვითა უფუთქოს კარგი არს. და ნიორსა დიდი ხასიათი აქეს რომელ ქართა დაჰჰანტაჲს, და შორვასა ჰამდეს. და თუ მანკი გრილისა სიმსივნისაგან იყოს ღარისა ზეთი და ზეთისხილისა ზეთი და წეროსა ცმელი ყველაჲ მალჰამად შექნას და მანჯისა ადგილსა შემოსდვას.

¹⁾ ეს სიტყვა განმეორებულია.

ზმლ. ელსაჲს. ერთი ფერი ყოლინჯი არს ლმერთმან ნუვის მისცეს, იონანინათა ენითა უფალო მეწიე. ვითარებამ ელაოსისი რომელ სიმხურვალისაგან იყოს. მასა რაჯოჯა იტყვის: ესე მანკი გასარეველისა მხურვალისა და ფიცხელისაგან იქნების, რომელ დაყაყსა წელსა შიგან შეიყაროს და შიგან გამაგრდეს. და ანუ მხურვალისა სიმსივნისაგან იქნების ანუ განავალისაგან რომელ გამაგრებულ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ მუცელი მხურვლად იყოს და უბეთა ქვეშეთ სტიკიოდეს, და რაჲ მანკი გაძლიერდეს განავალი ხორხისგან ამოვიდეს, მით რომელ გზამ მისი შეკრული იყოს. და რაჲცა სიმსივნისაგან იყოს იგი არს, რომელ ცხროვთა და სიმხურვალითა იყოს.

10 კურნებამ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, მასარჯოჯა იტყვის: ელაოსი იონანინათა ენითა იგი არს, რომელ სნეული იზახდეს ვითა უფალო შემიწყალე, მეწიე, მით რომელ ძნელი მანკი არს და მისგან დახსნა უღმერთოდ არ ეგების. და ქტიუშეთ გზამ არ ექნების განავალი ზემოთ მით ამოვა. და თუ სნეულისა ბუნებამ მხურვლად იყოს და მანკისა სათაფნოა ხმელისა განავალისგან.

კურნებამ მისი. იგი არს, რომელ იამ ხიარ შამბრისა ფოლოსითა იხმაროს, და საქამადსა ასფანხისა ურწყოჯაჲ ქამდეს, და თუ მიზგიე სნეულისა ვითამცა ბუნებამ გრილად იყოს ლეღვისა შარაბი და იარაჲ იხმაროს, და თუ ჰუყნად უყოს ერგების. საქამადსა მამლისა შურვასა ქამდეს რომელ შიგან ცერცოჯა შექნილ იყოს. და თუ ესე მანკი სიმსივნისა მხურვალისა და ფიცხელისაგან იყოს ანუ ბასალიკი ანუ აქჰალი გახსნას, და თუ სნეული

20 ძლიერად იყოს მაშინ ქრთილისა წყალი სჷსა რომელ შიგან ვარჰარამისა ძირი და ხორფარასთისა თესლი შექნილ იყოს. და ესე შემოსადებელი შემოსდვას: ხორფარასთისა ფურცელი და ძაღლისა ყურძენი და იამ ახალი თვითოჯსაგან ათისა დრამისა წონი, ყველაჲ დანაყილი ცერცოჯა თესლისა და მისისა წყლითა გაპრიოს, და თუთრი ცვილი შიგან ვაადნოს, და იისა ზეთი და ბატისა ცველი შიგან გაპრიოს, და სადა სტიკიოდეს შემოსდვას. და თუ მანკი გარდვიდეს ისრიბისა ურწყოჯაჲ ქამოს ნუშისა ზეთითა, ერგების. და ძაღლის ყურძენი და ქაქინაჲსა წყალი და თუნჯისა წყალი თვითოჯსაგან ორი უკიამ, ხიარ შამბრისა ფოლოსი უკიამ ერთი, ნუშისა ზეთი ორისა დრამისა წონი, ყველაჲ ადულოს და ჰუყანაჲ უყოს ერგების. და თუ მანკი გასარეველისა მხურვალისაგან იყოს საქამადსა ცოტაჲსა ქამდეს და საეროსა პურსა ჯულაბასა და ნუშისა ზეთსა თანა ქამდეს, და საქამადსა ზირაბაჯსა ქამდეს.

30 ვითარებამ ელაოსისი რაჲ სიგრილისგან იყოს. ისაჲ იტყვის: ვითარებამ მისი გასარეველისა სქელისა ბალღმურისგან იქნების რომელ დაყაყსა წელსა შიგან შეყრილ იყოს, და გამაგრებულ იყოს. ანუ სიმსივნისა გრილისაგან ანუ მომკვლელობა წამლთაგან იქნების, რომელ ეჭამოს. ანუ ფეთყისა ქარისაგან იქნების რომელ გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმხურვალე და ცხროვა ერთობს. და ნიშანი მისი რაჲცა გრილისა სიმსივნისაგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი და სიმძიმე ლბილად იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ფეტყისაგან იყოს იგი არს, რომელ ჰისითა შეიგნეს და შეიტყვას ფეტყისა ქარისა მანკიანობამ.

კურნებამ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. ისაჲ იტყვის: იგი არს, რომეთ ძირთა წყალი იარაჯთა თაფლითა გაპრიოს, შეზილოს და იხმარებდეს. და საჯაჲხანაჲ და ბედღჯირისა ზეთი და მაზარიონისა ყურსი, მით წყლითა რომელ მაგიე ანისონი და ნიახურისა თესლი და ბადიანი შემგებარ იყოს, იხმაროს. და თუ ტკივილი ძნელად იყოს და მანკი ძლიერად იყოს მაჯუნეი ფელონიაჲსი და ბარასტუნისა მაჯუნეი, და თერიაყი ფარუყი და დიდროვანი იარაჲ იხმაროს. და ფელონიანისაგან ცოტაჲ მისცეს სნეულთა მართ ეგდენი რომელ ტკივილი დააწყნაროს, და მაშინ ნულარ მისცემს. და თუ მანკისა ვითარებამ გრილისა სიმსივნისაგან იყოს, კურნებამ მისი იგი არს, რომელ ასფარამთა წყალთა შიგან ჩაჯდეს და მუცელსა ქუნჯიდისა ზეთითა იზელდეს. და აბანოჯსა შიგან მივიდოდეს და ცხი-

ბიანსა შურვასა ზერეტდეს და მხურვალთა ზეთითა ჰუენახასა იქმოდეს, მეტად მაშინ რომელ სიმოხენე სევდაურთა გასარველთაგან იყოს. და კურნება მისი რაჲცა მკლველთა წამალთაგან იყოს რომელ ებამოს, იგი არს რომელ პირველ არწყოს და მაშინ თარიაყ მათრედითრისას ჰამოს. და კურნება მისი რაჲცა ფეტყისგან იყოს იგი არს; რომელ პირალმა დაწებოდეს და ხელსა მუტელსა ზედა ივლებდეს რომელ წელი თვისსა ადგილსა მივიდეს, ანუ აბარმას მივიდეს და პირალმა დაწვეს და ნებსა ზედა ხელსა მუტელსა ივლებდეს რომელ წელი ადგილსა ზედა მივიდეს, და მაშინ დამკრელი შემოსადებელი შემოსდეს. და ცხიბიანსა შურვასა იხმარებდეს რომელ ბატკნისა ხორკითა შეწილ იყოს, და საქამადსა ცოტასა ჰამდეს და ნუ იარების. და ამის მანკისა კურნებისათვის მოიჭიროს, და თუ არა რაჲ გაძნელდეს კურნება მისი გაუჭირიანდების, და არ ეგების უკანის რგება და კურნება მისი, იცოდეს.

რამ. ზიანა ბრძმელ და მოკლე და ქუდენდა. რომლისა არს თარგმანი აყროასა თესლი, რომელ მუტელსა შიგან იქნების. მოკლისა და გრძელისა ჰიისა ვითარება. იოჰანა იტყვის: ბალღურთა სინედლისგან იქნების რომელ წელთა შიგან დაღებს და აყროდეს, ჰავად მოდნობისგან, ანუ მიძიეთა საქამადთაგან რომელ დია ეჭამოს და დემეტოს.

ნიშანი გრძელისა და მოკლისა ჰიისა რომელ მუტელსა შიგან იყოს. გრძელისა ჰიისა ნიშანი იგი არს, რომელ პირსა წყალი დია სდიოდეს და ბუნება ემღებოდეს, მეტად მაშინ რომელ შიოდეს, ეგრე ეგონოს რომელ წელსა რაჲმ უკენს, და ნიშანი მოკლისა ჰიისა იგი არს, რომელ გუამი ჰქავოდეს.

კურნება დიდისა და ცოტასა ჰიისა იგი არს, იოჰანა იტყვის: ესე მანკი უფროაჯერ ბალღმიანთა კაცთა და ეგეთთა კაცთა შეექნების რომელ უდნობი, გრილი საქამადი დია ეჭამოს, და წელთა შიგან დამალ იყოს, და მისგინი სულიერი მძრომი დანობდების და შეიქნების. და ყოველი მძრომი და სულიერი მის წელისა მისაფერად საზომითა იქნების. ვითა გრძელი ჰია საჲმ წელსა შიგან იქნების. და იგი უფართესი უფრო ზემოთ ყოველთა წელთა. და წერილი და ბრტყელი ჰიაჲ რომელ მას აყროასა თესლი ჰქვიან იგი ყოლინსა ავარსა წელსა შიგან იქნების და ავარიან თარგმანი მრული არს. და ესრე ორივე წელი საჲმ წელსა ქვეშეთ იქნების და სიფართითა და სიფრითა შუანი არიან. და წერილი ჰია მოსთაყმისა წელსა შიგან იქნების და ყოველთა წელთაგან უფრტრესი და უქვეშესი არს. და სიდიდე და სიმცროჲ ჰიათა ადგილისა სიფართისა და სიწლოსგან იქნების. და გრძელთა ჰიათა წამალი¹⁾ ეგეთითა წამლითა ხამს, რომელ მწარე და გამწმენდი იყოს წელთაჲ ვითა ქილდარგი და თირმისი, და სომხური შიჰი და ქაბულური ბრინგი, და აფთიმონი და აბალი, და მწარე ყუსტი და აფსანთინი, ამთ ყოველთგან ათ ერთი წამალი ჰამოს და თუ ორი სამისა დრამისა წონი, ოთხისა დრამისა წონამდენ მეტი ნუ, დანაყოს, წმიდად და თაფლითა ჰამოს რომელ ჰიაჲ მოკლას. და ესე წამალი გრძელსა და მოკლესა ჰიისა მოჰკლავს: ქილდარგი სამისა დრანისა წონი, ბრინგი და თირმისი და თეთრი თურბიდი სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყოს და სამითა დრამისა წონითა თაფლითა და თბილითა წყლითა იხმაროს. და ნილდანაჲ და თეთრი თურბიდი და თირმისი თეთროასა ოდენი ყოველი დანაყლი ოთხისა დრამისა წონი თბილითა წყლითა და ძმრითა და თაფლითა გაჰროოს და იხმაროს. და წერილი ჰიაჲ ჰარბოასა წყლითა ანუ აფსანთინისა წყლითა ანუ აბეკამაჲთა ჰუენაჲ უყოს. და ზეთისხილისა ზეთითა და ბედანჯირისა²⁾ ზეთი აიპყოს ერგების, და ჰიათა მოჰკლავს.

კურნება ჰიისა ქუდენდანაჲსი რომელსა ჰქვიან აყროასა თესლი. არხიჯანოს იტყვის: ვითარება მისი ბალღამურისა სინედლისგან იქნების რომელ მრულსა და ყოლინსა წელსა შიგან გამაგრებული და დამალ იყოს, მეტისა ბალღამუ-

¹⁾ უნდა იყოს „წამლობა“.

²⁾ ამ სიტყვას ქვემოდან უწერია მხედრული ზელით „პიტანა“.

რისა საქამდისაგან რომელ ეჭამოს, ვითა სძე და მაწონი, და ყველი ახალი და ზროხისა ხორცი, და მაძლარი და პურქმული აბანოს მისრულ იყოს.

ნიშანი ჭიისა ქუღელდანისაჲ. იგი არს, რომელ ევგრე ეგონოს ჟამჟამ თუ წელსა რამჟე უბუნეს, და ესე მანკი უფრომასჯერ ყმაწვილთა შეეჭნებინ და ბალღმიანთა კაცთა, და ზაფრიანთა და სვედიანთა არაოდეს შეეჭნების, სიმზურვალისა მათისა ბუნებრსაგან არ შეეჭნების.

კურნებაჲ ჭიისა ქუღელდანისაჲ: იგი არს, რომელ რაჲცა ნატიფი იყოს საქამდთა თანა მას ჭამდეს. და აფსანთინი და თურქული დრამინაჲ, და აფთიმონი და პიტნაჲ, და თირმისი და ჰარბოჲ, და ყურღემანაჲ და კალნაბისა თესლი, და სონიჯი რომელ ჭამოს და მუცელსა შემოსდვას კარგი არს. და ატმისა ფურცელი დანაყოს და უბესა ზედა შემოსდვას ერგების. და ძირაჲ და...¹⁾ ქერქი და მკაეისა ბროწეულისა ქერქი მას ერგების და ამას მანკსა ესე წამალი ერგების ვითარებაჲ მისი: თირმისი და ბრინჯი ქაბულური, და ყუბანბელი თვითმასაგან სამისა დრამისა წონი, ყუელა დანაყელი და გაცრილი ერთგან გაკრიოს და ხლოსა დრამისა წონი მისგნით უზმამან იხმაროს ერგების. და ესე წამალი ჩუნენ გამოვიცდია თუკეთესი არს უჭირით ჩამოიღებს აყირომასა თესლსა ჭიისა, ვითარებაჲ მისი: რასინისა ნედლისა ძირი დანაყოს და სამი უკიაჲ წყალი მისი სტას.

თებით ყურაჲ იტყვის: რაჲ უბე იგრებოდეს და მუცელი სტეიოდეს და ბუნებაჲ ჰავად ედგას მანკი იგი არს, რომელ ჭაჲ გამრავლებულ იყოს და საშიშოჲ იქნების, რომელ წელთაგან სტომაქსა ამოვიდენ ჭიანი. კურნებაჲ იგი არს, რომელ სპანძელი და აბეკმაქი საქამდსა შიგან იხმაროს. და თუ შვილისა დრამისა წონი ბრინჯი ქერქ შეზდილი უზმამან შეჭამოს ჭიისა აყირომასა თესლსა ჩამოიღებს. მაგრა ევგრე ხამს რომელ წამალსა აღებამასა წინათა ორსა დღესა პურსა გამობარსა სძითა ჭამდეს, და მაშინ ვითა გვითქვამს წამალი აილოს. და სძე და მაწონი და ახალი თევზი და რაჲცა ამას ჰგვანდეს არ აშუნია, ერიდებოდეს. და მუხუდაჲ და კალიაჲ მზურვალთა სანელებლთა შექნელი ჭამოს, ერგების.

რგვ. ბეჰასირი და თუთაჲ რიჰელი მუბასსა შიგან იხმაროს. ვითარებაჲ ბეჰასირისაჲ. იოჰანა იტყვის: ბეჰასირი სამი ფერი არს, ერთი მათგან გრძელი იქნების და ცოტასა ფურცარსა ჰგავს, და სხვაჲ მრგვალი არს ვითა ყურძნისა ჯ) მარცუალი, მესამე თუთასა ჰგავს და ყოვლისაგან უვარეი იგი იქნების, დამწუარისა სისხლისაგან იქნების.

ნიშანი ბეჰასირისა რაჲ გუჰამსა შიგან გამოჩნდეს. იგი არს, რომელ ხორცმეტი გუჰამსა ზედა გაზრდილი იყოს და მისგნით სისხლი წრდებოდეს. და იქნების რომელ სისხლი არ მოვიდოდეს, და იქნების რომელ გუჰამსა შიგნით იყოს და არა ჩნდეს, და მას ღიბაჲ ჰქვიან არაბულად, თარგმანი მისი უჩინარი და გუჰამსა მყადი ჰქვიან.

კურნებაჲ ბეჰასირისა მანკისაჲ. იოჰანა იტყვის: მიწყით მის გნით სისხლი დიოდეს და არას აწყენდეს კაცსა, მას სისხლსა უტუყუნებაჲ არა ხამს, რომელ მორკუული იქნების ღვიძლისა სიმსივნესა. ვიდრე იგი სისხლი დიოდეს და არას აწყენდეს არცა ისთისყაჲ შეიქნების, არცა გუჰამსა სიმსივნე. მაგრა თუ დაუსუსტრებდეს მაშინ ხამს უტუყუნებაჲ მისი და კურნებაჲ მისი ქაჰრაბათა არს, ანუ ვაშლისა შარაბითა და გვარიშნსა რიმჰანისასა იხმარებდეს, და რიმჰანი რკინისა წიდასა ჰქვიან. და თუ გუჰამი უსიფდეს და სტეიოდეს ბასალიყი ვახისნას, და განდანაჲ და შემგბარი ხახვი, და აქლილამლაქი და

40 ბალბაჲ, და აფიონი და კვერცხისა ყვითელი ქათმის ცმელითა, და ვარდის ზეთითა და ყვითლითა ცვილითა მალჰამად შექნას და ნელი ზედა შემოსდვას. და მაშინ ტულისა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და ზროხის ხორცსა და ოსპსა და კალნაბასა და სასეფლოთა საქამდთა ერიდებოდეს. და ღიაცსა ნუ დაეკარების. და ქათმის ხორცი შურავათა ჭამოს ანუ ბატქნის ხორცი, და ჟამჟამად არწყვედეს, და მუყლი გუჰამსა ქვეშეთ იკმოლოს და მუყლისა მაჯუნნი იხმაროს.

¹⁾ აქ სიტყვაჲ გამოტოვებული დაახლოვებით 7 ასოთანი [აყირომასა].

²⁾ ამ გვერდის ქვემო აწიხე რეფლუთა სათვალავი სწერია „ლუ“ და შემდეგ გვერდის ზემო აწიხე „ლუ“

მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: რომელ ბევასირსა ვერე არა ერგების ვითა მუყლი, სისხლსა უქუაყენებს და ტკივილსა გააგდებებს ვითარებაჲ მისი: ვადი ¹⁾ დამწუარი და შავი ჰალილად და ამოლაჲ თვითოსაგან ნაწილი ერთი, ძოწი და ქაპრაბაჲ ნახევარი დანაყილი და დამწუარი თვითოსაგან ნახევარი ნაწილი, ყველაჲ დანაყილი აქელემის დემითა შეზილოს, ჰჰანი ²⁾ ჰქვიან ზურგსა ზედა რომელ მჯდომად არს, და თალარი გახვრიტოს და ზედა დაჯდეს და ქტემეთ იკმოლოს. და თუ სელისა ზეთი საწამლეთა შიგან ჩაახხას და ერთი კბილი ნიორი ქერქ შეხდილი შიგან ჩააგდოს და აღულოს, მუნამ. დე რომელ ვაწითლდეს, და მალჰამად შექნას და ტკივილსა ზედა შემოსდვას ერგების, და ტკივილსა დააგდებს.

10 თუ თაჲსა ბევასირისა კურნებაჲ რომელ გუჰამსა შიგან იყოს. იცოდე რომელ თუთაჲ ბევასირი სქელისა სისხლისგან იქნების, რომელ დამწუარი იყოს მეტისა საჰამადისა მზურვალისა და ფიტელისა ჰამისგან, ვითა ნიორი და ხახვი და განდნაჲ სპრასა და პილპილი, და რაჲცა მათი მსგავსი იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი თუთაჲსა ბევასირისა რომელ გუჰამსა შიგან გამოჩნდების, იგი არს, რომელ მეტი ხორცი და სუსტი გამოსრული იყოს, და თავი მისი მრგვალი იყოს და ტანი მისი წყრილი ვითა თუთაჲ, და ამისთვის არაბუღლად მას თუთაჲ ჰქვიან.

კურნებაჲ მისი. აბუჯარიჰ იტყვის: იგი არს, რომელ ძირით მოჰყუეთონ და თუ მაგარი იყოს ლუღდისა ებრ ერთობით უნდა მოჰყუეთა, რომელ ჰავი და საძულელი და მენი იქნების. და თუ მოჰყუეთასა უკანით სისხლი დია წასრულ იყოს და არ დადგე-

20 ბოდეს თეთრი არჯასი და აყაყაჲ, და ბროწელისა ყუბიელი და წისქვილის მტერი ერთგან გაჰპროს და ზედა შემოაყაროს, რომელ სისხლი უქუაყენონ. და რაჲ კარგად მოიყვეთოს და ღრჯად იყოს და არ გაეშვას რომელ სისხლი უკმოედეს, მაშინ გასიფების და ასტკიედების, ეგრე რომელ ფსელი და განავალი უქუდგეს.

კურნებაჲ მისი. იგი არს, რომელ ბალბისა ფურცელი და სელი და კალნაბრისა ფურცელი წყლითა შეაბგოს და მას წყალსა ნელსა შიგან ჩაჯდეს, რომელ ტკივილი დასწყნარდეს. და თუ მანკი შეაბგოს და სისხლი არ დია სდიოდეს ბასალიყი გაისხნას, და თეთრი ხახვი შეაბგოს და ზედა შემოსდვას, ანუ კვერცხისა ყვითლითა შემოდგებითა იხარკოს. და სამსა დღესა სასწამლად საჰამადსა უმცროჲ ჰამდეს რომელ ფსელი და განავალი არას აწყენდეს და სიმსიენე დაჯდეს. და თუ თმითა ანუ აბრეშუმითა წმიდითა შეკრას კარგი

30 არს თვით დაჰვარდების. მაშინ ფიტელი წამალი შემოაყარონ რომელ გაშავდეს, და კალნაბაჲ წყლითა შეაბგოს და ვარდისა ზეთითა შეზილოს და ზედა შემოსდვას რომელ ჩამოიჭრეს. და თუ ასტკიედეს და სიმსიენე ემატოს მოჰყუეთოს, რომელ მახვილი უადვილე და უფროჲ მშვიდობისაჲ იქნების, მისგან, რომელ წამალი შემოაყაროს. ეგრე ხამს, რომელ პირველ ბასალიყი გაისხნას ერგების. და ზოგნი თუთაჲსა ბევასირსა უკმოლევენ რომელ გაშავდეს და ჩამოჰვარდეს, მაშინ ერბოხსა სცებენ და თეთრითა მალჰამითა, და კვერცხითა და ვარდის ზეთითა ჰკურნებენ.

488. ნასოჩი და დანაჰილოჯაჲ რომელ მუჰამსა შიგან იყოს. ვითარებაჲ ნასორისა.

დევეჯანის იტყვის: ესე მანკი სიწყულლისგან იქნების, რომელ დაძველებულ იყოს და მანკსა მოერინეს, მეტად დამპლისა და მყარლისა სინდელისგან, რომელ ბუნებისა ძალსა

40 და სიმზურვალესა მას აღვილისაჲენ მიეძალოს. ნიშანი გუჰამისა ნასორისაჲ იგი არს, რომელ მისგნით მყარალი თხამლი ჩამოვილოდეს და სნეულისგან ქარი მისდა უნებლიათ გამოვილოდეს, მეტისა გუჰამისა უსუსურობისგან და მწუწუებისა და უძალო კნილებისაგან არს.

¹⁾ შევდომაჲ, უნდა იყოს „ვარი“.

²⁾ კონი.

კურნება გუამისა ნასორისაჲ. იგი არს, რომელ რაჲ მყალი თხამლი ჩამოვიდოდეს და ცოტაჲ იყოს უადვილესი არს. კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მძიმეთა და ჰეთა და უდნობთა ქრიდებოდეს და მალჰამაჲ, რომელ ხორცსა ზრდიდეს, ზედა შემოსდეს ვითა ფისისაჲ მალჰამაჲ და მსგავსი მისი. ანუ წყალი რომელ შიგან დამკრველი წამალი შემგბარ იყოს, ვითა გუნდაჲ და ჩანჩაქი და სხვაჲ ზედა შემოსდეს. და თუ მისგნით მყალი თხამლი დია მოვიდოდეს ფიცხელი წამალი შემოსდეს ვითა ქანგარისა მალჰამაჲ, რომელ იგი დამპალი ხორცი გადნოს. ანუ მაკრატლითა მოჰკუეთოს თუ გუამსა გარეთ იყოს. მაშა თუ შიგნით იყოს და კარგად არა ჩნდეს, არა ხაშ მოკვეთა, თუ არა მაშინ განავალი უნებლოვ გამოვალს. და თუ სწადდეს რომელ წამლითა იკურნოს ეგრე ხაშს, რომელ ხმელი წამალი ძველითა ბანბითა შემოსდეს, და მაშინ კარაქი და ძველი ერბოჲ შემოსდეს რომელ გაწმიდოს.

10 ბაყრატი იტყვის: ესე მალჰამაჲ იხმაროს ვითარებაჲ მისი: ფისი ხუთისა ღრამისა წონი, ნიგეზისა ზეთი შვიდი ღრამისა წონი, ფისი ერბოთა გადნოს და მაშინ იფიონი და გუნდაჲსა კერქი და ყაისუმი თეთოთსგან ღრამისა წონი ერთი, ყოველი დანაყილი ფისსა და ერბოხსა თანა გაპრიოს, და ცოტაჲ ვეცხლისა ნაგლილი და თეთრისა იასამინისა ზეთი შიგან ჩაუტროს, და პატრუქსა ზედა შესცხოს, და მანკისა ადგილსა შემოსდეს დია ერგების. და ესე წამალი სხვაჲ გამოგვიცდია, ამას მანკსა ერგების ლიპილა თაისისა, ვითაჲცა ვაცი-სა წვერისა აფშარაჲ ოთხისა ღრამისა წონი, თეთრი საქმელი დანაყილი ექვსისა ღრამისა წონი, ორივე ყურანისა ტკბილსა შიგან და:ლბოს, და ტილოსა მწეარსა შიგან შესცხოს და 20 ზედა შემოსდეს.

ვითარებაჲ გუამისა დანაყილობისაჲ. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი სიღბოხსა უკანით შეიქნების, გასარველისა საზაფროსა ფიცხელისგან იქნების, ანუ მეტისა სიხელოსგან რომელ გუამისა და მორეულ იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების. ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ეწუოდეს, და სისლი მისგან ჩამოვიდოდეს და სტიკიოდეს მაშინ, რაჲ ხმელი რაჲმე ეკამოს, ვითა აპუხტი და ხმელი ყველი და მსგავსი მისი.

კურნებაჲ გუამისა დანაყილობისაჲ იგი არს, რომელ სპეტისა მალჰამაჲ კვერცხისა თეთრსა და ქაფურსა და ვარდისა ზეთსა თანა, და მეშბაპარისა წყალსა თანა გაპრიოს, და ზედა შემოსდეს. და მაშინ ასფარამთა წყალსა შიგან ჩაჯდეს მაშენეა. თუ მან-30 კსა თანა სიმხურავლე დია იყოს კვერცხისა ყვითელი და ზროხის წვივისა ტენი და ცმელი ქათმისაჲ, და ქათირაჲ დანიშასტაგი, და იფიონი და სომხური მიწაჲ, და თეთრი ცვილი და ერბოჲ ერთგან გაპრიოს და მალჰამად შექნას, და მანკისა ადგილსა შემოსდეს. და საქამადა და ნუ ქაშს და ღეინოხსა და თაფლიანსა ერიდებოდეს, და ბაზრაყატუნსა ქულაბითა სტმედეს. და საქამადა შურვასა იხმარებდეს რომელ ვარიითა შექნილ იყოს, ანუ ასფანახისა ურწყუასა.

თებით ყურაჲ იტყვის: რაჲ კაცი მხურვალ ბუნებაჲ იყოს და დანაყილობაჲ სიმციენისა ჟამსა იქნას, ხელი გაიხსნას, და თეთრი მალჰამაჲ შემოსდეს. და რაჲცა სიმხურ-ვალე და სიმციენე არ ერთოს იგი არს, რომელ კვერცხისა ყვითელი ზედა შემოსდეს და მუყლი ცმელითა დანაყოს და უემოლოს კარგი არს. და თუ დანაყილობაჲ ძველი იყოს ხაშს რომელ დია მოფხანოს, რომელ სისხლი დია ჩანოვიდეს, და მასალიყონისა მალჰამით ჰკურ-40 ნოს და ქათმის ცმელი და ბატის ცმელი ქათირაჲსა თანა გაპრიოს და ცოტასა ხანსა თაფლისა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და მაშინ ზედა შემოსდეს.

მუჰამედ ზაქარიაჲს ძე იტყვის: რაჲ მანკი სიმხურვალითა ნიშნითა იყოს თეთრი მალჰამაჲ იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი ცვილი და ხირისა ზეთი ანუ იასამინისა ზეთი და ქათმისა ცმელი თეთოხსა ოდენი, ქათირაჲ თეთოხსა ნახეურისა ოდენი, ყოველი ერთგან გაპრიოს და დანაყილსა ზედა შესცხოს. და რაჲ ტკივილი გაუძნელდეს ბაღბისა

ძირი და ფურცელი მისი, და სელი და ბაბუნაა რომელიცა პოვოს ბანგისა წყლითა შეაბ-
გოს, და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს და ხანი დაყოს, ერგების.

რამ. სიწმულე გუამისა ანუ ძარღვისა თაჲნი რომელ შიგან გახსნილ იქნეს. ვითა-
რება გუამისა სიწმულისა. არხიჯანოს იტყვის: სიწმულე მისი ზაფრალისა
ფიცხელის სიმსიენისაგან იქნების რომელ მეტისა სიფიცხისაგან გააწმულლოს, ანუ გასარევე-
ლისა ბალღამურისაგან იქნების ანუ ძნელად დანაყოლობისაგან იქნების, რომელ ღრუდ ჩას-
რულ იყოს.

ნიშანი გუამისა სიწმულელისა. რაიხცა ზაფრალისა ფიცხელისა სიმსიენი-
საგან იყოს იგი არს, რომელ ეწმოდეს და ტკივილი ისრისებრ სცემდეს. და ნიშანი მისი
10 რაეცა ბაერუელისა ბალღამისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით მისგან თხაბლი მოვი-
დოდეს მოუწყვედედი.

კურნება გუამისა სიწმულელისა. არხიჯანოს იტყვის: იგი არს, რო-
მელ მანკისა ადგილისა ნიდავ ასფარამისა წყლითა ბანდეს და მურდსანგისა მალჰამაა შე-
მოსდეს, და ესე წამალი იხმაროს ვითარება მისი: ზროხის წვივისა ტვინი და სპეტისა მა-
ლჰამაა ყოველი ერთგან გაპრიოს და იისა ზეთითა შეზილოს და ცოტაა აფიონი გაპრიოს
და მანკისა ადგილსა შემოსდეს.

ჯალინოს იტყვის: თუ ესე მანკი გასარეველისა ბალღამურისაგან იყოს კურნე-
ბაა მისი იგი არს, რომელ ზროხისა წვივისა ტვინი და ყვითელი ცვილი თვითოასაგან ათ-
ისა დრამისა წონი, ფისი ზეთისა დრამისა წონი, სპეტი და ლურდსანგი თვითოასაგან სა-
20 მისა დრამისა წონი, ვარდისა ზეთი ოთხისა დრამისა წონი, ყოველი ერთგან გააღნოს და
სპეტი და მურდსანგი დანაყოლი შიგან გაპრიოს და მალჰამად შექნას, და რაა მოეხმაროს
მანკისა ადგილსა შემოსდეს. და თუ მანკი დანაყოლობისაგან იყოს კურნებაა მისი იგი არს,
რომელ ზროხის წვივისა ტვინი და ირმის ცველი თვითოასაგან ათის დრამისა წონი, ცვი-
ლი ზეთისა დრამისა წონი, თვითრმუმიდა სამისა დრამისა წონი ¹⁾ ცვილი იისა ზეთითა
გააღნოს და ესე დანაყოლი წამალი გაპრიოს რომელ მალჰამად შექნას და მანკისა ადგილ-
ისა იცხოს. და თუ მანკი და დანაყოლობაა სიზბურავლითა იყოს სპეტისა მალჰამა რომელ
კვერცხისა თეთრითა და ქაფურითა შექნილ იყოს იხმაროს. და ძალის ყურძნისა წყალი
და ბალღის ფურცლისა წყალი, და კატკატოხისა წყალი და თეთრი ცვილი, ვარდისა ზეთი-
თა გააღნოს და ამა წყალთა თანა გაპრიოს და ყოველი აენასა შიგან გაგალოს და მაშინ
30 მანკისა ადგილსა ზედა იცხებდეს ერგების, და ნატიეთა საჰამადაჲ ქამდეს.

ვითარებაა ძარღვისა თაჲნი გახსნილ გუამსა შიგან. მუჰამედ იტყვის: ესე საქ-
მე ორფერად იქნების. ერთი იგი არს, რომელ სისხლი მისგნით ცვარად დაწყეთების. და მე-
ორე იგი არს, რომელ სისხლი დია გამრვა მისგან და იგი სისხლისა სიმრავლისაგან იქნე-
ბის, რომელ ძარღვსა შიგან სისხლი დია იყოს.

კურნებაა ²⁾ ძარღვის თაჲნი გახსნილ გუამსა შიგან. რაა სნეული
უსუსურად იყოს მეტისა სისხლისგან რომელ მისგნით მოსრულ იყოს ნიშანი მისი იგი არს,
რომელ გული იფეთქდეს და ფერი ყვითლად იყოს მისი, და მუხლისა თაჲნი გაუსუსოდენ
სნეულსა.

კურნებაა მისი. მუჰამედ ზაჰარიაჲს ძე [იტყვის]: იგი არს, რომელ ქაჰ-
40 რაბაჲსა ყურსი იხმაროს ანუ ფილონიასა მაჯუნნი რომელიცა იყოს თუთუბისა წყლითა იხ-
მაროს, და საჰამადსა გრილსა და შემრგელთა ქამდეს ვითა ისრიმი და თუთუბაა. და იქნე-
ბის რომელ ესე სისხლი ზოგჯერ მოვიდოდეს და ზოგჯერ უკუდგებოდეს, ეგრე ხამს რო-
მელ წინაჲსვე რაა სისხლისა დენისა რიგი არ იყოს ბასალიყი გაიხსნას, და ეგეთთა რაჲსმე

¹⁾ ამ სიტყვის შემდეგ სწერია „ყოველი ერთგან გააღნოს“ — ეს წინადადება პუნქტირშია ჩასმული.

²⁾ ამ სიტყვას ნიშანი უხის და აშიაზე დედნის ბელით სწერია „ნიშანი“.

რომელ სისხლს აზოტრვალდებდეს ცრიდებოდეს. და თუ სისხლისა დენა საზომისაგან გარდ-
ვიდეს უკუყენებისთვის და იხრაკოს რომელ ისთისყად არ შექქანს სილაფლითა.

იოჰანა იტყვის: ვიდრე სნეული არ დაუსუსრდეს და ფერი ადგილობას იყოს
ნუ შეჰკრავს, და რა დაუსუსრდეს და მუხლნი დაუსუსრდენ და ფერი წაუყვდეს მაშინ
თუ არ უკუყენონ ისთისყაასაგან საშიშოა არს. და ესე ყურსი ქაპრაბაჲსი ესრე მას ერ-
გების: ქაპრაბა და გომიზი არაბული, და ლაქი და ბროწეულისა ყუაილი, და გუნდაჲ
თეთროსაგან ხუთისა დრამისა წონი, თეთრი საქმელი ორისა დრამისა წონი, ყოველი ორი-
თა უკიათა თუთუბისა წყლითა შეაბგოს რომელ წყალი გაუწითლდეს და მაშინ იხმარებ-
დეს. და თუ ქაპრაბა და გომიზი ნიგეზისაჲ ვერ პოსს, სანდაროსი მისდა ნაცვლად იხმა-
10 როს. და ესე წამალი სხვაჲ ჩვენ გამოგვიცდია ამა ქირსა ერგების, ვითარებაჲ მისი: გუნ-
დაჲ და თეთრი საქმელი და ბროწეულისა წყალი და რკინისა წიდაჲ თეთროსაგან ხუთისა
დრამისა წონი, მასტაქე დრამისა წონი და ნახევარი, აფთიმონი ხუთი დანგი, ბანგისა თეს-
ლი დრამისა წონი ერთი, ყოველ დანაყილი თაფლითა შეზალოს და მისგნით ორისა ანუ
სამისა დრამისა წონი ქამოს და მაშინ თუთუბისა წყალსა სძიდეს. და ესე შაფი აიპრას
მურდასანგი და ხონისიაოშანი, და სპეტი და ქალალი დამწუხარი, და მიწაჲ სომხური და
აყაყია თეთროსაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი შაფად შექქანს და იხმარებდეს დია
კარგი არს, და მარგებელი შეწვენითა ღმრთისაათა.

ჴმთ. გუაშისა სიმონვემ და სისუსტჲ და გამოსვლაჲ მისი, და ჰაჰილი. ვითარებაჲ გუა-
მისა სიმონვისა და სისუსტისაჲ. იოჰანა იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა გასარევე-
20 ლისაგან იქნების, რომელ მოერიოს, ანუ გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების. და სისუსტე გუ-
ამისა მისგან იქნების, რომელ საბთჲ ზურგსა ზედა დაეცეს ანუ დიდი ჰირი ენახოს.

ნიშანი გუამისა სიმსივნისა და სისუსტისა. რაჲცა მუხრავლისა და
ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტვიოდეს და ფხელი იწებო-
დეს და თუ სიმსივნე ბალღამური იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ თეთრი და სუსთი
იყოს, და რაჲცა დაეცემისა და ნაკრავისაგან იყოს ცოტად გამოჩნდების.

კურნებაჲ სიმსივნისა და სისუსტისა გუამისაჲ: იგი არს, რომელ ბა-
სალიყი გაისხნას და გრილსა საკამადთა ქამდეს. და ოსპი და აქოლაღმალიქი, და ძაღლის
ყურძნისა ფურცელი და იაჲ ხმელი, ყველაჲ წყლითა ადულოს ეგერ რომელ წყალი წვიდეს,
და მაშინ იისა ზეთი და კვერცხისა ყვითელი და მეშპართა წყალი შიგან ჩაურთოს და
30 მანკისა ადგოსა შემოსდვას. და ესე სხვაჲ შემოსადებელი ვითარებაჲ მისი: სპეტი ხუთისა
დრამისა წონი, თეთრი საქმელი დრამისა წონი და ნახევარი, იყლეშიაჲ წმიდისა ვერცხლისა
ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ვარდისა ზეთითა და არდისა წყლითა და კიტ-
რისა წყლითა და მეშპართა წყლითა აენსა შიგან გავალოს და მანკისა ადგოსა შე-
მოსდვას. და თუ სიმსივნე ბალღამური იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბატისა ცმე-
ლი და კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი ანუ იასამინისა ზეთითა ერთგან გაჰპროსა
ზედა შესცხოს. და ასუარამთა წყლითა თბილითა იბანდეს მას ადგოსა.

მასარაჯოჲ იტყვის: გუამისა სისუსტისა კურნებაჲ რაჲ ნაკრავისაგან იყოს
იგი არს, რომელ ქვეთისა საქციელთა ზურგთა, ჰკურნებდენ ეგე გუართა წამლითა, რომელ
საფელიწხოთ გვეთქვა. და სარვისა ნიგოზი და საბრი, და მური და ყუსტი, და სუნბული
40 ყოველი წყლითა შეაბგოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს ერგების. და ესე შემოსადებელი
კარგი არს, დაჰამიშთისა მარცხალი და ყუსტი და თეთრისა სპემლისა ქერქი თეთროსა-
გან ხუთისა დრამისა წონი, მჴამე მიაჲ ექვისისა დრამისა წონი, საბრი და მური და აბალი
და სარვისა თესლი და ვაჯი და წითელი ვარდი და შაბი იამანი თეთროსაგან ¹⁾ ხუთისა
დრამისა წონი, ზაფრანაჲ და ხაზლისა გული თეთროსაგან ორისა დრამისა წონი, ყურდ-

¹⁾ ამ სიტყვას ნიშანი უხსნ და აშიაზე სწერია დედნის ზელით „ოთხისა“.

მანაა სამისა დრამისა წონი, ჰუტუტი 1) და რამიკი და ბროწეულისა ყჭავილი და სუნბული და აყიყია თვითოდასაგან ორისა დრამისა წონი და ნახევარი, მასთაქე და სინიჯი თვითოდასაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ყუსტისა ზეთითა მანქისა ადგილსა შემოსდებდეს მიწით.

ვითარებამა გჭამისა გამოსულისა და ქავილი მისი. მუჰამედიტყვის: მეტისა სინედლისაგან იქნების რომელ მისდა მორევილ იყოს, ანუ მასქამას-უსუსურობისაგან იქნების, და ქავილი მისი ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, წვრილთა ქიათაგან იქნების, რომელ სტომამით სინედლე წელთა მივიდეს და ჰიად ქნილი მუნ მივიდეს.

ნიშანი გჭამისა გამოსვლისა და ქავილი მისი იგი არს: გამოსტ-
10 ლისა თვით ცხადი არს მით რომელ ჩანს, და ნიშანი ქავილისა რაა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწით ქავოდეს. და ნიშანი მისი რააცა წვრილისა ქიისგან იყოს იგი არს, რომელ ლამით უფროა ქავოდეს და ძნელად ქავოდეს.

კურნება გჭამისა გამოსულისა და ქავილისა მისისა: იგი არს, რომელ გჭამი ვარდისა ზეთითა: დააცხიბიანოს, და სპეტი და თეთრი არჯასპი და თვალთსაოლაფი, და თეთრი საკემლი ყოველი წმიდად გაგალოს და ზედა შემოაყაროს. და ადგოსავე მისსა მიღლოს. და თუ გუნდა და ბროწეულისა ქეჩქი, და მორდისა ფურცელი და სარვისა ნიგოზი, ყოველი შეაბგოს გედენი რომელ წყალი მისი გაწითლდეს და მრავალჯერ მას წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. და გაზმაზე და გუნდა და სპეტი, და ვაცის წვერისა აფშარა და თეთრი საკემლი, და მური თვითოსაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და-
20 ვაცრილი დამკრველთა შარაბითა გჭამი გამოირცხას და ესე წამლები შემოაყაროს. და თუ ვარდი წითელი და ოსპი და, ძალის ყუ-ტენი და თუთუბა ყოველი წყლითა შეაბგოს და შიგან შემოჯდეს, და მანქისა ადგილი მით დაიბანოს, და ვარდისა ზეთითა და მურდისანგითა იხელდეს კარგი არს.

ისაკიტყვის: ქავილი რომელ სინედლისაგან ფიცხელისაგან იყოს კურნებამ მისი იგი არს, რომელ საბრი ლეინითა გაადნოს და შესცხოს. ანუ ხმელი ზოფა ბატისა ცველითა შეხლოს და შეფად ქნას და აიპყრას. და თუ თურბიდისა 2) წყალი შესცხოს ქავილი რომელ სინედლისაგან იყოს დასწყენარდების. და თუ ვარდისა ზეთი და ძმარი, და საბრი და თეთრი ცვილი მალჰამად შექნას და მანქისა ადგოსა იცხებდეს კარგი არს. და კურ-
30 ნებამ მისი რომელ წვრილთა ქიათაგან იყოს იგი არს, რომელ ატმისა ფურცელი დანაყილი მუცელსა და უბესა შემოსდვას. ანუ მიშიშისა გურკისა ზეთი ველურისა პიტნადა წყლითა მანბასა ზედა იცხოს და აიპყრას. და საბრი დანაყოს და ზროხისა ნავლეულსა თანა გაპყროს და ბანბასა ზედა იცხოს და აიპყრას. და თუ საბრი და ტეგანადა წყალი და ლეინოა ძველი მუცელსა და უბესა ზედა შენოსდვას კარგი არს. და უჩჯოქესი მისი იგი არს, რომელ ალავენი ჰუმოს რომელ ქიაა მოკლას ყოველი ვითა ამას წინაით გვითქვამს.

რან. თირკმელისა ტაივილი სიხშურკვალისაგან იყოს ანუ სიხრქილისაგან.

ვითარებამა მისი რაა სიმხურვალისაგან იყოს. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი დია ჰამისგან იქნების რომელ მხურვალი და ხმელი დია ექამოს და ბუნებამა გაეპყოს. ანუ თირკმელისა უსუსურობისაგან იქნების, და ვარცა მხურვალთა ქამისაგან, რომელ დია ექამოს მხურვალი და ხმელი.

ნიშანი მისი რააცა სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელ-
40 წითელი იყოს და სწყუროდეს და დია მხურვალედ იყოს ლამით. და ნიშანი მისი რააცა მისისა უსუსურობისაგან იყოს რომელ ფსელი ხორცის წყალსა ჰგებდეს და ზურგი სტკი-
ვოდეს და დიაცისა ნდომად არ იყოს.

1) სწერია „ჰიატოტი“.
2) სწერია „თურბისა“.

კურნება მისი რაე სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ ქრთილი-სა წყალი სტას და სიქანგუბინი და მიწყით კიტრისა გრძელისა წყალსა რომელსა ჰქეიან ბრინგი, იისა შარაბითა სმიდეს, და მეშპართა წყალი და ვარდისა წყალი და სანდალი ერთგან გაპროოს და მანკისა ადგილისა იცხოს, რომელ ვაგრილდეს, და ტკივილი დაუშვას. და საჭმალსა ასფანახისა ურწყოასა ჰამდეს. და თუ არდი და ზავარტი ისრიმისა ურწყოასა შიგან იხმაროს, კარგი არს.

მადაინი იტყვის: თირკმელისა სნებისაგან უფარესი იგი არს, რომელ სიმხურვა-ლით იყოს, და თუ აღრე არ მიესწრან ყოველი ასო გასუსტების მეტისა სინედლისაგან რომელ კაცისაგან ჩამოვალს. და მრავალნი აქემნი შესწუხდებიან ამას მანკსა შიგან, რომელ 10 აგრე ეგრონოს ნუ თუ ყოლინჯი არისო და ღია მოსკთებიან შიგან აქემნი. და ერთი ნიშანი მისი იგი ექნების, რომელ რაე ყოლინჯსა შიგან სისხლი გაიხსნას დასწყნარდების, და თირკმელსა შიგან არ დასწყნარდების. კურნება მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რაასმე იხმარებოდეს რომელ ღვიძლსა გაუგრილებდეს ვითა ზაზრაყატუნი ანუ ქრთილისა წყალი იხმაროს, და მეკისა მაწონისა წყალი და მიშმიშისა წყალი. და ყოველთა მეთევე და შემ-კრველთა ხილთა შარაბი, ვითა ბროწყელისა შარაბი და ვაშლისა შარაბი, და ტუტაასა შარაბი. და თუ სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური ერთგან გაგალოს და ტილოსა მწუარი მით დაასოვლოს და თირკმელსა შემოსდვას კარგი არს.

მუჰმედ ზაქარიაჲს ძე ი [ტყვის]: კურნება მისი რაეცა თირკმელისა უსუ-რობისაგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას მუნითვე რომელ ტკივილი იყოს. და 20 თუ მანკი ძლიერად არ იყოს მარჯვნით ბასალიყი გაიხსნას, და ესე წამალი მანკისა ადგი-ლსა ზედა იცხოს რომელ თირკმელი განაძლიეროს, ვითარება მისი: ვარდი წითელი და სანდალი, და ყაჯია და რამიქი და მორდი თვითოასგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყოლი ერბოსა და ძმარსა გალესოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას, ერგების ღია შეწევნითა ღმრთისათა.

ვითარება თირკმელისა ტკივილისა რაე სიგრილისაგან იყოს, ფოლის იტყვის: ესე მანკი რაე სიგრილისგან იყოს ვითარება მისი ბალნამურისა სი-გრილისაგან ექნების, რომელ ღია ევამოს, ანუ სასეედოსა გასარეველისაგან რომელ ბუნება მისი გაეპაუოს და გაერყვნას და გაეგრილოს!)

ნიშანი მისი. რაე სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელი თეთრი 30 იყოს და წყურვილი არ იყო და ღია სტკივოდეს, და ნიშანი მისი რაეცა სასეედოსა გა-სარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ფსელი მისი ფერად შავი იყოს, სეედისა ფერი.

კურნება მისი რაე სიგრილისაგან იყოს: იგი არს, რომელ რაე ბალმის-საგან იყოს გულანგუბინი ჰამოს და თბილი წყალი სტას და მხურვალთა იხმარებოდეს ვითა თბილი და საბაზდანა და ზანჯაბილი და ფუსტუყი და მსგზავისი მათი. და მუცელსა თეთრისა იასანინისა ზეთითა იხელდეს ანუ ლალიათა და საჭმალსა ხორცსა კალიითა ანუ ზირაბაჯისა ურწყოასა ჰამდეს და თუ ამით [რომელ] გვითქვამს არ დასწყნარდეს მიშქა-დარვი ანუ მოფარაყისა მაჯუნი იხმაროს.

მაყრატ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მხურვალთა შაფთა აიპრო-დეს და ნუშის გული და თბილი და ნაძვისა ნაყოფი ყოველი დანაყოლი შაქრითა ჰამოს 40 და რასინისა ჰუყნაჲ უყოს და ზურგსა მხურვალთა ზეთითა იხელდეს. და ჰირსა ნურას ჰნახავს და ღიაცა ნუ მოჰხნავს. და საჭმალსა შურვასა ჰამდეს რომელ ბატკინისა ხორცი-თა შექნილ იყოს და ჰარისისა და მწვადსა ჰამდეს.

ისაკ იტყვის: კურნება მისი რომელ სასეედოსა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე ჰამდეს რომელ მანკისა დედასა გაუჩინარებდეს ვითა ყვითელი ჰალ-

1) ამ გვერდის ბოლო ამაზე რეულთა სათავაფი სწერია „ლგ“ და შემდეგ გვერდის ზემო აშო-ახე „ლზ“.

ლადა ორისა დრამისა წონი, ღარიყონი დრამისა წონი, საყმონია ორი კერატი, საბრი ორი დანგი, ყოველი დანაყილი თბილითა წყლითა იხმაროს დია კარგი არს. და მხურვალითა ზეთითა ჰუყანა უყოს ვითა ყუსტისა ზეთი, და საბზდანასა ზეთი, და ფუსტუყისა ზეთი, და თუ მუყლი და ვაშა და სიჭებენა, და დათვისა ცმელი და ლომის ცმელი, და ირმისა ტვინი, ყოველი მაღჭამად შექნას და მანკისა ადგილსა ზედა იცხებდეს ერგების. და თუ ბაბუნა და აქლილაღალიჭი და სელი ყოველი დანაყოს და ზედა შემოსდეს კარგი არს, სასეფდოთა საჭამადთა ერიდებოდეს და ნატიფთა მიელტვოდეს.

რანა. თირკმელისა სიმსივნე სიმპრავალისაგან იყოს და თუ სიმპრავალისაგან ვითარებად მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. ჰუნაჲ იტყვის: ვითარებად მისი სქელისა სიგრილისაგან იქნების რომელ თირკმელსა შიგან შეყრილ იყოს და მოერიგნეს, ანუ ზაფრასა¹⁾ სახსლისაგან იქნების, და იქნებისცა რომელ ესე სიმსივნე ერთსა თირკმელსა შიგან იყოს, და იქნების რომელ ორსავე შიგან იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ ამას მანკსა თანა ცხროდ იყოს და ხელი და ფერხი ცივად იყოს და ფსელი წითლად იყოს, და თუ მანკისა სათაენოა ზაფრანისა სისხლისაგან იყოს, ფსელი ყვითელი ექნების და წყურვილიცა იყოს.

კუნებად მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ რაჲ ცხროდ ერთსა ბასალიყი გაიხსნას ტკივილისავე, და მაშინ ორთავე კიტრთა თესლი და აყიროასა თესლი, და არდისა თესლი და კატკატოასა თესლი, და კიტრისა და ნესვისა თესლი თვითაო-საგან სამისა დრამისა წონი, თეთრი ხაშაში ექესისა დრამისა წონი, შავი ხაშაში დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ერთგან გაპრიოს და მისოდენი თეთრი შაქარი გაპრიოს და ყოველ-თა დილადათა, მისგან სამისა დრამისა წონი იხმაროს. და მაშინ გრილისა წყლითა ჯულაბითა სმიდეს, და ქრთილისა წყალი ნუშისა ზეთითა იხმაროს, და კატკატოასა თესლისა წყალი იისა შარაბითა იხმაროს. და თუ თეთრი სანდალი ვარდის წყლითა გაგალოს და ზურგსა შეს-ცხოს, ზურგსა გაავრიოლებს და ტკივილსა დააწყენარებს. და მამითასა შავი და არდისა წყალი და მემპარათა წყალი ვარდის წყალსა გაპრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდეს, ერგების. და თუ ბუნებად შეკრული იყოს ხიარ შამპრისა ფოლოსი ვარდის წყლითა სქას. და იისა შარაბი ბაზრაყატუნისა ლუაბსა გაპრიოს და იხმაროს. და ყოლა არ ეგების თუ ძნელი წამლი მისცეს სნეულსა. და რაჲ მანკი გარდვიდეს მამასა ურწყოა ანუ ასფა-ნახისაა ურწყოა ჭამოს, და მიწყით ასფარამთა წყალი ზურგსა იცხოს ერგების.

როფის იტყვის: თუ სიმსივნე დიდი იყოს ტკივილითვე ბასალიყი გაიხსნას, და თუ საზაფროასა სისხლისაგან იყოს ღბილი ჰუყანა ლუაბური უყოს, და დელამოტისა წყალი ხიარშამპრისა ფოლოსითა იხმაროს, და ქრთილისა წყალი იხმაროს. და არა ხამს რომელ ეგეთი რაჲმე შემოსდეს რომელ ფსელსა გაადენდეს მუნამდე, რომელ შეიგნეს რომელ მანკი დალეულა, მაშინ ჭამოს ცმელი და იისა ზეთი და თეთრი ცვილი მოპროლანად ქნას და მანკისა ადგილსა შესცხოს.

თირკმელისა სიმსივნისა ვითარებად რაჲ სიგრილისაგან იყოს. დევეჯანის იტყვის: ესე მანკი ბალჭამურისა გარევისაგან იქნების რომელ მორეულ იყოს, ანუ მეტისა სასეფდოასა ხილტისაგან იქნების რომელ მისდა მოერიგნეს, და გაძლიერებით იყოს და ესე იქნას.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ მუცლისა შიგან ემძიმებოდეს, და ტკივილი არ იყოს და ფსელი თეთრი იყოს. და ნიშანი მისი რომელ სასეფდოასა ხილტისაგან იყოს იგი არს, რომელ მუხლნი და ბარკლნი გაუუსუსთდენ და ფსელი თხელი იყოს და სიშავითვე იყოს ფერად.

1) ზაფრანისა.

კორნებამ მისი რამე სიგრილისგან იყოს. ბალღაშურისა სიმსივნისა კურნებამ იგი არს, რომელ გულანგუბინისა ჰამდეს და ხილთა წყლითა მუცელი დაიღბოს, და თარანგუბინითა და შირახიშითა. და მამშინ ბაბუნამ და სისანბარი და ღარისა ფურცელი და მარხანგოში ერთად გაპროოს და ზურგსა შემოსდეს. და საქამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს და მამშინ ღურაჯისა ხორცი ანუ ვარისა ხორცი კალითა ჰამოს. და მწვანელითა თანა პიტნამ და ნიაბური ჰამოს. და მხურგელსა შემოსდებდეს ვითა დაჰმშითი და ღარისა ფურცელი, და დაჰმშითისა ზეთი და ტევანამა და ტევანანამა¹⁾ ზეთი და რამცა ამას ჰგვანდეს.

ნისაკ იტყვის: თუ მანკი სასვედომას ხილტისაგან იყოს მურისა თესლი და სელი, და ბალღამასა თესლი, და ჭურჭუნრობისა თესლად, ყოველი დანაყილი, სნეულისა ძალისა მისაფე-
30 რად იხმარებდეს, და მანკისა ადგილსა ყუსტისა ზეთითა ანუ ფაჩარისა ბერძელისა ზეთითა იხელდეს. და ბაბუნამ და აქლიმალაიქი და სელი, და მუყლი და ვაშამა და სიქამბენამ, და დთესისა ცმელი ყოველი ერთგან გაპროოს და მალჰამამ ვითა შექნას, და ზედა იცხებდეს კარგი არს.

ფოლის იტყვის: კურნებამ მისი იგი არს, რომელ ესე შემოსადებელი შემოსდეს ვითარებამ მისი: სელი და ულბომა თეთრომასაგან ხუთისა ღრამისა წონი, ბალღამასა თესლი და კიტრი და შბითი და ბაბუნამ თეთრომასაგან ოთხისა ღრამისა წონი, ვაშამა და მუყლი და ილქალბატამ თეთრომასაგან სამისა ღრამისა წონი, ყოველი დანაყილი თბილითა წყლითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შემოსდეს ერთგან. და მიწყით ხილიონისა მალჰამასა ზედა იცხებდეს, და სედიანთა საქამადთა ერთდებოდეს და სიმხურგელსა მიელტვოდეს. და ბა-
30 ტისა ცმელი და ქათმისა ცმელი ერთგან გაპროოს რომელ მალჰამამ ვითა შექნას და მანკისა ადგილსა იცხებდეს, რომელ ადრე გამრთულდეს, და ნატიფთა საქამადთა მიელტვოდეს.

46. თიოკამელისა სიწყულუმე და სისხლისა დენამა სარცხუმენდისგან. ვითარებამ მისი: მასოაჰას ძე იტყვის: ვითა სიწყულუმე მისი ფიცხელისა ზაფრისაგან არს, ანუ გასარეველისაგან იქნების რომელ ვასქედეს²⁾. და სისხლისა დენისა ვითარებამ მისგან არს რომელ მილისა ადგილისაგან ჩაიჭრეს ანუ ძარღვი გაიხსნას.

ნიშანი სისხლისა დენისა რეჰასოც დაათ ხუთმეტისაგან³⁾ იგი არს თირკმელისა სიწყულუმისა რომელ მუცელი დიასტიკოდეს, და სისხლი გამოვიდოდეს ფსლისა გზასა, და ნიშანი მისი რომელ შიგან ძარღვი გახსნილ იყოს იგი არს, რომელ ერთხელ სისხლი გამოვიდეს დია.

30 კურნებამ სისხლის დენისა და თირკმელისა სიწყულუმისა. კურნებამ იგი არს, რომელ: იისა შარაბი წყალსა გაპროოს და იხმარებდეს უზმამ. და შანარისა ბროწყელისა წყალი ფარისიოშანთა თანა, და ორთავე კიტრთა თესლსა თანა, და ნესვისა თესლთა თანა, ყოველი ჯულაბასა გაპროოს და ჰამოს. და თუ მანკი ძლიერად იყოს ცოტამ ბანგისა თესლი დანაყილი ვაქნამასა ყურსსა თანა გაპროოს და იხმაროს კარგი არს. და თუ სანდალი და ვარდის წყალი და გუნდამ და მძარი ერთგან გაპროოს და მანკისა ადგილსა შემოსდეს კარგი არს. და მწვანელითა თანა ხაყარტი და არდი და კატკატომასა ჰამდეს. და მანკისა ბოლოსა სომხური მიწამა და გომიზი არაბული და ქათირამა და მორდდანამ ხაშხაში-
სა, შარაბასა თანა გაპროოს და იხმარებდეს და საქამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს. და თუ მანკისა ცხრომა ერთოს საქამადსა ზირაბაჯსა ჰამდეს ვარიითა.

40 ჯალინოს იტყვის: სისხლისა დენისა კურნებამ იგი არს, რომელ ქაპრაბასა ყურისი და კურპოლი მიწამა, და ტარათითი და ვაცის წვეგრისა აფშარამა, ყოველი დანაყილი ლისანალჰამალისა წყლითა შეზილოს და იხმარებდეს. და ესე ყურის სხვამ ვითარებამ მისი: აყირომასა თესლი და კიტრისა თესლი ბადარანგისი, და ნიშნისთავი და გომიზი არაბული, თეი-

1) ამ სიტყვის შემდეგ სწერია „ფურცელი“ და ბუნქტორშია ჩასმული.

2) აქ ეს სიტყვა შეცდომით არის უნდა იყოს „გასქედეს“.

3) სასქესო ასოს სახელია ციფრები.

თოხსგან სამისა დრამისა წონი, ბროწეულსა ყუბვილი ორისა დრამისა წონი, ვარდი წითელი და აყაყია თეთოთაგან მუთყალი ერთი, ქაჭრაბა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეზილოს და ინმარებდეს, ყურსად შექნილი თეთითა მუტყალსა კატკატომას თესლისა წყლითა, ანუ თუთუბისა წყლითა. და ესე ყურსი სხვა გამოავცილდია დია კარგი არს: კატკატომას თესლი და ორთავე კიტრთა თესლი, და ბაზრაყატუნა თეთოთაგან ხუთისა დრამისა წონი, ქათირა და ნიშასთავი თეთოთაგან ოთხისა დრამისა წონი, აყაყია და მიწა ყუბროსული თეთოთაგან ორისა დრამისა წონი, ქაჭრაბა მუთყალი ერთი, ყოველი დანაყოს ბაზრაყატუნისგან კიდე, და ხმარებისა ეჟამა ინმარებდეს, დია ერგების.

10 **თხამლისა ღვინა სარცხვენისაგან ფსლისა გზასა.** ვითარება მისი. იოჰანა იტყვის: ესე მანკი სიმსიენისაგან იქნების რომელ თირკმელსა შიგან გაიხსნას, ანუ დუბელისაგან ანუ სიწყულელისაგან, რომელ შიგან დაძველებულ იყოს, და რაზომკა უძველესი იყოს წყლული, თხამლი უმყარალესი იქნების.

ნიშანი მისგანი თხამლისა დენისაჲ. იგი არს, რომელ თუ სიმსიენე დუბელისაგან იყოს რომელ შიგან გასქდეს ნიშანი იგი არს, რომელ თხამლი ერთობით გამოვიდეს, და ნიშანი მისი რააცა თირკმელისა სიწყულელისაგან იყოს იგი არს, რომელ თხამლი ცოტად გამოვიდოდეს და ძნელად ეწეოდეს.

კურნება თხამლისა მოსვლისაჲ. იგი არს, რომელ ესე ყურსი ინმაროს ერგების, ვითარება მისი: ორთავე კიტრთა თესლი, და ნესვისა თესლი და აყირომა თესლი თეთოთაგან ხუთისა დრამისა წონი, ნიშასთავი და ნუში ქერქმეხდლი თეთოთაგან ოთხისა დრამისა წონი, რუბასოსი ექსისა დრამისა წონი, ბალბაჲსა თესლი და ხორფარასთისა თესლი და ჯალღორაჲ და ბეჟესა მარცული ვითამცა გული, და შაჰლაბისა გული ქერქმეხდლი და თუთუბასა თესლი და მწარე ნუში და ნუშისა გამოზიხ და ქათირა სამისა დრამისა წონი, ბადიანისა თესლი ორისა დრამისა წონი, მისისა ნიახურისა თესლი დრაჰკნისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეზილოს და ყურსად ქნს თეთოთა მისი ორი დრამისა წონი, და ერთი ყურსი შემგბრითა ღვინითა ინმაროს ერგების. და მუხუდისა წვენსა ქამდეს, და ჰავთა და მძიმეთა საქამადთა ერიდებოდეს და ჰამოთა და ნატუთა მიქლტოდეს.

30 **მასოაჲ ძე იტყვის:** ესე წამალი ინმაროს ვითარება მისი ქამადროსი და ქამადიტოთასი თეთოთაგან ორისა დრამისა წონი, ასარონი და თეთრი ჰილბილი თეთოთაგან ხუთისა დრამისა წონი, კილამონი ორი დანკი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ორისა დრამისა წონი შემგბრითა ღვინითა ინმაროს. და საქამადსა ჰასოაჲსა ქამდეს რომელ ნიშასთავისაგან შექნილ იყოს, ანუ სიმინდისა ფქვილისაგან შაქრითა და ნუშის გულითა, ინმარებდეს. და ასფანაისისა ურწყუჲსა ანუ ხორფარასთისა ურწყუჲსა ქამდეს მაშათა და ოსპითა შექნილსა და კვერცხი ამოზავებული და ნუშისა ზეთი და თეთრი შაქარი და ხაშაში დანაყილი და რააცა ამათ ჰკვანდეს ინმარებდეს. და რაჲ მანკი გარდვიდეს ღვინოა რომელ დია წყალი ერიოს სწას, რომელ მანკისა ღვინოა გაწმიდოს. და მძიმეთა და ჰავთა საქამადთა ერიდებოდეს ვითა ხმიადი პური და ლეოხისა ხორცი¹⁾ და მგზავსი მისი. და ჰამოთა და ნატუთა და სუბუტა მიქლტოდეს.

40 **რამ. ძვამ ანუ ძვიშა რომელ თირკმელსა შიგან იყოს. ვითარება მისი.** არბიასიოს იტყვის: ესე მანკი გასარეველისა სქელისა გაუმდნარისგან იქნების რომელ სიმხურველ ქნილი სინედლესა გაეხმოს, და მაშინ ქვა ვითა შექნილ იყოს.

ნიშანი მისგან რომელ შიგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელი ცოტად გამოვიდოდეს და ეწეოდეს და იქნების რომელ ქვისა ნალეწისა ებრ გამოჰყვეს ფსელსა თანა და თირკმელი გამოგარდეს და ბარკალი ემძიმებოდეს.

¹⁾ აქ არის ჩამატებული. დედნის ხელთა „და აქლემისა ხორცი“

კურნება მისი. არბიასიოს იტყვის: იგი არს, რომელ მიწით საჯაფახანასა ჰამდეს და ამროსიად და გოგირდისა წამალი, და ესე წამლები ფსელისა გზასა გასწმედს და ქვასა ჩამოიღებს. და კიდევანთა წამალთაგან ნესვისა თესლი და ორსავე კიტრთა თესლი, და ხორფარასათა თესლი და ნიახურისა თესლი, და სუდი და ძირადი და ნახუაჰი, და ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში, ამა ყოველთაგან რომელსა ჰამდეს ერგების. და ყოველი ერთგან გაპრიოს, და რაჲ დღე მისგნით დრამისა წონი, მით წყლითა რომელ ფარისიავოშანი შიგან ადლებუბი იყოს, იხმაროს, რომელ ქვაჲ თირკმელისგან დალუწოს და ჩამოიღოს. და რასინი და აბეკმაჰი და რაჲცა ფსელსა აღენდეს მას ჰამდეს.

10 ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ესე წამლები იხმაროს თირკმელისა ჰქვასა დალუწოს და ჩამოიღებს ვითარებაჲ მისი: კაპარისა ძირისა ქერქი და კიტრისა ძირი, და მწარე ნუში, და სალიხაჲ და სპანდი, მარიამისა საკმელასა ჰქვიან, და მრგვალი ზარაფანდი თვითოასაგან ნაწილი ერთი, მური ერთისა ნახევარისა ოდენი, მუყლი ნაწილი ერთი, მუყლი წყლითა დაალბოს და წამლები დანაყილი მით შეზილოს და ჰაბად ქნას, და რაჲ დღე სამისა დრამისა წონი რასინისა წყალი ანუ ბოლოკის ფურცლისა წყლითა ჰქმოს. და თუ დანგი ერთი დანაყილი დრიანკალი ამით თანა გაპრიოს უმჯობესი, უძრიელესი არს. და ესე წამალი სხვაჲ გამოგვიცდია ჩვენ, კარგი არს: ნესვისა თესლი ქერქ შეხდილი ათისა დრამისა წონი, ნახუაჰი და ძირადი და ნიახურისა თესლი და ბოლოკისა თესლი და სუდი და მწარე ნუში თვითოასგან სამისა დრამისა წონი, ბოლოკისა წყლითა ჰქმოს, უცილოდ ქვასა ჩამოიღებს. და მუხუდისა წვენსა ჰამდეს ზეთისხილისა ზეთითა. და რასინი და აბეკმაჰი და კაპარი მისთვის კარგი არს. და თუ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს. ანუ მბტომელსა ცხენსა შეჯდეს, ესე ყოველი ქვასა თირკმელით გამოიღებს.

20 ვითარებაჲ ქვიშისაჲ რომელ თირკმელსა შიგან იყოს. ჯალიონს იტყის: ვითა ბალაღურისა სქელისა სათავნოსგან იქნების, რომელ თირკმელსა შიგან ზუნებისა ძალასა მიქძალოს და მორევილ იყოს, მაგრა სათავნოჲ ქვისა, გასარეველისა უფროსი და უსქესი იქნების, სხვათა გასარეველთაგან.

ნიშანი ქვიშისაჲ რომელ თირკმელსა შიგან იყოს. იგი არს რომელ ფსელსა ემსა წითლისა ქვიშისა ებრ გამოვიდეს და თავიცა ეწუთდეს სარცხვენელისა, და იქნების რომელ საზარდული გასივდეს.

30 კურნებაჲ ქვიშისაჲ. იგი არს, რომელ აქიმისგან ხამს, რომელ ესე მანკი მართლად შეატყვას და გამოარჩიოს ამას მანკისა და ყოლინჯსა შუა, მით რომელ-ორთავე მანკთა შუა ნიშანი ერთი არს, ნუ თუ ამით რომელ ამას მანკსა უძნელესი სტკივის თირკმელი ზურგისავე, და სხვაჲ ნიშანი იგი არს, რომელ ფსელსა თანა ქვიშაჲ გამოვა. მაშაჲ რაჲ ესე მანკი სანიშნავად იყოს, სნეულსა დღივ მრავალჯერ აბანოს გაჰზავენიდეს და მიწით ზურგსა იხელდეს ნარგისისა ანუ ცერეცოლსა ზეთითა, ერგების. და შქოპაჲ და ბაბუნაჲ და აქილაღლაღი და მარზანგოში, და ნიახური და გოგირდი, და ბალბისა თესლი და ფარისიავოშანი, ყოველი დანაყოს და ადულოს და შიგ შემოჯდეს კარგი არს, და თუ ხიარ შამბრისა ფოლოსი ნუშისა ზეთითა და იისა შარაბითა გაპრიოს და იხმაროს, კარგი არს.

40 დევჯანის იტყვის: ზურგსა ჰათმისა ზეთითა იხელდეს და ამას წამალსა იხმარე-ბდეს ნესვისა თესლი და კიტრისა თესლი თვითოასაგან ათისა დრამისა წონი, ყლთისა თესლი და შქუპაჲსა თესლი და ბადიანისა თესლი და ტყემლისა გომიზი და ფარისიავოშანი თვითოასაგან დრამისა წონი, ძირაჲსა და ბოლოკისა თესლი და ქირმანული ძირაჲ და სუდი თვითოასაგან ნახევარისა დრამისა წონი ყოველი დანაყილი მუთყალი ერთი სიქანგუბინითა იხმაროს. და საკამაღსა ზირაბაჯსა ჰამდეს ანუ ჰათმისა ხორცსა შურვათა შექნილსა, და ხშიადი პური და ზროხისა ხორცი და აქლემის ხორცი, და სძე და მაწონი არ აშენია, კრიდოს. და ესე სხვაჲ წამალი ვითარებაჲ მისი: ნესვისა თესლი და ორთავე

კიტრთა თესლი თეთითაჲსგან ხუთისა დრამისა წონი, ნიახურისა თესლი ორისა დრამისა წონი, ბადიანისა თესლი და დამწუხარი კიკია თეთითაჲსგან სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცრილი ხზარებისა ესამსა სამისა დრამისა წონი მისგან სიქანგუბინითა ქამოს კარგი არს.

46. **ფსმლისა წითენაჲ** ცვარცვარად რომელსა ჰჰვიან არაბულად საღვსნაღვანო. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმბურვალისაგან იყოს. არ ბიასიოს იტყვის: ამის მანკისა ვითარებაჲ ხმელისა და მზურვალისა გარევისაგან იქნების რომელ თირკმელსა შიგან შეყრილ იყოს და ბუნებაჲ ჰავად გაემზურვალოს, მეტისა ხმელისა საკამადთა შიგან რომელ ეკამოს ხარბად.

10 ნიშანი მისი რაჲ სიმბურვალისაგან იყოს: იგი არს რომელ დია სწყუროდეს და ფსელი ცვარ ცვარად წთოდეს და სარცხვენელი არ ეწეოდეს, და წყალი ვითაც ესჴას ეგრევე დაუყუენებლად აღრევე გამოვიდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმბურვალისაგან იყოს. წამალი რომელ ნედლი და გრილი იყოს და ფსელსა ადენდეს იხმაროს და ესე წამალი მას ერგებინ: კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი, და ბალანისა თესლი და ნიახურისა თესლი, და ხავარტისა თესლი და კატკატოასა თესლი თეთითაჲსგან ნაწილი ერთი ყოველი დანაყილი შაქარსა გაჰროს და მისგნით მიწყით ქამდეს.

თებით ყურაჲ იტყვის: ხარკებაჲ ხამს მანკისა კურებისათვის რომელ რაჲ დამკვლდების ბუშტა დააწყულულებს ეგრე ხამს, რომელ ქრთილისა წყლი და ხავარტი და 20 არდი და აყიროჲ და ხოფარასთი იხმაროს, და ტუილსა წყალსა ჩაჯდებოდეს და ვარდისა ზეთი იცხოს, და ყოველთა სიმბურვალეთა ერიდოს. და მიწყით ბაზრაცატუნსა ვარდის ზეთითა ქამდეს და სწორთა და სიმბურვალეთა, დამწყნარებელთა ქამდეს.

ბაყრატ იტყვის: ესე მანკი ძნელი არს და იშვითა ოდესხე ერგების კურნებაჲ მეტად ბერბერთა კაცთა არა ერგების. და რაჲ ხმელისა და მზურვალისა ხილტისაგან ქნილ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თირკმელსა ძალი მისცეს ვითა ქრთილისა წყალი და ბროწყულისა წყალი და ისარიძისა წყალი გრილითა წყლითა იხმარებდეს, და ახლისა აყიროასა წყალი სიქანგუბინითა და კატკატოასა თესლისა წყლითა, ხაშხაშისა შარაბითა და ბაზრაცატუნისა ლუბითა, და ბროწყულისა წყლითა, და ტყემლისა წყალი ჯღუბითა იხმაროს კარგი არს. და რევასისა რუბი და ბეჰესა რუბი და ვაშლისა რუბი და ისარიძისა 30 რუბი ესე ყოველი კარგი არს, და თუ ტანსა შიგან სისხლისა ნიშანი ნახოს მანკისა დასაწყისისა მასალიკი ვაიხსნას. და თუ სიმბურვალე დია იყოს ქაფურისა ყურსი ბროწყულისა წყლითა და ტაბაშირისა ყურსი ახლისა აყიროასა წყლითა იხმაროს, კარგი არს და მარგებელი.

ფსლისა წითენისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. თებით ყურაჲ იტყვის: ესე მანკი სიგრილისა და სინედლისაგან იქნების რომელ ბუშტსა შიგან დია შეყრილ იყოს და შეეწუხოს და იგი თეთრი ძარღვი რომელ ბუშტისა პირსა არს გაესუსთოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ესე მანკი უფროასი ემაწერლითა და ყვერულთა და ბერთა კაცთა შეეკმნების. მით რომელ სიგრილ და 40 სინედლე ამათ უფროჲ მოგრევისა და ნიშანი მისი რომელ დია სწყუროდეს იგივე არს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს რომელ მზურვალი მაჯუნნი და ჯალინოსისა იარაჲ იხმაროს, და ცოტასა ტარეფულსა ქამდეს შაქრითა, და კრკოჲ თეთრითა საკმლითა ქამოს. და ჩვენ გამოვიციდია ესე წამალი კარგი არს ვითარებაჲ მისი: კრკოასა მარცულად და თეთრისა საკმლისა ქერკი და ძირაჲ ქირმანული ყოველი დანაყილი სამისა დრამისა წონი ძქლეთა ღვინითა იხმაროს, და ესე სხვა წამალი: ხმელისა მორდისა ფურცელი და თეთრი არჯასპი და ინისა ფურცელი და მური და თეთრი საკმელი

და ბროწეულისა ყუბავილი და გრკოა ყოველი ღვინითა შეაგბოს და უზმამან უკიაა ერთი იხმაროს. და თუ ძირაჲ და მრკვალი ყინტორიონი თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი თბილითა წყლითა ჭამოს, კარგი არს.

იოჰანა იტყვის: ესე წამალი ვინცა ფსელსა ვერ დაიჭირვიდეს ერგების: ჰალილაჲ და ბალილაჲ და ამოლაჲ თვითოასაგან ხუთისა დრამისა წონი, ყოველი თაფლითა შეზილოს და ქამისა დრამისა წონი მჭედელთა წყლითა იხმაროს. და თუ გრკოა ძმრითა დაალბოს და მასინ შეწყას, და ათისა დრამისა წონი ერგევე რასინი და ჰალილაჲ, რომელ წყლითა ადუღებულ იყოს ხმელითა იაათა ვითა გვითქვამს იხმაროს.

10 ისაკ იტყვის: ესე წამალი იხმაროს, სუდი და ვაჯი და რასინი და გრკოა თვი-ოროსა დრამისა წონი დრამისა წონი, მური სამისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი მისგინთ ორისა დრამისა წონი იხმაროს სიქანგუბინითა. და თუ ოთხისა დრამისა წონი თეთრი სა-კმელი ორითა დრამის წონითა მაჰლაბითა ჭამოს კარგი არს. და ესე ჰუყნაჲ უყოს: ბანის-ზეთი და ღარისა ზეთი, და თხილისა ზეთი და ფუსტუყი, და საბაზდანაჲ თვითოასგან ნა-წილი ერთი, და ცოტაჲ შუჰყი და წყალი ნაწილი ერთი გაჭიროს და ჰუყნაჲ უყოს.

რწმ. ფსელის შემარულობაჲ რომელსა ჰძვინან არაბულად ანკრალბავლი. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს. ისაკ იტყვის. ხმელისა და მზურვალისა გარევისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა თირკმელსა შიგან მიეძალოს, და რაჲ მოერიოს მას ად-გელსა ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს: იგი არს, რომელ მუცელი შე-
20 კრვით ¹⁾ და ლბილად იყოს, და ფერდი სტიკეოდეს, და ღია სწყუროდეს და ზურგსა შუა სიმძიმე იყოს, და ფსელი სტელი და ყვითელი იყოს, და ცხროცა იყოს ამის მანკსა თანა ²⁾

კურნებაჲ მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს: შეკრულობაჲ ფსელისა და წვაჲ მისი სიმზურვალისგან იქნების თადიბირი მისი იგი არს, რომელ გრილი წამალი იხ-მაროს კატკატრასა თესლი და კიტრისა ბადარანგისა თესლი, და ნესვისა თესლი ბროწეუ-ლისა შარაბსა გაჭიროს და იხმაროს. და ბაზრაცატუნისა ლუაბი ხაშაშისა შარბითა იხმა-როს. და ახლისა აყროასა წყალი სიქანგუბინსა გაჭიროს და იხმაროს ერგების. და ხაშა-შისა ყურსი ამის მანკსა ერგების. და არდის წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი და მეშ-ბჰართა წყალი მას ერგების.

30 მაღაინი იტყვის: თუ ეს მანკი სიმზურვალისა და სიმზელისაგან იყოს ესე შემოს-ღვას: იაჲ და ბაღბისა ფურცელი და ქაქნაჲ და ძაღლის ყურძენი ყოველი დანაყილი, ქრთი-ლისა ფქვილი და იისა ზეთი გაჭიროს და მალჰამად შექნას და ნელსა იხმარებდეს. და ესე-ცა შემოსადებელი კარგი არს ძაღლის ყურძენი და არდი და ქრთლისა ფქვილი, და ბაბუ-ნაჲ და იაჲ, და სოსნისა ძირი და იისა ზეთი ყოველი მალჰამად შექნას და მანკისა ადგილ-სა შემოსდვას ³⁾.

თემი თუ ყურაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლი და აყროასა თესლი, და ბაბუნაჲ და ბაზრაცატუნისა ლუაბი, და იისა შარაბი და ნუშისა ზეთი, და ჯულაბი იხმაროს. და მიწყით საზარდულსა იისა ზეთითა გამთფარითა იზეულდეს. და ეგეთთა რაჲსმე რომელ ფსელსა ადენდეს საქამადადცა და წამლადცა იხმა-რებდეს. და თუ ბუშტი უსიფდეს და სტიკეოდეს და ისრისაებრ სცემდეს ბასალიყი გაიხს-
40 ნას და ქრთლისა წყალი და ბაზრაცატუნისა ლუაბი შაქრითა იხმაროს მიწყით.

ვითარებაჲ ფსელისა შეკრულობისაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს: მასარაჯოჲ იტყვის: რომელ ბაღბისა სიგრილისგან იქნების გლუსუნი ბაღლაში რა-

¹⁾ ამ სიტყვას სამი წარტლი უნაჲ დი თავზე აწერია დედნის ზელით „მაგრაღ“.

²⁾ ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი სწერია „კიხ“ და შემდეგ გვერდის ზემო აშიაზე „კიხ“.

³⁾ ამ სიტყვის შემდეგ მოელი იქნადაკება პუნქტირშია მოქცეული „აბუჯარიჲ იტყვის: თუ ესე მანკი უცნობოდ იყოს კურნებაჲ მისი იგი არს რომელ ქაქნასა ყურსი“.

მელ ბუშტას შიგან შეიყაროს და ბუნება გაუგრილოს, მით რომელ ბალღმინი საქამაი დია ექაშანი და ბუშტი გაეგრილოს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ფსელი თეთრი იყოს და ბუშტი გრილად იყოს და ცხროა არ ერთის და ფსმისა ეამსა თხამლი გამოვიდოდეს.

კურნება მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ უზამან გულანგუბინი იხმაროს და ცოტა ტარეფული ჭამოს და მიწყით ხმელსა ლედესა და შავსა ჩამოსა ჭამდეს და მიწყით ბუშტას ნარგისისა ზეთითა ანუ ბანისა ზეთითა იხელდეს. და თბილსა წყალსა ბუშტას ზედა ისხმიდეს და საქამადსა მუხუდის წვენსა ჭამდეს ანუ ტრედის ხუნდსა მუტარჯანითა შექნილსა.

10 აბუჯარიპი იტყვის: თუ ეს მანკი უცხოოდ იყოს კურნება, მისი იგი არს, რომელ ქანაქასა ყურის და ველურისა სტაფილონისა თესლი და ყურდემანა და ანისონი, და ასარონი, და ნიახურისა თესლი და ნესესისა თესლი ქერქშეხილი, ბადიანისა წყლითა იხმაროს. და საქამადსა შურვასა და მუხუდისა წვენსა ჭამდეს რომელ შიგან ნიახური და ნახუაჲჰი შექნილ იყოს. და ბანისა ზეთისა და ლაიასა საზარდულსა იხელდეს. და აქლილაშლიქისა და ბაბუნაქასა და ყაისუმისა, და მარზანგოშისა წყალსა შიგან ჩაედებოდეს, რომელ მანკისა სათაქნოა გაიდნოს და შეკრულობა გაისხნას.

30 ჰუნაჲ იტყვის: ესე სუფუფი ჭამოს, ნიახურისა თესლი და ბადიანისა და ანისონისა თესლი თვითოვანსაგან სამისა დრამისა წონი, ყტრისალიონი და ფაჩარი და სალიხაჲ და ზაფრანაჲ და ასარონი და კილაშონი თვითოვანსაგან ორისა დრამისა წონი, ყოველი და ნაყილი მისგნით მუთყალი ერთი თვითითა წყლითა იხმაროს, და თუ მანკი ამით არ გარვიდეს და ფსელი არ გამოვიდოდეს კურნება იგი არს, რომელ ყათატირი სარცხუნეწისა ხერელსა შიგან შეიპყრას რომელ ფსელი გამოვიდეს, და ესე სადასტაქროა არს მაგრამ რაჲ დაგეჲრებოდეს ლონესა ძებნა უნდა, და ყათატირი ქურქელი არს კალამი უგულოა ვითა რომელ დასტაქარნი ამა საქმისთვის იქმან, და ხმარებინა ეამსა ვითა ლარსა დაუძებენ.

36. ფსლისა უნეაღვი გამოსვლა. ვითარება მისი ბაყრატიისა ნათქვამისაგან. ბაყრატი იტყვის: ესე მანკი ბუშტისა წელისა ხორცისა სისუსთისაგან იქნების ანუ მისიქამსა უსუსურობისაგან, რომელ სისუსტით ფსლისა დაქირვაჲ არ შეედლოს.

ნიშანი მისი იგი არს, რომელ ბუშტისა ყელი და ხორცი მისისა წყლისა სუსტად იყოს, ანუ მისიქამსა უძალობისაგან იქნების რომელ სინდღესა მოერიენეს მისდა.

30 კურნება მისი ბაყრატიისა ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ გულანგუბინი და ნელი წყალი და ცოტა ტარეფული და ლეინოა წყალგაურეველი და ჩამიჩი იხმაროს, და წყალსა ცოტასა სმიდეს და ბუშტას ზროხის ერბოვითა რომელ ცოტა მუშვი ეროს იხელდეს, მამა თუ ბუნება გრილი იყოს და ფსელი დია სდიოდეს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ესე წამალი იხმაროს და მაშინ შემგბარსა ლეინოსა სმიდეს. და თუ ბუნება მხურვლად იყოს ესე წამალი მას ერგების ვითარებაჲ მისი: ხმელი ქინძი რომელ ძმარსა შიგან ერთსა დღესა და ღამესა დამბალი იყოს და მაშინ ამოხალულ იყოს ოთხისა დრამისა წონი მისგნით აილოს, სომხური მიწაჲ ორი დრამისა წონი, გრკოჲ ექვისისა დრამისა წონი ქაპრაბაჲ დრამისა წონი, ოსპი ქერქშეხილი ათისა დრამისა წონი, ყოველი დანაყოს და ყოველთა დილაათა ორისა დრამისა წონსა ჭამდეს და მაშინ ცივსა წყალსა სმიდე. და

40 კურნებაჲ მისი რომელ საგებელსა შიგან ფსმიდეს და ვერ შეიგებდეს იგი არს, რომელ ბარკლისა ლლიათა ბანისა ზეთითა იხელდეს ერგების!). და ძქელსა ლეინოსა წყალგაურეველსა სმიდეს. და თუ ესე მანკი ბუშტისა სიმკროვანსაგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ ბარკლისა ლლიათა ლეინისა და ზეთის ხილისა ზეთითა იხელდეს, და ასფარამთა წყალსა ბუშტას ზედა ისხმიდეს ერგების. და წყალსა ცოტასა სმიდეს და გრკოჲ და პიტნაჲ და ქონდარი

1) ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე მწედრულით სწერია „ბანის ზეთი ზეთისხილის ზეთითა.“

და ძირაჲ ქირმანული და მორდისა მარცხელი ყოველი დანაყოს და გაცრას და შაქარსა ტაბარზადსა გაპრიოს და იხმარებდეს, ნდომისა მისაფერად, დია ერგების. და საქამადსა ერთსა წლისა ცხერის ხორცსა ჰამდეს კალიად.

ფსლისა დენაჲ უნება დივი, ვითარებაჲ მისი. ფოლის იტყვის: სინდლისაგან იქნების რომელ მასიქაჲ დაეუსუსუროს, ანუ ბუშტისა ყელისა ხორცისა სისუსთისაგან იქნების რომელ ესე მანკი გამოჩნდეს.

ნაშანი მისი იგი არს, რომელ ფსელი უნებლიე ჩამოვიდოდეს, ცვარცვარად არ ჩამოვიდეს, მაგრა შეიყაროს დაჰირავა არა შეეძლოს, გამოვიდეს.

- 10 კურნებაჲ მისი. ფოლის იტყვის: თუ ამას მანკსა თანა სარცხენელი ეწუოდეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხოსრაფი დარვი წმინდად დანაყოს და თაფლითა შეზილოს და ცოტაჲ ფურთა ერბოჲ გაპრიოს და ნივგზისა ოდენი მისგნითა შემგბრითა ღვინითა და ნელითა წყლითა იხმაროს. და თუ ძირაჲ და ენტორიონი თვითთასაგან ნაწილი ერთი, ორივე დანაყოს და ორისა დრამისა წონი ნელითა წყლითა იხმაროს კარგი არს. და თუ ზეთისა დრამისა წონი გრკოჲ, და ორისა დრამისა წონი თეთრი საკმელი, და სამისა დრამისა წონი მაჭაბისა მარცხელი ყოველი დანაყილი მისგნით ორი დრამისა წონი ანუ უფროჲ იხმაროს, და თუ ჰალილაჲ და ბალილაჲ და ამულაჲ ფურისა ერბოთა ამოხალოს და თვითთასაგან დრამისა წონი აილოს, და გრკოჲ ორისა დრამისა წონი, თეთრი საკმელი და ხმელი მიაჲ და სუდი თვითთასაგან ოთხისა დანგისა წონი, მური ნახევარი დრამისა წონი, ყოველი დანაყილი და გაცილი მისგნით სამისა დრამისა წონი იხმაროს. და ესე წამალი ვინკა საგებელსა შინა ფსმიდეს ერგების ვითარებაჲ მისი: სუდი ორისა დრამისა წონი სონიჯი და მდოგვი და სპანძელისა თესლი თვითთასაგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი თაფლითა და ზეთისხილისა ზეთითა შეზილოს და დამძინებისა ქაშა ნივგზისა ოდენი იხმაროს, და მას უკნით სამი კვრცხი ამოზაგებული ჰამოს კარგი არს. და ესე წამალი სხვაჲ ამასვე მანკსა ერგების ვითარებაჲ მისი: პიტნაჲ და ზღვისა პურეული ორისა დრამისა წონი, მური ორისა დანგისა წონი, ორივე დანაყილი და გაცილი სურნელსა ღვინოსა გაპრიოს და შემგბრითა ღვინითა იხმაროს და მაშინ ბაბუნაჲსა ზეთი ნელითა წყლითა ჰამოს, და საქამადსა ბატკნისა ხორცსა კალიად შექნილსა ჰამდეს.
- 20 რანჲ. გუშტისა სიმსივნე სიმშრავლისაგან რაჲ იყოს. მასარაჲოჲ იტყვის ვითარებაჲ მისი სისხლისა სიმრავლისაგან იქნების, ანუ საზაფროსა გასარეველისაგან რომელ ბუშტსა შიგან შეიყაროს და რაჲ მოვიროს სიმსივნედ შეიქნას. ანუ მალლისა ადგილისაგან ჩამოიჭრეს, ანუ ნაკრავი ეცეს მაგრათ საითმე.

- 30 ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. იგი არს, რომელ ფსელი ძლიეგამოვიდოდეს და ბუშტი იხურვიდეს, და დია სტკივოდეს, და სწყუროდეს და მუცელი შეკრეთი იყოს, და იქნების ეგეთცა რომელ თანა ცხროჲ ერთოს ამას მანკსა.

- კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალით იყოს. იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და სამსა დღესა ბუშტსა იისა ზეთითა იზელდეს, და მაშინ ბაბუნაჲსა ზეთითა და აცხიბიანოს და გრილსა და დამკრველსა ნურას შემოსდებს. და ქუნჯიდი დანაყილი და გათეთრებული სძესა და თეთრსა წმიდასა ფქვილსა გაპრიოს და ბუშტსა შემოსდვას და რაჲ ტკივილი დასწყნარდეს და კვირაჲ ერთი გარდვიდეს, მაშინ გამხსნელი და მხურვალისა მალჰამაჲ 40 შემოსდვას ვითარებაჲ ბაბუნაჲ და სელი და ბაკლასა ფქვილი შემგბრითა ღვინითა შეზილოს და შემოსდვას კარგი არს.

დევჯანოს იტყვის: ბასალიყი გაიხსნას და ესე ყუროტი ზედა შემოსცხოს კარგი არს ვითარებაჲ მისი: არდის წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი, და ქაქნასა წყალი და მეშპარისა წყალი, იისა ზეთითა და თეთრითა ცვილითა გაპრიოს და მალჰამად შექნას და იხმაროს. და მაშინ ქრთილისა ფქვილი და ბალბაჲ და იაჲ და სანდალი თეთრი თვითთასაგან

ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ძალის ყურძნისა წყლითა და აყიროასა ნათალითა და იისა ზეთითა გაპროსს, და მალპამა ვითა შექნას და მანქისა ადგილსა შემოსდვას.

ისაკ იტყვიეს: ესე წამელი იხმაროს ვითარებამა მისი: ორთავე კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი და აყიროასა თესლი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, კატაკოტას თესლი ოთხისა დრამისა წონი, ბაღბაასა თესლი და ხორფარასათ ღვარისიავოშანი თვითოასგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი მისგნით ორისა დრამისა წონი ჯულაბითა იხმაროს. და რაა სიმსიენისა ვითარებამა და ცემისგან ანუ ნაქრავისგან იყოს მასალიყი გაიხსნას, და ბუშტსა იისა ზეთითა იზელდეს, და თფილი წყალი ზედა იხსას. და თუ ფსელი არ გამოვიდოდეს ბუშტსა შემოაჭიროს რომელ გამოვიდეს და ღენა და იწყოს.

10 ვითარებამა ბუშტისა სიმსიენისა რაა სიზრილისაგან იწყოს. აბუჯარიჰ იტყვიეს: ესე მანკი ბალამურისა გასარეველისაგან იქნების რომელ შიგან შეყაროდ იყოს და მორევენთა, და ესე მით იქნების რომელ ბალამიანი საკამელი დია ექვამოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ არ დია სტეიოდეს და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს, და ენაა თეთრი იყოს, და რაა სიმსიენე დიდი იყოს ამას მანკსა თანა ლბილი ცხროა იქნების და ფსელი არ გამოვიდოდეს.

კურნებამა მისი რაა სიგრილისგან იყოს: იგი არს, რომელ სისანბარი და დაჰმითისა და მარხანგოში წყლითა შეაბგოს და მისსა წყალსა ნელსა შიგან ჩაჯდებოდეს. და ნესვისა თესლისა გული შაქრითა ხუზითა კამდეს, და გულბაშაქარსა კამდეს ნელითა წყლითა. და საკამადსა მუხუდის წუენსა კამდეს, და თუ ამით რომელ ვთქვით მანკი არ

20 გარდვიდეს კურნებამა მისი იგი არს, რომელ საჯაზანამა ლეღვის შარაბითა იხმაროს, და თუ ფსელი ძნელად გამოვიდოდეს ნიახურისა თესლი და ნესვისა თესლი ქერქმეხილი, და ვარპარამისი რუბი, და ანისონი ყოველი დანაყილი მისგნით მითყალი ერთი სიქანგუბინითა ანუ ჯულაბითა იხმაროს. და რაა მანკი გარდვიდეს ტრედის ხუნდი შემწურარი და ხორცი კალით კამოს.

არხიჯანოს იტყვიეს: თუ მათანისა ვითამცა ბუშტისა სიმსიენე დიდი და მაგარი იყოს, ესე შემოსადებელი შემოსდვას ვითარებამა მისი ულბამა და სელი თვითოასგან ხუთისა დრამისა წონი, ნესვისა თესლი და კიტრისა თესლი და ბაღბისა თესლი და სისანბარი და ბაბუნაა თვითოასგან ოთხისა დრამისა წონი, ვაშა და მჯული და ილქალბატი თვითოასგან სამისა დრამისა წონი, და ამა წამალთა თანა რომელიცა გომიზი იყოს წყალსა თფილსა გაპროსს და სხვაა წამელი დანაყილი და გაცრილი თანა გაპროსს, და მანქისა ადგილსა შემოსდვას, და მიწყით ყვერსა ბატისა ცმელითა იზელდეს, და თუ ცმელი ბატისა და ტეინი ზროხისა წვიფესა, და მუელი, და მდენარე რომელსა ჰქეიან რაათიანა, ყოველი ჰკენასა ჩაყაროს და ტფილი წყალი გაპროსს და წმლად გაგალოს და მალპამად შექნას, და მიწყით ბუშტსა მუნით შემოსდებდეს, და გრილსა და მძიმესა საკამადსა ერიდებოდეს და მხურავლსა და ნატიფთა მიელტოდეს ერგების.

30 რან. მათანაახა სიწყლული ვითამცა ბუშტისა და მანკი რომელ შიგან იწყოს. ვითარებამა ბუშტისა სიწყლულისა. მანკი რაა იტყვიეს: ესე მანკი ფიცხელისა გასარეველისაგან იქნების რომელ ბუშტსა შიგან შეყაროს და მეორიენეს, ანუ სიმსიენისაგან იქნების მხურავლისგან რომელ გაიხსნას, და მაშინ ბუშტი გააწყლულოს და იგი მანკი გაჰოწნდეს.

40 ნიშანი ბუშტისა წყლულისა რომელსა ჰქეიან მათანაა: რააცა გასარეველისა და ფიცხელისაგან იყოს იგი არს, რომელ ფსელსა თანა თხამლი გამოვიდოდეს და ჰყოდეს და ეწყოდეს. და ნიშანი მისი რააცა სიმსიენისგან იყოს იგი არს, რომელ ფსელსა უჯანით თხამლი ერთობით გამოვიდეს უფსლოდ.

კურნებამა ბუშტისა სიწყლულისა. იგი არს, რომელ ქანანასა ყურსი კამოს თაფლითა და თეთრი შფი ქალის ღედისა სძითა დაგალოს და ზარაყათა მათანასა შიგან ჩაავდოს. და რაა დია სტეიოდეს ანუ თხამლი დია მოვიდოდეს თაფლი ზარაყათა მა-

თანასა შიგან ჩაავდოს, და ბაზრაცატუნი ვარდისა ზეთსა გვიპროოს და უზმამან ჳამოს, და მიწყით ვირისა სძესა და თხისა სძესა ჳამდეს დია ერგების. და ხაშააშისა ყურსი ამას მანკსა დია ერგების, რაჲ მუთყალი ერთი კვითა წყლითა იხმაროს, და ესე მალჳამად მას დია ერგების, ვითარებაჲ მისი: ნედლი მიაჲ დრამისა წონი, წეროჲსა ცმელი სამი დრამისა წონი, თეთრი ცვილი ათისა დრამისა წონი, ყოველი ერთგან შეყაროს მალჳამად შექნას და ბუშტსა ჳადა იცხებდეს. და თუ თეთრი ცვილი და ბატისა ცმელი და ვარდისა ჳეთი მალჳამად შექნას და ბუშტსა შიგან მიილოს კარგი არს.

10 ა რ ბ ი ა ს ი ო ს ი ტ უ კ ე ს : ესე ყურსი იხმაროს ვითარებაჲ მისი: ვაცის წვერისა აუშარაჲ, დაბეჭდული მიწაჲ და ძოწი და ჳაპრაბაჲ და ნიშასთავი, და კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი და ბალბისა თესლი და ველურისა სტაფილონისა თესლი და ნიახურისა თესლი ყოველი დანაყილი წყლითა შეზილოს და კვერად შექნას, და მისგნით ორისა დრამისა წონი იხმაროს. და ესე წამალი უმჯობესი არს, ორთავე კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი და აყიროჲსა თესლი ამოხალული თვითოჲსგან ჳეთისა დრამისა წონი, ნიშასთავი ოთხისა დრამისა წონი, ვარჳარამისა რუბი რვაჲსა დრამისა წონი, კატკატროსა თესლი სამისა დრამისა წონი, და ნახევარი, ნუში ქერქ შეზდილი და თხალი ამოხალული თვითოჲსგან ოთხისა დრამისა წონი, ჯალღოზაჲ რომელსა ჳქეიან ნაყი და თუ ნაყი სამისა დრამისა წონი, ნუშისა გომიზი და აფიანი თვითოჲსგან დრამისა წონი, ყოველი დანაყილი შემგებრთაღვინითა შეზილოს და მისგნით სამისა დრამისა წონი იხმაროს.

20 ვ ი თ ა რ ე ბ ა ჲ ბ უ შ ტ ი ს ა ქ ე ი ს ა ა . ი ო ჳ ა ნ ა ჲ ი ტ უ კ ე ს : ესე მანკი ყმაწვილთა უფროჲ შეეკნებდეს, და ვითარებაჲ მისი გასარეველელისა სქელისა უმგებრისაგან იქნებდეს, რომელ ბუშტსა შიგან შეიყაროს და სიმბურვალემან შეკრას იგი. და სიმბურვალე მისი მხურვალთა საჳამადთაგან იქნებდეს რომელ ეჳამოს და მოერიოს მისდა.

ნ ი შ ა ნ ი ბ უ შ ტ ი ს ა ქ ე ი ს ა ა . ი გ ი ა რ ს , რომელ ფსელი თეთრი იყოს და თხელი და მიწყით სარცხვენელი აღდგებოდეს და თუ ჳატარაჲ ყმა იფხანდეს მას, და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს და სტკივოდეს, და მიწყით გჳამიცი გამოვიდოდეს.

30 ქ უ რ ე ნ ე ბ ა ჲ ბ უ შ ტ ი ს ა ქ ე ი ს ა ა . ი გ ი ა რ ს , რომელ ჳურიათა ქვაჲ, რომელ არაბულად ჳაჯარალი აჳუდი ჳქეიან, ორისა დანგისა წონი წმიდად გავალოს და თბილითა წყლითა შესტას და ორისა დანგისა წონი ღრიანკალი დამწჭარი რომელ შავისა მუხუდისა წვეწვან გაპროოს და იქმაროს კარგი არს. და ესე წამალი ბუშტისა ქვასა დაღეწს ვითარებაჲ მისი: უხმარებელი ჳიქაჲ ნაწილი ერთი, გომიზი არაბული და ტყემლისა გომიზი თვითოჲსგან ორი ნაწილი, ასყლოფანდრიონი ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და გაცრილი მისგნითა სიქანგუბინისა თანა იხმაროს.

40 მ ა ს ო ი ა ს ძ ე ი ტ უ კ ე ს : რომელ ყოველთა ტკბილთა და ნედლთა ხილთა და თევზსა ერიდოს და ესე მაჯუნი იხმაროს ვითარებაჲ მისი: ასარონი და ველურისა სტაფილონისა თესლი და ჳამიშთისა მარცჭალი, და თუ თეთრი სალისაჲ და ბალასნისა მარცჭალი და შეშაჲ მისი ყოველი დანაყილი ბადიანისა წყლითა და თაწლითა შეზილოს და სამისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ მანკი ძნელი იყოს ნახევრისა დრამისა წონი ღრიანკალისა ნაცარი დამწჭარსა ჳიქაჲსა თანა იხმაროს. ეგრე ხამს რომელ ჳიქაჲ ცეცხლსა შიგან დაღაღბოს და მაშინ წყალსა შიგან ჩაავდოს და შვიდეგრე ესრე ქნას და მაშინ წმიდად გავალოს თვალთა საოლაივისებრ და ვაშლისა შარაბითა ჳამოს. და სახაბულსა და სარცხვენლითა ტფილითა ჳეთითა ღრიანკალისათა იზელდეს, და ღრიანკლისა ჳეთი იგი არს, რომელ ღრიანკალიახალსა ქუტალსა შიგან ჩაავდოს და ცეცხლსა შემოსდგან, და გამოიღონ და ნელად გავალონ ცოტათა ერბოთა ბანითა. და ყოველი მხურვალე ჳეთი ერგების ვითა ტევანასა ჳეთი და ნარდნისა ჳეთი, და ბალასნისა ჳეთი, და საჳამადსა მუხუდისა წუენსა ჳამდეს ბატკნისა ხორციითა და ტფილსა წყალსა ჩაჯდებოდეს, კარგი არს.

რწმ. სარცხვენლოს ადგომა დიაცის უნდოვად.

ვითარება მისი. ფოლის იტყვის: ესე მანკი სათაფროსა მხურვალისა სწორისაგან იქნების, რომელ თირკმელსა სარცხვენლისავე მიეძალოს, და სინედლე სქელი რომელ შიგან იქნების, რომელ მფეთქელთა ძარღვთაგან შევიარდეს სარცხვენლსა შიგან.

ნიშანი მისი რაჲ ძარღვთაგან იქნების: იგი არს, რომელ სარცხვენელი დია ფეთქდეს. ნიშანი მისი რომელ შიგან იქნების, რომელ მფეთქელთა ძარღვისაგან ჩაჰრილ იყოს იგა არს, რომელ არ ფეთქდეს.

კურნება მისი. ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ რაჲ მანკისა ვითარებაჲ სიმხურვალისგან, იყოს რომელ თირკმელსა შიგან შეყრილ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მასალიყი გაიხსნას მარჯვენისა ხელისგან და ხეარტისა თესლი შაქარსა გაჰრიოს და უზომან ცივითა წყლითა ჩანთქას და მიწისა წყალსა სმიდეს. და ნელსა წყალსა თავსა ისხამდეს რომელ მხურვალთა ბუხარი გახსნას, და მაშინ სარცხვენელსა ვარდისა ზეთითა და ქაფურითა იხელდეს, და სიმხურვალეთა და თაფლიანთა ერიდებოდეს და მცაფეთა იხმარებდეს. და ამის მანკისა ნიშანი რაჲ სიგრილისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ უზომან ოული გამოიცეს აბანოსა შიგან რომელ იგი სქელი ქარი დალიოს, და საჭამადსა ცოტახსა ჰამდეს და ძტელსა გულანგუბინსა ძირახსა წყლითა იხმარებდეს, და მძიმეთა საჭამადთა ერიდებოდეს, და ნატიფთა მიელ ზეოდეს ვითა კალიაჲ და მოტანჯანაჲ. და თუ ვითარებაჲ ამის მანკისა სარცხვენელსა შიგან ქარისაგან იყოს რომელ შეყრილ იყოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ იგი ქარი გაუყენოს მხურვალთა წამალთა და ფანჯანგუფთისა თესლითა, და ცერცვლასა თესლითა და ძირახსა, ამით თანა რომელიცა ორისა ანუ სამისა დრამისა წონი დანაყილი იხმაროს, და მაშინ გრილთა და ხმელთა წამალთა იხმარებდეს რომელ მანკსა ზედა წყალი დააქლდეს ვითა ბანგისა თესლი და ქინძი, და არდისა თესლი. და თუ შიგან სიმხურვალე იყოს სარცხვენელსა აყიროასა ნათალითა და ხეარტისა წყლითა და სანდლითა და ქაფურითა იხელდეს. და თუ ამით რომელიცა მანკი არ გარდვიდეს ცოტაჲ აფიონი ხეარტისა წყალსა გაჰრიოს და შესცხოს და ყველაჲ დია ნუჯაჰრეცს რომელ აენებს. და საჭამადსა ქარიანსა ნუ ჰქამს, და ცოტახსა ჰამდეს უქარისა¹⁾ ნატიფთა საჭამადთა.

ვითარებაჲ სარცხვენლისა ადგომისაჲ დიაცისა უნებლიე. იოჰანა იტყვის: ესე მანკი სქელისა ქარისაგან იქნების რომელ თირკმელისაგან სარცხვენელსა ჩამოვიდეს. ანუ გასარეველი სქელი და ფიტელი იყოს, ანუ თეთრისა წყლისაგან იქნების, რომელ შიგან შეყრილ იყოს, რომელსა ჰქვიან აბი მანი.

ნიშანი მისი რაჲ ქარისაგან იყოს. იგი არს, რომელ სარცხვენელი იფეთქდეს და ნიშანი მისი რაჲცა სქელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ დია ფეთქდეს. და ნიშანი მისი რაჲცა თეთრისა წყლისა სიმხურვალისგან იყოს, რომელსა ჰქვიან მანი, იგი არს, რომელ სტიკოდეს და აწყენდეს¹⁾.

კურნებაჲ მისი რაჲცა სქელისა ქარისაგან იყოს. იგი არს, არწყვიოს რომელ ტანი გაწმდეს და ქარიანთა საჭამადთა ერიდებოდეს, და ამის კურნებაჲ ორგვრად არს, პირველი იგი რომელ ქარი მანკისა სათაფროსა არს გაუყენონ მხურვალთა საჭამადთა ვითა ტეგანასა თესლი და ქონდარი, და ძირახსა და ნიახური, და სანაქელისა თესლი, ამით თანა რომელიცა იყოს სამისა დრამისა წონი ტეგანასა წყლითა სტას, რომელ იგი სქელი ქარი რომელ მანკისა დედაჲ არს, გამოზიდოს. და მაშინ სარცხვენელსა იასამინისა ზეთითა იხელდეს. და ესე წამალი მანკისა დასაწყისა იხმაროს და მაშინ ჰამოს რომელ სტოვაჰი რწყვიეთა გაუწმინდოს. და მაშინ გრილთა წამალთა იხმარებდეს რომელ მას მანკისა სიფიცხლე დააწყნაროს ვითა ხმელი ქინძი და ვარდი და ბროწყელისა ყტაველი და ბანბისა თეს-

1) სწერია „ოქროსა“.

ლი და ალარდენი, და ოსპისა თესლი და მზგაესი მისი. და ნედლისა ქინძისა წყლითა და ხავარტისა წყლითა და ვარდისა ზეთითა სარცხვენელსა იხელდეს. და საქამადსა თუთუბისა ურწყომასა ჰამდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა სქელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს და არწყვიოს. და მხურვალთა ასფერამთა წყლითა სარცხვენელსა იხელდეს, და საქამადსა კალიაჲსა ჰამდეს და გრილთა და უდნობთა ვერიდებოდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა წყლისა მანისა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაინძანას და გრილთა იხმარებდეს, ვითა ქრთილისა წყალსა და ბროწეულისა წყალსა და კატაკტოჲსა თესლისა წყალსა, და ბადარანგისა კიტრისა თესლი. და მუცელი დაიღბოს იითა და შაქრითა, და მწვანეილთა თანა ხავარტი და კატაკტოჲ ჰამოს, და დოჲ და ოსპი ქერქშეხილილი

10 რომელ ძმრითა შექნილ იყოს იხმარებდეს დია კარგია. და ჰუყნად უყოს ქრთილისა წყლითა და ერბოთა და ცოტათა კაფურითა. და თუ ცოტაჲ ტყვიჲ ზურგსა გამოაბას კარგია.

რ. ხარცხვენელინს სისუსთე და ფლჳისა ღენაჲ მისგან უნდოჲლად და უნიჰაოვნიოთ. ვითარებაჲ მისისა სისუსთისაჲ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: სისუსთე მისი ბუნებისა სიგრილისაგან იქნების, ანუ მისგან რომელ გრილი და ხმელი დია ეჰამოს ვითა ლემოჲ და ოსპი და კოწოხური მუჲვე.

ნიშანი სარცხვენელისა სისუსთისაჲ. იგი არს, რომელ კარგად ვერ აღტებოდეს და წყალი აღრე მოვიდოდეს, მანი, რაჲზომცა უფროჲ სუსთად იყოს სიგრილესა უფროჲ ეჯობინოს¹⁾.

კურნებაჲ სისუსთისა მისისაჲ. იგი არს, რომელ ფელიჯისაგან ერთი ფერი 20 მანკი ესე არს, ხამს აქინისაგან რომელ ესე მანკი გამოსცადოს რომელ იკურნების ანუ არა. და მანკისა პატრონი ციგსა წყალსა შიგან ჩასვას და სარცხვენელი მისი დამოკლდეს და შექნეს იკურნების, და თუ ვგრეთვე იყოს ვითა წინაჲს და არა შესცვალოს, კურნებაჲ მისი არ ეგების, და ეგეთთა რასმე რომელ ბუნებასა გაამხურვალედდეს ზედა შემოსდებდენ. და ძქელი გულანგუბინსა და მიშქადარუსა საჯაჲზანასა ჰამდეს. და მხურვალთა ზეთითა იხელდეს ვითა მანისა ზეთითა, და ფაჲრისა ზეთითა თა ხირისა ზეთითა და მხურვალთა საქამადთა ჰამდეს ვითა ჩიტისა ხორცსა და ტრედისა ხუნდსა, ანუ ცხვირისასა რომელ მხურვალი სანელებელი დია რთულ იყოს. და მიწყით უზმა შავსა ჩამიჩსა ჰამდეს და ძქელსა ლენოსა სმიდეს. და თუ მანკი გავრძელდეს და ეგრევე სუსთად იყოს არ იკურნების.

მასოაჲს ძე იტყვის: თუ მისგან ქნილ იყოს, რომელ სარცხვენელი თავისა ადგი- 30 ლისაგან ამოვარდნილ იყოს კურნებაჲ მისი ვითა ფელიჯისა კურნებაჲ არს, და თუ სისუსთე წყლისა სიმცროსსაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე ჰამდეს რომელ ზურგისა წყალსა მოუმატებდეს, და გამორჩეულთა საქამადთა ჰამდეს ვითა ცხვირის ხორცი მხურვალთა სანელებლითა კალიითა შექნილ იყოს. და მუხუდის წვენი და განდუმევი და რაჲცა ამით ჰგვანდეს და თუ წყალი მით იყოს, რომელ სიგრილესა და სიმხელესა მოგრინენ მისდა კურნებაჲ მისი სიმხურვალთა არს ვითა ჩიტისა ხორცი და ხუნდისაჲ.

მანისა ფლჳისა ღენაჲ. აბუჯარიჰ იტყვის: წყლისა გამოსვლაჲ მით იქნების რომელ შეყრილ იყოს და სქელი და დია იყოს, ანუ მხურვალთა საქამადთაგან რომელ ეჰამოს, ანუ აღრითაგან დიაცსა თანა არ მისრულ იყოს.

ნიშანი წყლისა დენისა რაჲცა სიმრავლისგან იყოს. იგი არს, რომელ 40 მანი თეთრი იყოს და სქელი და დია იყოს. და ნიშანი მისი რომელ საქამადითაგან იყოს იგი არს, რომელ წყალი ყვითელი იყოს და თხელი.

კურნებაჲ წყლისა უსიჰამოვნოდ გამოსულისაჲ. აბუჯარიჰ იტყვის: რაჲცა წყლისა სიმხურვალისგან იყოს იგი არს, რომელ დია საქამადი არ ჰამოს და ხორცსა და თაფლიანსა ვერიდოს. და ხელი გაინძანას, და ძნელთა საჭიროათა საქმეთა იქმოდეს და

¹⁾ ამ გვერდის ბოლო აშიზე რეჲუელთა სათვალავი სწერია „კიპ“ და შემდეგი გვერდის ზემო აშიზე „კით“.

ნიორსა და ტეგანსა ჰამდეს, და დია ნუ დაიძინებს, და ისრიმისა ურწყოსაჲ ჰამდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა მზურვალთა საჭამადაგან იყოს აგი არს, რომელ გრილთა საჭამადაჲ ჰამდეს ვითა კატაკტოასა თესლისა წყალსა სიქანგუბინითა, და ბაზრაცატუნაჲ თეთრითა შაქრითა ჰამოს. და ხავარტისა თესლი და ქინძი ცივითა წყლითა და ნილოფარისა შარაბი გაჰპროს. და საჭამადაჲ ვარიაასა ჰამდეს რომელ თუთუბითა შექნილ იყოს. კურნებაჲ მისი რომელ არ ქნისა მოგონების შექირევებისგან იყოს იგი არს, რომელ სხვაჲსა რაჲსმე შეექცეოდეს და დაივიწყოს მოგონებაჲ და შექირევებაჲ ჩუზალბილობისისა. და კურნებაჲ მისი რომელ აღრი-
10 თა ზურგსა შემოსადებელსა უზმიდეს.

ისაჲ იტყვის: თუ წყლისა დენაჲ მასიქაჲსა უსუსურობისაგან იყოს, მიწყით ბროწყე-
ულსა და ბეჰესა იხმარებოდეს. და თუ სომხური მიწაჲ და ხავარტისა თესლი და ტაბაშირი
თვითოჲსაგან ნაწილი ერთი, დანაყილი და გაკრილი ვაშლისა წყალსა გაჰპროს და იხმა-
როს ერგებს. და მაშინ აყაყაიად და თუთუბაჲ და მურდისა წყალი ახალი ერთგან გაჰპრო-
ოს და ზურგსა შემოსდვას. და საჭამადაჲ ვარიაასა ჰამდეს რომელ ალარდინითა ანუ ძმრითა
შექნილ იყოს. და მზურვალთა და ხმელთა საჭამადაჲ ერთდოს, და თიკნისა ხორცსა ჰამდეს
რომელ თუთუბითა შექნილ იყოს.

რამ. სიმსივენი სარგცვენიზან რამ სიმხშარპალიზან იყოს¹⁾. ვითარებაჲ მისი: მასა-
რჯოჲ იტყვის: სისხლისა სიმრავლისა და სიფიცხისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა
20 მუნ მიეძალოს და რამ დია შეიყაროს სამსიენე გამოჩნდეს. და იქნების რომელ ზაფრაცა
გარეულ იყოს მის თანა და მისგან ქნილ იყოს.

ნიშანი მისი რამ სიმხშურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ სიმსიენე წითე-
ლი იყოს და დია სტკიოდეს და რამ ხელი შემოსდვან ხურვიდეს. და თუ ზაფრაცა გარე-
ულ იყოს უფროჲ ძნელად სტკიოდეს.

კურნებაჲ მისი რამ სიმხშურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ბასალიყი გა-
იხსნას და კატაკტოასა თესლისა წყალი სიქინგუბინითა იხმაროს. და მანკის ალაგსა სან-
დლითა და ვარდის წყლითა და ხავარტის წყლითა და ძმრითა, და სომხურითა მიწყითა და
სპანძელითა, რომელ ერთგან გაჰპროს, და შემოსადებელსა ზედა დასდებდეს. და ესე შემო-
სადებელი სხვაჲ ვითარებაჲ მისი: ძაღლის ყურძნისა წყალი და არდისა წყალი, და ზაფრა-
30 ნაჲ, და ბაკლასა ფქვილი და ქრთილი, და ვარდის ზეთი ყოველი ერთგან გაჰპროს და
მანკისა ალაგსა შემოსდვას.

ისაჲ იტყვის: ბასალიყი გაიხსნას მუნითეჲ რომელ სიმსიენე იყოს და გრილი და
ნელი წამალი იხმაროს. და ცივსა წყალსა შიგან ჩაჯდეს და ტილოჲსა მჭვარი ძმრითა და
ვარდის წყლითა დაასოვლოს და ზედა შემოსდვას. და ბაკლასა ფქვილი და თეთრი
ბალბაჲ, და ძაღლის ყურძენი და ნელი ქინძი, და ვარდის ზეთი და ძმარი, და კევრცხისა
ყვითელი თვითოჲსაგან ნაწილი ერთი, და დანაყილი და გაკრილი წყლითა შეზილოს და
შემოსდვას ერგების.

იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და ხორცსა
და თაფლიანთა ერთდოს. და ჯულაბი და სიქანგუბინი და კატაკტოასა თესლისა წყალი
40 იხმაროს, და მაშასა ურწყოსა ჰამდეს რომელ ნუში და ზეთი ერთოს. და თუ სისხლსა
თანა საზაფროჲ სიმსიენე რეული იყოს, ტკივილი ძნელად იყოს და ისრისაებრ სცემდეს,

1) ამ გვერდის ამაზე მდებარეობს: სწერია [სიქანგუბინი ძმარი [...]] რითა შენახულსა [ჰქვიან]. კატაკტო, უქედანასა ჰქვიან. ბაზრაცატუნა ზარავალაჲ ჯღუას თესლსა ჰქვიან. გულანგუბინი] ვარდასა შაქრითა რომ შეინახუნ იმას ქვიან. კატაკტო: რძღვამლსა ჰქვიან.

2) ამ გვერდის ამაზე მდებარეობს სწერია: ვარდაჲკაკუ: ტაძიში რ[ომელ] შაქარი[]. წითელი მი-
წყ[ა] სომხური თიხა, ტაბაშირი დი[...]. ეთერი მიწა.

და შფოთად იყოს ესე შემოსდვას და ჩვენ გამოგვიცდია დია კარგი არს: ოსპი ქერქშებლილი და ქერის ფევილი და ბაკილასა ფევილი და ჯალზაბაა ყოველი ძალის ყურძნისა წყლითა შეზილოს, და კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი გაპრიოს, და მანკისა ადგილსა იტხოს.

ვიტარამბა სასაცხვენილისა სიმინისა რომელ სიბრინისაგან იძოს. ჰუნაჲ იტყვის: ესე მანკი გულსუნისა ბალამისაგან იქნების, რომელ სარცხვენლოსა მოერიოს ანუ სევედისა ფიცხელისა სიმეტისაგან იქნების, რომელ შიგან შეიყაროს, და რაჲ მოერიოს გასივოს¹⁾.

იგი არს რომელ სიმსინენ თეთრი და გრილი იყოს და არ დია სტკიოდეს, და რაჲ ხელი ზედა შემოსდვან გრილად იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ფიცხელისა სევედიგან იყოს 10 იგი არს, რომელ სიმსინენ მაგარი იყოს და ტკივილი ცოტად იყოს.

კურნებაჲ მისი რომელ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაჲ ბალამისაგან იყოს ესე შემოსადებელი იხმაროს ვითარებაჲ მისი: თეთრი საქმელი და ძირაჲ და ბაკლასა და ფევილი, და ქრითლისა ფევილი და ქუნჯიდისა ზეთი და ხორანსული ჩამიჩი უგულოა ყოველი დანაყოს და თხის ცმელი გაპრიოს და კულა წმიდად გაგალოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ კალნაბისა ნაცარი და სელი დანაყოს და ბატის ცმელი და თხის ცმელი მალჰამად შექნას და შემოსდვას. საჰამადსა ნელსა და გრილსა ერიდოს და მხურვალთა მიელტვოდეს.

ბაყრატი იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ მუხუდისა ფევილი და ბაკლასა ფევილი და ძირაჲ და ცმელი ერთგან გაპრიოს და შემგებრითა დენითა შეზილოს 20 და შემოსდვას კარგი არს. და თუ სელი და აქლილალმალიქი და იაჲ დანაყილი თხისა ცმელსა გაპრიოს და მალჰამად შექნას და შემოსდვას. და თუ მანკი სევედისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ სარცხვენელი ნუშისა ზეთითა და ლეღვისა ზეთითა იხელოს და თუ წეროხსა ცმელი და თეთრი ცვილი გაპრიოს მალჰამად ქნას და მანკისა ადგილსა შესცხოს კარგი არს. და ბაზუნაჲ და აქლილმალიქი და სისანბარი დანაყოს და შესცხოს კარგი არს. და ნელსა წყალსა ზედა ისხმიდეს, და საჰამადსა ბატინისა ხორცსა ჰამდეს, ანუ ერთის წლისა ცხვრისა ხორცსა რომელ მხურვალთა სანელებლითა კალიად ანუ მოტანჯანად შექნილ იყოს. და მძიმეთა და გრილთა საჰამადთა ერიდებოდეს და ტკბილთა და მხურვალთა და ეგეთა საჰამადთა მიელტვოდეს რომელ ბუნებასა გაამხურვალდებდეს, ერგების.

სასაცხვენილი რაჲ მჟურღღს სიმხურვალისგან. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან 30 იყოს. უუროხის საზაფროხსა გასარეველისაგან იქნების, რომელ ღრუა მისი, ვითამცა ღარ ი, გაეწყულლოს. ანუ სიმსინისაგან რომელ მუნ შიგან გასქედეს და მამინ შიგან კერძი მისი გაეწყულლოს ღარი, ფსლისა გზაჲ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რომელ დია სტკიოდეს და ეწჷოდეს და ზელისგან გახურდეს. და თუ ფსელსა თანა თხამლი ცოტად გამოვიდოდეს წყლული უმცროხს იქნების, და თუ დია გამოვიდოდეს წყლული უროხის იქნების შიგნით კერძოთა²⁾.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს რაჲცა ბალამისგან იყოს იგი არს, რომელ სარცხვენელისა ღარისა და ბუშტისა ფსლისა გზასა წვაჲ საზაფროხსა ხელტისაგან იქნების, და თუცა ფსელი დია სდიოდეს სიმხურვალისა მიცემაჲ არა ხამს სნეულსა, მით 30 რომელ რეგვენთა და უმცარათა აქიმთა მრავალი ჩაუგდია ცხროხსა და სნებთა შიგან, უმცროხთა, და თეთრისა საქმლისა გვარიშნი და სხვაჲ მხურვალთა მიუცემა და სრულ-

¹⁾ ტექსტში აქ ნიშანი უხის და სტრაქონებ შუა წვრილად სწვრია დედნის ზელით: „კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. მასთაის ძე იტყვის“ ამის შემდეგ ტექსტში გამოტოვებული ადგილი მთლიანად აშინაჲვა გატანილი სულ ცამეტი სტრიქონი.

²⁾ აშინაჲე აქამდის არის გატანილი. სწეათა მეტად წვრილი დედნის ზელით. აქვე სწვრია თავთა სავალაჲე „რამ“.

ლიად დაუწყულელებია ღარი და ფსლისა გზაჲ, და მაშინ დიდითა მივირეებთა ძლიერ იყურ-
ნების. მაშაჲ ამის მანკისა კურნებაჲ იგი არს, რომელ ორთავე კიტრთა თესლთა სძე და
სტავილონისა თესლი, და ხაზაშისა თესლი, და ყიროხასა თესლი, ყოვლისა სძე დაიჭიროს და
ჯულაბითა იხმაროს. და ნუშისა ზეთი და ნილოჟრისა ზეთი შესცხოს და სახამთროსა ნესესსა
ქამდეს რომელსა ჰქეიან ხარბუხაჲ ჰინდოჲ, და კარაქი¹⁾ და თეთრი შაქარი. და მაშაჲსა და
ასუანახისა და აყიროხასა ურწყოხასა ქამდეს. და ნედლთა და გრილთა საჭამადთა მიელტვი-
დეს. და მიწყით მომროღანსა იცხებდეს სარცხვენელსა. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ
გარდავიდეს იისა ზეთი და ბაზრაცატუნისა ლუბი და ქალისა დედისა სძესა ზარაყათა
შეუყრიდეს მისსა ღარსა შიგან.

10 ჰუნიჯან იტყვის: ესე მანკი ორფერად იქნების, ერთი თხამლითა იქნების და კურ-
ნებაჲ მისი იგი არს, რომელ თესლთა ჰაბი და იისა შარაბი და ბაზრაცატუნისა ლუბი
და შემგებარი ღვინოჲ დი ქრთილისა წყალი იხმაროს. და ყოველითა თავლიანთა და მლა-
შეთა ერიდოს. და დიაცსა ნუ მოხხნავს, და ძნელთა საქმეთა და საჭიროთა ერიდოს. და ნე-
ლოთა წყლითა იხანებდეს. და აჰოზავებულსა კევრცხსა ნუშისა ზეთითა ხერტდეს. და ქა-
თაშსა კარგად შემგებართა ქამდეს. და მალჰამათა რომელ სიმინინისა თვის ვახსენეთ იხმა-
რებდეს, ერგების კარგად.

ვითარებამ მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. აბუჯარიჰ იტყვის: ესე
მანკი სიგრილისაგან უმცროჲ იქნების სასევდოჲსა ხილტისაგან რომელ ღარი გაეწყულუ-
ლოს, ანუ სასევდოჲსა სიმინინისაგან იქნების, რომელ ღარსა შიგან შეყოლილ იყოს და გზაჲ
20 პოვუნოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს: იგი არს ნიშანი სიწყულელისა რო-
მელ სარცხვენელსა შიგან იყოს, იგი არს, რომელ ფსელსა უწინათ თხამლი გამოვიდეს, და
რაჲ თხამლი შეფერად იყოს მანკი სევდისგან იქნების. მაგრა კურნებაჲ მისი იგი არს. რო-
მელ ქაქნახსა ყურსი ჰამოს, და თავლისა წყალი და შაფი სძითა გაადნოს ხერტელსა მისსა
შემოსდვას. და ეგეთი მალჰამაჲ რომელ სასევდოჲსა სიმინინესა ერგებოდეს პატრუქსა ზედა
შესცხოს და შემოსდვას, ხერტელსა მისსა გამრთელდების.

არხიჯანოს იტყვის: რაჲ ფსმისა ეჲსა ეწვოდეს ესე წამალი ერგების ვითარებამ.
მისი: ნესვისა თესლი ქერქშხილი ორმოცდა ათისა დრამისა წონი, აყიროხასა თესლი და ქა-
თირაჲ და ნიშასთავი, და ვარჰარამისა რუბი და ნუში ამოხალული და ქერქ შეხდილი, და
30 ხაზაშისა ქერქი და თესლი მისი, თვითოხსაგან დრამისა წონი ერთი, ნიახურისა თესლი
ხუთისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი რაჲ დღე დილა საღამოსა სამისა დრამის წონისა
იისა შარაბითა ანუ ჯულაბითა იხმარებდეს. და საქმადსა ასუანახსა რომელ ვარიითა შექ-
ნილ იყოს ქამდეს. და მხურვალთა და ფიცხელთა საჭამადთა ერიდოს ვითა ნიორსა და ხახ-
ვისა, სარასასა და პილიჰისა, და მლაშეთა ერიდოს. და ნედლთა და ლბლთა საჭამადთა ქამ-
დეს ვითა ასუანახი და ხახფარასთი. და ნუშისა ზეთი. და თუ ამას მანკისა თანა სისხლ-
იყოს და ტკივილი არ დასწყენარდებოდეს ბასალიკი გაიხსნას²⁾ და ესე წამალი იხმაროს:
ქათირაჲ და ნიშასთავი და კიტრისა თესლი და სომხური მიწაჲ თვითოხსაგან ნაწილი, გუნ-
დაჲ და ბროწყელისა ყუბავილი და თეთრი საქმელი და ხონისიოშანი და ნიახურის თესლი
თვითოხსაგან ნახევარი ნაწილი, ყოველი დანაყილი ცვიითა წყლითა იხმაროს, ერგების შე-
40 წევნითა ღმრთისათა.

რამ. დიაცნია არ მონდობამ სიგრილისაგან იყოს ღ და თუ სიგზავდლისაგან. ვითარე-
ბამ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. მესიაჲ იტყვის: ესე მანკი მით შეიქნების, რომელ
ტანისა მიზეჯი, ვითამცა გარევაჲ, დია მხურვალად იყოს მხურვალისა მანკისა სამეტისაგან

1) სწერია „ქარაქი“.

2) ამ გვერდის აწიხე მხედრულით სწერია: ნიშასთავი ოქრომგედ[ლს] [...] აქ სიტყვა წაშლილია.

ანუ მეტად სიხმელისაგან იქნების რომელ ბუნებისად მოერივნენ, და ნდომად დიაცისა მო-
ულს.

ნიშანი მისი რაა სიმხურვალისგან იყოს: იგი არს, რომელ ზურგისა
წყალი ყვითელი და თხელი იყოს, და რააცა გრილი ქამოს ელხინოს. და ნიშანი მისი რააცა
მიზეჯისა სიხმელისაგან იყოს იგი არს, რომელ ზურგისა წყალი ცოტად იყოს.

კურნება მისი რაა სიმხურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ ქრთილი-
სა წყალი კატკატოვსა თესლისა წყალსა თანა და ბაზრაცატუნა ჯულაბითა იხმაროს. და ახლი
თევზი კალითა შექნილი, ანუ შემწვარსა ჰამდეს. და გრილთა იხმარებდეს ვითა ხვარტი
და კირი და სხალი და მგზავსი მისი. და ჰირსა ნურას ჰნახავს და მიწყით ყვერსა იისა
10 ზეთითა იხელდეს. და თუ მანკის ვითარება სიხმელისაგან იყოს რომელ ბუნებისად მორვე-
ნილ იყოს¹⁾ კურნება მისი იგი არს, რომელ ეგეთი საქამადთა რომელ სინედლისა მოუმა-
ტებდეს იხმაროს ვითა ერთის წლისა ცხერისა მსუქნისა ხორცსა რომელ შურავთა შექნილ
იყოს იხმაროს, და კვერცხისა ყვითელი ამოზავებული. და მიწყით ნელსა აბანოვსა მივიდო-
დეს და მამორიანითა სარცხველოსა იხელდეს. და ღვინოვსა სურნელსა სმოდეს და ეგეთთა
საქამადთა ჰამდეს რომელ ზურგისა წყალსა იმატებდეს ვითა ცხერის ხორცი სტაფილონითა
და ხახვითა შექნილი, და ჩიტის წვენი ჰამოს ერგების, და ხილთაგან ყურძენსა ჰამდეს.

მაჰამად ზაქარიას ძე: [იტყვის]: თუ მანკისა ვითარება დიაცისა არ მონ-
დომისა, ტანისა უსუსურობისაგან იყოს და საქამადისა არ ჰონებისაგან, კურნება მისი იგი
არს, რომელ კარგითა საქამადითა და ღვინითა თავისა ქცევა და იწყოს და ჰამოთა სურ-
20 ნელთა უსუნებდეს, და სიხარულსა და ძილსა და გამოსვენებას მიელტვიოდეს. და თუ მანკისა
ვითარება თირკმელისა სიმხურვალისაგან იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ დიაცისა
ხენისა ვაშსა სწყუროდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ თარაგუბინისა მაჯუნი და ფუ-
რთაა სძე იხმაროს, და ამოზავებულია კვერცხისა ყვითელსა იხმარებდეს, და ახალსა თევ-
ზსა და მსუქანს ქათმისა ხორცსა ჰამდეს. და ეგეთთა საქამადთა მიელტვიოდეს რომელ სინე-
დლესა მოუმატებდეს, და ტკბილთა საქამადთა და მხურვალთა ერიდებოდეს.

დიაცისა არ მონდომისა ვითარება რაა სიგრილისაგან იყოს.
გასარვევლისა საბალამოსა სქელისაგან იქნების რომელ ტანისა მიზეჯი ვაკერლოს, ანუ
მეტისა სინედლისაგან იქნების რომელ ტანისა გასარვევლისად მოერივნენ, ანუ ზურგისა
წყლისა სიმკროვთა.

ნიშანი მისი რაა სიგრილისაგან იყოს. რააცა საბალამოსა გასარველი-
საგან იყოს იგი არს, რომელ მანისა წყალი თეთრი და სქელი იყოს. და ნიშანი მისი რააცა
მიზეჯისა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ წყალი ზურგისა დია იყოს, და ნიშანი მისი
რააცა სიმხურვალისგან იყოს ისთიფრალისაგან იქნების, დაცლისაგან.

კურნება მისი რაა სიგრილისაგან იყოს. რააცა ბალამურისა გასარვე-
ელისაგან იყოს იგი არს, რომელ გულანგუბინი¹⁾ თაფლითა წყლითა იხმაროს, და საქა-
მადსა ტრედის ზუნდსა ჰამდეს და ჩიტისასა კალითა. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ
გარდვიდეს მუშეისა გვარიშნი იხმაროს. და მიწყით ყვერსა თეთრისა ისამინისა ზეთითა
იხელდეს. და თუ ვითარება მისი სინედლისაგან იყოს რომელ ტანისა ბუნებისად მორვე-
ნილ იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ თესლთა სიქანგუბინი იხმაროს და აღვა წყლი-
40 თა შეაბგოს და მიწყით მისსა წყალსა სმოდეს. და კურნება მისი რააცა ზურგისა წყლისა
სიმკროვსაგან იყოს იგი არს, რომელ გამორჩეულთა საქამადთა ჰამდეს ვითა ერთისა წლისა
ცხერის ხორცსა და ღვინოვსა სურნელსა, და მიწყით აბანოვსა მივიდოდეს რომელ წყალი
მისი ნელი იყოს, და სურნელთა უსუნებდეს.

¹⁾ ამ გვერდის ამაზე მხედრული სწერია „კალია: მაშა“.

²⁾ ამ სიტყვის გასწვრივ ამაზე მხედრული ხელით სწერია „გულანგუბინი ვარდი შაქარით გაკეთებული“.

იოჰანა იტყვის: კურნება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ გარდელი ზანჯაბილი იხმაროს, და ქაბაბა და კვერცხის ყვითელი და ჩიტის ტენი რომელ კილაშინს გაპრიოს იხმაროს. დია კარგი არს. და შურგასა რომელ მხურვალითა სანელგლითა შექნელ იყოს იხმაროს. და ხორცთა რომელ სტაფილონიდა და ხახვითა შექნელ იყოს ქამდეს, მეტად რომელ დარავილფილი და კილაშინი და პიტნაჲ რთულ იყოს. და ესე მაჯუნი ქამოს ვითარებაჲ მისი: სტაფილონისა თესლი და ქექუხისა თესლი და კულანგარი-სა¹⁾ სამყურისა თესლი, რომელსა ჰქვიან ასფისთი, ცენსა დია გაასუქებს თივაჲ არს, დას-თესვენ და სამჯურ მოვალს, და ხახვისა თესლი და სატაკურისა თესლი, რომელსა ჰქვიან მარჩობაჲ, და ნაძვისა გული და შაყაყული და თუდარი და ყურფაჲ და ყუსტი და ზაფრანაჲ თეთოჲსაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი დანაყილი და გაცილი საბაზდანაჲს ზეთითა, რომელ არაბულად მას ბატამი ჰქვიან, დააცხიბინოს და მაშინ თაფლითა შეზილოს, და რაჲ დღე მისგინთ ნიგვზისა ოდენი ღვინითა იხმაროს ყრგების.

რად: შვირისა სიმსივნისაგან სიმსუპრავლისაგან იძოს და თუ სიგრილისაგან, ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს. აბაჯარი იტყვის: სისხლისა სიმხურვალისაგან იქნების და მისისა სიფიცხისაგან, რომელ ბუნებისა ძალსა მიეძალოს მუნ. ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ მისისა მორგენისაგან ესე გამოჩნდეს ყვერთა შიგან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისაგან იყოს: იგი არს, რომელ ფერად წითელი იყოს და ზელისგან გახურდეს და ფეთქდეს. და ნიშანი მისი რომელ ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ დია სტეიოდეს, ისრისაებრ სცემდეს.

კურნება მისა რომელ სიმხურვალისაგან იყოს: ბასალაყი გაიხსნას სიმსივინითჲ და თუ ორგინითჲ სიმსივნე იყოს პირველ მარცხნით გაიხსნას და მეორესა დღესა მარჯვენით, სრელისა ძლისა მისაფერად. და ჯალზაბად და ძაღლის ყურძნისა წყალი და მეშბაპარისა წყალი, და სანდალი და ვარდი შემოსდვას. და ქრთილისა წყალსა და სადაგსა სიქანგუბინსა იხმარებდეს, და შაჰნარსა მოსწოვდეს, და კატკატოჲსა თესლისა წყალი, და ბაზრავატურისა ლუბი სიქანგუბინითა და ჯულაბითა იხმაროს. და რაჲ სიმსივნე გაიხსნას და სიმსივნე მოაკლდეს ისრისა ურწყოჲსა ქამდეს და მომროდანი შესცხოს და მაშინ აბანოჲს მივიდეს და ნელი წყალი დაიხსნას კარგი არს.

ისაჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალაყი გაიხსნას და მანქისა დასაწყისსა ესე წამალი იხმაროს, ვითარებაჲ მისი: არდისა წყალი და ძაღლის ყურძნისა წყალი და მეშბაპარისა წყალი იისა ზეთითა და თეთრითა ცვილითა გაპრიოს, და ყოველი მალ-ჰამაჲ ვითა შექნას. და ესე სხვაჲ შემოსადებელი ვითარებაჲ მისი: ქრთილისა ფევილი და ბალბად და ხმელი იაჲ და თეთრი სანდალი თეთოჲსაგან ნაწილი ერთი დანაყილი, ძაღლის ყურძნისა წყალი და ახლისა აყიროჲსა ნათალი და იისა ზეთი ერთი დანაყილი, და მანქისა ადგილსა შემოსდვას კარგი არს. და ესე წამალი შემოსდვას დია კარგი არს, ვითარებაჲ მისი: ორთავე კიტრისა თესლი და ნესვისა თესლი და აყიროჲსა თესლი თეთოჲსაგან ზუთისა დრამისა წონი, კატკატოჲსა თესლი და ბალბისა თესლი, და ხორფარატისა და ფარისიავოშანი თეთოჲსაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი დანაყილი ორისა დრამისა წონი-ჯულაბითა შესუას ერგების თუ ღმერთსა უნდეს.

ყვერისა სიმსივნისა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. არბი-ასიოს იტყვის: ბალდამურისა გასარეგლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ შიგან შეყრილ იყოს, ანუ სასველდასა ხილტისა ფიცხელისაგან რომელ მისისა ბუნებისად მორგენილ იყოს და იგი მანქი გამოჩნდეს მაშინ.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ბალდამისგან იყოს, რომელ სიმსივნე თეთრი და ლბილი იყოს და მოსმისაგან გაგრილდეს და არ სტეი-

1) ამ სიტყვის გასწვრივ ამაზეხ ზედრული ხელით სწერია „კულანგარი სამყურა ბალაბია—ასფისთი თესლსა ჰქვიან“.

ვოდეს. და ნიშანი მისი რააც სევედისაგან იყოს იგი არს, რომელ სიმსიენე მავარი და ფერად შევეგრემანი [იყოს].

კურნება მისი რაა სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ ევეთითა წამლითა იხმარებდეს რომელ ბალამსა ჩამოიღებდეს, რომელ ტანი მანკისა ღედისაგან გაწმდეს. და გულანგუბინსა ნელითა წყლითა იხმარებდეს, და ბანისა ზეთითა ანუ იასამინისა ზეთითა მანკის ადგოლსა იხელდეს, და ასფარამთა იხანებოდეს. და მუხუდის წვეცნა ქამდეს და თუ ამით რომელ ვთქვით სიმსიენე არ გაიხსნას, ესე შემოსადებელი იხმაროს რომელ სიმსიენე გაიხსნას ვითარებამ მისი; თუთრი საქმელი და ბაკლასა წმიდისა ფქვილი და ძირაა ყოველი დანაყოლი და გაცრილი ცვილსა და ცმელსა გაპროოს, მაღაჰმად შექნას და შე-
10 მოსდვას, ერგების.

ბაყრატ იტყვის: თუ სასევედოასა ხილტისგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ბალასა ფქვილი და მუხუდისა ფქვილი, და სელი და წუნწუბისა ნაცარი, და აქლილალმლიქი და ბაბუნა, და ია ცვილსა თანა გაპროოს და ხმელი ია ყოველი დანაყოლი სოსანისა ზეთსა და თხის ცმელსა გაპროოს და მაღაჰმად შექნას და შემოსდვას. და თუ არ გაიხსნას კურნება მისი იგი არს, რომელ მუყული და ვაშა და სძე და შემგბარი ღვინოთა ყველაა ერთგან გაპროოს ეგდენი რომელ წამლები მოკრიბოს, და სოსანისა ზეთი შესცხოს, და ესე შემოსადებელი შემოსდვას რომელ ვახსენეთ, და რაა წამლი მისგნით ილოს ნელი წყალი ზედა ასხას. და საქამადა ზირაბაჯსა ქამდეს ურწყოასა. და თუ სელი და აქლილალმლიქი და ია თხის ცმელსა თანა გაპროოს და გაადნოს და მანკსა ზედა შემოსდვას ერ-
20 გების. და თუ მუხუდისა ფქვილი და თხის ცმელი და შემგბარი ღვინოთა ერთგან გაპროოს და მაღაჰმად შექნას და შემოსდვას. და გრილთა და უღნობთა საქამადთა ერიდოს.

რამ. ფეტიხს ძარისა ვითარებამა რომელ საზარდულსა შიგან ანუ ყვერთა შიგან იყოს. ვითარებამ მისი რაა საზარდულსა შიგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ფეტყისა ქარი ერთი იგი არს, რომელ საზარდულსა ქვეშეთ არს მას ადგოლსა, რომელ არაბულად მარაყი ჰქვინ. ვითარებამ მისი სქელისა ქარისაგან იქნების, რომელ მძიმე ტვართი აელოს ანუ უმაღლისა ადგილისაგან ჩამოხტეს ოდენმე.

ნიშანი მისი რაა საზარდულისა შიგან იყოს. იგი არს, რომელ სნეული ჰირ აღმა დააწვინონ ორივე ხელი მანკისა ადგილსა შემოსდვან, ქარი თავისა ადგილსა მივიდეს.

კურნება ამის მანკისა: ვადრადუღბ მეცნიერთა აქიმთა, მით რომელ საკრძალავ არს, და ჰირი დია არს მისსა კურნებასა შიგან, და ზოგნი ჰკურნებენ მით რომელ არ გაძნელდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ საქამადას უჯანით ყოლა არ იაროს და ყოველთა ქარიანთა საქამადთა ერიდოს. და მაძლრად რაა იყოს ყოლა ნურას ქამს. და რასაცა საქმესა იქმოდეს უზამან ქნას. და რაა ქვეჯდეს მიწყით უბესა ქვეშ და საზარდულსა შეკრულმიცა აქვს. და რაა ადგეს ნუ ახლტერის ერთხელად და ხელი მას შეკრულსა ზედა და-
30 ლისა შემოაჭიროოს, რომელ ქარი მუცელსა შიგან შევიდეს მაშინ ადგეს, და ოთხედილითა შემოსაკრავითა მავრად შეკრას. და შემოსადებელისა რომელ სქელსა ქარსა ერგებოდეს იხმარებდეს ვითა ყოლინჯისათვის გვითქვამს. და ყოლა დიაცსა ნუ დაეკარების, ნუცადიოზახებს, და ნუ, რას აიღებს, და მაღლისა ადგილისაგან სწრაფათ ნუ ჩამოვალს, ესე ყოვე-
40 ლი ფეტყისა ქარსა აენებს. და თუ რაა ამისგან წაეკიდების სხვა მანკი გამოაჩნდების. და თუ ფეტყი ცოტაა იყოს და კაცისა ასოა ლბილად იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ რააცა სქელსა ქარსა გაპროოს წამლითგან და საქამადითგან და მაღაჰმადთგან ვითა ყოლინჯისათვის გვითქვამს იხმარებდეს. და თუილსა წყალსა ერიდოს და ყოლა მძიმეთა საქამადთა ნუ ქამს და ქარიანსა, და ნუ იარების.

ვითარებამ ფეტყისა ქარისა რაა საზარდულისა შიგან იყოს. ვითარებამ მისი რაა ყვერთა შიგან იყოს. ჯალანოს იტყვის: ესე მანკი ოთხფერად არს.

ერთი იგი რომელ წყალი ყვერთა შიგან ჩაიჭრას, მეორე ქარისაგან იქნების, მესამე ცმელი-საგან იქნების, მეოთხე წელთა კუთხისაგან იქნების, რომელ მას ღარსა შიგან ჩავიდეს და მანკი გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაა ყვერთა შიგან იყოს. რააცა წყლისგან იყოს იგი არს, რომელ ყვერი წითლად იყოს და ხვამ ეტრატისა იყოს, და რააცა ქარისაგან იყოს გას-ხირაული იქნების ვითა მშვილდისა საბელი და ასტყვიდების, და რაა ქარი დია იყოს უყუ-რებდეს. და ამა ორთა ფერთა სხვათა ნიშანი ხელითა შეიგნების, ჰაზრითა.

კურნება მისი რაა ყვერთა შიგან იყოს: ფეტყის ქარი რაა მოწიფელო-ბისა ეამსა იქნას არ ოდეს გამართლდების, მაგრა კურნება ხამს რომელ არ გაძნელდეს. და 10 კურნება მისი რააცა წყლისგან იყოს იგი არს, რომელ გახსნითა წყალი კიდე გამოიღოს ვითა მუცელსა გაპხსნიან ისთისყაასათვის. და კურნება მისი რომელ ქარისაგან იყოს იგი არს, რომელ მზურავლი მაჯუნ იხმაროს და შემოსადებელი¹⁾ უყოს სარვისა ნიგვზისაგან, და მურისა და სუდისა წებოსა, და მაზანგოზისა და გუნდაასა, და თეთრისა საკელისა-გან. ესე ყოველი დანაყოს და წყლითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და მძი-მეთა და ქირისა ნახვისაგან ერიდოს. და რააცა ცმელისაგან იყოს იგი არს, რომელ ყვერთა ჩაუვიდეს, ანუ წელისა ყურისგან იყოს რომელ ღრუჟსა ჩასრულ იყოს, შეკრვისაგან უმჯო-ბისი არა არს, და დიაცსა ნუ მოჰხანავს, და ქარიანსა ნურას ქამს, და მაწყით მასთაქისა ზეთსა იცხებდეს.

როდეს იყვის: ბაკლად და ოსპი და ლობიოა არ ექმევის. და მამღარი ნუ იარების 20 და მიწყით შეპკვიდეს. და ფეტყი რომელ ქარისაგან იყოს ხაზდისა გული და ფარფიონი ზეთის ხილისა ზეთითა გაადნოს და სარცხვენლისა ხერელსა ჩაასხას, და საზარდულსა შეს-ცხოს. და თუ ბალამურისა ხილრისგან იყოს ესე შემოსადებელი შემოსდვას ვითარება მისი: სარვისა ნიგოზი და ბრომეულისა ქერქი და შაბი იამანური და ბრომეულისა ყუბაილი²⁾ ქერქი და ვარდი, და მორდი თვითოვსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ტყელისა გო-მიზი და თევზისა წებოა გაპაროს, და ცოტაა შრეში გაპაროს და მანკისა ადგილსა შემო-სდვას. და საკამადსა ცოტაასა ქამდე³⁾ ერეგების. და ძირაჟსა გვარისა და პიტნაჟსა გვა-რისა იხმაროს ერეგების. თუ ღეროსთა უნდეს.

რამ. ზედვანისა შემკულთაგან რომელსა ჰქვინან არაბულად იმთინაჟალ რაჰიმ.

ვითარება მისი რაა მანისა წყლისა სიმრავლისაგან იყოს. ბაკრატ იტყვის: ესე მანკა 30 ორისაგან: იქნების ერთი მანისა სიმრავლითა, მეორე წიღოვნობისა შეკრულობისაგან. ვითარე-ბა მისი რომელ მანისა წყლისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს, რომელ დიაცსა ქმარი არ ესვას და წყალი დაშავდეს მისი, და მისგნიო ჰავი ბუხარი თავსა გაუხუდეს.

ნიშანი მისი რაა წყლისა მანისა სიმრავლითა იყოს. იგი არს, რომელ დიაცი დაჰხნდეს ვერე რომელ მტერდაცემული, და გამოცნობა მტერ დაცემულსა და ამას მანკსა შუა იგი არს, რომელ ცნობაა წაუფა დიაცსა მაგრაჰ პერულსა ვერ ამოვა პირსა ამას მანკსა შიგან.

კურნება რაა მანისა წყლისა სიმრავლისაგან იყოს. იგი არს, რო- 40 მელ ქმარი შეირთოს, და თუ ქმრისა შერთვა არ მოუხდებოდეს ეგეთი წამალი რომელ მამა-ცისა ნდომასა აკლებდეს იხმაროს, სისანბარი და თეთრისა იასამნისა ზეთითა იპყრას და გოგირდი დამწუარი მჭვარი ცხვირთა ქვეშე იკმოლოს. და უბესა და საზარდულსა ზედა ქი-ქაა მოჰკიდოს, და მიწყით ფერხთა იხელდეს. და რივისაგან გარე ეგეთსა წამალსა იხმარე-შდეს რომელ დიაცი მამაკისა მონდომასა მოაკლებს. და ეამი იქნების რომელ სული აღარ ჩაუვიდოდეს და მაჯასი არ ეძვროდეს, და იქნების რომელ ერთსა დღესა ეგრევე

¹⁾ ამ გვერდის ქვეშა აწიანე რეველთა სათვალავი სწვრია „კით“ და შექვევ გვერდის ზემო აწიანე „მ“

²⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნას ხელით.

იყოს და ევრე ეგონოს რომელ მამკედარ არს. და კურნება მისი ჰასეთობასა შიგან იგი არს, რომელ ზეპდანისა თავსა მიწყით იზღუდეს, და სურნელი შემოსდეს რომელ იჯობინოს.

ისაჲ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მამაცი მიწინოს და მუცელი და-
ილბოს ხიარ შამართა და იაათა და შირახიშითა, და ყოველი მისი მსგავსი მისთვის
კარგი არს. და ცემისა ეამამდე ყოველსა გრილსა ქამდეს ვითა ორთავე კიტრთა წმიდათ
დარჩეული თესლი, და არდის წყალი და ქაფური, და სიქანუბინი. და რა და ცემული იყოს
ფერხთა უზელდენ და თითთა მისთა. ხოლოყისა ზეთი სცხონ, და ზეპდანსა შიგან უყონ და
ზეპდანისა თავი შეარყიონ. და დამწუარი მგვარი და ქერუშტი, და გოგირდი და ხაზბი და
ჯავაშირი, და ჰავთა მყრალთა უსუნებდეს, ჰამოა სურნელი ზეპდანსა თავსა შესცხოს, და
10 რა მანკი გაუგრძელდეს ეგეთი რაამე რომელ ქარსა დაპლევდეს აიპყრობდეს, ვითა ძირაჲ
და ქარვაჲ და მსგავსი მისი.

ვითარება მისი რაჲ წიღოვანობისა შეკრულობისაგან იყოს. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე მანკი ნდომისგან სინედლისა იქნების რომელ
ქალწულთა დედათა მოერიოს, და ანუ წიღოვანობისა შეკრულობისაგან იქნების რომელ ქმ-
როსანთა დედათა გამოაჩნდეს მეტისა მამაცისა ნდომისაგან, და მაშინ ესე მანკი და ქირი
გამოაჩნდეს დიაცსა.

ნიშანი მისი რაჲ წიღოვანობისა შეკრულობისაგან იყოს. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა დიაცი გაზანტდეს და გაყვითლდეს და გასუსთდეს, და რაჲ
მანკი გაძლიერდეს ასოთა შიგან თაშანუჯი გამოჩნდეს და მანკი რიგსა ზედა მოუვიდოდეს
20 მტერთა დაცემისაებრ, და ფსელი შავი იყოს.

კურნება მისი რაჲ წიღოვანობისა შეკრულობისაგან იყოს. იგი
არს, რომელ საფინი ძარღვი გაიხსნას, და იგი ძარღვი კოქისა სიხალესა არს შიგნით კერძოთ,
და წვიგსა კიქა მოჰკიდოს და მუცელთა ქვეშეთ კიქა მოჰკიდოს მრავალგან. და ეგეთთა
წამლთა იხმარებდეს რომელ წიღოვანობისა სისხლსა ჩამოიღვდეს და რიგისა ეამა წვიგნი
შეიკრას და ფერხთა იზღუდეს. და მყრალთა უსუნებდეს ვითა ყატრანი, წერი მგონიან, და
ხაზდისა გული და ჯავაშირი. და ჰამოთა სურნელთა აიპყრობდეს. და რაჲ რიგი გარდვიდეს
არწყიოს და ღარღარაჲ ქნას უნსულისა ძმრითა. და მუთყალი ერთი დაჰმართაჲ ჰამოს მარ-
დაჰუზითა წყლითა, და ქაქნასა მაჯუნი მისთვის კარგი არს. და ყოველისგან უმჯობესი
რომელ ჩვენ გამოგვიცდია ამას მანკისათვის მარგი, ნაჯაჰური მაჯუნი არს, იხმარებდეს
30 ერგების.

მასარაჯოჲ იტყვის: ესე შავი წიღოვანობისა სისხლსა ჩამოიღებს ვითარებაჲ
მისი: სპარსული უშნანი და აყირყირჰა, და სონიჯი და ტეგანაჲ და ფარფიონი თვითოჲსგან
ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და გაცრილი თეთრისა იასამინისა ზეთითა შეზილოს და
მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას. და ესრევე სოსნისა ძირი და უშანი, რომელსა ჰქვიან
ბურიხანი, ორთა დანაყის და კალნანისა წყლითა შეზილოს და აიპყრას კარგი არს. და
ესე წამალი სხვაჲ წიღოვანობისა სისხლსა ჩამოიღებს და ზურგისა წყალსა დამატრობს ვი-
თარებაჲ მისი: ფანჯანგუშითა თესლი და ტეგანსა ფურცელი, და პიტნაჲ და სპანძელისა
თესლი და სული და სალიხაჲ შავი, და ყუსტი თვითოჲსგან ნაწილი ერთი, ხაზდისა გული
და მორადი თვითოჲსგან ნახევარი ნაწილი, ყოველი დანაყილი თათლითა შეზილოს და ნიგვ-
40 ზისა ოდენი თფილითა წყლითა დანაყილისა ძირაჲსა თანა იხმაროს, ერგების.

რამე წიღოვანობისა მახსნაჲ რამელსა ჰძვიან ნაჯუფი: ვითარებაჲ მისი. ბაყრატი იტ-
ყვის: ვითა სისხლისა სიმრავლისაგან იქნების რომელ ტანსა შიგან შეიყაროს, ანუ სიფიც-
ხის და სითხისა სისხლისაგან იქნების, ანუ ძნელად შობისაგან იქნების, ანუ ნასობისაგან
იქნების, რომელ ზეპდანსა შიგან გამოჩნდეს ოდესმე.

ნიშანი მისი იგი არს რომელ: რაჲცა სისხლისა სიმრავლისაგან იყოს, რომელ ტანი უსუსურად იყოს და ფერი შეუცვლელად იყოს, და რაჲცა სისხლისა სიფიტისისაგან იყოს იგი არს, რომელ ჩნდეს, და რაჲცა ნასორისაგან იყოს იგი არს, რომელ უჟამოდ და ურგოვად ჩამოვიდოდეს.

კურნებაჲ მისი ბაყრატიჲსა ნათქვამისაგან: რაჲ სისხლისა სიმრავლისაგან იყოს უმჯობესი იგი არს, რომელ დაეხსნას, სდიოდეს მუნამდე¹⁾ რომელ კაცი დაუსუსუროს და ფერი გაუყვიოდეს, და მაშინ ძუძუათა ძირი ასაბითა შეუქრან, და კიჲაჲ ცეცხლითა მკერდზე მოჰკიდონ, და ეგეთი შაფი რომელ წიღოვანობასა უქუაყენებს აიპყრას, და ეგეთი წამალი რომელ მას ერგებოდეს იხმაროს და ციესა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და

- 10 მეავეთა და შემკერელთა საკამადთა ჰამდეს ვითა თუთუბისა და ისარიჲსა უხდურსა. და ეგეთი წამალი რომელ სისხლი უქუაყენოს და ტანი გაახმოს იხმაროს. და კურნებაჲ მისი რომელ შობისა უკანით ქნილ იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე ჰამდეს რომელ სისხლსა გაასქელდეს, და ქაჰრაბასა, ყურსიცა კარგი არს, და რაჲცა ზეჰდანისა სიწყლულსა ერგებოდეს იხმარებდეს. და კურნებაჲ მისი რაჲცა ზეჰდანისა ნასორისაგან იყოს იგი არს, რომელ ბასლიყი გაიხსნას და ქაჰრაბასა ყურსი ჰამოს, და ეგეთი ჰუყნაჲ უყოს რომელ ზეჰდანისა ნასორისათვის მეორესა წიგნსა შიგან გეითქვამს. და ესეცა წამალი წიღოვანობასა შეჰკრავს ვითარებაჲ მისი: გუნდაჲ და გრკოჲ ორივე ძმარსა შიგან გაჰკროს, დააღბოს, და ყარანფული და ბროწყელისა ყუბვილი თვითოასაგან ზუთისა და დრამისა წონი ხანდისა გული დრამისა წონი ორი, ვარდი დამწფარი და ქაჰრაბაჲ და ძოწი ორთავე ცოტაჲ, ცე-
- 20 ცხლი უჩვენოს და თვითოასაგან სამისა დრამისა წონი ცივითა წყლითა იხმაროს. და თუ არ გარდვიდეს სადინი ძარღვი გაიხსნას და წვივითა კიჲაჲ მოჰკიდოს. და მურისა ყურსი ტეგნაჲსა წყლითა ანუ ნიახურისა წყლითა იხმაროს. და ესე შაფი აიპყრას სალიხაჲ და მურსა და მუშკი ტრამეშაღი და ნიახურისა თესლი ყოველი დანაყოს და შაფად უყოს და აიპყრას. და შაფისა მუხუდის წუწენი ნიგვზისა ზეთითა ჰამოს ერგების.

ვითარებაჲ მისი რომელ ძარღვთა უსუსურობისაგან იქნებნის. ისაჲ იტყვის: რაჲ დია სისხლი მოვიდოდეს და ვერ დაიჭირვიდეს ანუ ზეჰდანისა სიწყლულისაგან იქნებნის, ანუ სისხლისა სიბიხისა და სიმრავლისაგან იქნებნის, ანუ ნაკრავისაგან იქნებნის რომელ ზეჰდანსა სცემოდეს.

- ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ძარღვნი რაჲ უსუსურად იყვნენ სტკიოდენ, და მა-
- 30 ჯასი უსუსურად იყოს. და სიწყლულისა მისისა ნიშანი იგი არს, რომელ რაჲცა ჩამოვიდეს თხამლივითა თხელი იყოს და დია არ მოვიდეს. და რაჲცა საშობელისაგან იყოს, რომელსა ჰქვანი რაჰიმი, თვით სნეულსა ჰკითხონ.

კურნებაჲ მისი. ამის მანკისა შეტყეებაჲ დასტურობით სწადდეს რომელ, რომლისა ხილტისაგან არს, ცოტაჲ ტილოჲსა მჯვარი აიღოს თხელი და აიპყრას და მაშინ გაახმოს და ნახოს თუ წითელი იყოს, მანკისა დედაჲ სისხლისაგან არს, და თუ ყვითელი იყოს შაფრისაგან არს, და თუ თეთრი იყოს ბალღმისაგან არს, და თუ შაფი იყოს სევდისაგან არს. და მაშინ ვითაცა იყოს ჰკურნებდეს. მაგრა სისხლისა კურნებაჲ იგი არს, რომელ გრილთა და შემკერელთა საკამადთა და წამალთა იხმარებდეს ვითა ვარდი და ოსპი ქერქ შეხდილი და მსგავსი მისი. და ამა წამალთა თანა რომელიცა ჰამოს, ანუ წყლითა შიგბგოს და მისსა

- 40 წყალსა შიგან ჩაჯდეს, ანუ შემოსდეს. და თუ ლისანალჰაჲლისა წყლითა ოდენ მარტოჲ ჰუყნაჲ უყოს ერგების. და ესე შაფი ქნას: აყაყიაჲ და ქაფური და ლადანაჲ დანაყილი მორდისა წყლითა შეზილოს და აიპყრას. და თუ სურმაჲ და გრკოჲ და ბროწყელისა ყუბვილი და თანგარი თვითოასა ოდენი, ყოველი დანაყილი მორდისა ფურცლისა წყლითა შეზილოს და მატყლსა შესცხოს და აიპყრას ერგების. და თუ მანკი საშობისაგან გარდვიდეს მაშინ

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბასალიცი გაიხსნას და ქაპრაბაასა ყურსი ჰამოს კვირაასა ერთსა, და საჰამადთა მკავეთა და შემკერულთა იხმარებდეს. და თეთრი საკმელი და ბროწეულისა ყუბიელი, და გუნდაა და თვალთა საოლავი, და თეთრი არჯასპი და აყაყიაა წმიდად გაგალოს და მატყლითა აიპყრას და ფიცხელი ჰუენაჲ ყურსი, კარგი არს.

რამ. წიღოვანობისა შამარულთაჲ რომელსა ჰჰმინა ილთიბასხლამთ. ვითარებამ მისი. იოჰანა იტ [ყვეს]: შეკრულობამ მისი ანუ სისხლისა სიმცრომასაგან, ანუ სისქითა და გაყინულობითა მისითა იქნების ანუ გრძელთა სნებათაგან და სიმშლიისა და უღონობისაგან, და კირი და შეკრეგებამ ხანთა გრძელთა.

ნიშანი მისი რომელ სისხლისა სიმცრომთა ქნილ იყოს. იგი არს, 10 რომელ მკლე იყოს და ყვითელი. და ნიშანი მისი რააცა სისქისაგან იყოს იგი არს, რომელ დიაცი სუსთად იყოს და მსუქანი და ხორციანი.

კურნებამ მისი რააცა სისხლისა სიმცრომასაგან იყოს. იგი არს, რომელ საჰამადსა მოიმატოს და გამოსვენებით დაიჭიროს თავი, და სურნელთა უსუნებდეს და იხანოს, და ძილსა მოიმატოს და კირი არაჲ ნახოს. და რააცა სისხლისა სისქისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა წამალთა იხმარებდეს, რომელ სისხლსა ანატევებდეს, და მუხუდის წვენი ცერეკომთა და და ძირათა იხაროს და მკავეთა და ეგეთთა რაჲსმე რომელ სისხლსა გაასქლებდეს ერიდოს. და წვიეთამ კიქამ მოიკიდოს მანკისა ჟამსა უწინათა ორითა დღითა, და საფინიცა გაიხსნას რომელ წიღოვანობამ არ შეიკრას. და მაშინ კიქამ უხესა და საზარდელსა მოჰკიდოს რომელ ჩამოვიდეს. კურნებამ მისი იგი არს, რომელ ნიახურისა თეს- 20 ლი და ანისონი და ბადიანი და პიტნამ მთისა ყოველი დანაყოს და თავლითა ანუ შავისა მუხუდისა წყლითა იხმაროს. და კალნაბი და ნიახური და ბადიანი და ტეგანამ და ბაბუნამ და აბჰალი, და პიტნამ ყოველი წყლითა შეაბგოს და ტაშტსა შიგან ჩაასხან და შიგან ჩაჯედეს, და თუ ფაჩარი და კილაშონი და სალიხამ და ბალასნისა შეშამ, და ჯავზი ბოიი მქსიედ დანაყოს და წყლითა შეაბგოს და ძფილი მისი მრავალჯერ უხესა და საზარდელსა შემოსდეს კარგი არს. და თუ ნახევარ მტუქალი ხაზლისა გული და ორი ჰამამ მუშვი ორივე იასამინისა ზეთითა გაადნოს და მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას ერგების. და თუ პიტნამ და აბჰალი და ტეგანამ თვითოჲსა ოდენი, ხაზაშისა ქერქი და ქერუშტი თვითოჲს- 30 გან ნახევარი ნაწილი, ყოველი დანაყილი პიტნაასა წყლითა შეზილოს და მატყლითა აიპყრას კარგი არს. და თუ ქალბანამ და ხაზლისა გული და აბჰალი და მური თვითოჲსა ოდენი, ზროხისა ნავალითა და ტეგანამა წყლითა შეზილოს და მატყლითა აიპყრას, კარგი არს.

ვითარებამ წიღოვანებისა შეკრულობისა. როფის იტყვეს: ესე მანკი სნებისაგან იქნების ანუ ზქდანისა სიმსივნისაგან, რა ჟამს უქურნონ და წიღოვანობისა გზამ შეიკრას, ანუ სისქითა და სისხლისა სიმცრომთა.

ნიშანი მისი რომლისა ნათქვამისგან. იგი არს რომელ ყოველი ასომ მძიმელ იყოს და საჰამადი არ მოუნდებოდეს, და თავი და ზურგი და წელი და თვალნი სტიკოდეს, და ბარკალნი სტიკოდეს და, ფიცხელი ცხრომ იყოს, და ფხელი შავი და მოწითლე იყოს.

კურნებამ მისი რომლისა ნათქვამისგან: იგი არს, რააცა სნებისაგან იყოს რომელ საჰამადსა მოემატოს და თავსა კარგად ექცეოდეს, და ნელსა წყალსა მანკსა ზედა ისხამდეს) და ღვინოასა წყალ რეულსა სმიდეს. და კურნებამ მისი რააცა ზეჭანისა 40 სიწყულლისგან იყოს იგი არს, რომელ ჰუენამ და შემოსადებელი ღლილი და გამსხნელი ყურსი, და ესე წამალი მას ერგების ვითარებამ მისი: წითელი ღობიოჲ და უღობო თვითოჲსაგან პევმვი ერთი, ანისონი და ტეგანამ თვითოჲსაგან ხუთისა დრამისა წონი, ყოველი ორსა ლიტრასა წყალსა შიგან შეაბგოს რომელ ნახევარდ მოვიდეს, გამოწუროს და მეთხელი მისგნით შესჭას, და ესე ყურსი ჩვენ გამოგვიციდია შეკრულობასა რასა განცა იყოს გახნის ვითარებამ მისი: მური სამისა დრამისა წონი, თურმისი გაგლილი ხუთისა

1) ამ გვერდის დასასრულს აწიხე სწერია „იხელდეს“

დრამისა წონი, ტეგანა და უღბოდა მუშეი ტარამეშალი და ანგუზადი რომელსა ჰქვიან უპანი, და სიქაბენა და ჯვარშირი თვითოვსგან ორისა დრამისა წონი, ყოველი ერთად გაკარიღს დანაყლი და ყურსად უყოს თვითო მისი ორისა დრამისა წონი, და ერთი ყურსი აბაპალითა იხმაროს, სისხლსა ჩამოიდებს. და წვივთა კიქა მოჰქიდოს, და საფინი გაისნანს და უპესა და საზარდულსა კიქა მოჰქიდოს, და თუ ჯვარშირი და ქერუშტი და სადაფისა ფრეხილი თალარსა ქვეშე იკმოლოს, და თალარსა ხეველი იყოს და ზედა შემოჯდეს რომელ კვამლი აუვიდეს ერგების, და თუ შაში ჰანტალი ესრევე იკმოლოს კარგი არს. და ბირმაქისა ყურსსა ამისათვის დიდი ხასიათი აქეს რაჲ თვესა შიგან მისგნით ორი შარბათი იხმაროს, და თუ ფურთა სქე და აფსანთინი და სალიხასაგან მუთყალი ერთი

- 10 რუხასულთა პიტნისა წყლითა იხმაროს, დია სარგებელსა უზამს, გამოცდილი არს ესე.
- რამთ. ბასიკვაბა საშობელისა რომელსა ჰქვიან ვეჰლანი. ვითარებამ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს მუჰამედ ზაქარიას ძე [იტყვი ს] ვითარებამ მისი წიღოვანისა სისხლისა შეკრულობისაგან იქნების, ანუ ძნელად შობისაგან ანუ ნაკრავი რაჲმე ეცეს მას აღდგისა. და იქნების რომელ თვით ამათაგან კიდ სიმსიენე იყოს შიგან, ბუნებისა სიმხურვალისაგან რომელ მანდა ჩაავდოს ბუნებისა ძალმან.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ცხრომ მხურვალი იყოს და ენა ვაშავდეს და თავი და ყელი და ზურგი სტკიოდეს, და მუცლი შეიკრას და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს, და მაჯასი ერცხებ და წილობილ იყოს.

- კურნება მისი რაჲ სიმბრვალისგან იყოს. რაჲცა ძნელად შობისაგან
- 20 ქნილ იყოს კურნება იგი არს, რომელ ბასალიყი გაისნანს, რომელ ქენების დედათა შობისა უქანით სისხლი დია ნახოს. და ხელისა გახსნა მას ერგების. და მაშინ ბაზრიატუნისა წყალი და ვარდისა ზეთი მანკისა ადგილსა შემოიყაროს. ბარსამისა მანკისა კურნება იხმაროს ვითა ქრთალისა წყალი და იისა შარაბი და ბაზრიატუნისა ლუბაი, და თუ მანკი სტკიოდეს და ფსელი შეიკრას ბაბუნა და სელი და უღბოა წყლითა შეიარგოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს, და წყალი უპესა ზეჟოთ არ გარდვიდეს, და მანკისა ადგილსა ბაბუნაჲსა ზეთითა იხელდეს, და თუ მანკისა სამანი არ იყოს ნურას იქმ ვიდრე ერთი კვირა არ გარდიაროს. მერმე აას მანკისა სასანი სამფერად გამოჩნდების: ანუ გაისნების და ილხენს, ანუ გამაგრდების, ვერევე დაღვების და თხამლად შეიქნების. და თხამლისა ნიშანი იგი არს რომელ სიმსუნე ესრე ფიცხელად ფეთქდეს რომელ მისისა სიძნელისაგან გააცხროს და

- 30 ზოგჯერ ათროთოდეს. კურნება მისი იგი არს, რომელ მეშვიდესა დღესა მას ადგილსა ღბილი მალჰამა შემოსდეს და ვითა ბაბუნა და ბაბუნა და სელი და უღბოა, რომელ მათი წყალი ზეჰდანსა შიგან შეიყაროს. და მიწყით თბილსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს, და მანკისა ადგილსა წელითა ერბოჲთა იხელდეს, რომელ თხამლსა შეყრის ნიშანი სიმსიენესა შიგან გამოჩნდეს მაშინ ნებასა იარებოდეს, რომელ გასქდეს და გაიხეთქოს. და გახეთქისა ნიშანი იგი არს, რომელ სიმძიმილი მისგნით წავიდეს, და თხამლი ფსელსა თანა გამოჰყვეს.
- ვითარებამ ზეჰდანსა სიმსიენისა რაჲ სიგრილისგან იყოს. არ-ბუასი [ოს იტყვის]: ესე მანკი მეტრასა გასარველისა სასველოვსაგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალსა საშობელსა შიგან მიეძალოს, და მისისა მორევისაგან გასივდეს.

- ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ მანკისა ადგილი
- 40 ემძიმებოდეს და სიმსიენე მაგარი იყოს, და ვერ ფსამდეს, და წვიენი გაუსუსოდეს ვერე რომელ ძლიერ აღდგებოდეს.

კურნება მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. მანკისა დასაწყისსა ბასალიყი გაიხსნას და უზამან გულანგუბინი და სიქანგუბინი [სვას] და ტანი გაწმიდოს იარაჲ ფეყირათა ანუ აფთიმონისა მატუხითა. და მანკისა ადგილსა ბატისა ცმელითა. ანუ ქათმის ცმელითა, ანუ ცერეკოვსა ზეთითა იხელდეს და ბაბუნა და აქლილალმაქი და იამ წყლითა შეაბგოს და მას წყალსა ზედა იხმიდეს. და საზარდულსა უღბოვსა ლობითა და სელითა და ქურჯი-

დისა ზეთითა იხელდეს, და საქამადსა ზირაბაჯს ურწყოასა ჭამდეს, და თუ სნეული უსუსურად იყოს შურგავა ჭამოს, და თუ მანკი კირჩხიბად შექნენ იყოს თაღბირი უყოს ეგეთითა რომელ ტკივილსა დააწყნარებდეს, რომელ სიმსივე არ გაუდიდდეს.

ბაყრატი იტყვის: კურნება ამის მანკისა იგი არს, რომელ ესე შაფი აიპყრას ვითარება მასი წეროასა ცმელი და სოსონისა ზეთი და თეთრი ცვილი და სელისა ლუბი და ულბოასა ლუბი ყოველი ერთგან გაპროის და ცმელი და ცვილი გაადნოს და ერთგან მალპამად შექნას და შემოსდეს. და ესე შემოსადებელი სხვაა ჩვენ გამოგვიცდია, ვითარება მისი: სელი და ულბა და ბალბაასა თესლი და განდანაასა თესლი დანაყილი და თეთრი ცვილი და ზროხის წვივისა ტვინი და ქუნჯიდისა ზეთი ანუ ერბოა ფურისა გაპროის და ცეცხლსა შედგას, რომელ ცვილი გაადნოს, და მალპამად შექნას და შემოსდეს ერგების, და მიწყით საზარდულსა ბატისა ცმელითა ანუ ქათმისა ცმელითა იხელდეს. და თუ ცერეკოა და აქლილალბილიქი და ბალბისა ძირი და იაჲ ყოველი წყლითა შეაბგოს და მისსა წყალსა ნელსა შინა ჩაჯდეს ერგების და თუ ბატისა ცმელი და ბალბა და ფქვილი ქერისა მალპამად ვითა შექნას და მანკისა ადგილსა შემოსდეს ერგების.

არ. საშობაელისა სიწყულულე და კირჩხიბი როგორ შობან იძნას, როგორსა ჰპნან არაგულად სარატანი. სიწყულულე მისი. აბუჯარი იტყვის: ესე მანკი ნაკრავისაგან იქნების ანუ დაცემისგან მალისა ადგილისაგან, ანუ სიმსივისაგან იქნების რომელ გასქელბულ იყოს, ანუ ძნელად შობისაგან იქნების ანუ მაშინაასა გამოვლისაგან.

ნიშანი მისი რაჲ სიწყულულიგან იყოს საშობელი ისაჲ: იგი არს, რომელ მისგნით თხამლი და სინედლე გამოვიდეს და დია ეწვოდეს და რაჲ ზეპდანისა კარი გააღონ და დიდათა შიგან შეხედნენ სიწყულულე კიდე ჩნდეს, თვალითა ნახოს.

კურნება მისი რაჲ სიწყულულით იყოს. ესე მანკი თუ დაცემისგან ქნილ იყოს და სისხლი სდიოდეს იგი არს, რომელ ცოტად მატყლი ლისანალპამალითა დაასოვლოს და მერმე სომბური მიწა და აყავიად და სარვისა ნიგოზი დანაყილი და ვაცრილი შემოაყაროს და აიპყრას. და ვარდისა წყლითა და ტალისა წყლითა და ქალთა დედისა სძეთა და ვარდისა ზეთითა ჰუენაჲ უყოს. და ქაპრაბაჲ და ყურსი ლისანალპამალისა წყლითა იხმაროს. და თუ მასგან თეთრი თხამლი გამოვიდოდეს კურნება მისი იგი არს, რომელ ვარდისა ზეთითა და იისა ზეთითა ნელითა ჰუენაჲ უყოს. შეიგნეს რომელ ზეპდანი თხამლისაგან ვაწყმედილ არს და თუ თხამლი არ გამოვიდოდეს ქრთილისა წყლითა და თაფლითა ჰუენაჲ უყოს, და თუ ულბოა და ოსპი და ბალბაჲ და ანაქეთი ყოველი ტილოსა მჭვართა შეკრას და წყლითა შეაბგოს, და იაჲ დრანისა წონი, თაფლი გაურიოს, და თბილითა წყლითა ჰუენაჲ უყოს, ტკივილი დაუწყნარდების.

მასარჯოა იტყვიან: თუ სიწყულულე მხურვალისა სიმსივისაგან იყოს, კურნება მისი იგი არს, რომელ გრილითა უყურნოს ვითა მისთვის გვითქვამს. და თუ თხამლი მყრალი გამოვიდოდეს, ჰყურნოს ეგეთითა წამლითა რომელ კირჩხიბისათვის გვითქვამს. და თუ სისხლი მისგნით გამოვიდოდეს ჰყურნოს მით წამლითა რომელ ვახსენოთ: ცოტად ბანბაჲ ლისანალპამალისა წყლითა დაასოვლოს და ხონისიოშანი და სომბური მიწა და შადნაჲ და სპრი და თეთრი საქმელი, და სპეტი და აფთიმონი დანაყილი, მას ბანბასა შემოაყაროს და მაშინ აიპყრას, და ქაპრაბაასა ყურსი იხმაროს, და თუ თხამლი თეთრი იყოს სპეტისა მალპამად და ვარდისა ზეთი გაპროის, და ჰუენაჲ უყოს.

ვითარება ზეპდანისა რაჲ შიგან სარატანი იყოს, კირჩხიბი. მასარჯოა იტყვიან: ვითარება ამის მანკისა სასეცდოასა გასაერეველისა სიმეტისგან იქნების, ბუნებისა ძალი მას ზეპდანისაჲ მიუძალბეს და რაჲ¹⁾ მოერიოს და დაიმკვიდროს ესე მანკი გამოჩნდების.

ნიშანი კირჩხიბისაჲ რაჲ შიგან იყოს. იგი არს, რომელ დია სტკიოდეს და ემძიმებოდეს და ფერად შავი იყოს ანუ მწყანე ფერი იყოს, და თუ დამაწყულულეებ-

¹⁾ ან გვერდს ქვემო აწიხე რვეულთა სათვალავი სწერია „ზ“.

ლი კირჩხიბი იყოს ნიშნი მისი იგი არს, რომელ დია მყარლი თხამლი გამოვიდოდეს მისგან.

კურნება კირჩხიბისა რომელ შიგან იყოს: იგი არს, რომელ ამის მანკისა დასაწყისსა ხირისა და ბაბუნასა ზეთი, და ბატისა და ქათმისა ცმელი და ვეგთი მალჰამა რომელ მაგრისა სიმღინისათვის გვითქვამს იხმარებდეს. და რასაცა იქმოდეს ცხიბთა და მუდარით იქმოდეს რომელ არ დაწყულდეს. და რაა იფეთქოს და სტივიოდეს ვარდისა ზეთითა და ბაზრატუნისა წყლითა ჰუენაა უყოს და გრილი მალჰამაა შემოსდეს რომელ დაწყნარდეს, და ჯობინსა ნუ ეძებ ამას დაჯერდი რომელ არ იზატოს. და რაა დაწყულდეს კურნება მისი იგი არს, რომელ აბანოას მივიდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდეს.

10 და ქალის დედისა სძე და თეთრი შაფი ცოტასა აფიონსა და ზაფრანასა გაპრიოს და მაშინ ჰუენაა უყოს რომელ ტყვილი დასწყნარდეს. და ლეღვი და ჩამიჩი და უნაბი და სიფისთან ერთგან გარიოს, და ხიარ შამბარი და ნუშისა ზეთი გაპრიოს, და იხმაროს.

10 ოჰანა იტყვის: ესე მანკი ძნელად იკურნების, მაგრა ჰკორინო რომელ არ მოიმატოს, კატატოასა თესლი და ბალბა ნელდი თაფლისა წყლითა გაპრიოს, და მაშინ ვარდისა ზეთითა კარგად იხელოს¹⁾ და მანკის ადგილსა შემოსდეს, და ნელი წყალი და ქალისა დედისა სძე, და ვარდისა ზეთი და კატატოასა თესლი დანაყილი ერთგან გაპრიოს და მით ჰუენაა უყოს. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გარდვიდეს კურნება მისი იგი არს, რომელ ლიჰიათა თაისისა აფშარაბა, და სპეტითა და სომხურითა მიწითა, და ლისანალჰამა-ლისა წყლითა ჰუენაა უყოს და თიკნისა ხორცსა და ღურჯისა ხორცსა რომელ ნარფითა 20 საწვლელითა შექნი იყოს ჰამდეს. და ხილთაგან ლეღვი და ყურძენი თეთრი და ვაშლსა და აბამსა ჰამდეს ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

როა. კიდე გამოვლავა საშობაღლისა და სინდლისა დენაა მისგან. ესე მანკი ბალბამურისა სინდლისგან იქნების ანუ მაგარისა ნაკვივისაგან რომელ სცემოდეს ანუ მალისა ადგილისაგან დაცემულ იყოს ანუ მძიმე რამე აეღოს ესე გამოჩნდეს

ნიშანი ზეჰდანიისა გამოსვლისა იგი არს რომელ გამოსრულ იყოს და თვით შეიგნეს, და ესე უმეცართა აქიმთა არა იციან და ყველა ამას მანკსა ვერ შეატყვენენ, თუ დია მეცნიერი აქიმი და მონახული არა არს.

კურნება ზეჰდანიისა გამოსვლისა იგი არს, რომელ დამკერელთა წყალთა შიგან ჩაჯდეს და ზეჰდანი ვარდისა ზეთითა დაიციხიბიანოს და დამკერელი წამლი შემოს- 30 დეს და ადგილსავე მიიღოს. ბროწეულისა ყუბვილი და ვარდი, ოსპი და გუნდაა, და ბროწეულისა ქერქი ყოველი წყლითა შეაბგოს და ზეჰდანი მაგით დაიბანოს და შიგანცა ჩაჯდეს. და თუ ნელი ერბოა შეისხას და თუ მატყლი ამითვე ერბოათა ჩაყოს და შემოსდეს კარგი არს. და თუ ლიჰიათა თაისისა აფშარაბა, ვითამცა ვაცის წვერისაა, ღვინოასა შიგან გააღნოს ანუ მორდისა წყალსა შიგან დააღბოს და ზედა შემოსდეს, კარგი არს.

თიადუე იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მორდისა შტოა და გუნდაა და კრკოასა ჯანთი და თუთუბაა და ზეთისხლისა ფურცელი, და ატმის ფურცელი და სარკისა ნიგოზი ყოველ წყლითა შეაბგოს და შიგან ჩაჯდეს. და თუ ესე შაფი აიპყრას ამას მანკსა დია ერგების ვითარებამ მისი: აყაყიაა და მური და თეთრი საქმელი, და ლადა- 40 ნაა და ბროწეულისა ყუბვილი, და მორდი და ოსპი ქერქ შეხდილი, და ვარდი და გუნდაა თვითოასა ოდენი, ყოველი დანაყილი და მკრველითა ღვინითა შეზილოს და მატყლი მაგითი დასეაროსადა მორდისა წყლისა შიგან ჩაყოს და აიპყრას. და თუ ზეჰდანიას თავი ქვიოდეს ატმისა ფურცელი და ბროწეულისა ქერქი, და ოსპი უჭურქოა ყოველი დანაყილი შაქარსა გაპრიოს და მატყლსა შემოაყაროს და აიპყრას, ერგების.

როფის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ იარაჟსა ჰაბი ჰამოს და იასამინისა თეთრისა ზეთითა და ლალიაათა ჰუენაა უყოს. და სამსა დღეთა ჰამითა სურნელთა

¹⁾ შეხილოს (წამალი).

უსუნებდეს ვითა მუშკი და. ლალია და ამბარი და ასფარამთა წყალსა ვითამცა ყუბავილთა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს [იბანდეს]¹) და ტარათით და აყაყიოა ლისანალჰამლისა წყლითა შეზილია და ზეჰდანისა შემოსდვას ერგების.

გამარულდება ზმჯღანსა და ვითარება მისი. იოჰანა იტყვის: ვითარება მისი გლუსუნისა სქელისა გასარეველისაგან იქნების რა ცალსა კერძსა ზეჰდანისასა მიტენილ იყოს, და იგი კერძი სხვა მისისა სიმძიმისაგან გამარულდების მით რომელ სძლევს.

ნიშანი ზეჰდანისა გამარულდებისა. იგი არს, რომელ დიაცი არ დაორსულდეს და ზეჰდანსა იგი კერძი რომელ ხილტი შიგან იყოს ემძიმებოდეს, და ესე მანე შობასა უკანით გამოაჩნდების დედათა.

10 **კურნება ზეჰდანისა გამარულდებისა.** იგი არს, რომელ იარაგსა ჰაბი ჰამოს ანუ ყოყიასა ჰაბი, და თეთრისა იასამინისა ზეთსა ლალიითა და მუშკითა და ანბრითა გაჰრიოს და უსუნებდეს. და მას კერძსა რომელ ემძიმებოდეს ხელითა იზელდეს, რომელ ზეჰდანი გამოთელდეს. და თუ ძარღვი სისხლითა სავსე იყოს და სისხლისა ნიშანი ჩნდეს, კურნება მისი იგი არს, რომელ მუნთიკე რომელ ემძიმებოდეს ხელი გაიხსნას, და იგი ხილტი რომელ მორეულ იყოს კიდე გააყენოს ტანისაგან წამლითა რომელ საამისოა იყოს, და მაშინ აბანოვსა მივიდეს, და საქამადსა მზურვალსა და ნატიფსა ჰამდეს.

ისაჲ იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ეგეთა წამალთა იხმარებდეს რომელ მსხვილსა გასარეველსა ჩამოიღებდეს. და მანკისა სათაფროა გაწმინდოს ყოყიასა ჰაბითა ესრე, ვითარება მისი: მასთაჲ და აფსანთინისა აფშარა, და საბრი და საყამონი და შაჰში ჰანტალი თვითოვსაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი წყლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და ცისკრისა ეჟსა მუთყალი ერთი იხმაროს.

20 **სინედლისა მოსვლა ზმჯღანსა რომელსა ჰჰვიან სალანალ რაჰიმ.** იგი სინედლე რომელ გამოვიდეს ჰანბონ, თუ წითელი იყოს სისხლისა სიმეტისაგან არს, ბასალიყი გაეხსნას. და თუ ყვითელი იყოს ზაფრისა მორევისაგან არს, პალიაღსა ყვითელისა მატუხი იხმაროს ხილთა წყლითა. და თუ თეთრი იყოს ბაღმისა სიმეტითა არს, კურნება მისი იგი არს, რომელ ეგეთი წამალი რომელ ბაღმასა ჩამოიღებდეს იხმაროს, და დრამისა წონი ერთი დანაყოს და ამოზავებულსა კერცხსა თანა ჰამოს, და პილბილი და ხაზდისა გული დანაყილი აიპყრას. და თუ ფერად შავი იყოს სევედისაგან არს, კურნება მისი იგი არს, რომელ აუთომონისა მატუხი ჰამოს.

30 **რძ. შვილისა მოვლება და ძარღვი რომელ იძოს საშობელსა ზმჯღანსა შიბან.** ვითარება მისი და ყმისა მოვლება.

მესია იტყვის: ვითა ნაკრავისაგან იქნების რომელ მუცელსა ეცეს რამე, ანუ მალისა ადგილისაგან ჩამოხლტეს, ანუ თვით ჩიჭირეს, ანუ ისთიფრალისაგან არს რომელ საშობისაგან გარდასრულ იყოს ანუ გლუსუნისა სინედლისაგან იქნების, ანუ ქართაგან. ისთიფრალი დაკლასა ჰქვიან სილბოთსა, სისხლთა დენითა, რწყევითა რაჰათაცა.

ნიშანი ყმისა მოვლებისა რაჰაცა საშობელისა ნაკრავისა ანუ დაცემისაგან ანუ ისთიფრალისაგან იყოს, იგი თვით ცხადი არს, და ნიშანი მისი რაჰაცა სინედლისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს, რომელ სინედლე მისგან გამოვიდეს, და იქნებისცა რომელ სამისა თვეს მოივოს.

40 **კურნება მისი რომელ მოევნოს ყმა.** მესია იტყვის: იგი არს, რომელ რაჰა ორსული არ იყოს ტანი გაწმინდოს გასარეველთა ბაღამურთაგან იარაჲ ფეყირათა, და არწყვიოსცა ცერეკოვსა წყლითა და ნელითა თაფლის წყლითა, რომელ მანკისა დედა დაეღოს, და მაშინ ძელი გულანგუბინი და მუშკისა გვარიშნი ანუ ანბარისა გვარიშნი იხმაროს. და ესე შაფი აიპყრას ვითარება მისი: შაჰში ჰანტალი და მასტაჲ და ზაფრანა

1) აქ ტექსტში ერთი სიტყვა ისეა წაშლილი რომ ვერ იკითხება.

და ხმელი მივა და ფაჩარი თვითოვსაგან ნაწილი ერთი, და ცოტა მუშევი გაპროს და მა-
შინ დანაყილი ღვინითა შეზილოს, და შფად ქნას და აიპყრას, საკამადსა ცხერისა ზორცსა
ქამდეს კალითა.

ისაკ იტყვის. ესე წამალი ყმის მოდგებასა თუ ქარისაგან, თუ სინდლისაგან
იყოს ერგების: ბალანისა ზეთი ორისა დრამისა წონი, თირიაცი ასპიტისა ვითამცა აფესნი
მუთყალი ერთი, ხაზდისა გული ორისა დრამისა წონი და ნახევარი, ჯაშირისა ¹⁾ ძირი
დრამისა წონი და ნახევარი, ზარნაბადი და დრონა თვითოვსაგან ორისა დრამისა წონი,
ნელი ზოფა ორი დანგი, რაცა ამა წამალთაგან ხმელი იყოს დანაყოს, და თირიაცი ბა-
ლანისისა ზეთითა გაადგინოს, და ყოველი ერთგან გაპროს, და მისგნით თხილისა ოდენი

10 მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას. და მეხუთესა დღესა მისგნით ოთხოთხსა დღესა გარდია-
რებდეს ნახევარსა დრამისა წონსა მისგნით ქამდეს. და თუ ესე მანკი ქარისგან იყოს ესე
სუფუფა ქამოს, რომელ ესე ქარი გაქარდეს, ვითარება მისი: ნიახურისა თესლი და ბაღი-
ანი, და ანისონი და ქონდარი, და ნახუაპი და შავი ანუდანი, უპანი არს, და დინაროა
და პიტნა მთისა, და სუდი და ძირა და ზარნაბადი თვითოვსაგან ნაწილი ერთი, ყოველი
დანაყილი და გაკრილი მისგნით ლუტყალი ერთი ღვინითა იხმაროს. და თუ ნაკრავისა ანუ
დაცემისაგან ქნელ იყოს ფაპრუზი ქნას, და თავი შეინახოს ჰვთა საკამადთაგან და გამოს-
ვენებით იყოს თუ შვილობა უნდეს.

ვითარება საშობელთა ქარები საა: ესე მანკი მით იქნების რომელ ჰავსა
გასარეველსა მუნება მისი გაეპავოს, ანუ გრილისა ხილტვისაგან იქნების რომელ შიგან
20 შეყრილ იყოს, ანუ სისხლისაგან ქნელ იყოს რომერ შიგან გამაგრებულ იყოს.

ნიშანა ზეჰდანისა ქარისა. იგი არს, რომელ მუცელი და საზარდული გა-
სივდეს და გამაგრდეს, და რა ხელი შემოსდეს და დადრეკონ ხმა მისი ღნგულსა ხმი-
საგერ იყოს, და რა ქარიანი საკამადი ქამოს მათი უფარეს გახდეს სნეული, და არ აშენ-
დეს ქარიანი.

კურნება ზეჰდანისა ქარისა: იგი არს, რომელ მასოიასქე იტყვის:
ეგეთთა საკამადთა ქამდეს რომელ ქარსა გააქარებდეს ვითა ძირაჲსა გვარიში და ნიახ-
ურისა თესლი, და ბაღიანისა თესლი და ანისონი, ყოველი დანაყილი მისგნით მუთყალი ერთი
თაფლითა იხმაროს. და მიწყით უტესა ქვეშეთი და საზარდული ტეგნაჲსა და ცეროცსა ზე-
თითა იზელოს. და თუ ბაზუნა და ცეროცო, და მარზანგოში და აფსანთინი, და სისანბარი
30 და მარდაპოზი, და დრამინა და ნიახურისა თესლი, და ანისონი და ბაღიანი და ძირა ყო-
ველ წყლითა შეაბგოს და სამი უკია მისგნით აილოს და სამისა დრამისა წონი ყუსტისა
ზეთი გაუროს, და მით წინათ ჰყუნაჲ უყოს, კარგი არს.

ჯალინოს იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ დრამისა წონი დაჰპართაჲ
მით წყლითა, რომელ მით ტეგნაჲსა აფშარა და ძირაჲსა ამოღლებულ იყოს, ქამოს კარგი
არს. და ჰიქა ცეცხლითა საზარდულსა მოჰკიდოს. და თუ მანკი არ დაელიოს იარაჲ ფეცი-
რაჲ და ჰაბი გუნდაჲ იხმაროს. და თუ მანკი სისხლისაგან იყოს რომელ ზეჰდანისა თავსა გა-
მაგრებულ იყოს კურნება მისი იგი არს რომელ, წინა მდგომარეობა ილიცან ხელითა და ცხი-
ბიანოს ბალბითა და ერბოჲთა და შეყოს ხელი მუნ, და იგი გამაგრებულ იყოს სისხლი გამოი-
ლოს, და ესე შემოსადებელი გარეთ მუნ შემოსდეს ვითარება მისი: ხმელი ღლედი და თხი-
ლი დანაყილი ახალსა სძესა გაპროს და ცოტა ბავრუკი და ძირაჲსა დანაყილი შეურთოს
40 და შემოსდეს, და ესე მუფი აიპყრას. და ესე ჰყუნაჲ ერგების მას ბაზუნა და აქლილმა-
ლიქი და ბრინჯასეთი თვითოვსაგან უკიაჲ ერთი, ცეროცო და სისანბარი და დრამინა თვი-
თოვსაგან ხუთისა დრამისა წონი, სუთი ულბო თვითოვსაგან სამისა დრამისა წონი, ყოველი
ადულოს და ჰყუნაჲ უყოს ერგების.

¹⁾ ჯაუშირისა.

რომ. არ დამოკიდებამა და შვილისა არ მიცემამა მამაკაცისაგან იმოს, თუ დიაცისაგან. ვითარებამა მისი რამ მამაცისაგან იყოს. ბაყრატი იტყვის: რამ მამაკაცისაგან იყოს იგი არს, რომელ სარცხვენელი ცოტა იყოს მისი, და სავილესა ადგილსა ვერ მისწეთეს, ანუ ჰაებუნებაობისა ზურგისა წყლისაგან იყოს, რომელ დია მხურვალე იყოს, ანუ თუ გრილი.

ნიშანი მისი რამ მამაცისაგან იყოს. იგი არს რომელ სიმხურვალისა წყლისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ წყალი ყვეთელი იყოს და ცოტა, და მურალი იყოს. და ნიშანი მისი რომელ სივრლისა ჰაებუნებაობისაგან იყოს იგი არს, რომელ წყალი თეთრი და სქელი და მრავალი იყოს.

- 10 კურნება მისი რამ მამაცისაგან იყოს უშვილობა. იგი არს, რამ სარცხვენელი ცოტა იყოს დიაცისა მოხენამ სწადდეს დიაცი თაეჩაღმა დააწინოს და ბარკალნი მისნი ამაღლნეს და რამ მოიცალოს დიდხან თაე ჩაღმა დაყოს დიაცი, და რამ მოხნას ადრე ნუ გაყურებს, ხანი დაყოს ეგრეთვე, რომელ წყალი სავილესა ადგილსა მივიდეს. და კურნება იისი რამა წყლისა სიმხურვალითა არ მიეცემოდეს იგი არს, რომელ გრილთა და ნედლთა იხმარებდეს და საკამადთა სწორთა მიელტვოდეს. და ყველასა წყალსა ნუ სუამს, კარგსა გამოცდილსა სმიდეს. და რომელიცა მამაცისა წყალი სისწორისგან გასულ იყოს მისგან შვილი არ შეიქნებოს. მრავალთა აქიმთა უთქვამს ჰაე ბუნებამ მამაცისა და დიაცისა წყლისა სიხმელითა და სინედლით შვილსა არა შლის მიცემასა, განა სიმხურვალე და სიგრილე შლის, ეგრე რომელ მამაცისა და დიაცისა ორთავე წყალი რამ მხურვალე იყოს შვილი არ შეიქნებოს, და თუ დია გრილი იყოს არავე მიეცემის, ეგრე ხანს რამ მამაცი მხურვალბუნებამ იყოს გრილბუნებასა დიაცსა თანა დაწვეს, რომელ მათი წყალი გასწორდეს მათგან შვილი მიეცეს. და თუ ცოლსა სხვასა ვერ შეირთავდეს მხურვალბუნებანი სიგრილესა მიელტვოდენ, და გრილ ბუნებამ სიმხურვალესა მიელტვოდენ. და საკამადისა ბუნებამ ეგრევე შეინახონ. და თუ დიაცი და მამაცი ორივე მხურვალბუნებანი ანუ ორივე გრილბუნებანი იყვნენ მათ შვილი არ მიეცემის. და რამ ერთი გრილი და ერთი მხურვალე იყოს, და ამით მიზეზთა და მანკათგან რომელ გვითქვამს არა ერთოს, შვილი მიეცემის. და რამ დიაცი და მამაცი ორნივე წსორ ბუნებანი იყვნენ შვილი მიეცემის. და მამაცი იქნების რომელ დიაცისაგან შვილი არ მიეცემის მით რომელ ბუნებამ მათი უფერი იყოს. და ესე მეცხვირებამ კარგად გაიგონებით, დაისწავლე ვინცა აქიმობ, და კაცისა ტანისა და ბუნებისა და
- 30 გასარეველისა შეტყუებამა სახამსუამ არს, მეტად მეცნიერისა და გონიერისა აქიმისაგან.

უშვილობისა ნიშთი და ვითარებამა რამ დიაცისაგან იმოს. ჯალინოს იტყვის: მით იქნების რომელ გრილად იყოს, ანუ ნედლად იყოს, ანუ მეტად მხურვალე იყოს, ანუ სიმელესა მოერივნენ მისისა ბუნებისად, ანუ სედლისა მოერივნისაგან იქნების, ანუ ქარისა მოერივნისაგან.

ნიშანი მისი რამ დიაცისაგან იყოს. იგი არს, თუ საშობელი გრილად იყოს წიდოვანდობისა სისხლი თხელი იქნების, და საზარდულსა ზედა თამა ცოტა იქნების, და სინედლისა მისისა იგი არს ნიშანი, რომელ შვილი დიდი ივნოს და მოივდოს. და სიმხურვალისა ნიშანი იგი არს, რომელ დიაცი მკლე იყოს და სისხლი ცოტა იყოს და შვიი.

- კურნება მისი რამ სიგრილისაგან იყოს. იგი არს, რომელ მხურვალთა
- 40 იხმარებდეს და მხურვალთა იკმოლბდეს, და მხურვალთა შემოსლბდეს, ესე ყოველი მას ერეგების. და კურნებამ მისი რამაცა ზუქდანისა სინედლისაგან იყოს იგი არს, არწყისი რომელ ბალღამი დაელიოს და ეგეთი [შაფი] რომელ შაჰმი ჰანტლისა და ანზარეთისგან შექნილ იყოს აიპყრობდეს. და სურნელითა ჰუყნამ უყოს რომელ მანკი დაელიოს. და რამაცა სინედლესა იქმოდეს იხმარებდეს. და კურნებამ მისი რომელ საშობელისა სიმხურვალისაგან იყოს იგი არს, რომელ საკამადთა სწორთა ჰამდეს და გრილთა და ნედლითა ჰუყნამ უყოს, რომელ გასუქნდეს და ბუნებამ სწორად შეიქნას. და ნიშანი მისი რომელ ზუქდანისა სინედლისაგან იყოს იგი

არს, რომელ დიაცი ხმელი და მკლე იყოს, და იგი ადგილი მშრალად ედგას, ეგრე ხაშს რომელ ლბილსა და ნატყფსა იხმარებდეს საჭამისა, და აბანოს მივიდოდეს დია და ლეინოსა წყალ რუელსა სმიდეს, და ლბილთა შაფთა და ზეთთა აიპყრობდეს. და რააცა ქარისგან იყოს იგი არს, რომელ ამას წინად გვიტყვამს. და დიაცი არ ოდეს დაროსულდების ვიდრე საზომსა ზედა საშობელი არ მივა, და უზნედ არ გამრთელდების.

ისაკ იტყვის: ესე შაფი კარგი არს ზაფრანაჲ და ჰამამაჲ და ფაჩარი და აქლილალმალაჲ თვითოხსაგან სამისა დრამისა წონი, ბატისა და ქათმისა ცმელი და კვერცხისა ყვითელი თვითოხსაგან სამი უქიაჲ, ჰინდოური საჯიდი ¹⁾ და ყურდემნაჲ თვითხსაგან უქიაჲ ერთი ბალანისა ზეთი, არა ნარდენისა ზეთი, დრამისა წონი, რააცა ამით წაშალთა თანა 10-ხმელი იყოს დანაყოს და რააცა ნელლი იყოს გაგალოს და ერთგან შეზილოს, და მატყლსა შესცხოს და სალამოდ დიაცმან აიპყრას. და ცოტაჲ მუშვი და ზაფრანაჲ მგლისა ნაღელსა თანა გაპრიოს და აიპყრას, დია კარგი არს.

არდ. ძნელად შობაჲ და მავიშაჲს გამოსვლაჲ. ვითარებაჲ ძნელად შობისაჲ. ფოლ ის იტყვის: ესე მანკი მაშინაჲსა სისქისაგან იქნების, რომელ დიაცი ქალწული იყოს ანუ უსუსური, ანუ გრილი ჰაერი ანუ მზურავლი ჰაერი სცემოდეს, ანუ შვილისა სიდიდისაგან იქნების, ანუ შვილისა არ მართლად გამოსვლისაგან.

ნიშანი ძნელად შობისაჲ რაჲს გაცნა იყოს. მაშინაჲსა სისქისა ნიშანი იგი არს, რომელ ადრე ვასქედეს და ქალწულობისა და უსუსურობისა ნიშანი თვით ცხადი არს, და ჰაერის ცემისა გრილისა და მზურავლისა ნიშანი იგი არს, რომელ თვით სნეულსა ჰკითხონ 20 და თქვას.

კურნებაჲ ძნელად შობისაჲ. რაჲ შობისა ქამი მოეახლოს მიწყით აბანოჲს მივიდოდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს, და ღლიე შივალჯერ შევიდოდეს და გამოვიდოდეს და ზურგსა და უბესა ქვეშესა იხელდეს ერბოთა, და რაჲ ხორცისა მისისა ფერი გამწვანდეს, ზურგსა და საზარდულსა და მიდამოსა მისსა ხირისა ანუ ნარგისისა ზეთითა ნელთა იხელდეს, ზოჯჯერ სკამსა ზედა დაჯდებოდეს და ზოჯჯერ იარებოდეს. და რაჲ შობისა ტყვიელი გამოჩნდეს სული მაგრად დაიგებოს და წინა მდგომი ამქველი დიაცი ხელსა მუცელსა ზედა მოუსმიდეს ვითა წესი არს, და თუ ძნელად შობაჲ მაშინაჲსა სისქისგან იყოს მოიჭირვოს, რომელ ფრეხილთა ანუ დანის წვერითა გააღოს. და თუ მართ უსუსურობისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა საქამაღთა ჰამდეს რომელ ძილსა ²⁾ მოუმატებდეს, და სურნელსა ლეინოჲსა სმიდეს და სურნელთა ქვეშე უკაოლებდნენ, და თუ ჰაერისა ხმელისა ანუ მზურავლისაგან იყოს, გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს და ბროწეულისა წყალი იხმაროს. და თუ გრილსა ჰაერისაგან იყოს აბანოს მივიდეს და საზარდულსა იასამინის ზეთითა იხელდეს, და ნელსა წყალსა მუცელსა ზედა ისხმიდეს. და თუ შოშისგან იყოს ჰამოთა სიტყვითა შეაქცევდნენ. და თუ სიმუქნიდან იყოს მუცელი ბარკალსა ზედა დასდვას რომელ ადილად შობოს და ყეროტითა ³⁾ ზეჰდანის თავი კარგად იხლოს და ქალაღლი მოგერხილი ცხვრითა ჩასდვას, და ფარისიფოშანი და ძმარი და ნუშისა ზეთი შეაბგოს და ცხვრითა ჩაიწოთოს. და დიაცი რაჲ ძნელად შობდეს ფარრაჯაჲ ქნას გუნდაჲსგან და ბროწეულისა ყუბეილისაგან და თვით აიპყრას.

მაშინაჲსა გამოსვლისა ვითარებაჲ: იოჰანა იტყვის: საშობელისა გამოსვლაჲ სისქისა ანუ სითხისა მისგან იქნების და შვილი რომელ მუცელსა შიგან მოკედეს ნკარაივისგან იქნების, ანუ საზარდულისა სიმკრომსგან, და მზურავლთაგან რომელ ექამოს.

¹⁾ ამ სიტყვას სამი წერტილი უბის და აწიხე სწვრია „სადიჯი“.

²⁾ უნდა იყოს „ძალსა“.

³⁾ ყეროტი—სახელი ინსტრუმენტია.

ნიშანი მაშინმასა გამოსკლისაჲ: გამოსვლა თვით ცხადი არს. და შეილისა ნიშანი რომელ მუცელსა შიგან მოკედეს იგი არს, რომელ პირველი მუცელი სუბუქად იყოს და მაშინ დამძიმდეს და ძუძუანი დაჰქენენ.

კურნებაჲ მაშინმასა გამოსკლისაჲ: იგი არს, რომელ დანგი ერთი დალიაჲ შემგბრითა ღვინითა ჰამოს, და ეგეთთა რაჲსმე რომელ წიდოვნობისა სისხლსა ჩამოიღებდეს აიპყრას. და ესე შაფი ამას ერგების ვითარებაჲ მისი: ზარავანი მრგვალი და აშაალი, და სპანძელისა თესლი ყოველი დანაჲილი ზროხისა ნაეღელითა შეზილოს და შაფად ქნას, და აიპყრას. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გამოვიდეს და ზეჰდანისა თავი ღია იყოს, წინა მღვომან დიაცმან შეხედნეს, თუ ნახოს რომელ მაშინმად მოგრებულ იყოს, ხელი დააცხიბი-

10 ანოს გრობითა დაეკიდოს, და გამოიღოს. და თუ ზეჰდანისა თავი ღიად არ იყოს და მაშინმად არა ჩნდეს, იისა ზეთი შეეცხოს და თვილსა წყალსა ჩაუდეს, და თუ ყატრანი მატყლსა ზედა იცხოს და აიპყრას, მაშინმასა გამოიღებს.

ისაკიტყვის: რაჲ შეილი მუცელსა შიგან მოკედეს მოიჭირვოს რომელ წამლითა გამოიღოს, და თუ არ გამოვიდეს დანითა დაჰქრას და გამოიღოს. მაგრამ გავებაჲ მისი იგი არს, რომელ პირველ ესე წამლი მისცეს ვითარებაჲ მისი: თირმისი და ჰიტნაჲ და ასა-რონი წყლითა აღუღოს და ნელი ნისი იხმაროს. და ესე შაფი აიპყრას რომელ შეილი მკვდარი გამოვიდეს ვითარებაჲ მისი: ხარბაჲი და ჯავაშირი და ზროხისა ნაეღელი თვითომ-საგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაჲილი შაფად ქნას თვითო გრწყისა ოდენი დააიპყრას, და თუ ქვეშ იკმოლოს და ქერუშტითა ცხვირი დააცემიოს კარგი არს, და უღობაჲ და ტევნაჲ

20 და ხურმაჲ ერთგან შეადგოს და ჰამოს. და თუ ზეჰდანი თხელი იყოს ნელი ერგობა შიგან შეიცხოს, და ნელსა წყალსა შიგან ჩაუდეს.

რუი. ძუძუთა სიმსივნე სიმზუარვისაგან რაჲ იყო. აბუჯარიჰიტყვის: ვითარებაჲ მისი სიმზურვალისგან იქნების რომელ რაჲცა სინედლე შიგან იყოს გამოზიდოს, და გაახმოს, და რაჲცა შიგან დარჩეს გაასქელოს, და ესე მანკი 1) მაშინ მისგან ძუძუთა შიგან დია გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲცა მზურვალისა სიმსივნისაგან იყოს იგი არს, რომელ ძნელად სტივიოდეს და ისრისებრ სცემდეს და ფერად წითელი იყოს, და რაჲ ხელი შემოსდგან ხურვიდეს, და რაჲ გრილი რაჲმე შემოსდგან ელხინოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმზურვალისგან იყოს. აბუჯარიჰიტყვის:

30 მანკისა დასაწყისსა ბანბაჲ თფილითა წყლითა, რომელ ძმარი რეულ იყოს, დაასოვლოს და შემოსდგან. და თუ არ ელხინოს კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი შემოსდგან. და ნელითა წყლითა იბანებოდეს. და თუ სიმზურვალე დია იყოს და სტივიოდეს ბაკილასა და ქერისა ფქვილი კვერცხისა ყვითლითა შეზილოს, და მეშპარისა წყალი და ნედლისა ქინძისა წყალი გაჰრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდგას. და რაჲ სიმზურვალე და ტკივილი დაელიოს მომ-როლანი სცხოს და ასფარამთა წყლითა მიწყით ჰხანდეს. და თუ თხამლი შეყრილ იყოს უღობაჲ და სელი, და მური და ბალბაჲ, და ქერისა ფქვილი და ერბოჲ ერთგან გაჰრიოს და ზედა შემოსდგას, რომელ სიმსიენე გაიხსნას. და თუ არ გაიხსნას და სტივიოდეს და შეეძლოს გახსნა მისი ფერე, რომელ არა აწყინოს, გახსნას. და კარაქი შემოსდგას, და ნატოფთა ჰამდეს და რაჲ ეამი იყოს თეთრი მალჰამაჲ შემოსდგას.

40 ჰუნანჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუნითეჲ რომელ ტკივილი იყოს ხელი გაიხსნას, და კვერცხისა ყვითელი და ვარდისა ზეთი და ქერისა ფქვილი შემოსადებლად შემოსდგას. და თუ სიმზურვალე დია იყოს ქერისა და ბაკილასა ფქვილი, და კელურისა ბროწყელისა ძირი 2) და ქინძისა წყალი და მეშპარისა წყალი, და კატკატოლასა წყა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

2) ამ ვერდის ქვემო აწიხე რვეულთა სათვალავი სწერია „მა“ და შემდგომ ვერდის ზემო აწიხე „გა“.

ლი, ყოველი მაღაზიანი უყოს და შემოსდეს. და თეთრი ცვილი და კვერცხისა ყვითელი და ერბოა ერთგან გაგალოს და ზედა შემოსდეს. და ესე მაღაზიანი კარგი არს ვითარება მისი: ქერისა და ბაკალასა ფქვილი, და უღბოა და კვერცხისა ყვითელი, და ბაზაა და მურა, და ზაფრანაა ყოველი მაღაზიანი უყოს და შემოსდეს, ერგების შეწყენითა ღმრთისათა.

ძუძუა სიმსივნე რაა სიგრილისაგან იყოს: მუჭამედ ზაქარი ახასტე იტყვის: ბალაბურისა გასარეველისაგან იქნების რომელ მისდა მოერიოს, ანუ მისგან იქნების რომელ სასველოა სისხლი ძუძუთა შიგან გამაგრებულ იყოს და მაგრად მუნ შეკრულ იყოს.

ნიშანი მისი რაა სიგრილისაგან იყოს: იგი არს, რააცა ბალაბურისაგან 10 სარეველისაგან იყოს, რომელ სიმსივნე თეთრი იყოს და ღბილი და ზელისაგან გაჭრილდებოდეს. და ნიშანი მისი. რააცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მაგარი იყოს და შავგებარი.

კურნება მისი რაა სიგრილისაგან იყოს: რაა ბალაბურისა გასარეველისაგან იყოს ნიახური დანაყოს და შემოსდეს, და ბაზუნა და ერგების, და ბალმიინთა საჭამადთა ერიდებოდეს. და კურნება მისი რომელ სასველოა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ აფთიმონისა მატბუხი იხმაროს, და თუ სნელსა შეეძლოს ზროხისა წვივისა ტვინი და თეთრა ცვილი ერთგან გაპრიოს და მიწყით მას იცებდეს. და ესე შემოსადებული ერგების: ლღვი წყლითა ადუღოს და უღბოა ფქვილი და სელი, და ბაზუნა თეთრი გაპრიოს და ავინთა კარგათ დაგალოს, და სოსნისა ზეთი გაურიოს და მანკისა ადვილსა შე- 20 მოსდეს. და სასველოა საჭამადთა ერიდოს ვითა ზროხისა, ხორცისა და ქათმისა და ბატისა ხორცისა ჰამდეს:

როფის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ბაზუნა და სისანბარი და ყაისუმი ყოველი წყლითა შეაბგოს და მიწყით მისსა წყალსა ნელსა ზედა იხმოდეს, და ნარგისისა ზეთი შესცხოს, და იისა ზეთი და კვერცხისა ყვითელი და ქათირა ავინსა შიგან გაგალოს და ზედა შემოსდეს. და თუ სიმსივნე მაგარი იყოს კურნება იგი არს; რომელ თეთრი ცვილი და ვარდისა ზეთი, და ყატრანი და ზროხისა ნაველი ყოველი მაღაზიანი შექნის და იცებდეს. და ესე წამალი სხვაა სიმსივნესა გაჰხნის ვითარება მისი: უღბოა და სელი და ქუნჯილი და სოსნისა ძირი და მიაა და თავისა განავალი და თხისა კორკლი და მდინარე, ფიჭვისა გომიზი არს რაითაა ჰქვიან, და თეთრი ცვილი და ერბოა ყოველი მაღაზიანი უყ- 30 ოს და შემოსცხოს.

რძ. ძუძუთა სიმსივნე და ხმ რომელ შიგან შიქრას. ვითარება ძუძუთა ტკივილისა. ჯალინოს იტყვის: ესე მანკი მხურვალისა გასარეველისაგან იქნების რომელ ტანისა ბუნებასა სისწორისაგან შესცვალოს და მოერიოს, ანუ სასველოა ანუ საბალაბოა გასარეველი გრილი იყოს.

ნიშანი ძუძუთა ტკივილისა რაა სიმხურვალისაგან იყოს იგი, არს რომელ ტკივილი ისრისაგან სცემდეს და ხელთა მოსმისაგან გახურდეს და, და ნიშანი მისი რააცა სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ არ და სტივიოდეს და ზელისაგან გაგრილდეს.

კურნება ძუძუთა ტკივილისა. რაა ესე მანკი მისგნით იყოს რომელ ბუ- 40 ჯაა გამხურვლებულ იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ორთავე ციტრთა თესლი და კატკატოა თესლი, და ხაზაშისა თეთრისა თესლი, დანაყილი ერთგან გაპრიოს და მისგან ორისა დრამისა წონისა იხმარებდეს ცისკრისა ჯამა, და ქათმისა ხორცისა ისრითა შექნილსა ჰამდეს, და ლეინოა წყალ რეუსა ცოცრტასა სმიდეს. და თუ ვითარება მისი სიგრილისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მხურვალთა საჭამადთა ჰამდეს და ძირაა დანაყილი ნიახურისა წყლითა შეზილოს და ზედა შემოსდეს. და ბაზუნა და ძირაა დანაყოს და იასმინისა ზეთითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს. და სველინთა საჭამადთა ერიდოს და ტკბილთა მიელტვოდეს.

და სძისა დენისათვის თუ არ ჩამოვიდოდეს. მადაინი იტყვის: სძესა კამდეს, და ცერეკოასა თესლი, და ბადიანისა თესლი და სახვრეტელთა რომელ სძისა და მუხუდისა ფეკილისაგან შექნილ იყოს ხვერტდეს. და იჟქლი დანაყილი ფურთა სძითა შეაბგოს და ბადიანისა თესლი შიგან ჩაურთოს და ხვრიტოს. და მიწყით ნედლსა ბადიანსა კამდეს, სძესა მოუმატებს. და ესე სუფუფი ჩვენ გამოგვიცლია სძესა მოუმატებს: ცერეკოასა თესლი სამი დრამისა წონი, სონიჯი ხუთისა დრამისა წონი, ორივე დანაყილი ერთგან გაპროოს და რაჲ დღე მისგნთ ხუთისა დრამისა წონსა იხმარებდეს, ანუ სამისა დრამისა წონსა, და თხისა სძესა სმიდეს კარგი არს. და ნიახურისა თესლი და პიტნაჲ და ნანხუაჰი და ცერეკოასა თესლი, და ბადიანისა თესლი, და ბადიანი ამათ ყოველთაგან რომელიცა იყოს 10 თაფლითა შეზილოს დანაყილი და იხმარებდეს. და ქრთილია წყალი და ბადიანისა თესლი და ბანზისა ძირი შეაბგოს და ძუძუთა შესცხოს, საკვირვლად კარგი არს.

სძისა ვითარებაჲ რომელ ძუძუთა შიგან შეიკრას. მასსარაჯოჲა იტყვის: მეტისა სიმხურვალისაგან იქნების, რომელ მორეულ იყოს და სინედლე მისი მოიზიდოს და გაახბოს, ანუ სიგრილისაგან იქნების რომელ გუნებასა მისსა აჯობოს და მაშინ სძე შიგან გაუყინოს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ძუძუნი ხმელად და დამჟქნარ იყოს, და რაჲ ხელი შემოსდენ ხურვიდეს და ნიშანი მისი რაჲცა სიგრილისაგან იყოს იგი არს, რომელ ზელისაგან გაგრილდეს და ტკივილი არ ერთოს მანკსა თანა.

კურნებაჲ მისი რაჲ სძე შეკრულ იყოს. იგი არს, რაჲ სიგრილისგან იყოს 20 სიმხურვალეთა მიეღტვოდეს და ესე შემოსადებელი შემოსდვას ვითარებაჲ მისი: მუმროდანი და იაჲ და კვერცხისა ყვითელი ყოველი ვითა მალჰამაჲ შეიქნას და შემოსდვას. და თუ ბაზუნაჲ და აქლილამალიჰი წყლითა შეაბგოს და ნელსა მისსა იხმარებდეს კარგი არს. და გრილთა ზეთთა და გრილთა ლუბათა ზედა იცხებდეს, და ქინძი და ნედლი კატკატოჲ ორივე დანაყოს და შემოსდვას ერგების. და თუ ძმარი და ვარდისა ზეთი ორივე ერთგან ვაადვიროს და შესცხოს კარგი არს. და ძაღლის ყურძნისა ფურცელი და კაღნაბისა ფურცელი ორივე დანაყილი, მური და ზაფრანაჲ გაურიოს და შესცხოს, ერგების.

ისაკ იტყვის: თუ მანკი სიგრილისგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბადიანისა თესლი და ცერეკოასა თესლი დანაყილი თაფლითა შეზილოს და იხმარებდეს და ნარგისის ზეთი და სონისა ზეთი და ხირისა ზეთი რომელიცა იყოს ზედა იცხებდეს, და 30 სიგრილეთა ერიდებოდეს. და სისხლი რომელ ძუძუთა შიგან შეიკრას კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბაკლასა ფეკელი და თაფლი მალჰამაჲ ვითა შექნას და ზედა შემოსდვას. და მიწყით თფილსა წყალსა ზედა ისხმიდეს. და თუ ცოტაჲ ზეთისხილისა ზეთი თფილსა წყალსა თანა გაპროოს უმჯობესი არს. და თუ უღბოჲ და სელი ჰაშაჲ წყლითა შეაბგოს, ჰაშაჲ ღორის ფიტი მკონიან, და მისისა წყლისაგან ნელსა ზედა ისხმიდეს კარგი არს. და თუ ხმელისა პურისა გული დანაყოს და უღბოჲ და სელი გაპროოს და ყოველი წყლითა შეზილოს და შემოსდვას, კარგი არს.

როჲ. ზურგისა ტკივილი სიმხურვალისგან იყოს თუ სიგრილისგან.

40 ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალეთ იყოს. არბიასიოს იტყვის: ვითარებაჲ მისი მხურვალისა გასარეველისაგან იქნების რომელ მისდა მოკრივენ, და ესეცა ეგების რომელ ზურგისა ძარღვთა სისავსისაგან იყოს, რომელ სიმსიენისაგან იყოს, და ესე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რაჲცა მხურვალისა გასარეველისაგან იყოს რომელ დია სტკივოდეს მეტად სიარულისა ეამსა და ზელისაგან გახურდეს. და ნიშანი მისი რაჲცა ზურგისა ძარღვთა სისავსისაგან იყოს იგი არს, რომელ ზურგი სტკივოდეს.

კურნება მისი რაე სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რაეცა მხურვალი-
სა გასარეველისგან იყოს რომელ ბასალიკი გაიხსნას მანისა დასაწყისსა, და კატკაროასა
თელისა წყალი და ბადარანგისა კიტრისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს. და ტკბილისა
და მჟავისა ბროწეულისა წყალი და ტყემლისა შარაბი იხმაროს. და სანდალი და ვარდის
წყალი გაგალოს და მანისა ადგილსა შემოსდვას. და საქამდას თუთუბისა ანუ ისრიმისა
ურწყოასა ჰამდეს. და გრილსა ადგილსა დაწვებოდეს და დაიძინებდეს, და მიწყით ციგსა
წყალსა ზურგსა ზედა ისხმიდეს. და თუ მანკი ზურგისა ძარღვითა სისავისისგან იყოს ბასალი-
კი გაიხსნას, და მიწყით შაჰნარას ბროწეულსა ჰამდეს და გრილსა წყალსა ჩაჯდებოდეს.

10 იოჰანა იტყვის: რაე ზურგისა ტკივილი დაძველდეს და სიგრილისგან იყოს კურ-
ნება მისი იგი არს, რომელ ხაზდისა გულისა ზეთი შესცბოს უკია ერთი, ხარაზაჰრასა
ფურცელი ნახევარ ლიტრასა ზეთის ხილის ზეთსა შიგან შეაბგოს და ზურგსა ზედა შემოს-
დვას. და დილასა აბანოას მივიდეს, და შურგასა მუხუდოს წვეგსა ჰამდეს. და თუ მანკი ძნე-
ლად იყოს იარაჟსა ჰაბითა ანუ შატარაჟსა ჰაბითა მუცელი დაიღბოს. და ესე ჰაბი ზურ-
გისა ტკივილსა რაე სიგრილისგან იყოს ერგების. ვითარება მისი: შაჰში ჰანტალი და
სიქამენა თვითოასგან ნაწილი ერთი, საბრი ორი ნაწილი, მუყლი ნახევარი ნაწილი, ყოვე-
ლი ერთგან გაჰრიოს და ჰაბად ქნას და იხმარებდეს ორისა დრამისა წონსა. და თუ ზურ-
გისა ტკივილი და ნიშანი ღვინისა სმისაგან იყოს, ბასალიკი გაიხსნას და ციგითა წყლითა
იბანებდოდეს, და გრილსა საქამდათა ჰამდეს, ერგების.

20 ზურგისა ტკივილისა ვითარება რაე სიგრილისგან იყოს. მუ-
ჰამედ ზაჰარაჟსა ძე იტყვის: ზურგისა და წელითა ტკივილი უფროასი სიგრილი-
საგან იქნების და უნდლისა ბლდამისაგან, და აღრითგან ცოკოტა შეიყრების და მაშინ
გამოჩნდების. და იქნებისცა რომელ დია მიჰირგებისაგან ქნილ იყოს, და დიაცისა დია მოხ-
გნისაგან.

ნიშანი მისი რაე სიგრილისგან იყოს. რაეცა ცოკოტად გამოჩნდების
იგი არს, რომელ სიარულისა ეჰმსა ტკივილმან დაუშვას, და რაეცა დიაცისა მოხვნისგან
იყოს იგი არს, რომელ ეგრე ველარ ხნვიდეს, მუშად გაჰავეფულთ იყოს, და წელი და ზურგ
სტკივოდეს.

30 კურნება მისი რაე სიგრილისგან იყოს. რაეცა ცოკოტად გამოჩნდებო-
დეს იგი არს რომელ, უზმამან გულანგუბინი ჰამოს და ალვაე წყლითა შეაბგოს და ჰამ-
დეს, და მუცელი დაიღბოს სურინჯანისა ჰაბითა რომელ მანკი ტანისაგან დაიქალოს. და
ზურგსა ზეთის ხილისა ზეთითა კარგად იხელდეს, და ნელსა წყალსა ზედა ისხმიდეს, და
მუხუდისა წვეგსა ჰამდეს, და წყლისა სმასა ერიდოს. და თუ მანკისა დედაე ძნელად იყოს
არწყიოს, და მუცელი დაიღბოს განდაჟსა ჰაბითა და შეტარაჟსა ჰაბითა ესრე: ყვითელი
ჰალილაჟ ხუთისა დრამისა წონი, საბრი ათისა დრამისა წონი, ზანჯაბილი და ფანარი თვი-
თოასგან დრამისა წონი ერთი, პილპილი და დარაფილფილი თვითოასგან ნახევარისა დრამისა
წონი, მარილი ნავთი დრამისა წონი, ფანიდი ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყი-
ლი 1) ჰაბად ქნას და მისგნით ორისა დრამისა წონსა იხმარებდეს. და ესე შემოსადებელი
იხმაროს ვითარება მისი: ფარფიონი მუტყალი ერთი, ქალბანაჟ სამისა დრამისა წონი,
თეთრი ცვილი უკიაჟ ერთი, ზროხისა ცმელი რეისა დრამისა წონი, სოსნისა ძირი შვიდისა
40 დრამისა წონი, ნარდენისა ზეთი უკიაჟ ერთი, ყოველი ერთგან გაჰრიოს და მაღამად ქნას
და ხაზდისა გული და ფარფიონი ერთოათა ვადნოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და
თუ დია ჰირისა ნახვისაგან იყოს თავისა კარგად ჩევეაჟ და გამოსვენება დაუწყოს. და
ისა ზეთსა და ხირისა ზეთსა ასოთა ზედა იცხებდეს, და ღვინოასა წყალრეულსა სმიდეს
და რაეცა დიაცისა მოხვნისაგან იყოს კურნება იგი არს, რომელ თირკმელთა კურნებისა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული ღვინის ხელით.

თვის გვითქვამს, ესეთთა რაჲსმე ქამდეს რომელ თირკმელს განაძლიერებდეს, და კალიაჲსა ქამდეს მხურვალთა სანელბლთა.

რომ. სიძუჲმ რომელს ჰქვიან არაბულად ჰდბაჲ ჯალინოს იტყვის: ვითარებაჲ მისი გლუსუნისა გასარეველისაგან იქნების რომელ ზურგისა, მძივთა საქციელთა შუა შეიყაროს, და მისითა სიგლუსუნითა მათ საქციელთაგან რომელიმე თავისა ადგილისაგან დასხლტოს. ანუ ნაკრავი რაჲმე ეცეს ზურგსა, და მაშინ მისგნით ესე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ გასარეველისაგან იყოს. რაჲცა გლუსუნისა ბლდმისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით დია სტკივოდეს უმაგისოდ რომელ სიმხურვალისა ნიშანი იყოს. და რაჲცა დაცემისა ანუ ნაკრავისაგან იყოს იგი არს, რომელ სნეულსა ჰკითხონ 10 და მან თქვას.

კურნებაჲ მისი რაჲ გლუსუნისა ხილტვისაგან იყოს. იგი არს, რომელ მუცელი დილბოს ქანდაჲსა ჰაბითა ანუ ბეჭესა ჰაბითა, და მაშინ გულანგუბინი თვლითა წყლითა იხმაროს. და მიწყით მანკისა ადგილსა ბანისა ზეთითა და თეთრისა იასამინისა ზეთითა იზელდეს. და მარხანგოში და სისანბარი და ყაისუმი წყლითა შეაბგოს და მისსა წყალსა მანკისა ადგილსა ზედა იცხებდეს. და საქამდად კალითა ხორცსა ქამდეს. და ესე შემოსადებელი მას ერგების ვითარებაჲ მისი: ბერძელი ფაჩარი და ყუსტი და საბრი თვითო. ახგან მუთყალი ერთი, მური ნახევარისა დრამისა წონი, და ლადანაჲ და ყასაბადირაჲ და აყიყაჲ თვითოჲსაგან ხუთისა დრამისა წონი, სომხური მიწაჲ და ვარდ თვითოჲსაგან 20 შეზილოს და სიკუხესა შემოსდვას. და თუ ამით არ იჯობიშოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ჯვარედან დასდაღონ.

ფოლოს იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მანკისა დასწყისსა სორინჯანისა ჰაბი ქამოს და თესლთა წყალი ბედანჯირისა ზეთითა იხმაროს. და იასამინისა ზეთითა და მიაათა და ხაზდის გულითა იზელდეს. და გრილთა საქამდათა ერივის და ჰიტნისა წყლითა და დრამინათა და მარხანგოშითა ნუტული ქნას. და თუ მანკი ცხროათა იყოს ბასალკი გაინსას, და ხიარშამბარისა ფოლოსი ქამოს, და ესე შემოსადებელი უყოს: ყასაბადირაჲ ორი ნაწილი, ულბოჲ ნაწილი ერთი, ორივე ვირისა სძითა შეაბგოს და ქუნჯილისა ზეთი და დუშაჲ ჩაურთოს, და მალჰამაჲ ვითა უყოს და შემოსდვას. და თუ დაცემისა ანუ ნაკრავისაგან ქნილ იყოს იგი ასოჲ მაგრად შეკრას და თავისა ადგილსა მიილოს, და მალ- 30 ჰამაჲ რომელ შემათა ფქვილთაგან ქნილ იყოს შემოსდვან. და ნატიფთა საქამდათა მივლტვოდეს.

ვითარებაჲ სიკუხისა რაჲ ქარისაგან ქნილ იყოს. მუჰამედ ზაქარი აჲსძე იტყვის: ესე მანკი სქელისა ქართაგან შეიქნების რომელ ზურგისა მძივნი შეკრას, ანუ ძნელისა სიწყლულისაგან იქნების რომელ მუნ შექნილ იყოს, და მისგნით ესე სიკუხე გამოჩნდეს.

ნიშანი მისი რაჲ ქარისაგან იყოს. რაჲცა სქელითა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ უცხროოდ და უსიმხურვლოდ იყოს, და ტკივლი ზოგჯერ დია იყოს და ზოგჯერ უმცროჲ. და ნიშანი მისი რაჲცა სიწყლულისაგან იყოს იგი არს, რომელ უნი სტკიოდეს.

40 კურნებაჲ მისი რაჲ სქელთა ქართაგან იყოს. იგი არს, რომელ მხურვალთა ზეთთა იცხებდეს, და სორინჯანისა ჰაბი და ბედანჯარისა ზეთი და მხურვალი მალჰამაჲ შემოსდვას ვითა ხაზდისა გულისა 1) მალჰამაჲ და მსგავსი მისი. და სისანბარი და მარხანგოში და დრამინაჲ და ყაისუმი ყოველი წყლითა შეაბგოს და ნელსა ზედა ისხმიდეს, და ქიჰაჲ ცეცხლითა მოჰკიდოს, და მხურვალთა წამალთა შემოსდებდეს ერგების.

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის დელით.

თებით ყურაბ იტყვის: კურნებად მისი იგი არს, რომელ ბედანჯირისა ზეთი თესლითა წყლითა იხმაროს და სიქაბენაჲსა ჰაბი ჭამოს, და ესე მალჰამაჲ მას ერგების: ხმელი ნიაჲ და ყუსტი და ყსაბადირაჲ და აბჰალი თვითოჲსაგან უკიაჲ ერთი, ფარფიონი დრაჰმისა წონი ერთი, ყოველი ნარდენისა ზეთითა შეზილოს და მალჰამად შექნას. და ვაჯი და რასინი წყლითა შეაბავს და წყალი მისი მანკისა ადგილსა ასხას, კარგი არს.

10 იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა შეტარაჲსა ჰაბი ჭამოს და თესლთა წყალი იარაჲთა იხმაროს, და რაჲცა სქელთა ქართაგან იყოს იგი არს, რომელ სიქაბენაჲსა ჰაბი იხმაროს და ბედანჯირისა ზეთი თესლითა წყლითა იხმაროს გამხსნელითა. და თუ მანკი წყლულისგან იყოს ლბილი შემოსადებელი შემოსდვას და მხურვალითა ზეთითა იხელოს. და ბაღისა ძარი და სელი ერბოჲთა შეაბავს და მით ჰუენაჲ უყოს. და ხიარ შამბრისა ფოლოსი ნუშის ზეთსა შიგან გაადნოს და უხმამან იხმაროს, და ნატიფთა ჭამდეს.

რომთ. ირჰანისაჲ იგი არს რომელ ბარკლისა თაჰით კოჰამაჲდის სტამირდეს. ვითარებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. როგორც იტყვის: ამისი მანკი სქელისა დამწვარისა სისხლისაგან იქნების რომელ საქციელთა მისთა შეიყაროს და მოერიოს, ანუ მეტისა ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების, რომელ მას ადგილსა დამწვარ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისა მორგენისაგან იყოს იგი არს, რომელ მანკისა ადგილი დია სტეივიდეს და წითლად იყოს და მხურვალედ. და ნიშანი მისი რაჲცა ფიცხელისა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ ტეივილი 20 ისრისაგან სცემდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. იგი არს, რომელ ირყანისასა ძარღვი და ბასალეი გაიხსნას ტეივილისაჲ და ირყანისა ძარღვი არს რომელ თითისა ქვეშე უკანით კერძოთ ქუსლისა სიახლესა არს, და სისხლი მისგნით გამოსრული ცივი იქნების. და მარილი მას ფერსსა შეაყაროს და მანქან არ მოერიოს. და ეგეთთა რასმე ჭამდეს რომელ სისხლისა სიფიცხესა დააწყენარებდეს, ვითა ტყემლისა შარაბი და სიქანგუბინი და ჯულაბი და შაჰარისა ბროწყელისა წყალი. და თუ მანკი ძნელად იყოს მუცელი დაიღბოს სორიჯანისა ჰაბითა. და თუ წამლისა ალებჲა არ შეიძლოს ლბილი ჰუენაჲ უყოს და მიწყით ასუარაჲთა წყალსა ზედა ისხმიდეს. და ვიდრე არ გაიხსნას მუნამდე ზეთითა ნუ იხელს, და რაჲ მანკი დაელიოს ვარიჲსა შეწყვარსა ჭამდეს და თაფლიანთა ერიდოს. 30 და შემოსადებელი იხმაროს ვითარებაჲ მისი: ტეგანასა ზეთი ანუ ინაჲსა ზეთი, მატყლი მით დაასოვლოს და ბავრუკი, აყარყირჰჲა ზედა შემოიყარო და ძმარი დაასხას და ტეივილისა ადგილსა შემოსდვას. და თუ მანკი ზაფრისა სიმრავლისაგან იყოს მუცელი დაიღბოს ჰალილასა მატბუითა, და ბადარანგისა თესლისა წყალი, გრძელსა კიტრსა ჰქვიან ბადარანგი, შარაბი ნილოფურისა თანა და ჰინდურისა თაჰრისა წყალი სიქანგუბინსა თანა და ხილთა წყალი იისა შარაბსა თანა იხმაროს, რომელ მუცელი დაეღბოს. და რაჲ გაძლიერდეს ხელი გაიხსნას და ეგეთთა რასმე ჭამდეს რომელ ბუნებასა გაუგრილებდეს ვითა კიტრი და აყარო, და არდი და ჯალზაჰაჲ ძმრითა დაასოვლოს და მანკსა ზედა შემოსდვას, და მიწყით ბაზრაყატუნსა ძმრითა შემოსდებდეს.

ირყანისაჲსა ვითარებაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: ესე მანკი სქელისა ბალღამისა უნდილისაგან იქნების, რომელ მისითა მორგენითა 40 და სიმრავლითა ესე მანკი გამოიწნდეს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისა ანუ ბალღამისაგან იყოს. იგი არს, რომელ არ დია სტეივიდეს და ზელისგან გაგრილდეს, და ნიშანი მისი რომელ სასეკდოჲთა ხილტისაგან იყოს იგი არს, რომელ მანკისა ადგილი ვითა მშვილდისა საბელი გასხირპული იყოს.

კურნება მისი რა სიგრილისაგან იყოს. რა ბალამისაგან იყოს იგი არს, რომელ სიქნეგუბინითა ნელითა და ბოლოკის წყლითა არწყვიოს, და ჰუენა ჟუოს, და იარა ფევირაათა მუცელი დაიღბოს. და გულანგუბინსა კამდეს. და საკამადსა მუხუდის წვესსა ანუ ზირაბაჯსა იხმარებდეს. და თირმისისა ფევილი ღვინითა შეზილოს და ზედა შემოსდვას, და მიწყით ნარდენისა ზეთსა იცხებდეს. მაშა თუ მანკი სსევედოსა ხილტისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატუხითა და გულანგუბინი შაქრისა ნელითა წყლითა იხმაროს. და ინა მანკა ზედა შეიცოს. და ცვილი და პატისა ცმელი და ზროხისა ერობა მალჰამად შექნას და ზედა შემოსდვას. და ასფარამთა წყალსა ზედა იხმიდეს. და მანკისა ბოლოსა ირყანისისა ძარღვი გაიხსნას და

10 თუ მანკი გაგრძელდეს ძალიანი ჰუენა ჟუოს.

ისაქ იტყვის: ესე მანკი და ზურგისა ტკივილი რა სიგრილისაგან იყოს, და მუხლისა და ბარკლისა ტკივილსა შეტარაასა შაბი ერგების ესრე: ყვითელი ჰალილა ხუთისა დრამისა წონი, შეტარაა ორისა დრამისა წონი, სამბი უკიაა ერთი, ზანჯაბილი და შაჰში ჰანტალი და მარლი და ვაჯი თვითთასგან დრამისა წონი, დარაფილფილი და სპანძელისა თესლი თვითთასგან დრამისა წონი და ნახევარი, ფანდი ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი წყლითა შეზილოს და ორისა დრამისა წონი იხმაროს. და თუსპანძელი წყლითა შეაბგოს და ზეთისხილისა ზეთითა ჰუენა ჟუოს. და რა ხანი გაეწიდდოს მაშინ ფარფონისა ზეთსა იცხებდეს. და ბედანჯირისა ტვინი ძმრითა ვაგლოს და შემოსდვას და ყუსტი და პიტნისა წყალი და შქუფაა აღხარისა ამის მანკისთვის კარგი არს, და

20 დიდი ხსიათი აქეს, და ღია ერგების.

რ. სამციმელთა ტაქვილი რომელსა ჰჰვიან არაბულად ვაჯალ მაფასილი და სპარსულად დაადი განდაჰა. რა სიმხურვალისაგან იყოს. მსარჯოა იტყვის: ესე მანკი სისხლისა სიმრავლითა იძების უნდილისა რომელ ტანსა შიგან შეიყაროს, ანუ ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალმან საქციეველთა მიუძღოს და მუნ დაანატოს.

ნიშანი მისი რა სიმხურვალისაგან იყოს. რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ მაჯასი სავსე იყოს და საქციელნი ზელისაგან გახურდენ და ფერად წიფელი იყოს. და ნიშანი მისი რომელ ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ ღია სტკივოდეს და ისრისაგარ სცემდეს.

კურნება მისი რა სიმხურვალით იყოს. საქციელთა ტკივილი და ნი-
30 კრისი ერთი არს და გამოცნობა ამით შუა იგი არს, რომელ რა ტკივილი ყოველთა საქციელთა ტანისასა შიგან იყოს მას არაბულად ვაჯალმაფასილი ჰჰვიან, და რა ტკივილი ფერხისა თითთა შუა, და საქციელთა მისთა და კოჰისა საქციელთა შუა იყოს მას ნიკრისი ჰჰვიან. მით რომელ უფროასი მანკისა სათაენოა რა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნად და მაშინ ბუნება გაუფრლონ წყლითა და კატაკტოსა თესლისა წყლითა, რომელ შაქრითა იხმაროს და თუ ნენელი მქლედ იყოს ნუშისა ზეთი ქრთილისა წყალსა გაჰრიოს და იხმაროს. და თუ ტანი ¹⁾ მქლედ იყოს ქრთილისა წყალი შაქრითა იხმაროს, და ბროწყელისა წყლითა მუცელი დაიღბოს, ანუ ტყემლისა წყლითა და თამრიჰინდისა წყლითა და უნაბისა წყლითა. და შარაბი ნილოფარისა სიქნეგუბინითა იხმაროს. და საკამადი ზირაბაჯი ანუ აღარდენისა ურწყოა კამოს, და მხურვალთა საკამადთა ერთ-
40 დოს და სანდალი და მეშჰარისა წყალი, და ხვარატისა წყალი და კიტრისა წყალი, და ცოტაა ძმარი და ქაფუფი ერთად გაჰრიოს, და მანკისა ადგილსა შემოსდვას.

ჰუნაჲ იტყვის: თუ ესე მანკი ზაფრისაგან იყოს მანკისა, დასაწყისსა მუცელი დაიღბოს ხილთა წყლითა, ანუ ვარდი და სიქნეგუბინი და მყინვარი იხმაროს. და მაშინ ქრთილისა წყალი და ბროწყელისა წყალი და ბადარანგისა კიტრისა წყალი და კატაკტო-

¹⁾ ამ გვერდის ქვემო შიხე რეველთა სათვალავი სწერია „მ“ და შემდგომი გვერდის ზემო შიხე „მგ“.

სა თესლისა წყალი და ბაზრაცატუნისა ლუბი იხმაროს და ბუნება გაიგრილოს, და ხელი გაიხსნას, და ეგეთთა რაჲსმე ქამდეს რომელ ბუნებას სინდელესა მოჴმატებდეს. და მიწყით ლისანალჴამლისა წყალი და სანდალი, და შაფი მამითა და შობილი, და სქეტი და სომხური მიწა, და ქაუფური და ვარდისა წყალი და გეშაპარისა წყალი ერთგან შეზილოს და მანკისა ადგილსა შესცხოს. და ჯალზაბაჲ ძმრითა დაასოვლოს და ამა წამალთა თანა გაპრიოს უკეთესი იქნების და ერგების, რაჲ ესრე ვითა გვითქვამს კარვად ჴყურნოს.

ვაჯალმათასილისა ვითარებაჲ. რაჲ სიგრილისგან იყოს. ისაკ იტყვის: გლუსუნისა უნდილისა ბალამისა სიმრავლისაგან იქნების, რომელ ტანისა საქციელთა შიგან შეყრილ იყენენ და მოერივნენ. ანუ სასევედოჲსა გასარეველისაგან იქნების რომელ ტანისა საქციელთა შიგან შეყრილ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. იგი არს, რაჲცა ბალამისგან იყოს რომელ რაჲ ხელი შემოსდგან საქციელთა ხურვიდეს, და გრილისა ქამისგან უვარე გახდეს. და ნიშანი მისი რაჲცა სევედისგან იყოს იგი არს, რომელ მანკისა ადგილი ფერად შავი იყოს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიგრილისგან იყოს. ესე მანკი რაჲ ბალამისგან იყოს კურნებაჲ იგი არს, რომელ მიწყით უზმამან გულანგუბინი ქამოს და თესლთა სიქანგუბინი. და საქამადსა მუხუდის წვესა იხმარებდეს. და რაჲ შეიგნეს რომელ მანკისა სათავნოჲ შემებარ არს მუცელი დაიღბოს იარაჲთა ანუ სორინჯანისა ჰაბითა. და მაშინ ტრედიისა ხუნდი ქამოს რომელ შურგავთა შექნილ იყოს. და ცერცოჲსა წყლითა ნელითა არწყიოს, და მანკისა დასაწყისსა მხურვალე წამალი იხმაროს. და მანკისა ადგილი ჴუტუტითა და ზროხისა სკორითა და ცხერისა კორკლითა რომელ თაფლითა შეზილოს, შემოდებითა აცხოვნოს. და ასთარაჲთა წყალთა ზედა იხსმიდეს. და თუ ჰიტნაჲ ძმრითა ადულოს და მანკისა ადგილსა შემოსდგას კარგი არს.

მისი იტყვის: თუ ესე მანკი სასევედოჲსა ხილტისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთიმონისა მატუხითა, და მიწყით მანკისა ადგილსა ქათმისა ცმელითა და ბატისა ცმელითა, და უღბოჲსა ლჳაბითა და სელისა ლუბითა, და ქუნჯიდისა ზეთითა იხელდეს. და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს. და თუ მანკი გაგრძელდეს უმჯობესი მისთვის იგი არს, რომელ აბთარი რომელსა ჴქვიან არაბულად, წყლითა შეაბგოს და მას წყალსა შიგან ჩაჯდეს დია კარგი არს. და ესე ჰაბი იხმაროს ჩვენ გამოგვიცლია ვითარებაჲ მისი: სორინჯანი და ბოზიდანი და შამში ჰანტალი თვითოჲსგან დანვი ერთი, დარიყონი და საბრი თვითოჲსგან ნახევარ დრამისა წონი, თურბიდი დრამისა წონი, მარილი დანვი და ნახევარი, მუყლი დანვი და ნახევარი, ყოველი დანაყოს და წყლითა შეზილოს და ჰაბად ქნას და ერთხელ იხმაროს თუ ძალი ჴქონდეს. და გრილთა და მძიმეთა საქამადთა ერიდოს და მხურვალთა მიელტოდეს. და თუ თარფიონი და იასამინისა ზეთი და ხაზუნისა გული ვითა მაღჴამაჲ შექნას და შემოსდგას, კარგი არს.

რჴა. ნიპრისი, სიმხურვალისგან თუ იყოს. ვითარებაჲ მისი. თე ბით ყურაჲ იტყვის: დია მხურვალისა საქამადისა ქამისგან იქნების რომელ რაჲ ზაფრაჲ მოერიოს, ანუ მიწყით სიმთვრელიისგან და უდნობისა საქამადისაგან რომელ რიატით არ ექნას, და დიაცისა დია მრავალჯერ მოხვეისა და სიძველესგან იქნების.

ნიშანი მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისგან იყოს იგი არს, რომელ ფერად წითელი იყოს და რაჲ ხელი შემოსდგან მხურვალე იყოს. და ნიშანი მისი რაჲცა ზაფრისგან იყოს იგი არს, რომელ დია სტკიოდეს და იცქმდეს.

კურნებაჲ მისი რაჲ სიმხურვალისგან იყოს. რაჲცა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას არ მუნითკე რომელ სტკიოდეს, და ნუ მოღაფლდების და ხელის გახსნისა უკანით გრილთა შემოსადებელთა შემოსდებდეს. და თუ ტილოჲსა მჭარასა ძმრითა და ვარდისა წყლითა დაასოვლებდეს და შემოსდებდეს კარგი არს. და ესე შემოსა-

დებელი მას. ერგების ვითარება მისი: თეთრი სანდალი და შავი მამითა, და შობილი და სპეტი და სომხური მიწა, და ფუში და რუბანდული, ყოველი ძმრითა და ვარდის წყლითა შეზლოს და ყოველთა მხურვალთა სიმსიკნეთა შემოიცხოს, სიმსიგნისსა დასაწყისსა დააწყინარებს ყოველსა, ანუ წითელი და თეთრი სანდალი მეშხარითა წყლითჲ ანუ ხავარტისა წყლითა გაგალოს, და ანუ ამით წყლითა დაასოვლოს და ცოტათა ძმრითა შეზილოს და შესცხოს, ერგების.

10 მუჭამედ ზაქარიას ძე იტყვის: კურნება მისი იგი არს, რაჲცა ზაფრისაგან იყოს, რომელ მუცელი დაიღობოს ჰუენითა ეგეთითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს ვითა სორინჯანისა მატუხი, და ტყემლისა შარაბი საყამონიათა, და დელამოტისა წყალი რომელსა ჰქვიან სფილი, და საბრისა ნაყი არდისა წყლითა, რომელ მანკისა სათავნოა დელიოს. და თუ დანგი და ნახევარი საყამონიაა ერთსა უკიასა სიქანგუბინსა თანა ანუ ჯულაბითა დაასოვლოს და იხმაროს, სიმხურვალესა გარდაიღებს და სიმსიგნესა დააწყინარებს. და ეგეთთა მალჰამათა იხმარებდეს რომელ სიმსიგნესა გაჰხნიდეს ვითა დახილონისა მალჰამა, რომელ ქუნჯიდისა ზეთითა დააღობოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ ქერისა ფქვილი და ბაბუნა და ბალაბა თეთრი ერთგან გაჰროს და იასამინისა ზეთი ჩაურთოს, და მანკისა ადგილსა შემოსდვას ერგების. და საჭამადად ქრთილისა წყალსა იხმარებდეს და მკავესა და ტკბილისა ბროწუელისა წყალსა, და ზაფრისათა საჭამადთა ერიდოს და სიგრილესა მიელტვიდეს. და ჯალზაბა მყინვარითა გაგალოს და შემოსდვას, ერგების.

20 ვითარებაა ნიკრისისა რაჲ სიგრილისაგან იყოს. მუჭამედ ზაქარიას ძე იტყვის: უნდლისა¹⁾ ბალღისა სიმრავლითა იქნების რომელ ტანსა წიგან შეიყაროს, და ბუნებისა ძალმან იგი ქვე ჩაიძალოს, და ხორხთა საქციელი მგით აივსოს და გასივოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲცა ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ მისი სიმსიგნე ფერად თეთრი იყოს და ზელისაგან გაგრილდეს. და რაჲ გრილი რაჲმე ქამოს გაუფიცდეს მანკი, და რაჲ მხურვალე ქამოს ელხინოს და იჯობინოს.

30 კურნება მისი რაჲ სიგრილისაგან იყოს. რაჲცა ბალღისაგან იყოს იგი არს, რომელ არწყისი ეგეთითა რომელ სქელსა ბალღისა ჩამოიღებდეს და მუცელი დაიღობოს სორინჯანისა ჰაბითა ანუ შეტარასა ჰაბითა, ანუ ასტმეიონისა ჰაბითა და რაჲცა ამით ჰგავდეს. და ციკსა წყალსა ნუ სჭამს და დიაცსა და სიმთვრალესა ერიდოს. და რაჲ საჭამადი და ეკამოს არწყისს. და თუ მანკი სინედლისა ნიშნითა იყოს სპანქელისა თესლი და თაფლი ერთგან გაჰროს და იხმაროს, რომელ მანკი აღარ მოემატოს. და რაჲ მანკი მარჯვნივ იყოს ადრე გამრთელდების და უადრე გაიხსნების, ვიდრე მარცხნივთჲ.

მასარჯოთა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მხურვალე შემოსადებელი შემოსდვას და შეტარასა ჰაბი იხმაროს, და ამის მანკისა კურნებასა დათმობა უნდა, მით რომელ, ესე მანკი უნდლი იქნების მწელად გაიხსნების და დიდი ხანი უნა რომელ იკურნოს. და მანკისა ბოლოსა ბაბუნა და აქლილამალიქი და ლარიყონისა ფურცელი დანაყილი მალჰამად შექნას და შემოსდვას. და თუ ქუნჯილი და მარჯანგოშისა ფურცელი დანაყილი და ჰვეში ერთი სპანქელისა თესლი თანა გაჰროს და მალჰამად შექნას და შემოსდვას, ერგების.

40 მადანი იტყვის: სორინჯანისა ჰაბი ამას მანკსა რომელ ბალღისაგან იყოს ერგების ვითარება მისი: თურბიდი მუჭყალი ერთი, საბრი ნახევარისა დრამისა წონი, მარილი და მასტაქი თვითოასაგან დანგი, სორინჯანი ნახევარ დრამისა წონი, ჰაბად ქნას და ქაშოს. და ესე შემოსდვას მიად ნედლი და ხაზდისა გული და ფარფინი, მური და საბრი და აყაყა თვითოასაგან ნაწილი ერთი, ყოველი ღვინითა შეაბგოს და შესცხოს. და რაჲ ტყვილი დასწყინარდეს თაფლითა წყლითა ნუტული უყოს.

¹⁾ „უნდლისა“.

რკპ. დავალი და დაღწილი ორივე ფაქტთა შეაქმნის. ვითარება დაეალისა მანკისა. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე მანკი სასვედლოსა ხილტისაგან იქნების რომელ ფერხისა ძარღვთა შიგან ჩასულ იყოს, და ესე მანკი უფროსი მათ შეექმნების რომელ ქვეით რგზავრობდეს ვითა ფარიდანთა და მუქერთა.

ნიშანი დაეალისა მანკისა. იგი არს, რომალ ძარღვი ადგომილი, მსხვილი, მოგრებილი, წვივა ზედა გამოჩნდეს და ფერად იგი ძარღვი შეაფერი იყუნენ, ანუ წყვან გუბარი, და ოა ფერად შავი იყოს ძარღვი, მანკი მისი უფროა ძნელი იქნების.

10 კურნება დაეალისა მანკისა. იგი არს, რომელ ბასალიყი გაიხსნას და მაშინ იგი მოგრებილი ძარღვი რომელ წვივთა ზედა ჩნდნენ ყოველი გაიხსნას, და ხელითა ჩამოხელოს რომელ სისხლი ყოველი გამოვიდეს და დაიცალოს. და ძრავალჯერ ბასალიყი გაიხსნას. და თუ ბალზა და კერცხისა თეთრი და აუყაია ერთგან გაპროს და წვივთა შემოსდვას, და ეგეთთა წამალთა რომელ სვედასა ჩამოიღებდეს იხმაროს, და მძიმეთა საქამაღთა ერიდოდეს. და სიარულითა და საქმითა ქნითა თავსა ნუ აწუნეს, და შემკვრელთა საქამაღთა ჰემიდეს ვითა ვარიად თუთუბითა შექნილი ანუ ალარდნითა. და მიწყით აბანოს იგიეიდოდეს და ნელსა წყალსა ზედა იხსნიდეს. და ვარდი და ბროწყელისა ყუბილი დანაყოს და მორდისა წყლითა შეხილოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას მრავალჯერ, ერგების.

20 მასარჯოა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ბასალიყი გაიხსნას და თუ სნეულსა შეეძლოს მუცელი დაუღბონ ამით წამლითა, რომელ მანკისა დედისგან გაწმენდეს ვითარება მისი: აფთიომი აფრეტი და ბასბასა თეთროსაგან ორიცა დრამისა წონი, მარილი ნავთი ოთხი დანგი, ასტობოდოსი ოთხი დანგი, ლავარდი მუთულისა ნახევარი, ყოველი დახაყილი და გაცრილი სამისა დრამისა წონი მისგნით იხმაროს თფილითა წყლითა და ცისკრისაჟამს ჰამოს. და თუ ესე წამლები წყლითა შეხილოს და ჰაბად ქნას და ოთხი დრამისა წონი მისგნით იხმაროს ერგების. და უდნობთა და არმაშტნეთა საქამაღთა ერიდოს, და ხატიფთა მიელტვოდეს, რომელ ელხინოს და ამას მანკსა დაეხსნას.

ვითარება დალფილისა. აბუჯარიჰ იტყვის: ესე მანკი სვედისა სიმეტისგან იქნების რომელ დამწვარი იყოს და ბუნებისა ძალსა მიეძალოს, ანუ სქელისა ბალღმისაგან იქნების.

30 ნიშანი მისი რაა ბალღმისაგან¹⁾ იყოს. იგი არს, რომელ ფერხი გასივებით იყოს და დამსხობილი და ფერად შავი იყოს და ძნელი, და ნიშანი მისი რააყა ბალღმისგან იყოს იგი არს, რომელ თეთრი იყოს და ზელისაგან ცაივდეს.

კურნება დალფილისა: ესე მანკი მუხლთა და წვივთა შიგან იქნების, და რაა გაძლიერდეს კაცი მეყოლიელი მეიქნების, და მაშინ არა იკურნების. და მანკისა დასაწყისსა ღონე მისი იგი არს, რომელ არწყოს და დისისა²⁾ სორინჯანისა ჰაბითა მუცელი დაღბოს და ნუ იარების, და ჰავთა საქამაღთა ერიდებოდეს. და საბრი და მური და აუყაია და ლიპითა თასისა აფშარად და თეთრი არჯასპი ყოველი ძმრითა დაღბოს და ფერხთა შემოსდვას და შასტოს და მაგრად შეკრას. და შეკვრვა ქუსლით დაღმა დაიწყოს და მუხლაშედ გამოვიდეს. და კალნაისა თესლი და ნაცარი. და თხის კორკლი, და ქერის ფქვილი მაღამად შექნას და შემოსდვას.

40 მასაჟს ძე იტყვის: მუნთოე რომელ მანკი იყოს ბასალიყი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს აფთიომისა მატუხითა და დელამოტისა წყლითა. და სვედიანსა საქამაღსა ერიდოს და ვარიად ჰემუს და ბატენისა ხორცი კალით. და ამოზავებული კვერცხისა ყვითელი ჰამოს, და ნუ იარების დია. და გრილსა საქამაღსა ნუ ჰამოს, რომელ მანკი არ გაძნელდეს, თუ გაძნელდების არა იკურნების. და ესე ჰაბი ჩვენ გამოვიცილთა ამას მანკსა დია ერგების ვი-

¹⁾ აქ შეცდომაა უნდა იყოს „სვედისგან“.

²⁾ აქაც შეცდომაა უნდა იყოს „დიდისა“.

თარგებდა მისი: შაჰში ჰანტალი ხუთისა დრამისა წონი, შაბარამისა შეშა: ორისა დრამისა წონი, მუკლი ლურჯი ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყოს და გაცრას და წყლითა შეზილოს და ჰაზად ქნას, და ჩრდილსა გაახმოს და ნდომისა ეამსა ორისა დრამისა წონი იხმაროს. და უდნობსა და გრილსა ერიდოს.

კვპ. ნახუნხუარაბა კომედიბა თარგმანი არს ფრჩხილისა მხამელი და რიშთაბა კომელსა ჰქვიან მჟელი კომელ, ფრჩხილისგან ზამოვბა.

ვითარებდა ნახუნხუარისა, ფრჩხილის მქაშელისა. მასარჯომა იტყვის: ესე მანკი სიმეტისა და მორევისა მხურვალისა სისხლისგან იქნების, რომელ ბუნებისა ძალი თითთავე მიუძღვება მას, და იქნების ცა რომელ სისხლისა თანა ზაფრადცა 10 რთულ იყოს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ სიმსიენე თითთა ზედა გამოჩნდეს ფრჩხილისა სიბზლესა და დია სტივიოდეს, და მაშინ ფრჩხილი დაჰვარდეს და მით არაბულად ამას მანკსა დახისი ჰქვიან.

კურნებდა ნახუნხუარისა. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ენგარაბა და რკინისა ბაყლი, რომელსა ჰქვიან რიშაჰანი, და ქართულად წიდაბ, ძმრითა გავალოს და შესცხოს ანუ თოვლსა და მყინვარსა შუა ჩადვას, და თუ ნელსა ერბოხსა შიგან ჩაყოს კარგი არს, ეგრე რომელ დაწუას, და ეგეთთა რაასმე შემოსდებდეს რომელ ათხამლიანებდეს, და მაშინ გახსნას რომელ თხამლი გამოვიდეს, ეგრე შემოაჭიროს რომელ დაიცალოს და გაწმედეს, და შეინახოს რომელ ფრჩხილი არ დაჰვარდეს, და თუ მანკი გავრძელდეს ეგეთთა 20 მალჰამითა რომელ ხორცსა ზრდიდეს, კურნოს.

თებით ყ...¹⁾: ესე მანკი მხურვალი სიმსიენე არს, და ფიცხელისა ზაფრისაგან არს, რომელ ფრჩხილისა ძირსა გამოჩნდეს რაა მუნ შეიყაროს. კურნებდა მისი იგი არს, რომელ რაა სისხლისა ნიშნითა²⁾ იყოს მის სხვა ხელისაგან ხელი გაიხსნას, და მუცელიცა დაიღობოს ჰალილასა მატბუხითა ყვითლითა. და მსგავსი მისი. და მანკისა თესლი და აფიონი რომელიცა იყოს ძმრითა დააღობოს და შემოსდვას, და თუ თირიყვი იყოს შემოსდვას ეყოფის.

ისაკ იტყვის: კურნებდა მისი იგი არს, რომელ მუმროლანი ვარდისა და ბაზრაცატუნაბა წყლითა შეზილოს და მიწყით შესცხებდეს. და თუ დია სტივიოდეს ფარფიონი ძმარსა გაჭიროს და შემოსდვას. და თუ მაჯასი სისხლითა საეცე იყოს ხელი გაიხსნას არ 30 მის ხელისგან, და რაა სიმსიენე გაიხსნას კარაქი შემოსდვას და მაშინ თეთრითა მალჰამითა კურნოს. და თუ თხამლი იყოს შიგან და თვით არ გაიხსნას, მაშინ შაშრითა გახსნას რომელ თხამლისაგან დაიცალოს.

ვითარებდა მჟელისა კომელ ფრჩხილისგან ზამოვბა. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე მანკი დამწუარისა სვედისა [გან] იქნების რომელ მუნ შეიყაროს და მოერიოს, ანუ დია მგზავრობისა და სიარულისაგან იქნების, და ანუ ჰაერისა სისმელისაგან იქნების რომელ მუნ დაეყოს ხანი.

ნიშანი მკედისაა რომელსა ჰქვიან რიშთაბა. იგი არს, რომელ ფერხისა ტყავთა ქვეშეთ ძარღვი ვითა გახსნილ იყოს და გრძელდებოდეს. და რააცა ამის მანკისაგან ტყავთა შიგნით იყოს ქიაა ვითა ეგრე ეგონოს რომელ იძრვის, და მას ირყიმადინი 40 ჰქვიან არაბულად.

კურნებდა ფერხისა მკედისაა. იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ერბოხსა შესცხებდეს და ეგეთთა რაასმე რომელ სინედლესა მოუმატებდეს იხმარებდეს. და რაა აცხროოს და სიმხურვალე ერთოს ბასალიყი გაიხსნას, და მუცელი დაიღობოს ხილთა წყლითა, და ქრთილისა წყალსა სმიდეს, და ეგეთთა რაასმე იხმარებდეს რომელ ნელლი და გრი-

¹⁾ თებით ყურაჲს ძე იტყვის:

²⁾ ეს სიტყვა სტრაციონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვითარება და მფარველობის ხელისა და ფარვისა. აბუჯარი იტყვის: ესე მანკი მისგან იქნების, რომელ ოდესცა ბუნებაური სიგრილე იყოს ანუ ცივი ქარი, მაშინ ხელი და ფერხი დახურვით არ დაიჭიროს და შიშველად მიუშვან, მაშინ აჩისითა გზითა და მოლაფლებითა სიცივე შეუვა.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ ფერად მწვანე გუბარი იყოს ანუ შავ ფერი, თუ მწვანე იყოს მანკი უმცროვან შეხდომილ იყოს, და შავი იყოს მანკი უძნელე იყოს.

კურნება ხელისა და ფერხისა და ამზრობისა. კურნება იგი არს, რომელ ხელი და ფერხი თფილითა ერბოვთა კარგად იხელონ და შენახვით და დახურვით დაიჭირონ, რომელ სევდაა შიგან არ შეუხდეს, სიცივე, და უმჯობესი ამისგან იგი არს, რომელ ყატრანი იცხოს, მე წერი მგონიან და თუ კუჭრი არცა იგი ვიცო, რომელ არ დაშავდეს და კაცსა სიცივესა შიგან მოჭირვება და დათმობა არ უნდა, მით რომელ დია ავინებს და ადრე გამოაჩენს მანკსა და დააშავებს ასოთა. და რომელ ხელი და ფერხი სიცივისაგან გასივდეს შემგბარი თალგამი ანუ ცერეკოა შემგბარი შემოსიდან, და თუ ბაბუნა და სისანძარი, და მარზანგოში და სელი, და უღობო და იფქლი ყოველი ანუ რააცა ჰყოფოს წყლითა შეაბგოს, და ხელსა და ფერხსა შემოსიდეს, და მზურვალთა ერბოთა იხელდეს.

ჯალინოს იტყვის: თუ ხელი და ფერხი სიცივისაგან გამწვანდეს ანუ გაშავდეს თადბირი მისი იგი არს, რომელ დაშავრონ რომელ დია სისხლი გამოვიდეს, და მაშინ ტფილსა წყალსა შიგან ჩადვან რომელ არ გაიყინოს. და თუ სისხლი არ უქუდდეს სომბური მიწაჲ ძმრითა დაასოვლოს და ზედა შემოსიდეს, და ერთსა დღესა და ღამესა ეგრევე დასოვლებით დაიჭიროს, და მერმელა თფილითა წყლითა დაიბანოს, ორჯერ სამჯერ ისრე უყოს. და მას უწინაჲ რომელ დაშავრონ დამპალსა ხორცსა დაშავებულსა რკინისა მიხლოვება არა ხაშს, მით რომელ ენების. (ჰაქუნტლისა¹⁾) და კალნაბისა ფურცელი ერთგან შეაბგონ და ზროხისა ერბოვთა მალჰამავითა უყონ და წელი ზედა შემოჭრან და დღიე ორჯელ შემოსიდან, და ჰნახონ რომელ რააცა დამპალი იყოს დაჭვარდეს და მაშინ ეგეთითა მალჰამითა რომელ ხორცსა ზრდიდეს უჭურნონ. და თუ თირმისი და ქარსინა წყლითა დაალობოს და ზედა შემოჭრას კარგი არს. და თუ ხელი და ფერხი დაბნელებულ იყოს სიცივისაგან ნავთი შესცხოს და ცეცხლსა მიუპყრას დია ერგების, და გამართლდების და ილხენს.

30 რამე. ძალაჲნი რომელსა ჰქვინან ზროვლი. და მუნჯილა და ბარიში და ნაშირი.

ვითარება კროფლისა და ბარიშისა. მასომაჲ ძე იტყვის: ესე მანკი დამწვარისა სისხლისა ბუხარისაგან იქნების და სასეფოვასა გასარეველისაგან, რომელ ბუნებისა ძალსა იგი ორივე ტყავთა გარე მიეძალოს და პირსა სხვაგან გამოიჩინოს.

ნიშანი კროფლისა და ბარიშისა. იგი არს კროვოლისა ნიშანი რომელ პირსა ანუ სხვაგან შავშავი მარცხალივითა იყოს, და ბარიშისა ნიშანი იგი არს, რომელ მწვანე ანუ შავი ფერი იყოს.

კურნება კროფლისა და ბარიშისა. მასომაჲ ძე იტყვის: იგი არს, ესე მანკი ტყავთა გარეთ გამოჩნდების, ვითარებაჲ მისი ჰავისა სიმეტისაგან იქნების რომელ ტანსა ზიგან იყოს და მაშინ ბუნებისა ძალმან ყოველსა ტყავთა ქვეშეთ მიუძალდეს, და მით ტყავი ტანისა არა ჰგავს ბუნებისა ტყავსა. და ესე მანკი ფიცხელთა სნებათაგან

¹⁾ ამ გვერდის ქვემოთ ამა: ზე რვეულთა სათვალავი სწერია „მგ“ და შემდეგი გვერდის ზემო აშოა-ზე „მდ“.

გამოჩნდებიან. კურნება მისი ძნელი არს მით რომელ პირველ ტანსა გაწმენდა უნდა ჰაერთა გასარეველთაგან, და მაშინ მოწონებულსა საჭამადსა ჰაედეს. მაგრა ვითარება მისი რაა ტყავთა გარეთ იყოს და კაცი მრთელად იყოს, კურნება მისი იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს რომელ წყალი მისი ტფილი და ჰამოა იყოს და რაა გამოვიდეს თბილსა სავებელისა შიგან დაწვეს, და სურნელსა ლენოასა და ხორციისა წვესა იხმარებდეს.

რო ფის იტყვის: კურნება ჰროფლისა იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მაშინ მუცელი დაიღობოს ხილთა წყლითა შემგებართა ანუ დელამოტისა წყლითა. და სევდიანსა საჭამადსა ერიდებოდეს და ესე წამალი შესცხოს ჰროფლსა და ბარიშსა ერგების და გარდაიღებს, ვითარება მისი: ბოლოკისა თესლი და სპანძელისა თესლი, და ჩიტისა სკინტლი და მლოგვი, და ლერწმისა ძარი და მწარე ნუში, და პილპილი და ბაერუჯი, და თირმისი და ყუსტი, ყოველი წმიდად დაწყოს და ბოლოკისა წყლითა და ბოლოკის ფურცლისა წყლითა შეზილოს, და აბანოსა შევიდეს და ტანი ანაკვეთითა კარგად დაიბანოს, და მაშინ ესე წამალი შესცხოს. და თუ ჰროფლი შავი და ბნელი იყოს ესე წამალი უყოს ერგების, ფაჩარი ნესვისა წყლითა დაალბოს და ცოტაა ზაფრანაა და ქარისნა) უროს და შესცხოს ერგების. ვითარება ნამიშისა და ქუნჯიდიასა. აბუჯარიპ იტყვის. ვასარეველისაგან იქნების რომელ ტყავთა ქვეშე ბუნებისა ძალსა მიეძალოს, და იქნების რომელ სისხლისა დამწებრისა ბუხარია იყოს.

ნიშანი ნამიშისა და ქუნჯიდიასა. იგი არს ნამიშისა ნიშანი, რომელ ფერად მწვანე იყოს ანუ ცოტად მოწითაღე იყოს, და ქუნჯიდასა ნიშანი იგი არს, რომელ შავი იყოს და მანკისა სათაგნოა უძნელესი იყოს, და მას არაბულად ხალი ჰქვიან, ქართულად ნიშანი.

კურნება ნამიშისა და ქუნჯიდაა აბუჯარიპ იტყვის: რომელ ქუნჯიდასაგან ზოგი შავი და ძველი იქნების, და მას ძალიანი შემოსადებელი უნდა ვითა სპანძელისა თესლი და ვერცხლის წყლისა ნაკარი და პილპილი და ბაერუჯი. და იქნების რომელ ვერცა რაა აბან წამალმან უყოს უფიცხესი უნდეს ვითა ყვითელი ზარნიხი ანუ მახირიონისა ტილე რომელ შესცხონ. და თუ წურბელი მოჰკადოს კარგი არს. და რაა შავი არ იყოს ანუ აკლდეს სიშავე კურნება მისი და ქუნჯიდასი იგი არს, რომელ კივალი გაიხსნას და მუცელი დაიღობოს აფთიმონისა მატბუხითა, რომელ მანკისა დედაა გაწმინდოს ტანისაგან და მაშინ ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში ქერქ შეხდილი ბაჯლასა ფქვილსა თანა ნესვისა თესლსა გაჰროოს და შესცხოს, კარგი არს.

მადანი იტყვის: ნამიშისა და ქუნჯიდასა კურნება იგი არს, რომელ პირველ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღობოს აფთიმონისა მატბუხითა და ესე წამალი იხმაროს ვითარება მისი: ნესვისა თესლი ქერქშხდილი ნაწილი ერთი, სპანძელისა თესლი და ყუსტი ჰამოა თვითოასაგან ნაწილისა ნახევარი, ყოველი ქერქუნჯობისა წყლითა ყვითლითა დაალბოს და ღამით შეიცხოს. და დღისით აბანოს მივიდეს და იბანოს. და თუ მწარე ნუში მუყლსა თანა დანაყოს და შემგებრისა ლელვისა წყალსა თანა გაჰროოს და შესცხოს, მაშინ რაა აბანოთა გამოსრულ იყოს და პირი ტფილითა წყლითა და ანაკვეთითა დაიბანოს. და თუ ამარტაა ზარნიხი ქინძისა წყლითა დაალბოს და შესცხოს ჰროფლსა და ქუნჯიდასა წაიღებს. და ესე სხვაა წამალი: ლერწმისა ტყავი თუ უნდა ქერქი ხუთისა დრამისა წონი, ბოლოკისა თესლი და ხარბაყი და ქუნთუში თვითოასაგან ორისა დრამისა წონი, ყოველი დანაყილი ბოლოკისა წყლითა შეზილოს და შესცხოს, და დღისით აბანოს მივიდეს და ანაკვეთისა წყლითა დაიბანოს კარგად გასწმენდს.

რკვ. ყოზაა რომელსა ჰქვიან გიბეზი და თუთაა რომელსა არაბულად შირი ჰქვიან. ვითარება ყოზასი და თუთასი. მესია იტყვის: ვითა ყოზაა ნატიფისა სისხლისაგან

1) შეცდომაა, უნდა იყოს „ქარისნა“.

იქნების ბალღმური ანუ სევდაური რომელ მლაშე გასარეველი რეულ იყოს, და თუთაა სასევდაოა სქელისა გასარეველისაგან შეიქნების.

ნიშანი ყობასა და თუთაასი ყობასა ნიშანი იგი არს, რომელ მქესედ იყოს და ბნელ ფერი იყოს და ქავოდეს ცა, და იქნების რომელ ცოცოტად ქერქი უხმებოდეს. და ნიშანი თუთაასი იგი არს, რომელ სიმსიენე რაა გამოჩნდეს მაშინ გამავრდეს.

კურნებაა ყობასი და თუთაასი. ყობასი იგი არს, რომელ მიწყით ცხიბიანსა ისმიდეს და ველურისა ბროწყელისა ძირი და ეაშაა და ძმარი ერთგან გაპრიოს და შესცხოს, და თუ იფქილისა ზეთი შესცხოს კარგი არს. და თუ მანკი დაძველდეს და ხმელი ღლექილად იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ მოიფხანოს და წურბელი მოჰკიდოს და 10 საფაჟსა ძველისა წამლით იხმაროს ვითა გვითქვამს. და თუ თრუნჯისა მჟავითა ანუ ძმრითა და აყაყაითა და ველურისა კატკატოათა შეზილოს, კარგი არს.

ჰუნა იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ დამწუარისა გუნდაჟსა ნანაყი ძმრითა ადუღოს და მისგნით დრამისა წონი, დრამისა წონსა გომისსა არაბულსა და ნახევარ დრამისა წონსა კიოსა, ყოველი დანაყილი ერთგან გაპრიოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და თუ მანკი ახალი იყოს იფქილისა ზეთი შესცხოს კარგი არს, მეტად რაა ძმარი ერიოს. და რაა მანკი დაძველებულ იყოს წურბელი მოჰკიდოს და ბატისა ცმელითა და ქათმის ცმელითა მიწყით იცხიბიანოს და მუშროლანი საბრსა და ქათირაჟსა თანა გაპრიოს და შემოსდვას კარგი არს. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ გარდვიდეს, ტანი გაწმიდოს ეგვითა წამლითა რომელ სევდასა და ბალღამსა ჩამოიღებდეს და მიწყით ტანსა ნელითა 20 წყლითა იბანდეს.

თე ბით ყურაა იტყვის: კურნებაა თუთაასი იგი არს, რომელ მალჰამაა ჟანგარიანსა შემოსდვას, ანუ მაკრატელითა მოჰკეთოს და გაუშუას რომელ სისხლი გამოვიდეს და ძტელი ერთგა შემოსდვას, და მეოთხესა დღესა ეგეთი ხორცისა მზრდელი შემოსდვას რომელ ხორცისა ზრდოდეს. და თუ მანკისა დედაა ძნელი იყოს აფთიმონისა მატუხითა. მუცელი დაიღბოს.

ჰითარებაა შირინაჟსა. მასარჯოა იტყვის: ამის მანკისა ვითარებაა თხელიანსა სისხლისაგან იქნების რომელ ფიციელი ზაფრაჟს ანუ მლაშე ბალღამი მას თანა გარეულ იყოს, და რაა მოერიოს ესე გამოჩნდეს.

ნიშანი შირინაჟსა იგი არს რომელ წვრილი გაბერილობაა ფეტვისა ოდენი 30 ტანსა გამოჩნდეს და ფერად წითელი იყოს, და თუ ღღისით ქავოდეს ზაფრისაგან იყოს, და თუ ღამით ქავოდეს ბალღმისაგან იყოს.

კურნებაა შირინაჟსა. მასარჯოა იტყვის: რააცა ზაფრისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას თამარი ჰინდისა წყლითა და ტყემლისა წყლითა მუცელი დაიღბოს, და ყვითლისა ჰალილასა წყალსა სმიდეს, და თუ მუთყალი ერთი ყვითელი ჰალილაჟ, და დრამისა წონი იარაჟა ფეფირაჟა ორივე სიქანგუბინსა გაპრიოს და იხმაროს კარგი არს. და მაშინ ტკიბილისა და ჟჟავისა ბროწყელისა წყალისა სმიდეს. და თუ სიქანგუბინი და ტაბაშირი და ცოტაა ქაფური ერთგან გაპრიოს კარგი არს. და თუ ქინძისა წყალი და ქერისა ფევილი ერთგან შეზილოს და შემოსდვას კარგი არს. და ზეთისხილისა ფურცელი წყლითა ადუღოს და მიწყით მისითა წყლითა ნელითა იბანდეს ერგების.

ისაკ იტყვის: რა ესე მანკი მლაშისა ბალღმისაგან იყოს კურნებაა მისი იგი არს, რომელ უკიაჟ ერთი ნელისა სარკისა ნიგვზისა წყალი დრამისა წონსა დანაყილსა საბრსა თანა გაპრიოს და იხმაროს, და თუ მუთყალი ერთი ქაბაბაჟა წითლითა შაქრითა იხმაროს კარგი არს, და თუთუბაჟა წყლითა დააღბოს და დაწუროს და ოთხი უკიაჟ მისგან დრამისა წონისა გაგლილსა აბჰალსა თანა ჰამოს. და თუ ქერისა ფევილი და დანაყილი ნიახური ერთგან გა- 40 რიოს და შემოსდვას კარგი არს.

როფის იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ რააცა ზაფრისაგან იყოს ხელი გაიხსნას და რაა დღე ორჯერ სამჯერ ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს. და თუ შირინა დია იყოს მუცელი დაიღბოს ყვილითა ჰალილითა და შაქრითა. და სიქანებინი და ტკიბილსა და მჟაეისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს, ერგების და ადრე იღებენს.

აკუ. ხაფილი და ნიღლი მლიჩი და ძაპანი ტანისა. ვითარება ნედლისა მლიერისა. როფის იტყვის: ვითარება მისი რომელ სინედლისაგან იყოს მლაშისა ბალღმისაგან იქნების, რომელ ზურვალის სისხლი და ფიცხელი ზაფრად გარეულ იყოს მას თანა, და რაა მოეროს და განძლიერდეს მაშინ მისგნით ესე მანკი გამოჩნდეს.

ნიშანი ნედლისა მლიერისა იგი არს, რომელ პირველ გაბერილობა თითთა 10 შუა გამოჩნდეს და ქაოდეს და ფერად წითელი იყოს, და რაა განძლიერდეს ყოველგან დაიპანტოს, და რაა მოიფხანდეს მაშინ მისგნით ნედლი თხამლი სდიოდეს.

კურნება ნედლისა მლიერისაა როფის იტყვის. იგი არს, რომელ ხარა-ზაპრასა ფურცელი, და ვერცხლისა წყალი და ქერუშტი, და მურდისანვი და ცოტა მარილი, ერთგან გაპრიოს და ძმითა და ვარდის ზეთითა ყოველი ერთთაგან გაპრიოს და ტანსა შესცხოს, და მაშინ აბანოს მივიდეს და ნელითა წყლითა დაიბინოს.

მუჰამედ ზაქარიას იტყვის: კირი და ვარდისა ზეთი ერთგან გაპრიოს და შესცხოს, და თუ გოგირდი სელისა ზეთსა გაპრიოს და შესცხოს და შუესა დაჯდეს ერგების. და თუ გოგირდი თეთრი და ქერუშტი და წითელი ზარინის თვითოვსაგან ნაწილი ერთი, ვაზისა რქისა ნაცარი ყოველთა წამალთა ოდენი, ზეთითა შეზილოს და რაა აბანოთ 20 გამოსრულ იყოს შესცხოს, ერგების.

ძველისა ქავანისა კურნება. იგი არს, რომელ ძველი დელამოტისა წყალი სტასა და ნუშისა ზეთი და ბაზრაცატუნისა ლუბი. და გრილთა და ნედლთა შარბითა იხმარებდეს ვითა ბროწეულისა შარაბი და ვაშლისა შარაბი და ტუტისა შარაბსა. და თუ ქაბ-ულური ჰალილა და ბალილა და აჟულა უგულო თვითოვსაგან ნაწილი ერთი, ყოველი ცოტასა ნუშისა ზეთითა და თაფლითა შეზილოს და სამისა დრამისა წონი იხმაროს. და თუ მქავანი სიმურვალისაგან იყოს ჰალილასა მატუხი შაპთარასა წყლითა იხმაროს რომელ მუცელი დაიღბოს და მანკისა სათაუნო დააქოდეს. და ბაზრაცატუნსა და შაქარსა ქამდეს, და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს. და ტყემლისა წყალი და მჟაეისა და ტკიბილსა ბროწეულისა წყალსა სმიდეს. და თუ მანკი ძნელი იყოს ხელი გაიხსნას და ასონი 30 ვარდისა ზეთითა იზელოს, და ტფილსა წყალსა იბანოს, და ხმელთა ერიდოს.

ვითარება ხმელისა მლიერისა. ჯალინოს იტყვის: რა სიხმელისაგან იყოს სხილისა და მხურვალისა სისხლისაგან იქნების რომელ ზაფრად მას თანა რეულ იყოს. და ტანისა მქავანისა ვითარება მლაშისა ბალღმისაგან იქნების, რომელ ტანისა ტყავსა ქვეშეთ შეიყაროს და გამოჩნდეს.

ნიშანი ხმელისა მლიერისა. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა თითთა შუა ქაოდეს და რაა მოეროს თავი ამოყოს და სინედლე მისგნით სდიოდეს. და მქავანი რომელ სიმურვალისაგან იყოს იგი არს, რომელ ზურვალისაგან ვაზურდეს რაა მოიფხანოს მაშინ.

კურნება მლიერისა ხმელისაა. ჯალინოს იტყვის: ვითა ხმელისა მლიერისა კურნება უძნელესა არს მით რომელ გვიანად იკურნების, და ეგრეცა მოლაფლებად არა ხამს მისგან, რომელ არ გაძნლდეს და თადიბრი მისი იგი არს, რომელ პირველ აქპალისა ძარღვი გახსნას და მუცელი დაიღბოს ხალთა წყლითა შემგბრითა და შაპთარასა წყლითა რომელ ჰალილასა და შაქარსა გაპრიოს და იხმაროს ერგების, და მაშინ დელამოტისა წყალი სტას. და ესე წამალი ხმელსა მლიერსა ერგების ვითარება მისი: ზარდაჩობა და ბაგრუჯი და მარილი, და არჯასი და ყუსტი, და ქერუშტი დრამისა წონი თვითოვსაგან,

მიახ ნედლი ყოველთა წამელთა ოდენი, ყოველი წმინდად გაგალოს და ვარდისა ზეთითა შე-
ზილოს და ზედა შესცხოს, და მაშინ ტვილითა წყლითა იბანდეს და ვარდისა ზეთითა და
ქაფურითა ტანი იზელოს.

ისაკ იტყვის: კურნება ხმელისა ღლიერისა იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და
სამჯერ ოდენი გასახსნელი მოსპილი იხმაროს. ანუ საძრისა ჰაბი, ანუ იისა მატუხი, და ჰა-
ლილა მყავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყლითა. და შირიხეშტი და მავუნი ქიშმიშისი
იხმაროს. და რაჲ დღე ხუთისა დრამისა ცოტასა ტარეფულსა ჰამდეს ზედა ზედ, და აბანის
მივიდოდეს და ნელითა წყლითა მიწყით იბანებოდეს, და მყავისა და ტკბილისა წყალსა ქაშს.

კურნება ხმელისა მლიერისა და მქავანისა. რაჲბალმისაგან იყოს იგი
10 არს, რომელ მუცელი დაიღბოს და აბანოსა შიგან ტანი თირმისისა წყლითა და ძმრითა და
ვარდისა ზეთითა იზელდეს. და თუ ნედლისა ქინძისა წყალი და ბაერუჯი და ვარდისა ზეთი
და ძმრისა თხლე და მიახ ნედლი ერთგან გაჰროს და შესცხოს, და აბანოსა და მივიდოდეს-
და თუ მქავანი სიმხურვალისაგან იყოს ხელი გაიხსნას და ხილთა წყლითა მუცელი დაღ-
ბოს, და მსურვალთა საჭამადთა ტრილისა და ნატიფთა მიელტვოდეს, რომელ ელხინოს.

რკმ. ოფლითა დენაჲ დია და ოფლისა არ გამოცემა. ვითარება ოფლისა
დია დენისა, არ გამოცემისა. იოჰანაჲ იტყვის: ტანისა მასამისა გახსნილობისაგან არს,
და მასამი მას ადგილსა ჰქვიან რომელ თმაჲ ესხას ტანსა ანუ სადაცა, ანუ სინედლისა სიმ-
რავლითა რომელ ტანსა შიგან იყოს, ანუ გასარეველისა სითხისაგან იქნების რომელ და-
ფიაჲ რომელსა ჰქვიან გამაყნებელი, მორეულ იყოს.

20 ნიშანი ოფლისა დია დენისა. რაჲცა მასამისა გახსნილობისაგან იყოს იგი
არს, რომელ სიტხისა ჯამსა უფროჲ სდიოდეს. და ნიშანი მისი რაჲცა სინედლისა სიმრავ-
ლითა იყოს იგი არს, რომელ ტანი მსუქნად იყოს, და რაჲცა დაფიჯას მორევენი იყოს იგი
არს, რომელ მიწყით ჟამსა და უჟამოსა ოფლი სდიოდეს.

კურნება მისი. იოჰანაჲ იტყვის: და ოფლისა დენაჲ რომელ მასამისა გახ-
სნილობისაგან იყოს კურნება იგი არს, რომელ ცივითა წყლითა იბანებოდეს და ბანგი
წყლითა შეაბგოს და წყალსა მისა ტანსა იხხმიდეს, ანუ ჩანჩაქისა წყალი და სოსნისა ფურ-
ცელი, ანუ ყურძნისა ვაზისა ფურცელი დანაყოს და მორდისა წყლითა დაღობოს და ტანი
მაგით იზელოს. და მიწყით გრილთა ზეთთა იცხებდეს ტანსა ვითა ვარდისა ზეთი და იისა
ზეთი და ნილოფარისა ზეთი და მსგავსი ამათი. და გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს და

30 დაიძინებდეს. და თუ სინედლისა სიმრავლით იყოს რომელ ტანსა შიგან იყოს კურნებაჲ მისი
იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე ჰამდეს რომელ სინხმელსა იქნოდეს ვითა ოსპი და აპ-
უხტი და მსგავსი მათი. და მწარეთა და მლაშითა წყლითა იბანებოდეს. და თუ ვითარებაჲ
მისი გასარეველისა სითხისაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე ჰამ-
დეს რომელ ხილტთა ვითამცა გასარეველთა გაასქლებდეს, და მიწყით ბეჭსა ზეთსა იცხებ-
დეს, და ზეთი მისი იგი არს რომელ ნახევარ ლიტრაჲ ბეჭ და ნახევარ ლიტრა ყუბი-
ლი მისი და ზეთი უქიაჲ ვარდი ხმელი, და ზეთი ლიტრაჲ წყალი, ყოველი ნელითა წყლი-
თა მუნამდე შეაბგოს რომელ სამი ნაწილი მისგნით წაივდეს და მაშინ დაწუროს და ნახე-
ვარი მის ოდენი ვარდისა ზეთი ჩაურთოს და კულა ცეცხლსა დადგას და შეაბგოს, ეგრე
რომელ წყალი ყოველი წაივდეს და ზეთი დარჩეს. და მაშინ მის ზეთისაგან იხმარებდეს. და
40 თუ მურდასანგი და გუნდაჲ დანაყოს და ვაზისა თავისა წყლითა შეზილოს და შესცხოს
კარგი არს, და ესე შემოსადებელი სხვაჲ სომხური მიწაჲ და მურდასანგი თვითთაჲ ოდენი,
ვარდისა წყლითა და მორდისა წყლითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს.

ოფლისა არ გამოცემა, ვითარება მისი. რა ოფის იტყვის: ესე მანკი
დაფიჯას უსუსურობისაგან იქნების, ანუ გასარეველისა სისქისაგან ანუ სინედლისა სიმცრო-
თა რომელ ტანსა შიგან ცოტაჲ შეყრილ იყოს, ანუ მასამისა გზისა შეკრულობისაგან
იქნების.

ნიშანი ოფლისა არ გამოცემისა. რაცა დაფაჲს უსუსურობისაგან იყოს იგი არს, რომელ ოფლი ტანისგან გვიანად გამოვიდოდეს, და ნიშანი მისი რაცა სინდლისა სიმკროსაგან იყოს იგი არს, რომელ ტანი მკლედ იყოს, და რაცა მასამისა შეკრულობისგან იყოს იგი არს, რომელ სიცივეს ოფლი უფროა გამოვიდოდეს.

- კურნება ოფლისა არ გამოცემისა. ოფლისა არ გამოცემა ტანისგან მასამისა შეკრულობისაგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ცერეცოა და აქლილალმლიქი და ბაბუნაჲ წყლითა ადუღოს და მაშინ მისითა ნელითა წყლითა ტანს იბანდებს და იხელდეს, და ცერეცოასა ზეთსა ანუ ბაბუნასა ზეთს მიწყით იცხებდეს, და გრილსა ადგილსა დახშიდეს და დაიძინებდეს, და თუ ვითარებაჲ ამის მანკისა ტანისა სინდლისა სიმკროსაგან იყოს კურნებაჲ მისი იგი არს, როჲლ ეგეთთა რასენ შეამდეს რომელ სინდლისა მოუპატებდეს ვითა ქრთილისა წყალი ნუშისა ზეთითა და ჰასოჲ, და ცხიბიანი ხორცისა შურვაჲ და ლეინოჲ წყალრეული. და ნელსა წყალსა და ნილოფარისა და იისა ზეთითა იხელდეს ტანსა. და თუ ვითარებაჲ ამის მანკისა გასარეველისა სისუსეაგან იყოს მუცელი დაიღობოს ეგეთთა ჰაბითა) რომელ მანკისა სათაენო ჩამოილოს, და საჭაჲდას ცოტასა კამდეს და სომხური ბაგური დაარისა ზეთსა გარისა და მაგითი ტანი კარგად იხელოს და კილანონი და სონიჯი ანუ ყასაბადირაჲ დანაყოს და ცერეცოასა ზეთითა შეხილოს და ტანსა შესცხოს და ოფლი გაიყოს. და თუ ოფლი საზომასაგან მეტი გამოეცეს და დაუსუსუროს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელს მორდისა ზეთი ანუ ბეჰესა ზეთი ტანსა შესცხოს და მაშინ სპეტი ტყევისა და გუნდაჲ და მორდი და სომხური მიწაჲ და თეთრი არჯასი და მურდასანი 20 ყოველი დანაყოს და გაცრას და ვაპრიოს, და ვარდისა წყლითა შეხილოს, და ტანსა იცხოს და ერგების, და გამართოლების შეწვენითა ღმრთისათა.

კპთ. წილი და ტილი რომელ დასახხს თმისა ძირსა. ისა ეტყვის: ვითარებაჲ მისი სინდლისაგან იქნების რომელ ტანსა შიგან შეკრილ იყოს და შეიკრას, და რაჲ გასჩელდეს და მასამა მისგანთა შეკრას ოფლი ცოტა გამოეცემის, და რაჲ სინდლენ შიგნით ტანსა დაჩრქის მისგნით ტილი გამოჩნდეს.

ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაცა საჭამადისა კამისაგან იყოს შეიგების, ვითა ლელი ხელი და აპუხტი და ხახვი და სპრასა და თუთასა ფურცელი ამისგან შეიქნების და ბაყლიანობისა და ღინიანობისა და არ ბანისგანცა შექნების.

- თუ ტილი თავსა ოდენ ესხას კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ თავი 30 წმიდად ვაპარსოს, და თუ ტილი ტანსა ესხას ესე წამალი ტანსა შესცხოს ვითარებაჲ მისი: საბრი და ბაერუჯი და მური ყოველ დანაყილი აბანოს ტანსა შესცხოს და ცოტასა ხანსა მიუშვას და მაშინ მორდისა ფურცელი ბროწყულისა წყალსა ვაპაროს და აბანოს მივიღეს და ტანი მით იბანოს კარგად, და ტილოჲ ჩაიცივას და ეგრე გუარას რომელ საფაჲსათვის გეითქვამს ერიდებოდეს. და თუ ტილი თავსა დია ესხას ესე საცხებელი ტილე მასერგების ვითარებაჲ მისი: თეთრი ხარბაყი და ბაერუჯი ნაწილი ერთი, ჩამიჩი მესამედი ნაწილისაჲ, ყოველი წმიდად დანაყოს და ვარდისა ზეთსა ვაპაროს და აბანოსა შევიდეს და თავსა შეცხოს, და მაშინ რაჲ ქაძი ერთი ვარდავიდეს თავი დაიბანოს და ეგეთთა წამალითა იხმარებდეს რომელ ტანსა სინდლისაგან გაახშობდეს, რომელ იგი სინდლენ ტყავთა ქქემთ ტანისაჲთ გამოიღოს და ტანი გაწმიდოს, ვითა ორი ნაწილი ჩამიჩი და ბაერუჯი და 40 აპარტაჲ რომელსა ჰქვიან ზარინი თვითოჲსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ფურისა სითა და ვარდისა ზეთითა შეხილოს და შეცხოს კარგი არს. და უჯობესი ამისგან იგი არს რომელ იარასა ჰაბი და ასტმინიჲონისა ჰაბი იხმაროს რომელ მენკისა დედაჲ გამოიღოს ტანისაგან და დამპალი სინდლენ, და მიწყით მარილის წყლითა და ნატრუნითა ტანსა იბანდეს რომელ სინდლენ ასოთაგან გამოზიდოს. და მაშინ ჰამოსა წყალსა ჩაჯდებოდეს. და თუ სისხლისა ნიშანი ჩნდეს ხელი გაიხსნას და რაჲ შეიგნეს რომელ მანკისა დედაჲ დიდ არს ტანსა შიგან, მუცელი დაიღობოს ეგეთთა მატუხითა რომელ ბალამთა და სინდლეთა ჩამოიღებდეს ტანისაგან რომელ ადრე ელხინოს.

) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვითარება მისი. ფოლის იტყვის: ვითა სქელისა და ფიცხელისა სინდლისაგან იქნების. რომელ ბუნებისა ძალსა ტყავთა ქვეშეთ გაყვენოს, და ტანისა ბაყლიცა გარულ იყოს მას თანა, და მაშინ მისგნით ტილი შეიქნების ყოველი ექვს ფერხი, და მკმენარო.

ნიშანი მისი იგი არს ცხადად რომელ ეგეთთა საქამადას ქამდეს, რომელ მისგან¹⁾ შეიქნებოდეს და აბანოსა არ მივიდოდეს,

კუ რე ბაე მისი. ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ თუ მაჯასი საესე იყოს ხელი გახსნას და მუცელი დაიღბოს მატბუხითა ანუ იარაჟსა ჰაბითა, და მაშინ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და საქამადას მაშუნესა ქამდეს და ტილოთა ჩაიკიდეს, და სძესა და მაწონსა ერიდებოდეს. და ესე საცხებელი ტანისა იცხოს ვითარება მისი: ანარტა და ჩამიჩი და მლოგი თეთოთაგან ნაწილი ერთი, საბრი და ვარდი და მურდასანგი და ბაერუკი დამწუარი, დრამინა და შავი მამითა თეთოთაგან ნაწილი ერთი, მფაენასა ძირი სამჯერ ყოველთა ოდენი, ყოველი წმიდა და ნაყოს და ძმრითა და ვარდის ზეთითა შეხილოს და ღამით ტანსა შესცხოს, და დღისით აბანოს მივიდეს, და მაშინ დრამინასა წყლითა იბანოს, და ტანი ანაკვეთითა კარგად იხელოს, თა თუ ტილი თავსა და წვერსა შიგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს იისა ყურსითა და მას წამლისა თანა რომელ გვითქვამს თავსა და წვერსა იცხოს, და წამლებისა ყამსა თვალნი დაიჭუნეს რომელ წამლისა ბუნარი შიგან არა შეუხედეს. და თუ ტილი წამწამთა შიგან იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მარილი და თეთრი არჯასპი წყალსა შიგან გაადნოს და წამწამთა მით ჰბანდეს, და თვალი ცხელისა წყლისა ორთქლსა მიუჰყრას ერგების.

ჰუნაჲ იტყვის: თუ ტილი ანუ ყამყამი ცოტა იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ ქეროშტი ქვეშეთ იკმოლოს, და თუ დიადი იყოს დაკლული ვეცხლისა წყალი და ქეროშტი და ნედლი მიჲა აბანოს მივიდეს და შესცხოს. და თუ ამით რომელ გვითქვამს არ დაელიოს მოსპილა გასასხნელიაილოს ვითა გვითქვამს, რომელ ტანი ჰავისა გასარეველისაგან გაწმიდოს და მიწყით აბანოს მივიდოდეს და წმიდად დაიჭირვიდეს ტანისამოსსა.

რჰ. მეთირანოება რომელსა ჰქვიან სპარსულად ფჲსი და არაბულად ბარანი და შავი და თეთრი ბაჰჰანი რომელსა ჰქვიან ძარტულად. ვითარება კეთრისა მანკისა. თებით ყურაჲ იტყვის: ესე მანკი გლუხუნისა ბალღმისაგან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა ტყავსა ქვეშეთ მიეძალოს, და ეგეთთა საქამადთაგან რომელ სისხლსა გააკრილებდეს და დაჰპანტავდეს ტანსა შიგან.

ნიშანი კეთრისა მეცნიერთა აქიმთაგან ნათქვამისაგან: იგი არს, რომელ სითერთე გამოინდეს სადაცა ასოთა ანუ ტანსა და ზილილი იყოს, და იქნების რომელ ძელი და მქისეცა იყოს და ხორცსა შესრულ იყოს, ზელისგან არ გაწმიდებოდეს, და რაჲ ნემსი შესცენ სისხლი არ გამოვიდეს მისგან ყოლა.

კურნებაჲ კეთრისა მანკისა გონერთა აქიმთა ნათქვამისაგან. თებით ყურაჲ იტყვის: რომელ ბარასი ვითამეცა კეთრი შავიცა იქნების და თეთრიცა და რაჲცა ნემსი შესცენ და სისხლი არ გამოვიდეს, არ იკურნების და რაჲცა სისხლი გამოვიდეს მას კარგად იკურნების, და რაჲცა სინედლე გამოვიდეს ძნელი იქნების. თად-
40 ბორი მისი იგი არს, რომელ მაძარმან არწყიოს და ჯალინოსისა იარაჲ და ლოღადიასა იარაჲ, ანუ აფთიმონისა მატბუხი ჰამოს და საბრისა ჰაბი და მსატკისა ჰაბი იხმაროს. და მიწყით ამას წამალსა ქამდეს ვითარებაჲ მისი: ქალქალანი დიდი ორისა დრამისა წონი, ჰალილა ქაბულური ორისა დრამისა წონი, აფთიმონი ორი დანგი, ყოველი დანაყილი ერთგან გაკრიოს და თუ შეეძლოს ერთ წილამდინ მისგნით ქამდეს. და ესე ჰაბი

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწიხუ რვეულთა სათვალავი „მდ“ სწერია და შემდგომი გვერდის ზემო აწიხუ „მე“.

მას ერგების ვითარება მისი კილაშონი და ფაჩარი, და ბალასნისა შეშა და მასტაქი, და ზაფრანა და ასარონი, და ჰინდოლური შადნა და პიტანა, და შაჰში პანტალი თეთროსგან დრამისა წონი ერთი, დანაყილი ჰაბად შექნას და მისგნით დრამისა წონი ერთი სიქანგუბინითა იხმაროს. და და თფილი წყალი გაჭრიოს სიქანგუბინსა, და შავი ხარბაყი და გუნდაა ყოველი დანაყოს და შესცხოს კარგი არს. მაგრა შავისა კეთრისა ვითარება მისი დამწუარისა სეველისაგან იქნების აფთიომონისა მატბუხი იხმაროს, რომელ ტანი მანკისა დედისგან გაწმდეს და მაშინ ქარსინაჲსა ფეკილი და კაპარისა ძირისა ტყავი და თუთაჲსა გომიზი დანაყოს და ძრმითა შესცხოს. ანუ ყაყაჩო ანუ ჰაზარ ქაბანი ძმრითა გავალოს და შესცხოს. და თუ არ დიდი იყოს ადგილი იგი დასდალოს და მაშინ ჰქურნოს, რომელ გამრთელდეს. და 10 რაჲცა ჳიქისა მოსაკიდებელი იყოს ჳიქაჲ მოჰკიდლოს, და მაშინ თეთრითა მურნდასანგითა კარგად ჳილოს ანუ მარზანგოშისა წყალი ჳიქასა შიგან ჩაახსას და იგი ჳიქაჲ მოჰკიდლოს, მაშინ დია ერგების.

ვითარება შავისა და თეთრისა ბაჰაყისა. იოჰანა იტყვის: ვითა თეთრი ბაჰაყი დასაწყისი არს კეთრისა, და შავი ბაჰაყი დასაწყისი არს სიგონჯისა და ვითარება თეთრისა ბაჰაყისა ბალღმისა მორევენისაგან იქნების, და ვითარება შავისა ბაჰაყისა სეველისა მორევენისაგან იქნების.

ნიშანი შავისა და თეთრისა ბაჰაყისაჲ. ცხადი და საჩინო არს და გამოცნობაჲ კეთრისა თეთრისა ბაჰაყისაგან იგი არს, რომელ კეთრი ხორცსა შიგან იქნების, და ბაჰაყი ტყავსა შიგან იქნების. და რაჲ თეთრი ბაჰაყი დაძველდეს მაშინ კეთრად შეიქ- 20 ნების.

კურნება შავისა და თეთრისა ბაჰაყისა. თეთრისა ბაჰაყისა კურნება იგი არს, რომელ პირველ არწყიოს და გრილთა და ნელლთა საჰამდთა ერიდოს, და აბანოსა შიგან ოვლი დია გამოიცეს, და ტარეფულსა ჰამდეს და გულანგუბინსა მასტაქითურთ. და უშმაჲ თეთრსა საქმელსა იხმარებდეს. და მუცელი დაიღბოს ეგეთითა წამლითა რომელ თურბიდი და შაჰშიპანტალი ერთოს, და ბაჰაყი კარგად იხელოს რომელ გაწითლდეს, და მაშინ ესე წამალი ზედა შემოსდვას ვითარებაჲ მისი: თირმისი და შეტარაჲ, და ენდროჲ და ქერუშტი, და მდოკვი თეთროსა ოდენი, ყოველი დანაყოს და ცხარითა ძმრითა შეზილოს და შესცხოს, და მზესა დაჯდეს რომელ გაშრეს. და მაშინ ბაზრაცატუნისა წყლითა აბანოსა შიგან ტანი დაიბანოს, და ესე წამალი სხვაჲ ჟუჳს ვითარებაჲ მისი: ყალყანდი 30 და ეანგაროჲ თეთროსგან ნაწილი ერთი, ნატრონი ორი ნაწილი, ყოველი დანაყილი ერთგან გაჭრიოს და შესცხოს. და ესე წამალი სხვაჲ: ხარბაყი და სონიჯი და ჳეტრუტი და ენდროჲ და არჯასპი და ზარნიხი ყოველი დანაყილი ძმრითა შეზილოს და შესცხოს. და შავისა ბაჰაყისა კურნება იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს აფთიომონისა მატბუხითა, და ესე საცხებელი შესცხოს ვითარებაჲ მისი: ბოლოკისა თესლი და ქერუშტი და ყუსტი თეთროსგან ნაწილი ერთი და ყოველი დანაყილი აბანოს მივიდეს და შრავიჯერ შესცხოს. და რაჲცა მალიხობლისათვის გვითქვამს იხმაროს. და ესე საცხებელი სხვაჲ შემოსდვას ზარავანდი და ჰილი და ბავრუკი თეთროსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ერთგან გაჭრიოს და შეზილოს, და რაჲ მანკისა ადგილი კირითა ეზილოს, მაშინ შესცხოს. და თუ არ იჯობინოს ნაჯალისა მაჯუნი ჳამოს ანუ აფთიომონისა მაჯუნი, და სიქა- 40 ბენასა ჰაბი და ყოყიასა ჰაბი იხმაროს, ერგების შეწვევითა ლეთისათა.

აჲ. განდუმაჲ როგვალს ჰჰმინ არაბულად თალულად დაჲ პართულად მჰმჰჰჰ. ვითარებაჲ მისი. არბიასიოს იტყვის: ესე მანკი სქელისა გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების, რომელ ბუნებაჲმან ტყავთა გარეთ გააყენოს ანუ სასეველოსა გასარეველისაგან იქნების.

ნიშანი განდუმასი ვითამცა მექექისაჲ, რაჲცა ბალღმისა მორევენისაგან იყოს იგი არს, რომელ ზელითა ლბილი იყოს და ფერად თეთრი იყოს. და რაჲცა სასეველოსა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად შავი იყოს და მქისე.

კურნებაა მეექვსისა და რამდენიმე ბალღმისგან იყოს. იგი არს, რომელ ეგეთ-
თა წამალთა აიღებდეს რომელ ბალღამსა ჩამოიღებდეს ვითა შაჰმი ჰანტალი და თურბიდი
და ლარიყონი. და ესე წამალი მას დია ერგების და ტანსა ბალღმისაგან გასწმენდს ვითა-
რებდა მისი: თურბიდი დრამისა წონი, ლარიყონი ოთხისა დანგისა წონი, ნილდნაჲ ნახევარ
დრამისა წონი, შაჰმი ჰანტალი ორისა დანგისა წონი, ყოველი დანაყილი და ვაკრილი
თაფლითა შეზილოს და ცისკრისა ეამსა იხმაროს, და მაშინ ნელი წყალი სქეს ცოტა და
ეგეთთა საკამადთა რომელ ბალღამთა მოუმატებდეს ერიდებოდეს. და ნედლისა კაპარისა
ფურცლითა და ქანჩაქითა კარგად იზელოს. და თუ დანაყილი გულდაჲ ძირითა შეზილოს
და შემოსდვას დია ერგების.

10 მასარგოჲა იტყვის: თუ ერთი ანუ ორი იყოს ასოთა ზედა მკარატლითა მო-
კვეთოს ანუ ენდროთა დასწქას, და თუ დიადი იყოს გასახსნელი მოსპილი აიღოს ვითა
გვითქვამს რომელ ტანი მანკისა სათავენოჲსგან გაწმენდს. და საკამადსა კარგად შემებარსა
ქამდეს და მეტელი დილბოს აუთიმონისა მატუხითა. თუ სევედისაგან იყოს მანკისა სა-
თავენო და თუ მაჯასი სავსე იყოს ხელი გაიხსნას, და მაშინ ფიცხელი წამალი შემოსდვას
რომელ გაშეგდეს, და რაჲ გაშეგდეს მაშინ ძველი ერბოჲ შესცხოს დია კარგი არს. და თუ
ცხარითა ძირითა გარცხას და მაშინ ლერწმისა ფურცლითა კარგად ზელოს, დია კარგად
ერგების და გამართლებდეს.

მორღისა¹⁾ ვითარებდა. მუჰ ჰამედ ზაქარიას ძე [იტყვის]: კარგისა სინდლი-
საგან ბალღამურისა იქნება, და ფიცხელისა საზაფროჲსა სისხლისაგან, რომელ ერთგან გა-
20 რეული იყვნენ. და ესე მანკი უფროჲსი ქვეშეთა კერძთა საქციელთა შიგან გამოჩნდების.

ნიშანი მურდარისა. იგი არს, რომელ მას ადგილსა რომელ მანკისა დედაჲ
იყოს ქაჲოდეს, და ფეტვისა გერ გაბერილობაჲ გამოვიდეს და დიაჰანტოს, და რაჲ მოიფ-
ხანოს მისგნით ყვითელი წყალი დიოდეს.

კურნებაა მურდარისა. იგი არს, რომელ სანდალი და გუნდაჲ და ზარდანი-
ჩობაჲ დანაყილი ძირითა და ვარდის წყლითა შეზილოს და ზედა შესცხოს. და თუ მორდი
და ასი წყლითა შეაბგოს და მიწყით ამით წამლითა ჰბანდეს კარგი არს. და თუ ძმარი და
ვარდის წყალი შესცხოს კარგი არს. და თუ ძმარი და ინაჲ და მარილი მქისე ერთგან გა-
პროს და აბანოჲსა შიგან მანკისა ადგილი სამჯერ ოდენ მით ზელოს რომელ დაეწვას, და
მაშინ მით ჰბანოს კარგი არს, და მაშინ დანაყილითა სონიჯითა ზელოს კარგი არს.

30 იოჰანა იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ტანი გაწმენდოს და ბალღამი
და ზაფრაჲ წამლითა ჩამოიღოს. და მაშინ ძმარი და ინაჲ ერთგან შეზილოს და მანკისა
ადგილსა შესცხოს. და თუ ნარსაქი ქინძისა წყლითა შეზილოს და ცოტათა ქაფურითა
შესცხოს, და მიწყით წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს, და მორდი წყლითა შეაბგოს და მიწყით
მგით იბანდეს. ვჯა და მანკისა ადგილსა შაჰისფარმითა იზელდეს. და თუ ესე მანკი
ყვერთა შიგან იყოს ესე შეჰოსადებელი უყოს ვითარებდა მისი: სპერი ექვსისა დრამისა
წონი, გოგირდი დრამისა წონი, იფონი ნახევარ დრამისა წონი, ყოველი წყლითა და ძირითა
გაგალოს და შესცხოს. და ესე სხვაჲ წამალი ვითარებდა მისი: აყაყიაჲ და მამითაჲ თვითო-
40 მსგან ნახევარი დრამისა წონი, საბრი და ნიშადური თვითოჲსგან მუხუდისა ოდენი, ზაფ-
რანაჲ ნახევარისა დანგისა წონი, ყოველი ერთგან გაგალოს და იასამინისა ზეთითა შეზი-
ლოს და შესცხოს. და მაშინ ბაზრაყატუნისა წყლითა დაიბანოს ერგების. და მანკისა დასა-
წყისისა ცივითა წყლითა ჰბანდეს, და რაჲ გამოჩნდეს ნელითა წყლითა ჰბანდეს კარგია.

რუმ. ათაში შარსი რუმისა თარგმანი არს. ცმცხელი სპარსული და მამირილობაჲ
რომელ გამოჩნდეს კაცისა ასოთა ღებდა. ვითარებდა ათაში ფარისისა, ჯალი იოს
იტყვის: ვითარებდა მისი მურჯალისა სისხლისაგან იქნების და თხელისაგან და დამწუხარისა

1) მურდარი.

ბალღისაგან რომელ ორნივე ერთგან გარეულ იყვნენ, და ბუნებისა ძალი მათ ტყავისაყვ გააყენებს.

ნიშანი ათაში ფარსისა: იგი არს, რომელ მანკისა ადგილი გასივდეს და ქაოდღეს და ეწუთღეს, და ყვაილივითა გაბერილობაჲ გამოჩნდეს, და ეგრე გახდეს რომელ ცეცხლითა დამწუარსა ჰგვანდეს იგი.

კურნებაჲ მისი მასარჯოაჲ იტყვის: იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და თუ არ შეეძლოს კუჩაჲ მოჰკიდოს, და მოწონებულსა და მაშტენსა საჭამადსა ჰამდეს და მაშინ ესე წამალი შესცხოს ერგების, ვითარებაჲ მისი: სპეტი და მურდასანგი, და თეთრი სანდალი და ცოტაჲ ქაფური ყოველი დანაყილი ნებისა ზელითა შეზილოს ტკბილითა, და შესცხოს. და თუ სინედლე სდიოდეს ესე წამალი შესცხოს ვითარებაჲ მისი: ზაქური ჰუტუტი და ზარდანობაჲ, და ქაფური ერთგან გაჰრიოს და წმინდად გაგალოს, და არღისა წყლითა ანუ მემბაჰარისა წყლითა შეზილოს, და იხმარებდეს. და თუ ზოგთა მათ ყუბავილთაგან თხამლი სდიოდეს, ყოველი ზელითა გამოწყოს, და მაშინ თეთრითა მაალჰამითა ჰკურნოს.

აბუჯარიჰ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ბასალცი გაიხსნას და მაშინ მაღჰამაჲ ქაფურისაჲ შემოსდეს. და თუ ამით არ გარღვიდეს წურბელი მოჰკიდოს რომელ მანკიანი და მახვი სისხლი გამოსჰოვოს, და დია ნუ იარების და ფერხნამოკიდებით ნუ დაჯდების. და თუ არწყევდეს სახანსოჲ არს. და საჭამადსა გრილსა ჰამდეს და სიმბურელსა ერიდებოდეს. და სპეტისა მაღჰამაჲ და ქაფურა შეშოსდეს. და თუ თეთრი მაღჰამაჲ არ იყოს ნარსაჲ და ბროწყელისა ჰერქი წმიდად დახაყოს და ცივითა წყლითა შეზილოს და შემოსდეს. და თუსი ნედლი და მურდასანგი და ქაფური და სპე უი ყოველი წმიდად დანაყოს, და ვარღისა წყლითა შეზილოს, და ძეულსა ბანბასა შემოსცხოს და ესეჲ მას ბანბასა მანკისა ადგილსა შემოსდებდეს. და მაშინ სომბური მიწაჲ ძმრითა და ცივითა წყლითა გაგალოს და შემოსდეს. და მხურვალთა საჭამადთა და თაფლიანთა ერიდებოდეს და გრილთა მიელტვოდეს.

მითარებაჲ მაზაროღისა. მასარჯოაჲ იტყვის: სინედლისა სქელისა სისხლისაგან იქნების, ანუ საზაფროსა ფიცხელისა სინედლისაგან იქნების, რომელ ასოთა ზედა მოერიოს, ანუ საბალღამოთა მლაშეთა სინედლისაგან იქნების.

ნიშანი გაბერილობისა: რაჲცა სქელისა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად წითელ იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა საზაფროსა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ ყვითლად მოაჩვენებდეს, და რაჲცა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ თეთრი იყოს.

კურნებაჲ გაბერილობისა: რაჲცა სინედლისა სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას დი კიჰაჲ მოჰკიდოს და სიგრილესა ჰამდეს ვითა კატაკტოზსა თესლისა წყალსა, და სიქანებინისა, და ქრთილისა წყალსა, და გრილთა საჭამადთა, რომელ მანკისა სათაფროჲ დაელიოს, და კურნებაჲ მისი რაჲცა სინედლისა საზაფროსაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიბლოს ხილთა წყლითა ვითა ჰინდოურისა თამრისა წყალი და ტყემლისა წყალი, და მჟავისა და ტკბილისა ბროწყელისა წყალი, და რაჲცა ამას ჰგვანდეს, და მჟავესა მიელტვოდეს, და სიმხურვალეთა და ტკბილთა ერიდოს. და ქინძისა წყალი და ძმარი და ვარღისა ზეთი იცხოს მიწყით მანკისა ადგილსა. და საჭამადსა ვარისა შინაურსა ქათმისასა ჰამდეს რომელ ზირაბჯად ანუ ისრიმითა შექნილ იყოს. და კურნებაჲ მისი რაჲცა საბალღამოზა სინედლისაგან იყოს იგი არს, რომელ მუცელი დაიბლოს იარაჲ ფეყირაჲ ანუ იარაჲსა ჰაბითა, და მაშინ მხურვალე ზეთი შესცხოს ვითა შიბითისა ზეთი, რომელსა ჰქვიან ცერკოჲ, და ბაბუნასა ზეთი და ყუსტისა ზეთი. და საჭამადთა თანა რაჲცა ბალღამიანი იყოს ერიდოს ვითა სძე და მაწონი და ახალი თევზი. და აბანოს მივიდოდეს.

ისაკ იტყვის: მუცელი დაიბლოს იარაჲ ფეყირაჲთა და საჭამადთა ნატრეთა ჰამდეს, და ხარაზჰარაჲ და ტეგანა დანაყოს და ძმრითა შეზილოს და მანკისა ადგილსა შეს-

ცხოს. და თუ გაბერილობაა სრულიად) არ გამოცემულ იყოს მანქისა ადგილი მჩვრითა კარვად შეზილოს, რომელ გაბერილობაა სრულიად გამოვიდეს, და მაშინ მური და ტეგანა დაასოვლოს და ძმრითა გაგალოს და მანქისა ადგილსა შემოსდეს. და აბანოს დია მიევიდეს. და ნედლისა ქამისა და ღვინისა სემსა ერიდოს, ერგების.

რუმ. ყაბავილი რომელსა ჰქვინან არაბულად ჯომღრი და სპარსულად აბ [...წაშლილია] და წითელი. ვითარებაა ყუბავილისა. აბ უჯარ იპ იტყვის: მხურვალისა და ფიტხელისა სისხლისაგან იქნების რომელ ტანსა მოერინენ. ვითარებაა მისი სისხლისა დანარჩომისაგან იქნების, რომელ ყმაწვილისა დედის მუცელსა შიგან აწოვნოს წიღოვანობისა სისხლისაგან, უცილოვ.

10 ნიშანი ყუბავილისა ვითარებისა იგი არს, რომელ ძნელად აცხროვდეს და თრთოდეს და სამსა დღესა და სამსა ღამესა აცხროვდეს, და ზურგი სტკიოვდეს, და თვალნი წითლად იყენენ.

კურნება ყუბავილისა იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და სისხლი სნეულისა ძალისა მისაფერად გამოიღოს. და თუ ვერ მიეწვრას ხელის გახსნასა და გამოსულ იყოს ყუბავილი და გამოვიდოდეს ნუ გახსნის, თუ არა, ევენების. და ქრთილისა წყალსა სმიდეს რომელ სეფისთონი?) და უნაბი ერთოს. და ოსპი უქურქოა და სიქანგუბინი რომელ კიტრისა თესლი და ცერცოვასა თესლი ერთოს, იხმარებდეს. და თუ ხელსა ვერ გაიხსნის ქრთილისა წყალსა ცა ერიდოს და გრილსა საკამადსა ნუ ქამს, და ეგეთთა რაჲსმე იხმარებდეს რომელ ყუბავილისა გამოიციმდეს და ამწიფებდეს. ვითარებაა მისი ოსპი უქურქოა უკიაჲ ერთი, ქათირაჲ

20 ზუთისა დრამისა წონი, ბადიანისა თესლი სამისა დრამისა წონი, ყოველი ლიტრასა და ნახევარსა წყალსა შიგან შეაბგოს ეგრე. რომელ მესამედი დარჩეს და მაშინ დაწუროს და ცოტაჲ ზაფრანაჲ ურთოს, და იხმაროს ბადიანისა წყლითა, და ძალლის ყურძნისა წყლითა და შაქრითა, და ცოტათა ნიახურისა წყლითა ერთგან გაპიროს და იხმაროს ერგების. და ნედლისა ქინძისა წყალი თვალთა ჩაიწითოს. და თუ თუთიაჲ ქინძისა წყლითა გაზარდოს თვალთა შემოსდეს ერგების, და ყუბავილი თვალთა შიგან არ ჩაიქრების.

მასოაჲს ბე): ხელი გაიხსნას ანუ. ქიქაჲ მოჰკიდოს, და ვარდის წყალი და თუთუბისა წყალი და ბროწეულისა წყალი თვალთა ჩაიწითოს. და თუ ყუბავილი თვალთა შიგან გამოეხსნას სურმაჲ თვალთა საოლაფი, ქინძისა ნედლისა წყლითა გაგალოს და შემოვლოს. ანუ ხმელი ქინძი წყლითა დასავლოს და ჩაიწითოს. და საკამადსა მამსასა და ოსპსა და ყატუსა ქამდეს ზეთისხილისა ზეთითა. და ხილთა თანა ვაშლი და სხალი ქამოს. და თუ ზამთარი იყოს (ცეცხლი ვაზისა) შეშისა და ვაზისა რქაჲ კარგი არს. და რაჲ შრობაჲ დაიწყოს მარლი ქუნჯიდისა ზეთითა შესცხოს კარგი არს.

წითლისა მანქისა ვითარებაჲ. მასარაჯოაჲ იტყვის: სიმხურვალისა და ხმელისა სისხლისაგან იქნების, რომელ ტანსა მოერიოს.

იოჰანა იტყვის: დანარჩომისა სისხლისა წიღოვანობისაგან იქნების, განა ეს სისხლი უფროჲ ნატიფი იქნების, ყუბავილისა სისხლისაგან.

ნიშანი წითლისა მანქისა: იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და სნეული შფოთად და ჩაქარად იყოს, და თვალნი წითლად ედგენენ და ბუნებაჲ ეშუებოდეს, და მაშინ წითელი გაბერილი გამოჩნდეს.

40 კურნებაჲ წითლისა მანქისა: მასეე წამსა აქმალი ძარღვი გაიხსნას და სისხლი დია გამოიღოს. და თუ სნეული ყმაწვირილი იყოს ქიქაჲ მოჰკიდონ და სისხლი დია გამოიღონ, რომელ ესე მანკი დია სისხლისა გამოღებთა დასწყენარდების. და მეცნიერთა აქიმთა გამოუცლია ვისკა ესე ცხროჲ შეეპყრას საშოშოა იქნებეს, და ეგრე ჰგონია ვითა ერთო-

1) ეს იტყვა სტრთონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

2) სწერია „სეთისთონი“

3) იტყვის

4) სწერია „ვაზისა“.

ბით ყუბავილი გამოეცემის. ეგრე ხაშს რომელ ორივე ხელი გაიხსნას და დია სისხლი გამოიღოს, რომელ იგი ტყვილი გაუსაპლდეს და ადრე დაეხსნას, და წითლისა თვისცა ესევე კურნება ხაშს, მით რომელ ორივე მანკი ერთ ფერი და ერთ ნივთი არს. ამიგან კიდე რომელ ქრთლისა წყალსა და სინედლეთა უფროასი წითლიანსა უნდა ქმეინება.

იოჰანა ი ტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ევეთთა საკამადთა ჰამდეს რომელ სინედლესა მოუმატებდეს ვითა ქრთლისა წყალი და ახლისა ავიროასა წყალი. და ეგეთისა ნურას ჰამს რომელ მუცელი დააღბოს, ვითა ბეჰესა რუბი, და ტაბაშირი, დაბეჰდული მიწა და არაუული გამოიხი, და კოწოხურისა წყალსა სმიდეს. და რაა მანკი ვარდვიდეს თუთუბისა ურწყუთა ჰამოს ცოტაჟთა ნუშისა ზეთითა, და რაა გაბერილობა გახმეს ვარია ჰამოს თუთუბითა შექნილი.

10 ისაკ ი ტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ქრთლისა წყალი და ხაშხაშისა შარაბი იხმაროს ანუ ბარაყატუნისა ლუბი ჯულაბსა გაპრიოს და იხმაროს და ქრთლისა წყალსა შიგან ხაშს რომელ ოსი და სიფისთანი და უნაბი ერთოს რომელ სიღობა და სინედლე მოუნატოს და საკამადსა ასუანახისა ურწყუასა ჰამდეს ნუშისა ზეთითა შექნილი ანუ ხორფარასისა ურწყუთა ნუშისა ზეთითა.

რჰ. კომრბა იმინივნის ჰამინ და ხორბა ფელისა იმფულულესა. ვითარება ჰომრასი. იოჰანა ი ტყვის: მხურვალისა სისხლისაგან იქნების რომელ საზაფროთა გასარეველი ვაერიოს და რაა მოერიოს ბუნებისა ძალი მას ტყავისავე გააყენებს, და იგი ათაშე ფარისაგან ერთ ფერი არს.

20 იოჰანა ი ტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ სადაცა მანკი იყოს გასივდეს და ფერად წითელი იყოს, და მაშინ ყუბავილი გამოჩნდეს და ეგრე გახდეს ვითა ცუცხლითა დამწუარი ასოჲ, სადაცა იყოს იგი მანკი.

კურნება ჰუმრასა მანკისა. იოჰანა ი ტყვის: თუ სისხლსა მოერივნენ ხელი გაიხსნას, და საკამადთა მაშენეთა ჰამდეს ვითა სიჰანგუბინი და ქრთლისა წყალი, და კატაკოლასა თვისლისა წყალი და ჯულაბი. და მიწყით მანკისა ადგილსა მეშპარისა წყლითა და ძაღლის ყურძნისა წყლითა, და შაფი მამითათი იხელდეს. და თუ ზაფრაჲ უფროა ძლიერად იყოს კურნება მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს შემგბრითა ხილთა წყლითა და ქრთლისა წყლითა, და მაშინ ორსა ჟამსა უკანით სიჰანგუბინი და ბროწყულისა წყალი ჰტას. და თუ ბუნება შეეკრას ჰინდოურისა ხურმისა წყლითა და თირმისითა დაიღბოს.

30 ესე შემოსადებელი მანკისა ადგილსა შემოსდვას ვითარება მისი: სომხური მიწა ლისანა-ლაპამლისა წყლითა და ვარდისა წყლითა და ნედლისა ქინძისა წყლითა გაგალოს და იხმაროს.

ისაკ ი ტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მანკისა ადგილი კარგად დაშაშრონ, რომელ იგი მანკი და მანკიანი სისხლი მისგნით გამოვიდეს, და მაშინ გუნდაჲ რომელ ძმარსა შიგან დამბალ იყოს, ღამით ზედა შემოსდვან. და ესე სხვაჲ წამალი ჩქენ გამოვიცილია ამას მანკსა დია ერგების ვითარება მისი: ნედლი ნიგოზი და მისისა ხისა ფურცელი, და ხალი და ჩაშიჩი, და ხმელი ლეღვი რომელ ლეინოასა შიგან დამბალ იყოს, და შავისა ხაშხაშისა ზეთი თვითოასა ოდენი, ყოველი ერთგან გაპრიოს და მანკისა ადგილსა ზედა მრავალჯერ შემოსდვას. და ესე წამალი სხვაჲ ვითარება მისი: აფიონი და აყაყიაჲ და ბანგისა თესლი თვითოასაგან დრამისა წონი ერთი, ყოველი ღინაყული და ვაცრილი ხაშხაშისა ზეთითა შეხილოს და მრავალჯერ მანკისა ადგილსა შემოსდვას, ერგების.

40 ვითარება ხორბას მანკისა. არხიჯანის ი ტყვის: რომელ ამის მანკისა ვითარება ბალჰამურისა სისხლისა მურალისა დამპალისაგან იქნების, რომელ სევედათ ქნილ იყოს და რაა მოერიოს ასოჲ გააწყულლოს. მას არაბულად აქლაჲ ჰქეინად და ქართულად ურვილი ი. იოჰანა ი ტყვის: მანკისა მანკისა იგი არს, რომელ ჰორველ სიმსიენე გამოჩნდეს და მაშინ გამწვანდეს, ანუ შაფერად იყოს, და დაწყულდეს და თხმალი გამოვიდეს. და

1) ამ გვერდის ქვემო ამაზე რვეულთა სათვალავი სწერია „გე“ და შემდგომ გვერდის „გე“.

რამ გაძნელდეს ასოთა ჰამდეს და უფროასი რვაას ოცდა ხუთმეტსა შეეჭნების, და დაუცვე-
თელსა უფროა.

კურნებაჲ ურვილისა მანკისა რომელსა ჰქვიან აქლამ არაბულად
და სპარსულად ხორაჲ. არხიჯანოს ი [ტყვიის]: კურნებაჲ მისი იგი არს, რომ-
ელ აფთიმონისა მატბუხითა და როფისისა იარაჲთა მუცელი დაიღობს, და მანკისა სათავ-
ნოჲ ტანისაგან გამოიღოს. და ვარჰარამისა წყალი აღდლოს და მანკისა ადგილსა სცხებდეს
კარგი არს. და თუ სოიიჯი ძმრითა დააღობს და შემოსდეს კარგი არს. და მიწყით გოგირ-
დისა წყლითა ბანდეს. და თუ მანკი გავრძელდეს გაძნელდების და ჰამოდ იკურნების. ღონე
იგი არს, რომელ თუ მოიკეთებოდეს მანკისა ადგილი მოჰკეთოს, და თუ არა, დასდალოს
10 რომელ სხვანი ასონი არ დააშავოს. და სევდიანსა საჰამადსა ერიდებოდეს ვითა ზროხისა
ხორცი და ოსპი და კალნაბი და მსგავსი მისი, და ნატიფსა საჰამადსა ჰამდეს ვითა ვარიაჲ
და დურაჯი რომელ ზირაბაჯად, ანუ ისრიმად, ანუ თუთუბითა შექნილ იყოს, ანუ ალარდ-
ნითა, და მაშინ თეთრსა მალჰამასა შემოსდებდეს.

მასარაჯოჲ იტყვის: რომელ ადრე დასდალონ რომელ არ დაიბანტოს, ანუ ძნე-
ლი და ფიცხელი წამალი შემოსდენ ვითარებაჲ მისი: უნჯარი და თეთრი არჯასპი და ჭი-
ქა თვითოხასაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი მანკისა ადგილსა შემოაყაროს და მი-
დამო მისი ძმრითა და ვარდითა ხელოს კარგი არს. და თუ მანკისაგან სინელე მოვიდო-
დეს კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ზარავენდი და მრგვალი გუნდაჲ და ცოტაჲ არჯასპი
გაჟროს და დანაყილი მანკისა ადგილსა შემოაყაროს. და თუ ხარხიარისა აფშარაჲ შემო-
20 სადებელი უყოს ერგების, და მიმეთა და სქელთა საჰამადთა ერიდებოდეს და ნატიფთა
ჰამდეს, ერგების.

რამ. ჯოღრი რომელსა ჰქვიან სიგონჯა. ზაფრისაგან იყოს და თუ სევდისაგან. ვითა-
რებაჲ დამწუარისა ზაფრისა. იოჰანა იტყვის: ფიცხელისა ზაფრისაგან იქნების რომ-
ელ სიმფურკალითა და სიფიცხითა დამწუარ იყოს და მას სისხლთა თანა რომელ ასოთა
საზრდელი იყოს გარეულ იყოს, და დააშავოს იგიცა, და ყოველგან გაერიოს.

ნიშანი დამწუარისა ზაფრისა. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ასონი
გაშავდენ და სიმლაჲ მოიკიდოს და ჰობაჲ დაიწყოს, და ყვითელი წყალი სდიოდეს, და ხო-
რხი შეიპყრას, ხმა დახდეს და სულსა ვერ იკეთდეს, და პირი და თვალი დამრღუგდეს და
დააშავდეს.

30 კურნებაჲ მისი რაჲცა დამწუარისა ზაფრისაგან იყოს. იოჰანა
იტყვის: რომელ მანკისა დასაწყისსა ორთავე ხელთაგან დაა სისხლი გამოიღოს და ფერ-
ხთა ძარღვი და შუბლთა ძარღვი გაიხსნას, და მუცელი დაიღობს. ზაფხულისა აბანოსა მი-
ვიდეს რომელ სისხლი გათხელოს. და გრილი და ნელლი ზეთი სძესა გაჰრიოს და იხმარებ-
დეს, შესცხოს, და რაჲცა ზარფაჲასა ჩამოიღებდეს იხმარებდეს, და ბატკნისა ხორცსა შემ-
წუარსა ჰამდეს. და რამ მანკი გამავრგებულ იყოს არა იკურნების. და უმჯობესი წამალი
ამის მანკისა იგი არს, რომელ ასპიტისა აფესი კვერი, ვითამცა ყურსი, ჰამოს და რამ ხმაჲ
დახდეს და ხორხი შეეპყრას ავდაჯისა ძარღვი გახსნას. და ამის მანკისა დასაწყისსა უიმე-
ლობაჲ არა ზამს, რომელ უგრძნველად კურნებაჲა შიგან ირგებს და იკურნების, და საჰა-
40 მადსა ბატკნისა და თიენისა ხორცსა ჰამდეს, და ღვინოჲსა წყალრეულსა. და დელამოტისა
წყალი შაქრითა სუას და აბანოსა იხმარებდეს.

ჰუნან იტყვის: ერთა ყმა კაცი ვკურნე ამით თადბირითა და ლუთსა თვესა ორ-
მოცი გასახსნელი მოსპილი შეეავსი აფთიმონისა მატბუხი რომელ ჯობანი დაიწყო და გამ-
მრთელდა, და მას ხანსა წამალი არ ეჰამა ნუ თუ დელამოტისა წყალი შაქრითა!).

როფის იტყვის: რომელ მანკისა დასაწყისსა კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მარ-
ჯვინი ხელი გაიხსნას და ბატკნისა ხორცი ჰამოს და აბანოსა და მივიდოდეს და მაშინ

1) ამის გასწვრივ ამაზე ნავიანევი მხედრულით: სწორია „დელამოტი“ [ხ]ველსა ქვიან].

მარცხნით აქაბლი ძარღვი გაიხსნას. და რაზომთა ოდენ დღითა გამოისვენოს, და საჭამადან მასვე ჰამდეს. და თუ ჰაერი სწორი იყოს აფთიზონისა მატბუსხა იხზარებდეს. და თუ ზაფხულ იყოს არწყობის ბოლოკისა წყლითა და მლოკითა. და თუ ხმა დაუხდეს ავდაჯისა ძარღვი გაიხსნას, რომელ კისერსა ზედა არს, და ვიდრე არ დაბნდეს ნუ შეიკრავს.

ვითარებამა მისი რაა ფიცხელისა სევდისაგან იყოს. მუჭამედ ზაქარიას ძე იტყვის: ესე მანკი ფიცხელისა სევდისა სიმეტისაგან იქნების, რომელ ტანისა გასარეველსა შოგოროს, და ბუნებასა არ შეერთოს მისი გაყენებამა, არცა სიღბოთა და არცა რწყევითა.

ნიშანი მისი რაა ფიცხელისა სევდისაგან იყოს. იგი არს, რომელ ყელი და საქციელნი დამოკლდნენ და თმა დაწულდეს და პირი დაბნულდეს, და შფოთი სიზმარი ეზმანებოდეს, და გაზავებოდეს და არ უზნობდეს.

კურნებამა მისი: იგი არს, რომელ თავს თავისა ხელსა გაიხსნიდეს და კვირასა ზიგან მუცელსა დაღობოდეს ეგეთითა, რომელ სევდასა ჩამოიღებდეს. და აბანოსა დია მივიღოდეს. და იისა ზეთი და აყროხსა ზეთი და ნილიფრისა ზეთი ცხვირთა ჩაიშვას. და ასონი ნუშისა ზეთითა ზელოს, და ღვინოა რომელ დია წყალი ერიოს, და მრთელთა პირურყეთა სძე რხმაროს. და მძიშესა და სქელსა საჭამადსა ერიდოს ვითა მალიხოლისა შიგან გვითქვამს. და ეგეთთა რასმე რომელ ფსელსა ადენდეს ერიდოს, რომელ მანკი არ მოიმატოს. და მეციერთა და წინამძღვართა აქიმთა ესრეთ უთქვამენ, რომელ ასპიტისა თირიაცი და ხორცი, მისი ხასიათითა ამას მანკსა ერგების.

ისაკ იტყვის: რაა ესე მანკი გამოჩნდეს და ასონი გაწულდენ კურნებამა მისი იგი არს, რომელ დასდაღონ საქციელნი ტანისანი რომელ გამავრდეს, და ასოთა შიგან არა ჩავიდეს. და ავდაჯი და ბასალიფი გაიხსნას რომელ არ დაწულდეს. და აბანოსა მივიღოდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაუღებოდეს, რომელ მკერდი დაალბოს მისი და გრილთა ზეთთა და გრილთა საჭამადთა იხმარებდეს, რომელ ტანი არ დაირღვოს, და ცხვირისა სძესა სმიდეს. და ყოველთა დღეთა ასოთა კირითა და ღვინოსა შეშისა ნაკრითა ზელდეს. და ჟამ უმაღ წყალსა ჩაუღებოდეს. და ნუშისა ზეთი და ქურჯიდისა ზეთი ყურძნისა წყალსა გაპროოს და ხანსა ერთსა იხმაროს, რაა ტანი გაეწმიდოს, და მრავალი გამართლებულან ამით უთირიაციოთ და უასპიტის ხორცად.

კვ. პირისა რღუმება და პირისა სიბნელი და ფრისა სიხრღუმი რაა ფრისგან იყოს.
ვითარებამა მისი. ფოლის იტყვის: პირისა დაშეებამა და რღუმევა ფიცხელთა სნებათაგან იქნების ვითა იარაყანისა ყვითლისა და შავისაგან, და რააცა მათ ჰგებანდეს, ანუ ძნელთა სნებათაგან, რომელ ადგომილ იყოს ჰავად მყოფი.

ნიშანი მისი ფოლოსისა ნათქვამისაგან. იგი არს, რააცა ფიცხელთა სნებათაგან იყოს რომელ ფერად ყვითელი იყოს ანუ შავი. და ნიშანი მისი რააცა ძნელთა სნებათაგან იყოს იგი არს, რომელ დაირღვოს სნებათა სიძნელისაგან სახე მისი.

კურნებამა მისი. ფოლის იტყვის: იგი არს, რომელ საჭამადსა მაშენესა ჰამდეს და არას იჭირვოდეს რომელ მოაჯობინოს. და თუ ვითარებამა მისი მისგანთა იყოს რომელ მანკისაგან რაამე დაჭრომოდეს მას თანა, ეგრე ხაშს რომელ წამლითა იგი ხელტი ჩამოილოს ტანისაგან. და მაშინ აბანოსა მივიდეს. და თუ სიყვილოე პირისა არ მანკისაგან იყოს კურნებამა მისი იგი არს, რომელ რიმაჰნისა შარაბი სქას, რკინისა წიღისა შარაბი, და საჭამადსა შეიწვარსა ვარიასა და ტკბილსა ღვინოთა იხმარებდეს. და ტკბილი ბროწეული და თეთრი ღვინი, და კვერცხისა ყვითელი ამოხვეებული. და თაფლისა ჰამდეს და მუხუდის წებნი რომელ ბატკნისა ხორცითა შექნილ იყოს. და ჟამ ჟამ უპანსა ჰამდეს, რომელსა ჰქვიან ანგუყადი სპარსულად და არაბულად ჰალთითი, და მიწყით პირისა იხელდეს ეგეთითა წამლითა რომელ პირსა აელვარებდეს და ფერსა მისცემდეს. და ესე წამალი პირისა სიყვილესა გარდაიღებს და სიწითლესა მისცემს ვითარებამა მისი: თირმისი და ბა-

კოლა, და ნესვისა თესლი და ნუში, თვითოვსგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყოფი ახლისა იისა წყლითა ანუ ქუნჯიდისა ფურცლისა წყლითა დაისოვლოს, და პირსა მით იბანდეს, და თუ სამი ნაწილი თირმისი, და ორი ნაწილი ბაკილასა ფეკელი. და ქრთლისა და მუხუდისა ფეკელი თვითი ნაწილი, ქათირაჲ ნახევარი ნაწილი, ნესვისა თესლი სამი ნაწილი, ყოველი დანაყოფი დიაცისა სითა შეზილოს და პირსა შესცხოს, და დილსა ხველისა ნესვისა ქერქისა წყლითა პირი კარგად იბანოს და იზვლოს. და ესე ყურსი პირისა ზანისათვის დია კარგი არს ვითარებამა მისი: ბაკილაჲ და ქათირაჲ ორივე კვერცხისა თფორითა შეზილოს და კვერად შექნას და გაახმოს, და პირსა მით იბანდეს. და თუ პირსა სიყვითლვე უძილობისგან იყოს ქრთილისა წყალი სტჳს ნუშისა ზეთითა, და ხავარტი და ხაშხაშისა ყურსი მისთვის

10 დია კარგი არს, და ერგების.
პირისა სიბნელე რაჲ მზისგან იყოს. ჰუნაჲ იტყვის: ვითარებამა მისი ბუნებისა შეშლისაგან იქნების, რემელ თავისა ბუნებისაგან ბუნებამა შეცვლილებით იყოს, ანუ ფიცხელთა ცხროვითა და სნებათაგან იქნების, ანუ წზისა და ქარისაგან იქნების რომელ პირი კაცისა დააბნელოს და შეცვალოს.

ნიშანი მისი. ჰუნაჲ იტყვის: მრავალი ფერი იქნების, მით რომელ ბუნებისა ბუნებამა მრავალ ფერად იქნების, თუ ზაფრასა ზოგრიგენენ ყვითელი იქნების, და თუ სისხლსა მოერიგენენ წითელი იქნების, და თუ ბალღამსა მოერიგენენ თეთრი და თუ სევდასა შავი იქნების.

კურნებამა მისი: იგი არს, რომელ ტანისა ბუნებისა და მისი კურნებამა საქიროჲ
20 არს, და მისგნით ზოგი ვახსენით გძძელთა სნებათა და დიყისა ცხროსა შინა. და მრთელთა კაცთაცა დია სქირს ბნელფეროვნობამა პირისაჲ. კურნებამა მისი იგი არს, რომელ აბანოსა დია მივიდოდეს და კარგთა და ნატიფთა საჭამადთა ჰამდეს, რომელ ნათელი და წმიდა სისხლი ტანსა შიგან მოემატოს. და ჰავთა საჭამადთა ერთიღოს. მაგრამ ფერად თუ დია ყვითელად იყოს რკინისა წიღისა შარაბისაგან უმჯობესი არა არს მისთვის, რომელსა ჰქვიან რიმაჰინისა შარაბი, რომელ უზმამ იხმარებდეს. და ეგეთთა საჭამადთა ჰამდეს რომელ სისხლსა გასწმედდეს ვითა გვითქვამს. და თუ ფერად დია წითელი იყოს და იპობოდეს ამით ზარკეებით უკურნოს, რომელ ჰავი მანკი იქნების იგი, და სისხლისა მორევენისაგან იქნების. ეგრე ხამს რომელ ყიფალი გაიხსნას და წვიცსა და კისერსა ჰქიჲ მოჰკიდოს. და თუ ბუნებისა შეშლისაგან სქირდეს ეგეთთა საქმეთა, რომელ პირსა ჩაღმა უნდოდეს ქნა, ერთდოს. ვითა ლო-
30 ცვასა შიგან მოდრეკამ და პირისა მიწისაკე ქნა, და პირდაღმა დაწოლად, და ზახილსა ერთდოს. და მაშინ რაჲ ყიფალი გაიხსნას შუბლი და ცხვირი გაიხსნას, და წურბელი მოჰკიდოს და რაჲცა სისხლსა უმატებდეს ერთდოს ვითა ლეინოასა და ბორცსა. და თუ აბანოას დია არ შეეძლოს წასვლა პირი ცხელისა წყლისა ორთქლსა და ბუხარსა მიუჰყარას, და მაშინ ციეთთა წყლითა იბანდეს. და ცივისა ქარისაგან და სიცხისა და სიცივისაგან პირი შეინახოს. და თუ პირი მზისა და ქარისაგან დაბნელებულ იყოს კურნებამა მისი იგი არს, რომელ ქათირაჲ და ნიშასთავი და გომიზი, და ბაზრაყატუნაჲ და ბეჰესა ლუბი, და კვერცხისა თეთრი ერთგან გაპრიოს და პირსა შესცხოს, მაშინ ერგების რაჲ ესე ესრეთ ჰკურნოს თუ ღმერთსა უნდეს.

რუჲ. მხუარვალი სიმსივნე რომელ სისხლისაგან იძოს ანუ ზაფრისაგან. ვითარებამა სის-
40 ხლისა სიმსივნისა. ფოლის იტყვის: ესე მანკი ორფერად იქნების, ანუ ნაკრავისაგან იქნების რომელ მანკისა ადგილსა ეცეს, ანუ სისხლისა სიმრავლე და დანაყოფობისაგან არს, რომელ ბუნებისა ძალი გააყენებს მას და სიმსივნედ იქნების მაშინ.

ნიშანი მისი იქნისა რაჲ სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ძნელად სტკივოდეს და რაჲ ხელი შემოსდვან დია ხურვიდეს, და ამის სიმსივნე [სა] აქიმთა მეცნიერთაგან ფალღამონი ჰქვიან.

კურნება მისი. ფოლის იტყვის: რომელ მანქისა დასაწყისსა კურნება მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას არ მუნიტეე რომელ სიმსიენე იყოს, და მაშინ გასახსნელი რაჲმე ერთჲან გაპრიოს და შემოსდვას. ანუ გრილი შემოსადებელი შემოსდვას ვითა მეშ-ბპარი და ბროწყულისა ქერქი და თუთუბა და ქერის ფქვილი ყოველი ძმარეულსა წყალსა გაპრიოს და შემოსდვას, რომელ აღრე ელხინოს.

ისაჲ იტყვის: ესე მანკი თუ დანაყილობისაგან ანუ ნაკრავისაგან ქნილ იყოს ხე-ლის გახსნა არ უნდა. კურნება მისი იგი არს, რომელ მუმროლანი შესცხოს და მიწყით ნე-ლითა წყლითა ჰბანდეს. და ქერისა ფქვილი და უღბა და ბალბა შემოსდვას. და მაშინ ასუა-რამთა წყლითა ჰბანდეს. და თუ მანკიანი სისხლი შიგან შეყრილ იყოს მანქისა ადგილი 10 დაშაშრონ, რომელ იგი მანკიანი და მენი სისხლი გამოვიდეს, და მაშინ მალჰამა შემო-სდვან.

იოჰანა იტყვის: ამის მანქისა კურნება იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ძა-ლისა მასაფერად სისხლი გამოიღოს, და გრილსა შემოსადებელსა შემოსდებდეს ვითა სომ-ხური მიწა და სვეტი, და შაფი მამითა და არდისა წყალი, და აფიონი და მეშპპარისა წყალი, და ჩაღზაბა და ამათი-მსგავსი. და თუ ამახვე მანქსა თანა აცხროვდეს კურნება მისი იგი არს, რომელ საჰამადსა ცოტასა ჰამდეს და სიქანგუბინსა და ქრთლისა წყალსა სმიდეს. და რაჲ ოთხი დღე გარდვიდეს ცოტაჲ ცერცოჲსა წყალი და ქაქნაჲსა წყალი ჯუ-ლაბითა იხმაროს. და თუ აქლილალმალიქი და ბალბა და ცერეცოჲ და ფარისიოაშანი სე-ლისა ლუბითა შეზილოს და შემოსდვას დია კარგი არს, და გამართლდების და ელხინების 20 ვითარებაჲ საზაფროჲსა სიფხინისა. დეეჯა[ნის იტყვის: ფიცხელისა ზაფრისა-გან იქნების რომელ ბუნებისა ძალსა მას ასოსა შიგან მიეყნოს, და რაჲ მოერიოს სიმსიე-ნედ შეიქნების, და მას არაბულად ნაშლაჲ ჰქვიან.

ნიშანი საზაფროჲსა სიმსიენისაჲ. იგი არს, რომელ მანქისა ადგილი დია ხურვიდეს და ისრისაგერ ფეთქდეს და ფერად მოყვითლე იყოს, და აღრე, დაიპანტოს ასო-თა შიგან, და სიმსიენე მისი დიდი არ იყოს.

კურნება მისი. იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს ეგეთითა რომელ ზაფრასა ჩამოიღებდეს. და თუ ხელი არ გაიხსნას არა ჰგავა, და გრილთა შემოსდებდეს ვითა 1) ძა-ლისი ყურძნისა წყალი და ლისანალჰამალისა წყალი 2), და მეშპარისა წყალი. და კატაკტოჲ დანაყილი და ბაზარაყატუნაჲ, და ბანკი და ახალი აყიროჲ, და ქერისა ფქვილი ქინძისა 30 წყალსა გაპრიოს, რომელ არა წამალი ამას მანქსა არა ერგების, და თუ ცივი წყალი ზედა ისხას ერგების.

ჯალინოს იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს რაჲცა ზაფრასა ჩამოიღებდეს, ვითა ხიარ შპარისა ფოლისი და თამრი ჰინდისა წყალი, და ხილთა წყალი და მსგავსი ამათი. და მაშინ გრილი შემოსადებელი შემოსდვას ვითა შაფი მამითა და აყაყიაჲ, და სომხური მიწაჲ 3) და ჰუტუტი. და არდისა წყალი, და მეშპპარისა წყალი, და ასარაჲსა, წყალი რომლისა თარგმანი არს არაბულად მეცხოვრისა კვერთხი, და ვარდისა წყალი და მსგავსი ამათი. და საჰამადსა ისრიძისა ურწყუჲსა ჰამდეს. ანუ ოსპი ქერქ შეხ-დილი რომელ ძმრითა შექნილ იყოს, ანუ ვარიჲ ძმრითა შექნილი.

როფის იტყვის: თუ სიმსიენე ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს და მანკი ხორც-40 შესჰამდეს ესე მალჰამა იხმაროს ვითარებაჲ მისი: გუნდაჲ მწვანე და მურდასანგი, და ზარ-დანობაჲ თუეთილსა ოდენი, ბროწყულისა ყუბაილა და მორდი და ლისანალჰამალი თუთაჲ-საგან ნახევარი მათ ოდენი, ყოველი ერთჲან გაგალოს და იხმარებდეს. და მიწყით კატკა-

1) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული მხედრული ხელით.

2) ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დიდნის ხელით.

3) ამ სიტყვის შემდეგ სწერია „და აყაყიაჲ—ეს შეცდომაა.“

ტოლსა წყელსა ისრინისა შარაბსა თანა იხმარებდეს და აღარდნისა ურწყოასა ჭამდეს ერგებ-
ბის. და ოსპი შემგებარი ვარდის წყალსა გაპროოს და შემოსდვას ერგების. და სიმხურვალე-
თა ყოველთა ერიდებოდეს თუ სიმრთელე უნდეს.

რუმე გრილი სიმსივნე რომელ ბალღამისგან იპროს ანუ სმვდისგან ვითარებამ მისი
რომელ ბალღამისგან იყოს. ჯალის ოს იტყვის: ვითარებამ მისი დიადისა ბალღამისა-
გან იქნების რომელ ბუნებრივად ძალსა მუნ მიეყვანოს და რამე მოეროოს სიმსივნედ შეიქნე-
ბის, და მას არაბულად ვარიამალ რახოაჲ ჰქვიან.

ნიშანი სიმსივნისა რომელ ბალღამისგან იყოს. იგი არს, რომელ ფე-
რად თეთრი იყოს და არ დია სტკიოდეს, და სიმსივნე არ მაგარი იყოს, და რამე თითი შე-
10 მოსდვან ადგილი ღრად დაჩრებოდეს.

კურნებამ მისი რამე ბალღამისგან იყოს. იგი არს, რომელ ძმარი და ვარ-
დისა ზეთი და მარილი ერთგან გაპროოს და ზედა შესცხოს. და გამხსნელთა მალჰამთა ზედა
დასდებდეს. მაგრა ბალღამური სიმსივნე ორფერად იქნების ერთი უტკივარე არს და ყოლა
კურნებამ მისი არ ეგების, და მეორე ცოტად მტკივანი იქნების და ისეცა ძლივ იქნების
და გვიანდგამრთელდების. და კურნებამ მისი გამხსნელთა ლბილითა წაღლითა უნა, ვითა
აქლემისა ტვირი და დათვისა ცმელი, და ლომისა ცმელი, და ზოხისა ცმელი და ბატისა
ცმელი, და შინაურისა ქათმისა ცმელი. და წამალთა თანა რამეცა უნატიფესი და უკეთესი არის
იხმაროს ვითა ვაშად, და მუყლი აზრაყი, და მიაჲ ნელდი და ახალი, და ძველი ზეთის ხი-
ლისა ზეთი და მსგავსი მისი. და თუ ცოტა წისკვილისა ქვისა ნახეხი ცეცხლითა გაახურ-
20 ვონ და ძმარი ზედა დაასხან და მანკისა ადგილი მისსა ორთქლსა პიუჰყრან კარგი არს.
მეჲად მაშინ რომელ სიმსივნე საქციელთა და თეთრთა ძარღვთა შიგან იყოს. და მაშინ
ცერეოქსა ზეთითა იზღელეს.

მასარჯოა იტყვის: მანკისა დასაწყისსა მუცელი დაიღბოს იარაჲსა ჰაბითა ანუ-
თურბითითა და შაჰში პანტელითა. და ძმარა წყალი გაპროოს და მატყლი ანუ ღრუბელი
მითა დაასოვლოს და მანკისა ადგილსა შემოსდვას. და ბალღამისა საჭამადსა ერიდოს ვითა
ახალსა თევზსა და შაწონსა და სძესა და რამეცა ამით ჰგვიანდეს და თუ საბრი და მარილი
თეთროსა ოდენი წმიდად დანაყოს და გაცრამს და მორდისა წყლითა და ცოტამთა ძმრი-
თა შეზილოს და შემოსდვას ერგების. და თუ შეეძლოს სიმსივნისა შემოკრავად მგვრითა მაგ-
რად შემოკრავად ერგების, და თუ ხინებისა და უჩინარ ექმნებას.

ვითარებამ სიმსივნისა რამე სევედისაგან იყოს. როფის იტყვის:
30 სასევედოსა გასარეგლისაგან იქნების რომელ მორეულ იყოს და ბუნებისა ძალსა ასოთა
გარე გეყვენოს, და მას არაბულად ვარიამალ ულბი ჰქვიან.

ნიშანი სიმსივნისა რამე სევედისაგან იყოს. იგი არს, რომელ არ დია
სტკიოდეს და ფერად შავი იყოს, ანუ თეთრი იყოს, და რამე ხელი შემოსდვან მაგარი იყოს
და არ ხუროვდეს, და რამე სიმხურვალეთა შემოსდებდენ ელხინებოდეს და ევაშებოდეს.

კურნებამ მისი. იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთიომონისა მატბუხითა
და მაშინ ზოხის წვივისა ტვინი და თეთრი ცვილი მალჰამად შექნას და შემოსდვას, ანუ
თეთრი ლეღვი წელთა შეაბგოს და ულბოასა ფქვილი და სელი და ბალბამ თეთრი დანა-
ყილი გაპროოს, და ყოველი სოსნისა ზეთითა ავანსა შიგან წმიდად გაგალოს და მალჰამად
40 შექნას, და მიწყით შესცებდეს მანკისა ადგილსა. და სევედიანთა საჭამადთა ერიდებოდეს
ვითა ზოხის ხორცსა და თხისასა და ოსპსა და აპუხტსა და კალნაბასა და რამეცა ამით
ჰგვიანდეს და მოწონებულსა და მაშუნესა საჭამადსა ჭამდეს ვითა ვარიამალა და ღურაჯისა
ხორცსა კალით შექნისა.

არხიჯანის იტყვის: კურნებამ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღბოს აფთი-
მონისა მატბუხითა და მაშინ დახილიონისა მალჰამად შემოსდვას და თუ ცვილი ზეთითა და ძველ-
ითა ერბოვითა გააღონოს და შესცხოს კარგი არს. და თუ აფთიომონისა მატბუხისა ჭამა არ შეე-

ძლოს დელამორტისა წყლითა მუცელი დაიღობოს, და საჭამადსა მამასა ურწყოასა ჰამდეს, ანუ ვარია კალითა და კარკითა სანელებლითა შექნილსა, და სვედიანთა საჭამადთა ერთდებოდეს. და თუ ვაშლა თაფლითა და თფლითა წყლითა შეზილოს და მრავალჯერ შემოსდეს კარგი არს. და მუელი აზრავი დანაყელი სძესა და ადხარისა ახლისა ზეთსა თანა გაპრიოს და შემოსდეს ელზინების¹⁾, და თუ სიმსიენე მაგარი იყოს ექიმად ძქულისა ზეთისხილისა ზეთითა ზელდეს მეტად მაშინ რა აბანოთ გამოსრული იყოს, და ერთგების.

რუთი. საბატანი რომელსა ჰქვინან კირჩხიბი და სპარსულად ხარჩანში. ორფერი არს ერთი ზაგარი, მეორე წყლული. მისი ვითარება რა მაგარი იყოს. აბ უჯარი იტყვის: ესე მანკი სქელისა გლუჟინისა ბალღმისაგან იქნების რომელ ასოთა ზედა მორეულ იყოს, ანუ

10 დამწუარისა სვედისაგან იქნების რომელი მოერიოს და ესე მანკი გამოაჩინოს სადაცა. ნიშანი მისი. რა მაგარი იყოს და ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად თეთრი იყოს და უფროასი ყელსა და ლუდედიანსა ადგილსა გამოჩნდების, და რაცა დამწუარისა სვედისაგან იქნების იგი არს, რომელ ზავად მოაჩვენებდეს.

კურნება მაგარისა კირჩხიბისა: იგი არს, რომელ ტანი გაწმინდოს სასველდასა გასარეველისაგან, და ნატიფთა ლუბთა იხმარებდეს. და რაცა სვედასა მოუმატებდეს მისგნით ერთდოს, და იხარკოს რომელ სიმსიენე დააწყულლოს, რომელ ვიდრე არ დაწყულდების არ იჯობინებს და არცა გამრთელდების. და ესე მანკი უფროასი დედათა ძუძუთა შიგან იქნების და საშობელთა შიგან, და მამათა წელსა შიგან და ბუშუტისა ხურელსა შიგან, და რა ტანი გაწმინდოს ესე საცხებელი მოიხმაროს, ვითარებაჲ ზის:

20 თეთრი ფევილი იფილისა და სვეტი თვითოასაგან დრამისა წონი ერთი, მიწა და მუქი-ღელი, ანუ სომხური მიწა, და გარცხილი საბრი თვითოასაგან დრამისა წონი, ყოველი დენაილი და გაცრილი ვარდისა ზეთსა გაპრიოს და შემოსდეს, და თუ გაწყულდებულ იყოს ეგრევე ხელი ზედა შემოაყაროს ერთგების.

იოჰანი იტყვის: კირჩხიბი უფროასი ლუდედიანსა ასოთა შიგან იქნების, და დასაწყისა იფითა ვინმე შეატყვებს, და მას არაბულად სარატანი მით ჰქვიან, რომელ სიმაგრითა კირჩხიბსა ჰგავს და მრავალი ფერხი ათქს, და ძნელად იკურნების. და წამალ აღდებითა არ დაიღობების და უსუსურთა წამლითა არ გააკვირვებს, და ძრევთა წამალთაგან ასტოკიდების. და ამისა დასაწყისა კურნება იგი არს, რომელ არ მოიმატოს. და რა გაძლიერების არა იკურნების არცა რა მოერევის წამალი. და დისაწყისა კურნება მისი იგი

30 არს, რომელ ტანი გაწმინდოს აფთიმონისა მატბუხითა რომელ მრავალჯერ აიღოს. და რა ტანი გაწმინდოს იყოს ეგეთი მალხამა იხმაროს რომელ ასოთა გაძლიერებდეს, და მანკი სიმეტე უკუაყენოს მისგან, რომელ ელზინოს.

ვითარებაჲ კირჩხიბისა რა წყლული იყოს. არბიასიოს იტყვის: ვითარებაჲ მისი სქელისა მაგარისა ბალღმისაგან იყოს, რომელ ბუნებამან ლუდედიანთა ასოთა შიგან გააყენოს და რა მოერიოს სიმსიენე შეიქნას. და იქნების რომელ გაიღოდეს თვით.

ნიშანი მისი რა წყლული იყოს: იგი არს, რომელ მაგარი ლუდედი ანუ ყელსა ანუ სხვათა ასოთა გამოჩნდეს, და რა შემოაჭირონ დაიპტყულოს და რა აუშვან ერთგადვე მოკრბეს, და რა გამაგრდეს ნესვისა ოდენი შეიქნას.

40 კურნება წყლულისა კირჩხიბისა: იგი არს, რომელ მალიხოლიასათვის გვითქვამს და სიგონჯისა თვისა. ვითა ხელი გაიხსნას და სვედა ტანისაგან ჩამოიღოს. და საჭამადსა ეგეთთა ჰამდეს რომელ სინედლესა მოიმატებდეს. და რა სისხლსა წმიდისა მოიმატებდეს. და რა მანკი გაძლიერდეს ნუ ვინ ენუკვის კურნებასა, მით რომელ არ იწამლებს. და თუ დასაწყისა ბასალიყი გაიხსნას და მრავალჯერ აფთიმონისა მატბუხითა აიღ-

1) ამ გვერდის ქვემო აშიაზე სწერია რვეულთა სათვალავი №6 და შემდგომ გვერდის ზემო აშიაზე №8

ოს რომელ მანკის დედა დააკლდეს, და მაშინ ქრთილისა წყალი და კატკატოხა თესლისა წყალი და ორთავე კიტრთა წიყალი ჩნაბროს. და საჭამადთა სევდიანთა ერიდებოდეს. და თუ სნეული უსუსურად იყოს ვარია და თიქანი და ახალი თევზი წურბილი კალიად შექნილი ჰქალოს.

დევეჯანის იტყვის: კურნება მისი დასაწყისს იგი არს, რომელ აფთიომონისა მატბუხი აიღოს; და მაშინ ძაღლის ყურძინისა წყალი და არდისა წყალი და ქაქნასა წყალი შესცხოს. და ფიცხელსა წამალსა ნუ შემოსდებს მით რომელ გააძნელებს, და თუ მობრო-
ლანი ქნას და შესცხოს კარგი არს. და ესე მალჰამა ზეგ გამოგვიცდია ერგების ვითარებად მისი: სნეტი და თუთიაჲ გარცხილი და მურდასანგი გაზრდილი და სომხური მიწაჲ თი-
10 თოსსა ოდენი, შანდა გარცხილი და ავშარაჲ ლისანალჰამალისაჲ თეთოჲსაგან ორი ნა-
წილი მათ წინანდელთა ოდენი, ნიშსტაგი და გომიზი არაბული გაგლილი თეთოჲსგან
სამი ნაწილი, ყოველი დანაყილი და გაცრილი წყლითა შეაბგოს და მალჰამა ვითა შექ-
ნას და შემოსდვას ერგების. და თუ სომხური მიწაჲ ქინძისა წყალსა გაპრიოს და მიდამო-
სა მისსა იცხებდეს, დია კარგად ერგების.

ბ. ღორთელი და სალაჲ გროჲლ ასოთა შიგან გამოჩნდეს. ვითარება ღორთელისაჲ.
აბუჯარი იტყვის: ესე მანკი ბალღამისა სქელისა გასარვევლისაგან იქნების რომელ
ასოთა შიგან მორეულ იყოს, ანუ დამწებარისა სევდისაგან რომელ მორეულ იყოს და გა-
მოჩნდეს.

ნიშანი ღორთელისაჲ. იგი არს რაჲცა ბალღამისაგან იყოს, რომელ თეთრი
იყოს და უფროსი ყელსა და ლუღედიანსა ადგილსა იყოს, და ნიშანი მისი რაჲცა დამწუ-
20 არისა სევდისაგან იყოს იგი არს, რომელ შეფფერი იყოს.

კურნება ღორთელისა. მანკისაჲ იგი არს, რომელ მანკისა დასაწი[საჲ] [სა-
ქამანსი¹⁾] ცოტაჲსა ჰამდეს და თავსა მშიერსა დაიჭირადვდეს, და ღამით ყოლა ნურას
ჰმას, და არწყიოს რომელ სტომაქი გაწმიდოს, და მუცელი დაიღბოს ეგეთითა რომელ
სედაჲსა ბალღამსა ჩამოიღებდეს და მაშინ მანკისა ადგილი გამსსნელობითა რაჲმჲე იკურნოს
ვითა დახილონითა მალჰამითა, და მური ღვინითა შეზილოს და შემოსდვას, და მწარე ნუში
და ბაკილასა წყალი და ზური სამი, სელისა ლუაბითა შეზილოს და ძველი თხის კორ-
კლი სიქანგუბინითა და კალნამისა წყლითა დააღბოს და მალჰამად შექნას და შემოსდვას,
რომელ დააღბოს და გაუხსნას. და თუ მანკი გარდვიდეს და დაწყულდეს სათავნო მან-
30 კისაჲ გამოიღოს მისგან, ეგრე რომელ შიგან არა დარჩეს და გაწმდეს, და კულა არ გასი-
დეს. და რაჲ გაწმედით იყოს მალჰამით ჰქურნოს, და იქნების რომელ ღორთელი ნესვისა
ოდენი შეიქნას.

ჰუნაჲ იტყვის: ვითარება ამისი უღნობობისაგან იქნების და უმჯობესი კურ-
ნებაჲ მისი იგი არს, რომელ თხელი ტყვიჲ ჩამოჰკიდოს და ესე მალჰამა შემოსდვას ვითა-
რებაჲ მისი: ბავრუკი და მარილი, და კაცისა განავალი და ტრედისა სკინტლი, და ქათმისა
შინაურისა სკინტლი, თეთოჲსაგან დრამისა წონი ერთი, საფუვარი სამისა დრამისა წონი,
ყოველი ზეთის ხილისა ზეთითა შეზილოს და ურთოს და მალჰამად ვითა შექნას და შემოს-
დვას, და თუ თირმისისა ფქვილი სიქანგუბინითა შეზილოს და შემოსდვას, ერგების.

ვითარებაჲ სალაჲსა მანკისა. არბიასი იტყვის: მაგარისა სქელისა
40 ბალღამისაგან იქნების რომელ ბუნებამან ლუღედიანთა ასოთაჲე გაგზავნოს და რაჲ მოერი-
ოს სისივნეჲ შეიქნას და იქნებისცა დია დიდი.

ნიშანი სალაჲსა მანკისა. იგი არს, რომელ მაგარისა ლუღედისა ებრ ყელსა
ზედა ანუ სხვასა ადგილსა გამოჩნდეს და რაჲ შემოაჭირო დაიბტყელოს, და ოდენცა ესე
მანკი გამაგრდეს ნესვისა ოდენი იქნების.

კურნებაჲ სალაჲსა მანკისა: ესე მანკი ვიდრე უსუსურად იყოს ლბილი
და გამსნელი წამალი ეყოფის, და რაჲ გძლიერდეს უმჯობესი წამალი მისთვისა ვაშაჲ არს

1) აქ ტექსტი დაზიანებულია.

რომელ ძმრითა შეზილოს და შემოსდევან ერგების. და ჩარდაგრისა მალხამა და ბასალი-
ყონისა მალხამა ერგების მას. და ესე წამალი რომელ გვითქვამს თუ კერა მოერიოს მამუნი
გააპონ და ბუღისაგან გამოიღონ, და თუ ბუღისაგან არ გამოიღონ კულა დაბარუნდები.

ისაკ იტყვის: თუ მანკისა დედაჲ ცოტა იყოს იგი წამალი რაჲცა გვითქვამს
ეყოფის. და თუ მანკი დიდი იყოს ღონე იგი არს, რომელ გააღონ და ბუღე მისი დაცაღონ,
და მამუნი ნურას მიუშეგებენ, თუ არა კულა გამოჩნდების. და რაჲ გააპობდენ წინაჲს კარგა
ზელონ, და არგენითა შემოაქვირონ რომელ გაიბრტყელოს, და მამუნი გააპოს. და თუ დახი-
ლიონისა მალხამა შემოსდევას კარგი იქნების. და თუ სნეული ლბილად იყოს და დაესუს-
ურდეს ბეჭესა რუბი და სომხური მიწაჲ და გომიზი არაბული ჭამოს. და საქამადასა თუ-
10 თუბისა ურწყოასა ჭამდეს ანუ ალარდნისა ურწყოასა, რომელ მუცელი შეუკრას. და თუ
უსუსურად იყოს ვარიად კოწოხურითა შექნილი ანუ ისარიითა ჭამოს, და უღნობისა ერიდოს.

სა. ბაუნი და ლუბადაჲ რომელ ასრითა შიგან გამოჩნდეს. ვითარებაჲ ბაუნისაჲ.
მუჰამედ ზე ქარიას ძე [იტყვის]: ტაუნი სიზიფენსა ჰქვიან რომელ ღლიასა ქვეშეთ
გამოჩნდეს, ანუ ბარკლისა ღლიასა ქვეშეთ, და ვითარებაჲ მისი საზაფროასა გასარეველისა
ფიცხელისაგან იქნების, ანუ სისხლისა ზაფრად რეულისაგან.

ნიშანი ტაუნისაჲ: იგი არს, რომელ მანკისა ადგილი წითელი იყოს ანუ სიზა-
ვისა კერძოად იყოს, და სიმსივნე დია ხურვიდეს და მიდამო მისი ლურჯი ანუ შავი იყოს,
და არწყევდეს, და გულისა ფეთქაჲ იყოს და ჰბნდებოდეს სნეული.

კურნებაჲ ტაუნისა მანკისაჲ: მოჰამედ [ზე ქარიას ძე] იტყვის:
20 რომელ ყოლა ხელს ნუ გაიხსნის, და ამისა თადიბირი ქნას რომელ გული წამლითა გააძლი-
ეროს, და გააგრილოს გვეთითა წამლითა რომელ გულისათვის გვითქვამს. და მგავისა ბროწყუ-
ლისა წყალი და თრუნჯისა მგავე მისთვის კარგი არს. და გრილთა სურნელთა უსუნებდეს ვითა
იასა და ნილოფარსა. და საქამადასა ოსპსა ქერქ შეხდილა ძმრითა შექნილსა ჭამდეს. და
რაჲცა სისხლსა გაასქელებდეს მისთვის კარგი არს. და მყინვარსა და თოვლსა მისსა მიდამო-
სა დასდებდეს. და ესე მანკი უუროასი თარმაჰისა გარდასავალსა იქნების. ამის მანკისა
კურნებაჲ რაჲ დაწყლულდებულ იყოს და სისხლი სდიოდეს, იგი არს, რომელ სისხლი თფი-
ლითა წყლითა დაიბანოს, რომელ არ გაიყინოს და გამოვიდეს, და ლბილად მოწონ რი-
მელ მანკიანი სისხლი გამოვიდეს. და ყოლა გრილსა შემოსადებელსა ნუ შემოსდევს ტილე-
სა, თუ არა გულისა ფეთქასა მოუბტებეს, და წყლულსა მისსა ნუ გამოაჩენს, დახურვითამ-

30 იყოს რომელ თოვლისა და მყინვარისა სიციფე, რომელ მისსა მიდამოსა დადებულ იყოს
არ ეცეს. და ამისთვის მოიჭირვოს რომელ გული გაუგრილოს და გააძლიეროს გრილითა
წამლითა, და წყლულისა კურნებაჲ ადვილად ეგების მას უკანით რომელ გულისა ფეთქაჲ
დაწყუნარებულ იყოს, რაჲ სნეული შეძლებულად იყოს. და კარგად გაუფრთხილდეს წყლუ-
ლისა და მანკისა ფერსა რომელ არ მოსცეთეს კურნებასა, თუ არა მამუნი საშოშოა იქნების
მით რომელ ესე მანკი დია საკრძალავი და საშიშოა არს. მეცნიერულად ხაშ მისი კურნებაჲ.

ღუბალასაჲ ვითარებაჲ როფის იტყვის: ესე მანკი ბალომისა სქელისა
გლუსუნისაგან იქნების, რომელ სქელსა სისხლსა და სევდასა თანა გარეულ იყოს, ანუ სა-
ქამადთა არ მოდნობისაგან იქნების, რომელ ბუნებასა ასოთა შიგან მიეძალოს იგი მანკი.

კურნებაჲ ღუბალასი. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ხელი გაიხსნას და
40 მამუნი შეგებარი ლეღვი ფქვილსა და გაგლისა მარლისა, ცემლსა გაპიროს და მალხამად
შექნას და მანკსა ზედა შემოსდევას. და თუ პურისა გული ზეთის ხილისა ზეთითა დაალბოს
და შეზილოს და შემოსდევას კარგი არს. და თუ ამით რომელ გვიქვამს არ იკურნოს მიწ-
ყით (კერეკოასა ზეოსა სცხებდეს. და მამუნი რკინითა გააპოს და მანკისა დედაჲ გამოიღოს
მისგან, და მამუნი მალხამათაჲ კურნონ.

თებით კურაჲ იტყვის: ესე მანკი რაჲ დაძლეულდეს ესე წამალი მას ერგების შე-
ქამოს ვითარებაჲ: მურისა თესლი და ბალბისა თესლი, და ხორფარაჲსთი და ქათირაჲ

ყოველი დანაყოფი სანითა უკიათა ტარჰაშეუყისა და სმითა უკითა ვირისა სძითა გაჰრიოს და დლო საღამოს ჭამოს. და თუ ღუბალაასა თანა ცხროა არ იყოს და ადრე გახსნაა სწა-
დდეს, ორი დანგი საბრი ორისა დანგისა წონასა ზაფრანაასა თანა გაჰრიოს და ღვინითა
შეზილოს და ჭამოს. და რაა გახსნილ იყოს მას უქანა სუფუფი მუყლიათისი ჭამოს. და თუ
მურისა თესლი და ნესვისა თესლი და ქათირაა თვითოადა ოდენი მას თანა გაჰრიოს და
ჭამოს კარგი არს. და თუ ღუბალაა ქუეშეთ კერძოათა ასოთა შიგან იყოს ჰუყნაა უყის
ეგეთითა, რომელ მეორესა წიგნსა შინა გვიოქვამს, და საქამადა დანაყილა ბრინჯსა და
ნიშასტაგსა ერთგან შემგბარსა ჰამდეს. და ჰრითილი დანაყოფი უქერქოა ბაზრაყატუნსა გაჰ-
რიოს და ცოტაა გომიზი გაჰრიოს და ხურითოს ერგების, და მხურვალთა ერიდოს.

10 ს. ღუნაღლი რომელსა ჰჰვიან გჯღომი და ბავარსა და ბადოგილა რომელ ბაგომინდეს,
ვითარებაა მჯღომისა დუნბალისა. თე ბით ყურაა იტყვის: მჯღომი ერთი ფერი არს
მხურვალთა სიმსიენეთაგან იქნების, უფროისი საქამადათაგან რომელ სისხლსა მოუმატებ-
დეს, და ანუ მისგნით იქნების რომელ ეამიერად ხელა არ გაიხსნას ნდომისა ჟამსა.

ნი შანი დუნბალისა მჯღომისა იგი არს, რომელ ასოსა ზედა სიმსიენე გა-
მონდეს და გადიდდეს, და ფერად წითელი იყოს და სტივოდეს, და რაა ხელი მანკისა ად-
გილსა შემოსდენ ხურვიდეს.

კურნებაა დუნბალისა. ამის მანკისა კურნებაა მხურვალთა სიმსიენეთა კურ-
ნებაა არს, ამისსა კურნებაა ნუ მოლაფლდების, რომელ თუ ესე მანკი გაძლიერდების
მკლელი და საშიშოა იქნების.

20 თადბირი მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას და ქიქა მოჰქიდოს და ჰალილასა
მატბუხი და შაჰთარაასა მატბუხი ჭამოს. და ტყემლისა ნაყი და თამრი ჰინდი და უნაბრ
იხმაროს, და მჯღომი დახილიონისა მალჰამითა გააჰოს გეგ რომელ მრავალჯერ შემოსდეს,
და რომელ თავი შექნას ანზაროთი თაფლსა გაჰრიოს და ცეცხლსა ზედა მალჰამა ვითა
შექნას და შემოსდეს, ღია ერგების.

მუჰამედ ზაქარიაას ძე იტყვის: კურნებაა მისი იგი არს, რომელ სელი და
მურისა თესლი და ტრედისა სკინტილი და საფუფარი ყოველი ერთგან შეზილოს და შემოს-
დეს, და თუ ხმელი ლელი შეაბგოს და მაშინ ღია დანაყოს და ძირაა გაჰრიოს, და ქუნ-
ჯითისა ზეთითა ღია გაგალოს, და მალჰამად შექნას და შემოსდეს.

ისაკ იტყვის: მისი კურნებაა იგი არს, რომელ საქამადას ცოტასა ჰამდეს და
30 ხორცსა და ღვინოსა და თაფლიანთა ერიდოს, და მცავეთა იხმარებდეს და ნელთა და
გრილთა შემოსადებელთა შემოსდებდეს, ვითა ბაზრაყატუნისა ლუაბი და ქერისა ფქვილი
და ძაღლის ყურძნისა წყალი და კვერცხისა თეთრი და მსგავსი მისი, და თუ არ იჯობინოს
ეგე გუარი რამე¹⁾ რომელ მჯღომთა ამწიფებდეს შემოსდეს, ვითა უფული ჩამიჩი მარი-
ლითა დანაყოს და შემოსდეს. და თუ სწადდეს რომელ გაიბოს კირი რომელ წყალი არ
მიმედარ იყოს მისდა, ცმელითა დანაყოს და შემოსდეს მასვე წამსა გაიბობვის და ელხი-
ნების.

30 ვითარებაა ბავარსაბის რომლისა თარგმანი არს ფობტა. დეეჯანის იტყვის:
მხურვალისა სისხლისაგან იძნების რომელ ფიცხელი ზაფრად გაერიოს მას და ბუნებისა
ძალმან გადევნოს, და ტანსა ზედა გაბერილობაა გამოჩნდეს ფეტვისა ებრ წერილ წერილი.

40 ნი შანი გაეარსისა იგი არს, რომელ მანკისა ადგილი გასივდეს და ზედა ფეტ-
ვისა ებრ თეთრი გამოჩნდეს და მისგნით თხამლი სლიოდეს, და ღია სტივოდეს და სიმ-
სიენისა ძირსა წითელი ზორცი გამოჩნდეს.

კურნებაა გაეარსისა. იგი არს რომელ ხელი გაიხსნას და მუცელი დაილ-
ბოს ხილთა წყლითა და ეგეთითა რომელ ზაფრასა ჩამოიდებდეს ვითა ყვითელი ჰალილა

¹⁾ ეს სიტყვა სტრიქონ ზემოდან არის ჩამატებული დედნის ხელით.

და საყმონიამ, და მანკისა ადგილი ამით წამლითა ზელოს ვითარებაჲ მისი: გუნდამ და გაზ-
მაზეი და ბროწეულისა ქერქი და სანდალი და სომხური მიწაჲ თვ.თოფსგან ნაწილი ერთი
დანაყული ძმრითა და ვარდის წყლითა შეზილოს და შესცხოს და ძმარი ცოტაჲ უროის
რომელ არ ეწუოდეს. და ყურის ანდრომახისისი და შემკრველ დამკრველი წამალი ერგე-
ბის მას.

10 მასომაჲსქე იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ მუცელი დაიღობოს ლო-
ლადიასა იარაგათა და მაშინ ნატიფთა საქამადთა ჰამდეს. და აბანოს მივიდრდეს. და თუ
ხარაჲ ზაჰრაჲ წმიდად დანაყოს და ძმრითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს, და თუ ცო-
ტაჲ მური ტეგანასა თანა დანაყოს და ძმრითა შეზილოს და შესცხოს მანკისა ადგილსა
კარგი არს.

მადანი იტყვის: ბადაბილაჲ რომლისა თარგმანი არს ქარვეული იგი არს, რო-
მელ ტანსა ზედა გამოჩნდეს წინტილი და ვითა შიგან ერთი დიდი ერთოს ყუაგილისა ებრ,
რომელ ცეცხლისა დამწურისა ებრ ქნილ იყოს.

10 კურნებაჲ მისი. იგი არს, რომეთ ხელი გაიხსნას თუ მაჯასი სისხლითა სავსე იყ-
ოს. და მიწყით ტყემლისა წყალსა და მკაეისა ბროწეულისა წყალსა და ტაეშოლსა ჰამდეს,
ტაეშოლი მას ჰქვიან რომელ ძმარსა და წყალსა ფევილი მოჰვიდონ, და უხდურსა მახობისა
თხელისაებრ შექნას. და რაჲცა სისხლსა დააწყენარებდეს მას ერგების. და იგი ყუაგილი გა-
მოწყოს და თხამლი წმიდად გამოილოს და სპეტი შემოიყაროს, ანუ გაზრდილი მურდასან-
გი ვარდისა წყლითა და მორდის წყლითა შესცხოს, და მხურვალთა საქამადთა ერიდოს და
20 გრილთა მიელტვოდეს.

სგ. ცხაროჲ ყოველთა ღღეთა რომელ წარმოებისან იყოს ანუ შიშისბან.

ვითარებაჲ მისი რაჲ წყრომისგან იყოს. მასარჯოჲ იტყვის: ესე მანკი სელისა მეტად
ძრვისგან იქნების შიგნით დაღმა გამოდჷა, ბუნებისა სიძლიერისაგან და მისისა მორგე-
ნისაგან, გაწყრომისა და გაუფიცებისა ჟამსა.

ნოშანი ცხრომასა რაჲ გაწყრომისაგან იყოს. იგი არს, რომელ თვალმან
ფერი იქციოს და გამოვიდეს, და ჰირი საკვირვლად გაუწითლდეს და იქნების რომელ ჰირი
გაუწითლდეს ¹⁾ და ფსელი საკვირვლად გაუწითლდეს.

30 კურნებაჲ ცხრომასა რაჲ გაწყრომისაგან იყოს. იგი არს, რომელ ნელ-
სა წყალსა შიგან ჩაჯდეს და გაგრილებულსა ჯულაბსა სმიდეს, და თეთრი სანდალი და ქა-
ფური და ვარდის წყალი ერთგან გაჰრიოს და თავსა შემოსდვას. და მკაეისა და ტკბილისა
ბროწეულისა წყალსა სმიდეს და გრილთა და ნედლთა საქამადთა ჰამდეს. და ნუშისა ზეთ-
სა შაქრითა ჰამდეს. და ღვინიასა ნუ სჷამს და სიხარულსა შეექცეოდეს რომელ გამრ-
თელდეს.

მუჰამედ ზაქარიასქე იტყვის: კურნებაჲ იგი არს, რომელ რაჲ ნელისა
წყლისაგან გამოსრულ იყოს ნახევარ ცივსა წყალსა შიგან ჩაჯდეს და მასვე წამსა გამოვი-
დეს. და სხვაჲ კურნებაჲ რომელ გვითქვამს იხმაროს და მიწყით ქეფურსა და ვარდის წყალ-
სა უსუნებდეს, და მაშინ დაიძინებდეს.

40 ისაკ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ რაჲ წყრომისგან დაწყენარდეს
აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და თუ ზამთარი იყოს და ჰაერი გრილი
იყოს. და თუ ზაფხული იყოს და ჰაერი მხურვლად იყოს ცივსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და
ტანი კარგად იბანოს ცივთა წყლითა. და მიწყით ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს მეტად
გრილთა და ნედლთა, და ნილოფარსა და იასა უსუნებდეს, და ვარდის წყალსა და გაცივე-
ბულსა ჯულაბსა სმიდეს ერგების. და გრილთა და ნედლთა საქამადთა ჰამდეს და ბროწეულისა
და ალარდინისა ღრწყოასა, და ახალსა თევზსა ჰამდეს, და აყიროათა შექნილი ბსრილისა

¹⁾ აქ ეს სიტყვა შევლომით; არის უნდა იყოს „ზაფხუითლდეს“

ურწყყა ნუშისა ზეთითა. და რაჲსა ჰამდეს მოხალულისა ნუშისა ზეთითა ჰამდეს, და დია დაიძინებდეს და ხმელთა და მხურვალთა საჰამადთა ერიდოს, და ჰამოთა და ნატოფთა მიელტოოდეს, ერგების.

ვითარებამა ცხრომსა რომელ შიშისგან იყოს. ისაკ იტყვის: მისგან იქნების რომელ ტანსა შიგან სული გარდისხეწოს დია შიშისგან, რომელ გულსა შიშის სევმოდეს, და ესე სხვაგვარი ცხრომ არს, არ წყრომისა ცხრომსაებრ.

ნიშანი ცხრომსა არა შიშისგან ქნილ იყოს. იგი არს რომელ ფერი პირისაჲ დია წითელი იყოს ანუ დია ყვითელი, და თვალი მისი ღრულ იყოს, და მაჯასი დია უსუსურად იყოს და მიწყით ფეთქდეს.

10 კურნებამა მისი. იგი არს, რომელ ეგეთთა რასამე შეექცეოდეს რომელ გულსა გაამხიარულებდეს ვითა ჰამოთა მუტრიბთა ხმაჲ, და ჰამოთა მოამბევთაგან ჰამბავისა მოამბენაჲ, და კარგთა მეზღაპრეთაგან ზღაპრისა მოსმენაჲ, და ღვინისა სმება და რაჲთაცა შეაქცეოდეს კაცსა და გულსა გაუჰამებდეს და მოუნდებოდეს და ელხინებოდეს, და მერმე ნელსა წყალსა ჩაჯდეს და მიწყით ტანსა იისა ზეთითა, და ნილოფრისი ზეთითა, და აყრომსა ზეთითა იხელდეს. და საჰამადსა ვარიამსა ჰანდეს კალიდ შექნილსა, მხურვალთა სანელეზბლითა შექნილსა, ანუ თიქნის ხორცსა ასუნაახითა შექნილსა. და მოიჭირვოს დაძინებისათვის რომელ დია დაიძინოს. და ესე კურნებამა მითარს რომელ იგი სული რომელ ტანსა შიგან დამალულ იყოს ნებნებასა გამოვიდოდეს მალულისაგან, და ბუნებისა ძალი განაძლიეროს.

20 დევჯანის იტყვის: აბანოსა დია მივიდოდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს, და ყოლა ცხელსა სახლსა შიგან ნუ შევალს აბანოსა რომელ ვენების, და ტანსა გრილითა და ნელითა ზეთითა იხელდეს ვითა აყრომსა ზეთი, და იისა ზეთი. და მიწყით უხმამან ქაფურულსა მოფარიჰსა იხმარებდეს. და გრილთა და ნელთა სურნელთა უსუნებდეს ვითა იასა და ნილოფარსა, და აღლასა და ქაფურსა წყალსა. და გრილთა ღუაბთა მკერდსა ზედა შემოსდებდეს ვითა ბაზრაცატუნისა ღუაბსა, და ბეჭეს გულსა ღუაბსა, და მეშპარისა და ძაღლის ყურძნისა წყალსა, და ქინძისა წყალსა და მსგავსსა მათსა. და სევდიანსა და ზაფრიანსა საჰამადსა ერიდოს.

30 **ს. ჰოვალ დღეთა ცხრომ რომელ საჰამადისგან იძროს ანუ სიშვილისგან.** ვითარებამ მისი რაჲ ჰამისგან იყოს იგი არს, რომელ სტომაქი უსუსურად იყოს და საჰამადსა ვერ მოიღნობდეს და საჰამადთა ჰმელთაცა დააშავებდეს სტომაქისა უსუსურობითა.

ნიშანი მისი რაჲ საჰამადისა ჰამისაგან იყოს. იგი არს, რომელ მხურვალსა აბოყინებდეს და იქნებისცა რომელ დია სწყუროდეს, და იქნების რომელ ლბილად იყოს, და იქნების რომელ ყოველი ასოჲ მძიმედ ედგან.

40 კურნებამა მისი. იგი არს, რომელ დია იძინოს და თუ პირი წითლად ედგას და მაჯასი სისხლითა საესე იყოს ხელი გაიხსნას, და ორთა, ოდენ სამთა დღეთა ხალი შაქრითა ჰამოს და კურნებაჲსა მის ცხრომსა იხარკოს. და თუ არ გავრძელდების და რაჲ ცხრომ მოტბაყად შეიქნას, ადრე ტანი გარწიდოს, ამით რომელ მრავალჯერ ხილთა წყალი იხმაროს და ქრთილისა წყალი სიქანგუბინითა იხმაროს და რაჲ ცხრომ მოუსუბუქდეს აბანოს მივიდეს და დია ნუ დაჯდების, და ნელითა წყლითი ტანსა იბანდეს, და ანაკუფითთა ტანსა იხელდეს. და თუ აბანოჲ ცივი იყოს ადრე გამოვიდოდეს, რომელ თუ დაიყოვნოს მაშინ საშიშოჲ არს, რომელ ცხრომ მანკიანად შეიქნას, და რაჲ აბანოჲთ გამოვიდეს მაშინ დაიძინოს.

არბიასიოს იტყვის: თუ ესე მანკი ელდასგან ქნილ იყოს არწყვიოს ნელითა წყლითა და სიქანგუბინითა, და მაშინ მუცელი დილბოს თამრჩ ჰინდითა ანუ ტყემლისა წყლითა და ჯულაბითა, და ტკბილისა და მყავისა ბროწყულისა წყლითა, და თუ ბუნებამა

ლობილად იყოს აღარდინისა წყალი და ბროწეულისა წყალი ჰეჭესა რუბითა ჰამოს, რომელ შეიკრას. და თუ ბეჭესა წყალი აღდულოს და ცოტად ტანაშირი ჩაურთოს და იხმაროს კარგ არს. და თუ ფსელი წითლად იყოს და ცხროა ძლიერად იყოს, და სნეული უსუსურად არ იყოს ხელი გაიხსნას. და თუ დია მოსწყურდებოდეს ბროწეულისა რუბი ცივსა წყალსა გაჭირის და იხმაროს. და რაჲ ცხროა დაელიოს ციენელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს აბანოას, და საქამანდა ბროწეულისა ურწყუასა ჰამდეს, და თუ უსუსურად იყოს, ვარიასა ჰამდეს ელხინების.

30 **ცხროასა ვითარებაჲა რაჲ სიმშვილისგან იყოს.** აბუჯარიჰ იტყვის: რაჲ სიმშვილისაგან იყოს იგი არს რომელ ბუხარი ტანისაჲ ყოველი გაფიცდეს მით რომელ საქამანდა არ მომხედარ იყოს.

ნიშანი მისი რაჲ სიმშვილისგან იყოს. იგი არს, რომელ ასოჲ ყოველი დაუსუსურდეს და რაჲ ხელი შემოსდენ მაჯასა. მაგარსა და გასხირპულსა ჰგვანდეს.

კურნებაჲა მისი. იგი არს, რომელ ჰასოსა ჰამდეს ნუშის ზეთითა. და მაშინ უძლიერესთა საქამანდა ჰამდეს უჯანის ვითა მუხუდისა ურწყუა, ანუ ვარიას კალით შექნილი. და მაშინ აბანოას მივიდეს და ნელი წყალი თავსა ისხას, და ნელსავე წყალსა შიგან ჩაჯდეს, და რაჲ გამოვიდეს ტანსა ვარდისა ზეთითა და აყროასა თესლისა ზეთითა იხელდეს, ერგების.

მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: ცხროა რომელ სიმშვილისაგან იყოს კურნებაჲა მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას, რომელ დაელიოს და მაშინ ხალი შაქრითა ჰამოს. და ქრთილისა წყალსა და გრილთა და ნედლთა საქამანდა იხმარებდეს. და თუ ცხროა გავეფუდო იყოს ცივსა წყალსა ცოცოტასა სმიდეს. და ყოლა ჰირას ნურას ნახავს რომელ ადრე ელხინოს. და მძიმეთა და უღნობთა საქამანდაჲა სუბუქთა და ნატოფთა მიელტვოდეს. და თუ ცხროასა ვითარებაჲა წყურვილისაგან იყოს კურნებაჲა მისი იგი არს, რომელ ცივსა წყალსა სმიდეს, და ხილთა წყალსა იხმარებდეს ვითა ყვითლისა ტყემლისა წყალსა და აღარდინისა წყალსა, და უნაბისა და ჰინდოურსა ზურმასა და რაჲცა ამით ჰგვანდეს, და ყოვლისაგან მას შეავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალი უჯროს. და მაშინ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და თუ ზაფხული იყოს და თუ ზამთარი უმჯობეს იგი არს, რომელ ცივსა წყალსა იხანებდეს და მიწყით ტანსა გრილთა და ნედლთა ზეთითა იხელდეს ვითა იისა ზეთითა.

30 **სა. ცხროა ყოველთა დღეთა რკველ მოვიდოდეს თუ ვეპირავებისაგან იყოს და თუ ვეპირავებ. ვითარებაჲა მისი რაჲ შეპირებისაგან იყოს.** იოჰანა იტყვის: ესე ცხროა მისგან იქნების რომელ ბუნებაური სიმბურველე ტანსა შინთა დამიალოს, და მეტრისა შეპირებისაგან დამაგრდეს შიგან.

ნიშანი მისი რაჲ შეპირებისაგან იყოს. იგი არს, რომელ თვალნი ღრუდ იყენენ და ებნელებოდეს, და მაჯასი წვრილად და უსუსურად იყოს, და ფსელი ცხრომანისა წითლად იყოს.

კურნებაჲა მისი. იგი არს, რომელ თავი შეაქციოს სიხარულსა და ნიშატსა და ეგეთთა საქმეთა რომელ გულსა გაამზიარულებდეს და ძნელთა, ხმითა და ჰამოთა მომღერალითა. და ეგეთთა საქმეთა მიელტვოდეს რომელ გულსა და ბუნებასა მოუნდებოდეს. და რაჲ ცხროა გარდიდეს აბანოსა მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და სწორთა საქამანდა ჰამდეს ვითა თიქნისა ხორცისა ზირაბაჯად შექნისა და ახალსა თევზსა კალით, ნუშის ზეთითა შექნილსა. და თუ ზაფხული იყოს ცივსა ადგილსა დაჯდებოდეს და იმყოფებოდეს. და თუ ზამთარი იყოს ცხელთა ადგილთა იმყოფებოდეს. და დია იძინებდეს.

ისაჲ იტყვის: კურნებაჲა მისი იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და ასოთა იისა ზეთითა იხელდეს. და გრილთა სურნელთა უსუნებდეს ვითა იასა და ნილოფარისა და შაბლაილსა, და რაჲცა ამით ჰგვანდეს. და იკუფრისა მოფარისა

იხმარებდეს. და გრილთა ლუბთა მკერდთა იცხებდეს ვითა ბაზრაცხტუნისა ლუბასა და ბეჭისა გულისასა, და თუ შემზარისა წყალსა და ძაღლის ყურძნისა წყალსა მკერდსა იცხებდეს კარგი არს ¹⁾. და ღვინოასა სურნელსა სმიდეს მაგრამ წუ დიადსა. და სევდიანსა საქამადასა ერიდოს და ნატიფთა მიელტვოდეს. და თუ სტომაქი უსუსურად იყოს ბეჭესა შარაბი და ვაშლისა შარაბი იხმაროს. და ცხროვ რომელ შექირვებისაგან იყოს კურნებამა მისი ესევე არს, მაგრა რასაცა ჰკურნებდეს მანკისა და სნებისა მისაფერად ჰკურნებდეს.

ვითა რებამა ცხროვასა რამა ჰირისაგან იყოს. არხიჯანის იტყვის: ცხროვ რომელ დია ჰირისა ნახვისა და საქმისა ძნელისა ქნისაგან იყოს მისგან არს, რომელ სხეული დია ჰირისა ნახვისაგან გამბურვალბებულ იყოს, და დია სიარულისაგან და მაშინ გააც-
10 ხროოს კაცი.

ნიშანი მისი რამა ჰირისა ნახვისაგან იყოს. იგი არს, რომელ ყოველი საქციელი მბურვალედ იყოს და სიმშრალისა და მძინარეობისა ნიშანი ასოთა შიგან ჩნდეს და მაჯასი წვრილი და უსუსურად იყოს, და ფსელი ნეფლისა ყვითელი იყოს.

კურნებამა ცხროვასა რამა ჰირისა ნახვისაგან იყოს. იგი არს რომელ გამოსიყენებდეს და დაიძინებდეს, და ქრთილისა წყალსა და სიქანგუბინისა სმიდეს, და მიწყით მჟავესა და ტკბილსა ბროწყულსა ჰამდეს. და რამა ცხროვ გამბურვლდეს აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, და საქციელთა იისა ზეთითა იხელდეს. და თუ ზამთარი იყოს ასოთა ხირისა ანუ ბაბუნაასა ზეთითა იხელდეს. და რამა აბანოთა გამოსულ იყოს აღარდნისა ურწყოასა ჰამდეს ნუშისა ზეთითა. და მაშინ არდისა წყალსა და კატკა-

20 ტრასა წყალსა იხმარებდეს. და მანკისა ბოლოსა ვარიასა ჰამდეს აღარდნითა შექნილსა, და ხმელთა საქამადთა ერიდებოდეს, და ღვინოსა წყალ რეულსა სმიდეს და დაიძინებდეს.

მუჰამედ ზაქარიაასმე იტყვის: კურნებამა მისი იგი არს, რომელ ნელსა წყალსა დია ისხმიდეს, და იისა ზეთსა ანუ ნილოფარისა ზეთსა თავსა იცხებდეს, და ასოთა იისა ზეთითა იხელდეს, და რამა აბანოთა გამოვიდეს გრილსა და ნელსა საქამადასა ჰამდეს ვითა ასპანახსა და ძვიმელსა რომელ ნუშისა ზეთითა და ქათმისა ხორკითა და თიჭის ხორკითა შექნილ იყოს. და გაციკებულსა ჯულაბასა სმიდეს, და დია დაიძინებდეს. და თუ არ მოიჯობინოს კელაყა აბანოს მივიდეს და იგივე ჰკურნოს რომელ გვიოქვაშს. და თუ ნილოფარისა ზეთითა მიწყით საქციელთა იხელდეს საკვირვლად ერგების. და თუ მრავალჯერ ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს ერცახე კარგი არს მეტად ზამთრის რამ ცივი იყოს.

30 ს3. ჰოველთა დღეთა ცხროვ რომელ დია სიციხისგან იყოს ანუ დია სიციხისგან ვითარებამა მისი რამა სიციხისაგან იყოს. იოჰანამა იტყვის: ამის მანკისა ვითარებამა ჰავრისა სიციხისაგან იქნების რომელ ბუნებამა ტანისაა გაემბურვალოს, ანუ მისგან იქნების რომელ ცხელსა აბანოსა ანუ მზესა დია ჯდომილ იყოს ²⁾.

ნიშანი მისი რამა სიციხისაგან იყოს. იგი არს, რომელ ტანისა ქერქი შემოქირებულ იყოს და რამა ხელი ასოთა შემოსდგან სიციხე არ დია ჰქუნდეს, და არ უხურვიდეს და მაჯასი ფიცხლად უფეთქდეს, და ფსელიცა თეთრი იყოს.

კურნებამა ცხროვასა რამა დია სიციხისგან იყოს. იგი არს, რამცა ჰავრისა სიციხისაგან იყოს ანუ აბანოს დია ჯდომისაგან, რომელ ცოტამა ძმარი წყალსა, და ვარდის წყალსა ვაპრიოს და თავსა შემოსდგას ერგების. და რამა ცხროვად დავლიოს აბანოს მივიდეს
40 და თავი მრავალჯერ ამა წამლისა წყლითა დაიბანოს ვითარებამა მისი: იამ და ნილოფარი და ბაბუნა თეთროასგან ნაწილი ერთი, ყოველი წყლითა ადღლოს რომელ ძალი გამოვიდეს, მაშინ აბანოს მივიდეს და თავი ამით წყლითა დაიბანოს, და სიმბურვალეთა ერიდოს.

¹⁾ ამ გვერდის ქვემო აწივზე რეველთა სათვალავი სწერია „მზ“ და შემდეგი გვერდის ზემო აწივზე „მზ“.

²⁾ აქ ტექსტში ვარსკვლავი უხის და აწივზე დედნის ხელით სწერია: „ნიშანი მისი რამა სიციხისგან იყოს იგი არს, რომელ ასოთა ამიშებდენ და ზელისაგან ვახურდებოდეს, და თავი სტიკიდეს და ფერი პირისაა წითლად ედგას, და მაჯასი წვრილად იყოს და ერცახე ადრე ფეთქდეს“.

მასოას ძე იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ასონი ნელითა წყლითა იბანოს, და რომელ აბანოთ გამოვიდეს ქრილისა წყალსა სმიდეს შაქრითა, და მაშაჲსა ურწყოდ ნუშისა ზეთითა, და მაშინ დაიძინოს. და თუ ვარდისა ზეთი მენიწვართა გაავრილოს და თავსა შემოსდეს კარგი არს, და მკერდსა და გულსაცა შემოსცხოს. და გაგრილებულსა წყალსა სმიდეს. და თუ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდეს და ადრე გამოვიდეს ერგების, მეტად მაშინ რომელ ასონი იისა ზეთითა და ვარდისა ზეთითა გაგრილებულითა დაიხლოს. და ხმელთა და მხურვალთა საჭამადთა ერიდოს, და გრილთა გიელტვოდეს. და თავისა თავსა ქირსა ნურას აჩვენებს, და გამოსვენება თავისა გამოარჩიოს ერგების.

10 ვითარებაჲ ცხრომსა რაჲ სიცივისაგან იყოს. ჯალიონოს [იტყვის]: ღია სიცივისაგან იქნების, რომელ ტანსა შეხდომილ იყოს და მაშინ ბუნებაჲ მისი სისწორისაგან შეეცვლოს, ანუ ღია ციესა წყალსა შიგან ჩაჯდომისაგან იქნების. ნიშანი მისი რაჲ სიცივისგან იყოს. იგი არს, რომელ ტანისა ქერქი.. გამომა ბრძანე!).

კურნებაჲ მისი რომელ ღია სიცივისაგან იყოს: რაჲცა ღია სიცივისაგან იყოს ანუ ციესა წყალსა შიგან ჯდომისაგან კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ასონი ღია ზელოს, რომელ ცხრომ დასწყნარდეს, და მაშინ, მივიდეს და ოფლი გამოიცეს და ტანი ხირისა ზეთითა ანუ ბაბუნაჲსა ზეთითა კარგად ზელოს და ტფურისა წყალსა ტანსა და ასოთა ზედა ისხმიდეს. და ზეწარი შემოიხვიოს და გამოვიდეს და დაიძინოს. და რაჲ ადგეს ნატიფი საჭამადი ჯაშოს ვითა ვარია, და ნატიფთა სანელებლითა შექნილი. და დურჯი და ხობობი და თიჰოჲ ჯამოს, და სურნელი ღვინოჲ ერგების.

მასარჯოჲ იტყვის: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ პირველ აბანოს მივიდეს და ტანი ნელითა წყლითა იბანოს, და რომელ აბანოთ გამოვიდეს ცერცოჲსა ზეთი და ხირისა ზეთი ანუ ბაბუნაჲსა ზეთი თავსა იცხოს ერგების. და ჰამოთა სურნელთა უსუნებდეს, და ჰამოჲსა ღვინოჲსა და ადვილსა სმიდეს. და თუ ესე მანკი მისგან ქნილ იყოს რომელ ციეთა წყლითა ღია ებანოს ანუ ციესა ჰაერსა მოერივნენ და გაცივოს, კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ცხელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს. და რაჲ გამოვიდეს ფიცხლად დაიხუროს ტანი, და ღია იძინოს და ოფლი გამოიცეს. და მაშინ ტანსა მხურვალთა ზეთითა იხელდეს, და მხურვალისა საჭამადისა ჯამასა ერიდოს, და თავი შეი-
30 ნახოს.

ს. ცხრომ უთვალთა ღვინოჲ რომელ სიღმომსაგან იყოს ანუ სურდომსაგან ვითარებაჲ მისი რაჲ სიღომსგან იყოს.

მესიაჲ იტყვის: მისგან იქნების რომელ სულსა ღია მიჰვირდებოდეს, ღია სიარულისგან და ბუნებისა ძალისაგან, სიღმომსა შიგან მაშინ, ესე ცხრომ გამოჩნდების და შეაცივებს კაცსა.

ნიშანი მისი რაჲ სიღმომსგან იყოს. იგი არს, რომელ ფერად გაყვითლდეს და ასონი გაუსუსთდენ და თვალნი ღრუდ ჩასრულ იყვნენ, და მუჯასი წვრილად და უსუსურად იყოს.

კურნებაჲ ცხრომსა რაჲ სიღმომსგან იყოს. იგი არს, რომელ შემკრეველთა წამალთა ჯამდეს ვითა სიღმომსა მანკთა შიგან გვიოქვაჲს და შიგან რაჲსაცა ჯამდეს შეკრეველთა და დამკრეველთა ჯამდეს, ვითა ალარდინისა და თუთუბისა ურწყოჲსა და მსგზავისა გათსა და სტომაქსა ზედა შემოსადებელთა ეგეთთა შემოსდებდეს რომელ სტომაქსა გააძლიერებდეს და მაშინ აბანოჲსა მივიდოდეს და ასოთა ნელითა წყლითა ჰბანდეს. და საჭამადთა გრილთა და ხმელთა ჯამდეს. და კურნებაჲ ცხრომსა რომელ ასოთა ბაჟლიანობისაგან და სიფლინისაგან იყოს იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა თავსა ისხმიდეს,

1) აქ ტექსტი ვარსკვლავი უხის მაგრამ ვახრტუბელი არ არის.

და ტანი კარგად იბანოს, და ნეცვისა თესლი და ცოტა ბავრუკი წმიდად დანაყოს და ტანსა შესცხოს, და ხანი ერთი დათმოს და მაშინ ტანი კარგად დაიბანოს, და რა ბანაოთ გამოვიდეს ცოტა საქამადი ჰამოს, რომელ ზაფრად დააწყნაროს. და ღვიძლსა წყალ რეულსა ცოცოტასა სმიდეს, და ვითა გვითქვამს იქმოდეს. და კურნება ცხროასა რომელ მხურვალთა ჰამისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს და ცივსა წყალსა სმიდეს და სანდალსა და ვარდის წყალსა და ვარდსა და ქაფურსა ერთგან გარეგედეს და თავსა შემოსიდებდეს. და დღლასა ქრთილის წყალსა სმიდეს. და თამრიჰინდისა წყალი და ტყემლისა წყალი და ყვითლისა მიშმიშისა წყალი და სადაგსა სიქანგუბინსა, ესე ყოველი მას ერგების. და თუ ამასთან ზოგი რამე იყოს იგიცა ყოფის და ერგების. და ღვიძლისა სმისა და თავლიანთა და მხურვალთა ერიდოს და გრილთა მიელტკოდეს, და ამის ცხროასა კურნებასა ნუ მოღაფლდების რომელ გაძნელდების.

30 შთარება ცხროასა რაა სურდოხსაგან იყოს; ამის მანკისა ვითარება სურდოასა მანკისა შიგან სრულიად გვიხსნებია თუ სიმხურვალისაგან იყოს და თუ სიგრილისაგან, მით რომელ ესე მანკი და ცხროა სურდოასგან შეიქნების.

ნიშანი მისი რაა სურდოასაგან იყოს. იგი არს, რომელ გამოგვიცხადებია სურდოასა მანკისა შიგან სიმხურვალით და სიგრილით, ეგრევე იქნების რომელ სურდოასა შიგან გვითქვამს.

კურნება მისი რომელ სურდოასაგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა ხელი ვიხსნას ანუ კიქაა მოჰიდოს, და ხორცსა და თავლიანთა ერიდოს. და ვაზრდილსა იასა და ქრთილისა წყალსა იხმარებდეს. და იხარკოს ამის ცხროასა კურნებასა, თუ არა უფროასი მისგან იგი არს, რომელ სარსამად შეიქნების, რომელსა ჰქვიან თაქედი, მაშინ მანკი ვამრუდებდეს.

მასარჯოთა იტყვის: კურნება მისი იგი არს, რომელ ყიფალი ვიხსნას და ხორცსა და თავლიანთა ერიდოს, და საქამადად მაშაასა ურწყოსა ჰამდეს და ასფანახსა და ქრთილსა წყალსა ნუშის გულთა, და ხაშხაშისა შარაბსა და ვაცივებულსა ჯულაბსა სმიდეს, და ბაკილასა წყალსა ნუშისა ზეთითა იხმარებდეს, და ჰასოთა თხელი ფუშუკი რომელ ანაკეთსა და შაქრისაგან შექნილი იყოს და ნუშისა ზეთითა იხმარებდეს. და კურნება ცხროასა რომელ სნებათაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ ასოთა ნელითა წყლითა იბანდეს და ნელთა და გრილთა ზეთითა თავსა იცხებდეს, და საქამადთა სწორთა ჰამდეს.

30 და კურნება ცხროასა რაა ტკივილისაგან იყოს იგი არს, რომელ მას ტკივილსა უკურნოს, და ცხროასა ვაბაასა კურნება იგი არს, იგი ხილტი რომელ მანკისაგან ვასრულ იყოს წამლითა გააყენონ ტანისგან, და რაა ტანი გაეწმინდოს და მკრველთა შარაბთა იხმარებდეს ვითა ვაშლისა შარაბსა და ბროწეულისა შარაბსა, და ისარიმისა რუბსა და სადაგსა სიქანგუბინსა. და უშომან ქაფურისა ყურსი ჰამოს, ანუ თრუნჯისა რუბი. და მკრდი სანდლითა და ქაფურითა და ვარდისა წყლითა ზედა დადებით გაუგრილოს. და გრილსა ადგილსა დაჯდებოდეს. და საქამადსა თუთუბისა და ალარდინისა. ურწყოსა ჰამდეს რომელ ადრე ეღბინოს და დაეხსნას.

